გივი სომხიშვილი

♣♣♣

# ამომავალი შავი მზე

(რომანი)

♣♣♣

# ბედის მასხარა

(რომანი)

♣♣♣

# სატანის ღიმილი

(რომანი)

თბილისი
2008



ამ წიგნს ვუძღვნი საქართველოში ედუარდ შევარდნაძის ორჯერ აღზევების ხანაში უდანაშაულოდ ნაწამებ თუ რეპრესირებულ ადამიანებს.

**გივი სომხიშვილი**

ISBN 978-9941-9030-0-7

# ავტორისაგან

**დაბოლოს,** ედუარდ, შენ პოლიტიკური გვამი ხარ! დაე, ყველა სამშობლოს ინტერესებით მოვაჭრე კარიერისტი, თვალთმაქცი, მატყუარა, მომხვეჭელი, უძღები არამზადა, სისხლისმსმელი წურბელა, ამქვეყნად თავისი ერის უბედურებად მოვლენილი პარაზიტი განკითხვის დღეთა მოლოდინის შიშით ძრწოდეს.

ეს ტრილოგია ქართველი ხალხის სიფხიზლისკენ მოწოდებაა, რათა ახალი ტიპის ჰეროსტრატეს მსგავსი უბედურება ხელისუფლების სათავეში ველარ გაძვრეს.

წიგნი შესდგება სამი ნაწილისგან: ,,ამომავალი შავი მზე“, ,,ბედის მასხარა“ და ,,სატანის ღიმილი“. მასში მოთხრობილია ქვეყნის თავკაცად დასმული ხარბი, თავისი ერის ინტერესების მედუქნის დახლზე შემდები ზნედაცემული კარიერისტი, ჯანსაღ სხეულში მოხვედრილი პარაზიტივით ნელნელა როგორ სპობდა ისტორიის ქარცეცხლში გამოვლილ, მაღალი კულტურის და ზნეობის, კაცთმოყვარე პატარა ერში სიკეთეს, ბედნიერებას და სიხარულს; ღალატის მიმართ სიფხიზლის მოდუნებამ რა საშინელი განსაცდელის წინაშე დააყენა კაცობრიობის ეს პატარა მარგალიტი.

უსამართლობასთან შეურიგებელი, მებრძოლი სული მოითხოვს, იყვირო, ხალხს შენს თუ საზოგადოების ტკივილზე მოუთხრო, ვიღაც შეაჩერო და გულის ბზარიდან ამოხეთქილი კვნესით აუწყო ცხოვრების უკუღმართობაზე. მაგრამ განუკითხავი ყოფის ქაოსში, სადაც ადამიანებს მხოლოდ ერთი საზრუნავი დარჩენიათ – ლუკმაპურის შროვნისათვის გამართულ გაწამაწიაში საკუთარი გამათხოვრებული სიცოცხლის გადარჩენის მცდელობა, ვიღას რაში სჭირდება კაცთმოყვარეობა, სინდის-ნამუსზე ქადაგება, როცა ფულის შოვნის და ქონების მოხვეჭის მაცდური ზმანება ადამიანის ტვინში მხეცობის თვისებებს აბარტყებს და ცივილიზაციის ჯუნგლების განუკითხაობით წამლავს. ამგვარი ყოფა ყველა ჯურის ნაძირალისათვის საკუთარ სტიქიაში ნებივრო-

ბაა, პატიოსანი ადამიანისათვის კი ჯოჯოხეთის შხამიანი ჭაობის ქშინვაა მხოლოდ. სიკეთისათვის ბრძოლა კი გრძელდება როგორი განუკითხაობის სიმაღლის მფლობელიც არ უნდა იყოს ბოროტება.

უსამართლობის, ძალადობის, თვალთმაქცობის, უზნეობის, გარყვნილების წინაღმდეგ ბრძოლაზეა მოთხრობილი ამ რომანში, როდესაც მოხვეჭაზე დახარბებული თანამდებობათა მფლობელი პარაზიტები სიმართლის შერყვნის ხარჯზე ნაშოვნი ქონებით ემზადებოდნენ ნაქურდალ-ნაძარცვით სოციალიზმიდან საბაზრო ეკონომიკის კაპიტალისტებად მოვლინებოდნენ ღალატით და ძარცვით დაბეჩავებულ თავიანთ თანამემამულეებს.

სიცოცხლე კი იმით არის მშვენიერი თუ სულს მათხოვრად არ დაათრევ, თუ ამქვეყნად ყოფნა მონური მორჩილებით არ გინდა გაიხანგრძლივო. რომანში იმგვარ ადამიანებზეა საუბარი, რომლებიც უკანონობას და ძალადობას სპეტაკი სინდისით და ვაჟკაცური შემართებით ებრძვიან.

მონის უღელს ნუ დაიდგამ,
მხნეობა ცამდე ასწიე:
ყვავმა სიცოცხლის რა იცის,
ეს უნდა ჰკითხო არწივებს!

**გივი სომხიშვილი.**

# ამომავალი შავი მზე

(რომანი)



# წნორელი ბიჭი გაბო

**ახლად** ხმადაბოხებულმა ყვინჩილამ თავისი შესაძლებლობა შეამოწმა, გაუხარდა, რომ ნამდვილი მამლის ხმას მიამსგავსა და, ქანდარაზე შემომჯდარმა, იგივე ნოტი გაიმეორა. ძვალმსხვილმა და წითლად ბიბილოჩამუქებულმა მამალმა, თხუთმეტამდე დედალთან რაღაცას საქმიანად რომ ქექავდა, უკმაყოფილოდ შეხედა მეტიჩარა ყვინჩილას და ფრთები დააბარტყუნა. ყვინჩილამ არაფრად ჩააგდო მისი პროტესტი, ყელი ამაყად მოიღერა და ყივილი დაიწყო, მაგრამ მამალმა აღარ დააბოლოებინა, გაბრაზებული მისკენ გაექანა. ყვინჩილამ თავისი სიმფონია შუაზე შეწყვიტა, ქანდარიდან გადმოხტა და ქათმებში შეერია. მამალი არ მოეშვა, მთელი ეზო შემოარბენინა. ყვინჩილა სისწრაფეში სჯობნიდა, შორს არ იყო ის დრო, ჩანისკარტების ძალაშიც რომ აჯობებდა; ახლა კი გაცლა ამჯობინა, ფიცრის ღობეზე შეფრინდა, აქოშინებულმა მამლის ჯინაზე ერთი კიდევ დაიყივლა და მეზობელ ეზოში გადაფრინდა. გამარჯვებული მამალი ამაყად გაერია დედლების ამალაში; მარჯვენა ფრთა ჩამოუშვა, მიწას მოუფხაჭუნა და წითელკანიანთა ბელადივით გამარჯვებულის როკვა დაიწყო. ერთი ღაბუა დედალი აირჩია, რომელმაც მაშინვე გაუგო გულში ნადები ზრახვები და ადგილზე ჩაჯდა.

ბურთა ლეღვის ჩრდილში წამოწოლილმა ძაღლმა ეზოში გადმოფრენილ მამალს თვალი მიაყოლა, უბოროტოდ ჩაიღრინა, წინ გაშვერილ თათებზე დადებული თავი არც კი გაუნძრევია; ისე კი ყვინჩილას სტუმრობას ყურადღებით აკვირდებოდა.

ამასობაში იქვე ღობის ძირას მოფუსფუსე დედლებმა ყვინჩილა დიდი სიხარულით მიიღეს.

ძაღლმა ცოტა ხანს კიდევ უყურა ქათმების გაცნობის ცერემონიას, დარწმუნდა, რომ დაუპატიჟებელ სტუმარს ბოროტი ზრახვები არ ჰქონდა, მზერა ისევ შუშაბანდიანი სახლის კარებზე გადაიტანა, რომლის გაღებას დიდი ხანი ელოდა.

მზე კარგა ხანია ამოსცდა კავკასიონის შეთეთრებულ მწვერვალებს. მისი სხივები ახლა უკვე მწარედ იკბინებოდნენ.

ღია ფანჯარასთან მიდგმულ საწოლზე ზედა ტუჩზე ულვაშგაღვიძებულ ბიჭს გულაღმა ეძინა. მზემ სახე აუწვა, ჯერ ხელი აიფარა, მერე გვერდზე გადაბრუნება არჩია. მნათობმა არც ახლა მოასვენა, კისერში ჩააფრინდა და ძილი საბოლოოდ გაუფრთხო. ბიჭი ლოგინზე წამოჯდა, გაიზმორა, მზეს შეხედა და გაკვირვებულმა ჩაიბურტყუნა:

– რამდენი მძინებია, ალბათ, თარსო სადმე გაძვრა, – წამოდგა, რკინის საწოლზე გადაკიდებული შარვალი ჩაიცვა და ფეხშიშველმა შუშაბანდის კარები გამოაღო.

ძაღლი წამოხტა და მისკენ კუდის ქიცინით გაიქცა, კიბე აირბინა და ბიჭს ზედ შეახტა, შიშველ მკერდზე ბრჭყჰალები ჩამოუსვა.

– უხ, შენი! რა კატასავით იკაწრები! – ბიჭმა კეფაში მუშტი მსუბუქად უთავაზა და ყურებზე ხელი მოუჭირა; ძაღლმა დაიწკმუტუნა.

– კარგი იყო?! – ნიშნის მოგებით უთხრა და ხელი გაუშვა.

ძაღლი მის წინ ჩაცუცქდა.

ბიჭმა ეზოს თვალი მოავლო. დედლებში გარეული ყვინჩილა რომ დაინახა, ძაღლს უთხრა:

– თარსო, ეგ სიძე საიდან მოგვევლინა?

ძაღლმა თავისი სახელი რომ გაიგო, პატრონს ერთგული მზერა მიაპყრო, თითქოს ეუბნებოდა, რა გინდა, მითხარ, უცებ შეგისრულებო.

– ვისია-მეთქი ის მამალი, არ გესმის?! – საყვედურით გაუმეორა.

ძაღლი აფორიაქდა და ვითომ გავიგე რა გინდაო, ბოხ ხმაზე დაიყეფა. ქათმებმა უნებლიეთ თავები ასწიეს. უცხო ყვინჩილა სხვის ცოლთან წასწრებულ დონჟუანივით შეშფოთდა, კიდევ ერთი დაყეფა და მზად იყო ისევ თავის სულელ ბებერი მამლის საბრძანებელში გადაფრენილიყო. რაკი დაინახა, დედლები უშფოთველად ქექავდნენ ღობის ძირში მიყრილ ნაგავს, თვითონაც, ვითომ სულაც არ შემშინებიაო, ცალფრთაჩამოშვებულმა საქორწილო რიტუალური ცეკვა შეასრულა ერთი დედლის გარშემო.

– ნახე, თარსო, სახალხოდ არ დაისაკუთრა ჩვენი ოჯახის იმედი ქოჩორა დედალი, – სიცილით თქვა ბიჭმა და კიბეზე ჩამოჯდა. – როგორ იცი, თარსო, ჩვენს ახალდაქორწინებულ ქოჩორას საბუდარში კვერცხი არ ექნება დადებული?

ძაღლს ხელი გადაუსვა, თარსომაც თავისი მაჯის სისქე თათი მუხლზე დაარტყა.

– წავიდეთ, ენახოთ, პატარძლები ჩვენთვის როგორ ზრუნავენ, – ბიჭი ადგა და საქათმისკენ თარსოს თანხლებით გაემართა.

საბუდარში სამი კვერცხი დახვდა. ყველა გულდასმით შეამოწმა, ყურთან გააჭანჭყარა; ერთი ლაყე გამოდგა, – ეს ქოჩორას დავუტოვოთ, გული რომ არ აიცრუოს, – თქვა ბიჭმა და ლაყე კვერცხი ისევ საბუდარში ჩადო.

მალე ღორის ქონში შემწვარი „ყიყლიყო“ ბიჭმა და ძაღლმა თანაბრად გაინაწილეს.

– გაბო! – ვიღაცამ დაიძახა.

ალაყაფის კარებისაკენ თარსო ყეფით გაიქცა.

– მობრუნდი, თარსო, ჩვენიანია! – დაუძახა ბიჭმა. ძაღლი იქვე ჩაცუცქდა და კარების გახსნას დაელოდა.

მაღალი, მზისგან გარუჯული კაცი ალაყაფის კართან იდგა, ხელში ჯოხი ეჭირა, გახუნებულ პერანგზე და შარვალზე აქა-იქ შაბიამნის ხსნარის ლაქები ეტყობოდა. თავზე ჯარისკაცული „პანამა“ ჩამოეფხატა, რომელიც შაბიამნის ხსნარით იყო მოხატული.

– გამარჯობა, გაბო! უთხრა ბიჭს და ქუდის კალთა თვალებიდან მოიცილა.

– გაგიმარჯოს! – ბიჭი კარებში გაჩერდა, თარსოს გარეთ არ უშვებდა.

– დღეს სამუშაოდ რატო არ გამოხველ? – ჰკითხა კაცმა.

– რა, გუშინ ვიყავი? მე ბრიგადაში გამომსვლელი აღარა ვარ!

– რატო, ვინ გაწყენინა, იმ შობელძაღლმა?! – კაცმა ხმას აუწია.

– მე იმ კოლექტივში არ ვიმუშავებ, უქნარებს და ფუქსავატებს რომ პატივს სცემენ, ვინც შრომობს, იმას კიდევ არაფრად აგდებენ! – გადაჭრით თქვა გაბომ.

– მე რა მაგ აზრის წინააღმდეგი ვარ?! ყველა ფუქსავატის და ამ ცხოვრების ნებიერის დედა ვატირე! ბიჭო, ვენახებს ჭრაქი ჭამს, შენც ხომ იმათი მსგავსი არამზადა არა ხარ?! – კაცი ცოტა ხანს დადუმდა, მერე დაუმატა: – რას იზამ, გაბო, არ წამოხვალ?

გაბომ სინდისის ქენჯნა იგრძნო, თანაც ბრიგადირი შეებრალა. „რა ქნას, კაცი მუშაობისთვის არის მოწოდებული, მაგრამ...“ – გაიფიქრა.

– ეხლავე წამოვიდე? – მორჩილად ჰკითხა.

– ერთ საათში კლუბთან ჩამოდი, პაჭიკო ტრაქტორს გამოიტანს სახელოსნოდან, დაელოდე და ის ჩამოგიყვანს ბრიგადაში; მე რამდენიმე ბიჭი კიდევ

მყავს სანახავი, – ბრიგადირმა ქუდი შუბლზე ჩამოიფხატა და ორღობეს დინჯად გაუყვა.

გაბო სახლში შებრუნდა, ჩანთა აიღო და შიგ სპეცტანსაცმლის ჩალაგება დაიწყო. ამას რომ მორჩა, სკამზე ჩამოჯდა, ფიქრებს მიეცა. პაპანაქება ივნისში ოთახში ცივი სიჩუმე იდგა. ფანჯრების მოპირდაპირე მხარეს კედელზე ჩამოკიდებულმა დედის სურათმა გაუღიმა. ერთ წელზე მეტი გავიდა, რაც გაბოს დედა გარდაეცვალა. ცხოვრება რომ ასეთი სუსხიანი და დაუნდობელია, სანამ დედა ცოცხალი ჰყავდა, გაბოს ერთი წუთითაც არ უგრძვნია. საწყალი ქალი ობოლ შვილს არაფერს არ აკლებდა. გაბო ვერ გრძნობდა, რა დაძაბული შრომის და განცდების ფასად უჯდებოდა დედამისს ყოველივე ეს. ალაზნის სასისტემო სამმართველოს მდივან-მემანქანე ქალი დაძაბულად შრომობდა, დასაბეჭდი შეკვეთებიც ჰქონდა. „რა ბედნიერი დღეები იყო, ნუთუ შეიძლებოდა მისი ასე უკვალოდ გაქრობა?! ან რატომ არის, რომ რაც დრო გადის, უფრო მწარედ განვიცდი მას. რა ბედნიერი ვიყავ და არ ვიცოდი, ახლა კი ვგრძნობ მის ძალას, მაგრამ რაღა დროს, როცა თანდათან უფრო მშორდებიან და აღარასოდეს განმეორდებიან“, – გაბომ მძიმე ფიქრები მოიცილა და ისევ შეხედა სურათს, დედა უღიმოდა როგორც მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე. მის თვალებში მშობლის დაუშრეტელი ზრუნვა და გაუციებელი სიყვარული იგრძნო. უცებ შეშფოთდა, გული მძიმე განცდით შეეკუმშა. თვალწინ დაუდგა, რაც დედას უსიამოვნებები შეხვდა და სინანულისაგან შეაკრჟოლა. შუშაბანდში გავიდა, საწოლზე გულაღმა გაიშოტა, ჭერს მიაშტერდა. სკოლის ამბები გაახსენდა და მოგონებებში ჩაიძირა. ტკბილად, უშფოთველად ეჩვენებოდა ის პერიოდი, ცხოვრების წყალქვეშა კლდეებზე წარმოდგენა რომ არ ჰქონდა და ისე დაცურავდა უშფოთველ ამინდში თავისი ბრტყელძირა ოცნებით. მაგრამ რაც დრო გადიოდა, მისი ცხოვრების ნავი თანდათან ღრმად ჯდებოდა ამქვეყნიურ გაწამაწიის მორევში და უფრო თვალნათლივ ჩნდებოდა კლდეებთან შეჯახების საშიშროება, ზედაპირიდან უხილავად რომ შენიღბულიყვნენ; საჭირო იყო სიფხიზლე, თორემ კენტ ნავს ჩაძირვა არ ასცდებოდა.

სკოლაში კი გაბოსთვის მხოლოდ ცხოვრების სწორი ზედაპირი იყო ცნობილი, მის სიღრმეში რა საიდუმლოება გაყინულიყო, როგორც ავაზა ქურციკის მოლოდინში, ამას ვერ წარმოიდგენდა. გაბოსათვის სულ ერთი იყო, რა თანამდებობის და ძალაუფლების მფლობელები იყვნენ მისი თანაკლასელების მშობლები. უფრო უყვარდა და მეგობრად მიაჩნდა კეთილი, თავმდაბალი და ალალი გელა კვირიკაშვილი, სკოლის დამლაგებლის შვილი, ვიდრე ავყია, გაბღენძილი და მუდამ სხვის დასამცირებლად მომართული ჰამლეტ ბენაშვილი, თუმცა პროკურორ ყარამან ბენაშვილის ვაჟი იყო.

გაბო თავის თანაკლასელ სიცოცხლით სავსე, მოხდენილ მკვირცხლ გოგოს, ნელი შიხაშვილს ბავშვობიდანვე დიდი მოკრძალებით ექცეოდა; ყოველთვის ცდილობდა მისი სურვილის შესრულებას. ამავე დროს თავი ისე ეჭირა, თითქოს მისთვის ნელიც ისეთივე იყო, როგორც სხვა დანარჩენები; ბევრს ფიქრობდა მასზე, უზარმაზარ ოცნების კოშკებს აგებდა, მაგრამ ვერ გაეგო, ეს რა გრძნობა იყო. ერთი იცოდა მხოლოდ, რომ მასთან ახლოს ყოფნა და მასზე ფიქრი დიდ სიამოვნებას ანიჭებდა. ნელიც ხვდებოდა გაბოს ამ შინაგან განცდებს და სითბოთივე პასუხობდა.

მათი ურთიერთობა ერთხანს ასე უშფოთველად მიდიოდა, სანამ თანაკლასელმა ჰამლეტ ბენაშვილმა გაბოს სათუთად ნაგებ ოცნების კოშკებს დასაშლელად არ შეუბერა.

ჰამლეტი პროკურორ ყარამან ვასილიჩის ვაჟი იყო. სკოლის დირექტორი კოტე თულაშვილი მოსწავლეებს სკოლის ფორმის გარეშე კლასში რომ არ უშვებდა, ჰამლეტს ვერაფერს უბედავდა; დროდადრო თავის კაბინეტში წაიყვანდა, ოჯახის მდგომარეობას გამოჰკითხავდა, ყარამან ვასილიჩს განსაკუთრებით მოიკითხავდა, თავზე ხელს მოკრძალებით გადაუსვამდა და მოფერება-მოფერებით გამოისტუმრებდა. ჰამლეტი კი ისე იყო განებივრებული მასწავლებელთან შეხვედრის დროს რომ არ გაეღიმათ და შექების თბილი სიტყვა არ ეთქვათ, წყრებოდა. ენაც გვარიანად ჰქონდა დაგრძელებული, კლასში რაც კი რამ ხდებოდა, ყარამანს უყვებოდა, რომელიც სათანადოდ რეაგირებდა.

ჰამლეტი სკოლაში სუსტ მოსწავლედ ითვლებოდა, მაგრამ პრეტენზიები ყოველთვის ფრიადოსან გაბოზე მეტი ჰქონდა. პრეტენზიები ვთქვათ თორე, მეოთხედის ბოლოს მას ხუთზე ნაკლები ნიშანი არა ჰქონია.

გაკვეთილების გამოკითხვის დროს მასწავლებლები ჰამლეტისკენ შიშით იყურებოდნენ, რომელსაც ხელი ყოველთვის აწეული ჰქონდა, მაგრამ არ უნდა შეშლოდათ, წინასწარი გაფრთხილების გარეშე გამოკითხვა დიდ უსიამოვნებას მოუტანდათ. რომელ დღეს უნდა სცოდნოდა გაკვეთილი, მისმა დედამ ორი კვირით ადრე იცოდა. ჰოდა, მისი მომზადებისათვის იყო ერთი გაწამაწია; ვაივაგლახით, მშობლების საყვედურების ავსებით ჰამლეტი ერთი გაკვეთილის საშუალოდ მომზადებას მოახერხებდა. მის პასუხს მასწავლებელი უფრო მეტად განიცდიდა, ვიდრე თვითონ. დამატებით შეკითხვას შიშით ვერ მისცემდა, რომ ეს წინასწარ მომზადებული სცენარი, რომელიც უპირველესად მისი თანაკლასელებისათვის სჭირდებოდათ, ვითომ ჰამლეტი ბეჯითი და ნიჭიერი მოსწავლეაო, არ ჩაშლოდათ. მოსწავლეებმა კი ყველაზე უკეთ იცოდნენ, რა ცოდნის პატრონი იყო მათი ყვინჩილასავით გაფხორილი ამხანაგი. არც დამცინავ რეპლიკებს აკლებდნენ. ჰამლეტს კი სულაც არ ენაღვლებოდა, რას ფიქრობდნენ მასზე სხვები, ის ხომ განსაკუთრებული პიროვნება იყო, რომელსაც დიდი და ნათელი მომავალი ელოდებოდა. ესენი კი ვინ იყვნენ? არავინ, ვიღაცა პატარა ხალხის შვილები, რომლებიც მისი მამის, ყარამან ვასილიჩის შიშით კანკალებდნენ. ჰამლეტი რაც იზრდებოდა, უფრო მახინჯდებოდა მისი სულ-ხორცი, რაშიც გადამწყვეტი როლი მშობლებს ეკუთვნოდათ, ასე დაუზოგავად რომ ანადგურებდნენ ზნეობას და სინდისს. ჰამლეტის ჩამოყალიბებაში მყოფ შეგნებას გაუკუღმართების ბაცილა აქტიურად ღრღნიდა, რაც ადამიანში ადამიანობას ამცრობდა.

ერთხელ ფიზიკის გაკვეთილზე ისე მოხდა, რომ ყველა მოსწავლე მოუმზადებელი იყო. მასწავლებლის პირველსავე მოთხოვნაზე გაბო ადგა და ბოდიშის მოხდით მოახსენა, რომ გაკვეთილის მომზადება ვერ მოახერხა, რადგან ახსნას არ ესწრებოდა და ამიტომ ზოგიერთი საკითხი მისთვის გაუგებარი იყო.

– ბავშვებო, ხედავთ, რას ამბობს ფრიადოსანი მოსწავლე?! ეს ახლა რის ღირსია? – მასწავლებელმა კლასს მიმართა.

ყველა დუმდა.

– ახლა ორიანს ჩავიბეჭდავ და შემდეგ გაუგებარი აღარაფერი დაგრჩება! – თქვა და ჟურნალს მისწვდა დაპირებულის შესასრულებლად.

– ვინ აუხსნის გაბოს გაუგებარ საკითხს? – როგორც კი დაპირება შეასრულა, კლასს მიმართა.

ჰამლეტის გარდა ხელს არავინ ეწეოდა.

– ვერც ჩვენ გავიგეთ მას, – ნელი ფეხზე ადგა, დანარჩენებიც აყვნენ.

– გაბო ახსნის დროს აქ რომ ყოფილიყო, გაიგებდა და ჩვენ აგვიხსნიდა, მაგრამ სწორედ იმ დღეს დედა ავად ჰყავდა და... – გელამ ამით აგრძნობინა, რომ გაბოს არცოდნა, მთელი კლასის არცოდნა იყო.

ჰამლეტს კი რობოტივით ხელი ისევ აწეული ეჭირა. მერე რა, რომ მთელი კლასი ჩავარდნილია, ახია მაგათზე! ამ დღეს ჰამლეტი არავის გაუფრთხილებია, ჰოდა, არც არავინ შეეკითხება. მერე იტყვიან, კლასში ბენაშვილის გარდა გაკვეთილი არავინ არ იცოდაო; უხ, მამაჩემს რა გაუხარდება! – ამ ფიქრებში გართული ხელს უფრო მაღლა ეწეოდა.

მასწავლებელმა ჰამლეტს ქურდულად გახედა და სასწრაფოდ მოაცილა თვალი. „ნეტავ იმდენი მაინც რატომ ვერ გაუგია, რომ ახლა ხელის აწევა არ შეიძლება; როგორ მოვახერხო, რომ არ ვკითხო?“ – შუბლზე ჭირის ოფლმა გამოსცრა. ამ დროს ისევ გელას ხმა ჩაესმა: – აგერ, ჰამლეტამ იდლია აიხია, მკითხეთო; მარტო მაგან იცის გაკვეთილი.

მასწავლებელმა თავი მაღლა ასწია და ჭერს მიაშტერდა. „რა ვქნა, ვკითხო? მერე ყარამანს რაღა გადაურჩება, ჩემს მტერს გადაეკიდოს!“ – ფიქრობდა და ვერ გადაეწყვიტა, რა ექნა. მთელი კლასის გასალანძღი სიტყვები ენის წვერზე შეახმა. „ნეტავ, გაბოსთვის მაინც არ დამეწერა ორიანი!“ – თავის თავს უსაყვედურა. „რა ვიცოდი თუ მთელ კლასს არ ეცოდინებოდა, თანაც ეს ყეყეჩი ბენაშვილი ასე გამოიდებდა თავს, მკითხეო“.

– ჰამლეტას ჰკითხე, მას! – მოსწავლეები ახმაურდნენ, – ცოდოა, უსწავლია, შრომას ნუ დაუკარგავთ!

– თქვენ თქვენს თავს მიხედეთ, იმაზე იფიქრეთ, რომ დღეს უსინდისოდ მოუმზადებლები მოხვედით, ჰამლეტისგან რა გინდათ?! – გაბრაზდა.

– მასწავლებელი სწორეს ამბობს! – გელამ თავი გამოიდო, – განა არ იცით, რომ ჰამლეტას გამოკითხვის დრო არ არის. ეგრე რომ ყოფილიყო, მაგის დედა სკოლაში აუცილებლად მოვიდოდა; ვინმეს გინახავთ?

– არ დაგვინახავს, არა! – კოლექტიური პასუხი მიიღო.

– ჰოდა, თუ არ დაგინახავთ, ჰამლეტას როგორ უნდა გამოკითხოს, ყარამანას არ ეწყინება?! – თქვა გელამ და დაჯდა, კლასი კი კოლექტიურად ახარხარდა.

– გაეთრიე გარეთ! – იყვირა მასწავლებელმა.

გელა ადგა, ჩანთაში წიგნების ჩალაგება დაიწყო, საქმეს რომ მორჩა, მერხების რიგიდან დინჯად გამოვიდა.

– ბოლო გაკვეთილია, სახლში წავალ, ხვალ დილამდე! – თანაკლასელებს გამოემშვიდობა. კარებთან მისული შეჩერდა: – ჰამლეტ, შენ ხელი არ ჩამოუშვა, ნუ გეშინია, გაკვეთილს მაინც ვერ გკითხავენ. ჩვენი ფიზიკის მასწავლებელი არც ისეთი გამბედავია, რომ ამხელა რისკი გასწიოს. შენს ორიანს დამლაგებელი სოფოს ბიჭის კლასიდან გაძევება ურჩევნია, – თქვა და ახარხარებული კლასი კარების ჯახანით მიატოვა.

„ეს ოხერი, ნამდვილად დებილია, ხელი ისევ მაღლა უჭირავს“, – მასწავლებელმა გაიფიქრა. მოსწავლეები კი ისევ იცინოდნენ.

– ჰამლეტ, მოითხოვე, გკითხოს, თორემ ახალი მასალის ახსნას აპირებს; ამდენი შრომა წყალში არ ჩაგეყაროს! – ვიღაცამ უკნიდან მუჯლუგუნი ჰკრა, თან ხმამაღლა წააქეზა.

– მიდი, ჰამლეტ, მიდი, მოითხოვე, თორემ ნამდვილად უკითხავი დარჩები! – დანარჩენებმაც წააქეზეს. ახლა აქეთ-იქიდან მიაყოლეს მჯიღი.

– მკითხე მას, – ჰამლეტმა ძლივს ამოღერღა და მასწავლებელს ხვეწნით

გაჯერებული მზერა მიაპყრო, შენი ჭირიმე, არა მკითხოო. იმას კი ვერ გაუწია ანგარიში, რომ მასწავლებელი თვალებით ანიშნებდა, შენი ჭირიმე, ხელი ჩამოუშვიო.

იმის თქმა მაინც ვერ მოახერხა, გაკვეთილი მოყევიო; ენა სასაზე მიეკრა და ვერ დაიმორჩილა.

– მიდი, რა ყეყეჩივით დგეხარ, დაფასთან გადი და იქ მოყევი! – მოსწავლეებმა ჰამლეტს უბიძგეს.

ეს უკვე ამბოხი იყო, მასწავლებლის ძალაუფლება ჟურნალის იქით აღარ ვრცელდებოდა.

– მიდი, მიდი! – ჰამლეტი ძალათი მიიყვანეს დაფასთან. – დაიწყე ახლა, რის თქმა გინდოდა, კინაღამ იღლია რომ იღრძე, – აქეთ-იქიდან მიაძახეს.

დაფასთან გასულს მასწავლებელმა უაზრო მზერა მიაპყრო.

– დავიწყო? – განწირულის ხავსივით მოეპოტინა ამ სიტყვას ჰამლეტი და მასწავლებელს მუდარით სავსე თვალები მიაპყრო; მან კი მხრები აიჩეჩა.

– ჯერ გაკვეთილის სათაური თქვი და დანარჩენი თუ რამე იცი, მერე მიაყოლე, – ვიღაცამ მოსთხოვა.

– ატომის, ატომის, – ჰამლეტმა ენის ბორძიკით დაიწყო.

– რა ატომის აიტეხე, სითხეში ჩაძირულ სხეულზეა ლაპარაკი, – სერიოზულად თქვა ნელიმ.

„რა კარგია, ეს ხომ გავიგე“, – გაიფიქრა ჰამლეტმა და მაშინვე დაიწყო: – სითხეში ჩაძირული სხეული, – დამთავრება აღარ აცალეს, კლასში ხარხარი ატყდა; ახლა მასწავლებელიც იღიმებოდა, ოღონდ მწარედ.

– ეგ არ გინდა, ჰამლეტ, შენ ის მოყევი, მამაშენმა ნადირობის დროს სხვისი მოკლული ტახი რომ მიითვისა, – ერთმა დაიძახა.

– მიითვისა კი არა, დაიბრალა-თქო, – გაუსწორეს.

– მაგისმა მამამ რა მიითვის-მოითვისა რა თქვენი საქმეა, დააცალეთ სიტყვის ბოლომდე თქმა, თორემ სხეულის მაგიერ თვითონ ჩაიძირება.

– ეგ არ ჩაიძირება, მსუბუქია, მოიტივტივებს, – დამაჯერებლად ამბობდა ფეხზე მდგარი აყლაყუდა ბიჭი.

კლასი გულიანად ხარხარებდა.

– ჰამლეტ, შენ ეგა თქვი, ჩანთაში რომელი კლასის წიგნები გიწყვია!

– რა თქმა უნდა პირველისა!

– მაგის მამას იგრე გაუჭირდა, წიგნები ვერ უშოვნა?

– მამას კი არა, მაგის თავს გაუჭირდა; ხუმრობაა ერთდროულად ამდენი წიგნების სწავლა?!

– ბევრი რად უნდა, მეოთხედში ერთ გაკვეთილს ვერ ისწავლის?

– თითს არ აქნევს და ყველაზე მაღალი ნიშნები აქვს, მაგან რომ ყველა თითი გააქნიოს, წარმოგიდგენიათ რა მოხდებოდა?

– ის მოხდებოდა, რომ დაფასთან ეგრე ყეყეჩივით აღარ იდგებოდა, – მოსწავლეები ყოველივე ამას სიცილით იძახოდნენ.

როგორც არ იყო, მასწავლებელი გამოფხიზლდა.

– დაჯექი! – ჩანაჩამოვარდნილ ჰამლეტს მკაცრად უთხრა.

ისაც თავის მერხისკენ გადაბრუნებული ურმიდან გამომძვრალი კამეჩივით გაძუნძულდა. დაჯდა და მისამართის მიუცემლად დაიმუქრა: – დამაცადეთ, მე თქვენ გიჩვენებთ სეირს!

– რას გვიზამ, ფიზიკის სწავლას აგვიკრძალავ?

– არა, თვითონ დაიწყებს სწავლას.

– არა მგონია, ვირს რქები ამოუვიდეს, – ისევ ახარხარდნენ.

– გეყოთ მაიმუნობა! – იყვირა მასწავლებელმა, – სუყველას გიწერთ ორიანს!

– ჰამლეტასაც? – შეეკითხნენ.

მოსწავლეთა მოთმინების ვულკანმა ფიზიკის გაკვეთილზე ამოხეთქა, თორე აქამდე ყველა ეგუებოდა ჰამლეტის ფრიადოსანი მოსწავლის მითს. ასე თავს იტყუებდნენ მასწავლებლები მოსწავლეთა წინაშე. მოსწავლეებმა კი ისიც იცოდნენ, რაც ჰამლეტის მშობლებს შვილის წარმატებისათვის შრომა და ჯაფა ჰქონდათ ყველა მასწავლებელთან დაბანდებული.

მოსწავლეები ამ ამბავს შეგუებულები იყვნენ და ჰამლეტს დროდადრო რეპლიკებით შეხმიანების გარდა არაფრით არ აწუხებდნენ. ჰამლეტს კი თავი უნაყოფო თავთავივით სულ მაღლა ეჭირა და ამ „ბრბოს" არაფრად აგდებდა, პირიქით, ხშირად დამცირების სიტყვებით ესხმოდა თავს, ვისზეც მოისურვებდა.

იმ სამახსოვრო ფიზიკის გაკვეთილის შემდეგ ნელის დაემუქრა – სამაგიეროს გადაგიხდიო.

– რით გადამიხდი, ჰამლეტ, ჯინსის კაბას აღარ მაჩუქებ, თუ ჩემს ქორწილში თამადად აღარ დადგები? – სიცილით უთხრა ნელიმ.

– თამადად რა მინდა, როცა ნეფის ადგილს ვერავინ შემეცილება! – თავხედურად უპასუხა ჰამლეტმა.

ნელი ამას არ მოელოდა და უცებ დაიბნა.

ჰამლეტმა კი მხარზე ხელი გადასდო და ამაყად თქვა:

– შემომხედეთ, როგორი სასიძო ვიქნები!

ნელიმ ხელი ჰკრა და უყვირა: – სადაც შენი ცარიელი თავი არ მიემატებათ, შე უტვინო! არც რომ ზრდილობა გაქვს და არც სინდისი, როდემდის გაგყვება მამაშენის სქელი ჯიბე; ბოლოს მათხოვრად ჩავარდები!

– ბევრი, ბევრი თქვენს დონეზე დავდგე, ბედმა თუ ძალიან მიმტყუნა, სხვა რაღა იქნება, – ღვარძლიანად დაასკვნა ჰამლეტმა.

– ეგ კი არა, დიდი წრთვნა დაგჭირდება, ვთქვათ, გაბოს დონემდე რომ ამაღლდე, მაგრამ შენ მაგას ვერ ეღირსები, ისე ხარ დამახინჯებული, სამარეც ვერ გაგასწორებს! – განაწყენებულმა ნელიმ პასუხი არ გაუგვინა.

– იცოდე, დრო მოვა და მაგ სიტყვებს შეგახსენებ! – ჰამლეტი დაემუქრა.

– მაინც როდის აპირებ შეხსენებას? – ნელიმ გამომწვევად ჰკითხა.

– ცოლობას რომ შემეხვეწები, მაშინ!

– ვაი შენს პატრონს, შე უდღეურო! – ნელი ატირდა.

მშობლების და ცხოვრების ნებიერ ჰამლეტს ეგონა, რომ ის რაღაც განსაკუთრებული მომავლისთვის არსებობდა, რომელსაც მისი თანატოლები ვერც შესწვდებოდნენ და არც იყვნენ მისი ღირსი. მახინჯი აღზრდით გამოწვეული ყოყოჩობა მასში ყოველივე ადამიანურს ამცრობდა, რაშიც პირველ რიგში მისი მშობლები სცოდავდნენ, რადგან ფუქსავატი, ფუყე სიამაყის შხამს სწორედ ისინი ასმევდნენ დიდი დოზით.

თანაკლასელებს ჩალადაც არ უღირდათ ჰამლეტის ფაფხური. ხშირად ჩაუყენებიათ სასაცილო მდგომარეობაში, მაგრამ ეს ჰამლეტისათვის არაფერს ნიშნავდა, ის ხომ ყველა დანარჩენებზე მაღლა იდგა თავისი განსაკუთრებული მომავლით; თანაკლასელები კი მხოლოდ დროებით უფუჭებდნენ განწყობილებას.

ბაქიობაში ბადალი არ ჰყავდა, ჭიდაობის დროს ცურვის საკითხებზე ლაპარაკობდა და ამ საქმეში თავის უბადლო მიღწევებსაც არ დაივიწყებდა. როცა

ალაზანზე საბანაოდ წავიდნენ, ნაპირიდან ფეხი არ მოუცვლია და სულ იმას ჩიოდა, რატო ბუცები არ წამოვიღე, გაჩვენებდით როგორი ფეხბურთელი ვარო. თუმცა ფეხბურთის დროს ნადირობაზე ტრაბახს უნდებოდა. მოკლედ, სადაც ენა მიუწვდებოდა და საქმით შორს იყო, ყველა სახის სპორტში და საქმის ცოდნაში უბადლოდ მოჰქონდა თავი. დარწმუნებულიც იყო, რომ ყველაზე მეტი შეეძლო, ამიტომაც ყველას ზევიდან უყურებდა. არც ერთ სპორტულ შეჯიბრში არ მონაწილეობდა, გულის კუნჭულში ყოველთვის ულვივოდა ეჭვი და შიში, ვაი თუ მაჯობონ და ჩემი ამხელა შესაძლებლობები საეჭვო გახდესო. ფიზკულტურის გაკვეთილზე ან ფეხს, ან თავს აიტკვიებდა, სკამზე დაჯდებოდა და თუ ვინმეს ჩაიგდებდა ხელში, მოუყვებოდა, სპორტის ყველა სახეობაში როგორი ძლიერი იყო.

ერთხელ ორი გაკვეთილი ერთდროულად გაუცდათ და გადაწყვიტეს, კალათბურთი ეთამაშათ. ერთი გუნდის უფროსობა გაბომ იკისრა და არჩევანი თქვა, არადანში ახმახი შალვა ჩაუდგა. გაბომ პირველი გელა აირჩია, შალვამ – ჰამლეტი, თან დააყოლა, ჩვენ ორნიც გეყოფითო. გოგოებმაც მოისურვეს თამაში და გაბომაც პირველი ნელი აირჩია. ისე დაკომპლექტდნენ, რომ გუნდში სამი ბიჭი და სამი გოგო იყო. ჰამლეტი მათ შორის ისეთი გაფხორილი დადიოდა, როგორც ქათმებში ინდაური.

თამაში დაიწყეს. ახმახმა შალვამ პირველი ბურთი ჰამლეტს გადაუგდო თან წამოიძახა:

– ორი ქულა უკვე გვაქვს, აბა მოდით და წაართვით! – შალვას სიტყვა არ დაემთავრებინა, რომ ნელიმ ბურთი გამოსტაცა და მოწინააღმდეგის ფარისკენ შველივით გაიჭრა.

იმედგაცრუებული შალვა წინ გადაუდგა და თავისი გრძელი ხელები დააფარა. ნელის გაუჭირდა, ვერაფრით ვერ გაუსხლტა. მალე ახმახმა ბურთიც წაართვა და მოწინააღმდეგის ფარისკენ თვითონ გაიქცა; ყველანი მოედნის მეორე ნახევარზე გადავიდნენ, მხოლოდ ნელი დარჩა ადგილზე გადატანილი ბრძოლის შემდეგ სულის მოსათქმელად.

შალვა მოწინააღმდეგის ფარს მიუახლოვდა, წინ გელა აეტუზა და დამიზნების საშუალება არ მისცა. ფარს აცდენილი ბურთი გაბომ დაიჭირა, მოწინააღმდეგის მოედანზე მარტოდ დარჩენილ ნელის გადაუგდო და მიაძახა:

– შენ იცი, ნელი, პირველი ბურთის ჩაგდების პრიზი არავის დაუთმო!

სანამ დანარჩენები მოგროვდებოდნენ, ნელიმ მეორე ტყორცნით ბურთი კალათში მოათავსა.

– ვაშა! ყოჩაღ, ნელი! – ორივე გუნდის წევრებმა დაიძახეს შალვას და ჰამლეტის გარდა.

– ახლა ჩვენც გვიყურეთ! – დაიძახა ახმახმა შალვამ და ბურთი ჰამლეტს გადაუგდო. მან კი ბურთის ხელში დაჭერა ძლივს მოასწრო, რომ ნელი წამოეპარა და გამოსტაცა, რამდენიმე ნახტომით ფარის ქვეშ შევიდა და ბურთი კალათში მეორედ მოათავსა.

ახლა უკვე ყველა ახარხარდა.

– ჩვენც გვათამაშე, ნელი, ეგრე გავცივდებით! – სიცილით იძახოდნენ.

სიცილმა იმატა.

ამჯერად ახმახმა ბურთი სხვა მოთამაშეს გადაუგდო და ჰამლეტის დახმარების გარეშე შეუტიეს მოწინააღმდეგეს.

– შენ იმათ მოედანზე დარჩი, დაცვაში არავის ტოვებენ, – გაბომ ნელის უჩურჩულა.

ნელიმ უკან დაიწია.

ჰამლეტს გაბომ წაართვა ბურთი და მაშინვე ნელის გადაუგდო.

– ექვსით ნული! – დაიძახა თვითმარქვია მსაჯმა.

ნელიმ ანგარიში ათით ორამდე რომ გაზარდა, მაშინ გაახსენდათ დაცვის აუცილებლობა. ამ პერიოდისათვის ჰამლეტის უნიათობა უკვე საბოლოოდ დადგინდა და ყველა ცდილობდა, მისთვის ბურთი აღარ მიეწოდებინა, რადგან შემდეგში მოწინააღმდეგის ხელში აღმოჩნდებოდა.

– შენ დაცვაში გადადი და ნელი ჩაკეტე! – დაავალა წარუმატებლობით სახეალეწილმა ახმახმა.

ახლა მოწინააღმდეგის მოედანზე ნელის ჰამლეტი ახლდა თან.

გაბომ ბურთი ხელში ჩაიგდო. ნელი ადგილს მოსწყდა და ფარისკენ გაიქცა. გაბოს გადაგდებული ბურთი ნელის გზაზე დახვდა, მანაც, სანამ ჰამლეტი წამოეწეოდა, ბურთი კალათში მოათავსა; ჰამლეტს ბურთის თამაშში შეყვანაღა დარჩა.

– რა სპილოსავით დააბოტებ, გოგო ვერ უნდა ჩაკეტო?! – ახმახმა შეუბღვირა.

ჰამლეტმა ვერაფერი უპასუხა, ახლა ბურთს კი არა, ნელის დასდევდა.

– გაგეპარა, ჰამლეტ, გაგეპარა! – მაყურებლად დარჩენილი მოსწავლეები დაცინვით აფრთხილებდნენ.

ნელიმ კიდევ ორჯერ მოათავსა ბურთი კალათში; ახმახი ცოფს ყრიდა.

– რა ჭირი გეცა, ბულკებს ზოგჯერ ქერის პურიც დააყოლე, მუხლებში ძალა მოგივა, ეგრე ჩრდილში გაზრდილი ჩითილივით არაფერში არ ვარგიხარ; ნელის თუ კიდევ ჩააგდებინებ, გაგაგდებ! სამარცხვინოდ ვაგებთ! – გააფრთხილა უამისოდაც თავგზააბნეული ჰამლეტი.

ახლა იგი ნელის ხელებგაშლილი დასდევდა.

– ჰამლეტ, დაჭერობანას თამაშობ? – მაყურებლებმა დაუძახეს.

– ბატებო, ბატებო!

– რა არის, რა? – უპასუხეს.

– ნელი მოდის, მგელი მოდის, ჰამლეტას ბურთი უნდა ჩაუგდოს.

– შეაგდეთ ეგ ბატი საბატეში, თორემ ნელიმ გაპუტა!

კალათბურთის თამაში სასაცილო წარმოდგენად იქცა.

ჰამლეტმა ვერ მოიფიქრა, რომ ნელისთვის თავი დაენებებინა, ხელებგაშლილი დასდევდა. ნელი კი ბურთიანად ისე უსხლტებოდა, სანამ გონზე მოვიდოდა და გაეკიდებოდა, ბურთი კალათში იყო.

– ჰამლეტ, პეპლების საჭერი არ გინდა? – დაუძახეს.

– მაგას ცურვა უფრო ეხერხება, როცა სძინავს!– ხარხარმა იმატა.

ვერაფერი რომ ვერ გააწყო, ნელის აშკარად იჭერდა.

– ნელი, არ გააბრაზო, თორე თავის მამასთან დაგასმენს და ბურთაობას აგიკრძალავს! – სიცილით გააფრთხილეს.

– გეყოფა, ნელი, – ჩუმად უთხრა გაბომ. – ახლა უკან დარჩი, ცოტა შეისვენე, ჰამლეტასაც აღარ აუყვირდებიან.

ნელიმ თავისი გუნდის ფართან გადაინაცვლა. ჰამლეტმა არც აქ გაანება თავი, ხელებგაშლილი გვერდში ამოუდგა.

– მე რას მდარაჯობ, ვერა ხედავ, ბურთი სად არის?! – ღიმილით უსაყვედურა ნელიმ.

– მე შენი ჩაკეტვა მაქვს დავალებული.

– მამაშენის სახლსაც თუ ეგრე კეტავ, კარგად გქონიათ საქმე, – ნელიმ გადაიხარხარა.

ტაიმი დამთავრდა.

ჰამლეტმა შვებით ამოიქშინა. მეორე ტაიმში ახმახმა გუნდიდან გააძევა, თუმცა აღარც თვითონ ჰქონდა სურვილი; ერთადერთი შეცდომა ძალიან სასაცილოდ შერჩა მის ყოყლოჩინობას. რა სჯობდა, მაყურებელთა შორის მჯდარიყო და სხვა მოთამაშეების საქციელი თვითონ შეეფასებინა, საჭიროების შემთხვევაში გამოჩენილი კალათბურთელების სახელებიც მოეშველებინა. მორჩა, ჰამლეტს მსგავსი შეცდომა აღარ მოუვა, მაგრამ რაღა დროს, როცა ნიღაბი აეხადა. თანაკლასელებმა კი იცოდნენ, რა მოუქნელი იყო, მაგრამ თუ ამ დონეზე თოხლო იყო, ვერ წარმოედგინათ.

ჰამლეტს გაბო ადრეც არ ეხატა გულზე. ახმახმა რომ უთხრა, სულ მაგის ბრალია, ნელი რომ დატოვა ჩვენს მოედანზეო, ცეცხლზე დასხმული ნავთივით აპილპილდა, მაგას ვაჩვენებ სეირსო, დაიმუქრა; იმაზეც იბოღმებოდა, რომ გაბოს ნამდვილ ხუთოსანს ეძახოდნენ, ჰამლეტს კი მამიკოსას.

ერთხელ, შესვენების დროს, ბიჭებში ჩამდგარი ჰამლეტი ვეშაპებზე ყვებოდა, თანაც რომელიღაც მოგზაურის თავგადასავალს იმოწმებდა. – ყოფილა შემთხვევა, რომ ნამდვილ ვეშაპს გემი მთელი თავისი ეკიპაჟით გადაუყლაპია. ადრინდელ ხის გემებს მისი კუჭი ერთ საათში ქაშად აქცევდა ხოლმე. იმიტომ იყო, რომ გემები სულ ნაპირ-ნაპირ დაცურავდნენ.

– კოლუმბის კარაველაც ხომ ხისა იყო, ნუთუ იმხელა გზაზე ერთი ვეშაპი არ შეხვდა კუჭში ქაშად რომ ქცეულიყო? – შენიშნა გელამ.

– კარაველაზე ბრინჯაოს ზარბაზნები იდგა და ქაშს გემოს გაუფუჭებდა; მაშინ განა ისეთი უტვინო ვეშაპები იყვნენ, ახლა რომ არიან, – განმარტა გაბომ.

– შენ იქნება არც ის გჯერა, ვეშაპს გემის გადაყლაპვა რომ შეუძლია? – გელამ ვითომ გაიკვირა.

– ახლანდელ ნამდვილ ვეშაპს პლანგტონების გარდა არაფრის გადაყლაპვა არ შეუძლია, საყლაპავთან სპეციალური ულვაშები მხოლოდ პლანგტონებს ატარებს. სულ სხვა არის კაშალოტი, ის რვაფეხაზე ნადირობს.

– შენ იქნებ არც ის გჯერა, რომ თევზმა-ხერხმა ამერიკული წყალქვეშა ნავი მორივით გადახერხა, – შუბლშეკვრით თქვა ჰამლეტმა. – მე წავიკითხე „ვოკრუგ სვეტაში“. იცი, რომ არსებობს ასეთი ჟურნალი? ჩვენ სახლში ყოველთვის მოგვდის.

– შენ სახლში რა მოგდის, სულაც არ მაინტერესებს, ის გვითხარ, რომელ ნომერში წაიკითხე? – არ მოეშვა გაბო.

– სწორედ წინა თვის ნომერში იყო.

– სკოლის ბიბლიოთეკაში არის ეგ ნომერი, გვაჩვენე, სად ამოიკითხე, – გაბომ ყველა ბიბლიოთეკაში მიიპატიჟა.

– მაგას სკოლას ვინ მისცემდა, მამაჩემმა სპეციალურად მოსკოვიდან გამოიწერა.

– მამაშენმა თუ გამოიწერა, სკოლის ბიბლიოთეკა რატომ ვერ შეძლებდა ამას?! – გაუკვირდა გელას.

– იმიტომ, რომ მამაჩემი დიდი კაცია და ყველაფერი შეუძლია.

– მამაშენს ყველაფერი შეუძლია, ბიბლიოთეკას კი – ჟურნალების გამოწერა.

– სადავო რაა, აგერ აქ არის ბიბლითეკა და ვნახოთ, – გაბომ ბიბლიოთეკისაკენ გაიწია.

– რა ვიცი, სწორად არ მახსოვს, რომელ ნომერში იყო, ისე კი ნამდვილად

წავიკითხე, – ჟურნალის სიახლოვით დამფრთხალმა ჰამლეტმა უკან დაიხია.

– იქნებ არც გემებს ყლაპავს ის შენი ვეშაპი? – შეკითხვა შეაპარა გელამ.

– მე დიდ გემებზე კი არა ვთქვი... აი, ასეთი, პატარა, – ჰამლეტმა ორივე ხელის უხერხული მოძრაობით სცადა პატარა გემზე წარმოდგენა შეექმნა.

– მაინც რამხელაა პატარა გემი, ასი კაცი რომ იჯდება შიგ? – დანარჩენები არ მოეშვნენ.

– ჰო, შეიძლება ასამდე კაცი ყოფილიყო, – ჰამლეტი დაეთანხმა.

– ასი როგორ იქნებოდა, – გაიკვირეს დანარჩენებმა, – მაშინ დიდი ყოფილა.

– ასი, არა, ორმოცდაათამდე, – ჰამლეტმა ეკიპაჟი გაანახევრა.

– ორმოცდაათიც ბევრია, – ახლა სხვა ჩაერია.

– შეიძლება ოცამდე ყოფილიყო, – კიდევ დაუკლო ხარისხი თავის მონათხრობს.

– არც ოცი იქნებოდა.

– ხომ არის ნავი ათი კაცი რომ მართავს, შეიძლება ისეთი ნავი ყოფილიყო, – ჰამლეტი გემიდან ნავზე გადაჯდა.

– რატომ არა, ერთკაციანი ნავიც ხომ არის, ის იქნებოდა ნამდვილად, – შეუსწორეს.

– შეიძლება, როგორ არ შეიძლება, – დაეთანხმათ.

– ისიც ხომ შეიძლება, ნავში კაცი არ მჯდარიყო, ვეშაპი დატაკებოდა, დაემსხვრია და იმ შენს ცნობილ მოგზაურს ჰგონებოდა, ვეშაპმა კაცი გადაყლაპაო.

– შეიძლება, როგორ არ შეიძლება, – დაეთანხმათ.

– ვეშაპი კი ამ დროს პლანგტონებს ყლაპავდა ადამიანების ნაცვლად, არა?

– ალბათ, ეგრე იყო.

– ძალიან დაბნეული ყოფილა ის შენი მოგზაური.

– გემი ნავად იქცა, ასი კაციდან ერთიც აღარ დარჩა, ვეშაპმა ნავი დაამსხვრია და პლანგტონი გადაყლაპა, რა არის ეს? – იკითხა გაბომ.

– ჰამლეტის მიერ ჩალანდებული ტყუილი, – კოლექტიური პასუხი მიიღო.

– შენ რა უნდა გაიგო, მბეჭდავის შვილი ხარ, მამაჩემს მაგნაირები რამდენიც გინდა, იმდენი ჰყავს, – ჰამლეტმა მამის თანამდებობა მოიშველია.

– მამაშენს რამდენი მბეჭდავიც არ უნდა ჰყავდეს, რას უშველის იმ ბარტყებს, შენ რომ გყავს და წყვილ-წყვილად აფრენ, – უპასუხა გაბომ.

– დადექ, თორემ მამაჩემი დედაშენს სადაც ადგილია იქ მიაბრძანებს, ვიღაცეებს  ლევად რომ უბეჭდავს იმაზე, – ჰამლეტმა მუქარა მოიშველია.

– მამაშენი მარტო შენი დამახინჯებისთვის არის მისაბრძანებელი სადაც ადგილია; უმამაშენოდ კარგი ბიჭი იქნებოდი, – დედის ასე უდიერად ხსენების გამო გამწარდა.

– ვისზე თქვი ეგ სიტყვები, იცი, რომ პროკურორს მიაყენე შეურაცხყოფა?! – გაწიწმატდა ჰამლეტი.

– პროკურორს კი არა, შენს მტერს, – გაბომ შეუსწორა.

– ვინ არის, ბიჭო, ჩემი მტერი?!

– მამაშენი. უმაგისოდ შენგან შეიძლება ადამიანი გამოსულიყო.

– არც დედა აკლებს, – სიტყვა წაახმარა გელამ.

– დედას გიტირებ, სანამ მამაჩემი მოგივლის, ჩანებს მიგამტვრევ! – მუშტებშემართული ჰამლეტი გაბოს ეცა. ამ მეთოდით რამდენიმე ბიჭი გალახა, რადგან მისი მამის შიშით ხელი არ შეუბრუნეს. სწორედ ამის იმედი ჰქონდა. იცოდა, რომ ჩხუბში დამნაშავე აუცილებლად სხვა იქნებოდა.

– ჩანების მიმტვრევა რა საჭიროა, ჩვენ მშვიდობიანად ვკამათრობთ, – გაბო ჩხუბს მოერიდა.

ჰამლეტმა ეს შეშინებად ჩათვალა და გაბოს სახეში მთელი ძალით შემოჰკრა. თავის დაცვა არც უცდია, რადგან იმედი ჰქონდა, რომ ხელის შებრუნებას ვერავინ გაუბედავდა. მწარედ შეცდა, გაბომ ისე მძლავრად დააჯახა მუშტი, ნახერხით სავსე ტომარასავით გააგორა. სწრაფად წამოხტა და შარვლის ფერთხვა დაიწყო. საოცრად დაიბნა, ეს რა მოხდა, პროკურორ ყარამანის ბიჭს ეს როგორ გაუბედეს! გაბომ ერთი არ აკმარა, მეორე დარტყმით ისევ პირვანდელ მდგომარეობაში დააბრუნა. ძლივს ადგა, კიდევ დამარტყამს, – გაიფიქრა. გაბო მართლა გაუქანდა, ბიჭებმა დაჭერა სცადეს, მაგრამ გაეშვათ.

– გამიშვით, მაგას სულ გამოვუბერტყავ, რაც თავში ყოყლოჩინობა აქვს; იქნებ ამან უშველოს! – ის იყო უნდა სცემოდა, რომ ჰამლეტმა ზურგი აჩვენა და მთელი შესაძლებლობით გაიქცა.

– ვაი, დედააა! – აყვირდა და მგლისგან დამფრთხალი ცხვარივით სამასწავლებლოში შევარდა. – მიშველეთ, მასწავლებლებო, მკლავს, მიშველეთ! – ისტერიკაში ჩავარდა.

გაბომ კი სამასწავლებლოს ბედურადაკარგული მიმინოსავით ჩაუქროლა და კლასში შევიდა.

ჰამლეტმა გული ორჯერ გაიპარა.

სკოლაში განგაში ატყდა. დირექტორი კოტე თულაშვილი დაბნეული დარბოდა.

– სასწრაფო დახმარებას გამოვუძახოთ, – ერთმა მასწავლებელმა წინადადება წამოაყენა.

– სასწრაფო რად უნდა, შიშის მთქნარება აქვს, უფრო სწორედ გადამეტებული ნებივრობით მოსდის, – დინჯად უპასუხა ფიზკულტურის მასწავლებელმა ზაქრომ, რომელიც ამ გაწამაწიის დროს ადგილიდან არ დაძრულა, მაგიდასთან იდგა და რომელიღაც სპორტულ ჟურნალს კითხულობდა. ხშირად იტყოდახოლმე: არ ვიცი თქვენთან როგორ, ხუთოსანია, ჩემთან თითის გატოკება არ უნდაო. ბოლოს დირექტორის და სხვა მასწავლებლების გაუთავებელი თხოვნით იძულებული ხდებოდა, ხუთიანი დაეწერა. რას იზამდა, ისიც ხომ ადამიანი იყო, ალბათ მასაც ექნებოდა რაიმე სათხოვარი. თუმცა მაინც დაასკვნიდა-ხოლმე: ეგ ბიჭი ძარღვს ვერ გაიკეთებს, მჭადის პურივით დუნე დარჩებაო. – რა ზედ გადაყევით, მაგ ასაკში ახალგაზრდები სულ ძიძგილაობენ, სამასწავლებლოში რომელი მოვარდა. წავიდეს, წაივარჯიშოს და ახლა ეგ მოუგებს; ჩხუბში მარჯვენა იმარჯვებს და არა მამის თანამდებობა, – დაასკვნა.

– გაჩუმდი, მაგის მამამ რომ გაიგოს, ხომ იცი, რა მოხდება! – გაუწყრა კოტე.

– ის მოხდება, რომ წაიყვანს თავის ჩასველებულ შვილს და საცვლებს გამოუცვლის, – აუხსნა ზაქრომ.

– შენი ეს საუბარი რომ გაიგოს, ყარამან ვასილიჩი ცუდი თვალით შემოგხედავს და ვინ იცის, რით დამთავრდეს, – გააფრთხილეს.

– ნუ გეშინიათ, გაუგებარი არ დარჩება, აქ საკმაოდ არიან ყარამანთან დამსახურების მსურველები. არც გული გამისკდება, თუ გაიგო. ცუდი რა ვთქვი, თავის შვილს დათვურ სამსახურს რომ უწევს? ყარამანა სულ გვერდით არ ეყოლება, ცოტა თავისი მკლავის იმედიც უნდა ჰქონდეს.

– იცით, ამხანაგებო, ჰამლეტისთვის ვის უცემნია? – სამასწავლებლოში ენა-

ჭარტალა სამნეო ნაწილის გამგე შევიდა.

– ვინ იყო, ის ხულიგანი?! – რამდენიმემ ერთდროულად წამოიძახა.

– სკოლიდან გავრიცხავ! – დირექტორი აყვირდა.

– გაბო ცისკარიშვილს მიუბეგვია, ოღონდ პირველი ამას გაურტყამს.

– ის ბიჭი უმიზეზოდ არ გაარტყამდა, შეურაცხყოფას კი არავის არ აპატიებს, თუგინდ ის პროკურორ ყარამანას ბიჭი იყოს, – ზაქრომ ჩაილაპარაკა.

გაბოს სახელის გაგონება დირექტორს არ ესიამოვნა, ყარამანის ბიჭთან ხომ ყველა დამნაშავედ გამოცხადდებოდა; არადა, გაბო სამაგალითო მოსწავლე იყო.

– მომიყვანეთ, მაგას ვუჩვენებ სეირს! – ნაძალადევი ბრაზით თქვა და კაბინეტში შევიდა.

მალე თავჩაღუნული გაბო დირექტორის წინ იდგა.

– რატომ სცემე ჰამლეტს?! – ისე უყვირა, რომ სამასწავლებლოში გაეგოთ მისი ხმა. – ხომ არა ფიქრობ, გაპატიო, რადგან კარგი მოსწავლე ხარ. ისე გაგრიცხავ, ვეღარცერთი სკოლა ვერ მიგიღებს!

გაბო ბოდიშის მოხდას აპირებდა, მაგრამ დირექტორის ამგვარმა აგრესიულობამ სულ სხვა ათქმევინა: – არც გარიცხვისა და არც მუქარისა არ მეშინია, ყარამანის კი არა ტიგლატფალასარის შვილიც რომ იყოს, სხვის დაჩაგვრას არ ვაპატიებ. ჩვენ ყველა ერთნი ვართ, პროკურორის შვილია თუ მბეჭდავის; თავზე ხელის გადასმამ მაგ ტიპს ადამიანობა მოუსპო.

დირექტორის კაბინეტიდან სამასწავლებლოში ჩვეულებრივი საუბარიც კი სიმოდა, მით უმეტეს კარები შეხსნილი დარჩენილიყო.

– შენ რაებს ბოდავ, თუ იცი?! – დირექტორი აყვირდა.

– ჯერ ის იკითხეთ, პირველმა რატომ გამარტყა! – შეედავა გაბო.

– ხულიგნობ? ხვალიდანვე გაგრიცხავ სკოლიდან!

– დღეს ვინ გიდგათ წინ, რომ დააგვიანოთ, ყარამანს არ ეწყინოს! – გაბო დათმობას არ აპირებდა.

– წადი! მშობელი მოიყვა, გარიცხული ხარ! – დირექტორი ისევ აყვირდა.

– თუ გარიცხული ვარ, მშობელი რაღა საჭიროა, – თქვა და დირექტორის კაბინეტიდან გავიდა.

დამშვიდებული და გაბოს გარიცხვით ნასიამოვნები ჰამლეტი სკამზე იჯდა და რამდენიმე მასწავლებლით გარშემორტყმულ გაბოს დამცინავი ღიმილით მიაცილებდა.

გაბო მას რომ გაუსწორდა, შეჩერდა.

– სულ აქ არ იჯდები, გარეთ გამოხვალ, ყარამანა კი არა, ბაყბაყდევი ვერ გიშველის, ისე მიგამტვრევ ჩანებს! – უთხრა და სამასწავლებლოდან გავიდა.

– ნუთუ ეს გაბო იყო, რამ გადარია ეს ბიჭი?! – მასწავლებლებს გაუკვირდათ.

– ეგრეა, განუკითხავი მოპყრობა ცხვარსაც გააგიჟებს. გაბო კი ცხვარი არასდროს ყოფილა, წესიერი და დამჯერი მოსწავლეა; რატომ უნდა დაიჩაგროს! გავარკვიოთ, რა დააშავა და იმის მიხედვით მოვთხოვოთ ორივეს. გაბო რომ გარიცხოთ, ვისღა ტოვებთ, ჰამლეტას? რა გვეშველება, ჩვენ უნდა გვანდონ მომავალი?! – ზაქრომ ჟურნალი მაგიდაზე დააგდო და გარეთ გავიდა.

დირექტორი კაბინეტში იჯდა და ფიქრობდა: „რამ გადარია ეს ბიჭი, ჯერ არ მახსოვს მისგან წესრიგის დარღვევა, რა ბზიკმა უკბინა?!“ გაბო კი მორჩილი მაშინ იყო, როცა სამართლიანად ექცეოდნენ, რამდენად თავაზიანი იყო, სხვისგანაც თავის მიმართ ამას მოითხოვდა.

კლასში თავჩაღუნული შევიდა, მერხთან ჩამოჯდა და ჩანთაში წიგნების ჩალაგება დაიწყო.

– რა გითხრა დირექტორმა? – გელამ ცნობისმოყვარეობა ვერ მოთოკა.

– გარიცხული ხარო, – გაბომ პასუხი ბაგეს ძლივს ამოაცილა.

ერთხანს ყველა დუმდა.

– რატომაო? – სიჩუმე ისევ გელამ დაარღვია.

გაბოს ხმა არ ამოუღია.

– ის ნებიერა სადღა ყავთ? – ერთმა მოსწავლემ იკითხა.

– სამასწავლებლოში ზის და მასწავლებლები მარაოთი უნიავებენ, – ნელიმ უპასუხა.

– გაგრიცხოს რა ლილახნობაა. ერთი ჩვენცა გვკითხონ, ვისი ბრალი იყო, – ახმახმა შალვამ ხმა აიმაღლა.

– ალბათ შესაშინებლად უთხრეს, – მოსწავლეები ახმაურებენ.

– ყარამანისა იგრე ეშინია ჩვენს დირექტორს, შეიძლება კიდევაც გარიცხოს, – დაასკვნა გელამ.

გაბომ ჩანთა აიღო და ადგა.

– რას აპირებ? – ჰკითხა ნელიმ.

– სახლში წავალ და ამ სკოლაში აღარ დავბრუნდები, – გაბო კარისკენ გაემართა.

– ორი გაკვეთილიღა დარჩა, ჩვენც წავიდეთ, – გელამ წინადადება წამოაყენა.

– სწორია, „შატალო“ დავურტყათ.

– ჩაიბარონ ჰამლეტა და ცარიელი კლასი, – ახმაურდნენ.

– ჩუმად უნდა გავიპაროთ, თუ გაგვიგეს, ჩანაფიქრს ჩაგვიშლიან, – ნელიმ ამხანაგები გააფრთხილა...

დირექტორი ისევ თავის არეულ ფიქრებში იყო გაბლანდული, სამნეო ნაწილის გამგე შევიდა მასთან და თითქმის ჩურჩულით მოახსენა: – ყარამან ვასილიჩი მოვიდა.

– სად არის? – კოტე სკამიდან წამოფრინდა.

– მანქანა ქუჩაში გააჩერა, თვითონ ჯერ სკოლის ეზოს ათვალიერებს.

დირექტორი ყარამანს რამდენიმე მასწავლებლის თანხლებით პირველი სართულის კიბეებთან შეეგება, „ეტყობა უკვე გააგებინეს“, – გაიფიქრა – „მოხალისეები საკმარისად არიან“.

– როგორ მოხდა, რომ გაგვიხსენეთ, ყარამან ვასილიჩ? – მოკრძალებული, პირმოთნე ღიმილით ჰკითხა.

– არის მომენტი, როცა ზოგიერთი ობიექტის გახსენება საჭირო ხდება! – ყარამანმა შუბლზე ნაოჭები დაკეცა.

– ჰო, რაღაც ინციდენტი მოხდა, ალბათ გაიგებდით, – კოტემ დამნაშავე ბავშვივით თითების გრეხა დაიწყო.

– საიდან გავიგებდი, როცა თვითონ დირექტორი არაფერს გვაგებინებს, განა ეს მოსათმენია?! – ყარამანმა ხმას აუწია: – ვიღაცა მბეჭდავის ბიჭმა ხულიგანმა და გაუზრდელმა, პატიოსანი ადამიანების შვილებს სკოლაში სწავლის საშუალება არ უნდა მისცეს! მითხარით, რას ჰგავს ეს?! – ყარამანი ახლა უკვე ყვიროდა: – იცი, რას გიზამ? პირადად შენ, დოყლაპია დირექტორო! მოხსნას არ გაკმარებ, პირდაპირ ვირის აბანოში გიკრამ თავს, შე, შე, შე!!! – ყარამანმა უცებ ვერ მოძებნა უფრო ეფექტური შესალანძღი სიტყვა, – ქარიხვეტიავ! სკოლის დირექტორობა კი არა, ბატების მწყემსობაც ზედმეტია შენთვის! მოიცა,

ბუმბულივით ნიავს გაგატან ისე, რომ შენგან სველი ადგილიც აღარ დარჩეს! შე, შე, შე, მაწაუკო! – ყარამანმა ცხვირზე საჩვენებელი თითი მიაჭირა და უბიძგა; კოტემ თავი უკან გადააქანა.

ყარამანს დირექტორის ამგვარ შეურაცხყოფისკენ მისმა ღრმა მოკრძალებულმა დახვედრამ და თავისმა ყოვლისშემძლეობის შეგნებამ, რომ განუკითხავად შეუძლია ადამიანებზე თავისი სურვილებით გაჯირითება, უბიძგეს. არადა, ადამიანებმა იცოდნენ კანონის შემრყვნელ მართლმსაჯულების მესაჭეს რამხელა უბედურების დანთხევა შეეძლო მოხვეჭის ველურ გრძნობაშეყრილ გამხეცებულ ბატონკაცთა ხელით. ყარამანმა კი ყველაზე უკეთ იცოდა გაუკუღმართებული ცხოვრების მიერ აღზევებული ძალადობის შესაძლებლობა და დამრბევის მახვილს დაუსჯელად იქნევდა. განსაკუთრებით მაშინ იყო რისხვის დანთხევის აზარტში, როდესაც წინააღმდეგობას არ ხვდებოდა და თუ დაწიხვლის ობიექტი მონურად იტანდა შეურაცხყოფის მათრახებს; თორე ყარამანიც ისეთივე მფრთხალი და ლაჩარი იყო, როგორც ყველა თანამდებობით ძალაშეძენილი მედროვე.

ყარამანის მიერ ასეთმა შეურაცხყოფამ კოტე გამოაფხიზლა, თავმოყვარეობის დადუნებული ძარღვი შეუტოკა და აღრინდელი ბრმა ქედმოდრეკა სადღაც გააქრო. მონური მორჩილებით თბილი სკამის შენარჩუნების დამამცირებელ გრძნობაზე ადამიანურმა სიამაყემ იმძლავრა, ფეხქვეშ მყარი ნიადაგი აგრძნობინა და ერთგული ძაღლის ფსიქოლოგია გააქრო.

– არც ასეა, როგორც თქვენ გგონიათ! ის ბავშვი სკოლაში ყველაზე მოწინავეა სწავლითაც და ყოფაქცევითაც! – ახლა ყარამანის წინ ადამიანი იდგა უსამართლო შეურაცხყოფამ თავმოყვარეობის ამაყი სითბო რომ აგრძობინა.

– მე ვიცოდი, ჰამლეტ ბენაშვილზე უკეთესი მოსწავლე თქვენს სკოლაში ახლა კი არა, წლების განმავლობაში არ ყოფილა; ახლა საიდან გაჩნდა ეგ თვითმარქვია?! იქნებ გინდათ, რომ ამით მისი ხულიგნური საქციელი დაფაროთ? ეს არ გამოგივათ! ზოგი რამ, რაც თქვენს სკოლაში ხდება, ჩვენ უკვე ვიცით და გაფრთხილებთ, ცუდ საქმეს არ გადაეყაროთ! – ყარამანმა კოტეს მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი დაუქნია, რომელიც ახლა უკვე საბოლოოდ განთავისუფლდა პირმოთნეობის უხერხულობისაგან.

– ის ბავშვი ნამდვილი ფრიადოსანია, თვითმარქვიები შეიძლება სხვები იყვნენ; ამაში მთელი პედკოლექტივის, განსაკუთრებით კი ჩემი დანაშაული მიუტევებელია! – კოტემ მასწავლებლების წინაშე ასეთ დამამცირებელ მოპყრობას თავისი უკვე მართალი პასუხი დაახვედრა.

– ოჰო, ძალიან დიდი გული გქონია! ვნახოთ, ვნახოთ! ყველაფერს ადგილზე შეგახსენებ!

– რას მემუქრები, შენი პატიმარი ხომ არ გგონივარ?! სკოლაში მოსულხარ და კეთილი ინებე, ადამიანებთან მოპყრობის ნორმები დაიცავი; შენს წინაშე სკოლის დირექტორი დგას და არა ჯიბის ქურდი! – გაბრაზებული კოტე მობრუნდა და მეორე სართულის კიბეებს ისე აუყვა, ყარამანისთვის ყურადღება აღარ მიუქცევია.

... მასწავლებლები უხერხულობაში ჩავარდნენ, ზოგი კოტეს გაყვა, რამდენიმე იქვე დარჩა.

– სად არის ჩემი ბიჭი?! – ერთ მასწავლებელს უთხრა კოტეს საქციელით ნირწამხდარმა, შუბლგამოკუთხულმა ყარამანმა.

– სამასწავლებლოშია, წამობრძანდით, გაჩვენებთ, – მასწავლებელმა ყარამანი კიბისკენ წაიყვანა, რომელზეც ახლახან კოტემ აიარა.

მამის დანახვაზე ჰამლეტმა ისტერიკები ისევ დაიმართა, სკამიდან წამოხტა და ყვირილით მიეკრო:

– მცემეს, მამიკო, მცემეს!

ყარამანმა დაწყნარება დაუწყო და იქვე მაგიდასთან სკამზე ჩამოჯდა.

– განა ეს საქმეა?! – მასწავლებლებს მიმართა: – ეს სკოლაა თუ ქუჩის მაწანწალათა თავყრილობა!

პასუხი არავის გაუცია. ამ ნათქვამმა მეტ-ნაკლებად ყველა შეურაცხყო.

ყარამანმა ხელები მაგიდაზე დააწყო და მრისხანედ ბრძანა:

– ის ხულიგანი აქ მომიყვანეთ, მე მას ვუჩვენებ, როგორია წესიერ მოსწავლეზე ხელის აღმართვა!

– პირველად ამან გაარტყა, იმანაც პასუხი ჩააბარა, – უპასუხა ჟურნალში თავჩარგულმა ზაქრომ.

– თუ გაარტყა, რაღა ხელს უბრუნებდა, წასულიყო და სადაც ადგილია ეჩივლა, – განუმარტა შუბლზე ნაოჭებდაკეცილმა ყარამანმა.

– ალბათ, იცოდა, რომ პროკურორის შვილთან ჩივილი არ გამოუვიდოდა და ეს მეთოდი უფრო ეფექტურად ჩათვალა, – ზაქრომ  პასუხი ჩააბარა.

– შენგან რა უნდა ისწავლონ, ალბათ, ჩხუბი და აყალმაყალი! – შეუღრინა ყარამანმა.

ზაქრომ ჟურნალი დადო და ყარამანს შეხედა, თან იმავე დინჯი ტონით დასძინა:

– ისეთი მოსწავლე, როგორიც ჰამლეტ ბენაშვილია, ხელს არ ატოკებს და იძულებულს მხდიან, ხუთები დავუწერო. იგი მართლაც ვერაფერს ისწავლის. გაბო ცისკარიშვილის მსგავსები კი მასწავლებელსაც და სკოლასაც ნამდვილად ასახელებენ.

– როგორ, ჩემს შვილს ნიშანს ტყუილად უწერთ?! – შეიცხადა ყარამანმა.

– მარტო მე კი არა, გამონაკლისის გარეშე, ყველა მასწავლებელი; თქვენი შვილი მოსწავლის ბუტაფორიაა! – ზაქრომ ეს თქვა და ისევ ჟურნალს მოჰკიდა ხელი.

– რაც თქვით, მაგაზე პასუხისმგებლობას კისრულობთ?

– ასი პროცენტით თუ მეტით არა...

– ამგვარ სიტუაციაში წესიერ მოსწავლეს ნამდვილად გაუჭირდება, როცა ხედავს, რომ თვითონ მასწავლებლები თვალთმაქცობენ! – ხელების გაშლით ბრძანა ყარამანმა.

– გეთანხმებით, სრული ჭეშმარიტებაა, ჩვენ ყველა თვალთმაქცები ვართ, როცა მოსწავლეთა თვალწინ დაბალი ცოდნის ნებიერი ხუთოსნად შევთითხნედ; ამაზე უარესის ღირსი ვართ.

– ვატყობ, რომ შენთან საუბარი წყლის ნაყვაა, – ყარამანმა ზაქროს თავი დაანება და შუა სამასწავლებლოში გაჩერებულ კოტეს მიუბრუნდა: – ის ხულიგანი მომიყვანეთ, ვატყობ, რომ თქვენ მისი მომთვინიერებლები არა ხართ!

– ეს საკითხი პროკურორის ჩარევას არ მოითხოვს, ჩვენ გავარკვევთ და თუ საჭიროა, იმ შემთხვევაში მოგმართავთ, – ნაძალადევი სიდინჯით თქვა კოტემ.

– თქვენ ყოველგვარ საზღვარს გადახვედით! მე დაზარალებულის მშობელიც ვარ და მოვითხოვ, მაჩვენოთ, ვინ უკრძალავს ჩემს შვილს სკოლაში ყოფნას! – ყარამანმა ყვირილი დაიწყო.

– კარგი, რადგან ასეა, მოვიყვანთ და დარწმუნდებით, რომ ჩხუბის და აურ-

ზაურის გამომწვევი თქვენი შვილი იყო. მოიყვანეთ გაბო და შემდეგ ყველა მოსწავლე, რომლებიც ამ ამბავს ესწრებოდნენ! – უბრძანა კოტემ კლასის დამრიგებელს და მაგიდასთან ჩამოჯდა.

გაბოს მოყვანის მოლოდინში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. რამდენიმე წუთის შემდეგ კლასის დამრიგებელი დაბრუნდა და შეშფოთებულმა განაცხადა:

– კლასში აღარავინაა, წასულან!

– ალბათ „შატალოზე", – ირონიული ღიმილით თქვა ზაქრომ.

– ეგაც თქვენი სკოლის ნამდვილი სახე; სადამდის დასულხართ. „ბარდაკ!" – ყარამანი ადგა და ხელები უკმაყოფილოდ გაშალა.

## თარსო

**მეორე** დღეს გაბო სკოლაში აღარ წავიდა. საშინელი სიცარიელის შეგრძნებამ შეიპყრო; იგი აღარავისთვის იყო საჭირო. აღარც თვითონ განიცდიდა გაკვეთილების მომზადების საჭიროებას. ბედზე დაემთხვა, დედა დილით ადრე წავიდა სამსახურში. არასასიამოვნო ახსნა-განმარტების მიცემას გადაურჩა, მაგრამ დროებით. გაუგებარი ხომ არ დარჩებოდა, რაც მოხდა. მაინც უხაროდა, რომ ამჯერად გადარჩა.

მზემ მაღლა აიწია. გაბო ეზოში გამოვიდა, თარსოს მოეფერა; ერთხანს მხიარულად ირბინეს. ძაღლი გახარებული იყო, რომ გაბომ ამდენი დრო დაუთმო. ბოლოს ესეც მოსწყინდა, „იქნებ ქალაქში გავიარო" – გაიფიქრა. თავისი აზრი მოეწონა.

– თარსო, წამოდი, გავისეირნოთ, – ერთგული თანამოაზრესავით უთხრა. მის წინ ჩაცუცქულმა ძაღლმა მხიარულად შეყეფა.. – თანახმა ხარ? მაშინ არ გეწყინოს, ყელზე თასმას შეგაბამ, რომ ქუჩის ძაღლებში არავის შეეშალო.

მთავარ ქუჩას თავდაღმა დაუყვნენ.

ტროტუარზე ხალხი არ მოძრაობდა. თარსო მხიარულად მისდევდა, ყველა ბუჩქის დაყნოსვას ცდილობდა.

მოედანზე გავიდნენ. კულტურის პარკის ღობის კუთხეში კაცები შეგროვებულიყნენ; ბეტონის დაბალ ღობეზე ჩამომჯდარიყვნენ და სიგარეტს აბოლებდნენ. მოპირდაპირე მხარეს უძეგლო კვარცხლბეკი ხრუშჩოვის სტალინის კულტზე ნადირობის სამარცხვინო შედეგივით იმზირებოდა. შედეგი კი სოციალური კეთილდღეობის ჯუნგლების განუკითხაობაში, ადამიანში მოხვეჭის ცხოველური გრძნობის გაღვივებასა და ადამიანობიდან მხეცობაში ნელ-ნელა, შენიღბულად გადაბარგება იყო. სტალინის მიერ მკვიდრად ნაგები სოციალიზმი შეუზეთავი ურემივით ჭრიალებდა, რამეთუ სწორედ ის ძირითადი თვისება ხუნდებოდა, რასაც ადამიანთა ადამიანებზე ზრუნვა, კეთილდღეობა და სიმართლის რწმენა იყო. ნელ-ნელა ეჭვს იწვევდა ის იმედიანი რწმენა, რაც კარიერისტ-მომხვეჭელ მედროვეთა მიერ ირყვნებოდა და კაცთმოყვარეობიდან კათმოძულებაში გადაბარგების სასარგებლოდ იხრწნებოდა.

ერთმა ბარზედაყუდებულმა კაცმა გაბოს ჰკითხა: – ბიჭო, რა ჯიშისაა შენი ძაღლი?

გაბომ თარსოს დახედა, დღემდე მისი ჯიშით არ დაინტერესებულა, ისევ იმ კაცს შეხედა და მხრები აიჩეჩა.

ღობეზე ჩამომჯდარი, მუხის მუგზურივით გარუჯული გამხდარი ბიჭიც დააკვირდა ძაღლს, მერე ღობიდან ჩამოხტა და გაბოსთან მივიდა.

– ავჩარკის და ქოფაკის ნაჯვარია შენი ძაღლი, – დაასკვნა.
– შენ როგორ გაიგე?
– ნახე, ყურები და ცხვირი ავჩარკისა აქვს, ბეწვი კი ქოფაკისა... ჭკვიანია?
– როგორ გითხრა, ძაღლის კვალობაზე რვაწელდამთავრებულად ჩაითვლება, – გაბომ თარსოს განათლებაზე შთაბეჭდილება შეუქმნა.
შავტუხა ბიჭი მისი ასაკისა ჩანდა, ეტყობოდა კეთილი და უშუალო უნდა ყოფილიყო.
– ეს კარგია, შინაურ ქათმებს გარეულში გაარჩევს, – დასძინა.
– ქათმების გამოცნობას რვა წლის განათლება უნდა?
– ძაღლისათვის უნდა.
– შენ საიდან იცი?
– სახლში ორი ძაღლი მყავს: ირლანდიური სეტერი და კავკასიური ნაგაზი; ძაღლები ძალიან მიყვარს, – შავტუხამ თარსოს წინ ჩაიმუხლა.
– ახლოს ნუ მიხვალ, არ გიკბინოს.
– ავია?
– ქუჩაში არავინ დაუგლეჯია, მაგრამ ძაღლია მაინც, ნუ ენდობი.
– მე ძაღლები არ მერჩიან.
– რატომ?
– მაგათი მუღამი ვიცი, შემიძლია ჯაჭვით დაბმული კაციჭამია ქოფაკი ავუშვა.
– არა მჯერა.
– რატომ არ გჯერა. ძაღლი დიდხანს დაბმისაგან წუხდება, ერთი სული აქვს ვინმემ გაანთავისუფლოს, თუ ამ დროს თამამად მიხვალ და შიშს არ შეიმჩნევ, ეგონება, ეგრეაო საჭირო; ახსნი ჯაჭვს და ისაც მეგობრად ჩაგთვლის.
– მტრად რომ ჩაგთვალოს.
– მაშინ კარგა ხანს მოგიწევს პირქვე წოლა, საჯდომს დროებით რემონტში ჩაგიყენებს, – ბიჭმა გაიცინა, – ცოტა ხანს თასმა მათხოვე, გავასეირნებ, – დაუმატა.
– ბიჭო, ჯორი ხომ არ გგონია, ძაღლია... რომ გიკბინოს?!
– აგერ იქ, – ბიჭმა კვარხლბეკისკენ გაიშვირა ხელი, – აფთიაქია და იოდს მოიტან, მეტი არაფერი.
გაბომ თასმა ღიმილით მიაწოდა.
შავტუხა ბიჭმა თარსოს დაუწრუწუნა და თასმა მოქაჩა. ძაღლმა ყრუდ დაიღრინა და შავტუხას ბოროტად შეხედა. იმან ჯიბეში ხელი ჩაიყო და პურის ნაჭერი ამოიღო. ისევ დაუწრუწუნა, თან პურის ნაჭერი მიუგდო. ძაღლმა ცალი თვალით გადახედა, ეს ძღვენი დაყნოსვის ღირსად არ ჩათვალა და წამოდგა.
– მოიტა ეგ თასმა, თორემ შეიძლება მარტო იოდმა ვერ გიშველოს, – გაბომ თასმა დაიბრუნა.
– არა ტყუიხარ, ქოფაკები ცოტა ძნელი ხასიათისა არიან. აბა ვნახოთ, თუ ახლაც შეიკავა თავი, მართლა ერთგული ძაღლი იქნება, – ბიჭი ღობისკენ წავიდა, კუთხეში მიგდებული ჩანთიდან ძეხვის დიდი ნაჭერი ამოიღო.
– სად მიგაქვს, ბიჭო, იქნება დღეს კერძო კაცთან არ ვიმუშაოთ, მშვირები უნდა დავრჩეთ?! – შეეღავა იქვე მჯდომი მასავით შავტუხა შუახნის კაცი.
– არა უშავს, გამოცდა უნდა ჩავუტარო, – დაამშვიდა ბიჭმა.
– აქ რამდენი ძაღლი და ძაღლის პატრონი გაივლის, ყველას რომ გამოცდა ჩაუტარო, რა ძეხვი გეყოფა?
– მარტო ამას უნდა ჩავუტრო.

– დიდი ნაჭერი მიუგდე, ხეჩო, იქნება როგორმე დაახრჩო, – სიცილით დაა-რიგა ბარზე დაყუდებულმა კაცმა.

შავტუხა ბიჭმა თარსოს ძეხვის ნაჭერი მიუგდო. ძაღლმა ზედაც არ შეხედა, იქვე ტროტუართან დარგული დეკორატიულ ბუჩქთან მივიდა, უკანა ფეხი ასწია და ზედ მიაშარდა.

– ვახ, ხეჩო, რა პურ-მარილი წაგიბილწა; კაცის გული ვერ მოითმენს! – მაყურებლები ახარხარდნენ.

– კარგი ძაღლი გყავს, ძმაო, მთელს ოჯახად ღირს! – ხეჩომ თარსო შეაქო.

– ის კაცი ვინ არის? – გაბომ შავტუხაზე ანიშნა.

– მამაჩემია, არტემა, კეთილი კაცია, არც კრიჟანი არ არის, ისე, სიტყვის მასალად მითხრა, თორე ჩანთაში რაც ძეხვი გვაქვს, სულ რომ ძაღლისთვის დამეყარა, არ დამიშლიდა...

– აქ რას აკეთებთ?

– სამუშაოდ ვართ ჩამოსული.

– საიდან?

– წალკიდან. ამ დროს მამაჩემი ყოველთვის ჩამოდის ხოლმე, ქირაზე მუშა-ობს; ცოტა ფულს აკეთებს. წელს მეც წამომიყვანა, ვეხმარები და შემოსავალიც ადრინდელზე მეტი გვაქვს.

– დანარჩენი კაცები ვიღა არიან?

– ეგენიც ქირაზე კლიენტს ელოდებიან.

– წალკიდან არიან?

– არა, წალკიდან მარტო მე და მამაჩემი ვართ, დანარჩენები აქაურები არიან.

– აქაურებს რაღა გაუჭირდათ ქირაზე სატარებლად?

– შენი სახელი რა არის? – ჰკითხა ბიჭმა.

– გაბო.

– ეგრეა, ჩემო გაბო, ამ ცხოვრებაში ვის რა უჭირს სანამ თავის ზურგზე არ გამოსცდიან, ყველას უკვირს, ქირაზე რატომ დადიხართო. ვის თავმკვდარს ბულ-კის პური ჰქონდეს და ქერის ორცხობილას ილოღნებოდეს. ეგრეა ჩვენი საქმე, ჩემო ძმაო, ჩემზე პატარები ექვსი ტიტლიკანა და-ძმა მყავს, შენახვა არ უნ-დათ?!

– უნდათ, აბა რა, – გაბო დაბნეულად დაეთანხმა.

ამ საუბარში რომ იყვნენ, კულტურის სახლის ბაღიდან ფერდებჩაცვენილი და წელში ამოკვანტილი ძაღლი გამოძუნძულდა; ცხვირით თითქმის მიწას ეხე-ბოდა. ღობის ძირში მიგდებული მუყაოს ნაჭერი დიდი მონდომებით შეამოწმა,. ზედ მიცხობილი რაღაც ნივთიერების სისველე ენერგიულად ალოკა. ეს საქმე რომ მოათავა, თარსო მერე დაინახა, შეშინებულმა კუდი უკანა ფეხებს შორის გაიჩარა, მაგრამ მაინც მოკრძალებით და უსაზღვრო პირმოთნეობით მიუახ-ლოვდა, იქვე დაგდებული პურის ნაჭერი დაინახა, აღება უნდოდა, თარსოსი შეეშინდა... რაღაც საწყლად შეხედა, სახიფათო ვერაფერი შეატყო, პურს პირი დასტაცა; თარსომ თავისთვის ჩაიღრინა. ძაღლმა ამ დროს ძეხვის ნაჭერს მოჰ-კრა თვალი, პური პირში ღრმად გადაიტანა, თარსოსთვის ნებართვა აღარ უკითხავს, ძეხვის ნაჭერს პირი დაავლო და კუდამოძუებული გაიქცა, ქუჩის მეორე მხარეს გადავიდა, ჩაცუცქდა, პირიდან ნადავლი წამოყარა და საჩქა-როდ ჭამას შეუდგა; თარსომ დამცინავი მზერა მიაყოლა, თავისთვის რამდენი-მეჯერ ჩაიღრინა, თითქოს ამ ძაღლის საქციელის გამო ბრაზობდა.

– მაგარი ძაღლი გყავს, გაბო, ქუჩაში არ გაუშვა, თორემ გაფუჭდება, – გააფრთხილა ხეჩომ.

– შენ სკოლაში არა სწავლობ? – გაბომ ისე ჰკითხა, თითქოს მისი ნათქვამი არ გაეგო.

– მერვე კლასიდან გამოვედი; შენ უკვე დაამთავრე?

– არა, მეცხრე კლასში ვსწავლობ.

– დღეს სწავლა არა გაქვთ?

– იმათ ალბათ აქვთ, მე არა.

– რატო, გამოგაგდეს?

– შეიძლება ეგრეც იყოს, – გაბომ თავი ჩაღუნა.

– მე ხეჩო მანუკიანი ვარ, – ბიჭმა ხელი გაუწოდა, – რამეში თუ გამოგადგები, ჩემი თავი გენაცვალოს; ყოველ დილით აქ მნახავ.

– გაბო ცისკარიშვილი, – გაბომ ხელი დაურტყა, – თუ დაგჭირდე, კვენაკელში მომაკითხე,. ჩემს სახლს ყველა მოგასწავლის.

– ხეჩო, წავიდეთ! – მამამ დაუძახა, ვიღაც ღიპიან კაცს რომ ელაპარაკებოდა.

გაბომ თავისი ძაღლით მაღაზიების რიგისკენ ჩაიარა. ახალი პურის სუნი იყნოსა და თარსოს გაესაუბრა: – რა ვქნათ, ცხელი პური არ ვიყიდოთ? – ძაღლი მიხვდა, რომ ეს შეკითხვა მას ეხებოდა და დაიყეფა.

– გასაგებია, – თქვა გაბომ და მაღაზიაში შევიდა.

– სად მოგყავს ეგ ლომივით ძაღლი, ხასიათი რომ გადუტრიალდეს, გასაქცევიც არსად არის, – შიშნაჭამი ღიმილით გაუწყრა გამყიდველი.

– ერთი პური მომეცი და ახლავე გავალთ, – გაბომ ფული გაუწოდა.

შეშინებულმა მყიდველებმა მაშინვე დაუთმეს ადგილი.

გაბომ პური იღლიაში ამოიდო, თარსომ მხიარული კუდის ქნევით რამდენიმეჯერ შეჰყეფა.

– გშია, ძაღლო? მოიცა, ძეხვსაც ვიყიდი და გასადილებ.

პატარა ხის დუქნიდან უზომოდ გასუქებულმა ძეხვის გამყიდველმა ერთი კილო ძეხვი აუწონა, მერე ფანჯარაში გამოყო თავი და გაბოს დაუძახა: – ბიჭო, ეგ რამხელა ძაღლი მიგყავს, არ გიკბინოს, გაიქეცი, ხა, ხა, ხა! – თავის ოხუნჯობით თვითონვე ისიამოვნა.

– მსუქან ხორცზე მყავს დაგეშილი, დროზე შეძვერ გალიაში, თორე მე პასუხს არ ვაგებ, – მიიღო პასუხი.

– ვახხხ! კაი მწკლარტე ენა უჩანს მაგ ბალღს, – ჩაილაპარაკა თავის დუქანში გადამძვრალმა გამყიდველმა.

გაბო და თარსო კულტურის პარკში შევიდნენ. ხის სკამზე გაშლილ პურმარილს ორივე შეექცნენ და მალე ძეხვიდან და პურიდან ნამცეციც არ დარჩა...

დედა საღამოს დაღლილი დაბრუნდა.

– გაბო, სკოლაში რა მოხდა? – სხვათა შორის ჰკითხა.

– პროკურორ ყარამანას ბიჭს ვეჩხუბე და...

დედა საწოლზე მოწყვეტით დაეცა.

– შენ რომ ესეთები არ იცოდი, გაბო, აბა მომიყევი, როგორ მოხდა, – დაღლილმა თავი ბალიშზე მიდო და თვალები მილულა. – რად იჩხუბე, შვილო, ყარამანას ბიჭთან, ჩვენ მაგის მტრობა გვინდოდა?! – სუსტი, ძლივს გასაგონი ხმით თქვა მან.

გაბოს დედის სიბრალულით გული შეეკუმშა. ახლა მიხვდა, რომ რაღაც გამოუსწორებელი ჩაიდინა, რომ ამ საქციელის გამო შეიძლება მის ყველაზე საყ-

ვარელ არსებას, დედას საფრთხე დაემუქროს. „ნეტავ დედა რა შუაშია, ან რატომ თქვა დედამ, ჩვენ მაგის მტრობა გვინდაო?“ – გაიფიქრა.

– არ ამბობ, გაბო? – დედამ ძლივს თქვა ძილბურანიდან და მალე ჩაეძინა.

გაბომ საბანი ფრთხილად დააფარა და შუშაბანდში გავიდა...

## ყარამანის ღვარძლი

**კოტე** თავის კაბინეტში ბოლთას სცემდა, იქვე, ფანჯარასთან ზაქრო ხმალაძე იჯდა და ეზოში იყურებოდა; სამასწავლებლოდან გაუთავებელი კამათის ხმა ისმოდა:

– ისეთი რა მოხდა, რომ განსაკუთრებული შემოწმების ობიექტად ჩვენი სკოლა აირჩიეს?! ერთი თვის წინათ თვითონ განათლების სამინისტრომ არ შეგვამოწმა და რაიონულ თათბირზე მოწინავედ არ დაგვასახელეს.

– მაშინ სხვა ქარი გვიქროდა, ახლა – სხვა.

– განა შეიძლება ერთი მოსწავლის მიერ მეორესათვის სილაქის გარტყმა მთელს სკოლას ტრაგედიად ექცეს?!

– გააჩნია, ის სილა ვის შვილს მოხვდება, – მეორე ხმა დინჯად უხსნიდა.

– ვის შვილს კი არა, მთელს პედკოლექტივს მოხვდა.

– შვილს გაბოს სილა მოხვდა, პედკოლექტივს კი მამა გადაუხდის.

– პედკოლექტივი რა შუაშია, მთელი ჰარმონია კოტემ დაარღვია, სილასაც ის მიიღებს და ყველაფერი ძველებურ კალაპოტში ჩადგება.

– რა ჰარმონია დაარღვია?

– ამის ახსნას ცოტა დაფიქრება უნდა, თანაც ასე იოლად, ორი სიტყვით ვერ მოხერხდება, მოთმინებით უნდა აღიჭურვოთ და მომისმინოთ.

– გისმენთ, ბექან ბატონო, გვითხარ რამე სასიკეთო.

– სასიკეთო არ არის, მწარეა, მაგრამ მოსასმენია მაინც. საზოგადოებრივ ფორმაციებში სოციალიზმი ყველაზე მაღალი და ჰუმანური რომ არის, ამაში, მე მგონი, ეჭვი არავის გეპარებათ. ადამიანთა კეთილდღეობა, თანასწორობა, ძმობა, ერთობა, ბედნიერება კაცობრიობის ოცნებაა და სწორედ ამისთვის იბრძოდნენ ყველაზე ღირსეული შვილები ადამიანთა მოდგმისა. ბოლოს შეიქმნა კიდეც მსოფლიოში პირველი ნანატრი სოციალიზმი, რასაკვირველია, სისხლის ღვრის, გაჭირვების, უბედურებისა და მრავალი სიძნელეების გადალახვის შემდეგ. ამას მივაღწიეთ იმ კეთილშობილი ადამიანების ხელმძღვანელობით, სოციალური კეთილდღეობის რეალურად რომ სწამდათ და მთელი თავიანთი ენერგია, უნარი, გენია ტიტანური შრომის წყალობით ამ საქმეს ანაცვალეს.

თანდათან ავიდგით ფეხი. წარსულის ნანგრევებზე მძლავრი სოციალისტური სახელმწიფო შევქმენით, მსოფლიოს დავანახვეთ უპირატესობა ადამიანში სიკეთის მომძლავრებისა. მოხვეჭა და პირუტყვული ინსტინქტები წარსულის ბნელ გადმონაშთებთან დავამიწეთ. ყოველივე ეს კი სპეტაკი რწმენის შედეგად მოვიპოვეთ, რწმენისა, რომლის გარეშეც არავითარი საქმის გაკეთება არ მოხერხდება. სტალინი სწორედ ამგვარი რწმენის გენიოსი იყო, სწორი მიმართულებით რომ მიჰყავდა პირველი სოციალური კეთილდღეობის ხორცშესხმული ადამიანთა ოცნება. წავიდა ის დიდი ადამიანი და იმ სათუთად მოვლილ რწმენას მღრღნელებივით დაესივნენ ადამიანში ცხოველურ ინსტიქტებს აყოლილი პარაზიტები. ძნელია უცებ დაანგრიო სიკეთისთვის ნაგები შენობა და ბოროტებაში გადაბარგდე. გეტყვიან, ამას რატომ შვრებიო. ამიტომ ისე უნდა შეინიღბო,

თითქოს, სიკეთეს ემსახურები: გარეგნულად ნამდვილი ადამიანივით აქო სოციალური კეთილდღეობა, შინაარსით კი ბოროტების და ადამიანთა უბედურების წისქვილზე ასხამდე წყალს. ასე ნელ-ნელა ანგრევენ სტალინის მიერ ნაგებ სოციალური კეთილდღეობის ნათელ შენობას ხრუშჩოვები და მის მიერ დატოვილი სარეველათა მოდგმა.

ახლა გადავხედოთ, თუ რა ხდება ქვეყანაში, განსაკუთრებით კი ჩვენს საქართველოში. მთელს საბჭოთა კავშირში მოხვეჭის ბაცილამ იმძლავრა ხელისუფლების ყველა მაღალ ეშელონში და ეს დაავადება ორგანიზმის მთელ უჯრედებს მოედო. ამ საქმეში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი საქართველოს კომპარტიის პირველმა მდივანმა ედუარდ შეარდნაძემ, პარტიაში მოსვლამდე შინაგან საქმეთა მინისტრად ყოფნისას რომ დააბინძურა სოციალური კანონიერების სპეტაკი სულის სალოცავები.

ახლა ებრძვის ყოველივე იმას, რასაც ადამიანის ნაზ გრძნობებზე სასიკეთოდ ზეგავლენა შეუძლია. ჩვენს თვალწინ ნელ-ნელა ისპობა ადამიანში ადამიანურობა და ნადირი იკავებს მის ადგილს; ბოლო კი კაპიტალიზმის კაციჭამიაობა-კაციკვნეტაობაში გადაბარგება იქნება.

ჩვენს სკოლაში რაც ხდება, დირექტორში მიმკვდარი ამბოხი სულის გაფართხალების შედეგია. დაირღვა ადამიანის გადაგვარების რიტმი და ბნელეთში მიმავალი ძალების შეშფოთება გამოიწვია, რათა ეს სიკეთის პატარა ნაპერწკლის გაელვების შედეგი დააბრმაოს.

კოტე სანამ ლაქიად იყო ქცული, ყარამანის ფუქსავატ ბიჭს ანებივრებდა და ჩვენც გვაძალებდა ამგვარად მოვქცეულიყავით... სატანის მექანიზმი შეფერხების გარეშე მუშაობდა. ადამიანური სინდისისა და მორალის გადაგვარება, დაკნინება ნორმალურად მიდიოდა. კოტეს რომ ყარამანის მიერ მიყენებული შეურაცხყოფა მონური მორჩილებით და კუდის ქიცინით მიეღო, არაფერი არ შეიცვლებოდა. გაბოს სკოლიდან გარიცხავდნენ, კოტეს თავზე ხელს გადაუსვამდნენ; ისაც გაიბღინძებოდა, უფრო დამდაბლებული და უსინდისობაში დაღრმავლებულთ ზევიდან მუქარის ფანტვით დაგვჩხავლებდა; გასუქდებოდა, გაიბერებოდა, ჩვენც მოვუფრთხილდებოდით, რომ გასკდომის შემთხვევაში უფრო ძალიან არ ამყრალებულიყო. სწავლა, ცოდნა, ზნეობა, მორალი, კაცთმოყვარეობა და ყოველგვარი სიკეთე რაც კაცობრიობას ბოროტებასთან უთანასწორო ბრძოლაში მოუპოვებია, ბუტაფორიად იქცეოდა, რომლის მიღმა უბედურება და ყოველგვარი სატანური დაიდებდა ბინას. კოტეს გაბრძოლებით ჩვენს სკოლაში ეს პროცესი დროებით შენელდა და ამიტომ შეშფოთდნენ ჩვენი ქვეყნის დაკნინების, დაბეჩავების და ბატონყმობაში ჩასვენებისათვის მებრძოლი იანუსები.

– გრძელი მონოლოგი გამოგივიდა, ბეჟან, მაგ შენი ფილოსოფიით ძალიან მაღლა აიჭერ; კოტეს არ მიგაყოლონ.

– სხვა თუნდაც ყველაფერზე თვალები დახუჭონ, გასაგდები მარტო იმისათვის ვარ, რომ ყარამანოვიჩს დათვურ სამსახურს ვუწევთ.

– პირველ რიგში თავის შვილს თვითონ უწევდა დათვურ სამსახურს და თვითონაც დათვობის მსურველთა მოდგმისაა.

– ბოლოს და ბოლოს, ვინ არის ეგ ყარამანი, რატომ უნდა ერეოდეს სკოლის საქმეებში?! სჯობია თავის თავს მიხედოს!

– ყარამანი პროკურორია, იგი ხელისუფლებას ემსახურება, რამეთუ ხელისუფლება ნიშნავს და განუსაზღვრელ ძალაუფლებას აძლევს. ჰოდა, დღევანდელი ხელისუფლება ჯუნგლების განუკითხაობისაკენ მიაქანებს სოციალური კე-

თილდღეობისათვის შექმნილ ქვეყანას. მათ საქმიანობას ვინც წინ აღუდგება, კანონის სახელით უკანონობად მონათლავენ და ძალადობის დაფარული კლანჭებით გამოფატრავენ; კოტემ შეაშფოთა მოძალადეთა ბუნაგი და კანონიერების ნიღბით უნდათ პატიოსნების გაბრძოლების მოშთობა.

– რამდენი ყარამანის მსგავსი სარეველა ტკიპასავით მიჰკრობია სოციალური კეთილდღეობის სპეტაკ შეგნებას.

– რა უნდა მაგათ გაწმენდას?

– ერთიანი ძალით უნდა ვიბრძოლოთ, რადგან ჯერჯერობით ხელმძღვანელობაში ჯოჯოხეთის მოციქულები სხედან, ხათაბალაში თავის ჩაგდება არავის უნდა და აჰა, შედეგიც!

– კოტემ რომ აიმაღლა ხმა, რა მელა დაიჭირა?

– კოტეს თავიდანვე ასეთი პოზიცია რომ ჰქონოდა, დღევანდელი დღე უფრო ადრე დაუდგებოდა და მებრძოლი კაცის სახელი ექნებოდა. ეგრეა, თუ ბრძოლის გზაზე დადექი, მსხვერპლიც უნდა გაიღო.

– ეგრეა, სიტყვით ყველაფერი სწორედ გვესმის, საქმეში კი ვცდილობთ, ქარიშხალმა ტოტები სხვას შეამტვრიოს, ჩვენ კი საღსალამათები დავრჩეთ, იმ სხვის მიერ გაკეთებულ გზაზე აღლუმით გავიაროთ და დაფნის გვირგვინი უსირცხვილოდ მოვითხოვოთ, რომელიც იმ სხვას ეკუთვნის.

– მაგას რატომ ამბობ?

– იმიტომ ვამბობ, რომ ყარამანს მარტო ზაქრომ უთხრა სათქმელი, თანაც როცა იცოდა, რომ მხარს არც ერთი არ დავუჭერდით. აბა, ყველას ერთი პირი გვქონოდა, ასე უსირცხვილოდ ჩვენი სკოლის დასმენას გაბედავდა? ვერა, რადგან ჩვენს მიერ მხილებისა შეეშინდებოდა, არც ისაა გამორიცხული, მისი უღირსი სკამი შერყეოდა, თუ ჩვენ ყველა ერთხმად შევუტევდით, მაგრამ იცის, რომ ლაჩრები ვართ და...

– გესმის? – კოტე ზაქროს წინ შეჩერდა.

ზაქრომ თავი უხმოდ დაუქნია.

– რა ღვარძლიანი ყოფილა, რაიკომის მდივანთან რაღაც არარსებული სიცრუე მოუჩმახავს.

– მე ის მიკვირს, ამგვარ მუხთალს კანონიერების სადავეები რომ უპყრია ხელთ; მისგან რას უნდა მოელოდე თვალებში ნაცრის შეყრის გარდა. რაიკომის მდივანიც ყარამანზე მეტია თავისი უკუღმართად მომართული ტვინით, რომელსაც მთავარი არამზადა, ცეკას მდივანი ედუარდ შევარდნაძე აპროგრამებს. ქვეყანა ის აღარაა, რაც გვგონია. კანონი და სამართალი მხოლოდ ქაღალდზე დარჩა, ბედნიერი ცხოვრების ლამაზი იდეა კი ამგვარ პოსტის მფლობელ პარაზიტთაგან გამოხრულია. ედუარდ ცეკას მდივანი საფუძვლიანად ბღალავს ადამიანთა კეთილდღეობის ლამაზ იდეას, რომელსაც მისგანვე შერყვნილი პარტია ემსახურება. რაიკომის მდივანი ამბაკო, ყარამანი და მისი მსგავსები კი დიდ მტაცებელს აღევნებული ტურები არიან; სინდისი და პატიოსნება გამქრალია, ტახტზე სიკეთის ნიღაბაფარებული ძალადობა და უკანონობა ზის, – ზაქრო ადგა და მუხლებზე დადებული ქუდი ხელში დაიჭირა. – რაზე დამიძახე? – ჰკითხა.

კოტე მღელვარების დასაფარავად თავის მაგიდასთან დაჯდა.

– უკვე მეორე დღეა გაბო ცისკარიშვილი სკოლაში არ დადის, ეს კი ჩემს გამო მოხდა, უფრო სწორად, მე მინდოდა გაბოს დატუქსვით ბენაშვილის მამისთვის მესიამოვნებინა. ახლა ვხვდები, რა პატარა კაცი ვარ. სინდისი მოსვენებას არ მაძლევს, როგორ შევძელ ამდენ ხანს ლოკოკინასავით ლორწოიან

არაკაცად ცხოვრება.

– კარგად ლაპარაკობ, მაგრამ რას აპირებ?

– რაც მოხდა, იმას ვეღარ გამოვასწორებ.

– მე რაზე დამიძახე?

– საღამოზე გაბო ცისკარიშვილთან გამომყე, ბიჭს სკოლაში გამოცხადება უნდა ვთხოვო.

– კარგი კი იქნებოდა მათი ნახვა, ყარამანი თავისი არაკაცობით ნაბოლვარ უსიამოვნებას შეამთხვევთ... მანამდე კი იქნებ გავარკვიოთ, რას გვიპირებენ, – ზაქრო კარისაკენ გაემართა.

– ჩემი მოხსნისათვის ფაფხურობენ, შენ ჯერჯერობით გეგმაში არ ყავხართ.

– რას მიზამენ?! ფიზკულტურის მასწავლებლობიდან მხოლოდ იმისათვის შეუძლიათ მომხსნან, იმ დონდლო ბიჭს ხუთებს რომ ვუწერდი, არც პრეტენზია არ მექნება; მუშაობა არ მეზარება და კურტანი ყველგან მოიძებნება, – ზაქრო კაბინეტიდან გავიდა.

– შემოწმება რად უნდათ, ნეტა ვინ უმოწმებთ მრუდე ნატარს, – ჩაილაპარაკა კოტემ.

## ლავაშა მაგარია

**ყარამანი**, რაიონის პროკურორი, მუდამ შუბლშეკრული და მრისხანე გამომეტყველების მიუკარებელი ნაჭუჭოსანია, იცის თავისი თანამდებობის ფასი და კანონის დამახინჯების სიკეთე. სწავლით და იურისპრუდენციის ცოდნით დიდად არ შეუშფოთებია მისი თავის შიგთავსი; ყველაზე აუცილებელი ჭეშმარიტება კი ზედმიწევრით კარგად აითვისა – დამნაშავის გამართლება გამოსასყიდის რაოდენობის დონეზე; უდანაშაულოს და მართლის დაჩაგვრა სიმართლის უფულოდ მოპოვების სურვილისათვის. მოკლედ, ყარამანი კანონის დამცველთა იმ ბანდიდან იყო, კანონი და სამართალი დახლზე რომ ჰქონდათ შემოდებული და რომის პაპის ინდულგენციებივით ყველა სახის დანაშაულს თავისი ფასი ედო ყარამანის და მისი მსგავსი პარაზიტების გამოსაძლობად და ქვეყანაში საბოლოოდ უსამართლობის დასამკვიდრებლად. ყოველივე უკუღმართობა კი საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველ მდივნიდან ედუარდ ამბროსევიჩიდან მოდიოდა. სწორედ ყარამანის მსგავსი უსამართლობის მსახურთა დახმარებით უსწორდებოდა იგი იმ პიროვნებებს, ვისზეც ღვარძლი, შური და მტრობა აწვალებდა. ედუარდ ამბროსევიჩი მხოლოდ ასახელებდა, თუ ვისი დასჯა-ანგარიშსწორებისთვის რა დოზის ცილისწამება სჭირდებოდა, დანარჩენი ყარამანის მსგავს არაკაცთა საქმე იყო. ცრუ ბრალდებების შეთითხვნას რა უნდა, თუ არავინ არ გიმოწმებს შენს ნაცოდვილარს.

სამაგიეროდ ედუარდ ამბროსევიჩმა ეს, ეგრეთ წოდებული სამართალდამცავები ხალხის და სიმართლის საკორტნად მიუშვა. ქვეყნის, ერის, სოციალური კეთილდღეობის ნათელი იდეის მოღალატეებმა საქართველო განუკითხაობის ბაზრად აქციეს. თუ სადმე კიდევ ღვიოდა სიმართლის თესლი, ან ვინმე უსამართლობის წინააღმდეგ ხმას აიმაღლებდა, მათ ვერაგი და გაუნათლებელი კაცის დაუნდობლობით სპობდნენ.

...ყარამანი კაბინეტში მარტო იჯდა. მდივანი ქალი გამოიძახა, გველუკაშვილი ფრიდონა როგორც გამოჩნდება, შემოვიდესო, დაავალა.

– ვინ არის ფრიდონა გველუკაშვილი? – ქალი დაიბნა.

– ქალო, რით ვერ გაიგე, „ლავაშა“! მაგ ოხერს ნათლობის სახელით აღარავინ იცნობს.

მობუზული ქალი კაბინეტიდან ფეხაკრეფით გავიდა.

ყარამანი ცოტა ხანს გაუნძრევლად იჯდა; რაღაცაზე ფიქრში გართულმა ტელეფონის ყურმილი აიღო.

– საიდან არის? – ჩასძახა.

– ალაზნის არხის სასისტემო სამმართველოა, – ქალმა უპასუხა.

– მე დირექტორი მინდოდა, შენ რატომ აიღე ყურმილი! – უღრიალა.

– ჯერჯერობით ჩვენი კავშირგაბმულობის სისტემა იმ დონეზე არ არის, ვის რა უნდოდა გაგვაგებინოს! – ქალმა ყურმილი დადო.

ყარამანი ბრაზით აენთო.

– უყურე, თავხედი, რა გამიბედა?! – ჩაისისინა და ისევ დარეკა. ახლა დიდხანს არავინ პასუხობდა; ბოლოს ყურმილი აიღეს.

– გისმენთ, –იმავე ქალის ხმა იყო.

– შე გათახსიროებულო, მე დირექტორი მინდა, შენ რატომ იღებ ყურმილს, შე ოხერო?! – უღრიალა.

– ოხერო და მუდრეგო, გათახსირებულო და ბინძურო! დირექტორი ობიექტზეა გასული, – მიიღო პასუხი.

განძვინვარებული ყარამანი სკამიდან წამოფრინდა, თუ ასე შეიძლება ეწოდოს, რადგან დიდი მუცელი ძლივს გამოატარა სკამს და მაგიდას შორის. კარებისკენ გაიქცა, ქოშინით გამოაღო და ცოტახანს ასე გაჩერდა, მერე უცებ მდივან ქალს უყვირა:

– მანქანა! საჩქაროდ მანქანა! მე მაგას ვუჩვენებ სეირს! – კარი მაგრად მიაჯახუნა და ისევ კაბინეტში შებრუნდა.

ერთხანს ბოლთას სცემდა, მერე კედელთან მიდგმულ სკამზე მოწყვეტით დაეცა, ქონმოძალებული ფილტვებით გახშირებულად სუნთქავდა.

კარი გაიღო და მდივანმა ქალმა შემოიხედა.

– მანქანა მოვიდა? – სკამიდან წამოხტა.

– მანქანა პროფილაქტიკაში ყოფილა, ლავაშა მოვიდა, – მოახსენა ქალმა.

ყარამანმა მაგიდასთან, თავის სკამზე გადაინაცვლა.

კაბინეტში მაღალი, მოზრდილმუცლიანი კაცი შევიდა, საზამთროსავით მრგვალ თავზე თმები ძალუმად შეთხელებოდა; მისთვის მელოტის წოდების მინიჭება თავისუფლად შეიძლებოდა, მაგრამ ისე საგულდაგულოდ ჰქონდა მარჯვნიდან, მარცხნიდან და უკანიდან გადაფარებული თმები, აშკარა იყო, რომ ამ ნაკლს არაფრით არ ურიგდებოდა. ქვედა ტუჩი ისე ჰქონდა ამობრუნებული, ნიკაპს უფარავდა, თავი კი დიდი ღაბაბით იყო ტანთან მიერთებული.

– გამარჯობა, ყარამან ვასილიჩ, ხა, ხა, ხააა! – ახარხარდა და პირი ყურებამდე გაეხსნა. – რა მაგარი ღვინო იყო არა? ხომ მოვტეხეთ იმ შენს კოლეგებს კისრები! – ისევ ახარხარდა.

– ნეტავ რას ხვიხვინებ! – შეულხინა ყარამანმა.

– გაბრაზებული ხარ? – ლავაშა მაგიდასთან ჩამოჯდა.

– იგრე გამაბრაზა იმ ცისკარიშვილების ჩათლახმა მბეჭდავმა, ძარღვები მიხტის; აქ რომ მყავდეს, თავს წიწილასავით გავაგლეჯამდი!

– ცისკარიშვილების ჩათლახი მბეჭდავი ვინღაა?

– იიიხ! შენც ერთი! ჰამლეტის რომ ეჩხუბა იმ ბიჭის დედა, – ყარამანი უკმაყოფილოდ დაიღმანჭა.

– ოხ, მაგათი დედა! ახლა შენც მოგწვდნენ? ხომ არ უნდათ, რომ ქუმელივით მოვზილო! – ლავაშამ ხელებით აჩვენა, როგორ მოზელავდა ქუმელივით.

– ახლა ჩავალ და დირექტორს ვეტყვი, დღესვე გააგდოს იქიდან. თუ არადა, დირექტორსაც მივაყოლებ; ჯერ მანქანა მოვიდეს! – დაიმუქრა ყარამანი.

– შენ რაზე უნდა შეწუხდე, მე ჩავივლი და ვეტყვი, გააგდე, თორემ შენგან რქები და ჩლიქებიღა დარჩება-მეთქი, – შეპირდა ლავაშა.

– ის გააგდებს, სხვა მიიღებს.

– ყარამან ბენაშვილის შიშით ახლოს ვინ გაიკარებს. დღესვე დავაგდებ ხმას, ვინც მაგას სამუშაოდ მიიღებს, თავის თავს დააბრალოს-მეთქი. აბა, გაბედოს ვინმემ და ახლოს გაიკაროს. შენ რომ გაწყენინებს, ყარამან ვასილიჩ, იმას მარტო მე მოვთოკამ.

– მაგარი ხარ, ლავაშ! შენნაირი მეგობრები ნუ დამილიოს, ფრიდონ, – ყარამანმა შეცდომა მალე გამოასწორა და ხელი მხარზე დაარტყა. – როგორ არის საქმე პურპროდუქტების ბაზარში? – მზრუნველად ჰკითხა.

– შენი შიშით ხმას ვინ გამცემს, იქით არავის დავუფრთხო ანგელოზები; ლავაშას გახსენებაზე მუხლებში აკანკალებთ. ამას წინათ კოლმეურნეობის თავმჯდომარე როა ნოე ჯანგულაშვილთან მიველი და პირდაპირ ვუთხარი: შენ რომ შემწვარ-მოხრაკულებზე ბაირამობ, ყარამან ვასილიჩს ცხოვრება არ უნდა? რომ გადაჭამე მთელი კოლმეურნეობა, ხომ არ გინდა, ქათმის კუჭივით გადმოგაბრუნოს-მეთქი. გიყვარდეს ეცვალა ფერი, დაფაცურდა, როგორ მოვიქცეო.

– ჰოოო! – ყარამანი დაინტერესდა.

– როცა და სადაც ისურვებს, გოჭს და ცხვარს იქ გავუგზავნიო. მაგას თუ გინდა, ის გამოგიგზავნის-მეთქი.

– აბა, მაშ რა უნდაო?

– ძალიან მიამიტი ჯეილია, ხომ იცი! – ირონიულად ჩაეღიმა ყარამანს.

– არც ჩვენა ვართ უკბილოები. ყველაფერი წინ დავულაგე, რაც იმასთან ხდება, ამის შემდეგ წილს არ დაგიკარგავს; ალბათ ამ დღეებში მოგაკითხავს.

– ყოჩაღ, ოქრო ხარ, ფრიდონ, ოქრო! – კიდევ დაჰკრა მხარზე ხელი.

ლავაშამ სიამოვნებისაგან ყურებამდე გახსნილი ყბით გაიღიმა.

ტელეფონის ზარი აწკრიალდა. ყარამანმა ყურმილი აიღო, მიკროფონზე ხელისგული დააჭირა და ლავაშას დაბალ ხმაზე უთხრა:

– სასისტემო სამმართველოს უფროსია.

– მიდი მაგისი, ერთი შენებურად ადინე ბოლი, – წააქეზა ლავაშამ.

– ჩემი თავი გიკითხიათ, ყარამან ვასილიჩ, რა გნებავდათ?

– ბიჭო, ვინ არის ეგ უზრდელი დედაკაცი შენი ტელეფონიდან რომ ამყრალებს ქვეყანას?!

– მდივან-მემანქანეა, როცა გასული ვარ, მისაღებში ირეკება.

– მერე? რადგან მდივან-მემანქანეა ზრდილობა არ უნდა?

– ...

– ბიჭო, ორგანიზაციაში როცა მაგნაირი მოხულიგნო დედაკაცები გეყოლება, მამაკაცებს რაღა მოეკითხებათ?!

– რა მოხდა, ყარამან ვასილიჩ?

– ის მოხდა, რომ ტელეფონიდან უშვერად გამომლანძღა, თან ყურმილი დამიკიდა. ეგრე ყოველ დარეკვაზე ვიღაცა მათხოვრებმა რომ გვაგინონ. როგორ იცი, ჯანმრთელობა გვეყოფა? სხვა ნაკლები სანერვიულო გვაქვს თუ რა!

– პირველად მესმის, საწყალი უწყინარი, ქვრივი ქალია, ერთ ბავშვს ზრდის;

რომ იცნობდეთ, ყარამან ვასილიჩ, მაგას არ იტყოდით.

– ბავშვს კი არა, ხულიგანს ზრდის, მთელი სკოლა თავზე აქვს წამოცმული, წესიერ მოსწავლეებს სწავლის საშუალებას არ აძლევს. გუშინწინ ჩემი ბიჭი კინაღამ არ მოკლა მაგისმა ხულიგანმა შვილმა, ორივე რაიონიდან გასაყრელები არიან; გააგდე, მოაშორე, ხვალიდან მაგის ხსენება არ იყოს მანდ!

– ...

– ეს ჯერ დასაწყისია, მაგათი ხსენება უნდა გაქრეს!

– გასაკვირია, ასეთი წესიერი და უწყინარი ქალი. მუშაობაში მადლობის მეტს არაფერს იმსახურებს.

– როგორ, მე რომ გამლანძღა, მადლობის ღირსია?!

– წარმოუდგენელია ამისგან ვინმეს გალანძღვა.

– მაშ მე გატყუებ? კაბინეტში თხუთმეტი კაცი მეჯდა, ყველამ მოისმინა. ამათ მითხრეს, თორე მე არც ვიცოდი, ვინ იყო. შენთან კი იმიტომ დავრეკე, შემოწმებას ვაგზავნი და შეიძლება არც კი გამომეგზავნა; ისე ცოტა ხალხი მყავს დასაჭერი?

– რა შემოწმებაა?

– ჩვენ გადავწყვიტეთ, მუშაობა შეგიმოწმოთ, რაღაც არასახარბიელო სიგნალები მოდის.

– მობრძანდით. თუ სიგნალი მოდის, სიგნალის მიმცემი იმასაც გეტყოდათ, ჩვენთან რა ხდება. ნეტა ვინმე მოვიდოდეს და პრობლემების მოგვარებაში მოგვეხმაროს, მაგას რა სჯობია.

– მოხმარებაზე რა მოგახსენო, შენ რომ შემოწმებას შეეწირები, მაგის გარანტიას გაძლევ.

– ნება თქვენია, თუ საჭიროა განცხადებას ახლავე დავწერ.

– მერე სხვა ჰანგზე დაუკრამ.

– მობრძანდი. ამაზე მირეკავდი?

– იმაზე გირეკავდი, რომ ეგ ქალი გააგდე, თორემ მერე გვიან იქნება!

– განა ეს საჭიროა? საწყალ ქალს რა მოვუმიზეზო.

– კარგად იყავი, როგორც მოიქცევი, ჩვენი ურთიერთობაც ისეთი იქნება! – ყარამანმა ყურმილი დადო.

– კიდევ უფრო მაგრად უნდა გეთქვა. უყურე მაგ შობელძაღლს, როგორ წაიგრძელა ენა! – ლავაშა გაბრაზდა.

– ჯერ ის დედაკაცი მოხსნას, ისეთ ხრიკს მოვდებ, რომ დღევანდელი ყბედობა ჯოჯოხეთის აღლუმად ექცეს... ყარამანი მოკვდეს, თუ ვინმეს წყენა დაივიწყოს!

– ჩავუვლი და ვეტყვი, აღვირს დაუჭიროს თორემ... ყველაფერს მივახვედრებ. ერთხელ კიდევ იმ ნაბიჭვარს მოვიგდებ ხელში და მაგრად გავასილაქებ! – დაიმუქრა ლავაშა, თან დააყოლა: – ბიჭი როგორ არის?

– ბიჭი ვაჟკაცურად არის. სკოლაში კი ამბაკო სიმონიჩმა რევიზია ჩასვა... იმ დირექტორს კინწისკვრით გამოაგდებენ.

– ჰაი დედასა! რა ძალა გაქვს, ყარამან ვასილიჩ. ერთი თითის გატოკება და გათავებულია საქმე; იმიტომაც გაფასებს ყველა, – ლავაშამ შეაქო.

– რა ვქნათ, ფრიდონ, თუ ხალხს თავი არ გააცანი, ხომ იცი, ისე ზედ არავინ შემოგხედავს.

– ჰო, ეგრეა, იმასაც ეგრე დაემართა.

– რომელ იმას?

– ავარია რომ მოახდინა და კაცი შემოაკვდა.

– რას ამბობს?

– ორმოცდაათზე თანახმა ვარ თუ არ დამიჭერსო.

– დროზე გამოუშვას.

– ყველაფერი რიგზე იქნება.

– მაშინ ჩათვალოს, რომ უდანაშაულოა.

– იმ ბიჭის მშობლებიც იყვნენ ჩემთან.

– რომელი ბიჭის?

– კლუბში ორი კაცი დანით მძიმედ რომ დაჭრა. მაგას ადრეც აქვს ჩადენილი მსგავსი ხულიგნობა, მაშინ ერთი დაჭრა, ახლა ცოტათი გააუმჯობესა.

– ცოტათია რომ გააორმაგა?

– თუ გახსოვს, მაშინ შენ უშველე. იმისმა მამამ მითხრა: ოღონდ არ დაიჭიროს და რაც უნდა მთხოვოს, სახლ-კარს გავყიდი და მივცემო. აი დაზარალებულები კი ვერაფრით დააწყნარა.

– იმათ მოკეტონ, თორემ მაგ ბიჭის მაგიერ ორივეს ჩავაყუდებ! საქმის შებრუნებას რა უნდა. მექოთნე მე ვარ და ყურს საიდანაც შევაბამ ჩემი საქმეა. იმ ბიჭის მამას შვილს დავუჩაგრავ? გადაეცი, მშვიდად იყოს.

– მაყუთს ჩემგან მიიღებ. იმ ბიჭის მამა ქუჩაში მელოდება, გავახარებ, თორემ დადნა კაცი. მოკლედ, გაჭირვებული კაცის იმედი ხარ, შენი ამაგი ამ ხალხმა როგორ უნდა დაივიწყოს.

– ეხ, ფრიდონ, ჩემი მოწოდება ხალხის სამსახურია, ვინც გამიგებს რა კარგი, ვინც არადა, რა ვქნა, კისერიც უტეხია.

– თვითონ თუ არ მოიტეხს, ჩვენ აქ რისთვის ვართ, იგრე მოვუგრეხავთ, რომ თავის სიცოცხლეში მოგრეხილი დარჩეს, – ლავაშა ადგა, – საღამოზე ლოქო გვექნება ქინძმარში; უშენოდ რა მადლი ექნება ჩვენს გართობას.

– მაგარი ხარ, ლავაშ, მაგარი! – ყარამანმა მხარზე დაარტყა ხელი.

## ანიკოს სამსახური აუკრძალეს

**გაბოს** დედა სახლში ჩვეულებრივზე ადრე დაბრუნდა. აღელვებული ჩანდა, მაგრამ ცდილობდა, გაბოს არ შეემჩნია. სულ ბაღჩაში მუშაობდა; შვილის ერიდებოდა.

გაბოსაც უხაროდა, რომ სკოლის შესახებ არაფერს ეკითხებოდა, მაგრამ აშკარად გრძნობდა, რაღაც არასასიამოვნო რომ შეხვდა დედას... გაგება უნდოდა, მაგრამ როგორ?

დედამ ბაღჩაში მუშაობა დაამთავრა, ახლა სამზარეულოში ტრიალებდა. გაბო თარსოს გვერდით მოსჯდომოდა, თავზე ხელს უსვამდა და შეპარვით სახლისკენ იყურებოდა.

– გაბო! – ვიღაცამ დაიძახა.

გაბომ ალაყაფის კარები გააღო და გაშეშდა, მის წინ ფიზკულტურის მასწავლებელი ზაქრო და სკოლის დირექტორი იდგნენ. ხმის ამოღება ვერ მოახერხა.

– დედა სახლშია? – ჰკითხა კოტემ.

– სახლშია, – გაბომ ენა ძლივს მოაბრუნა.

– თუ ძალიან ნაწყენი არა ხარ, სახლში შეგვიპატიჟო იქნებ, – ღიმილით უთხრა ზაქრომ.

– მობრძანდით! – სტუმრები მოკრძალებით შეიპატიჟა და თარსო დატუქსა.

– სტუმრებს არ მიიღებ, ქალბატონო ანიკო? – კოტემ დაუძახა.

– ვაიმე, თქვენს მოსვლას როგორ ვიფიქრებდი! – ანიკო ფართუკზე ხელების წმენდით შეეგებათ. – ცოტა ხანს ისაუბრეთ, მე სუფრას გავაწყობ, – მოულოდნელობით დაბნეული დაფაცურდა.

– არაფერი არ გვინდა, ჩვენთან ერთად დაბრძანდით, ვისაუბროთ, გაბოსთანაც გვაქვს სათქმელი, მერე კი თითო ჭიქა ღვინოზედაც არ ვიტყოდით უარს, – თქვა კოტემ.

გაბო კარებთან ატუზული იდგა.

– გაბო, ჩემზე ნაწყენი ხარ? – შეეკითხა კოტე.

– არა, მას! – გაბომ თავი ჩაღუნა.

– აბა, სკოლაში რატომ არ დადიხარ?

გაბომ დედას წარბებქვეშიდან გახედა, აინტერესებდა ამ ამბის გაგება მასზე როგორ იმოქმედებდა... დედას არაფერი არ შეუტყვია.

– რა გეწყინა, ბიჭო, იმ ნებიერს რომ ურტყი, შენიშვნაც არ გინდოდა?! – ზაქრომ უსაყვედურა.

– შენიშვნაც არის და შენიშვნაც, მე ცოტა მკაცრად ვუთხარ და გაიბუტა, – გამოექომაგა კოტე.

– ვის ებუტები, თუ იცი! ბოდიშის მოხდის მაგიერია, ველურივით რომ გამოვარდი სკოლიდან და ახლოს აღარ გვეკარები! შენ, ჩემო გაბო, ნამდვილად ტყუიხარ! – ზაქრომ გაბოს შეხედა, ის კი იატაკს ჩაშტერებოდა, – აიხედე მაღლა და თქვი სათქმელი.

– პირველად მე არ გამირტყამს, – გაბომ ყელში გაჩხირული ბურთი ძლივს გადაყლაპა.

– ჩვენ ყველაფერი ვიცით, შენ კი ასე გაველურება არ გეკადრება!

– რა ქნას, მე ვუთხარ, გარიცხული ხარ-მეთქი და მაგანაც დაიჯერა, – ღიმილით შენიშნა კოტემ.

– თუ იცი, შენი საქციელის გამო რა ხდება ჩვენს სკოლაში. დღეს დილიდან რევიზია ზის და ყველა კუთხე-კუნჭულს ამოწმებენ. შენზე ამბობენ, ხულიგანი და უცოდინარიაო, როგორ დავუმტკიცოთ, რომ ასე არ არის? სკოლაში რატომ არ დადიხარ?! – უყვირა ზაქრომ. – იცი, რომ ეს ბრძოლიდან გაქცევაა, შენი ამხანაგების ღალატია.

– ვტყუივარ, მას, – ძლივს გასაგონად თქვა გაბომ.

– წადი ახლა, შენი თანაკლასელები მოძებნე, ღამის გათევაც რომ დაგჭირდეთ, ყველა მომზადებული მოდით. გასაგებია?!

– გავიგე, მას, – ახლა უკვე ღიმილით უთხრა გაბომ და სახლში შევარდა, მალე იღლიაში რამდენიმე წიგნამოჩრილი გამოვიდა.

– გაბო! – ზაქრომ დაუძახა. – აბა, შემომხედე.

გაბომ თავისი ალალი თვალები ღიმილით შეანათა.

– ხომ ხარ ვაჟკაცი?!

გაბომ მხრები აიჩეჩა.

– მიდი და დაამტკიცე, რომ ვაჟკაცი ხარ!

მთელი ამ ხნის განმავლობაში კოტე იღიმებოდა. ანიკოს მიმართა: – კარგი შვილი გყავს, ქალბატონო ანიკო, ამით მაინც ხარ ბედნიერი.

– რა ვქნა, მგონია კარგად იზრდება, ახლა კი ეს რა მეხი დაგვეცა... ჩვენ დაჩაგვრალა გვინდოდა?! – ცრემლები ვეღარ შეიკავა.

– არა უშავს რა, პატარა ჩხუბი მოუვიდათ და მორჩა. ხვალიდან ყველაფერი

თავის ადგილზე დადგება.

– განა შეიძლება ის პატარა ჩხუბი ოჯახისთვის ტრაგედიად იქცეს?! უფროსმა დამიბარა და მითხრა, რაც უნდა მოხდეს, შენი მომხსნელი არა ვარო. არადა, მემუქრება, შეგამოწმებ და დაგღუპავო. მერე ლავაშა მოვიდა, დირექტორს დიდხანს ელაპარაკა. ის რომ წავიდა, უფროსმა გამომიძახა, რა ვქნა, ისე გადამეკიდა, არც მე და არც შენ ხეირს არ დაგვაყრისო... სჯობია, განცხადება დაწერო და წახვიდეო, – ქალმა ცრემლები მოიწმინდა.

– მაგ ადამიანის ღვარძლით არც ჩვენ გვადგას კარგი დღე.

– თქვენგან რაღა უნდა?

– გაბოს დაკითხვა მოინდომა, ამ თავმოყვარე ბიჭისთვის შეიძლება მომავალი სულ გაეფუჭებინა, ამის ნება არ მივეცით და...

– დიდი მადლობა, რომ იმ მხეცს ჩემი გაბო არ დააჩაგვრინეთ! – ქალს ისევ მოადგა ცრემლები.

– ახლა რას აპირებ, სად უნდა იმუშაო? – ზაქრომ ჰკითხა.

– რა ვიცი, სხვაგან კი მომასვენებს? იმ ლავაშას უთქვია, რაიონში მაგას სამსახურს ვერავინ მისცემსო. რა მეშველება! გაბო რომ გაიგებს, ძალიან დაიჩაგრება, მგრძნობიარე ბიჭია.

ზაქრო ჩაფიქრდა. კოტე ხელებს იფშვნეტდა და დროდადრო ამბობდა: – ხედავთ, რა ხდება?!

ზაქრო ფიქრებიდან გამოერკვა: – გაბოს არ გააგებინო, რომ არ მუშაობ, – იმედის მომცემად უთხრა.

– თვითონ მიხვდება, როდემდის დავუმალავ, ყოველდღე სახლში რომ მნახავს.

– რამდენიმე დღე რაიმე მოიმიზეზე, პატარა იმედი მაქვს და ენახოთ.

საუბარი დიდხანს გაუგრძელდათ.

...გაბო რომ სახლში დაბრუნდა, კოტე ბოლო სადღეგრძელოს სვამდა.

## ჰამლეტის ჯავრი აქვთ

**სკოლაში** დილიდანვე დიდი დაძაბულობა იყო. მასწავლებლები და მოსწავლეები ფეხაკრეფით დადიოდნენ საგანგებოდ დასუფთავებულ ტალანებში და ჩურჩულით საუბრობდნენ – ამდენი შემმოწმებელი ერთად არასდროს უნახავთ.

მეცხრე კლასი მთელი შემადგენლობით გამოცხადდა. ყველა თავის მერხთან იჯდა და რაღაცას კითხულობდა. მარტო ჰამლეტი დადიოდა გაფხორილი მამალივით, ტალანში სეირნობა მოსწყინდა, კლასში შევიდა, ყველას ამაყად გადახედა და გაუკვირდა, გაბო თავის ადგილზე რომ დაინახა. მამამ ხომ უთხრა, მაგ ბიჭს სკოლაში არ გავაჭაჭანებო, ისიც იცოდა, რომ ამჟამად სკოლაში რაც ხდებოდა, მისი მამის დამსახურება იყო. მაგ დირექტორს კინწისკვრით გამოვაგდებო, დაიმუქრა. ჰამლეტის ყოყლოჩინობას მეტი რა უნდოდა; ისიც მოისმინა, რომ გაბოს დედა უკვე გამოაგდო სამსახურიდან, ჰოდა, გაამაყებული ისეთი სახით დადიოდა, თითქოს ამ შემოწმების ხელმძღვანელიაო.

პატარა გაუგებრობამ მაინც დააფიქრა, როგორ მოხდა, რომ გაბო კლასში შემოუშვეს? ალბათ, მამამ არ იცის, თორემ დღესვე მოხსნის დირექტორს. სახლში რომ მივა, მაშინვე ეტყვის და მერე ნახონ, თუ რა დღეში ჩაყრით.

თავის მერხთან დაჯდა და კლასს ამაყად გადახედა. ყველას წიგნში ჰქონდა თავი ჩარგული. „გეშინიათ?“ – გაიფიქრა, – „თქვენ ეგრე გინდათ. ჯერ მოვიდ-

ნენ მამაჩემის გამოგზავნილი კაცები, ვნახოთ, რა ხმაზე დაიმღერებთ!“ კლასში გაბმული ზუზუნი ისმოდა, სალაპარაკოდ და სამასხროდ არავის ეცალა.

ჰამლეტს ჯდომა მოსწყინდა, ადგა, ჯიბეებში ღრმად ჩაიწყო ხელები და სეირნობა დაიწყო. ტალანში გავიდა; იმ დღეს ის ერთი მოსწავლე იყო, რომელიც ტალანში დასეირნობდა.

ზარი რომ დაირეკა, კლასში პირველი ჰამლეტი შევიდა, მას ხუთი შემმოწმებელი შეჰყვა. მოსწავლეებმა მათ შორის ქიმიის მასწავლებელი კლარა ხელაძე და სკოლის დირექტორი იცნეს. დანარჩენები: შუახანს გადაცილებული, ჩასუქებული, მელოტი კაცი; მოპრანჭული, დაბალი, მოკლეკისერა ქალი და მაღალი, გამხდარი, საფეთქლებთან ჭაღარაშერეული, სათვალიანი კაცი პირველად ნახეს.

დირექტორი და მელოტი კაცი უკანა მერხთან ჩამოსხდნენ. მოპრანჭული ქალი და სათვალიანი კაცი კლარა მასწავლებელთან ახლოს ფანჯარასთან მდგარ სკამებზე დასხდნენ.

– ბავშვებო, დღეს გაკვეთილზე სტუმრები გვესწრებიან, – ხმის კანკალით დაიწყო ქიმიის მასწავლებელმა, – ნუ აღელდებით, ჩვეულებრივ როგორც ჩაგვიტარებია, ისე ჩავატარებთ გაკვეთილს; შეკითხვებზე პასუხები კარგად მოიფიქრეთ, დინჯად და სწორად მიპასუხეთ.

ბოლო სიტყვაზე სათვალიან კაცს გაეცინა: – დინჯად და სწორად პასუხი აუცილებელია, – ჩაილაპარაკა.

ჰამლეტს კი ყველაზე ძალიან ის გაუხარდა, მასწავლებელმა რომ თქვა, გაკვეთილი როგორც ჩაგვიტარებია, ისე ჩავატარებთო; მაშინვე თავის ქნევა დაიწყო.

– ახლა რამდენიმე მოსწავლეს გაკვეთილს გამოვკითხავ, მერე ახალ მასალას ავხსნი და თუ დრო დაგვრჩება, განვლილი მასალიდან შეკითხვებს დავსვავ. სიის წაკითხვას აღარ შევუდგები, რადგან ვხედავ, რომ ყველა ადგილზე ხართ. აბა, გაკვეთილს ვინ მოყვება? – მასწავლებელმა კლასს თვალი მოავლო.

როგორც წესი, ჰამლეტს ხელის აწევა ვერავინ დაასწრო.

– მოდით, დღეს შეკითხვებს უპასუხონ, ასე უფრო ბევრის გამოკითხვას შევძლებთ, თანაც ყველა მოსწავლის მომზადების დონეზე წარმოდგენა შეგვექმნება, – თქვა სათვალიანმა კაცმა.

– კი, ბატონო, როგორც გენებოთ! – აშკარა უკმაყოფილო ტონით თქვა კლარა მასწავლებელმა.

სათვალიანმა კაცმა ამას ყურადღება არ მიაქცია და კლასს მიმართა: – მაშ ასე, ბავშვებო, ჩვენ კითხვას დავსვამთ, ვინც მზად იქნება, ხელი ასწიოს. თუ შეკითხვა გაუგებარი იყოს, გვითხარით, ვეცდებით, უფრო გასაგებად ავხსნათ. შევთანხმდით?

– შევთანხმდით, – ყველამ ერთხმად უპასუხა.

– ჯერ ქიმიის ძირითადი კანონები გავიხსენოთ. აბა ვინ ჩამოთვლის ამ კანონებს?

– ჰამლეტმა ხელი პირველმა ასწია. სათვალიანმა იფიქრა, ალბათ ეს ყველაზე ძლიერია, უფრო სუსტს შევეკითხებიო და დაუცადა, ხელს ვინც ყველაზე ბოლოს ასწევდა; არჩევანი ახმახ შალვაზე შეაჩერა. მანაც წვალებით, მაგრამ ბოლომდე ჩამოთვალა.

– კარგია. ახლა ეს კანონები ცალ-ცალკე განვმარტოთ. ვინ მეტყვის, რაში მდგომარეობს მასის მუდმივობის კანონი?

ერთმა გოგომ უპასუხა.

– ახლა შედგენილობის მუდმივობის კანონი ვთქვათ.

უპასუხეს.

– კარგია. ახლა ექვივალენტის კანონზე გვითხრას ვინმემ. აბა, ამ ბიჭს ვკითხოთ, – სათვალიანმა არჩევანი ჰამლეტზე შეაჩერა. – რა გვარი ხარ?

– ბენაშვილი, – ჰამლეტმა სწრაფად უპასუხა. – უნდა ეთქვა, პროკურორ ყარამანის ბიჭი ვარო, მაგრამ სათვალიანმა ჰკითხა:

– რას გვეტყვი ექვივალენტის კანონის შესახებ?

– ექვივალენტის, ექვივალენტის კანონი არის, არის, – ჰამლეტმა თავის გვერდით მჯდომ მოსწავლეს გადახედა, იქნებ მიკარნახოსო. მან რომ ყურადღება არ მიაქცია, მუჯლუგუნი წაჰკრა, თან გააგრძელა: – ექვივალენტის კანონი არის...

– არის, არის, – მეზობელმა ღიმილით გამოაჯავრა.

– ელემენტის ქიმიური ექვივალენტი ჰქვია მის ისეთ რაოდენობას, რომელიც უერთდება წყალბადის ატომის ერთ მოლს ან... აბა დამეხმარე, – სთხოვა სათვალიანმა.

– ან, ან, მოლს, ან, – ჰამლეტი აბლუკუნდა.

– ან ჩაანაცვლებს მათ ქიმიურ რეაქციაში.

– ან ჩაანაცვლებს მათ ქიმიურ რეაქციაში, – ჰამლეტმა გაიმეორა.

– აბა, იქნებ სხვანაირად გვითხრა.

ჰამლეტმა პირი გააღო, მაგრამ ვერაფერი თქვა.

– ნივთიერებები ერთმანეთთან ურთიერთმოქმედებენ თავიანთი ქიმიური ექვივალენტის პროპორციული რაოდენობით, ასეა? – შეეკითხა.

– ასეა, სწორედ ასეა! – ჰამლეტი დაეთანხმა.

– რას უდრის ექვივალენტი?

ჰამლეტმა პირის ისევ გააღო.

სათვალიანმა შეხედა: – კარგი, შენ დაჯექი. აბა, ამ შეკითხვაზე ვინ მიპასუხებს? – სათვალიანმა კლასს თვალი გადაავლო, ხელს მარტო გაბო ეწეოდა. ცოტა მოიცადა, იქნებ სხვებმაც ასწიონო ხელი. რამდენიმე მოსწავლემ და, მის გასაკვირად, ჰამლეტმაც ასწია ხელი.

– გაიხსენე არა?

– გავიხსენე, – ჰამლეტმა თამამად უპასუხა.

– კარგია. ამჯერად იმ ახალგაზრდამ გვიპასუხოს, – სათვალიანმა ხელი გაბოსკენ გაიშვირა.

– ექვივალენტი ტოლია ატომური წონა გაყოფილი ვალენტობაზე, – უპასუხა გაბომ.

– სწორია. კიდევ რა ძირითადი კანონი იცი?

– ჯერად შეფარდება, ანუ დალტონის კანონი, – უპასუხა გაბომ და კანონის შინაარსიც იქვე განმარტა.

– კიდევ რა კანონია? – სათვალიანი არ მოეშვა.

– მოცულობითი შეფარდების კანონი, – უპასუხა მან და წესიც განმარტა.

– კიდევ?

– ავოგადროს კანონი, – განმარტებაც სხაპასხუპით ჩამოაყალიბა.

– რას ნიშნავს ნორმალური ფიზიკური პირობები? – სათვალიანი შეკითხვებით გაერთო.

– 0 გრადუსი ტემპერატურა 76 მმეტრი წნევის დროს, ანუ 273 კელვინით, ანუ 11325 პასკალით. ამ პირობებში ერთი მოლური მოცულობა 22,4 ლიტრს

იკავებს, – სწრაფად უპასუხა.

– ყოჩაღ, კარგი ბიჭი ყოფილხარ! რა გვარი ხარ?

– ცისკარიშვილი.

– რა ნიშნებზე სწავლობს? – სათვალიანი კლარას მიუბრუნდა.

– ფრიადოსანია, მთელი სკოლის სიამაყეა! – უპასუხა სიხარულით ფრთაშესხმულმა კლარამ.

– ვნახოთ, ვნახოთ, – ჩაილაპარაკა სათვალიანმა და შეკითხვები გააგრძელა.

– ახლა ენერგეტიკულ დონეებზე ვისაუბროთ.

– რამდენი ძირითადი დონე აქვს ელემენტის ატომს? – კლასს გადახედა, ხელს მარტო გაბო და ჰამლეტი ეწეოდნენ. ცოტა ხანს მოიცადა და არჩევანი ჰამლეტზე შეაჩერა.

– აბა, შენ გვითხარი, – ჰამლეტი დაბნეული ადგა და მოწყალების მთხოვნელი თვალით კლარა მასწავლებელს გადახედა, პირი ჩვეულებრივ გააღო, მაგრამ ვერაფერი თქვა.

– კა, – მიეშველა სათვალიანი.

– კა, – ჰამლეტმაც გაიმეორა.

– ... ელ-ი.

– ელ-ი, – ისევ გაიმეორა.

– ბიძია, არ გცოდნია, ხელს რატომ ეწევი? – სათვალიანმა მოთმინება დაკარგა.

– ცისკარიშვილმა გვიპასუხოს, – გაბოს მიუბრუნდა.

– ძირთიადი ენერგეტიკული დონე შვიდია: კა, ელ, ემ, ენ, ო, პე და ქუ. არის კიდევ ოთხი ქვე დონე. ესენია: ეს, ჰე, დე და ეფ-ი. ეს დონეს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი ორბიტალი, ჰეს – სამი, დე-ს...

– მოიცა, მოიცა! – სათვალიანმა სიცილით შეაჩერა, – ისე ვატყობ... შენი სახელი?

– გაბო.

– ისე ვატყობ, ჩემო გაბო, მთელ ქიმიას გადმოგვილაგებ, თუ არ შეგაჩერეთ.

– იშვიათი ყოჩაღი ბავშვი ჩანს! – შენიშნა მელოტმა.

– სწავლაში და ყოფაქცევაში სამაგალითოა, – დირექტორმაც არ დააყოვნა.

– დანარჩენ ქვედონეებზე ვინ გვესაუბრება?

რამდენიმე მოსწავლესთან ერთად ჰამლეტიც ეწეოდა ხელს.

სათვალიანმა ისევ ჰამლეტზე შეაჩერა არჩევანი.

– თქვენი სახელი?

– ჰამლეტი.

– აბა, ჰამლეტ, დანარჩენ ქვედონეებზე შენ გვესაუბრე.

ჰამლეტმა პირი ისევ დააღო.

– კარგი, დე დონეს რამდენი ორბიტალი შეიძლება ჰქონდეს?

ჰამლეტმა მეზობელს შეხედა.

– ასიდან ორასამდე, – ჩაიჩურჩულა მან.

– ასიდან ორასამდე, – ჰამლეტმა სიხარულით უპასუხა.

კლასში სამარისებური სიჩუმე იდგა.

სათვალიანმა სათვალე ჩამოიწია და ჰამლეტს ისე შეხედა, რატომღაც მის მინებს არ ენდო. რაღაც უნდა ეთქვა, თავი შეიკავა და სულ სხვა თქვა.

– ეფ-დონეს რამდენი შეიძლება ჰქონდეს?

ჰამლეტმა მეზობელს ხელით უჯიკავა, მანაც გულუხვობა გამოიჩინა და ათა-

სამდეო, უკარნახა.

– ათასამდე, – ჰამლეტმა გაიმეორა.

– გესმით? – მოპრანჭულ ქალს მიუბრუნდა, რომელიც დამცინავად იღიმებოდა. სათვალიანს თვალები შუბლზე აუვიდა.

– საოცარია, მაგ ბიჭს ვაკვირდები და ყველა შეკითხვაზე ხელს იწევს, ცოდნით კი... – ქალმა მხრები აიჩეჩა.

– მასწავლებელმა არ გითხრა, რომ დე ქვედონეს შეიძლება ჰქონდეს ხუთი და ეფ-ს შვიდი? – თქვა სათვალიანმა.

– მასწავლებელმა მაგას ისე უთხრა, როგორც ცისკარიშვილს, მაგრამ კარგ მთქმელს გამგონიც ხომ უნდა კარგი! – თქვა განაწყენებულმა კლარამ.

– კარგი, ერთ ორბიტალზე რამდენი ელექტრონი შეიძლება იყოს?! – კვლავ შეეკითხა ჰამლეტს. მან კი მეზობელს გადახედა.

– თხუთმეტი, – ჩაილაპარა მან. ჰამლეტმაც ზუსტად გაიმეორა.

– რამდენი შეიძლება იყოს? – სათვალიანი გაბოს მიუბრუნდა.

– თითო ორბიტალზე შეიძლება იყოს ორი ელექტრონი, – მიიღო პასუხი.

– როგორი მუხტი აქვს ელექტრონს? – ახლა ჰამლეტს შეეკითხა.

მან თვალები დააჭყიტა და ჭერს მიაჩერდა.

– შენ გეკითხები, ელექტრონს დადებითი მუხტი აქვს თუ უარყოფითი? – სათვალიანმა შეკითხვა დააზუსტა.

– დადებითი, – ჩაილაპარაკა მეზობელმა და ჰამლეტმაც გაიმეორა.

– ეს მოსწავლე რა ნიშნებზე სწავლობს? – მელოტმა იკითხა.

– ფრიადოსანია, – კოტემ უპასუხა.

– სასწაულია! – მელოტმა ხელები გაშალა.

– თქვენ რას იტყვით, სწორეა ამხანაგი? – სათვალიანმა ახლა გაბოს მიმართა.

– ატომის გარე ორბიტალზე მოძრაობს ელექტრონი, რომელსაც უარყოფითი მუხტი აქვს, – პასუხი მიიღო.

– პროტონებზე თუ გვეტყვით რაიმეს? – ჰამლეტს ახლა მოპრანჭული ქალი შეეკითხა.

– სადაც ელექტრონია, იქ პროტონი არ არის; არსებობს ელექტრონიანი და არსებობს პროტონიანი ატომი, – თქვა მეზობელმა და ჰამლეტმაც გაიმეორა.

კლარას ნერვიულობისაგან ქვედა ჩანა ჩამოუვარდა, აკანკალებული ხელით ჩანას იჭერდა.

– თუ დაგვისახელებ ისეთ ატომს, რომელსაც მხოლოდ ელექტრონი და ისეთს, რომელსაც მხოლოდ ნეიტრონი აქვს, – მოპრანჭული ქალი გაკვირვების გამოხატვის გარეშე შეეკითხა.

– რკინის ატომს სულ ელექტრონები აქვს, წყალბადისას კი ნეიტრონები, – ჩაილაპარაკა მეზობელმა და ჰამლეტმაც სიტყვა-სიტყვით გაიმეორა, მხოლოდ „მაგალითად" დაუმატა.

– გაგიჟდება კაცი! – მელოტმა ხელები გაშალა.

– შენ რას გვეტყვი? – მელოტმა გაბოს ჰკითხა.

– ატომს აქვს ატომგული დადებითი მუხტით – პროტონებით, მის გარშემო გარე ორბიტაზე მოძრაობენ უარყოფითი ელექტრონები. ნეიტრონს აქვს მასა და არა აქვს მუხტი; პროტონების რიცხვი ემთხვევა ატომურ წონას პლუს ნეიტრონი... – გაბო კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა, სათვალიანმა შეაჩერა.

– გაიგე რა ყოფილა? – უთხრა ჰამლეტს.

– კარგი, იქნებ გვითხრა, რამდენ იზოტოპს იძლევა წყალბადი? – მოპრანჭულმა ქალმა ჰამლეტს შეეკითხა.

– წყალბადი იზოტოპს არ იძლევა, – ჩაილაპარაკა მეზობელმა და ჰამლეტმაც თუთიყუშივით გაიმეორა.

– ბიჭო, ერთხელ ხომ გაიგე, რომ ეგ შენი მეზობელი სწორად არ გკარნახობს, უფრო კი, ეტყობა თვითონაც არ იცის; რაღა მაგის ნათქვამს ჩააჯინდი, – გაუწყრა მოპრანჭული ქალი.

– ძალიანაც ვიცი! – იწყინა მეზობელმა.

– თუ იცი, შენ გვიპასუხე, – არ დაუჯერა მოპრანჭულმა.

– წყალბადი იძლევა ორ იზოტოპს: დეიტერიუმი და ტრიტიუმი, – ჰამლეტის მეზობელი ბიჭი აღარ გაჩერდა და თან იზოტოპის განმარტებაც დააყოლა.

– რა გვარი ხარ? – ქალი შეეკითხა.

– კვირიკაშვილი გელა, – მიიღო პასუხი.

– თუ იცოდი, შეცდომით რატომ კარნახობდი?

– ხელი სულ აწეული უჭირავს და ჩვენთანაც თავი მცოდნედ მოაქვს. მე რა ყურს მიგდებს, თუ იცის როგორც არის, თქვას, ვინ უშლის?

– ჩემი ჯავრი აქვთ, მას! შურთ ამათზე მეტი რომ ვარ, – ჰამლეტმა ხმა აიმაღლა.

– ვისზე ხარ მეტი, ტყუილად რომ იწევ ხელს და არ გეკითხებიან? აჰა, ხომ ჩაგივარდა კოვზი ნაცარში, ამათ მამაშენის არ ეშინიათ; გკითხეს და დაინახეს, რის თავიც გაბია, – გაბრაზდა გელა.

– ვისი შვილია? – იკითხა მელოტმა.

– პროკურორ ყარამან ბენაშვილის, – უპასუხა კოტემ.

– ჰოოო! – მელოტმა გაიკვირა.

დანარჩენებამდე კოტეს ნათქვამმა ვერ მიაღწია და მელოტის სახეცვლით გაკვირვებული სათვალიანი კაცი და მოპრანჭული ქალი კლარას მიაჩერდნენ, მანაც განუმარტათ ჰამლეტის ვინაობა, რომელიც მიხვდა, რა ეფექტი მოახდინა შემმოწმებლებზე მისმა ვინაობამ. იგი ამაყად თავაღებული, სახეზე დამცინავი ღიმილით იდგა და დაჯდომას არ აპირებდა, თითქოს უნდოდა, ყველასთვის დაენახვებინა თავისი თავი.

– სასწაულია პირდაპირ, – ჩაილაპარაკა სათვალიანმა.

– დაჯექი, – უთხრა მან ჰამლეტს და შეკითხვები გააგრძელა.

ამის შემდეგ ჰამლეტს ხელი სულ აწეული ჰქონდა, მაგრამ მას უკვე აღარ აწუხებდნენ.

ყველა შეკითხვაზე მელოტი კაცი ჯერ ჰამლეტს გახედავდა, მერე გაკვირვებული კოტეს მიაჩერდებოდა.

– კომისიის თავმჯდომარეც რომ არ ვიყო და შემთხვევით ვესწრებოდე ამ ამბავს, მაშინაც ერთს ვიტყოდი, სულ რომ იდეალურად გქონდეს სკოლაში საქმე, მარტო ამ ბავშვის გამო იმსახურებ მოხსნას, ჩემო ბატონო! – მწარედ თქვა მელოტმა.

– სრული ჭეშმარიტებაა და პრეტენზია არ მაქვს. მაგრამ არც მაგის გამზრდელს შეეფერება ის მაღალი პოსტი, რომელიც უკავია, და ნურც ის დაგავიწყდებათ, რომ ჩვენი პატარა პრინციპულობის გამო ხართ აქ, – კოტეს პასუხი ზარის დარეკვას დაემთხვა. ყველამ შვებით ამოისუნთქა...

# კვირიკე მეცნიერი

**ᲑᲐᲑᲝᲡ** დედამ რამდენიმე ორგანიზაცია მოიარა, სამსახურს დიდი იმედებით ჰპირდებოდნენ, მაგრამ როგორც მათთვის ცნობილი ხდებოდა, რომ ყარამანი ამ ქალზე განაწყენებული იყო და ვინც მას მიიღებდა, ყარამანის რისხვა არ ასცდებოდა, მაშინვე ცივი უარით ისტუმრებდნენ.

ასე გავიდა ორი კვირა, სამუშაოს შოვნის ყველა იმედი ამოიწურა. „ამ რაიონიდან უნდა გადავსახლდეთ, თორემ ჩვენი საშველი არ არის“, – ფიქრობდა, მაგრამ ვერ წარმოედგინა, სხვაგან გადახვეწილს როგორ უნდა ეცხოვრა.

ზაქრომ მეორე დღესვე დაიწყო ანიკოსთვის სამსახურის ძებნა, მაგრამ უშედეგოდ,. ყველგან ყარამანის ღვარძლი და მუქარა ეღობებოდა. ბოლოს მიწათმოქმედების საცდელი სადგური გაახსენდა, დირექტორად ხომ მისი მეგობარი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი კვირიკე სიხარულიძე მუშაობდა. „კვირიკე მუქარას არ შეუშინდება, თანაც ანიკო თავისი საქმის კარგი მცოდნეა, უსათუოდ მოეწონება“, – გაიფიქრა.

იმავე საღამოს ბინაზე მიაკითხა. კვირიკე შარვალაკეცილი ფეხშიშველა პამიდორს რწყავდა. ზაქროს სტუმრობა ძალიან გაუხარდა. სასწრაფოდ ხელადით ღვინო, პური და ყველი გამოიტანა. დიდი კომშის ძირში ჩამოსხდნენ... კვირიკემ თავისი ბაღჩიდან კიტრი, პომიდორი, მწვანილი და ბოლოკიც დაუმატა.

– შენი სტუმრობის სადღეგრძელო იყოს, ზაქრო, დღეში ათჯერ რომ მოხვიდე, სიხარულით დაგხვდები; ვერც ღვინოს გამომილევ. მომწყინდა მარტო ყოფნა, გულს შრომას თუ ვაყოლებ. მეურნეობა კარგი მოვაწყე, სამ ღორს ვასუქებ, შემოდგომაზე უშენოდ არ დავკლავ, – შეპირდა კვირიკე.

– როგორ მიყვარს ღორის მწვადები. შენ კარგად მიმიხედე. დაკვლა და შაშხის მომზადება ჩემზე იყოს; არც მწვადის ჭამას და ვარხალალოს დაგზარდები. შენი ბარაქიანი მეურნეობისა იყოს! – ზაქრომ გამოცლილი ჭიქა მწვანილის გროვაზე დააგდო.

– რას გაუწყერ, ჯერ კიდევ გვარიან სამსახურს გაგიწევს. ოცამდე სადღეგრძელო მარტო მე მაქვს სათქმელი.

– პერსპექტივა მომაჯადოებელია, მაგრამ მანამდე ჩემი მოსვლის მიზეზი უნდა გითხრა, მერე რომ აზრები არ ამებლანდოს.

– ეს მიზეზი არ არის? – შუბლგახურებულმა კვირიკემ სველ ხელადას ხელი შემოჰკრა.

– ძალიან სერიოზულ საქმეზე ვარ მოსული. შენი ვაჟკაცობის იმედი მაქვს; ჩემზე მეტად განიცადო იქნებ...

– რაშია საქმე? – ფეხმორთხმით მჯდარი კვირიკე ამბის მოყოლას დაელოდა.

ზაქრომ ხელადიდან რამდენიმე ყლუპი მოსვა და თხრობა დაიწყო. დაწვრილებით მოუყვა გაბოს და ჰამლეტის ჩხუბის ამბავი და აქედან გამომდინარე გართულებები.

– საწყალი ქალი საუკეთესო მბეჭდავია. სხვა შემთხვევაში აქეთ შეეხვეწებოდნენ, მაგრამ ახლა ყარამანის შიშით ახლოს არ იკარებენ; იქნებ შენ მოუხერხო რამე?

– ეს რა უკანონობაა! – კვირიკემ შეიცხადა.

– უკანონობაა თუ კანონიერება, დღეს ორივე მაგის ხელთაა და თავის ინტერესებისათვის იყენებს.

– თაფლში ხელს ილოკავს, არა?

– ისე ილოკავს, ლამის ხელიც მოიჭამოს; ჰა, რა მოიფიქრე?! – ზაქრო ვეღარ ითმენდა.

– კარგი მბეჭდავი ნამდვილად მჭირდება, შტატიც მაქვს, მაგრამ...

– რაღა მაგრამ, ვინმე მუშაობს?

– არა მუშაობს, მაგრამ...

– რა მაგრამ, მაგრამ აგიტყდა! თუ არავინ არ მუშაობს, ამაზე უკეთესი რაღა გინდა, შე ოხერო! იქნებ სხვებივით ყარამანის შენც გეშინია?!

– რომ მეშინოდეს, რა გასაკვირია, მაგრამ...

– მორჩი ეგ მაგრამ! – ზაქრომ იყვირა.

– მაგრამ იცი რა? მაგ შტატში ერთი აბიტურიენტი მყავს მიღებული; ერთმა მთხოვა და... თორემ ყარამანისა სულაც არ მეშინია.

– ვინ არის აბიტურიენტი?

– ისეთი არავინაა, მაგრამ...

ზაქრომ ამ ახალ მაგრამზე კბილები გააკრაჭუნა.

– ჩემი ხათრიანი ხასიათი ხომ იცი, უარი ვერ ვუთხარ.

– კარგი ხათრია, ჩემმა მზემ, მბეჭდავის ადგილზე უსაქმურის გაფორმება.

– რა ვქნა, ზაქრო, მერიდება, იმ კაცს უარს ვერ ვეტყვი, თორემ ხომ იცი, მაგრამ...

– მაგრამ ის, რომ იმ ფულს შენ იჯიბავ! – ზაქრომ მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი მკერდეზე მიაბჯინა.

– ეს რა მკადრე?! – კვირიკე ყურებამდე გაწითლდა.

– როგორ გკადრე და ისე. იმ ხელფასს შენ ითვისებ! თუ ეგრე არ არის, დამიმტკიცე!

– ყველა საფიცარს გეფიცები!

– დაფიცება ყველა მატყუარას შეუძლია. დამიმტკიცე, რომ არ ითვისებ!

– როგორ დაგიმტკიცო, იმის მშობელს მოვიყვან და ვათქმევინებ, რომ ყოველი თვის ბოლოს მოდის და ზუსტად იმდენი მიაქვს, რაც ეკუთვნის.

– მე იმის დედა ვატირე! საიდან ეკუთვნის, ოფლი დაღვარა?! რატომ ის აბიტურიენტი არ მოდის?

– აბიტურიენტს არ ვიცნობ.

– შე ბოთე, იქნებ უკვე მოწყობილია, მაგრამ როგორ დამაჯერებ, რომ იმ ფულს შენ არ ითვისებ!

– მთელი წელია იმის მამას ისე მიაქვს ფული, ჩემთან ერთხელაც არ მოსულა. გზაში რომ მხვდება, მერიდება, თითქოს მის მიმართ დანაშაული ჩამედინოს. გჯერა, ზაქრო?! – კვირიკემ მეგობარს მოწყალების მთხოვნელი თვალებით შეხედა.

– ამგვარ კაცს სწირავ შენს პატიოსნებას?! საქმე საქმეზე რომ მიდგეს, ფულების მითვისებას პირველი ეგ დაგაბრალებს. ამას ჩემი თხოვნის გულისათვის არ გეუბნები, თუმცა ძალიან მინდა იმ ქალის დასაქმება. იცოდე, ეგ მაიმუნობა თუ დროზე არ აღკვეთე, დაიღუპები და ღირსიც იქნები. ამიტომ, რომ არ დაიღუპო, მე თვითონ მივალ იმ კაცთან და ვეტყვი, თუ კიდევ მისულხარ ურგები ხელფასის ასაღებად, ინსტიტუტში გავაგებინებ, რომ ყალბი ცნობა გაქვს და ქვეყანას შეგიყრი-მეთქი, გაიგე?! თუ საჭირო გახდა, გაგიბრტყელებ კიდეც.

– მოიცა, ზაქრო, დაწყნარდი. მეც ვატყობდი, სწორედ რომ არ ვიქცეოდი, მაგრამ გამბედაობა არ მყოფნიდა. კიდევ კარგი შენ მოხველ, თორე ვინ იცის,

რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ასე. თანაც ის კაცი სულ გამირბის, ლამის მტრად გადამექცეს.

– ალბათ, ის აბიტურიენტი მოაწყო და ფულის აღების სიტკბოს ვეღარ შეელევია; შენ კი წუწკი მელასავით გაგირბის, რადგან ქურდობს. ვაი, შე დოყლაპია! შემეძლოს მაინც ამოვანთხიო, რაც აქ ვჭამე და ვსვი.

– წმინდა გიორგივით გამომეცხადე და ეს ტვირთი მომხსენი, თვალები ამიხილე, – კვირიკემ ორი ჭიქა დაიდო მარცხენა ხელის გულზე და ისე ჩქაფჩქაფით დაასხა, გადავსებულიდან გადმოიღვარა, – ამ ჭიქით ჩემი ხსნის სადღეგრძელოს დავლევ, ამით კი იმ ქალის სამუშაოზე მოწყობისას, – ორივე ჭიქა ჯერ-ჯერით ბოლომდე გამოცალა. – ჯერ ასე გემრიელად არ შემისვია, – თქვა და ზაქროს იმავე მეთოდით შეუვსო. – რა თქვი, რამდენი დღეა რაც გაანთავისუფლეს? – ჰკითხა.

– თხუთმეტი დღე იქნება, ალბათ.

– ჩათვალე, რომ განთავისუფლების დღიდანვე ჩემთან დაიწყო მუშაობა.

– შენ რა, დანაშაულს დანაშაული უნდა მიუმატო?

– არა, პირიქით, მინდა გამოვასწორო, იმდენი სამუშაო დახვდება, რომ თხუთმეტი დღით კი არა, თხუთმეტი თვით არ დამენანება მისი ადრე გაფორმება; თანაც ასეთი წესიერი და დაჩაგრული ქალი ყოფილა...

– შენ იქნებ ღვინო დაძმარებას გადაგირჩინო, – ზაქრომ სიცილით უთხრა და ჭიქები შეავსო.

## ამბაკოს გულახდილი საუბარი

**ამბაკო** სიმონიჩი პარტიის რაიკომის პირველი მდივანი და რაიონის პატარა მეფუკა, პარტიის ცეკა-ს პირველმა მდივანმა შევარდნაძე ედუარდ ამბროსევიჩმა მილიციის მინისტრობიდან პარტიის პირველი სკამის მონადირება რომ მოახერხა საქმის მოსკოვის დონეზე ჩაწყობის წყალობით, თვითონ ჩამოიყვანა რაიონში და მორჩილი რაიკომის წევრ კომუნისტთა ტაშის გრიალში რაიკომის პირველ მდივნად აკურთხა, რითაც პატიოსნება, დემოკრატია, ხალხის ნებასურვილი სცენაზე ილუზიონისტის სათამაშო ოინბაზობად აქცია. რაიონის კომუნისტებს წარმოდგენა რომ არ ჰქონდათ, რა კაცი იყო ამბაკო სიმონიჩი, ედუარდ ამბროსევიჩის საამებლად ასე პირმოთნედ „აირჩიეს" კაცი თავიანთ და მთელი რაიონის ხელმძღვანელად. ამგვარად, ერთი, უმაღლეს პოსტზე გამძვრალი კარიერისტ-მომხვეჭელი ავანტიურისტი კაცის ხუსტურები პარტიის ნებად ინათლებოდა. სწორედ ეს იყო იმ სოციალისტური ქვეყნის ტრაგედია, ამოდენა ქვეყანა ნაძირალათა ნება-სურვილზე რომ როკავდა. პრინციპული, ხალხის და ქვეყნის ერთგული კადრები ედუარდს ანტიხალხურ და ანტიეროვნული მიზნებისთვის არ გამოადგებოდა; ჩქარობდა ამგვარი ადამიანების მოცილებას, რამეთუ ისინი მუხთალ ჩანაფიქრს არ შეუსრულებდნენ.

ქვეყნის რღვევა და ხელმძღვანელი კადრების დანაგვიანება კი ზევიდან დაიწყო და ედუარდების მსგავსების მაღალ პოსტებზე მოსვლა უკვე აგონიას ნიშნავდა.

ამბაკო წყლული იყო, ფურუნკული დიდი საკტივარის მიერ ქვეყნის სხეულზე მიმობნეულთაგანი. ახლახან გააცილა ქალაქელი სტუმრები, რომელთაც მისი რაიონის შესახებ არნახულ წარმატებებზე შემოწმების მასალები წაიღეს. მერე მსუყედ იქეიფეს და მდიდრული ძღვენით დატვირთულები ქალაქის გზას

გაუყვნენ; ამბაკო სიმონიჩი კი თავის აღფრთოვანებულ განწყობილებასთან ერთად მის თანამოაზრეებს შეატოვეს.

ლაპარაკის საღერღელაშლილმა ამბაკომ თავის კაბინეტში შეკრიბა რამდენიმე მათგანი და გადაჭარბებული სმისგან მოწოლილ გრძნობებს გაუთავებელ ლაქლაქში აღნობდა.

– ხომ მაგარი დახვედრა მოვუწყვეთ ჩვენს საპატიო სტუმრებს, არა? – თქვა, სავარძელზე გადაწვა, გაიჭიმა და მთელი ყბით დაამთქნარა.

– ამაზე მაგარი დახვედრა აღარ შეიძლება, თბილისამდე სულ რწყევა-რწყევით ივლიან, – დაუდასტურა ყარამანმა.

– მთავარია, რაიონის წარმატებებზე მასალები არ დაკარგონ... ისე თავში ქვაც უხლიათ! – დაასკვნა ამბაკომ და გადაიხარხარა.

– მაინც რა სჭირთ ასეთი, ღვინოში რომ იხრჩობენ თავს, – აზრი გამოთქვა აღმასკომის თავმჯდომარემ.

– მაგათ წარმატება კი არა, ძღვენი და პატივისცემა აინტერესებთ. ეგრეა, ამ ცხოვრების მუღამი უნდა იცოდე, შენზე დიდი მიღწევები არავის რომ არ ჰქონდეს, თუ პატივს არ სცემ, რაღაც ნაკლოვანებებს მოგიძებნიან და ჭირად გიქცევენ; განმკითხავი ვინ არის. ის დრო აღარაა, მშიერი ბოლშევიკები არაფერს რომ არ ეკარებოდნენ პატიოსნების, წესრიგის, დისციპლინის ქადაგებით სოციალისტური კეთილდღეობის ილუზიის ტყვეობაში. მშიერი კუჭით მიიცვალნენ და ამქვეყნად გაფხეკილი შინელი დარჩათ მხოლოდ, რომელიც იატაკის ტილოდ თუ გამოდგებოდა პროლეტარული ნაგვის მოსაწმენდად. ცხვარი ბალახს ჭამს, კუჭიც ამ თარგზე აქვს მოწყობილი, მგელი კი – ხორცს, რადგან მისი კბილები და კუჭი მხოლოდ ხორცის გადასამუშავებლად გამოდგება. ვისი ბრალია ეს? ყოველივე ხომ ღმერთმა თუ ბუნებამ შექმნა; ამ ქვეყნად ვიღაცა ვიღაცას ჭამს. ასე იქნება, სანამ ეს ცოდვილი დედამიწა იარსებებს. მაშინ შენ ვინა ხარ, რომ აგიტეხია ძმობა, ერთობა, თანასწორობაო. ეს ხომ მხოლოდ თვითმარქვია მაცხოვრების ტაკიმასხრობაა. დედამიწაზე სიცოცხლე ძარცვაზე, რბევასა და ძალადობაზეა დამყარებული, შენ კი ვინა, ხარ მგელს რომ ბალახის ძოვას ავალებ? ეს ხომ თანამედროვე დონკიხოტობაა, ანდა მიუნჰაუზენის მონათხრობის ჭეშმარიტად დაჯერების დაძალებაა. ადამიანი მესაკუთრეა, რამდენიც არ უნდა იშოვოს, მაინც მეტი უნდა. ჰოდა, თუ შნო გაქვს, იშოვე. მაგრამ, ეს ოხერი სოციალისტური კანონები ამის საშუალებას რომ არ იძლევიან?! ყველანი თანასწორები როგორ უნდა ვიყოთ! მე და ის მეძროხე? მაგრამ რა გინდა, კანონი კი მოხვეჭის საშუალებას არ იძლევა და... ამიტომაა, რომ ჩვენ ერთმანეთს უნდა გავუგოთ, უნდა ვიშოვოთ, დავაგროვოთ, დრო ვატაროთ; ზევითაც მაგრად უნდა მოვუქონოთ პირი. ეს ყველაფერი ედუარდ ამბროსევიჩს კარგად ესმის და იმიტომაც გვაწვიმს გარდამავალი დროშები. მიწერებით და ფალსიფიკაციით მოსკოვს ყველაზე მაგარ მუშაკებად უნდა მოვაჩვენოთ თავი; ისინი კი ჩვენთვის ჯილდოებს არ დაიშურებენ... შედეგად საქართველოში როგორც გინდა იგრე იჯირითე.

– ეგრე უნდა იყოს, აბა, მაშ როგორ, კანონებს როგორც გვინდა, ისე უნდა ვიყენებდეთ. თქვენ მარტო მიბრძანეთ, ამბაკო სიმონიჩ, ვინც მუშარობაში ხელს გიშლით ისეთ შარს მოვდებ, ეშმაკები გაკვირდნენ; თქვენი ყველას უნდა ეშინოდეს. პატიოსანი კომუნისტობა თუ უნდათ, ჩვენს მიერ ჩადენილის დაბრალებაც უნდა უნდოდეთ და ამრიგად გვერდზე მიგდებულებმა გვიყურონ, როგორ შევჯირითდებით კომუნიზმში, დანარჩენებმა კიდევ შურის ნერწყვი ყლაპონ.

არაფერს მოვიკლებთ, ძალაც ჩვენს ხელშია და სამართალი... აბა, მოვიდნენ და გვეჭიდაონ. რა მაგის პასუხია და იმ სკოლის დირექტორი, ჩემი ბიჭი რომ სწავლობს, სწორედ ამგვარი ხეპრე ვინმეა.

– სასწრაფოდ მოაშორეთ, მაგნაირები რაიონში სულ უნდა კანკალებდნენ. ვინც მუშაობაში ხელს გვიშლის, დააბრალეთ რაც გინდათ, შეუკერეთ ბრალდებები და დაიჭირეთ! – ამბაკომ უცებ ხმას დაუწია და გააგრძელა: – ეს ჩვენი მესამე მდივანი გიორგი საყვარელიძე და მაგისთანები უნდა ამოიძირკონ. თან ისე სამაგალითოდ, რომ სხვებს ზედმეტი ყბედობის და ენაჭარტალობის მადა სამუდამოდ დაეკარგოთ. თქვენ სახელის გატეხაზე იმუშავეთ, მე კი ედუარდ ამბროსევიჩთან მაგარ კაკანათს მოვუმზადებ.

– ვინც ჩვენ საქმეში ხელს შეგვიშლის, არავის არ დავინდობ! – აქტიურობდა ყარამანი.

– ასე უნდა ვქნათ, ძველმა ბოლშევიკურმა თუ კომუნისტურმა, ენთუზიაზმზე აგებულმა პატისონებამ ჭირი მოგვჭამა! ახლა უნდა ვიცხოვროთ კაცურად, ვიქეიფოთ, იმდენი ვიშოვოთ, რომ მთელი ცხოვრება ვიგრიალოთ! – ხარხარებდა ამბაკო და დანარჩენებიც მას ასდევდნენ...

## უძლეველი სილიბისტრო

**ოცი** წუთი იქნებოდა, რაც მორიგი გაკვეთილი დაიწყო. მეცადინეობიდან თავისუფალი მასწავლებლები სამასწავლებლოში მდგარ გრძელ მაგიდასთან ისხდნენ და თავიანთი საქმეებით იყვნენ გართულნი. ზაქრო კუთხეში იჯდა და რომელიღაც ჟურნალს დაუდევრად ფურცლავდა. კოტეს, მის ახლოს წითელ მაუდგადაფარებულ მაგიდაზე მელნის ლაქები აქა-იქ სახეზე ჭორფლივით რომ დამჩენოდა, თავისი განუყრელი რვეული გაეშალა და გულდაგულ რაღაცას იწერდა.

მაგიდის ბოლოში უყურადღებოდ მიტოვებული ჭადრაკის დაფა იდო თავისი დახოცილი და სისხლისღვრას გადარჩენილი ფიგურებით. დაფაზე დარჩენილები ამაყად დასცქეროდნენ მაუდზე უწესრიგოდ მიყრილ თავიანთ თანამოძმეებს, რომელთაც გლადიატორებივით დაასრულეს მორიგი შერკინება. დაბლა დაყრილთა შორის განსხვავება გამქრალიყო, დაფაზე კი ჯერ ისევ იღრინებოდა უთანასწორობის ამაოება ძლიერებსა და სუსტებს შორის.

გაკვეთილების დაწყების ზარის ხმამ დროებით შეუნარჩუნათ ეს მდგომარეობა. მოთამაშეებმა სულაც რომ არ ისურვონ თამაშის გაგრძელება, საღამოზე დამლაგებელი მაინც მოუსვავს ხელს და ყველას ერთად ჩაყრის ხის ყუთში.

კოტემ რვეული დახურა, სამასწავლებლოს თვალი მოავლო, ყველა რაღაცით იყო დაკავებული; ფეხზე ადგა და მაგიდის ბოლოს ჭადრაკისკენ გაემართა. დიდხანს აკვირდებოდა. შავებს ლაზიერი, კუ, ორი ეტლი, ცხენი და სამი პაიკი ჰყავდათ; თეთრებს კი კუ, ცხენი, ოთხი პაიკი და სამ სვლაში მოწინააღმდეგის დაშამათების შანსი.

– ვაახხხ! ეს როგორი სიტუაცია ყოფილა, კაცო?! – ხმამაღლა გაიკვირვა.

ზაქრომ ჟურნალი მიაგდო და კოტეს მიაჩერდა.

– რა სიტუაციაა? – სხვათა შორის იკითხა.

– წარმოგიდგენია, შავები აგებენ!

– ვა, ვითომ რატომ არ ეკადრებათ შავებს წაგება?!

– იმიტომ, რომ მთელი არმია ჰყავთ, თეთრებს კი...

ზაქრო დაინტერესდა და ისიც დაფასთან მივიდა.
– ხედავ? – კოტემ აჩვენა, შავებს სამ სვლაში როგორ ექნებოდათ შამათი, თუ პირველი თეთრების სვლა იქნებოდა.
– ნაღდია, წყალი არ გაუვა, – დაუდასტურა ზაქრომ.
– არადა, შავებით მოთამაშე ისეთი ბობოქრობით გავიდა, ალბათ ერთი სული აქვს, გაკვეთილი დროზე მორჩეს, რომ თავისი ძლიერების ტრიუმფი სუყველას აჩვენოს, თუ თეთრების სვლაა და სწორად იმოქმედეს. – ნეტა ვისი სვლა იქნება? – იკითხა კოტემ.
– გეოგრაფიის მასწავლებელი სილიბისტრო, ისტორიის მასწავლებელი ბექანას ეთამაშებოდა. ტრაბახით ქვეყანა აიკლო, მიყურეთ, რა დღეში ვაგდებო. ზარი რომ დაირეკა, კინაღამ ტირილი დაიწყო, ვერ მოვასწარ ამ საცოდავის დაშამათებაო, ყველას ეხვეწებოდა, დაფა არ წაშალოთო. რა სეირი იქნებნა, ბექანამ რომ დააშამათოს.
– ამხელა ძალები ჰყოლია და...
– ბექანამ უთხრა, გნებდებით, იმან კიდევ, გინდა თუ არა ბოლომდე უნდა გეთამაშო, შენი უბედურება ქვეყანას უნდა ვაჩვენოო. არ ვიცოდი, ეგრე თუ იყო საქმე, თორე იმ სილიბისტროს ბუმბულის პენტვას ნახავდით, – ზაქრომ ინანა.
– თეთრების სვლა რომ იყოს და ბექანამ იცოდეს, რომელი ფიგურით იმოქმედოს... – კარგად მახსოვს, ბექანამ სვლა აღარ გააკეთა და სილიბისტრო ეხვეწებოდა, მოდიო. რომ გავაფრთხილო.
– კარგი იქნება. თეთრებმა თუ ცხენით სწორად ითამაშეს, გათავებულია საქმე.
– მე წავალ, ბექანას გავაფრთხილებ. შენ დაფას მიხედე, არავინ წაშალოს, – უთხრა ზაქრომ და სამასწავლებლოდან გავიდა.
ზარი დაირეკა. სკოლაში ხმაურმა იმატა. ხელჟურნალიანი მასწავლებლები რიგ-რიგობით შემოლაგდნენ; სამასწავლებლო გამოცოცხლდა.
სილიბისტროს მოახლოება მისი ხმამაღალი როხროხით გახდა ცნობილი.
– მოდით, მოდით! თქვენი თვალით ნახეთ ამ ბექანას საცოდაობა. დარწმუნდით, რა კომბინაციებს ვატრიალებ; ბუმბულს არ შევარჩენ, ბუმბულს! – სილიბისტრო ხუთიოდე მასწავლებელს სათავეში ჩასდგომოდა და იხვეწებოდა, ჩვენი შერკინების დასასრულს უყურეთო.
– რა გინდა, სილიბისტრო, ხომ გითხარ, გნებდები და მეტი რაღა გინდა? – ბექანამ ღიმილით უთხრა.
– არა, ეგრე არა! საქვეყნოდ უნდა მოგაკაკვინო თითი! აი, ეგრე! – სილიბისტრომ მარჯვენა ხელი მაღლა ასწია და საჩვენებელი თითი ყველას დასანახად მოხარა. – მოდით, გვიყურეთ! – სილიბისტრო სამასწავლებლოში ხმაურით შეიჭრა და ჭადრაკის დაფას ეცა, დააკვირდა: – ყველაფერი რიგზეა, როგორც დავტოვე, ისევ ისეა. მოგროვდით, ამხანაგებო, მოგროვდით! – სილიბისტრომ სამასწავლებლოში მყოფ ყველა მასწავლებელს ჩამოურბინა, – ნახეთ, ვინა ვარ მე, ნახეთ და დამაფასეთ უძლეველი სილიბისტრო! – მის მოწოდებას დიდი ინტერესით მიჰყვნენ.
სილიბისტრომ რა დაინახა, რომ უკლებლივ ყველა დაფის ირგვლივ წრედ შეგროვდა, ბექანას მოუხმო, რომელიც მაგიდის მეორე მხარეს ჩანთაში რვეულებს აწყობდა.
– აქ მოდი, ყმაწვილო, სახალხოდ უნდა გაგატყაო და, რაც დარჩები, ქარზე

გაფრიალო!

– რას მერჩი, სილიბისტრო, გინდა, ყველას თვალწინ დაგაშამათო? არა ვარ მე მაგის კაცი. ვთქვათ, რომ ვითომ მე წავაგე, თანახმა ხარ? – ბექანა ღიმილით გამოეხმაურა.

– გესმით, რა მკადრა, გესმით? შეხედეთ, შეხედეთ, რა დღეშია და კიდევ რაებსა ბედავს! – სილიბისტრომ ველარ მოითმინა, გაიქცა და ბექანა დაფასთან ძალათი მოიყვანა. – შენი სვლა იყო, აბა მოდი, გელოდები.

– კარგი, რახან არ იშლი, მე ამას ვითამაშებ – ბექანამ ცხენით მეფეს გზა ჩაუკეტა.

– ახლა მე მიყურე, – სილიბისტრომ თავისი დედოფალი აიღო, – ეს ჩემი დედოფალი, შენი სადღაა? აი, აქ! – დახოცილი ფიგურებიდან თეთრი დედოფალი აიღო და ყველას დაანახვა: – ფაფუ შენი დედოფალი, ცოტა ხანში მეფესაც გაგიკოჭავ და ცარიელი დამრჩები, – დედოფალით სვლა გააკეთა. – აბა, შენ რას ითამაშებ? – ბექანს ეშმაკური ღიმილით მიაჩერდა.

– მე ამას ვითამაშებდი, – ბექანმა კუ წინ წასწია.

– ახლა ერთ ფიგურას შევჭამ, – სილიბისტრომ ხელები მოიფშვნიტა.

– რაც გინდა შეჭამე, ერთ სვლაში ხელმწიფის გარეშე დარჩება შენი დონდლო არმია, – უთხრა ბექანმა ღიმილით და დაფას მოსცილდა.

– სად მიდიხარ, კაცო?!

– იფიქრე, სილიბისტრო, იფიქრე, თუნდაც გათენებამდე იფიქრე, მერე კი უსიტყვო კაპიტულაციის თეთრი დროშა გამოფინე! – ბექანამ წინადადება მისცა.

– მოდი, კაცო, მოდი! – სილიბისტრომ ხელი დაუქნია.

– შენც ეყოფი ჭირისუფლად მაგ უთაო მეფეს; რამხელა არმია დაღუპა!

სილიბისტრომ ცხენით პაიკი მოკლა. – ეს ერთი! – დაიძახა.

– ეს კი უკანასკნელი სვლა, – ბექანმა სილიბისტროს მეფეს ქიში გამოუცხადა.

სილიბისტრო შეშფოთდა. – ვახ! – დაიძახა და მეფეს ადგილი შეუცვალა. – აქ წაველ, – შვებით ამოისუნთქა.

– მანდ მიქელ-გაბრიელია, ცხენს უნდა მოაკლევინო შენი მეფე? ტყვედ ჩაბარება კი შეიძლება, – ბექანმა ხელები მოიფშვნიტა – ახლა მაგ მეფეს, შენი პირველი წინაპარიც რომ ააყენო, ველარ უშველი.

– ვააა! – აღმოხდა გაკვირვებულ სილიბისტროს.

– მაგას ვა რად უნდა, წადი და სასულე ორკესტრი დაიქირავე. მეფე იყო, უბრალოდ დაკრძალვა არ ეკადრება, – ურჩიეს მაყურებლებმა.

– რადგან მეფე იყო, ყუთში აღარ ჩააგდებენ?

– ყუთში კი ჩააგდებენ, მაგრამ მანამდე ლანძღვა-გინებით წესს აუგებენ.

– მეფის რა ბრალია, თვითონ არ იძახოდა, უძლეველი სილიბისტრო ვარო.

– გინდა მეფე დაუძახე და გინდა სილიბისტრო, გაუთავებელი ტრაბახი შამათად კი ექცა და...

– თეთრი დროშა თუ არა გაქვს, აჰა, დროებით ჩემსას გათხოვებ, – ერთმა ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და ცხვირი ენერგიულად შეიხოცა.

– უძლეველო სილიბისტრო! – ვიღაცამ წმინდა ხმაზე დაიძახა და მთელი სამასწავლებლო ახარხარდა.

სილიბისტრო კი ყურს არავის უგდებდა, ორივე ხელი თავზე მოედო და ჭადრაკის დაფას მიშტერებოდა.

– ნეტა რაღას უყურებს, მაგ საცოდავ მეფეს გააცოცხლებს თუ რა?

– გლოვობს, ამხელა არმია დაკარგა, ხუმრობა ხომ არაა! კარგი მხედართ-

მთავარი ამ დროს თავს იკლავს.

– მეფე ისედაც მკვდარია და თავი ვიღამ მოიკლას?

– სილიბისტრომ. მაგან დაღუპა საწყალი მეფე.

სამასწავლებლოში ისევ ახარხარდნენ.

სილიბისტრო კი იჯდა და ამ ხმაურს ყურადღებას არ აქცევდა. გულში თავს ილანძღავდა, რა მინდოდა, ქვეყანა რომ შევყარე, ბეჟანა კაპიტულიაციაზე თანახმა იყო, დასაცინად რაზე გავიხადე თავიო. მაგრამ უკვე გვიან იყო, მის სახელს განუყრელად უძლეველი სილიბისტროც შეემატა.

სილიბისტროს მცდელობით შექმნილი მხიარულება არ მინელებულიყო, რომ სამასწავლებლოში განათლების განყოფილების გამგე და ის სათვალიანი კაცი შემოვიდნენ, ქიმიის გაკვეთილზე რომ ესწრებოდა.

სიცილი უცებ შეწყდა. სილიბისტრომაც კი ასწია თავი. სტუმრები ყველას მიესალმნენ. პატარა თათბირის შემდეგ განყოფილების გამგე წავიდა. ზაურ ასანიშვილი, განათლების განყოფილების გამგემ დირექტორად რომ წარუდგინათ, მათთან დარჩა.

ახლა კოტე და ზაური დირექტორის კაბინეტში ისხდნენ და საუბრობდნენ. ყოფილი დირექტორი ახალს უყვებოდა:

– თავი ათასი ნაგვით მქონდა გამოტენილი, ეს ნაგავი კი უზრუნველი ცხოვრების მოპოვებისათვის ცხოველურ ინსტინქტებზე აყოლას მოჰქონდა. როგორ მოვიქცე, რომ პოსტის ნებიერთ ვასიამოვნო, არ ვაწყენინო, გავუღიმო, თანაც ამ დროს მან მლანძღოს და დამამციროს. შენიშვნას, რომელსაც აშკარად არ ვიმსახურებ, პირმოთნედ უნდა ვუქნიო თავი, თუნდაც მართალი ვიყო, ის კი ტყუოდეს. საწყალი კაცის თავმოყვარეობა ფეხით გავთელო იმისათვის, რომ ამ ცხოვრების უსახო ნებიერს ვასიამოვნო. ორპირი და ორსახა ვიყო, ეს ყველამ იცოდეს, მეც ვიცოდე, რომ ყველამ იცის ჩემი იანუსობა, მაგრამ მაინც უსირცხვილოდ ვქადაგებდე იმას, რასაც სინამდვილეში ჩემი საქციელით ვაბინძურებ და რაც დამალულ-დაფარული არ არის. მითხარი, ყოველივე ამის შემდეგ რა ჰქვია ამგვარ პიროვნებას?! მე სახელი ვერ მომიძებნია. განა მარტო მე ვიყავ, რომელიც ვერ მოერია ამ ადამიანის გამხრწნელ ცდუნებას? ეს სატკივარი ერთმანეთზეა გადაბმული და ვინ იცის, რა სიმაღლეზე ადის, თუ იქიდან ჩამოდის... – კოტემ თავისი გულისტკივილი თქვა და შვებით ამოისუნთქა.

– მესმის შენი, კოტე, რომ ძალიან ძნელი მუშაობა მექნება; ისიც არ ვიცი, აქ რამდენი ხნით მომითმენენ. ვეცდები, ცხოველურმა ინსტინქტებმა ჩემში ადამიანობა არ დაამცროს, – თქვა ზაურმა.

– სიტყვა ადვილია, შესრულება კი... ამ ცხოვრების გესლიანი ნაყოფის ჭამას, მაგრამ სულის სისპეტაკეს, ურჩევნია ტალახში ჯდომა და ერბოს ყლაპვა იმას, ვისაც შეუძლია უშფოთველი ცხოვერბისათვის ყოველგვარი დამცირება აიტანოს და სიმუხთლე იკადროს, – გააფრთხილა კოტემ.

– ერთ გესლიან ნაყოფს გემო უკვე გავუგე.

– რომელს?

– გუშინ ყარამანმა თავისთან გამომიძახა. ჯერ ბიოგრაფია გამომკითხა, მერე შენს ლანძღვას მოჰყვა, ჩემი ამაგის არ დამფასებელ უმადურს ყველას ეგრე დაემართებაო. მერე თავის თავის ქება დაიწყო, უფროსთან რომ კარგად არის და მის საქმიან რჩევებს ყურს რომ უგდებს; რესპუბლიკაშიც, თურმე, ძალიან მაღალ დონეზე ჰყავს მეგობრები. მოკლედ, თავბრუდახვევის ილეთი ჩამიტარა. მერე ისიც გამიხსენა, რომ ქიმიის გაკვეთილზე მის ბიჭს ზოგ-ზოგმა პროვოკა-

ცია მოუწყო, მაგრამ იმის კაცი არ არის, რომ ამგვარ წვრილმანებს ყურადღება მიაქციოს. მერე მითხრა, რადგან ამ სკოლის გამოჯანსაღებაზე ყველაზე მეტად იყო დაინტერესებული, დირექტორი მისი მოთხოვნით მოხსენს, ახლის შერჩევაც მას დაავალეს, თუმცა სხვა კადრების შერჩევაშიც მისი დიდი წვლილია. ახლა მე თუ არ გავითვალისწინებ იმ დიდ შეცდომას, რაც ადრე იყო დაშვებული, პირველ რიგში ყარამანის სირცხვილია. მაგარი მუშაობა დამჭირდება, რომ მისი ნდობა გავამართლო და საშვილიშვილოდ არ დავივიწყო. მე ვუთხარი, რომ ჩემთვის ოფიციალურად ამის შესახებ არავის უთქვია და თუ მეტყვიან, უარს ჩავაბარებ, რადგან დირექტორობის სურვილი სულაც არა მაქვს. ვინც ამ თანამდებობაზე ჩემს კანდიდატურას წარადგენს, მასთან საყვედურის მეტი არაფერი მეთქმის. ამით მისი პირველი და მომდევნო ილეთები გავაქარბუქე. ცოტა დაიბნა, მაგრამ თავი ხელში აიყვანა და ფლანგიდან შემომიტია: შენ ხომ არ გგონია, სადაც მუშაობ, იქ დარღვევები არ არის? რამე-რუმეებს მოგიძებნითო. მე დირექტორობაზე ვაცხადებ უარს, თანაც, როგორც ვიცი, ეს საკითხი პროკურატურაში გადასაწყვეტი არ უნდა იყოს. რაც შეეხება ჩემს სამუშაოზე დარღვევებს, შეგეძლოთ ჩემი აქ გამოძახების გარეშეც გაგეგოთ. ყველაზე სწორი კი იქნებოდა, თუ ყველა თავის პირდაპირ მოვალეობას მიხედავს და რაც არ ეკითხება, იმაში ცხვირს არ ჩაყოფს-მეთქი. ძალიან გრძელი ენა რომ გქონია, იმ ქიმიის გაკვეთილიდან მივხვდი და სადაც ხარ, მაიდანაც უნდა გაგაგდოო. კიდევ კარგი, ეს საკითხი შენი გადასაწყვეტი არ არის-მეთქი, ვუთხარ და კარები გამოვუჯახუნე. ერთ საათში კი რაიკომში გამომიძახეს და დამითანხმეს. ყარამანმა ვერ მოასწრო ჩემი დასმენა, თორე დღეს აქ არ ვიქნებოდი. აი, ასე არის ჩემი პირველი ხილის გემოს გასინჯვა.

— მაგის სიმწარეს გზადაგზა გაიგებ; გამოცდა კი ვაჟკაცურად ჩაგიბარებია, — შეაქო კოტემ...

ახალი დირექტორის წინაშე ყველა მასწავლებელმა პირობა დადო, რომ მოსწავლის ცოდნის შეფასებაში პირუთვნელი იქნებოდა. თქვეს, მაგრამ ჰამლეტის გამოკითხვას ერიდებოდნენ. ყარამანის პირში ჩავარდნის ეშინოდათ. ყინული მაინც დაიძრა. ზაქრომ ჰამლეტი რამდენიმეჯერ გააფრთხილა, ფიზკულტურის გაკვეთილზე სპორტულ ფორმაში გამოცხადებულიყო... სხვებივით ივარჯიშე, თორემ არ გაპატიებო. ჰამლეტმა მხოლოდ ირონიულად გაიცინა და პასუხად მომდევნო გაკვეთილზე პირველი ორიანი მიღო. ბოლოს კი ბექანამ ისტორიაში ერთიანი ჩაუბეჭდა საფრანგეთის მიერ, ნაპოლეონის დროს, ინგლისის დაბყრობის გამო. ყარამანმა რეაგირების გატარება ვერ მოასწრო, რომ მეორე დღეს შვილმა მათემატიკის ორიანი დაახვედრა; თვის ბოლოს საგანი არ იყო, ჰამლეტს ორიანებით რომ არ დაემშვენებინა. ახლა ველარ ბედავდა ძველებურად ყველა კითხვაზე ხელის აწევას. გელას გაეყარა, სულ უკან მერხზე გადაჯდა და გაკვეთილის გამოკითხვის დროს მერხის ქვეშ თავით ძვრებოდა.

ყარამანი ცოფს ყრიდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ნახევარი წლის ბოლოს ჰამლეტი უკვე შვიდ ორიანს ფლობდა. ყარამანი და მისი მეუღლე ახლა უკვე სერიოზულად დაფაცურდნენ. შვილის მოსამზადებლად მასწავლებლები მეორე სკოლიდან მოიწვიეს.

— გენაცვალეთ, ხუთოსანს მთელი სკოლა გადაეკიდა და ბავშემა რა ქნას?! — ჰამლეტის დედა ყველასთან საუბარს ასე იწყებდა. მასწავლებლები კი გაოცებულები იყვნენ, ასეთი უცოდინარი ჯერ არავინ გვინახავსო...

# ღადალას კატა

**ლუა** გოგინაშვილმა რაც საფერშლო სასწავლებელი დაამთავრა, უფრო სწორად, სიმამრმა დაამთავრებინა, უქნარას და მუცელღმერთას კენჭი არ გადაუბრუნებია. უბნის სალაყბოს მუდმივი წევრი ქელეხში დაუპატიჟებლად გამოძღომას ისე მიეჩვია, სხვაგვარად ცხოვრება ვერ წარმოედგინა; ცოლის საყვედურებს კი არაფრად აგდებდა ნამუსის ნაზი ძარღვის ადგილას ბაგირგაჭიმული.

ცოლი ცდილობდა სუფთად და მოხდენილად ჩაეცვა მისთვის, მაგრამ ეზოს გაცილებისთანავე ამოთხუნვას და ამოჩაჩვას ისე ასწრებდა, რომ ლუა სუფთად გამოწყობილი არავის უნახავს.

მეზობლებმა ღადალა შეარქვეს და, რადგან ბევრი არ იცნობდა, მისი ღადალობა ახლო-მახლო ბრუნავდა.

ლუას ამგვარი დამსახურების გარდა, ფრიად უცნაური კატაც ჰყავდა; ჩვეულებრივ უბნის კატებზე მნიშვნელოვნად დიდი იყო, ამას გრძელი ბეწვიც ემატებოდა. როცა ხორცის ნაჭერს  დაეჭიდებოდა, გაბრაზებული ბალანს აუშვებდა და ჩხავილს ასტეხდა; მისი ველურად ანთებული თვალების დამნახავს შიშის ჟრუანტელი უვლიდა. კატა ღადალას სახლში პრისტავივით დადიოდა, მაცივრის გამოხსნას ვერ ახერხებდა, თორე კარადა იყო თუ სამზარეულოს სხვა სათავსო მისი შეუმოწმებელი არაფერი რჩებოდა; არც მეზობლების თუ უფრო შორეული მაცხოვრებლების სამზარეულოების და ხაშლამის ქვაბების რევიზიას ივიწყებდა. დატუქსვას ვერ იტანდა, განსაკუთრებით აგრესიული იყო, როცა ხორცის ნაჭერს მოიგდებდა თათებში. ძაღლების სინსილას აქრობდა. ალბათ, პირველი კატა იყო, ძაღლები კუდამოძუებულები რომ გაურბოდნენ. ეს შიში მარტო მისი საზარელი შეხედულებით არ იყო გამოწვეული, მისგან სახედაღადრული და თვალამოგდებული ძაღლების რიცხვს ახალი მიამიტებიც ემატებოდნენ. რომელი ძაღლიც ამ კატას უკვე იცნობდა, გაქცევით უფრთხილდებოდა თავის თავყბას. პატარა თაგვებზე ნადირობას არ კადრულობდა სამზარეულოების ნებიერი; ვირთხებს კი თათის ერთი მოქნევით ფატრავდა. სადღაც სოროში მისი ჩხავილის გაგონებაზე რამდენს გაუსკდა გული, ვინ იცის. მოკლედ, ღადალას კატის საბრძანებელში მისი გარეგნობის შიში იყო თუ ძლიერი ბრჭყალების  სუსხი, ძაღლები, დიასახლისები და ვირთხები შიშით დაზაფრულები იყვნენ. იქნებ ამის გამო ითმენდნენ მეზობლები ამ საზარელი კატის ცელქობას, როცა სახაშლამე ხორცს, ან მოხარშულ დედალს მოიტაცებდა. ღადალაც ხშირად გაუმწარებია მსგავსი ოინბაზობით, მაგრამ რა ექნა, მოტაცებული ხორცის წართმევა აღარ შეიძლებოდა, რამდენი სცადა, იმდენჯერ გააფთრებული კატის ბრჭყალების სიმწვავე იწვნია. კატისგან დატერორებული ღადალა და მისი მეზობლები ყოველივე ამას მსუბუქი პროტესტით იტანდნენ. კატაც თავის უპირატესობას გრძნობდა და საჭიდაო ხალიჩაზე გამარჯვებული მოჭიდავესავით თავაწეული დადიოდა.

ღადალას ცოლი კი ქმრის უქნარობას ვერ ეგუებოდა, ბევრი იდავა, იჩხუბა, რამდენიმეჯერ სახლიდანაც გაიქცა, მაგრამ არაფერმა არ გასჭრა. ბედს მაინც არ ემორჩილებოდა და სულ გამოსავალს ეძებდა; საშველად ისევ თავის მამას მიაკითხა.

– რა ვუყო, მაგ შობელძაღლს, ტვინი არა აქვს და ცოდნა, მუშაობა ჭირივით ეჯავრება, დაუპატიჟებლად სუფრების მოლოკვა კიდევ მაგის და იმ კატის ხელობაა, სახლში ხორცის ხსენება რომ გაგიქროთ. ჰოდა, ამოიჩაროს ეგ კატა იღლიაში და იაროს კარდაკარ, აბა, ამნაირი კაცის სამუშაო სად არის?! – ბრაზობდა სიმამრი.

– ასე რად ამბობ, მამი, მილიციაში ლუაზე ჭკვიანები მუშაობენ? მთელი დღე ამთქნარებენ, თუ სადმე პურმარილის სუნი იყნოსეს, მივლენ და იგრე გამოძღებიან, სახლის გზა ვეღარ უპოვნიათ. თუ კიდევ ვინმეს მანეთი წაართვეს, სახლში მიარბენინებენ. აბა, მაგათი დახარჯული ფული ვინ ნახა. ლუას რა ნაკლებად შეუძლია ეგ საქმე? ფუქსავატობის და უწიგნურობის პროფესორია, – ღიმილით შეედავა შვილი.

– მაიცა, მაიცა! მგონი არ ტყუიხარ. ლუას შესაფერისი ადგილი სწორედ რომ მილიციაა; აქამდე რატო არ გამახსენდა?! – გაიხარა სიმამრმა.

– ხომ გაგახსენე, მამი, მაიწადინე, თორემ მეტი აღარ შემიძლია.

– ამაში ლავაშა გამომადგება, პროკურორ ყარამანას ყველა საქმეს ეგ აკვარახჭინებს; ის ყარამანა კიდევ რაიკომის მდივან ამბაკოსთან არის ჩახუტებული. ჰოდა, ბევრს მე ვიშოვი, ეგაც ცოტას მემეხმაროს და მილიციაში შავაძვრენამ.

– რა ჭირი გვაქვს, რით უნდა მეგეხმაროს. რასაცა გთხოვენ, მიეცი და მილიციაში რომ იშოვნის, დაგიბრუნებთ.

– ღადალა ვინმეს რამეს დაუბრუნებს? – სიმამრს გაეღიმა.

– მამი, შენ მაინც ნუ ეძახი ღადალას; იგრეც მაგის ნათლობის სახელი აღარავის ახსოვს.

– ეჰ, შვილო, მე კი დავუძახებ ლუას, მაგრამ ამით რა ეშველება მაგის გამოხრულ ნამუსს.

ღადალას სიმამრი იმავ საღამოს ლავაშას ესტუმრა. დიდხანს ითათბირეს, იდავეს, ივაჭრეს... კარგი მომენტი იყო, უბნის რწმუნებულის ადგილი თავისუფლდებოდა.

– კაცო, მარტო ყარამანი ხომ არ არის. მილიციის უფროსს, ამბაკო სიმონიჩს ყველაზე დიდი წილი ეკუთვნის... ახლა სამინისტროშიც ხომ უნდა ჩაიტანონ. ჰოდა, ცოტა მიტოკ-მოტოკდი, უბრალო საქმე ხომ არ არის უბნის რწმუნებულობა! – ლავაშა დახლთან მდგარი ყასაბივით აქებდა თავის ნაჭერს.

ღადალას სიმამრი დიდი ოხვრის და წუწუნის შემდეგ დათანხმდა. ერთი კვირა ირბინა, ვისთანაც მიესვლებოდა, ფული ისესხა, თავისიც დაუმატა და ლავაშას შეპირებული თანხა პირნათლად ჩააბარა. ერთი თვის შემდეგ ღადალა, ლუა გოგინაშვილი, უკვე მილიციის რწმუნებული იყო.

ლუას სიმამრთან მაღარიჩი დასჭირდა და, როგორც იყო, მისი მიპატიჟება გადაწყვიტა. ცოლმა მსუქანი დედალი დაკლა, სახინკლე და სამწვადე ხორცი იყიდა, ღვინო კი თვითონ სიმამრმა მოიტანა. ნაშუადღევს აივანზე ისხდნენ და გამარჯვებული სიძე-სიმამრი სუფრასთან მიპატიჟებამდე ნარდის თამაშით ერთობოდნენ.

– ახლა შენ იცი, ლუავ, თავი უნდა გამოიჩინო, შენი წონა ფული მიმიცია მაგ რწმუნებულობაში, – შეახსენა სიმამრმა.

– ერთი იქამდე მივიდე და მემრე ლამფა მაანათონ. დედას ვუტირებ, მაგ ფულსაც ამოვიღებ და... – ქალის კივილმა ლუას სათქმელი აღარ დაამთავრებინა...

– მიშველე, ლუა! ამ გაოხრებულმა კატამ მოხარშული დედალი დაითრია, ვეღარ წამირთმევია! ჰაცხა, შე საოხრევ! – ქალის კივილს კატის საზარელი ღრენა და კნავილი მოჰყვა.

ლუა გიჟივით წამოხტა, იქვე კუთხეში მიყუდებულ იატაკის ჯოხს ხელი დაავლო და ცოლის საშველად გავარდა.

გაშლილ სუფრაზე კატა მოხარშულ დედალს დასჯდომოდა. საშინელი ღრე-



ნით და ბრჭყალების მოშველიებით ლუას ცოლს იგერიებდა; უკანა ფეხებს იქ-ნევდა და თეფშებს აქეთ-იქით ისროდა.

– ოხ, შე უპატრონო! – ლუამ დაიღრიალა და იატაკის ჯოხი მთელი ძალით დაარტყა, რასაც კატის საბოლოო ამოჩხავლება და ჭურჭლის მსხვერვა მოჰყვა.

– ძლივს არ მივასიკვდილე! – შვებით თქვა ლუამ, უკანა ფეხებში ხელი მოჰ კიდა და აოხრებულ სუფრას მოაშორა.

მკვდარი კატა თითქმის პირამდე გავსებულ ტუალეტში ჩაუძახა.

– ესეც ასე, ამის შემდეგ მაინც მოვისვენებთ ამ ყაჩაღისგან, – დააყოლა და ხელები მოიფშვნიტა.

ლუას ცოლმა კატის წყევლა-კრულვით სუფრა ახლიდან გაშალა. ლუამ კი სიმამრთან ერთად უზომო ღვინის სმით აღნიშნა თავის უბნის რწმუნებულობა.

კატა ბინძურ სითხეში გამოცოცხლდა, ბევრი იფართხალა, კარგად დალბა და გაიჟღინთა, საზარელი სიმყრალე გრძელ ბალანზე აიწება და იქიდან წვა-ლებით გამოძვრა. სახლისკენ წაფორთხდა და ლოკოკინასავით სველი კვალი გაიყოლა. ჯერ სამზარეულოში შეძვრა. ლუას მეუღლემ, რაკი კატის აღარ ეში-ნოდა, საჭმელები ჩაუკეტავად დატოვა; კატამაც ყველაფერს გემო გაუსინჯა, გამოძღა, ძილი მოუნდა და ლუას ლოგინში მოიკალათა.

ნაღვინევზე ლუამ თავის ტკივილი არ იცოდა. რაც არა გაქვს, ის როგორ უნდა აგტკივდესო, მეზობლები ხუმრობდნენ. არც გულის არევა იცოდა, მისი კუჭი უზომოდ ჩაყრილ ხარახურას უპრეტენზიოდ ინელებდა.

მოცხობილმა სისველემ თუ საშინელმა სიმყრალემ ლუა გამოაღვიძა. ლო-ყაზე ხელი მოისვა და რაღაც სქელი, მყრალი მასა სახეზე შეიზილა.

– რა ყარს ეგრე, კაცო, სიმთვრალეში ხომ არ გამივიდა! – ჩაილაპარაკა და ხელი საცვალში ჩააპარა; გაიხარა, საცვალი მშრალი დაუხვდა.

ამ დროს სამზარეულოდან ცოლის ღრიალი მოესმა და ლოგინიდან გამოფ-რინდა.

– მიშველე, ლუავ, კატა გაცოცხლებულა! ყველაფერი წაგვიბილწა?

ლუას წამოდგომაზე კატა საწოლიდან გადმოვარდა და უკან გაჰყვა.

სამზარეულოში ლუას მეუღლე ჭირისუფალივით მოსთქვამდა. კატაც იქ შევი-და და ისე გაიბერტყა შემორჩენილი სიბინძურე, ირგვლივ მარაოსავით გაშალა.

– ჰაცხა, შე სასკივდილევ! – ლუას ცოლმა ხელში რაც კი მოხვდა ესროლა. ლუაც მიეშველა და რამდენიმეჯერ მწარედ მორტყმის შემდეგ კატა ტყიური-ვით გავარდა.

ლუას ცოლი კი მთელი კვირა ხეხავდა ნაკატარ ლოგინს და ჭურჭელს, მაგ-რამ მყრალი სუნი მთლად ვერ გააქრო.

ახლა კატაზე მთელი უბანი ნადირობდა, მაგრამ ვერაფერი მოუხერხეს. მხო-ლოდ ღამე გამოდიოდა, დღისით სადღაც მიკარგულ კუნჭულში შემძვრალი. სა-შინელ ჭყავილზე სცნობდნენ სიბნელეს ამოფარებულ ეშმაკის მოციქულს. მთე-ლი უბანი კი ისე დააფრთხო, ივლისის პაპანაქებაშიც კი გამოკეტილი ჰქონდათ კარ-ფანჯრები...

## ღადალა-ლუა – უბნის რწმუნებული

**ზაზოს** დედას უკეთესი სამსახური ვერც კი წარმოედგინა. საცდელი სადგუ-რის საქმეებს შუადღემდე ამთავრებდა. ზედმეტი დავალებით არავინ აწუხებდა, კოლექტივიც თბილად და პატივისცემით ეპყრობოდა. ანიკომ თავის შესაფერი მყუდრო სამუშაო იშოვნა.

კვირიკე კი სულ ზაქროს ლოცვაში იყო, ასე უმტკივნეულოდ რომ დააღწია თავი იმ ვაი-თანამშრომელს. ანიკო ხომ გაჭირვების ტალკვესი იყო. ადრე სხვაგან დაჰქონდა დასაბეჭდები, ახლა მას ეხვეწებოდნენ, თქვენმა მდივანმა დიდად საპასუხისმგებლო მოხსენებითი ბარათები თუ მოხსენებები დაგვიბეჭდოსო.

რა იოლად კი მოხდა იმ აბიტურიენტის აბეზარი მამის მოცილება. კვირიკემ ანიკოს მიღების ბრძანება მის განთავისუფლებას დაამთხვია ისე, რომ ერთი დღეც არ მოუწია უმუშევრად ყოფნა. მოლარე გააფრთხილა, თვის ბოლოს ის კაცი თუ კიდევ მოვიდეს, უთხარი, რაც ტყვილად ხელფასი წაიღო, უკან დაგვიბრუნოსო.

მართლაც, ის ტიპი თვის ბოლოს დაბარებულივით გამოცხადდა, მოლარესთან ისე შეიპარა, როგორც ქათმის ხორცს შეჩვეული მელა საქათმეში.

– გასული თვის ხელფასი არ არის, ქალბატონო? – მოკრძალებით და გადაჭარბებული თავაზიანობით იკითხა.

– ხელფასი იყო და დავარიგეთ კიდეც, თქვენ ვისას კითხულობთ? – გაკვირვებით ჰკითხა.

– აი, იმისა, ადრე რომ ვიღებდი, – კაცმა ჩურჩულით უთხრა.

– ადრე ვისას იღებდით, ან რატომ იღებდით?! როცა კარგად იცოდით, რომ თქვენი შვილი სამუშაოზე არ ცხადდებოდა. დირექტორს განთავისუფლებული ეგონა, თქვენ კი მატყუებდით და ფულები მიგქონდათ. იცით, რომ ის ფული ახლა ჩემი ასანაზღაურებელია? ვისი გულისთვის უნდა დავისაჯო?! – მოლარემ ხმას აუწია.

– კარგი, კარგი, არაფერი არ მინდა, წავედი, კარგად იყავით, – ტიპი წასავლელად მოემზადა.

– რომ მიდიხართ, როგორ ფიქრობთ, იმ ფულს ვინ დაფარავს? იქნებ გგონიათ, ისეთი მდიდარი ვარ, ან გადასაყრელი ქონება მაქვს, რომ თქვენი ვალები მე ვასწორო! მოითმინეთ, – მოლარემ წინასწარ ნაანგარიშები თანხით დაწერილი ქაღალდი მიაწოდა,– წაიკითხეთ, თხუთმეტი თვის ხელფასი გაქვთ მითვისებული, თუ არ დააბრუნებთ, ხვალვე ვაცნობებთ სადაც ჯერ არს!

ტიპმა ქაღალდი გამოართვა და კარისკენ გასწია.

– იცოდეთ, თუ ხვალ საღამომდე ფული არ დაგიბრუნებიათ, ზეგ სხვა დონეზე მოგვიწევს ლაპარაკი! – მუქარა მიაყოლა მოლარემ.

მეორე დღეს იმ ტიპმა ქაღალდზე დაწერილი თანხა უკლებლივ მიუთვალა, თან ყელის გამოწევით შეეხვეწა, შენი ჭირიმე, ინსტიტუტს არ აცნობოთ, ბავშვი მეორე კურსზე სწავლობს და არ გამორიცხონო.

კვირიკეს ახლა ჭირად ეს ფული გაუხდა. ბევრი თათბირის შემდეგ გადაწყვიტეს, ფრიად საჭირო სკამები და რამდენიმე მაგიდა შეეძინათ. ამით ნაწილობრივ დაადუმა სინდისის ქენჯნა, ესოდენ რომ აწვალებდა.

ერთ მშვენიერ დღეს კი ამ ამბით მიღებული სიამოვნება სულ ჩაუშხამდა. საღამოთი სახლში მისულს მისი სამივე სუქებაზე დაყენებული ღორებიდან ალარცერთი არ დახვდა. შუაღამემდე ეძება, ახლო-მახლო უბნები მოიარა, მაგრამ კვალს ვერსად მიაგნო.

მეორე დღეს დილიდანვე უბნის რწმუნებულთან გამოცხადდა. მას ქალაქის საბჭოში ერთი ოთახი ჰქონდა გამოყოფილი. კარგა ხანს ელოდა, ბოლოს მოვიდა ხაშის და არყის სუნით აქოთებული. ოთახში შესვლისთანავე შეჰყვა.

– ბატონო, მე საცდელი სადგურის დირექტორი კვირიკე სიხარულიძე გახლავართ, – უპასუხა მისკენ მიპყრობილ უაზრო მზერას.

მან ფეხი ფეხზე მიარტყა, მარჯვენა გაქონილი ხელი ქუდთან უხერხულად მიიტანა და არყით ჩამწვარი ხმის იოგების შესაფერი ტონით მოახსენა:

– უფროსი ლეიტენანტი, ლუა გოგინაშვილი. რაზე ინებეთ ჩემთან მობრძანება?

– სამი ღორი დავკარგე, ბატონო, ეზოდან, დღისით-მზისით. ქვეყანა გადავატრიალე და ვერსად ვიპოვე, – ღრმად დამწუხრებულმა კვირიკემ თავისი გასაჭირი აუხსნა.

– ესე იგი მთელი ქვეყანა გადაატრიალე და ვერ იპოვნე? – ლუამ გაიკვირვა.

– კი, ვერ ვიპოვნე.

– ჩემთან რატომ მოხვედი, გგონია, რომ მე მოვიპარე?

– როგორ გეკადრებათ! იქნებ როგორმე მაპოვნინოთ.

– მერე, ვინ გითხრა, რომ ვისაც ეზოდან ღორი გაუფრთხება, ლუა გოგინაშვილი მიუყვანსო. ან იქნებ გგონია, რომ აქა მყავს ჩამწყვდეული! – ლუა მაგიდის გამოსაწევ უჯრას დაეჯაჯგურა და, როგორც იყო, გამოაღო, – აჰა, ჩაიხედე, აქ არ არიან. შე მამაცხონებულო, შენი ღორებისათვის ვერ მოგივლია, მე რამდენი შენისთანა მყავს. დღეში ოცმა რომ გააფრთხოს ღორები, იმათ მოგროვებას შევძლებ? ახლა კიდევ მარტო ღორი ხომ არ არის... ზოგს ძროხა, ვირი, კამეჩი და, ეშმაკმა იცის, რა არ შეიძლება ჰყავდეს, თუნდაც კრაკადილი?! ეძებე საწყალო ლუავ, ვითომ სხვა საქმე არა მქონდეს, ამათ კიდევ ბუზები თვალონ, უყურე შენ?! მე რა ვიცი, იქნება კიდეც დაკალი და შეჭამე, კუჭის რევიზია ჩაგიტარო?!

– ამას რად კადრულობ, ბატონო? – კვირიკემ იწყინა.

– თავად ბატონო! მე კი არა, შენ რად კადრულობ! ლუა რა მენახირეა, თუ უთავოების ფერმის გამგე!

– ბოდიში, ეტყობა მისამართი შემეშალა, – კვირიკე კარებისკენ წავიდა.

– ნამდვილად შეგეშალა, ღორები საღორეში უნდა ეძებო და არა მილიციის უბნის რწმუნებულთან!

კვირიკემ ოთახის კარი პასუხის გაუცემლად გამოაღო და გასვლა დააპირა.

– მოიცა, შენი გვარი და სახელი მითხარ! – მიაძახა ლუამ.

– რაღა საჭიროა, ისედაც ბევრი დრო წაგართვი.

– საქმისთვის არის საჭირო, – ლუა მაგიდასთან დაჯდა და კალამი მოიმარჯვა.

– მოსვლისთანავე გაგაცანით, მგონი, ჩემი ვინაობა.

– მე საქმე უნდა აღვძრა, მოსვლისთანავე რა თქვი, რაღა მახსოვს!

კვირიკემ თავისი ბედი დასწყევლა აქ მოსვლისათვის და მწარედ გაეღიმა.

– კვირიკე სიხარულიძე, საცდელი სადგურის დირექტორი, დაბადების დღეც ხომ არ გჭირდებათ?

– არა. რამდენი ღორი იყო?

– სამი. თითო ოთხმოცდათხუთმეტი კილოგრამი იქნებოდა.

– წონა არა მჭირდება.

– მე მჭირდება, თუ წონაში მომატებული ჩამაბარეს, შენახვის და წონამატის უნდა გადავუხადო, თუ არადა, დანაკლისი ხორცის ღირებულებას მოვითხოვ, – კვირიკე ოხუნჯობის ხასიათზე დადგა.

– ვააა, ეს რა კიკიბო ვინმე ყოფილხარ. მგელს რომ ყავდეს შეჭმული, მაშინ რაღას იზამ?

– მგლისთვის ალალია, ის ამით ცხოვრობს, მუშაობა არ შეუძლია, რა ქნას... მე ორფეხა მგლებისათვის მშურს, ხელის გატოკება რომ ეზარებათ და სხვისი ნაოფლარით სუქდებიან.

– მაგათ მგლები კი არა, საზოგადოებრივად მავნე ელემენტები ჰქვიათ, – აუხსნა ლუამ.

– ჰოდა, მაგ მავნე ელემენტებზე მაქვს ეჭვი და აქ იმიტომ მოვედი, თორემ სხვა შემთხვევაში მონკავშირში მივიდოდი, – კვირიკე ოთახიდან გავიდა, კარი მიიხურა და ზედ მიკრულ ფირნიშს შეხედა.

„უბნის რწმუნებული ლუა გოგინაშვილი, მიღება ყოველ სამუშაო დღეს. კვირაობით ბოდბისხევის ბაზარში შეგიძლიათ მიაკითხოთ“.

ბოლო მინაწერი ვიღაცის ხელით იყო შესრულებული „იქნებ თვითონ ლუამაც წააწერა“, – გაიფიქრა კვირიკემ და ნელი ნაბიჯით გამოვიდა შენობიდან.

## ოღრაშ-სარა და კრეჭო-კოლა

**კვირიკემ** სკოლაში მიაკითხა ზაქროს და თავისი ღორებისა და ლუას შესახებ დაწვრილებით მოუყვა.

– დამღუპე?! – ზაქრომ თავში ხელი შემოიკრა. – ღამეები არ მეძინა ღორების ქელეხზე ოცნებით, აფსუს რა ღვინო გვრჩება ღორის მწვადების გარეშე!

– სახუმროდაა საქმე?! იქნებ ხვალ სახლიც გამიტეხონ! – კვირიკემ იწყინა.

– სახლს არ გაგიტეხავენ! – დარწმუნებით თქვა ზაქრომ.

– რატომაო, ჭკუა დაუშლით თუ თანამდებობა?!

– სპეციალობა შეუშლით ხელს. ღორი პირუტყვის ქურდმა მოგპარა, ბინის გატეხა იმის საქმე არ არის; თავის ვიწრო სპეციალობას არ უღალატებს.

– მართლა?

– ეს ასეა, წყალი არ გაუვა.

– ამ საქმეს რა ეშველება?

– მაგ სპეციალობით მომუშავე ერთი ვიცი. იმ საღამოსვე ჩემთან რომ მოსულიყავ, შეიძლება თავფეხზე მაინც მიგვესწრო, მუჟუჟად ჩავდებდით.

– დაკლავდნენ?

– არა, სიმღერის გუნდში ჩარიცხავდნენ კრიმანჭულის სათქმელად. შე დალოცვილო, ლუასთან რომ არ მისულიყავ, ჩემი სახლის გზა აგერია?! კარგად რომ დაკვირვებოდი, შეიძლება მის კბილებში შენი ღორის ხორცის ნარჩენები გენახა.

– მართლა?

– მტაცებელია ეგ ლუა, რა მნიშვნელობა აქვს, შენი შეჭამა თუ სხვისა?

– ისე კი თითქმის მასხარად ამიგდო...

– კიდევ კარგი, ქურდის მაგიერ შენ არ დაგიჭირა.

– ასეც შეიძლება?

– ლუას მსგავსებიდან – კი.

– ჰა, მოიფიქრე რამე, თორემ შემოდგომაზე მწვადების გარეშე დავრჩებით.

– მოფიქრებული მაქვს, მაგრამ ჯერ ადრეა; საღამომდე არაფერი გამოვა. ერთი გაკვეთილი მაქვს ჩასატარებელი. მოიცა, იქნებ ვინმემ შემითავსოს და მერე კი მთელი დღე შენს განკარგულებაში ვიქნები; თითო ჭიქა შენი ნაქები კახურისაც არ გვაწყენდა.

– კახურს კი არა, სანამ ღორებს არ მაპოვნინებ, არყის გარდა არაფერს არ ჩაგაცეცხლებ.

– არც ეგ უნდა იყოს ცუდი, – თქვა ზაქრომ და სკოლის შენობაში შევიდა.

მალე ორივე მთავარ ქუჩაზე მიაბიჯებდნენ.

– კრეჭო-კოლა გაგიგონია? – მოულოდნელად ჰკითხა ზაქრომ.
– არა.
– არც ოღრაშ-სარა?
– თუ ძმა ხარ, კრეჭი-მრეჭის გული მაქვს ჩემი ღორების დამკარგავს? – კვირიკემ შეუბღვირა.
– კრეჭო-კოლას კვალზე უნდა ვეძებოთ შენი ღორები.
– ეგ როგორ?
– როგორ და იგრე, რომ ჩვენს პატარა ქალაქში ღორების ქურდობის სპეციალისტი მხოლოდ კრეჭო-კოლაა. სხვებს გზაზე ღორების მთელი კოლტი რომ შეხვდეთ, ერთ ბურვაკს არ შეაცლიან. კრეჭო-კოლამ კი ზეპირად იცის, ვის ეზოში რამდენი ღორი დასეირნობს და მათი გასაღების საქმეც კარგად აქვს მოგვარებული. ალბათ, დიდხანს გათვალიერებდა. მარტოხელა კაცის საღორეში სამი მოვლილი ღორი შეიგულა, მთელი დღე იმის განკარგულებაში იყო, მეტი რაღა უნდოდა, შესაფერისი ადგილი მოუნახა.
– ვააა! ოღრაშ-სარა ვიღაა?
– ოღრაშ-სარა მისი ცოლია, ინდაურების და ქათმების სპეციალისტი... ცოტა მკითხაობაც ეხერხება. ღისით მკითხაობის მომიზეზებით კარდაკარ დადის, ყველა საქათმის და საღორის ადგილსამყოფელს აზუსტებს, მერე კი კრეჭო-კოლას აყენებს კვალზე.
– მოიცა, მოიცა! – კვირიკე უცებ შეჩერდა. – ამას წინათ ჩემთან ერთი ასეთი დედაკაცი იყო, ეზოში შემომივარდა, გინდა თუ არა, უნდა გიმკითხაოო; თავზე თეთრი ხილაბანდი ჰქონდა მოხვეული, საშუალო ტანის, თხელი, საოცრად მოძრავი, შავგვრემანი, ლოყაზე დიდი ბალნიანი ხალით.
– კარგად დაგიხსომებია. სიყვარულიც ხომ არ აუხსენ?
– არა, მაგრამ ჭუჭყიანი რომ არ ყოფილიყო, დაბანილი უფრო მიმზიდველი იქნებოდა.
– ერიჰა, ის ღორები შენ თვითონ ხომ არ გაატანე? მარტოხელა კაცი ხარ, სულმა ხომ არ წაგძლია? – ზაქრომ ეშმაკურად ჩაუკრა თვალი.
– კარგი ერთი. ის კრეჭო-კოლა როგორიღაა?
– ერთმანეთს ისე შეეფერებიან, როგორც ესმერალდა და კვაზიმოდო. სახის ცალი მხარე დამწვარი აქვს, კანი ისე მოსჭიმია, კბილების დასაფარად აღარ დარჩენილა; ცალი ფეხი მოკლე აქვს: თავის ცალ მხარეს თმა არ ეზრდება, მგონი ყურის ცალი ნიჟარაც არ უნდა ჰქონდეს, არ უჩანს, რადგან მეცხვარის ტყავის ქუდი ზამთარ-ზაფხულს ცალ მხარეს აქვს ჩამოფხატული.
საუბარ-საუბრით ქალაქის ცენტრს გასცდნენ და ფერდობზე შეფენილ სახლებისკენ მიმავალ ოღროჩოღრო, ვიწრო ქუჩას გაუყვნენ. სამშენებლო ნარჩენებით გამოვსებულ ხევის პირას გავიდნენ; ქალაქი აქ თავდებოდა. გაღმა კი ფერდობზე შეფენილი ბუჩქნარი იწყებოდა, იქვე რცხილის წნელით შემოღობილი ფართო ეზოს შიგნით სახლი მოჩანდა.
ხევი გადალახეს. ზვინებად დაყრილ ცემენტის, აგურის, გაჯისა და სხვა ნარჩენებს გასცდნენ.
– ეს ადგილი სანაგვედ უქცევიათ, – ჩაილაპარაკა კვირიკემ.
– ეგენი სადაც მოასწრებენ, ნაგავს იქ ყრიან, ეტყობა არავინ უშლით და გვარიანად დაუნაგვიანებიათ, – უპასუხა ზაქრომ.
კარგა მოზრდილი მწვანე მოლი გადაიარეს და ღობეს მიადგნენ.
ზაქრომ ხის კარს წიხლი ჰკრა და ეზოში შევიდა.

– დავუძახოთ, – შეაჩერა კვირიკემ.

– შენ მე მომყე! – მკაცრად უთხრა ზაქრომ და ეზოში დაბარებულივით შევიდა.

სახლის მარჯვნივ, იქ, სადაც ბუჩქნარი იწყებოდა, ხის გრძელი საღორე იდგა, მის გვერდით კი ფართო შემოღობილში უამრავი ქათამი ირეოდა; ეზოში ინდაურებიც შეუზღუდავად დადიოდნენ.

ზაქრო პირდაპირ საღორისაკენ გაემართა.

– ნახე, რამდენი ინდაური ჰყავს, – კვირიკემ ინდაურების დიდი ჯგუფი დაანახა, სადაც გაფხორილი მამალი ფრთაჩამოშვებული წრეს ურტყამდა.

ეტყობა ქათმებთან შედარებით ინდაურები პრივილეგიაში ჰყავთ.

– ის კარანტინია ახლადმოყვანილთათვის. რომ მიეჩვევიან, თუ მანამდე რეალიზაცია ვერ მოახერხეს, თავისუფლებაში გაუშვებენ, აგერ იმათსავით, – ზაქრომ სახლის კუთხეში მოფუსფუსე ქათმებზე მიუთითა.

საღორედან ღორების ჭყივილი ისმოდა, იქვე ძელებით შემოკავებულ გუბეში ხუთი ნეზვი ნებივრობდა.

ზაქრომ საღორის კარი წიხლით შეაღო და წელში მოხრილთ შევიდა. ცხვირში დახუთული ჰაერის და ღორის დამახასიათებელი მწვავე სუნი ეცათ. მთელი საღორე სქელი ფიცრებით სამ მოზრდილ სექციად იყო დაყოფილი. ცალ მხარეს ყველა სექციას ძელით გამაგრებული, რამდენიმე ერთად შეჭედილი ფიცრის კარი ჰქონდა მიყუდებული. სექციები ღორებით სავსე იყო.

პირველში თხუთმეტი დაითვალეს.

– შენები აქ ხომ არ არიან? – ზაქრომ ჰკითხა.

– არა, ესენი პატარებია.

– მაშინ სხვა ვნახოთ.

მეორე სექციაში რვა ჩასუქებული ღორი უზრუნველად ღრუტუნებდა.

– აი, ჩემი ერთი! – კვირიკემ წამოიყვირა და ხელი ცხვირმოკლე ღორისკენ გაიშვირა, – აგერ მეორეც! – მეორე ზუსტად პირველს ჰგავდა. – მესამე არ არის! – კვირიკე გაცხარდა.

– მოიცა, ახლა მომდევნო სექცია ვნახოთ, – ზაქრომ დინჯად უთხრა და საღორეს ბოლოსაკენ გასწია.

აქ ხუთი მაკე ღორი იწვა.

– ეეხ! მესამე არ არის! – კვირიკემ ხელი ჩაიქნია.

– რა გული გაიტეხე, შენი თუ არ არის, სხვები უკეთესები არიან. წამოდი, ახლა ოჯახის მამას შევეხმიანოთ, – საღორიდან გამოვიდნენ და სახლისკენ წავიდნენ.

– კრეჭო-კოლავ! – ზაქრომ კარებზე დააბრახუნა. – კრეჭო, არ გესმის?

– ეტყობა სახლში არ არიან. ჩემი ღორები როგორ წავიყვანო? – შეწუხდა კვირიკე.

– როგორ და, როგორც იმან წამოიყვანა, მაგრამ ჯერ რა საჩქაროა, აქვე სადმე ეგდება. კრეჭო, შენი დედა! გამოეთრიე, თორემ მთელ ღორებს გავრეკამ! – ზაქრომ ეზო ძახილით მოიარა. – სარა-ოღრაშო, თუ არ გამოხვალ, სახლკარს გადაგიბუგავ, დედას გიტირებ, აქედან ფეხს არ მოვიცვლი, სანამ არ გამოხვალ! – ზაქრო სახლის წინ დაგდებულ კუნძზე ჩამოჯდა. – როდემდე დაიმალებიან, მაგათი დედა! – ჩაილაპარაკა და იქვე მიგდებული ჯოხით მიწის ჩიჩქნა დაიწყო.

– აგერ, ის ხომ არ არის? – კვირიკემ იდაყვი გაჰკრა.

ბუჩქებიდან ცხვრისქუდიანი, კრიკალივით მოხრილი, მხარზე ჯოხგადადებული უცნაური გარეგნობის კაცი მათკენ კოჭლობით მოდიოდა. მალე მოპირდაპირე მხრიდან, სადაც საქათმე ბუჩქებს ეკვროდა, ინდაურით იღლიაში, თეთრხილაბანდიანი ქალი გამოჩნდა.

– ეგაც სარა, – ზაქრომ ჩაილაპარაკა და მიწის ჩიჩქვნა გააგრძელა.

ცხვრისქუდიანი კაცი მიუახლოვდათ და ორიოდე მეტრის მოცილებით გაჩერდა.

– კვაზიმოდო ამასთან უფლისწულია, – კვირიკემ ჩაილაპარაკა, კიდევ შეხედა და გააქრქოლა.

– მესამე ღორი რა უყავ, შე შობელძაღლო! – ზაქრო უცებ წამოხტა და ცხვრისქუდიანს თავზე დაადგა. იმან მაშინვე ხელები სახეზე აიფარა.

– კრეჭო, შობელძაღლო! თქვი, რა უყავ მესამე ღორი, თორემ დოლის გოჭივით შემოგაწყვიტე შენი სახლის სვეტს! – ზაქრომ ხელი მხარში დასტაცა.

– წუწკო, წუწკო! შენი კაპიკი რომ არ მახსოვს, წუწკო! რა გინდა მაგ კაცისაგან, შე იუდავ! შე სატანავ! შე გათახსირებულო! – სარამ წიწინით შეუტია, მივარდა და საკბენად დაკრიჭა კბილები.

– სწორედ შენ გეძებდი, ალქაჯო, შენივე ფეხით მოხვედი! – ზაქრომ ხელში ხელი სტაცა და ისე მოუჭირა, რომ სარა აყვირდა.

– ვაიმე, კოლავ, მიშველე, ამ ვირიშვილმა ხელი მომტეხა! – ტკივილისაგან დაიღრიჯა და მიწაზე ჩაიჩოქა.

– გაუშვი ხელი, შენი! – კრეჭო-კოლამ რაღაც არაადამიანური ხმით ამოიჩხავლა და ჯოხი მოუღერა.

ზაქრომ ჯოხი თვალის დახამხამებაში გამოსტაცა და მის თავზე აღმართა.

შეშინებულმა კრეჭო-კოლამ ხელები თავზე დაიფარა და სარას გვერდით ჩაიჩოქა.

– რა გინდა, რა, შე ყაჩაღო! წუწკო! წუწკო! მკითხაობაში კაპიკიც რომ არ მოგიცია. რამდენჯერ მუქთად მამკითხინე, ჩემი ვალი მამეცი! – სარამ საკბენად ისევ მიიწია.

ზაქრომ ხელი მოუჭირა და სარა ისევ აყვირდა:

– ვაიმე, კოლავ, რა უნდა ამ შობელძაღლს, ერთი ჰკითხე!

– ალქაჯო, ამ კაცს იცნობ? – კვირიკეზე მიუთითა.

– ვიცნობ, კარგი კაცია, მკითხაობაში ოცდახუთი მანეთი მამცა, – ზაქრომ კვირიკეს შეხედა და კბილები გააკრაჭუნა, იმან კი სირცხვილისაგან თავი ჩაღუნა.

– ოცდახუთი მანეთის ფასი რა უთხარი, შენ ტურტლიან ლოყაზე აკოცნინე?

– აბა, აბა! – კერჭო-კოლამ წამოიწია.

– ტურტლიანი შენა ხარ. მე ვარ ტურტლიანი, მე? – სარამ კაბის ქვეშ თავისუფალი მარცხენა ხელი შეიყო და გაქათქათებული პერანგის კალთა გამოაჩინა. – დედიშენისამ, ეგეთი პერანგი შენს ცოლსაც ეცმევა; დახედე, მოგიკვდეს გული!

– ახალი მოპარული გექნება, გაჭუჭყვას ვერ მოასწრებდი. მაინც რაში აიღე ოცდახუთი მანეთი, რატო არ იტყვი?

– ყველაფერი შევატყე. ვუთხვარ, რომ შემოდგომაზე ცოლს შეირთავს, მასწავლებელია; მაღალი, ლამაზი, შავთვალება ქალი, სიხარულისაგან აი, ამ ხალზეც კი მაკოცა, – სარამ მარცხენა ხელის საჩვენებელი თითო ბანჯგვლიან ხალზე დაიდო. ზაქროს გაეღიმა, კვირიკეს გახედა, რომელიც სირცხვილისგან აჭარხლებული იქვე თავჩაღუნული იდგა.

– შემოდგომაზე ქორწილს შეპირდი და უღოროდ დასვი?
– წუწკო, წუწკო! ქორწილში ღორის დაკვლა სად გაგონილა. ეგ განა შენ-სავით გაუმეტარია.
– იქნებ ღორებიც თვითონ გამოგატანა?
– ჰო, გამომატანა, შამინახეო.
– მესამე რაღა უყავით?
სარამ მხრები აიჩეჩა და კოლას გადახედა.
– კრეჭო, მესამე ღორი რა უყავი? – ზაქრომ ხმას აუწია.
– ლუას დავუკალი.
– როგორ თუ დაუკალი.
– ერთი ღორი შემაწერა და რა მექნა. მე მარტო ჯიგარი დამრჩა; ორი ინდაური და ათი ქათამი სარასიც წაიყვანა.
– თქვენ ანგარიში ცალკ-ცალკე გაქვთ გახსნილი?
– ჰო, ეგრეა, ჩვენ ჩვენი ანგარიშები გვაქვს.
– ეგეთი წესია? ღორები შესანახად მოგაბარათ, თქვენ კიდევ ლუას დაუ-კალით.
– არ მიმიბარებია, ტყუის, ამ უსინდისოებმა მოიპარეს! – გაბრაზდა კვირიკე.
– უი, უი, შენ ეგ გეკადრება?! წესიერი კაცი ხარ, წუწკი ხომ არა, ფულის მიცემა რომ ემკვლელება. შენ არ მითხარ, ღორები შამინახე და მესამე შენი იყოსო? ჰოდა, ჩვენც მესამე ლუას ჩავაცეცხლეთ.
– წადი და უკანვე ამოაცეცხლე! – ზაქრომ სიცილით უთხრა, – ან რომელიც ყველაზე კარგი ღორია, იმას ავარჩევთ.
– მაგ ღორებს პატრონი ჰყავთ, მოგადგებიან და მემრე მე არ დამაბრალო, – კრეჭო-კოლა აჭყვლიპინდა.
– მაშინ ნაღდი გამოუშვი.
– რა ეღირება? – სარამ მიამიტურად იკითხა.
– აიღე, დაიღე, ბევრი გაჭიმე, გაწელე აშ ოჩდახუთ მანეთზე ზევით არ წავა, – კრეჭო-კოლამ ღორს თავისი ფასი დაადო.
– მამა გიცხონდა, ორასორმოცდაათ მანეთს კაპიკი რომ დააკლდეს, შენი საღორიდან ერთ მაკე ღორს გამოეთხოვე!
– ძალადობაა! – სარამ შეიცხადა.
– თქვენზე კანონი არ სჭრის და სხვა რა მოგიხერხოთ?!
– ვერ მოგართვით! აი, ეს არ გინდა! – სარამ მარცხენა ხელით სამი თითის კომბინაცია ცხვირთან მიუტანა.
ზაქრომ კი ძალუმად მოუჭირა ხელი, სარა აყვირდა.
– ამ შობელძაღლმა ხელი მამტეხა. ვაი, ვაი, ოხერო!
– კრეჭო, ადექი, სანამ ჩვენ სახლში მივალთ, ეს ორი ღორი ადგილზე დაგ-ვახვედრე; ხვალ კიდევ ამ პატიოსან კაცს შენი ხელით მიართმევ ორას ორმოც-დაათ მანეთს. კიდევ შეღავათს გიწევთ, თორემ ბაზარში მაგხელა ღორს სამას მანეთადაც ვერ იშოვნი.
– ერთი კვირა დაგვაცალე, წუწკო, ბაზარში რამე-რუმეებს გავყიდოთ და მე თვითონ მივუტან, – სარამ ღრეჭით სთხოვა.
– ხვალ საღამოს ამას ფული რომ არ მიუტანო, მოვალ და ერთ დედა ღორს მე თვითონ წავიყვან; ეგ საქმე თქვენზე ნაკლებად არ მეხერხება, – ზაქრომ მუქარით თქვა.
– ქურდო, ქურდო! – სარა აწიწინდა, – აი, ქურდი ვინ არის, დაიჭით! ჩვენ-

თან რა გინდათ, გაფუჭებული კაცია, არ ენდო, ყველაფერს მოგპარავს, კვირიკეს მკითხავის ტონით მიმართა.

– შენ ხვალ ორასორმოცდაათი მანეთი მიუტა, მე უნდა მოვპარო.

– ხედავ? ეგაც მე ვარ? უეჭველად მოგპარავს, მე შაგინახავ, ერთი ვნახოთ, ჩემგან როგორ წაიღებს! – კვირიკეს და ზაქროს სიცილი აუტყდათ.

– რას შემომყურებ, წადი, გარეკე ღორები! – ზაქრომ კრეჭო-კოლას უყვირა.

– წადი, კოლავ, წაუყვა, რახან შენახვაზე უარს ამბობენ. ღორების გარეკვა-გამორეკვის და ორი დღის შენახვის ფულის გამორთმევა არ დაგავიწყდეს, – სარამ დაარიგა.

კოლა კოჭლობ-კოჭლობით გახანხალდა.

– ხვალ საღამოს ფულსაც მიუტან! – ზაქრომ სარას თვალები დაუბრიალა.

– ლამაზო, შენ ხომ კარგი ბიჭი ხარ, ერთი კვირა მაცალე, ინდაურებს გავყიდი და ჩემი ხელით მოგიტან, მერე თუ გინდა მკითხაობაში ისევ უკან დამიბრუნე, კარგი, ლამაზო? – სარამ კვირიკეს თვალი ჩაუკრა.

– კარგი, ერთი კვირა იყოს, – კვირიკე გატყდა.

ზაქროს გაეცინა და სარას ხელი გაუშვა.

– ეგრე, შე ოხერო, ხელი სულ ჩამილურჯდა, ქმარმა რომ ნახოს რა ვუთხრა; იცი, როგორი ეჭვიანი მყავს! – სარამ ეს ნატკენი ხელის სრესით თქვა.

– ეჭვიანი, შენმა მზემ, შენთვის ჯერ არავის უბწკენია.

– ვინა, გათახსირებულო! ვის, ლუაზე რომ ამბობენ, ტყუილია, რამდენი მეხვეწა, მაგრამ აი, ჩააფურთხოს, – სარამ მარჯვენა ხელის ცერი და საჩვენებელი თითით გაკეთებული რგოლი თვალებთან მიუტანა, – ლავაშაზეც ტყუილია! – თავის ნათქვამს ბეჭედი დაუსვა.

– აბა, მაშ, ვისზეა მართალი?

– ვისზე და კრეჭო-კოლაზე.

– სწორედ ეგ არა მჯერა, – ზაქრომ გაიცინა...

საღამოთი სარამ ლუა რწმუნებული როგორც იყო, უნივერმაღის წინ დაიჭირა.

– ლუა უფროსო, შენ კაბინეტში არ მოხვალ? – ჩურჩულით უთხრა.

– ვააა, სარა ჯიგარო, შენ თუ გინდა, რატო არ მოვალ, – ლუამ დარდიმანდულად უპასუხა.

– მაშინ წადი და მეც შორიახლოს მოგყვები, – სარამ უჩურჩულა და მოსცილდა.

– ვაა, არ არის ცუდი საქმე, – ლუამ ულვაშები ეშმაკურად ააცმაცუნა და საამოდ აძგერებული გულით ქალაქის საბჭოსკენ გასწია.

ოთახში შესულს ხუთ წუთში სარამაც მიაკითხა.

ლუამ სიტყვის თქმა არ აცალა, ხელები გაშალა და სარა გულში ჩაიკრა, ლოშნა დაუწყო. სარა ცოტა ხანს გაყუჩდა, მერე ხელი ჰკრა და ძლივს მოიშორა.

– ე, ამას უყურე, სადა გგონია თავი? – შუბლი შეიკრა.

– რა მოგივიდა, მირონი გადაგივა?

– არავისში შეგეშალო, წარამარა არ გეგონო, ქმარი მყავს.

– თუ ქმარი გყავს, ჩემთან რაღა მოგარბენინებდა.

– შენთან საქმეზე მოვედი.

– ეს რა, საქმე არ არის?

– დამაცა, ლუავ, ჯერ არ გადამიწყვეტია, კარგად უნდა ავწონ-დავწონო. ზოგ კაცს რომ ენდო, მეორე დღეს ქვეყანას შაგიყრის, – საქმიანად თქვა სარამ.

– მე ეგეთი არა ვარ.

– არა ხარ და მაგას რა სჯობია, ჯერ მამისმინე: იმ კვირიკემ რაღაცა დოყლაპიამ ღორები წაგვართვა. ერთი სული კოლამ რო დაგიკლა, იმისი იყო, ორასორმოცდაათი მანეთი მოგვთხოვა. ის რას გააწყობდა, მაგრამ ზაქრო რომ არი ფიზკულტურის ჯიბგირი მასწავლებელი, კინაღამ დაგვხოცა. აი, ხელი ჩამილურჯა, – სარამ მარჯვენა ხელის კაბის სახელო წაიწია და სისხლჩაქცეული ნათითრები აჩვენა.

– ვააა, უყურე რა უქნია, დედას ვუტირებ! – ლუა დაიმუქრა. მერე ცოტა ხანს ჩაფიქრდა და დაუმატა: – ქურდობაში მეც ჩამრთე რაღა.

– მერე რა გიჭირს, მარტო ჩემთან კურკური გინდა? დღეს ყველა ქურდობს; პატიოსნები მიწაში არიან, – დაამშვიდა სარამ. – რა ვქნათ, მივცეთ ფული?

– რა ვიცი, ფაქტზე დაუჭერიხართ და... – ლუამ ხელები უმწეოდ გაშალა.

– ყველაფერი მუქთად რომ გინდა, ცოტა შენც მოგვეხმარე, სად გაგონილა ვინმე ქალს ეკურკურებოდეს, თან ღორებს და ინდაურებს ართმევდეს. იცოდე, ახლოს არ გაგიკარებ, ნურაფრის იმედი ნუ გექნება! – სარა გაწყრა.

– კაპიკიც არ მისცე! – ლუამ უცებ გადაწყვიტა.

– ის გიჟი კიდევ რომ მოგვივარდეს, მაკე დედა ღორს წაგვართმევს.

– დედას ვუტირებ, დავიჭერ!

– ეგრე არა, თუ დაჭერა გინდა, სანამ მოგვივარდება, მანამ უნდა დაიჭირო, თორემ სულ აგვაწიოკებს.

– რა ვიცი, როდის მოგივარდებათ?

– ერთი კვირის ვადა მოგვცა.

– კარგი, მანამდე რამეს მოვიფიქრებ.

– აბა, შენ იცი, ნახვამდის.

– მოიცა, ეგრე წასვლა იქნება?

– რა გინდა, შე ოხერო, აქ არ შეიძლება?

– სადმე წავიდეთ.

– ვალს როცა მოგვაშორებ, ჩემთან შამაიარე, კაცს სხვაგან გავაგზავნი და...

– მანამდე?

– მანამდე შენი წვინტლიანი დედაკაცით გადი იოლას, – სარამ ნაზად დაუქნია ხელი და ოთახიდან გავიდა.

ლუამ გამოსაკიდებლად წამოიწია, მაგრამ თავი შეიკავა, მაგიდასთან დაჯდა და ფიქრებს მიეცა. როგორ უნდა მოახერხოს, რომ სარამ იმ დამთხვეულ მეცნიერს ფული არ მიუტანოს. რაიმეს მოიფიქრებდა, მაგრამ ის ფიზკულტურის მასწავლებელი საშიში არის, არ მოისვენებს, შეიძლება ქვეყანა ისე შეყაროს, რომ თბილ ადგილს ვინ ჩივის, პაგონებიც დააკარგვინოს. ლუამ მერე რა ქნას? სად იმუშაოს, რა შეუძლია? მუშაობა ეზარება და ცოდნით თავი არ უსკდება; არც ქურდად გამოდგება, – ვააახ! – ხმამაღლა აღმოხდა და შუბლზე გამოჟონილი ცივი ოფლი მოიწმინდა. ახლა უფრო თვალნათლივ წარმოუდგა თავისი სამუშაოს ყოვლისშემძლეობა. რა ბედნიერად არის მოყუჩებული, მის დაკარგვას ვერ აიტანს; სხვანაირად ცხოვრება ვერ წარმოუდგენია. განა შეიძლება ამხელა უფლებების დაკარგვა?! მისი ყველას ეშინია და პატივს სცემენ. არც სხვა რამ ძლვენი აკლია, თუ ვინმე რაიმეს იპარავს, წილის გარეშე ლუას არ სტოვებს, დატოვებს და თვითონ რა მკვედარია? ერთი ათად ამოაღენს, ლუა ისეთი ბიჭი არ არის, თავის თავის ფასი არ იცოდეს, მაგრამ ამ საქმეს რა მოუხერხოს? თავში ქვა ეხალა, გადაეხადა ის ორასორმოცდაათი მანეთი; სარას მომდურებაც რომ არ უნდა. ლუა ორწყალს შუა იყო და გამოსავალი ვერ

მოეფიქრებინა, რომ ამ დროს ოთახის კარი გაიღო და ლავაშას მრგვალი თავი დიდი ღაბაბით ზღურბლს გამოსცდა.

– რა სანთლით საძებარი გახდი; ეგრე იქნება პურმარილის დაძველება?! დღეს კაცი წელში გავწყდი და ვერსად ჩაგხელე, – ლავაშა აროხროხდა.

– იმდენი საქმეები მაქვს, პურის საჭმელად ვერ მომიცლია, – ლუამ თავი მოისაწყლა.

– ეგრე არ შეიძლება, რაც გინდა მოხდეს, პურის საჭმელად უნდა მოიცალო, თორემ დასუსტდები და შეიძლება საეჭვო ხველა დაიწყო, – ლავაშამ ხითხითით გააფრთხილა, თან დაუმატა: – ღადანას კატას რამეთი ხომ უნდა ჰგავდე, სხვანაირად დაიჩაგრები.

– აქ ღადალას კატა რა მოსატანი იყო?

– ის მოსატანი იყო, რომ დღესაც გასარეცხი დადის და მთელს წნორს ამყრალებს, ეგ მაინც დაიჭი, ბიჭო, საქმეში ჩეგეთვლება, – ლავაშა ახარხარდა.

– მასხარად აგდების მაგიერ სადმე რომ წავსულიყავით თითო ჭიქის დასალევად, ხომ არა სჯობდა?

– სწორედ მაგ საქმეზე ვარ მოსული, ბიჭები თხილებში წავიდნენ, მე აქ გამოვიარე, კაი პურმარილი გვექნება; შეიძლება თვითონ ყარამან ვასილიჩიც მოვიდეს.

– შენი მსგავსი მეგობარი არ მეგულება, – ლუა გამხიარულდა, სკამიდან წამოხტა და ლავაშას გვერდით ამოუდგა, – წავიდეთ, ნუღა დავაგვიანებთ.

– საჩქარო არ არის, ნახევარ საათში გაამზადებენ, მანამდე შენთან პატარა საქმე მაქვს. შენი დახმარება გვინდა, ლუა, – ლავაშამ ხმას დაუწია.

– როდის მითქვია უარი.

– მზესუმზირა უნდა რუსთავამდე გავაცილოთ, მერე თვითონ იციან, სასომხეთში როგორ წაიღებენ.

– მე რა ვქნა?

– შენ უნდა გაყვე.

– მეეე! – ლუას გაუკვირდა.

– სხვა მუშაკიც გამოგყვება.

– ვინ?

– ზოსიმე ჭრელაშვილი ობეხეს უფროსი მექრთამეობის, სახელმწიფო ქონების დატაცებისა და სპეკულანტების წინააღმდეგ დაუძინებელი მებრძოლი. ეგ რომ ხელს მოჰკიდებს, გათავებულია; პურმარილზე დაგვხვდება.

– რომ გასქდეს, – ლუა ჩაფიქრდა.

– მამა გიცხონდა, გამხეთქები თვითონ მონაწილეობენ, შენ უნდა გიხაროდეს, უფროსები სანდო ბიჭად რომ გთვლიან. მეც გაგიკეთე რეკომენდაცია, თორემ განა სხვას ვერ იშოვნიდნენ?!

– უარს როდის ვამბობ, არც შანსი და მოქნილობა არ მაკლია, – ლუამ თავი დაიფასა.

– ეს რომ ვიცი, იმიტომ ვცდილობ, ამ საქმიდან განზე რომ არ დარჩე. თვითონ ყარამან ვასილიჩმაც იცის, მაგის მეტი მფარველი რაღ გინდა. რაც იმას შენს კაცობაზე ველაპარაკე, თუ იცი რატომ? იმიტომ, რომ მეგობრების დაფასება ვიცი.

– აგაშენა ღმერთმა, ლავა... – ლუამ ენაზე იკბინა, ლავაშას არ უყვარდა, ამ სახელით რომ მიმართავდნენ, – აგაშენა ღმერთმა, ფრიდონ! – თავისი გამონათქვამი შეასწორა და სასურველ სტუმარს ხელზე ხელი დაურტყა.

# თხუნელები თხილებში

**სასაუზმე** „თხილები“ ქალაქის განაპირას ჩამავალ ხეობის თავში, სადაც მთელი ფერდობი თხილის ტყით იყო დაფარული, ძირში კი ცივი ანკარა წყარო მოჩუხჩუხებდა, ფართო მწვანიანის ბოლოში მდგარ კაკლის გვერდით იყო მოწყობილი. მოქეიფენი ხშირად მის სხივშეუვალ ჩრდილში სხდებოდნენ, მაგრამ სასაუზმეს მაინც თხილიანი ფერდობის ძალით შემორჩა სახელი. ქალაქში როგორც უნდა პაპანაქება სიცხე ყოფილიყო, აქ სასიამოვნო, გრილი ნიავი ქროდა. ეს „სასაუზმე“ ქეიფის მოყვარულთა მისატყუებლად ჩაედგათ, რადგან ხევის ჩაყოლებით ახლომახლო არავინ ცხოვრობდა. აქ ვერც შემთხვევითი მგზავრი მოხვდებოდა, რადგან ერთადერთი გზა, რომელიც ხევს მიუყვებოდა, სასაუზმესთან თავდებოდა და მერე ფერდობზე შეფენილ ტყეში ბილიკებად იკარგებოდა. აქ მხოლოდ საქეიფოდ მოსულები გროვდებოდნენ. მარტო ჩიხირთმის საჭმელად თავს არავინ შეიწუხებდა. საამისოდ ამხელა მანძილის გავლა საჭირო არ იყო, რადგან საჩიხირთმე სასაუზმეები ქალაქშიც საკმაოდ იყო.

ამ სასაუზმეში დაპატიჟა ლავაშამ ლუა, სადაც ყარამანის მორიგი პურობა უნდა მოწყობილიყო. უყვარდა ყარამანს თანამოაზრეებთან ქეიფი და მათთან ძალაუფლების წყალობით სიმართლის უსამართლობით მოშთობის დემონსტირება ეს ფანდი იყო ყარამანის შემოსავლის წყარო. ოფიციალურად ხელფასიც ჰქონდა დანიშნული, რომლის არსებობა მხოლოდ თავისი პატიოსნების რეკლამირებისთვის თუ დასჭირდებოდა. მთელს რაიონში მუქარით და უსამართლობის შიშის ღალას კრეფდა, რაც მოძალადის მიერ სიმართლის დაბეჩავებაში მდგომარეობდა. დრო იყო მოშურნეთა, მოქიშპეთა, ცილისმწამებელთა, ცრუპატრიოტთა, ინტრიგანთა, პროვოკატორთა, დემაგოგთა, მოჩვენებითი კეთილდღეობის აურზაურით პატიოსანთა დევნა-ჩატუსაღების, ნაძირალათა აღზევების. ყოველივე ამას კომუნისტური პარტიის ცეკას პირველი მდივნის პოსტზე გამძვრალი ყოფილი მილიციის შეფი ედუარდ შევარდნაძე ედგა სათავეში, რომელიც სიმართლეზე, ზნეობაზე, მორალურ სიწმინდეზე, სინდისზე და ნამუსზე ნადირობდა. ამბაკო სიმონიჩის მსგავსი პირველი მდივნებით, რაიონებში რომ დააგზავნა თავისი ბნელი მიზნების განსახორციელებლად; ყარამანის მსგავსი შემსრულებლები ამრავლა. სწორედ ამ ბნელეთის მოციქულებით სპობდა ვინც და რაც იყო სიმართლის და ხალხის კეთილდღეობის მატარებელი.

ყარამანს იურიდიულ სამსახურთან საკუთარი ინტერესები ჰქონდა, რაც საკუთარი კეთილდღეობის უზრუნველყოფაში გამოიხატებოდა. მას ისე სწამდა ხალხის სოციალური კეთილდღეობის და სიმართლის უზენაესობისა, როგორც ეშმაკს – სახარებისა.

ყარამანი თემიდას მოციქულის როლს თამაშობდა. სინამდვილეში კანონის დამცველის მანტიაში შემძვრალი სატანა იყო ისე, როგორც პარტიის ცეკას პირველი მდივნის პოსტის – მაქინაციებით მიმთვისებელი ედუარდ ამბროსევიჩი მთელი არსებით ბელზებელი მაცხოვრის როლით რომ ოინბაზობდა.

საქართველოში შავი მზე ნელ-ნელა ამოდიოდა. მისი მეგზური ესოდენ ბნელი, ამაღლებული სულიერი სიწმინდისაგან განძარცული, ქართველების და საქართველოსადმი უსაზღვრო მოძულე, ჯერ კიდევ ამოუხსნელი ახალი ტიპის თვალთმაქცი, სატანის და შავი მზის მოციქული ედუარდ შევარდნაძე ქვეყანაში სიმართლის და სინათლის სხივს აქრობდა. სიცოცხლე და ბედნიერი მომავლის იმედი ნელ-ნელა ბნელდებოდა, ხოლო შავი მზის მოციქულის ნიღაბი კვლავ

ადამიანის სახელ საღდებოდა.

თავისთავად ერთი ეშმაკი ან თუნდაც ბელზებული სიკეთეს და უფლისმიერ სათნოებას ვერაფერს დააკლებს. უბედურება ის არის, რომ ედუარდ ამბროსევიჩმა ქვეყნის და ხალხის სამსახურისათვის მოწოდებულ თანამდებობათა მფლობელები ეშმაკების და ბნელეთის მოციქულებად აქცია. ვისაც ეს ვერ მოუხერხა, ახლებით შეცვალა, კაცთმოყვარება კაცთმოძულებით რომ ჰქონდათ მოწამლული. ქვეყანას სიცრუე და მოჩვენებით კეთილდღეობაზე ყალბი ყბედობა დაეპატრონა, რის მიღწევაც პატიოსანი, ადამიანური სიკეთით შემკობილი კადრებით შეუძლებელი იყო. ამიტომაც ედუარდ ამბროსევიჩმა ნაძირალათა მობილიზაცია გამოაცხადა, სინდისი და პატიოსნება ცოდვად რომ ეთვლებოდათ. ზევიდან ქვევით დაეშვა ძალადობით და ადამიანთა მოდგმის სირცხვილით შენელებული, გაპირუტყვებულ და გაველურებულთა მხეცური განუკითხაობა. სწორედ ამგვარი მიზნებით იყვნენ ნაკურთხი ამბაკო სიმონიჩი და ყარამანი, სპეტაკ ადამიანურ გრძნობებზე ბილწი კაცთმოძულებით რომ ნადირობდნენ.

ქვეყანას უკურნებელი სენი შეჰყროდა, რომელიც სათავიდან მოდიოდა და ორგანიზმის ყველა უჯრედს ეუფლებოდა საზარელი მიკრობებით დაავადებული სისხლივით. ჯანმრთელი უჯრედები ხშირ შემთხვევაში წინააღმდეგობას უწევდნენ და სატკივარს ამარცხებდნენ კიდეც, მაგრამ ზევიდან გველის შხამივით უწყვეტად მოდიოდა ღალატი და ორპირობა, რომლის შემსრულებლებს განუსაზღვრელი მხარდაჭერა ჰქონდათ სახელმწიფოს მეთაურისგან. ამასობაში კი ორგანიზმი ნელ-ნელა იძირებოდა განუკითხაობის სიბინძურეში. ადამიანთა კეთილდღეობის იმედად შექმნილი სახელმწიფო ღალატით მთავარ მიმართულებას სცილდებოდა და საზარელ კაცთმოძულებაში, ველურ განუკითხაობასა და ეგოიზმში იძირებოდა. გამძლავრებული ნადირის ინსტინქტი ადამიანში ადამიანობას სპობდა, ნათელ, სპეტაკ, ნაზ, უფლისმიერ სულიერ სიწმინდეს აქრობდა და მოხვეჭას, ძარცვა-გლეჯას, უძღები მადის უამრავი ქონებით ამოყორვას ბინძური, ველური, მხეცური განუკითხაობით შესდგომოდა. უბედურება კი ის იყო, რომ ხალხი ამ საზარელ საშიშროებას ვერ გრძნობდა. რაც მიღწეული იყო მისი სოციალური კეთილდღეობის მიზნით, უცვლელი ეგონა და უფრო უკეთესისკენ მიილტვოდა. ღალატის გიპნოზით ჭკუადაბინდული ვერ ხვდებოდა, რომ სწორედ ამ კეთილდღეობის მოსასპობად უბიძგებდა მას ადამიანში გაღვიძებული მოხვეჭის გაუმაძღარი ინსტინქტი.

ისტორიის ბორბალი უკან იხევდა. ბევრის მოხვეჭის ველური ჟინი ჯერ კიდევ უცნობი წეწვა-გლეჯით აგორებას იწყებდა. მისი საშინელი ინერციის აღებამდე ჯერ კიდევ სისხლიანი უბედურების გზა იყო გასავლელი. მთლიანი ორგანიზმი ცოცხლობდა, მაგრამ დაავადება უკვე ღრღნიდა მას და მკურნალობის ნაცვლად, მკურნალებად წოდებულნი ყველაზე საშინელ პარაზიტებად ქცეულიყვნენ; ბოლო ცოცხალი, ჯანსაღი და მძლავრი ორგანიზმის მოსპობა იყო, რომლის ლეშის დატაცების შემდეგ უბედურებას უნდა დაედო ბინა უკვე დაბეჩავებულ ხალხში. ასეთ პირობებში ამბაკოს და ყარამანის მსგავსი პარაზიტები მიზანმიმართულად სპობდნენ ყოველგვარ სასიკეთოდ აღმოცენებულ ნერგს.

კაკლის ჩრდილში დადგმულ მაგიდასთან ორნი ფუსფუსებდნენ: ტრიფონა – ხე-ტყის ბაზის გამგე, გამხდარი და მაღალი; დაბალი და უზომოდ გასუქებული ტიგრანა, ტრიფონას მხრებამდე ძლივს რომ სწვდებოდა, რაიკოოპკავშირის თავმჯდომარე იყო. ისედაც მოკლე ხელები მისთვის სიმსუქნეს უფრო დაემოკლებინა და უზარმაზარ ღიპზე ღილების შესაკრავად ვერ სწვდებოდა, ამიტომაც

ჭიპთან ორი ღილი შეხსნილი ჰქონდა.

მალე სასაუზმეს მანქანა მოადგა, ლავაშამ კარი გამოაღო და დარდიმანდულად დაიძახა:

– როგორა საქმე, ჯიგრებო!

– შენ რომ გაგიხარდება, იგრე, – ხელების წმენდით მიეგება მიმტანი.

– ყარამან ვასილიჩი ხომ არ მოსულა? – იკითხა.

– არა. მაგრამ პურმარილი უკვე მზად არის, – პასუხი მიიღო.

ამასობაში მანქანიდან ლუაც გადმოვიდა და ღუმელის ქვეშ წოლისაგან დაღლილ კატასავით გაიზმორა.

ლავაშამ მანქანა სასაუზმეს უკან თხილების ჩრდილში შეაგორა, ლუამ კი ეზო გადაჭრა და კაკლისაკენ გაემართა.

– ვინც მოვიდა, გაუმარჯოს! – ტრიფონა და ტიგრანა მხიარულად შეხვდნენ. – დაგეშილი მეძებრის ყნოსვა გაქვს, ნეტა ეგრე ბაზარში ჯიბის ქურდებს ეძებდე, – დააყოლა ტიგრანამ.

– ბაზარში, თორე, ქალაქში ხომ გააქრო იმათი ხსენება, – ირონიული ღიმილით დაამატა ტრიფონამ.

– სანამ თქვენ იქნებით, ქვეყნად ქურდს რა გამოლევს, – ლუა ვალში არ დარჩათ.

– ეგ როგორ? – გაიკვირვეს.

– როგორ და ეგრე, რომ სულ თვალებზე ხელაფარებული დავდივარ, რათა თქვენს მიერ მრუდედ გაგზავნილ საქონელს არ გადავეყარო.

– ჩვენთან რა გინდა, კაცს ჯიბიდან ხელი ვერ ამოუღია ქურდების შიშით.

– ცხოვრება ყველას უნდა, გაქვთ და გაცლიან კიდეც. საცა არ არის, არც იპარავენ, ეგრეა. ხომ გაგიგონიათ: ვინც არა ჩნდება, ის არა კვდებაო. რატო მე არა მპარავენ? იმიტომ, რომ არა მაქვს, – დაასაბუთა ლუამ თავისი თეორია.

– ღადალას კატის პატრონს საიდან გექნება.

– ამბობენ, იმ მყრალ კატას ნაქურდალი ღადალასთან მიაქვსო.

– ვინ არის ღადალა? – ლუამ გაიკვირვა.

– ყველა მილიციელი ღადალაა, სანამ პაგონებს მოირგებს.

– ადრე ღადალა იყავ, რაც მილიციაში შეძვერ, ღადალას კატად იქეცი. ახლოს ვინ მოგეკარება, ორმაგი დაცვა გაქვს, ბრჭყალები და ღადალას კატის სუნამო, – ორივე ახარხარდნენ.

– ბიჭო, შენ ვინ რას მოგპარავს, ყველა ქურდს წილში უზიხარ.

– რატო თქვენთან არა ვარ წილში.

– შენ ჯიბის ქურდების, კრეჭო-კოლების, ოღრაშ-სარებისა და ბაზრის მებაქეების დონის ხარ, ღადალად ნამყოფო ბატონო. ჩვენ კი დასაპურებლები ცოტა ზევით გვყავანან...

– თქვენ ჩემი ფასი არ იცით, რას იზამ, თუ გაგიჭირდეთ, ქალაქის საბჭოში მაქვს კაბინეტი, მუქთად გაგიწევთ დახმარებას, უფრო ზევითების დამპურებლებო!

ლავაშა შორიდანვე ხმაურით მიუახლოვდა მოკამათეებს.

– პურმარილის ბურჯებს ჩემი სალამი! ყველაფერი რა გაუგებრად ყრია, – შოთის პური შუაზე მოკეცა და უზარმაზარი ლუკმა მოკბიჩა, თან ყველის დიდი ნაჭერი მიაყოლა.

– არ დაიხრჩო, შე შობელძაღლო! უკან ვინ მოგდევს. ეგრე რამ გაგახელა, შიმშილის ქვეყნიდან მოდიხარ? – გაუწყრა ტიგრანა.

– დღეს ჩემს პირში ლუკმა არ ჩასულა.

– შენ დღეს ხაშის გარეშე დარჩებოდი?

– ხაში ჭამაში როდის გადის, – ლავაშამ გაიკვირვა.

– არც დაყოლებული არაყი?

– სამი სახარების ჩათვლით არა, – ლავაშამ პომიდორი აიღო და პირში ნახევარზე მეტი ჩაიდო. პომიდორის წვენმა მარაოსავით გაასხა და მის პერანგთან ერთად მაგიდასაც დაეწუწა.

– ყარამანი თუ დროზე არ მოვიდა, ეს ოხერი, ღორების ნათხარს დაამსგავსებს ამ სათუთად გაწყობილ სუფრას! – ტიგრანამ ქაღალდი აიღო და დასვრილი ადგილების გაწმენდა დაიწყო.

... მზე ცივგომბორის ქედს იქით ჩაიძირა.

სასაუზმეს ერთმანეთის მიყოლებით ორი მანქანა მოადგა: ერთი ყარამანის სამსახურის „ვოლგა", მეორე – საკუთარი „ჟიგული". დამხვდურნი მოსულთა შესახვედრად გაემართნენ.

ყარამანს გვერდით მისდევდა საშუალოზე ცოტა მაღალი, მუცლიანი კაცი. წვრილ კისერზე წამოგებულ დაკუთხულ თავზე მრგვალი კახური ქუდი ეხურა, მუხუდოს თესლის ხელა თვალები ეშმაკურად უთამაშებდა, თხელი და ქერა წარბები არ ეტყობოდა... ერთი შეხედვით თოვლის ბაბუის თავს აგონებდა მნახველს მისი სხეულის კისერზევითა ნაწილი.

– მშვიდობა და გამარჯვება! – ყარამანმა რიხიანად დაიქუხა.

– ხი, ხი, ხი! მშვიდობა თუა, გამარჯვება საიდან იქნება, – წვრილთვალებამ შეასწორა. – ომი და გამარჯვება, ახლებო!

– შენი შემართების ჭირიმე, ზოსიმე ჭრელაშვილო, სულ ომზე და გამარჯვებაზე რომ ხარ. ამდენ დავიდარაბაში მუცელი კი არ გიპატარავდება, მექრთამეობის, სპეკულაციის, სახელმწიფო ქონების დატაცების სპეციალისტთა იმედო, – ტიგრანამ წვირთვალებას ხელი საზეიმოდ გაუწოდა.

– ბიჭობაც ეგ არის, კაი კაცებს მოეფერო, არაკაცებს კისერი მოუგრიხო, ეს არის ჩვენი მუშაობის პრინციპი. ვინც გაყოფა იცის, ჩვენი სამსახური იმის მეგობარია. თუ შნო აქვთ, მაიპარონ, ოღონდ წილი არ უნდა დაგვიკარგონ, წილი! – ზოსიმემ ჭიქა აიღო და ღვინო დაისხა. – აბა ვნახოთ რა ღვინოა, – ჭიქა გამოცალა და ცარიელ ღიპზე გაიგორ-გამოაგორა, – ეგრე მტერი დაგვეცალოთ! – დააყოლა. – მოდი, ტიგრან, მუცლები დავაძაკრაოთ, – ტიგრანას ხელი გაუწოდა და მუცელზე მუცლით დაეტაკა.

– დაგჩვილებია, ეტყობა დღეს არაფერი გიჭამია.

– ტრიფონამ ჭიქა რაზე გაიგოროს? – იხუმრა ყარამანამ.

– ტიგრანამ ღიპიტრიფონას ათხოვოს ხა, ხა, ხა! – ზოსიმე ახვინხვინდა.

ჭამა-სმას შეუდგნენ, ენა მოსწრებულობაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ.

– ტრიფონ, ამდენს რომ ჭამ, სად ჩაგდის? – შენიშნა ყარამანმა.

– გასაკვირი ის არის, როგორ ახერხებს ჩავარდნილი ლოყების ხაშლამასთან ერთად დაუღეჭაობას?

– დალაქი როგორ პარსავს?

– აქეთ-იქიდან ორ კაკალს უდებს.

– რომ ჩაყლაპოს?

– ერთხელ ეგ შეკითხვა დალაქს თვითონ მისცა, რომ ჩამეყლაპოსო...

– იმან უთხრა, გუშინ ერთს ჩაეყლაპა, მაგრამ დღეს ისევ მომიტანაო, – ხარხარი ატყდა.

– ის როგორღა იყო, ტიგრანას სახლში გული რომ აერია და მის ჭამაში

გართულ თავის ძაღლზე თქვა: ეს როდისღა შევჭამეო.

ნელ-ნელა ჩამობნელდა.

კაკლის ტოტზე ჩამოკიდებული ნათურა ჩართეს.

– ახლა შეგვიძლია გათენებამდე ვიქეიფოთ, – ზოსიმემ წინადადება წამოაყენა, ბევრი ღვინის სმით თავი რომ მოჰქონდა.

– ზოგი ტრიფონამ და ტიგრანამ იკითხონ, გათენებამდე პირველი, ათჯერ გამოიძინებს, მეორე კიდევ გულს ათჯერ აირევს, – სიცილით თქვა ლავაშამ.

მართლაც, ტრიფონამ მალე თავი ჩამოჰკიდა და გადაბმული ხვრინვა ამოუშვა, ტიგრანამ კი მანამდე რაღაც საქმე მოიმიზეზა, სასაუზმეში შევიდა და იქიდან გაიპარა.

ქეიფი გაგრძელდა. ყარამანი ფეხზე ადგა და სადღეგრძელოს გარეშე შუბლშეკრულმა დაიწყო:

– დღეს ჩვენ განსაკუთრებული ღონისძიების წინ შევიკრიბეთ. მზესუმზირის დიდი პარტია ადგილამდე უხმაუროდ უნდა გავაგზავნოთ. საამისოდ ყველაფერი მომზადებულია, სანდო ბიჭებიც გვყავს; ინტრიგანებიც ვერ მოგვწვდებიან. რომც გაიფხლაკუნონ, ვერაფერს დაგვაკლებენ. ამბაკო სიმონიჩს უნდოდა ჩვენთან წამოსვლა, მაგრამ ზევიდან ისეთი უცხვირპირო სტუმარი მოუვიდა, ამ ვაჟკაცურ პურმარილზე გამოსაჩენი არ იყო და... ჩვენც დავამთავროთ, ხვალ მაგარი საქმე გვაქვს, ყველანი ფხიზლად უნდა ვიყოთ.

– ეგრეა, ყარამან ვასილიჩ, მხარი მხარს უნდა მივცეთ და ერთმანეთი გავიტანოთ. ვინც ჩვენ ვერ გაგვიგებს და სხვა მხარეს გაიწევს, იმ სკოლის დირექტორივით ამოგრეხილი თავი ფრთის ქვეშ უნდა ამოვუდოთ, – ზოსიმემ ვიღაცას მუქარით დაუქნია თითი.

– რა ბედი მაქვს, ის მოვაშორე და იმაზე უარესი მოვიდა; ბიჭს სწავლა სულ შეაძულეს. ხუთოსანი ბავშვი ორიანებს ღებულობს, ყველა მასწავლებელი მტრად გაუხდა. განსაკუთრებით ფიზკულტურის მასწავლებელი რომ არის, ის მტრობს, ბიჭი ვარსკვლავებს ეთამაშება, იმან კიდევ ორიანი დაუწერა, – ყარამანმა თანაგრძნობის გამოხატვის მოლოდინში დანარჩენებს გადახედა.

– უყურე, რა გაუბედიათ! სხვას რა დღეში ჩააგდებენ, როცა თვითონ ყარამანი ამ დღეშია. დედას ვუტირებ, ნათესავებს და ახლობლებს არ გავუხარებ, ისეთ შარს მოვდებ, მაგათი ბუმბული ცაში უნდა ადიოდეს, – ზოსიმემ გაიღრიჭა და დაქსაქსული კბილები გამოაჩინა.

– იმ ფიზკულტურის მასწავლებელმა საქმე ლუასაც გაუჩინა, – ლავაშამ მუქარის კოცონს ფიჩხი მიუმატა.

– ეგ ის არის, ცისკარიშვილების დედაკაცს სამსახური რომ მოუძებნა? – ყარამანმა იკითხა.

– ის არის, ძალიან თბილად დააბინავა, – ლავაშამ დაუდასტურა.

– ის კვირიკე რა კაცია, ვერ უნდა დავჭედოთ? – ყარამანმა ზოსიმეს გადახედა.

– კრეჭო-კოლამ კი დასვა მშრალად სამ ღორზე, –ლავაშამ ახალი ამბავი ახარა.

– შენ გენაცვალე! როგორ მოხდა? – ყარამანი აღფრთოვანდა.

– ღრაშ-სარას შეუთვალიერებია, მერე კრეჭო-კოლა მისულა და თავისთან წაუსხავს. კვირიკე კიდევ ლუას მისდგომია, ღორები მაპოვნინეო.

– მართლა, ლუა?

– ეგრეა, ეგრე.

– მაგ გათახსირებული კაცის მიხმარება გეკადრება?

– მივეხმარე კი არა, კაბინეტიდან გავაგდე. მერე იმ ფიზკულტურის მასწავლებელს კრეჭოსთან წაუყვანია, ორი ღორი წაურთმევია, კარგად უცემია და დაუბარებია: კვირიკეს ერთ კვირაში თუ ღორის ფულს არ ჩააბარებთ, დედას გიტირებთო. მოკლედ, კრეჭო-კოლას სახლკარი დაურბევიათ.

– ის გათახსირებულები საცოდავ კაცს რას ერჩოდნენ?! – გაბრაზდა ყარამანი.

– ახლა ფულის წართმევაც უნდათ.

– ქრთამი სთხოვეს? – ზოსიმემ თვალები ცბიერადააციმციმა.

– რაც გინდა იყოს, ჩვენ ქრთამად მოვნათლოთ. ჰამაც საქმეში ჩაგვეთვლება, ჰამაც ჭკუის სასწავლებლად სხვებსაც გამოადგებათ, – დაასკვნა ყარამანმა.

– ეგ საქმე ცუდი არ უნდა იყოს, – ზოსიმე გამოცოცხლდა.

– ლუა, კრეჭომ ფული სად უნდა მიუტანოს?

– კრეჭო კი არა სარა მიუტანს.

– რაში შეეძლო კვირიკეს სარასთვის ქრთამი ეთხოვა?

– მესამე ღორის მაგიერ, – ლუა საუბრის ღრმა შინაარსს ვერ ჩასწვდა.

– სარას დამლაგებლად მოწყობაში ქრთამი სთხოვა, – ზოსიმემ სცენარი ააწყო.

– შეიძლება. ჯერ დავიჭიროთ და მერე ეგ საკითხი დავხვეწოთ; მთავარია სარამ ფული მიუტანოს და კვირიკემ აიღოს, – დაასკვნა ყარამანმა.

– კვირიკე ფულს აიღებს. კვირის ბოლომდე დაელოდება, თუ არ მიუტანა, ფიზკულტურის მასწავლებელი მაკე ღორს წაართმევს, – ლუამ მსმენელები საქმის ვითარებაში გაარკვია...

## კვირიკე ხაფანგში

**დილის** ათი საათი იქნებოდა, მზიანი დღე იყო. ანიკო ცისკარიშვილი საბეჭდ მანქანას უჯდა და ნიადაგზე უკანასკნელი დაკვირვების მასალებს ბეჭდავდა. კვირიკე კაბინეტში იჯდა და რაღაც ცხრილს ჩაჰკირკიტებდა.

მდივნის ოთახში სარა შევიდა.

– უფროსი აქ არის? – დაბნეულად ჰკითხა ანიკოს.

სარა განსაკუთრებით მოპრანჭული იყო; სუნამო, პუდრი და პომადა დაუზოგავად გაეხარჯა. თეთრი ხილაბანდი მოეშორებინა, თავი საგულდაგულოდ დაევარცხნა და ზურგზე ერთი გრძელი ნაწნავი გადაეგდო.

– უფროსი რად გინდა? – ჰკითხა ანიკომ.

– ჩვენ პირადი საქმეები გვაქვს, შინაურული, – სარამ მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა.

– მიბრძანდი, კაბინეტშია, – უთხრა და ბეჭდვა გააგრძელა.

სარამ კარი გააღო და ღრეჭით კაბინეტში შევიდა. ქაღალდზე დახრილი კვირიკე რომ დაინახა, ვნებიანად გაუღიმა და ძველი ნაცნობივით დარდიმანდულად ხელი აუღო. რამდენიმე წუთში კაბინეტიდან გამოვიდა და გარეთ გავარდა.

სარას გაუჩინარებიდან ორი წუთიც არ გასულა, ანიკოს ოთახში ზოსიმე ჭრელაშვილი და ორი მილიციისფორმიანი კაცი შეიჭრა.

– სად არის დირექტორი?! – ზოსიმემ ბრძანების კილოთი იკითხა.

ანიკომ ხმის ამოუღებლად კარებზე აჩვენა. ბეჭდვის გაგრძელება უნდოდა, მაგრამ ვერაფრით ვერ მოახერხა; ზოსიმეს სტუმრობამ შეაშფოთა.

ათიოდე წუთის შემდეგ ერთი ფორმიანი კაცი გამოვიდა და რამდენიმე თა-

ნამშრომელი კვირიკეს კაბინეტში შეიყვანა.

საცდელ სადგურში რაღაც საგანგაშო ხდებოდა. თანამშრომლები დედამოკლულ ფუტკრის სკასავით აიშალნენ.

ნახევარი საათის შემდეგ ზოსიმემ და ორმა ფორმიანმა კაცმა გაფითრებული და უსაზღვროდ აღელვებული კვირიკე კაბინეტიდან გამოიყვანეს.

ანიკომ შეწუხებული თვალები მიანათა, თითქოს ეკითხებოდა, მითხარი რა მოხდაო.

კვირიკე შუა ოთახში გაჩერდა და ხელები გაასავსავა:

– ასეთი რამე გაგიგიათ, ამხანაგებო? იმ ქურდმა დედაკაცმა ჩემი საკუთარი, მოპარული ღორის ღირებულება მომიტანა, ესენი კი მედავებიან, ქრთამი აიღეო. განა შეიძლება ქურდს ის უჭერდეს მხარს, ვისაც მის წინააღმდეგ ბრძოლა ევალება?!

– მოდი, მოდი! ვინ ქურდია და ვინ მექრთამე, იქ დაგიმტკიცებთ! – ზოსიმემ წვრილი თვალები ბოროტად მოჭუტა და კვირიკეს გასასვლელისკენ უბიძგა.

ანიკოს ყარამანის მუქარა ახლა გაახსენდა. „ნუთუ ჩემი სამსახურში მიღებისათვის იძია შური? ნუთუ შეიძლება კაცს ასეთი ცილი დასწამო? ან რა საერთო აქვს ქურდ სარას ზოსიმესთან? ყარამანის ღვარძლი არაფრის წინაშე უკან არ დაიხევს, ყველაფერს ეცდება, რომ ეს წესიერი კაცი დაღუპოს. მერე რისთვის? იმიტომ, რომ საწყალი ქვრივი ქალი, ერთ ობოლ შვილს რომ ზრდის, შეიფარა. განა შეიძლება ამგვარ ვერაგს ადამიანთა ბედის განსჯა ევალებოდეს?!“ – ფიქრობდა ანიკო და თავის მაგიდას სასწრაფოდ ალაგებდა. კვირიკეს როგორმე უნდა უშველოს, მაგრამ როგორ? ვის მიმართოს, ან რა შეუძლია?

უცებ თითქოს წყალწაღებულს მაშველი რგოლი გადაუგდეს, ისე ჩაეჭიდა ერთ აზრს: „ზაქრო, სასწრაფოდ ზაქრო უნდა ვნახო, ის რაიმეს იღონებს“.

როგორც ზოსიმემ და იმ ფორმიანმა კაცებმა კვირიკე მანქანაში მოათავსეს და ადგილიდან დაიძრნენ, ანიკო მაშინვე ზაქროსთან გაიქცა...

... მზე დასავლეთისკენ გადახრილიყო, ზაქრო კრეჭო-კოლას კარმიდამოში გრიგალივით რომ შეიჭრა, სარა ამ დროს ინდაურებს სიმინდის ფქვილში არეულ დაკუწულ ჭინჭარს უყრიდა. ზაქროს დანახვაზე სავსე თასი მიწაზე დააგდო და ტყისაკენ გაიქცა.

– კოლა, მიშველე, კოლა! – გამწარებით აყვირდა.

ზაქრო ღობესთან წამოეწია, გრძელს ნაწნავებში მისწვდა და ისე დაიქნია, რომ აწივლებული სარა მიწას დაასკდა. ზაქრომ კისერში წაავლო ხელი და წამოაჩოქა.

– მითხარი, რა ჩაიდინე, თორემ ცალი ხელით დაგახრჩობ და გველივით ღობეზე გადაგკიდებ, შე ძუძუძაღლო! – უღრიალა.

სარამ მის გაცოფებულ თვალებს რომ შეხედა, მიხვდა, რომ, ზაქრო დაპირებულის შემსრულებელი იყო; ყვირილი შეწყვიტა და აკანკანებულმა ხვეწნა დაუწყო:

– ზაქრო-ჯან, ოქრო კაცო, გეტყვი, ყველაფერს დაწვრილებით გეტყვი... ჩემი არაფერი ბრალია, შენს თავს ვფიცავარ!

ზაქრო ცოტათი დამშვიდდა, სარასთან ჩაიჩოქა და კისერზე ხელი გაუშვა.

– აბა მომიყევი, რა მოხდა?! – უთხრა და მოსასმენად მოემზადა.

– გეტყვი, ზაქრო-ჯან, როგორ არ გეტყვი, – სარამ შიში ცოტათი გააყუჩა.

– დროზე! – ზაქრომ უყვირა, სარა შეხტა.

– ზაქრო-ჯან, ამასწინათ ლუა სახლში მომივარდა, თავი მთხოვა, მე ხომ

იცი, კარგ-კარგები ჩავაბარე.

– ეგ არ მაინტერესებს, საქმეზე ილაპარაკე, – ზაქრომ შეაწყვეტინა.

– ჰოდა, ზაქრო-ჯან, საქმე აქედან იწყება. შემპირდა, იმ ფულს კვირიკესთვის რომ უნდა მიმეცა, შენ დაგიტოვებო. დაწერე, რომ დამლაგებლად მოწყობაში გთხოვაო. მემრე საბჭოში წამიყვანა, იქ ზოსიმე ჭრელაშვილი იყო, ის წვრილთვალა, გადაცმული რომ არის, იმან რაღაცეები დამაწერინა. დღეს დილით კი მოვიდა, ფული მომცა და კვირიკესთან თვითონ მიმიყვანა. ქუჩის კუთხეში დეგელოდებიო, როგორც ფულს მიუტან, მოდი და გამაგებინეო, მითხრა. მემრე მოვიდნენ და დაიჭირეს... ახლა შენ მითხარ, ზაქრო-ჯან, რა ჩემი ბრალია?! ბოზი არა ვარ, ქურდი არა ვარ, მატყუარა არა ვარ, ჩემი ინდაურებით ვცხოვრობ, ვის რას ვუშავებ?! – სარამ ამბის თხრობა დაამთავრა.

– რაც ჩამოთვალე, ყველაფერი ხარ. ახლა წამოდი და სადაც ადგილია, რაც ჩამოფქვი, იქ გაიმეორე! – ზაქრომ სარა ძალით წამოაყენა.

– ზაქრო-ჯან, სად მიგყავარ, ხელები მაინც დამებანა, – სარა შეწუხდა.

– ყველა დაუბანელს გიცნობს, გასუფთავებული სხვაში არავისში არ შეეშალო, – უთხრა ზაქრომ და ჩქარი ნაბიჯით ხევის გაღმა გაჩერებულ მანქანისკენ თითქმის თრევით წაიყვანა.

ღობეს რომ გასცდნენ, კრეჭო-კოლა თავისი სამალიდან გამოძვრა, რომელიც საღორის ახლოს ღობესთან რცხილის მოზრდილ ბუჩქში ჰქონდა მოწყობილი.

– შად ჭაიყვანა, ი დედაკაჩი, მა შობელძაღლმა, რა ჭირად გამიხადა ი შამი ღორი, ლამიშ ქედ გადამაყოლოშ, – ჩაიჩიფრიფა და ღიად დარჩენილი ალაყაფის კარების დასახურად გაეშურა...

ზაქრომ სარა რაიკომის კიბეებზე ისეთი ხელკავით აატარა, თითქოს განუყრელი წყვილი ყოფილიყო.

– პირველი მდივანი ამბაკო სიმონიჩი ადგილზე არ არის, მხოლოდ რიგითი მდივანია, – გააცნო საქმის ვითარება მისაღებში მაგიდასთან მჯდარმა ქალმა.

ფართოშუბლიანი, ჭაღარაგამორეული, დიდი და კეთილი თვალებით, სპორტულ აღნაგობის, მაღალი კაცი სკამიდან წამოდგა და შემოსულებს მიესალმა. ზაქრო და სარა მაგიდასთან მიიპატიჟა, თვითონაც თავის ადგილს დაუბრუნდა.

– საშინელი დანაშაული მოხდა, პატივცემულო მდივანო! – ზაქრომ დაჯდომისთანავე დაიწყო.

– აბა მომიყევით, რაშია საქმე, – დინჯად უთხრა მან და მოსასმენად მოემზადა.

– პატიოსანი კაცი ცილისმწამებლურად შეთითხნილი საქმით ქრთამზე დაიჭირეს, თქვენ გეცოდინებათ, მიწათმოქმედების საცდელი სადგურის დირექტორი კვირიკე სიხარულიძე, – ზაქრო ღელავდა.

– თუ ცილისმწამებლურია, ორგანოები გაარკვევენ და საქმეს ნათელს მოჰფენენ, – მდივანმა დამშვიდება სცადა.

– არა, ეგრე არ არის, ცილისწამება თვითონ მაგათგან მოდის!

– ეგ არ შეიძლება. თქვენ გამწარებული ჩანხართ და იმიტომ გამოხატავთ მათ მიმართ უნდობლობას.

– ჯერ მე მომისმინე, ყველაფერს დაწვრილებით აგიხსნით, მერე აგერ უტყუარი მოწმე. ეს ქალი მოგიყვებათ ყველაფერს და არა მგონია, თქვენც ჩემსავით არ განიცადოთ ის, რაც მოხდა. ოღონდ მოთმინება დაგჭირდებათ, მოსაყოლი ბევრი მავქს, – ზაქრომ ისე შეხედა, თითქოს ეუბნებოდა, მომისმენ თუ არაო.

– რა გაეწყობა, რადგან ასე დაჟინებით მოითხოვთ, მოგისმენთ, – მდივნის

სახეზე უნდობლობის ღიმილი გამოკრთა.

ზაქრომ ამბის მოყოლა გაბოს და ჰამლეტის ჩხუბით დაიწყო, და, რაც ჩვენთვის ცნობილია, ყველაფერი მოუყვა. – ახლა ამ ქალს მოუსმინე, ეს არის ოღრაშ-სარა, ვინც კვირიკეს ფული მიუტანა, – ზაქრომ სარას გადახედა.

– მე ოღრაში არა ვარ, მე წესიერი ქალი ვარ! – სარამ თავის სახელზე მიტმასნილი ოღრაშის გახსენება იწყინა.

– მოუყევი რაც იცი, თუ წესიერი ხარ, არავინ დაგიკარგავს, – ზაქრომ დააიმედა.

სარამ რაც იცოდა, ყველაფერი გულახდილად ჩამოფქვა.

კაბინეტში სიჩუმე ჩამოვარდა.

მდივანმა ყურმილი აიღო და პირველ მდივანს დაურეკა.

– ადგილზე არ არის, თქვა, მაშინ მე თვითონ მომიწევს ღონისძიების გატარება. – მილიციის უფროსს დაურეკა: – თქვენთან თუ არის დაკავებული კვირიკე სიხარულიძე? – ჰკითხა და დადებითი პასუხი მიიღო.

– ახლა თქვენთან ორი მოქალაქე მომყავს, რომლებიც ფრიად საყურადღებო საკითხზე საუბრობენ. გთხოვთ, კვირიკეს დაკავების მონაწილე და ბრალმდებელი ყველა მუშაკი შეგვახვედროთ, – უთხრა და ყურმილი დადო.

მალე მილიციის უფროსის კაბინეტში მდივანი, ზაქრო და ოღრაშ-სარა ისხდნენ. ხმას არავინ იღებდა, ზოსიმე ჭრელაშვილის შემოსვლას ელოდებოდნენ. ისაც შემოვიდა, მდივანს დამცინავად გადახედა და საქაღალდე მილიციის უფროსს გაუწოდა, თვითონ იქვე მაგიდასთან დაჯდა.

– გაეცანით, გიორგი ირაკლიჩ, – მილიციის უფროსმა საქაღალდე მდივანს გადასცა.

მან ყველა ფურცელი ხმამაღლა წაიკითხა და მწარედ გაეღიმა.

– ჩემს მაგიერ და თქვენს მაგივრადაც მცხვენია, მაგრამ სანამ საუბარს გავაგრძელებდეთ, ამ ქალს მოუსმინეთ, – თქვა და სარას სთხოვა, ჩემთან რაც მოყევი, აქაც იგივე გაიმეორეო.

მიუხედავად ზოსიმეს გაუთავებელი თვალის პაჭუნისა და ღრეჭისა, სარამ როგორც სინამდვილეში მოხდა, ყველაფერი ისე თქვა.

– ზოსიმე, ნუთუ ამის კადრება შეიძლება?! – მდივანმა ზოსიმეს გველივით წვრილ და ცბიერ თვალებს საყვედურის მზერა მიაბჯინა.

– ამბაკო სიმონიჩი საქმის კურსშია, ყარამან ვასილიჩის პირადი დავალებით გავაკეთეთ და თქვენ კარგად უნდა გესმოდეთ, ეს რას ნიშნავს! – ზოსიმე შეფარულად იმუქრებოდა.

– არ ვიცი, რას ნიშნავს?

– ძალიან ბევრ რამეს, თუნდაც იმას, რომ უფროსი მის ნათქვამს დაიჯერებს.

– უფროსმა ის უნდა დაიჯეროს, რაც სიმართლეა! ყარამანსაც სწორედ სიმართლის დაცვა ევალება! გნებავთ, ამ კაცსაც მოუსმინეთ, რასაც ეს იტყვის, ყარამანს სახელს და პატივს არ შესძენს, – ზაქროზე მიუთითა.

– ეგ კვირიკეს მეგობარია და დანაშაულშიც გარკვეული წვლილი მიუძღვის.

– კი მაგრამ, ეს ქალი, ასე ვთქვათ, დაზარალებული, თვითონ ამბობს, როგორც მოხდა. რატომ ებღაუჭებით ზოგიერთის ავტორიტეტს?! განა თქვენთვის ცნობილი არ არის ჭეშმარიტება, რომ ავტორიტეტი სიმართლეს და პატიოსნებას უნდა ემსახურებოდეს? და თუ მან ეს ნიშანი დაკარგა, ის ყალბი ავტორიტეტია, რომელიც ერთ მშვენიერ დღეს თავის ნამდვილ სახეს გამოაჩენს.

– ეს როგორ უნდა გავიგოთ? – ზოსიმემ ისედაც წვრილი თვალები მოჭუტა.

– ისე გაიგე, როგორც ითქვა. ერთი კი იცოდეთ, ის მართალი კაცი თუ ახლავე არ გაგინთავისუფლებიათ და ბოდიში არ მოგიხდიათ, ვერავითარი ავტორიტეტი ვერ გიშველით. სიმართლის ძიებას პირადად ბოლომდე მივყვები და ბევრს ეს ბინძური საქმე იქნებ სანანებლად გაუხდეს! – გიორგი ადგა და კარებისაკენ გაემართა.

ზაქრო და სარაც ადგნენ.

დაბნეულმა ზოსიმემ მილიციის უფროსს შეხედა, მან მხრები აიჩეჩა და ქვედა ტუჩი გაურკვევლობის ნიშნად გადმოაბრუნა.

– ჩვენ რა ვქნათ? – ჰკითხა ზაქრომ გიორგის.

– თქვენ კვირიკეს დაელოდეთ და აქედან სახლში ერთად წადით, თუ ასე არ მოხდა, ხვალიდან თქვენთან ერთად რესპუბლიკის დედაქალაქამდე ჩავალ. გარეთ გასულ გიორგის ზაქრო და სარაც გაყვნენ.

– შეხედე, როგორი თავხედია?! – ზოსიმემ თანაგრძნობის მიღების მიზნით თქვა, თან დაუმატა: – ამბაკო სიმონიჩსაც წინ უხტება, რესპუბლიკის დედაქალაქში წავალო.

– შენც რაღა ჭირად აიკიდე ეს შეთითხნილი საქმე! ხომ იცი, როგორი მიდეგაა, მაგან თუ აიხირა, ბოლომდე მიჰყვება და შეიძლება კვირიკესათვის მოლერებული სახრე მომღერებელს მოხვდეს, – გააფრთხილა მილიციის უფროსმა.

– რა ვიცი, ყარამან ვასილიჩმა მოიწადინა და... – ზოსიმეს თავხედობა ჩაუნელდა.

– იცოდე, ამ საქმიდან ყარამანი განზე დარჩება, მისი ხასიათი ხომ იცი, თუ გაჭირდა, წიხლს თვითონ დაგაჭერს; ჯოხიც შენზე გადატყდება. იცოდე, გიორგი დაპირებულის შემსრულებელია, თანაც სიმართლე მაგის მხარეზეა.

–ოხ, მაგის! – ზოსიმემ მაგიდას მუშტი დაარტყა. – ერთხელ ხელში ჩამივარდება და მერე ნახოს! ახლა რა ვქნა?

– ის უნდა ქნა, გიორგის მუქარას შეეშვა, კვირიკე სასწრაფოდ გაანთავისუფლო და ეგ შეთითხნილი საქმე ქარს იგრე გაატანო, რომ გახსენებაც აღარ დარჩეს. თორემ იცოდე, ხვალ და ზეგ უკვე ძალიან გვიან იქნება.

– ყარამანს არ დავურეკო?

– ბიჭო, რა გითხარი?! გაჭირდება და ყარამანი მთელ ნაგავს შენზე შეიბერტყავს. ჯერ გაანთავისუფლე, ეგ საქმე მოსპე და მერე რაც გინდა, ის ქენი, შენ იცი და ყარამანმა. მილიციის უფროსი ადგა, ფანჯრიდან ეზოში გადაიხედა, სადაც ზაქრო და სარა იდგნენ.

ზოსიმემ თავისი საქაღალდე აიღო და კაბინეტიდან ხმის ამოუღებლად გავიდა.

მილიციის უფროსი ფანჯარას არ მოსცილებია, ეზოს დიდხანს მისჩერებოდა, სადაც კუთხეში აკაციის ძირში ძელსკამზე ზაქრო და სარა ისხდნენ. აგერ, ზაქრო წამოხტა და მისკენ მიმავალ კვირიკესაკენ სირბილით გაემართა; ერთმანეთს ისე გადაეხვივნენ, თითქოს წლობით უნახავი ძმები შეხვედროდნენ...

ანიკო ცისკარიშვილი, ზაქროს გაფრთხილების შემდეგ, სამსახურში დაბრუნდა, მაგრამ ვერაფრის გაკეთება ვერ შეძლო. ახლა იჯდა და საზარელ ამბავზე ფიქრი არ ასვენებდა: „ყველაფერი ჩემი გულისათვის მოხდა, უდანაშაულო კაცი დაიღუპა, მან გაბედა ჩემი მიღება, კიდეც იძიეს შური. ღმერთო ჩემო! რა დავაშავე ასეთი?!“ – ხანდახან ხმამაღლა წამოიძახებდა ხოლმე და თავზე ხელებმოჭერილი ისევ ფიქრებს ეძლეოდა.

საღამოთი ვერც სახლში მოისვენა. ადრე დაწვა და გაბოს სთხოვა, მეზობელ სოფელში დეიდასთან წასულიყო და დეიდა მოეყვანა.

დეიდას სახლში სტუმრები ჰყავდა, გაბოს შეჰპირდა, ხვალ დილასვე თქვენთან ვიქნებიო.

ანიკო მთელი ღამე შფოთავდა, კოშმარული ფიქრები ძილს არ უხშირებდნენ. ყარამანისთავიანი ასხელიანი მაჯლაჯუნა მკერდზე აწვებოდა და სუნთქვის საშუალებას არ აძლევდა. ამგვარ წვალებაში ყვირილით ილვიძებდა და სულშეხუთული გაღებული პირით სუნთქავდა.

– გაბო, შვილო, ახლოს იყავ, არსად წახვიდე! – ეხვეწებოდა და შუბლიდან ტილოთი ოფლს იწმენდავდა.

გაბო მთელი ღამე დედის საწოლთან დაჩოქილი იყო, მისი მაჯა ხელში ეჭირა და ეფერებოდა, რა ეღონა, არ იცოდა.

დილით გაბოს ისე ჩაეძინა, ვერ გაიგო მისი დეიდა ელენე ოთახში როგორ შემოვიდა.

– ადექი, გაბო, სკოლაში არ დაგაგვიანდეს, – ჯერ ისევ ძილბურანში ჩაესმა მისკენ დახრილი დეიდა ელენეს ხმა.

– რა მოგივიდა, ანიკო?– შეშფოთებულმა ჰკითხა დას და მისი მაჯა ხელში აიღო, ანიკო თვალებდახუჭული იწვა და მძიმედ სუნთქავდა...

სკოლიდან დაბრუნებულ გაბოს ალაყაფის კარებთან სასწრაფო დახმარების მანქანა დახვდა. გული რაღაც საშინელმა წინათგრძნობამ შეუკუმშა, ეზოში შეგროვილ რამდენიმე მეზობელს ზედ არ შეხედა, კიბეზე აირბინა, ოთახში რომ უნდა შევარდნილიყო, კარებთან დეიდა ელენე დაუხვდა და ტუჩებზე ხელის მიდებით ანიშნა, წყნარად იყავიო. გაბომ ახლა შენიშნა თეთრხალათიანმა ქალი შუშაბანდში მაგიდასთან რაღაცას რომ წერდა; მეორე თეთრხალათიანი ოთახიდან მოზრდილი ყუთი გამოიტანა.

იმ დღეს საშინელი განცდებით გატანჯულ ანიკოს ინფარქტმა პირველად მიაკითხა...

## შენი საცოლე დიდყურაა

**გაბომ** მთელი ზაფხული ნელის ნახვა ვერ მოახერხა. რამდენიმეჯერ წიგნის თხოვნის მიზეზით სახლში მიაკითხა, მაგრამ მისმა ბებიამ ყოველთვის უკან გამოაბრუნა. რა ვქნა, შვილო, ნელი თავის დედასთან ერთად სამეგრელოშია, მე კი უიმისოდ წიგნს ვერავის ვანდობო.

ახალი სასწავლო წელი თავიდანვე უცნაურად დაიწყო.

გაბო მოუთმენლად ელოდა ნელისთან შეხვედრას, მაგრამ პირველი გაკვეთილის დაწყებამდე ძლივს მოასწრო ნელისთან მისალმება, რომ ჰამლეტმა საზეიმოდ გამოაცხადა: – ამ ზაფხულს მამაჩემმა გაგრაში ჩემი თხოვნით ეს საათი ნელის საჩუქრად უყიდა! – ქალის პატარა ოქროს საათი ყველას დაანახა და ყარამანის სახელით ნელის გაუწოდა. მან მხრები აიჩეჩა და, რატომღაც, დაბნეული მზერა გაბოს მიაპყრო, თითქოს ეკითხებოდა, რა ვქნაო. გაბომ ბრაზისგან ფერი დაკარგა და თავი დახარა.

– მამაშენს დიდი მადლობა გადაეცი, მე საათი მაქვს! – ნელიმ მკვახედ მიახალა და თავის მერხისკენ წავიდა.

ჰამლეტს გაწვდილი ხელი ჰაერში გაუჩერდა.

– ეგ საათი, როგორც ვიცი, მამაშენმა სკოლის ყარაულის დიდყურასთან გამოგატანა. მისამართი რად შეგეშალა?! – შეახსენა გაბომ.

ჰამლეტმა ნათქვამის აზრი ვერ გაიგო და გაჯიუტდა:

– არავითარი სკოლის ყარაულის დიდყურა არ ვიცი მე, ეს საათი ნელის ეკუთვნის! – საზეიმოდ გამოაცხადა.

მოსწავლეები ხმამაღლა ახარხარდნენ. ამ ალიაქოთში და ხმაურში პირველი გაკვეთილიც დაიწყო.

ჰამლეტმა გაკვეთილის მიმდინარეობისას ამოხსნა გაბოს ნათქვამის აზრი და გაბრაზდა: – როგორ გაბედე და მამაჩემს შეურაცხყოფა მიაყენე?! – გაკვეთილის დამთავრებისთანავე გაბოს შეუტია.

– მამაშენს მე კი არა, ყოველი ფეხის ნაბიჯზე შეურაცხყოფას შენ აყენებ, – დინჯად უპასუხა გაბომ.

– იქნებ ესეც მე ვთქვი, რომ ყარამანმა საათი სკოლის ყარაულის ვირს უყიდაო?!

– შენ თვითონ თქვი, მე ვირი არ მიხსენებია. ჰოდა, რა ყარამანის საქმეა ნელისთვის საათის ყიდვა!

– ნელი ჩემი საცოლეა, ყველამ გაიგოს, თუ მოვინდომე, ბროლის კოშკებს ავუგებ!

– შენი საცოლე სწორედ ის დიდყურაა. მეორედ მაგ სიტყვას იტყვი და ენას ამოგაგლეჯ!

– შენ რა გეწვება, იქნებ ნელიში მეცილები?! ხომ არ გიყვარს, ჰა? – ჰამლეტმა გამომწვევად მიიწია. – ეგ არ გაბედო, თორემ! თქვი, თქვი თუ გულში გერჩის, თქვი, გიყვარს?

გაბო შეცბა. უყვარს და ნელისთვის სიცოცხლეს არ დაიშურებს, მაგრამ ეს თავხედი რას ბედავს?! სახალხოდ უნდა, რომ ათქმევინოს ის, რაც გულის ყველაზე სათუთ კუნჭულში საიდუმლოდ ინახავს.

– შენ ზედმეტ ყბედობას თავი დაანებე, მაგ ბინძური საათის ღირსი კი მხოლოდ დიდყურაა, მორჩა და გათავდა! შენც მამაშენს სთხოვე, ჯვარი ვირზე დაგწეროს, მეტის ღირსი არცა ხარ! – დაასკვნა გაბომ.

– ბინძურიც ხარ და მათხოვარიც! ხომ არ გინდა, კიდევ მომერიო, მთელი ზაფხული კარატეზე ფილმებს ვუყურებდი, ჩანებს ამოგამტვრევ! – ჰამლეტმა ხელებით კარატეს მსგავსი რაღაც გაითამაშა.

– ეგ ნანა მამაშენს უმღერე, ლაყე შვილის იმედით მშვიდად რომ დაიძინოს, – დაარიგა გაბომ.

ერთი ამას უყურეთ, რაებს ყბედობს?! – ჰამლეტი შეხტა, ფეხები უცნაურად აიქნია, ხელები გაფარჩხა და გაბოს ცხვირთან მიუტანა. მოწინააღმდეგის პასიურობით გათამამებულმა, გაბოს მუშტი ნიკაპში ამოჰკრა. გაბომ უკან გადაწევა მოასწრო, მაგრამ დარტყმა მაინც ვერ აიცილა. იმავე წუთში ყურის ძირში გაბოს ძლიერი დარტყმა მიიღო და მერხებს შუა გაიშოტა. დანარჩენი მოსწავლეები მოჩხუბრებს შორის ჩადგნენ, თუმცა „კარატეისტს“ მეტი აქტიურობა აღარ გამოუმჟღავნებია... ზარიც მალე დაირეკა და გაკვეთილი დაიწყო. ჰამლეტი სულიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას ყურის ძირზე ხელის სმით ინელებდა...

– რა ვუყო, მაგ შობელძაღლს, რა მოვუხერხო, ბოლოს და ბოლოს მივალ და ველის წიწილასავით გავსრესამ! – მეორე დღეს თავის კაბინეტში ბობოქრობდა ყარამანი.

– მაგას იგრე გავაბრტყელებინებ, ყარამან ვასილიჩ, ცხვირი და პირი სად აქვს, ვეღარ გაარჩიოს, – ამშვიდებდა ლავაშა.

– განა შეიძლება იმ მათხოვარი ცისკარიშვილების ნაბუშარმა ჩემი ბიჭი დაჩაგროს?! ჩემი ბრალია, ეგენი აქედან სულ რომ არ გავასახლე! არა უშავს,

ახლა გამოვასწორებ შეცდომას! – ბობოქრობდა ყარამანი.

– არაფერი არ გინდა, ყარამან ვასილიჩ, მაგას ბიჭებს მოვუგზავნი. ისეთ დღეში ჩააგდებენ, სახლიდან გარეთ ვეღარ გამოდიოდეს; ოღონდ რაც არ უნდა მოხდეს, შენ არ მიაწვე.

– ჰამლეტს რაც კარატეზე ფილმები აქვს ნანახი, ის ლაწირაკი როგორ მოერეოდა, მაგრამ ხომ იცი, წესიერი ბიჭია, თავს არ უყადრის და ის კიდევ ამით სარგებლობს. ერთიც ვნახოთ, ჰამლეტიც გაბრაზდა, მერე ხომ მორჩა მისი საქმე; ერთი ხელის მოქნევით გააქრობს. ჰოდა, სწორედ ეგ არ მინდა. ბიჭს სულ იმას ვაფრთხილებ, ხელი არ შეუბრუნო, კანონი ყველას მოუვლის-მეთქი.

– ჰოდა, ჩემი ბიჭებიც კანონით მოუვლიან, ოღონდ, ხომ იცი...

– გასაგებია, ფრიდონ, ჩემი სახელით უთხარი, მაგრად დაუზილონ გვერდები იმასაც და სხვასაც, ხელს ვერავინ დააკარებთ, კანონი იმათ მხარეზე იქნება.

– აი მესმის შეპირება, მაგ ნაბიჭვრების აწიოკების ამბავს ხვალვე გაიგებ, – გახარებულმა ლავაშამ ხელი ხელს შემოჰკრა...

რკინიგზის სადგურის მოედანზე, სადაც ავტობუსებს უამრავი ხალხი ელოდებოდა, ლავაშას მანქანა გაჩერდა.

– ჯღანო, მოდი აქ, – თუჯის ღობეზე დარდიმანდულად მიყუდებულ საშუალო ტანის, ჩაფსკვნილ, გრუზა, მოჭიდავესავით სქელკისერა ბიჭს დაუძახა.

– ლავაშას ვახლავარ! – ბიჭი ხელის აწევით მიესალმა.

– მე შენ გიჩვენებ ლავაშას! – გაუბრაზდა. – ჩაჯექი მანქანაში.

– საქმეა?

– ჰო, საქმეა.

ჯღანომ უკანა კარები გამოაღო და სავარძელზე ნებივრად გაიჭიმა.

– ყინტორა სადღაა? – ჰკითხა საზურგეზე ხელგადადებულმა ლავაშამ.

– აქვეა, დავუძახო?

– მიდი, მოიყვა, მეჩქარება!

ჯღანო მანქანიდან გადმოვიდა და სადალაქოსკენ გაიქცა. მალე იქიდან ჯღანოზე ცოტათი მაღალი, ცხვირმიჭყლეტილი, მხრებში ამოხრილი, ხუჭუჭთმიანი ბიჭის თანხლებით დაბრუნდა.

– რას შეუწუხებიხარ, ლავაშ-ჯან? – ჰკითხა იმ ბიჭმა.

– ბიჭო, ჩემი ნამდვილი სახელი ვეღარ უნდა ისწავლოთ?! – გაუწყრა ლავაშა.

– შენც ამბობ რაღა, ნამდვილი სახელი რომ გითხრა, არ მამისმენ, გეგონება, სხვაზეაო საუბარი; იცი კი რა გქვია? ქვეყანა ლავაშად გიცნობს. ტაშკენტიდან წერილი რომ გამოგიგზავნონ, საქართველოში ლავაშასო, მიიღებ. ამაზე მეტი პატივი რაღად გინდა, – ყინტორამ გაიცინა და თოვლივით თეთრი კბილები გამოაჩინა.

– კარგი, ახლა მაგის დრო არ არის, მერე მოგელაპარაკებით. ახლა კი ერთი საქმე უნდა გააკეთოთ.

– მაგარია?

– არა, ერთი მეათეკლასელი ბიჭი უნდა გააბრტყელოთ.

– ლავაშივით?

– უფრო მაგრა.

– ვინ არის?

– გაბო ცისკარიშვილია, მისი დედა მბეჭდავად მუშაობს, სხვა არავინ არ ჰ ყავს; არავინ გამოექომაგება.

– რა დააშავა?

– პროკურორ ყარამანის ბიჭი ხომ იცით, ჰამლეტა, ძალიან მაგარია, მაგრამ ხელის გასვრა არ უნდა, იტყვიან, უყურეთ, როგორი მამის შვილი ჩხუბობსო. არადა, გაუჭირა საქმე, ერთი გოგო უყვარს და ის შობელძაღლი არ ანებებს.

– ყარამანა ისევ ჩვენზე ხომ არ მაიფშვენტამს ხელებს?

– თქვენ ნუ გეშინიათ, ამ საქმეს თუ ვაჟკაცურად გამოაბამთ თავს, შინაურ ბიჭებად ჩაითვლებით.

– ერთი ლაწირაკის გასილაქებას რა უნდა, იგრე გავუხადოთ საქმე, სახლიდან გარეთ ვერ გამოდიოდეს; გოგო კი არა, თავისი ფეხსადგილის გზა დაავიწყდეს, – ორივე ახარხარდა.

– ეს ასი მანეთი თქვენ, დღეს წაიქეიფეთ და სამახარობლო ხვალ სხვა იქნება, – ლავაშამ ჯღანოს ფული მიაწოდა.

– შენს სადღეგრძელოსაც დავლევთ, ლავაშ, არ იდარდო, – ჯღანომ ყინტორას თვალი ჩაუკრა და მანქანის კარი გამოაღო.

– კარგად იყავი, ლავაშ, ჩვენზე იყოს, – ხელის აწევით მიაძახეს.

– ხვალე ამბავი გამაგებინეთ! – ლავაშამ ჩაილაპარაკა და სტარტერი ჩართო.

– გაგებინება რად გინდა, ხმა თვითონ გამოვა! – ბიჭებმა იმედიანად თქვეს და რესტორნისკენ გაემართნენ.

მეორე დღეს კი ხმა მართლა გამოვიდა.

ჯღანო ქალაქში გამოუსწორებელი ხულიგანი იყო. ჩხუბისა და აყალმაყალისათვის მილიციაში ბევრჯერ მოხვედრილა, მაგრამ ყოველთვის მშრალად გამოდიოდა, თუმცა ერთხელ კაციც დაჭრა. მთელი დღე ხალხის თავშეყრის ადგილებში დაეხეტებოდა და აურზაურს ხშირად ტეხდა. მისთვის ვისაც ყური უნდა აეწია, სწორედ ისინი სთვლიდნენ კარგ ბიჭად და ჯღანოც თავისი ამფსონებით დაუსჯელად დათარეშობდა. საჭიროების შემთხვევაში ყარამანის და მისი მსგავსების დავალებებსაც დიდი გულმოდგინებით ასრულებდა. ასე ორი ფრონტიდან ავიწროებდნენ ურჩებს, ამით შიშსა და მორიდებას თესდნენ ძნელად მოსათვინიერებელთა შორის.

მეოთხე გაკვეთილი მთავრდებოდა, ჯღანომ ფეხის კვრით რომ შეაღო სკოლის ალაყაფის კარი, მას უკან ყინტორა მიჰყვა.

– ბიჭი, ეს სკოლაა? – ჯღანომ სიგარეტის ენით ტრიალით ჰკითხა მოსწავლეს, რომელიც გოგოს ელაპარაკებოდა.

ბიჭი მამლაყინწობის ასაკში იყო. გოგოსთან ასეთი მიმართვა იუკადრისა და პასუხიც სათანადო ჩააბარა:

– სკოლა არა, ხითარას დუქანია.

– ვააა, აქ ბლომად ნაბიჭვრები ყოფილან! – ჯღანომ ყინტორას გაკვირვებით უთხრა და ბიჭს ხელუკუღმა შემოჰკრა.

ბიჭი დაბარბაცდა, არ წაქცეულა, გახეთქილ ტუჩზე ხელი აიფარა, სისხლიან ხელის გულზე დაიხედა, ირონიულად გაეღიმა და ჯღანოს ისევე მოულოდნელად ეცა, როგორც მას დაარტყეს.

ჯღანოს მუშტი მარჯვენა თვალში მოხვდა და ნაპერწკლების მთელი ძნა გააყრევინა; ბიჭმა მუშტები სეტყვასავით დააყარა. აქ ყინტორამ იმარჯვა და ბიჭს მუშტი მთელი ძალით კისერში ჩასცხო. ბიჭი წაიქცა. გამწარებულმა ჯღანომ მუცელში წიხლი ამოჰკრა და ბიჭი ისევ მიწაზე გააგორა. მოსწავლე გოგონა ამ ამბავს გაკვირვებული რომ შეჰყურებდა, სკოლისკენ წივილით გაიქცა.

– წავიდეთ, ჯღანო, თორემ ხათას გადავეყრებით, – ყინტორამ ხელი მოჰკიდა და ალაყაფის კარებისკენ გაიწია.

– მოიცა ეს ნაბიჭვარი ღორივით უნდა დავკლა! – ჯღანომ ჯიბიდან დანა ამოიღო.

ბიჭს ორივე ხელი მუცელზე მიედო და ადგომას ცდილობდა.

ამ დროს სკოლიდან მოსწავლეები თავპირის მტვრევით გამოცვივდნენ. დაწინაურებულებმა ჯღანო დანით ხელში რომ დაინახეს, შედგნენ; უკნიდან სხვები მოაწვნენ.

– ქვები ავიღოთ! – ვიღაცამ დაიძახა.

ეზოს სუფთად დაგვილ ასფალტზე კენჭიც არ ეგდო. ღობის ძირში მიყრილ აგურის ნამტვრევებს თვალი მოჰკრეს და უცებ მოასუფთავეს.

აგურის ნამტვრევი ჯღანოს მხარში მოხვდა და პერანგზე წითელი კვალი დაატყო.

– თქვე ნაბიჭვრებო! – ჯღანომ ახლა მათზე გაიწია.

მოსწავლეები უკან გაიქცნენ. ყინტორამ ჯღანოს ხელი მოჰკიდა და ალაყაფის კარებისკენ წაათრია, ჯღანო კი დანას იქნევდა და იგინებოდა. ახლა ჯღანოს ყინტორას ზურგი ეფარებოდა. მოსწავლეებმა აგურის ნამტვრევები აღარ ესროლეს, რადგან თავიანთ მომხრედ ჩათვალეს. ნაცემი ბიჭი იმავე გოგონამ წყაროსთან პირის დასაბანად წაიყვანა.

## ჯღანომ, ყინტორამ და ჭყეტელამ წაიფორთხილეს

**რკინიგზის** სადგურის ლუდხანაში თვალჩალურჯებული ჯღანო, ყინტორა და ლავაშა მაღალი მაგიდის გარშემო იდგნენ და კათხებიდან უხმაუროდ წრუპავდნენ ლუდს. ხინკალი დიდი თასით ედგათ. ეტყობა მადას კარგა ხანს იყურებდნენ, გაციებული ხინკლისკენ აღარ იყურებოდნენ; მაგიდის ქვეშ ბადურა ხინკლის კუჭებით გამოევსოთ.

– მაგრები ხართ, ხმა მართლა გამოვიდა, – ცარიელი კათხის დადგმისთანავე თქვა ლავაშამ და მარცხენა ხელის გულით ტუჩები მოიწმინდა.

– რამდენჯერ უნდა თქვა, აღარ გეყო?! – ჯღანომ იწყინა.

– მეყო კი არა, გულზე ვარ გასიებული. მთელი სკოლის საჩივარი ლუასთან მიუტანიათ, მაგ ხულიგნებს თუ არ მოუვლით, უფრო მაღლა ვიჩივლებთო, უთქვამთ, – თქვა საყვედურით ლავაშამ.

– ლუა კი არა ღადალა, მაგან თავისი ამყრალებული კატა მოაცილოს მეზობლებს, ჩვენთან რა უნდა, – თქვა ღიმილით ყინტორამ.

– ზევით კიდევ ყარამანი არ არის, ადგება და იმ ნაჯღაბნს თავზედ გადააფხრეწავთ, – ჯღანომ ისე თქვა, თითქოს ყარამანი მისი ძმაკაცი ყოფილიყოს.

– ყარამანს სამაგისო რა გაუკეთეთ, ერთი რაღაცა გთხოვათ და...

– რა იყო, ლავაშ, ხვალაც ამ თვისა არ არის? ცოტა ხანს მაცადე, იმ ბალღის წიოკობას მოგასმენინებ.

– ჯერ კი თქვენი წიოკობა მესმის. ეგრე თავალებით სკოლაში რომ მიელეტეთ, სხვა ადგილი აღარ იყო?! გზაზე არ უნდა გაიაროს, ეგაც მე უნდა გასწავლოთ?

– რავი, ის ნაბიჭვარი რა ჭირად გედეგვეყარა!

– ის ნაბიჭვარი მეცხრე კლასელი იყო, გაბო კი მეათეში არის და თანაც კაი კირკიტ კაკალს ამბობენ; ხელის წამოსაკრავი არ გეგონოთ. თქვენი აქ ეშინიათ, მოსწავლეებმა თქვენი არსებობა არც კი იციან და გინდა იცოდნენ, ფეხებზე ჰკიდიხართ, მაჩხუბარი მამლებივით არიან.

– თუ ეგრეა, იმ ყარამანის ბიჭს რა დამბლა დაეცა, ცოტა ხელი გააქანოს და

ჩვენ კიდევ მივეხმარებით.

– იიიხ! – ლავაშამ ხელი ჩაიქნია, – კაცს თქვენი იმედი უნდა ჰქონდეს რაღა! ერთმა ლაწირაკმა კურდღლებად გაქციათ.

– როგორ გვაქცია, ერთ კვირაში გაიგებ! – გაბრაზებულმა ჯღანომ მთელი ხინკალი ბადურაში ისროლა.

– წლის ბოლოს გეთქვა, ერთი კვირა ძალიან ადრეა! – ლავაშამ დამცინავად თქვა და ხელები ქაღალდზე შეიწმინდა. – მოკლედ, კარგად იყავით... თუ ახლაც მიმტყუნეთ, მორჩა, ჩვენი ძმობა წაიშლება! – ლავაშა წავიდა.

ჯღანომ კათხაში დარჩენილი ლუდი ბოლომდე დალია.

– როგორ იცი, სწავლას რომელ საათზე დაამთავრებენ? – ჰკითხა ყინტორას.

– მერავი, სკოლაში როდის დავდიოდი, აღარც მახსოვს, წავიდეთ და მოსახვევში დაველოდოთ, იქ არ გამაივლიან.

– რომელ მოსახვევში?

– მეურნეობის გარაჟის კუთხეში კარგი ადგილია, იქ კაკლის ჩრდილში სკამიც არის მოწყობილი, ჩამოვსხდებით და მოვუცდით.

ამ დროს ლუდხანაში წვერმოშვებული და თმაგაბურძგნული, მაღალი, დიდთვალება ბიჭი შევიდა.

– ვის ვხედავ, სიცოცხლე ჯიგრებს! – დაიძახა და მათკენ გაემართა.

– ჭყეტელას ვახლავართ! – დამხდურნი უხალისოდ შეეხმიანენ.

– ჯიგარ, სამი კიდევ ჩამოგვისხი! – ჯღანამ მებუფეტეს თითების ტკაცუნით ანიშნა.

ჭურჭლის მრეცხავმა ქალმა სავსე კათხები მიართვათ.

– ესენი წაიღე! – მაგიდის ქვედა სართულზე შეწყობილ ცარიელ კათხებზე ანიშნა.

ჭყეტელამ კათხა მოიყუდა, ნახევრად შესვა და ცივი ხინკალი დააყოლა:

– ჯღანო, რას ამბობენ, სკოლაში ძუძუმწოვრებმა კუდით ქვა ასროლინესო, მართალია? – თანაგრძნობით იკითხა.

– განა იმას იტყვი, წამოდი, ვინ იყვნენ, დედა ვუტიროთო... კუდით ქვა ასროლინესო, მართალია?! – ყინტორამ გამოაჯავრა.

– ვისზე, ბიჭო, ძუძუმწოვრებზე უნდა გავისვაროთ ხელი?

– თუ საჭიროა, უნდა გავისვაროთ.

– წავიდეთ, იგეთი ელეთ-მელეთი დავატრიალო, სკოლის გზა დაავიწყდეთ, – ჭყეტელამ მაჯებზე ხელი ისე გადაისვა, თითქოს ახლავე აპირებს ელეთ-მელეთის დატრიალებასო.

– მიდი, ჭამე და წავიდეთ.

– ჭამა რად მინდა, მთელი დღე ამ საქმეზე არა ვარ. წამოდით, ობი გავიყრევინო, თორემ კარგა ხანია შარი დამიძველდა, – თქვა და დარჩენილი ლუდი ყელში გადაუშვა...

მოსწავლეები სკოლიდან ხმაურით ბრუნდებოდნენ. მთის ნაკადივით დაუოკებლებს მთელი ქუჩა გაევსოთ.

გარაჟის ღობესთან კაკლის ჩრდილში მოწყობილ ძელსკამიდან ჭყეტელა ადგა, ერთ ბიჭს ხელი სტაცა. ბიჭმა თვალები ბრაზით შეანათა.

– ბალღო, გაბოს კლასელები არ მოდიან? – ისე ჰკითხა, ხელი არ გაუშვია.

– მე რა ვიცი, იმათ ორი გაკვეთილი კიდევ უნდა ჰქონოდათ.

– მაშინ გაიქეცი და გაბო ცისკარიშვილს უთხარი, აქ გამოვიდეს, ბიჭები



გელოდებიან-თქო! – ჭყეტელამ სკოლისკენ უბიძგა.

ბიჭი გვერდზე გადახტა და გზა გააგრძელა, ცოტა შორს რომ გავიდა, დაუძახა:

– მოახლეები სახლში გეყოლება, გაბოს იმათ დაუძახონ!

– შე ნაბიჭვარო! – ჭყეტელა სხვა მოსწავლეებში გარეულ ბიჭს გაუქანდა.

– ბავშვები ბედურების გუნდივით შემოფრთხნენ დიდთვალება გაბურძგნულ ბიჭს, შორს გავიდნენ და აუყვირდნენ, ჭყეტელამ მათი დევნით ვერაფერი გააწყო და კაკლის ჩრდილში მეგობრებთან აქოშინებული მივიდა.

– ეგრე ვინმემ ბირჟაზე რომ გამიბედოს, ხომ ამოვართვი ჯიგარი და ღობეზე გადავკიდე! – დაიმუქრა და იქვე ჩამოჯდა.

– ეგენი ბირჟაზე არ მოვლენ, დედიკოს და მამიკოს შვილები არიან, – ყინტორამ საქმის ვითარებაში გაარკვია.

– რა ვქნათ, ეგრე ყეყეჩებივით ველოდოთ? იქნება უფრო კარგი ადგილი შეგვერჩია, – ჭყეტელა არ ისვენებდა.

– კარგი ადგილი კიდევ სადგურის მოედანია, ის კიდევ იქ არ მოვა. მანამდე ყარამანას ბიჭს შეიძლება ის გოგო ცხვირწინ აართვას. მაშინ ხომ ლავაშამ ყველაფერი გამაიგლიჯა, – ჯდანომ საქმის ვითარებაში გაარკვია.

– ლავაშას რაღა ეწვება, ყველგან რაზე ყოფს ცხვირს, არ ურჩევნია თავის საქმეს მიხედოს? – ჭყეტელა ლავაშას პოლიტიკაში ვერ გაერკვა.

– ყველაფერში ცხვირის ჩაყოფით თავის ფქვილის საქმეს აგვარებს, ყარამანას შიშით ახლოს ვერავინ ეკარება; ეგაც თავის დილიხორზე დაგრიალებს, – ჯდანომ ბოლომდე გახსნა ლავაშას საიდუმლო.

ამასობაში იმ ბიჭმა, ჭყეტელას დავალება რომ არ შეასრულა, ამხანაგებს უთხრა, გუშინ სკოლაში რომ იჩხუბეს, ის ხულიგნები გაბოს კითხულობენო; რამდენიმე ბიჭი უკანვე გაბრუნდა. მალე გაბომ იცოდა, რომ ვიღაც ჯდანო თავისი ძმაკაცებით მეურნეობის გარაჟთან ელოდებოდა.

– ქვევიდან მოვუაროთ, – გელამ ურჩია.

– ჩემგან რა უნდათ, მაგათთვის რა დამიშავებია? რაღაც გაუგებრობაა, მივალ და გავარკვევ, – ჯიუტობდა გაბო.

– არ გამოვა, აუცილებლად საშაროდ გეძებენ, უნდა მოვერიდოთ, – არ იშლიდა გელა .

– დღეს მოვერიდები, ხვალ, თუნდაც ზეგ, ბოლოს ხომ მაინც მნახავენ, დამალვას რა აზრი აქვს. რაც მოსახდენია მოხდეს, მე მაგათი არ მეშინია! – გადაწყვიტა გაბომ.

– ალბათ გუშინაც შენს სანახავად იყვნენ მოსულები, – ახმახმა შალვამ დაასკვნა.

– მაინც რა უნდათ? – გელა საგონებელში ჩავარდა.

– ვნახავთ და გავარკვევთ, – დინჯად თქვა გაბომ.

გელა უჩუმრა ზაქრო მასწავლებელთან წავიდა, უნდოდა რჩევა ეკითხა, თან მისი დახმარების იმედიც ჰქონდა, მაგრამ ადგილზე არ დახვდა. ტალანში სამნეო ნაწილის გამგე ქიტას გადაეყარა.

– ზაქრო მასწავლებელი არ გინახავს? – ჰკითხა შეშფოთებულმა.

– რა იყო, ბიჭო, ხომ არაფერი გიჭირს, ნორმალურად არ გამოიყურები.

– გუშინ სკოლაში ხულიგანი რომ მოგვივარდა, ახლა თავისი ამხანაგებით მეურნეობის გარაჟთან გაბოს ელოდება. გაბო არ იშლის, უნდა შევხვდეო; რჩევა უნდა მეკითხა.

– ეგ კარგი საქმე არ არის, სკოლის ბაღშია, ახლავე მოვძებნი. გაბო გააფ-

რთხილე, ფეხი არ გაადგას, მალე მოვბრუნდები, – ქიტა ბაღისკენ აჩქარებული ნაბიჯით გაემართა.

გელა კლასში გაიქცა, გაბო იქ არ დახვდა, სახლში მიმავალს წამოეწია.

– სად იყავ, მუხლები ხომ არ გიკანკალებს, – ახმახი გაეხუმრა.

– ცოტა ნელა ვიაროთ, რა თავპირის მტვრევით მიდიხართ, – გელამ ახმახი შალვა უპასუხოდ დატოვა. ბიჭების შეყოვნება უნდოდა, ზაქრო მასწავლებლის წამოწევის იმედი ჰქონდა, მაგრამ მას ყური არავინ ათხოვა.

ჰამლეტი ნელის ხელების ქნევით ესაუბრებოდა, ნელი ყურადღებას არ აქცევდა. გაბო თავჩაღუნული და მოწყენილი რომ დაინახა, მასთან მივიდა.

– გაბო, მოწყენილი რატომ ხარ, დედა ცუდად ხომ არ გახდა? – ჰკითხა.

გაბომ თვალებში შეხედა, თბილად გაუღიმა და მადლობის ნიშნად ხელზე ხელი ნაზად მოუჭირა.

ჰამლეტს თავისი სათქმელი ტუჩებზე შეეყინა. დაინახა, გაბომ ხელი როგორ მოუჭირა და ბრაზისგან კბილები გააკრაჭუნა, მაგრამ ამის მეტი ვერაფერი გაბედა. იცოდა, რომ გაბო მისი მამის ტიტულს არაფრად დაგიდევდა; მკლავით კიდევ ვერაფერს გახდებოდა.

... ჯღანო სკამიდან წამოდგა, დანარჩენებიც აყვნენ. ერთ ბიჭს ჰკითხა, გაბო რომელიაო. ნელიმ არაფერი არ იცოდა და გაბოს გვერდით დამშვიდებული მიდიოდა.

– ბიჭი, ცოტახანს აქეთ მოწექ! – ჯღანომ გაბო თითის ქნევით გამოიხმო.

გაბო ჯერ მისვლას აპირებდა, მაგრამ ჯღანოს ტონი არ მოეწონა და პასუხის გაცემის გარეშე გზა გააგრძელა.

– გაბო, ვინ არის, შენგან რა უნდა? – ნელიმ ჰკითხა.

– მეც რა ვიცი, პირველად ეხედავ, ალბათ, თვითონ იტყვის, რა უნდა.

– შე ლაწირაკო, რო გეძახი, არ გესმის?! – ჯღანო გაბოსკენ მუქარით წავიდა...

– ვინა ხარ, მე შენ არ გიცნობ, რა გინდა? – გაბომ მხრები აიჩეჩა.

– ამ გოგოს გვერდით მეორედ არ დაგინახო, თორემ ჯიგარს ამოგაცლი! – ჯღანომ იფიქრა, ალბათ ეს არის სადავო გოგოო და მუქარა კბილებში გამოსცრა.

ჰამლეტმა გაიღიმა, ჯღანოს გახედა და თვალი ჩაუკრა. ჯღანო არც ჰამლეტს იცნობდა, მაგრამ თვალის ჩაკვრაზე მიხვდა, რომ ყარამანის ბიჭი ეს იქნებოდა და გაუღიმა.

გაბომ ეს შენიშნა და მისთვის უცებ ყველაფერი ნათელი გახდა.

– კი მაგრამ ვისი გულისთვის მიკრძალამ, ეგ მაინც მითხარ, – გაბომ თავი მოისაწყლა.

– ვის გამო და ყარამანის ბიჭი წარბს როგორც ასწევს, იგრე უნდა იცეკვო, შე ნაბიჭვარო, თორემ ამოგაგლიჯე ყანყრატო! – ჯღანომ გაბოს ნიკაპზე თითი ამოსდო და სახეში მძლავრად შემოჰკრა, იმავე წუთში მასაც მძლავრად მოხვდა, წაბარბაცდა და გარაჟის ღობეს მიასკდა.

ყინტორა და ჭყეტელა გაბოს ეცნენ, უნდოდათ ღობესთან მიეთრიათ, მაგრამ გელამ და შალვამ არ დაანებეს და გაიმართა მუშტების ბაგა-ბუგი. ჯღანო გაბოსკენ გაქანდა, ახლა მისი ძმაკაცების მოხმარების იმედი აღარ ჰქონდა, რადგან გელას და შალვას სხვა მოსწავლეებიც მიეხმარნენ და ორივეს ცუდი დღე ადგათ. ლუდით გამობრუჟულმა ჯღანომ რამდენიმე მაგარი დარტყმა მიიღო; ჭყეტელას და ყინტორას ექვსი ბიჭი უტევდა.

ქუჩაში განებივრებული ხულიგნები სულ სხვა სიტუაციაში მოხვდნენ. ახალგაზრდებს სიამაყის და ამხანაგის მიხმარების გრძნობა აქტიური მოქმედების-

კენ უბიძგებდა, სანამ მწარე სინამდვილეს არ მოეწამლა მათი რწმენა სიკეთის, თანასწორობის, სიმართლის და ძმობის უძლეველობაზე; ყოველგვარ ძალადობას და უკუღმართობას მთელი არსებით ებრძოდნენ.

ჯღანოს ქადილი გაუცრუვდა, გაბო მაგარი კაკალი გამოდგა, დაშინების და დაჩაგვრის მაგიერ, გაბედულად ებრძოდა. თავმდაბალი წესიერი და ერთი შეხედვით სუსტი ბიჭი, ზაქროსთან სისტემატური ვარჯიშით გამაგრებული, სასმელებით დაბუჟებული ხულიგნისთვის მოუხელთებელი შეიქმნა; მთელი მოსწავლეების თვალწინ გაილახა. არც გაბოს ადგა კარგი დღე, მაგრამ ჯღანომ იუკადრისა ესოდენ კადნიერი დახვედრა და ჯიბიდან დანა ამოიღო.

— ფრთხილად, გაბო! — ნელიმ დაიყვირა.

გაბო უცებ შეტრიალდა და მკერდში ჩასარტყმელად მოქნეული დანის ასაცილებლად გვერდზე გადაიწია, მთლად ვერ აიცდინა, დანა მარჯვენა მხარში ჩაერჯო და პერანგი სისხლით შეეღება. გამწარებული ნელი ჯღანოს ეცა და ჩანთა თავში დაარტყა. ამ დროს ზაქრო გამოჩნდა, მთელი შესაძლებლობით მორბოდა.

— სად წამიხვალ, გიცან ვინცა ხარ! — ამ სურათის დამნახავმა შორიდანვე ყვირილი მორთო.

ჯღანომ მოკურცხლა.

გაბომ ღობესთან ჩაიჩოქა.

ყინტორა და ჭყეტელა ნელ-ნელა უკან იხევდნენ და გასაქცევად მზად იყვნენ. როგორც კი ჯღანო გაიქცა, ისინიც კვალზე მიჰყვნენ; მოსწავლეები გაბოს შემოეხვივნენ.

— სასწრაფოს გამოუძახეთ! — ზაქრომ მიაძახა და გრიგალივით ჩაურბინათ, წამით არ შეჩერებულა; გელა და შალვა უკან მიჰყვნენ.

ზაქრო ჯერ ყინტორას წამოეწია, ორივე ხელი სტაცა და ასფალტზე დაახეთქვა; ჭყეტელა დანაამოღებული გარბოდა. ზაქრო რომ წამოეწია, უცებ მოტრიალდა კბილებში სისინით დაემუქრა:

— ახლოს არ მოხვიდე, თორემ ჯიგარს ამოგიღებ!

ზაქრომ ჩანაში უცებ მძლავრად შემოჰკრა, ჭყეტელა იქვე გაიშხლართა. ზაქრო არ გაჩერებულა, ჯღანოს მისდევდა, რომელიც ვიწრო მოსახვევში გაუჩინარდა. შალვამ ჭყეტელას დანა აიღო და იმათ კვალზე გაიქცა.

ჯღანო ვიღაცის რკინის ჭიშკარს მიაწყდა, შიგ შევარდნა უნდოდა, ზაქრომ მიუსწრო, მარჯვენა ხელში დაჰკრა და სისხლიანი დანა გააგდებინა, მერე ხშირ თმებში დაეჭიდა და სქელ თუნუქის კარებზე სახით მაგრად შეაჯახა. ჯღანოს მუხლები მოეკვეთა, თავს ვეღარ იმაგრებდა, ზაქროს თმებით ეჭირა.

გაბოს სისხლის დანახვაზე გაცოფებული გელა ყელში ღრიალით ეცა:

— მოკალი, შე გარეწარო?! კბილებით დაგგლეჯამ! — ახლა საკბენად მიიწია.

ზაქრომ ხელი ჰკრა და აქვითინებული გელა ჯღანოს მოაცილა.

გელამ ახლა ხელი დანას დაავლო.

— გელა, არ გაბედო! — ზაქრომ დაუღრიალა და გაბოს დაჭრით გამწარებული ბიჭი გონზე მოიყვანა.

ამასობაში შალვამაც მოირბინა.

— იმ ობოლმა ბიჭმა რა დაგიშავა, მითხარ, თორემ ტვინს დაგათხევინებ! — ზაქრომ ჯღანო თავი რკინის კარებზე კიდევ მიუჯაჯგუნა.

— ჩემი ბრალი არ არის, — ჯღანომ სისხლით გამოვსებული პირით ძლივს თქვა.

– მაშ ვისი ბრალია, შენი! – შალვამ ვეღარ მოითმინა და სახეში შემოჰკრა. თვითონაც ზაქროს მძლავრი ხელისკვრა მიიღო, უკან გაბარბაცდა და ჩაიჩოქა.

ჯღანო ისე დაბეჩავდა, გამოფურთხვას ვეღარ ახერხებდა, ტუჩები შემწვარი კუპატივით დაებერა და დაუსკდა.

– რა დაგიშავა იმ ბიჭმა, მითხარი, თორემ ამ ბიჭებს მოგისევ, – ზაქრომ ჯღანოს თმები მტკივნეულად მოქაჩა.

– მმე რა, ლავაშამ დამავალა, – ჯღანომ ძლივს გასაგონად ამოილუღლუღა.

– ლავაშა ვინ არის? – ზაქრომ კარგად იცოდა ვინ იყო, მაგრამ ჯღანოსგან უნდოდა მისი ვინაობის დაზუსტება.

ჯღანომ გაკვირვებით შეხედა, ეს ვინ არის, ლავაშას ვერ იცნობსო, გაიფიქრა.

– პურპროდუქტების უფროსი, ფრიდონა გველუკაშვილი, – ლავაშას ვინაობა განუმარტა.

– იმას გაბოსთან რა უნდოდა?

– ყარამანა პროკურორის ბიჭს გოგოში ეცილება; მაგრად მიტყიპეთ და შააშინეთო.

გელამ და შალვამ ერთმანეთს შეხედეს.

– ეგ ლავაშაა თუ რაღაცა, ყარამანისა რა არის?

– ყველაზე ახლობელი და სანდო კაცია.

ზაქრომ ახლა გაიხსენა ლავაშას როლი გაბოს დედის სამსახურიდან განთავისუფლებაში.

– თქვენ რაღა გრჯიდათ; იმ საწყალ ბიჭს თქვენთვის ხომ არაფერი დაუშავებია.

– სამაგიეროდ ყარამანა მფარველობას გვპირდებოდა.

– დაქირავებული მკვლელი ხარ, შე პარაზიტო! – ზაქროს მოთმინებამ უმტყუნა, ჯღანო მაგრად შეაჯანჯღარა და კარებთან გუდურასავით მიაგდო. ხელში შერჩენილი თმები გადაყარა და ხელები დაიბერტყა.

– ყველაფერი ჰამლეტას გამო მომხდარა, არ შევარჩენ! თუ არ წასულა, მივუსწრებ! – გელა ადგილს მოსწყდა.

– მოიცა! – ზაქრომ დაუძახა. მეც მოვდივარ. ჰამლეტს ხელი არ დააკარო! შენ კი, – ჯღანოს მიუბრუნდა, – იმ ბიჭს რამე რომ დაემართოს, ცოცხალი ვერ გადამირჩები!

ამ დროს სახლის პატრონმა ქალმა ეზოში შესასვლელთ კარი გააღო და, თავპირდასისხლიანებული ჯღანო რომ დაინახა, შეჰკივლა.

– ერთი ვედრო წყალი მიასხი და გვერდზე გადააგორე, ადამიანის სისხლით აქვს ხელები დასვრილი, – ზაქრომ უთხრა და უკან გაბრუნდა...

ფერმიხდილი გაბო ღობესთან იწვა. ნელიმ ამხანაგი ბიჭის პერანგით მხარი შეუხვია. ახლა გაბოს თავი კალთაში ედო, ხელს უსვავდა და სახეს ცრემლებით უსველებდა.

– სისხლის დენა შეუჩერდა? – ზაქრომ მისვლისთანავე იკითხა. სისხლი ისევ ჟონავდა.

ზაქრომ პერანგის სახელო სასწრაფოდ შემოიხია, სისხლით გაჟღენთილი სახვევი მოხსნა და ჭრილობაზე მაგრად დააფარა. გარსშემოხვეული მოსწავლეებს შეხედა, რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ გელას უკვე მოეფიქრებინა, პერანგი გაეხადა, მაშინვე მიაწოდა.

ზაქრომ გაბოს მხარი მაგრად შეუხვია.

– ჰამლეტი სად არის? – შეკრებილ მოსწავლეებში გელა ტირილით და კბი-

ლების კრაჭუნით დატრიალდა.

– გელა, მოდი აქ! – ზაქრომ დაუღრიალა.

– ხულიგნის გაქცევისთანავე გაიპარა, – ვიღაცამ უპასუხა.

ამ დროს სასწრაფო დახმარების მანქანა გამოჩნდა. ზაქრომ გაბო ძარაში შეიყვანა, გელა და შალვაც შეყვნენ. გაყოლა ნელიმაც მოიწადნა, მაგრამ ზაქრომ ნება არ მისცა. მანქანა ადგილიდან დაიძრა. ნელიმ ახლა შენიშნა, რომ თეთრი ფართუკი მთლად სისხლში ჰქონდა მოსვრილი.

გაბომ ბევრი სისხლი დაკარგა, თუმცა ჭრილობა საშიში არ იყო. სამი ნაკერი დაადეს, ცოტა ხანს დაასვენეს და, ექიმთან დავის შემდეგ ზაქრომ მისი სახლში წაყვანა მოახერხა.

– ამას აღარაფერი უჭირს, გულით ავადმყოფი დედა ჰყავს, თუ არა ნახა, რომ მისი შვილი კარგად არის, შეიძლება დაიღუპოს, – ასე უხსნიდა ექიმს.

გაბო რომ სახლში მოიყვანეს, ნელი უკვე იქ დახვდათ. როგორც კაბა გამოიცვალა, მაშინვე გაბოს დედასთან გაიქცა, ვინმემ ამბავი არ მიუტანოს და ელდაზე ცუდად არ გახდესო; ახლა მის ვგერდით იჯდა და საუბრით ართობდა.

– ვარჯიშის დროს მხარი დაიშავა და ექიმის ჩარევა გახდა საჭირო, – ზაქრომ ანიკოს ასე დააჯერა. – არაფერი არ უჭირს, ერთ კვირაში ფეხზე დადგება, ხვალ ექიმიც მოაკითხებს, – ანუგეშა შეშინებული დედა. – აბა, გაბო, ვაჟკაცურად იყავ, თუ მოვიცალე, მოგაკითხებ, – თავზე გადაუსვა ხელი და ახლა შენიშნა, რომ პერანგის სახელო აღარა ჰქონდა. გამოემშვიდობა და წავიდა, მაგრამ გაბოს სანახავად დრო ველარ გამონახა.

## ვინ არის ლაყე?

**მეორე** დღეს გელა სკოლაში ცოტა დაგვიანებით გამოცხადდა. კლასში შესვლისთანავე თვალში ჰამლეტის გამოპრანჭული ფიგურა მოხვდა, აშკარად საზეიმო განწყობილებაზე ჩანდა.

– რაო, ლაყე, მამაშენი ყარამანა ხომ არ გნიშნავს? რა სომხის მკვდარივით მოპრანჭულხარ, – ამაყად მდგარ ჰამლეტს დამცინავად მიახალა.

– რაო, ლაყეო, ვინ არის ლაყე? – აქეთ-იქიდან დააყარეს კითხვები.

– ჩემი თქმა რად გინდათ, მყრალი სუნი არ მოგდით? – გელამ ცხვირი მაღლა ასწია, ჰაერი შეისუნთქა და დაიღრიჯა, – თფუჰ, როგორ სძლებთ ამ სიმყრალეში?! – თქვა და თავის მერხისკენ წავიდა.

– ლაყე რა ზედგამოჭრილი სახელია, ეტყობა მაგისი გამკეთებელი მთვრალი იყო, – ძლივს, არაბუნებრივი ხმით თქვა ტუჩებგასიებულმა შალვამ.

გელა თავის მერხთან მივიდა, წიგნები დააწყო და ჩალურჯებული თვალები კლასს მოავლო.

– შალვა, ლავაში გიყვარს? – მერხიდან ადგა და დაფასთან მდგარ ახმახისკენ გაემართა.

– მე ლავაშას ნაბიჭვრების გაბრტყელება უფრო მიყვარს, – შალვას ყოველი სიტყვის თქმა გასიებული ტუჩების მწარე ტკივილად უჯდებოდა.

ჰამლეტი ნელისთან მივიდა და კალამი მიაწოდა.

– ნახე, ნელი, როგორი პეიზაჟია, გადააბრუნებ თევზი წყალში ჩაყვინთავს, გადმოაბრუნებ და ამოტივტივდება, – ამაყად გადახედა კლასს და თვითკმაყოფილად გაიღიმა.

ნელიმ უკმაყოფილოდ შეხედა, უნდოდა გაეგდო, მაგრამ მამის თხოვნა გა-

ახსენდა: „შვილო, ყარამანას ბიჭს არაფერი აწყენინო, თორემ, ხომ იცი, როგორი გულღვარძლიანია, უბედურებას შემამთხვევს“, – კალამი უხალისოდ გამოართვა და ხელში სხვათა შორის შეატრიალა.

– ნელი, გაბო როგორ არის? – გელა შორიდან შეეხმიანა და მისკენ წავიდა.

– კარგად არის, ჭრილობა აღარ აწუხებს, – ნელიმ უპასუხა და კალამი მერხზე დადო.

გელამ კალამი აიღო, ხელში შეატრიალ-შემოატრიალა.

– თფუჰ, ლაყე კვერცხის სუნი ასდის, ზოგიერთი კი თავს ამით იწონებს! – კალამი ფანჯარაში ისროლა. ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და ხელების გაწმენდას შეუდგა. – ნელი, მყრალი საგანი დროზე მოგაცილე, თორემ შეიძლება მოეწამლე, – უთხრა და ისევ შალვასკენ წავიდა.

ჰამლეტი ჯერ დაიბნა, ვერაფრის თქმა ვერ მოახერხა; მერე უცებ აყვირდა:
– წადი, ახლავე ამოიტა, თორემ არ ვიცი, რას ვიზამ!

– რატომ არ იცის, რას იზამს? – შალვამ გაკვირვებით იკითხა.

– მაგან თუ არ იცის, ყარამანას არაფერი ეშლება. ეს ახტებ-დახტება და თავის მამასთან მიხტება, ყარამანა – ჯღანოსთან, ჯღანო დანას აიღებს, ყარამანა შეჰპირდება, შენ ოღონდ ჰამლეტას კალმის გადამგდები დანით დაჭერი, გინდა მოკალი, თმასაც ვერავინ შეგიტოკებსო, – გელამ განუმარტა.

– მერე რა მოხდება? გააგრძელე, – დანარჩენმა მოსწავლეებმა სთხოვეს.

– მერე მოვა ჯღანო, თანაც ორ ხულიგანს წამოიყვანს; არც ისეთი გულადია მარტომ მობედოს. ჰამლეტას კალმის გულისათვის მუშტი-კრივს გამართავს და კარგადაც მიიტყიპება. განაწყენებული დანას ამოიღებს და ლაყე ჰამლეტისათვის სისხლს აიღებს. მაგრამ ყარამანა მაინც ვერ უშველის, ზაქრო მასწავლებელი თმებს სანახევროდ გააგლეჯავს; ის კი ჰპირდებოდა, თმასაც ვერავინ შეგიტოკებსო, წარმოგიდგენიათ, რა უსინდისობაა, კაცს რომ შეჰპირდები, კიდეც უნდა შეუსრულო!

– აბა, აბა, ასე როგორ შეიძლება! – შალვამ ყარამანის უპირობა დაგმო.

– მაგ ყბედობას შეეშვით და კალამი ამომიტანე, თორემ! – ჰამლეტმა გელაზე მიიწია.

– თორემო, გესმით! გაკვირვებულმა გელამ კლასს გადახედა, თავს ძლივს იკავებდა, ჯინსებში გამოწყობილ ჰამლეტს არ სცემოდა.

– თორემ გასკდება და მთელ კლასს აამყრალებს, ხომ იცით, ლაყე კვერცხი რა საძაგლად ყარს, – შალვამ თქვა და კარებისკენ წავიდა.

– გინდა ამოიტანო, რომ არ აყროლდეს? – გელამ შეკითხვა დაადევნა.

– ახლავე ამოიტა, რომ გეუბნები! – ჰამლეტი გელას საყელოში სწვდა და ჯანჯღარი დაუწყო.

– ლავაშა მოგიტანს თავისი ჯღანოებით. ახლა ხელი გამიშვი, თორემ იმ კალამს მიგაყოლე! – გელა უცებ აფეთქდა.

– იმ კალამს ვინ მიჰყვება, უყურე! – ჰამლეტმა გელას სახეში სილა შემოჰკრა. სანამ გელა პასუხს ჩააბარებდა, მოსწავლეები შუაში ჩაუდგნენ და გააშველეს. ზარიც დაირეკა და გამწარებული გელა თავის მერხთან ძალით მიიყვანეს.

– ეგ ჟურნალია, გაკვეთილი დამთავრდეს, მთელ სეანსს ჩაგიტარებ! – ჰამლეტი დაემუქრა და თავის მერხისკენ წავიდა. ნელის ისე გადახედა, თითქოს ეუბნებოდა, ნახე, რა ბიჭი ვარო.

– გაკვეთილების შემდეგ ვნახავთ, ვის ჩაუტარდება სეანსი, – გელამ ახლა უკვე დინჯად უპასუხა...

გაკვეთილის მიმდინარეობის დროს ვიღაცამ დაიძახა|
– ლაყე!
– ლაყე! – ახლა სხვა აჰყვა.
– რა ლაყე, ლაყე აგიტყდათ უხეირო კრუხებივით, – ბექანა მასწავლებელი გაწყრა, მოსწავლეებთან იუმორით რომ საუბრობდა.
– ერთი ლაყე გვირევია, მას! – აქეთ-იქიდან წამოიძახეს.
– რაღაც ეჭვი მეპარება, რომ მხოლოდ ერთი გერიოთ.
– ეს განსაკუთრებული, მოპრანჭული ლაყეა.
– ვინ არის ეს მოპრანჭული ლაყე, ლაყე? – ღიმილით იკითხა ბექანა მასწავლებელმა.
– ერთი უკვე მივამჟავე, ახლა სხვას მოუწევს! – ჰამლეტი წამოხტა და ხელი გელასკენ გაიშვირა. – ეგე ვინ არის ლაყე, ვერ ავაყლაპე სილაქები?! სხვასაც ეგრე მოუწევს; მე კარატეისტი ვარ, ერთმანეთზე ჯირკებივით დაგაწყობთ! – ჰამლეტმა ხელებით უცნაური მოძრაობა გააკეთა.
– თუ ეგეთი მაგარი იყავ, მამაშენმა გაბო რაზე მოაკვლევინა ჯღანოს, დამდგარიყავ და ხელები გექნია, – შალვა ადგა და ჰამლეტის ხელების ქნევა გამოაჯავრა.
– მამაჩემი რა შუაშია, ეგენი თუ საქურდაოდ ერთად დადიან; ნადავლი ვერ გაიყვეს და ჩხუბი იმიტომ მოუვიდათ, – ჰამლეტმა გუშინდელი ამბის მიზეზი განმარტა.
– ბიჭოს, ეს რაღაც ახალია! – ბექანა მასწავლებელი დაინტერესდა. – აბა დაწვრილებით მოყევი, როგორ იყო.
– როგორ და ისე, რომ ჯღანოს გაბოსთან ერთად მაღაზია გაუძარცვია და ნაქურდალი დაუმალიათ, – ჰამლეტმა საქმეში ღრმად ჩახედული კაცის დამაჯერებლობით თქვა: – წუხელ მამაჩემმა აგვიხსნა ჩხუბის მიზეზები.
– იმ ჯღანოსთან ერთად საქურდაოდ შენ რომ იყავ, რატო მამაშენს არ შეახსენე, – გელა გამოეხმაურა.
– ცილისწამებაზე სასჯელია და დაიხსომე, რაც თქვი! – ჰამლეტი დაიმუქრა.
– ქურდი რომ არ იყოს, მარტო შენს საცმელებს არ ეყოფოდა ყარამანის ხელფასი, საიდან გაქვს ამდენი?! ან შენ იპარავ, ან მამაშენი? – გელამ დაასკვნა.
– უყურეთ, რაებს ბედავს! მოწმე სუყველა იქნებით, მოიცა, გაჩვენებ სეირს! – ჰამლეტი აყვირდა.
– ქურდს ქუდი ეწვის! – კლასში დაიძახეს.
– კარგი, ამაზე ლაპარაკი გეყოთ! – ბექანა მასწავლებელმა დავას წერტილი დაუსვა და ახალი მასალის ახსნა დაიწყო; ფიქრებით კი იგი სულ სხვაგან იყო.
სამასწავლებლოში ამ ამბის გაგების შემდეგ, ყველა მიხვდა, რომ ყარამანს მორიგი ვერაგობა ჰქონდა დაგეგმილი.

## ვის ემსახურება კანონი?

**გაკვეთილების** შემდეგ ცხვირპირჩამტვრეული, სისხლში და მტვერში ამოსვრილი ჰამლეტი სახლში რომ მივიდა, გამწარებულმა დედამისმა მაშინვე ყარამანს დაურეკა. ყარამანის რისხვას საზღვარი არა ჰქონდა. ყველას და ყველაფერს ლანძღავდა, მთელი სკოლის მასწავლებლებს მოსწავლეებიანად წალეკვით ემუქრებოდა.

მეორე დღეს ჰამლეტმა სკოლაში წასვლაზე უარი რომ თქვა, ამან კი წონასწორობიდან მთლად გამოიყვანა. მან დირექტორს დაურეკა და მუქარით აიკლო:

– არავის დარიგებას და რჩევას ყურს არ უგდებ, ამიტომაა, რომ სკოლა ქურდებით და ხულიგნებით გაივსო! – ყარამანი ყვიროდა.

– ეს თქვენგან მესმის მხოლოდ, თანაც მტკნარი მონაჭორია, – დინჯად უპასუხა ზაურ ასანიშვილმა.

– იქნებ არც ის იცით, რომ თქვენმა მოსწავლემ, რა ჰქვია, გაბო ცისკარიშვილმა, იქურდა, თანამოსაქმესთან ვერ შეთანხმდა და ამიტომ დაჭრეს; სკოლას ეს ეკადრება? სად არის პედკოლექტივი?! თქვენ ამისათვის არ გცალიათ, ყალბი ნიშნების წერით ხართ გართული და ხულიგნებს ხელს თვითონ უწყობთ. ამგვარი სკოლიდან მოსწავლე რა უნდა გამოვიდეს, თუ არა მკვლელი და ყაჩაღი!

– თქვენ სიცრუეს ყვებით, ჩვენთვის კი იმ ბავშვის დაჭრის ნამდვილი მიზეზია ცნობილი. რაც შეეხება ყალბი ნიშნების წერას, იგი უკვე ავკრძალეთ; ამისათვის თუნდაც თქვენი შვილის მაგალითიც კმარა, – დინჯად უპასუხა დირექტორმა.

– მაინც რა მიზეზია ცნობილი?!

– ეს ტელეფონზე საუბრის თემაა არ არის, თანაც თქვენთან ამას აზრი არ აქვს, რამეთუ თვითონ ცილისმწამებელს ვესაუბრები; ჩვენი მოსაზრებები სათანადო ორგანოებს მოხსენდება.

– კარგი, აქამდე არ გიმეტებდი, ახლა გიჩვენებ სეირს!

– ჩვენთვის ზოგიერთი ხეირი ცნობილია, არა მგონია ყველა ოინბაზობამ გაგიმართლოს.

– იმუქრები კიდეც?!

– კი არ ვიმუქრები, გონიერნებისაკენ მოგიწოდებ.

– გაგსრესამ! ციხეში ამოგალპობ!

– რის იმედი გაქვთ? ერთი ჭეშმარიტება მინდა შეგახსენოთ: კანონი თქვენ კი არ გემსახურებათ, თქვენ ემსახურებით მას, მინდობილი საქმის ღალატი კი არავის ეპატიება.

– თავხედობ და მოგტეხავ კისერს, შე გაიძვერავ! ნუ გავიწყდება, რომ მაგ პოსტზე ჩემი წყალობით ზიხარ.

– შენი წყალობა შენი მრევლისთვისაა ცნობილი, მე სულ სხვა სალოცავში ვლოცულობ, – დირექტორმა უთხრა და ყურმილი დადო. საუბრის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა, რადგან ყარამანი მისი შეურაცხყოფისათვის სიტყვების ძებნას არ დაიწყებდა.

ყარამანი ბრაზისაგან ადგილს ვერ პოულობდა, პატარა წყენაზეც უკიდურესად მკაცრი ანგარიშსწორების მოყვარული იყო, როგორც ყველა შეზღუდული გონების პოსტის მფლობელი. გეგმაში მას ბევრის გასრესა ჰქონდა, არადა, ყველა ხომ მის კაპრიზებზე ვერ ივლიდა, ყარამანიც იქნევდა თავისი ეგოისტური ინტერესების მახვილს; სწორედ იმას ჭრიდა, ვისი დაცვისათვისაც იყო მოწოდებული. ამდენ გაწამაწიაში ფრონტი ძალიან გაეჭიმა, ანგარიშგასასწორებელი ბევრი შეექმნა. ადრე მშვიდობიანად რომ ემორჩილებოდნენ, სკოლის მასწავლებლებიც აუჯანყდნენ, მერე როგორ. წარმოიდგინეთ, სულაც არ ეშინოდათ მისი ძალისა და ღვარძლის – „მაინც ეს ხალხი რამ გაათავხედა? ყველაფერი გიორგი საყვარელიძის ბრალია. გამომივიდა ეგაც პატიოსნებისა და კანონის დამცველი; უფროსს იმიტომაც არ ეპიტნავება. ამბაკო სიმონიჩი მაგის მოს-

პობაზე მუშაობს, მეც და სხვებიც მივეხმარებით და თავდაყირა დავუშვებთ!“ – ყარამანი ფიქრობდა და თავისთვის გეგმებს აწყობდა გიორგი საყვარელიძის მოსპობა-ანგარიშსწორებისათვის. თვითონ რის მომრევი იყო, თუ არა პარტიის ცეკას პირველი მდივნის ედუარდ შევარდნაძის მიერ პატიოსნებისა და სიმართლის წინააღმდეგ მიმართული ანტიხალხური კამპანია.

ყურმილი აიღო და ზოსიმეს დაურეკა:

– მანდ მოსვლა მინდა, სისხლის სამართლის სამძებროდან ყველაზე სანდო ვინმე დამახვედრე, პატარა საქმე მაქვს.

– გელოდებით, ყარამან ვასილიჩ, საღამოზე პურმარილიც მზად გვექნება, – პასუხი მიიღო...

ყარამანმა წინასწარი პატიმრობის საკნები დაათვალიერა, სანქციის გარეშე დაპატიმრებული სამი ნახა და ცეცხლი დაანთო; მერე ზოსიმესთან მივიდა.

სისხლის სამართლის სამძებროს მუშაკი ჯიმშერ ზარდიაშვილი და ზოსიმე კარებში მიეგებნენ. ზარდიაშვილი მიკიტანს უფრო ჰგავდა მუცლითა და ჩაწითლებული მრგვალი ლოყებით.

ყარამანი სკამზე დაჯდა და დიდი ჯაფაგადახდილივით ამოიხვნეშა.

– რას შვრებით, კაცო, რას?! გაგიჟებას ვარ, სანქციის გარეშე ჰყავთ დაპატიმრებულები, რაებსა ბედავენ?! – ისე თქვა, თითქოს ამით ღრმად იყო შეწუხებული.

– ხდება ხოლმე, ყარამან ვასილიჩ, გულზე არ უნდა მაიხვედრო. შენი იმედი აქვთ, იციან, რომ არ გაიმეტებთ, – ზოსიმემ დაამშვიდა.

ყარამანმა ისევ ამოიხვნეშა, თან თქვა: – რა კარგია ჯიმშერიც აქ რომ არის. უფროსთან საუბარი მქონდა, მალე სასიხარულო ამბავს გავიგებთ.

– რა ამბავია, ჩვენთან არ ითქმის? – ზოსიმემ ცნობისმოყვარეობა ვერ დაძლია.

– შეიძლება სულ მალე, – ყარამანმა ხმას დაუწია, – ჯიმშერა განყოფილების გამგედ ვიხილოთ. – ყარამანი ჯიმშერ ზარდიაშვილის დაწინაურებას თვითონ იბრალებდა, რამეთუ ზევიდან ამბაკოს ამის შესახებ რომ დაურეკეს, იქ შეესწრო.

– ეს მესმის! – ზოსიმემ ტაში შემოჰკრა.

– ამაზე ლაპარაკი არ ღირს. მე აქ ერთ საქმეზე მოველი: სკოლაში ბიჭი რომ დაჭრეს, ხომ იცით.

– კი, როგორ არა, გამოძიების დაწყებას ვაპირებთ, – ყოჩაღად უპასუხა ჯიმშერმა.

– ჰოდა, გამოძიების ასე წარმართვა სჯობდა: ჯღანომ და იმ ბიჭმა, გაბო რომ ჰქვია, რომელიც დაჭრეს, სადგურთან მზა ტანსაცმლის მაღაზია გაქურდეს.

– არავის არ გაუქურდნია! – ჯიმშერმა გულუბრყვილოდ წამოიძახა.

– თუ არ გაუტეხიათ, უნდა გატეხონ, ნაქურდალი ვერ გაიყვეს და ჯღანომ ის ბიჭი იმიტომ დაჭრა, გასაგებია?!

– ბრწყინვალე ჩანაფიქრია, – ზოსიმემ აზრი მოუწონა.

ჯიმშერმა მხრები უხერხულად აიჩეჩა.

– ვერ მიხვდი? – ზოსიმე შეეკითხა, – ისე უნდა გააკეთო, ვითომ ჯღანომ და იმ ბიჭმა მაღაზია გატეხეს, ნაქურდალი ვერ გაიყვეს და ჩხუბი იმიტომ მოუვიდათ, გაიგე?

ჯიმშერმა თვალები დააჭყიტა.

– რა ბუსავით იყურები, ვერ მიხვდი?! – ზოსიმე გაუწყრა.

– გავიგე, გავიგე! – ჯიმშერი სასწრაფოდ დაეთანხმა.
– ჯღანო რას იტყვის?
– ჯღანო უნდა შეაშინოთ, თუ მაღაზიის გატეხვას არ დაიბრალებს, ბიჭის დაჭრისათვის მოგიწევს-თქო დასჯა, დააშინეთ. მაღაზიის გატეხა თქვენ უნდა მოაწყოთ ადრინდელი თარიღით. დაკითხვების დაწყებიდან ერთ კვირაში ის ბიჭი უნდა აიყვანოთ; მანამდე ჭრილობაც შეუხორცდება. ყველაფერი ტემპში უნდა გაკეთდეს ისე, რომ სანამ ინტრიგანები გონზე მოვლენ, გასამართლება შედგება და მერე ფეხები აფხლაკუნონ. ამ საქმის გაკეთება, ჩემო ჯიმშერ, იქნება კაცური კაცობა და ძმობა. ხომ გაგიგონია, ხელი ხელს ბანსო; მე ვალში არ დაგრჩები.
– უფროსს რომ სცოდნოდა, კარგი იყო, – ჯიმშერი შეფიქრიანდა.
– შენ საქმეს შეუდექი, რწმუნებული ლუა გოგინაშვილი მოგეხმარება, დანარჩენი ჩემზე იყოს; ყველა მხარს დაგიჭერს, – ყარამანმა ჯიმშერა წააქეზა.

## ჯღანო მარტო არ არის

**თავპირდაქექილი** ჯღანო გარეთ ვერ გამოდიოდა, მესამე დღე იწვა, ლუასაც ლოგინზე წამომჯდარი დახვდა.
– ჯღანო-ჯან, ცუდად არის საქმე, იმ ბიჭის ნათესავები გიჩივიან, ალბათ შენი დაჭერა მოგვიწევს, – ლუამ მიუსამძიმრა.
– ვერ დამიჭერთ! – ჯღანომ ამაყად თქვა.
– ვითომ რატომაო?
– იმიტომ, რომ მფარველი მყავს და მაგარი კაცის გულისთვისაც ჩავიდინე ეს საქმე.
– ის მაგარი კაცი ვინ არის, ჰა? – ლუამ თავი დახარა და მარჯვენა ყურის ნიჟარა ხელით წინ წამოიწია.
– ვისაც გაგება უნდა, გაიგებს.
– ახლა სადაც ადგილია წაგაბრძანებ და იმ მაგარ კაცზე ყბედობას იქ ამოგაბალღამებ! აბა ჩაიცვი, წავიდეთ! – უბრძანა.
– სადა, კაცო, ხუმრობ?
– ხუმრობის ხასიათზე შენა ხარ, მე აქ საქმეზე მოველ.
– ლუავ, იცოდე, ყარამანი გაიგებს და საქმე ცუდად წაგივა.
– შენისთანა ქურდებს სწორედ ყარამანა იჭერს.
– რა ქურდებს, შენ სიცხე ხომ არა გაქვს?!
– სიცხეს მოგცემ, ჩაიცვი და გამომყე! – ლუამ ხმას აუწია.
– მე ყველაფერი ყარამანას დავალებით გავაკეთე, არაფერი შეგეშალოს!
– ყარამანმა გითხრა, დაჭერიო?
– დაჭერიო არა, მაგრამ...
– მაგრამ ის, რომ ძალიან ცუდად გაქვს საქმე. თუ დახმარება გინდა, როგორც გეტყვი, ისე მოიქეცი და თავზე ერთ ღერ თმას არავინ შეგიტოკებს.
– რა გავაკეთო?
– უნდა თქვა, რომ სადგურში მზა ტანსაცმელების მაღაზია ორივემ გატეხეთ, შენ და გაბომ, ფული ასე ას ორმოცდაათი მანეთი იმან ჩაიდო ჯიბეში. ეს შენ მეორე დღეს გაიგე და ამისათვის მოგივიდათ ჩხუბი. ჩვენ იმ გაბოს დავიჭერთ, შენ კი კარგ და სანდო ბიჭად გვეყოლები, – ლუამ საქმის ვითარება აუხსნა.

ჯღანომ ჩალურჯებული თვალები დააჭყიტა.

– ლუავ, რა თავმა მაიგონა ეგეთი გოთვერნული ზღაპარი; სირცხვილი არ არის?!

– თუ ეგრე მივუდგებით, სირცხვილი უდანაშაულო ბიჭის დაჭრაა, მაგრამ საჭირო იყო და გააკეთე. ახლა ეგრეა საჭირო. გეუბნები, შინაურ ბიჭად გვყავხარ მიღებული. შენ კაციშვილი ხელს არ დაგაკარებს, სხვა რაღა გინდა?

– არა, ძმაო, ჯღანო „ბოზი“ არ ყოფილა და არც იქნება, მისამართი შეგეშალათ. მე ის მივქარე, იმ ოღრაშ ლავაშას რომ დავუჯერე! – ჯღანო გაბრაზდა.

– იცოდე, მერე სხვა ნოტზე დაუკრამ, მაგრამ გვიან იქნება, – ლუამ გააფრთხილა.

– მე მირჩევნია, რაც მოხდა იმაზე დამიჭირონ, ვიდრე ვიჩათლახო!

– ადექი, წავიდეთ! შენთან ლაი-ლაის დრო არა მაქვს! რაკი კარგი არ გესის, ავს იქ გაჩვენებ! – ლუამ ხელი წაავლო და საწოლიდან გადმოთრევა დაუწყო.

– მოიცა, კაცო, რას მეჯაჯგურები, ხომ ხედავ, არ მაცვია.

ჩაცმა არ გინდა, ეგრე წაგათრევ!

ხმაურზე ოთახში ჯღანოს დედა შევიდა, აქამდე მათ დავას მეორე ოთახიდან ყურს რომ უგდებდა.

– რა გინდა, ლუავ, ამ ბიჭს რას გადაეკიდე, თავპირი ჩაამტვრიეს და ისევ ამას იჭერთ?! – ცხარობდა ქალი.

– ჩაამტვრიეს და ღირსიც იყო, იცი, რომ ერთი ბიჭი სასიკვდილოდ დაჭრა? ციმბირი აქეთ დაგრჩება, იცოდე!

– ვაიმე, ლუავ, გვიშველე, ბიჭს ნუ გაიმეტებ! – შეეხვეწა.

– მაიცა, ლუავ, მოვილაპარაკოთ, რა ქერის პურივით მახრჩობ! – ჯღანომ უკან დაიხია.

– ეს სხვა ლაპარაკია, – ლუამ ხელი გაუშვა.

– მე რა უნდა გავაკეთო, ჩემგან რას ითხოვ? – ჯღანო შეეკითხა.

– რაც გითხარი, ის უნდა დამიწერო. იმ ბიჭს ჩავაგდებთ, შენ კი გიშველით; სხვა რაღა გინდა.

ჯღანო ჩუმად იჯდა, ხმას არ იღებდა.

ლუამ საქაღალდე გახსნა, ქაღალდის ფურცელი ამოიღო და ჯღანო მაგიდასთან მიიპატიჟა.

მალე თავისი სასურველი ჩვენება ლუამ საქაღალდეში შეინახა და ჯღანოს გამომშვიდობებისას გამოჯანმრთელება უსურვა...

ბექანა მასწავლებელმა ჰამლეტის ნათქვამი სამასწავლებლოში როგორც მოყვა, ზაქრო შეშფოთდა, თუმცა ზოგიერთ მასწავლებელს სიცილად არ ეყო. ზაქრომ კი კარგად იცოდა ყარამანის ცილისწამების სამზარეულოს გემო. თავისი ეჭვები დირექტორს და ყოფილ დირექტორს გაუზიარა. გამორიცხული არ იყო, ყარამანს ჰამლეტის ნათქვამი სისრულეში მოეყვანა.

... ლუა ახალი წასული იყო, რომ ჯღანოს ზაქრო, კოტე და დირექტორი ზაურ ასანიშვილი მიადგნენ. ზაქროს დანახვაზე ჯღანოს ის საზარელი ამბავი გაახსენდა, რკინის კარებს სახეს რომ უჯაჯგუნებდა. ჯღანო ის ბიჭი არ იყო, შეშინებოდა, დანაშაულის გრძნობა ხელფეხს უბორკავდა. სტუმრები მისი საწოლის სიახლოვეს სკამებზე ჩამოსხდნენ.

– როგორ ხარ, ჯღანო? რაიმე წამალი ხომ არ გჭირდება? – კოტემ მზრუნველი ტონით იკითხა.

– არაფერი არ მჭირდება, – ჩაიდუდუნა ჯღანომ.

ზაურმა ქაღალდის პარკით შოკოლადი მაგიდაზე დადო და ჯღანოს მუჭით მიაწოდა.

– გმადლობთ, – ჯღანომ გამოართვა, მაგრამ პირი არ დაუკარებია.

– ჯღანო, ჩვენ გაბოს გულშემატკივრები ვართ. მიუხედავად იმისა, რომ ის ახლა დაჭრილი წევს, შენ არავინ გიჩივის და არც გიჩივლებთ, თუ სიმართლეს გვეტყვი, რატომ იჩხუბე? – ზაურმა დამრიგებლურად უთხრა.

– რატომ და იმიტომ, რომ სადგურის მაღაზია გავტეხეთ და ჩემი წილი მაგან ჩაიჯიბა, – ცოტა ხნის წინ ლუასთვის მიცემული ჩვენება გაიმეორა, შერცხვა, გაწითლდა და თავი ჩაღუნა.

სამივეს ირონიულად გაეღიმათ.

– ადამიანში არსებობს სინდისის გრძნობა, რომელიც ყოველგვარ უნამუსობაზე მაღლა დგას, თუ ეს ადამიანს ეხება და პირუტყვად სათქმელი არ არის. არ გირჩევთ, ადამიანობიდან სხვაგან გადაბარგებას, უმაგისოდაც ცოდვები არ გაკლია, – კოტემ გააფრთხილა.

– ეგრე იყო და რა ვქნა? – ისევ ჩაიდუდუნა.

– ხომ არ დაგავიწყდა, იმ სამახსოვრო დღეს რა მითხარ? – ზაქრომ გაახსენა.

– რა ვიცი, რა გითხარი? – ჯღანო დაიბნა.

– შენ თუ დაგავიწყდა, მაშინ ყინტორას და ჭყეტელას ნათქვამს მოუსმინე და იქნებ გაიხსენო. – სამივემ ჯღანოსთან მოსვლამდე ის ბიჭები მოინახულეს და ახსნა-განმარტება ჩამოართვეს. ახლა ზაქრომ ჩანთიდან მათი ნაწერი ფურცლები ამოიღო და წაკითხვა დაიწყო: – ლავაშამ ჯერ კიდევ წინა დღეს დაგვავალა, გაბოსთვის გვეცემა, რადგან ყარამანას ბიჭს, ჰამლეტას და გაბოს თურმე ერთი გოგო უყვართ; გაბო უნდა შეგვეშინებინა...

– ეგრე იყო? – შეეკითხა და კითხვა გააგრძელა: – მეორე დღეს ლავაშამ ჯღანო და მე სადგურის ლუდხანაში დაგვპატიჟა, გაგვიწყრა, რომ წინა დღით დავალება ვერ შევასრულეთ და შეგვპირდა პროკურორ ყარამანა ბენაშვილის მფარველობას; მალე ჭყეტელაც შემოგვიერთდა...

– ეგრე იყო? – ისევ შეეკითხა.

– ჯღანო დუმდა.

– ზუსტად ამასვე იმეორებს ჭყეტელა, – ზაქრომ ხელში მეორე ფურცელი აიღო.

– მართალია, უკადრისად მოიქცნენ, მაგრამ იმ ბიჭებს ნამუსი მაინც შერჩენიათ, – საუბარში კოტე ჩაერია, – ყარამანი კი არა, ბელზებული რომ იყოს, არ მოვერიდებით და სიმართლეს გავიტანთ. თუ ახლა დაგვიწერ, როგორც იყო, ამ ქაღალდებს შევინახავთ და არ ვიჩივლებთ. რაც იყო იყო, ჭკუის სასწავლებლად გამოგადგებათ შენც და იმ შენს ამხანაგებსაც. თუ ყარამანი თავის სამარცხვინო ცილისწამებას აამოქმედებს, მაშინ ვალში არც ჩვენ დავრჩებით.

– დღეს ჩემთან ლუა-ღადალა იყო, – ჯღანომ ხმა ამოიღო.

– რა მინდაო?

– თქვი, რომ შენ და გაბომ მაღაზია გატეხეთ და ჩხუბი იმიტომ მოგივიდათო; დაჭერით მემუქრებოდა და...

– მერე, მერე!

– თუ ეგრე არ დაწერ, დაგიჭერთო.

– თუ დაწერდი.

– თუ დაწერ, ამ დღეებში გაბოს დავიჭერთ და ყველაფერს იმას დავაბრალებთო.

– შენ დაწერე?
– ჰო.
– ახლა სიმართლის თქმას არ აპირებ?
– თუ მხარს დამიჭერთ, მე სულაც არ მინდა, ვინმეს ტყუილი დავაბრალო.
– მაშინ მისმინე: შენ ახლა როგორც იყო ისე დაწერე, ჩვენ ამ ნაწერს შევინახავთ. თუ ყარამანმა თავისი გეგმები განახორციელა, იცოდე, რომ პირველ რიგში შენ დაგიჭერენ. მართალია, გზას აცდენილი ხარ, ბოლოს ისევ ჩვენ ამოგიდგებით მხარში; – იცოდე, ეგენი სანდო არ არიან, – დაარიგა ზაურმა.
– რას მირჩევთ?
– სიმართლე დაგვიწერო და სულ სიმართლე ილაპარაკო.
– ლუამ რომ გაიგოს, ხვალვე დამიჭერს.
– სანამ ჯოჯოხეთის მანქანას თვითონ არ აამოქმედებენ, მანამ ჩვენ ხმას არ ამოვიღებთ. მაგრამ იცოდე, შენ ორივე შემთხვევაში სასჯელი არ აგცდება. მართალს თუ იტყვი, შენი პატიოსნების შეგნება ადამიანურ გრძნობებს გაგიცხოველებს და სიამაყეს შეგძენს.
ჯღანოს ნაწერი ზაქრომ ორის ახსნა-განმარტებასთან ერთად შეინახა...
მეხუთე დღეს გაბო თავს უკვე კარგად გრძნობდა. სამი დღის შემდეგ სკოლაში წასვლას აპირებდა. დილით დედა სამსახურში წავიდა და დაუბარა, მალე დავბრუნდებიო. მართლაც შუადღემდე მობრუნდა, მაგრამ გაბო სახლში აღარ დახვდა. მეზობლებმა უთხრეს, ლუამ და ერთმა სხვა მილიციელმა წაიყვანესო; თანაც დაუმატეს, სადგურის მაღაზიის გაძარცვას აბრალებენო. საწყალ ქალს სკოლაში გაქცევა და შველის თხოვნა უნდოდა, მაგრამ ფეხის გადადგმა ველარ შეძლო, ადგილზე უგონოდ ჩაიკეცა.
რაიკომის მესამე მდივნის გიორგი საყვარელიძის კაბინეტში სამნი ისხდნენ: ზაური, კოტე და ზაქრო. გიორგიმ ყინტორას და ჭყეტელას ახსნა-განმარტებები წაიკითხა, ახლა ჯღანოსას კითხულობდა. ერთხანს სტრიქონებზე მზერას უსიტყვოდ დაატარებდა, ბოლო ნაწილი კი ხმამაღლა წაიკითხა: – უბნის რწმუნებული ლუა გოგინაშვილი მავალებს, რომ ვთქვა, ვითომ მე და გაბომ სადგურის მაღაზია გავტეხეთ და ნაქურდალის გაყოფაზე ჩხუბი მოგვივიდა. ეს მოგონილია, ამ ამბამდე გაბოს არ ვიცნობდი. დამემუქრა, ასე თუ არ დაწერ, დაგაპატიმრებო და მეც იძულებული გავხდი, ტყუილი დამეწერა.
– ეს რა ხდება?! თავი სიზმარში მგონია. ასეთი სისაძაგლე ადამიანს აზრად როგორ უნდა მოუვიდეს?! ესენი და ამათი მსგავსი პარაზიტებით არის დაავადებული სოციალისტური სახელმწიფო, კაცობრიობის დღემდე არსებული ფორმაციების მწვერვალი რომ არის და იმავე კაცობრიობის ნათელ იმედად არსებობს. ეს უბრალო დანაშაული არაა, ამას ფესვები სულ სხვაგან აქვს, მკურნალობის გარეშე დავღუპავთ ნამდვილად ამ ქვეყანას; ვაი, რომ ძალიან ბევრს ეს ვერ შეუგნია და მომავალ უბედურებას ვერ გრძნობს, რომელიც... – გიორგის უნდოდა ეთქვა, ზევიდან მოდისო.
– ჩვენს საზოგადოებას ჰყავს ისეთი პოსტის გლახები, ყოველივე სიკეთეს თავიანთი გესლით რომ წამლავენ. რაც დრო გადის, უფრო საშიში ხდებიან და თავიანთ გზაზე მართალ ადამიანებს სპობენ, რათა ქვეყანა ბოლოს განუკითხაობის ბნელეთში ჩაძირონ, – კოტემაც თქვა თავისი აზრი.
– თქვენ ვინ გყავთ მხედველობაში?
– ვისაც ამგვარი ვერაგული აზრები უტრიალებს. ბოროტება თოვლის გუნდასავით ააგორეს, გზაზე სხვებსაც იყოლებს და ასე თუ დიდხანს გაგრძელდა,

დამანგრეველ ძალას მიიღებს, – საუბარში ზაური ჩაერია.

გიორგი ჩაფიქრდა. ძალიან კარგად იცოდა ედუარდ ცეკას მდივნის მუხთლობა ქვეყნის, ერისა და სინდისის წინაშე, მაგრამ ისეთ დონეზე იყო გამძლავრებული ღალატი და მისი შედეგი, რომ ვერც გიორგი და ვერც ცეკაში მყოფი სხვა პატიოსანი ადამიანები ვეღარ მორეოდნენ. რაიონში ამბაკო სიმონიჩი, რაიკომის პირველი მდივანი სწორედ რომ იმ დიდი ბოროტების ღირსეული ლეკვი იყო, დანარჩენ წვრილ და მსხვილ ბოროტებას სწორედ ამბაკო ასაზრდოებდა, თორემ ამის გარეშე ამგვარ თავხედობას ვერ გაბედავდნენ. ჯოჯოხეთის მანქანა კი ბრუნავდა, მასში ყოველივე სასიკეთო, ადამიანური და წმინდა იფქვებოდა ბნელეთის მოციქულთა საიმედოდ და ბნელეთის დასამკვიდრებლად.

გიორგი მძიმე ფიქრებიდან გამოერკვა და იკითხა: – რამდენი ხანია რაც ის ბიჭი დააკავეს?

– მეორე დღეა. დედამ ერთხელ ინფარქტი ძლივს გადაიტანა, ახლა უგონოდ წევს, გადარჩენის არავითარი იმედი არ არის; საწყალი ბიჭი სულ მარტო რჩება.

გიორგი ისევ ჩაფიქრდა. კაბინეტში მხოლოდ კედლის საათის მონოტონური კაკუნი ისმოდა. ძალიან მძიმე გადაწყვეტილებას იღებდა, იქნებ ეს გადაწყვეტილება გიორგისათვის რუბიკონის გადალახვად ღირდა, რამეთუ საცდელი სადგურის უფროსის ქრთამის აღების ფაქტზე ჩარევაზე ამბაკომ ძალიან მკაცრი რეაგირება მოახდინა, ბრაზობდა: ამხანაგო, ეს საკითხი შენ არ გეხებოდა, სხვის საკითხებში ნუ ყოფო ცხვირს. იქნებ იმ კვირიკეს დაჭერით ჩვენ რა მიზანი გვქონდა, შენ კი ხელი შეგვიშალე და ზევით წასვლით დაიმუქრე, თითქოს იქ ჩვენზე დიდი მეგობრები და მფარველები გყავსო. არც გიორგიმ დაუთმო და გამომწვევად მიახალა, მართალი და პატიოსანი კაცის დაცვა ყველა შეგნებული მოქალაქის ვალია და სანამ ცოცხალი ვარ, აქ ვიქნები თუ ვაგონის ბოლოში, ამას ვერავინ ამიკრძალავსო. ამ ამბის შემდეგ მათი ურთიერთობა ისე დაიძაბა, როგორც ბნელეთის და სინათლის მოციქულთა დავა... ბოლოს გადაწყვეტილება მიიღო და ტელეფონის ყურმილი ისე მძიმედ და დაძაბულად აიღო, თითქოს ორფუთიანი გირი ყოფილიყო. ადრესატს არ მისალმებია, პირდაპირ დაიწყო: – აქ ფრიად საყურადღებო საქმეზე არიან მოსული, ეს პირადად შენ და შენს სამსახურს ეხება; მინდა გაეცნო და პასუხისთვის მზად იყო... რა არის ისეთი? კვირიკეს მიერ ქრთამის აღებაზე უარესია... – გელოდები, – გიორგიმ ყურმილი დადო.

მალე მილიციის უფროსი ოხვრით და თავის ქნევით ისმენდა იმას, რაც ცოტა ხნის წინათ გიორგისთვის გახდა ცნობილი. გულში კი ფიქრობდა, ამ მამაცხოანებულმა ამბაკომ გიორგი საყვარელიძე თუ არ დააბა, ამდენ შეთითხნილ საქმეს როგორ მოვუაროთო. იმ ბიჭის დაკავებაზე მართალია მასთან ერთად ვისაუბრეთ, მაგრამ გიორგიმ თუ იდავა, ნამდვილად გაგვწირავენო. ხმამაღლა კი თქვა: – რა ვქნა, ძმაო, ყარამანი ყველას კისერს მოგვატეხინებს. თავისი მიმდევრებიც ჰყავს; რაც მთავარია, უფროსი მხარს მაგრად უჭერს და გადაგვაჭამა თავი! – მილიციის უფროსმა სამსახურებრივი ბოლმაც დააყოლა, რამეთუ ამბაკოს კერპი ყარამანი სხვა ურთიერთობებშიც ჩაგრავდა.

– შენ რა აზრისა ხარ? – ჰკითხა გიორგიმ.

– იქნებ აჯობოს, ეს საკითხი პირადად მე შევისწავლო, თორემ ვიცი, ყველას მოსახვედრი მე მომხვდება. ისე კი, გიორგი ირაკლიჩ, შენთვისაც სჯობდა ამ საკითხს შეეშვა, ვითომ მე ჩემით ავიღე ინიციატივა, საქმეს კიდევ რამენაირად მოვაკვარახჭინებ; იმ ბიჭს მსუბუქად გავუშვებ.

– ეს როგორ შეიძლება? – კოტემ ხმა აიმაღლა.

– ჩვენ აქ სიმართლის საძებრად მოვედით და არა უსამართლობის მოსაკვარახჭინებლად, – ზაურმაც გამოთქვა უკმაყოფილება.

– გიორგი ირაკლიჩთან გეუბნები, თავს გაუფრთხილდი, წყნარად იყავ, თორემ შენც არასაიმედოთა სიაში ხარ, იცოდე, – გააფრთხილა მილიციის უფროსმა.

– შეიძლება არაკაცებთან არასაიმედოა, სინამდვილეში მართალი, პატიოსანი და შემტევი მუშაკია; ამგვარი კადრები მოფრთხილებას და მხარდაჭერას იმსახურებენ. შენ კი მაგ მიქნილ-მოქნილობაში თუ სადმე ფოჩიანი კუდი წაგაჭრეს, განგებას მადლობა შესწირე სწორ გზაზე დაყენებისათვის, – სუსხიანი ღიმილით უთხრა გიორგიმ.

– მე რა, მე რა შუაში ვარ. სულ ეგრეა ყარამანის მოსახვედრი მხვდება, იმის დასვრილ ნაფეხურებსაც მე მაწმენდინებენ, რა ვქნა რა გავაკეთო?!

– როგორც მიხვალ, ის ბიჭი გაანთავისუფლე და სირცხვილით ნაკერი საქმე ქარს გაატანე. იმ ბიჭს დედა უკვდება, შეიძლება ცოცხალს ვეღარ მიუსწროს. ყარამანის ცოდვებს კი ნუ იკიდებ, ძალიან მძიმეა გაიჭყლიტები, – დაარიგა გიორგიმ.

– გასაგებია, გასაგები! – შეშფოთებული მილიციის უფროსი კაბინეტიდან გავიდა.

## ცხოვრების მწარე სინამდვილე

**ზაზო** სახლში შესასვლელ კარებთან თავჩაღუნული იდგა. ხალხი განუწყვეტელ ნაკადად მოდიოდა. ხელს ართმევდნენ, ზოგიც მოეხვეოდა, გადაკოცნიდა, რაღაცას ჩაილუღლუღებდა და ქვითინით ოთახში შედიოდა. ალაყაფის კარები ყურამდე  გამოეღოთ. ხალხი ჯგუფ-ჯგუფად გროვდებოდა. ლეღვის ტოტებგაშლილი ხის გვერდით სამზარეულო ბოლავდა, ხელებდაკაპიწებული კაცები საქმიანად ფუსფუსებდნენ. კუბოს საფარობელი ოთახში შესასვლელ კარებთან ატუზულიყო. ოთახი ქალებით იყო სავსე, დროდადრო ელენე დეიდას ხმაჩახლეჩილი ტირილი ისმოდა, სამი დღე მოთქმით დაიღალა; ახლად მოსულებს მაინც მიატირებდა ხოლმე.

მთელი ამ ხნის განმავლობაში მასწავლებლები ჭირისუფლებივით ტრიალებდნენ. ზაქრო, კოტე და ზაური კი დაკრძალვის ორგანიზაციას თვითონ ხელმძღვანელობდნენ. გელა და შალვა დღე და ღამე გაბოსთან იყვნენ, რაც მილიციიდან გამოუშვეს, აღარ მოსცილებიან. ყველა გრძნობდა, რომ ეს სათნო, მოკრძალებული და კეთილი ქალი იმ საზარელმა ამბავმა იმსხვერპლა.

აგერ, მთელი კლასი მოვიდა, გაბომ მეგობრებს დაღლილი და სევდიანი მზერა მოავლო; მათ შორის ნელი ვერ დაინახა. იმ ჩხუბის შემდეგ ქვეყანა შეიყარა, ნელის გულისთვის მოხდაო ეს; გოგო ხალხში გამოსვლას ვეღარ ბედავდა, თუმცა წინა დღეებში ყურადღება არ მოუკლია; გაბოს დედა ცხარე ცრემლებით დაიტირა. სამძიმარზე მოსულები კი როგორც დაინახავდნენ, მის გასაგონად ამბობდნენ: ეს გოგოა გაბოს დაჭრის მიზეზი, ღმერთო ჩემო, რა მშვენიერია, სწორედ რომ გაბოს შესაფერია, ერთმანეთი ჰყვარებიათ, ყარამანას უნდილ ბიჭს კი წართმევა სდომებიაო. ისედაც ამ ამბით შეწუხებულ გოგოს მრავალი ამგვარი რამ მოასმენინეს. რაც გინდა ელაპარაკათ, ამის გამო ნელი გაბოს დედის დაკრძალვას როგორ არ დაესწრებოდა. კიდევ იყო წინააღმდეგობა: ნელის მამამ გაბოსთან ლაპარაკება სასტიკად აუკრძალა.

– ტყუილია, მამა, მომიგონეს, თვითონ ყარამანის ბიჭი არის უხეში და უსინდისო. გაბოს ჩემთვის არაფერი უკადრებია, პირიქით, მოკრძალებით და თავაზიანად მექცევა, – მამის განწყობილების შეცვლა სცადა.

– შვილო, ქვეყანამ იცის, რომ ის დედაკაცი მაგათ მოინელეს. როგორ ფიქრობ, ჩემი მოსპობა გაუჭირდებათ? თანაც ისეთ ადგილზე ვმუშაობ, შარის მოძებნას რა უნდა. ამიტომ ეცადე, ეგ ოხრები მტრად არ მეგვეკიდონ; იმ გაბოსაც ერიდე, ხალხის პირში ნუ ჩავარდები, – ურჩია მამამ.

შეგროვილი ხალხის წინაშე მარტო რომ არ გამოჩენილიყო, სამძიმარზე მოსულ ერთ ჯგუფში შეერია. გაბომ ნელი მაშინ დაინახა, კიბეზე რომ ადიოდა; გული კინაღამ ბუდიდან ამოუვარდა. მათი თვალები ერთმანეთს სულ რაღაც წამით შეხვდნენ. ნელის გამოხედვაში უძირო სითბო და თანაგრძნობა იღვრებოდა, უზარნამაზარი სიცარიელე, ნელის მოსვლამდე რომ გრძნობდა, უცებ შეივსო, მის არსებაში რაღაც გაურკვეველი სიხარული და იმედი შეიჭრა, სისხლი აუდუღდა და მთელს სხეულს მოედო, გულში სასიამოვნო ნეტარებად ჩაეღვარა. ნელი იყო მისი ოცნების საგანი და დაუშრეტელი ენერგიით მკვებავი. რაღაც აკლდა, რაღაცას ელოდა, მოუთმენლობას შეეპყრო, ვერ გაეგო, რა უნდოდა, იქნებ კიდეც იცოდა, მაგრამ საკუთარ თავს ვერ უტყდებოდა. ნელი გამოჩნდა და დამშვიდდა, აღარაფერი აღარ აკლია, აღარავის აღარ ელოდება; მოუთმენლობაც სადღაც გაქრა. დიდი მწუხარების გადატანა ახლა უფრო იოლი გახდა, მომავალს იმედით გაუღიმა, ეს იმედი მისთვის ნელი იყო...

დეიდა ელენემ ყველაფერი მიალაგა, ერთი კვირა კიდევ იტრიალა, მერე გაბო დაარიგა, როგორ მოქცეულიყო, ფული და გარეცხილი საცვლები დაუტოვა, შეჰპირდა, ყოველკვირა მოგაკითხებო და წავიდა. გაბო სულ მარტო დარჩა კედელზე ჩამოკიდებულ დედის სურათთან და შემოსულ ნაღვლიან მოგონებებთან. ცხოვრება მთელი სისასტიკით და სუსხით თვალწინ დაუდგა. თუმცა, ბოლო დროს არაერთხელ აჩვენა თავისი ბასრი ბრჭყალები, მაგრამ მაშინ ასე გარიყულად არ გრძნობდა თავს, დედა ცოცხალი ჰყავდა, ის იყო მისი იმედიც და ფარიც, რომელიც თავისი სხეულით გადაფარებოდა და ამ ცხოვრების ქარბორბალასაგან იცავდა. ახლა რა ქნას, გამოუცდელი და მარტოდმარტო სუსხიანი ამქვეყნიერების წინაშე პირისპირ დგას. სწავლას კი მაინც აგრძელებდა, ათი კლასი უნდა დაემთავრებინა.

სკოლაში ყველაფერი ნორმალურ კალაპოტში ჩადგა. რაც გელამ და შალვამ ჰამლეტი მაგრად დაალილავეს, კლასში აღარ გამოცხადებულა; მალე მეორე სკოლაში გადაიყვანეს. ამბობდნენ, კარგად სწავლობსო. ყარამანი გაუთავებლად ტრაბახობდა: „ნახეთ, რა სამაგალითო შვილი მყავს, მთელი სკოლის თვალია. იმ სკოლის გაოხრებული დირექტორის და მის მომხრეთა ხელში რა ახალგაზრდა გაიზრდებაო“. თუმცა ხმა მალე გამოვიდა, ჰამლეტს მასწავლებლები ძველი მეთოდებით ანებივრებენო...

სწავლა დამთავრდა. გაბოს ამხანაგებმა გელამ და შალვამ სწავლა უმაღლეს სასწავლებელში გააგრძელეს, ნელიმ უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე ჩააბარა. გაბოს ქალაქში წასვლის საშუალება არ ჰქონდა. მუშაობა დაიწყო სატრაქტორო ბრიგადაში. ცოტა დანაზოგის შეგროვება უნდოდა, უმაღლესში ჩააბარებდა, მერე კი რამეს იღონებდა.

ბრიგადაში საქმე ნორმალურად არ მიდიოდა. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ღრეობებს და კომბინატორობას იყო გადაყოლილი; სხვა ხელმძღვანელებიც მასავით დატაცება, ჭამა-ყლაპაზე იყვნენ გადასულნი. გაბოს გული სწყდე-

ბოდა, პატიოსანი ხელმძღვანელობის პირობებში მუშაობა ხალისიანი და შრომის ნაყოფი ათმაგად ბარაქიანი იქნებოდა. რამდენი რამ იყო ადამიანზე დამოკიდებული, რომელიც ნდობასაც და ხალხსაც აბუჩად იგდებდა...

გაბო სპეცტანსაცმელში გამოეწყო, თარსოს დარჩენილი პურის ნაჭერი დაუტოვა, შეიძლება ამაღამ ვერ მოვიდე და არ მოიწყინოო, დაუბარა და უძეგლო კვარცხლბეკიან მოედნისაკენ გაეშურა, სადაც პაჭიკოს თავისი ტრაქტორით უნდა ჩაევლო.

დიდხანს ლოდინი არ დასჭირვებია. პაჭიკოს პატარა თვლიანმა ტრაქტორმა მოედანი ტრახტრახით აიკლო; თვითონ საწამლი აპარატის ორ ავზს შორის იყო ჩაჭედილი.

– სად დაჯდები? – ტრაქტორის ხმაურში ყვირილით ჰკითხა.

გაბო უკანა მისაბმელ კაკვზე შედგა და ტრაქტორისტის სავარძლის ზურგს ჩაეჭიდა.

– ეგრე არ ივარგებს, დაიღლები, ავზზე დაჯექი, – პაჭიკომ საჯდომზე ჩაკეცილი ტყაპუჭი აიღო და გაბოს შაბიამნის ხსნარის ავზზე გაუფინა. – ცხენივით გადააჯექი, ერთდროულად ორ საქმეს გააკეთებ, ბრიგადაში მიხვალ და ცხენზე ჯდომასაც ისწავლი, აბა შაუბეროთ, – მკალიასავით ტრაქტორმა ერთი ალიაქოთით ჩაუარა კულტურის პარკს, მთავარ ქუჩას გასცდა და გეზი ალაზნის არხისკენ აიღო.

ტრაქტორმა ბურღის წყალს მარცხნიდან შემოუარა, კვინლის ბარდს გასცდა და დიდი ვერხვის ჩრდილში შეჩერდა. მოშორებით ბრიგადის საცხოვრებელი ბინა იყო, მის გვერდით კი ტრაქტორები ჩაემწკრივებინათ. ბინიდან ორმოციოდე მეტრის მოცილებით უზარმაზარ ბეტონის ავზში ჩასხმულ შაბიამნის ხსნარს ყარაული დათა გრძელი კეტით ურევდა. იქვე გროვად ეყარა ჩამქრალი კირის და გაუხსნელი შაბის ნარჩენები. დროდადრო ამ კარმიდამოს ცხელი ნიავი ჩამოუვლიდა და შხამქიმიკატების ფიცრის საწყობიდან მიდამოს მის მძაფრ სუნს აფრქვევდა. ეზოში მდგარ თუთის ორ ხეს ცალ მხარეს ფოთლები ცეცხლის ალზე ნამყოფივით შეტრუსოდა. ეს გერბიციდების დაუდევრად გამოყენების კვალი იყო.

გაბომ ტრაქტორი გაამზადა და შაბიამნის ხსნარის ჩასასხმელად ავზთან მიაყენა.

– არც შენი ტუმბო მუშაობს? – შეეკითხა დათა გაბოს.

– სხვა ვისი მუშაობს?

– მეც ეგა მტკივა. ვედროების ქაჩვით ხელები დამაწყდა. ერთი რამე გამკვირებია, სადღაც მაგრად არის ჭანჭიკები დაშვებული, თორე რაშია საქმე?! თუ ზოგიერთი უვარგისი ხელმძღვანელის ბრალია, მააშორონ. ამ დალოცვილ ქვეყანაში განა ნამდვილი მუშა და პატიოსანი კაცის მოძებნა გაჭირდა? ეს ბებერი კაცი ვდგავარ და ამხელა აუზს ჯოხით ვუტლაკუნებ, სირცხვილი არ არის?!

– კარგი, დათა ძიავ, თორე ჩვენც ვფშლეკამთ ფეხებს, გავიქცევით და მოგჭამა ჭირი ამ სულთმობრძავმა ბრიგადამ, მერე მოვიდეს გაბერილი თავმჯდომარე და თვითონ წამლოს, – პაჭიკო ვედროს შაბიამნის ხსნარით ავსებდა, თან ბრაზობდა.

– ეხ, შვილებო, აბა რა გითხრათ, ჩვენი თავმჯდომარეა ჩვენივე თავის ტკივილი. ის რომ ადამიანი იყოს, ხალხისთვის იყოს და საქმეს სინდისიერად ეკიდებოდეს, ჩვენც კარგად ვიქნებოდით, თვითონაც და ჩვენი შრომით ქვეყნისთვის დოვლათს ვამრავლებდით. აქ კი რა ხდება: თავმჯდომარე ჭამა-ყლაპ-

ვაზე დახარბებული ვირთხად ქცეულა, თავისი კუჭის ამოყორვის გარდა არაფერი რომ არ აინტერესებს. ვაი, რომ ამ მძარცველს ზევითაც კარგად უბამენ მხარს, თორემ ერთი ვირთხის მოცილებას რა უნდოდა. დღეს კი ზევით-ქვევით გამრავლებული ვირთხები იმ პატიოსან ადამიანებსაც სპობენ, ხალხის საკეთილდღეოდ რომ ირჯებიან.

კაცო, ნიკო მამაიაშვილის განთავისუფლება შეიძლებოდა?! ააყვავა ზემო მაჩხაანი; დღე და ღამე თავისი ხალხის ჭირით და ლხინით რომ ცხოვრობდა იმიტომ? იმათი მინდვრების მნახველს გული გაუნათდებოდა. საქმე საათივით ჰქონდა აწყობილი, ახალგაზრდობას შრომა შეაყვარა, ხალხს – სიცოცხლე. სადაც გაჭირდებოდა, კარგი სარდალივით, ნიკო იქ იყო. თუ გინდა, რომ ადამიანს კოლექტივი შეაყვარო, თავისი საქმის და ხალხის ერთგული ახალგაზრდობა გამოზარდო, ნიკოსთანა ადამიანი უნდა ჩაუყენო სათავეში. ამათ კი რა ქნეს, ამ ულმერთოებმა სწორედ ნიკო გაანთავისუფლეს, ნოე ჯანგულაშვილი და მისთანები კი ბაირამობენ; დამიჯერეთ, ესენი ამ ქვეყანას დაანგრევენ!

ჩვენი უბედურება სათავიდან მოდის, იმიტომ ეგრე გამრავლდნენ ხალხის ქონების მღრღნელები, მარტო დატაცებასა და ჭამა-ყლაპვაზე რომ არიან! – დათამ კეტი ისე ენერგიულად აამუშავა, თითქოს მღრღნელებს ებრძვისო.

– დათა ძიავ, ნიკო მამაიაშვილზე სკოლაში გაგვიგია, კარგი თავმჯდომარე რომ არის. რა გააკეთა იმ კაცმა ასეთი, ეგრე რომ აქებენ? – ჰკითხა გაბომ.

– მე ის ვიცი, რომ პატიოსანი, საქმის მცოდნე, ხალხისათვის და ქვეყნისათვის თავდადებული კაცია. უფრო კარგად კი თქვენი ბრიგადირი მოგიყვებათ. ერთი აუცილებლად იცოდეთ: – კაი კაცი ის კი არ არის, ნაქურდალ-ნაძარცვით დღე და ღამე ქეიფსა და დროსტარებაში კუჭის ამოყორვასა და ურგები ქონების მოხვეჭაზე რომ ფლანგავს დროს, მის ნატარს კი ადამიანთა წყევლა-კრულვა დასდევს. კაი კაცია, ხალხზე ზრუნვაში რომ ათენ-აღამებს, სასიკეთო საქმისათვის თავს არ ზოგავს, ამქვეყნიურ ფუჭ განცხრომას შრომით და ოფლის ღვრით მიღებული სიამოვნება ურჩევნია; მის კვალს კი ხალხის ლოცვა და ქებადიდება ამშვენებს. აი, ეგეთი კაცია, შვილებო, ნიკო მამაიაშილი, – დათამ დამოძღვრა დაამთავრა და თავისი კეტი ისევ აამუშავა...

გაბო თავის ტრაქტორს ვენახში დააქროლებდა. მოუვლელობით დაკნინებულ ვაზებს უყურებდა და გული უკვდებოდა. „რა უმისამართოდ იფლანგება ამხელა ენერგია, რომელსაც ხალხისთვის დიდი სიკეთის მოტანა შეუძლია. დაინტერესება იყოს და ცხოვრება საამური იქნებოდა. ბოლომდე არავის არ შერჩება ღალატი, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ სანამ არიან, უაზარმაზარ მატერიალურ და უფრო მძიმე მორალურ ტრამვებს გვაყენებენ“, – ამ ფიქრებში გართულ გაბოს თვალწინ ყარამანის ფიგურა წარმოუდგა. იქ იდგა, სადაც მის ტრაქტორს უნდა გაევლო. სიჩქარეს მოუმატა და ტრაქტორი გააქანა, თითქოს ამ ბოროტების მოსპობა უნდაო. ყარამანის მოჩვენება გაქრა. „არა, მაგაზე ტრაქტორის დაჯახება არ შეიძლება, მოკვდება და პროკურორის პატივით დამარხავენ. გამოჩნდებიან ადამიანები, ქება-დიდებით რომ მოიხსენებენ და გაზეთშიც ნეკროლოგს მიუძღვნიან ამხანაგების ჯგუფის სახელით და ხელმძღვანელი მუშაკების ხელის მოწერით. გაბოს კი მკვლელს დაუძახებენ და ციხეში ჩაალპობენ. არავინ არ ეტყვის მადლობას იმაზე, რომ საზოგადოებას საზარელი წურბელა მოაშორა. ამგვარი პარაზიტი მხილებული უნდა იქნას, რომ მისმა ფესვებმა სარეველა ისევ არ ამოიყაროს, ამიტომ საჭიროა მისი საფუძვლიანად ამოძირკვა, რათა სხვებიც არ გაავაზაკოს“. გაბოს ახლა დედა გაახსენდა, „განა ყარა-

მანმა არ მოუკლა ის? განა შეიძლება ადამიანის ჭკუამ ისეთი ვერაგობა მოიგონოს, რაც მას დააბრალეს? ამგვარ ნადირს უფლება უნდა ჰქონდეს ადამიანის სახელი ატაროს? უფრო მეტიც, მართლმსაჯულების საჭესთან განა შეიძლება იჯდეს კაცი, რომელმაც თავისი ჩრდილი და სული ეშმაკს მიჰყიდა? კარგი, მოხდა შეცდომა, მაგრამ როდემდის უნდა იპარპაშოს? ნუთუ ამას ვერ ამჩნევენ ისინი, ვისაც ეს ეკითხება? ხომ არ არიან უფრო ზევით და სულ მაღლა ყარამანის მსგავსი ავი სულები გამძვრალი? მსგავსი ადამიანების მიმართ დათმობა არ შეიძლება, ყველამ უნდა აიმაღლოს ხმა, ასე მათი უვნებელყოფა იოლად შეიძლება. მე თანაკლასელები მხარში რომ არ ამომდგომოდნენ, განა მოხერხდებოდა იმ სამი ხულიგნის ალაგმვა? მარტოდ დარჩენილს მე გამთელავდნენ და სკოლასაც აბუჩად აიგდებდნენ. ჰამლეტის პარპაშს რაღა გაუძლებდა; ბოროტება სიკეთეზე იზეიმებდა. ერთიანი ძალით ბოროტების სულისჩამდგმელებმა მაგარი პანღური მიღეს. ჩემი მასწავლებლების დახმარება რომ არა, ახლა მე ხომ ყარამანის მსხვერპლი უნდა ვყოფილიყვი. მისი ნამდვილი სახე ყველამ დაინახა. ახლა ნიღაბჩამოგლეჯილია, ყოველ შემთხვევაში, ხალხის თვალში ასეა. ალბათ რომელიმე დიდი გარეწარი ხელს აფარებს. მათი ბოლო კი სანაგვეზეა", – ფიქრობდა გაბო და მისი ტრაქტორი პლანებს ხმაურით და ხტუნვახტუნვით უვლიდა. ფიქრებში გართულს დრო შეუმჩნევლად უდნებოდა.

ნელი გაახსენდა და გული მუჭაში მომწყვდეულ ბეღურასავით აუფართხალდა.

## ახვრები

**ნელი** არდადეგებზე იყო ჩამოსული. გაბომ სახლში მიკითხება ვერ გაბედა. სამაგიეროდ კულტურის პარკში სიარულს მოუხშირა, ახალგაზრდები იქ იკრიბებოდნენ და იმედი ჰქონდა, ნელის შეხვდებოდა.

ჰამლეტიც თავისი ორი დარდიმანდი ძმაკაცით სულ კულტურის პარკში იჯდა. ერთი ზორბეგა იყო ლავაშას ბიჭი, მის გადმობრუნებულ ქვედა ტუჩს ვინც დაინახავდა, მამის ვინაობაში ეჭვი არ შეეპარებოდა. ზორბეგამ ოთხი წელია, რაც საშუალო სკოლა დაამთავრა, ამბობდნენ, სტავროპოლში სწავლობსო დაუსწრებლად. მთელი დღე თავისი მამის მანქანას დააქროლებდა, დროს ქეიფში კლავდა, დარდიმანდის და მაგარი მსმელის სახელი ჰქონდა; ღიპიც ასაკის მიუხედავად კარგად მოსწრებოდა. მეორე ძმაკაცი ახალი სკოლიდან შეიძინა. შეთე კოლმეურნეობის თავმჯდომარის ტრისტან ჯანგულაშვილის ბიჭი იყო; სწავლა არც იმას ეხატა გულზე. ერთმანეთს ძალიან კარგად გაუგეს. ჰამლეტის მათ სკოლაში გადასვლისთანავე ტრისტანმა დიდი პურმარილი მოაწყო, ყარამანიც მოიპატიჟა და მათი დაძმობილება საზეიმოდ აღნიშნა. ამ ორი დაძმობილებული ახალგაზრდის მშობლებმაც გამონახეს საერთო ენა და კვირა არ გავიდოდა, ტრისტან ჯანგულაშვილს ყარამანი თავის სახლში ან რესტორანში არ ექეიფებინა. შეთე და ჰამლეტი კი ტრაბახსა და ფუქსავატობაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ.

ჰამლეტი იურიდიულ ფაკულტეტზე ვერ მოეწყო, შეთე კი პოლიტექნიკური ინსტიტუტის წყალსადენის და კანალიზაციის ფაკულტეტზე სწავლობდა. ახლა არდადეგებზე სამივე ერთად შეყრილიყო, ქეიფით და აყალმაყალით შებეზრებული ჰყავდათ ამ პატარა ქალაქის მცხოვრებლები.

იმ დღეს გაბომ სამუშაო ადრე დაამთავრა, ბრიგადაში გული აღარ უდგებოდა; ერთი კვირა გასულიყო, რაც ნელი ქალაქიდან ჩამოვიდა და მისი ნახვა ვერ მოახერხა.

სუფთად გამოეწყო, მაღალი, მხარბეჭიანი, დაკუნთული, ბრინჯაოსფრად მზემოკიდებული, ახლად ულვაშაშლილი, თაფლისფერთვალება, თაფლისფერთმიანი; კეთილი და სიკეთესავით ძლიერი საღამოთი დინჯად გაუყვა პარკისკენ მიმავალ გზას. რაღაც ინსტიქტით გრძნობდა, რომ ნელის შეხვდებოდა და მოკრძალებული სიამოვნებით მოელოდა ამ წუთს.

დიდი ვერცხლისფერი ნაძვის ჩრდილში მოწყობილ ხის სკამებზე სათითაოდ ისხდნენ ჰამლეტი და მისი ამფსონები; რაღაცას ხმამაღლა ყვებოდნენ სხვის გასაგონად და გაუხედნავი ულაყებივით ჭიხვინებდნგენ, მუხლებზე ხელებს ირტყამდნენ, სკამებზე ხტოდნენ. პარკში შემოსულები ამ ადგილს შორიდან უვლიდნენ, მათთან შარს ერიდებოდნენ. ზორბეგს ჩხუბის და აყალმაყალის ამტეხის სახელი ჰქონდა გავარდნილი. ახლა ყარამანის ბიჭიც მასთან იყო და წინ რაღა დაუდგებოდათ; იმათ კი ცა ქუდად არ მიაჩნდათ, მთელი პარკი თავზე წამოეცვათ. ქალებთან უწმაწურ ურთიერთობაზე და ღრეობებზე ხმამაღლა ყვებოდნენ, უცენზუროდ ოხუნჯობდნენ, მთელი პარკი დაძაბულობაში ჰყავდათ.

გაბო ხეივანს დინჯად მიუყვებოდა. ახვრების ხორხოცი შორიდანვე მოესმა. ნაცნობებს ესალმებოდა, არავისთან საუბარში არ უნდოდა ჩარევა, ტკბილი ოცნებების დაფრთხობას ერიდებოდა; ვერცხლისფერი ნაძვისკენ არ გაუხედავს, გვერდით ისე ჩაუარა, სამაგიეროდ ხორხოცი შეწყდა.

– შენი მტერ-მოყვარე ვერ იცანი? – ზორბეგმა ჰამლეტს გადაულაპარაკა.

– ისე დადის, გეგონება მეფისნაცვალი იყოს და არა საჯდომ გადაღლეტილი ტრაქტორისტი, – გესლიანად უპასუხა ჰამლეტმა.

– გაბო ეგ არი? – იკითხა შეთემ.

– ეგ არის, ხელები მექავება მაგის კბილების ამოსამტვრევად, – კბილების კრაჭუნით თქვა ზორბეგმა.

– თავი გაანებე, მაგის ოხერი დედა!.. – შეთემ ხელი აიქნია, – ეგდოს იმ ტრაქტორზე, სანამ სული ამოსძვრება.

– ეგ ისეთი გველის წიწილია, იოლად არ ჩაძაღლდება, – ზორბეგი არ ისვენებდა.

– რას აპირებ, გინდა ჩააძაღლო?

– თუ ხელში მამივარდა, შვიდივე ტყვიას გადავაყლაპებ! – ზორბეგმა ჯიბეზე ხელი დაირტყა.

– მაგ ჯიბეში რა გაქვს?

– რა და აი, ეს – შავად მოლაპლაპე ნაგანი ხელში შეათამაშა.

– დამალე, არავინ დაგინახოს.

– რა ფეხებს მამჭამენ, ყარამანის ბიჭი კარგად მყავდეს, თორე! – ზორბეგმა ჰამლეტს მხარზე ხელი დაარტყა.

– მეც მაქვს, რატო ჯიბეში არ ჩავიდე, – ინანა შეთემ.

– შენც წამოგეღო, სახლში რას აჯანგებ. თუ მოვინდომეთ, მთელ პარკს ერთ კუთხეში შევაქუჩებთ და ცალ ფეხზე ვაცეკვებთ.

– იმ ტრაქტორისტს ეს დაანახა, იქნებ იგრე გაიპაროს, ფეხსაცმელები აქ დარჩეს, – შეთემ სიცილით თქვა.

– მოუწევს კიდეც. ჯერ ცოტა ხანს ვაცალოთ, მინდვრის ჯღა გაიყრევინოს, – ზორბეგი დაიმუქრა.

გაბო კულტურის პარკის შენობასთან შეკრებილ ჭადრაკის მოთამაშეებში შეერია. გული არც აქ დაუდგა, უკან გამობრუნდა: გადაწყვიტა, თუ ნელი არ გამოჩნდებოდა, მასთან სახლში მისულიყო და რაიმე წიგნი ეთხოვა. თავჩაღუ-

ნული მიდიოდა, უცებ ნაძვის ქვეშ მსხდარნი ხმაურით წამოიშალნენ.

– ნელის სიცოცხლე! – წინ პირველი ხელგაშლილი ჰამლეტი მიდიოდა; ზორბეგი და შეთე უკან მისდევდნენ.

ჰამლეტმა ნელის ორი ხელი ერთდროულად ჩამოართვა და საკოცნელად მიიწია, მან კი მარცხენა ხელი შეაგება და ახლოს არ მიიკარა. ნელის და მის ამხანაგ გოგოს ხელი დანარჩენებმაც ჩამოართვეს.

– როგორ ხარ, ნელი? რომ იცოდე, უნივერსიტეტში ჩემი მანქანით რამდენჯერ მოგაკითხე, მინდოდა ერთად გვესეირნა, მაგრამ ვერ გნახე, რა უცნაურია არა? – ჰამლეტმა დიდი ემოციები ჩააქსოვა ნათქვამს.

– ნამდვილად უცნაურია. მე ხომ გითხარი, რომ არც მანქანით და არც ისე სასეირნოდ არ მცალია! – ნელიმ შუბლი შეიკრა.

– რა მოხდა, მანქანით სეირნობა რა დასაძრახია?! – ზორბეგმა გაიკვირვა.

– მე სეირნობის არც სურვილი და არც დრო არა მაქვს, ვისაც მოსწონს, ისეირნოს, ვინ უშლის! – ნელიმ მკაცრად უპასუხა.

– ახლა გეგმაში რა გაქვთ? – შეეკითხა ჰამლეტმა.

– უბრალოდ გამოველ, ამხანაგებს შევხვდებოდი, ვიფიქრე.

– ჰოდა, ხომ შევხვდით. გინდა მანქანით გავისეირნოთ? – ჰამლეტი თავისას არ იშლიდა.

ნელიმ გაკვირვების ნიშნად მხრები აიჩეჩა.

– სჯობია გავისეირნოთ და მერე სადმე კაი პური ვჭამოთ, – ზორბეგმა აზრი მოუწონა.

– გზა მშვიდობისა, – უთხრათ ნელიმ და გზა განაგრძო.

– ჩვენ შენთან ერთად გვინდოდა, თორემ ეს სიკეთე ყელამდე გვაქვს, – ჰამლეტი აეტორღიალა.

ახლა ხუთივე ერთად მიდიოდნენ.

გაბო მათთან შეხვედრას მოერიდა, გაზონებში გადავიდა და კვიპაროსის ბუჩქს მოეფარა.

ნელიმ ადევნებული კავალრებით ახლოს ჩაუარა. გაბოს ლამის გული მკერდიდან ამოუვარდა. რა ხდება? ერთი კვირაა ამ შეხვედრას ოცნებით დასტრიალებს, როცა სულ ახლოს არის, გვერდზე გადაძვრა და დაემალა. ჰამლეტს მოერიდა? მოერიდა თუ შეეშინდა? ვაი სირცხვილო! არა, უბრალოდ არ უნდოდა ნელის ამგვარი ამალის თანხლებით შეხვედროდა, თუმცა კარგად მიხვდა, რომ ნელის მათთან შეხვედრა არ ესიამოვნა. აუცილებლად უნდა შეხვდეს, გაიგოს, ამდენი ხნის განშორების შემდგ ხომ არ დაივიწყა; თანაც გაბო ტრაქტორისტია, ის კი უნივერსიტეტის სტუდენტი და ყველაზე გავლენიანი მამიკოს შვილები ბუზებივით ეხვევიან.

გაბო გაზონებიდან გამოვიდა და გზა განაგრძო. ახლა უკვე დამშვიდებულია, ნელი პარკშია და აუცილებლად შეხვდება.

მთავარ შემოსასვლელამდე მივიდა და მობრუნდა.

ხუთეულს რამდენიმე გოგოც მიმატებოდა, ნაძვის ქვეშ იდგნენ და საუბრობდნენ. ნელის მოუსვენრობა ეტყობოდა, მოსეირნეებს ათვალიერებდა, იქნებ გაბოს ეძებდა? აგერ გაბოც.

– გაბო! – გახარებული ნელი მისკენ გაიქცა. – სადა ხარ, გაბო, ვერაფრით ვერ შევძელ შენი ნახვა! – ხელი არ ჩამოურთმევია, კისერზე მოეხვია და ორივე ლოყაზე აკოცა.

გაბოს სიხარულის და მოჭარბებული ემოციებისაგან კინაღამ მუხლი მოეკ-

ვეთა. ამგვარ შეხვედრას არ მოელოდა. თავი ველარ შეიკავა, ნელის ხელზე ხელი მოუჭირა და ჩურჩულით უთხრა: – დედამიწის ზურგზე ახლა ჩემზე ბედნიერი კაცი არ მეგულება.

– მართლა, გაბო?! რა კარგია! – ნელის გაუხარდა, გაბოს მკლავში ხელი გამოსდო, – კარგად იყავი, მე გაბო გამაცილებს, – ამხანაგ გოგოს გამოემშვიდობა. სამეული რაიმეს თქმის ღირსად არ ჩათვალა.

– მაგ მაზუთიან ტრაქტორისტში რა ჩაუვარდა! – ზორბეგის გესლიანი ნათქვამი წყვილის სმენას მისწვდა.

გაბო უცებ შეჩერდა, პასუხის ჩასაბარებლად გაიწია; ნელიმ დააკავა.

– არ გინდა, გაბო, ეგენი შენი თავის გაყადრების ღირსნი არ არიან, – დაამშვიდა და სიყვარულით ანთებული თვალები შეანათა. – გაბო, როგორ ცხოვრობ, მომიყევი რა, ხომ იცი, მე შენი ყოველი ნაბიჯი მაინტერესებს. თქვენსა სამჯერ ვიყავი, მარტო თარსო მხვდება ხოლმე; იცი, რომ არ მერჩის? საჭმელი მიმაქვს, კიბეზე ჩამოვჯდები-ხოლმე, ვაჭმევ, იცი, რამდენს ვესაუბრები. დიდი ყურადღებით მისმენს; შენთვის არაფერი უთქვამს? – ნელიმ ისე შეხედა, სხეულის ყველა უჯრედში სითბო ჩაეღვარა.

– ერთი უყურე, არაფერი არ უთქვია, რანაირი გულჩათხრობილი ძაღლია! არც შენ მოგიყვა, რამდენს ვესაუბრები ჩემს ძვირფას ოცნებაზე?

– არა, გაბო, არაფერს არ მეუბნება, მხოლოდ ყურადღებით მისმენს და მგონის თანამიგრძნობს.

– ჩემთანაც ეგრეა.

– გაბო, მაშინ შენ მითხარ, რაც თარსოს უნდა მოეთხრო. იცი, რა ბედნიერი ვიქნები? როგორ მაინტერესებს, რა ოცნებები გაქვს, ვინ გიყვარს, რას აპირებ, მოკლედ, შენი ყველაფერი მაინტერესებს; მე და შენ ხომ კარგი მეგობრები ვართ, გაბო? – ნელიმ ისევ შეხედა, ახლა მის გამოხედვაში რაღაცის მოსმენის მოლოდინი იგრძნობოდა.

– მე ერთი ადამიანი მიყვარს, რომელიც ჩემს სიცოცხლეს მირჩევნია, თარსოს ენა რომ ჰქონდეს, გეტყოდა, რომ გაბო ყოველდღე ამაზე ელაპარაკება. უმისოდ ერთი დღეც არ მინდა მზეს ვუყურო.

– ის ბედნიერი ვინ არის, გაბო? – ნელის თვალებში ცრემლი გამოჩნდა.

– ნელი, რა თქვი, ის ბედნიერია?

– ჰო, ნამდვილად ბედნიერია, ღმერთო ჩემო! მე პირადად მისი მშურს! ეს რა ვთქვი! – ნელიმ სახეზე ხელები აიფარა.

– ახლა მე ვარ უბედნიერესი ადამიანი!

– რატომ, გაბო?

– იმიტომ, რომ თურმე შეიძლება ადამიანს თავისი თავის შურდეს.

ნელიმ გაბოს გაფართოებული თვალებით შეხედა, ენა ვერ დაძრა; ამ გამოხედვაში რაღაც აუწერელი სიხარული და სითბო იყო ჩაღვრილი.

– ნელი, ნუთუ ძნელია იმის გამოცნობა, ვისით ვსულდგმულობ?

ნელის არაფერი უთქვია. ცოტა ხანს ასე იარეს; ორივე ბედნიერებით მთვრალი იყო.

– გაბო, სადმე სკამზე დავსხდეთ, – სთხოვა ნელიმ.

განმარტოებით მდგარ ჭადრის ხის ქვეშ დიდხანს ისხდნენ და უაღრესად ბედნიერები საუბრობდნენ. მეორე დღეს რომ გეკითხათ, ამდენი სალაპარაკო რა ჰქონდათ, ვერ გიპასუხებდნენ, მაგრამ მთელი საუკუნე არ ეყოფოდათ თავიანთი გრძნობების გასაზიარებლად.

წასასვლელად რომ ადგნენ, პარკში მოსეირნენი იშვიათად ჩანდნენ.

ვერცხლისფერი ნაძვის ძირში ისევ სამნი ისხდნენ, მაგრამ ახლა აღარ ხმაურობდნენ; რაღაცაზე გაბრაზებულები კბილებს აკრაჭუნებდნენ და იმუქრებოდნენ.

– ე, შენ, ერთი წუთით აქეთ მოდექ, შენი სიფათი მინდა დავჩიჩმო! – ზორბეგი დარდიმანდულად წამოდგა და გაბო თავისთან მიიხმო.

გაბო შეჩერდა, სამეული დაათვალიერა. ნელიმ ხელი მაგრად მოსჭიდა და წასასვლელად გაიწია; გაბო ისე გაჰყვა, რომ ზორბეგისთვის პასუხი არ გაუცია.

– კაი ვინმე ჩანს, ხომ იცი! – ზორბეგმა გაიკვირვა, – ეტყობა მაგასთან ლაპარაკს აზრი არა აქვს; მუხლებზე ხოხვით უნდა ვატარო! – გაბრაზებულმა მარჯვენა ჯიბეზე მაგრად დაირტყა ხელი.

გაბო და ნელი პარკიდან გამოვიდნენ; სამნი ფეხდაფეხ მიჰყვნენ.

– ჰამლეტ, შენ მანქანა წამოიღე, ამ ნაბიჭვარს წირვა უნდა გამოვუყვანო, ეს კახპაც ამაღამ შენი უნდა გახდეს; მერე რაც გინდა ის უყავ, ბოზად გაუშვი! – ზორბეგი ორივეს გასაგონად დაიმუქრა.

გაბო ბრაზისაგან გაწითლდა, ზორბეგს მოუბრუნდა, მაგრამ ნელიმ არ გაუშვა.

ზორბეგმა მარჯვენა ხელი ჯიბეში ჩაიყო და დამცინავად ჩაიქირქილა: – მიდი, იარე, ცოტა მოფარებულში გავიდეთ, მაგ კახპის წიოკობას გაყურებინებ, შენი!.. ხომ არა გგონია, ეგრე დაგანებო თავი.

– თავი შენ რომ დამანებო, ქვესკნელიდან ამოგიყვან, დედას გიტირებ! – გაბომ ზორბეგს შეუტია.

ნელიმ ძლიერად მოქაჩა და ჩქარი ნაბიჯით წავიდნენ.

– თქვენი ფეხით მიდით საწირავში, თქვენი დედა! – ზორბეგმა მიაძახა და შეთესთან ერთად უკან გაჰყვათ.

– გაბო, ნუ გეშინია, მაგ გარეწრებს თვალებს ამოვჩიჩქნი! – გაამხნევა ნელიმ.

გაბოს გაეცინა და მხარზე მიიკრა.

– ნელი, მე მაგათი და მაგათი მსგავსების რომ მეშინოდეს, შენთან საუბრის ღირსი ერთი წუთითაც არ ვიქნებოდი.

– გაბო, ეს ამბავი ჩვენს ურთიერთობას რაღაც რომანტიულ ელფერს აძლევს. ლავაშა რა არის, მისი გასიებული შვილი რა უნდა იყოს; მარტო მე ისე გაგიტყეპამ, თავისმა ლოქაფა მამამ ვეღარ იცნოს.

ასე საუბრით და მხიარული განწყობილებით ვიწრო და ბნელ ქუჩაზე გავიდნენ.

– აბა, ჯიგარო, ცოტა ხანს მანდ მომიცადე! – უკნიდან აჩქარებული ნაბიჯით მომავალმა ზორბეგმა დაუძახა.

გაბოს და ნელის ყურადღება არ მიუქცევიათ, გზა ჩვეულებრივ განაგრძეს.

– გაჩერდი, თორემ მიგცხრილავ, შე ნაბიჭვარო! – ზორბეგმა ჯიბიდან ნაგანი ამოიღო და ხელში შეათამაშა.

მისთვის ყურადღება არც ახლა მიუქცევიათ.

– მაგას ხუმრობა ჰგონია, – შეთეს გადაულაპარაკა და ჰაერში ისროლა.

ნელიმ შეჰკივლა და გაბოს მოეხვია.

– დაჭრილი ხომ არა ხარ? – აცახცახებული ხმით შეეკითხა.– ეგენი ის ვაჟკაცები არ არიან, პირდაპირ სროლა რომ შეეძლოთ, ზურგიდან კიდევ უცდებათ! – გაბომ უპასუხა და ნელი მოიცილა.

ზორბეგი გინებით და ბობოქრობით უახლოვდებოდათ, ხელი ასწია და გაბოს ნაგანის თავში ჩარტყმა დაუპირა. გაბომ მუცელში ძლიერად ამოჰკრა წიხლი. ტკივილისაგან მოიღუნა და სწორედ მაშინ რკინასავით მუშტი ჩანაში დაეჯახა, წელში გაიშალა და ზურგზე გაიშხლართა; ნაგანი ხელიდან გაუვარდა. ნელიმ მაშინვე აიღო, გაბომ გამოართვა და შორს მოისროლა. ზორბეგი დაბლა ეგდო და ადგომას ცდილობდა. დაბნეული შეთე ადგილზე გაქვავდა. გაბომ მაგრად შემოჰკრა, დააბზრიალა, ირაცრაცა, მაგრამ არ წაქცეულა. გაბო კიდევ გაუქანდა, შეთემ ახლა კი იკადრა გაქცევა, ისე გარბოდა, ფეხის ქუსლებს კეფაზე ირტყამდა. გაბომ ზორბეგს საყელოში სტაცა ხელი და ფეხზე წამოაყენა.

– წეღან რას ამბობდი, გაიმეორე! – უყვირა და სანამ რაიმეს მოიფიქრებდა, სახეში მაგარი შემოჰკრა. ზორბეგი დაბარბაცდა, მაგრამ გაბოს საყელოთი ისე ეჭირა, არ წაქცეულა.

– ჩაგივარდა ენა, შე ათჯერ ნაბიჭვარო! უიარაღოდ მარჯვენა არ გიჭრის? თუ ვაჟკაცი ხარ, ხელი გაატოკე! – გაბომ მარცხენა ხელი კიდევ შემოჰკრა.

ზორბეგმა საყელოს განთავისუფლება სცადა და გაბოს ხელი ჰკრა. თითქოს ამას ელოდაო, ზორბეგის სახეზე მუშტების ქარბუქი დატრიალდა; ჰამლეტის მანქანამ რომ მიანათათ, ლავაშას ძე დაბლა იყო გაშხლართული.

გაბო ახლა მანქანისკენ გაქანდა. ჰამლეტმა, შეთე რომ ეჯდა გვერდით, უკანა სიჩქარე ჩართო და თავისი ბედგამწყრალი მეგობარი ბრძოლის ველზე მიატოვა.

გაბომ ზორბეგი ფეხზე წამოაყენა და ჭიტლაყი ამოჰკრა.

– გზაზე თუ შეგხვდი, მეორე მხარეზე გადადი, თორემ ვერც ყარამანა, ვერც ლავაშა და ვერც ეგ შენი ჩიტების საფრთხობელა, ველარ გიშველის! – დაუბარა, თან ხელი ჰკრა, წადიო. მერე მობრუნდა და ნელისთან ერთად ისე წავიდა, თითქოს არაფერი მომხდარაო.

მცხოვრებლები ახლა გამოჩნდნენ თავიანთ ეზოებში და ერთმანეთს ეკითხებოდნენ, რა მოხდაო. გაბო და ნელი ამ დროს ქუჩის ბოლოში იყვნენ.

ლასლასით მიმავალმა ზორბეგმა მთავარი ქუჩისკენ გადაუხვია, სადაც ფერდაკარგული ძმაბიჭები ელოდებოდნენ.

## ყვავი აფრენაზე იყო

**დღე** დაილია. შაბიამნის ხსნარიც გაუთავდათ. გაბომ ტრაქტორი ბურღის წყალთან მიაყენა და ვედროთი გარეცხვა დაიწყო. ბრიგადირი ზაქარა ვერხვის ქვეშ გაჩერებულ ტრაქტორთან ფუსფუსებდა. გაბომ ტრაქტორი ჩრდილში სხვა ტრაქტორების გვერდით ჩააყენა და ბრიგადირთან მივიდა.

– შველა ხომ არ გინდა? – ჰკითხა.

– მინდა, მაშ არ მინდა? ამის ტრაქტორისტი შემპირდა, თუ გამართული იქნება, სამუშაოდ მოვალო. არადა, კაცს ჩვენთან მუშაობა უნდა, მაგრამ ხელს ვერ უწყობთ და... მოდი მომეხმარე, ტუმბო მივაყენოთ.

ტრაქტორი გამართეს, პაჭიკოც მოვიდა და თავიანთი მწირი საგზლით ვახშმობას შეუდგნენ.

– ზაქარა ძიავ, ნიკო მამაიაშვილს ასე რომ აქებენ, როგორ დაიმსახურა მან ხალხის სიყვარული, ან ასეთი კარგი ადამიანი რატომ გაანთავისუფლეს? თუ განთავისუფლებაზეა საქმე, ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარემ კოლექტივი რომ ამოაგდო და ხალხს შრომა შეაჯავრა, ამას ვერა ხედავენ? თუ ზევიდან-

ვე ძარცვა-რბევისკენ აქვთ დავალება? – გაბომ ზაქარას ისე შეხედა, თითქოს ყველა უკუღმართობის წამალს მისგან თხოულობსო.

– სწორედ რომ ყველაფერი ზევიდანაა არეული. ამაში ამ ბოლო წლებმა საბოლოოდ დამარწმუნეს. რაც შეეხება ნიკო მამაიაშვილს, ბიჭებო, ამგვარი ადამიანები ბევრი რომ გვყავდეს, ნამდვილად საამური იქნებოდა მუშაობა და ჩვენი დღევანდელი გაჯანჯლებული ცხოვრება. ეს საქმისთვის და ხალხის ბედნიერებისთვის თავდადებული კაცი რატომ მოხსნეს, ერთ ამბავს მოგიყვებით და თქვენ თვითონ დარწუნდებით, წყალი საიდან იმღვრევა, – ზაქარა ჩაფიქრდა, პურის ნატეხი პირში ჩაიდო და ზედ ნივრის კბილი დააყოლა, დოქიდან წყალი მოსვა და დაიწყო: – გასულ წელს ედუარდ შევარდნაძემ დიდი კრება ჩაატარა და ზოგიერთი კოლმეურნეობის თავმჯდომარე დაასწრეს. ჩვენმა ჯანგულაშვილმა მეც წამიყვანა, საკითხი მევენახეობას ეხება და შენც დაესწარი, დიდი პატივიაო. თურმე დავალება ჰქონდათ ზოგიერთი ჩემნაირის დასწრება. უზარმაზარი კლუბი ხალხით გაივსო. შევარდნაძე დიდი რაოდენობით ღვინის დამზადებას მოითხოვდა, თანაც რაღაც ზღაპრულ ციფრს ასახელებდა. ახლა სიტყვაში გამომსვლელებმა ტრაბახით გააბრუეს მსმენელები. ერთი რაიკომის მდივანი ამერიკული ველური ჯიში რომ არის იზაბელა, იმის გაშენებას ითხოვდა, ბევრს ისხამს და შეწამლა არ უნდაო. მახსოვს, მაშინ ნიკო მამაიაშვილმა მიაძახა, ტყემალი გააშენე, ის უფრო იოლი მოსავლელიაო. შევარდნაძეს აშკარად ეწყინა და დაეჯღანა სახე. როგორი საქმეა, ამ ფუქსავატთა გაცხელებულ ყბედობას ნიკო მამაიაშვილმა ცივი წყალი გადაასხა და ფუჭი ტრაბახის დუღილი ჩაანელა. შევარდნაძეს ბრაზისგან ლამის ფანქარი შემოეჭამა. ახლა ნიკო მამაიაშვილი გამოვიდა სიტყვაში და ამ ქარიხვეტიების აურზაურს ჭკვიანური და საქმიანი მსვლელობა მისცა. ჯერ სიტყვაში გამომსვლელები გააშავა, რომლებიც მოითხოვდნენ გლეხებისგან ღვინო შევისყიდოთ, იმდენი აქვთ, გეგმას ორმაგად შევასრულებთო. გლეხებს იმდენი ღვინო აქვთ, რაც მომავალ მოსავლამდე დიდი მომჭირნეობით ეყოფათო, მათგან ღვინის შესყიდვის მოთხოვნა კი სხვა არაფერია, თუ არა ფალსიფიკაციისკენ მოწოდებაო. ახლა იზაბელას გაშენების მსურველ რაიკომის მდივანს  ურჩია, კარგი იქნება, საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობაზე პატარა დარიგება მიიღო, თორე  ეგრე უცოდინარი მოწოდებებით დღევანდელივით თავს შეირცხვენო. ახლა შევარდნაძეს ურჩია, ამგვარი უთავბოლოდ ვენახების გაშენებით ვერც ვენახებს მოვუვლით და სოფლის მეურნეობის სხვა დარგებსაც დავაზარალებთ. ეს ყველაფერი კი ხალხის ცხოვრების დონის საზიანოდ მოხდებაო. ამდენი ჭკვიანი ხალხი და მეცნიერები გვყავს, შეეკითხეთ, დარიგება არ გაწყენთ, ეგრე წინდაუხედავი აურზაურით იმასაც მოვსპობთ, რაცა გვაქვსო.

კლუბი ერქვა თუ დარბაზი, ბუზის გაფრენის ხმას გაიგონებდით, შევარდნაძე კი ბრაზისგან გაშავებული ფანქარს დაუღევრად აწვალებდა. მაშინ მივხვდი, რომ რაღაც გრანდიოზული მიწერისათვის შეკრებილ თავყრილობას სწორედ ნიკო მამაიაშვილმა ამოსდო ალვირი, თუმცა დროებით, რადგან შევარდნაძის ქვეყნის და ხალხის ღალატისთვის აქოჩრილ არმიას ერთეული ნიკო მამაიაშვილისთანა ერისკაცები ველარ შეაკავებდნენ.

თათბირი დამთავრდა. ჩვენი თავქარიანი თავმჯდომარე რამდენიმე მის მსგავსთან ერთად საქეიფოდ წავიდა. ასე უპატრონოდ დატოვებული ნიკო ძიამ წამომიყვანა თავისი მანქანით. მთელი გზა მესაუბრებოდა, რამდენი ზრუნვა თავისი ხალხის და ქვეყნისათვის, რამხელა სიყვარული მინდობილი საქმისად-

მი და რამხელა გულისტკივილი იგრძნობოდა მის საუბარში. ნიკო მამაიაშვილთან იმ ერთი მგზავრობით იმხელა ენერგია და ძალა ვიგრძენი, მთას მოვგლეჯავდი. დღესაც ბედნიერად ვთვლი თავს, რომ მასთან ასე პირისპირ საუბრით დამაჯილოვა ბედმა. წარმოგიდგენიათ, ვისაც ყოველდღე მასთან და მისი ხელმძღვანელობით უხდება მუშაობა, რამხელაზე კმაყოფილები უნდა იყვნენ თავიანთი ხვედრისა.

მას შემდეგ რამდენი გაგვიჭირდებოდა, ნიკო ძია დახმარების ხელს მიწვდიდა, თანაც მარიგებდა, ეგრე მუშაობა არ იქნება, ხალხი ცოდოა, კოლმეურნეობაც ამდენ უკუღმართობას ვერ გაუძლებსო. მე რა შემეძლო, პატარა კაცი ვიყავ, ჩემს ბრიგადას კი ნიკო ძიას დახმარებით ვასულდგმულებდი.

მალე ნიკო მამაიაშვილი რაიკომის მდივანმა გამოიძახა და უთხრა, შევარდნაძის დავალებაა სამუშაოდან უნდა გაგანთავისუფლოთო. აშკარა იყო, უკუღმართი ცხოვრების არამზადებს ნიკო ძიას პატიოსნება და მართალი სიტყვა ემწარათ. განთავისუფლებიდან მთელი ექვსი თვე ცდილობდა შევარდნაძეს შეხვედროდა, მაგრამ  ამაოდ, ყველგან კეთროვანივით იცილებდნენ თავიდან. ეს ამხელა დამსახურების მქონე ღვაწლმოსილი ადამიანი, სოციალისტური შრომის გმირი, თუმცა მას ვარსკვლავი სულაც არ სჭირდებოდა, ის შრომის გმირიც იყო და ქვეყნის ერთგულების, კაცური სინდისის, ნამუსის და პატიოსნების ეტალონიც. აი, ასეთი ადამიანი ჩამოაშორა ხალხზე ზრუნვას ედუარდ უკუღმართმა. ბოლოს რაიონში შემთხვევით შეხვდა ედუარდს ნიკო ძია. როგორ არისო საქმე კოლმეურნეობაში, ედუარდმა ჰკითხა. რას მეკითხები, შენი დავალებით არ გამანთავისუფლესო, ნიკო ძიამ უპასუხა. ედუარდმა კი ისე შეიცხადა, ეს რა ჩაუდენიათ, მე ისევ კოლმერურნეობის თავმჯდომარე მგონიხარო, რომ გულუბრყვილო კაცს მართლა დაეჯერებოდა. ნიკო ძიას კი მწარედ ეღიმებოდა, ამგვარ თვალთმაქცს რა ქვეყანა გაუძლებს, ვაი შენ, ჩემო მრავალტანჯულო საქართველოვ, მოღალატეთა საჯიჯგნი რომ გამხდარხარო. აი, ასე ებრძვის ედუარდ უკუღმართი ჩვენი ქვეყნის ღირსეულ, დამსახურებულ, ღვაწლმოსილ, პრინციპულ და თავდადებულ მამულიშვილებს, – ზაქარამ სათქმელი თქვა და ნაღვლიანი თვალები ბიჭებს მიაპყრო, ასე ყურადღებით რომ უსმენდნენ. ცოტა ხანს ასე მდუმარედ ისხდნენ. მერე გაბომ ამოიღო ხმა:

– ზაქარა ძიავ, მეჩვენება, რომ რაც ჩვენს რაიონში უსამართლობა და ძალადობა ხდება, ზევიდან დაწყებული ღალატის გამოძახილია.

– ნამდვილად. ჩვენი უბედურება ზევიდან მოდის. სავალალო კი ის არის, რომ დატაცება, ძარცვა-რბევა, მიწერები, ათასგვარი თვალთმაქცობა, შევარდნაძის მოსვლის შემდეგ რომ დაინერგა, უფრო და უფრო დამანგრეველ ძალას იძენს. თუ კი ვინმეს შესწევს უნარი და ვაჟკაცობა ამგვარ არამზადებს წინ აღუდგეს, მას ან სპობენ, ან გზიდან იშორებენ ნიკო ძიას მსგავსად. ასეა, ჩემო გაბო, ჩვენი დღევანდელი ვითარება. ხვალინდელი კი უფრო უარესი იქნება ამათ ხელში, – ზაქარამ ხელი უიმედოდ ჩაიქნია. ბიჭები ჩუმად ისხდნენ და ხმის ამოღების სურვილს არ ამჟღავნებდნენ. ზაქარამ ისეთი რამ მოუყვათ, რომ იმედის ხსენებაც არ დაუტოვათ.

– ახლა რას აპირებ, გაბო, ხვალ რომელ საათზე ჩამოხვალ? ბინდდება, დროზე წადი, – სიჩუმე ისევ ზაქარამ დაარღვია.

– დრო რაღაზე დავკარგო, აქ დავრჩები და ხვალ დილითვე დავიწყებ მუშაობას.

– შენ კი გინდა დაწყება, მაგრამ არა მგონია, მაგათ შაბიამნის ხსნარის

მომზადება მოასწრონ.

– მაშინ ჩვენ გავამზადოთ, ცოდოა ვენახი, ჭრაქით იწვება.

– ეხ! – ბრიგადირმა ხელი ჩაიქნია, – კირი გაუთავდათ, არა მგონია ერთ კვირამდე მოიტანონ.

– მე და პაჭიკო ამაღამ ლაფეტით მოვიტანთ, სად არის?

– ჯერ არ იციან, ვის სთხოვონ.

– იქნებ ვინმემ გვასესხოს.

ეხ, ჩემო გაბო, ვინც ამ საქმეს თავი უნდა მოაბას, თვითონ უთავოა, ჩვენ ძალიანაც რომ გვინდოდეს, რას გავაწყობთ, – ბრიგადირი გულგატეხილი იყო, – დღეს კიდევ ისეთი რამე გავიგე, ყურები არა მქონოდა, მერჩივნა.

– რა გაიგე?

– თურმე ჩვენს კოლექტივში წელიწადზე მეტი ხანია იურისტ-კონსულტად პროკურორ ყარამანის ბიჭი მუშაობს. მუშაობს კი არა, გაფორმებულია და ხელფასსაც დროულად და სხვაზე მეტს იღებს.

– შენ საიდან გაიგე?

– დღეს მოლარესთან მივედი, შენთვის ხელფასი ვთხოვე, შემპირდა, მოგცემო. თავმჯდომარემ სწორედ მაშინ გამოიძახა, მალე იმის კაბინეტიდან ჰამლეტა და მოლარე ერთად გამოვიდნენ. სამი თვის ხელფასი ჩაუთვალა. ვკითხე, რაზე მუშაობ-მეთქი. იურისტ-კონსულტი ვარო. არც წავიდე და არც მოვიტანე, პირდაპირ ვუთხარი, იურისტი როგორ გახდი, სკოლა გუშინ დაამთავრე, კონსულტი კიდევ თუ ხარ, ათასში ერთხელ კოლმეურნეობაში ხომ უნდა გამაიარო-მეთქი. ეგ შენ არ გეკითხებაო, თავხედურად მიპასუხა. თუ მინდორში მოგატანე, მაგ თავხედობას და კონსულტ-იურისტობას ერთად ამოგაშხამებ-მეთქი. მინდორი შენთვის დამილოცია, მე ის მეყოფა, რაც იქ მწიფდება და შენისთანების ხელით ჩემთან მოდისო. ფული ჩაიჯიბა, თავის მამის ნაყიდ მანქანაში ჩაჯდა და გააქროლა. მოლარემ ბოდიში მამიხადა, ფული ცოტა მქონდა, შენთვის მოსაცემად მინდოდა, მაგრამ თავმჯდომარემ მაგ ფუქსავატ ბიჭზე მიმაცემინაო. თავმჯდომარესთან მივედი, ახლა იმას ვთხოვე, უარი მითხრა, ჯერჯერობით კაპიკი არა გვაქვსო. ყარამანას ბიჭს რომ მიეცი-მეთქი. ყარამანას ბიჭს იმ ცინგლიან ტრაქტორისტს ნუ ადრი, ხვალ-ზეგ ეგაც პროკურორი იქნებაო. მაგ უსაქმურს გაბოს როგორ შევადარებდი-მეთქი. იმან მიყვირა, ზედმეტ ლაპარაკს შეეშვიო. მე ველარ მოვითმინე და შევუტიე, რა ხელფასი აიღო, ხვალვე ვიჩივლებ სადაც ადგილი არის, უნდა გავარკვიო, რის კონსულტი თუ იურისტი არის-მეთქი. შენ სხვა სიკეთესთან ინტრიგანიც ყოფილხარო. შენ კიდევ უსაქმურობასთან ერთად თვალთმაქცი და ხალხის ქონების დამტაცებელი ხარ, ნახე თუ არ ჩაგაშხამო მუქთახორებზე გაცემული საკონსულტო ფული-მეთქი. ვუთხარი და კარი გამოვუჯახუნე; შევპირდი, თორემ მე რის გამკეთებელი ვარ. იგრე კი რამდენი შავხვდები, შეპირებას არ მოვაკლებ.

– მოგხსნის, – უთხრა გაბომ.

– გული არ მამიკლას, ყვავი აფრენაზე იყო და ხელის აქნევას ელოდებოდაო. სინდისი არ მიშვებს, ამ უყურადღებოდ დაგდებულ ბრიგადას მეც როგორ მივანებო თავი; თორე განა ღირს აქ მუშაობა!

– შენ შეიძლება მართალი იყო, მე კი დღეიდან, ამ წუთიდან ბრიგადაში მომსვლელი აღარა ვარ. სადაც ამგვარი უსინდისობა ხდება, მუშაობას აზრი არა აქვს. ჰოდა, ზაქარა ძიავ, უნდა მაპატიო, მე აქ აღარ მოვალ! – გაბო ღელავდა.

– ადრე შეიძლება კიდევ მეთხოვნა დარჩენა, ახლა ველარაფერს ვამბობ,

შეიძლება მეც მაგ გზას დავადგე; ღმერთმა სიკეთით გატაროს! – ზაქარა ადგა, შარვალი ჩამოიბერტყა და ბურღის წყლისაკენ წავიდა.

გაბომ პატარა ჩანთა აიღო, – კარგად იყავი, ზაქარა ძიავ! – დაუძახა, ხელის დაქნევით გამოემშვიდობა და ახლად ჩამოწოლილ ბინდს შეერია.

მალე პაჭიკო ტრაქტორით წამოეწია.

– ზაქარა ძიამ გამომაგდო, ი, ბიჭს დაეწიე და სახლამდე მიიყვანე, ამ ბნელაში გაუჭირდებაო, – უთხრა და ავზზე თავისი ტყაპუჭი გაუფინა.

## ყბაყურა ხომ არ გაგირთულდა

**ᲒᲐᲑᲝᲡ** შუშაბანდში მზის სხივი მიადგა და ძილის გაგრძელების საშუალება არ მისცა. ადგა, გარეთ ტრუსის ამარა გავიდა და კიბეზე ჩამოჯდა. თარსომ მასთან მიირბინა. გაბომ ხელი გადაუსვა და თავზე თავი მიადო.

– თარსო, ნელიმ რა გითხრა, რატო არ მეუბნები? – ღიმილით ჰკითხა და ძაღლი მკერდში ჩაიკრა. ამით ნასიამოვნებმა თარსომ კუდის ქნევას უმატა და ერთგულების თუ სიყვარულის ნიშნად ლოყაზე ენა აუსვა.

– თარსო, ნელი ხომ კარგი გოგოა? – ჰკითხა და ჭკვიან თვალებში ჩახედა.

ძაღლმა შეყეფა.

– ყოჩაღ, ვიცოდი, რომ შენც ამ აზრისა იყავი, – ძაღლს ისევ მოეხვია, მან კი ლოყაზე ენა აუსვა.

ამ დროს ღობეზე მეზობლის მომთაბარე ყვინჩილა შემოფრინდა. თარსომ იქით გაიხედა და სხვათა შორის დაიყეფა.

– გაუშვი, ნუ დააფრთხობ, ლაბუა დედალს ეწყინება და შეიძლება კვერცხებით მომარაგება შეგვიწყვიტოს, – ურჩია გაბომ.

ძაღლმა, თითქოს თანხმობის ნიშნადო, ნიკაპზე ენა აუსვა და მარჯვენა თათი მუხლებზე დაადო.

– გასაგებია, ორივე ერთი აზრისა ვართ, – ჩაილაპარაკა გაბომ.

ამ დროს ეზოში შემოსასვლელი კარი გაიღო და მეზობელი, მკითხავის რძალი ვენერა შემოვიდა. გაბო დაიბნა, წამოხტომა დააპირა; სახლში შესვლა და შარვლის ჩაცმა უნდოდა.

– არა უშავს რა, გაბო, ეგრე იყავ, ჩემი ნუ მეგერიდება, ვითომ ზღვაზე ვართ; მეც გავიხადო? – გაბოსთან მივიდა და ნათქვამს ვნებიანი სიცილი დააყოლა.

ვენერა მშვენიერი იყო, ციგნის ქალს ჰგავდა, ლამაზი, მკერდსავსე, მოხდენილ თეძოებზე და მთელს ტანზე თხელი, გამჭვირვალე კაბა ისე შემოტმასნოდა, სხეულის სრულყოფას მთლიანად აჩენდა.

გაბო მოკუნტული იჯდა, მუხლებზე ხელები შემოედო და სირცხვილისგან გაწითლებულს თავი მაღლა ვერ აეღო.

– შემომხედე, ბიჭო, არ გიკბენ, ნუ გეშინია! – ვენერამ ვნებიანი ღიმილით უთხრა და მის მკვრივ, ბრინჯაოსფერ კუნთებს მუშტრის თვალით დააცქერდა.

გაბომ მაღლა ახედვა გაბედა და ძლივს მოახერხა ეკითხა: – რაზე შეწუხებულხარ?

– თქვენთან ჩვენი ყვინჩილა გადმოფრინდება ხოლმე და მეშინია, დედლები არ გაგიუპატიუროს, – ნათქვამს სიცილი დააყოლა.

გაბოს შერცხვა და თავი დახარა.

სწორედ ამ დროს ყვინჩილამ ლაბუა დედალს საქორწილო რიტუალი ჩაუტარა.

– შეხედე, შეხედე, ეგ უსინდისო, განა შეიძლება მეზობლის დედალთან ამგ-

ვარი რამის კადრება? – ვენერა ახითხითდა და გაბოს ხელი მხარზე დაადო.

ბიჭი შეკრთა.

– რა მოგივიდა, ბიჭო, ჯერ ქალის ხელი არ შეგხებია? – თვალებში ჩააშტერდა და ვნებიანი ჟინი რაღაც იდუმალი იმპულსით გადასცა. – არ გეწყინოს, გაბო, მაგ უსინდისო მამალს ახლავე წავიყვან და თავს კუნძზე დავადებინებ.

– იყოს, რას აშავებს, – ამოილუღლუღა გაბომ.

– რასაც ეგ აკეთებს, დაშავება არ არის?– თვალებში ჩააშტერდა.

– ქათამმა რა უნდა დააშავოს, – გაბოს გაეღიმა.

– მაგნაირი საქციელი ადამიანმა რომ ჩაიდინოს, დაშავება არ იქნება? მიპასუხე, ნუ გერიდება.

– აბა რა ვიცი.

– შენ რა, ხომ  არ გინდა მაგ მამლის საქციელის სამაგიეროდ ადამიანის დედალი მოითხოვო?! – ვნებამ ვენერას სახეზე გამოჟონა.

– ეგ სულაც არ მიფიქრია, – გაბო ისევ გაწითლდა.

– მე კი მეგონა, რომ იფიქრე და სწორედ ჩემზე; გაბო, სირცხვილი არ არის?! ეგ რამ გაფიქრებინა, ჩვენ ხომ მეზობლები ვართ. თუმცა რა, თუ ყვინჩილას არ ეკრძალება დედლებში გასეირნება, შენ რა ნაკლები ყვინჩილა ხარ, არა გაბო? – ვენერამ ახლა ხელი თავზე გადაუსვა.

– არა, ვენერ, მე ერთი წუთითაც არ გავივლებ გულში მაგნაირ რამეს.

– რატო, ბიჭო, გჭირს რამე? – ვენერამ თავის ნათქვამს ღვარძლიც გაურია.

– რა უნდა მჭირდეს! – გაბომ იწყინა.

– მაგალითად, ხომ შეიძლება ყბაყურა გაგირთულდა და კაცობის ცენტრები მოგეშალა; ცხოვრებაში ყველაფერი ხდება ხოლმე, რა ვუყოთ, – ვენერა ქათმებისკენ წავიდა.

გაბო ბრაზისგან აენთო. დაავიწყდა, რომ მარტო ტრუსის ამარა იყო, ქალს გაყვა.

– იყოს, ვენერ, რას აშავებს, – უთხრა.

ქალი შემოტრიალდა, გაბო სრულყოფილი მამაკაცის სხეულით თვალწინ ედგა; აღფრთოვანება ვერ დაფარა: – გაბო, შენ გოგოებს გადარევ, წადი, რამე ჩაიცვი, თორემ მეც ადამიანი ვარ! – უთხრა და მკერდზე ხელი მოუთათუნა.

გაბო სახლში შევარდა, პერანგი შემოიცვა, შარვალში ფეხები გაუყარა, ღილები სასწრაფოდ შეიკრა და ეზოში გამოვარდა.

– ვითომ ამით ეშველა საქმეს? ჩემი საშველი არ არის! – ვენერამ ჩაილაპარაკა; – გაბო, დღეს რას აკეთებ? – მოულოდნელად ჰკითხა.

– არაფერს, ბრიგადაში მუშაობას თავი დავანებე.

– აბა, ამაღამ სახლში იქნები?

– რატომ კითხულობ?

– ისე, ამაღამ ჩემი ქმარი და დედამთილი სხვაგან მიდიან და...

– მერე რომ მიდიან?

– ღამე მარტოს მეშინია ხოლმე... – გაბოს უსაზღვროდ ვნებიანი მზერა მიაბჯინა.

– თუ გინდა, თარსოს თქვენს ეზოში დავაბამ, – გაბომ გამოსავალი უცებ მოიფიქრა.

ვენერას სიცილი აუტყდა: – ვინმე რომ შემომივარდეს, თარსო რას მიშველის?

– ნუ გეშინია, კაცის შვილს არ გააჭაჭანებს.

– არც შენ შემოგიშვებს?

– მე რაზე უნდა მოვიდე?

– რა ვიცი, კაცია და გუნება, მე შენიც მეშინია, – მხარზე ხელი მოხვია, თავი ლოყაზე მიადო და ათქვირებული მკერდი მკვრივ სხეულზე ძალუმად მიაზილა; გაბოს თავბრუ დაესხა. – კარგი, კარგი, საღამოზე კარი ღია დატოვე, – მრავალმნიშვნელოვნად უთხრა და ხელი შეუშვა.

– რა მნიშვნელობა აქვს ამას?

– კარგი საჭმელი უნდა მოგიმზადო, დაძახება არ მინდა, ხომ იცი, ხალხი ათას რამეს იფიქრებს; შენც ხომ არაფერს აპირებ, ბიჭო?

გაბომ თავი ჩაღუნა.

– კარგი, ჯანი გავარდეს, მე გენდობი და შენ იცი, რასაც კარგს იზამ, – ვენერამ გაუღიმა და ტანის ვნების აღმძვრელი რხევით წავიდა.

გაბოს დავთრები სულ აერია, დაიბნა, რაღაცის იდუმალი წინათგრძნობა მოსვენებას არ აძლევდა.

მთელი დღე ვერ მოისვენა. ერთხელ დეიდასთან წასვლაც გადაწყვიტა, მაგრამ მერე გადაიფიქრა, შერცხვა, იქნებ მართლა მარტო რჩება და ჩემი იმედი აქვსო. როგორც შებინდდა, მაშინვე შუშაბანდში წამოწვა, რომ ვერ დამინახავს, იქნებ წავიდეს და ყარაულობა აღარ მომთხოვოსო. ამგვარი ფიქრით თავს იმშვიდებდა, რაღაც იდუმალი ხმა კი სულ სხვას ჩასძახოდა: ფრთხილად, გაბო, მაგ დედაკაცმა არ შეგაცდინოსო.

როგორ ჩაეძინა, არ ახსოვს; ტრუსის ამარა იწვა. ქალის ცხელმა კოცნამ გამოაღვიძა, მასავით გახდილი ვენერა გვერდით ეწვა და ეალერსებოდა. ჯერ კიდევ ძილბურანში მყოფმა ქალს ხელები მოხვია და მთელი ღამე არც ერთს არ დაუძინია. ვენერას საფუძვლიანად დაუმტკიცა, რომ მამაკაცური ცენტრი ფრიად ჯანმრთელ მდგომარეობაში ჰქონდა.

გათენებისას ვენერამ კიდევ ერთხელ გაიბრძოლა და სანამ ბინდი გაიფანტებოდა, გაბოს საწოლიდან გაიპარა.

ვიდრე მზე დასავლეთისკენ გადაცურდებოდა, მისი სხივები გაბოს შიშველ სხეულზე ტაშფანდურით ცეკვავდნენ, მაგრამ თვალი ვერ გაახილებინეს. რომ გაიღვიძა, სახლის ჩრდილი უკვე მთელს ეზოს ფარავდა. ერთი ვედრო წყალი დაისხა, მერე ვენერას მიერ მაგიდაზე დატოვებულ ბარაქიან ძღვენს მიუჯდა და მადიანად მოულხინა. თარსომ და გაბომ შიმშილი დააყუჩეს.

ვენერას მამალიც იმ ღამეს გაბოს საქათმეში დარჩენილიყო. უკვე ოჯახის უფროსივით დასტრიალებდა დედლებს და გასაქცევად აღარ ემზადებოდა.

გაბო სახლიდან გარეთ არ გასულა. წაივარჯიშა, როგორც შებინდდა, წამოწვა და წიგნის კითხვა დაიწყო.

ამჯერად ვენერამ ფხიზელს მოუსწრო, ჩანთით მოტანილი ძღვენით სუფრა გაახლა და გაბო მიიწვია. ჭიქები ღვინით შეავსო. – ჩვენ გაგვიმარჯოს, გაბო! – უთხრა და ჭიქა მიურტყა, ბოლომდე გამოცალა და ხაჭაპურს გვერდი შეატეხა.

– რა იყო, ბიჭო, წუხელ კინაღამ სული რომ არ ამომხადე; შენ რა ქალი გაგიძლებს, მეზობლის გაფრთხილება მაინც არ უნდა იცოდე?! – უთხრა, წამოდგა, ზურგიდან მოუარა, მოეხვია და კოცნა დაუწყო; წამოაყენა და ხვევნაკოცნით საწოლისაკენ წაიყვანა.

ის ღამეც ორივემ თეთრად გაათენეს...

– დღეს ჩვენები მოვლენ, ღამე შენთან ველარ დავრჩები. როგორც მომენტს ვნახავ, შემოგივლი ხოლმე, – გაბოს შეპირდა და გამტრედისფერებულ აისში გაუჩინარდა.

## არტემას და ხეჩოს ამქარში

**ᲒᲐᲑᲝᲛ** შუადღემდე სახლში იტრიალა, მერე გამოეწყო და ქალაქის ცენტრისკენ წავიდა. ჯერ გადაწყვეტილი არ ჰქონდა, რას გააკეთებდა; ზაქრო მასწავლებლის ნახვას აპირებდა, უნდოდა რჩევა ეკითხა.

მოედანზე გავიდა. კულტურის პარკის ღობესთან არავინ იყო, ალბათ ყველა საქმეზეა წასული, გაიფიქრა და ტროტუარს გაუყვა. მაღაზიების რიგს ჩაუარა. უკნიდან ვიღაცა წამოეწია, დასცილდა, მერე უკან მოიხედა და დააკვირდა... შავტუხა ბიჭს ხელში ძეხვი ეჭირა და ცნობისმოყვარედ აკვირდებოდა.

– რას მიყურებ?! – გაბომ გაკვირვებით უთხრა.

– ვერ მიცანი? მე ხეჩო ვარ, გახსოვს, ძაღლი რომ გყავდა ავჩარკის და ქოფაკის ნაჯვარი, ძალიან ჭკვიანი იყო, ცოცხალია?

– ცოცხალია, მაშ რა.

– ისევ განათლებულია?

– ცოტა მოუმატა.

ხეჩოს გაეცინა.

– სად მიდიხარ? – ჰკითხა გაბომ.

– რკინიგზის სადგურში, ცემენტის ვაგონს ვცლით, კარგი საქმეა, მაგრამ ძალიან ძნელია, მტვერში ვიხრჩობით; მე ძეხვის მოსატანად გამომგზავნეს. შენ სად მუშაობ? – ხეჩოს სახელის თქმა უნდოდა, მაგრამ ვეღარ გაიხსენა.

– გაბო, – თავისი სახელი შეაშველა.

– ჰო, გაბო, შენ სად მუშაობ?

– სატრაქტორო ბრიგადაში ვმუშაობდი, რაღაც მეწყინა და წამოველ.

– კარგად გიქნია.

– რატომ?

– იმიტომ, რომ თუ უკმაყოფილო ხარ, რათ უნდა იმუშაო. ჩვენთან წამოდი.

– რას აკეთებთ?

– ხან მშენებლობაზე ვართ, ხან სად; საჭმელსაც ისინი გვაჭმევენ. დღეს ცემენტის ვაგონს ვცლით, საჭმელი ჩვენია, მაგრამ ერთი ვაგონის დაცლა ასოცი მანეთი ღირს. ოთხნი ვმუშაობთ ხოლმე, დღეს სამნი ვართ, ცოტა გაგვიჭირდა, მაგრამ რა უშავს, თითოს ორმოცი მანეთი გვხვდება.

– ყოჩაღ, ხეჩო, მე სამი თვეა ხელფასი არ ამიღია.

– თუ არ დაგეზარება, ხვალ დილით ბირჟაზე ჩამოდი, მამაჩემს ვეტყვი და ჩვენთან ერთად იმუშავებ. ახლა გავიქეცი, არ იფიქრონ, ყალთაბანდობსო. იცოდე, სამუშაო ტანსაცმელი უნდა ჩაიცვა, – სირბილით წასულმა მიაძახა.

გაბომ ქუჩაში დიდხანს იხეტიალა. ბოლოს კულტურის პარკში შევიდა, განმარტოებით მდგარ ჭადრის ხის ქვეშ სკამზე ჩამოჯდა. ნელისთან ერთად გატარებული ტკბილი წუთები გაახსენდა. ოცნებას მიეცა. რა ბედნიერი იქნებოდა მასთან შეხვედრა ყოველთვის რომ შეეძლოს, მაგრამ ღირსი კი არის ნელის სიყვარულის მას შემდეგ, რაც ვენერასთან შეემთხვა? ვაი, სირცხვილო! გაბო რაც ბევრს ფიქრობდა, სირცხვილის გრძნობა უფრო ემატებოდა. ნელიმ რომ გაიგოს, ვაი, სირცხვილო! ეს ქალი ავხორცად არის დაბადებული, დაე თავისი მსგავსები მონახოს! კიდევ დიდხანს იჯდა ჭადრის ქვეშ, მერე დარცხვენილად შეხედა თავისი წმინდა სიყვარულის მოწმეს და პარკიდან გამოვიდა.

დეიდასთან წასვლა გადაწყვიტა, იმ ქალის მოსვლის ეშინოდა, მაგრამ გაახსენდა, რომ დილით ადრე ხეჩოსთან ბირჟაზე უნდა გამოცხადებულიყო და გადაიფიქრა.

სახლში გვიან მივიდა. ოთახში ქურდულად შეიპარა და კარი მაშინვე ჩაკეტა. თუ მოვიდა, არ შემოვუშვებ, მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო. ვენერას არ მოუკითხებია. დილით ადრე კი მოედნისაკენ დაეშვა.

ხეჩო და თავისი მამა უკვე იქ იყვნენ; სხვა ხალხიც ბლომად ტრიალებდა.

ხეჩოს გაბოს დანახვა ძალიან გაუხარდა, გზაში შეეგება და თავის მამას წარუდგინა: – ეს ის ბიჭია, გუშინ რომ გითხარ, გაბო ჰქვია, – გააცნო.

– არტემა, – დაკოჟრილი და თითების სახსრებში დახეთქილი ხელი გაუწოდა, – მაშ, ჩვენთან იმუშავებ? – ჰკითხა და ბეტონის ღობის ძირში მიგდებულ ტყაპუჭზე შესწორდა.

– ხეჩომ შემაგულიანა, ვეცდები, თუ გამოვდექი, თუ არადა, მე თვითონ წავალ, – გაბომ მორცხვად უპასუხა.

– რატომაც არ გამოდგები, შვილო, კარგი ბიჭი ჩანხარ, როცა ეგ თქვი. სამნი ერთად ვივლით, როგორმე იოლას გავალთ, – უთხრა და მუშაობისგან დახეთქილი თითებით პაპიროსის გახვევა დაიწყო.

გაბო იქვე ჩაჯდა და ქუდი სახეზე ჩამოიფხატა, არ უნდოდა ვინმეს ეცნო; ამ პირველი ნაბიჯის გადადგმა უჭირდა.

კლიენტთან გარიგებას არტემა აწარმოებდა, ხეჩო ამ საქმეში არ ერეოდა; ისაც გაბოს გვერდით მოკალათდა.

ბირჟაზე გაცხოველებული გარიგებები მიდიოდა.

– ორი კაცი მინდა ვენახში სამუშაოდ, ვინ წამოვა? – ერთმა სქელმა კაცმა ძველი „პობედა" შეგროვილ ხალხთან გააჩერა და დაიძახა: – ორი დღის სამუშაო იქნება.

ჯგუფს ერთი თოხიანი კაცი გამოეყო.

– მე და ჩემი ამხანაგი წამოვალთ, – უთხრა.

– რამდენი ღირხართ?

– ვღირვართ რა ჰქვია! დღეში ოცდახუთი მანეთი კაცზე, ჭამა შენი იქნება.

– დღეში ოცი მანეთი, – მსუქანი შეევაჭრა.

– არა, ძმაო, შენ აქ სავაჭროდ მოსულხარ, ეს დადგენილია, წადი, ოცმანეთიანი მუშა იშოვნე! – თოხიანი უკან გამობრუნდა.

ერთმა ქალმა რამდენიმე კაცი ბინის მშენებლობაზე წაიყვანა. ზოგი უკვე წინასწარ იყო შეპირებული. ხალხი ნელ-ნელა შეთხელდა.

არტემა ისევ ძველ პოზაში იჯდა და უკვე მესამე პაპიროსს ახვევდა, არ ჩქარობდა, არც იმაზე ნერვიულობდა, რომ შეიძლება კლიენტი არ გამოსჩენოდა; იცოდა, მისი დაქირავების მსურველი აუცილებლად მოვიდოდა.

ამ ხნის განმავლობაში გაბომ რამდენიმე ნაცნობი შენიშნა და ქუდი უფრო მაგრად ჩამოიფხატა. მალე წასულიყვნენ, ნატრობდა, რათა ამ ადგილს მოსცილებოდა, მაგრამ თითქოს ჯინაზე დღეს არტემას დამქირავებელი იგვიანებდა.

ბოლოს სამნიღა დარჩნენ. არტემა ისევ ჩვეულ პოზაში იჯდა. რამდენიმემ ვენახში მუშაობა შესთავაზა, მაგრამ უარით გაისტუმრა.

– ახ, აგაშენა ღმერთმა, არტემ, აქა ყოფილხარ! – ერთი პატარა კაცი ქაქანით მოვარდა, სიხარულით შეჰყვირა და შუბლზე გამოდენილი ოფლი ცხვირსახოცით მოიწმინდა, – მე მეგონა, ველარ მივასწრებ-მეთქი, – დაუმატა.

– რა ფოდრატია? – არტემამ დინჯად ჰკითხა.

– ცემენტის ვაგონი მოგვივიდა, დღესვე უნდა დავცალოთ, გრამი აღარა გვქონდა, მაგის გამო გავჩერდით.

– წავიდეთ? – არტემა ფეხზე ადგა.

– რამდენი იქნებით?

– სამნი.

ცოტაა.

– შენ საქმე იკითხე, იქნება მარტო მე დავცალო; დავალებას ვადამდე ჩაგაბარებ, მეტი რა გინდა?!

– სხვა არაფერი, თქვენი ნებაა, პრეტენზია არა მაქვს.

– ფულს წინასწარ ხომ არ მოგვცემდი?

– ეგრე გეჩქარებათ?

– სხვა დროს არა, მაგრამ დღეს დაგვჭირდა.

– კარგი, ჩემთვის სულ ერთია, პირიანი კაცი ხარ, შენთან დაკარგული არ არის, – პატარა კაცმა ჯიბეში ხელი ჩაიყო, ფული ამოიღო და არტემას ასოცი მანეთი ჩაუთვალა.

– წავედით, – თქვა არტემამ და თავის ჩანთას ხელი დასტაცა...

ვაგონები ჩიხში ჩაეყენებინათ.

– თქვენ გაემზადეთ, ათ წუთში თვითმცლელები მოვლენ, – თქვა პატარა კაცმა და წასვლა დააპირა.

– მანქანის ნომერი მაინც მითხარი, მაშინდელივით ვიღაცა აფერისტი არ შეგვეპაროს, – გააფრთხილა არტემამ.

– ნუ გეშინია, იგრე გვიჭირს, ჩვენი მანქანების დატვირთვას ვერ მოასწრებ, – პატარა კაცი ჩქარი ნაბიჯით წავიდა.

არტემამ ფული ამოიღო, ორმოცი მანეთი გადათვალა და გაბოს გაუწოდა.

– ეს შენი პირველი ხელფასი, მომილოცნია! ხედავ, ჩვენთან როგორ არის? ჯამაგირს ყოველდღე არიგებენ; დილით თუ არ მოხერხდა, საღამოთი წვეთი არ გაუვა, – გაბოს ფული გადასცა, მერე თავისი ჩანთა აიღო და სამუშაოდ გამოწყობა დაიწყო. პირი ხილაბანდით აიხვია. ერთი ხილაბანდი გაბოს მიაწოდა.

– პირზე აიფარე, თორემ ცემენტის მტვერი დაგახრჩობს, – ამ საქმეში ჯერ გამოუცდელ ბიჭს უთხრა...

გაბო ნიჩაბს ენერგიულად იქნევდა. ვაგონში საშინელი მტვერი იდგა. ცხელოდა. სანამ ყველა მანქანა არ გაისტუმრეს, არ დაუსვენიათ. ჩამოღენილი ოფლი ცემენტით დაფარულ სახეზე არხებს ტოვებდა.

– ყოჩაღი ბიჭი ყოფილხარ, – არტემამ შეაქო სამუშაოს რომ მორჩნენ. – ხვალ გამოხვალ? ალბათ ერთი კვირა მშენებლობაზე მოგვიწევს მუშაობა; მერე კიდევ რამე გამოჩნდება.

– აუცილებლად გამოვალ, – გაბო შეჰპირდა და სახლის გზას დაადგა.

ფეხებს ძლივს მიათრევდა, ყველა სახსარი სტკიოდა. ცემენტის მტვრიან ოფლში გაბანილს ჯიბეში ორმოცი მანეთი ედო. „ნეტავ არტემას არ შევპირებოდი“, – გაიფიქრა. არა, ბოლომდე უნდა გავუძლო. მართლაც მაგრად უმუშავიათ, იმიტომ არიან ბოლში გამოყვანილი თევზებივით, – გადაწყვიტა და უკან აღარ დაუხევია.

არტემას წინასწარმეტყველება გამართლდა, ოღონდ ერთი კვირა კი არა, მთელი თვე იარეს რკინიგზის სადგურში სამშენებლო მასალების დაცლაზე. ამგვარ დაძაბულ შრომას მიეჩვია, ფულიც იშოვნა; ახლა უკვე შეეძლო უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარებაზე ეფიქრა, მაგრამ ჯერ დრო ჰქონდა და თავს არ ზოგავდა, სტუდენტობის პირველ წელს რომ არ გასჭირებოდა.

სადგურში ვაგონების დაცლაზე მუშაობა დასრულდა, ახლა ისევ ბირჟაზე ისხდნენ, არტემა ისევ ახვევდა პაპიროსს და დინჯად აბოლებდა. გაბო ქუდჩა-

მოფხატული კუთხეში მიმჯდარიყო, ხეჩოც მის გვერდით ჩაკუნტულიყო.

– მშენებლობაზე არ წამოხვალთ?– ერთი დაბალი ტანის, ჩამრგვალებული, ლოყაწითელი კაცი არტემას თავზე დაადგა. – სამი მუშა მჭირდება, მე მიგიყვანთ და მოგიყვანთ; პურმარილი არ მოგაკლდებათ, კმაყოფილი იქნებით, ოღონდ მაგრად უნდა იმუშაოთ.

– რამდენს მოგვცემ? – არტემამ დინჯად იკითხა.

– რაცა ღირს.

– კაცი ოცდახუთი მანეთი, – არტემამ შეახსენა.

– იყოს, ოღონდ სიზარმაცე არ შეგატყოთ.

– მუშაობას ვერავინ მასწავლის, – არტემამ თქვა და ადგა, – წავიდეთ,. – ბიჭებს მიუბრუნდა.

– ახლავე, – პატარა კაცი მოსახვევისკენ გაიქცა; მალე გაპრიალებული „ვოლგა“ მოასრიალა. – ჩასხედით! – ბრძანა და მანქანა საბურავების წრიპინით ადგილს მოსწყვიტა.

სოფელი აიარეს, ტყით დაფარულ ცივგომბორის დაყუდებულ გზას შეუდგნენ. მალე ერთ გორას თავზე მოექცნენ, აქედან მთელი ალაზნის ველი ჩანდა, მარცხნივ შეუხვიეს და ახლად შემოღობილ მოედანზე შევიდნენ. ირგვლივ ტანაყრილი რცხილის ტყე იყო, შორს კავკასიონის ქედის დათოვლილი ქედი მოჩანდა; ირგვლივ მხოლოდ ტყე და მდუმარება სუფევდა.

– ხედი კარგია, ადგილიც, მაგრამ ამ ტყეში კაცმა მარტო როგორ უნდა იცხოვროს, – გაბომ ჩაილაპარაკა.

– მარტო რათა, აგერ, მეზობლად მეორეც ეყოლება, – ლოყაწითელამ მეორე შემოღობილი ადგილი დაანახა.

– მაინც მაგრად გაუბედნია, ნეტავ ვინ არის?

– ერთი მოხუცი დედაკაცია, – იმ კაცმა უპასუხა, თან დაუმატა, – შენ ხილი იხილე, მებაღეს რას კითხულობ, ბევრის ცოდნამ სკლეროზი იცის და შეიძლება სლოკინით ფეხები გაგაფშეკინოს.

– ვისიც გინდა იყოს, რა ჩემი საქმეა, – არტემამ წონასწორობა აღადგინა, – რა გავაკეთოთ, გვითხარი, დანარჩენი ჩვენ ვიცით.

– ჯერ შემოსასვლელში რკინის ქუჩა დააყენეთ, მერე სახლის მშენებლობაზე გადადით; მალე ორი კალატოზი მოვა, ისინი უნდა ამუშაოთ.

ვიღაც მოხუცი ქალის სახლის მშენებლობაზე მთელი თვე იარეს. გაბოს იმ ორი კალატოზის და პატარა კაცის მეტი იქ არავინ უნახია. ის კალატოზები ახლა დურგლებად მუშაობდნენ. ჭერი დააყენეს, მთელი დღე ბეჯითად იმუშავეს. ახლა სავახშმოდ ემზადებოდნენ. გაბო ეზოს ბოლოში დაგდებულ ცისტერნასთან პირს იბანდა. ამ დროს რკინის ქუჩას შავი მანქანა მოადგა, მძღოლი ჩამოხტა, ალაყაფის კარი გააღო და მანქანა პირდაპირ სახლს მიაყენა. წინა კარიდან ვიღაც ღიპიანი კაცი გადმოვიდა და სახლს შემოუარა. გაბო ცისტერნას ამოეფარა, არ უნდოდა იმ ვიღაც კაცს დაენახა. ღიპიანი მუშებს მოერიდა, პატარა კაცი თავისთან მიიხმო და ორივე ეზოს ბოლოსკენ წამოვიდნენ, ცისტერნას მიუახლოვდნენ.

გაბომ ღიპიანი კაცი იცნო, ყარამანი იყო.

– როგორ არის საქმე, კოჭურ? ხომ არაფერი გიჭირთ? – მბრძანებელი კაცის კილოთი ჰკითხა.

– კარგად ყარამან ვასილიჩ, ტემპში ვმუშაობთ.

– ყველაფერი ერთ თვეში მორჩება?

– უნდა მორჩეს. გარედან სამუშაოები დამთავრდება და შიგ გადავლენ; ორ თვეში სახლს გამზადებულს ჩაგაბარებ.

– ხომ არავინ იცის, ვისთვის შენდება?

– კალატოზები შინაური ბიჭები არიან, მუშები კი წალკელი სომხებია, აზრზე არ არიან. ბებერ დედაკაცს უშენებენო, უკვირთ, ამ ტყეში იმ საწყალმა როგორ უნდა იცხოვროსო.

– მამა უცხონდებათ ბებერი დედაკაცი, რაც აქ ხოშიანი პურმარილი გაიშლება, კოჭურ, იმდენი შველა შენ და ჩვენს კეთილ მახსენებელს. ისე კი ყველაფერი რიგზეა, ჩემს სიდედრზეა გაფორმებული; ყირაზე რომ დადგნენ, ფეხებს ვერ მომჭამენ. ლავაშა რას შვრება, ხომ არ გაგვისწრო?

– ერთნაირად მივდივართ, აქეთაც გვეხმარება. მოკლედ, ჭერის დალოცვა ერთდროულად გექნებათ.

– ყოჩაღ, კოჭურ, სიკეთეს არ დაგივიწყებ. დამზადების კანტორაში საქმე ხომ კარგად არის?

– შენ იყავ კარგად, ყარამან ვასილიჩ, მე რა უნდა გამიჭირდეს.

– ეგრე უნდა იყო, ეგრე, ერთ ღერ თმას ვერავინ შეგიტოკებს; თუ ვინმე შეგაწუხებს, ჩემთან ექნება საქმე! – ყარამანი ბობოქრობდა. – ახლა წავედი, ორ თვეში კი აქ მაგარი პურმარილი უნდა გადავიხადოთ, – ყარამანი უკან გაბრუნდა. – მუშებს საჭმელი ჩააცეცხლე და მოაშორე აქედან. არ უთხრა ვინა ვარ, არ მეგონა, რომ კიდევ აქ იქნებოდნენ, თორემ ჯერ არ მოვიდოდი.

– არა უშავს, ეგენი აზრზეც არ არიან, – კოჭურა დამამზადებელმა ყარამანი დაამშვიდა.

გაბო ცისტერნას მოსცილდა. ყარამანი და კოჭურა ახლა უკვე ალაყაფის კარებთან ლაპარაკობდნენ.

მუშები პურის საჭმელად სხდებოდნენ.

– ხეჩო, მე საჩქარო საქმე მაქვს, უნდა წავიდე, სამუშაოდ აღარ გამოვალ, როგორც მოვახერხებ, აუცილებლად გნახავთ, – გაბომ ხეჩოს ხელი ჩამოართვა, არტემასაც გამოემშვიდობა და სანამ რაიმეს იტყოდნენ, ღობეს გადაახტა, პირუტყვის მიერ დაქნილ ბილიკს დაადგა და ტყეს შეერია.

თავდაღმართზე ჯერ ხტუნვა-ხტუნვით მიდიოდა, მერე ნაბიჯზე გადავიდა. ერთ ტიტველ მინდორზე გავიდა, იქვე მდგარ მუხის ქვეშ ჩამოჯდა და წინ გადაშლილ ალაზნის ველს გახედა; ლამაზი ხედი იშლებოდა. „რა კარგად შეიძლება ცხოვრების მოწყობა, ყველა ადამიანი რომ ერთი მიზნისკენ პატიოსნების და სინდისის კარნახით მიდიოდეს. როგორ მრუდდება უმრავლესობის ბედი ზოგიერთ არაკაცის გამო თავისი კეთილდღეობისათვის სხვის დაჩაგვრის ხარჯზე. ამას კი ხალხის მიერ ბოძებული ძალის საშუალებით აკეთებს, ადამიანთა კეთილდღეობის სადარაჯოდ რომ უბოძეს. პატიოსნის ნიღაბი აუფარებიათ, თუმცა ყველამ იცის, რომ ეს მხოლოდ ნიღაბია, მაგრამ უბედურება ისაა, მათი მხილება და ხალხის სამსჯავროზე გამოყვანა თითქმის არ შეიძლება, რადგან ეს ბოროტების მექანიზმის ობობას ქსელივითაა გადაბმული და ერთმანეთს ამაგრებენ თანამდებობის მპყრობელი ბღენძები. დიდი საქმე კი მუხრუჭდება, თუ ისპობა, ვინ იცის? ყარამანი პროკურორია, კანონების განუხრელად დაცვა ევალება, ყველაზე უხეშად კი თვითონ ამახინჯებს თავისი კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად. თანამოაზრედ კოჭურა დამამზადებელი გაუხდია. თუ მართალია, რატომ უნდა გაურბოდეს დღის სინათლეს, დასამალი რა აქვს? ტყეში სახლს აშენებს, რომ თავადივით ინებივროს, მაგრამ ეშინია, იცის, რომ დანაშაულს

სჩადის და თავის ნაძარცვს მალავს. განა ყარამანის მსგავსი პარაზიტების ბრალი არ არის ტრაქტორისტები ბრიგადიდან რომ გარბიან? განა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს საქმე აინტერესებს, როცა ტრაქტორისტს თავისი ოფლით გამომუშავებულ ფულს არ აძლევს და ყალბად გაფორმებულ იურისტ-კონსულტს, იმის გამო რომ ის ყარამანის შვილია, ანებივრებს, ფულს ჩუქნის, სულაც რომ არ სჭირდება“.

გაბოს თავისი თავისთვის ვერ ეპატიებინა, რომ ამგვარი შენიღბული დასასვენებლის თუ რაღაც მისი მსგავსის მშნებელობის უნებლიე მონაწილე გახდა. რომ ბრიგადიდან გამოიქცა და კარდაკარ დაქირავებულ მუშაობას ეწეოდა. „ეს რატომ მოხდა? ვინ არის დამნაშავე? იქნებ არტემა ან ხეჩო? განა ისინი საყვარელ ოჯახს მოშორებულები მუხლშეუხრელად არ მუშაობენ? თავმჯდომარის უსინდისო საქციელი რომ არა, განა გაბო ამ დღეში ჩავარდებოდა? ვინ იცის, იქნებ არტემასაც ჰყავს თავისთან ასეთი უსინდისო თავჯდომარე, რომლის წყალობითაც მათი ცხოვრება ესოდენ უკუღმართად წავიდა. რა იქნება, ყველას ერთი პირი რომ ჰქონდეს და ერთი ხელის მოსმით მოაშორონ ეს პარაზიტები მართვის სადავეებს“, – გაბო ფიქრობდა და მზის ჩასვლის შემდეგ ბინდის შესახვედრად გარინდულ ალაზნის ველს გაჰყურებდა.

იმ ღამეს სახლში არ მისულა, დეიდასთან გაათია. ეშინოდა, ვენერა თავს არ დასხმოდა. შუადღის შემდეგ სახლში ქურდულად შეიპარა. გაუკვირდა, რომ თარსო არ მიეგება. ლეღვის ჩრდილში იწვა, ძროხის მენჯის ძვალი თათებს შორის მოექცია და ენერგიულად ღრღნიდა. გაბოს დანახვაზე მისალმების ნიშნად კუდი აათამაშა, მისკენ სხვათა შორის გაიხედა, მერე ისევ ძვალს მიუბრუნდა და ღრღნა დაუწყო.

გაბო ძაღლს მიუახლოვდა, დააკვირდა, კისერზე ბალანი აბურძგნოდა, ბევრგან ბირკა ჩაკვროდა, „სად იყო ნეტავ?“ – გაიფიქრა. თავისი „შემოქმედებით“ ისე გაერთო, რომ ძაღლი სულ დაავიწყდა. ისაც ცოტა ხანს ერთგულებას შიმშილით ემსახურებოდა, მაგრამ ბოლოს ველარ გაუძლო და ქუჩაში გავიდა. იქ მოხეტიალე მყეფარებმა გაიმხანაგეს და ნელ-ნელა თავიანთ ფერხულში ჩააბეს. ახლა თარსოს აღარ შიოდა, კულტურის პარკთან შეხვედრილი ძაღლივით აღარაფერს თაკილობდა, ყველა სანაგვეში ცხვირს ყოფდა, გადაგდებულ ნივთს შეუმოწმებელს არ უშვებდა; ქორწილების და დღეობების ნარჩენებზეც კარგად ნადირობდა; სხვადასხვა ზომის და ასაკის ძაღლების ამალით დაბრძანდებოდა, ერთად დადიოდნენ, მაგრამ ლუკმის გაყოფისას ხშირად ერთმანეთის ტყავის ფხრეწაც იცოდნენ. ეგოისტებად ქცეულიყვნენ, ვინც რაიმეს გადაუგდებდათ, ყველას მოელაქუცებოდნენ.

გაბო ძაღლის წინ ჩაცუცქდა, დიდხანს უყურა, თარსომ შეხედა, კუდი გააქნივ-გამოიქნივა და ძვლის ღრღნა გააგძელა.

– ეხ, ჩემო თარსო, ჩვენ ორივე ერთ დღეში ვართ, მეც ხომ ასე ვღრღნიდი გადმოგდებულ ძვალს. შენი მოვალეობის ღალატი როგორ გისაყვედურო, როცა მე თვითონ ვუღალატე მოვალეობას. რატომ მოხდა ეს? იმიტომ, რომ ნებისყოფა არ მეყო. ფულს კი ვშოულობდი, მაგრამ შენსავით იმ სიამაყეს ვკარგავდი, რომელიც ახლავს თავის საქმის უპირატესობით დარწმუნებულ კაცს. ახლა რა ვართ, მე და შენ? – არარაობა, ყველას დასაცინი და აბუჩად ასაგდები. შევარცხვინე ეგ სამადლოდ მოგდებული ძვალი, ასე უსინდისოდ რომ ხრავ! არა, ჩემო თარსო, ამიერიდან ამაყი ცხოვრებით ვიცხოვროთ, თავმოყვარეობა და მართალი კაცის პირუთვნელობა არასდროს მივატოვოთ! – ხმამაღლა თქვა

და ფეხზე ადგა.

თარსომ ძვალს პირი უშვა და გაკვირვებით მიაშტერდა.

– აბა, მოიტა შენი შემარცხვენელი ძვალი! – გაბომ ძვალს ხელი წაავლო, თარსო პირით, მოეჭიდა და არ ანებებდა.

– ეს უკვე მეტისმეტია! – გაუბრაზდა. ქამარი მოიხსნა და ყელზე შეაბა, – სანამ კალაპოტში არ ჩადგები, დაბმა მიბრძანებია შენი! – ძვალი წაართვა და ღობის იქით მოისროლა, თარსომ ნაღვლიანი მზერა გააყოლა.

– ახლა ეგ მყრალი ძვალი გენანება, ხვალ ახლოს აღარ გაეკარები, ზეგ კი რასაც ამჟამად აკეთებდი, გახსენება ლოყებს სირცხვილით აგიწვავს. ისე კი რაც მოხდა, ჩემი ბრალია და მევე უნდა გამოვასწორო, – გაბო ძაღლთან ერთად შევიდა სახლში, მაცივარი გამოაღო და ძეხვის მოზრდილი ნაჭერი გამოიღო. მაგიდასთან დაჯდა, პატარა ნაჭერი მოჭრა, პურზე დადო და ჭამა დააპირა. ძაღლმა თავი მიღრიცა, ისე შეხედა, თითქოს ეუბნებოდა, – გაბო, შენ ეს გეკადრებაო? მეორე ნაჭერიც მოჭრა, ზედ პური დაადო და თარსოს მიაწოდა, მანაც მოწიწებით ჩამოართვა, კბილებით თითები არ დავუზიანოო... კარგად დანაყრდნენ.

– რა ვქნათ, თარსო, დაგაბა თუ შენით მიხვალ იმ დასკვნამდე, რომ სუმთლად განიწმინდო? – ძაღლი გააბანა, დავარცხნა, დაასუფთავა, მერე თვითონაც იბანავა და ახლა ორივე ეზოში თამაშობდნენ; თარსო დავალებებს ძველებურად ასრულებდა.

– თარსო, მალე ორივე ჩავდგებით კალაპოტში ისე, რომ ნელი ჩვენს ჩადენილ მცირეკაცობას ვერ მიხვდება, – ამის თქმა ძლივს მოასწრო, რომ ეზოში ვენერა შემოვიდა.

იმის დანახვაზე გაბოს ელდა ეცა.

– სად დაიკარგე, გაბო, ველარ ჩაგხელთე, – ავხორცი ღიმილით უსაყვედურა ვენერამ.

– ვმუშაობდი, არ მეცალა, – გაბომ ცივად უპასუხა და ძაღლს თავზე ხელის სმა დაუწყო.

– საღამოზე ჩვენს საძროხეში დაგელოდები, ჩვენები სახლში იქნებიან, მაგრამ ვერაფერს მიხვდებიან, საქმე ისე კარგად მაქვს მოწყობილი, დღეში ათჯერ რომ შემოიპარო, აზრზე ვერავინ მოვა, – ჩურჩულით უთხრა და ორივე ლოყაზე ხელები მაგრად მოაჭირა, – რა კარგი ხარ, შე ოხერო! – დაუმატა.

– არ გინდა, ვენერ, ამ სამარცხვინო საქმეს შევეშვათ, შენ ქმარი გყავს, განა ისეთი რა დაგიშავა, რომ ღალატობ. ან ამდენ თვალთმაქცობას როგორ ახერხებ. დათიკოს დანახვაზე სირცხვილით ვიწვები.

– შენც მოგცლია, არც დათიკოს აკლია, ნუ გეშინია, უარს არასდროს არ ვეუბნები, ყველას თავისი წილი აქვს; რომ შებინდდება საძროხეში მოდი.

– არა, ვენერ, რაც ჩავიდინე სინანულად ისაც მეყოფა.

– რა დაგემართა, შე უღღეურო, ჩემისთანა ქალი სად შეგხვდება, უყურე ამას, აქეთ უნდა ვეხვეწო?!

– კი არ უნდა მეხვეწო, პირიქით, სამუდამოდ უნდა დაივიწყო ის, რაც მოხდა და ეს ცოდვა ოჯახის ერთგულებით გამოისყიდო; მეც ვეცდები, ასე მოვიქცე.

– ბიჭო, ავად ხომ არა ხარ? – ვენერამ შუბლზე ხელი დაადო, – რომ არ გამეცნე, ცვედანი მეგონებოდი, სამაგიეროდ ჭკუაზე ხარ აფრაკად, რაღა სხვაობაა, გინდა ერთი ყოფილხარ, გინდა მეორე.

– როგორც გინდა ისე ჩათვალე, ვთქვათ ყბაყურა მქონდა და მამაკაცის

ცენტრები დამიზიანდა, არც ჭკუაზე ვარ ნორმალურად. რაც გინდა თქვი, რაც გინდა დამავალე, ცეცხლში ჩავდგები, ოღონდ გეხვეწები, ამგვარ რამეს გულში ნუღარ გაივლებ, ოღონდ ქმარს ნუ უღალატებ და შენს მზეს ვილოცებ.

– თფუჰ! – ვენერამ ვეღარ მოითმინა, – შე მართლა დედალმაშო! აფსუს, რა შეცდომა ჩავიდინე! – ვენერას თვალებში ახლა დაუოკებელი ავხორცობის ნაცვლად ზიზღი აკვესდა, – ჩემი სახელის ხსენება არ გაბედო, მეც ეგრე, აქეთ გამომხედი აღარ ვარ!

– დიდი მადლობა, ვენერ, რომ სწორად გამიგე.

– ვაი შენს პატრონს! – ვენერამ ქოქოლა მიაყარა და გასასვლელელისკენ წავიდა...

გაბომ სასიამოვნო სიმსუბუქე იგრძნო, თითქოს უზარმაზარი ტვირთი მოეხსნა, რომელიც ისე აწვებოდა, რომ სულ მალე მის ზიდვას ვეღარ შეძლებდა, მიწაზე დამხობილი მისი სიმძიმის ქვეშ არარაობად გაისრისებოდა. ახლა კი ამ ტანჯვისაგან განთავისუფლებული უაღრესად ბედნიერი იყო.

– მამალი გამოაგდე, თქვენსკენ გადმოსული არ დავინახო! შენს დედლებს ჩემს ეზოში როგორც მოვატან, ფეხებს შემოვამტვრევ! – კარებთან დაუძახა და მაგრად გაიჯახუნა. გაბოს გულიანად გაეცინა.

## ღადალა რწმუნებული და მკითხავი ახრასია

**უბნის** რწმუნებული ღადალა, ლუად ამაღლებული, თავის ოთახში დაფიქრებული იჯდა. უფროსმა წინა დღეს მაგრად შეახურა. მამაძაღლობაზე დგახარ, შენზე ათასი ჭორი და ნამდვილი ამბავი დადის, ღორად ხარ ქცეული, საღამოობით კაცი ფხიზელს ვერ გიპოვნის; ქურდებში და ავაზაკებში ხარ გათქვეფილი. ეს კიდევ რაღაა, ვიღაც მკითხავმა ახრასიამ ქვეყანა აიკლო, სულელ დედაკაცებს ატყუებს და სახლში რიგი აქვს დაყენებული. იცოდე, მაგ ადგილზე პირობით გტოვებ, მუშაობა რადიკალურად თუ არ გარდაქმენი, ჩვენი რიგებიდან ძალიან ცუდად წახვალ, – დაემუქრა.

ლუა შეშინდა, მაშინვე ყარამანთან გაიქცა და ყველაფერი მოუყვა, მაგრამ მუშაობის რადიკალურად გარდაქმნის მოთხოვნას ვერაფერი გაუგო.

– ეგ შენი მილიციის უფროსი სხვაგან კაკანებს და კვერცხებს კი სხვაგან დებს, კარგად ვიცი მაგისი ყველა ოინბაზობა, თავიდან ბოლომდე გაშიფრულია. მაგის წვლილიცაა, ზოგიერთი საქმე რომ ჩაიშალა. მოიცადოს, მაგას არ დავუკარგავ, – დაიმუქრა.

– მე რა ვქნა? – ლუამ წყალობის მომლოდინე პირმოთნე მზერა მიაპყრო.

– წადი და იმუშავე. თუ რაიმე გაბედა, აქ არა ვარ! – ყარამანმა იმედი მისცა, მაგრამ ლუა მაინც ვერ დამშვიდდა, უფროსის მუქარა ცუდად ენიშნა. ამიტომ იყო ასე აფორიაქებული. გადაწყვიტა, პირველი დარტყმა მკითხავ ახრასიასთვის მიეყენებინა, მაგრამ როგორ?

ხშირად ესმოდა, ვისაც კი უმკითხავა, ყველაფერი შეატყოო. მის მრევლში განსაკუთრებით უშვილო და შინაბერა ქალები აქტივობდნენ. ამ ორ-სამ წელიწადში შვილი აუცილებლად გეყოლება, ახრასია უშვილოს შეპირდებოდა; პირველი გოგო იქნება, მაგრამ რა უჭირს, მომდევნოდ სულ ბიჭებს ვხედავ. ახრასია ყავის ჭიქას კარაბადინივით კითხულობდა, მერე მის ძირზე თითს მოატარებინებდა და ადრე ნათქვამს ერთხელ კიდევ დაადასტურებდა. სალოცავში სანთლის დანთებას და საკლავის დაკვლას დაავალებდა, თავის მოგონილ ავ-

გაროზს შეასყიდებდა ან ტოროლას ფეხებს მოატანინებდა, შეულოცავდა და ჯიბეში გამოკერებული ატარეო, ეტყოდა. თუ თავის მოპოვებულ ტოროლას ფეხებს გაატანდა, ამას უფრო ძვირად დაუსვავდა. შინაბერებისათვის ხომ სულ იმედის წყაროდ ილვრებოდა: რამდენიმე მამაკაცს დაუხატავდა ზოგს ქვრივს, ზოგს ცოლიანს, ზოგს ბერბიჭას, მაგრამ შინაბერათი მოჯადოებულს. ისინიც ეძებდნენ, ნახულობდნენ მსგავსებს და თავიანთი ინტერესებისათვის ახრასიას რჩევა კარგა ხანს ყოფნიდათ. ზოგი უკვე შეყვარებულიც იყო, მაშინ მრავალი ავგაროზი, ჯადო, მგლის ქონი თუ ვირის ტვინი მზადდებოდა ახრასიას ალქიმიის ლაბორატორიაში მიზანში ამოღებული პიროვნების მოსათვინიერებლად. თუ ვინმე რაიმეს დაკარგავდა და მის საპოვნად ახრიასიასთან მივიდოდა, აუცილებლად გაიგებდა, რომ ქურდისაგან იყო მოპარული და უახლოეს ექვს თვეში ყველაფერს ფარდა აეხდებოდა. ექვსი თვის შემდეგ ეს ვადა ერთი წლით მოიმატებდა და ახრასიაც თავის მრევლს იმედით აცოცხლებდა. რას აშავებდა? ისინიც ჭკუის სასწავლებლად სისტემატურად დადიოდნენ ახრასიასთან.

მაგარი მკითხავის სახელი გაუვარდა. მასთან ძველ კლიენტებს ახლები პროტექციით მიჰყავდათ. თანაც ეუბნებოდნენ, რა სჭირდებოდათ და სამკითხაოდ რა საკითხზე იყვნენ მოსული. ახრასია ყოველივე ამას რომ გაიმეორებდა, გაკვირვებული ახალბედა მალე მის მუდმივ კლიენტებში ჩაირიცხებოდა და ზებუნებრივი მისნობით დაჯილდოვებულ მკითხავს მრევლი სულ უფრო ემატებოდა.

ლუამ რა ქნას, ახრასია როგორ გამოიჭიროს და ამით უფროსის რისხვა როგორ აიცდინოს? დილიდან ფიქრით თავს იმტვრევდა, მაგრამ ჭკვიანური ვერაფერი მოიფიქრა. საქმის შესწავლისა და დარღვევა-დანაშაულის მიგნების ალღო ჰქონდა, მიგნება კი იმისთვის სჭირდებოდა, რომ მისთვის წილი არ დაეკარგათ. მთავარია მისი შინებოდათ, რათა უმისოდ პირში ლუკმა არ ჩაედოთ, ერთმანეთისთვის თუნდაც ტყავი გაეძროთ. განა მართალი არ იყო ბაზრის სახინკლეს მებუფეტეს რომ გადაეკიდა. მამაცხონებული ქვეყანას ატყუებდა, გასივდა, ქონი ყელში მოაწვა, ლუა კი არ ახსოვდა. ჰოდა, მანაც თავისი ძალა გამოიყენა. ერთხელ ასი გრამი არაყი დაასხმევინა, ლუამ ჭიქა სასწორზე დადგა, წონა დაიხსომა და არაყი გადაჰკრა, ცარიელი ჭიქა ისევ სასწორზე დადგა, იანგარიშა, სავსის წონას ცარიელის წონა გამოაკლო და აყვირდა: ასი გრამის მაგიერ ოთხმოცი დამისხიო.

— არა, ძმაო, — მებუფეტე თავს იმართლებდა, — ზუსტად ასი გრამი იყო.

— მე საბუთი მაქვს! — ლუა ბობოქრობდა და ცარიელ ჭიქაზე უთითებდა.

— რა საბუთი გაქვს? — მებუფეტემ ჰკითხა.

სავსე ჭიქა სასწორზე მოფიქრებულად დავდგი, დავლიე და ცარიელის წონა გამოვაკელ, ზუსტად ოთხმოცი გრამი იყო, გამოგიჭირე?

— მე რა ვიცი, ოთხმოცი იყო თუ ასი, ის სავსე ჭიქა მაჩვენე და მაშინ ვილაპარაკოთ, — მებუფეტე არ დაიბნა.

— სადღა გაჩვენო, უკვე დავლიე, — ლუამ ხმას დაუწია.

— მაშინ შენც კარგად და მეც, ზუსტად ასი გრამი დავასხი, თუ არ გჯერა, რაც დალიე წამოასხი და დაგიმტკიცებ, — მაგიდებთან მსხდომი კლიენტები ახარხარდნენ.

— მე შენ გიჩვენებ, სად წამიხვალ! — ლუა დაემუქრა და გარეთ გავიდა.

მებუფეტემ დიდხანს იცინა, მაგრამ ლუასთან საერთო ენის გამონახვა და სათანადო გამოსასყიდის გაღება მაინც დასჭირდა.

ლუამ მიზნის ამორჩევა და ამგვარი გამოჭერის მეთოდები კარგად იცოდა.

ახლა ახრასიას გამოსააშკარავებლად თავს იმტვრევდა. უცებ რაღაც გაახსენდა. თურმე ფეხმძიმე ქალებს ატყობს, გოგო ეყოლება თუ ბიჭი. ბევრი არ სრულდება, მაგრამ რაღაც-რაღაცეებს იმიზეზებს და თავის დაძვრენას ახერხებსო. ლუას ცოლი ფეხმძიმედ ჰყავდა, მეშვიდე თვეში გადადგა. „რა კარგია", – გაიფიქრა, –„ ახრასიასთან მივიყვან, ვკითხავ, გოგო ეყოლება თუ ბიჭი და როგორც არ შესრულდება მისი ნათქვამი, კიდეც გამოვიჭერ და აფერისტობაში ვამხილებ", – გახარებული სკამიდან წამოხტა.

ერთი საათის შემდეგ ლუა თავისი ცოლით ახრასიასთან მივიდა, კარი ვენერამ გაუღო.

– ჩემი დედამთილი მამაკაცებს არ ღებულობს, – ლუას ისეთი თვალებით შეხედა, წონა სულ დააკარგვინა და ბუმბულივით ააფარფატა.

– თქვენ ვინ ბრძანდებით? – ლუამ მოჭარბებული არშიყშერეული ცნობისმოყვარეობით ჰკითხა.

– მე მისი რძალი ვარ.

– არა უშავს გენაცვალე, უთხარი, უბნის რწმუნებული ლუა გოგინაშვილიათქო, – იგივე ტონით უთხრა უწონობის მდგომარეობიდან.

– ქალის დანახვაზე ისედაც მცირე ტვინს, სულ დაკარგავ-ხოლმე! – ცოლი გაუწყრა.

– დედამ დამაბარა, მობრძანდესო, ხათრით მივიღებ, თორემ მამაკაცებს არ ვღებულობო, – ვენერამ თვალების ტრიალით მოახსენა და სახლში შეუძღვა.

ახრასია ტახტზე ფეხმორთხმით იჯდა, თავზე თეთრი ხილაბანდი მოეხვია, წინ პატარა მაგიდაზე კარტი ეწყო, ეტყობა სხვა კლიენტები ჰყავდა, ლუას მოსვლის ამბავი რომ გაეგოთ, მეორე ოთახში გასულიყვნენ, ახლა იქიდან ისმოდა მათი ხმადაბალი საუბარი.

– რაზე შეწუხებულხარ, ან რა საჭირო იყო კაცის მოსვლა? – ახრასიამ უკმაყოფილოდ თქვა.

– ეს ჩემი ცოლია. გავიგე, ახრასია მკითხავი წინასწარ იგებს, ბიჭი დაიბადება თუ გოგო, შესამოწმებლად მოვედი.

– რის შემოწმება გინდა?

– მართალს ამბობ თუ არა.

– მე უფალი რასაც მკარნახობს, იმას ვამბობ, შემოწმებაც მხოლოდ უფალს შეუძლია, – ახრასიამ კარტი აიღო და ნერვიულად აურია.

– ამბობენ, ბიჭი დაიბადება თუ გოგო, ახრასია მუცელშივე ატყობსო. აბა ჩემს ცოლს დააკვირდი, თუ ვერ გამოიცანი, ქვეყანას შაგიყრი და მკითხაობას აგიკრძალამ.

– მე შენთვის მკითხაობა სულაც არ მითხოვია და არც არაფერი მაქვს ასაკრძალი. ძალად არავის ვეპატიჟები, აქეთ მეხვეწებიან, გვიმკითხავეო. ტყუილს რომ ვლაპარაკობდე, იმათ თავი არ სტკივათ, ამ ოთახში მე ჩემთვის ვზივარ, არაფრის პრეტენზია არა მაქვს, აგერ კარი, მიბრძანდი, თუ გინდა, ვინც მოვა იქ დაუხვედი და მართალი შენ უთხარ, ვინ გიშლის.

ლუა დაიბნა, უცებ ვერ მოიფიქრა, რა ეთქვა. აგიკრძალავო, რომ შეჰპირდა რა უფლებით? ახრასია თვითონ ეუბნება, მე ძალას არავის ვატან, ნურავინ ნუ მოვაო. ერთი ესენი სცოდნოდა, უფროსთან რომ იყო, თავს ხომ იმართლებდა. არა უშავს, მომავლისათვის გამოადგება.

– ახრას, სამკითხაოდ მოვედი, მაინტერესებს, ჩემს ცოლს ბიჭი ეყოლება თუ გოგო, აჰა, მკითხაობის ფული, – ლუამ მაგიდაზე ათი მანეთი დაუდო.

– არა, გენაცვალე, მე ფულს არ ვიღებ. იგრე კი შემიძლია პატივი გცე და ვცადო, გავიგო, რა გეყოლება.

– აბა ეცადე, – ლუამ დამცინავად წააქეზა.

– გოგო, ერთი აქეთ გაიარე, – ახრასიამ ფეხმძიმე ქალს მიმართულება ხელით აჩვენა.

კედელთან მიდგმულ ძველებურ კარადასთან მოაბრუნა და საპირისპირო კედლამდე ატარა, ასე რამდენიმეჯერ გაიმეორა.

– რას შვრები, ახრას, იგრე დაათოხარიკავებ ამ ფეხმძიმე ქალს, იქნება აქვე მააგებინო; დედალ-მამალში მემრე მეც კარგად გევერკვევი, – ლუა ახარხარდა.

ახრასია მიხვდა, რომ საქმე სახუმაროდ არ იყო, ლუა რწმუნებული შემთხვევით არ მოსულიყო და თვალთმაქცობაში აუცილებლად ამხელდა, რაიმე გადაწყვეტით რომ ეთქვა და არ გამართლებულიყო.

– რა ვქნა, გენაცვალე, ეგეთი შემთვხევა ჩემს დღეში არ შემხვედროია. ვაკვირდები და თვალებს არ ვუჯერებ, იქით მიდის, მუცელში ბიჭსა ვხედავ, – ახრასიამ ხელი კარადისკენ გაიშვირა, – იქიდან მოდის უკვე გოგოა. აქეთ გოგოა, იქით –ბიჭი, ეგ არის ჩემი პასუხი, მეტის თქმა არ შემიძლია.

– ვა, ახრას, ეს როგორ არის, იქით ბიჭი, აქეთ გოგო, – ლუამ გამოაჯავრა.

– ეგ შენი ცოლი წაიყვა და შვილი რომ ეყოლება, მერე გაიგებ, როგორ არის. ფული არ მინდა, მე ფულს არავის ვართმევ, – გადაწყვეტით უთხრა და ოთახში შემოსულ ვენერას ანიშნა, თავისი ათმანეთიანი მიეციო.

ვენერამ ფული აიღო და ცოლ-ქმარი ოთახიდან გაიყვანა. ლუას ცოლი დაწინაურდა, ეზოში შემოსასვლელი კარი გააღო და გარეთ გავიდა.

– ეს ფული აიღეთ, – ვენერამ ათმანეთიანი ნაზად გაუწოდა.

– არა, გენაცვალე, როგორ შეიძლება, მე მკითხაობა მუქთად არ მინდა.

– აუცილებლად უნდა გამომართვა, – ვენერამ ფული შარვლის ჯიბეში ჩაუდო. ლუამ ხელი დააჭირა. წაიძიძგილავეს. ლუამ ამასობაში თეძოებზე ხელი მოუსვა.

– რას მიშვრებით?! – ვენერა გაიბუტა, – განა ეს გეკადრებათ?! – ვითომ გაუწყრა, მაგრამ თეძოებიდან ხელი არ აუღებინებია.

– ხანდახან რომ გამოგიარო, ხომ შეიძლება? – ალუღლუღდა ლუა.

– სად გამოივლი? – ვენერამ ლუას ამღვრეულ თვალებს მოლოდინით სავსე მზერა შეაგება.

– სადაც მეტყვი, თუ გინდა აქ, სამკითხაოდ.

– რომ შებინდდება, გამოიარე, იქნება კიდეც შეგხვდე, – უთხრა და გასასვლელისკენ ხელით უბიძგა, სადაც ცოლი ელოდებოდა.

სანამ ცოლს მანქანამდე მიიყვანდა, ქალმა საყვედურებით აავსო: – ძაღლის ჯიშისავ, შენ საარშიყოდ წამოხვედი და მოწმედ წამომიყვანე, თფუჰ! რატომ ის დღე არ დაიწვა, ცოლად რომ გამოგყევი! – ლუას ცოლი ჯავრობდა, მაგრამ ქმარი ყურადღებას არ აქცევდა, ის მთელი არსებით ვენერასთან შეხვედრაზე იყო გადართული.

როგორც შებინდდა, ლუამ ახრასია მკითხავის ქუჩაზე სიარულს მოუხშირა. გულის ფანცქალით შეჰყურებდა გზის მხარეს გამოღებულ ფანჯარას. რამდენიმეჯერ აიარ-ჩაიარა, იმედი თანდათან ეკარგებოდა. „ალბათ მამატყუა, ცოტას კიდევ მოვუცდი“, – გაიფიქრა.

ეზოდან ვენერა უჩუმრა გამოვიდა.

– აქ რას დადიხარ? – შეეკითხა.
– შენ გელოდები, დავდნი კაცი.
– რა გინდა?
ლუა დაიბნა, რა უთხრას, რა უნდა?
– რა კარგი ხარ, შენთან ყოფნა მინდა.
– მართლა?
– მართლა, ჩემმა მზემ.
– კარგი თუ ვარ ჩემი ქმრისთვის, შენ რა?!
– ცოტა წყალობა ჩემთვისაც გაიმეტე, რა დაგიშავდება.
– ქვეყანა რომ შემიყარო.
– ლუა მოკვდეს, თუ სადმე წამოსცდეს!
– კარგი, რახან ეგრე გულით გდომებია, შორიახლოს მომყევი, – ვენერა წავიდა და ლუა მიჰყვა. ეზოს ბოლოში ხის ღობესთან გააჩერა, შიგნით ხუთიოდე მეტრის მოცილებით საძროხე იდგა.
– როცა სამჯერ დავაკაკუნებ, ღობეზე გადმოხტი, – უთხრა და ისე გაბრუნდა, ლუას პასუხს არ დაელოდა.
ლუა ღობეზე მიყუდებული იდგა და დაკაკუნებას გულის ფანცქალით ელოდებოდა. ნახევარი საათის შემდეგ ნანატრი კაკუნი გაისმა და ისაც ღობეზე გადაფრინდა.
ვენერამ სასწრაფოდ შეიყვანა საძროხეში და მთელი საათის განმავლობაში მამაკაცისადმი ლტოლვის დაუოკებელი ჟინით გააბრუა.
– ფანჯარაში როცა კუკლა დაინახო, იცოდე, იმ საღამოს მოსვლა შეგიძლია, საძროხეში დეგელოდები, – გამომშვიდობებისას გააფრთხილა. ლუაც იმ დღის შემდეგ კუკლის გამოფენას რეაგირების გარეშე არა სტოვებდა.
სასწაული კი მაშინ მოხდა, ლუას ცოლს ტყუპი ქალ-ვაჟი რომ ეყოლა.
– როგორ შამატყო, კაცო! – ლუა გაოცებული იყო. – ბიჭსაც ვხედამ და გოგოსაცო, ეგრე მითხრა და გამართლდა კიდეც. ახლა ახრასიას უნარის პროპაგანდისტი თვითონ შეიქმნა. როგორც სანდო პიროვნება, სამკითხაოდ ხშირად დადიოდა. უყვარდა ვენერასთან ერთად მეზობელ ოთახში ლოდინი, სანამ ახრასია კლიენტებს გაისტუმრებდა. ლუა ახრასიას ოჯახის შინაურ კაცად იქცა. თუმცა საღამოთი ქურდულად საძროხეში შესვლის ნებართვას მაინც ფანჯარაში დადგმული კუკლით იგებდა...

## ვისი იმედი გაქვს, გაბო

**მთელი** ღამე გაბოს მოუსვენრად ეძინა. გამოიღვიძებდა, თავის თავს ედავებოდა, ჩაეძინებოდა და ეს დავა ახლა სიზმარში გრძელდებოდა. ორი გაბო იდგა ერთმანეთის პირისპირ, ერთი მებრძოლი, ყოველგვარი უსამართლობის და უკუღმართობის მიმართ შეურიგებელი. მეორე – თავჩაღუნული მშრომელი, უპრეტენზიო, სარფიანი საქმის მაძებარი და ყოველგვარ ცხოვრებისეულ აღმართდაღმართზე ხელჩაქნეული, მხოლოდ თავისი პირადული ინტერესების თაყვანისმცემელი, ყოველივე სხვა საზოგადოებრივი ინტერესებისადმი გულცივი და უგრძნობელი.
– კარგი, ხეჩოსთან მუშაობას თავი დაანებე, ახლა რის გაკეთებას აპირებ? არტემას წყალობით ნაშოვნი ფულები როდემდის გეყოფა?! – მეორე გაბო პირველს ედავებოდა.

– მაგ ფულს თავმოყვარეობის დაკარგვის სუნი უდის, – პირველი გაბო პოზიციას არ სთმობდა.

– შიმშილმა თავმოყვარეობის დაკარგვა იცის, შენც ხომ მაგიტომ იკისრე ეგ საქმე. თუ არ გერიდებოდა, ქუდჩამოფხატული რატომ იჯექ. გრცხვენოდა, არავინ მიცნოსო, ხომ ეგრეა.

– როდის ვმალავ, ეგრეა, არასწორად მოვიქეცი და ახლა მინდა გამოვასწორო.

– გამოსწორებას როგორ აპირებ? რა გაქვს გადაწყვეტილი? საით წავა შენი მომავალი ცხოვრება, რაიმე საქმეს ხომ უნდა მოეკიდო, მაგრამ რას?

– ჯერ არ ვიცი, ერთი კი მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი, სიმართლის გზაზე ვიარო და უსამართლობას ვებრძოლო.

– ეგ გზა სად არის?

– ყველგან, სადაც პატიოსანი ადამიანი მომავალს იმედით და ენთუზიაზმით აშენებს.

– სად, იმ შენს სატრაქტორო ბრიგადაში?

– თუნდაც იქ.

– მიბრუნებას ხომ არ აპირებ? რაც მოხდა არ დაგავიწყდეს.

– რაც მოხდა, იმის აღმოფხვრაა საჭირო.

– მიაღწევ კი რაიმეს?

– მივაღწევ. იმიტომ, რომ მე მარტო არ ვიქნები, მხარში სუყველა ამომიდგება.

– ვისი იმედი გაქვს?

– ყველასი, ზაქარა ბრიგადირის, პაჭიკოსი, იმათი, ვინც უყურადღებობით ბრიგადიდან გარბიან.

– ბრძოლა მსხვერპლს მოითხოვს, შენ მაგისთვის მზად ხარ?

– თუ ეს საჭირო იქნება, მზად ვარ.

– მე ხელს არ შეგიშლი, მაგრამ ძალიან სუსტი ხარ ძლიერი სატანური უსამართლობის აგორებულ ზვავის წინაშე. დონკიხოტობა უტოპიაა, მაგრამ სიკეთეს ემსახურება და შენც ებრძოლე ქარის წისქვილებს...

მეორე დღეს დილით მტკიცე გადაწყვეტილებით ადგა. მზის ამოსვლას აასწრო. თარსო მხიარულად შეეგება. ეზოში ცოტა ხანს ერთად ითამაშეს. მერე სახლში შევიდა, არტემას ბრიგადაში ნაშოვნი ფული აიღო: – თარსო, შენ სამარცხვინო ძვლის ღრღნას დაეღწიე, ახლა ჩემი ჯერია, მეც გადავაგდებ და ორივე ძველებურად თამამი ბიჭები ვიქნებით, – გაბომ ძაღლს თავზე ხელი გადაუსვა და ალაყაფის კარებისაკენ გაემართა, ძაღლი უკან გაჰყვა.

– ამჯერად სახლს უყარაულე, ამ საქმეს უშენოდ მოვუვლი, – ძაღლს კიდევ მოეფერა და კარები მიუხურა.

ბირჟაზე დროულად მივიდა. არტემა ჩვეულ პოზაში დახვდა, ხეჩო ღობეს მიყუდებოდა; დანარჩენებიც იქვე ჯგუფ-ჯგუფად შეგროვილიყვნენ.

გაბოს დანახვაზე ხეჩომ სიხარულით შესძახა: – ვახ, ცავატანემ, გაბო-ჯან, მოხვედი?! – მიეგება და გადაეხვია.

არტემას ულვაშებში ჩაეღიმა.

– მოვედი, ხეჩო, რომ გამოგემშვიდობო.

– რაშია საქმე, სადმე მიდიხარ?

– არა, მაგრამ... – გაბომ გადაწყვეტით ვერაფერი უთხრა, – აი, ეს ფული რაც თქვენთან გამოვიმუშავე, მინდა შენ დაგიტოვო, – მთელი შეკვრა ხეჩოს გაუწოდა.

– მე რად მინდა?! – ხეჩომ უკან დაიწია, გაკვირვებული არტემაც წამოდგა.

– ხეჩო, თუ ჩემი ძმა ხარ, აიღე, შენს ოჯახს დაუბრუნდი, ისწავლე. თუ გინდა იმუშავე, ოღონდ ეგრე წვალებას შეეშვი. თუ ვინმე უსინდისო პიროვნების მიერ ვინმე იჩაგრება, შეებრძოლე, არაფერი არ დაუთმო; მართალი კაცი ბოლოს გაიმარჯვებს და ყველაფერი გასწორდება.

– ვახ, კაცო, ეს რას ამბობს! – არტემას გაუკვირდა.

– არა, მე ეგ ფული არ მინდა, – ხეჩომ ხელები გაასავსავა.

– თუ არ გამომართმევ, იცოდე, აქვე ცეცხლს მოვუკიდებ. გამომართვი და შენს ოჯახში დღესვე დაბრუნდი, როგორც ძმას, ისე გირჩევ და გეხვეწები! – გაბოს ხმა აუკანკალდა, – მე ეს ფული არა მჭირდება, ისედაც ძალიან ბევრი მაქვს, შენი გულისათვის ვიშრომე, ახლა გამომართვი და გააკეთე, რასაც გეხვეწები.

გაკვირვებულმა ხეჩომ მამას გადახედა, არტემა ტიროდა.

– ეხ, შვილო გაბო, განა მე კი არ ვიცი, რომ ეგრე ყოფნას დიდხანს ვერ გავუძლებთ, მაგრამ გაჭირვებას გამოვექეცი, რა მექნა. ხეჩო, გამოართვი და დღესვე სახლში წადი, მეც მალე მოგყვები. ყველაფერს კარგად რომ ავაწყობთ, გაბო ჩვენთან მივიპატიჟოთ. თუ შევძელით, სიკეთეც ათმაგად გადავუხადოთ. რადგან ეგრეა, გამოართვი შვილო!

ხეჩომ ხელი უხერხულად გაუწოდა. ამ ფულის მოშორებით გაბომ თავი ცაში აჭრილი მერცხალივით იგრძნო, ხეჩოს გადაეხვია, არტემასაც გამოეთხოვა და იქაურობას სირბილით გასცილდა.

## სულელ მართას მანეთი

**ქალაქის** ცენტრალურ ქუჩაზე, სადაც მაღაზიების რიგი ჩამწკრივებულიყო, დილიდანვე უამრავი ხალხი ირეოდა. რაიმეს საყიდლად მოსულები საქმიანად დაფუსფუსებდნენ და იქაურობას მალე სცილდებოდნენ. მოცლილებიც საკმაოდ იყვნენ მედოლე-მეგარმონეები, ნოქრები, უსაქმური მოლაყბეები, გაურკვეველი ყოფაქცევის ადამიანები და, უბრალოდ, დროს მოსაკლავად გამოსულები. აქა იქ ჯგუფებად შეგროვილი ლაზღანდარობდნენ, აქვე იბადებოდა ყოველგვარი ჭორი.

– მართას გაუმარჯოს! – ერთი ასეთი ჯგუფი ხმაურით მიესალმა ტროტუარზე მიმავალ გაურკვეველი ასაკის დედაკაცს, რომელსაც მამაკაცის გაცვეთილი პალტო და შიგნითაც მამაკაცის პიჯაკი ეცვა, თავზე ცისფერი ბერეტი ეხურა, ტყავისყელიანი ჩექმების ბრახუნით მოდიოდა, თან ორივე ხელს დარდიმანდულად იქნევდა.

– მართა, ღილები შაიკარ, არ გაცივდე, – ერთი წაეპოტინა.

– დედაშენს შაუკარ ღილები, შე ვირიშვილო! მართას არა სცივა, – პასუხი ჩააბარა და თან დააყოლა: – მაიტა მანეთი!

– სადა მაქვს, ჯერ სიფთაზე არაფერი ამიღია, – მართას ღილებით დაინტერესებულმა უკან დაიხია.

– შენც კაცი გქვია რაღა, მაშინ მიდი სახაშეში, ჩემი სახელი ახსენე და სამადლოდ ერთ თლაშავოი არაყს ჩაგაცეცხლებენ. მაიტათ, ბიჭებო, მანეთი, ამ ცოლის მონას ჯიბეში ხელს ვერ ჩააყოფინებ, – მართა დანარჩენებს მიუბრუნდა და იმათაც ჯიბეები მოიქექეს.

– აჰა, მართა, ჩემგან ხუთი მანეთი იყოს, – ერთმა თავი გამოიდო.

– ოღრაშ, შენი მათხოვარი ვინ არი, შენ ცოლს მიუტა, გაგიღიმოს, თორე უმაგისოდ ჭიტლაყით გამოგაგდებს. მართას მანეთზე მეტი რად უნდა, ერთი ალალი ქალია. აფსუს, მართა, რა გკადრა ამ შობელძაღლმა, მე მანეთზე მეტის ამღები ვარ?! – რამდენიმე მანეთიანი ჯიბეში ჩაიდო და იქვე გაჩერდა; ხუთი მანეთის პატრონმა უკან დაიწია.

– წადი, შე ტარტაროზის შაქნილო, დაახურდავე რაღა, თუ არ დახარჯე, ეგრე ჯიბეში გაგიცვდება, – ურჩია მართამ.

– მანეთიანიც მაქვს და ხურდა ფულიც, დახურდავება რად მინდა.

– მაშინ, შე უკუღმა მონათლულო, მაიტა მანეთი. ეგ ხურდა კიდევ ქათმებს დაუყარე, სცადე, იქნება აკენკონ.

– ვახ, დილის სიფთაზე არ მამთხარა! – ჯიბეში ხელი ჩაიყო ხუთი მანეთის გამმეტებელმა და მართას დაჭმუჭნული მანეთიანი მიაწოდა.

– ჯიგარი ხარ! – მართამ მანეთიანი ხელით დააუთოვა და ჯიბეში ჩაიდო.

– მართა, სულ ეგრე უნდა იარო? – ერთმა შეეკითხა.

– როგორ დავდივარ, შე ჩემანალა! ვკოჭლობ? დედიშენისამ, ეგეთი „ცარსკები“ შენს ცოლსაც ეცმევა! – მართამ მარჯვენა ფეხი ასწია და ჩექმის ყელზე ხელი დაირტყა; დანარჩენებმა გაიცინეს.

– რა მინდოდა, რაზე გადავკარ ეს ლანძღვა დილის არაყივით, – ღიმილით ინანა გულშემატკივარმა.

მართა საიდან მოვიდა, მშობლები ვინ ჰყავდა, არავინ იცოდა. ზოგი ამბობდა, ახმეტიდან გადმოიხვეწაო, ზოგსაც წნორელი ეგონა; ზუსტად კი მის შესახებ არაფერი იცოდნენ. თვითონ თავის თავს წმინდა გიორგის მოციქულს ეძახდა. ღამეს, ქალაქის განაპირას, ცივგომბორის ფერდობზე მრევლის გარეშე მიტოვებულ წმინდა გიორგის ეკლესიის ერთ ბნელ სენაკში ათევდა. მთელი თავისი ავლადიდება სენაკის კუთხეში ჰქონდა მიყრილი; ძველი ტანსაცმელი იყო მისი საწოლი. ზოგჯერ რომელიმე მოქალაქეს თავისი ინიციატივით ოჯახის საქმეებში ეხმარებოდა, გასამრჯელოს არ ითხოვდა; დახმარების ობიექტს თვითონ ირჩევდა. თუ დასჭირდებოდა, ფულსაც თხოულობდა, ოღონდ მანეთის გარდა სხვას არ ეკარებოდა, მეტ ფულს შეურაცხყოფად იღებდა. იმას, რასაც სხვა მალავდა და ჩურჩულით თანამოსაუბრეს ყურში ეუბნებოდა, მართა მთელს დუნიაზე ხმამაღლა გაიძახოდა და ვაი იმას, ვინც მისი მხილების ქარცეცხლში მოხვდებოდა; არც დაშინებას, არც დარიგებას, არც ცემას და არც შეპირებას არად დაგიდევდა.

მართასთან ლაზღანდარობა ქუჩაში გასართობად მდგარ გართობის მოყვარულებს განსაკუთრებით უყვარდათ. იმიტომ იყო, რომ ასე ხალისით შეხვდნენ მის გამოჩენას.

– ეს ოხრები, ეგრე რომ დაბრძანდებიან ტროტუარზე, ფულის მოცემას არ აპირებენ? – მართამ გამვლელებს თვალი გააყოლა.

– ზოგს შეიძლება არა აქვს, – ერთმა ჩაილაპარაკა.

– ვისაც არა აქვს, იქით მივცემ, შენსავით დამწვარი კი არა ვარ; თქვენ მითხარით, ფულიანი ვინ არის.

ახლა თანამოსაუბრეები გამვლელებში ნაცნობებს არჩევდნენ ან ისეთს მიუსევდნენ, რაიმეთი რომ გამოირჩეოდა.

– მაიტა მანეთი! – მართა მსხვერპლს გამოეკიდებოდა, ზოგი აძლევდა, ზოგი გაურბოდა, ზოგი ეჩხუბებოდა; მაყურებელი სიცილით იჭაჭებოდა.

– ეგ შობელძაღლი, ქონებას ეგრე რომ დასჯდომია, ვინ არის, რა კაცია,

მითხარით, ერთი ქვეყანა შავუყარო, – მართა თავის წამქეზებლებს მიუბრუნ-და, როცა ერთმა გაბღენძილმა კაცმა უხეშად მოიცილა.

– საკონსერვო ქარხნის დირექტორია, ფული ჩეჩქივით აქვს, თანაც ბუღალ-ტერ ტასიკოს ყვარობს, – მიიღო დახასიათება.

– ჩათლახ, ჩათლახ! – მართა იმ კაცს გამოეკიდა, – ნაქურდალი ფული ყელამდე გაქვს და მანეთი არ გემეტება. ბუღალტერ ტასიკოს ხომ კარგად ყვა-რობ; ის ბოზი ფულით ვერ გაგიძღვია?

კაცმა ფეხს აუჩქარა, მართა გამოეკიდა და ყვირილით მთელი ქუჩა შეუყა-რა. ხალხი მაღაზიებიდან გამოეფინა და სიცილით უყურებდნენ. კაცმა სასწრა-ფოდ ამოიღო მანეთიანი, მართას მიუგდო და იქაურობას ჩქარი ნაბიჯით გას-ცილდა.

– ვერ დავაზანყე?! – თავის ჯგუფს მოახსენა მართამ.

ამ დროს გაბომ ჩაიარა.

– ბიჭი, მაიტა მანეთი! – მართამ გაქეზების გარეშე მიაძახა.

გაბო მაშინვე შეჩერდა. ჯიბე მოიჩხრიკა და სამმანეთიანი ამოიღო. მართამ როგორც ეს ფული დაინახა, ისე აიჯაგრა, თითქოს კატა ძაღლს გადაეყარაო.

– ამის მეტი არა მაქვს, მაღაზიაში შევალ, დავახურდავებ და ახლავე მოგი-ტან, არ წახვიდე, – უთხრა და იქვე სასურსათო მაღაზიაში შევიდა.

– ვითომ არ მომატყუებს? – მართამ იკითხა.

– ვნახოთ, სად წავა.

– ვინ არის?

– ერთი ობოლი ბიჭია, ორი წელიც იქნება, რაც დედა მოუკვდა, ახლა აქა-იქ ხელის მუშად დაჰყავთ; პატრონი არავინ ჰყავს.

– საწყალი, ხომ არა შია? – მართამ მოიწყინა.

გაბო მაღაზიიდან მანეთიანით გამოვიდა.

– აჰა, – მართას მიაწოდა.

– შენ დაგრჩა? – მართამ თანაგრძნობით ჰკითხა.

– როგორ არა, ორი მანეთი.

მართამ პალტოს ჯიბეში ხელი ჩაიყო და ერთი ბღუჯა მანეთიანები ამოი-ღო.

– შენი იყოს, ხვალე გამოიარე და კიდევ მოგცემ; გამომართვი, ვითომ დე-დაშენი ვყოფილვარ, – მართას თვალებზე ცრემლი მოადგა.

გაბოს ამის შემხვედვარეს გულში რაღაც ჩასწყდა, მეხდაცემულივით იდგა, ხმის ამოღება ვერ მოახერხა, გაფითრდა.

– რა მოგივიდა, ბიჭო, წყალი ხომ არ მოგიტანო? – შეწუხდა მართა.

– არ მინდა, ეგ ფული შეინახე.

– გამამართვი, გულით გეუბნები.

– არ მინდა, თუ დამჭირდება, გეტყვი.

– კარგი, როცა დაგჭირდეს, აქ მამძებნე.

დაბნეული გაბო ქუჩის მეორე მხარეს გადავიდა. „საიდან აქვს ამ სულელ ქალს ამხელა გული?“ – გაიფიქრა, – „ნეტავ შეიძლებოდეს მისი საღი ცხოვრე-ბისაკენ მობრუნება, ცოდო არ არის, რომ ასეთი ნაზი სულის არსება ადამიანე-ბის ბოროტი გართობის ობიექტად გამხდარა?!“

ტროტუარზე ქოსმენივით ნაპატიებმა ტიგრანა ძმანაშვილმა ჩაიარა.

– ეგ ვინ არის? – იკითხა მართამ. – მანეთს არ მამცემს?

– რაიკოოპერატივის უფროსია, ფული ოხრად აქვს, ტიგრანა ჰქვია, – გან-

მარტება მიიღო.

– ტიგრან, მაიტა მანეთი! – მართა გამოეკიდა.

– წადი, წადი, დაიკარგე, შე მაწანწალავ! აქ რას მაიმუნობ ცირკის ჯამბაზივით! – ტიგრანამ ხელი აუქნია.

– დედიშენისამ, ჯამბაზი, ღორს არა გევხარ?! მუქთა განავალზე გასუქებულო! – მართა თავის ამფსონებს მიუბრუნდა. – მაგაზე რამე მითხარით, დედა უნდა ვუტირო.

– ლამაზი ცოლი ჰყავს, მაყვალა ჰქვია, ზოსიმე ჭრელაშვილს ყვარობს. ერთმანეთს მაგის გარაჟში ხვდებიან. მაყვალა ბიბლიოთეკაში მუშაობს, ზოსიმეს პაემანს იქ უნიშნავს, – ინფორმაცია მაშინვე მიაწოდეს.

– რქებიანო ღორო, რქებიანო ღორო! – მართა ტიგრანას გამოეკიდა, – შენი ბოზი ცოლი, მაყვალა, დღისით ბიბლიოთეკაში ზოსიმე ჭრელაშვილს რომ ეკურკურება, ღამე უკიდევ შენსავე გარაჟში უგორდება, არ იცი? საიდან უნდა იცოდე, დედალმაშო! საწყალ მართასათვის ერთი მანეთი არ გემეტება.

– რას ამბობს ეს შობელძაღლი! – ელდანაცემი ტიგრანა მოუბრუნდა, – დედას გიტირებ, ცემით გაგხეთქამ!

– ბოზი ცოლის პატრონო! მაყვალა გარაჟში ზოსიმეს რომ ჰყავს ფეხებაწეული, ცემით ის გახეთქე, ჩემთან რა გინდა?!

– შე გათახსირებულო! – ტიგრანამ წიხლი გამეტებით ამოჰკრა.

– ვაი, რა მიყო! – მართა აყვირდა. მთელი ქუჩა შეიყარა. – ამ უნდილს ვეუბნები, რომ მისი ბოზი ცოლი, მაყვალა, ბიბლიოთეკაში რომ მუშაობს, ღამღამობით ზოსიმეს ჰყავს ამოდებული და კახპასავით ხმარობს, ეს კი მადლობის მაგიერ მცემს, აბა ეს კაცია?! მე რა ვიცოდი, თუ დედალი ქმრის ნებართვა ჰქონდა! – მართა ყვიროდა, ხალხი ხარხარებდა.

გაბრაზებული ტიგრანა მივარდა და სახეში მუშტები დაუშინა; ხალხი სიცილით იჭაჭებოდა. გაშველება ან მიხმარება არავის უცდია. მართამ სახეზე ხელები აიფარა, გაქცევა სცადა, მაგრამ ტიგრანამ დაიჭირა და უწყალოდ ურტყა.

– მაგისი რა ბრალია, შენ გარაჟში მაყვალას აჩაჩხულ ფეხებს მიხედე! – ვიღაცამ დაიძახა.

ტიგრანა ამან უფრო გააცოფა.

მართა წაბარბაცდა და ჩაიჩოქა. ის იყო ტიგრანას წიხლი უნდა ჩაეცა, რომ მის წინ გაბო კედელივით აიმართა.

ტიგრანამ ხელი სტაცა, მოცილება უნდოდა, მაგრამ ძვრა ვერ უყო.

– ეს ვიღა ოხერია, მამწყდი თავიდან! – უყვირა, – იგრე უნდა ვცემო, აქეთ გამოვლა ვეღარ გაბედოს!

– რაც იკადრე, ეგაც სირცხვილად შერჩეს შენს ნამუსს, ხელს ვეღარ დააკარებ, იცოდე! – გაბომ ავისმომასწავებელი მუქარით გააფრთხილა.

– ეს ვიღა ლაწირაკია, გადაიკარგე აქედან! – ტიგრანამ პერანგზე ხელი მოსჭიდა და თავისაკენ მოქაჩა.

გაბომ მაგრად ჰკრა ხელი, ტიგრანა უკან გადაქანდა, ვიღაცამ ხელი შეაშველა, რომ არ წაქცეულიყო.

– ვახ, ხა, ხა, ხა! – ხალხი ხარხარებდა.

რამდენიმე კაცი ტიგრანასთან მივიდა და გაწბილებლი მოჩხუბარი ძალათი წაიყვანეს.

მუხლებზე დაჩოქილი მართა ორივე ხელით ცხვირიდან და ტუჩებიდან გამოჟონილ სისხლს სახეზე იგლესდა.



– აჰა, ამით მოიწმინდე, – გაბომ თავისი ცხვირსახოცი მიაწოდა. მართამ გამოართვა და ისევ უკან დაუბრუნა: – დაისვრება, – უთხრა.

– არა უშავს, დაისვაროს, მოიწმინდე.

ხალხი ნელ-ნელა გაიფანტა, ყველამ თავის საქმეს მიაკითხა; შეგროვილი უსაქმურებიც მიიმალნენ.

მართა ფეხზე ძლივს იდგა.

– ახლა სად წახვალ? – გაბომ ჰკითხა.

– არ ვიცი.

სახლი არა გაქვს?

– როგორ არა, წმინდა გიორგში.

გაბო ვერ მიხვდა, ეგონა, სიკვდილს ნატრობსო.

– ბოლოს ყველა იქ მივა, მანამდე კი სიცოცხლეა საჭირო.

– ჰოოო! – მართას გაუკვირდა.

– ჩემთან წამოდი, დაიბანე, დაისვენე, მერე სადაც გინდა წადი.

– არ გამაგდებ?

– არა. ერთი თარსო მყავს, ძალიან კეთილი ძაღლია, პირიქით, გაუხარდება; მარტო მოწყენილია, – გაბომ მართას ხელი გამოსდო და ნელი ნაბიჯით წაიყვანა. გართობის მოყვარე ობივატელები ცნობისმოყვარე მზერით მიაცილებდნენ.

თარსო ორივეს კუდის მხიარული ქნევით შეეგება.

– თარსო, ამიერიდან ამას არ უნდა ერჩოლო! – გაბომ უბრძანა. – ჩვენიანია.

მართამ სისხლიანი პალტო და პიჯაკი გაიხადა; გაბომ საპონი გამოუტანა, ხელ-პირი დააბანინა.

მართას მარცხენა თვალი ცოტათი ჩალურჯებოდა და ქვედა ტუჩი შესიებოდა.

– წამო, სარკეში ჩაიხედე, – გაბო სახლში შეუძღვა.

– უყურე, რა მიყო მაგ ცოლბოზიანმა! – მართამ გასიებულ ტუჩზე ხელი მიიდო.

– იბანავებ? – ჰკითხა გაბომ.

მართამ მხრები აიჩეჩა.

– მოდი აქ, – სახლის გვერდით მოწყობილ აბანოში შევიდნენ. გაბომ ონკანი მოუშვა, წყალი მოდიოდა. – აქ იბანავებ, სახლში მაცივარში საჭმელია, თუ მოგშივდა. მე და თარსო გავისეირნებთ, უჩემოდ არ წახვიდე. თუ აღარ მოიცდი, გასაღები კარების წინ აგური რომაა, იმის ქვეშ ამოდე; მარტოს ხომ არ შეგეშინდება?

– მართას შიში ვინა თქვა. აჰა, ფული, დაგჭირდება, – ერთი მუჭა მანეთიანები მიაწოდა.

– შენ გქონდეს. მე ცხოვრებას უფულოდაც ვახერხებ.

– ვააა! ეს ვინ ყოფილა, ეეე! – მართას გაუკვირდა.

– მე წავედი, არ შემარცხვინო!

– მოკვდეს მართა! – ხელი მკერდზე დაირტყა და ქუჩამდე გააცილა.

– თარსო, წამოდი, ნელის გავუაროთ, სამეგრელოდან იქნებ ჩამოვიდა; ამდენი ხანი უნახავად არ გენაღვლება?

ნელის ქუჩაზე რამდენიმეჯერ გაიარ-გამოიარეს. არავინ ჩანდა. – ასე არაფერი გამოვა, – გაბომ თქვა და ალაყაფის კარებზე დააკაკუნა.

ნელის მოხუცმა ბებიამ ვერ იცნო.

– ვინა ხარ, შვილო, ვის კითხულობ?

– მე ნელის ამხანაგი ვარ, მაინტერესებს, ჩამოვიდა თუ არა, წიგნი უნდა მეთხოვნა.

– ეხ, თავისმა დედამ ქალაქიდანვე სამეგრელოში გააქცია. მეც ძალიან მინდა მისი ნახვა, მაგრამ ვინღა მანებებს, – მოხუცმა მოიჩივლა.

„ნეტა რა იცის, რომ უმისოდ ჰაერი არ მყოფნის“, – გაბომ გაიფიქრა და მოხუცს გამოემშვიდობა.

– ვინა ხარ, შვილო, რა ვუთხრა, ვინ მოგაკითხა-მეთქი?

– გაბო ვარ, გაბო ცისკარიშვილი, ნელის თანაკლასელი.

– იიმე, შენ გაბო ხარ? – მოხუცმა გაიკვირვა. რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ გადაიფიქრა. – კარგად იყავი, შვილო, როგორც ჩამოვა, ვეტყვი და გნახავს; მე გინდა არ ვუთხრა, მაინცა გნახავს, – დაუმატა, შორიდან პირჯვარი გადასწერა და უკან ვიშვიშით გაბრუნდა. – უიმე ქა, გაგონილა? ი გოგო თვალით აღარ უნდა დამანახონ?!

მოხუცმა რა იცოდა, რომ მშობლები ნელის ჩამოყვანას ერიდებოდნენ, რათა გაბოსთან შეხვედრის შემთხვევაში ყარამანის ვერაგობით შენელებული ძალადობის მსხვერპლი არ გამხდარიყვნენ.

არც გელა და შალვა ჩამოვიდნენ, საზაფხულო არდადეგებზე სტუდენტურ სამუშაო ბრიგადაში დარჩენილიყვნენ.

სახლში რომ დაბრუნდა, მართამ ყველაფერი დაწკრიალებული დაახვედრა; თვითონაც ებანავა.

– საჭმელი არ გინდა? – მზრუნველი ადამიანის ტონით ჰკითხა.

– მინდა კი არა, ისე მშია, ლამის ხორცზე ვიკბინო, – გაბომ სიცილით უპასუხა.

– აბა სახლში წამოდი.

მართას მაღაზიაში გასვლა მოესწრო, მთელი ჩანთა კონსერვები და ძეხვი მოეტანა; ეს იყო მისი ყოველდღიური საჭმელი, ბევრის მოტანით გამოხატა თავისი პატივისცემა და ობოლი ბიჭისადმი ზრუნვა.

– მეცა მშიოდა, შენ გელოდებოდი, – თქვა და ძეხვს დიდი ნაჭერი მოატეხა.

– მოიცა, სუფრა გავშალოთ.

– ჯერ ვჭამოთ და მერე გავშალოთ, – მართამ გაბოს ძეხვის მოზრდილი ნაჭერი და პური მიაწოდა.

– კარგი, რახან ეგრე გინდა, – გაბომ გამოართვა.

თარსო ტუჩების ლოკვით შეჰყურებდა.

– ამასაც შია? – მართამ იკითხა.

– ეგაც ჩემს დღეშია. შენ აჭამე. მიგეჩვევა. თუ მე არ ვუთხარ, ისე შენს მიწვდილს არ შეჭამს.

– ვინა ყოფილა, ე! – მართამ გაიკვირვა და ძეხვის ნაჭერი მიაწოდა.

თარსომ ტუჩებზე ენა მოისვა და გაბოს გახედა.

– გამოართვი, თარსო, ჩვენიანია, – გაბომ ნება დართო.

თარსომ ძეხვის ნაჭერი ფრთხილად გამოართვა და ყბის რამდენიმე მოქნევით გადაყლაპა.

– ეს რა ჭკვიანი ვინმეა ე, ზოგ ადამიანსა სჯობია; კონსერვსაც ჭამს?

– ყველაფერს ჭამს, ადამიანივითაა.

მართამ კონსერვი გაჭრა და ქილით დაუდგა.

– თეფშზე დაუსხი, შეიძლება ტუჩი გაიჭრას.

– მართლა, ე, – მართამ მეორე ქილა გახსნა და თეფშზე დაუსხა.

თარსო გემრიელად შეექცა.

– პურსაც ჭამს?

– ჰო, თეფშზე ჩაუმტვრიე და ზედ კონსერვი დაუსხი.

მართას თავისი თავი დაავიწყდა, თარსოსთვის საჭმლის მომზადებით ისე გაერთო.

– თავზე ხელი გადავუსვა?

– ჯერ არა, ცოტა მიგეჩვიოს.

– ჩემი ძმა ხარ, აი, თარსო, ნახე, როგორ გაგასუქო. წმინდა გიორგშიც წაგიყვან. ხომ გამატან? – გაბოს ჰკითხა.

– თუ კარგად მოიქცევი, გაგატან.

– შე ოხერო, ჩემი ცუდად მოქცევა ვინა თქვა.

– ჰოდა, მაშინ თარსო თვითონ გამოგყვება.

– ჯიგარი ხარ! – გაბოს მხარზე ხელი დაარტყა.

დრო მხიარულად გაატარეს.

შებინდდა...

– ახლა მე წმინდა გიორგში წავალ, – მართამ პიჯაკი ჩაიცვა და ხელში პალტო აიღო.

– წმინდა გიორგში შენი მტერი წავიდეს, ჯერ სამაგისო რა გჭირს! – სიცილით უთხრა გაბომ.

– ჩემი სახლი იქ არი, თუ გინდა ერთხელ გაჩვენებ.

– დედაჩემი იქ მარხია. ხშირად მივდივარ-ხოლმე სანახავად.

– მართლა? მაჩვენე ერთი, იგრე გავაწკრიალო რომ! – ახლა წავედი.

– სად მიხვალ?

– წმინდა გიორგში.

– ხუმრობ?

– არა. ეკლესიაში ერთი პატარა ოთახი მაქვს, სულ იქ ვიძინებ-ხოლმე; ბარგიც იქ მაქვს.

– მოდი აქ, – გაბომ მართა შუშაბანდის გვერდით პატარა ოთახში შეიყვანა. – ეს შენი ოთახი იქნება. სახლის გასაღებიც ხომ იცი, სად დევს; არც ძაღლი გერჩის. როცა გინდა, მოდი და ადამიანურად დაიძინე, მაგ ოთახში არავინ შეგეცილება; თუ არ მოგწონს, სადაც გინდა იქ მოეწყე.

– ვიშ, რა კარგია! მაშ წმინდა გიორგში აღარ წავიდე?

– ჩათვალე, რომ სახლი გაქვს. სადაც კარგად იგრძნო თავი, იქ იყავ, ეკლესიაში მარტო ცოდვა ხარ. მე მალე მუშაობას დავიწყებ. როცა გინდა მოდი, თუ მოგეწონა, სულ აქ იცხოვრე, არავინ გიშლის.

– ვააა! ეს ვინა ყოფილა ე! ცოდო არა ხარ, ობლად რომ დარჩი?

– რა ვუყოთ, ამას ვინ უშველის.

– მე მოგხედავ შენც და დედაშენის საფლავსაც; დედასავით მოგივლი. ეს ძაღლი კი ჩემი ძმა იქნება. დედას ვუტირებ ყველას, მაიცადონ, მე არ მეზარება. დედაშენის საფლავი რა ადგილას არი?

– ერთხელ გაჩვენებ. ქვითკირის ღობესთან, შესასვლელიდან მარცხნივ პირველია, ჯვარზე ანიკო ცისკარიშვილი აწერია; უბრალო რკინის ღობე აქვს შემოვლებული.

– წავედი. მოვძებნი, როგორმე ვიპოვნი.

– საჭმელი მაინც წაიღე.

– აქ არ არის. როცა მამშივა, ვჭამ. მოგიტან კიდეც. იმ ჩემ ოთახს ხელი არ

ახლო! ეს ჩემი ძმაა. ხომ არ მიკბენს, მარტო რომ მოვიდე?

– არ გიკბენს, უკვე შინაურად გთვლის.

– დედას ვუტირებ. აგრე გავასუქო, იქნებ წმინდა გიორგშიც გამამყვეს. კარგად იყავ, უჩემოდ არ მაიწყინოთ! – მართა ხელის ქნევით და ხტუნვა-ხტუნვით წავიდა.

## კანონის მღრღნელები

**ᲒᲐᲑᲝ** კიბეზე ჩამოჯდა და ფიქრებს მიეცა. „საწყალი თავის დროზე ადამიანურად რომ მოეპყრობოდნენ, შეიძლება ასე არ გაველურებულიყო. ადამიანს თუ სადმე სუსტი ადგილი შეატყეს, მიხმარების ნაცვლად, ისეთ დღეში ჩააგდებენ, შეიძლება ჭკუიდან გადააცდინონ. ალბათ, მართაც ასე იყო, ვინ იცის, რა სულიერი ტარვმა აქვს გადატანილი. იმის მაგიერ, რომ მხარში ამოსდგომოდნენ და მწუხარება შეემსუბუქებინათ, პირიქით, ალბათ, ბოროტი გართობის მოყვარულებმა უარესი უყვეს და საბოლოოდ ჭკუაზე შეშალეს. მისი ამქვეყნიური სადი ცხოვრებისაკენ მობრუნება უნდა მოხერხდეს. როგორი კეთილი და მგრძნობიარე გული აქვს. ალბათ, სწორედ მაგ მგრძნობიარობამ დაღუპა საწყალი. უხეში სინამდვილე ხომ პირველ რიგში ნაზ და სათუთ სულებს სპობს“. ამგვარ ფიქრში ჩამობნელდა. ახლა თავისი თავი გაახსენდა. რა ქნას? ახალი ცხოვრება საიდან დაიწყოს? სად იმუშაოს? ხელი რას მოჰკიდოს? ვერაფერი ვერ გადაუწყვეტია, ფული აღარ აქვს, მთელი დღე თარსოსთან სეირნობის დროს ის ორი მანეთიც დახარჯა. სამუშაოს შოვნამდე რაღაც უნდა იღონოს. იქნებ რაიმე აქვს რომ გაყიდოს. ოთახში შევიდა, გასაყიდი ვერაფერი მოძებნა. თავისი ახალი ჯინსის შარვალი გაახსენდა, ელენე დეიდამ დაბადების დღეზე რომ აჩუქა. მხოლოდ ერთხელ ეცვა. „კარგია, დეიდას არ გავაგებინებ, როგორც კი ფულს ვიშოვნი, სწორედ ამნაირს ვიყიდი“, – გაიფიქრა და შარვალი გაზეთის ქაღალდში გაახვია.

კვირა დილით ადრე მართამ მოაკითხა, თარსოს აჭამა, ძაღლი საბოლოოდ მიეჩვია. გაბო ბოდბისხევის ბაზარში წავიდა, იქ სიარული არ უყვარდა, ამიტომაც რაღაც უცნაური მოეჩვენა გაბრაზებულ ფუტკრის სკასავით აზუზუნებული უამრავი ყველა ჯურის, ფერისა და ხასიათის ხალხის თავშეყრა.

უზარმაზარ ხევში პირუტყვის გასაყიდ მოედანს ჩაუარა. ცხენის და ვირის ორთვალები, ურმები, ფორნები, მანქანები ერთმანეთში იყო არეული. ხალხის ხმამაღალი ლაპარაკი, ყვირილი, პირუტყვის ბღავილი, ღორების ჭყივილი, ქათმების კრიახი, მანქანების საყვირის ყურის მჩხვლეტავი ყვირილი ერთ მთლიან გუგუნში გადაზრდილიყო და ბაზრის თავზე სულისშემხუთავ, მძიმე ნისლად ჩამოწოლილიყო. ხევის პირას ქვითკირის კედლით შემოღობილ ბაზრის მეორე ნაწილში შევიდა. კედლის გასწვრივ მაღაზიები იყო ჩამწკრივებული. მთელს ტერტორიაზე გადახურულ დახლებზე უამრავი პროდუქტი ეწყო; ხალხი ბუზივით ირეოდა. ციგნებს და მჭედლებს თავიანთი ნაკეთობა ზედ გზაზე გაეშალნათ: ჯაჭვები, წალდები, ნალები, თოხები და მრავალი ამგვარი წვრილმანი.

„ნეტავ ჩემი ჯინსის გაყიდვა სად შეიძლება?“ – გაიფიქრა და ადგილის ძებნა დაიწყო.

ბაღჩეულის, ბოსტნეულის, მარცვლეულის და ვინ იცის, კიდევ რის გასაყიდი რიგები მოიარა. რა ქნას, ვის შესთავაზოს თავისი ჯინსი? აგერ, ერთგან ვიღაც კაცი სახლში კუსტარულად შეკერილ ჩუსტებს უჩუმრა ყიდის. ერთი წყვილი

ხელში უჭირავს, დანარჩენი ჩანთით დახლის ქვეშ დაუმალია. სანდო პირებს არჩევს და ჩურჩულით ეუბნება: – კარგი, ლამაზი ჩუსტები არ გინდა?

გაბოსაც ამავე კითხვით მიმართა.

– არა, მე ჯინსის შარვალი მაქვს, ხომ არ გინდა?

– მაგას აქ ვერ გაყიდი, ბოლოში წადი, მთავარი შემოსასვლელის გვერდით, მარცხნივ დიდი აკაკის ხის ქვეშ ხალხი რომ დგას, იქ იკითხე, აუცილებლად გაიყიდება, – დაარიგა.

მართლაც დიდი აკაკის ხის ქვეშ უამრავი ხალხი შეკრებილიყო. პირდაპირ მიწაზე ორ რიგად ჩამწკრივებული იყვნენ ნახმარი ნივთების გამყიდველები; საქონელი წინ ეწყოთ.

გაბო აკაკის ხეს მიეყუდა და ცნობისმოყვარედ გადახედა დანგრეულ ბუდის ჭიანჭველებივით მოფუსფუსე ხალხს; მათში ზოსიმე ჭრელაშვილი მეძებარი ძაღლივით დაძვრებოდა, სამოქალაქო ტანისამოსში გადაცმული მყიდველის შთაბეჭდილებას სტოვებდა. ერთი შეხედვით თითქოს მარტო იყო, მაგრამ კარგად რომ დააკვირდა, ორი ბიჭი შენიშნა, რომლებიც ზოსიმეს დროდადრო ხვდებოდნენ, რაღაც დავალებას იღებდნენ და მერე ცალ-ცალკე დადიოდნენ.

ზოსიმემ იღლიაში ჩანთაამოდებულ კაცს ხელი გამოსდო და აკაკის ხისკენ წაიყვანა. გაბო მეორე მხარეს ამოეფარა.

– როგორ გაქვს საქმე, „ფარჩა", დღეს როგორი საქონლით მოხვედი, გაქვს რამე? – როგორც კი განმარტოვდნენ, ჰკითხა.

– ღვთის წყალობით ყველაფერიც გვაქვს. რა „შმოტკა" გინდა, ფარჩამ ვერ იშოვნოს.

– ვაჭრობა კარგად მიდის?

– როგორ არა, მიდის, იყიდება. ხომ იცი, მუშტრის გამოჭერის ალღო მაქვს. ეშმაკურად ვიქცევი, ვითომ შენი მეშინია, გერიდები. იქ კი, ჩვენ რომ ვიცით, იმ კაცის სახლში გაძრიალებული ვაჭრობაა. ძმაკაცი იქ მყავს, ვინც ჩანგალზე მოდის, იქ ვაგზავნი. ამათ რა იციან, ბაზარი იქაა, – „ფარჩამ" მოფუსფუსე ბრბოს გადახედა და დამცინავად ჩაიხითხითა. – დღის ბოლოს გნახამ, შენთვის კარგი რამეები ცალკე მაქვს გადანახული; რაც მეგეწონოს აარჩიე, ალალი იყოს, კარგი კაცი ხარ.

– მიდი, იმუშავე, ნურაფრის შიში ნუ გექნება! – ზოსიმემ „ფარჩა" გაუშვა და მისი მსგავსი რამდენიმე აკაკის ხესთან მიიყვანა.

– დღეს რა გაქვს გამოტანილი „ნამჯავ"? – ერთ აყლაყუდა წელში ამოკვანტილ კაცს ჰკითხა.

– რას კითხულობ, შენ ხილი იხილე. იგეთი ფეშქაში მოგიმზადე, ვერაფრით დამიწუნებ. მანქანის კარები არ დაკეტო, შიგ ჩაგიდებ; ჩემმა მზემ, კუკლა რამეა.

– რა არის, აღარ იტყვი?

– მაგარი ტელევიზორია, „ჯივისი", სპორტული ჩამადნის ხელაა, მანქანაში სახმარად შეუდარებელია; ნახე, როგორ ვზურნავ შენზე.

– მეც რომ შენზე კარგად ვზრუნავ, – ზოსიმე ვალში არ დარჩა.

– ეგრეა, შენი ჭირიმე, ერთმანეთი უნდა გავიტანოთ. ახლა მე წავედი, ბევრი საქმე მაქვს, – „ნამჯა" აკაკის ხეს ფრთხილად მოსცილდა და ხალხის მასაში გაერია. ზოსიმეც მათ შორის ენერგიულად დატრიალდა.

გაბო საფარიდან გამოვიდა და ხეს ზურგით მიეყრდნო. ჯინსის გაყიდვის სურვილი გაუქრა. „თურმე რაში ყოფილა საქმე", – ფიქრობდა, – „ყველა სპეკულანტი ზოსიმეს ძმაკაცია, ძმაკაცი კი არა, თანამოსაქმე, დაახლოებით ისეა

ძაღლს მგელი რომ შეუთანხმდეს: მე ცხვრის ტყავს ჩავიცმევ, მათში გავერევი, ნადავლი კი უჩუმრა გავიყოთო. უსინდისო და არამზადა ძაღლი, ან რომელსაც სისხლში მგელი უყმუის, არც იმას მოერიდება, რომ მგლობა ცხვარს დააბრალოს და მგელთან ბრძოლის საქმედ ჩაითვალოს. ზოსიმე მაღალი ჩინის მილიციონერია, მექრთამეობა, სპეკულაციის, გაფლანგვა-დატაცებას ებრძვის, საზოგადოებრივ ქონებას იცავს. სასაცილო ის არის, რომ ყველაზე დიდი მექრთამე, სპეკულანტი, დამტაცებელი და მომხვეჭელი თვითონაა. დრო და დრო საპატიო სიგელებითაც აჯილდოვებენ, ბოლოს კი მაღალ პენსიას დაუნიშნავენ და ამ ცხოვრების ყველა უპირატესობას აზიარებენ. ამგვარი პარაზიტების ხელში ქვეყანას რა ეშველება?!“, – გაბო ფიქრობდა და უკვე ნაცნობ, ხალხში გარეულ სპეკულანტებისა და ზოსიმეს ფუსფუსს აკვირდებოდა.

აგერ, ზოსიმეს ის ორი ბიჭი ისევ შეხვდა, ცოტა ხანს იჩურჩულეს, მერე დაიშალნენ.

ხეზე მიყუდებულ გაბოს ზოსიმემ თვალი მოჰკრა, იღლიაში ქაღალდში გახვეული საგანი რომ ჰქონდა ამოჩრილი.

– „ოჰო, რაღაცაშია საქმე. ეტყობა, ან იყიდა, ან გაყიდვა უნდა, ორივე შემთხვევაში ტაშხოშიანად ავკიდებ სპეკულანტობას; ახლაც უშველოს გიორგი საყვარელიძემ“. – ზოსიმემ კმაყოფილებით ხელები მოიფშვნიტა.

– გასაყიდი ხომ არაფერი გაქვს? – ვიღაცამ ფრთხილად ჩასჩურჩულა.

– ჩემი ჯინსის შარვალია, ფული მჭირდება და... – გაბომ ველარ თქვა, რომ გაყიდვა ენანებოდა.

– რამდენი მოგცე?

– არ ვიცი, – გაბომ მხრები აიჩეჩა, – ერთხელ მეცვა, მაღაზიაში ვიკითხოთ, რაც ღირს, ნახმარობისას გამოგიკლებ.

ამ სცენას ზოსიმე შორიდან უთვალთვალებდა. ისე ეჩქარებოდა გაბოს დროულად გაკოჭვა, ველარ მოითმინა და თავზე დაადგათ.

– რაშია საქმე? – მკაცრად იკითხა.

– ჯინსის შარვალს ყიდის. – კლიენტმა უპასუხა.

– სპეკულანტია?

– ალბათ, აბა აქ ჯინსის შარვალს სხვა ვინ გაყიდის, – იმავე ბიჭმა უპასუხა.

– აბა, წამომყე! – ზოსიმემ გაბოს უბრძანა.

– სად უნდა წამოგყვე, ჩემს ჯინსსა ვყიდი.

– წამოდი, წამოდი! იქ გავარკვევთ, რასაც ყიდი, – ზოსიმემ ხელი სტაცა.

– შენ სადაც გინდა იქ გაარკვიე, მე დიდი ხანია გარკვეული მაქვს, – გაბომ ხელის აქნევით ზოსიმესგან გაინთავისუფლა თავი.

– ამას უყურე, წინააღმდეგობას ბედავს, მიდი, რწმუნებულს დაუძახე! – გაბოს რომ ევაჭრებოდა იმ ბიჭს უბრძანა, ისიც მაშინვე გაიქცა; მალე ლუას თანხლებით დაბრუნდა.

– ეს არის? – ლუამ რიხით იკითხა, – ამას ხომ კარგად ვიცნობ, ძველი ხულიგანია; ახლა სპეკულანტობაც დაიწყო? მე შენ გიჩვენებ სეირს! – გაბოს ლუა, ზოსიმე და ის ბიჭი დაეჭიდნენ და გაათრიეს. წინააღმდეგობას აზრი არ ჰქონდა, გაბო თავისი ნებით გაჰყვათ. ბაზრის თავში, სადაც ადმინისტრაცია სასწორებისა და სხვა ინვენტარის გაცემას აწარმოებდა, ორსართულიან შენობაში მილიციის სამორიგეო იყო მოწყობილი. დაბლა, ეზოში აკაკის ხის ქვეშ გამართულ ძელსკამზე სამი კაცი იჯდა; გაბოც იქ მიიყვანეს.

– კიდევ ერთი სპეკულანტი გაება, – ზოსიმემ სკამზე მსხდომებს მხიარუ-

ლად უთხრა.
— რა ჩიტია? — ერთმა იკითხა.
— დამსახურებული ხულიგანი და ქურდი. ერთხელ ვიღაც-ვიღაცეების ჩარევით დაგვიძვრა, ახლა ორივე ფეხით გაება... ხი, ხი, ხი! — ქესლიანად ჩაიცინა.
— სპეკულანტები თქვენსა მოიკითხე! — გაბომ შეუტია.
— ვააა, როგორი გულადი ჩანს, — დამხვდურებს გაუკვირდათ.
— მალე გუგულივით გახდება, — ზოსიმემ ჩაიქირქილა, — ლუა, ამის სახლი იცი! — გვერდით მდგარ თანამოაზრეს მიმართა.
— ვიცი რომელია, თვალხუჭელა მივაგნებ.
— რატომ არ გეცოდინება, — გაბოს დამცინავად გაეღიმა.
— რაზე გეცინება?! — ლუა გაუქანდა.
— იმაზე მეცინება, რომ მაგ ფორმას არცხვენ, მაგრამ ეგრე დიდხანს ვერ იბოგინებ, ახრასიას რძლის კერო! — გაბო ახარხარდა.
— შენ ხომ არ გინდა, ჩანები ამოგამტვრიო! — ლუამ მუშტი მოუღერა.
— დადექ, ლუავ, თორემ ერთ მშვენიერ ღამეს ახრასია მკითხავის საძროხიდან უნიფხოდ გამოვარდები, — გაბო დაემუქრა.
— უყურე ამ შობელძაღლს! — ლუამ საცემად მიიწია, სხვებმა დაიჭირეს.
— შობელძაღლო და შენი კაცად ჩამგდებიც, — გაბომ უპასუხოდ არ დატოვა.
— წადი, ლუავ, სახლი გაუჩხრიკე, მე ამას ოთახში შევაგდებ; საღამოზე კი ვირის აბანოს მიღება მოუწევს; თან ერთი ვინმე გაყევით, — ზოსიმემ დაავალათ.
— ლუავ, დედას გიტირებ, ჩემს სახლში ფეხი თუ მიგიდგამს! — გაბო დაემუქრა.
— ეს ვინა ყოფილა, ახლავე ოთახში შეაგდეთ! — ზოსიმემ იყვირა.
— კარგი ბიჭი ხარ და სცადე, შენ „ფარჩასა“ და „ნამჯასთან“ ხარ მაგარი, მართალ კაცზე კბილი მოგეჭრება, — გაბომ შეუტია.
— ვინ არის „ნამჯა“ და „ფარჩა“? — ზოსიმე გაბოს ეცა.
— წეღან სპეკულანტობს ნებართვები რომ დაურიგე, თან გასამსჯელოს რომ შეგპირდნენ; კიდევ გინდა რამე?
— დედას გიტირებ, ციხეში ამოგალპობ! — ზოსიმემ მუშტი მოუღერა.
— დედას მე გიტირებ, შე არაკაცო! დედაჩემი შენი მყრალი პირით სახსენებელი არაა! გაბო ზოსიმეს ეცა, დანარჩენებმა გააშველეს.
შეაგდეთ ოთახში! — ზოსიმე აყვირდა.
— ახლოს არ მომეკაროთ, თორემ ნახავთ, ოთახში ვინ შევარდება! — გაბომ მუშტები შემართა. — მე აქ დავიცდი, არსად არ წავალ. დედას გიტირებ, ნიღაბს აგხდი. ძარცვა-გლეჯას ჩაგიშხამებ, შე ყაჩაღო! — გაბრაზებული გაბო წავიდა და კედლის კუთხეში მიგდებულ კუნძზე ჩამოჯდა.
— მაგარი ქვის ნატეხი ჩანს, — ერთმა ჩაილაპარაკა.
— ძაღლის თესლია. სკოლიდან მოყოლებული სულ ოხრობაზე დგას; ყარამან ვასილიჩის ბიჭს სისხლი გაუშრო, — ზოსიმემ დანარჩენებს გაბო გააცნო.
— ვახ, ეგ ბიჭია?! — გაიკვირვეს და გაბოსკენ ცნობისმოყვარედ გაიხედეს.
— ზოსიმე, ეგ მაგარი ბიჭია, თანაც ძალიან წესიერი და პატიოსანი; სკოლაში სამაგალითო იყო. შეგშლია, ჩემმა მზემ, სპეკულანტობას არაფრით არ იკადრებდა, — შეეპასუხა ერთი სანდომიანი შეხედულების კაცი.
— შენ სხვის გამოქომაგებას თავი დაანებე, ირაკლი, თორემ მაგით კისერს მოიტეხ, — გააფრთხილა ზოსიმემ.
— მართალი კაცის გამომქომაგებლის კისრის მომტეხი უკუღმართი უნდა იყოს; არც ჩემი კისერია იოლად მოსატეხი, რომ იცოდე! — ირაკლიმ ზოსიმეს

მუქარას თავის მტკიცე ნათქვამი დაახვედრა.

– მაგ სპეკულანტს მაინც რაში ექომაგები, – გაბრაზდა ზოსიმე.

– ეგ სპეკულანტი კი არა, პატიოსანი ახალგაზრდაა, თანაც ობოლია, დედა ჰყავდა და ისიც მოუკვდა; მაგის მეტი ვერავინ დაიჭირე?!

– ვისაც მოვახელთებ, მე ყველას ვიჭერ.

– მე სულ ერთი საათით გავალ და გაჩვენებ, ვინ არის ნამდვილი სპეკულანტი! – ირაკლიმ ხმას აუწია.

– შენ რა, ინტრიგანობაზე გადახვედი? ან ეგ ბიჭი ნათესავი ხომ არ არის, რაზე დაგეწვა?!

– მაგ ბიჭზე გაგებული მქონდა, პირველად ახლა ვნახე, მაგას ვენაცვალე, ტყუილად გადაეკიდნენ; ფეხებსაც ვერავინ მოსჭამს!

– ვინ გადაეკიდა, ბარემ ეგაც თქვი.

– მე არავისი არ მეშინია, არც მერიდება, თუ საჭირო გახდა, კიდეც ვიტყვი!

– დღევანდელი დღე დაიხსომე!

– რას მემუქრები, რაკი ეგრეა, შენ დაიხსომე. მე არც ვიხსომებ და არც დამხსომებელს გავურბივარ.

დავა კიდევ გაგრძელდებოდა, რომ ამ დროს ყარამანის მანქანა არ შემოგრიალებულიყო. მძღოლმა პირდაპირ აკაკის ხის ჩრდილში მიაყენა. ყარამანმა კარები გამოაღო, ფეხები მიწაზე გადმოალაგა და იქ შეკრებილთა მისვლას დაელოდა.

ირაკლის იქით არც მიუხედია, დახლებისაკენ წავიდა.

ზოსიმე რიხით მიესალმა, დანარჩენებმაც ხელი რიგ-რიგობით ჩამოართვეს და მის გარშემო ნახევარწრედ გაჩერდნენ.

– როგორ არის საქმე, მუშაობა გაქვთ? – ყარამანმა საქმიანად იკითხა.

– სპეკულანტები სულ დავაწიოკე; როგორც ძერა წიწილებში, იგრე დავქრივარ, ზოსიმემ თავი გამოიდო.

– ყოჩაღ, კარგია! წაართვი რამე!

– არის რაღაც-რაღაცეები.

– გამოიტა, თვალი გადავავლო.

– მიდი, გამაიტა, –ზოსიმემ ერთს უთხრა და ისაც ოთახისკენ გაიქცა.

ჩამორთმეული ნივთები მანქანის უკანა სავარძელზე გაშალეს.

– ეს ძონძებია, – ქალის წინდები, ჩულქები, პერანგები ყარამანმა უინტერესოდ ცალ მხარეს გადაალაგა. – აი, ეს ჯინსის შარვალი კი ნამდვილად მომწონს, ჩემს ჰამლეტს გამოადგება, – გაბოს შარვალი ხელში შეატრიალა.

– წაიღე, ყარამან ვასილიჩ, ჰამლეტას მოუხდება, – ზოსიმემ შესთავაზა.

– კარგი, მაშინ დანარჩენი აალაგეთ, – ყარამანი სკამზე გასწორდა.

– საღამოზე ბაზრის რესტორანში პურმარილს გავაწყობ, შინაურ ბიჭებსაც გავაფრთხილებ, თუ მოხვალ, – ზოსიმემ წასჩურჩულა.

– მაგას რა სჯობია, – ყარამანი სავარძელში გაიჭიმა და მძღოლს ხელით ანიშნა, წადიო.

გაბო კუნძზე იჯდა და ფიქრებს მისცემოდა. ირაკლის და ზოსიმეს დავა მოისმინა, – „პატიოსანი ადამიანები ყველგან არიან, აღვირახსნილობას დროებით რომ ითმენენ, მაგრამ ყველაფერს ხომ აქვს დასასრული, ვეღარც ირაკლიმ მოითმინა. არადა ზოსიმემ როგორ უნდა აჯობოს მას. ცილს თუ დასწამებს, თვითონ ხომ კისრამდე ჩასვრილია. პატიოსანი კაცი მხოლოდ დროებით თუ დაიჩაგრა, ბოლოს ყველაფერი თავის ადგილზე დადგება. ირაკლი კი ნამდვი-

ლად კარგი ვაჟკაცია, ნეტავ ვინ არის?“ – ფიქრი შეუწყდა. ყარამანის წასვლის შემდეგ ცოტა ხანს კუნძზე იჯდა, მერე ადგა და ხალხისკენ წავიდა.

ზოსიმემ ბოროტი მზერა გააყოლა. დაკავება აღარ უცდია, ჩხუბს მოერიდა. „სახლიდან წამოვიყვან, სად წამივა“, – გაიფიქრა და მორიგ ნადირობაზე გაეშურა...

გაბომ სავაჭრო რიგებს ჩაუარა, ხალხს ათვალიერებდა. უცებ ჯღანოს მოჰკრა თვალი, რატომღაც მასთან საუბარი მოუნდა. უნდოდა ეთქვა, რომ მისი არავითარი მტრობა გულში არ ჰქონდა, მაგრამ ვერ გადაწყვიტა და შორიახლოს მიჰყვა.

ჯღანო კომბოსტოს მწნილის საყიდლად გაჩერდა, გაბო მიუახლოვდა.

– ორი კილო ამიწონე, ოღონდ კარგად გაწურე, მე კომბოსტო მინდა წვენი კი არა, – ჯღანო მწნილის კასრში ხელი ჩაყო და მწნილი დააჭაშნიკა.

– რაც შამიძლია, გავწურავ, რაც არადა, რა ვქნა, მზეზე ხომ არ გავაშრობ, – გამყიდველი გაიღრიჭა.

– გაშრობა რად უნდა, წვენის ანგარიშზე კომბოსტო დააწონე. აი, ეგრე, ჯღანომ ერთი მუჭა დაკუწული კომბოსტო სასწორის თეფშზე დადო.

– ყველა რომ შენი მსგავსი იყოს, ხომ გავკოტრდი.

– რასა ტირიხარ, სახლში კი არ მიმაქვს, ძმაბიჭებში უნდა შავჭამოთ და თუ კარგად მაიქცევი, შენს სადღეგრძელოსაც დავლევთ. აჰა, ნახე: ბოლოკი, მწვანილი, პომიდორი, კიტრი ზედმეტი გამამატანეს, ჩვენი სადღეგრძელო დალიეთო. შენ რა კბილებს უჭერამ, დღეგრძელობას წუწკად ყოფნა გირჩევნია?! ვაი, როგორ წახდა ზოგი?! – ჯღანომ მწნილი ისევ კასრში ჩაუძახა.

– ბიჭო, ეს რა ქენი! მწნილის გამყიდველი შეცბა. – ერთი შენი ყაბი მაიტა! – კასრში ორივე ხელი ჩაყო და რაც შეძლო ამოიღო. – ერთი გამიწი. – ჯღანოს დიდ ცელოფანის პარკზე მიუთითა და შიგ ძლივს ჩატია. ჯღანომ პარკის ჩანთაში ჩადება დააპირა.

– მაიცა, შვილოსა, ჯერ სად არი, – გამყიდველმა მეორედ ამოიღო და პარკიც გაივსო.

– ამდენი რად მინდა, – ჯღანომ გაიღიმა.

– იქ სხვა სუფრაზეც ისხდებიან და იმათ მიეცი, სადღეგრძელო კი არ დაგავიწყდეს.

– რა გქვია, მითხარ, – ჯღანომ ჯიბიდან ფული ამოიღო.

– ფული რად მინდა, მაგის ხამი კი არა ვარ. ბევრი მქონდა და გასაყიდად წამოვიღე. სახლში დამეჭირე, კაი ღვინოსაც დაგალევინებდი, აქ რა გიყო. ჩემი სახლი არ გინდა, როცა გაგახსენდეთ, ქვეყანაზე კაი კაცის სადღეგრძელო დალიეთ; თუ ღირსი ვარ, მამივა, თუ არადა, ვინც ღირსია იმას მიუვიდეს; კაი კაცს მიუვა, ცუდს ხომ არა.

– გენაცვალე ჯიგარში! თუ მაიცლი, საღამოს ბაზრის რესტორანში ჯღანო იკითხე. შენისთანებთან ღვინოს ვახტანგურად დავლევ, – ჯღანომ ხელი ხელზე დაურტყა.

– აგაშენოს! – მხიარულად უთხრა გამყიდველმა.

ჯღანო შემოტრიალდა და გაბოს შეეფეთა, გაშტერდა, უცებ ვერაფერი მოიაზრა; გაბო ღიმილით, შესცქეროდა.

– ბიჭო, შენ გაბო არა ხარ? – ჯღანომ გაკვირვებით წამოიძახა.

– ჯღანო, გამარჯობა! – გაბომ ხელი ღიმილით გაუწოდა.

ჯღანომ მწნილიანი ხელი შარვალზე გაისვ-გამოისვა და გაბოს გამოწვდილ

ხელს შეაგება.

– კარგი ვაჭრობა გცოდნია, შენი მოსმენით გავიხარე.

– გაბო, შენთან ვტყუივარ, მაგრამ ახლა სულ სხვა ვარ.

– რამდენი ხანია მოგდევ, მინდოდა მეთქვა, რომ არ გემდური-მეთქი, მაგრამ ვერ გადავწყვიტე.

– შენ გენაცვალე ჯიგარში! – ჯღანომ ჩანთა მიწაზე დააგდო და გაბო მთელი ძალით მკერდში ჩაიკრა. – რომ მცოდნოდა, მაპატიებდი, მე მოგაკითხავდი, მაგრამ მოსვლის პირი არა მქონდა და... თანაც იმ ოღრაშებმა, ვინც ეს ჩამადენინეს, მთელი ექვსი თვე მაჭანჭღარეს.

– ჯღანო, ახლა ხომ კარგად ხარ?

– კარგად რომელია, კაცი ვარ კაცური. ვმუშაობ. ჩემი ოფლით მონაგარი ქვაცა მაქვს და კაკალიც.

– გილოცავ! მუდამ გამიხარდება შენი კარგად ყოფნა. იცოდე, შენზე არასდროს ნაწყენი არა ვყოფილვარ.

– გაბო, დღეს რას აკეთებ?

– არაფერს, – გაბოს ზოსიმე გაახსენდა და სახეზე უსიამოვნო ჩრდილმა გადაუარა.

– ექვსი საათის შემდეგ ბაზრის რესტორანში შამაიარე, ის ბიჭები იქნებიან, შენ რომ გაგიხარდება; ყველა კაცურად გიხსენებს.

– ვეცდები, – გაბო გაურკვევლად შეიშმუშნა.

– არ მოგვატყუო, გაბო, გელოდებით! – ხალხში გარეულ გაბოს ჯღანომ კიდევ მიაძახა...

აკაკის ხის ქვეშ უკვე ცნობილი კაცები შეკრებილიყვნენ, მათ შორის მხოლოდ ირაკლი არ იყო.

მაგიდასთან ერთი უცხო კაცი იდგა, მაღალი, მხარბეჭიანი, მისი დიდი და კეთილი თვალების დანახვაზე გაბომ უნებლიე სიმპათია იგრძნო. კაცი წყნარად იდგა და საღამოს ბაზარს ათვალიერებდა.

ხალხი საგრძნობლად შეცოტავებულიყო.

ამ დროს აჩქარებული ნაბიჯით მომავალი ზოსიმე გამოჩნდა, მას შავებში ჩაცმული დედაკაცი მოსდევდა.

– რა გინდა, შვილო, რა დაგიშავე? ორი ობოლი სტუდენტი მყავს, ქალაქში ლუკმა პურის ფულს ძლივს ვუგზავნი, რომ გამიჭირდა და ველარაფერი მოვახერხე, ჩემი ქმრის ნაქონი ჩექმები და გალიფე შარვალი გასაყიდად გამოვიტანე. რის სპეკულანტი მე ვარ, გენაცვალე, იმ ობლებს ულუკმაპუროდ ნუ დამიტოვებ, ადამიანი არა ხარ?! – მოხუცი ქალი ცხარე ცრემლით ტიროდა.

– თქვენ ყველანი აფერისტები ხართ. მე რა ვქნა, ქალაქში ობლები თუ ვინ გყავს; სპეკულანტობაზე წაგასწარი და პასუხიც უნდა აგო! – ბრაზობდა ზოსიმე.

– რაშია საქმე, დედი, აბა მაგიდასთან მობრძანდით, – იმ მაღალმა კაცმა თავაზიანად მიმართა და მოხუცი ქალი სკამზე დასვა.

– რა მოგიყვე, შვილო, ნეტავ ცოცხალი არ ვიყო, იგეთი უბედურება დამემართა; განა მე სასიცოცხლო ვარ. ვაიმე, ჩემო დაღუპულო შვილებო! ვაიმე! – მოხუცი აქვითინდა. – რვა თვეა შვილი და რძალი ავარიაში დამეღუპნენ. ორი ობოლი დამრჩა, სტუდენტები არიან. მე უბედურს არაფერი არა მაქვს, უჭირთ. ლუკმაპურის ფული მაინც ვუშოვო-მეთქი, ვიფიქრე, ნეტავი მომკვდარიყავ და ამ დღეს არ მოვსწრებოდი. ჩემი ქმრის ნაქონი საცმელები გამოვიტანე გასაყიდად. სპეკულანტი ხარ, უნდა დაგიჭიროთო. ნეტავი მოვკვდე, შვილო, იმ ობლე-

ბის უბედურებას ხომ ვეღარ ვუყურებ, – მოხუცს გული ამოუჯდა, სიტყვის გაგრძელება ვეღარ შეძლო.

– ზოსიმე, გესმის? – მიმართა მაღალმა კაცმა.

– ტყუის. ეგენი ყველანი აფერისტები არიან, – გულცივად უპასუხა.

მოხუცმა ზოსიმეს შეხედა და რაღაც გულის გამგმირავი გმინვა აღმოხდა.

– ამ მოხუცს ვინ იცნობს? – იმ კაცმა დანარჩენებს ჰკითხა.

ყველამ უარყოფის ნიშნად თავი გააქნია.

– რომელი სოფლიდან ხარ, დედი? – თანაგრძნობით შეეკითხა.

– ბოდბისხევიდან ვარ, შვილო, შორიდან მოსვლას როგორ შევძლებდი.

– ვინმე წავიდეს, აქ ამათი საბჭოს თავმჯდომარე დადის და ახლავე მოიყვანოს! – იქ მჯდომთ დაავალა.

ორი კაცი თავმჯდომარის მოსაყვანად გაიქცა.

მალე საშუალო ტანის, გამხდარი, მელოტი კაცი მოიყვანეს.

– გამარჯობა, გიორგი ირაკლიჩ! – მაღალ კაცს მოკრძალებით მიესალმა.

– ამ მოხუცს იცნობ? – მაღალი შეეკითხა.

– ბიჭოს, სონა ბაბო, რა მოხდა, კიდევ ხომ არაფერია  უბედურება? – თავმჯდომარე მოხუცს მივარდა. – რა იყო, სონა ბაბო, რა მოხდა, ნუ გეშინია, აქ არა ვართ?!

მოხუცს გული ამოუჯდა, ენა ვერ მოატრიალა სიტყვის სათქმელად და გაბმულად ამოიგმინა.

– რა მოხდა, ხალხო?! ამ უბედურს კიდევ რა დაემართა. რვა თვის წინ შვილი და რძალი დაეღუპა, უჭირს საწყალს. შვილიშვილები ხომ კარგად არიან, სონა ბაბო?! – თავმჯდომარემ შიშნარევი ხმით ამოიღრიალა.

– გესმის, ზოსიმე?! სიძულვილით მოსიარულე ადამიანის ზიდვა დედამიწას უჭირს! მეტი რა უნდა გითხრა, – გიორგიმ ბრაზი ძლივს მოთოკა.

– რა ვქნა, ჩემი სამსახური კიდევ ეს არის, – ზოსიმემ აგდებით უპასუხა.

ამ დროს ის მილიციელი მოვიდა, გაბოს ამბავზე ზოსიმეს რომ შეედავა.

– ეს კაცი ვინ არის? – იმ მილიციელს ჰკითხა გაბომ.

– ნამდვილი ადამიანი, გიორგი საყვარელიძე, – ირაკლიმ ღიმილით უთხრა და მოფერების ნიშნად მხარზე ხელი მოუთათუნა.

– ეს საქმეა, უდანაშაულო მოხუცის გამწარება, ნამდვილ სპეკულანტებზე კი თვალების დახუჭვა, – გიორგიმ ხმას აუწია.

– მაგას დამტკიცება უნდა.

– აგერ ფაქტი, – გიორგიმ ხელი მოხუცი ქალისკენ გაიშვირა.

– ფაქტებით ლაპარაკი ჩვენც ვიცით, – ზოსიმემ ხმას აუწია.

– გიორგი ირაკლიჩ, ერთი ობოლი ბიჭიც დაიჭირეს, – ირაკლიმ თავაზიანად მიმართა და გაბო წარუდგინა.

– რა გქვია, შვილო? – გიორგიმ ჰკითხა.

– გაბო ვარ ცისკარიშვილი, დღეს ჩემი ჯინსის შარვალი გამოვიტანე გასაყიდად, მაგრამ გაყიდვას აღარ ვაპირებდი, რადგან ზოსიმეს და სპეკულანტების ლაპარაკს შევესწარი. ზოსიმეს საჩუქრებს ჰპირდებოდნენ, ეს კიდევ ივაჭრეთ, თქვენ ხელს ვერავინ გახლებთო. ერთს „ფარჩა“ ერქვა, ერთს „ნამჯა“, სხვებიც იყვნენ. ზოსიმემ იცის, ვის სახლში აქვთ ვაჭრობა გამართული, ბაზარში მხოლოდ მუშტარს ეძებენ. ამას „ნამჯა“ ტელევიზორს შეჰპირდა, თუ გინდათ ნახეთ, მანქანაში უნდა ჰქონდეს. მე ვიღაცა თავისი ბიჭი მომიგზავნა და სპეკულანტობა დამაბრალა, ლუა აფერისტი კიდევ ჩემი სახლის გასაჩხრეკად გაგზავ-

ნა. ზოსიმეს მანქანა გაუჩხრიკეთ, შიგ „ნამჯას“ მიერ ნაჩუქარი ტელევიზორი აქვს. წავალ, მე თვითონ დაგანახვებთ მაგის კაიკაცობას; სპეკულანტებთან შეკრულია და საწყალ ხალხს უსინდისოდ ცილს სწამებს.

ზოსიმეს ფერი ეცვალა. „ნამჯას“ მიერ ნაჩუქარი ტელევიზორი მანქანაში ჰქონდა. ხმის ამოღება ვეღარ გაბედა.

– შენ ის ბიჭი არა ხარ, ქურდობას რომ გაბრალებდნენ? – გიორგიმ ჰკითხა.

– დიახ, დედაჩემი იმ ცილისწამებამ იმსხვერპლა, – გაბოს სახე მოეღრუბლა.

– უნდა გამაგრდე, გაბო, ყოჩაღი ბიჭი ხარ, ვაჟკაცურად იყავ; მომავალი შენისთანა ღირსეული ახალგაზრდებისაა! – გიორგიმ ხელი მოხვია და მკერდზე მიიკრა.

– კიდევ რა ფაქტს მოითხოვ, ზოსიმე? პატიოსან ხალხს დაეხსენ, თორემ ამათი ცრემლები წაგლეკავს, – ჯერ კიდევ შიშის გავლენაში მყოფ ზოსიმეს დამცინავად უთხრა.

ზოსიმემ რაღაც გაურკვევლად ჩაიდუდუნა.

– ამათ თუ კიდევ რაიმეს აწყენინებ, იცოდე ეგრე იოლად ვეღარ გადარჩები! – გიორგიმ მრისხანედ შეყარა წარბები. – დაუბრუნე ვისაც რა წაართვი!

– სონა ბაბო სახლში მანქანით აიყვანეთ. თქვენ კი დახმარებაზე მოიფიქრეთ და მომელაპარაკეთ.

საბჭოს თავმჯლომარემ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და თქვა: – აუცილებლად მივიღებ ზომებს, – სონა ბაბოს ხელი მოჰკიდა და ფეხზე ააყენა.

ზოსიმემ ხელი ჩაიქნია, – ეგრე როგორ უნდა ვიმუშაო, სადაც ადგილია, იქ მოვახსენებ! – ჩაილაპარაკა და მანქანისკენ წავიდა.

– ვაი, რომ სადაც ადგილია დღემდე ბევრი რამ უკუღმა ხდება, – მიაძახა გიორგიმ.

გაბოს უნდოდა ზოსიმესთვის ეთქვა, ჩემი ჯინსი მომეციო, მაგრამ შერცხვა, თავი შეიკავა.

გიორგი ყველას გამოემშვიდობა, გაბოს გაუღიმა, მხარზე ხელი მოუთათუნა, ვაჟკაცურად ყოფნა უსურვა და წავიდა.

გაბო მის გზას გაშტერებით გაჰყურებდა.

„რა იქნება, ყველა ასეთი რომ იყოს, ყველას მკერდში სიკეთით გამთბარი გული ძგერდეს, რამდენი უსარგებლო და საერთო საქმის საზიანო ერთმანეთის წეწვა-გლეჯას თავიდან ავიცილებდით. მაგრამ განა ზოსიმეს, ლუას, ყარამანს და მათ მსგავსებს აწყობთ ასეთი რამ? ეგენი ხომ უზრუნველ, მსუყე ცხოვრებას სხვისი ძარცვით იქმნიან. ეხ, რომ იცოდნენ, რა დიდ ბედნიერებას ისპობენ, საკუთარი ოფლით მოპოვებული სიკეთის გემოს ხომ ვერასოდეს გაიგებენ. იქნებ ზედმეტი მომივიდა, ზოსიმეს ყველაფერი რომ ვუთხარ? ხმის ამოღებას არც ვაპირებდი, მაგრამ გიორგის რომ შეუტია, ვეღარ მოვითმინე, ყველამ ხომ უნდა იცოდეს, რა კაცია. თუმცა იციან, მაგრამ პირში თქმის ეშინიათ. მე კი არ მეშინია ზოსიმესი და მისი მსგავსების. განა მაგათ არ მომიწამლეს ცხოვრება? ვისი ბრალია საწყალი დედაჩემის სიკვდილი?“ – გაბოს ხასიათი აემღვა.

– შენი ჯინსი მოგცეს? – ირაკლის შეკითხვამ გამოაფხიზლა.

– არა, – გაბომ მექანიკურად უპასუხა.

– ამის ჯინსი რა უყვეს, ხომ არ იცით? – ირაკლიმ ერთად შეგროვებულ მილიციონერებს ჰკითხა.

– ზოსიმემ გააჩუქა, ფა-ფუ, – ერთმა ხელების მოფშვენტით უპასუხა.

– ეს ნამუსია?! – ირაკლი გაბრაზდა. – გავიგებ ვის მისცა და მოვატანინებ, –

გაბოს შეჰპირდა.

– ისეთმა ბიჭმა წაიღო, ვერ მოატანინებ, – რამდენიმემ ერთად გააფრთხილეს.

– მაინც ვინ არის ისეთი ვინმე, – ირაკლი არ ცხრებოდა.

– სჯობია არ იკითხო, – გააფრთხილეს.

ირაკლი ჩაფიქრდა.

– არ მინდა, ალალი იყოს ვინც წაიღო, – გაბომ ხელი ჩაიქნია. – კარგად იყავით, – თქვა და ნელი ნაბიჯით წავიდა.

ირაკლიმ მოწყენილი მზერა გააყოლა.

– ბიჭო, რომ აიტეხე მოვატანინებო, იცი, რომ ყარამანმა წაიღო! – ერთმა უსაყვედურა.

– ყარამანს ეს ეკადრება?! იმ საწყალი ბიჭის ჯინსი რაში სჭირდება, რამე აკლია თუ! – წყენათ თქვა ირაკლიმ.

– ყველას ყველაფერს რომ გლეჯავს, იმიტომ არაფერი არ აკლია, – სიცილით თქვეს დანარჩენებმა.

– რატომ არ უთხარით, რომ იმ ჯინსს პატრონი ჰყავდა, – გაუწყრათ ირაკლი.

– შენ რომ იძახდი, სიმართლეს პატრონი ჰყავსო, იმიტომ არ გადაგაცურეს საგამომძიებლო ჯგუფის უფროსობიდან ლოთების გამოსაფხიზლებელში. ყარამანის გადაკიდება გვინდა ჩვენ?! კაცი ამბაკოსთან ერთად ფცქვნის რაიონს და როგორც უნდა, ისე ბაირამობს. ზოსიმეც ფრთებშესხმული იმიტომ არის, ნახე გიორგის საყვარელიძეს როგორ შეუტია. მართალი მაინც იყოს; ამ ბოლო დროს მთლად აიწყვიტა. გიორგიზე მართალი კაცი ბევრი არ დადის დუნიაზე, მაგრამ რა გინდა, არც მაგას ასვენებენ, ისე კი კეტივით უდგათ.

– მარტო მაგისი ეშინიათ, პირს უკან კი კბილებს ილესავენ.

– რას დააკლებენ, არც გიორგია უკბილო; რაც მთავარია ხალხს უყვარს.

– თუ მოიხელთეს, დაუგლეჯავს არ დატოვებენ.

– ეგენი, ბიჭო, თუ საკბილო დააკლდათ, არც ერთმანეთს არ დაინდობენ,

– ჩვენი უბედურება ის არის, რომ ყველაფერს ვხედავთ, კარგად ვიცით, ვინ რა ცოდვის მჩმახავია და გული გვწყდება. თუ ვინმემ ხმა აიმაღლა, გვიხარია, მაგრამ ამასაც ვერ ვამჟღავნებთ, რადგან იმ მჩმახავებისა გვეშინია, თავს ვუფრთხილდებით, სხვისი ხელით ნარის გლეჯა კი გვსიამოვნებს. თუ დავატყეთ, რომ სიმუხთლემ იმძლავრა, რაიმე ლუკმის მოგდების იმედით, ან რაც გვაქვს იმის დაკარგვის შიშით, ტაშს ვუკრავთ, ხოტბას ვასხავთ და სიყალბეს ჭეშმარიტებად ვღებულობთ, თუმცა ვიცით, რომ სიცრუეა და ძალის შიშით თვალებში ნაცრის შეყრას ვითმენთ. თანაც აშკარად გვაგრძნობინებს, ბიჭი ვარ და ეგრე მინდაო, ვისაც გამბედაობა გყოფნით თქვით, რომ გაგსრისოთო. ჰოდა, ჩვენც მოკეტილები ვართ, საკუთარ ნაჭუჭში შიშით ვკანკალებთ და ველოდებით, როდის მოელება ბოლო ერთ ყალბისმქმნელს, რათა მეორე უფრო გაუმჯობესებულმა თვალთმაქცმა იზეიმოს. ირგვლივ რაც ხდება, ჩვენი ყველას დანაშაულია და ჩვენზე ახია, – ირაკლიმ თავის ნათქვამს დასკვნა გაუკეთა.

– ყველაფერი მართალი თქვი, მაგრამ ჩვენც რომ გვიყვარს პატარ-პატარა საკბილო. მეტისმეტს კი კაცი არ უნდა მოეკიდოს, ყელზე დადგომა იცის, – აზრი გამოთქვეს დანარჩენებმა.

# ღრეობა ბაზრის რესტორანში

**გაბო** ბაზრის დაცარიელებულ დახლების რიგს მიუყვებოდა, თან თავის დღევანდელ თავგადასავალზე ფიქრობა: „ახლა მე რა გავაკეთე? მოლასავით მომივიდა, საკუთარი საბანი რომ დაკარგა. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს ჩემი ჯინსისათვის შეიყარნენ დღეს, მომტაცეს და დაიშალნენ". – უცებ ხარხარი აუტყდა. აქეთ-იქით გაიხედა, სულელი არავის ვეგონოო და რომ ვერავინ შენიშნა, ისევ ახარხარდა.

ქვითკირის ღობეს გასცდა, მთავარ გზაზე გავიდა. მარცხნივ ბაზრის რესტორანი გამოჩნდა. ჯღანოსთან შეხვედრა გაახსენდა: – „რა კარგი გულის ყოფილა, ვაჭრობაც როგორი მადლიანი სცოდნია", – გაიღიმა. რესტორნისკენ გაიხედა. „ჯღანო ახლა ალბათ უკვე ცხრა მთას იქით არის" , – გაიფიქრა და გზა განაგრძო.

ის იყო რესტორანს გასცდა, რომ უკნიდან ძახილი მოესმა:

– გაბო, მოიცა, გაბო!

მოიხედა. მისკენ ჯღანო მორბოდა.

– მე მეგონა, აღარ მოხვიდოდი, მაგრამ იმედს მაინც არ ვკარგავდი. სულ ფანჯარაში ვიყურებოდი. კიდევ კარგი თვალი შეგასწარი, თორემ აგვცდებოდი. წამოდი, ჯერ ერთი ჭიქაც არ დაგვილევია, – გაბოს ხელი გამოსდო.

– მეგონა, უკვე წახვიდოდით, იმიტომ აღარ შემოვედი, – გაბომ მოიბოდიშა.

რესტორნის კარებთან თეთრხალათიანი ჭყეტელა შეეგებათ.

– გაბოს გაუმარჯოს! დაგვწყდა, ბიჭო, თვალები შენი ლოდინით, – ჭყეტელამ მისი ნახვით ძველი მეგობარივით გაიხარა.

– ეს კი რეზოა, – მაგიდასთან მჯდარი შავტუხა ახალგაზრდა წარუდგინა გაბოს.

– გაბოს გაუმარჯოს! მაქვს პატივი ვიცნობდე, – მწვანილით გამოტენილი პირით თქვა დამხდურმა და ხელი მაგრად ჩამოართვა.

სამივე გაბოზე სამი-ოთხი წლით უფროსები იქნებოდნენ.

კუპეს, რომელშიც ისინი ისხდნენ, გზის მხარეს დიდი ფანჯარა ჰქონდა, ფარდა პატარაზე გაწეული იყო და მიმსვლელთა მოძრაობა ჩანდა. გვერდით უფრო მოზრდილი კუპე ვიღაცას წინასწარ დაეკავებინა; ჭყეტელა იქ საგანგებო სუფრას ამზადებდა.

– ბიჭებო, თქვენ დაიწყეთ. მე იმ სუფრას რაღაც-რაღაცეებს ვუმატებ.

– არ დაგვივიწყო, გურამ, დროდადრო შემოგვხედე, – ჯღანომ სიტყვა დაადევნა.

– გურამი ჰქვია? – იკითხა გაბომ.

– აბა შენ გეგონა, ჭყეტელა ნათლობის სახელი იყო? – ჯღანომ გადაიხარხარა. – სანამ ხულიგნობაზე და ძველ ბიჭობაზე დადებდა თავს, ამასაც რეზო ერქვა, თავისი აწოწილი ფიგურის გამო ყინტორა შეარქვეს; რაც შრომას მოჰკიდა ხელი, ისევ რეზო გახდა, თუმცა ყინტორაც ნალოსავით აქვს მოთრეული, როგორც მე ჯღანო.

– ნამდვილი სახელი რა გაქვს?

– წიგნის ენით ჯემალი მქვია. ველად რომ გავიჭერ, ბავშვობის დროინდელი ამბავი გამიხსენეს, თურმე მამაჩემი მოფერებით ჩემი ჯღანოო, მეძახოდა და კიდევაც ამაყოლეს ჯღანო.

– კარგი მოფერებაა, ჩემმა მზემ, – ღიმილით თქვა რეზომ.

– მოკლედ, ის დრო ეშმაკებს ჩაბარდა, საქმითაც და სახელითაც პატიოსანი ბიჭები ვართ, – ჯემალმა გაცნობა დაამთავრა და ჭიქები შეავსო: – ჩვენ ერთმანეთს ძირითადში ნათლობის სახელით მივმართავთ, როცა მშვიდობიან ხასიათზე ვართ.

– გურამი რესტორანში მუშაობს? – იკითხა გაბომ.

– ჰო. მოდი ჩვენი გაცნობა ბოლომდე მივიყვანოთ. მე იმ დაწყევლილი დღის შემდეგ, ყარამანმა ექვსი თვე გვერდები მიზილა; ამაზე მეტი ლაპარაკი აღარ ღირს. როგორც გამოველ, მუშაობას მოვკიდე ხელი. ახლა სატვირთო ავტოსატრანსპორტო კანტორაში დამსახურებული მძღოლი ვარ. ჩვენი ძმა რეზოც იქ მუშაობს, გურამა კი, როგორც ხედავ, ამ რესტორანში მიმტანია; როცა დრო გვაქვს, ძმაკაცები აქ ვიკრიბებით. სულ ეს არის ჩვენი მოკლე ბიოგრაფია, თუ რამე დაგაინტერესებს, გზადაგზა მოგიყვები. ახლა რეზოს თამადობა მივულოცოთ და ტკბილად ვიჭუკჭუკოთ, – ჯემალმა ჭიქა ნახევრად შესვა და დადგა. – ჩვენთან ვისაც როგორი დილიხორი აქვს, იგრე სვამს, დაძალება არ ვიცით; პურის ჭამა სიამოვნებისთვის არის, დასახრჩობად კი არა.

– ქეიფი მეც ეგრე მწამს. რეზო, გაგიმარჯოს! კარგი მეგობრობა გქონიათ. რადგან ცხოვრებასაც კაცური ნამუსით შეჭიდებიხართ, მეც თქვენს მეგობრად ჩამთვალეთ, თუ გიმტყუნოთ, თავი მომიკვდეს! – გაბომაც ნახევრად შესვა.

– იცოცხლე! ჩათვალე, რომ ჩვენი ძმაკაცი ხარ! – ორივემ გაბოს ერთხმად მიაძახეს.

კუპეში გურამი შემოვიდა. – რა ქენით, თამადა აირჩიეთ? – იკითხა და მაგიდის შუაგულში დიდი ტაფით შემწვარი ჯიგარი ჩადგა.

– ჯიგრებს ჯიგარი მოგიხდებათ. მეგრულ ყაიდაზე არის შემზადებული. იგეთი მწვავეა, ცხვირიდან ბოლი დაგსკდებათ. მაიტათ ჩემი ჭიქა, რეზოს არჩევნებში გამარჯვება მოვულოცო, – ჭიქაში წვეთი აღარ დატოვა.

– სამსახურში ეგრე რომ ერეკები, არ გეშინია, საჭე ეგერიოს და ტელეფონის ბოძს შეასკდე?

– მეც რა ტალონს გამიხვრეტავენ. ჩემი ინსპექტორები ჩემზე მაგრად ყლაპავენ, რას გაიგებენ.

– ჩვენი ინსპექტორებიც ეგრე არიან, თუ შარი უნდათ, შიმშილით რომ კუჭი გიცხვება, სიმთვრალეს მაშინ გამოგიცხობენ.

– ჩვენთან პირიქით არის, მიმტანი თუ ფხიზელია, იგრევე ისჯება, როგორც მძღოლებში მთვრალობა. აბა, როგორი გასაძლებია ერთი ფხიზელი ამდენ ჩაბიჟბიჟებულ ხალხში დადიოდე და მათ სისულელეებს ისმენდე. სიფხიზლე რომ შეგატყონ, პირს ძალით გაგიხსნიან და ღვინოს კოვზით ჩაგასხამენ; ეგაც ჩვენებური ტალონის გახვრეტა.

– მე ეგრე ტალონს ყოველდღე გავახვრეტინებდი, – ინატრა რეზომ.

– კაკლებიდან აგრე ჩანს. ყოველდღე რომ გაგჭყერპავენ, შეიძლება დასამალ ადგილს ეძებდე.

– არა მგონია, ამის გამჩენს ვენაცვალე! – რეზო არ დაეთანხმა და კახურით სავსე გრაფინს მოეფერა.

– ერთხელ ჩვენს სოფელში იცი რა მოხდა? – დაიწყო გურამმა.

– მოხდა რამე? – დამცინავად შეეკითხა რეზო.

– კერძო ნახირში ბუღა არ ჰყავდათ.

– ბუღა რად უნდოდათ, ხომ არ მოწველიდნენ.

– დამაცა და გაიგებ, ბუღა რაში არის საჭირო. ჰოდა, ძროხების დაგრილება

რომ გახდა საჭირო, კოლმეურნეობიდან გამოიწერეს. ის ოხერი იგეთი იყო, კისერზე ათ ძროხას დაიკიდებდა. ნახირში რომ შევარდა, მთელი ძროხები ცალ მხარეს მიაქუჩა. ახლა არ იკითხავთ, რა დღეში ჩააგდო არშიყობამონატრებული ძროხები? იმათი მაყურებელი ცოდვით დაიწვებოდა.

– სირცხვილი შენს ვაჟკაცობას, თუ საკუთარი ძროხის ცოდვას უყურე, – რეზო გაუწყრა.

– ჰოდა, ის ნაქები ბუღა ორი კვირის შემდეგ ვნახე წელში ამოკვანტილი, დალეული, დაჩიავებული, ფეხზე ძლივს იდგა და ძროხები ზედ ახტებოდნენ. ეგრეა, შვილოსა, როცა ძალიან გშია, პურიწყლის ქვაბით ლობიო რომ მოგიტანონ, იტყვი, არ მეყოფაო, მაგრამ თვალმა რა იცის, კუჭს რამდენის მიღება შეუძლია. ამიტომ ყველა თავის ტყავში უნდა დაეტიოს. ერთმანეთის საქმეში ცხვირის ჩაყოფა იმ ბუღის დღეში ჩააგდებს მეტიჩარას.

– ახლა იმ ბუღის მაგალითზე თვალმა ვის საქმეში ჩაყო ცხვირი? – ეგ შენ თვითონ გამაიცან. ერთს კი გეტყვი, რომ ბუღად აღარ ივარგა და რამდენიმე დღეში საყასბოში უკრეს თავი.

– აღარ მინდა ღვინო! – რეზომ ჭიქა გვერდზე გადადგა.

– აბა, ნახირში წასვლა გინდა? – ჯემალმა გაიცინა.

– ჯიგარი ჭამეთ, ნახეთ რა მაგარია, – გურამმა პირველად გადაიღო და ერთი ნაჭერი შეჭამა. – პა, პა, პა! სადაც ჩაიარა, გავიგე. ნაკვერჩხალივითაა, – დამწვარი პირი ღვინით გაიგრილა.

– თუ რიგგარეშე დალევა გინდა, ჯიგარს რას აბრალებ.

– შეჭამე და მერე ნახე, შეიძლება ერთი გრაფინიც არ გეყოს, – შებერვით თქვა გურამმა.

მწვავე ჯიგრის გემოს გაგება ყველას დააინტერესა და მალე თვითონაც ღვინის ჭიქებს ეცნენ.

– ჭყეტელ, შე ვირიშვილო, იგეთი რა დაგიშავეთ, პირი რომ გამოგვთუთქე! – ჯემალმა ღვინის ჭიქა გამოცალა და ახლა ბორჯომი დაისხა.

– შენი ავადმახსენებლის დედა, ჭყეტელა შობელძაღლო! ეგეთი წიწაკა დაისხას ყარამანას ლეღვმა და ქლიავმა. იმას ჩასჩარონ პირში, ვინც ის საწყალი ბუღა იმ აშაქარ ძროხებს ხელში ჩაუგდო, – რეზო ღვინის ჭიქას ეცა.

– შენ გაგიმარჯოს, გურამ! – ღიმილით უთხრა სიმწარისაგან თვალებზე ცრემლმომდგარმა გაბომ.

– რამე ხომ არ გეწყინა, მაშ რატო ამ ვირიშვილებივით არ დამლოცე, – სიცილით უთხრა გურამმა.

– წადი ახლა, ცხვრის დუმაში შემწვარი ბადრიჯანი და ბლომად ჩაქაფული მოგვიტა, თორემ ამ ჯიგარს ხვალე ხაშის მაგიერ შეგაჭმევ, – დაემუქრა ჯემალი.

– ვირმა რა იცის, ხურმა რა ხილია, ამის ჭამის შემდეგ იგეთ მადაზე მოხვალ, მწვადად ერთი ბურვაკი არ გეყოფა.

– მე მადაზე მოყვანაღა მინდა?! ერთი ზაქი არ მეყოფა ხაშლამად.

– ნახე, წიწაკამ უკვე იმოქმედა.

– მომაშორე, თორემ ტაფიანად მოვისროლე!

– კარგი, უკანვე წავიღებ, სხვები იხვეწებიან, – გურამმა დაამშვიდა. – იცით, გვერდით კუპეში ვინ მოდიან? – ხმას დაუწია. – ზოსიმეს ათ კაცზე შეუკვეთია, მგონი ყარამანიც მოვიდეს. არ იხმაუროთ, დაბალ გაზზე იმუშავეთ, თორემ თქვენი აქ ყოფნით შეიძლება ნადირი გაფრთხეს; განსაკუთრებით ეს ახალგაზრდა ახატიათ გულზე, – გურამმა გაბოს თვალი ჩაუკრა. – მე გამოძახებას ნუ

დამიწყებთ, თუ რამე გაიგოთ, არ გაგიკვირდეთ, როლებში ვარ. თუ კარგად მაიქცევით, შეიძლება ხვალ ხაშზე გამოგიყვანოთ.

– ვახ, როლებში ხარ?

– მაინც არ იტყვი, რამდენი როლი გაქვს?

– ბიჭო, იქაც ვარ და აქაც.

– შე ოხერო, ჩვენთანაც როლში ხარ?!

– ეს ცხოვრება სულ როლი არ არის? – გურამმა დანაშაულში წასწრებულივით თქვა და ტაფა ხელში აიღო. – სანამ რამეს მოგიტანდეთ, მწვანილზე გადით იოლას, გაბოს რას ვერჩი და თქვენისთანა ვირებს ბალახის მეტს ვერაფერს მოვაწონებ. ამაზე კი ერთი ამდენ წიწაკას კიდევ დავამატებ და ყარამანას მივართმევ.

– ბლომად მოუმზადე, იქნებ სახლშიც წაიღონ.

– სახლში რა გითხრა და შეიძლება ჭყეტელამ ეს ადგილი დამიკარგოს, – რეზომ სიცილით თქვა.

– ნუ გეშინია, ჯიგრის ოსტატო, გარაჟში შემკვეთებლის ადგილზე მოგაწყობთ.

– თქვე უდღეურებო, მეც რომ გარაჟში წამოვიდე, გემრიელად ვინღა გაჭამოთ?!

– კარგი, ამჯერად გეპატიოს, ოღონდ ჩვენს სუფრაზე მაგ ცოფიანი საჭმელის ხსენება აღარ იყოს.

გურამმა ტაფა სიცილით გაიტანა.

– არ ამოგვიბუგა შიგნეულობა.

– ახლა ეგეთები მოდაშია. პატივი გვცა.

– გაბო, ეს უმარილო ყველი აიღე, პირს მოგიშუშებს, – ჯემალმა სულგუნი მიაწოდა.

ბიჭები საჭმელს შეექცეოდნენ და გულიანად საუბრობდნენ.

– გაბო, რას საქმიანობ? გავიგე, სასწავლებლად არ წასულხარ, – ჰკითხა ჯემალმა.

– დედის სიკვდილის შემდეგ ძალიან გამიჭირდა, ტრაქტორისტად ვმუშაობდი, მაგრამ არაფერი გამომივიდა, თავი დავანებე.

– ახლა რას აკეთებ?

– არაფერს.

– რას აპირებ?

– არ ვიცი, სადმე მინდა მუშაობის დაწყება, მაგრამ არ ვიცი, სად მივიდე.

– ცოდო არ არის, შენ რომ არ სწავლობ. როგორი სამსახური გაწყობს?

– არაფერს არ ვთაკილობ. მინდა, ცოტა ფული ვიშოვნო და სწავლა გავაგრძელო.

– მძღოლობის ნებართვა გაქვს?

– არა. ტრაქტორისტისა მაქვს.

– ჩვენთან გარაჟში რომ იმუშაო?

– რაზე?

ბიჭები ცოტა შეყოვნდნენ.

– რავი, გითხრათ?

– მე არაფერს არ ვთაკილობ.

– შემკეთებლად იმუშავებ?

– რისა?

– გინდა ძრავების, გინდა სავალი ნაწილის. მოკლედ, სადაც იტყვი, იქ მო-

გაწყობთ; თუ მანქანაზე დაჯდომას ისურვებ, მართვის უფლებას აგაღებინებთ.
გაბოს სიხარულისგან თვალები გაუბრწყინდა.

– დიდი მადლობა, ბიჭებო! – კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ გრძნობამორეულმა ველარაფერი მოახერხა. ჭიქა აიღო, – თქვენ გაგიმარჯოთ ჯდანო და ყინტორ, თუ კარგი მეგობრობა არ გაგიწიოთ, გაბო მოგიკვდეთ! – თქვა და ჭიქა გამოცალა.

– როცა ჯდანოდ და ყინტორად მოგვიხსენე, უკვე ძმაკაცებში ხარ ჩარიცხული, გეუბნებიან ჯემალი და რეზო! – ორივემ საზეიმოდ თქვეს და ჭიქები ბოლომდე გამოცალეს.

– მშვიდობის მაძიებლები მოვიდნენ, – კუპეში გურამმა შეყო თავი.

– აქედან რომ არ ჩანან.

– უკნიდან მოუარეს, მანქანები ეზოში გააჩერეს.

– უკუღმართები უკნიდან უნდა მოვიდნენ, აბა რა!

– შენ ჩაქაფული მაიტა, იმათი დედაც...

– იცი, რა პურმარილი მოყარეს? ყველაფერს თქვენთან შემოტანის შემდეგ მივართმევ მათ აღმატებულებას; როცა დაღრევდებიან, ხაშლამაში თქვენს მიერ გამოხრულ ძვლებსაც შევურევ. ოღონდ არ იხმაუროთ, ნადირი არ გააფრთხოთ! – შემოყოფილმა თავმა პირზე ხელი მიიდო და კარის ჭრილში გაუჩინარდა.

– ხედავთ, ჭყეტელას რა სუფრა გაუწყვია! – მეორე კუპეში ვიღაცამ ხმამაღლა დაიძახა...

– ეგ ზოსიმეა, – ჩაილაპარაკა ჯემალმა.

– ამ ბოლო დროს პირის პატივი ისწავლა...

– ეგ ლავაშაა.

– საღოლ, ჭყეტელ, საღოლ!..

– დამამზადებელი კოჭურაც მაგათთან ყოფილა; კუმ ფეხი გამოყოო.

– ეგ ყარამანას მაგარი მიღებული ჰყავს, – ჩაილაპარაკა გაბომ.

– შენ რა იცი?

– თავის კურორტის მშენებლობაზე ყველაფერს მაგას ანდობს.

– ბიჭოს, შენ რაღაც ახალი იცი, რა კურორტს აშენებს?

– სოფლის თავში, ტყიან გორაზე მარტო მაგისი და ლავაშას სახლია.

– იქ რაღაც მეც დავინახე, ბებრის სახლიაო.

– ეგ არის.

– შენ საიდან იცი?

– შემთხვევით მის მშენებლობაზე ვიმუშავე.

– ახლოს როგორ გაგიკარეს?

– კოჭურა არ მიცნობს, არც მე ვიცოდი, ვისი სახლი შენდებოდა. ერთხელ ყარამანა მოვიდა და მათი საუბარი მოვისმინე.

– საღოლ, გაბო, რაც ყარამანამ და ლავაშამ მე საქმე მიყვეს, დაფიცული ვარ, სულ ცოტა ორმაგად გადავუხადო. რა ვქნა, არ მიყვარს ვალის ტარება. განსაკუთრებით ღალატის და ვერაგობის გადახდა მიყვარს სარგებლით, – ჯემალმა თავისი შეხედულებები ჩამოაყალიბა.

– მე ცხოვრება მთლად მომიწამლეს; დედაჩემის დაღუპვაც მაგათ კისერზეა! – გაბომ მკერდზე ხელი დაირტყა...

– პა, პა, პა, ბიჭო, რა მაგრად მამშივდა, საჭმელებიც გაუგებრად ყრია, მეტი რაღა მინდა!..

– ოხ, შენი დედა, ლუა მათხოვარო! – ჯემალმა ხმაზე იცნო...

– სულ ჭამაზე რომ გიჭირავს თვალი, რაღა მილიციაში მირბოდი, წამოსულიყავ ჩვენთან, მეხინკლედ მოგაწყობდი...
– ეგ მგონი დაბალი, ჩასქელებული რაიკოოპერატივში რომ მუშაობს რაღაც უფროსად, ტიგრანა უნდა იყოს...
– ჯიმშერას გაუმარჯოს! – ახმაურდნენ, – რაღა ყველა კაი ბიჭმა მოვიყარეთ აქ თავი...
– ეგ ვიღა ოხერია? – იკითხა რეზომ.
– სამძებრო განყოფილების უფროსია. მაგან და ლუამ დამიჭირეს...
– ტრიფონ, სწორედ საშენო პურმარილია. რას ამოიყორავ მაგ ძირგავარდნილ კუჭს!..
– ხეტყის ბაზის გამგეს ეუბნებიან, ნაშურივით გაბრტყელებულია...
– სიცოცხლე ყარამან ვასილიჩს! – ყველამ ერთხმად წამოიძახა...
– მგონი დაკომპლექტდნენ, – ჩაილაპარაკა ჯემალმა, – ახლა თაგვის წამლის მეტი აღარაფერი უნდათ. ვირთხები მუცელს გადაყვებიან, მაგათი გმირობაც ეგ არის...
– დღეს ზოსიმე იყოს თამადა.
– არა, მე საჭესთან ვზივარ.
– შენც ავტოინსპექციამ არ დაგიჭიროს.
– მაგის არ მეშინია, მაგრამ სინათლის ბოძები გადმოდიან ხოლმე გზაზე.
– მაშინ ტახტი ტრიფონას დავუთმოთ.
– მაგას მწვადის მოტანამდე დაეძინება.
– ყველას გაგიმარჯოთ! ამდენი თამადის ძებნაში ყელი გაშრა, – ეტყობა ყარამანმა ჭიქა გამოცალა.
– ყარამან ვასილიჩს მივულოცოთ თამაბოდა! – აყაყანდნენ.
– რაკი ეგრე გინდათ, არ გავიქცევი, დღეს დარტყმაზე ვარ; თუ ბიჭები ხართ, გამიძელით, იცოდეთ, წვეთს არავის ვაპატიებ!
– ეგაც სამართალი ხომ არ არის, ყარამან ვასილიჩ, ეგრე მკაცრად რომ მოითხოვ შესრულებას.
– რა ვქნა, დისციპლინა და წესრიგი მიყვარს ყველგან, ოჯახში, სამსახურში და ძმაბიჭებში.
– იცოცხლე, ყარამან ვასილიჩ, იშვიათი კაცი ხარ!
– სწორედ გიორგი საყვარელიძეს ჰგავს. ამხელა თანამდებობის კაცი და ეგეთი ინტრიგანი მე არ შემხვედრია.
– ეგ ხომ ვიცით, მაგრამ ჩაიდინა კიდევ რამე? – იკითხა ყარამანმა.
– ჩაიდინა რომელია, დღეს ორი სპეკულანტი გამაშვებინა.
– ვინ?
– ერთი ის გაფუჭებული ბიჭი, გაბო, მეორე კიდევ აფერისტი ბებერი.
– რომელი გაბო?
– შენს ბიჭს რომ ეჩხუბებოდა.
– ოხ, მაგისი, რად გაუშვი!
– რა მექნა, რომ გაიგო გიორგი მხარს მიჭერსო, ყვირილი ატეხა, სპეკულანტებს ხელს აფარებსო. ვინც მართლა ვაჭარია იმათგან საჩუქრებს იღებს, საწყალ ხალხს კი იჭერსო. „ფარჩა“ და „ნამჯა“ მაგასთან შეკრულები არიან და სახლებიც ვიცი, მაგის ნებართვით სადაც ვაჭრობენო და ვინ იცის კიდევ რა! რომ ავმხტარიყავ, გიორგი ხომ იცით, როგორი არაკაცია, შეიძლება შეემოწმებინა ის ხალხი.

– უყურე მაგ გველის წიწილს, ეს ყველაფერი საიდან იცოდა, რა მართალი ულაპარაკნია.

– ულაპარაკნია კი არა, სახალხოდ ყვიროდა. თანაც ის დამპალი ირაკლი ფირაშვილი იქ იყო, თავი ხალხის გულშემატკივრად რომ მოაქვს. იმანაც მხარი დაუჭირა. მიმღებ-გამანაწილებელი კი არა, სულ გასაგდებია. იქ კიდევ იყვნენ ზოგიერთი მუშაკები, საკმარისი იყო, გიორგის ეთქვა, შეამოწმეთო, მთელს ჩვენს სპეკულანტებს მწყერის ბარტყებივით გაპენტავდნენ. უკან ამიტომ დავიხიე, თორემ...

გიორგი შემოწმების დავალებას ვერ გაბედავდა. პირველი მდივნისა ეშინია. მართალია, გაბო მაშინ ხელიდან გაგვაგდებინა, მაგრამ ამბაკო სიმონიჩისაგან მაგარი საყვედური მიიღო. შენ რაც გევალება, იმას მიხედე, სხვის საქმეში ნუ ეჩრები. ნუ გგონია, რომ მათ შენზე ნაკლებად შესტკივათ საერთო საქმეზე გულიო. გიორგიმ ბევრი ამტკიცა, ვითომ გაბოსთან ჩვენ ვტყუოდით, მაგრამ უფროსმა არ მოუსმინა. მოკლედ ჭირის დღესავით ეჯავრება, მალე მაიშორებს.

– აგაშენა ღმერთმა, რა გაგვახარე!

– მაშ, იმ გაბოს კიდევ მივუტრიალდე? რა ქენი, ლუავ, სახლი გაუჩხრიკე?

– ვაი, რა მოვიხილე, მაგ ბიჭს სახლში საგიჟეთი ჰქონია გახსნილი, – ლუა ალაპარაკდა.

– რა მოხდა?

– ეზოში სამნი შევედით: მე, ერთი ჩვენი მუშაკი და მკითხავი ახრასიას რძალი, ვენერა.

– ვენერა საღლა გაგახსენდა?

– მეზობლებიდან მოწმე ხომ იყო საჭირო.

– რაღა ტიგრანას საყვარელი წაიყვანე მოწმედ, სხვა აღარავინ იყო? – ტრიფონა ჩაერია საუბარში.

– ვისი საყვარელია?

– ტიგრანასი.

– შენ რა იცი?

– როცა ფანჯარაში ყვავილის ქოთანი დგას, ტიგრანა იმ საღამოს მისი სტუმარია; თუნდა სანაძლეო დავდოთ.

– მიქარვას თავი დაანებე! – გაბრაზდა ტიგრანა.

– ხან ფანჯარაში კუკლა რომ დევს, – ტიგრანამ იკითხა.

– იმ საღამოს ლუასთან აქვს შეხვედრა, კუკლა ლუას კოდია, – აუხსნა ტრიფონამ.

ლუას მოულოდნელობისაგან სასულეში ლუკმა გადასცდა, ხველა აუტყდა.

– ლუავ, ნუ იხრჩობი, მაწვნის ქილა როცა დგას, ტრიფონას ჯერია. რა გაგიკვირდა, საკუთარი ხომ არ გეგონა? – ახარხარდა ჯიმშერა ზარდიაშვილი და ყველანი აყვნენ, – ეგ ახურებული ქალი თავისი ქმრის გარდა ყველასია.

– ტიგრანა ეშმაკია, თელავში მოაწყო სამუშაოდ, ღამის სტუმრობაში ხელი რომ არ შეშლოდა. ამით მადლიერი დარჩნენ ის ქმარიც, თვითონაც, ვენერაც და მისი ბუზებივით გამრავლებული თაყვანისმცემლებიც. ეგრეა საქმე, ლუა, ასე რომ, მშვიდად იყავი, თუ შენ გაგიცდა ღამე, ყურადღების გარეშე არ დატოვებენ.

– ლუა, ოღრაშ-სარას რომ არ გამოეპანღურებინე, ეგრე საზიაროდ ხომ არ გაგიხდებოდა საქმე.

– სარა რა საზიარო არ იყო?

– სარა მაგ საქმეში ერთგულია, ღალატი არ იცის.

– შენ რა გამოცდილივით ლაპარაკობ, ჯიმშერ, ეტყობა ცდის ჩატარება მოასწარ.

– სანდო პირებისგან მაქვს გაგებული.

– მაგაზე ლაპარაკს მოერჩეთ, ლუამ თავისი მოთხრობა დაამთავროს, – საუბარში ყარამანი ჩაერია.

– ჰოდა, როგორც ეზოში შეველით, – ლუამ მოყოლა გააგრძელა, – დავინახე, ის სულელი მართა სახლის შესასვლელის კიბეზე იჯდა და ერთ ჯორისხელა ძაღლს კოვზით კონსერვს აჭმევდა, თან ეფერებოდა. ის ძაღლი ეზოს გარეთ სხვა დროს შამხვედრია, მაგრამ ხმა არ ამოუღია.

– ეტყობა ვენერას დაცვა იმის ობიექტებში არ გადის, – საუბარში წრიპინა ხმა ჩაერთო...

– კოჭურამაც მეც ნახირ-ნახირო, – ჩაილაპარაკა ჯემალმა...

– კიბესთან მიველი და მართას ვეუბნები: – ეეთრიე, სახლი უნდა გავჩხრიკო-მეთქი, რა ვიცოდი, თუ ეგეთი გაგიჟება ეცოდინებოდა, მაგ შობელძაღლს. ვისი სახლი უნდა გაჩხრიკო, ჩემი შვილი გაბოსიო, დედას გიტირებო. ჯოხს წამოავლო ხელი და გვეცა. იმას კი როგორმე მოვუვლიდი, მაგრამ ის ძაღლი რა ყოფილა, კაცო! ერთალია ვიფიქრე, გაბო ხომ არ არის ძაღლის ტყავში გადაცმული-მეთქი, თორე აბა რაში დასჭირდა, კონსერვის კოვზით ჭამა. იმ გიჟს იგრე უჯეროდა, ნამდვილად ესმოდა ლაპარაკი; იქნება თვითონაც ახერხებდა რაღაც-რაღაცების თქმას. როგორც მართამ უთხრა, ეცი, თარსო, და ესენი ეზოდან გარეკეო, ის ბავშვივით მორჩილი ძაღლი სატანად გადაიქცა; ნიანგის პირი აქვს. ყბა რომ დააღო, შეშინებული ხუთიოდე ნაბიჯზე უკან გავიქეცი; ვენერა იქავე დარჩა.

– აფერუმ შენს ვაჟკაცობას, არამი არ არის შენთვის ფანჯარაში გამოდგმული კუკლა?

– ვენერას ხმა არ გასცა, ეტყობა იცნობს, მე გამომიქანდა. ვიფიქრე, იარაღს ამოვიღებ და აქვე მივცხრილამ-მეთქი, მაგრამ იქამდე ვინ მიმიშვა; მარჯვენა ხელში პირი მტაცა და სულ სირბილ-სირბილით გამიყვანა ალაყაფის კარების მიღმა. აი, ნახეთ ჩემი მაჯა, ძალიან არ ჩამკბინა, მაგრამ სისხლი მაინც გამომადინა. მოკლედ, გარეთ რომ დაგვიგულა, ეზოში შევიდა და თათით კარები მოგვიხურა.

– ახლა არა თქვა, გასაღებიც გადაატრიალაო, – მსმენელებმა გაიცინეს. – შიშს დიდი თვალები აქვს, შეიძლება ეგრეც მოეჩვენა.

– შეატოვე, შე უსინდისო, იმ ჯორისხელა ძაღლს ვენერა შესაჭმელად?

– ნუ გეშინია, ვენერა ისეთი შობელძაღლია, ძაღლს კი არა, ცოფიან აფთარს მოარჯულებს...

კუპეში ბიჭები სიცილით მისუსტდნენ.

– გაბო, მართლა ეგეთი ძაღლი გყავს?

– კარგი ძაღლია.

– ლუა სიმართლეს ჰყვება?

მთლად ეგრე არ იქნებოდა, ლუა აზვიადებს.

– მართას შენთან რაღა უნდოდა?

– ამას წინათ ტიგრანამ ქუჩაში სცემა. შემეცოდა, ჩემთან წავიყვანე. საწყალი ისეთი ალალი გულისაა, რომ ნახოთ, ნამდვილად ცრემლები მოგადგებათ; განა შეიძლება ადამიანს ეგრე ჰკრა ხელი?!

– ტიგრანამ რათა სცემა?

– მართამ მანეთიანი სთხოვა, მაგან შეაგინა, მართამ კი სახალხოდ უძახა, შენ ცოლ მაყვალას ზოსიმე ჭრელაშვილი შენსავე გარაჟშიო...

– რაო გარაჟშიო?

– რაო და ერთი ეგ არის, კუკლის ფანჯარაში გამოდგმა არ უთქვია, ბიბლიოთეკაში ხვდებაო კი უთხრა.

– მაგრა ყოფილან ერთმანეთში დარეულები. მაგ უნდილ ტიგრანას დათო არ გაეგზავნა თელავში და თვითონ წასულიყო არ ერჩია, – ბიჭებს ისევ აუტყდათ სიცილი...

– ყოჩაღ, ლუა, მაგარი ჩხრეკა ჩაგიტარებია! – შეაქო ჯიმშერამ.

– შორიდან თქმა იოლია, ძაღლს კი არა, ლომს მოიგერიებს კაცი, რაც არ უნდა იყოს, პირუტყვია, მაგრამ, ის ოხერი, ნამდვილად აზროვნებდა. რა იცოდა, რომ იარაღი მაჯვენა ხელით უნდა ამომეღო, პირდაპირ მაჯაში რომ მეცა. ან რატო არ დამგლიჯა. თუ გამიმეტებდა, შეეძლო ხელი მოეჭამა; ხომ გეუბნებით, ნიანგის ყბა აქვს.

– ძაღლი ძაღლის ტყავს რო არ ხევს, ერთხელ კიდევ დავრწმუნდით, – დაასკვნა ლავაშამ...

– გაბო, რის სპეკულანტობას გაბრალებდნენ?– ჰკითხა ჯემალმა.

– წუწუნი არ მიყვარს, ფული მქონდა, მაგრამ ჩავთვალე, რომ ეგრე შოვნა არ მეკადრებოდა. ის ფული ერთ საწყალ ბიჭს მივეცი, ჩემზე ძალიან რომ სჭირდებოდა. დღეს კაპიკი აღარ მქონდა, გადავწყვიტე, სანამ სამუშაოს ვიშოვნიდი, ჩემი ჯინსი გამეყიდა; დეიდას ნაჩუქარი იყო. ჰოდა, ეტყობა ბაზარში ზოსიმემ თვალი მომკრა, ვიღაცა ბიჭი მომიგზავნა და სპეკულანტობა დამაბრალა.

– რამდენად ყიდდი?

– ფასი არ ვიცოდი, მაღაზიაში უნდა გამეგო, უცებ დამეცნენ თავზე.

– ფული არ აგიღია?

– არა.

– აბა ეგ შარვალი მაჩვენე.

– აღარ დამიბრუნეს. ირაკლიმ, რომ ახსენეს, ძალიან მოინდომა შარვლის დაბრუნება, მაგრამ იქ მჯდომებმა უთხრეს, იგეთმა კაცმა წაიღო, ვეღარ დაეწევითო.

– ნეტავ ვინ წაიღებდა?..

– ისე გამოდის, ეგ ლაწირაკი ბიჭი კიდევ დაგიძვრად ხელიდან, – სინანულით თქვა ყარამანმა.

– სად წაგვივა. მაგასაც და მაგის მფარველსაც ერთად მოვუგრეხავთ კისერს, თურმე იმ ჯინსის შარვლის დაბრუნებას ითხოვდა; ირაკლი ფირაშვილიც ძალიან გამოქომაგებია, მაგრამ ბიჭებს უთქვამთ, ჩაილურის წყალი დალიაო, იგეთმა კაცმა წაიღო, ვეღარ დაეწევითო; შენს ბიჭს აწყინოს, ყარამან ვასილიჩ, იმ სპეკულანტის შარვალმა.

– ხელიდან არ უნდა გაგეშვათ, – უსაყვედურა ყარამანმა.

– არა უშავს, გიორგი საყვარელიძეს რომ დავაზანყებთ, მკვახე ნაყოფიც ბზესავით გასცვივა. მერე ფეხებით გადავუარ-გადმოვუაროთ; კაცის შვილი აღარ იქნება მაგათი მხარის დამჭერი.

– გიორგის დასაზანყებლად ამბაკო სიმონიჩი ცეკას პირველ მდივანს ედუარდ შევარდნაძეს შეუთანხმდება და მოთავებულია საქმე; ეგ საკითხი ტყის სახლში დავხვეწოთ, – დაასკვნა ყარამანმა.

– მაგარი საქმე იქნება, მოდი, ჩვენი გამარჯვებისა დავლიოთ.

– ბიჭებო, კაცური კაცობის, პატიოსნების, კარგი ქართველობის, ერთმანეთის გატანის, ვაჟკაცობის, მეგობრობის, ერის შვილობის, სამშობლოს და ხალხის სიყვარულის სადღეგრძელო მინდა შემოგთავაზოთ; ყველაფერი, როცა ჩამოვთვალე, ამის გამარჯვება ხომ ჩვენი გამარჯვებაა, – ყარამანს მოჭარბებული გრძნობებისგან ხმა აუთრთოლდა, – განა ვინმე იქნება ჩვენს შორის ეს სადღეგრელო ბოლომდე რომ არ დალიოს?! – ჭიქა გამოცალა და მაგიდაზე დაარტყა.

ატყდა სადღეგრძელოების მაღალი გრძნობებით ჩამოყალიბება და მერე მაგიდაზე ცარიელი ჭიქების დაბრახუნება.

– ერთი ვინმემ შემოგვხედოს, ამ დაცლილი ჭიქების დამნახავს განა ეჭვი შეეპარება, რომ ნამდვილი მამულიშვილები ვართ?! თქვენი ჵირიმე! – ყარამანს გული აუჩუყდა...

– ვაი, საცოდაო მამულო, მსგავს უნამუსოთა ხელში! რამდენი არამზადა იბრალებს ამგვარად შენს სიყვარულს და მაღალ ადამიანურ გრძნობებს, სინამდვილეში კი ყველაზე მდაბალ სიბინძურეში და ღალატში არიან ჩამხრჩვალი, – ჩაილაპარაკა გაბომ.

– კრაზანების მთავარი შტაბი, ალბათ, იმ ტყის სახლში ექნებათ, – თქვა ჯემალმა.

კარები გაიღო და გურამმა ცნობილი ჯიგრით ტაფა დაანახვათ.

– იმდენი წიწაკა აქვს დაყრილი, ყვავს დააჩხავლებს, – ღიმილით თქვა და კარები გაიხურა...

– ჭყეტელას სიცოცხლე! რა მაიტანე, ნეტავ, ადგილი აღარ არის, სად ჩადგამ? – მეზობლები ახმაურდნენ.

– ახალი კერძია, განსაკუთრებით ღირსეული სტუმრებისთვის ვამზადებთ; სპეციალურად შემწვარი ბატკნის ჯიგარია, – გურამმა მოახსენათ.

– რა არის, შე მამაცხონებულო, არ გემეტებოდათ? თითო ეგეთი ტაფა სათითაოდ მოგვიტანე; ჯიგრები ვართ და ქეიფიც ჯიგრიანი ვიცით, – ლავაშამ თავი გამოიღო.

– ჯერ ერთი ჭამეთ, თუ სურვილი გექნებათ, აქ არა ვარ? დამიძახეთ და კაცის თავზე ორ-ორ ტაფას მოგართმევთ.

– შენც ჯიგარი ხარ, ჭყეტელ, ერთი ამ ჭიქით კაცური კაცობის სადღეგრძელო დაგვილიე.

– არ შემიძლია, ბევრი საქმე მაქვს. თქვენნაირ კარგ ხალხს ფხიზელმა უნდა ვემსახურო, ერთი ჭიქის შემდეგ აღარ ვვარგივარ; შემწვარი ჯიგარი ვიღამ მოგიტანოთ, – გურამმა შემოთავაზებული სასმისი არ მიიღო, – თუ რამე დაგჭირდეთ, დამიძახეთ და მაშინვე თქვენთან გავჩნდები, – თქვა და გარეთ გავიდა.

– ერთი ეგაც არის საქონელი, ამ ჯიბგირებს და ხულიგნებს საიდან მოძებნიან ხოლმე, – ჯიმშერ ზარდიაშვილმა გურამის კანდიდატურა დაიწუნა.

– ბაზრის რესტორანში ოპერის მომღერალს ხომ არ ისურვებდი?

– რატომ, ხომ შეიძლება კარგი, მშვენიერი ქალები მუშაობდნენ, ღვინოს რომ გადაკრავ, მერე რა კარგია ხელის მისმა-მოსმა.

– შენც ჭყეტელას მიუსვ-მოუსვი.

– მიუსვ-მოუსვამს და კაი მელასაც დაიჭერამს, – გაიცინეს.

– უხ, რა ცეცხლივით არის, ეს ოხერი! – ერთი აყვირდა. – პა, პა, პა! საკუთარი ტაფით კი არა, როგორმე ეს ერთი ლუკმა თუ მოვინელე, აღარაფერი მიჭირს.

სხვები ამ დროს ჯიგრის გადალებაზე იყვნენ დაკავებული და ამ წუწუნზე დამცინავად ხითხითებდნენ.

მალე სუყველა ერთ ხმაზე აყმუვლდა...

– მაიტათ, თქვე ვირიშვილებო, ერთი ჭიქა დამალევინეთ, თორემ გაშრა ყელი, – გურამი ბიჭებთან შევარდა.– იქიდან რა ამბავია? – ღიმილით იკითხა.

– მგონის ცოფი მეორიათ, ყმუიან.

– ჩვენი გამარჯვებისა იყოს! – გურამმა ჭიქა მოცალა. და ხაშლამის ნაჭერი აიღო...

– უუუჰ, ევენთე კაცი! ჭყეტელ! – აყვირდა ლავაშა.

– განზე დადექ, არ დაგგლიჯონ, – ბიჭებმა გააფრთხილეს.

– ახლა მაგის თავიც აღარ ექნებათ, – გურამმა თქვა და გავიდა...

– ეს რა გვიყავ, შე მაწაუკო! ეს არის პატივისცემა?! – ლავაშამ ხელებით შეუტია.

– სადაც ვაჟკაცური პურმარილია, ყველგან ეს აქვთ პირველ კერძად. შენც ხომ კაცის თავზე თითო ტაფა მაითხოვე. აბა რა ვიცოდი, რომ პურმარილის მამამთავარს მწვავე ჯიგარი არ გეყვარებოდა.

– ეს მწვავე კი არა დარიშხანია!

– გამოუცდელ კაცს ეგე ემართება, თორემ მეგრელები და პურმარილის მოყვარულები ერთდროულად სამ ტაფას ჭამენ.

– მერე აქ რომელი ზის მეგრელი?!

– მეგრელი არა, მაგრამ პურმარილის მოყვარულები ხომ ხართ. აბა ნახეთ, ერთი საათის შემდეგ იგრე შეჭამთ, წიწაკას ველარც იგრძნობთ.

– რაღას ვიგრძნობთ, ყველაფერი ჩაგვეთუთქა.

– მაშ, აღარ გინდათ, უკან წავიღო? ვინც გაიგებს, რას იტყვის, მწვავე ჯიგარი დაიწუნესო.

– იყოს, სადღა უნდა წაიღო, მაგის მეტი კი აწყვია.

– გავიქეცი, სუკის მწვადებს მოგართმევთ და ხვალდილამდე ყველაფერი გაგივლით.

– აბა, ჰე, დროზე ქენი!..

გურამმა სასწრაფოდ მიატოვა მოქეიფენი და ბიჭებთან შევიდა.

– იოლად გადარჩი, ხომ იცი.

– მაგათ ჰგონიათ, ქეიფის მოყვარულთა საჭმელიაო, ერთმანეთის ჯინაზე მწვავე ჯიგარს მიაკვდებიან, მაგარი ბიჭობა რომ დაამტკიცონ; დილაზე კი ჩემს მტერს რაც მაგათ დაემართოთ.

ქეიფი გაგრძელდა. ბიჭები აღარ სვამდნენ, წყნარად საუბრობდნენ; მეორე მხარეს კი ღვინის ჭიქების კვეთება იყო. ხორხოტობდნენ და არც ერთს წვეთს არ არჩენდნენ.

– ნეტა რა ხაფანგის დაგებას უპირებენ გიორგის? კარგი იქნებოდა, რომ გაგვეფრთხილებინა, – ჩაილაპარაკა გაბომ.

– ეტყობა, უჩვენოდაც არ აკლია გაფრთხილება. ჩვენ თუ ჩავერთობით, ჩვენ წილად უნდა გავიბრძოლოთ, – თავისი აზრი თქვა ჯემალმა.

– როგორ?

– ტყის სახლში რას იტყვიან, რომ გავიგოთ.

– იქ როგორ მოვხვდებით?

– გაბო, იმ მოხუცი ქალის სახლი კარგად იცი?

– ყველა კუთხე კუნჭული თვალხუჭულა მაქვს წარმოდგენილი. იქ ასასვლე-

ლი ბილიკიც ვიცი, მაგრამ ჯერ დამთავრებული არ არის. მორჩებიან მშენებლობას და მაშინ ექნებათ შეკრება.

– როდის მორჩებიან?

– ჩქარობენ. კონტროლზე აყვანა შეგვიძლია.

– კარგი. მაგაზე ხვალე მოვილაპარაკოთ...

მეზობლები კი ენის ბორძიკით ტიგრანას სადღეგრძელოს ამბობდნენ.

– შენ გენაცვალე, ტიგრან, რომ იცოდე, როგორ მიყვარხარ. მთელი შენი კუკლა ოჯახი მიყვარს. შენც მიყვარხარ და შენი მეუღლე მაყვალაც. მოიწი ერთ, ტუჩებში უნდა გაკოცო, – ამ სიტყვებს კოცნის ტყლაშუნი მოჰყვა...

– მაყვალას ეშხით ტიგრანას კოცნის; იმას კი ალბათ ქეიფის შემდეგ გარაჟში გამოიძახებს.

– ვალში არც ტიგრანა დარჩება; ვენერას მიაკითხებს.

– დღეს ლუას უპრიანია, ძაღლთან ბრძოლა ერთად გადაუხდიათ.

– ჰოდა, ლუას გაქცევას სანამ არ დაივიწყებს, შეიძლება ახლოსაც არ გაიკაროს,– ბიჭები ოხუნჯობდნენ...

– ტიგრანა არ გაიპაროს! სწორედ ამ დროს აითესება-ხოლმე, – ლავაშამ თანასუფრელები გააფრთხილა.

– გაიქცევა და პირდაპირ ვენერასთან აღმოვაჩენთ.

– ჩიტი გული არ მოითმენს, ლუა.

– ტიგრანა საშიში არ არის, იქამდეც რომ მივიდეს, არაფერი გამოუვა.

– ზოსიმე, შენ სად აპირებ წასვლას?

– ჯიმშერა კრეჭო-კოლას მიადგება, ოღრაშ-სარა მათხოვეო...

– იგრეც ერთმანეთში იყვნენ დარეულები, გურამის მწვავე ჯიგარმა მთლად გააცოფათ, – ბიჭები იცინოდნენ...

თამადას ადღეგრძელებდნენ. ტრიფონას უკვე თეფშში თავჩადებულს ეძინა. ტიგრანა გაიპარა. დარაჩენებიც ენაგამოკვანძულები ძლივს ლაპარაკობდნენ.

გულაჩუყებულმა ყარამანმა სამადლობელი სიტყვა დაიწყო:

– თქვენი ჭირიმე, თქვენი! რომ გიყურებთ, გული სიხარულით მევსება, რა კარგი ბიჭები ხართ, ძმაკაცობისათვის თავდადებულები. მეც ხომ მთელი ჩემი ცხოვრება ამ საქმეს ვემსახურებოდი. სწავლა რას მიქვია, სწავლის დედაც ვატირე! სკოლა იგრე დავამთავრე, წიგნი ორჯერ არ გადამიშლია. სამაგიეროდ, აბა იკითხეთ, რა ბიჭი იყო ყარამანი. დარტყმა, მოპარვა, თამაში გინდა კარტი, გინდა ყომარი კაცი ვერ მჯობნიდა; თამაშში ღამეები გამითენებია. მოპარვაშიც მქონია წილი, გაქცევაშიც და წაქცევაშიც. ზოგი გამოტვინებული სწავლით თავს იკლავდა. მე არც იქ ამიღია წიგნი ხელში. როგორც იყო, სტუდენტობის წლები გავათრიე. როგორი ბიჭი ვარ, ფერი მაკლია თუ ხორცი, წიგნის ჩიას რა მიგავს. მე კაცი ვარ, ის უბედურები სწავლით თავს რომ იკლავდნენ, სუყველა მათხოვრებად ყრიან. ვითომ კანონები იციან, შურით ინტრიგანებად გადაიქცნენ, თუ ვინმემ კანონი იცის, ყარამან ვასილიჩია პირველი. ბიჭო, კანონის ცოდნა ის არის, რომ შენ როგორც გინდა, ყური ისე გამოაბა; ამხანაგსა და მეგობარს მიეხმარო, კარგ კაცს გზა გაუხსნა; ოხერსა და მამაძაღლს თავზე ხელი დააჭირო. აბა კოდექსში რომ იყურო, და რაც იქ წერია იგრე იარო, მაშინ რაღა კაცი ხარ! ვინღა დაგაფასებს, როგორღა უნდა გაუმართო კაცს ხელი?! ბიჭო, კანონის დამწერიც ჩვენი მსგავსი კაცი არ იყო? იმის ჭკუაზე რატომ უნდა ვიარო მე, ყარამან ბენაშვილმა? მიხვევ-მოხვევა იმაზე ნაკლებად შემიძლია თუ რა. საჭიროა, ისეთ კაცს დავჭედამ, რაზე დაიჭირეს, აზრზე რომ არ არის; საჭი-

როა, ქვეყნის დამაქცევარს ანგელოზის ფრთებს გამოვაბამ და ეკლესიაში მის სახელზე ვაწირვინებ. აი, ეს არის, ჩემო ძმებო, კანონის ცოდნა, ამაშია ჩემი ძალა; ყველას ამიტომ ვუყვარვარ. კაცს ეს ნიჭი ჯიშ-ჯილაგიდან თუ არ მოჰყვა. ვერავითარი სკოლა ვერ ასწავლის. წიგნებს მიაკალი თავი, მაგით რა გამოვა? არაფერი, მთლად გამოტვინდები, ფერსა და ხორცს დაკარგავ; აღარც ჯანი შეგრჩება და აღარც კაცობა.

ბიჭო, იმ დამთხვეულმა მასწავლებელმა, სკოლის დირექტორმა ზაურა ასანიშვილმა და ყოფილმა დირექტორმა თავპირი გადამაჭამეს, შენი ბიჭი არ სწავლობს და ნიშნებს ტყუილად ვუწერთო; მაგათაც გეგონება გადახარჯვა მოუვათ. მე, ყარამან ბენაშვილს, რომელმაც ამ ცხოვრების ყველა კუთხე-კუნჭული და მისახვევ-მოსახვევი ვიცი, რაიმე მეშლება!? ჩემს შვილს სწავლით დავაავადმყოფებ? აგერ ის, რა ჰქვია, გაბო, სკოლაში პირველი მოსწავლეაო, რომ იძახოდნენ, მეურნეობაში ტრაქტორისტად გდებულა, იქიდანაც გამოქცეულა და აჰა, ახლა სპეკულანტად გავჭედეთ. ჩემი ბიჭი კი დარდიმანდი ვაჟკაცია, ძმაბიჭებში მოქეიფე, გოგოების მოყვარული ვარსკვლავებს ეთამაშება. ახლა კოლმეურნეობაში იურისტ-კონსულტია, იურიდიულზე დაუსწრებლად ჩააბარა; დიპლომს აიღებს და ჩემზე უკეთესი კანონების მცოდნე, ავკარგიანი ბიჭი იქნება. ახლა მითხარით, რა ყრია ამ გამოტვინებულ მასწავლებელთა ქადაგებაში?! მთავარია ცხოვრებას ალღო აუღო; წიგნების კითხვა კი კაცს ამის უნარს უკარგავს. ყველაფრის გაკეთება უნდა შეგეძლოს: თუ საჭიროა მოიპარო, იყაჩაღო, იცრუო, დაასმინო, ფეხი დაუდო, პირში ტყვილად შეაქო, პირს უკან ძირი გამოუთხარო; თუ საჭიროა, კაცი ისე მოკლა, ხელი არ აგიკანკალდეს; მართალი გაამტყუნო, მტყუანი ანგელოზად წარმოაჩინო. ძეწნის ტოტივით მოქნილი უნდა იყო, ზოგჯერ წაწოლაც არის საჭირო, მგელმა რომ იცის იგრე. საძოვარზე გორაობას დაიწყებს, ბითური ძროხა მივა, დასუნავს, ხომ არაფერი უჭირსო და მგელიც მაშინ ეცემა ყელში. ეგრე უნდა მოიქცე, თუ გინდა, რომ სხვა შენ შეჭამო და სხვამ არ შეგჭამოს! – როლში შესული ყარამანი პირზე დუჟმორეული იდგა და თვალების ბრიალით ქადაგებდა თავის თეორიას.

– იცოცხლე, ყარამან ვასილიჩ! ლომი ხარ, ლომი! მოდი, ბიჭებო, კიდევ ერთხელ, ახლა უკვე კოლექტიურად დავლიოთ ამ ღმერთკაცის სადღეგრძელო! – ახმაურდნენ, ერთმანეთს კოცნიდნენ, ეხვეოდნენ, ძმობას ეფიცებოდნენ, ტიროდნენ, თვალცრემლიანები მკერდზე ხელს იბრაგუნებდნენ...

## მართას და თარსოს გმირობა

**გაბო** სახლში შებინდებისას მივიდა. მართა კიბეზე იჯდა და თარსოს ეფერებოდა. ეზოში შესავლელი კარების გაღებისთანავე წამოხტა და გაბოსკენ გაიქცა.

– მე და თარსომ ერთ კაცს დედა ვუტირეთ ლუას. ეძახოდნენ, სახლის გაჩხრეკა უნდოდა; სულ კუდით ქვა ვასროლინეთ. ერთი კაცი და ერთი ქალიც ეხმარებოდნენ, მაგრამ ხელი არ გავატოკებინეთ მე და ჩემმა ძმამ,– სხაპასხუპით ახარა.

გაბოს ბევრი არ დაულევია, თუმცა მხიარულ ხასიათზე იყო და ღვინის კვალი ეტყობოდა.

– ყოჩაღ, ჯილდო გეკუთვნის! – გაუღიმა.

– წადი შენი, ჯილდო რად მინდა! ამდენ ხანს სად იყავი? მე მეგონა, იმ

ქურდებმა დაიჭირეს-მეთქი. შობელძაღლს თანაც მილიციის ფორმა ეცვა.

– შენ იგრე შეგიშინებია, ალბათ ახლაც გარბის.

– აბა რა ეგონა, ჩემი შვილის სახლ-კარს ავაკლებინებდი? დედას ვუტირებ, ვინც ხელს დაგაკარებს!

– ნუ გეშინია, მართა, შენი შიშით ჩვენს სახლს ახლოს აღარავინ გაუვლის.

– მაშ, მაშ! ძმაც რომ მაგარი მყავს. ჩემზე უფრო ჭკვიანია, ეს შობელძაღლი!

– ნუ აგინებ, თორემ ეწყინება.

– მართლა? ბიჭო, შობელძაღლობა ზოგიერთ ადამიანს არა სწყინს და ამას რატომ უნდა ეწყინოს?

– იმიტომ, რომ შობელძაღლი ადამიანის მშობლები ამის მშობლებთან სახსენებლები არ არიან.

– ჰოოო, აი ეგ კი არ ვიცოდი. პური არა გშია? ძეხვი და კონსერვი გაგიმზადე, პურიც გვაქვს.

– თქვენ ჭამეთ?

– ვჭამეთ კი არა, ტყირპა გავიგდებინეთ. სანამ თარსომ უარი არ მითხრა, სულ კოვზით ვაჭამე; ნახე, რამხელა მუცელი გაუხდა, – მართამ ძაღლს ხელი მუცელზე მოუსვა.

– არ აბანავე?

– ვა, ეგაც იცის?

– იცის რომელია, ხომ ნახე, ყველაფერი ესმის. შენ თუ ვინმემ გაწყენინოს, წაიყვანე და სულ კუდით ქვას ასროლინებს.

– გარეთ გატარება შეიძლება ხოლმე?

– ასპროცენტიანი უფლება გაქვს.

– ეგ ვიღაა ასპროცენტიანი? იმას ვინ ეკითხება, ძაღლი ჩვენია.

– ვის ვინ ეკითხება?

– ასპროცენტიანს.

გაბოს გაეღიმა: – ახლა უკვე აღარ ეკითხება, ძაღლის პატრონი შენა ხარ.

– მეცა და შენცა.

– ჰო, ორივესია.

– წამოდი, პური ჭამე, მერე წმინდა გიორგში უნდა წავიდე.

– იქ რაღა გინდა, ამ სახლში ვერ ტეულხარ? ის ოთახი თუ არ მოგწონს, სადაც გინდა, იქ დაიძინე; შენი ბარგი გადმოიტა, თუ გინდა, მეც შეგეშველები.

– არა, წავალ, – მართას დარჩენის ერიდებოდა.

– ამაღამ ის ქურდი რომ მოვიდეს, რაღა ვქნა, ვინ მიშველის? შენც მიდიხარ.

– განაღა გამახსენდა, დედას ვუტირებ, მთელი ღამე კიბეზე ვიჯდები და გიყარაულებ.

– კიბეზე თარსო იჯდეს, შენ ოთახში მოისვენე, ხვალიდან შეიძლება მე სამუშაოდ წავიდე. სანამ შენ წმინდა გიორგიდან მოხვალ, ქურდმა რომ აგვიკლოს; სახლკარს შენ და თარსოს გაბარებთ.

– აბა ჰე, შაუბერე! თუ გინდა, დღე და ღამე იმუშავე, სახლის დარდი ნუ გექნება; ახლა პური ჭამე.

– კიდევ აი რა, ეგ პალტო და პიჯაკი გაიხადე, ჩექმებიც არ გინდა, ხვალ დედაჩემის კაბას მოგცემ, ფეხსაცმელებიც არის; დაიბანე, გასუფთავდი და ქუჩაშიც ძაღლით გაისეირნე.

– ეგრე ვიზამ. ჩემ შვილზე არავის ვათქმევინებ, რომ მართა ფეთხუმად დადისო. წამოდი ჭამე, წამოდი!

– მე ახლა დავიძინებ, – გაბოს ღვინისა და დაღლილობისაგან თვალზე რული მოერია, სახლში შევიდა, საწოლზე გადაწვა და მაშინვე ჩაეძინა. მართას ბრაზობა ძილბურანში ესმოდა:

– გაიღვიძე, შე შობელძაღლო, ჩაცმული დაძინება ვის გაუგია! – თუმცა საწყალს სულ ჩაცმულს ეძინა. პირველად ადამიანურად იმ ღამეს დაიძინა...

გაბოს ისევ ეძინა, ჯემალი თავისი მანქანით რომ მიადგა მის ჭიშკარს და საყვირის აურზაური ატეხა.

– ვინა ხარ, შე შობელძაღლო! რა აიკელი ქვეყანა! – მიეგება მართა. – ხომ არ გინდა, ჩემ ძმა თარსოს შენი თავი გადავაყლაპინო?

ჯემალი კაბინიდან სიცილით გადმოვიდა და თბილად უთხრა: – მეც შენი ძმა არა ვარ!

– წადი, შე მაიმუნო ვირიშვილო, გიცნობ, მიცნობ?!

– ჯერ შობელძაღლოო, ახლა ვირიშვილოო, ვეღარ გავიგე, ბოლოს ვინ გამაჩინა, ან თუ მაიმუნი ვარ, ვირიშვილი საიდანღა ვიქნები?

– საიდან და იქიდან, ახლა მოკეტე და შააყოლე!

ჯემალმა გადაიხარხარა: – ჩემი ძმობა თუ არ გინდა, ეგ მაინც იცოდე, მე გაბოს ძმა ვარ; შამიშვი სახლში.

– გაბოს ძმა თუ ხარ, ჩემი რა იქნები, ძმა არა? ჰო, გაბო ხომ ჩემი შვილია. წამოდი, თუ ვერ გიცნო, ვაი შენი ტყავის ბრალი.

– ძაღლი ხომ არ მიკბენს?

– მე თუ არ დავავალე, ხელსაც არ გახლებს. თუ აურევ, აქედან ცალი კანჭით წახვალ.

ჯემალი ეზოში ხარხარით შევიდა.

– აბა, გუშინ ლუას რათ გამოატანე ორივე კანჭი?

– შენც ქურდი ხომ არა ხარ? მართა უცებ მოუტრიალდა.

– ლუა ქურდია?

– ქურდი და მამაძაღლია.

– მამაძაღლიც არის, ვირიშვილიც, მაიმუნიც და ღედაგაღლეტილიშვილიც, – ჯემალმა სიცილით აუხსნა.

– რა მაგრების გცოდნია, ე! – მართას გაუკვირდა.

– ცოტახანს მე მემემაგრე, იგეთები გასწავლო, იქნება ლუა სადაც არის, იქიდანაც გარბოდეს.

ამასობაში გაბო თვალების ფშვნეტით გამოვიდა.

– გაბო, მე ხომ ვარ შენი ძმა! – გასძახა ჯემალმა.

– ხარ, ხარ! – გაბომ მთქნარებით უპასუხა.

– ახლა გჯერა? – მართას მიუბრუნდა.

– წამოდი, პური ჭამე, – მართამ პატივისცემა ასე გამოხატა.

– გაბო, დროზე გეემზადე, ღღეიდან უკვე ჩვენს ამქარში ხარ ჩარიცხული. უფროსმა სავალი ნაწილების შემკეთებლად ჩაგრიცხა.

– რა გავაკეთო, რომ არ ვიცი.

– ნუ გეშინია, ამ ღღეებში რეისში არ გავალ, შენთან ვიქნები; შენი ცოდნის პატრონი მალე ყველას გვაჯობებ.

მართა საჩქაროდ სუფრას აწყობდა.

– მოდით, ძეხვი და კონსერვი გავამზადე, ღღეს კიდევ მოვიტან, მაგრად ჭამეთ; ჩემი და ძაღლს სამყოფიც დარჩება.

ჯემალს გაეცინა: – ახლა გვაპატიე, გვეჩქარება, სხვა დროს იყოს.

– მართა, შენ იცი, ოჯახს მიხედე! – გაბომ მიაძახა.
– ნუ გეშინია. მართა მოკვდეს თუ საქმე ალჩუზე არ დაგახვედროს, – ხელის დარდიმანდული აქნევით გამოემშვიდობა.
– ეს არის მკითხავის სახლი? – ჯემალმა ახრასიას სახლზე მიუთითა.
– ეგ არის.
– რომელი ფანჯარაა, ნიშნებს რომ აწყობს?
– პირველ სამზე სულ დარაბებია აფარებული, წინა მხარეს ერთი ფანჯარა ღიაა, შეიძლება კუკლას იქ დებს; დღემდე ყურადღება არ მიმიქცევია.
– ამის შემდეგ გამოფენას დააკვირდი, იქნება ყარამანიც გამოჩნდეს.
– საწყალი დათო მეცოდება.
– მაგ პარაზიტებს უსირცხვილობის გზაზე უნდა დაათენდეთ; ჯერ კი შესწავლაა საჭირო, – ჯემალმა მანქანა ადგილიდან დაძრა, მერე ჯიბეში ჩაიყო ხელი და ფული ამოიღო. – ეს ასი მანეთი გქონდეს, სანამ ხელფასს მიიღებ, დაგჭირდება; თუ შემეგეხარჯა, არ მეგერიდოს, მითხარი.
– არ მინდა, ისე არ მიჭირს.
– შენ ხომ არ გგონია გაჩუქე, გამამართვი, თორემ მე ფული ხელში არ მიჩერდება, როცა დამჭირდება, შენსავით მორიდებული კი არა ვარ, ეგრევე გთხოვ; ახლა აიღე, ჩვენში ეგეთები არ მოდის!

## ტყის სახლის ოინბაზები

**ორი** თვე გავიდა, რაც გაბომ მუშაობა დაიწყო. თავისი საქმე კარგად აითვისა, და ბევრი ამხანაგი შეიძინა; ჯემალი და რეზო კი მისი განუყრელი მეგობრები გახდნენ.
შუადღე გადასული იყო. გაბომ ორმოზე შეყენებული მანქანის შეზეთვა დაამთავრა, ახლა კედელთან მიმჯდარი ჩვრით ხელებს იწმენდავდა. სამსახურით კმაყოფილი იყო. ავტომობილების კურსებზე სიარული დაიწყო; მთელი თავისუფალი დრო მეცადინეობდა. შაბათ-კვირას ჯემალს რეისზე მისდევდა და თან მანქანის მართვაში ოსტატდებოდა.
– გაბო, ჩემი მანქანა მზად არის? – სახელოსნოში შესვლისთანავე იკითხა ორმოზე მდგარი მანქანის მძღოლმა.
– ყველაფერი რიგზეა, შეგიძლია წაიღო.
– აგაშენა ღმერთმა, როგორ მეჩქარებოდა! – თქვა მძღოლმა და საჭეს მიუჯდა.
მანქანის გასვლისთანავე სახელოსნოს ფართე კარებიდან გარაჟის ეზო გამოჩნდა. გაბომ უნებლიეთ იქით გაიხედა, გელა აჩქარებით მიდიოდა. ვიღაც შეაჩერა, რაღაც ჰკითხა, „მე მეძებს“, – გაბომ გაიფიქრა. – გელა! – დაუძახა და ადგილიდან წამოხტა.
– სადა ხარ, ბიჭო, ვერაფრით გიპოვნე! – მისალმების შემდეგ უსაყვედურა გელამ.
– რა ძნელი საპოვნი მე ვარ?
– შენთან სახლში ორჯერ ვიყავი. მართა ვარო, ვიღაცა ქალი დამხვდა. მთელი ქვეყნის მანქანების უფროსად მუშაობს, შენ იმას როგორ იპოვი, სულ მანქანით დაყავთო. მოკლედ, ვერ გამაგებინა, სად მუშაობდი; ძაღლიც ბატკანივით სულ ფეხზე ჰყავს გამობმული. ქურდი ხომ არ ხარ, მითხარ, რომ ძაღლს შევაჭმევინო შენი თავიო, – ორივეს გაეცინათ.

– როდის ჩამოხვედი? – ჰკითხა გაბომ.

– გუშინ, ახლა მივდივარ, თან ვსწავლობ, თან ვმუშაობ და ვეღარ ვიცლი. არადა, შენი ნახვა მინდოდა. რას შვრები, სწავლის გაგრძელებას არ აპირებ?

– როგორ არა.

– როდის?

– ეგ კი ჯერ არ გადამიწყვეტია.

– მოიფიქრე, ოთახში ჩვენთან იქნები. მანქანების შეკეთება იქ უფრო სჭირდებათ.

–ვნახოთ. ჯერ აქ პატარა საქმეები მაქვს მოსაგვარებელი.

– იქნებ იქ უფრო საჭირო ხარ.

– ეგ რატომ მითხარ?

– ისე.

– ნელის ხომ არაფერი უჭირს?

– რა უნდა უჭირდეს, მაგრამ...

– რა მაგრამ, არ გამაგიჟო! – გაბოს ფერი საავდროდ შეეცვალა.

– ეტყობა ყარამანის ხალხი აწუხებს.

– როგორ აწუხებს?

– მისი მშობლებისათვის მაჭანკალი მიუგზავნიათ, ჰამლეტას ცოლად გაყვესო.

– მერე?

– მშობლები რას ეტყოდნენ, ჩვენ დიდი მოხარულები ვიქნებით, თუ ნელი დაითანხმეთო.

– !!!

– ნელი გაგიჟებულია, მაგრამ მშრობლები ყარამანას შიშით შეპირებიან, ცოტა ხანს მოიცადეთ, იქნება გოგო თანახმა გახდესო. ჰოდა, ეტყობა ჰამლეტა აწუხებს. ზაფხულში ნელი აქ არ ჩამოიყვანეს, ნელის მშობლებს ეშინიათ, გაბოს რომ შეხვდეს, ყარამანი დაგვღუპავსო და სამეგრელოში მალავენ.

– ნელი ასე როგორ დაიმორჩილეს?

– რას იზამდა, დედას არ აწყენინა. მე დამაბარა, გაბოს უთხარი, არ დამივიწყოს, უმისოდ ერთი წუთით თავს არ ვიცოცხლებო, ოღონდ, ჯერჯერობით იქნებ ასე აჯობოსო.

– ჰამლეტას ხომ არ შეხვედრია?

– მასთან ორჯერ მისულა სახლში, ნელის გამოუგდია. ერთხელ კი, როცა ნელის დედა სახლში ყოფილა, მაშინ მისულა, დიდხანს დარჩენილა, თავისებურად ბევრი უტრაბახნია; დედის ხათრით ნელის არაფერი უკადრებია. მოკლედ, მას შემდეგ ხშირად აწუხებს.

– ქალაქში ჩამოვალ და ნელისთან სტუმრობის მადას დავუკარგავ! – გაბომ კარადა გამოაღო და სპეცტანსაცმლის გახდა დაიწყო, თითქოს ახლავე უნდა წასულიყო.

– ეგრე მეც მინდოდა, ცოტა შემეფერთხა, მაგრამ ნელიმ არ გამიშვა. თურმე ზოსიმე მაგის მამას დამუქრებია, თუ ჰამლეტას ნელის არ გააყოლებ, ერთ მშვენიერ დღეს ისეთ საქმეში გაგხვევ, ციმბირი აქეთ დაგრჩებაო; საწყლები შეშინებულები არიან.

– მაგათგან მოსალოდნელია.

– ჯერჯერობით იქნება გაღიზიანება არ ღირდეს, მერე ყველაფერი გაირკვევა; შენც ჩამოვხალ და...

– ნელის მამას ნამდვილად დაღუპავენ. ჰამლეტა იქ რას აკეთებს?

– დაუსწრებლად ჩაუბარებია. დროს ქეიფსა და გარყვნილებაში ატარებს.
– ნელისთან რაღა უნდა, მაგისი მსგავსი ცოტაა?
– შეიძლება ძალიანაც არ უნდათ, მაგრამ უარის თქმით თავმოყვარეობა შეელახათ და შურისძიება ვინ იცის რას კარნახობთ.
ცოტა ხანს კიდევ ისაუბრეს. გელას ეჩქარებოდა; გაბომ გააცილა, მერე სკამზე ჩამოჯდა და ღრმა ფიქრებს მიეცა.
ვიღაცამ მისი სახელოსნოს კარებთან მანქანა ისე დაამუხრუჭა, რომ აწივლებულმა საბურავებმა თავისი სხეულით ორ მეტრაზე ასფალტზე შავი კვალი დატოვეს.
– სიცოცხლე გაბოს! – კაბინის საფეხურზე მდგარი ჯემალი ხელის აქნევით მიესალმა.
გაბო ფიქრებიდან გამოერკვა, ფეხზე ადგა და მისკენ გაემართა.
– შუადღისას პური ჭამე? – ჯემალმა ჰკითხა.
– არც გამხსენებია.
– ბალღო, ეგრე არ ვარგა, კუჭის ღალატი არ იქნება, თუნდაც მოწინავე შემკეთებელი იყო. დროზე გადაიცვი და გამოდი; თავისი ჯაგლაგით მალე რეზოც მოვა.
– სამუშაო საათები რომ არ დამთავრებულა?
– შენც მოგცლია. გურამის ჩვენთვის ელენთები ჰქონია გამზადებული, თუ დავაგვიანეთ, შეგვიჭამენ; შენი სამუშაო საათები დამთავრებულად ჩათვალე, – ჯემალმა გაბოს პასუხს აღარ დაუცადა, მანქანიდან გადმოხტა და ადმინისტრაციულ შენობისკენ წავიდა.
– რეზო მოვა, თავისი მანქანა მიაყენოს და დამიცადეთ, თორე დამრჩებით უელენთოდ! – გაბოს შუა გზიდან დაუძახა.
გზაზე სახელოსნოს გამგე შეხვდა.
– ბიჭო, ჩხუბსა და დავიდარაბას თავი გაანებე, ახლა ელენთების ამოჭრით იმუქრები?! – დამრიგებლური ტონით უთხრა.
– რა უჭირს, ელენთა ამოჭრილი კაცი არ კვდება, შემწვარი კი გემრიელია; განსაკუთრებით მაშინ, თუ ამოჭრისთანავე ნალვერდალზე დააგდებ, – ჯემალმაც იმავე ტონით უპასუხა...
ბაზრის რესტორანს მანქანა რომ მიაყენეს, გურამი კიბეზე დახვდათ.
– რა ელდასავით მოცვივდით, მე მეგონა, დაიგვიანებდით და ელენთა მე დამრჩებოდა.
– ე, ოღრაშ, ხო არ შეგეჭამა? – ჯემალმა შეუბღვირა.
– ტაფაზე დადება არ კი დამაცალეთ და...
– შენ ეგრე გინდა!
სამივე ცნობილ კუპეში მოეწყნენ.
– ელენთა დროზე, შენ სანდო არა ხარ, ვიცი მე ეს, – ჯემალმა მაგიდას ხელი დაარტყა.
– ჯერ ანტრიკოტს და კარტოფილში შემწვარ წიწილს მოგიტანთ, თუ არ ჩაუფინეთ, შენ რა ელენთა გეყოფა.
– მემრე ხო იქნება?
– მერე ხინკალი და მწვადი.
– მემრე?
– მემრე, მემრე! უნდა თქვა, მერე-თქო, აქ მომხმარებელს კულტურულად ვემსახურებით.

– მე რის მომხმარებელი ვარ?
– კაკლის მურაბის.
პურის ჭამას შეუდგნენ; გურამმა ყველაფერი მოუტანათ ელენთის გარდა.
– მოგვატყუე ხომ, ელენთა სად არი?
– ბიჭო, ზოსიმეს ელენთა გადაურჩება? დავალებული აქვს, პირდაპირ ცოცხლებს აჭრიან.
– მაშ ტყუილად შეგვპირდი?
– ნამდვილად მქონდა, მაგრამ თქვენს მოსვლამდე კაცი გამოეგზავნა, ელენთა მიშოვეთო. დირექტორი შემეხვეწა და რა მექნა, თქვენთვის გადანახული ზოსიმეს ხახაში ჩავჩარე.
– გეპატიოს!
– მაგის გახსენება ხასიათს მიწამლავს, – ჯემალმა ჩანგალი დააგდო.
– შენ რაღა დაგიშავა?
– ჯიმშერა ზარდიაშვილმა და მაგან ძვალ-ხორცი გამიერთიანეს.
– რატომ?
– თქვი, რომ შენ და გაბომ მაღაზია გატეხეთ, ჩხუბი მოგივიდათ და იმიტომ დაჭერიო, ამას თუ არ იტყვი, ის გიჩივის და არაფერი გეშველებაო.
– რატომღა გცემეს?
– არ მეშველება და ნუ მეშველება, მე სიმართლეს ვიტყვი, როგორც იყომეთქი. ჰოდა მოიქავეს ხელები. იგრე გამიჭირდა, იძულებული გავხდი, დავთანხმებოდი. მეორე დღეს დამიბარეს, ზაქროც იქ იყო და გიორგი საყვარელიძეც. გიყვარდეს, მე იქ გული მოვიფხანე, როგორც სინამდვილეში იყო, იგრე ჩამოვკაკლე; თანაც ორივეს იქვე შავპირდი, რაც მირტყეს ერთიათად უნდა გადავუხადო. ზაქრომ უარეს დღეში ჩამაგდო, მაგრამ სულ სიყვარულით ვიხსენებ, რადგან მართალი იყო. ისინი კი იმიტომ მცემდნენ, რომ რაც ჩავიდინე, ასი იმხელა არაკაცობაში დავძირულიყავი, თანაც მაშინებდნენ. ეს კიდევ უფრო მაცოფებდა, მაგათ დედას ვუტირებ! – ჯემალი აღელდა.
– მაინც რას უპირებ?
– ჯერ მოფიქრებული არა მაქვს. სულ ეშმაკის ბილიკზე არ დადიან; რამე გამოჩნდება. გაბოს ამბავზე რომ დავესაჯეთ, არ მეწყინებოდა, მაგრამ შეეშინდათ, სასამართლოზე ყველაფრის ჩამოფქვას შევპირდი, იგეთი ხულიგნობა დამაბრალეს, საერთოდ რომ არ მომხდარა. ამიტომ ვამბობ, მაგათგან ყოველგვარი არაკაცობაა მოსალოდნელი. ეგენი ერთმანეთსაც არ დაინდობენ, როგორც კი დასჭირდებათ.
– თანამდებობა უკავიათ და ჭკუა ეკითხებათ.
– გაიშიფრებიან, მაგრამ მანამდე ბევრს დაგესლავენ. გამორიცხული არაა გიორგი საყვარელიძეს რაიმე შარი წამოჰკიდონ.
– რამე უნდა ვიღონოთ.
– რა?
– ...
– გაბო, მოდი ის ტყის სახლი ვინახულოთ, იქნება რამეში გამოგვადგეს, – ჯემალმა წინასწარმეტყველურად თქვა.
– სიამოვნებით, ყველა კუთხე-კუნჭული ვიცი.
წამოიშალნენ.
– თქვე უმადურებო, მადლობას მაინც არ მეტყვით? – გურამმა ხმაურით გააცილა.

– ელენთას დაგიწვავ, თუ კიდევ მოგვატყუებ, შე მართლა ჭყეტელ!

– ეს პურმარილი იმათ მაინც აღარა ღირს, რომ ჭყეტელა აღარ დამიძახოთ?

– როცა გვშიოდა, არც გეძახოდით, სანამ მოგვშივა, რაღაში გვჭირდები, – რეზომ სიცილით გაჰკრა გვერდი.

– ყინტორა ვირიშვილო, ჯღანო დარეხვილო იმ ტყის სახლში მეც მიმალებინეთ მონაწილეობა, თორემ ელენთას კი არა, ჯორის ხორცს მოგიხარშავთ და ირმისად ჩაგაცეცხლებთ!..

კაბინაში სამნი ისხდნენ, ხევს აღმა მიუყვებოდნენ; გაბოს მძღოლის ადგილი ეკავა და საჭეს დაძაბულად ჩაფრენოდა.

– ფეხი გაუჭიმე, გაბო, ამ გორებს მაინც ვერ გადააფრინდები; ბევრი, ბევრი სადმე თხრილში წაყო ცხვირი. მიდი, ჩემი „ზილი" დაფრინავს, როცა ხრეში არ უდევს.

– შენც მფრინავი ხარ, როცა გძინავს, – რეზო გაეხუმრა.

– გაბო ხომ არის მფრინავი, დაგაზე, ნუ გეშინია! – ჯემალი აქეზებდა, – ორ თვეში მესამე კლასის მძღოლი იქნები და გაწამწამებული თვითმცლელი გეყოლება; მემრე გდიოს ყარამანმა თავისი ლავაშათი.

– იმისი ბიჭი ახლა სადა გდია? – იკითხა რეზომ.

– რომელი იმისი, ყარამანის თუ ლავაშასი, ორივე ერთი ყალიბის ჩონჩორიკები არიან.

– ყარამანის ვირიშვილი მაინტერესებს, ჩვენი წყალობით რომ უნდოდა გოგოს დათრევა.

– გაბო, იმ გოგოს რა ერქვა?

– ნელი.

– მართლა გეცილებოდა?

გაბომ პასუხის გაცემა ვერ მოახერხა.

– უნივერმაღში რადიოების სექციაში რომ მუშაობს, ილო, მისი გოგო არ არის?

– ჰო.

– ქვეყანა ლაპარაკობს, ის და ყარამანა დამძახლდნენო.

– ტყუილია! – გაბომ წამოიყვირა და უცებ დაამუხრუჭა.

– ბიჭოს, შენ მართლა შეყვარებული ხომ არა ხარ?!

– უიმისოდ სიცოცხლე ვერ წარმომიდგენია.

– ჰოოო, ეს სერიოზული საქმეა. რის იმედი გაქვს, როცა უკვე შეთანხმებულან.

– ტყუილია. ყარამანა აშინებს, თუ გოგოს არ მოგვათხოვებ, დაგიჭეროთ; თანაც ზოსიმე ეხმარება.

– გოგო რას ამბობს? გოგოა მთავარი.

– ნელის მე მკვდარი ვურჩევივარ მთელს იმათ საგვარეულოს.

– ეს კარგია. ყარამანამ და იმისმა ბიჭმა ფეხები აფხლაკუნონ, გეგმებს სულ ყირაზე დავუყენებთ. შენ არ იდარდო. ილოსაც ჩვენს რელსებზე გადმოვიყვანთ.

მანქანა ხევის დანგრეულ გზაზე მიქროდა.

ტყიან ფერდობს შეუდგნენ და მიხვეულ-მოხვეული გზით სულ ზევით მოექცნენ. გაბომ მანქანა გააჩერა.

– მანდ არის, – მოშორებით რკინის ალაყაფის კარებიან შემოღობილზე აჩვენა.

– წავიდეთ, – ჯემალმა უთხრა.

– მანქანა იმ ადგილს მოსცილდა და მოფარებით გაჩერდა.

– რეზო, მე და გაბო გავისეირნებთ, შენ მანქანა ზევით აიყვა, იქ ეკლესიის ნანგრევებთან დაგველოდე.

ჯემალი და გაბო მანქანიდან ჩამოხტნენ დ ტყეს შეერივნენ. აშოლტილ რცხილში უხმაუროდ მიდიოდნენ. მალე იმ ადგილს მიადგნენ, სადაც ტყე ეზოს ეკვროდა. აქ შემოღობილი არ იყო. სახლი აქედან რაღაც ოც მეტრში ჩანდა.

მზემ უკანასკნელი სხივები აიკეცა და ცივგომბორის ქედს იქით ჩაიძირა.

ეზოში მსუბუქი მანქანა იდგა.

– კოჭურასია, – გაბომ ჩაილაპარაკა, – დავუცადოთ, წავა და მერე დავათვალიეროთ; ადრე ღამე აქ არავინ რჩებოდა.

– ახლაც ეგრე იქნება, მაგათში აქ ღამე მარტო დარჩენის გული არავის აქვს.

შებინდდა.

კოჭურამ მანქანაში სამი მუშა ჩასვა და წავიდა.

ბიჭები საფრიდან გამოვიდნენ. ეზო დაათვალიერეს და სახლის პირველი სართულის შესასვლელ კარებს მიადგნენ. ღია იყო. ახლად დაყენებულ საკეტში გაჩრილ გასაღებს დანარჩენი ოთხიც ზედ ეკიდა. ოთახი ბურბუშელით და ნაფოტებით იყო მობზნილი. ჯემალმა ერთი გასაღები შეაცალა და ჯიბეში ჩაიდო. აქედან მარცხნივ ჩატანებული კარიდან მეორე ოთახში გავიდნენ.

– აქ მუშებს პურს აჭმევენ, – უთხრა გაბომ.

გრძელ მაგიდას ორივე მხრიდან სკამები ჰქონდა შემოწყობილი.

– ოთხნი ყოფილან, – ჯემალმა აულაგებელ სუფრაზე დაასკვნა.

ახლა მარჯვენა მხარეს ოთახში გავიდნენ, ეს კარგად მოწყობილი და უკვე გამართული იყო. ძვირფასი დივანი და ორი ღრმა სავარძელი უკანა კედელთან მიედგათ. სკამები, ტელევიზორი, მაცივარი, მაგიდა, მოკლედ, ოთახი მთლიანად გამართული იყო. ერთი ფანჯარა ეზოს მხარეს ჰქონდა, მეორე – დარბაზისკენ. უკან მთელი სახლის სიგანეზე დარბაზი იყო გამართული. ოთახიდან დარბაზში გასავლელ კარებს ჯემალმა ერთი გასაღები შეხსნა. დარბაზს კარი ტყის მხარეს ჰქონდა, აქაც შეხსნა გასაღები. აივნის კუთხეში მოწყობილი კიბიდან მეორე სართულზე ავიდნენ; ოთახებს გენერალური დასუფთავებაღა სჭირდებოდა. ყველაფერი დაათვალიერეს და ახლა აივნის ქვეშ იდგნენ.

ეზოში მანქანა შემოგრიალდა. ბიჭები კიბეს ამოეფარნენ.

– სად ეგდება ის მამაძაღლი კოჭურა, – ყარამანი მანქანიდან გადმოსვლისთანავე აღრიალდა და სახლისაკენ გაემართა. – უყურე მაგ ვიგინდარას, გასაღები კარებში დაუტოვებია, სად წაეთრეოდა?! ეგ თავგასახმობი, ჭირადა მყავს გამხდარი; გავბრაზდები და მაგისი ბურდღა აღარ იქნება!

ყარამანი პირველ ოთახში შევიდა.

– ეტყობა ცოტახანს დივანზე წამოგორდება,– გაბომ წასჩურჩულა.

– ბიჭო, ერთი ჯიბის ფარანი მომირბენინე! – ყარამანმა მძღოლს გასძახა.

გაბო და ჯემალი დარბაზში შეიპარნენ და ფანჯარასთან აიტუზნენ.

ყარამანი დივანზე გაშოტილიყო.

– კოჭურას დაველოდები, იქნება მოვიდეს ეგ უვარგისი; როგორც გამოჩნდება, ჩემთან შამოვიდეს, – მძღოლს უთხრა და ნათურა გამოართვა.

– ვახ, რა ხალხში ვცხოვრობ! – ყარამანი თავის თავს ხმამაღლა ელაპარაკებოდა. – ყველას ჩემგან უდგას სული, პურს მე ვაჭმევ, ესენი კი ერთმანეთზე უვარგისები არიან. კოჭურა გათახსირებულმა მთელი დამზადება შეჭამა. ჩემი ხათრით, ხათრით კი არა, შიშით ხმას არავინ სცემს. ერთი ამ სახლის მშენებლობა დაამთავროს. თურმე წუწუნებს, ყარამანამ კუდამდე გამაძროო ტყავი,

მაიცადოს, ტყავის გაძრობას ვაჩვენებ; ყველა გათავხედებულია. თუნდაც ლავაშა ავიღოთ, მორიდება არა აქვს, ერთი თითის გატოკებით გავაქრობ მაგ უღლეურს, ყარამანი კარგად ვერ უცვნია. მოკლედ, კაცი არავინ არ არის. აფერისტი ზოსიმე, ჯიმშერა ზარდიაშვილმა ლამის ფეხები ამილოკოს. სჯერა, რომ ჩემით უდგას სული, თუ საჭირო გახდა, ისეთ კუთხურს ჩავაწოდებ, რომ მილიციაში ველარ გაჩერდნენ. ყარამანი სულ სხვა გაქანების კაცია, ეგენი ამას გვიან მიხვდებიან; ეგა და ზოსიმე ჯერ მაგრად მჭირდებიან. ჯერ იმ აშაღლარა გოგოს მამა უნდა დავჭედო. უყურე, რას მიბედავენ, ჩემი რძლობა არ უნდა თურმე. ერთი მე მკითხონ, მინდა? ჩემს ბიჭს ვაბურთავებინებ, მერე წიხლს ამოვკრამ და გავაგდებ; კანონები ამერევა თუ რა, მაიცადონ! – ტახტზე წამოწოლილი ყარამანი გეგმებს ხმამაღლა აწყობდა. ჯემალი და გაბო კი კრიჭაშეკრული უსმენდნენ.

ეზოში კოჭურას მანქანა შემოგრიალდა.

– ხაზეინი გელოდება, – მძღოლმა მოახსენა.

– სიცოცხლე, ყარამან ვასილიჩს! – ოთახში შემოსული კოჭურა მხიარულად მიესალმა.

– გაუმარჯოს! – ყარამანი ხვნეშით წამოდგა, – ბიჭო, სინათლე რატომ არ არის, რამდენი ხანია ხაზი გამოჭიმეს.

– დამცველია გამორთული, ახლავე ყველაფერი რიგზე იქნება, – კოჭურა გარეთ გავიდა და მალე ყარამანის ოთახში ნათურა აენთო.

– ყოჩაღ, კოჭურ, შენი ამაგი როგორ უნდა დავივიწყო, ნამდვილი ვაჟკაცი ხარ, ლავაშას საქმე როგორ არის?

– ცარიელ კედლებს მარტო ჭერი დაახურა, მაგ ტემპით ჩვენ ვერ დაგვეწევა.

– ხა, ხა, ხა! – ყარამანმა გაიხარა. – ეგ შენ როგორ გაგიტოლდება. ახლა ერთი რამ უნდა გთხოვო: ერთ კვირაში, ზუსტად ღღეისწორ საღამოს აქ, ამ ოთახში შენ რომ იცი, ის ბიჭები შევიკრიბებით. ეცადე, მანამდე ყველაფერი დალაგებული იყოს და შენებური პურმარილიც მოამზადე. მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტა მოგვიწევს, აბა შენ იცი; კარებს არ კეტავ?

– მთავარ შემოსასვლელს ვკეტავ და გასაღებს აქვე ვმალავ; დილაზე ადრე ამოვირბენ.

– ეგრე ქენი, – ყარამნმა მხარზე ხელი დაარტყა. ორივე გარეთ გავიდნენ და კარები ჩაკეტეს.

– მალე მათი მანქანები ერთმანეთს მიჰყვა.

ჯემალმა დარბაზის ეზოში გასასვლელი კარები თავისი გასაღებით გააღო და ახლა უკვე ალაყაფის კარების გავლით ეკლესიის ნანგრევებთან გაჩერებულ მანქანისკენ წავიდნენ.

– გაბო, იმ მკითხავის ფანჯარაზე ახალი სიგნალი ხომ არ გაჩენილა? – იკითხა ფიქრებში გართულმა ჯემალმა.

– დილას წყლის სურა იდგა.

– ეგ ახალი ნეტა ვინ არის?

– ჩემთან წავიდეთ, იოლად დავადგენთ.

ერთ საათში ჯემალის მანქანა გაბოს სახლს საყვირის ღრიალით მიადგა, ძრავის ღმუილით მობრუნდა და ანთებული ფარებით საიდუმლო ჩიხი გაანათა, სადაც უცხო თვალისგან მოსარიდებლად ვენერას მნახველები მანქანას აჩერებდნენ.

– ყველაფერი გასაგებია, – ჯემალმა საჭეს ხელი ღიმილით დაჰკრა.

ჩიხში ყარამანის მანქანა იდგა...

ტყის სახლის ეზოში დიდი გამოცოცხლება იყო. პირველად მოგრიალდნენ ზოსიმე, ლავაშა და ჯიმშერა. კოჭურამ კი დღის განმავლობაში მათი მიღების თადარიგი დაიჭირა, ყარამანის მოსასვენებელ ოთახში პურმარილი გაამზადა; ახლა ელოდებოდა მისთვის სახლის გასაღები საზეიმოდ გადაეცა.

მოსულებმა ოთახები ხმაურით დაათვალიერეს და დიდად მოიწონეს.

შებინდდა.

ყარამანის მანქანაც მოგრიალდა და აივნის ქვეშ გაჩერდა. ხმაურითა და ყარამანის ამოუშრეტელი ენერგიის ქებით საპურმარილოდ გამზადებულ ოთახში შეგროვდნენ.

ჯემალი იმ დღეს იორზე მეძროხეობის ბინის მშენებლობაზე ხრეშს ეზიდებოდა. შეაგვიანდა. ბიჭების ნახვის დრო აღარ იყო. მანქანა ეკლესიის ნანგრევებს მოაფარა და ნაცნობი ბილიკით ტყის სახლისკენ გასწია.

ეზოში არავინ არ ჩანდა. მანქანები აივნის ქვეშ გაეჩერებინათ. ყარამანის მძღოლს ეზოს კუთხეში ცეცხლი დაენთო და შეშას უმატებდა. „მწვადის შეწვას აპირებენ", – ჯემალმა გაიფიქა, ფრთხილად მიიპარა და დიდი დარბაზის კარი გააღო. შიგ ბნელოდა, სინათლე მხოლოდ მოქეიფეთა ოთახის კედელში ჩატანებული ღია სარკმელიდნ გამოდიოდა. იქვე ძველებური კარადა მიედგათ. ჯემალი კედელთან აიტუზა და ოთახში შეიხედა. მაგიდასთან ყარამანი, ლავაშა, ზოსიმე და ჯიმშერა ისხდნენ; კოჭურა ფეხზე ტრიალებდა, კარგ ხასიათზე ჩანდნენ; მაღალ ხმაზე სიცილით და საჭმელის ღეჭვით ლაპარაკობდნენ.

– მოგვეწონა, ყარამან ვასილიჩ, ზღაპრული რამ არის, ამას შენს მეტი ვერავინ მაიფიქრებდა, – ზოსიმე გამოტენილი პირით მასპინძელს აქებდა.

– რაც აქ ნახეთ, ყველაფერი ამხანაგებისთვის და მეგობრებისთვის მინდა; ყველაფერი თქვენია, ბიჭებო, გაიხარეთ, ღმერთმა სიკეთეში მოგახმაროთ, მე მხოლოდ თქვენთვის ვფიქრობ; მოკვდეს ყარამანი, თუ უთქვენოდ ერთი ლუკმაც კი შეირგოს! ადრე თურმე ჩვენს წინაპრებს ამ მიდამოებში უცხოვრიათ; ჰოდა, მეც გავიხსენე და აგერ, იმათ ნაფუძვარზე ბუხარი ავაკვამლე. სხვა რა ვქნა, წინაპრების სიყვარული მარტო სადღეგრძელოებით ხომ არ გამოიხატება?!

– კი მაგრამ, ყარამან ვასილიჩ, თქვენ ამ ადგილებიდან ხართ? აკი ჩუმლაყიდან ვარო? – ჯიმშერა პირმოთნე ინტერესით შეეკითხა.

– ჩუმლაყიდან კი არა ბაღდადიდან! – ყარამანმა იწყინა. – ამას რა მნიშვნელობა აქვს! ეს ოხერი, ჩემი პატარა საქართველო რამ გაყო, ჩვენ ყველა ერთნი არა ვართ? წინაპრებიც ჩვენი არ არიან? ჰოდა, მეც ეგ მინდა ვთქვა, აქ სწორედ ძველი ნასახლარებია; მეც პატივი ვეცი იმათ ხსოვნას და, აჰა, მაგალითიც.

– მალე, ალბათ, აქ ბევრი ააშენებს სახლს, და კარგი სოფელი გაშენდება.

– ბიჭო, თუ ეგრე გაბაზრდა, თუ ძაღლი და ღორი აირია, ყველაფერ ამას რაღა აზრი აქვს! რა სოფელში სახლი არა მქონდა? ნორმალური დასვენების ყადრი უნდა იცოდე, მთავარი ეს არის.

– სწორე ხარ, ყარამან ვასილიჩ, წინაპრებიც აქ დროსტარებისთვის ცხოვრობდნენ, თორე პატარა მინდვრებია, ის კიდევ ნაყარ-ნუყარ ხალხისთვის ჰქონდათ. ეგრეა, ყველამ ერთნაირად რომ იცხოვროს, კაი და ცუდი ბიჭობა ვიღამ გაარჩიოს? ხომ დაიკარგა უფროსების პატივისცემა! მოკლედ, დიდი გაუგებრობა იქნებოდა, – საუბარში ზოსიმე ჩაერია და საკითხში გარკვეულობა შეიტანა.

საუბარი ლავაშას სახლის მშენებლობაზე გადაიტანეს. ახლა შვილები გაიხსენეს. ჰამლეტი და მისი ვაჟკაცური მეგობრები ცამდე აჰყავდათ.

– რას აპირებ, ყარამან ვასილიჩ, ბიჭი ვარსკვლავებს რომ ეთამაშება, არ აქორწინებ? – ზოსიმე მზრუნველი ადამიანის ტონით შეეკითხა. – მე შენ გეტყ-ვი, ვინმე უარს გაუბედავს თუ რა.

– ბიჭიც ეგ არის, ვისი შვილია, რომ სხვანაირი იყოს, პირდაპირ ელდაა, ელდა! – ჯიმშერამ დაახასიათა.

– ტილიანი ნოქარი ილია წნელებს რომ გრეხავს, სირცხვილი არ არი, ის მათხოვარი გოგო ჰამლეტას რომ გაურბის?! – ამ საკითხში ღრმად გათვითც-ნობიერებულმა ლავაშამ სინანული გამოთქვა.

– შენ ეგა თქვი, – ყარამანმა კვერი დაუკრა, – თურმე ამას წინათ ბიჭი ქუჩაში შეურცხვენია. თქვენ წარმოიდგინეთ, მანქანაში არ ჩასჯდომია; თანაც უთქვია, ჩემი სახელი არ ახსენოო.

– ნეტავ ვისი იმედი აქვთ, ეგრე რომ იქაჩებიან?!

– ეტყობა იმ კახპას თვალი იმ მათხოვარ გაბოზე უჭირავს.

– ჰოდა, ეგ რა ჰამლეტის შესაფერისი იყო. მათხოვარი მათხოვარს უნდა გაჰყვეს. ოღონდ მანამდე ჩემი ბიჭი ერთი მაგრა აბურთავებს, რომ დაარწმუ-ნოს, ნამდვილი ვაჟკაცი ვინ არის. მერე კი ამოჰკრავს წიხლს და ეგდოს იმ ტრაქტორისტთან; ჩემ ბიჭს ათასში ერთხელ გასახსენებლად მაინც ეყოლება.

– ეგრე უნდა ქნას!

ჯემალმა ბრაზისაგან კინაღამ ტუჩები მოიკვნიტა, ლოყა ცივ კედელს მია-დო, მოთმინება მოიკრიბა, რომ აღელვებულს თავი არ გაემჟღავნებინა.

– მაგრამ ეგ მამაძაღლი გოგო ბიჭს ახლოს არ იკარებს, – ყარამანმა მოი-ჩივლა.

– შენ მაგაზე ნუ დარდობ, თუ საჭიროა, იმის ნოქარ მამას თავისი ხელით მოვაყვანინებ, სადაც ჰამლეტი ისურვებს, – ზოსიმემ დაიტრაბახა.

– ეგრე სჯობია, თუ მაგ მათხოვრებს ძალა არ ვაჩვენეთ, ღორის ტილივით თავზე აგვაცოცდებიან.

– ერთ თვეში გამოჭერილს ჩაგაბარებ, მერე მისი გოგო ჰამლეტასთან ხვეწ-ნით მოვა, ოღონდ მამაჩემს უშველე და სადაც გინდა იქ დაგიწვდებიო.

– მაინც რას აპირებ?

– ამ დღეებში ფერადი ტელევიზორების პარტია მიიღეს, ჩემს ბიჭებს გავაქე-ზებ, იგრე მოვუწყობ, რომ ფასდამახინჯებაში გამოვიჭიროთ. ეგ საქმე მაგრად მეხერხება, თუ საჭიროა, ანგელოზს გავაბამ. ჰოდა, დანარჩენი წყალივით წავა.

– ყოჩაღ, ზოსიმე, ძმობა და მეგობრობა ამას ჰქვია; მადლობას თვითონ ჰამლეტი მოგახსენებს.

– ეგ არაფერი, მაგნაირ წვრილმანებზე თქმაც არ ღირს. აი, გიორგი საყვა-რელიძის დაცურებას კი სერიოზული წამუშავება დასჭირდება.

– ერთი ჭკვიანური გეგმა მაქვს, იმ საყვარელიძისგან სველი წერტილიც აღარ დარჩება, – ყარამანმა თანამოაზრეებს ამაყად გადახედა.

– გვითხარი, იქნება ჩვენც დავამატოთ რამე.

ყარამანმა ყველას სათითაოდ გადახედა და ხმადაბლა დაიწყო:

– ვინმე უნდა გამოვიჭიროთ, რომ თქვას, საყვარელიძეს ფულს ვაძლევო, ეს მარტო ჩემი აზრი არ არის. თვითონ ამბაკო სიმონიჩმა ედუარდ ამბროსევიჩ-თან შეათანხმა, ჩემი უფროსებიც მოწადინებული არიან, მათაც მიიღეს დავა-ლება; მალე იქიდან დაიწყებენ ოპერაციის განხორციელებას. გიორგი საყვარე-ლიძისთანა ადამიანებს ედუარდ ამბროსევიჩი სანთლით დაეძებს, რომ სა-ფუძვლიანად ამოძირკვოს.

ეს იმდენად საზარელი ჩანაფიქრი იყო, რომ ამ ბილწი მაქინაციების შემოქმედებსაც კი უცებ თავგზა აებნათ. ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა.

– ახლოს არვის იკარებს, ვინ უნდა მაიძებნოს?! – უიმედოდ თქვა ლავაშამ.

– საჭირო არ არი, აძლევდა თუ არა, მთავარია ლამაზად დავაბრალოთ და ვინმე ისეთი წავიჭიროთ, იძულებული გახდეს, ცილი დასწამოს.

– გენიალურია! – მოეწონა ზოსიმეს.

– ოღონდ კაცი უნდა შევარჩიოთ, ვისი გაწირვაც მოგვიწევს.

– მე უკვე ვიცი ამგვარი კაცი, – ზოსიმემ წამოიძახა.

– ვინ?

– ტიგრანა ძმანაშვილი.

ისევ გამეფდა დაბნეულობის დუმილი.

– ტიგრანა?

– ჰო, ტიგრანა, რამდენიმე მაგარი მასალა მაქვს.

– რა მასალაა?

– ერთი მაღაზიიდან ძვირფასი ავეჯი უფასოდ წაიღო; გარდა მაგისა, კვერცხის დამზადების კომბინაციაც მოაწყო.

– ეგ როგორღა?

– ვითომ დაამზადეს, მაღაზიაში ფული შეიტანეს და ტყუილი ცნობის გაგზავნის შემდეგ გამაიტანეს.

– ეგ ხომ ამბაკო სიმონიჩის დავალება იყო.

– მერე რა, ჩვენ იმიტომ არა ვართ, ვინც გვინდა, ის რომ წამოვკიდოთ.

– ქვეყანამ იცის, რომ გიორგი ამ საქმის და ყველა ამგვარი მაქინაციების დაუნდობელი მტერი იყო; ხალხი ხომ არ აღელდება?

– ვინ კითხავს ხალხს. თუ მაგრად შევუტევთ, გიორგის გინებით აიკლებენ. ჩვენ კიდევ იმიტომ ვართ, რომ რაც ქვეყნის ნაგავია, იმას მივაყაროთ, ვინც მის გადაყრას ცდილობს; წავიდეს მერე და ამტკიცოს, მართალი ვარო. ვინ მოუსმენს, როცა სამართლიანობის სამჭედლოს ედუარდ შევარდნაძე განაგებს. ისაც ჭედავს გიორგი საყვარელიძისთანებისთვის კარგად დასაჭედად მოსარგებ ნალებს; ჩვენ მხოლოდ ნალბანდები ვართ, – ყარამანი ახარხარდა, თან დაუმატა: – ზევიდან გამოგზავნილი ხალხი მოგვეხმარება, საქმეს ისე მოაკვარხჭინებენ, როგორც საჭიროა. ჩვენ კი ტიგრანას თავი ისე უნდა მოვაჩვენოთ, ვითომ ძალიან შეწუხებულები ვართ და დახმარება გვინდა; დანარჩენი იგრე წავა, როგორც წყალი.

– გენიოსი ხარ, ყარამან ვასილიჩ! – ყველამ შეაქო.

– ამბაკო სიმონიჩი უფროსებს უკვე შეუთანხმდა, ადგილზე კი ჩვენ უნდა ვიაქტიუროთ. მოკლედ, გიორგი საყვარელიძის მოსასპობად გადაწყვეტილება უკვე მიღებულია, დანარჩენი პრობლემა აღარაა, რასაც გვინდა, იმას დავაბრალებთ, ვინ გვიმოწმებს, – ყარამანმა მხიარულად განაცხადა, – ზევითაც აქა-იქ კიდევ შემორჩა საყვარელიძისთანა არაკაცი ინტრიგანები. ამიტომ მაინც საჭიროა ჩვენი შეთითხნილი საქმე რაღაცას მაინც დავამსგავსოთ. თორემ ედუარდ ამბროსევიჩს არაფრად უღირს ჩვენი მოსრიალება, რა ენაღვლება, შემსრულებლობის მოხალისეები არ უჭირს. ჰოდა, კანონის და კანონიერების დამცველის როლის თამაშში უნდა მივეხმაროთ, რათა უფრო ენერგიულად ფხრიწოს კანონის და კანონიერების ერთგულთა ტყავი. მოკლედ, მოსათათბირებელი აღარაფერი დაგვრჩა, ახლა ვიქეიფოთ და იგრე დავლიოთ, სულ ხოხვით წავიდეთ, – ყარამანი მხიარულ ხასიათზე იყო და ქეიფის დაწყება ეჩქარებოდა თავისი

ბრძნული აზრების ბახუსით შესანელებლად.

– უნდა ვსვათ, ვსვათ ჩასველებამდე! – ერთხმად დაიძახეს და ჭიქები ასწიეს.

ზოსიმემ დიდი ვაზიდან ხილი მაგიდაზე წამოყარა და მთელი ლიტრანახევრიანი სურა შიგ ჩაცალა.

– ვინც ამას დალევს, ბიჭიც ის არის და ძმობაც იმას შეუძლია! – დაიძახა და ტყის სახლის სადღეგრძელებლად მოემზადა...

## სამიზნე უნივერმაღია

**უნივერმაღში** დილიდანვე ხალხმრავლობა იყო. ილოს თავისი სექციის შესასვლელი თოკით გადაეღობა და მყიდველებს აფრთხილებდა, საქონლის მიღება გვაქვს, შუადღემდე სავაჭროდ ვერ მოვიცლითო. ზოგიერთი აბეზარი მაინც არ ისვენებდა, ედავებოდა, ეგრე როგორ შეიძლება, როცა მოგეპრიანებათ, მაშინ რომ აჩერებთ ვაჭრობასო. ილო ამ დავიდარაბით გაღიზიანდა, დანარჩენი მუშაკებიც დაძაბული იყვნენ; რაღაც ახალი საქონელი მიიღესო, ხალხი აწუხებდათ.

თოკთან ახალგაზრდა კაცი მივიდა და მოფუსფუსე გამყიდველებს დააკვირდა.

– ილო, ცოტა ხანს აქეთ მოდი! – სექციის გამგეს დაუძახა.

– თუ ძმა ხარ, თავი დამანებე, არავისთვის არ მცალია! – ილომ ხელი აიქნია და ჩამწკრივებულ თაროებში გაუჩინარდა.

ახალგაზრდამ თოკს გადააბიჯა და მისკენ წავიდა. მიუახლოვდა და ხელი მხარზე დაადო. ილო უცებ მოტრიალდა.

– რა გინდა, კაცო, რას დამდევ?! – აყვირდა.

– ჩუმად, დაბალ გაზზე, – ახალგაზრდამ პირზე ხელი მიადო.

ილო დაიბნა, პასუხის გაცემა ვერ მოახერხა.

– გვერდზე ოთახში წამოდი, სალაპარაკო მაქვს, – ახალგაზრდა მიტრიალდა და ოთახისკენ ისე წავიდა, ილოს არ დალოდებია.

– რა გინდა, კაცო, შარზე ხარ?! – ილო გაეკიდა.

– წამოდი, ილო, წამოდი, იცოდე, მადლობას მეტყვი, – ახალგაზრდამ დაუყვავა.

– მოდი, აბა მოდი, – ილო ახლა წინ წაუძღვა. – აბა, რა გინდა მითხარი! – ოთახში შესვლისთანავე გამომწვევად მიაძახა.

ახალგაზრდა სკამზე დაჯდა. – დაჯექი და დაწყნარდი, – ურჩია.

– ვააა! ეს ვის გადავეყარე! – ილომ ხელები გაშალა და სკამზე მაინც დაჯდა.

– ჯღანო თუ გაგიგონია? – დაუპატიჟებელმა სტუმარმა ჰკითხა.

– ჰო, როგორ არა.

– ის ჯღანო მე ვარ, შენი გოგოს გულისათვის ამბავი რომ მოვახდინეთ.

– ჩემი გოგო რა შუაშია?

– გეტყვი. ზოსიმე ჭრელაშვილს იცნობ?

– როგორ არა, მილიციაში რომ მუშაობს?

– ჰო. რას გავალებს ხოლმე შენ გოგოსთან დაკავშირებით?

– ..!

– ჩემი ნუ მეგერიდება, მე გაბოს მეგობარი და შენი გოგოს კეთილის მსურველი ვარ. გავალებს, რომ ნელი ჰამლეტას უნდა გააყოლოო?

– ის რას მავალებს, რა შენი საქმეა!

– ჩემი საქმე ნამდვილად არ არის, მაგრამ შენი ოჯახის პატივისცემა მავალებს, ერთ რამეზე გაგაფრთხილო და რჩევა მოგცე. თუ დამიჯერებ რა, კარგი,

თუ არადა, შენც კარგად იყავი და მეც; ოღონდ იცოდე, მერე თავში საცემი გაგიხდება ჩემი არ დაჯერება, მაგრამ გვიან იქნება.

– რაშია საქმე?!

– ზოსიმე როდისმე თუ დაგემუქრა ყარამანის ბიჭის გამო?

– კაცო, შენ მითხარ, რა გინდა?

– კარგი, მაშინ გეტყვი. შენ როგორც გინდა, იგრე მაიქეცი. ჩემთვის ამ დღეებში ცნობილი გახდა, რომ ყარამანის დავალებით თუ შეთანხმებით, ფერადი ტელევიზორები რომ მიიღეთ, გაყიდვის დროს კაცს მოგიგზავნიან და ფასების დამახინჯებას შეგიკერავენ. დაგიჭერენ, რათა ნელი ყარამანის ბიჭთან მივიდეს და დახმარება სთხოვოს. ის კი შენ თვითონ იცი, რა პირობასაც წაუყენებს. გარდა ამისა, ყარამანმა დაიტრაბახა, მაგის გოგოს სახლში არ მივიყვან, ბიჭი აბურთავებს და მერე უკან მივუგდებო; გაბრაზებულია, ნელის ჰამლეტა მაგრა გაუჯორნია.

ილო ჩაფიქრდა.

– გენიშნა?

– მგონი.

– ახლა გირჩევ, თანამშრომლები გააფრთხილო, რომ ზოსიმეს ბიჭის შარზე არ წამოეგონ. შენ კი დაწერე განცხადება და დროებით აქაურობას გაეცალე. არავის არ გააგებინო, თავის ისე დაიჭი, ვითომ ისევ მუშაობ; განსაკუთრებით ფერადი ტელევიზორების საკითში მოიფიქრე რამე. ჩემი გჯერა?

– გასაგებია, ჯღანო, თუ კიდევ გაიგო რამე, შემომიარე.

– რაც გითხარ, დღეიდანვე გაფრთხილდი, არ დააგვიანო, – ჯემალი ადგა, კარებისკენ გაემართა, – კარგა იყავ, ილო! – ხელი დაუქნია და სწრაფად წავიდა.

დაბნეული ილო თავის სკამს შემორჩა. ესე დიდ ხანს იყო. ფიქრებით ზოსიმესთან თავისი შეხვედრის ყველა მომენტი გადაამოწმა. მართლაც, მისი გოგოს და ჰამლეტის საკითხით საეჭვოდ იყო დაინტერესებული, თანაც საბუარში ხშირად მუქარის ტონს ურევდა, არ გვაწყენინო, თორემ ხომ იცი... თუ ჩვენი მოყვრობა არ გინდა, იცოდე, შენი სული ჩვენს ხელშია, თითის გაქნევა დამჭირდება, ვირის აბანოში რომ ამოგაყოფინო თავიო. აშკარა იყო, რაღაც საშინელს უმზადებდნენ; თანაც მეუღლემ ხომ უთხრა, ნელის ჰამლეტი გაულანძღიაო. ყარამანის და ზოსიმეს მხრიდან რაღაც არასასიამოვნოს თვითონაც მოელოდა, მაგრამ რაც ჯღანომ უთხრა, ამას კი ვერ მოიფიქრებდა, არადა, ამ ბიჭს საიდან უნდა სცოდნოდა ყველაფერი ასე ზუსტად. „სიფრთხილეს თავი არა სტკივა“, – გაიფიქრა და სკამიდან მტკიცე გადაწყვეტილებით ადგა. გამყიდველები გააფრთხილა, ერთი ნათურაც კი არ გაყიდოთო და დირექტორის კაბინეტისკენ გაემართა. ყველაფერი დაწვრილებით აუხსნა და განთავისუფლების შესახებ განცხადება იქვე დაწერა.

ზოსიმემ ტელევიზორების სექციას ორი კვირა უტრიალა. ილოს რამდენიმეჯერ შეხვდა, თვალი ჩაუკრა და ასე სიტყვის უთქმელად გასცილდა. ყველაფერი გარკვეული იყო, მსხვერპლი ამორჩეული ჰყავდა, ახლა მომენტს ელოდა, რომ თავისი უკუღმართობის მექანიზმი მოქმედებაში მოეყვანა. სექციაში კი რაღაც უცნაური ხდებოდა: ტელევიზორების ფასები სპეციალურ დაფაზე გამოიტანეს, თანაც შესასვლელთან ეწერა, გაყიდვას აწარმოებს დირექტორის მიერ შექმნილი კომისია ადგილკომისა და ქალაქის წარმომადგენელთა მონაწილეობითო.

– თქვენ ეს გიშველით?! – ზოსიმემ დამცინავად ჩაიქირქილა.

მალე მისმა მოგზავნილმა კაცმა გამყიდველს საიდუმლოდ სთხოვა ფერადი

ტელევიზორის შესყიდვაში დახმარებოდა, სამაგიეროდ საჩუქრად ორმოცდაათ მანეთს შეჰპირდა.

— ხვალ მოდი, ფული საჭირო არ არის, ტელევიზორს თავის ფასში მიიღებ, — უთხრა გამყიდველმა.

— როგორ, მაგის კაცი ვარ? არა ძმაო, შენ შენსას მიიღებ, — მყიდველმა თავი გამოიდო. — შენ პატივისცემას როგორ დაგიკარგავ. ხვალ მოვალ და ყველაფერი კაცურად გაკეთდება. „მყიდველი" წავიდა, გამყიდველმა კი ეს ამბავი კომისიას მოახსენა.

მეორე დღეს იმ კაცმა ტელევიზორი შეიძინა.

— წავალ ვინმეს მოვიყვან, რომ მომეხმაროს, — თქვა და ორმოცდაათი მანეთი გამყიდველს დაუგდო.

— ერთ-ერთმა კომისიის წევრმა ფული აიღო და უნივერმაღის გასასვლელში დაიჭირა, — ეს ფული აიღე და ცოტახანს ჩვენთან მობრძანდი! — მკაცრად სთხოვა.

დაბნეული „მყიდველი" გაოგნებული იდგა. სწორედ ამ მომენტში ზოსიმე გამოჩნდა.

— რა ამბავია? — იკითხა.

— ტელევიზორი ვიყიდე, ორმოცდაათი მანეთი „ვერხი" მთხოვეს, ახლა მედავებიან, ცოტააო. რა ვქნა, მეტი აღარა მაქვს; ნამუსიც კარგი საქონელია, ჩემმა მზემ! — „მყიდველმა" თავი იმართლა.

— აბა წამოდით, წამოდით! — ზოსიმემ ყველა სექციაში მიიწვია. თან მეორე თავისი თანამშრომელიც ახლდა. მალე იმ გამყიდველს ტელევიზორის გაყიდვაში ფასების დამახინჯება გაუფორმა და სექციაში აღწერა დაიწყო. კომისიის წევრების პროტესტს ყური არ ათხოვა, გამყიდველი იქავე დააკავა და მილიციის განყოფილებაში წაიყვანა.

კაბინეტში შესვლისთანავე დარეკა: — ყარამან ვასილიჩ, ერთი მწყერი უკვე გავაბი, მალე ღლავიც მოჰყვება... რა მოხდა და შენი მოყვარობის კანდიდატურა ილოს გამყიდველი გამოვიჭირე. მალე ილოსაც გამოვდებ ჩანგალს... მაგარი ვარ, აბა რა. პირობა პირობაა, რაც ითქვა, უნდა შესრულდეს... შენ თვითონ ამოხვალ? კარგი იქნება, ცოტა შეაშინე. იქ, ადგილზე, ინტრიგანების მთელი სკა აიშალა, კომისია ვართო, მაგრამ გიყვარდეს, მე იმათ ჩავჩარე პირში ბურთი...

ჯემალის ჩვევად გადაექცა, საღამოობით ტყის სახლთან გაევლო, თუ რაიმე მოძრაობას შენიშნავდა, აუცილებლად გაარკვევდა, ვინ იყვნენ. ახლა ყარამანის სიდედრის გარდა ამ სახლს ორი არაოფიციალური პატრონიც ჰყავდა: ყარამანი — საზოგადოებისგან შენიღბული, ფარული, მაგრამ ახლობელთა ვიწრო წრეში გამჟღავნებული, მეორე — ჯემალი იდუმალებით სავსე ამ კარმიდამოს ყველა საიდუმლოს მფლობელი.

ჯემალი საღამოთი მშენებლობიდან ბრუნდებოდა. ტყის სახლის ეზოში ცეცხლი შენიშნა. მაშინვე მანქანა მოფარებით გააჩერა და ცნობილი ბილიკით თავის სამალავში შეიპარა და სრულიად შემთხვევით გახდა იმ ვიწრო თათბირის მონაწილე, რომლის საიდუმლოსაც ესოდენ იცავდნენ ყარამანი, ზოსიმე, ჯიმშერა და მათი დედაქალაქელი თანამოაზრე, რომელიც უშუალოდ ედუარდის დავალებით გამოგზავნეს ურჩი, არასაიმედო პირებისთვის ცილისწამების შესათითხნად.

## სინდისზე მონადირენი

**მურმან** კვირველია შავი ჩანთით და უფრო შავი იდუმალებით მოცული ჩანაფიქრით მედიდურად ესტუმრა მის ჩამოსვლას ესოდენ მოწყურებულ ბოროტების მამამთავრის წვრილფეხა პარაზიტებს. სანამ პირდაპირ საქმეზე გადავიდოდნენ, ჯერ საიდუმლო სერობა მოაწყეს. პარტიის ცეკას პირველი მდივნის ედუარდ შევარდნაძის საპასუხისმგებლო დავალება ჰქონდა სანდო კაცს, რაც რაიონში თვალთმაქცობა, მიწერები, უკანონობა და უკუღმართობა ხდებოდა, რასაც ედუარდის დავალებით ამბაკო სიმონიჩი ახორციელებდა, არასაიმედო პირებისთვის დაებრალებინათ და სათანადოდ დაესაჯათ, რათა ამბაკოს თაღლითობისათვის ხელი ვეღარავის შეეშალა.

საღამოთი ტყის სახლში ოთხნი შეიკრიბნენ. ყარამანი თავის ოთახში დივანზე იჯდა, დანარჩენები: ზოსიმე და ჯიმშერა კედელთან მიდგმულ რბილ სკამებზე ისხდნენ, მურმან კვირკველია კი სავარძელში ნებივრად გადაწოლილიყო. მაგიდა პურმარილით დაემძიმებინათ, მაგრამ ჯერ მისკენ არ იყურებოდნენ; ფრიად სერიოზულ საკითხზე საუბრობდნენ და, ეტყობა, არ უნდოდათ ბახუსით დანისლული გონებით ემსჯელათ.

მძღოლმა ღვინით სავსე ორი სურა შეუტანათ, საუბარი მაშინვე შეწყვიტეს; საიდუმლოს განსაკუთრებით უფრთხილდებოდნენ. მძღოლი გავიდა და საუბარი განახლდა:

– ისეთ ილეთებს დავატრიალებ, თავბრუ დაესხათ, ვერ გაიგონ ქარი საიდან უბერავს; სწორედ იმას მიმართონ დასახმარებლად, ვინც სახუნდარში იჯდება თოფმომარჯვებული. მე რაც მსგავსი ამბები მომიკვარახჭინებია, ამიტომაც მენდობიან ჩვენი ქვეყნის მამამთავრები. არასასურველ პირთა მოგუდვას მუდამ მე მავალებენ, – მურმან კვირკველიამ სავარძლის კიდეს ხელი მოჰკიდა და თავისი ქადალდით კმაყოფილმა საჭმელებით დატვირთულ მაგიდას გადახედა.

– ნადირობაც გეყვარება, ისე ოსტატურად გაიხსენე სახუნდარში ჯდომა, – ზოსიმემ პირმოთნე ღიმილით იწინასწარმეტყველა.

– როგორ არა, ოღონდ სამწვადე ცეცხლთან ჯდომა; ეშვებგალესილი კერატის მუქარას სხვებმა უცადონ. მე ბასტურმას უფრო ვცემ პატივს, ვიდრე შენსკენ გამოქანებული კერატის დამიზნულ ეშვებს. ეშმაკს არ სძინავს, ვინ იცის, რა მოხდეს; არც ისაა გამორიცხული, ეშვზე მწვადივით შენ წამოეგო.

– ჭკვიანური აზრია: ღორი სხვებმა მოკლან, მისი სუკები კი რჩეულთა ხვედრია, – ზოსიმემ აზრი მოუწონა.

– მაგარია, რა სჯობია, სუფრასთან ჯდომას და ვარხალალოს ძახილს; ყმებმა კიდევ გარშემო გვირბინონ; რა, ცოტანი არიან? – ზოსიმემ აზრი შეაქო.

მძღოლმა მწვადები შემოიტანა, შამფურებს დიდ თასში წააძრო, ზედ ბროწეული დააწურა, დაჭრილი ხახვი დააყარა, ზევიდან მათლაფა დააფარა და შეანჯღრია.

– სანამ გაცივდება ჭამეთ. თუ დაგჭირდებით, დამიძახებთ; მე ახალი მწვადი უნდა შევწვა, – თქვა და გავიდა.

– რა ელდასავით დაგვაყარა საჭმელი, – ზოსიმემ გაიკვირვა, – მოდით ნელ-ნელა ჭამას შევუდგეთ და თან საკითხებიც გადავჭრათ, – ყარამანი მაგიდას მიუჯდა, ყველამ მას მიბაძა.

კარგა ხანს უხმოდ ჭამდნენ, ეტყობა შიოდათ, მერე მწვადის ხარისხის ქება დაიწყეს და ახმაურდნენ.

– მურმანს გაუმარჯოს! – ყარამანმა ჭიქა ასწია. – კაცური კაცი, ამხანაგის და მეგობრის ერთგული, ძმობის ეტალონი, ჩემი თანამოაზროვნე და თანაკურსელი, იცის ქიციც და ქიცმაცურიც; მოკლედ, იშვიათი მამულიშვილია. მურმან, იცოცხლე, დღეს არა ერთხელ მოგვიწევს შენი დღეგრძელება, – შექონილი ტუჩები ჭიქაში ჩაიბანა და სასმელის გამოცლის შემდეგ ტუჩები ენით მოილოკა.

– რაღა მწვადზე ადღეგრძელე ოჯახიდან უდროოდ წასულივით, – ღიმილით შენიშნა ჯიმშერ ზარდიაშვილმა.

– ელაპარაკე ახლა ამას, ერკვევა რაღა სუფრის წესებში! ბიჭო, როდის იყო ქეიფს მწვადის ჭამით ვიწყებდით. აბა სტუმრის სადღეგრძელოს ბოლოს ხომ არ ვიტყოდით! – ყარამანმა შენიშვნა იწყინა.

– მურმანი რა სტუმარია, ჩვენი ოჯახის წევრია პირობის შემსრულებელი და საიმედო კაცი; მის ძმაკაცობას ვინ არ ნატრობს, მაგრამ განა ყველაა ამის ღირსი?! – საუბარში ზოსიმე ჩაერია.

ერთმანეთის ქებით და ერთგულების მტკიცებით ქეიფის აზარტში შევიდნენ.

– ყარამანი ჩემი მეგობარია, ბევრი ვაჟკაცური საქმე ერთად მოგვიკვარახჭინებია. ერთმანეთის გვესმის და, თუ საჭიროა, ზოგიერთ არაკაცს კისერსაც ოსტატურად მოვუგრეხთ; ვინც ჩვენი უნარი და შესაძლებლობები არ იცის, ჩვეულებრივი მოკვდავნი ვგონივართ, მაგრამ, თუ საჭიროა, თავი ანგელოზი რომ ჰგონიათ, იმდენ მართალტყუილს წამოვკიდებთ, ეშმაკეთშიც გაუკვირდეთ, – თავის შესაძლებლობებში დარწმუნებული მურმანი ყოყოჩად ლაპარაკობდა.

– ბიჭები არხეინად არიან, ის კი არ იციან, თავზე რა გრიგალი დაატყდებათ, – ყარამანმა მწვადით გამოტენილი პირით თქვა.

– საქმის დაწყებას საიდან აპირებთ? – იკითხა ზოსიმემ.

– საჩქარო არაფერია. ჯერ სავაჭრო ქსელის ობიექტებს დავეცემით, ვითომ შემთხვევით. მაღაზიის გამგეს რომ გამოვიჭერთ, დავაწერინებთ, რომ ტიგრანა ძმანაშვილს აძლევენ ფულს. საკმაო რაოდენობით მასალები როცა შეგროვდება, მაშინ უკვე ტიგრანას მივადგებით და ვეტყვით; ან თქვი, რომ გიორგი საყვარელიძეს ფულს აძლევდი, ან თავი დაღუპულად ჩათვალოს. ამ საქმეში თქვენ, „მისმა მეგობრებმა", დიდი როლი უნდა ითამაშოთ, ვითომ მისი ბედი გაწუხებთ და ჩემთან შუამდგომლობით გინდათ მდგომარეობა შეუმსუბუქოთ. ტიგრანა ჩვეულებრივად გაიჭედება, მაგრამ ვერ უნდა გაიგოს მისი ბედის უკუღმა აბრუნებაში თქვენს როლზე. მოკლედ, აქ ერთ თვეში ამბავი დატრიალდება, დედა შვილს ვერ აიყვანს ხელში, – მურმანმა თავისი გეგმა გააცნოთ.

– ვნახოთ, გიორგი საყვარელიძე რა ხმაზე ამღერდება, თავი წმინდანად რომ მოაქვს, – ზოსიმემ გესლიანად გაიცინა და თავისი დაფანტული კბილები გამოაჩინა.

– მალე წაიშლებიან და კაცის შვილი აღარ იქნება ჩვენი ხელის შემშლელი; ვინც რაიმეს გაბედავს, ამოვძირკვავთ.

– ჯერ გიორგი გამოვაცალოთ, მერე როგორც ძერა წიწილებს, ისე დავერევით, – ყარამანი იმუქრებოდა, – პირველ რიგში სკოლის დირექტორს ვუტირებ დედას, ქრთამის საქმე უნდა გავუჩალიჩოთ. ზაქროს – ფიზკულტურის მასწავლებელს ვინმე მანქანას დააჯახებს, ვინც გვინდა, იმას კიდევ დავიჭერთ, ვთქვათ, ჯღანო დააჯახებს მანქანას. რასაც გვინდა იმას მოვჭრით და როგორც გვინდა იგრე გავზომავთ. – მერე უცებ შუბლი შეიკრა, – ზოსიმე, რა დაგემართა, ეგრე როგორ მოტყუვდი, შენისთანა მაგარი კაცი რესპუბლიკაში ორი არ იქნება; უნივერმაღის საქმე როგორ ჩაგეშალა?!

– ეტყობა გაფრთხილებული იყვნენ, მაშ, რით უნდა აიხსნას ილოს წინასწარ განთავისუფლება და კომისიის შექმნა. რომ იტყვიან, საითაც გავიქეცი, იქით წავიქეცი. ის გამყიდველიც გაუშვეს და სასტიკი საყვედურიც ავიკიდე. თუ არა გიორგი საყვარელიძე, მაინც როგორც გვინდოდა, იგრე იქნებოდა, მაგრამ ეგ ინტრიგანი ყველა კარგ საქმეს აფუჭებს; ამას შავარჩენ?! – ზოსიმემ ხელი მკერდზე დაირტყა, – ჩემი უფროსი კი გაგდებით მემუქრება.

– ეგ მილიციის უფროსი ძალიან ცუდად კაკანებს, კვერცხი გაეჭედება უთუოდ, – ყარამანმა ისაც ანგარიშგასასწორებელთა სიას მიაწერია.

– ნუ გეშინია, არავის ჯავრს არ შეგაჭმევ, – შეპირდა მურმანი.

– იმ ნოქარ ილიას გოგო რაღას შვრება, ისევ ურევს, ყარამან ვასილიჩ? – შეეკითხა ზოსიმე.

– შენი შეპირების იმედი მქონდა, თავისი ფეხით მოვა და შეგეხვეწებაო. მაგ ამბის შემდეგ, რაც უნივერმაღში დატრიალდა, ილოს ცოლს ჰამლეტი სახლიდან გამოუგდია და მანქანამდე სულ წყევლა-კრულვით გამოუცილებია.

– რაღაცა იყნოსეს. მეც შევახსენე, ყარამანის ბიჭს გოგოს რატომ არ მიათხოვებ-მეთქი, რაღა არ მკადრა, ადრე სულ მოკრძალებით რომ მხვდებოდა, დაბმული ქოფაკივით მებღღვნა. შე ციგანო, გათახსირებულო, ამხანაგების ცოლებში გათქვეფილო, ხვადაგო! როგორ მიბედავ ეგრე თავხედურად ლაპარაკს, ჯიგარი უნდა გამოგაცალოო. მოკლედ, ილო წიწაკანაჭამივით არის. ჩემს ხერხზე თუ მოვიგდებდი, სხვა ტონზე დაუკრავდა, მაგრამ...

– ერთმა ტილიანმა ნოქარმა გული ეგრე როგორ გაგიტეხა! – გაუწყრა ყარამანი.

– რას ამბობ, გიორგი საყვარელიძეს ჩემი განთავისუფლება უნდოდა, არც მილიციის უფროსი მიჭერდა მხარს. მოკლედ, სასწაულად გადავრჩი. ყარამან ვასილიჩ, შენი იმედი მაქვს.

– მაგ ილოა რაღაცა, მე მოვუგრეხამ კისერს, – შეპირდა მურმანი.

– არა ღირს, თანაც არსად არ მუშაობს. კიდევ რომ დავეტაკო, უნივერმაღის საქმეს ისევ გამიხსენებენ და შეიძლება ჭირად მექცეს. სანამ გიორგი საყვარელიძე არ დაზანყებულა, სიფრთხილეა საჭირო; ყველა ოხერსა და მამაძაღლს თავდებად უდგება.

– გიორგის საქმე ზევით უკვე გადაწყვეტილია, მალე აუვა ბოლი, – მურმანმა გადაჭრით თქვა.

– რომელი ამხანაგის ცოლებს დაერიეთ, არ გითხრა? – ჯიმშერი დაინტერესდა.

– ალბათ ტიგრანას ცოლი ჰყავდა მხედველობაში, ეგ რა ჩემი ამხანაგია, ხა, ხა, ხა! – ზოსიმემ თავისი მიმოფანტული კბილები ისევ გამოაჩინა.

– მართალია, რასაც მაყვალაზე ამბობენ? – დაინტერესდა ჯიმშერა.

– კაცო, შენ იმ ოღრაშ-სარას მოუარე, გაიგე?! – შეუღრინა ზოსიმემ.

– რა გეწყინა, ქალი არ მალავს და...

– შენ საიდან იცი?

– ამბობენ, ტიგრანასთვის უთქვია, ზოსიმესთან სიარულს ნუ დამიშლი, თორემ სულ გაგექცევიო. იმ ბისკვიტივით დედაკაცს რა აჭამე, ჩვენც გაგვიზიარე.

– იცის ზოსიმე ბიჭმა ქალის მოჯადოება. ვისთანაც გამივლია, აღარ მეხსნებიან, კაცო!

– ტიგრანას მალე დაიჭერენ და მაყვალაში აღარავინ შეგეცილება.

– არც ახლა მეცილება ვინმე, ტიგრანა ახრასიას რძალზე არის გადაკიდებუ-

ლი, ჩვენთვის არა სცალია.

– ეგ ვენერა მაგარი დედაკაცია, მარტო ტიგრანასთვის არ მოსცდება.

– მაგარიც არის და ხათრიანიც, უარს არავის ეუბნება, იმიტომ გაჩნდა მის ფანჯარაზე წყლით სავსე გრაფინი, – ზოსიმემ ჩაიქირქილა.

ყარამანი უხერხულად შეიშმუშნა.

– სულელი დედაკაცი ბირჟაზე რომ გამოკიდებია, ზოსიმე შენს ცოლთან დადისო, ვინ არის? – ყარამანმა საუბრის მიმართულება შეცვალა.

– ის დედაკაცი რათ უნდა, მთელმა ქალაქმა იცის ტიგრანას გარაჟში დატრიალებული რომანის შესახებ.

– ყოჩაღ თქვენ, საქმესთან ერთად გართობაც მადლიანი გცოდნიათ, – საქციელი შეუქოთ მურმანმა.

– ეგრეა, ძმაო, არაფერს არ ვიკლებთ, რასაც ამქვეყნიური სიამოვნება ჰქვია; მაგრები ვართ გაქცევაშიც და წაქცევაშიც, – სიცილით თქვა ზოსიმემ.

ასე საუბარში ველარ დგებოდნენ; ბახუსს და ძილს ყველა თავის სკამზე მიეჯაჭვებინა.

## მოტაცება

**ჰამლეტი** თავის თბილისის ბინაში დივანზე ნახევრად გადაწოლილი სიგარეტს აბოლებდა. იქვე, ჟურნალების მაგიდაზე დადებულ ბროლის დიდ საფერფლეში დროდადრო ნამწვს ბერტყავდა. იმავე მაგიდაზე კონიაკის ბოთლი, სამი ჭიქა და შოკოლადით სავსე ვაზა იდგა. შეთე და ზორბეგიც მის მსგავსად დივანზე გადაწოლილიყვნენ. მოპირდაპირე კედელთან მიდგმული იაპონური ტელევიზორი რომელიღაც ამერიკულ პორნოგრაფიულ ფილმს აჩვენებდა. სამივეს გაცრეცილი და გადაღლილი სახეები ჰქონდათ. დროდადრო განსაკუთრებით საყურადღებო მომენტის დანახვაზე აღფრთოვანებით შესძახებდნენ: – შენ გენაცვალე! ეგე, ცხოვრება სად არის. ჩვენც უნდა ვთქვათ, ვცხოვრობთო; ხედავთ, ხალხი რა დროს ატარებს?!

ჰამლეტი ამ წამოძახილებში მონაწილეობას არ ღებულობდა, კონიაკით გაბრუებული სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა. დროდადრო ამოიქშინებდა, ღრმა ნაფაზს დაარტყამდა, ბოლს მაღლა აუშვებდა და მერე კონიაკით ყელს გაისველებდა.

მთელი ღამე კარატეზე და ამერიკულ კოვბოისტურ ფილმებს უყურეს; ახლა სამივეს თავი კარატეისტები და მოუხელთებელი განგსტერები ეგონათ. ის სივრცე აღარ ყოფნიდათ, რომელსაც მათი ლამაზი სამშობლო ერქვა. რაღაც დიდ, გრანდიოზულს მოითხოვდნენ, თავი ბუმბერაზებად წარმოედგინათ, სხვა ყველა დანარჩენი კი მხოლოდ იმ არასასურველ ქმნილებებად, რომელთა ჭიანჭველასავით გასრესა შეიძლებოდა. გაფრენა და ჯირითი ეწადათ, მაგრამ რაც უფრო დიდხანს უყურებდნენ ტელევიზორით ამ გონების, შეგნებისა და ზნეობის მათრობელა საწამლავს, უფრო უსუსტდებოდათ ისედაც ორგიებში მოთენთილი სხეული; თიხის ფეხებით გაჭენება კი არა, საკუთარი თავის დაძვრაც უჭირდათ. შეჰყურებდნენ ამ უსაქმურობის, უზრუნველობის და უზნეობის ბანგით გაჯერებულ სურათებს და ისედაც უსუსურნი მათი მრუდე ცხოვრების გამო, მთლად არარაობას ემსგავსებოდნენ. თავიანთ თავზე რაც უფრო დიდი წარმოდგენა უჩნდებოდათ, მით უფრო ჩიავდებოდნენ და კნინდებოდნენ რეალურ სინამდვილეს მოწყვეტილები.

– ჰამლეტმა მორიგ სიგარეტს მოუკიდა და ბოლი ხმაურით მაღლა აუშვა.

– რა გული მოიკვეთე, ვის ოხრის გულისთვის ხარ ეგრე?!

– ბიჭო, ეგრე აჯმურად ქალის შეყვარება შეიძლება?! შეხედე, რა ხდება ამერიკაში, ვინ ვისი ცოლია არ გაიგება; ან სიყვარული რა სახსენებელია, როცა ასეთი ქაოსია, – ურჩიეს ძმაბიჭებმა.

– მე როდის მიყვარს, უბრალოდ მისმა სიჯიუტემ გამაღიზიანა, მიყვარს კი არა, მძულს! სწორედ ამიტომ მინდა ჩემსას მივაღწიო; რაღა ბიჭობა იქნება, მაგას თავისი თუ გავაყვანინე.

– მაინც რას აპირებ? აქამდე იმისი დედა მაინც გექცეოდა ადამიანურად. რაც ზოსიმემ უნივერმაღს შეუტია, იმანაც კინწისკვრით გამოგაგდო; თვალთმაქცი ქალი ყოფილა. ადრე სულ ჩემო ჰამლეტო, გეძახოდა, თურმე გულში სულ სხვა რამ ჰქონია... რაკი თავისი ილო სამშვიდობოს დაიგულა, სიდედრის ბრჭყალები გაჩვენა.

– მანამდე პური არა ჭამოს, სანამ ჩემს სიდედრობას ეღირსება. თუ უნდა, მაგის გაგრია გოგოს ბოზად დავისვამ; სიდედრად კი გაბოსთვის არის ზედგამოჭრილი.

– გაბო არც იწუნებს...

– ჰოდა, ჯერ მე ვაბურთავებ, როგორც საჭიროა, მერე წაიყვანოს მაზუთიანმა გაბომ, ვინ უშლის.

– მაინც როგორ აპირებ აბურთავებას, როცა გოგო სათოფეზე არ გეკარება.

– მეც სწორედ მაგაზე ვფიქრობ, რაიმე უნდა ვიღონო. რაკი ერთი ხელში მოვიგდებ, მერე იქნება აქეთ მეხვეწებოდეს, მაგრამ უკაცრავად, გაბოს მივუგდებ; ისე კი ზოგჯერ შეიძლება კიდეც გავიხსენო ხოლმე.

– კარგია, მაგრამ გაბო სახუმარო ბიჭი არ არის. იქნება ჯობდეს, მაგ აშალღარას შეეშვა, ქალაქში ქალები გამოილია?

– შენ მაინც მაგრა დაგაშინა. ის „ნაგანი“ ხომ იპოვნე. ვერ ხედავ, ამერიკელები იარაღს როგორ ხმარობენ? გაბო რა ვირის ფეხებია. ერთი ტყვია და მისი ჯანი. მე შენ გეტყვი, მამაჩემი ვერ გიშველის თუ რა.

– გოგოში შენ გეცილება, აიღე „ნაგანი“, გაჩუქებ. თუ ასე გინდა, მოკალ ის გაბოა რაღაცა, მამაშენი მაინც გიშველის; რაკიღა მაგ მათხოვარი გოგოს გაბოზება არ მოგიშლია. როგორც ძმაკაცი, მეც გვერდით გეყოლები, მარტო არ მიგატოვებ. თევზაობა თუ გიყვარს, საჯდომის დასველებას არ უნდა ერიდებოდე... რაკიღა არ მოგიშლია, მაგ საქმეს ბოლომდე მიაწექ.

– დიდი ვინმე ნუ გგონია ეგ გაბოა რაღაცა, ქალაქში რომ ჩამოვიდეს, გზაკვალს ვერ გაიგნებს. შენ თუ მაგარი მოგარტყა და იმისი გეშინია, ჩვენ აგერ არა ვართ; თუ საჭიროა სულ სისხლს ვაფურთხებინებ, – შეთემ თავი გამოიდო.

– თუ ასეთი მაგარი იყავ, რაღას გარბოდი! – ზორბეგმა იწყინა.

– შენი „ნაგანი“ გადააგდო, ჩემი სახლიდან უნდა მომეტანა.

– აქამდე ვეღარ მოიტანე? პასუხს რატო არ ჩააბარებ.

– მე პასუხის ჩასაბარებელი რა მაქვს, ჩანები ბუდიდან შენ ამოგიყარა.

– ცოტა ხანს დარჩენილიყავ, იქნებ შენი ჩანების მდგომარეობაც შეემოწმებინა.

– მე არც ისეთი ხელწამოსაკრავი ვარ, შენ რომ გგონია!

– მე ვარ ხელწამოსაკრავი?

– რა ვიცი, კარგად კი...

– რა კარგად კი! – ზორბეგმა ხმას აუწია, – იმის მაგიერ რომ მომშველებოდი, გაიქეცი.

– შეიარაღებული კაცი ერთ მაზუთიან გაგრიას რომ ვერ დააფრთხობდი, რა ვიცოდი.

– კარგი, შენ რაზე დაფრთხი?!

– ხომ გითხარ, რას ვაპირებდი.

– ეგრეა, სუფრაზე გრძელი ენები გაქვთ, იქ ჩაგივარდებათ ხოლმე.

– სად?

– სადაც ენის ადგილი არ არის.

– კინკლაობა გეყოფათ, ეგრე ფონს ვერ გავალთ, – მათ დავაში ჰამლეტი ჩაერია, – თქვენ ის მითხარით, ამ საქმეს როგორ მოვუაროთ?

– როგორც გინდა, იგრე მოუარე. მე კი გირჩევდი, სუმთლად შეეშვა. იცოდე, არც შენ ხარ ტარიელ მკლავაძე და არც ის მაზუთიანი გაგრია არის სპირიდონ მცირიშვილი. მოკლედ, აუტკივარი თავის ატკივებად არა ღირს. არადა, შეიძლება ისეთი ოთურმა დატრიალდეს, მამაშენის დახმარებამაც ველარ გიშველოს, – გააფრთხილა ზორბეგმა.

– მარტო კინოს ყურებაში ვართ მაგრები, როცა საქმე საქმეზე მიდგება, მაშინ კი ყველას ვაჟკაცობის ჭია უკვდება, – ჩაილაპარაკა ჰამლეტმა.

– კარგი. რომ არ იფიქრო ზორბეგა ქვეშიდან გამოვიდაო, ყველაფერზე თანახმა ვარ. თქვი, რა გეგმები გაქვს, მოგყვები, მაგრამ სხვისი ხელით ნარის გლეჯა არ გამოვიდეს.

– თუ ძმობაა ძმობა იყოს, მეც თანახმა ვარ, ოღონდ გავარკვიოთ, რას აპირებ, – არც შეთე ჩამორჩა ზორბეგს.

– რას უნდა ვაპირებდე, რა ვიცი, მარტო ჭიქების ტრიალი ხომ არ არის ვაჟკაცობა.

– ბიჭო, გოგო ახლოს არ გეკარება, მაშინ ძალა უნდა ვიხმაროთ. თუ ამას გადავწყვეტავთ, ცოტა დაფიქრებაა საჭირო, თორემ შეიძლება ჭირად გვექცეს.

– რა ვქნათ, რა მოვიფიქროთ? – ჰამლეტი დივანზე გასწორდა.

– მოვიტაცოთ, მაგის დედაც ვატირე, პირდაპირ ჩვენთან წავიყვანოთ. სად-მე მივარდნილ სოფელში გვყავდეს რამდენიმე დღე, თუნდაც მთელი თვე; ნებით არ ინდომებს, ძალით დავიმორჩილოთ. იგრე გავუხადო საქმე, აქეთ გვეხვეწე-ბოდეს, ჰამლეტმა თუ არა, რომელიმემ მაინც წამიყვანეთ ცოლადო. მოკლედ, როცა იმის დედ-მამას ჩავაბარებთ, უკვე საჩვენოში იქნება. რაკი ერთხელ ჩვენსას მივაღწევთ, მერე დომკრატივით სულ მანქანაში გეჯდება და ველარ მოიცილებ, – შეთემ თავისი იმედიანი აზრი გამოთქვა.

– ძალიან კარგია! – ჰამლეტმა ტაში შემოჰკრა. – აი, ეს მესმის, ტყის სახლ-ში მივიყვან და მთელი წელიც რომ გავიდეს, კაციშვილი აზრზე ვერ მოვა.

– თქმა კარგია, მაგრამ როგორ უნდა მოვიტაცოთ, მოფიქრებაა საჭირო. ქალაქია, აქ ყარამანა ძია ხომ არ გვყავს, უხმაუროდ უნდა გავაკეთოთ, თორემ იმ ალქაჯმა გოგომ თუ ყვირილი ატეხა, წასულია ჩვენი საქმე.

– ეხ, ზორბეგ, ამ ბოლო დროს სიმხდალე შეგეპარა, ეგრე როგორ იქნება. სადაც წვრილია, იქ გაწყდეს, მაგის დედაც ვატირე, მოვიტაცოთ, მორჩა და გათავდა! – შეთემ დარდიმანდულად დაასკვნა.

– სადაც წვრილია, იქ გაწყდეს! – ზორბეგმა გამოაჯავრა. – თუ ჩავაფლა-ვებთ, ეგეთი მოტაცება რათ გვინდა. ისე უნდა მოვიტაცოთ, რაც მიზნები გვაქვს, შევასრულოთ, თანაც წყლიდან მშრალი გამოვიდეთ.

– ქალის მოტაცება ბამბის პენტვა სულაც არ არის. თუ გავიჭედეთ, სამივეს ფულიანი მამები გვყავს, ჩვენი შველა არ გაუჭირდებათ. იგრე, რომ მშრალად

გამოსვლა აქედანვე გარანტირებული გვაქვს. ნელი კი თუ არ დაგვმორჩილდება და გაძალიანდება, ჰამლეტასთან შეუღლება ჩვენი დახმარებით მოუწევს. მაშინ იმან აირჩიოს, რომელი უფრო გამოვადგებით სასიძოდ; ხომ სწორეს ვამბობ, ჰამლეტ?

– პირველად ჩემთან უნდა იყოს, მერე კი როგორც გინდათ იხმარეთ, ფეხებზე მკიდია. დილიხორის გასწორება მინდა და კიდევაც გავისწორებ!

– ეგრე იყოს, შენს შემდეგ ჩვენც გავისწორებთ დილიხორს; ცოლობაზე კი ნელიმ გადაწყვიტოს, ვისზე იქნება თანახმა.

– ცოლობა რა აუცილებელია, – ზორბეგმა წარბი შეიკრა, – ერთი ბოზით მეტი გვეყოლება, მორჩა და გათავდა.

– კაცნი ვართ, საქმე უკუღმა რომ დატრიალდეს, მაგის ცოლობა უფრო ვისი უპრიანია? – შეთემ იკითხა.

ჰამლეტი რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ გადაიფიქრა. უნდოდა ეთქვა, საქმე უკუღმა როგორ უნდა დატრიალდესო.

– მოკლედ, ეგ სადავო არ არის, თუ საჭირო გახდა, კენჭი ვყაროთ და ვისაც მოუწევს, იმან წაიყვანოს, – ზორბეგმა დაასკვნა.

– გაბო რას იზამს, თავს ხომ არ გამოიდებს?

– როგორც გაიგებს, ნელი სუყველას უხმარიაო, ახლოს აღარ გაეკარება, მაგის სახელს აღარ ახსენებს. თუ მაინც და მაინც თავი გამოიდო, ერთი ტყვია და მაგის ჯანი. სადმე დავუხვდეთ და მორჩა, მე შენ გეტყვი, ისეთი პატრონი ჰყავს, რომ რჯულამდე იძიოს საქმე თუ რა.

– რა კარგი რამე მოვიფიქრეთ, იმ ნელის დედამ გვდიოს, ქვეყანა რომ გადაატრიალონ, ტყის სახლზე აზრზეც ვერ მოვლენ, ან ვინ უნდა გადაატრიალოს, ნოქარმა ილომ?! – სამივემ გულიანად გადაიხარხარეს...

უკვე მთელი კვირა ჰამლეტი თავის მანქანით ნელის დასდევდა. მარტო რომ მოეგდოთ ხელში, ასეთი მომენტი ვერ შეურჩიეს. მისი სახლიდან უნივერსიტეტამდე მიცილება და ლექციების შემდეგ პირიქით, ყოველდღიურ მოთხოვნილებად ექცათ. როცა გადაწყვეტავდნენ, რომ ის დღე ფუჭად გაუფრინდათ, ჰამლეტის სახლში მივიდოდნენ და ახალი ფილმების ნახვით ერთობოდნენ. არც ღვინის სმას და ქუჩის ქალების მიპატიჟებას იკლებდნენ; ნელის მოტაცების სურვილი კი დაუოკებელ ჟინად ექცათ.

ნელის ჰამლეტის და მისი ამფსონების ასეთი გააქტიურება უყურადღებოდ არ დარჩენია, თუმცა რასაც აპირებდნენ, ამას ვერავინ წარმოიდგენდა. მაინც გელას გააგებინა: – ეს წუნკლები მანქანით ფეხდაფეხ დამყვებიან, იმის ვაჟკაცობაც არა აქვთ, რომ რაიმე გამიბედონ, არადა, მაინც ვღიზიანდები. ერთი გული მეუბნება, მანქანის მინები ჩავუმტრიო, მაგრამ ჯერჯერობით თავს ვიკავებ. ვერ გამიგია, რა აქვთ გადაწყვეტილი, ასე სულელურად რას ამკვიატებიან.

– მაგათ ჭკუა თუ არ ვასწავლეთ, ეგრე მოთმინება აღარ შეიძლება. ამ დღეებში სახლში უნდა წავიდე, გაბოს ვნახამ, რაიმეს მოვიფიქრებთ.

– გაბოს ნუ ეტყვი, ხომ იცი, როგორი ფიცხი ხასიათი აქვს, შეიძლება რაიმე ხათაბალას გადაეყაროს.

– კარგი. უნივერსიტეტში შენ ჩვეულებრივ იარე, მეც ყურადღებით ვიქნები, – ნელი დაამშვიდა, თვითონ კი მოუსვენრობის ჭია შეუჯდა...

ახლაც ნელისთან ჩაფიქრებული მიდიოდა, უნდოდა, იმ ახვრების ამბავი ეკითხა.

ნელის ქუჩაზე რომ გავიდა, ჰამლეტის მანქანამ მაღალი სიჩქარით ჩაუქრო-

ლა. გელამ თვალი შეასწრო, ორივე ძმაკაცი შიგ ეჯდა. ნელის ბინამდე ორასიოდე მეტრი იქნებოდა დარჩენილი, რომ ქალი შენიშნა, იცნო, ნელი იყო; გაუხარდა და ნაბიჯს აუჩქარა. ამ დროს ნელის მანქანა წამოეწია, უცებ გაჩერდა, წინა და უკანა კარები ერთდროულად გაიღო, ორნი გადმოხტნენ, ერთმა ნელის თავში რაღაცა ჩაარტყა და გულწასული მანქანაში შეათრიეს. იცნო ზორბეგი და შეთე, თავში რაღაც ჯოხის მაგვარი ზორბეგმა დაარტყა. გელა ადგილიდან მოსწყდა და რაც შეეძლო მათკენ გაიქცა. ჰამლეტმა მანქანა ადგილიდანვე გააქანა, მოაბრუნა და საშინელი სიჩქარით წამოვიდა; ხელებგაშლილი გელა წინ გადაუდგა.

– დააჯახე, მაგის დედა! – ჰამლეტის ძმაკაცები აღრიალდნენ.

გელამ გვერდზე გადახტომა ძლივს მოასწრო, მაქანამ მისკენ მკვეთრად მოუხვია, რაკი ვერ დააჯახა, ტროტუარზე რომ არ შემხტარიყო, ახლა მარცხნივ აიღო საჭე და ამ დროს უკანა მარჯვენა ფრთა მოხვდა გელას და ტროტუარზე ისროლა; მანქანა გიჟური სიჩქარით გაუჩინარდა.

გონი არ დაუკარგავს, მაგრამ ერთხანს რაღაც გაურკვეველ ბურუსში იყო. ორმა ქალმა წამოაყენა. ასფალტზე დარტყმისაგან შუბლი და მარჯვენა ლოყა გადატყავებოდა, ორივე ხელის გულიც გადაცქვლეფოდა და სისხლი მოჟონავდა. ფეხზე ძლივს იდგა, ეტყობა ძვლები მთელი ჰქონდა, მაგრამ ყველა კუნთი სტკიოდა.

– შვილო, სასწრაფო გამოვიძახეთ, ახლავე მოვა, დაჯექ, ნუ იმოძრავებ, ვინ იცის, რა მდგომარეობა გაქვს, – ქალებმა ურჩიეს.

– არაფერი მიჭირს, კარგად ვარ, ტაქსი ჩამოივლის და წავალ, – გელამ გადატყავებული ხელი ჯიბეში ძლივს ჩაიყო და ცხვირსახოცი ამოიღო; სახიდან ჩამოღენილი სისხლი მოიწმინდა. „რა დროს ტაქსია, ყველა წუთი ძვირფასია, ვინ იცის, ნელის რას უპირებენ!"– ამის გაფიქრებაზე გააჟრჟოლა; შუა ქუჩაში გავიდა და გაჩერდა.

პირველ მანქანას წინ ხელებგაშლილი გადაეღობა. შავ მანქანაში უკანა სავარძელში გამოპრანჭული ქალი იჯდა და თავპირდასისხლიანებულ გელას შეშინებული უყურებდა.

– გაგიჟდი?! – მძღოლმა ყვირილით გამოყო თავი და მარცხენა ხელი მუქარით დაუქნია. – შე ოხერო, თუ სიკვდილი გინდა, მტკვარში გადავარდი, რაღა მე მიხდები ჭირად!

– შენი ჭირიმე, ძალიან სასწრაფო საქმეა, თუ დაგვიანდა შეიძლება ადამიანი დაიღუპოს; უნდა წამიყვანო! – გელამ პასუხსაც არ დაუცადა, ისე წავიდა კარების გამოსაღებად.

– გიჟია ოხერი! – მძღოლმა კარები ღილაკით ჩაკეტა და მანქანა ადგილიდან მოწყვიტა. კარების სახელურს კი გელას ხელის სისხლიანი კვალი დააჩნდა.

იმედდაკარგულმა მეორე მანქანას გაჩერება აღარ აცალა, კარებს ისე ეცა. მძღოლმა მკვეთრად დაამუხრუჭა და სასწრაფოდ შიგნიდან გაუღო.

– რა არის, ძმაო-ჯან, ეს რას გავხარ, გცემეს? – შავტუხა, ხუჭუჭთმიანმა, ახალგაზრდა მძღოლმა თანაგრძნობით ჰკითხა.

– გოგოს თავში რაღაც ჩაარტყეს, გულწასული მანქანაში შეათრიეს, სადღაც წაიყვანეს, მოკლავენ, უნდა ვუშველოთ, დრო აღარ ითმენს, ჩქარა, ჩქარა! – აღელვებული გელა თითქმის ყვირილით ამბობდა და თან სახიდან სისხლს იწმენდავდა.

– სურენა მოგიკვდეს, საით წავიდე? – ბიჭმა მანქანა ადგილიდან დაძრა.

გელა გონს ახლა მოეგო, წავიდნენ, მაგრამ საით? მათი კვალი სად ეძებოს; მის ტვინში აზრები ციბრუტივით ტრიალებდნენ. ჰამლეტს ქალაქში ბინა აქვს, მაგრამ ნელის იქ მიყვანას ვერ გაბედავენ, ხალხი დაინახავს. შეთესთან და ზორბეგთან უნდა ვნახოთ და თუ იქაც არ იქნებიან, პირდაპირ კახეთში უნდა მოვუსვა, მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო.

სანამ საბურთალოდან სოლოლაკში შეთეს ბინასთან მივიდოდნენ, გელამ სურენას საქმის ვითარება გააცნო. შეთეს ბინის შესამოწმებლად სურენა გადავიდა.

– დაკეტილია, ტო, წუხელი სახლში არ ყოფილაო, მეზობელმა თქვა, – ის მეორე სადღა ცხოვრობს? – ჰკითხა და სტარტერი ჩართო.

– ავლაბარში.

– ბარევ, ტო, ჩვენებური ყოფილა.

სახლში არც ზორბეგი აღმოჩნდა.

– ახლა რა ვქნათ? – სურენამ თანაგრძნობით ჰკითხა და საჭესთან შესწორდა.

– პირდაპირ ქიზიყში უნდა წავიდეთ, იქით წაიყვანდნენ, – გელამ დაასკვნა.

– სად? – სურენა გაკვირვებით შეეკითხა.

– ქიზიყში.

– ძმობას გეფიცები, თბილისში გავიზარდე, ასეთი უბანი არ გამიგია! – შეწუხებულმა მხრები აიჩეჩა.

– ქიზიყი თბილისში არაა.

– აბა სად არის?

– კახეთშია.

– ვააა! – სურენას გაუკვირდა.

– რა იყო?

– ამხელა მანძილზე, ხაზეინი?

– სურენ, თუ ახლა არ მიმატოვებ, იცოდე, ჩემი სახით ერთი ძმით მეტი გეყოლება! – გელას თვალები თხოვნას, მუდარას და ამავე დროს რაღაც სავალდებულო მოთხოვნას გამოხატავდა, რომელიც შეუძლია ადამიანმა ადამიანს წაუყენოს, როცა საშინელი საფრთხის წინაშე მდგარისათვის დახმარებისკენ მოუწოდებს.

სურენა ცოტა ხანს შეყოვნდა.

– საფუნთუშეში მელოდებიან, სასადილოებში რაღაც-რაღაცეები უნდა ჩამომერიგებინა, – ჩაილაპარაკა, – ნამდვილად გამომაგდებენ; ისედაც პირობით მიმიღეს, ხულიგანიაო.

გელამ კარები გამოაღო და გადავიდა. ახლა შენიშნა, რომ ფორან „მოსკვიჩში“ იჯდა. გამვლელ მანქანებს ლოდინი დაუწყო, მარჯვენა თვალი ისე შეუსივდა, ველარ ახელდა.

საჭეს ჩაფრენილი სურენა ერთ წერტილს მისჩერებოდა – დაძაბულად ფიქრობდა.

გელას ერთმა მანქანამ ისე ჩაუქროლა, მძღოლს მისკენ არც კი გაუხედია.

სურენა მანქანიდან გადმოვიდა, გელასთან მიირბინა და მტკიცედ უთხრა: წავიდეთ. სურენა მოგიკვდეს, თუ გაჭირვებაში მიგატოვოს!

## დამრბევების დარბევა

**ნახევარი** გზა უკან მოიტოვეს. გელა სურენას დაწვრილებით მოუყვა, რაც ამ საქმის ირგლივ იცოდა.

– ეგრეა, ძმაო, მე თუ ყოველდღე არ ვიმუშავე, ცხოვრება გამთელავს, ეგ ნაბიჭვრები კი ცხოვრებას თვითონ თელავენ; მაგათ მსგავსებს სადმე რომ გადავეყარო და ჭკუა მოვთხოვო, ხულიგნობაა?!

გელას სახე გაუსივდა, ხელებიც აღარ ემორჩილებოდა; ჯდომა გაუჭირდა; მთელი სხეული სტკიოდა. მანქანამ წინა თვალი ორმოში ჩაარტყა და ძალუმად დაზანყდა, გელამ ამოიკვნესა.

– შენ ძალიან ცუდად ხარ, სადმე ექიმთან მიგიყვან, ეგრე არ გამოვა, – სურენა შეწუხდა.

– არა, შენი ჭირიმე, დრო არ არის! ყოველი წუთი ძვირფასია. სწრაფად იარე, კიდევ უფრო სწრაფად; მე ანგარიშს ნუ გამიწევ. თუ დაგვიანდა, შეიძლება საშინელი უბედურება მოხდეს. დაუსჯელობის გრძნობის საფარქვეშ ფუქსავატ და ლაჩარ კაცს საშინელი დანაშაულის ჩადენა შეუძლია.

– მაგათი მსგავსები მინახავს, ცივ წყალში დასველებული თაგვის წრუწუნასავით აკანკალებულები; მაგრები იქ არიან, სადაც არავისი შიში არ აქვთ, – ჩაილაპარაკა სურენამ.

გელასკენ მეტი აღარ გაუხედია, საჭეს ჩააფრინდა და მანქანას შესაძლებლობის მაქსიმუმით მიაქროლებდა. კარგად იცოდა, რომ გელასი და იმ გოგოს შველა მხოლოდ სიჩქარეს შეეძლო და ისიც თავისი მანქანიდან თითქმის შეუძლებელს ითხოვდა.

ავტოსაწარმოს ეზოში ისე შევარდნენ, ყარაულმა თვალი წესიერად ვერც კი მოჰკრა. ჯიხურიდან გამოსული არ იყო, სურენას „მოსკვიჩი“ რომ გაბოს სახელოსნოს ორმოზე შემდგარ სატვირთო ავტომობილს გვერდით ამოუდგა.

– გაბო რომელია? – სურენამ კარების გაღებისთანავე იკითხა.

– ვინ მკითხულობს? – ორმოდან გაბოს ხმა გაისმა.

– ახლავე ამოდი, სასწრაფო საქმეა.

– ორი ქანჩი მაქვს მოსაჭერი, დავამთავრებ და ამოვალ, – გაბომ დინჯად უპასუხა და ქანჩს გასაღები მოარგო.

– გადაყარე და ამოდი, რა დროს მოჭერაა, ისე მოვქროდი, მატორი დავწვი! – სურენამ ხმას აუწია.

– ვინა ხარ, კაცო?

– ვინცა ვარ, გაიგებ! სასწრაფოდ ამოდი, მურტალი საქმეა!

მალე გაბო სურენას წინ იდგა.

– რაშია საქმე? – დაბნეულმა ჰკითხა.

– ის გეტყვის, – კაბინისაკენ მიუთითა.

გაბომ მანქანას უკნიდან შემოურბინა და მალე მისი შეყვირება გაისმა: – გელა, ეს რა მოგსვლია?!

– ნელი მოიტაცეს! – დაჟეჟილმა და მძიმე გზით გაწამებულმა ძლივს თქვა.

– რა თქვი?! – გაბომ შეშლილივით იღრიალა, მხრებში ეცა და შეანჯღრია. გელამ ტკივილისგან დაიკვნესა და მარცხენა თვალი დახუჭა.

– ეეე, აფრენ ტო! ვერა ხედავ, სული კბილით უჭირავს?! – სურენა გაუბრაზდა.

– გელა, რა მოგივიდა, გელა?! – გაბომ მანქანის კარებთან ჩაიჩოქა.

– არაფერია, სასწრაფოდ ბიჭები ნახე, ნელი უნდა მოვძებნოთ, ნამდვილად

აქეთ წამოიყვანეს.

– ვინ წამოიყვანა, დროზე თქვი, ნუ გამაგიჟე!

– დღეს ჰამლეტამ და მისმა ახვრებმა ნელი მოიტაცეს, აქეთ წამოვიდნენ. ნელის ზორბეგამ თავში რაღაც ჩაარტყა, გონდაკარგულია; ჩქარა, გაბო, ჩქარა, არ დაგვიანდეს!

გაბოს ბოლო სიტყვები აღარ გაუგია, რაღაც უცნაური ხმით დაიყვირა თუ დაიღმუვლა: – ააა უუუ ხხხ!!! – ხელზე იკბინა და სისხლი გამოიდინა.

– რა მოხდა, გაბო? – ორმოზე მდგარი მანქანის მძღოლი მოვარდა.

– აქ, ტერიტორიაზე ჯემალი უნდა იყოს, სასწრაფოდ მოვიდეს! – გაბომ ცრემლების ყლაპვით უთხრა.

– ვინ ჯემალი, კაცო?

– ჯღანო, ჯღანო!

გელა მანქანიდან ჩამოსვლას ვერ ახერხებდა, ამბავს სვენებ-სვენებით ყვებოდა, ჯემალი გრიგალივით რომ შემოვარდა.

– აბა, სად არიან? დედას ვუტირებ! – გაბოს კარადასთან რომ ვერავინ დაინახა, აქოშინებული მძღოლს ეცა, უკან რომ მოსდევდა.

– იქით მხარეს „მოსკვიჩთან“, – მანაც სულმოუთქმელად ანიშნა.

პირველი ვნებათაღელვის მიწყნარების შემდეგ, დინჯად დაიწყეს შექმნილი სიტუაციის შეფასება.

– ვირიშვილი ყინტორა რაღა დღეს წავიდა რეისში! ჯემალმა ჩაილაპარაკა, ყვლაფერი რომ მოისმინა.

გაბო ისე იყო გამწარებული, წამოხტა და ანგარიშმიუცემლად სადღაც გაქცევა დააპირა: – დედას ვუტირებ! – უცნაური ხმით დაიყვირა.

– მაიცა, ბიჭო! – ჯემალმა ხელი მოჰკიდა და იქვე დაგდებულ საბურავზე დასვა, – ეგრე უთავბოლო სირბილით საქმეს მხოლოდ გავაფუჭებთ. – შენი მანქანა გამართულია? – ორმოზე მდგარი მანქანის მძღოლს ჰკითხა.

– რამდენიმე ქანჩიღაა დასაჭერი.

– ჩემიდან ძრავაა ამოღებული, დროზე გაამზადე დაგვჭირდება! – თითქმის უბრძანა, ისაც ორმოში მაშინვე ჩაეშვა.

– თუ ტყის სახლში მაიყვანეს, იოლად მივუდგებით, თუ არა, იქ მოვიფიქროთ, როგორ მოვიქცეთ, – ჯემალმა გეგმა შეადგინა.

– ბიჭებო-ჯან, მეც წამიყვანეთ, ახვრებზე ხელები მექავება, არ გიმტყუნებთ; ეს საქმე მეხერხება, – სურენამ თავისი სამსახური შესთავაზათ.

– სამნიც ვეყოფით. რესტორანში გურამს გავუაროთ, ის უფეხოა; ბევრი ხალხი საქმეს აზნევს. შენ კი, ჩემო ძმაო, თუ ყველაფერი კარგად დამთავრდა, უნდა გაქეიფო, კაცური კაცი ჩანხარ.

– თუ არ წამიყვანთ, ძალიან მეწყინება, არც პურმარილს მივიღებ; გელას მაგიერ მაინც ჩამრთეთ, – სურენა შეეხვეწა.

ჯემალმა გელას შეხედა, თავპირდასიებულს თვალები აღარ უჩანდა.

– ამ ბიჭის საქმე კარგად ვერ არი, შენ ეს წაიყვა ექიმთან, – სურენას ურჩია.

– ექიმთან წამყვანი ვინმე მოძებნეთ, მე იმ ახვრების ინტერესი მაქვს; გელას მაგივრად მოვდივარ! – სურენამ გადაწყვეტით თქვა.

– კარგი, ეგრე იყოს, კაცი ხარ კაცური! – ჯემალმა გაუღიმა.

– რა ამბავია, ბიჭებო, ცუდი ხომ არაფერია? – ერთმა მძღოლმა იკითხა, რომელსაც ამ ხმაურზე რემონტში მდგარი თავისი მანქანა მიეტოვებინა.

– ბიჭია დაზიანებული, იქნებ სახლში წაიყვანო? – ჯემალმა სთხოვა.
– თქვენ მართვა ეგერიათ?
– საჩქარო საქმე გვაქვს, თავს თუ ეგრე დაიფასებ, სხვას ვნახავთ მართვა რომ არ აერევა! – ჯემალმა იწყინა.
– მაიტა კაცო, მაგაზე დაგზარდებით? ეს იგრე, სიტყვის მასალად ვთქვი, – მძღოლმა მოიბოდიშა.
– აჰა, – სურენამ გასაღები მიაწოდა, – კაცი შიგა ზის.
– სად წავიყვაო?
– სახლში მიიყვანე და აუცილებლად ექიმს აჩვენე; მაგრად არის დაჟეჟილი.
– მანქანას რა ვუყო?
– გაბოს სახელოსნოში გააჩერე.
– არის! – მძღოლმა ჯარისკაცურად აუღო ხელი და საჭესთან მოეწყო.
– ბიჭებო, მეც წამოვალ! – გელა უცებ გამოცოცხლდა.
– შენ დაისვენე, თუ იმათ კვალს მივაგენით, ჩათვალე, რომ ყველაფრისთვის ამოვიყრით ჯავრს, – ჯემალმა დაამშვიდა.
სურენას „მოსკვიჩი“ უკუსვლით გამოვიდა სახელოსნოდან და ნელი სვლით ალაყაფის კარებისკენ გაემართა.
– რას შვრები, ქორავ, ახლიდან აკეთებ?! – ჯემალმა ორმოში ჩასულ მძღოლს ჩასძახა.
– ათ წუთში ყველაფერი მზად იქნება, – მიიღო პასუხი.
– გვიანდება! – გაბო შეწუხდა.
– მანამდე ხელ-პირი დაიბანე, ტანსაცმელი გამოიცვალე, ეგრე მაზუთში გათხუპნული ხო არ წამოხვალ.
გაბო თავის კარადისკენ გაიქცა. მალე ქორაც ამოვიდა ორმოდან.
– ყველაფერი რიგზეა, თუ საჭირო გახდა ბაღდადში წავა; საათივითაა გამართული, – ჯემალს მოახსენა. მერე კაბინასთან მივიდა, ჩვარი აიღო და ხელების გაწმენდას შეუდგა.
– აბა, წავედით, – ჯემალმა ხელი ხელს შემოჰკრა.
– სად მივდივართ? – ქორამ იკითხა.
– შენ არსად, – ჯემალმა ხელი მოჰკიდა და კაბინას მოაშორა.
– ე, მუტრუკ, უჩემოდ მიდიხართ?
– გასაღები მაიტა, თუ ყველაფერი კარგად წავიდა, მე თვითონ მოგძებნი.
– გასაღები საკეტშია.
– აქ არის, – ჯემალი საჭეს მიუჯდა. – მოდი, ჯიგარო, შენი ადგილი დაიკავე, – სურენას დაუძახა და გასაღები გადაატრიალა.
– ჯღანო, ფრთხილად იყავი! – დაუძახა ქორამ.
– ფრთხილად შენ იყავი, – ჯემალმა გამოაჯავრა და მანქანა უკუ სვლით დაძრა.
გაბო წამოეწია, საფეხურზე შეახტა და სურენას გვერდით მიუჯდა. ახლა კი მთელი ძალით დაიღმუვლა და მანქანა მთავარი გასასვლელისაკენ არენაზე გასული ხარივით გაიჭრა...
ძრავი არ გამოურთავს, მანქანა ბაზრის რესტორნის კიბეებს მიაყენა და, კაბინის საფეხურზე შემდგარმა, ხმამაღლა დაიყვირა:
– გურამ, ჰაი, გურამ! – თან საყვირის ღილაკს ხელის გულით მაგრად დააჭირა. არავინ გამოეხმაურა. – მეც გავხდი რაღა კულტურული, კაცმა თავისი სახელი არ იცის. ჭყეტელ! ჰაი, ჭყეტელ! შე შობელძაღლო! – შეცდომა გამოასწორა.

გურამი რესტორნიდან ხელების წმენდით გამოვიდა.

– ეგ გინეკოლოგის ხალათი სასწრაფოდ გამაიცვალე და გამოდი, ძალიან გვეჩქარება! – სიტყვის თქმა არ დააცალა.

– ჩამოდი, შე დარეხვილო, თითო ლუკმა შევჭამოთ; შენც დიდგორის ომში არ გაგვიანდებოდეს, – გურამი ღრეჭით შეეპასუხა.

– სწორედ რომ დიდი გორის საქმეზე მივდივართ, ჩქარა, თორემ აქ დამრჩები! – ჯემალი კაბინაში ჩაჯდა და კარები მიიჯახუნა.

– არ წახვიდე, შე მართლა რეტიანო, ახლავე მოვდივარ! – გურამმა ხალათი გაიძრო, კარებიდან ვიღაცას გადაუგდო და უკვე დაძრულ მანქანას გამოეკიდა...

კაბინაში ოთხნი ისხდნენ. ჯემალი მანქანას ხევისგზაზე დაუზოგავად მიერეკებოდა. დასავლეთისკენ გადახრილ მზეს ხეთა ჩრდილები დაეგრძელებინა.

მანქანა ფერდობის მიხვეულ-მოხვეულ აღმართს შეუდგა, სიჩქარეს უკლო, ჯემალმა სიჩქარის კოლოფი დაბალ საფეხურზე გადართო და გაზს ბოლომდე მოუმატა.

ტყის სახლის შესასვლელთან სიჩქარეს უკლო. ზედ ალაყაფის კარებთან გააჩერა და ეზოში გადაიხედა, – კაცის ჭაჭანება არ არის, – გულგატეხილმა თქვა.

– არც მანქანა ჩანს? – იკითხა ბიჭებში ჩაჭედილმა გაბომ.

– მანქანა შეიძლება აივნის ქვეშ ჰყავდეთ მოფარებული.

– ჰოდა, წავიდეთ, ვნახოთ.

– ეგრე არ ივარგებს, – ჯემალმა მანქანა ადგილიდან დაძრა.

– გვიანდება! – გაბო ღელავდა.

მანქანა ალაყაფის კარებიდან ოთხასიოდე მეტრის მოცილებით გააჩერეს.

– მანქანასთან ვინ დარჩება? – ჯემალმა გურამს შეხედა.

– შენ თავში აფრაკად ხომ არა ხარ?! მანქანაში დარჩენა რომ მდომებოდა, რესტორანში ცოტა იყო?

ჯემალმა შეკითხვის მზერა სურენას მიაპყრო; იმან უსიტყვოდ უარის ნიშნად თავი გააქნია.

– კარგი. დავკეტოთ და ეგდოს?

გურამმა, რომელიც გზაში  საქმის კურსში ჩადგა, თავისი აზრი თქვა: – ამ ქაჯეთის ციხის ასაღებად მოქმედების გეგმაა საჭირო.

– ბიჭო, შენ ამ ბოლო დროს წყლის ადუღება ხომ არ დეგეწყო? დიდი გორის ომიო, ქაჯეთის ციხეო, ცუდადა გაქვს საქმე! – ჯემალი გაუწყრა.

– შე შტერო, დიდი გორის კი არა დიდგორის, დავით აღმაშენებელმა თურქებს იქ უტირა დედა; ქაჯეთის ციხე კიდევ „ვეფხისტყაოსნიდან“ უნდა იცოდე.

– მაგ ცარიელ თავში იმდენი რაღაცეები დაგიგროვდა, ვეტფერშალი დაგჭირდება მალე. ახლა მაგის დრო არ არის; მე და გაბო ტყიდან მოვუვლით, სურენა პირდაპირ ქუჩიდან შევიდეს, ამას ვერ იცნობენ. შენ შორიდან უთვალთვალე, თუ გაუჭირდეს, მიეშველე, თუ არა – დაინახავს რა მდგომარეობაა და უკან გამობრუნდება. ჩვენ სახლში რომ შევიპარებით, მაშინ მოდით; დანარჩენს საქმე გვაჩვენებს.

შეთანხმდნენ. გაბო და ჯემალი ტყეში შევიდნენ და სახლისკენ ცნობილი ბილიკით გაემართნენ.

სურენამ და გურამიმ მოიცადეს, სანამ ორივე ტყიდან არ გამოვიდნენ და დარბაზის კარებიდან სახლში არ შევიდნენ.

– ახლა შენ წადი, – გურამმა სურენას უთხრა, – თუ გკითხონ, აქ საიდან

გაჩნდიო, ძროხას ვეძებ-თქო, მე ამასობაში სახლს აივნიდან მოვუვლი.

სურენა ეზოში შევიდა და უდარდელად დათვალიერება დაიწყო.

მანქანა აივნის ქვეშ იდგა. სამივე ყარამანის ოთახში შეგროვილიყვნენ. ხელებგაკრული ნელი სავარძელში იჯდა.

– კიდევ ვერ მოხვედი ჭკუაზე, ქალბატონო?! – ზორბეგმა დაცინვით უთხრა.

– სწორედ ამ მომენტში ჯემალი და გაბო დარბაზის მხარეს ჩატანებულ ფანჯარასთან მოეწყვნენ და ოთახის დათვალიერებას შეუდგნენ.

– ბინძურო! გათახსირებული მამის შვილო! გამიხსენით ხელები, რომ ეგ უხსენებლის თვალები ამოგჩიჩქნო, შე გარეწარო! – ნელი ისტერიულად აყვირდა.

– თუ არ მოკეტავ, მაგ მყრალ პირში ისევ ჩაგჩრი ბინძურ ძონძებს, შე კახპავ! რასაც შეგპირდი, აგისრულებ კიდეც! – ზორბეგმა შეუღრინა.

გაბომ კარებისკენ გაიწია. ჯემალმა შეაჩერა და ხელით აჩვენა, წყნარად იყავო.

– ლაჩარო! გგონია ყველაფერი ეს შეგრჩება? ერთხელ ხომ გალოკინა მიწა, ის ბიჭი ამ თავხედობას ამოგამწარებს, იცოდე!

– ვინა, ის შენი ტილიანი გაბო? ხომ არა გგონია შევარჩენ, ამ დღეებში აი, ამით გავუხვრტავ შუბლს! – ზორბეგმა „ნაგანი“ თვალებთან მიუტანა.

– გარეწარო, კიდევ იშოვნე?!

– ვიშოვნე კი არა, ვის ეზოშიც გადავარდა, იმის პატრონმა მოწიწებით მომართვა. ახლა შენი ხელით გაიძრე და ჰამლეტას ჩაუგორდი, თორემ მე თვითონ შემოგახევ ყველაფერს და რიგში მეორე ჩავდგები.

– თფუჰ! – ნელიმ მის წინ დახრილ ზორბეგს სახეში შეაფურთხა.

– კარგი, მე შენ გიჩვენებ სეირს! ჰამლეტ, მომეხმარე, მთლად უნდა გავაშიშვლო.

– ეზოში ვიღაცა დადის! – ფანჯარასთან მდგარმა შეთემ წამოიძახა.

ფანჯარას ეცნენ. სურენა მოურავივით დასეირნობდა. გურამს უკვე აცნობა, მანქანა აქ დგასო; იმანაც შენობის მეორე მხრიდან შემოვლა მოასწრო.

– ვიღაც ოხერია, შეიძლება მოსაპარად იყოს მოსული. სანამ ჩვენ ამ კახპას მოვათვინიერებთ, შენ ან გააგდე, ან მოიყვა და რომელიმე ოთახში ჩაკეტე; ღამე გავუსწოროთ ანგარიში, – ზორბეგმა დაავალა, – ყოველ შემთხვევაში, იარაღი მზად გქონდეს, – გააფრთხილა.

– დედას ვუტირებ! შეიძლება ადგილზე  გავაგორო, – შეთემ თავისი „ვალტერი“ ჯიბიდან ამოიღო და გარეთ გავიდა.

ამასობაში ჯემალმა მათთან შესასვლელ კარებს გასაღები მოარგო; ყველა გასაღები ტყეში ქვის ქვეშ ჰქონდა შენახული.

– ვინ ოხერი ხარ, აქ რას დაეთრევი?! – შეთემ სურენას შეუტია.

– შენ თვითონ ვინ ოხერი ხარ? – სურენამ არ დაუთმო.

– ვინცა ვარ ახლა გაგაგებინებ! – შეთემ მონიკელებული იარაღი მკერდზე მიაბჯინა.

– სურენა ამას არ მოელოდა, უცებ დაიბნა.

– ცოტა სახლისაკენ მოდექ, იგრე გამოგიყვან წირვას, შენი მომკითხავი აზრზე ვერ მოვიდეს, – შეთემ სახლისაკენ უბიძგა.

– რა გინდა, კაცო, რა დამიშავებია?! ძროხას ვეძებდი, აქ იმიტომ შემოველ, – სურენამ თავი იმართლა.

– ძროხას გაჩვენებ მე შენ! – შეთემ წინ გაიგდო და იარაღმიბჯენილი სახლისაკენ წაიყვანა.

ოთახიდან ზორბეგი და ჰამლეტი დიდი ინტერესით თვალს ადევნებდნენ.

სურენამ სახლის კედელს ამოფარებულ გურამს თვალი მოჰკრა და იმედი მიეცა: – გამიშვი, ძროხა მგლებმა არ შემიჭამონ, ახლა ეს შარი მინდოდა მე?! – შეთეს მიუბრუნდა.

– მოკეტე! – შეთემ ხელი ჰკრა, – თორემ შენი გაგორება არაფრად არ მიღირს; ხრამში გადაგაგდებ და ისე დალპები, კაციშვილი ვერ გნახავს.

– ვა, ეს რა ხათას გადავეყარე! – სურენამ ხელები გაშალა.

– დაუშვი, ხელები, შენი! – შეთემ სურენას კეფაში იარაღის ტარი ჩაარტყა.

მთავარი შესასვლელის კარები ღია იყო. მარცხნივ, ადრე მუშების სასადილოდ რომ იყენებდნენ, იმ ოთახში შეაგდო.

– გაქცევა არ იფიქრო, თორემ წირვას გამოგიყვან! – უთხრა და კარები მიუხურა, მერე საკეტში დატოვებული გასაღები ორჯერ გადაატრიალა, იარაღი ჯიბეში ჩაიდო, ესაც ესეო, – თქვა და ტაში შემოჰკრა.

მობრუნება ველარ მოასწრო. ვიღაცამ მხარზე ხელი დაადო. შეთე გველნაკბენივით შეხტა. სანამ მობრუნდებოდა, მეორე ხელი ჯიბეში ჩაუძვრა და თვალის დახამხამებაში იარაღი ამოაცალა. უცებ მოტრიალდა და გაკვირვებულმა დაიყვირა: – ჭყეტელ, შენ?!

– ვინ არის ჭყეტელა, შენ ნაბიჭვარო! – გურამმა მარცხენა ხელი სახეში ჰკრა და თავი კარებზე მიარტყმევინა. – გააღე! – უბრძანა.

სურენა გამძვინვარებული გამოვარდა და შეთეს ეცა. ამ დროს ყარამანის ოთახიდან სროლის ხმა გაისმა.

– შენ ამას მიხედე! – გურამმა სურენას მიაძახა და ყარამანის ოთახის კარს ეცა...

ზორბეგმა და ჰამლეტმა რაკი დაინახეს, რომ ეზოში მოხეტიალე კაცის ამბავმა გართულების გარეშე ჩაიარა, ნელის ისევ მიუბრუნდნენ.

– როგორ გინდა, შენი ხელით გაიხადო, რომ ბოზად გაკურთხოთ, თუ მე შემოგახიო ყველაფერი, – ზორბეგი გვერდით მიუჯდა.

ნელიმ სახეში შეაფურთხა.

– რას ელოლიავები ამ ჩათლახს! – ზორბეგმა მხრებში სტაცა ხელი და აფართხალებული გოგო ტახტზე გადააწვინა, – მოდი ფეხები დაუჭირე! – ჰამლეტს უყვირა. მაგრამ მან ნელიმდე მისვლა ვეღარ მოასწრო, ოთახში გიჟივით შემოვარდნილმა გაბომ ხელი ჰკრა, გვერდზე მიაგდო და ზორბეგს ეცა, მხრებში ჩააფრინდა, წამოაგდო და ძალუმი მოქნევით დივანს მოაცილა, ნელის ფეხზე ასაყენებლად დაიხარა.

ზორბეგი უცებ აზრზე მოვიდა, „ნაგანი“ იძრო და გაბოს დაუმიზნა.

ჯემალმა ჰამლეტი მუცელში წიხლის დაკვრით გააგორა. უცებ თვალი მოჰკრა გაბოს ზურგზე დამიზნებულ „ნაგანს“ – ფრთხილად, გაბო! – დაიძახა და ერთი ნახტომით აეფარა.

გურამი რომ შემოვარდა, მეორე გასროლა მაშინ გაისმა, მაგრამ ამჯერად გაბომ მოასწრო და იარაღზე ხელი აუკრა.

ჯემალი დივანზე მძიმედ ეშვებოდა.

ზორბეგმა მესამე გასროლაც მოასწრო, ამჯერად ტყვია იატაკს ეძგერა. გურამმა ხელები მაგრად მოხვია. გაბომ იარაღი გამოგლიჯა და ოთახის კუთხეში მოისროლა.

ჯემალს თეთრი პერანგი სისხლით შეეღება, დივანზე დაეშვა და გვერდზე გადაწვა.

– ვაიმე, ჯღანო, რა მოგივიდა, ბიჭო! – გურამმა იღრიალა, ზორბეგი გაბოს მიუგდო და ჯემალისკენ გაიქცა.

გაბოს ბრაზისაგან აღარაფერი ესმოდა, ზორბეგს მხრებში მოავლო ხელები და მძლავრი დაქნევით ცხვირპირით თავზე შეიხეთქა; ახლა მისი გაჩერება აღარავის შეეძლო. ყველაფერი დაილეწა. სათუთად მოვლილი ოთახიდან დაურბევი ის კუთხე დარჩა, სადაც სისხლით მოსვრილ ჯემალს გურამი და ნელი თავზე დასდგომოდნენ.

გაბომ ავეჯის ნამტვრევებში გაშოტილ გონდაკარგულ ზორბეგს და ჰამლეტს დახედა, გულზე დაწოლილი სიმძიმე ცოტათი მოეხსნა, გააფთრება შეუნელდა...

გვერდით ოთახში იატაკზე ბრაგვანით რაღაც დაეცა, მალე კარები გაიღო და სურენა შემოვიდა. – ნოკაუტში გავუშვი, პატიოსნად ვიჩხუბეთ, – თქვა და შეშუპებულ ტუჩზე ხელი მიიდო.

– ვინ? – გაბომ დაბნეულად იკითხა.

– ის, ცხვირწინ დურას რომ მიტრიალებდა.

მარჯვენა მხარში მოხვედრილ ტყვიას კუნთში გაევლო; ჯემალის მხარი ზეწრით მაგრად შეუხვიეს.

– სასწრაფოდ ქირურგთან უნდა წავიყვანოთ, – ნელი ნერვიულობდა.

გაბომ ხელზე დახედა, თოკის ნაკვალევზე სისხლი ჩაქცეოდა; ბრაზი ისევ შემოენთო. ზორბეგი და ჰამლეტი მუხლებზე და ხელებზე დაყრდნობილები ასადგომად წვალობდნენ.

– ოხ, თქვენი! – ეცა და ორივეს გვერდებში წიხლი დაუშინა.

– გაანებე თავი, – გურამმა ძლივს გააჩერა, – ცოტა გონზე მოვიდნენ, სხვანაირად უნდა მოველაპარაკოთ. – მესამეც შამაათრიე, – უთხრა სურენას.

დაბნელდა.

ოთახში სინათლე ენთო. სამი სახეგადაკეთებული და სასტიკად ნაცემი ახვარი იატაკზე იჯდა. ჯემალი სავარძელში მიესვენებინათ; სხვები ფეხზე იდგნენ. გაბოს ნელისთვის მხარზე ხელი მოეხვია და ჯემალს შეშფოთებული შეჰყურებდა.

– ჯემალ, ძალიან ხომ არ გიჭირს? – გურამმა ჰკითხა.

– არა, – ღიმილით უპასუხა.

– ცოტა ხანიც და ექიმთან წაგიყვანთ, ჯერ კი ამათ გატყავებას დაესწარი.

– გატყავება ბევრ დროს წაგვართმევს, სათითაოდ შუბლში ტყვია მივარტყათ და მორჩა. მე მარცხენა ხელი ჩვეულებრივად მემორჩილება, „ნაგანი“ მამაწოდე.

– პირველი ტყვია ყარამანის ნაბიჭვარს, რაც მოხდა, სულ მაგის ბრალია; თანაც ძველი ანგარიშებიც მაქვს გასასწორებელი. ილოცე ყარამანის დაგდებულო! ათამდე დაგითვლი და მემრე გამოგიწერამ ჯოჯოხეთის საგზურს! – ჯემალმა მარცხენა ხელით „ნაგანი“ დაუმიზნა.

– შენი ჭირიმე, ჯღანო, არ დამღუპო! ჰამლეტი აღრიალდა. „ნაგანმა“ იგრიალა. – ვაიმეეე! – ჰამლეტმა დაიღრიალა და იატაკზე დაემხო. კედლიდან აცვენილი ბათქაში სამივეს დაეყარა.

ნელის გული ცუდად გაუხდა. გაბომ დივანზე დასვა და თავზე ხელი ნაზად გადაუსვა. გოგომ შეჰკივლა: – ვაი!

– რა მოგივიდა? – გაბოს შეეშინდა.

– თავი საშინლად მტკივა, რაღაც დამარტყეს, გონზე ძლივს მოვედი.

– რომელმა დაგარტყა?

– არ გინდა, გაბო, – ნელიმ სუსტად თქვა და დივანის ზურგს მიეყუდა.

ჰამლეტი იატაკზე პირქვე ეგდო.

– ახლა ლავაშას ნაკელისჭამიას ჯერია, – ჯემალმა იარაღი დაუმიზნა.

– ჯღანო, ნუ იზამ, ხომ იცი, მამაჩემს როგორ უყვარხარ! – ზორბეგი აყვირდა.

– ვიცი და ამიტომ გიტირებ დედას!

– ჯღანო, შენი ჭირიმე, არ გინდა! – ამ ღრიალში იჭექა და ზორბეგი ჰამლეტის გვერდით გაიშხლართა.

– ეს მთხლე ვიღასია? – ჯემალმა იკითხა.

– ნოე ჯანგულაშვილისა, კოლმეურნეობის თავმჯდომარე რომ არის; გოგლიმოგლით გაზრდილია.

– სურენ, გაიყვა, ეზოში მოკალ და ხრამში გადააგდე, ცოტა შორს, სუნი არ მოვიდეს, – ჯემალმა განაჩენი ჩაათავა და სავარძელში მიწვა.

– ნუ იზამთ! – ახლა შეთე აყვირდა.

– წამოდი ოქრო, წამოდი! შორს უნდა გადაგაგდო, – სურენამ მისკენ ნაბიჯი გადადგა.

– ვაიმე! ნუ იზამთ! მამაჩემი ჩემ წონა ოქროს მოგცემთ! – შეთე ატირდა.

– მამაშენი ნაკელში ოქროს თუ იძლევა, ერთ „სამასვალს" მივუტან, შენ კი ხევში გადაგდება არ აგცდება, – ჯემალმა დაასკვნა.

– ვაიმეეე! – შეთე აღრიალდა.

– მოკეტე! – გურამმა დაუღრიალა და ხელუკუღმა სთხლიშა.

იატაკზე დამხობილი ზორბეგი და ჰამლეტი წიხლის ცემით წამოყარა.

– მამიკოს ფულებზე განებივრებულო არაკაცებო, სულით და ნამუსით მყრალებო; დაგჭირდებათ, ერთმანეთს არ დაინდობთ. ჩვენ მეტი დრო აღარა გვაქვს, ხალხს უნდა მივხედოთ. ნელი და ჯემალი „ვოლგით" წავიყვანოთ. რომელიმემ გარეთ დატოვებული მანქანა შემოიტანოს, – გურამი განკარგულებას იძლეოდა.

– მე მაგ მანქანაში არ ჩავჯდები! – ნელიმ განაცხადა.

– ჩვენ ჟორას მანქანით წავალთ, – თქვა გაბომ და კარებისკენ წავიდა, – ახლავე ეზოში შემოვიტან.

– სატვირთო „ზილ"-მა დახურული რკინის ალაყაფის კარები შეუჩერებლივ შელეწა, ეზოში ღმუილით მობრუნდა და ყარამანის ოთახის ფანჯარასთან გაჩერდა.

– ნელის მივიყვან და მაშინვე თქვენთან გავჩნდები. ჯემალ, წუთით არ მოგცილდები; ყველაფერი კარგად იქნება, – გაბომ ანუგეშა.

– ყველაფერი უკვე კარგად არის; რაც მთავარია არ დაგვაგვიანდა, – ჯემალმა ღიმილით თქვა.

– ეხ, შენ რომ არ დაჭრილიყავ.

– უფრო კარგია, გაბო, მაინც გულზე ლოდად მაწვა ერთი რამე და ახლა მგონია გამოვისყიდე; ამ ტყვიამ სულის ჭრილობა გამიმთელა, შენთან ვალში აღარა ვარ.

– პირიქით, ჯემალ, სიკვდილამდე შენგან დავალებული ვიქნები.

გაბომ ნელი ფრთხილადააყენა, ხელი მოხვია და მანქანისკენ წაიყვანა.

გურამი და სურენა ჯემალის მხრებში ამოუდგნენ.

– აქ ეყარენით. შენი მანქანა ბაზრის რესტორანთან იქნება, როცა გინდა წაიღე. თუ მამაძაღლობა გაგიბედიათ თქვენი მამების მიერ გამრუდებული კანონის იმედით, დედას გიტირებთ! ამ სახლში ჩაგკეტავთ, ცეცხლს მოვუდებთ და თაგვებივით შეგწვავთ! – გურამი კუთხეში მიყრილ, სასტიკად ნაცემ „რაინდებს"

დაემუქრა და სურენას დახმარებით ჯემალი ოთახიდან ფრთხილად გაიყვანა.

ნელის სახლში გლოვა იყო. გელას მოესწრო ეცნობებინა, გაბო საძებრად წავიდა, მალე იპოვნიან, თქვენ სახლში მოუცადეთო.

გაბო და ნელი რომ მივიდნენ, შეგროვილი ნათესავები და ილო ღრიალით მიეგებნენ.

– ნელი, ხვალ მოვალ, – გაბომ წაუჩურჩულა და ისე გაბრუნდა, რომ ნელის გამოჩენით გახარებულ ნათესავებს არც კი გაუგიათ...

ჯემალის ჭრილობა საშიში არ გამოდგა, ტყვიას კუნთში გაევლო, ძვალს არ შეხებია.

– ბედნიერი შემთხვევაა, – თქვა ქირურგმა.

ჯემალი იმავე ღამეს თავის სახლში მიიყვანეს. სუფრა მის საწოლთან გაიშალა და კარგადაც მოილხინეს.

მეორე დღეს გამწარებული რეზო მუშტებს მკერდზე იბრაგუნებდა, – ბედი არა მაქვს, რაღა სწორედ მაშინ არ ვიყავიო ადგილზე.

სურენა ორი დღე აქეიფეს, ბოლოს ყველა სათითაოდ გადაეხვია: – იცოდეთ, ბიჭებო, სურენა კმალოვი თქვენი ძმაა! – სურენამ თავისი მანქანის კაბინიდან თავგამოყოფილმა გადმოსძახათ.

– ჯიგარი ხარ, სურენ, ჯიგარი! სუყველა ძმად გვიგულე; არ დაგვივიწყო! – მიაძახეს და აბოლებული „მოსკვიჩი" ხელის ქნევით გააცილეს...

## ანგარებაზე ნაგები ამხანაგობა

**გაბომ** შუადღის შემდეგ ბაზარში ივაჭრა და დატვირთული ჩანთით ჯემალისთან წავიდა. ავადმყოფი თავს კარგად გრძნობდა, ჭრილობა გართულების გარეშე უშუშდებოდა; გაბო მთელ თავისუფალ დროს მასთან ატარებდა. რამდენიმეჯერ ნელისაც მიაკითხა. იმ ამბის შემდეგ იწვა, თავის ტკივილი აწუხებდა; ექიმმა ტვინის შერყევა დაუდგინა და ადგომა აუკრძალა.

ნელის ოჯახში გაბოს განსაკუთრებული ყურადღებით ხვდებოდნენ; სწორედ ეს ეუხერხულებოდა, დიდხანს ვერ ჩერდებოდა, ნელის მოიკითხავდა, შეუმჩნევლად ხელზე ხელის წავლებით მოეფერებოდა და ნელის ბაბოს ლოცვით დატვირთული მალევე ტოვებდა მისთვის ყველაზე ძვირფას არსებას.

მხარშეხვეული ჯემალი საწოლზე ფეხმორთხმით იჯდა. იქვე ბალიშზე გადაშლილი წიგნი იდო. გაბო მაგიდაზე დაწყობილ წიგნებს ათვალიერებდა.

– ყველა წაიკითხე? – ჰკითხა.

– არა. ზოგი ძალიან მოსაწყენია. წავიდა, მოვიდა, შეიყვარა, გრძელი უშინაარსო ყბედობა ჩემი საქმე არ არის.

– ახლა რას კითხულობ?

– სამ მუშკეტერს.

– მოგწონს?

– მაგარია, ჯიგარზე მეჭიდება, მაგრამ ერთი რამ ვერ გამიგია, სამი მუშკეტერი რათა ჰქვია, როცა ოთხნი არიან.

– მეოთხე დარტანიანია.

– რა, ის მუშკეტერი არ არის?

– ეგ ისეა, როგორც ჯემალი, რეზო და გურამი სამნი არიან, მეოთხე კი გაბო; გაცნობაც ხომ მათსავით უცნაური გვქონდა.

– იმ დღის გახსენება არ მინდა, რამხელაზე უტვინო ვიყავ, ჩემ თავს არ

ვეკუთვნოდი და თავი მაგარ ბიჭად მამქონდა. მაინც დროზე ემეხილა თვალები, თორემ იმდენ უსინდისობას ჩამადენინებდნენ, გამოსწორება გამიჭირდებოდა. ახლა ჩემზე ბედნიერი ბევრი არ მეგულება, რადგან მარტო ნამუსი და კაცური კაცობა მყავს ჭკუის მრჩევლად.

– წიგნები კიდევ ხომ არ მოგიტანო?

– როგორ არა, ოღონდ ჩხუბზე რომ არის იგეთები.

– პროსპერ მერიმეს მოგიტან.

– ეგ რაღაა?

– მწერალია, შენ რომ მოგეწონება, ისე წერს. ერთი პატარა მოთხრობა აქვს „მატეო ფალკონე", თავის ერთადერთ შვილს კლავს იმიტომ, რომ საჩუქრის ფასად კაცი გაყიდა.

– მართლა მაგარი იქნება, ყარამანას თუ წაუკითხია.

– წაკითხულიც რომ ჰქონდეს, მისი ტვინი ისეა მოწყობილი, ვერაფერს ვერ გაიგებს.

– ის ყველაფერს იკადრებს თავისი კარგად ყოფნისათვის. რა ისმის, ხომ არ იმუქრება?

– არა, წყნარად არიან. სამი დღის შემდეგ მისმა მძღოლმა რესტორნიდან წაიღო მანქანა; ეტყობა მომენტს უცდიან.

– იმათ ძალიან დიდი საქმე აქვთ დაწყებული, ჩვენთვის არა სცალიათ. შენი სასიმამრო ამჯერად გადარჩა. გიორგი საყვარელიძეს კი ძალიან შავ ცილისწამებას უმზადებენ.

– იმას რა უნდა დააკლონ?

– თურმე ზევით ძალიან მაღალ უფროსს არ მოსწონს მართალი კაცი. ტიგრანა ძმანაშვილზე ხო არაფერი გაგიგია?

– არის როგორც იყო.

– მაგას დაჭერას უპირებენ, უნდათ, რომ ათქმევინონ, გიორგის ფულს ვაძლევდიო.

– დაჭერას ვინ უპირებს?

– ყარამანა, ზოსიმე, ჯიმშერა... კიდევ თბილისიდან ვიღაც კაცი ჩამოუყვანიათ იმ სირცხვილის ტყვე შევარდნაძის დავალებით.

– ტიგრანა ხომ მაგათი ძმაკაცია.

– ძმაკაცობა ყველას თავისებურად ესმის. როცა დასჭირდებათ, ერთმანეთს შეჭამენ. მაგათი ამხანაგობა ფულზეა აგებული, მისი ძალაც ფულით იზომება.

– ანგარებაა ყველა ბოროტების სათავე.

– ვინ არის ბოროტების სათავე?

– ანგარება.

– ეგ ვიღაა?

– ანგარება კაცის თვისებაა, რაც შეიძლება მეტი შეიძინოს ყოველგვარი სიბინძურის კადრებით.

– უყურე შენ, რა ყოფილა!

– გიორგი საყვარელიძეს არაფერი შეამთხვიონ.

– კარგი იყო გაგვეფრთხილებინა, მაგრამ როგორ? ჩვენ არ დაგვიჯერებს.

– ზაქრო მასწავლებელს რომ ვუთხრათ?

– სჯობია, ის გიორგი საყვარელიძეს გააფრთხილებს, ჩვენ კი დანარჩენებს მივხედოთ.

– კიდევ არის რამე?

– ისეთი არაფერი. იქნებ შევძლოთ მაგათი ბინძური საქმეების ჩაფუშვა...

მეორე დღეს გაბომ სკოლაში შეიარა და ზაქროს დაწვრილებით მოუყვა ტყის სახლში მოსმენილი ამბავი...

## კანონის დამცველის ნიღაბში

**რაიონში** ხმა დაირხა, დედაქალაქიდან ჩამოსულან და ყველაფერს დაწვრილებით ამოწმებენო; ხმის გავრცელებას ყარამანის და ზოსიმეს აქტივობა უწყობდა ხელს. მათი დამქაშები ყველგან დაძრწოდნენ და მიზანში ამოღებულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს ატერორებდნენ, დროზე მოიქექეთ ჯიბეები და ეს შემოწმება თავიდან აიცილეთო.

მურმანი სასტუმროში იჯდა, ჯერ ქეიფის მეტს არაფერს აკეთებდა, სანამ დაშინების კამპანია მიმდინარეობდა.

ზოსიმემ არავინ დატოვა დაშინების გარეშე, გასამრჯელოს მიღების ფასად შემოწმების თავიდან აცილებას ჰპირდებოდა.

– დედა ვუტირე, ყველა გავფცქვენ, ახლა საქმეზე გადავიდეთ, – მოახსენა ყარამანს.

პირდაპირ საქმეზე გადასვლა კი ტიგრანაზე შეტევის მიტანა იყო.

მალე ავეჯის მაღაზიას დაესხნენ, ზედმეტ ფასებში გაყიდული საქონელი მოუძებნეს და დახლის მუშაკებს თავიანთი აგენტი მყიდველები პირზე დააყენეს. ახლა მაღაზიის გამყიდველი ზოსიმეს კაბინეტში ჰყავდათ და თავიანთი წესით მოძღვრავდნენ.

მურმანი კედელთან მიდგმულ სკამზე იჯდა, ზოსიმე დაკითხვას აწარმოებდა: – ცუდად არის საქმე, ანზორ, მე რა გიშველო, ეს ამოდენა საქონელი ზედმეტ ფასებში გაგვიყიდია; ხალხმაც იკისრა და ...

შენ ხომ კარგად იცი, როტომაც მოხდა, რაზე გიკვირს?

– ვიცი, არ ვიცი, ამას უკვე მნიშვნელობა აღარ აქვს. ფაქტია, რომ ფასები დაამახინჯეთ.

– როცა ვყიდიდი, რატო მაშინ არა თქვი, ხომ იცოდი ყველაფერი; მუშტარიც შენ მამიყვანე, სანდო ბიჭები არიანო.

– ძმაო, მე რა შუაში ვარ, აგერ რესპუბლიკიდან კაცი სპეციალურად მაგაზეა ჩამოსული, – ზოსიმემ ხელი მურმანისკენ გაიშვირა, – შველაც არ შემიძლია, ისეთი ფაქტებია მოხსენებული, რომ... თვითონ ტიგრანას ავეჯზე თქვეს, აჩუქაო.

– შენ რომ გაჩუქე, იმაზე არაფერს ამბობენ?

– თუ ძმა ხარ, რასაც ამბობენ, იმას მივხედოთ როგორმე, სხვა ხათაბალა რაღაში გჭირდება?!

– ხათაბალა მე კი არა, შენ გჭირდება. რაც ზოსიმე ჭრელაშვილმა მომახვია თავს, სწორედ იმას მედავებიან; მარტო ის ავიწყდებათ, რაც შენ არ გაწყობს.

– შენ რა, მე მედავები თუ...

– ფაქტი სახეზეა, შარი შენგან მოდის.

– ბევრს ნუ ყბედობ! დანაშაული ჩადენილი გაქვს, – საუბარში მურმანი ჩაერია, – ყველა დამნაშავე პროვოკაციაზე მიდის იმის მიმართ, ვისაც დამნაშავის გამოვლინება უხდება. რამდენიმე დღით საკანში შეგაგდებ და მერე სულ სხვა ჰანგზე დაუკრავ.

– რა ვიცი, კაცო, მე ამის შველა მინდა, ეს ამხელა კაცი შენს დახმარებას

მპირდება, შენ კიდევ აქეთ მაწვები; ეგრე რა გამოვა! – ზოსიმემ ხელები უკმაყოფილოდ გაშალა. – მოგვისმინე, თორემ იგრე დაიჭედები, ქრისტე ღმერთი ველარ გიშველის.

– ჩემგან რა გინდათ?

– მე არაფერს არ ვთხოულობ, მინდა დაგეხმარო; კარგი ბიჭი ხარ და გასაფუჭებლად მეცოდები.

– თუ ეგრეა, ქიციც ვიცი და ქიცმაცურიც: კარგად მიცნობ, ვალში არ დაგრჩები.

– ზოსიმემ მთხოვა, მაგ ბიჭს შეეშვიო, მაგრამ ტიგრანას ავეჯი რომ აჩუქე, გიმტკიცდება. შენც პატარა წაგვეხმარე და გიშველით, – მურმანი ფეხზე ადგა და კაბინეტში სიარული დაიწყო.

– როგორ მეგეხმაროთ?

– ეს უკვე საქმიანი ლაპარაკია! – მურმანმა თავისი სკამი ანზორთან მიაცურა და მის პირისპირ ისე ახლოს დაჯდა, რომ მუხლით მუხლებზე ხვდებოდა, სახეში კი ჭაჭის არყის და დანივრული ხაშის სუნს აორთქლებდა. – ხომ ხედავ, გასაქანი აღარ გაქვს, დანაშაული სახეზეა, თუ დამიწერ, რომ ის ავეჯი ტიგრანას აჩუქე, იოლად გამოგიყვან. რაღაც ორი წლით მიმაგრებას მოგცემენ და მორჩა, თუ არადა, მაგრად გაიჭედები.

– ტიგრანამ რა დაგიშავათ, არ ვიცი. საქმის გაკეთება თუ გინდათ, რაც საჭიროა აიღეთ და შემეშვით; მე ვის რა მივეცი, სალაპარაკო არ არის.

– ეგრე არ გამოვა, ზევით უკვე იციან.

– თქვენ უპასუხეთ, რომ არასწორად იცით-თქო.

– არასწორად კი არა, ტიგრანას ავეჯი სინამდვილეში გაატანე და მამაძაღლობას შეეშვი! – მურმანი აყვირდა.

– თუ ეგრეა, ზოსიმესაც გავატანე, ვინც პირზე დამადგა, ყველა ზოსიმეს მოგზავნილი არამზადებია.

– ძალიანაც კარგი, სხვანაირად დანაშაულს როგორ გამოავლენდა.

– თქვენ სინდისზე მწყრალად ხართ და ამიტომაც არცა გცხვენიათ. ადამიანს ძალად შეაცდენთ და მერე დასძახით, ბოზოო. ჩემს მაგალითში უარესი რამ არის: ზოსიმემ თავპირი მომაჭამა, საქონელი ამ ბიჭებს გაატა, სანდო ხალხიაო; ფასიც მაგან მიკარნახა და ფულიც მაგან ჩაიჯიბა. ახლა კიდევ უსინდისოდ ისევ ეგ დემეცა.

– ბიჭო, ზოსიმემ რა ქნას, როცა ზევიდან გაწვებიან. ფაქტი სახეზეა, ისღა დაგვრჩენია, როგორმე იოლად გამოგაძვრინოთ.

– მეც ეგ მინდა. ვალში არ დაგრჩებით; რაც საჭიროა ორი იმდენს გადავიხდი.

– დაგვიწერე, რომ ის ავეჯი ტიგრანას საჩუქრად მიეცი, როგორც რაიკოოპერატივის თავმჯდომარეს და აქედანვე გაგიშვებთ. პირობას გაძლევ, კაციშვილი ხმას არ გაგცემს.

– ეს რა ნამუსია. რაც გინდა მთხოვეთ, ოღონდ ეგ არა...

– ანზორ, – საქმეში ზოსიმე ჩაერია, – შენ დაწერე, ტიგრანას შეშინება გვინდა. იქნება სულაც არ გახდეს საჭირო; სანდო ბიჭი ხარ და იმიტომაც გეუბნებით, მეტი რაღა გითხრა...

– ეგრე თქვი. მაღაზიაში ამხელა აურზაურის დატეხება რაღად გინდოდათ.

– საჭირო იყო. შეიძლება უამისოდ ჩვენს კაი კაცობაში არ დარწმუნებულიყავ. შენს დაწერილს წინასწარ განცხადებულად გავაფორმებთ და ყოველგვარი პასუხისმგებლობა მოგეხსნება.

– აგაშენათ ღმერთმა! ეგრე გეთქვათ, გული რაღაზე გამიხეთქეთ.

– გეუბნებით და აწი დაგვიჯერე, შენთვის ცუდი არ გვინდა, – მურმანმა ანზორი მაგიდასთან მიიწვია. დაავალა, ამ ამბის შესახებ არაფერი ეთქვა. მეორე დღეს ანზორი ისევ თავის მაღაზიაში დაბრუნდა.

ერთ კვირაში კიდევ ორ მაღაზიაში მოაწყეს მსგავსი ინსცინირება და ორ კაცს დააწერინეს, რომ ტიგრანას ტელევიზორი და ფინური პალტო აჩუქეს. ყველაფერი მზად ჰქონდათ, ახლა ტიგრანას დაკითხვის დრო დადგა.

– მალე იმ შენს საყვარელიძესაც მოვადგებით, – მურმანმა ყარამანს ღიმილით უთხრა. – ხომ ხედავ, მიზანს როგორ ნაბიჯ-ნაბიჯ ვუახლოვდებით; კიდევ ერთი ნახტომი და კაკანათში გვეყოლება. მანამდე კი კვერცხის დამზადების შემოწმებაზე ვიმუშაოთ, ვითომ ჩვენი ძირითადი ამოცანა ეგ არის; რასაც ვნახავთ, ყველაფერს საყვარელიძეს დავაბრალებთ.

– კვერცხით აღმასკომის თავმჯდომარესთან მივალთ; ის დავალება კი ამბაკომ მისცა.

– მერე რა, მოიძებნება ხალხი საყვარელიძეს რომ დააბრალებს, ამბაკოც მიაწვება, ეს რა ჩაგიდენიაო. მოკლედ, საქმე მაგრად უნდა ჩავაკვანძოთ.

– კვერცხზე ყველა სოფელი შევამოწმოთ?

– შევამოწმოთ რა გვენაღვლება, კარგად გავფცქვნით, თან ჩვენი უფრო მაგრად შეეშინდებათ.

– ეგრე უნდა. მთელი რაიონი კანკალებს; გაიგეს, ვის რა შეუძლია.

– კვერცხის დამზადება როდის დაიწყეს?

– დეკემბერში.

– მანამდე რას აკეთებდნენ?

– გეგმა შეასრულეს, მაგრამ ამბაკომ დიდი ვალდებულება აიღო, ფაქტობრივად რაიონში კვერცხი არ იყო, ფიქტიური დამზადება მოუწყვიათ...

– ჩვენ ისე მოვაწყოთ, რომ საყვარელიძემ დაავალა.

– ვის?

– საბჭოს თავმჯდომარეებს.

– რაში სჭირდებოდა?

– თავის გამოჩენა უნდოდა. თვითონ ამბაკო სიმონიჩის აზრიცაა... მას უნდა, რომ ყველაფერი გიორგის დავაბრალოთ; ზევიდანაც ასეთი დავალებაა. სხვებსაც მიაყოლებენ პატიოსნებაზე და კანონიერებაზე თავს რომ სდებენ.

– კარგია, მაგათ ეგრე უნდათ...

კვერცხის დამზადების საკითხის შემოწმებამ სუყველას თავზარი დასცა.

– თუ თავისი თავის იმედი არ ჰქონდათ, რაზე დაგვავალესო, – ბრაზობდნენ შემსრულებლები.

მურმანი და ზოსიმე ყველას არწმუნებდნენ: თქვით, რომ გიორგი საყვარელიძემ დაგავალათ და პასუხს არავინ მოგთხოვთო. ბევრმა ქვა შეაგდო და თავი შეუშვირა, გიორგიზე როგორ ვთქვათ, როცა თვითონ ამის სასტიკი წინააღმდეგი იყოო. აღმასკომის თავმჯდომარე გვავალებდა ამბაკო სიმონიჩის მოთხოვნითო. მაგრამ ისეთებიც იყვნენ, სინდისი დახლზე რომ შემოედოთ, როგორც სიტუაცია მოითხოვდა, სინდისსაც იმ ფასში ყიდიდნენ. ახლა კი ნამდვილად უმისოდ დარჩენილებმა ყველაფერი გიორგის გადააბრალეს.

– ესეც ასე, – ამბაკო ხელებს იფშვნეტდა, – მალე ტიგრანაც აჭიკჭიკდება და მოგჭამა ჭირი მაგისმა სიმართლისათვის ბრძოლამ.

# კრეჭო-კოლას აღსასრული

**ჯემალის** ჭრილობა კარგად არ ჰქონდა მოშუშებული, რომ ადგა. მარჯვენა ხელის ხმარება ჯერ უჭირდა; საჭესთან ვერ ჯდებოდა. მისი მანქანის რემონტიდან გამოყვანაზე გაბომ იმუშავა და, რადგან ჯემალს უჭირდა, საჭესთანაც თვითონ იჯდა.

ალაზნის პირას მეღორეობის ფერმის მშენებლობაზე ხრეშს ეზიდებოდნენ. იქვე ძველი ბინა იყო, ბრიგადირი ჯემალის ნაცნობი გამოდგა. ხრეში რომ ჩამოცალეს, მანქანა მეღორეების ბინას მიაყენეს.

– ჯანგირას სიცოცხლე! – ჯემალი მხიარულად მიესალმა წვერგაუპარსავ, ბანჯგვლიან კაცს.

– გამარჯობა, ჯღანო, გამარჯობა! – მასპინძელს მისი ნახვა გაუხარდა.

– მარილწყალში მოხარშული ბურვაკის ხორცი ხომ არა გაქვს?

– არა, ჩემმა მზემ, მესამე დღეა მარტო დავრჩი და რა ვიცოდი, შენ თუ მოხვიდოდი, – ჯანგირამ მოიბოდიშა.

– სხვა დროს იყოს, მე მშენებლობაზე მასალას ვეზიდები; სტუმრობას არ მოგაკლებ.

– ოღონდ მოდი-ხოლმე, ყოველ დღე ახალ-ახალ ბურვაკს დაგიკლავ...

– მაგდენი გყავს?

– ამის პატრონიც გაქრა, ფერმის გამგე ცალკე ეზიდება, თავმჯდომარე ცალკე და ვინ იცის კიდევ ვინ. მე ხომ მიყურებ, რა დღეში ვარ, პირიც ვერ მომიპარსია. მოკლედ, ბაირამობაა; იგრეც ბლომად იხოცება. ამ შობელძაღლებს ნემსის გაკეთებაც ეზარებათ, ყველას ფეხებზე ჰკიდია. მე რაღა ვარ, ერთს ისინი რომ წაიყვანენ, მეორეს მე დავკლავ. დედა ვუტირე, სანამდე გაუძლებს გაუძლოს. ცოტა ხანს მოიცადე, ერთ კარგ ბურვაკს ეხლავე გავფუფქამ. საღამომდე მზად იქნება, ოღონდ, ეს ოხერი, ღვინო არა მაქვს.

– დღეს არ გინდა, სხვა დროს ღვინოს მე თვითონ მოგიტან. ხომ არაფერი გაქვს ოჯახში წასაღები?

– მშენებლებს ათი ტომარა ცემენტი დავაღწიე, როცა გეცლება, გააყოლე.

– იმათ რასაც გამორჩები სახლში მიტანილად ჩათვალე.

– რა კარგ დროს მოხვედი.

– ჯანგირ, ერთი რამე უნდა გთხოვო, სხვა დროს მე თვითონ მოგიტან.

– რა არის, კაცო, მითხარი.

– „კომბიკორმა“ გაქვს?

– როგორ არა, გუშინ მაიტანეს.

– ორი ტომარა უნდა გამატანო, საქმისათვის მჭირდება.

– ჩემი თავი გენაცვალოს, მაგაზე ადვილი რა არის, – ჯანგირა დაფაცურდა...

მანქანა ხევს მიადგა. სამშენებლო ნარჩენები ზვინებად ეყარა, გაღმა კი კრეჭო-კოლას მამული ჩანდა.

– აბა, გაბო, შენი ოსტატობა გვიჩვენე, ხევს გაღმა უნდა გახვიდე, – უთხრა ჯემალმა.

– მაღალი კლდეებია, ცოდოა მანქანა, – შეფიქრიანდა გაბო.

– მანქანა რკინაა, გატყდება გამოვცვლით, ტომრები ზურგით ხომ არ უნდა ვზიდოთ. მიდი, მიუბერე! თუ საჭირო გახდა, ჩემი შამალა კიდეც გაფრინდება.

მრავალი დაბრკოლებებით დასერილი ხევი ნჯღრევით და ღმუილით გადალახეს და კრეჭო-კოლას ეზოს მიადგნენ.

– გრძელი სიგნალი მიეცი, – თქვა ჯემალმა და თვითონ ალაყაფის კარების გასახსნელად ჩავიდა.

მანქანა სახლის კარებთან მიაყენეს.

გაბომ ტომრები აივნის სვეტთან დააწყო. კრეჭო-კოლა გამოჩნდა, საღორიდან ლახლახით მოდიოდა.

– ჯღანოშ შიჩოჩხლე, ჯღანოშ გაუმარჯოშ! შადა ხარ, კაჩო, რად დამივიჭყე? – კრეჭო-კოლას მათი სტუმრობა გაუხარდა.

– გაიცანი, ჩვენი ბიჭია, ძროხების სპეციალისტია, თოხლიაურელი ხინკალას ძმაკაცია, – გაბო წარუდგინა.

– თუ ხინკალაშ ძმაკაცია, ჯაან მაგარი იქნება.

– მაგარი რომელია, პირდაპირ ნახირიდან გამოყავს.

– ვააჰ, ჯერ არ დამჭვარა?

– ერთი ორჯერ ძაღლები ცოტა კუდზე მოეჭიდნენ, მაგრამ დროზე გაუსხლტათ.

– ეშ რა მოგიტანია? – კრეჭო-კოლამ სვეტთან დაწყობილ ტომრებზე მიუთითა.

– ამის საჩუქარია, როცა მოვა, კიდევ მოგიტანს.

– შახელი რა აქვშ?

– გოგია.

– ქურდული კლიჩკა არა აქვს?

ჯემალმა გაბოს გადახედა, ტუჩებზე ღიმილმა გადაურბინა.

– „ელდა“.

– ჰააა! – კრეჭო-კოლას გაუკვირდა.

– ჰო, „ელდა“ ჰქვია, – მერე დაიხარა და ყურში უჩურჩულა: – როგორი ახალგაზრდაა და უკვე სამი, – თითები თვალებთან მიუტანა, – ყავს გასაღებული; ხინკალა მაგის მზეს ფიცულობს.

– ეშ ვინ ყოფილა, შენ გენაცვალე, ვააა! – კრეჭო-კოლამ პირი გააღო და გამრუდებული ჩანებიდან ყვითელი, მეჩხერი კბილები გამოაჩინა.

– შადაურია?

– ჩაილურელია, გასტროლებზე ჩამოვიდა; ცოტა ხანს წაინადირებს და გაქრება.

– ნაქურდალი აქ მორეკოშ, ტყეში ადგილშ მოვუძებნი.

– შენთან ვიღაცა ძაღლი რომ დადის.

– იიიშ! ჩვენია, შარაშთან კარგად არიშ; რაჩ უნდა იმას აკეთებინებშ.

– თქვენთან რაზე მოდის?

– რავი, პურმარილი მოაქვშ ხოლმე. კარგი რაღაც-რაღაცეებიშ მოტანა იციშ ხოლმე; მე ღვინოზე მაგზავნიშ და გიყვარდეშ, მაგარი შმა შეუძლიან.

– ღვინის მოტანას რამდენი ხანი უნდება?

– იიიშ, ჩემი ფეხებიშ ამბავი ხომ იჩი, ხუთი საათი მაინჩ მინდა, სანამ ღვინიშ ჭერტამდე მივალ და მოვალ.

– თუ გიფიქრია ამ ხნის განმავლობაში სარა და ის ძაღლი რას აკეთებენ.

– რა ვიჩი, კაჩო, ლაპარაკობენ ალბათ.

– გესმის, „ელდავ“, ამასაც ქურდი ჰქვია რაღა! მთელი ქალაქი ლაპარაკობს, კრეჭო-კოლას ცხვირწინ ძაღლები ცოლს უბურთავებენო, ეს კიდევ შავად ასაღებს თავს; ახლა ამას ნამუსი აქვს?!

– თუ სამაგიეროს არ მიუზღავს, რა კაცობაა; მომპარავ კაცს ძაღლმა ამგვარი რამ როგორ უნდა აკადროს? – გაბომაც გაიკვირვა.

– მე ვერ გამიბედამშ! – კრეჭო-კოლას პირზე დორბლი მოადგა.

– გაგიბედა და ეგ არის, შე ბედოვლათო! ხუთი საათი ერთად რომ ტოვებ, გულში არაფერი რომ ჰქონდეთ, მაინც მოვლენ ხასიათზე.

– დედაშ ვუტირებ, ერთი კიდევ მოვიდეშ! – კრეჭო-კოლამ ჯოხი ხელში შეატრიალა.

– როცა მოვა, ეგ ჯოხი ბეჭებში უსართე იგრე, რომ შენი დედაკაცის სახელიც დაავიწყდეს, მაშინ ნამდვილი ჩვენი ძმა იქნები; „ელდაც“ შენთან თამამად გაათევს ღამეს.

– ნახავთ, რა დღეში ჩავაგდებ.

– ჩვენ წავედით, ცოტა ხანში კიდევ შემოგივლით, არ შეგვარცხვინო! – გამოემშვიდობნენ და იმავე ხევზე მანქანა ვაივაგლახით გადაატარეს.

კრეჭო-კოლას ბრაზი თანდათან უფრო ერეოდა, ეჩქარებოდა, ჯიმშერა მოსულიყო და ბიჭობა დაემტკიცებინა; განსაკუთრებით „ელდასთან“ უნდოდა თავის გამოჩენა.

– რა ბიჭია კრეჭო-კოლა, ქვეყანაშ დავანახვებ, – თავისთვის დუდუნებდა.

მთელი ერთი კვირა გავიდა, ჯიმშერა არ გამოჩენილა; კრეჭო-კოლა ნერვიულობდა, ვაი თუ ბიჭების გამოჩენამდე არ მოვიდესო. ბოლოს კი მოსახდენი მოხდა. ხევს გაღმა „ჟიგული“ გაჩერდა, ჯიმშერა დიდი ჩანთით ჩამოვიდა.

შუადღე მიტანებული იყო. ამ დროს სარა ქალაქში დაეხეტებოდა ხოლმე თავის საქმეებზე, ახლა კი რატომღაც შინ დარჩა.

– ვაიმე, ჯიმშერა მოსულა! – გახარებული სარა მის შესახვედრად გაიქცა.

– შე ოღრაშო, კუროშ მოშვლა გაგიხარდა? მაიჩა, შეირშ გაჩვენებ! – კრეჭო-კოლა კიბეზე ჩამოჯდა და სტუმარს ლოდინი დაუწყო.

– კოლავ, აბა გაფრინდი, ერთი შტოფი ღვინო მოარბენინე, ჩვენებურად შავუბეროთ! – ჯიმშერამ ორმოცდაათმანეთიანი ჯიბეში ჩაუდო.

– შენი ფული რად მინდა, შამაგიშო რა მაქვშ; მე რა მკვდარი ვარ?!

– ვა, კოლავ, რამ გიკბინა?! – ჯიმშერას გაუკვირდა.

– შე უვარგისო, რას იჭიმები, გაძლევენ, გამაართვი რაღა! – სარა გაუწყრა.

– ჩანებშ მოუჭი, თორემ! – კოლამ თვალები ბოროტად დაუბრიალა, სისხლი აემღვრა, მაგრამ თავი შეიკავა. ფული ჯიბიდან ამოიღო, დაჭმუჭნა და ჯიმშერას ფეხებთან მიუგდო.

– ბიჭოს, რა წიწაკა ნაჭამივითა ხარ, შენი ფულით მაიტა, რახან არ იშლი, – ჯიმშერამ ფული აიღო.

– მაიტა, აქ მაიტა! – სარამ ხელიდან წაჰგლიჯა, – მაგას თუ არ უნდა, მე მინდა.

– ჰა, რას უცდგეხარ, კოლავ, დროზე წადი, თორემ დაგვიანდება, – ჯიმშერას ეჩქარებოდა.

კოლა ადგა და ალაყაფის კარებისკენ წავიდა.

– შტოფი გააყოლე! – სარამ მიაძახა.

– ჭურჭელშ იქ ვიშოვნი, – ჩაილაპარაკა და კარები გამოაღო.

სარამ და ჯიმშერმა ხევამდე მზერით მიაცილეს. როგორც კი კრეჭო-კოლა ბორცვს მიეფარა, ერთმანეთს გადაეხვივნენ და კოცნა-კოცნით ოთახში შევიდნენ.

კრეჭო-კოლამ ეზოს უკანიდან მოუარა, ტყეში გასასვლელი კუტიკარიდან შეიპარა და სახლისკენ ქურდულად წავიდა.

ოთახში კარების ჭურჭრუტნიდან შეიხედა, ყველაფერი ცხადად დაინახა, სარა აშკარად ღალატობდა, თუმცა ამაში სხვა დროსაც არ ეპარებოდა ეჭვი, მაგრამ ახლა მეტისმეტი იყო... ღალატის აქტი მის თვალწინ ხდებოდა; თანაც „ელდას" ვიზიტის შემდეგ მთლად სხვა კაცად იქცა.

იქვე კუთხეში მიყუდებულ ცულს ხელი დასტაცა და შეატრიალ-შემოატრიალა. ის იყო ოთახში უნდა შევარდნილიყო, რომ ქალის ხმა შემოესმა, დაინტერესდა, ცული ისევ მიაყუდა და ჭუჭრუტანაში შეიხედა; სარას ჯიმშერისათვის კისერზე მოეხვია ხელები და ვნებიანად ყვიროდა.

ოთახში კრეჭო-კოლა ანგარიშმიუცემლად შევარდა და მის სარაზე დამხობილ ჯიმშერას რაც ძალი და ღონე ჰქონდა თავისი განუყრელი შვინდის ჯოხი ზურგში დაჰკრა. ჯიმშერამ ტკივილისგან დაიღრიალა, სანამ წამოდგომას მოახერხებდა, მეორედ უფრო უარესი ძალით მოხვდა, ახლა უკვე წელი ველარ აითრია და მთლად ტიტველი ზურგზე გადაგორდა. გაცოფებულ კრეჭო-კოლას ათმაგი ძალა და სისწრაფე მოემატა. გულაღმა გადაგორებულ ჯიმშერას, წელს რომ ველარ ძრავდა, ჯოხი შუბლში დაჰკრა, თავგახეთქილი დონქუანი იატაკზე გულაღმა გაიშხლართა. კრეჭო-კოლას კიდევ უნდოდა დაერტყა, მაგრამ სარას კივილმა შეაჩერა. ტიტლიკანა სარა წამოხტა და კოლაზე მიიწია, მაგრამ გადარეულ თვალებს და დასარტყმელად შემართულ ჯოხს რომ შეხედა, გადაიფიქრა და კარებისკენ გაიქცა. სწორედ ამ დროს მძლავრად მოქნეული ჯოხი ბეჭებში მოხვდა და მუხლებზე დაეცა, მეორედ იგივე ძალით დარტყმა შიშველ საჯდომზე მიიღო და აწივლებული კარებისაკენ გახოხდა.

გონს მოსული ჯიმშერი სკამზე ჩამოკიდებულ ღვედს ძლივს მისწვდა და პისტოლეტი ჯიბიდან ამოიღო.

– შენ ისევ ჩოჩხალი ხარ, შე შობელჯაღლო?! – კრეჭო-კოლამ ერთი კიდევ მოუქნია თავში, მაგრამ ჯიმშერამ გადაწევა მოასწრო, დარტყმა მარცხენა მხარში მიიღო. იმავ წუთში ორჯერ ზედიზედ ისროლა; კრეჭო-კოლა იატაკს დაენარცხა.

სროლის ხმაზე შემობრუნებული სარა მომაკვდავ ქმარს დაჰყურებდა, თან ტკივილისგან იჯღანებოდა. ჯიმშერი მუხლებზე იდგა, ფეხზე ადგომას ვერ ახერხებდა. „ეს დედაკაცი გამცემს", – გაიფიქრა და პისტოლეტი ნელ-ნელა ზევით ასწია. სარამ ინსტინქტით მისკენ მიიხედა და შეჰკივლა: – რას აპირებ?!

ჯიმშერი დაიბნა, ხელი ჩამოუვარდა.

– არავინ არ უნდა გაიგოს, თორემ ორივე დავიღუპებით, – ჩაილუღლუღა.

– ჩაიცვი, სასწრაფოდ რამე უნდა მოვიფიქროთ! – ქალმა უბრძანა.

მალე ორივემ ჯეჯიმში გახვეული კრეჭო-კოლა იმ კარებში გაიტანეს, რომლიდანაც თავის ეზოში საბოლოოდ შეიპარა. ტყეში ორმო გათხარეს, შიგ ჩააგდეს და საგულდაგულოდ მოტკეპნეს.

ტყეში საღამოს ნიავი დაძვრებოდა და რცხილის ტოტებს მგლოვიარეთა ძაძით შემოსილ ხელებივით აქანავებდა. ენაჭარტალა ჩხიკვმა ბოროტმოქმედებს მოულოდნელად დასჩხავლა და კრეჭო-კოლას დამიწებით დაწყნარებული დაუსჯელობის გრძნობა შეუშფოთათ.



## ურჩის ჩამოცილება

**საეჭვო** რეპუტაციის კაცი, ამბაკო სიმონიჩი, რაიონში არავინ რომ არ იცნობდა, რაიკომის პირველ მდივნად ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ედუარდ შევარდნაძემ ჩამოიყვანა თბილისიდან და რაიონის ხელმძღვანელის სკამზე დასვა, პარტიის და ხალხის ერთგულად მონათლა ადამიანი, რომელსაც მთელი თავისი ცხოვრება აფერისტობით, სხვისი მოტყუებით და ავაზაკობით რუსეთი მოვლილი ჰქონდა საქართველოდან გაქცეულს. როგორც შევარდნაძე მთელს საქართველოში თავის მსგავს ქვეყნის და ერის ინტერესების პარაზიტ რაიკომის მდივნებს აგზავნიდა, რომლებიც ხალხის და ქვეყნის სასიკეთო საქმეს ისე სპობდნენ, როგორც სარეველა კულტურულ მცენარეს, როცა თოხნა კულტურულ მცენარეს ანადგურებს, ადვილი წარმოსადგენია გამძლავრებული უბედურების ძალა. ამბაკოც ისე ამრავლებდა თავის მსგავს პარაზიტებს, როგორც ედუარდ დიდმა უბედურებამ დამოძღვრა.

მომხეჭელობის ცოდვიან მოძღვრებაზე ნაკურთხი ამბაკო თავისი გეგმების განხორციელებას ენერგიულად შეუდგა. მიწერების ოსტატს ერთი ფანქრის მოსმით შეეძლო ყველაზე ზღაპრული ვალდებულების შესრულება, არც არავისი ეშინოდა, რადგან თვითონ ედუარდ ამბროსევიჩი ჰყავდა მფარველად და გაუკუღმართებული ამქვეყნიერების იდეოლოგად.

ამბაკოს მიმართ საყვედურები ბევრგან გაისმოდა, მაგრამ აშკარად ხმის ამოღებას ვერავინ ბედავდა. ზევიდან მისი მიმთითებელი და ყურის ამწევი არავინ იყო, თუ კიდევ ვინმე გამოჩნდა, ედუარდ ამბროსევიჩი მტრად გადაექცა, რადგან ამბაკო მისი სამარცხვინო, გამცემლური ჩანაფიქრის ერთგული შემსრულებელი იყო. მიდიოდა უთანასწორო ბრძოლა ბოროტის კეთილთან. ბოროტების სამსახურში მყოფნი ბნელი მიზნების განსახორციელებლად არავის და არაფერს არ ერიდებოდნენ; არსენალში ყოველგვარი ბინძური მეთოდები ჰქონდათ: ცილისწამება, დასმენა, ჭორის გავრცელება, ანონიმური წერილების წერა და ბოლოს ძალადობაზე დამყნობილი ყალბი, ცილისმწამებლური საქმეების შეკერა მართალი, კეთილსინდისიერი, მათთვის საშიში ადამიანის მოსათხრელად. ძალიან ძნელი იყო ამ სახელმწიფო სათავიდან დაწყებული ღალატის წინააღმდეგ ბრძოლა, საზოგადოების წინაშე ხალხის კეთილდღეობისათვის თავდადებული მებრძოლის როლს რომ თამაშობდნენ, ზურგს უკან კი სატანისტურ ბადეებს ხლართავდნენ ხალხის ერთგული და საყვარელი შვილების მოსასპობად. საქართველოს უბედურებად დაბადებული ედუარდ შევარდნაძე მთელ ქართველობას ჯოჯოხეთურ უბედურებისაკენ მიერეკებოდა. თუმცა ჯერ ფრთხლად, ნიღაბში შემძვრალი მოღალატე ხალხის ბედნიერებისათვის მებრძოლის ნიღბით თეჯირს იქით უხსენებელს ენას ასისინებდა.

გიორგი საყვარელიძე ამბაკოს ყელში ძვალივით გასჩროდა. არა ყოფილა მის მიერ ჩაფიქრებული თვალთმაქცობა თუ უსამართლობა, რომ საყვარელიძის წინააღმდეგობას არ წასწყდომოდა მაშინ, როდესაც სხვა ყველა პირმოთნე ღიმილით თავს უკრავდა თანხმობის ნიშნად. ყარამანი ამ დროს კი ცეცხლზე ნავთს ასხამდა:

— ჩვენი საერთო საქმის მტერია, როგორც მომენტს ნახავს, სკამს გამოგაცლის და შენს მეგობრებს ცოფიანი ძაღლივით დაერევა. დროზე უნდა მოვიშოროთ, თანაც იგრე, აღარსად რომ არ გამოდგეს. როგორც საყვარელიძეს მოსტეხავ კისერს, სხვები გუგულებივით გახდებიან, თუ არადა, მათ გასრესას რა უნდა.

– ყველაფერში ხელს მიშლის. ისე უნდა მოვიშორო, სხვებისთვის სამაგალითო იყოს. ედუარდ ამბროსევიჩს არ უყვარს მაგნაირი მეტიჩრები, მეც მოვახსენე, რომ მისი ბრძნული იდეების მტერია და ყოველ ფეხის გადადგმაზე ხელს მიშლის.

– ეგრე მოუხდება, თავხედობა ათმაგად უნდა აზღვევინო.

– ზევით ედუარდი მაგის მსგავსებს სპობს, ჩვენ აქ უნდა გავატაროთ ღონისძიება, – თუმცა კაბინეტში მარტო იყვნენ, ამბაკო ახლოს მივიდა და ყურში უჩურჩულა: – ედუარდ შევარდნაძემ ყველაფერი იცის, ზევიდან დედას უტირებს.

– საქმეს იგრე მოვაწყობ, სულ საყვარელიძეს წამოვკიდებთ, რაც ცოდვებია; დაბრალებას რა უნდა, მთავარია ზევიდან მხარდაჭერა იყოს...

– ამ საქმეში ერთგული ხალხია საჭირო.

– ზოსიმე ჭრელაშვილი ჩვენი ყურმოჭრილი ყმაა. კიდევ ერთი საიმედო კაცია – ჯიმშერ ზარდიაშვილი, თუ საჭიროა, კაცს მოკლავს.

– ჯერ ყველა გამოვიყენოთ, მერე კი ნელ-ნელა მოვიცილოთ; ამ საქმეში ზედმეტი მოწმე ვის სჭირდება.

– ეგ მე უკვე ვიფიქრე, – ყარამანმა ვერაგული ღიმილი შეაგება. გულში კი გაიფიქრა: – „თავის დროზე ჩემს მოცილებასაც ეცდები, მაგრამ სანამ ის დრო დადგება, არც მე ვარ უკბილო ბიჭი".

– სიცრუე ისე უნდა შეკეროთ, რომ გიორგი საყვარელიძე მაგრად გაიჭედოს. არასწორიას ძახილი ჩვენ არ გვაშინებს. ედუარდ ამბროსევიჩს შეთითხნილი ცილისწამება სჭირდება, თორე საყვარელიძეს არც მოუსმენენ, თუნდაც თავი ქვას ახალოს, ვინ გამოექომაგება, ორი თავი ვისა აქვს.

– ასეთი საქმეების გაჩარხვა ჩემი ხელობაა, – ყარამანმა თავი გამოიდო.

– ზევით საკითხი უკვე გადაწყვეტილია, თორე ედუარდ ამბროსევიჩს არასაიმედო კაცის მოსპობა გაუჭირდება? რა ერთი და ორი საყვარელიძესთანა გაუცილებია მოუსავლეთში?..

მურმან კვირკველიამ თავისი მისიის პირველი ეტაპი დაამთავრა. მოძალადე არაკაცთა მიერ დატერორებული და დაშინებული ადამიანები ყველაფერს კადრულობდნენ, ოღონდ თავი გადაერჩინათ. მურმან კვირკველიაც კარნახობდა, გიორგი საყვარელიძემ დაგვავალაო მიწერები და ისინიც სინდისდაღუნებულები წერდნენ და კმაყოფილები იყვნენ იმით, რომ თვითონ გადარჩნენ, თორე გიორგის მათი დაწერის გარეშეც გაუსწორებდა ანგარიშს რესპუბლიკის ვერაგი თავკაცი.

მურმან კვირკველია შემსრულებელი იყო. მას დაავალეს, ამბაკოს სასარგებლოდ გიორგი საყვარელიძისათვის დაებრალებინა ყველა ცოდვა. ისაც იცოდა, რომ ამბაკო სიმონიჩი ედუარდ შევარდნაძის რჩეული იყო და რაც შეეძლო კუდს უქნევდა, რათა ზევით გაეგოთ რამხელაზე იყო მათი ერთგული. თუ ამბაკოზე მიიღებდა დავალებას, ისე გაგლეჯდა, როგორც მშიერი მელა ქათამს; ამ ერთგულებისთვის კი სხვა დანარჩენების ძარცვისათვის სრული თავისუფლება ეძლეოდა. მას რაღა ენაღვლებოდა, როცა სინდისის და ნამუსის გრძნობა ხალხის ცრემლების ხარჯზე მოპოვებულ ცხიმიან ლუკმას მიუძღვნა გასათელად. ახლა თავისი ნაცოდვილარი, „შემოწმების" ერთი პირი ამბაკოს გაუწოდა, მეორეთი კი შემოწმების შედეგების გაცნობა დაიწყო: – წინასწარ მინდა გაცნობოთ, რომ ამ მასალებით მხილებული გიორგი საყვარელძეს ცენტრალურ კომიტეტში დასჯიან. გამოაშკარავებული იქნა ადამიანი, რომელიც თვალთმაქცობით და მიწერებით ჩრდილს აყენებდა თქვენი დაუღალავი, ენერგიული და, მე ვიტყოდი, გონებამახვილური ხელმძღვანელობით მიღწეულ წარმატებებს.

ამბაკოს სიამოვნებისაგან სახე გაებადრა.

– რა ვქნა, ჩემო მურმან, თავს არ ვზოგავ; თუ ზოგიერთი არ მიგებს, რა ჩემი ბრალია.

– ჩვენ სწორედ ეს ვიცით და ამიტომაც ამოგიდექით მხარში. გამოიძებნენ ადამიანები, რომლებმაც დაწერეს: კვერცხის დამზადებაში მიწერას საყვარელიძე გვავალებდაო. ამით ჩვენ ბოლო მოვუღეთ ზოგიერთ ავი ენების მიერ გავრცელებულ ჭორებს, რომელიც თქვენ კარგად მოგეხსენებათ, – მურმან კვირკველია ყარამანს უმტკიცებდა, რომ ნამდვილი დამნაშავე ამხილა; თვალთმაქცები ერთმანეთთანაც ოინბაზობდნენ.

– რა ვიცი, ჩემო მურმან, მე რაც მაგათ მოვუწოდებ კანონის და კანონიერების დაცვისაკენ, მაგრამ რა ვქნა, ზოგიერთები თავისას მაინც არ იშლიან. ამგვარი დანაშაულის ჩადენა როგორ შეიძლებოდა! განა ედუარდ ამბროსევიჩის ფხიზელ თვალს რამე დაემალება?! ყველა უკუღმართს სათანადოდ დასჯის, რათა ქვეყანაში სიმართლემ და პატიოსნებამ გაიმარჯვოს. მე თქვენი დიდი კმაყოფილი ვარ და ყოველივე ამას ჩვენი კეთილშობილი საქმისათვის ასეთი ერთგულებით რომ ილვაწე, ედუარდ ამბროსევიჩს უსათუოდ მოვახსენებ, მას სწორედ შენი მსგავსი, ქვეყნისა და ხალხისთვის თავდადებული ადამიანები სჭირდება, – ამბაკოს გული აუჩუყდა, მურმანს ხელი ჩამოართვა და ესეც რომ ეცოტავა, მეგობრულად გადაეხვია. მურმანი სიამოვნებისაგან დადნა, დაიშალა, საერთო საქმის ერთგულება დაიფიცა და დიდად ნასიამოვნები, ამბაკოს კაბინეტიდან გავიდა. გულში კი ფიქრობდა: „დალოცვილს თავი იგრე ეჭირა, ვითომ მაგის დავალებით არა ხდებოდა ეს ყველა უმსგავსოება, მეც კი მაჯერებდა, რომ გიორგი საყვარელიძემ ჩაიდინა ყოველივე ეს. ვაი, ამ საცოდავ ხალხს მაგისთანების, თუნდაც ჩემისთანების ხელში!“, – ვერაგულად გაეღიმა და გაუმაძღარი ვირთხის მზერა მიაპრყო ტალანში გამოკრულ მოწინავე მშრომელთა სურათებიან სტენდს.

მალე გიორგი საყვარელიძე ცენტრალურ კომიტეტში გამოიძახეს, არც კი მოუსმინეს, ისე გაანთავისუფლეს. გიორგის მწარედ გაეცინა და სათქმელი მაინც უთხრათ: – ქვეყნის უბედურებად რომ მოღვაწეობთ, დიდი ხანია ვიცოდი, ბევრი ჩემისთანა შეეწირება არაკაცთა მგლურ ხორუმს, მაგრამ რა ეშველება საცოდავ ჩემს ერს, ასე ღალატით რომ მიაქანებთ გამოუვალ უბედურებისაკენ! თქვენთან თავის მართლებას აზრი არა აქვს, როგორც კრავს მგლების მიერ მოწყობილ სამსჯავროზე. თუ დიდხანს გაგრძელდა თქვენი პარპაში, ბოლოს მაინც ქართველი ერის ისტორიის სანაგვეზე გადაყრილებს წყევლა-კრულვით მოგიგონებენ, თქვე ცოდვის შვილებო!

რაიონის აქტივის კრებაზე კი ამბაკომ შემოწმების მასალების ფრიალ-ფრიალით ყველაფერი გიორგი საყვარელიძეს გადააბრალა. მსმენელთა ირონიული ღიმილი მისი აზრის მოწონებად მიიღო და სინდისის ქენჯნის უქონელი, ყველას საზეიმოდ დაჰპირდა, რომ მიწერებს, ყოველგვარ თვალთმაქცობას, კანონიერების დარღვევას და საერთო საქმის ღალატს, არავის არ აპატიებდა.

## ტიგრანას გაწირვა

**ყარამანის** სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, თავის ამფსონებთან ერთად ყოველ საღამოს ქეიფობდა და მთავარი მტრის მოცილებაში ერთმანეთს ღვაწლს უქებდნენ.

– ეს ჯერ ჟურნალია, კინო ამის შემდეგ იქნება, – ყარამანი ტრაბახობდა.

ზოსიმემ მთლად აიწყვიტა. ყველა არასასურველ პიროვნებას შიშის ზარს სცემდა; მისი არასასურველი ყველა პატიოსანი და მართალი ადამიანი იყო. სამაგიეროდ, მომხვეჭელებს, ვირთხებივით რომ ღრღნიდნენ საზოგადოებრივ დოვლათს, მუდამ წილში ედგა და თავისთვის ყველაზე დიდ ლუკმას ითხოვდა. გეგმაში ფართო ფრონტით შეტევა ჰქონდა ყველა იმის მოსასპობად, ვინც კი ოდესმე აწყენინა, ან იმედი გაუცრუა. პირველ რიგში კი გიორგი საყვარელიძის საბოლოოდ განადგურება იყო საჭირო, რათა კიდევ არ გამართულიყო წელში ბოროტი ძალების ძრწოლვად და გულის გასახეთქად.

მურმანმა მთავარი ამოცანის განხორციელებისათვის ბრძოლა ტიგრანაზე შეტევით დაიწყო. ჯიმშერ ზარდიაშვილი, რომელსაც უკვე გაუარა კრეჭო-კოლას სახლში მიღებულმა შიშმა და ჯოხის ნაკვალევმა, კიდევ უფრო აქტიურად ჩაება არაკაცობის როკვაში.

როლები ამგვარად ნაწილდებოდა: მურმანი ტიგრანას ფრონტიდან დაუნდობლად უტევდა. ჯიმშერი ზედმიწევნით მკაცრად ასრულებდა მისი დაკავებისა და დაშინების დავალებებს. ზოსიმე სასტიკად იყო შეწუხებული და ცდილობდა, ტიგრანასთვის როგორმე შეემსუბუქებინა მდგომარეობა; ყარამანიც საჭირო რჩევას აძლევდა ტიგრანას.

მურმანი ჯიმშერ ზარდიაშვილის კაბინეტში იჯდა, გაკვირვებული ტიგრანა მის წინ მაგიდასთან მოკუნტულიყო.

– რა ვქნა, ტიგრან, ძალიან დიდ პატივს გცემ, ზოსიმე და ყარამანი კარგად გახასიათებენ და თავიანთ ძმად გთვლიან, მაგრამ საქმე ძალიან ცუდად მიდის. ალბათ, შენი დაკავება მომიწევს. ამხანაგი ამხანაგია, ყველაფერი კარგია, მაგრამ საქმეს ვერ ვუღალატებ.

– რა მოხდა? რაშია საქმე?! – ტიგრანას თვალები გაუფართოვდა.

– მთელი რიგი მუშაკებისა ხელს გაღებენ, რომ მათგან ქრთამს ღებულობდი.

– რა ქრთამი?

– თუნდაც ის, რომ ავეჯის მაღაზიიდან უფასოდ ძვირადღირებული კომპლექტი წაიღე.

– ეგ ვინა თქვა?

– აი, თვითონ ანზორის მიერ დაწერილი განცხადება; აქ სხვებიც არიან ისე, რომ საკმარისი მასალები დაგროვდა.

ფერდაკარგულმა ტიგრანამ ანზორის დაწერილი განცხადება ხმის კანკალით წაიკითხა.

– უყურე მაგ შობელძაღლს, ეს რა მიუქარნია! – ჩაილაპარაკა.

– ასეთი შობელძაღლი ბევრია და არ ვიცი, ამ საქმეს როგორ მოვუარო, – მურმანმა ტონი შეარბილა.

– ყველას გადავათქმევინებ, შენ კი ვალში არ დაგრჩები, – ტიგრანას იმედი მიეცა.

– როგორ გადაათქმევინებ, საქულას დუქანია?! უფროსებმა უკვე იციან და ყოველდღე უნდა მოვახსენო, ძიება როგორ მიდის, – – მურმანმა შუბლი შეიკრა.

– ზოსიმეზეც თქვა? – ტიგრანამ ხმადაბლა ჰკითხა.

– ზოსიმეზე რაღა უნდა თქვას?

– ის ავეჯი ზოსიმემაც წაიღო.

– შენ აქ პროვოკაციაზე ნუ მიდიხარ! ზოსიმე სულ იმას მეხვეწება, როგორმე უშველეო, შენ კი რას ამბობ, სირცხვილი არ არის?!

– მე იმიტომ კი არა ვთქვი, რომ ზოსიმესთვის ცუდი მინდა, უბრალოდ მაინ-

ტერესებს, რატომ მაინც და მაინც მე დამადო ხელი?

– უშუალო ხელმძღვანელი შენა ხარ, კომბინაციასაც შენ კარნახობდი! – მურმანმა ხმას აუწია.

– რომელ კომბინაციას, არ მესმის!

– აი ეს, – მურმანმა იმ პირთა სია დაუდო, ფასდამახინჯებით რომ შეისყიდეს საქონელი.

– ტიგრანამ ირონიულად ჩაიცინა.

– რას იცინი?

– ეს სუყველა გოსიმეს დაქირავებული ბიჭებია; თურმე რაში ყოფილა საქმე!

– გოსიმე რა შუაშია, იმათ თვითონ განაცხადეს.

– რატო მაშინვე არ გამაგებინეთ, როცა ჩემზე თქვეს?

– საქმისათვის ეგრე იყო საჭირო.

– ეს ყველაფერი გოსიმეს ოინებია, მისი ხელწერა იგრძნობა.

– გარდა იმისა, რომ მექრთამე ხარ, უსინდისობაც შეგძლებია; პატიოსან კაცს ცილს სწამებ! – მურმანი აყვირდა.

– მის ხმაზე კაბინეტში ჯიმშერი შემოვიდა.

– რაზე გეწყინა, ან რა ცილს სწამებ; გოსიმე თავის სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებს, – ჯიმშერა ძმაკაცს გამოესარჩლა.

– შეაგდე საკანში. რამდენიმე დღე რომ იკავკავებს, მერე გაიგებს, გოსიმეს და ყველას ფასს, მაგის გულისთვის თავპირი რომ გადამაჭამეს, როგორმე უშველეო, – ბრაზობდა მურმანა.

– წამოდი! – ჯიმშერამ ხელი მოჰკიდა.

– რასა შვრებით, მღუპავთ?

– ჭკუის სასწავლებლად გამოგადგება! – მურმანი ფეხზე ადგა და ფანჯარასთან მივიდა.

– რა გინდა, მითხარი, როგორც მეტყვი, ისე მოვიქცევი, სხვა რა ვქნა? – ტიგრანა ჯიმშერას გაუძვრა და მურმანისკენ წავიდა.

– ეს უკვე სხვა ლაპარაკია. თუ რასაც გეტყვი, ისე მოიქცევი, ავეჯის და სხვა საქმეებიც აღარ გამოჩნდება, თუ არადა იმხელა ტვირთს აგკიდებ, დასახვრეტი გახდე.

– მითხარი, ძმაო, რა გინდა, გაუგებარი კაცი არა ვარ; სახლის გაყიდვა რომ დამჭირდეს, ვალში არ დაგრჩები.

– შენი სახლის გაყიდვა არავის უნდა.

– მაშა რასა მთხოვ?

– უნდა დაწერო, რომ გიორგი საყვარელიძეს ფულს აძლევდი.

გაკვირვებულმა ტიგრანამ პირი გააღო.

– პირი დახურე და მომისმინე: შენ იძულებული იყავ ხუთი ათასი მანეთი მიგეცა, რადგან იცოდი, რომ შევიწროვებას დაგიწყებდა.

– არა, ძმაო, იქნებ მაგ კაცს კარგად არ იცნობ, ხუთი ათასი კი არა, სხვისას ხუთ კაპიკს არ შეირჩენს; ეგ სიცრუე რამ გაფიქრებინათ?!

– სიცრუეა თუ არა, რა შენი საქმეა! ეს დაწერე და მერე იგრიალე, როგორც გინდა; კაციშვილი ხმას არ გაგცემს, მთელი საქონელი ათმაგ ფასში რომ გაყიდო, გაიგე?

– არ მესმის, – ტიგრანამ მხრები აიჩეჩა.

– წაიყვან წაიყვა! ორ დღეში გონზე მოვა, – მურმანმა ხელი აიქნია, ჯიმშერი ისევ მიეძალა.

– მოიცათ, რას შერებით, გაგიჟდით? – აყვირდა ტიგრანა.

– გიჟი ვინც არის, გაიგებ. ერთ დღე-ღამეში გუგულად იქცევი. იქნებ, აქეთ გვეხვეწებოდე, – მურმანმა კარებში გახიდულ ტიგრანას მიაძახა.

ჯიმშერს სხვა მილიციელიც მიეშველა და სარდაფში მოთავსებულ საკანში კინწისკვრით ჩაათრიეს.

## უიმედობა

**მძიმე,** შავი ღრუბელი ცივგომბორის ქედს დასავლეთიდან შემოესია. ქარმა ძალუმად დაუბერა და წვიმის მსხვილი წვეთებით სახლების სახურავებს დიდი ქარიშხლის მოახლოვება ამცნო. ყველაზე ძალიან ალვის ხეებს, ნაძვებს და კვიპაროსებს გაუჭირდათ; სძულს ძალამიცემულ ქარს მაღლები, ებრძვის და მათ მოსპობას ლამობს. თუ ნიავად ქცეული ნაზად ეფერება, ელაქუცება, ნუ დასძრახავთ, ყველა სუსტი რაგინდ ბოროტიც არ უნდა იყოს, ცდილობს, შეინიღბოს ძმობისა და მეგობრობის საბურველით, რათა გამძლავრებულმა სიკეთე, სილამაზე და სიყვარულზე ბოღმა და შური ათმაგად დაანთხიოს.

სკოლის ეზოში მდგარ ალვის ხეებს გადატეხის სურვილით ქარი ძალუმად ღუნავდა. ზოგი ტოტი შეახლიჩა და დაბლა ხმაურით დაანარცხა. ჩამობნელდა. მძლავრმა ჭექა-ქუხილმა შიშის ზარი დასცა სულიერთ. ქარმა სკოლის დირექტორის კაბინეტის ფანჯრები ხმაურით შეანგრია და წვიმის თანხლებით ოთახი მოარბია.

– რა ხდება, მეორედ მოსვლაა?! – ზაური ასანიშვილი წამოხტა, ფანჯრები ვაივაგლახით ჩაკეტა და ოთახში მიმოფანტული ქაღალდების აკრეფას შეუდგა.

კაბინეტში ზაქრომ შეიხედა:

– რა ხმაური იყო, მინები ხომ არ ჩაიმსხვრა? – იკითხა.

– მინები გადარჩა, მაგრამ ყველაფერი გადამიყარა.

ზაქრო იატაკზე გაშლილი ქაღალდების მოკრეფაში მიეშველა.

ქარი შესუსტდა. ახლა მძლავრი, კოკისპირული წვიმა წამოვიდა, თან სეტყვის მარცვლებიც გაურია.

– სადღაც სეტყვა მოვიდოდა, – ზაქრომ ჩაილაპარაკა, – ჩვენკენაც გადმოჰკრა.

– არც ჩვენ გვადგა კარგი დღე, ნახე, ეზოში რამდენი დამტვრეული ტოტი ყრია, – ზაური სკოლის ეზოს ფანჯრიდან უყურებდა, სადაც ფერდობიდან შემოჭრილ ღვარცოფს ქვები და ღორღი მოჰქონდა.

– ტოტებს ვიღა ჩივის, მაგარი სამუშაო გაგვიჩნდა; ეზოს გაწმენდა მოგვიწევს.

კოკისპირული წვიმა გაბმულად შხუოდა და ღვარცოფად ქცეული ყველაფერს წალეკვით ემუქრებოდა.

სტიქიის მძვინვარებას ზაური და ზაქრო ფანჯრიდან უყურებდნენ.

– რაც უნდა იბობოქროს, მალე გადაიღებს, მხოლოდ ძალადობის სამარცხვინო კვალს დატოვებს, – ზაურმა ჩაილაპარაკა და ფანჯარას მოსცილდა.

– ესაც ისე წავა, როგორც სხვა წასულა. ამინდის ჭირვეულობა არაფერია ადამიანის ავკაცობასთან შედარებით.

– ამ აურზაურში ადამიანის ავკაცობა რაში გაგახსენდა?

– რაც გიორგი საყვარელიძე გაანთავისუფლეს, მის შემდეგ მოსვენება დავკარგე. განა შეიძლება მართალ კაცს სახალხოდ დააბრალონ ის, რაც თვითონ ჩაიდინეს და ეს ყველაფერი ხახვივით შერჩეთ?

– ძალას გრძნობენ და ცხვრად ქცეულ ხალხს არაფრად აგდებენ.

– ნეტა გიორგი რას ამბობს?

– იმან ძალიან კარგად იცის, რომ სიმართლისთვის გაბრძოლებით ქვეყნის დამაქცევარ ედუარდ შევარდნაძეს გაალიზიანებდა. ჰოდა, ამ უსამართლობის და ძალადობის ქვეყანაში არავითარი აზრი არა აქვს იყვირო, მე მართალი ვარო. დღევანდელ უკუღმართ ყოფაში სიმართლე და პატიოსნება საშიში ტვირთია. ჯღანოს მოყოლილი რომ გადავეცი, დამამშვიდა, მითხრა: ძალიან კარგად ვიცი, რასაც მიპირებენ, ადრე თუ გვიან ეს მოხდება, მაგრამ თუ სიმართლისათვის ბრძოლა გადაწყვიტე, თავის გაწირვაც უნდა შეგეძლოსო. ამ დრაკონის წინააღმდეგ მარტო ჩემისთანა ერთეულები ვერაფერს გააწყობენ, ხალხი თუ არ გამოფხიზლდაო. მეც სწორედ მაგისთვის ვიყავ მოწოდებული, მაგრამ, ეტყობა, ხალხის გონზე მოყვანას ბევრი ჩემისთანა მსხვერპლი დასჭირდებაო. მადლობა მომიხადა და თბილი ღიმილით გამომისტუმრა, ეგე შედეგიც, – ზაურმა მწარე გულისტკივილით შენელებული ოხვრა ამოაყოლა ნათქვამს.

– გიორგი გაჭირვებაში მხარში გვედგა და ძალადობისგან ბევრჯერ გვიხსნა, ახლა მას ადგას შავი დღე, ჩვენ კი ვერაფერს ვშველით და ვერც ვუშველით, რამეთუ მისამართი აღარსად გვაქვს. მალე ჩვენც მოგვდგებიან და რაც სიმართლისათვის გავიბრძოლეთ, შხამად ამოგვადენენ.

– მეჩვენება, რომ ქვეყანაში რაღაც სატანური ძალა მოქმედებს, ყველა წმინდის და პატიოსნების სახელით რომ ებრძვის რაც კი სასიკეთო, წმინდა და პატიოსანია. ამგვარ უბედურებასთან ბრძოლა თითქმის შეუძლებელია, თანაც ყოველივე ეს მაღალი პოსტის შენიღბულ მოღალატეთა ხელით ხდება. თავს თუ არ ვუშველეთ, ჩვენც გაგვიხსენებენ სიმართლისთვის გაბრძოლებას.

– გიორგი საყვარელიძეს უნდა ვუმადლოდეთ, მაშინ რომ ვერ გაგვსრისეს; ახლა ჩვენთვის თავს ვინ შეიწუხებს.

– გიორგიმ ჩვენს გარდა სხვებსაც ბევრი სიკეთე გაუწია, აშკარა ძალადობისგან იხსნა, ახლა ჩვენი ჯერია, უნდა მივეხმაროთ, მაგრამ როგორ?

– დედაქალაქში უნდა წავიდეთ.

– ?!

– რა გაგიკვირდა, დედაქალაქში უნდა წავიდეთ და ხელმძღვანელებს მოვახსენოთ, რაც აქ ხდება.

– უბედურება სწორედ ის არის, რომ ეს საშინელება დედაქალაქიდან იღებს სათავეს, რასაც ამბაკოს მსგავსებით მთელი საქართველოს მოწამვლა ჰქვია. იქ ვინ მოგისმენს? ედუარდი? ქვეყანა განუკითხაობის ბაზრად რომ აქცია და ყოველგვარი სიბილწის მთესავი სიწმინდის და პატიოსნების დამცველის როლში რომ შემძვრალა? სწორედ ეგ არის საქართველოს და ქართველი ერის უბედურება!

– იმედი არსაიდან არ არის, ეგრე ცხვრებივით უნდა ველოდოთ, როდის მოისურვებენ ჩვენთვის ანგარიშსწორებას?!

– რა ვუყოთ, რაც შეგვიძლია გავიბრძოლებთ, როგორც დამარცხებული არმიის დაუმორჩილებელი ჯარისკაცები. ახლა კი ჩვენს დღევანდელ ჭირს მივხედოთ, ხომ გაგიგონია: სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობსო. ზოსიმემ უკვე რამდენიმე ბავშვის მშობელთან ეცადა თავისი ავკაცობის განხორციელება, ვითომ შენთვის ქრთამი უნდა მოეტანათ, მათ არ იკადრეს და მე საიდუმლოდ გამაფრთხილეს. დღეს თუ ხვალ მოძებნის ისეთ გარეწარს, ეს ცოდვა რომ იტვირთოს, ან რაიმე დანაშაულში გამოიჭერს და იძულებულს გახდის. ჩვენთვისაც ხომ ცნობილია, რა დონეზე დაიგეგმა ეს არაკაცობა. ჰოდა, ჩემო ზაურ, სანამ გვიან

არ არის უნდა გაეცალო აქაურობას, მეც უკვე ვემზადები გასაფრენად.

– როგორ მოვიქცე? – ზაური შეფიქრიანდა.

– მე მგონი სასწრაფოდ, თუნდაც დღეიდან, დაწერო განცხადება და წახვიდე. შენი ცოდნის კაცს სხვაგან სამსახურის მოძებნა არ გაგიჭირდება, – ზაქრომ თავისი აზრი გამოთქვა, ეს უფრო რჩევა იყო.

– ძნელია ფუძის მოშლა, მაგრამ რა გაეწყობა, როცა საშინელ ცილისწამებაზე აგებული ძალადობა სულ ახლოს ქშინავს, – ზაური მაგიდასთან დაჯდა და განთავისუფლების მოთხოვნის განცხადების წერას შეუდგა.

წვიმამ გადაიღო. დამღნარი და გაცრეცილი ღრუბლებიდან მზემ გამოანათა. ნაგრიგალევზე, ნაღვარცოფალ, დარბეულ, მაგრამ წელში გაუტეხავ მხარეს თავისი სხივები გამოდარების იმედად დააფრქვია.

## ზაქროც ჩამოვწერეთ

**ᲒᲐᲑᲝ** თავის სახელოსნოში ორმოსთან იჯდა და მანქანის ზეთით დასვრილ ხელებს ჩვრით იწმენდავდა. მანქანა შეაკეთა და მისი გასვლის შემდეგ ისვენებდა.

ძველი „გაზიკი“ ნელი სვლით მიადგა და ორმოსთან გაჩერდა. შავტუხა, დაბალი მძღოლი კაბინიდან გადმობობღდა, საფეხურზე შედგა და ხმამაღლა დაიძახა, თითქოს უნდოდა, მისი აქ მოსვლის მიზეზი ქვეყანას გაეგო.

– გაბო, წინა ხიდის შეკეთება მინდა, ცოტა ხანს ორმოზე შამოვალ!

ამ ყვირილზე გაბოს გაეღიმა და წყნარად უთხრა:

– შემოდი.

მანქანა ორმოზე ღრიალით შედგა. მძღოლი კაბინიდან ჩამოვიდა და გაბოსთან მივიდა, გაბო ადგა, ორმოში ჩასვლა დააპირა.

– გაბო, მაიცა, შენთან ძალიან საიდუმლო საქმე მაქვს. ვითომ მანქანის სარემონტოდ შამოვედი. ძალიან მეშინიან, არ გამიგონ, – მძღოლმა ჩურჩულით უთხრა.

– რაშია საქმე, ნოე, აბა მითხარ, – გაბო მოსასმენად მოემზადა.

– აქ არ შაიძლება, მე წაველ, მანქანა აქ იდგება, ნახევარ საათში მოვალ და წავიღებ; შენ ვითომ გაარემონტე. საღამოზე, რო შებინდდება, ჩემი სახლი ხო იცი, ბაღჩის ბოლოს პატარა კარიდან შამოდი. ქოხი მაქვს ხარახურის შეასანახად, იქ დეველოდები. აუცილებლად მოდი. ოღონდ, არავინ დაგინახოს, – ნოეს გაბოს პასუხისთვის აღარ დაუცდია, ჩქარი ნაბიჯით უკან მოუხედავად წავიდა.

გაბომ სიტყვის თქმა ვერ მოასწრო. მიმავალ ნოეს ჩაფიქრებული მისჩერებოდა, თავში კი ფიქრის ბორბალი უტრიალებდა. ორმოში ჩავიდა. წინა ხიდი შეამოწმა, ყველაფერი რიგზე იყო. ცოტა ხანს აკაკუნა, ვითომ რაღაც შეაკეთა და მაღლა ამოვიდა. ნოე რომ მოვიდა, თავისუფალი დროს მქონე მძღოლები გაბოსთან შეგროვილიყვნენ და საუბრობდნენ.

– მზად არი? – ნოემ იკითხა, პასუხს არც კი დაელოდა და კაბინაში შეძვრა.

– მანქანა უკვე უკუ სვლით მიჰყავდა, გაბომ რომ დაუძახა:

– მზად არის!

გაბოს უნდოდა ჯემალისთვის ნოეს შესახებ მოეთხრო, მაგრამ სწორედ იმ დღეს დააგვიანა.

როგორც შებინდდა, ნოეს ბაღჩაში კუტიკარიდან შეიპარა, ნოეც იქვე დახვდა, ეტყობა მოუთმენლად ელოდა.

ქოხში შევიდნენ. ნოეს წინასწარ ორი სკამი და მაგიდა დაედგა; როგორც დასხდნენ სულმოუთქმელად დაიწყო:

– გაბო, ხო იცი, ამას წინათ მინდორში ცხენიანი ბალღი რომ გადმამიხტა და დამეჯახა. ცხენი მოკვდა, ბალღი გადარჩა, საავადმყოფოში მე თვითონ მივიყვანე; ახლა არაფერი უჭირს, არც არავინ მიჩივის, მაგრამ ჯიმშერამ და ზოსიმემ დამიჭირეს და მთელი კვირა კამერაში მაყურყუტეს, – ნოე სასტიკად ღელავდა, ხმა უკანკალებდა.

– დაწყნარდი და დინჯად მოყევი, – გაბომ ურჩია.

ნოე ცოტა ხანს გაჩუმდა, სული მოითქვა და ისევ დაიწყო:

– მაგრად დაგჭედამთ, რასაც გეტყვით იმას თუ არ გააკეთებო, – მემუქრებოდნენ. – მერე თუ გინდა მთელი ცხენების რემა და მეჯოგეები ამოწყვიტო, შენი ხმის გამცემი არავინ იქნებაო.

– რა გვინდაო, რას ითხოვდნენ?

– ზაქროს მანქანა უნდა დააჯახო და მოკლაო.

– რააა! – გაბოს გაკვირვებისაგან თვალები გაუფართოვდა.

– ზაქროს სახლისკენ შესახვევი ხო იცი, ჩემი მანქანა ძლივს გაეტევა. ორივე მხარეს იმსიმაღლე კედლებია, როგორი მაგარი ბიჭიც არ უნდა იყოს, ვერ გაიქცევა. ჰოდა, იქ უნდა გამოვიჭირო ზაქრო და გავსრისო; ისინი კიდევ მე გამამართლებენ; თუ არადა, დამიჭერენ და დიდი სროკის აკიდებთი მემუქრებიან, – ნოემ ოხვრით თქვა.

– რატო არ გასრესავ, რაღას ელოდები?! – რისხვაჩამდგარმა გაბომ კბილებში ბოროტად გამოცრა.

– გასრესა რომ მდომებოდა, შენთან არ მოვიდოდი. თან იმათიც მეშინიან, რო გამიგონ, რასაც ვაპირებ, გამასაღებენ.

– რას აპირებ?

– ჰოდა, ვიცი, რომ ზაქროს მოკეთე ხარ, თანაც არ გამცემ. ახლა ერთად მოვიფიქროთ, იმ ალქაჯებს როგორ დევეღწიო, რომ მწვადიც გადარჩეს და შამფურიც.

– ჰოოო, რატო ზაქრო არა ნახე?

– კუდზე მასხედან. შენთან შეხვედრასაც ეგრე იმიტომ ვფრთხილობ. რასაც გადავწყვეტამთ, ზაქროს გადასცემ, თუ სხვა აზრი აქვს, შენი პირით დაიბაროს.

– შენ უკვე მოფიქრებული გექნება, რას აპირებ.

– ჰო, იმდენი დრო მქონდა, ათასნაირი გეგმა მოვიფიქრე. ჩემ აზრს გეტყვი, ზაქროს შეუთანხმე და როგორც იტყვის, იგრე მოვიქცეთ. ერთი კი ცხადია, ეგენი არ მაისვენებენ. იგეთ არაკაცს მოძებნიან, ზაქროს მოსპობა რომ იკისროს. ვინც კიდევ უარს ეტყვით, არც იმას დაინდობენ. ჰოდა, ეგრეა თუ იგრე, ზაქრო ამ რაიონიდან უნდა გაქრეს; რას იზამ, ეხლა მაგათი იფქვება, – ნოემ ოხვრით თქვა.

გაბო ჩაფიქრდა. ტყის სახლში საიდუმლოდ ნათქვამი გაახსენდა; ჯოჯოხეთის მანქანა აუმოქმედებიათო.

– როგორი გეგმა გაქვს მოფიქრებული? – გაბომ მძიმე ფიქრების ლაბირინთიდან ისე ჰკითხა, თითქოს თავის თავთან საუბრობსო.

– შაბინდებისას, როცა ზაქრო თავის შესახვევში შავა, მეც მივყვები, იგეთი მომენტი უნდა შევარჩიო, რომ იქ არავინ იყოს. მე მანქანას მარცხენა მხრიდან კედელს შავაჯახებ, ზაქრო მობრუნდება და პაკრიშკის ქვეშ დაწვება. მე სისხლი მექნება გამზადებული ზაქროს, კრილოს, კედელს და ახლომახლო მიმოვას-

ხამ. ამ დროს შენ და ჯღანო მოხვალთ და ზაქროს სახლში წაათრევთ, თანაც ხმას დააგდებთ, რომ არ გადარჩებაო; იმავე დღეს ზაქროს ექიმების უნახავად გააქრობთ. აი, ეს მოვიფიქრე ჩემი მოკლე ჭკუით, მეც დემეხსნებიან და ზაქროც ჩამოწერილი ეგონებათ, –ნოემ სათქმელი დაამთავრა და პასუხის მომლოდინე მზერა გაბოს მიაპყრო.

– გასაგებია, – გაბომ ღრმად ამოიოხრა. – კარგი, ზაქროს ამაღამ ვნახავ. ხვალ ამავე დროს აქ შეგხვდები. მანამდე შენ ზაქროს კვალზე იარე. ვითომ ხელსაყრელ მომენტს უცდი.

– ჭკვიანურია. ვიცი, რომ ისინი მითვალთვალებენ, ეჭვის აღების საბაბი არ უნდა მივცეთ, – ნოე დამშვიდდა, ამ საშინელი საქმიდან გამოსავალის იმედმა გაამხნევა.

გაბო ნოეს ბაღჩიდან შეუმჩნევლად გამოვიდა და პირდაპირ ჯემალისთან გაემართა. ცოტა ხნის საუბრის შემდეგ ორივე ზაქროს მიადგნენ.

ნოეს დანაბარების გაცნობის შემდეგ, ზაქრო ღრმად ჩაფიქრდა. მისი ფიზიკური მოსპობა უნდოდათ, ბრძოლასაც აზრი არა ჰქონდა ამ ძალადობის და განუკითხაობის სამთავროში. ამათი მხილება და გაშავება შეიძლებოდა, მაგრამ ახლა ყველაფერი ტყუილი ფაფხური იქნებოდა და შეიძლება უფრო საზარელი ძალადობით დამთავრებულიყო.

მეუღლეს მოუყვა, რაც მზადდებოდა და რასაც თვითონ აპირებდა. საწყალმა ქალმა კივილი ძლივს მოთოკა და აქვითინებულმა ლოყები ჩამოიკაწრა.

– ახლა გლოვის დრო არ არის. ხვალ ყვარელში წავალ და შენს ძმას მოველაპარაკები, დროებით რომელიმე მეძროხეობის ფერმაში მოვეწყობი; აქ კი ხმა დავყაროთ, ვითომ ცოცხალ-მკვდარი წამიყვანეს. ოპერაცია ზეგისთვის დავგეგმოთ, ყვარელიდან დაბრუნების შემდეგ. ახლა გადარჩენაა საჭირო, იქნებ ჩვენი დროც დადგეს და ამოვაბალღამოთ არაკაცობით და ქვეყნის ღალატით რაც შეირგეს...

უკვე კარგად დაღამდა. კვირიკეს სახლიდან გამოსული ზაქრო ისე რაცრაცებდა მაგარი მთვრალი ეგონებოდა მნახველს. თავის შესახვევს რომ მიუახლოვდა, ნოეს მანქანა დაინახა, – გრაფიკით მივდივარ, – ჩაილაპარაკა და ორღობეში შევიდა. უკნიდან მანქანის ძრავის ხმა გაიგონა, მალე ფარების სინათლემ მთელი შესასვლელი გაანათა. შორს სინათლის ბოძზე მიყუდებული ორი კაცის ფიგურა გაარჩია. გაეღიმა, ჯემალი და გაბო იცნო. – დროულად მოსულან, – ჩაილაპარაკა. უცებ უკნიდან ჯახანის ხმა გაიგო, მიბრუნდა. მანქანა კედელს შეჯახებოდა, ნოე პატარა კანისტრით კაბინიდან გადმოდიოდა. ზაქრო მივიდა, ნოეს მხარზე ხელი დაარტყა და კედელთან შეჯახებულ მარცხენა საბურავის გვერდით დაწვა. ნოემ კანისტრიდან ღორის სისხლი ირგვლივ მიმოასხა და ზაქროც მაგრად გაწუწა. მერე კანისტრა შეინახა და აყვირდა: – მიშველეთ, კაცი მანქანაში შამივარდა! ჩემი ბრალი არ არის, ეტყობა მთვრალია, გარაცრაცდა და შამივარდა!

ხალხი მოგროვდა. სისხლში გაბანილ ზაქროს სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა. ვიღაცამ მისი მანქანის ქვეშიდან გამოთრევა სცადა, ზაქრო შეუმჩნევლად მანქანის საბურავს მოეჭიდა, ადგილიდან ვერ დაძრეს. ამ დროს გაბომ და ჯემალიმ მოირბინეს და გამომთრევლები ხელის კვრით გაყარეს.

– თქვე ოხრებო, კაცი პაკრიშკის ქვეშ არის, ეგრე გამოთრევა შეიძლება?! – ჯემალი იქ მდგომთ დაერია. მერე ზაქროს მიუბრუნდა და დაიღრიალა: – როგორმე მანქანა ასწით, იქნება გამოყვანა მოვახერხოთ!

ყველა მანქანას ეცა. ცოტათი დაატოკეს. ჯემალმა და გაბომ ვაივაგლახით ზაქრო მანქანის ქვეშიდან გამოათრიეს და სისხლში მოსვრილი ცოტა ხნით მანქანის წინ დააწვინეს. ხალხი ღრიალით და ვიშვიშით შემოეხვია:

– ე, რა მაგრად დამტვრეულა, კაცო! – აქეთ-იქიდან იძახოდნენ.

– ჩემი ბრალი არ არი, ეტყობა მთვრალი იყო, გარაცრაცდა და თვითონ შამივარდა! – ნოე მკერდზე ხელის ბრაგუნით დაადგა ზაქროს თავზე.

– მა ვისი ბრალია, შე შობელძაღლო! მოკალი კაცი! – ჯემალმა სახეში შემოჰკრა და დასახრჩობად ყელში ეცა.

– ნუ იზამ, ჯღანო, არ გინდა! – კაცები მიესივნენ.

გაბო შუაში ჩაუდგათ და ნოე შორს გაიყვანა.

– როგორი იყო? – ნოემ გაბოს ჰკითხა და გახეთქილი ტუჩიდან სისხლი გამოაფურთხა.

– ყველაფერი კარგად მიდის. ახლა აითესე, ვინმეს მართალი არ ეგონოს და შარი არ აგიტეხონ. ის ღლაშები კი თვითონ მოგნახავენ, – გაბომ უთხრა და უკან გაბრუნდა. ნოემ კი ყველა მიატოვა და ძუნძულით გაიქცა.

მთავარ ქუჩაზე მიმავალს უკნიდან მსუბუქი მანქანა წამოეწია, უკანა კარები გაიღო და ნოე შიგ შეათრიეს.

– როგორა საქმე, ნოე-ჯან? – ჯიმშერმა მხიარულად ჰკითხა და მისი გახეთქილი ტუჩიდან ჩამონადენ სისხლზე მიუთითა საჭესთან მჯდარ ზოსიმეს.

– პაკრიშკებს ქვეშა გდია სისხლით გასვრილი, სიცოცხლის ნიშანი არ ეტყობა; მე მოსაკლავად გამამიდგნენ, ძლივს გამოვასწარ, –გასიებული ტუჩების წვალებით ძლივს თქვა.

– კაცი ხარ კაცური. ყირაზეც რომ დადგნენ, შენ ფეხებს ვერ მოგჭამენ; ახლა წადი და როგორც გინდა იგრიალე! – უთხრა ზოსიმემ და ნოე თავის სახლთან ჩამოსვა.

– ეგ ზაქროც ხომ ჩამოვწერეთ. ახლა წავიდეთ და მაღარიჩი დავლიოთ, – ჯიმშერმა მხიარულად დაარტყა მანქანის სავარძელს ხელი.

გაბომ და ჯემალმა გონდაკარგული ზაქრო თავის სახლში მიიყვანეს. გულშემატკივრები და ცნობისმოყვრეები თითქმის ხელის კვრით გამოყარეს. სასწრაფოდ ქალაქში უნდა წავიყვანოთ, სხვა არავინ არ გვჭირდებაო.

იმავე ღამეს ჯემალმა ნათხოვარი „ვოლგით“ ზაქრო ცოლშვილიანად ყვარელში გადააბარგა.

საჩივარში არავინ წასულა. არც მილიციას შეუწუხებია თავი. ზოსიმე კი სიხარულით ხელებს იფშვნეტდა: რა უმტკივნეულოდ გავასაღეთო.

გაბომ და ჯემალმა კი ხმები გაავრცელეს: მძიმედ დაშავებული ზაქრო გინდა გადარჩეს, ხეიბარი და ინვალიდი იქნებაო.

ნოეს კი არავინ ედავებოდა, ზოსიმესთან და ზაქროს ახლობლებთან სანდო კაცად მიღებული სულ იმის შიშში იყო, ძაღლებმა არ გამიგონ და ჭირად არ მექცნენო.

## მგელი ძაღლის ტყავში

**გაბომ** სამუშაო დაამთავრა, ხელპირი გულდასმით დაიბანა, ახლა კარადასთან იდგა და სპეცტანსაცმელს იცვლიდა. ის იყო პერანგის სახელოში ხელი გაუყარა, რომ ჯემალმა მანქანა სახელოსნოს კარებს ჩვეული ღრიალით მიაყენა.

– „ელდას“ ვახლავარ! – კაბინის საფეხურიდან მიესალმა. – რა ქენი, ამ

დღეებში რამდენი ძროხა გაუგზავნე ხინკალას? კრეჭო-კოლას მგონი უკვე გამზადებული აქვს საძროხე. წამოდი, გავუაროთ, თვეზე მეტია იმის ხმა არ ისმის. ეტყობა, თავისი სარა ჯიმშერას ვერ გამოგლიჯა.

– საჭირო კია ამ კომედიის გაგრძელება? – გაბომ იუხერხულა.

ჯემალი ჩაფიქრდა. მერე უცებ ჰკითხა: – წამოსვლა არ გინდა?

– საწყალი კოლა მეცოდება, ცოლს ღალატს მაინც ვერ მოაშლევინებს და...

– კარგი, – ჯემალმა უცებ გადაწყვიტა, – მე კრეჭო-კოლას დარდი სულაც არა მაქვს, იმ გათახსირებული ზარდიაშვილის მჭვალი მადგა, ცემით ძვალრბილი რომ გამიერთიანა. თვითონ ყაჩაღია და ყაჩაღებს დასდევს; ქვეყანამ უნდა დაინახოს, რა კაცია.

– კრეჭო-კოლა თავის ცოლთან რომ აღარ მიუშვებს, რა სასწაული მოხდება?

– სასწაული მოხდება თუ მიწისძვრა, ამას მერე გაიგებ. ახლა შენ ერთი საქმე დაივალე: ახრასიას ბიჭი თელავიდან რომ ჩამოვა, გამიგე წყლით სავსე გრაფინი რომელ დღეს იდგმება ფანჯარაზე.

– სხვები არ გაინტერესებს?

– როგორ არა, მაგრამ პირველი მინდა დიდი ღლავი წამოვაგოთ ანკესზე.

– გასაგებია, მაგის აღრიცხვას მართას დავავალებ, ზედმიწევნით ზუსტად შეასრულებს.

– კიდევ ერთი სათხოვარი მაქვს. ყოველდღე ქალაქის ბიბლიოთეკაში უნდა იარო, ხანდახან გარაჟიდანაც წადი, იქნება ზოსიმეს მაყვალასთან შეხვედრის დრო გაიგო; კარგი კონცერტის მოწყობა მაქვს ჩაფიქრებული.

– ზოსიმე ბიბლიოთეკაში რამდენიმეჯერ შემხვდა, წიგნები მიაქვს ხოლმე.

– რომელ დღეებში იყო, აბა გაიხსენე.

– დაახლოებით სამ-ოთხ დღეში ერთხელ მოდის; მე ხომ იმათი მუდმივი სტუმარი ვარ.

– გაბო, როცა ზოსიმე ბიბლიოთეკაში შეგხვდეს, იმ დღეს სადაც გინდა ვიყო, მომძებნე.

– ამას რა მნიშვნელობა აქვს?

– რატომღაც მგონია, რომ ერთმანეთს სიგნალს აძლევენ, იმ საღამოთი შეხვედრა აუცილებლად მოხდება, უნდა შევამოწმო.

– გამომძიებლის ალღო გაქვს, ამ დღეებში გვექნება ამ საკითხის გარკვევის ბედნიერება...

ბინდდებოდა. ჯემალმა თავისი მანქანით კრეჭო-კოლას კარმიდამოს რომ მიაყვირა. ეზოში სარა შეეგება.

– ოღრაშ, კრეჭო სად არი? ხომ იცი, ჩემი ძმა და მეგობარია, – მისალმების შემდეგ დარდიმანდულად ჰკითხა.

– რა ვიცი, იმის გზას ვინ გაიგებს?– სარამ ტუჩები აიბზუა.

– რომ დავიცადო, მალე მოვა?

– მოვა კი არა ეშმაკი და ქაჯი, რამდენი დღეა დაიკარგა და აღარ გამოჩენილა.

– როგორ თუ დაიკარგა!

– როგორ და იგრე, წავიდა და აღარ გამოჩენილა.

– რა თქვა, სად მივდივარო?

– იმის ოხერი დედაც. რა იტყვის, სად მივდივარო?

– ოღრაშ, შენ რაღაცას მიმალავ. სად არის კრეჭო?! – ჯემალმა ხმას აუწია.

– იქ იმისი დედა, აქ კიდევ შენი! ვიცი და არ ვამბობ?!

– მე ხუმრობა არ მიყვარს, იგრე მოგიგრიხო ხორცები, შენი წივილი ცასა ხევდეს!

– ჯღანოს ვენაცვალე, ჩემისთანა ლამაზ გოგოსთან მაგას არ იკადრებ, – სარამ ხელი გაუყარა და ვნებიანად მიეხუტა. – თუ გინდა სახლში შავიდეთ და თითო ჭიქა გადავკრათ.

– ერთი ქურდია ჩამოსული. „ელდა" თუ გაგიგონია, იმას უნდა კრეჭოს ნახ-ვა, – შემრიგებლური ტონით უთხრა.

– მართლა გეუბნები, სახლში არ არი.

– აბა სად წავიდა?

– შენ თავს გეფიცები თუ ვიცოდე, მეხუთე დღეა მისი დამნახავი არა ვარ.

– სარავ, ნუ ოღრაშობ, სად არის კოლა?!

– კარგი რა, ჯღანო, კოლა რად გინდა, მე აქ არა ვარ.

– შენ რაში მჭირდები. მე კოლასთან მაქვს საქმე.

– მიდი მაშინ და ისაქმე, – სარამ ხელი ნაზად ჰკრა, – შენ როცა ქალის ყადრი არ იცი, აქ რას მოდიოდი!

– მიქარვას თავი გაანებე, კოლა სად არი?! – ჯემალმა უყვირა.

სარა შეხტა. – ვიშ, ეს ვინ ოხერი გადამეკიდა, ე! – ჯემალს გაფარჩხული ხელები სახესთან მიუტანა.

– დადექ, სარავ, ხომ იცი, მე ვერაფერს გამომაპარებ, ყველაფერი კარგად ვიცი, გირჩევნია ჩამოფქვა!

– რა იცი? – სარას ფერი დაეკარგა.

– ყველაფერი. შენ რომ გგონია დაფარულიაო, ძალიან გეშლება; გირჩევნია წვრილად ჩამოფქვა.

– რა ჩამოვფქვა, ჯღანოს ვენაცვალე, – სარას ხმა აუკანკალდა.

– თქვენთან ჯიმშერა რისთვის მოდის, ყველაფერი ვიცი, გიჯობს, დაჯდე და მოყვე, თუ შენი თავისთვის კარგი გინდა! – ჯემალი აპირებდა, ეთქვა, იცოდე, იმ კაცს რომ ყვარობ, კრეჭო-კოლას ვეტყვიო, მაგრამ თავი შეიკავა.

– ჯღანო, საიდან გაიგე? – სარა აკანკალდა და მის წინ მუხლებზე დაეცა.

„რა მოუვიდა? კოლასი თუ ეგრე ეშინია, იმ ოხერთან რაღას დეეთრევა", – ჯემალმა გაიფიქრა და ქალს უთხრა:

– აბა, მომიყევი, როგორ შეგაცდინა.

– მე არა, ჯღანო, იმან, მე ხელი არ გამიტოკებია, პირიქით კოლამ ორი იგეთი მდრუზა, ფეხზე ველარ ავდექი.

– რა გდრუზა? – ჯემალს გაუკვირდა.

– პირველად ჯიმშერას დაარტყა, ეგეთი ჯანი თუ ჰქონდა, არ ვიცოდი; მა-შინვე წელი აათრევინა. მე გარეთ გაქცევას რომ ვაპირებდი, მაშინ მამხვდა.

– ვერ გავიგე, იჩხუბეთ?

– კი არ ვიჩხუბეთ, კოლა გადაირია.

– რამ გადარია?

– ჯიმშერამ ძალით დამორჩილება მამინდომა და...

– როგორ იყო, დაწვრილებით მომიყე.

– დაწვრილებით მოსაყოლი რაღაა. პირდაპირ დემეტაკა, გამატიტვლა, თვი-თონაც ყველაფერი გაიძრო და იატაკზე დამაწვინა. ჰოდა, კოლა სწორედ მაშინ შამოვიდა ოთახში და ჯოხი ზურგში დაჰკრა. მერე მეც დამარტყა ორი ზურგში და საჯდომზეც, ახლაც მეტყობა; განა იკითხა, რომ ძალით დამიმორჩილა იმ გათახსირებულმა! – სარამ ცრემლები მოიწმინდა.

– ეს როდის მოხდა?

– შენ რა, არ იცი, როდის მოხდა?

– მე საიდან მეცოდინება, შე ოხერო, კოდელი ნინო ხომ არა ვარ?!

– ვაიმე! – სარამ ტუჩებზე იკბინა.

– გააგრძელე, – ჯემალს მოთმინება აღარ ყოფნიდა.

– რაღა გავაგრძელო. მემრე დაკრა ფეხი და გაიქცა, იმის შემდეგ კოლა სახლში აღარ მოსულა; შენ ხომ არ შაგხვედრია სადმე?

– მორჩი მამაძაღლობას, დაწვრილებით მომიყევი, რა მოხდა! – ჯემალმა ხმას აუწია.

სარას პირველმა დაბნეულობამ გაუარა, დარწმუნდა, რომ ჯემალმა არაფერი იცოდა და უფრო გათამამდა.

– რაღა მოგიყვე, ბრაზისაგან აღარ ვიცი, რა ვქნა. ერთი მოვიდეს, ჯოხით ცემა ეგრე არ უნდა. ეტყობა იცის, რაც მოელის და იმალება.

ჯემალი მიხვდა, რომ შეცდომა დაუშვა, მაგრამ მაინც სცადა მდგომარეობის გამოსწორება.

– ნუ იტყვი, მე ყველაფერი ვიცი, აი ნახავ, დაწვრილებით მოვყვები.

– წადი, წადი, ყველას მოახსენე, ფეხებზე მკიდია იმისი თავი; როგორც მოვა, გევეყრები.

– როგორ მოვა, მაგასაც ვნახავთ, იტყვი თუ არა სათქმელს?! – ჯემალმა ხმას აუწია.

– ვააა, ეს ბიჭი ჭკუაზე არ არი, ხო იცით! – სარამ გაფარჩხული ხელის თითები ისევ აღმართა.

„მაინც რა უნდა მომხადრიყო?“ – ჯემალის ტვინი ელვის სისწრაფით ამუშავდა. „აშკარაა, კოლამ ზედ მიატანა და ჯოხით სცემა, ამის შემდეგ რაზე გაიქცეოდა? პირიქით, მაშინვე ჩემს ნახვას ეცდებოდა და ყველაფერს მომიყვებოდა; სარასაც აუკრავდა გუდა-ნაბადს და ამით „ელდასთან“ თავს მოიწონებდა. რაღაცაშია საქმე. აბა, მაშ სარა ეგრე რატომ აკანკალდა? ან ეგრე რატომ გაფითრდა? ხომ არ მოკლეს?“ – საშინელმა წინათგრძნობამ შეაკრთო და ახლა თვითონ გაფითრდა.

– მოკალით? – ხმის კანკალით ჰკითხა.

– მაგას ნუ მკითხავ, ჯღანო, თავი გამანებე, სხვა დროს მოდი, ყველაფერს მოგიყვები, ოღონდ ახლა წადი, დამეხსენ, ცუდადა ვარ, სხვა დროს მოდი და ყველაფერს გეტყვი, – სარა ყელის გამოწევით შეეხვეწა.

– კარგი, – ჯემალმა უცებ გადაწყვიტა, – ორ-სამ დღეში შემოვივლი, ოღონდ მაშინ აღარავერს გაპატიებ.

– ჰო, ეგრე ქენი, ეგრე, – სარა დაეთანხმა და მანქანამდე სულ ხელის სმით და მოფერებით მიაცილა. მერე სახლში შებრუნდა, საგარეოდ გამოეწყო და ჯიმშერის საძებნელად წავიდა.

ჯემალმა გაბოს სახლის ალაყაფის კარებს მანქანა მიაყენა და გრძელი სიგნალი მისცა. ნაცნობი ჩიხი ვიღაცის მსუბუქ მანქანით იყო დაკავებული, მაგრამ ისე იყო აღელვებული, არც კი დაინტერესებულა, ვის ეკუთვნოდა.

გაბომ სიგნალი მაშინვე იცნო და ქუჩაში გამოეგება.

– რა გინდა, ცუდი ხომ არაფერია? – ამხანაგის განწყობილება მასაც გადაედო.

– არ არის კარგი ამბავი, რაიმე უნდა მოვიფიქროთ, – ჯემალმა გაბო კაბინაში მიიპატიჟა, – კრეჭო-კოლა გაქრა.

– როგორ გაქრა?

– ეჭვი მაქვს, სარამ და ჯიმშერამ რაღაც უყვეს.

– რა უნდა ექნათ?

– გამორიცხული არ არის, მოეკლათ.

– !!!

– სარა თავს იკატუნებს. მეც ისე მოვიქეცი, ვითომ ვერაფერს მივხვდი, სინამდვილეში კი ორივემ ერთმანეთს კარგად გავუგეთ. ის ჯიმშერას ნახავს და ყველაფერს მოუყვება. თუ ჩემზე დაიწყეს ნადირობა, კრეჭო-კოლა ნამდვილად მოკლულია.

– სახიფათო ამბავია, რაიმე უნდა ვიღონოთ.

– ვინმე სანდო კაცს უნდა გავაგებინოთ, ეს საქმე რომ ესმის.

– ეხ, გიორგი საყვარელიძე რომ მუშაობდეს!

– სხვა ვინმე უნდა გავიხსენოთ, პატიოსნად რომ მოეკიდება ამ საქმეს.

ორივე ჩაფიქრდა.

გაბოს ბაზარში მილიციელი რომ გამოესარჩლა, ის გაახსენდა.

– ირაკლი ფირაშვილი! – გახარებულმა წამოიძახა.

– ეგ ვინ არის? ჰო, გამახსენდა, გამოსაფხიზლებელში მუშაობს, ძალიან კარგი კაცია.

– ახლავე იმასთან წავიდეთ...

ირაკლი ფირაშვილი საგონებელში ჩააგდო ბიჭების მონათხრობმა. საქმეში ჩარევის უფლება არ ჰქონდა. საკითხი შესაბამის ორგანოებში უნდა დაეყენებინა, მაგრამ ასე მოქცევა ბიჭებსაც ხომ შეეძლოთ. თანაც უთხრეს, ყველაზე სანდო კაცად შენ ჩაგთვალეთ, ვიცით, რომ სიმართლის კარამდე ივლიო. რა ქნას? რაიონში არავინ ეგულება, ეს ამბავი რომ გაანდოს. ყარამანას გარეშე გამოძიებას არავინ დაიწყებს, ყარამანი კი ქოთანს ჯიმშერას სასარგებლოდ შეაბამს ყურს; შეიძლება ვინმე პატიოსანი კაცი დაიჭიროს. გიორგი საყვარელიძე რომ იყოს, კიდევ შეიძლებოდა ადგილზე ბრძოლა, მაგრამ ახლა მთლად აიწყვიტეს. ამბაკო ხომ ყარამანის და მისი ამფსონების თანამოაზრეა. არადა, სერიოზული საქმეა, შეიძლება ყველაფერი ჯღანოს წამოჰკიდონ, კრეჭო-კოლა თუ ნამდვილად მკვდარია. დაყოვნება აღარ შეიძლება, დედაქალაქში ჯერ კიდევ მეგულება ხალხი, კაცური სინდისი რომ ამშვენებს, – გადაწყვიტა.

ჯიმშერმა ჯემალს იმავე ღამეს მიაკითხა. ბიჭები წინდახედულად მოიქცნენ, მთელი ღამე გაბოსთან გაათიეს, დილით კი ჯემალის ბინაზე ერთად წავიდნენ. შეშინებულმა დედამ მილიციის სტუმრობის შესახებ მაშინვე აუწყათ.

ყველაფერი ცხადი იყო, ჯიმშერი კვალის დაფარვის მიზნით უარეს დანაშაულზე წავიდოდა. მაშინვე ირაკლისთან წავიდნენ. მანაც გადაწყვიტა, თბილისში წასვლამდე სარას გასაუბრებოდა.

ტყეში დამალულ მანქანასთან გაბო დარჩა, ჯემალი და ირაკლი კი კრეჭოკოლას სახლისაკენ ფეხით წავიდნენ.

მართალია სარა ჯიმშერისგან გაფრთხილებული იყო, სახლში ნუ გაჩერდები, ჯღანოს დაემალე, სანამ დავიჭერო, მაგრამ დილით იმის მოსვლას არ ელოდა და ტყის პირას მოწყობილ საინდაურეში ტრიალებდა.

– ირაკლი და ჯემალი თავზე რომ დაადგნენ, საკენკის თასი ხელიდან გაუვარდა და იქავე ჩაიჩოქა.

მალე ორივემ დაწვრილებით იცოდნენ, რაც მოხდა. საწყალი კრეჭო-კოლას საიდუმლო საფლავიც ნახეს.

– სარა უნდა დავმალოთ, თორემ ჯიმშერი მის მოსპობას ეცდება. კიდევ

კარგია დილით მოვედით, თორემ შეიძლება მერე უკვე გვიან ყოფილიყო, – თქვა ირაკლიმ.

სარას შიშისგან გააჟრჟოლა.

– ჩემგან რაღა უნდა?

– ადრე თუ გვიან ეგ ბედი მაინც არ აგცდებოდა. სანამ ცოცხალი იქნებოდი, იმის შიში არ მოასვენებდა, სადმე დამასმენსო. შენი ბედი, რომ დროზე მოგაკითხეთ.

– რა მეშველება, აქ მარტო ველარ დავრჩები, შეიძლება დღეს მოვიდეს! – სარა აქვითინდა.

– სახლი დატოვე და ჩემთან წამოდი. დროებით მიმღებ-გამანაწილებელში შეგიფარებ, სანამ ყველაფერი გაირკვევა...

ირაკლიმ სარა ცალკე ოთახში მოათავსა, ერთი თანამშრომელი მიუჩინა და მკაცრად გააფრთხილა, მის დაბრუნებამდე სარას იქ ყოფნა საიდუმლოდ შეენახა.

ამის შემდეგ ჯემალი უკვე თამამად გამოცხადდა სამსახურში, მართალია დააგვიანა, საგზური მაინც აიღო და რეისში წავიდა.

გაბო მთელი საღამო ამაოდ ელოდა, ჯემალი არსად იყო. ბოლოს ერთმა მძღოლმა უთხრა, რომ გზაზე ჯიმშერა ზარდიაშვილი ავტოინსპექტორთან ერთად დახვდა და სადღაც წაიყვანაო.

– ვაიმე! – გაბომ წამოიყვირა და ძარღვებში სისხლი გაეყინა. – არ დაინდობს, ვაი თუ... არა, ავტოინსპექტორიც იქ ყოფილა, ვერ გაბედავს. მილიციაში უნდა მივაკითხო. – სასწრაფოდ მოძებნა რეზო და გურამი; სამივე მილიციაში წავიდნენ. გაიგეს, რომ ჯემალი იქ ჰყავდათ, დამშვიდნენ. ახლა ირაკლის იმედიღა ჰქონდათ და მოთმინებით დაელოდნენ.

## დაკარგული შარვლის კავალერი

**ტყის** სახლიდან ნელის დახსნის შემდეგ ჰამლეტი და მისი ამფსონები აღარ გამოჩენილან. ყარამანმა ერთხანს იბობოქრა, იმ ბანდიტებს ციხეში ამოვალპობო, მაგრამ მერე ჭკუაზე მოვიდა, თანამოაზრეებმა ურჩიეს, ახლა საქმის ამყრალების დრო არ არისო. როგორც არ უნდა შეეთითხნათ ცილისწამება, ნელის გატაცების ფაქტს და ტყის სახლს ვერაფერი მოუხერხეს. ამიტომ, რადგან მეორე მხარე არ ჩიოდა, გაჩუმება არჩიეს. ხელსაყრელ მომენტს უცდიდნენ, რათა ყველას თავიანთი მეთოდით გასწორებოდნენ.

გაბომ მთელი დღე ჯემალთან გაატარა. დაუსჯელობის გრძნობით გაყოყოჩებულ ჯიმშერას გვარიანად დაელილავებინა.

გურამმა ახლა კი ნამდვილად მოიტანა ელენთა, მისი შეწვა ჯემალის დედას არ დაანება, კერძებიც თვითონ მოამზადა და ოთხივემ კარგად მოულხინეს.

რეზო და გურამი შეზარხოშებულები წავიდნენ, გაბო კი საღამომდე ჯემალთან დარჩა.

– ზარდიაშვილი ირაკლის ველარ დაუძვრება, ყველაფერი ხელისგულივით ნათელია, – იმედოვნებდა ჯემალი.

– შენ კი სასწაულით გადაურჩი იმის ბრჭყალებს, თორემ, ვინ იცის, რა ჭირს გადაგყრიდა.

– მილიციაში იგრე ამიყვანეს, არაფერი უკითხიათ. საკანში შემაგდო, ორი სხვაც მოიხმარა და გონის დაკარგვამდე მირტყეს.

– არაფერია, ახლა თვითონ ჩამოიწერება.

– რო ველარ გავიგეთ, რა მოხდა?

– ამ დღეებში, ალბათ, შენც დაგკითხავენ და ყველაფერი ნათელი გახდება. ყარამანი ჯერჯერობით საშიში არ არის, ვერც ზოსიმეს მოუწვდება ჩვენამდე ხელი. ჯიმშერმა კი ალბათ უკვე დაიკავა შენგან განთავისუფლებული საკანი.

– ორიოდე დღე დავისვენებ და მერე ზოსიმესათვისაც მოვიცლი, კარგი კონცერტი მაქვს ჩაფიქრებული; ჯერ გვერდები მომირჩეს.

– მალე ეგ სარეველები ამოიძირკვებიან.

– მე რაღა მენაღლება, გასართობი რომ მომაკლდება, – ჯემალს გაეცინა.

– კარგი გასართობია, ერთხელ სიკვდილს გადარჩი, მეორედ ხომ ცემით სული ამოგხადეს; პირდაპირ რომანტიკული გართობა გაქვს.

– არა უშავს, ვალში არც ჩვენ ვრჩებით. შენ ზოსიმეს და მაყვალას შეხვედრის დრო გაიგე, ერთი დიდი ატრაქციონი იქ უნდა მოვაწყოთ.

– ერთ კვირამდე შენი ადგომა არ შეიძლება, სახლში უნდა იყო, წიგნებით კარგად მოგამარაგებ; მერე კი შევუტიოთ ქაჯეთის ციხეს.

– ქაჯეთის ციხე ხომ დავლაშქრეთ, ახლა თვითონ ქაჯებზე უნდა ვინადიროთ. მართლა, ნელი როგორ არის?

– თავის ტკივილი დასჩემდა, ნერვიული გახდა? – გაბოს სახე მოეღრუბლა.

– მარტო მაგისთვის უნდა ვუტიროთ დედა, ახლა მებრაზება, ეგ შობელძაღლები იოლად გავუშვით.

– მეტი რაღა უნდა გვექნა, ხომ არ დავხოცავდით; კანონით კიდევ ვერაფერს დავაკლებდით, შარს აქეთ მოგვდებდნენ.

– იმედი მქონდა, ჭკუაზე მოვიდოდნენ, მაგრამ თურმე ძველებურად დაგრიალებენ და ნელის მოტაცებით ტრაბახობენ.

გაბოს გულზე კაეშანი მოაწვა, რატომღაც ქუჩაში გავლა მოუნდა, ჯემალს გამოემშვიდობა. ხვალ დილიდანვე შენთან მოვალო, შეჰპირდა და წავიდა.

ბინდშეპარულ, პროვინციულ ქალაქის ქუჩას მიუყვებოდა, ნელიზე ფიქრი გულს უღრღნიდა; იმ ამბის შემდეგ მძიმე სულიერმა და ფიზიკურმა ტრავმამ ეს მხიარული გოგო გულჩათხრობილი გახადა, თავის ტკივილი არ ასვენებდა. მხოლოდ გაბოსთან იყო თურმე მშვიდად. ეს ნელის ბებომ საიდუმლოდ უთხრა და სთხოვა, ხშირ-ხშირად მოდიო. განა გაბოს ამაზე თხოვნა სჭირდებოდა, მაგრამ ერიდებოდა, ნელის მშობლებს თავი არ მოვაბეზროო. რამდენიმე დღის წინათ ექიმმა ურჩია, სჯობია ერთი წლით აკადემიური შვებულება აიღო, დაისვენო, მომძლავრდე და სწავლა მერე გააგრძელეო. გაბო მანამდე ნელის ავადმყოფობას არაფრად აგდებდა, ამის შემდეგ კი სერიოზულად შეშფოთდა. რა მეშველება, ნელის რაიმე რომ დაემართოს? საზარელმა ეჭვმა გონება აუმღვრია. ყელში მრგვალი ბურთი გაეჩხირა, თვალებზე ცრემლი მოადგა. – არა, ეს არ მოხდება! არ მოხდება, არა! – ხმამაღლა წამოიძახა და ფიქრებიდან გამოერკვა. შერცხვა, მიიხედ-მოიხედა, მარტო იყო, დამშვიდდა.

სახლში მისვლა არ ეჩქარებოდა. ორი დღეა ნელი არ ენახა. ჯემალს თავი ვერ დაანება. ნელისთან წასვლა გადაწყვიტა. დიდი გზა ჰქონდა გასავლელი, აწყობდა კიდეც, ძალიან უნდოდა ნელიზე ეფიქრა.

შორს, ქუჩის მოსახვევთან მანქანა გაჩერდა. ორი გოგო კისკისით გადმოვიდა. საჭესთან მჯდომმა ბიჭმა ორივე იქვე სახლის ეზოში მიაცილა. გაბო ფიქრებიდან გამოერკვა, რაღაც ინსტინქტმა შეაშფოთა; ნაბიჯს აუჩქარა. მანქანა ყარამანის ბიჭის მიამსგავსა, ნამდვილად ის იყო, იცნო. იქვე ათიოდე ნაბიჯზე

მდგარ ჭადრის ხეს მიეყუდა და დათვალიერება დაიწყო.

სახლის ეზოდან გოგოების მხიარული კისკისი ისმოდა.

მალე სამივე ქუჩაში გამოვიდნენ.

– დარჩით, ძალიან გეხვეწებით, – ერთი გოგო სთხოვდა, ეტყობოდა ამ ბინის პატრონი იყო.

– არა, გვეჩქარება, მამაჩემს უნდა გავუაროთ და ამაღამვე ქალაქში უნდა წავიდე, – ჰამლეტმა მეორე გოგოს ხელი გამოსდო და მანქანისკენ წაიყვანა.

– მოიცათ რა, მოიცათ, აგერ, მგონი, მამაჩემიც მოდის, – ის გოგო ისევ ეზოში შებრუნდა.

– როგორ მიყვარხარ, ზიზი! – ჰამლეტმა მეორეს ხელი მოხვია და აკოცა. – მამაჩემი ვნახოთ, რას გვირჩევს, იქნება ამ დღეებში კიდევ ვიქორწილოთ.

– ჯვარი აუცილებლად სვეტიცხოველში დავიწეროთ, ჰამლეტ, – ზიზიმ ალერსით შესთავაზა.

– ყველაფერს შეგისრულებ, ჩემო სიცოცხლევ! – კოცნა ერთხელ კიდევ მოასწრო.

ამ დროს ეზოდან კაცი ხმაურით გამოვარდა.

– ჰამლეტას ვენაცვალე! ძლივს გნახე ჩემს ეზოში მოსული და დალოცვის გარეშე როგორ გაგიშვებ! – პატარა ტანის კაცმა თავი გამოიდო.

– გაბომ კოჭურა იცნო. „სახლიც ჩოლოყაშვილისას მიუგავს“ – გაიფიქრა.

– ვერაფრით ვერ დავრჩები, მეჩქარება,– ჰამლეტი გაჯიუტდა.

– ეზოში მაინც შემოდი, ერთი ჭიქით მაინც დაილოცე, ბიჭო, ყარამან ვასილიჩს რა ვუთხრა, ეგრე მშრალად რომ გაგიშვა! – კოჭურა ჰამლეტს ხელში სწვდა და ხვეწნა-ხვეწნით ეზოში შეიყვანა.

გაბოს ნელი ისევ გაახსენდა. ალბათ თავი სტკივა, საშინელი მიჩვენებებიც არ ასვენებს. საწყალი გოგო გამწარდა, ეს ახვარი კი სვეტიცხოველში აპირებს ჯვრის დაწერას. გული ბრაზით შეეკუმშა, ცრემლები მოადგა, – რაზე გამიმწარეს ნელი?! – ამოიკვნესა.

ეზოში კოჭურა ქება-დიდებით მოქარგულ სადღეგრძელოს ამბობდა, ყარამანს აქებდა და მის შეუდარებელი ნიჭით დაჯილდოვებულ შვილს ხოტბას ასხამდა.

გაბომ მანქანის უკანა, მარცხენა კარები გააღო, კუთხეში მოიკალათა და კარები ღილაკით ჩაკეტა. რა უნდოდა, ეს რისთვის გააკეთა, რომ გეკითხათ, ვერ გიპასუხებდა, ან რას აპირებდა, წინასწარ არ იცოდა; ერთი კი ცხადი იყო, რაღაცით უნდოდა ჰამლეტისთვის ეს წუთები მოეწამლა.

სტუმრები მალე ქუჩაში გამოვიდნენ. დიდი ხმაურით და ხვევნა-კოცნით გამოაცილეს. – ჩემი ჯინსი... – გაბოს ბაზარში თავისი უიღბლო ვაჭრობა გაახსენდა. ჰამლეტს მოსწრებულ მუცელზე ჯინსი ჭიპს ქვემოთ ჰქონდა შეკრული, შიგ ძლივს ტეულიყო.

მანქანა ადგილიდან დაიძრა. ჰამლეტმა ზიზის ხელი გადახვია, თავისკენ მიიზიდა და კოცნა დაუწყო.

გაბო წინ გადაიხარა და ჰამლეტს ხელი მხარზე დაარტყა.

– ვაიმე, ვინ არის, ჰამლეტ?! – შეშინებულმა ზიზიმ წამოიძახა.

ჰამლეტის შეშინებული თვალები გაბოს დამცინავ მზერას შეეფეთნენ.

– რა გინდა? – ძლივს ამოილუღლუღა.

– მარჯვნივ მოუხვიე და ალაზნისაკენ წადი!– უბრძანა.

– გვიშველეთ! – ზიზიმ დაიყვირა.

გაბომ პირზე ხელი მიაფარა.

– დამშვიდდი, ქალბატონო! შენ არაფერს გერჩი, პირიქით ბოდიშს გიხდი, ასე რომ მოხდა, მაგრამ რა ვქნა, ამ ვაჟბატონს ჩემი ვალი აქვს და ხომ უნდა გადამიხადოს, – ზიზის ხელი გაუშვა.

გოგო ახლა კუთხეში იყო მიყუჟული; ჰამლეტი საჭეს კისერგაშეშებული მართავდა; წინ საზურგეზე გადაწოლილი გაბო მიმართულებას კარნახობდა.

– საით მივდივართ? – ჰამლეტმა ხმის კანკალით იკითხა.

– ქალაქიდან გავიდეთ და გეტყვი.

– რა გინდა, რას ითხოვ, რა დაგიშავეთ? – ზიზიმ ენა ამოიდგა.

– შენ არაფერი, გენაცვალე, ყველაფერს აგიხსნი და, ალბათ, ამ საქციელს მაპატიებ.

– ვაიმე, რა კარგი ბიჭი ყოფილხარ, მე კი კინაღამ გული გამისკდა.

– ნუ გეშინია, თუ უფლებას მომცემ, სახელით მოგმართავ, ზიზი არა?

– ჰო, ზიზი მქვია.

– ჰოდა, პატივცემულო ზიზი, უცხო არ გეგონო, ჰამლეტის თანაკლასელი ვარ; ამას იმიტომ გეუბნები, რომ დამშვიდდე.

– ჰამლეტ, მართალს ამბობს? – გახარებული ზიზი მისკენ მიცურდა.

ჰამლეტი დუმდა.

– ამოიღე ხმა! – გაბომ ზურგში ჩასცხო.

– აბა, ესეთები არ იყოს! – გაბოს შემრიგებლური ტონით გათამამებულმა ჰამლეტმა შეუტია.

– ამ ქალიშვილს უპასუხე, თორემ ამოგაგლიჯე ეგ მურტალი ენა! – გაბომ შეუბღვირა და ახლა კეფაში უთავაზა მჯიღი; ჰამლეტმა თავი საქარე მინას მიარტყა.

– ჰო, თანაკლასელები ვართ, – ამოილუღლუღა.

ზიზის თვალებში პირველად გამოკრთა რაღაც დამცინავის მსგავსი, ზიზღი, თუ სინანული.

მანქანა ქალაქს გასცდა.

– აქ გადაუხვიე ! – მინდვრის გზისკენ ანიშნა.

– რა გინდა, რა?! – შეშინებული ჰამლეტი აყვირდა.

– გადაუხვიე, შე მათხოვარო! – გაბომ კეფაში მუშტი ატაკა.

– რას აპირებ? – შეშფოთებული ზიზი შეეკითხა.

– ისეთს არაფერს, ძალიან გთხოვ, მშვიდად იყო. პატარა საკითხი გვაქვს გასარჩევი; შენ თუ გამამტყუნებ, თავს დამნაშავედ ჩავთვლი.

ზიზი დაწყნარდა.

მანქანა დიდი ვერხვის ქვეშ გაჩერდა.

გაბო გადასწვდა და გასაღები გამოაძრო.

– ახლა როგორ სჯობია, ზიზი, აქ ვისაუბროთ თუ დაბლა ჩავიდეთ?

– რა უჭირს, აქ თქვი.

– მე ყველაფერს მოგიყვები და მსაჯული შენ იყავი. დღეს ან მე ან ჰამლეტმა უნდა დატოვოს სიცოცხლე.

– რას ამბობ, გაგიჟდი?!

– მე ხომ გითხარი, ეს გადაწყვეტილება შენთვის მომინდვია. ჰამლეტისგან რასაც მოვითხოვ, არ შესრულების შემთხვევაში, ჩვენ ორში ერთი აქ დარჩება.

– თქვი, რა არის ისეთი, რომ არ შესრულდეს?

– კარგი, მაშინ ყურადღებით მომისმინე; მე ვარ გაბო ცისკარიშვილი, ჰამ-

ლეტის თანაკლასელი. ყველაფერს გვერდით ავუვლი, რომ ამისი მამის ვერაგობამ დედაჩემი შეიწირა, მოსპობას რომ მიმზადებდა, ეს ყველაფერი შორს წაგვიყვანდა. მე მხოლოდ ძირითადზე შევჩერდები. ჩვენ ორივეს ერთი გოგო გვიყვარდა. ორივეს გვიყვარდა იმიტომ ვამბობ, რომ ადრე მეგონა, ამასაც უყვარდა. ბოლოს დავრწმუნდი, თურმე დროს გასატარებლად უნდოდა. უნდოდა, რომ გაეუბედურებინა. გოგოს მე ვუყვარდი, მაგრამ ამის მამის შიშით მისი მშობლები ჰამლეტს უარს ვერ უბედავდნენ. ბოლოს უარი რომ მიიღო, ამან და ამისმა ამხანაგებმა მოიტაცეს, თავში მძიმე საგანი ჩაარტყეს. მიზნად ჰქონდათ, გაეუპატიურებინათ და ასე ქუჩის ქალად ექციათ. მეგობრების დახმარებით გავანთავისუფლე, მაგრამ ახლა მძიმედ ავად არის, მუდმივი თავის ტკივილი და ნერვიული მოშლილობა სტანჯავს. ახლა მითხარი, ზიზი, ამგვარ არამზადას ჩემგან რა ეკუთვნის? – გაბოს ხმა აუკანკალდა.

– ჰამლეტ, მართალს ამბობს? – ზიზი შეეკითხა.

ჰამლეტი თავჩაღუნული იჯდა.

– ყველაფერი გასაგებია, გაბო, გულით თანაგიგრძნობ, მაგრამ მე რა შემიძლია?

– ეს მაინც ვერ შეიგნებს, რა ბოროტება ჩაიდინა. ერთი წინადადება მაქვს. ჩვენში ერთი უნდა დარჩეს ცოცხალი, – ჯიბიდან დანა ამოიღო და ჰამლეტს გაუწოდა, – აჰა, შენ დანით იყავ, მე ცარიელი ხელებით.

– გაბო, ეს რა საჭიროა, განა უამისოდ ყველაფერი ცხადი არ არის?

– არა, ცხადი არ არის. ეს თავისი მამის ფულებმა და ნებიერმა ცხოვრებამ ლაჩრად და ვერაგად გაზარდა; ამას ახლავე დაგიმტკიცებ: შემებრძოლოს, თუ არადა, შენი თავი უნდა დამითმოს.

გაკვირვებულმა ზიზიმ პირი გააღო, მაგრამ ვერაფერი უპასუხა.

მანქანის სალონში სიჩუმე ჩამოვარდა.

– გაბო, განა ეს გეკადრება?! – ბოლოს ხმა ისევ ზიზიმ ამოიღო.

– ისეთს რას ვამბობ, თუ ვაჟკაცია დაიცვას შენი ღირსება; დანას ვაძლევ, მე ცარიელი ხელებით ვიქნები, თუ მომკლა, ალალი იყოს! – გაბოს ნელი გაახსენდა, როგორ ცდილობდა, რომ მისთვის თავისი ტანჯვა არ ეგრძნობინებინა. – ადექი, კაცი არა ხარ?! ან შენ უნდა იყო, ან მე! – გაბომ ჰამლეტს ხელი მხარზე დაარტყა და დანა მიაწოდა.

– რა გინდა, რა?! – ჰამლეტი ისტერიულად აყვირდა.

– ვერ გაიგე, რა გითხარ? შემებრძოლე, ან ზიზი დამითმე; ახლავე ჩემი უნდა გახდეს!

– თავი გამანებე! – ჰამლეტმა ხელი აიქნია.

გაბო დაბლა ჩავიდა, მისი კარები გააღო და ჰამლეტი ძალათი გადაათრია. მუხლმოკვეთილი ჰამლეტი ფეხზე ძლივს იდგა.

– შენი ჭირიმე, გაბო, თავი გაანებე! – ზიზი შეეხვეწა.

– მოტაცება თუ შეუძლია, თავისი საცოლის ღირსება დაიცვას თუ ვაჟკაცია; გამომართვი დანა! – ისევ გაუწოდა თავისი დანა.

ჰამლეტი გაუნძრევლად იდგა.

– არ მართმევ და ილოცე, ყელს ეხლავე გამოგჭრი!– გაბომ დანა მარჯვენა ხელში გადაიტანა, – არადა, ზიზი ამაღამ დამითმე, მერე ისევ შენი იყოს, არ გეცილები!

– წაიყვა, წაიყვა! თავი გამანებე! – ჰამლეტი ისტერიულად აყვირდა.

– ხედავ, რა რაინდი საქმრო გყავს? – გაბომ ზიზღით სახედამანჭულ ზიზის

მიმართა. – ახლა ამას რა ეკუთვნის?

ზიზი ხმას არ იღებდა.

– მაშინ მე ერთ ამბავს მოგიყვები: როგორც გითხარ, დედა ამის მამის ავკაცობამ იმსხვერპლა. მარტო მე დავრჩი. ერთხელ ძალიან გამიჭირდა და დეიდას მიერ ნაჩუქარი ჯინსის შარვალი გასაყიდად წავიღე, იქ ამის მამის თანამოაზრეებმა დამიჭირეს, სპეკულანტობა დამაბრალეს და ის შარვალი წამართვეს; მაშინ მე ერთმა პატიოსანმა კაცმა მიშველა, თორემ ციხეს არ გამაცდენდნენ. ის ჯინსის შარვალი კი ამის მამამ, რომელიც მხოლოდ ძარცვა-გლეჯაზეა და ვითომ მძარცველებს დასდევს, წაიღო. სწორედ ის შარვალი აცვია ამ ვაჟბატონს. ზიზი, მითხარი, ახლა ამას რა ეკუთვნის?

ზიზიმ მხრები აიჩეჩა.

– ხომ ვეღარ დაგიბრუნებს, ნახმარია; ან ფულს გადაგიხდის, ან ახალს გიყიდის.

– ახლავე დამიბრუნოს ჩემი შარვალი, გაიხადე! – გაბომ უყვირა.

– შენი არ არის, ზოსიმე ბიძიამ სხვა ახალი მაჩუქა.

– არ ვიცი, ვინ გაჩუქა, გაიხადე, თუ თავი არ მოგბეზრებია!

– ამის კაცი ხარ? – ჰამლეტმა შარვალი გაიხადა.

– დაკეცე! – დააკეცინა.

– რა ვქნათ, ზიზი, ფეხით გავუშვათ, თუ თან წავიყვანოთ? აჰა, დანა თუ ვაჟკაცი ხარ დაიბრუნე შარვალი, სხვა რაღა ვქნა?

– ეხ, – ზიზიმ ხელი ჩაიქნია, – ყველაფერი გასაგებია, წავიდეთ.

ტრუსისამარა ჰამლეტი საჭეს მიუჯდა, გაბო ისევ უკან მოთავსდა; კარებისკენ ზურგშექცეული ზიზი გაბოს მისჩერებოდა.

მანქანა ქალაქში შევიდა.

– საით წავიდე? – იკითხა ჰამლეტმა.

– ნელისთან.

– მე იქ რაღა მინდა?! – შეწუხდა ჰამლეტი.

– შენ ან აქ რა გინდა, შე მათხოვარო! – ზიზიმ თავი ვეღარ შეიკავა.

მანქანა ნელის სახლთან გაჩერდა.

– დიდი ბოდიში, ზიზი, მაპატიე თუ ჩემგან რაიმე გეწყინა! – გაბო ზიზის გამოეთხოვა. – იცოდე, ყოველთვის პატივისცემით მოგიგონებ.

– მეც ასევე, გაბო, ნაწყენი კი არა, მადლობელი ვარ.

ეს შარვალი არ დაგავიწყდეს, – ზიზიმ შარვალი გაუწოდა.

– შენს განკარგულებაში იყოს, თუ ღირსად ჩათვლი, ჩააცვი, თუ არადა, ეგრე იჯდეს, მაინც უნამუსოა და შარვალი რად უნდა.

ჰამლეტის მანქანას თვალი მოსახვევამდე გააყოლა. „ნეტავ ზიზი შარვალს თუ დაუბრუნებს?“ – გაიფიქრა და ნელის სახლს კარზე დააკაკუნა.

## ტიგრანა და შიშველი დონჟუანი

**ტიგრანა** არც ისე იოლი დასაყოლიებელი აღმოჩნდა, როგორც ზოსიმეს და მის კამპანიას ეგონა. ყარამანმა მეორე დღესვე მოინახულა და მისი მდგომარეობა დიდი გულისტკივილით გაიზიარა.

– იმ მურმან კვირკველიას ბევრი ვეხვეწე და ძლივს მომცა ნებართვა, რომ შეგხვედროდი; რა მოხდა, რას გედავებიან? პირდაპირ გასაკვირია, რაღა შენ მოგადგა, ეგ ოხერი! – ძალიან შეწუხებული კაცის სახით იკითხა.

– მაინცადამაინც მე რატომ მომადგა, ყველაზე კარგად შენ და ზოსიმემ იცით, მაგრამ ერთი შეგეშალათ, უკბილო გეგონეთ, საყვარელიძის დასაღუპავად ჩემი გაწირვა რომ გადაწყვიტეთ.

– როგორ გეკადრება, ტიგრან, საყვარელიძე მოცილებულიც არის და შენი ჭირიც წაიღო.

– რა, მოკვდა?

– არ მომკვდარა, მის სიცოცხლეს რაღა აზრი აქვს, იგრე გაისვარა, ყველა პირში აფურთხებს, – დაიხარა და ყურში უჩურჩულა: – კვერცხის დამზადების საქმე სულ იმას დააბრალეს.

– ეგ შენზე ნაკლებად არც მე ვიცი. ვინ გაისვარა და ვინ არა, ხალხს არ ეშლება მისაფურთხებელი პირიც სხვას აქვს. ჩემგან რა გინდათ, ჩემგან?! – ტიგრანამ ხმას აუწია.

– ბიჭო, მეც ეგ არ მიკვირს, შენგან რა უნდათ იმ ოხრებს?!

– მაშ არ იცი, რა უნდათ?

– მაგიტომ მოვედი, გამეგო, რას გედავებიან.

– სანამ ჩემთან მოხვიდოდი, იმ აფერისტ მურმანასთვის გეკითხა.

– ვკითხე, მაგრამ, ხომ იცი, მაინც შენგან მინდოდა გამეგო.

– რაო, რა გითხრა, რას ვერჩიო?

– ტიგრან, ეტყობა გიორგი საყვარელიძის მარტო განთავისუფლებით არ კმაყოფილდებიან. ახლა უნდათ, რომ დაიჭირონ. ჰოდა, შენც ადექი და თქვი, ფულს ვაძლევდიო. განცხადებას წინასწარ დაგაწერინებენ. ამით პასუხისმგებლობა მოგეხსნება; გიორგის კი ჩვენ რომ ვიცით, იქ მიაბრძანებენ.

– შენ ხომ იცი, რომ ეგ კაცი ახლოს არ მეკარებოდა და არც არავინ მეგულება, თუნდაც კაპიკიც რომ მიეტანოს.

– ბიჭო, მაგას რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია შენ თქვა, დაგიჯერებენ და თანაც გაგანთავისუფლებენ, იმას კიდევ საჭირო ადგილს მიუჩენენ; თუ არადა, ისეთი მასალები აქვთ, მაგრად გაგჭედავენ.

– ამიტომ შეწუხდი, რომ დაგეყოლიებინე? ვიცი, რა ჩიტები ხართ შენც და ზოსიმეც. ეს სპექტაკლი თქვენი მოწყობილია. მხოლოდ თქვენ იცოდით, მე რომ ავეჯი წავიღე, მაგრამ დაგავიწყდათ, სახლებში ვისი ნაჩუქარი ავეჯი გიწყვიათ. საქმე თუ ფულის მიცემაზე მიდგა, პირველ რიგში შენ და ზოსიმე მაძრობდით ტყავს; ეგრეც მოხსენდება სადაც ჯერ არს. იმ თქვენს მიერ მოწვეულ მურმანას უთხარით, დადგეს, თორემ რაც ტყის სახლში ილაპარაკეთ, ყველაფერი დაწვრილებით ვიცი, ჩემზე მაგრად გაიჭედებით. გამწირეთ არა? დედას გიტირებთ! იმ ტყის სახლსაც ძმრად ამოგადენ და რაც ჩემგან ფული წაგიღია, ამოგაბალღამებ! აქ მოგისვამ, აქ! – ტიგრანამ ხელი სკამზე დაარტყა. – ამბაკოს იმედი ტყუილადა გაქვს, პირველ რიგში ის მოგისრიალებს. თქვე გათახსირებულებო, პურმარილზე ძმობას მეფიცებოდით, ჩემი ოფლით გასუქდით; ყველაფერი ცეცხლად შეგერგოთ! მეორე დღესვე ვიცოდი, რაც იმ შენი სიდედრის სახლში იმამაძაღლეთ, მაგრამ არ დავიჯერე, გაფუჭებულები კი ხართ, მაგრამ თუ ამხელაზე დამპლები იყავით, ეს კი არ მეგონა. იცოდით არა, მე რომ ავეჯი წავიღე? ათი იმდენი თქვენზე ვიცი, აბა ნახეთ, რა დღეს დაგაწევთ. იმ მურმანასაც გვერდით მოგისვამთ. ყველა მაღაზიიდან ფული რომ შეაგროვეთ, თქვენთან არ მოვალთო, ხომ არ ავიწყდება? დედას ვუტირებ, ზუსტად ვიცი, საიდან რამდენი წაიღეთ! – ტიგრანა ადგა და ოთახში სიარული დაიწყო.

ყარამანი დაიბნა, ვერაფრის თქმა ვერ მოახერხა. „ნეტავ რომელმა გაგვ-

ცა?“ – გაიფიქრა. მერე თავი ისევ აიყვანა ხელში და ტიგრანას დაწყნარება დაიწყო: – ვიღაცა საერთო მტერს გაუღიზიანებიხარ, ჩვენს შორის შუღლის ჩამოგდება უნდათ; იციან, რომ დახმარების გარეშე არ დაგტოვებთ და ნახე, რა მოუჩმახიათ!

– შენ გირჩევნია, ჭკუას მოუხმო! წადი, იმ მურმანას უთხარ, თავი დამანებოს, თორე ამ აფერისტობას ძალიან ძვირად დაგისვამთ; სუყველას აქ შამოგყრით.

– ტიგრან, ყური დამიგდე, – ყარამანმა საუბრის გაგრძელება კიდევ სცადა.

– შენთან ლაპარაკი აღარ მინდა, დღესვე თუ არ გამიშვებთ, აქედან იცოდე, ხვალ უკვე ძალიან გვიან იქნება; მერე რაც მოხდეს, თქვენს თავს დააბრალეთ. ყველაფერი დაწერილი და შენახული მაქვს, სანდო კაცი იმ ქაღალდებს პირდაპირ მოსკოვში ჩაიტანს. როცა გავიგე, ტყის სახლში რას მიპირებდით, მაშინ დავწერე, ასე რომ საქმე უკვე შეყენებულია კონვეიერზე, მისი ჩართვა-გამორთვა კი თქვენზეა დამოკიდებული, თანაც ზედვე სხედხართ... თქვენ მე შემაგდეთ კონვეიერზე, მაგრამ ხომ ხედავთ, რა იოლად შემიძლია თქვენი ჩემს გვერდით ამოთრევა. ჰოდა, ჭკუით იყავით, მერე გვიან იქნება, ძალიან გვიან! ახლა წადი, დრო აღარ ითმენს! – დაბნეული ყარამანი ოთახიდან ძალით გააგდო...

საღამოთი ტიგრანა უკვე თავის სახლში იყო და ლოცავდა იმ ანონიმურ დამრეკს, რომელმაც ტყის სახლში მოწყობილ თათბირის საიდუმლოება გაანდო...

შაბათი დღე იყო. გაბომ ჯემალს დილიდანვე მიაკითხა, მაგრამ სახლში არ დახვდა. თავისუფალი დრო ჰქონდა, საღამოთი ნელისთან გავლას აპირებდა. ბოლო დროს გამოჯანსაღება დაეტყო, თუმცა აკადემიური შვებულება მაინც აუღეს; მალე დასასვენებლად გააგზავნიდნენ. გაბომაც მეცადინეობას უმატა, მომავალ წელს უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარებას აპირებდა.

ქალაქის ბიბლიოთეკაში წავიდა. სამკითხველო დარბაზში კითხვა უყვარდა, გაბო იქ თანამშრომლების დონეზე იყო მიღებული.

– საჩემო ხომ არაფერი გაქვთ? – მისვლისთანავე იკითხა.

– ჯერ წაღებული წიგნები დააბრუნე, ძალიან ბევრი დაგიგროვდა, – შეახსენა ბიბლიოთეკის გამგემ, სამოც წელს მიღწეულმა გამხდარმა, სათვალიანმა ქალმა.

– მკითხველად ისეთი კარგი ბიჭი შეგძინეთ, მადლობა მეკუთვნის; მალე ყველას ერთად მოგიტანთ.

– ვინ არის, რატომ თვითონ არ მოდის?

– მძღოლია, ჯემალი ჰქვია, ადრე ჯღანოდ იყო ცნობილი.

– ის ხულიგანი? – მაყვალა გამოეხმაურა, იქვე წიგნების თაროებთან რომ ტრიალებდა.

– ხულიგანი აღარ არის, ახლა ნამდვილი ადამიანი და პატიოსანი მოქალაქეა; ყოველგვარ უწმინდურობას შეურიგებლად ებრძვის, –პათეტიკურად თქვა გაბომ.

– უწმინდურობაში რას გულისხმობ?

– ყველაფერს, რაც დასვრილია და ჭუჭყის სუნი უდის.

– მაინც რა?

– მაგალითად, თუნდაც ცილისწამება, უკანონობა, დასმენა, ღალატი და ვინ იცის, კიდევ რა.

– ეგ ყველაფერი პირობითია, გაბო, უსინდისო ადამიანს ცილი რომ დასწამო, განა დასაძრახია? ან ბოროტმოქმედი დაასმინო, იმას უღალატო, ვინც ერთგულების ღირსი არ არის და ვინ იცის, კიდევ რა...

– უსინდისო ადამიანს ცილის დაწამება კი არა, მხილება მოუხდება, ბოროტმოქმედს ებრძოლო დასმენის მაგიერ; ვინც ერთგულების ღირსი არ არის, მასთან ურთიერთობა უნდა გაწყვიტო. ამრიგად, უწმინდურობის წინააღმდეგ ბრძოლა მხოლოდ სუფთა და წმინდა სინდისით შეიძლება, თუ გინდა ჭეშმარიტ ადამიანურ სიამოვნებას ეზიარო. სხვა შემთხვევაში რამდენიც გინდა მაგალითია, როცა უწმინდური უწმინდურს ებრძვის, ტალახში და სიბინძურეში უფრო ღრმავდებიან.

– შენ ყოველთვის საკუთარი ფილოსოფია გაქვს, გაბო.

– განა შენ არ მეთანხმები?

– როგორ გითხრა, ეგ ყველაფერი მხოლოდ კარგი სურვილია, სინამდვილეში ხომ ასე არ ხდება.

– სინამდვილეში ყველაფერი ხდება. ადამიანის ტვინი წინასწარ ვერც კი განსაზღვრავს, რა უცნაურობის ჩადენა შეუძლია იგივე ადამიანს.

– შენ ეგ ფილოსოფია იმ გიჟმა ქალმა ხომ არ გასწავლა, მდგმურად თუ რად გყავს, არ ვიცი, ენა რომ აქვს გრძელი, ტვინი კი არა.

– იმ ქალის ტვინი გადაგვარებულმა ადამიანებმა შეურყიეს, გრძნობებით კი ზებუნებრივი ადამიანია; მე ის დედასავით მყავს მიღებული.

– განა შენ არ იცი, ჩემზე რაები იყბედა? ის სახლში როგორ შეუშვი?!

– ახლა არ თქვი, გიჟიაო. ვიღაცამ გააქეზა, იმანაც გაიმეორა. შენ იმას კი არა, ჭორის სათავეს უნდა ემდუროდე.

– სად არის ჭორის სათავე?

– აი, ეგ აღარ ვიცი; მაგ შეკითხვას მე უნდა გისვამდე.

– რა ვქნა, ყველა ოხერს და მამაძაღლს პირზე ხელს ხომ არ ავაფარებ.

– ჰოდა, რაღაზე გწყინს. ტყუილს მოკლე ფეხები აქვს; ჭორიც უცეცხლო კვამლია. ნუ ნერვიულობ, ქალბატონო მაყვალა, რაც მართალია, ისიც ეყოფა ადამიანს სანერვულოდ.

– ჰო, მაგრამ, ხომ იცი, გულსა სწყინს.

– მთავარია სინდისი იყოს მშვიდად და პატიოსნად, – ჩაილაპარაკა ბიბლიოთეკის გამგე ქალმა, – შეეშვით ახლა ამაზე ლაპარაკს. შენც ნუ მისცემ ხალხს სალაპარაკოს.

– მე რა სალაპარაკოს ვაძლევ?

– ის პირუტყვი ზოსიმე ერთ კვირაში სამჯერ მოვიდა აქ. წიგნები ისე მიაქვს და მოაქვს, ერთხელაც არ გადაუშლია. გვერდები დავუნიშნე, შიგ არ ჩაუხედია; რას გეჭუკჭუკება, შენთან საერთო რა აქვს?!

– ჩემი ქმრის მეგობარია და იმის საქმეზე ვლაპარაკობთ-ხოლმე.

– წაუკითხავი წიგნების მიტან-მოტანა შენი ქმრის მეგობრობით მოსდის? თავის დღეში ბიბლიოთეკაში ცხვირი არ შემოუყვია, რაღა ამ ბოლო დროს შეუჯდა წიგნების ჭია, თუ ვინ იცის, რა.

– ეგეც ჩემი ბრალი ხომ არაა, რა ვიცი, ზოგს უნდა, რომ ხალხს თავი მწიგნობრად მოაჩვენოს და აქ მოდისთვის დაიარება.

– გაჩუმდი, გაჩუმდი! კვამლი უცეცხლოდ არ იქნება; ყბედობის მიზეზს შენ იძლევი! – გამგე გაუწყრა. – რა გინდა, გაბო, რას გვთხოვ? – გაბოს მიუბრუნდა და ამით აგრძნობინა, რომ ამ თემაზე საუბარი დამთავრდაო.

– „მნათობის“ ბოლო ნომრებს გადავხედავ; მთელი დღე თავისუფალი მაქვს, – გაბომ ჟურნალები აიღო და სამკითხველო დარბაზის ბოლოში კარადებთან მოფარებით მოეწყო.

დრო გავიდა. გაბოს იქ ყოფნა ყველას დაავიწყდა. მკითხველების მოძრაობამ იმატა. ახალი მოთხრობების კითხვით გართულ გაბოს მამაკაცის ხმა შემოესმა, თავი ასწია, იცნო, გრძელი მაგიდის ბოლოში, სადაც თვითონ მოფარებით იჯდა, ზოსიმე მაყვალას ელაპარაკებოდა:

– კარგი წიგნი ამირჩიე. უძილობა მჭირს. მთელი ღამე ვფხიზლობ.

– ბალზაკის ტომებს მოგართმევთ, კარგი?

– იყოს ბალზაკი.

– თუ გინდა, ვიქტორ ჰიუგო, ან ბაირონი, გოეთე.

– კარგი ერთი, რომელიც გინდა იყოს, მე მაგ წიგნებით ძილს ვებრძვი. თანაც დღეს საღამოს თერთმეტ სათზე გარაჟიდან მანქანა უნდა გამოვიტანო, პატარა საქმე მაქვს; მერე კი სულ წიგნს ვიკითხავ.

– რა აუცილებელია ზუსტად თერთმეტ საათზე გამოტანა?

– მაშ როდის?

– ათიდან თორმეტამდე დღევანდელ დღეში არ შედის? ყველას ხომ არ შეუძლია ზუსტად თერთმეტ საათზე დაგელოდოს?

– მართლა, ეგრე სჯობია, იქნებ სადაც მივდივარ, ზუსტად თერთმეტ საათზე დრო არ ჰქონდეს; მერე კი სულ წიგნს ვიკითხავ.

– კარგი, ამჯერად ბალზაკს გამოგიტან.

– ჰო, ეგრე სჯობია, – ზოსიმე დაეთანხმა.

მალე ბალზაკის ტომით ხელდამშვენებულმა ზოსიმემ ბიბლიოთეკა დატოვა. გაბო კი მათი რებუსის ამოხსნას შეუდგა. ამაღამ თერთმეტ საათზე გარაჟიდან მანქანა უნდა გამოიტანოს, მაყვალას განმარტებით კი ათიდან თორმეტამდე დღევანდელი დღეა. ზოსიმეს რაში სჭირდება მაყვალას შეათანხმოს გარაჟიდან რომელ საათზე გამოიტანს მანქანას. ყველაფერი გასაგებია, ზოსიმემ აცნობა, ზუსტად თერთმეტ საათზე მოვალო, მაყვალამ კი შეუსწორა, ათიდან თორმეტ საათამდე მელოდე, როცა საშუალება მექნება, გამოვალო. გაბომ ეს უმარტივესი რებუსი ამოხსნა, რომელიც მართას და ტიგრანას ჩხუბის მოსმენის გარეშე შეიძლება რთულად ქცეულიყო. გაბომ ჟურნალები თავის ადგილას დააწყო და თანამშრომლებს გამოეთხოვა.

... ჯემალი თავის მანქანას უკირკიტებდა. გაბოს გამოჩენა გაუკვირდა, თან გაუხარდა.

– ვაა, ჯიგარო, აქ საიდან?

– შენ თავად ჯიგარო, ორშაბათამდე გარეთ გამოსვლა აკრძალული რომ გქონდა, დაგავიწყდა?! – უსაყვედურა.

– კარგი ამბავი გავიგე და ველარ მოვითმინე. ჯიმშერას კრეჭო-კოლას საფლავი თვითონ ამოუთხრია და რესპუბლიკიდან ჩამოსულ გამომძიებლებისათვის უჩვენებია.

– ეჭვი გეპარებოდა, რომ ასე იქნებოდა?

– არა, მაგრამ მაინც ხომ იცი...

– გასახარები კი არა, სატირალია, ადამიანი ნამუსისაგან ასე რომ გაირეცხება.

– მეც სწორედ ნამუსგარეცხილების მხილება მიხარია; როდემდე უნდა ეწიოკებინა უდანაშაულო ხალხი.

– მეცოდება. ცუდი გავლენის ქვეშ მოექცა, თორემ ნორმალურ პირობებში ესოდენ ბოროტი არ იქნებოდა.

– ზეგავლენაა თუ ფლავი, ყველა ჩათლახს დედა უნდა ეტიროს! შენ გეცო-

დება, რა ვუყოთ, ეგეთი გული გაქვს; მაგათ არავისი დანდობა არ იციან, განსაკუთრებით მართალ კაცს გახდომიან ჭირად.

– კარგი. ეს სადავო არ არის, ახალი ამბავი უნდა გახარო.

– რა?

– ამაღამ ათიდან თორმეტ საათამდე ზოსიმეს ტიგრანას მაყვალასთან პაემანი აქვს დანიშნული.

– საიდან გაიგე? – ჯემალს გაუხარდა.

გაბომ ბიბლიოთეკაში მათი შეხვედრის ამბავი მოუყვა.

– რა კარგია, საღამოზე გასართობი გვექნება! – ჯემალმა ტაში შემოჰკრა.

– რას აპირებ?

– ნუ გეჩქარება, საღამომდე დიდი დროა...

ტიგრანა სახლში გვიან მივიდა. ნასვამი იყო და მაშინვე დაწვა.

მას შემდეგ რაც მურმან კვირკველიმ, ვითომ ყარამანის და ზოსიმეს შუამდგომლობით გაანთავისუფლა, ძველ ამფსონებს სათოფეზე აღარ იკარებდა, ფრთხილობდა, საქმე ისევ არ განეახლებინათ. ზოსიმესთან და ყარამანთან სანდო კაცს დააბარა: ჩემზე ინტრიგების ქსოვას თავი დაანებეთ, თორემ როგორც კი ახალ ამბავს წამოიწყებთ, ჩემზე მაგრად თქვენ გაგჭედავთო. ისინიც ჯერჯერობით წყნარად იყვნენ. ჯიმშერას ამბით გულგახეთქილები კბილებს აკრაჭუნებდნენ და მომენტის დადგომით იმუქრებოდნენ.

ტიგრანას შფოთიანი ძილით ეძინა, დროდადრო ისე მაღლა ამოიხვრინებდახოლმე, მსმენელს ეგონებოდა, იხრჩობაო. გვერდს შეიცვლიდა, ცოტა ხანს დადუმდებოდა, მერე ისევ მაღალი ტონის ხრიალი აიძულებდა გადაბრუნებულიყო.

ტელეფონის ზარი აწკრიალდა. ჯერ ტიგრანას ხვრინვას აჰყვა, მერე ხვრინვამ ტონს დაუწია, ტელეფონის ზარი იმავ ენერგიით წკრიალებდა. ტიგრანამ გვერდი შეიცვალა, ხმაურიანი სუნთქვა დაწყნარდა, ტელეფონის ზარი კი აბეზარი ბუზივით მოსვენებას არ აძლევდა. გვერდი ისევ შეიცვალა, ახლა უკვე ძილ-ღვიძილში იყო. ტელეფონის ზარი ზედ საფეთქელზე უკაკუნებდა. საწოლზე წამოჯდა და ტელეფონის აპარატს უაზრო მზერა მიაპყრო; ზარი არ ისვენებდა, ჯიუტად განაგრძობდა რეკვას.

– ამ შუაღამისას ვინ ოხერია, საქმე გამოლევია! – ჩაილაპარაკა და გვერდზე გადაიხედა. უნდოდა მაყვალასთვის ეთქვა, უპასუხეო. მაყვალას ადგილი ცარიელი დახვდა. –ეს სადღა გასულა, – ჩაილაპარაკა და საწოლიდან ყურმილს გადასწვდა.

– რომელი ხარ? – ხრინწიანი ხმით ჩასძახა.

– ღამე მშვიდობისა, ტიგრან, – კაცის ხმა მოესმა.

– ღამე მშვიდობისა კი არა, რომელი ხარ, კაცო?

– ვერ მიცანი?

– ვერა.

– შენი საიდუმლო მფარველი ვარ. გახსოვს, ტყის სახლის ამბავზე რომ გაგაფრთხილე?

ტიგრანას მთელს სხეულში შიშის ჟრუანტელმა დაუარა. უცებ გამოფხიზლდა, საწოლიდან გადმოხტა და ყურმილში არაადამიანური ხმით ჩასძახა:

– გისმენ, რაშია საქმე?

მოპირდაპირე მხარე დუმდა...

– ალო, ალო! რა იქენ, გისმენ! გისმენ! – ტიგრანამ აპარატი შეანჯღრია.

– ახლა რომელი საათია? – ზღაპრული იდუმალების ხმამ დინჯად ჰკითხა.

ტიგრანამ კედლის საათს შეხედა. დაავიწყდა, რომ წლების განმავლობაში არ მუშაობდა და მექანიკურად უპასუხა:

– პირველის ნახევარია.

– სტყუი, თორმეტის ათი წუთია, – ხმამ შეუსწორა.

– სწორია, სწორი! თორმეტის ათი წუთია, – ანგარიშმოუცემლად დაეთანხმა.

– მაყვალა სადა გყავს?

– აქ არის, – ტიგრანამ საწოლს გადახედა.

– ყურმილი გადაეცი.

– გარეთ გასულა, ახლავე დავუძახებ, ამ წუთში მოვიყვან.

– ვერ მოიყვან.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ახლა შენს გარაჟში ზოსიმესთან გორაობს.

– ჰა!!!

– ჰა და ცეცხლი! შე რქიანო! წადი და დაამტკიცე, რომ პირუტყვი არა ხარ!

– აააუუუ! – ტიგრანამ დაიყვირა და წითელკანიანთა ბელადივით ნახევრად შიშველი, თმაგაჩეჩილი ოთახიდან ღრიალით გავარდა.

გარაჟში ისე მოულოდნელად შეიჭრა, რომ იატაკზე გაფენილ ნოხზე წამოგორებულმა ტიტველმა ზოსიმემ და მაყვალამ ადგომა ვერ მოასწრეს.

– თქვე გათახსირებულებო! – ტიგრანა ზოსიმეს ყვირილით დააცხრა, თმებში ხელი სტაცა და თავი მაყვალას თავზე უხალა.

მაყვალა ორი კაცის ქვეშიდან წივილით გამოძვრა. ტიგრანამ ზოსიმეს ახლა ყელში წაუჭირა ხელები, დაბნეული ვერ გაეშვა, ენა გადმოაგდო და ახრიალდა.

– რას შვრები, შე გადარეულო! – მაყვალა ეცა და მსხვერპლი გააგდებინა.

– კახპავ, აქედან ცოცხალი ვერ წამიხვალ! – ტიგრანა მაყვალას ეცა და სახეში მუშტი დაუშინა. ამით ზოსიმემ დრო იხელთა და გარაჟიდან გავარდა.

ტიგრანამ მაყვალას თავი დაანება და ზოსიმეს გამოეკიდა.

ტუჩებგახეთქილმა და თვალებჩალურჯებულმა მაყვალამ ზოსიმეს ტანისამოსს ხელი დასტაცა და, სადაც ზოსიმეს მანქანა ეგულებოდა, ღობის იქით გადაყარა.

„ქიგულის“ უკანა კარებიდან ორნი გამოვიდნენ, ტანისამოსი აკრიფეს და საბარგულში ჩაყარეს. მერე ისევ ჩასხდნენ, კარები მიიხურეს და ლოდინი დაიწყეს.

ამასობაში დედიშობილა ზოსიმეს ტრუსის ამარა ტიგრანა ეზოში დასდევდა. ზოსიმე ფიცრის ღობეს რამდენიმეჯერ შეაბობღდა, ტიგრანამ მიუსწრო, ჩამოათრია. ძიძგილში ზოსიმე ისევ უსხლტებოდა და ტიგრანა ხვნეშით მისდევდა. კედელზე მიყუდებულ ფოცხს სტაცა ხელი და ზოსიმე ღობეზე რომ მიფოფხავდა, დუნდულებში კბილებიდან დაჰკრა. ზოსიმემ შეღრიალა და ღობიდან ჩამოვარდა, ტიგრანამ მეორე დარტყმაც მოასწრო. ზოსიმეს საჯდომი სისხლით სულ გაუწითლდა, გიჟივით წამოხტა და ღობეს გაათკეთებული ენერგიით ეცა. სისხლიან დუნდულებს ერთხელ კიდევ ჩაერჭო ფოცხის კბილები, ტიგრანას ტარზე ხელი გაეშვა; ზოსიმე ღრიალით ფოცხიანად მეორე მხარეზე გადავარდა, ძლივს წამოდგა, ფოცხი მოიცილა და კვნესით მანქანისკენ წავიდა; დუნდულებიდან სისხლი შეუწყვეტლივ ჩამოსდიოდა.

კარების სახელურს მისწვდა, მაგრამ ადგილიდან ვერ დაძრა.

ახლა უფრო ძალუმად მოქაჩა. უცებ მანქანის ფარები აინთო და სალონში ხარხარი ატყდა; ძრავიც ჩაირთო და საყვირის გაბმული ხმა გაისმა; ისედაც

თავზარდაცემულ ზოსიმეს დავთრები სულ დაებნა.

მანქანა სწრაფად უკან-უკან წავიდა და თავისი გაკაშკაშებული ფარები ადამის როლში მყოფი ზოსიმე მთელი თავისი სხეულის ღირსებით გაანათა; თან შიგ მჯდომთა ყვირილმა და გაბმულმა სიგნალმა იქაურობა აიკლო.

ზოსიმე ერთ ხანს მოიკუნტა და სასირცხო ხელებით დაიფარა, მაგრამ ხალხის ხმაურმა რომ იმატა და სახლების ფანჯრებში სინათლე აინთო, ისევ მანქანისკენ გაიქცა. მანქანა უკან წავიდა, ხმაური გაძლიერდა. ზოსიმე მიხვდა, თავის შველა სხვანაირად უნდა ეცადა. უცებ მობრუნდა და ჩაბნელებულ ქუჩისკენ გაიქცა. მანქანამ გზა გაუნათა თან ღრიალით და ხმაურით მიჰყვა. ზოსიმე ღობეებს აწყდებოდა, გადახტომა და დამალვა უნდოდა, მაგრამ მანქანა ამის საშუალებას არ აძლევდა. ამ პროცესიას გაღვიძებული ცნობისმოყვარენიც შეუერთდნენ. მთავარ ქუჩაზე გავიდნენ. ტიტველ და საჯდომდასისხლიანებულ მარათონელს ცნობისმოყვარეთა მთელი ბრბო მისდევდა. ცენტრში გავიდნენ. ზოსიმე არასაუწყებო დაცვის მუშაკებმა შეიპყრეს და სამორიგეოში წააბრძანეს...

გათენებისას ტელეფონის ზარი კვლავ აწკრიალდა. ამჯერად ტიგრანას არ ეძინა. რამდენიმე ნათესავის გვერდით მგლოვარესავით იჯდა და მომხდარ ამბავს, ალბათ, მეასედ ყვებოდა.

— ტიგრანა ხარ? — ყურმილში ნაცნობი იდუმალი ხმა გაისმა.

— ჰო, მე ვარ, შენ რა გქვია, ვინა ხარ?

— შენი რქების მომხსნელი. მაყვალა სად არი?

— დედაანთას გაიქცა.

— როგორ იცი, მაიშლის?

— რაც უნდა ქნას, მაგას სახლში აღარ შემოვუშვებ!

— ეგ შენი საქმეა. ახლა მისმინე: ზოსიმეს მანქანა რა ადგილასაც გადმოხტა იქ დგას, გასაღები შენს ალაყაფის კარზე ჰკიდია, ტანისამოსი საბარგულშია, კარგად იყავი.

— მაიცა, მითხარ ვინა ხარ?

— რად გინდა?

— იმათ, რომ არა ხარ კარგი კაცი, ქვეყანა შამიყარე, ოჯახი დამინგრიე!

— მაშ ეგრე? წაიყვა ახლავე შენი ბოზი ცოლი და, თუ გინდა, ზოსიმეს გარაჟში შენც დაუწექი. ოღონდ იცოდე, თუ ვენერასთან მიგატანე, ზოსიმესთვის მოწყობილი კონცერტი მეგენატრება, შე პედერასტო! — ტელეფონში წყვეტილი სიგნალი გაისმა. იდუმალი ხმის პატრონმა ყურმილი დადო.

## ვენერას ეროტიკული რვეული

**ზოსიმეს** გაპამპულების შემდეგ ოთხეული ჯემალის ხელმძღვანელობით მკითხავი ახრასიას რძლის საიდუმლო სტუმრების გაპამპულებისათვის მზადებას შეუდგა. დათიკოს თელავიდან ჩამოსვლას ელოდებოდნენ, უნდოდათ, რომ მისი ცოლის მხილებაში მასაც თავისი გადამწყვეტი როლი ეთამაშა.

შუა კვირაში დათიკო მოულოდნელად ჩამოვიდა. გაციებულიყო, სიცხე ჰქონდა, რამდენიმე დღით ლოგინში ჩაწვა.

ვენერა ქმრის სახლში ყოფნას არაფრად აგდებდა და ფანჯარაზე მოწყობილი გამოფენის მორიგეობას ჩვეულებროივ აგრძელებდა. დათიკო ოთახში მარტო იწვა. ახრასია უფალთან თავისი საუბრით იყო გართული; ვენერაც მასთან იშვიათად შედიოდა.

მოწყენილობით შეწუხებულმა დათიკომ წიგნების შერჩევა დაიწყო, ამ ძებნაში რვეულს წააწყდა, ყდაზე ვენერას ლამაზი ხელით დაეწერა, დღიური. დათიკო დაინტერესდა, ლოგინში წამოწოლილმა დინჯად და აუღელვებლად დაიწყო „საყვარელი მაუღლის" შემოქმედების კითხვა. დაიწყო, მაგრამ დამთავრება გაუჭირდა, წაკითხულმა გონება ისე აურია.

ვენერას ვულგარული უშუალობით ჰქონდა აღწერილი საყვარლებთან თავისი ურთიერთობა. არც ის დავიწყებოდა, მის ფანჯარაზე შემოდგმული რომელი ნივთი ვისი მობრძანების ნიშანი იყო.

„ზოგჯერ დღეში ფანჯარაში რამდენიმე სიგნალი შემიცვლია, რადგან ერთი და ორი კაცი არ მყოფნია. უნდილი ტიგრანა კაცის ბუტაფორიაა, ერთხელ მოფერებას ძლივს ახერხებს, ისაც ვაივაგლახით. ზოსიმე ღიპიანი თავისი კაცური შესაძლებლობით ტრაბახობს, მე რა მესწავლება, ვის რა უნარი აქვს. სულ სხვაა გაბო, მაგრამ რა, ახლოს არ მიკარებს. ძალიან გეხვეწები, დათიკოს ნუ ღალატობო. წარმოგიდგენიათ? გაბო რომ ამ დანარჩენებივით ქალების „მაჩალკა" იყოს, არ მომასვენებდა, ის კი სულ მერიდება და ჩემგან პატიოსნებას მოითხოვს, გაგონილა? სრულყოფილი, მიმზიდველი ვაჟკაცი ჩემნაირ მიმზიდველ ქალს ასე გაურბოდეს?!" ვენერას რვეულში თანმიმდევრულად დახასიათებული იყო დადალა, ლუა, ჯიმშერა, ყარამანი და კიდევ რამდენიმე უცნობი მამაკაცი, ალბათ ახრასიას კლიენტების ქმრები თუ იყვნენ.

დათიკო საწოლიდან წამოხტა, უნდოდა, ვენერა მოეძებნა და მაგრამ მიებეგვა, მაგრამ კარებთან მისულმა გადაიფიქრა, სამაგიეროს მიზღვა უფრო ჭკვიანურად გადაწყვიტა. ფანჯარას შეხედა, რაფაზე წყლიანი გრაფინი იდგა, – ოჰო, დღეს ყარამანა პროკურორის ჯერი ყოფილა, ამ ღლავის სტუმრობა საპატიოდ უნდა აღინიშნოს, – ჩაილაპარაკა.

საღამოთი ყარამანი მართლაც მობრძანდა თავისი შავი მანქანით. პირველ სართულზე ყველაზე მაღალი რანგის საყვარლებისათვის ვენერას მისაღები ოთახი ჰქონდა; სხვა დანარჩენებს საძროხეში იღებდა.

ყარამანი ოთახში შესვლისთანავე ვენერას გადაეხვია და ლოშნა დაუწყო.

– შენი ქმარი ხელს ხომ არ შეგვიშლის? – პირველი ხვევნა-კოცნის შემდეგ პატარა შესვენებისას ჰკითხა.

– არა, ის აზრზე არ არის, ზევით წევს და წიგნებს კითხულობს, – დაამშვიდა ქალმა და ვნებააშლილ ყარამანს საცმელების გახდაში მიეხმარა.

ამ დროს დათიკო ფანჯრიდან ზვერავდა თავისი ცოლი და ყარამანი როგორი გულმოდგინებით არგებდნენ თავზე ქორბუდა ირმის რქებს. წინასწარ მომზადებული ჰქონდა ცხენის დასადამღი ბეჭედი, მამისგან რომ შემორჩენოდა, მოძებნა და ახლა ღადარზე აწითლებდა.

ოთახში ისე შევიდა, საქმით გართულ ყარამანს და ვენერას არაფერი გაუგიათ. სწორედ მაშინ დააჭირა ტიტველ დუნდულაზე გაწითლებული ბეჭედი, სიამოვნების უმაღლეს მწვერვალზე ასული ყარამანი, ვენერას ვნებიანი აკომპანიმენტის თანხლებით, ოხვრვით და კრუსუნით იქაურობას რომ იკლებდა.

ყარამანმა უცებ ისე იყვირა, მეორე სართულზე ახრასიას ხელიდან კარტები დასცვივდა. დათიკო კი უფრო აჭერდა ცხელ რკინას და რბილ ხორცში აღრმავებდა. ოთახი დამწვარი ხორცის სუნმა გაავსო და ღრიჭოებიდან გარეთ გააღწია. ყარამანს გული შეუღონდა და თავი ვენერას გვერდით დაუვარდა. ქალი ძლივს გამოძვრა მასზე დამხობილი მძიმე სხეულიდან.

დათიკომ სისინით გააფრთხილა, ხმა არ ამოიღოო. ვენერამაც სურვილი

შეუსრულა და ფეხის წვერებზე შემდგარმა ტანისამოსის ჩაცმა დაიწყო.

ამ დროს დათიკო შარვლის ღილებს იხსნიდა და ყარამანს ვენერას როლში ჩაყენებას უპირებდა. ვენერა გააფრთხილა, კარებთან დადექ და შიგ არავინ შამოუშვაო. აცახცახებული ვენერა უსიტყვოდ დაეთანხმა ყარამანის გასაუპატიურებლად შემართულ ქმარს.

ყარამანი გონზე რომ მოვიდა, მისგან რქებდადგმული დათიკო აზარტულად შესულიყო რქების მომრგების როლში. ველური ღრიალით წამოხტა; კარებთან მდგარი ვენერა ვნებააშლილ აფროდიტასავით ხარხარებდა.

დათიკომ თავაზიანი რევერანსით გაუღო კარები, თან დააყოლა:

– მიბრძანდით! ავხორცობის ჭიამ თუ კიდევ შეგაწუხოთ, მოდი და კიდევ ერთხელ გავირჯები, ოღონდ წინასწარ გამარფთხილე, რკინა კარგად გავაცხელო, მეორე დუმას გული რომ არ დასწყდეს.

ყარამანმა შარვლის ჩაცმა სცადა, დამწვარ ადგილზე მოხვედრისას ერთხელ კიდევ შეაღრიალა და შარვალჩავარდნილი გარეთ გავარდა.

ვენერამ ტანისამოსი მოხვეტა და მძღოლს ჩაწეული მინიდან მიაწოდა. იმანაც ვაივაგლახით ყველაფერი უკანა სავარძელზე გადაყარა.

ყარამანმა დაჯდომა ვერ მოახერხა, შეტრიალდა, მუხლებზე დადგა და საზურგეს გადაეკიდა. ტიტველი უკანალი საქარე მინას მიუშვირა.

– წადი! – მძღოლს უღრიალა.

– ეგრე იქნები? – შეეკითხა გაკვირვებული მძღოლი.

– წადიიიი! – ყარამანმა ახლა უფრო ხმამაღლა იღრიალა.

მძღოლმა მანქანა ადგილიდან დაძრა. ასე საქარე მინაზე საჯდომმიშვერილი ყარამანი ოხვრა-კვნესით წაიყვანა.

ბიჭები ამ საღამოთ ვენერას სახლთან მორიგეობდნენ. სულ სხვა სცენარი ჰქონდათ ჩაფიქრებული, მაგრამ დათიკომ დაასწროთ. ახლა მძღოლმა უკანალაშვერილი ყარამანი რომ გაატარა, სტვენით და ტაშის კვრით გააცილეს.

## ნოე ჯანგულაშვილის ფერიცვალობა

**კოლმეურნეობის** თავმჯდომარე, ნოუ ჯანგულაშვილი კაბინეტში იჯდა და რაიონში დაწყებულ აურ-ზაურზე ფიქრობდა: „შეიძლება ამბაკო სიმონიჩი გაისროლონ, იმდენი დანაშაული, ცოდვა და ავკაცობა აქვს ჩადენილი, ერთი ეშელონი ვერ დაძრავს. არადა, ყველაფერი ედუარდ შევარდნაძის დავალებით გააკეთა. მაგრამ იმ ედუარდმა იცის, დანაშაული როგორ ჩაადენინოს თავის ერთგულ არაკაცებს და მერე, თუ საჭირო გახდა, არც მათი ჩამოწერა უჭირს. მისი უკუღმართი გეგმების შემსრულებლებს რა გამოლევს. ამბაკოც დიდი ვერაგია როგორც ყველა უზნეო, უიდეო და მხოლოდ მოხვეჭაზე დახარბებული არამზადა. ყარამანის დიდი მეგობარი იყო, ახლა რაც რაიონში უსამართლობა ხდებოდა მისი დავალებით, ყარამანს აბრალებს და კიდევაც გამოუყვანს წირვას“, – ფიქრებში წასულმა ნოემ ტაში შემოჰკრა. – „ყარამანი კი არ ფანტავდა მუქარას და უკანონობას ჯიბის გასქელების მიზნით. მეც კუდს ვუქნევდი, აბა რა მექნა? თუ დასჭირდა, საკუთარ ძმას არ დაინდობს. მისი უტვინო ბიჭიც იმიტომ დავაძმაკაცე ჩემს ბიჭთან. ახრასიას რძალთან მომხდარი სასაცილო ამბის შემდეგ, აშკარაა, ამბაკო რაიონიდან გააქრობს, თანაც სჭირდება და... ერთმანეთს ეგენი დრომდე მეგობრობენ, მერე კი მომენტს ეძებენ, როგორ დააკნინონ ერთმანეთი. ახლა ნახოს, რა დღეში ჩავაგდო ყარამანი, მისი საქმე წასულია, რაც

წამგლიჯა, სულ შხამად ამოვადენ“, – დაასკვნა.

ამბაკომ კარგად გამოიყენა ყარამანი და ზოსიმე გიორგი საყვარელიძისთვის ცილის დასაწამებლად. ეს ბოროტ და ყოველგვარი სიმუხთლის მკადრებელი ადამიანები ხალხმა შეიძულა. ამბაკომაც შეურჩია მომენტი, მათი მოცილებით უზნეობის და გარყვნილების წინააღმდეგ მებრძოლის სახელი მოეხვეჭა; ამას კიდევ სტიმული მისცა ზოსიმეს და ყარამანის გახმაურებულმა სასიყვარულო ტაკიმასხრობამ. ამბაკომ აქტივის კრებაზე ორივე სასტიკად გააკრიტიკა და სამსახურიდან განთავისუფლებას შეჰპირდა. ეს საკმარისი გახდა იმისათვის, რომ ერთსაც და მეორესაც ძველი მლიქვნელი თაყვანისმცემლები ქუჩაში სალამსაც აღარ აძლევდნენ და, საერთოდ, მათთან შეხვედრას ერიდებოდნენ.

ნოე ჯანგულაშვილი კაბინეტში იჯდა და რაიონში მოსალოდნელ ცვლილებებზე ფიქრობდა, ახალ სიტუაციაში თავისთვის მომგებიან პოზიციას არჩევდა.

კიბის საფეხურებთან ვიღაცამ საბურავების ღრჭიალით მანქანა დაამუხრუჭა, ისე ძლიერად დააქნევინა ცხვირი, წინა ნაწილი საფეხურებზე დაარტყა. ჰამლეტმა კარები მხიარულად გამოაღო, გვერდით მჯდარ მოპრანჭულ გოგოს ხელი დარდიმანდულად დაუქნია, ჰაეროვანი კოცნა გაუგზავნა უდარდელი კაცის ღიღინით და სახეზე კმაყოფილი ღიმილით კიბეს აუყვა. მარჯვენა ხელის საჩვენებელ თითზე ლამაზძეწკვიანი გასაღების ტრიალით ნოეს კაბინეტის მოსაცდელში შეჯიბრებაში გამარჯვებული ფალავანივით შევიდა.

– გამარჯობა, კეკლუცო! – მდივან გოგოს მოღური ჟესტით მიესალმა.

– გამარჯობა, ჰამლეტ, როგორა ხარ? – გოგომ გაიხარა.

– ვართ რა.

– რამდენი ხანია ჩვენსკენ არ გამოგივლია, მანქანით ხარ?

– ეგღა მაკლია, ამხელა გზაზე ფეხით ვიჩანჩალო.

– სამუშაოს დამთავრების შემდეგ მე და ჩემს დობილს არ გაგვასეირნებ? ისიც იცი, როგორი სვეტია; რომ გაიცნობ, გადაირევი.

– გადავირევი და ორივეს მოგივლით, მინდორში მწვანიანზე გაკოტრიალებთ.

– კარგი რა, ჰამლეტ, ესე როგორ შეიძლება?!

– მაშინ ქალაქში რომ ჩამოხვალ, გადმომირეკე და ჩემს ხავერაში ვისიამოვნოთ. ის შენი დობილიც წამოიყვა, ორივეს თუ ვერ მოგივლით, ამხანაგებს მოვიხმარებ.

– ჰამლეტ, ასე უხეშად ნუ მელაპარაკები, სხვანაირად არ შეგიძლია?

– ყველანაირადაც შემიძლია. ერთი ტიპი მყავს მანქანაში, თავი მომაბეზრა, ერთთან დიდხანს არ მიყვარს ხოლმე, იმას სახლში მივიყვან და ამაღამ შენ გაგისინჯავ გემოს.

– ჰამლეტ, ასე არ გეკადრება, ქუჩის ქალი ხომ არ გგონივარ?!

– ქუჩა არა, მაგრამ ლოგინის ქალი კი მგონიხარ.

გოგო სასტიკად განაწყენდა. ჰამლეტმა კი ჩვეულებრივი უდარდელობით ჰკითხა: – თავმჯდომარე აქ არის?

– რათ გინდა?

– ოთხი თვეა ხელფასი არ ამიღია, ცოტა მაყუთს მომცემენ და მერე ჩვენ ვიცით.

– შენ ისევ აქ მუშაობ?..

– ვმუშაობ, თორე, სირცხვილით ვერსად ვერ ვამხელ. მალე უნივერსიტეტს დავამთავრებ და სადმე პროკურორად რომ გამოვიჭიმები, მაშინ ნახავ, ჰამლეტი რა ბიჭია.

– თუ ხელფასი გინდა, რატო მოლარესთან არ მიხვალ?

– ეგღა მაკლია, მოლარეს ვეღრიჯო. თვითონ ნოე გამოუძახებს და მოწიწებით ჩამაბარებს.

– ვა, ეგრეა? – გოგო ნაწყენი იყო.

– ჰო, ეგრეა. გაემზადე, ლამაზო, საღამოზე ხომ იცი, უბრალო ვინმესთან კი არა, თვითონ ჰამლეტ ყარამანიჩთან მოგიწევს გორაობა, – გოგოს ამობურცულ მკერდზე და საჯდომზე ხელები მოუსვა; განაწყენებულმა გოგომ ხელი უბიძგა.

– სიცოცხლე, ბატონ ნოეს! – შორიდანვე დარდიმანდულად მიესალმა.

რაიონში მოსალოდნელი ცვლილებების მოლოდინის გავლენაში მყოფი ნოე მაგიდასთან თავჩაღუნული იჯდა. ზედმეტი ჭამაყლაპისაგან მოთენთილი სხეული ძლივს ასწია, წამოდგომა დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა. მაღლა ნელა აიხედა და ნაბახუსევი თვალებით, რომლის უპეებზე პატარა ტომსიკები გასჩენოდა, მისკენ მხიარულად მიმავალ ჰამლეტს მიაჩერდა. სალამზე პასუხი არ გაუცია, ცივად ჰკითხა:

– რა გნებავთ?

ჰამლეტი დაიბნა, ამგვარ მიღებას ჩვეული არ იყო. ნოე სულ საყვედურობდა, არა გვკადრულობ, იშვიათად გვაკითხებო. მერე აუცილებლად პურმარილზე დაპატიჟებდა, ეს თუ არ მოხდებოდა, მანქანამდე თვითონ მიაცილებდა და ყარამანთან აუცილებლად თბილ მოკითხვას დააბარებდა, თანაც რაიმეს წაიენამახვილებდა; არ დამივიწყოო, სთხოვდა და ყურებამდე გაღიმებული გააცილებდა.

– ნოე ბატონო, იმაზე შემოვიარე...

– რაზე? – ნოემ მკვახედ და ყინულგარეული ხმით ჰკითხა.

– მე ხომ... – ჰამლეტი დაიბნა.

– რა მე ხომ?

– თქვენთან იურისტ-კონსულტად ვმუშაობ.

– იურისტ-კონსულტად? – ნოემ დამცინავად გაიმეორა.

– თქვენთან მამაჩემმა, ყარამან ვასილიჩმა დიდი მოკითხვა დამაბარა, თანაც, როცა დრო გექნება, აუცილებლად შემოიარეო, – უცებ ამის მოფიქრება მოასწრო.

– სად შემოიაროსო, რა მინდაო, ჩემთან საერთო რა აქვს?! სად მამაშენი ყარამანა და სად მე!

– ჩვენ ძველი მეგობრები ვართო, – ჰამლეტმა საქმის გამოსწორება სცადა.

– კარგი, კარგი! მამაშენის მეგობარი ვინ არის და ვინ არა, ყველამ კარგად იცის! შენ აქ რაზე მოხვედი?!

– ხელფასის ასაღებად.

– ბიჭო, ჯერ მიწას არ ამოგლიხარ და აქედანვე ცხოვრებას პარაზიტობით იწყებ?! რა ხელფასს თხოულობ, როცა სამუშაოდ ერთი დღეც არ გამოსულხარ. შენგან რა იურისტი გამოვა! ვაი იმ კანონს და სამართალს შენი და შენი მსგავსი ადამიანების ასაზომ-ასაწონი რომ იქნება! მამაშენმა ყარამანამ ამ ქვეყანას რაც დააკლო, ისეთი ლეკვი დაგაგდო, რომ ერთი ათად გადაათავებ! – ზარის ღილაკს ხელის გული დააჭირა.

შეურაცხყოფისაგან სახეაჭარხლებული მდივანი გოგო შემოვიდა.

– მოლარე და ბუღალტერი შემოვიდნენ! – ნოემ უბრძანა და დაწყებული დატუქსვა გააგრძელა: – ბიჭო, ნამუსი სად დაკარგე?! იმ უნივერსიტეტში მაგას

გასწავლიან, რომ არ იმუშაო, ყალბად გაფორმდე და ხალხის ოფლით შექმნილი დოვლათი პარაზიტივთ შეირგოო? მოიცა, იქნებ მითხრა, იმ სასწავლებელში შენი მსგავსი ბევრი სწავლობს?

ჰამლეტს გაკვირვებისაგან და შიშისაგან ჩანა ჩამოუვარდა, ფერი დაკარგა და თვალებგაფართოებული შეჰყურებდა გაუთავებლად მოლაპარაკე ნოეს.

– აფსუს, რამდენი შენი მსგავსი გაძვრება კანონის და სამართლიანობის სადარაჯოზე. მართალ კაცს რამდენი შენისთანა გაუმწარებს სიცოცხლეს; დამნაშავეს კი მხარში ძმასავით ამოუდგება! პირზე რძე არ შეგშრობია და უკვე მამაშენის გზას ადგახარ; ყაჩაღობით გინდა გაიტანო ლელო! – ნოე ახლა უკვე ყვიროდა.

კაბინეტში შემოსულ მოლარეს და ბუღალტერს მდივანი გოგოც შემოჰყვა და იქვე გაჩერდა.

– ეს ახალგაზრდა კაცი აცხადებს, რომ თქვენთან იურისკოსულტად ვმუშაობ და ხელფასი მომეცითო. ეს ტიპი ჩვენს ტერიტორიაზე გინახავთ? ან შტატში ასეთი თანამდებობა გვაქვს? – ჰკითხა.

– ნოე ზაურიჩ, შტატი მაგის გულისათვის დავუშვით. რამდენჯერ შენს კაბინეტში გადავეცი ხელფასი, – მოლარემ მოახსენა.

– გადაეცი და იმ თანხას შენი კისრიდან ამოვიღებ! – ახლა ბუღალტერს მიუბრუნდა: – არ იცოდით, რომ ეს ყალთაბანდი სამსახურში არ ცხადდებოდა, ხელფასს რატომ უწერდით?!

– თქვენი დავალებით, ხომ იცით, ვინც არის, – ბუღალტერმა სიტყვის თქმა გაბედა.

– ვინც არ უნდა იყოს, თუ ამის მამა ყარამანი გყავს მხედველობაში, პირველ რიგში იმან უნდა დაიცვას კანონი და სამართალი, ის კი პირიქით, ათას ოხრობას გვახვევდა თავზე!

– ახია მაგაზე! – მდივანი გოგო ნიშნის მოგებით ჩურჩულებდა.

– რამდენი თვის ხელფასი არ აგიღია?

– ოთხი-ხუთი თვის იქნება ალბათ.

– სამუშაოზე გამოუცხადებლობისათვის იმ რიცხვიდან დაწერეთ ბრძანება მოხსნის შესახებ. ამონაწერი უნივერსიტეტს გაუგზავნეთ; იქნებ ამით მაინც მოვაცილოთ მართლმსაჯულებას ერთი მომავალი სამართლის მაგინებელი.

– ეგაც შენ, თავხედო! – მდივანმა გოგომ ხელი ხელს შემოჰკრა და კაბინეტიდან გავიდა.

მალე ცივ წყალში დასველებული წიწილასავით ამობუზული ჰამლეტიც მიჰყვა, წინანდელი თავხედი სითამამე სულ გაჰქრობდა; ფეხების ფლარტუნით მდივნის ოთახიდან ძლივს გავიდა.

– ნებიერო, გეტირა დედა?! ამის შემდეგ მაინც ისწავლი ჩემისთანა ადამიანებთან თავაზიან მოქცევას! – მდივანმა გოგომ ჩაილაპარაკა და მაშინვე ფანჯარას ეცა, აინტერესებდა, მანქანაში როგორ ჩაჯდებოდა.

ჰამლეტმა კიბეები დაბნეულმა ჩაიარა. რამდენიმე ადგილას ისე წაიბორძიკა, კინაღამ კისერზე გადატრიალდა. მანქანაში მჯდარ გოგოს მხიარულ კისკისს ყური არ ათხოვა, შეიძლება ვერ გაიგო, გონება ისე ჰქონდა არეული. მანქანა ნელი სვლით უკან ფრთხილად დასწია და ისე წავიდა, თითქოს დაკრძალვის პროცესიას მისდევსო.

# უარესი ძალადობის მოლოდინში

**ბაზრის** რესტორნის ცნობილ კუპეში ოთხნი შეკრებილიყვნენ. გურამი თავის ჩვევას არ ღალატობდა, ბიჭებთან სუფრაზე საკუთარი ადგილი ჰქონდა, მაგრამ სხვების მომსახურებასაც ასწრებდა.

ბიჭები მოწყენილები იყვნენ; ეს პურმარილი კი გაბოს მაღარიჩი იყო. წყალტუბოდან ნელის წერილი მიიღო. თავის ტკივილი აღარ აწუხებდა, საერთო ფიზიკური მდგომარეობა გამოსწორებულიყო; წერილის ბოლოში ნელის დედაც უთვლიდა მოკითხვას.

– სასიდედრომაც გაღიარა, მეტი რაღა გინდა, – ჩვეული მხიარულების გარეშე უთხრა მოწყენილმა ჯემალმა.

– როგორი საქმეა, ბიჭმა საცოლე ქაჯეთის ციხიდან იხსნა, განა შეიძლება ასეთი ადამიანი არ აღიაროს? – გურამმა თქვა და ჭიქაში ღვინო დაისხა. – მე ცოტახანს გავალ, მანამდე კი ნელის გამოჯანმრთელების სადღეგრძელოს დავლევ; უფალმა ამ ბედნიერი წყვილის ქორწილს შეგვასწროს და ჩვენებურად მოლხენის საშუალება მოგვცეს ამ გადარეულ წუთისოფელში, – ჭიქა ბოლომდე გამოცალა და გარეთ გავიდა.

– კარგი რამ თქვა ამ მომთაბარე, თვითმარქვია თამადამ, – რეზომ ნელი გაბოსთან ერთად ადღეგრძელა, ჭიქა სანახევროდ მოცალა. ასევე მოიქცა ჯემალი. ხასიათზე არ იყვნენ. დამარცხებული არმიის გადარჩენილი ჯარისკაცებივით ისხდნენ და გადახდილი ბრძოლის ამბებს იხსენებდნენ.

– ჯიმშერა რუსეთის კოლონიაში ზელავს ცივ ტალახს. ნამდვილად მეცოდება ჩემმა მზემ, მაგრამ ჩვენ რომ არა, უამრავ ადამიანს გაუმწარებდა სიცოცხლეს შხამმოწოლილი უხსენებელივით, – ჯემალმა ჭიქაში ღვინო დაისხა: – მოდი, ბიჭებო, ჯიმშერას იქ გაუმარჯოს, თუ კაცურიკაცობის და ადამიანობის გზაზე დადგომას აპირებს, – ჭიქა ბოლომდე გამოცალა.

– ეგრე იყოს! – დანარჩენები კომენტარის გარეშე დაეთანხმნენ.

– ძალიან გულჩვილი გახდი. როგორ იტყვი, ყარამანის დამღადარტყმული დუმა და ზოსიმეს გრაბლით დაცხრილული საჯდომიც ხომ არ ვადღეგრძელოთ? ხომ შეიძლება ეგენიც გამოსწორდნენ და რამდენი უკანალზე ხელს მოისვავენ, საქალეთი კუდიანების ღრეჭად მოეჩვენოთ, – რეზომ წინადადება შემოიტანა.

– მაგათი გამოსწორება აღარ შეიძლება, ეგენი საფლავში ბოროტებით და ღვარძლით გატენილები ჩავლენ. ამბაკომ ყანამანს რომ შეუტია და მის დუმაზე დამღის შემოწმება მოითხოვა, ყარამანმა იმ ღამეშივე ბულდოზერი მიაყენა ტყის სახლს და ხრამში გადაუძახა, ახლა ის ადგილი ღორების ნათხარს ჰგავს. ყარამანს რესპუბლიკის პროკურატურაში ვიღაც მაგარი მფარველი ჰყოლია, მოასწრო და ყარამანი თავისთან გადაიყვანა, – განმარტა გაბომ, – აბა იქიდან დააფრენს უკულმართობის და ცოდვის ბარტყებს.

– იქაც გაიცნობენ, რა ჩიტია.

– თუ სხვებიც მაგნაირები არიან, უკვე გაცნობილი ეყოლებათ.

– სანამ იმ დიდ მფარველს დედა არ ეტირება, სულ ეგრე იფარფაშებენ ყარამანის მსგავსი ავი სულები, მაგნაირები კი იმ უკულმართ მფარველს, საქართველოში შავ მზედ რომ ამოდის, ბევრი ეყოლება.

– ეყოლება აბა რა. ყარამანის მაგიერ ისეთი გამოუგზავნიათ, ამბობენ, ყარამანი იმასთან ფრთებიანი ანგელოზი იყოო.

– გიშველა ღმერთმა, გასართობი არ მოგვაკლდება, როგორც ნიანგის ხა-

ხაში გამომწყვდეულ ბურვაკს.

– ზოსიმეც მაშინვე სამინისტროში გააქანეს, ამგვარი კაცები ძალიან გვჭირდებაო.

– ყარამანს და ზოსიმეს საჩივარი დაუწერიათ და ამბაკოს ედავებიან თურმე. ეგენი იმ ჯიშის ძაღლები არიან, ერთმანეთის ძვალ-რბილს სიამოვნებით რომ გლეჯენ.

– საინტერესოა, ედუარდ შევარდნაძემ ამდენი თავისი მსგავსი საიდან შეაქუჩა და მერე საქართველოს მკბენარივით შეუსია.

– ედუარდმა ადამიანში მიძინებული მხეცი, პარაზიტი, უხსენებელი, მორიელი, ვამპირი და კანიბალი გააღვიძა. ვისაც ნებისყოფა, კაცური-კაცობა, სინდისი, ზნეობა, კაცთმოყვარება და ყველაფერი, რაც ადამიანში სულის სისპეტაკეს ალამაზებს, საკმარისი დოზით შემორჩა, შეძლო თავის შეგნებაში ამ უბედურების მოხრჩობა, ქვეყნის და თავისი ხალხის სიყვარულის დონეზე ამაღლდა; ვინც ეს ვერ შეძლო, ან არ ისურვა, თავისი ქვეყნის, ერის, პატიოსანი ადამიანის უბედურებით გამძღრები ღვარძლის, ვერაგობის, უზნეობის და ღორმუცელობის ტალახში ფართხალებენ. თუ სადმე წმინდა, სუფთა და ზნემაღალი ადამიანი ნახეს, სპობენ; ვაი, რომ ეს პროცესი უფრო საშინელ ენერგიას იძენს, – გაბომ თავისი მონოლოგი დაამთავრა და უიმედოდ ჩაიქნია ხელი.

– ეხ, ბიჭებო, ქვეყანა განუკითხაობის ბაზრად აქციეს. თუ სადმე სიკეთის, პატიოსნების, სიმართლის თესლი ნახეს, დაუზოგავად სპობენ.

– ამ ქვეყანას ედუარდ ამომავალი შავი მზის ბარტყები დაანგრევენ და ხალხს უბედურებაში შეყრიან.

– არა უშავს, ის დროც მოვა, მაგათ დარბევას რომ ენახავთ, – ჯემალმა ოპტიმისტურად თქვა და ჭიქაში ღვინო დაისხა.

– როდისღა მოვა ის დრო, როცა ერთ არამზადას თუ მოსპობ, მის ადგილზე სხვა უარესი არ გაჩნდება, თანაც  მრავალი.

– რა გინდა, წვრილფეხობა ხომ ამოვძირკვეთ.

– ვინ გყავს მხედველობაში?

– ლუა-ღადალა, სარას ვათქმევინე იმ სამინისტროდან ჩამოსულ კაცებთან, მოპარული ღორი შეგვიჭამაო და გამოუკვანძეს კიდეც ბოლო, მილიციიდან გააგდეს, ამას წინათ ბირჟაზე შემხვდა, ვურჩიე, ჩემთან პომოშნიკად წამოსულიყო, თანაც ჩემებურად გავათახსირე; ქათმის ქურდივით გაიძურწა იქიდან, – ჯემალს პირველად გაეღიმა.

– როგორც ფლიდს და უქნარას,  ყველა ერიდება. მგონი სასაფლაოს ყარაულად დამდგარა.

– ენდობა კი ეგ საქმე, საწყალი მკვდრები!

– რა უნდა ქნას, სულებს ხომ ვერ მოიპარავს; ბევრი-ბევრი მესაფლავეებს ჭირისუფლების მიერ მოტანილი ტაბლა შეუჭამოს.

– არც ის არის გამორიცხული, სხვის საფლავში ჩაწვეს.

– თქვენ ახალი ამბავი არ გაგიგიათ? ლუას სიმამრს ამბაკოს ახლობელი კაცი მოუნახია, ბლომად ფული მიუტანია, სამინისტროდან ზოსიმეც მიხმარებია და ახლა ჯიმშერას ადგილზე განყოფილების გამგედ მოგვევლინება, – ჯემალს მწარედ გაეცინა.

– აბა, ახლა იქნება განუკითხაობის ოთურმა, თორე ადრე რა უჭირდა.

– ერთხანს კი კრაზანების ბუდესავით აიშალნენ; დიდი მეგობრობა დიდ მტრობად ექცათ. ეგრეა, როცა მეგობრობის ნიღბის ქვეშ ანგარების და კარიე-

რისტის ცოფიანი სიფათი იმალება. მიწა კი მაშინ ეძრათ, გიორგი საყვარელიძეს რომ შეუტიეს. სიმართლესთან ჭიდილი ნაძარცვი ქონების რწყევად ექცეოდათ, თვითონ ცეკას პირველი მდივანი ედუარდ შავი მზე რომ არ ყოფილიყო ხალხის მოღალატე, ყველაზე დიდი მომხვეჭელი, პირმოთნე და სატანის მოციქული. ბევრი თავი აბია ამ უკუღმართი ცხოვრების გველეშაპს; ყველას მოკვეთას დიდი ბრძოლა დასჭირდება. ეს ურჩხული მართალი და პატიოსანი კაცის ხორცით იკვებება, ამიტომ გიორგი საყვარელიძეს ეგრე უტევენ.

– მასთან ბრძოლაში ერთმანეთიც კარგა გვარიანად დაკბინეს, მაგრამ რა, ერთი მოცილებული ჭირის ადგილზე სხვა უარესი ჯდება.

– ეს იმიტომ, რომ სათავეში გველეშაპი ზის, იმის მოსპობას კი ხალხის გამოფხიზლება სჭირდება, ვაი, რომ დაშინებული და დაბეჩავებული ცხვრის ფარად ქცეული მოთმინებით იტანს ქვეყნის დამაქცევარ არამზადას.

– განა გასაკვირი არ არის, ირაკლი ფირაშვილს მადლობის მაგიერ საყვედური რომ უთხრეს და მერე სამსახურიდანაც გაანთავისუფლეს, არაკაცებმა სამაგიერო გადაუხადეს. რაიონში კაცი აღარ დარჩა სიმართლის დაცვა რომ შეეძლოს; აქაურობა არამზადებით გაივსო.

– გიორგი საყვარელიძე რომ ყოფილიყო, არც ზაური ასანიშვილი გაიქცეოდა მექრთამის დაბრალების შიშით; ვერც ზაქროს გააფრთხობდნენ მოკვლის მცდელობით.

– ჩვენ ხომ გავიბრძოლეთ, რაც შეგვეძლო.

– ყარამანზე რომ ამბობენ, ხომ მართალია, – თქვა რეზომ.

– მაშინ მე და გაბო ვმორიგეობდით. უცებ ვერაფრის მოფიქრება ვერ მოვახერხეთ. სახლში რომ შევიდა, ცოტახანში კიდეც მისი ღრიალის ხმა გავიგეთ. მოკვანტილი რომ გამოვარდა და სიდენიაზე შარვალჩახდილი გადაეკიდა, დავინახეთ, ვენერამ მისი კოსტუმი, ჰალსტუხი და რაღა-რაღაცეები მძღოლს რომ მიაწოდა, ეგაც ჩვენ თვალწინ მოხდა. რაც შეეხება დუმაზე დამღას, შეიძლება ცოლსაც უმალავს, ჩვენ კიდევ იქამდე არავინ მიგვიშვებს, დუმები რომ გავუკონტროლოთ. ისევ ვენერამ შეუყარა ქვეყანა; იმ რვეულის ავტორს რისა უნდა რცხვენოდეს, მეორე დღეს დათიკომ ამბაკო მდივანთან რომ აიტანა. ეხ, დათიკომ სცენარი ჩაგვიშალა, თორემ ყველას მოუწევდა საჯდომზე დამღა; არც ყარამანი გაძვრებოდა ეგრე იოლად, გარეთ ხალხმრავალ დახვედრას მოვუწყობდით, – ჯემალმა სინანულით თქვა.

– დათიკოს ვენერა კინაღამ მოუკლამს, ხმა კრინტი არ დაძრაო. ჰოდა, მას შემდეგ ვენერაც გაიძახის, არაფერი მომხდარაო.

კუპეში გურამი შევიდა, ჭიქაში ღვინო დაასხა და თქვა.

– დალიეთ, ბიჭებო, თქვენთვის სახლიდან მოვიტანე, სულ სისხლში მიდის, რაც მთავარია, თავის ტკივილი და გულის რევა არ იცის.

– გულის რევა ღვინომ კი არა, ტიგრანამ იცისო, თურმე.

– იმას ცოლის დაგირავებაც არ ეშლება, იგრე დადიან ხელიხელჩაკიდებულები, თითქოს ზოსიმე გარაჟში გატიტვლებულ მაყვალასთან ღლაბუცში კი არა, დანგრატის ქურდობაში მიეტანებინოს.

– გაბოს მეზობელი დათიკოც თავის ცოლს თურმე სულ დაუშაქრდა. გაკვირვებული ყოფილა, რა ცოლი მყოლია, მთელი რაიონის კაცები გადარია, მე კიდევ თელავში ყუთების ზიდვით კუჭი მქონდა ჩაბრუნებულიო.

– ახლა გვერდიდან აღარ სცილდება; ფანჯარაშიც თვითონაა გადმომდგარი წყლიანი გრაფინის ნაცვლად.

– ყარამანის მოსვლას თუ ელოდება, – ბიჭებს სიცილი აუტყდათ.

შეთვრნენ, მაგრამ ძველებური მხიარული განწყობილება აღარ ჰქონდათ.

– გაგვიჭირდება ბიჭებო, ამ უთანასწორო ჭიდილში ყველაზე ძლიერი მხარდამჭერები დავკარგეთ, მაგათ კი შავი მზე ახალ-ახალი არამზადებით ამარაგეს, – მოიჩივლა გაბომ.

– წვრილფეხობაღა დავრჩით, მაგრამ ძმობაში და ერთმანეთის გატანაში ვერავინ შეგვედრება; მოსახდენი კი მოხდეს, ჩვენც რაც შეგვეძლება გავიბრძოლოთ, – ჯემალი ადგა და ჭირისუფლის ტონით გააგრძელა. – ბიჭებო, მოდი, კრეჭო-კოლას შესანდობარი ვთქვათ. მართალია მთელი თავისი ცხოვრება უკუღმართად გაატარა, მაგრამ ის, მახინჯი და სუსტი კაცი თავის გამწბილებელს პატიოსნად შეაკვდა! – ფეხზე ადგნენ და სასმისები მდუმარედ შესვეს.



# ბედის მასხარა

# ბედზე მონადირე მასხარა

**წინ** ვირი მიდიოდა, ზურგზე ხურჯინივით გადაკიდებული, სამკაპა ხისგან შეკრული. ძირწამახვილებულ საკოკეებში ორი კოკა ირწეოდა. საკოკეები ორ ადგილას წვრილი თოკით იყო გადაბმული: კოკა საიმედოდ იდო ამგვარ ბუდეში. უკან ბიჭი მიჰყვებოდა. მარჯვენა ხელში სახრე ეჭირა, მარცხენა შარვლისთვის ჩაევლო, ეშინოდა, არ ჩასძრომოდა. ხმარებისაგან გაცრეცილი შარვლის მარჯვენა ტოტი ფეხის კოჭებს ზევით სამი თითის დადებაზე თავდებოდა, სხვადასხვა ზომის ჩამოჭრილი ბოლოები დაჰკიდავდა; მარცხენა კი ზედ მუხლის თავთან ჰქონდა შემოხეული, რამეთუ მის უსწორმასწორო ბოლოს შემოჭრილი არ ეთქმოდა. თუთის მხრალი, რომელიც ქამრის მოვალეობას ასრულებდა, გახმა, გაკვანძისას გაწყდა და ახლა მარცხენა ხელს ქამრის მოვალეობა დაეკისრა. წელს ზევით შიშველა ბიჭს მზე მუქი ჭუჭყისფრად მოჰკიდებოდა; შავი, ქონისგან ერთმანეთზე მიწებებული, გაბურძგნული, სავარცხელუნახავი თმა თავზე მეცხვარის ქუდივით ეხურა; თვალებში შიშნაჭამი მორჩილების ნალველი ჩასდგომოდა, მუდამ სხვის დავალებას მიჩვეულს ღუნე, უფერული სიცოცხლის სხივი უკრთოდა.

მიდიოდა ბიჭი რიყის ქვებით დაფარულ ბილიკზე, მისდევდა ვირს, იქნევდა სახრეს; ერთადერთი სურვილი ჰქონდა მხოლოდ: წყალს რომ მიიტანდა, ცოტახანს დამჯდარიყო და დედინაცვლის მიერ მიწოდებული ორცხობილას შეჭმა მოესწრო, ვიდრე კოკებს დაცლიდნენ და მორიგ რეისზე გაუშვებდნენ. თავისი ბედით კმაყოფილი არავის და არაფერს არ ემდუროდა, უმაღლეს ბედნიერებას კი მაწვნის შეჭამანდით სავსე თიხის ჯამთან განიცდიდა, რაც კვირაში ორჯერ მაინც ესტუმრებოდა ხოლმე. როცა პირამდე სავსე ჯამს დაუდგამდნენ, ეგონა, სამყარო მის გარშემო ტრიალებდა. იმთავითვე ერთი უსიამოვნო შეგრძნება აეკვიატა, კერძის გათავებისას რომ უჩნდებოდა – დარჩენილ რამდენიმე კოვზს გულის კანკალით ხვრეპდა, თუ დედინაცვალი ჯამს ახლიდან შეუვსებდა, მაშინ ადამიანთა მოდგმის უბედნიერესი წარმომადგენელი იყო.

არაფერი ადარდებდა, სულ ღიღინით დადიოდა, რას ღიღინებდა, ან რომელი სიმღერის ნაწყვეტი იყო, ამას ვერც მსმენელი გაიგებდა და არც თვითონ აინტერესებდა, ღიღინებდა და გადაბმული ოოო, უუუ, სასიამოვნოდ უღიტინებდა მიძინებულ გრძნობებზე. ბოლოს სტვენაც ისწავლა. მოკლედ, სულაც არ იყო მოწყენით. რომ დაიბადა, თვით ადამზეც მდიდარი იყო, შარვალი ეცვა, რომელსაც თუთის მხრალი შეაწყდა და ახლა ხელით ეჭირა...

სახრეს მიიქნევდა, სტვენას ცდილობდა, ვირის გარეკვაზე არა წვალობდა, რადგან სახედარმა თავისი საქმე იცოდა.

მზით გარუჯულ გორის თხემზე მოექცა, შეჩერდა, ქარი ამოიღო. მარცხენა ხელი დაეღალა, მარჯვენა შეაშველა, ახლა სახრე მარცხენა ხელში ეჭირა, მარჯვენა ქამრის მოვალეობას ასრულებდა.

სოფელს მიუახლოვდა. ღობის კუთხეში თუთის ხე დაინახა, შეაფოფხდა. შარვალი მუხლებამდე ჩაუცურდა, ტრუსი არ ეცვა. ახლომახლო ადამიანის ჭაჭანება არ იყო. შარვლის აწევა აღარ უცდია, ორივე ხელით ტოტს ეჯაჯგურებოდა. ნორჩი ყლორტი ჩამოხლიჩა, იქვე თხრილის პირას ჩამოჯდა, ჯიბიდან ჯაყვა ამოიღო, ტოტი გაასუფთავა, აამხრალა, ქამრის მაგიერ მოიჭირა, გადაკვანძა, ყოჩაღად წამოხტა და გზა სტვენით განაგრძო.

ერთ ხელში სახრე ეჭირა, მეორე – თავისუფალი ჰქონდა; მხრალმა მისი

ხელი გამოანთავისუფლა, შარვალი აღარ სძვრებოდა. გზა და გზა ქვებს იღებდა და ისროდა. გახარებული იყო.

მედუდუკე კოლას სახლს ჩაუარა. დოლ-გარმონის ხმა მოესმა, იქვე მიდგმულ დიდ თეთრ ქვაზე ჩამოჯდომა დააპირა, ხშირად იჯდა იქ, კოლას დასტის ვარჯიშს უგდებდა ყურს, მაგრამ ვირი შორს წასულიყო, დაყოვნება აღარ შეიძლებოდა, უმისოდ მივიდოდა სახლში და კარგ დღეს არ დააყენებდნენ; გაბრაზებული, მუშტმოღერებული გაეკიდა ვირს...

მეორე წასვლაზე ჭკუა იხმარა: ვირს თოკში მოჰკიდა ხელი, თეთრ ქვაზე ჩამოჯდა და კოლას დასტის ვარჯიშს დაუგდო ყური. მეღოლეს, ეტყობა, კარგად არ გამოსდიოდა სიმღერა, ერთსა და იმავეს იმეორებდა, ვიღაცა დარიგებას აძლევდა. ბოლოს, როგორც იყო, დოლ-გარმონი აახმიანეს, დუდუკიც აჰყვა. ბიჭს სიამოვნებისგან გააჟრჟოლა:

ტრაღიკულად დაიღუპა,

გაქრა მისი ჩრდილი,

ვაი, რა უბედურია

დედისერთა ლილი!

მღეროდა მეღოლე და დროდადრო წკიპურტებს როგორ ურტყამდა დოლს, ბიჭს წარმოდგენილი ჰქონდა. ვარჯიში დაამთავრეს, ახლა ხმამაღალი კამათი და ყაყანი ისმოდა.

ბიჭმა ვირს კისერზე თოკი დაახვია, კარგად ჩაუკვანძა, რომ არ მოთრეოდა და ცნობილ წყაროს გზას გაუდგა.

დაბლა, ხრამში, ყინულივით ცივი წყალი მოჩხრიალებდა ღარდატანებულ კრამიტზე. ბიჭმა ერთი კოკა შეუდგა გასავსებად, მეორე კი მუხლზე დაიდო და იმ მეღოლის მსგავსად დაკვრა სცადა. პირველი კოკა წყლით გაივსო, ცარიელით შეცვალა. ახლა სავსე კოკაზე სცადა დაკვრა, ხელებს გამეტებით უტყაპუნებდა; კოკამ ვეღარ გაუძლო, გადაყირავდა და გატყდა, დაიმსხვრა. ბიჭს ელდა ეცა, ხასიათი წაუხდა. დიდხანს იჯდა დაღონებული, ბოლოს ადგა, მთელი კოკა საკოკეში ჩადგა, მაგრამ ვირი გატოკდა თუ არა, სიმძიმემ დასძლია და საპალნე მოეღრიცა; ძლივს უშველა, კინაღამ მეორე კოკაც გაუტყდა. რა ექნა, თვითონ აიკიდა, აღმართზე ახლა წინ თვითონ მიდიოდა, უკან ვირი მისდევდა. გაიხვითქა, დაიღალა, სულს ძლივს ითქვავდა.

აღმართი აიარა, კოკა მოიხსნა და შვებით ამოისუნთქა. იქვე ქვაზე ჩამოჯდა, მარცხენა ხელი კოკაზე ევლო, ეშინოდა, არ წაქცეულიყო. მარჯვენა ხელში მოზრდილი ქვა აიღო, გადაგდება უნდოდა, უცებ რაღაც აზრმა გაუელვა, გველნაკბენივით წამოვარდა.

ერთ საკოკეში ქვები ჩააწყო, მეორეში კოკა ჩადგა, დიდხანს იწვალა, ხან კოკა მოდიოდა მძიმე – ხან ქვები. ბოლოს როგორც იყო გაათანაბრა, ვირი წინ გაიგდო და ისეთი მედიდური ღიმილით გაჰყვა უკან, თითქოს კოკა გაემთელებინოს...

თეთრ ქვაზე იჯდა. კოლას დუდუკის ნაწყვეტ-ნაწყვეტ ჭყვიტინს ყურს უგდებდა. დუდუკს დროდადრო დოლის ბრახუნი აძლევდა ბანს. ბიჭი სიამოვნებით ილიმებოდა, დიდ ქვაზე ფეხებგადაჩაჩხული იჯდა და დოლის ტაქტზე აყოლებით ქვას ხელებს ურტყამდა. ყველაზე ბედნიერად გრძნობდა თავს – ვირი საბალახოდ იყო გაგდებული და აღარ ეჩქარებოდა, შეეძლო კოლას დასტის გაუთავებელი ჭყვიტინი დღის ბოლომდე ესმინა, მეტი რა უნდოდა, არაფერს ითხოვდა. საღამოთი მაწვნის შეჭამანდის იმედი ჰქონდა; შეიძლება ის დიდი ჯამი მეორედაც შეევსოთ, მისი ბედნიერების ჰორიზონტიც ამ მეორე ჯამთან



მთავრდებოდა.

ორღობეში ცირკის მასხარასავით ქალი გამოჩნდა. ზურგზე ჭრელი ჩანთა ეკიდა, ღიმილით და ხტუნვა-ხტუნვით მოდიოდა; ბიჭს გვერდით ჩაუარა და გაიღიმა, – ჰი, ხა, ხა, ხა! – იცინოდა ქალი.

ბიჭიც გულიანად ახარხარდა.

ქალმა მის წინ ქაჯური როკვა დაიწყო. ბიჭიც აჰყვა, ქალი გაჩერდა. ბიჭი ისევ იმ ქვაზე ჩამოჯდა. ქალი ახლოს მივიდა, შუბლში წკიპურტი მიარტყა.

– ჰი, ხა, ხა, ხა! – ახარხარდა ქალი.

ბიჭი სულელური ღიმილით შეჰყურებდა.

– არ გეტკინა? – ჰკითხა ქალმა.

– არა.

– ვერც ვერაფერი იგრძენი?

– ვერა.

– იგრძნობ, იგრძნობ! – ხელების ქნევით და ხტუნვა-ხტუნვით ქალი მოსახვევში მიეფარა.

ბიჭი აღარ ჩანდა. ქალი გაჩერდა, ჩაფიქრდა, ზურგიდან ჩანთა მოიხსნა, შიგ რაღაცის ძებნა დაიწყო. იპოვა, ამოიღო, დახედა, ეშმაკურად გაიცინა. იმ ბიჭის ბედი ეჭირა ხელში, ქალი კი ბედის მასხარა ჯადოქარი იყო. მთელ ქვეყანას ასე ოინბაზობით უვლიდა, ბედზე მასხრობდა და ჩანთაც ათასობით ადამიანის ბედით ჰქონდა სავსე. რომელნიც რაღაცის დაუოკებელი სურვილით მის გავლენის ქვეშ მოქცეულიყვნენ, ისიც ერთობოდა მათიადამიანური სახის გადაკეთებით; ახლა ეს ბიჭი ამოიღო მიზანში. საკმარისია ბიჭს ეთქვა, თავიდან მომწყდიო, რომ მისი ბედით მასხრობას ვეღარ გაბედავდა.

ბიჭი ისევ ქვაზე იჯდა, ხელებს ატყაპუნებდა და ტრაღიკულად დაღუპვას მღეროდა. თავზე ულამაზესი ქალი წაადგა, მაღალი, საუცხოოდ ჩაცმული, ლერწამივით მოქნილი, ყელმოღერებული, ქალურად სრულყოფილი, სერიოზული, ჩაფიქრებული.

– აქ რას უზიხარ, ბიჭო?! – მბრძანებლური კილო გამოკრთოდა მის შეკითხვაში.

– არაფერს, – ბიჭი წამოხტა და თითქოს რაღაც აკრძალულ საქმეზე წაასწრესო, ხელები უკან დამალა.

ქალის ანთებულ თვალებს შეხედვა ვერ გაუბედა, თავი დაბლა დახარა და შიშველა ფეხები მიწას გაუსვ-გამოუსვა.

– რა გქვია, ბიჭო? – ჰკითხა ქალმა.

– მიტრო.

– ვისი ხარ?

– მიტრო ვარ ქიტუაშვილი, ქიტუაანთ გიოსი.

– რას ინატრებდი, ამჟამად რა გსურს? რა გაინტერესებს? – ქალი ახლოს მივიდა და თავზე ხელი მოფერებით გადაუსვა.

ბიჭი კატასავით გაილურსა და თავი ისე დაიჭირა, თითქოს კიდევ უნდოდა, რომ ხელი გადაესვათ.

– რა ვიცი, – მორცხვად შეხედვა ქალს და მიწაზე ფეხების გასმას უმატა.

– თქვი, თქვი, ნუ გრცხვენია, თქვი თამამად! – გაამხნევა ქალმა.

– მედოლეობა მინდა, სხვა მეტი არაფერი, მარტო მედოლეობა მინდა, – ბიჭმა დაჟინებით გაიმეორა.

ქალმა ცბიერად გაიღიმა, ჩანთაში, რომელიც ახლა ძვირფასი ტყავისაგან

იყო შეკერილი, ხელი ჩაყო და ერთი ლოყაწითელი ვაშლი ამოიღო.

– აჰა, შეჭამე! ყველაფერი შეგისრულდება! – ქალი უცებ შეტრიალდა.

ბიჭმა ვაშლს დახედა, უნდოდა მოეკბიჩა, მაგრამ ჯერ ქალისკენ გაიხედა, ქალი აღარსად იყო, გაუკვირდა, მოჩვენებასავით გამქრალიყო. ვაშლს დახედა, ნერწყვი მოადგა, გემრიელად ჩაკბიჩა. ჯერ ლუკმა არ გადაეყლაპა, რომ მედუ-დუკე კოლა გამოვიდა ქუჩაში. ბიჭს დააკვირდა, მივიდა, თავზე დაადგა.

მიტრო ფეხზე წამოხტა.

– აქ რას აკეთებ, ბიჭო? რამდენი ხანია გაკვირდები, სულ ეგრე ზიხარ, – კოლა ხუმრობანარევი კილოთი შეეკითხა.

მიტრომ მორცხვად შეხედა და გაუბედავად წაილუღლუღა.

– დოლის დაკვრას ვუგდებ ყურს.

– გინდა დოლის დაკვრა ისწავლო?

– ძალიან მინდა.

– ვისი ბიჭი ხარ?

– ქიტუაანთ გიოსი.

– წადი, მამაშენს უთხარ, მედუდუკე კოლასთან გამიშვი-თქო შეგირდად, ფულს არ თხოულობს-თქო; მუქდად გასწავლი, აბა გავარდი! – კოლამ მიტროს ბეჭებზე ხელი წამოარტყა. ისიც თავქუდმოგლეჯილი გავარდა სახლისაკენ...

ოთხი წელი ასწავლა კოლამ მუქთად მედოლეობა. ოთხი წელი მიტრო მუქ-თად ემსახურა. ოთხი წელი რაც ახლომახლო ქორწილი და ქელეხი ახმიანდა, ან სადაც დიდი ქეიფის სუნი დატრიალდა, მოზვერი დაიკლა და ეზოში სამწვა-დე-სახაშლამე ცეცხლის ბოლი ავარდა, მიტროს გარეშე არ ჩაუვლია. კოლას ბარგი-ბარხანა ეკიდა და დასდევდა კარიდან კარზე მავალ მუსიკოსებს. ოთხი წლის განმავლობაში ნასუფრალს გემო კარგად გაუგო, არც ერთ ქორწილს და ქელეხს არ აცდენდა უპატრონო, მოხეტიალე ძაღლებთან ერთად.

გასუქდა, ცნობილი გრძელ-მოკლე შარვალი კარგა ხანია გამოიცვალა. ზოგ-ჯერ გულუხვი მოქეიფეები მასაც მიუგდებდნენ ხოლმე შაბაშს. მედოლეების ყველა საზეიმო და სამგლოვიარო სიმღერები ზეპირად იცოდა, მღეროდა კი-დეც, დოლსაც უკრავდა. მოკლედ ერთი ნაბიჯიღა ჰქონდა დარჩენილი, რომ უმაღლეს ბედნიერებას ზიარებოდა – ნამდვილი მედოლე გამხდარიყო.

მედუდუკე კოლა არ ჩქარობდა. თავისი შვილი კარგი მეგარმონე დადგა, დუდუკსაც, არა უშავს, უკრავდა, სიმღერაზე კი მწყრალად იყო, ვირის ყროყი-ნის მსგავსი ბგერები ვერაფრით ვერ დაიმორჩილა. მედოლე ტარასა კოლასა-ვით ბერდებოდა, მთელი ღამე დოლის დაკვრას და სიმღერას ველარ უძლებდა (ტარასა ისე ვთქვი, თორე სუყველას მისი ნამდვილი სახელი დავიწყებოდა, „შენ დაუკარ“-ს ეძახდნენ). თამადა სადღეგრძელოს რომ დაამთავრებდა, მათ-კენ გაიქნევდა ხელს და „შენ დაუკარ“-ო გიჟმაჟურად გადასძახებდა. ტარასას და კოლას ტუში მზად ჰქონდათ, მერე კი ტარასა რომელიმე გულის ამაჩუყე-ბელ სიმღერას ჩააგალობებდა. ბოლო დროს კი კოლა ატყობდა, რომ ტარასას სიმღერაზე ახალგაზრდები დამცინავად იღიმებოდნენ, შაბაშმაც იკლო; დროზე თუ არ იღონებდნენ რაიმეს, საქმე აუცილებლად წაუხდებოდათ.

ერთხელ, როცა გახურებულ ქეიფში ტარასას ხმა სულ ჩაეხრინწა, მიტრო კოლასთან მივიდა და ყურში ჩასჩურჩულა:

– კოლა ძიავ, მაიტა ერთი მე ვცდი, იქნება რამე გამამივიდეს, თორემ იგრე არიან გაბრაზებულები, იქნება კინწისკვრით გაგვყარონ, დოლი და გარმონი კიდენა თავზე დაგვაფხრიწონ.

კოლას ამ ბიჭის ეგრე უცებ გამომზეურება არ უნდოდა, მაგრამ რა გაეწყობოდა, აშკარა იყო, მიტროს ნათქვამს ახდენა ეწერა.

პირველმა სიმღერამ ჩვეულებრივ ჩაიარა, არავითარი ემოციები არ მოჰყოლია. მოქეიფეები მერე მიხვდნენ, რომ ეს ახალგაზრდა მედოლე „შენ დაუკარზე“ კარგად მღეროდა; მიხვდნენ და აავსეს შაბაშით კოლას ყულაბა.

ერთი ღიპიანი კაცი რაცრაცით წამოდგა, ორმოცდაათმანეთიანს დააფურთხა, მიტროს შუბლზე მიაკრა და ჩახლეჩილი ხმით დაიძახა:

– აბა, ბიჭო, თმაგაწეწილი, თმაგაჩეჩილი დაიმღერე! – დაკვეთით ნასიამოვნები მხრების რხევით წავიდა თავის ადგილისაკენ.

მიტრომ კოლას გამოცდილი მედოლესავით გადახედა. კოლამ ჯერ მის შუბლზე მიკრულ ფულს დაარჭო ხარბი მზერა, მერე სიმღერის დაწყების ნიშნად თავი დაუქნია და დუდუკს ჩაბერა, მიტრომ დოლზე წკიპურტები აათამაშა, ყელი მოიღერა და სიმღერა დაიწყო... ყველა სულგანაბული უსმენდა.

– ვახ მე! – ვიღაცამ ამოიგმინა და გულზე მუშტები დაიბრაგუნა.

– ჯვარისწერის დღეს თავს არ დავზოგავ,

ეკლესიაში შამოვიჭრები,

მე ჩემს მეტოქეს გვერდით გამოვწევ,

იმის ადგილზე მე გავჩერდები, – მღეროდა მიტრო.

– დაიწვას შენი დამწველი! – ერთმა წამოიძახა.

– ჰაი, დედასა, ბიჭო! – მოჭარბებული გრძნობებისაგან ცრემლმორეულმა კაცმა თავი ვეღარ შეიკავა.

მიტრო სიმღერას ამთავრებდა:

თმაგაწეწილი, თმაგაჩეჩილი

წავალ, შენს მშობლებს მოვეჩვენები,

მათაც დავკოცნი, მათი ჭირიმე

და სიყვარულის მსხვერპლი გავხდები.

– საღოლ! საღოლ! კოლავ! ეგ რა კარგი ბიჭი გყოლია, შე გამჩენძაღლო! რა წაიღო ყურის ბარაბანი იმ „შენ დაუკარმა“, ეგრე რა, ვიქეიფოთ! – წამოდგა ერთი ახალგაზრდა კაცი, – გიჟმაჟებო! – დაიძახა, მედოლესთან ცეკვით მივიდა, ორი ოცდახუთმანეთიანი ამოიღო, რადგან შუბლი უკვე დაკავებული ჰქონდა, ფურთხით ერთი მარცხენა საფეთქელზე მიაწება, მეორე კი მარჯვენაზე, – აბა, ჯიგარო, შალახო დაუკარი! – სანამ დაკვრას დაიწყებდნენ, მან უკვე ცეკვით ჩამოუარა.

შალახო მოსწყინდათ.

– გადააბრუნე! – ცეკვის დროს ვიღაცამ დაუძახა.

– რომელზე? – კოლამ პირმოთნე ღიმილით იკითხა.

– ჩეჩნური! – იმავე ხმამ უპასუხა.

კოლამ თავის ბიჭს გადახედა. იმან გაუღიმა, მივხვდიო, აგრძნობინა და ჩეჩნურს რომ ეძახდნენ, გარმონი იმ ჰანგზე გაქაჩა, მიტრომ დოლი ააყოლა.

მიფურთხებული ფულები კოლამ ფრთხილად ააძრო და ჯიბეში ჩაიჭყუნა.

– ლეკურზე გადააბრუნე! – ცეკვით გახვითქულმა, გულგაღეღილმა კაცმა დაიძახა, ჯიბეში ხელი ჩაიყო და წითელი ათმანეთიანების შეკვრა ამოიღო. მუსიკოსებთან მივიდა და ათამდე თუმნიანი მიტროს ფურთხებით მიაწება შუბლზე. ლოყებზე, ნიკაპზე, საფეთქლებზე, მერე უცებ გაჩერდა, იქვე მდგარ ბიჭს ფულიანი ხელი გაუწოდა: – დამიფურთხე, მე ნერწყვი სულ გამომელია, – ღიმილით უთხრა. ბიჭმაც არ დაიზარა და კაცმა ფული ზედ ცხვირზე მიაწება.

– წავედი! – დაიძახა და ცეკვით წრე შემოუარა.

მიტრო სიხარულით ცაში დაფრინავდა, ახლა უბედნიერესი კაცი იყო, სახე ფურთხით შეწებებული ფულით ჰქონდა დაფარული, მარტო თვალები უჩანდა. ფურთხი ცხვირიდან ორ ზოლად ჩამოსდიოდა, ზედა ტუჩი გადაელახა და ქვედა ტუჩთან მიკრული თუმნის ქვეშ უჩინარდებოდა.

ცეკვა დიდხანს გაგრძელდა, მოცეკვავეებს არაქათი გამოეცალათ; ჯიბეებიც გვარიანად მოიქექეს, მაინც არ ცხრებოდნენ, სუფრასთან მსხდარ ლამაზმანებს ეწონებოდნენ და თავი შაბაშის გადაყრით მოჰქონდათ. ცეკვა იცოდნენ თუ არა, ისეთ ილეთებს ჩაურთავდნენ ხოლმე, რომ მაყურებელი, განსაკუთრებით კი მორცხვად მომღიმარე გოგოები, გაეკვირებინათ.

– გადააბრუნე! – ერთი ბიჭი ისტერიულად აყვირდა და მუსიკოსებთან მივიდა.

– რა დავუკრათ? – კოლა ჩვეული ღიმილით შეეკითხა.

– მწვანე ლობიო, – ბიჭმა ჯიბიდან ერთი ბღუჯა ფული ამოიღო, მიტროს პერანგი გამოუწია, ხელი ჩაუყო და ჭიპამდე ჩაუჭყუნა.

– მწვანე ლობიო მოვიდა! – დაიძახა და ცეკვით წავიდა.

კოლას ბიჭი დაიბნა, მიტროც გამოლენჩებული შეჰყურებდა. აბა კოლა რის კოლა იყო, რომ დაბნეულიყო. ხელად ტუშის მაგვარი რაღაც ააჭყვიტინა, მისმა ბიჭმაც ააყოლა გარმონი, მიტრომ დოლზე თითებიაათამაშა და რაღაც გამოვიდა, შეიძლება მწვანე ლობიოც, თუმცა შეიძლება არც ისე ძალიან მწვანე იყო.

შეკვეთის მიმცემი ბიჭის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ის და ერთი სხვა ბიჭი კუთხეში მიმჯდარ მშვენიერ ასულს ეარშიყებოდნენ; ახლა ისეთი შეკვეთა მისცა „მწვანე ლობიო“, რომ ყველა დააბნია, უყურეთ, მუსიკოსებს კი სცდოდნიათ; ამაყად უვლიდა წრეს, „მწვანე ლობიოს“ ცეკვით.

მეტოქეს პოზიციების დათმობა არ უნდოდა, „მწვანე ლობიოს“ ცოტა ხანს გაეთამაშა, მერე ხელი ჯიბეში ჩაიყო, ფულის ბღუჯა ამოიღო, გუნდად მოჭმუჭნა და მიტროს ესროლა.

– გადააბრუნე! – ცეკვით დაიძახა.

– რა გნებავს, შენი ჭირიმე? – კოლა ფეხზე ადგა.

– აჯაფსანდალა! ასააა! – ბიჭმა ჩაბუქნა.

– ჰო გავიგე, – კოლა დაჯდა, ბიჭებს თვალი ჩაუკრა და დუდუკს ჩაბერა, რაღაც ჩეჩნურ, ლეკურ, შალახო, „მწვანე ლობიო“ და კიდევ რაღაცის ნაზავი ჩააკაკანა; დოლი და გარმონიც აჰყვა.

ახლა „მწვანე ლობიომ“ ჩაიყო ჯიბეში ხელი, რაღაცის დაძახებას აპირებდა, შეიძლება კომბოსტოს მწნილი, ტარხუნა, ან დაქინძული ლოქო უნდოდა, მაგრამ თამადამ აღარ დააცადა. ფეხზე ადგა და ხმამაღლა დაიყვირა:

– ჰოპ! – ორივე ხელი მაღლა ასწია და გადააჯვარედინა, თითქოს მუსიკის სადავეები ხელში სჭეროდეს, უცებ დაადუმა. – ყველა თავის ადგილზე, ცეკვა გვეყოფა, გაშრა ყელი! მამაწოდეთ დიდი ყანწი, ოჯახის მთავარანგელოზი უნდა ვადღეგრძელო! – თამადას უზარმაზარი ყანწი მიართვეს. ქეიფი გათენებამდე გაგრძელდა...

## კოლას ამაგი არ დაივიწყო

**მიტროს** დიდებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია, კოლამ ძირითად დასტაში ჩარიცხა. ფული იშოვნა. კოლა უკვე ანგარიშს უწევდა და „გამომუშავების“ პროცენტს მიუმატა. თვითონაც დაკაცდა, წვერის მოპარსვა დაიწყო.

ყოველ დილით შაბაშის ფურთხით გაკრახმალებულ პირს რომ დაიბანდა

და სარკეში ჩაიხედავდა, რაღაც უცნაური გრძნობა აეტორღიალებოდა; თვალი ბოლო დროს ქალებისკენ გაურბოდა და სულ უნდოდა მათთვის ეცქირა.

ნაქეიფარი, ხმაჩახლეჩილი დღისით ძილით რომ გამოძღებოდა, კოლას ბიჭთან ერთად სოფლის სალაყბოზე მივიდოდა და წინა ღამის ქეიფის ეპიზოდებს ომის ვეტერანივით ყვებოდა. მისი მჭევრმეტყველება და ინტერესები ქეიფებს და იქ აღებულ შაბაშებს არ სცილდებოლდა.

მასწავლებლებმა წვალებით და ჯახირით მეშვიდე კლასამდე ათრიეს, თუმცა სკოლის გზა კარგად აღარც კი ახსოვდა. დირექტორი სიიდან არ იღებდა, განთესილებში არ ჩამითვალონო, საყოველთაო საშუალო სწავლება თავისას მოითხოვდა, მიტროც იშვიათად შეეხმიანებოდათ ხოლმე; ჰოდა, შვიდი კლასი დაამთავრა მაშინ, მისი თანაკლასელები სტუდენტები რომ იყვნენ.

მიტრომ ოხუნჯობაც ისწავლა, სოფლის სალაყბოზე გამოტანილ ყველა კბილიან თუ უკბილო ანეკდოტებს გაეცნო, მის არსენალს ემატებოდა ღრეობებზე შესვენების დროს ნანახი და გაგონილი. ენა გაიწაფა, მოყოლის დროს ცდილობდა, ნათქვამი კარგად გამოსვლოდა, ამიტომ სანამ სხვა ანეკდოტის შინაარს გაიგებდა, ის თავიდანვე თხრობას სიცილით იწყებდა. მსმენელებს რაღა დარჩენოდათ, ანეკდოტი უკბილოც რომ ყოფილიყო, მის სიცილზე მაინც იცინოდნენ.

მიდიოდა დრო, მიტრო გამოიცვალა, რაც მუსიკოსების საჭურველმტვირთველობიდან უცვლელ მედოლედ აღიარეს, ისე გაიწაფა შაბაშების აღებაში, ვინმეს ცეკვის დროს მისკენ ხელი რომ გაექნია, ის შუბლს უშვერდა, შაბაში დამაკარითო.

დედინაცვალი შაქარივით დაუტკბა. სულ გარეცხილ-დაუთოებული ტანსაცმლით დაბრძანდებოდა.

– აბა, მიტრო, სუფთად იარე, მთელი ქვეყანა შენ შემოგყურებს, – იტყოდა ხოლმე და მიტროს მოტანილ ნესტიან ფულებს პირმოთნე ღიმილით ითვლიდა.

ახლა დედინაცვალი მაწვნის შეჭამანდს დღეგამოშვებით უკეთებდა, მაგრამ მწვადით და ხაშლამით კუჭგამოვსილ ბიჭს მაწვნის შეჭამანდისკენ გახედვაც აღარ უნდოდა. შეიცვალა დრო, გამოიცვალა მიტროც, ბედის მასხარა მის წისქვილს ნელ-ნელა უმატებდა წყალს; დოლაბებიც უფრო სწრაფად ბრუნავდნენ.

გახურებული ქორწილი იყო, თამადა ტუშს ტუშზე მოითხოვდა, მიტროს დოლზე ბრახუნისაგან თითები უბჟუოდა. მშვენიერი გოგოები სუფრას ყვავილებივით ამშვენებდნენ, ბიჭები თავს იწონებდნენ, ცეკვას ითხოვდნენ.

მიტრო დოლს უბრახუნებდა და ქურდულად გოგოებისკენ იყურებოდა. მას ყურადღებას არავინ აქცევდა, უფრო მეტიც, ვის თვალებსაც შეხვდა, ყველაში დაცინვა და ფარული დამცირება ამოიკითხა. მაშინ, მხოლოდ მაშინ აუწევავდა ხოლმე შუბლს ფურთხით მიკრული ფული. ფარულად გააპარებდა ხელს, ფულს მოიძრობდა და გვერდზე ჩამოკიდებულ. სპეციალურად ამ საქმისათვის შეკერილ ტოპრაკაში ჩატენიდა, მაგრამ ეს ვერ შველოდა, შუბლზე შემორჩენილ ფურთხის ნარჩენი გოგირდმჟავასავით სწვავდა; იბნეოდა და ზოგჯერ მუსიკის ტაქტსაც ურევდა. მაშინ გოგოსთან მოცეკვავე ბიჭი ისეთი თვალებით გადმოხედავდა, რომ მიტროს გოგოები სულ ავიწყდებოდა და დოლზე ხელებს ახალი ენერგიით ააცეკვებდა.

მაგიდის კუთხეში, მიტროსთან სხვა გოგოებზე უფრო ახლოს ერთი პირმრგვალი, შავთმიანი, ეშხიანი გოგო იჯდა. ეტყობოდა, დაბალი და მსუქანი უნდა ყოფილიყო. საცეკვაოდ არავის გაუყვანია, ყველა ლერწამივით აშოლტილ და

ჯეირანივით ყელმოღერებულ გოგოებისკენ იწევდა. ის კი წყნარად იჯდა და მოცეკვავე წყვილებს სევდიანი თვალებით მისჩერებოდა.

იმ გოგოს თვალებს მიტროს თვალები შემთხვევით შეხვდნენ. გოგომ ნაზად გაუღიმა, შეშინებულმა მიტრომ თვალები უცებ დახარა. ძარღვებში თითქოს სისხლის მაგიერ ცეცხლის ნაკადი აბრუნდა, სხეულის ყველა უჯრედს მისწვდა და საამური წვით შეახსენა მიტროს იმ გრძნობის ძალა, რომელსაც დღემდე ვერაფერს უგებდა. გული გამალებით უცემდა. გოგოსკენ გახედვა სცადა, მაგრამ შეეშინდა, ეს რომ კიდევ დამემართოს, დოლი ხელიდან გამივარდებაო.

ბოლოს მაინც დაძლია შიში, გოგოსკენ თვალები ჩუმად გააპარა, იმან ქვეცნობიერად იგრძნო, რომ უყურებდნენ, ისევ შეხვდნენ მიტროს და იმ გოგოს თვალები ერთმანეთს; ამჯერად მიტრომ გაუღიმა, გოგომაც ნაზი, თბილი ღიმილი დაახვედრა.

„რა კარგია!!!“ – გაიფიქრა მიტრომ და დოლს ისეთი ძალით დაუშინა მუშტები, თითქოს მის გახეთქვას ლამობსო.

იმ ღამეს მიტროს ძარღვებში სისხლი, ალბათ, ასჯერ მაინც ადუღდა. გოგო მის ყოველ შეხედვას ღიმილით პასუხობდა, გადაირია ბიჭი. ის გოგო შეუყვარდა. ერთადერთი სადარდებელი და ნატვრა გაუჩნდა, მეტი არაფერი არ უნდოდა, ოღონდ... მიტრო ფიქრის ბოლომდე ჩამთავრებას ვერ ბედავდა, იმდენად მიუწვდომელი ეგონა ეს სურვილი...

ახალგაზრდები ახლა შაბაშს სიმღერაზე არიგებდნენ, რომელიმე, ალბათ, თავიანთ რჩეულ გოგოს კი სთხოვდნენ შეკვეთა მიეცა.

გოგოები ადგილიდან იძახდნენ სიმღერის სახელს და ცდილობდნენ ყველასთვის ეჩვენებინათ, სიმღერის არჩევაში როგორი მაღალი გემოვნება ჰქონიათ.

მიტრო თავდაუზოგავად მღეროდა, დროდადრო იმ გოგოს მზერას ღიმილით ხვდებოდა.

არავინ არ სთხოვა, შეკვეთა მიეციო, როგორც ცეკვის დროს, ახლაც მივიწყებული იჯდა, სევდას მიტროს ღიმილი უქარვებდა და თვითონაც ერთობოდა მასთან ღიმილის გაცვლით.

მიტროს როგორ უნდოდა, რომ ამ გოგოს რომელიმე სიმღერა დაევალებინა; ადრე მიღებულ ყველა შეკვეთას გვერდზე მიაგდებდა და სულ იმ გოგოს სიმღერას იმღერებდა, უცებ გამოცოცხლდა, ეს რა კარგი რამ გაახსენდა, იქნებ სთხოვოს, მისი სახელით რა იმღეროს? არა, ამას ვერ გაბედავს, ისე კი, რა კარგი იქნებოდა! – ინატრა მიტრომ და კვლავ შეხედა. მიტროს თვალები გოგოს რაღაცას სთხოვდნენ. გოგოს გაეღიმა, თავი დახარა და ჩაფიქრდა... მიტროს თვალებში ცრემლი გამოჩნდა, გოგოს გახედა და ამ გამოხედვაში რაღაც იდუმალი თხოვნისმაგვარი ჩააქსოვა, გოგოს გაეღიმა. „მიხვდა, მგონი მიხვდა“ – მიტრო ზეიმობდა. უცებ შიში შეეპარა „ვაი, თუ იგეთი სიმღერა მამთხოვოს, რომ არ ვიცოდეო“, არა, რაიმეს მაინც მიამსგავსებს.

მიტროს და გოგოს თვალები ისევ შეხვდნენ ერთმანეთს. გოგო უცებ წამოდგა, თბილად გაუღიმა და ხმამაღლა დაიძახა:

– ჩემო პატარავ, იმღერე! – დაჯდა და ის ღიმილი, მიტრო რომ გაათბო, სახიდან არ მოსცილებია.

მიტრომ კოლას დაბნეული მზერა მიაპყრო, ჩუმად ჰკითხა:

– რომელია, კოლა ძია?

– სულ პატარა ხარ, სულ კარგი, – სიმღერის მოტივი და ტექსტი კოლამ ღიღინით შეახსენა.

მიტრომ გაიხსენა, გახარებულმა დოლი გაისწორა, წკიპურტები დასცხო და ყელმოღერებულმა სიმღერა დაიწყო, თან ანთებული თვალებით გოგოსკენ იყურებოდა; ისიც მორცხვად უღიმოდა.

„ნუ მიჯავრდები, გოგონა
და ნუ მომიკლავ გულს,
მე შენთან ჩხუბი კი არა,
შენთან ალერსი მსურს“.

მიტრო ამას რომ მღეროდა, გოგოს თვალებში უყურებდა, ისიც მორცხვი ღიმილით აქეზებდა.

„პატარა, ჩემო პატარა გოგონა,
ჩემო პატარა ლამაზო,
შენ ჩემო პა-ტა-რა“.

მიტრომ სიმღერა დაამთავრა, დოლს საბოლოო წკიპურტები დაარტყა, თავიც მედოლე პროფესიონალივით დაიქნია, გასწორდა და გოგოს მთელი ყბით გაუღიმა. მანაც მადლობის ნიშნად თავი დაუკრა და ხელი ნაზად დაუქნია ისე, რომ სხვას არ დაენახა.

მიტრო დადნა, ჩაიფერფლა, ძვალი და ხორცი ერთმანეთში აერია, თავბრუ დაესხა, გული გაუჩერდა, თვალები გაუშტერდა; კინაღამ დოლი ხელიდან გაუვარდა, ასე ფერდაკარგული კარგა ხანს იჯდა, სანამ კოლამ მხარში ხელი არ წაჰკრა.

– დავიწყოთ, ხალხი გვიცდის, „პეპელას“ შეკვეთა იყო, – უთხრა და დუდუკი მოიმარჯვა.

მიტრომ ეს სიმღერა ძლივს ჩაათავა, ისევ ბურანში იყო. იმ გოგოს თვალებში შეხედვას ვეღარ უბედავდა, ეშინოდა, კიდევ არ დაბნეულიყო, გამოხედვას კი გრძნობდა და სხეული დაშანთულივით ეწვოდა.

– რა მოგვივიდა, ბიჭო, რა ციებიანივით გაკანკალებს?! – ჰკითხა კოლამ.

– რავი?... ისე... არაფერი... რა ვიცი? – აბნეულ-დაბნეულად უპასუხა.

– ოოვე! – შეიცხადა კოლამ, – ამ ბალღის საქმე კარგად არ უნდა იყოს! გადი გარეთ, გაიარ-გამაიარე და მოდი! – ისე უთხრა, ბრძანებას უფრო ჰგავდა.

მიტრო ეზოში გავიდა, გრილი ჰაერი ესიამოვნა, ცოტა გონზე მოვიდა, გახურებული შუბლი ნიავს მიუშვირა და ოცნებას მიეცა. „ვახ, რა გოგოა! ჩემი რომ იყოს!“ გაფიქრებაზე შეეშინდა, მიიხედ-მოიხედა, ხომ არავინ გაიგოო. მარტო იდგა, შორს ზედადგარზე შედგმულ უზარმაზარ ქვაბებთან ხალხი ირეოდა.“ ეხ. მაგის ღირსს ვინ გამხდის, თორემ ჩემზე ბედნიერი კაცი ქვეყანაზე არ იქნებოდა, მეტი ნატვრა არც მინდოდა. ოხ, ჩემ ბედს რა ვუთხარ!“ – ამოიგმინა და მკერდზე მუშტი დაირტყა.

უცებ წინ მშვენიერი ქალი დაუდგა, ილიმებოდა, მაგრამ მის სახის ნაკვთებში რაღაც იდუმალი სუსხი იგრძნობოდა.

მიტრო დაიბნა, შეშინებული თუთის ხეს მიეკრა, შეხედვა ძლივს გაუბედა.

– მიტრო ბედს რას ემდური, რა გაწუხებს? – დამცინავი ღიმილით შეეკითხა.

– ა-ა-ა-რაა-ფე-რი! ისე გა-მო-ველი გა-რეთ, – ძლივს ამოღერღა.

– დაწყნარდი, წადი, შენს საქმეს მიხედე, ბედს ტყუილად ემდური, ის შენზე ზრუნავს! – უთხრა ქალმა.

მიტრომ თვალები დაახამხამა, ქალი აღარსად იყო. „ნუთუ მომეჩვენა? ვახ, კაცო, ეს ხომ ის ქალი იყო, კოლას სახლთან რომ შემხვდა, საიდან მომეჩვენა?!“ – მიტრომ გაიფიქრა და იმ ადგილს დააკვირდა, სადაც ის ქალი იდგა,

შეეშინდა, შეაკრთოლა, იქ დგომა ველარ გაბედა და სირბილით შევარდა მოქეიფეებთან. თამადა სადღეგრძელოს ამბობდა. მიტრო ფეხაკრეფით მივიდა თავის ადგილას და დოლს მიუჯდა. გოგოსკენ თვალი გააპარა, მანაც შეხედა, აღარ გაუღიმა, რაღაც დამცინავი მზერა ესროლა და მის გვერდით მჯდარ ბიჭს ლაპარაკი გაუბა.

ოცნებით შეკოწიწებული კოშკი მიტროს ერთი შებერვით დაეშალა. მოიკუნტა, მოიბუზა, თავისი კადნიერი ფიქრების შერცხვა. „რა ვქენი, ეს როგორ გავბედე, ნეტავ ხომ არავინ შემატყო?!“ – გაიფიქრა და ირგვლივ მყოფთ ქურდულად გადახედა; ყველა თავის საქმით იყო გართული. ის გოგო და ორი კიდევ სხვა მათთან ჩამომჯდარ ბიჭს უსმენდნენ და მხიარულად კისკისებდნენ.

– ეეეხ! – მიტრომ ამოიგმინა და იდაყვი დოლს დააყრდნო.

მის საქციელს, ეტყობა, კოლა დიდხანს აკვირდებოდა. გამოცდილ თვალს არ გამოპარვია მიტროს ფერიცვალება და იმ გოგოსთან თვალებით გათამაშება.

– რა იყო, მიტრო, რასა ოხრამ?! ე მეწისქვილე პეტოს გოგო, ფიქრია ხო არ შაგიყვარდა? თქვი და ქორწილი ჩემი ხელობა არ არი, ერთი მაგრად შაუბეროთ! – კოლამ ისეთი იმედით თქვა, თითქოს საქორწილო პურმარილზე ფიქრია უკვე მიტროს გვერდით მჯდარიყო.

– რომელია ეგ მეწისქვილე პეტოს გოგო ფიქრია? – მიტრომ დაბნეულად იკითხა.

– შეკვეთა რომ მოგცა „პატარა“ მიმღერეო, ეტყობა მეეწონე. შეიძლება კიდევაც უყვარხარ, ხო იცი, ძალიან გიკრეჭამს კბილებს, – კოლამ ცეცხლზე ნავთი მოუმატა.

მიტროს გააკრთოლა, კოლას იმედის თვალით შეხედა და გაუბედავად შეეკითხა:

– მართლა, კოლა ძია?

– მართლა, აბა, რა. შენ გარეთ რომ გახვედი, მოვიდა და მითხრა, მიტროს გარეშე სიცოცხლე არ შამიძლიაო, გაიგე?!

– ჩემი სახელიცა ცოდნია?

– ცოდნია კი არა, იძახის, თუ მიტრომ არ წამიყვანა, თავს ჩამოვიხრჩობო, – გააფრთხილა კოლამ.

– მემრე მე უარს როდი ვამბობ, თავს რაზე იხრჩობს?! – მიტრომ ისე სასწრაფოდ უპასუხა, თითქოს ამით გოგოს გადარჩენა უნდაო.

– ვახ, შენ აღარა ხუმრობ. უარზე არა ხარ? ეს კარგია, ახლა იმისი მამა უნდა ვნახო და ვუთხრა, ბიჭი როგორც იყო ჩავტეხე-მეთქი. სამახარობლოსაც კარგს მივიღებ, ერთი კვირის მინდი მაინც შამხვდება, ხა, ხა, ხა! – კოლამ გადაიხარხარა.

მიტრომ კოლას ხუმრობა ვერ გაუგო, უცებ შეეცვალა მორიდებული განწყობილება: ისაც დაავიწყდა, რომ ცოტა ხნის წინათ იმედგაცრუებული თავის ბედს უწყრებოდა. ფიქრიას ისეთი თვალებით დაუწყო ყურება, თითქოს ეუბნებოდა, მე თანახმა ვარ, თავს ნუ მოიკლავო. მის გამოხედვაში თავხედობის ისეთი სხივიც გაჩნდა, მათხოვრისათვის ზოგიერთი გამვლელი წყალობას დაცინვით რომ იმეტებს. გოგომ თავხედური მზერა როგორც დაიჭირა, მხრები წყენით შეათამაშა და ზურგი შეაქცია; მის შემდეგ მიტროსკენ აღარ გაუხედავს.

– რა ქენი, ბიჭო, უკბინე? – კოლა ირონიულად შეეკითხა.

– რა ვიცი თავს ჩამაიხრჩობსო, თუ ცოლად არ წაიყვანო, ეგ კი არაფრად მაგდებს; მე მაგისი გადარჩენა მინდოდა, – მიტრომ თავი იმართლა.

– შე მუდრეგო, შიშით კაცი ვერ უნდა გეგეხუმროს?! არ ჩამიშალა კლარნეტივით აწყობილი საქმე! წადი ახლა და მეწისქვილე პეტოს ეხვეწე. ერთი კვირის მინდი კი არა და მთელი წლის შაბაში რომ მივუტანო, იმის გულს ვეღარ მოვიგებ! – ვითომ გაბრაზდა.

მიტრო ძველებურ უიმედობაში გაიბლანდა.

– კოლა ძია, მიშველი რამეს? – იმედგაცრუებული შეეკითხა.

– თუ ხეირიანად მაიქცევი, შაიძლება გიშველო; ოღონდ ლოგინში ნურავისი იმედი ნუ გექნება. იქ შენ უნდა ივაჟკაცო! – კოლა ახარხარდა. ყველამ მისკენ მიიხედა, ვერ მიხვდნენ ასე მოულოდნელად რა აცინებდა.

– ოხ, ნეტავ მაგამდე მივიდეს საქმე და... მიტრომ მუშტი მკერდზე დაირტყა.

– კაცნი ვართ, შეიძლება კიდეც მივიდეს, ჰოდა, ი, პუტკუნა გოგოს რომ მიუწვები, მედუდუკე კოლას ამაგიც გაიხსენე, მადლია, – კოლამ ისევ გადაიხარხარა...

მეწისქვილე პეტოს დოლაბების ხმაურში კოლას ყველა სიტყვა არ ესმოდა.

– წამოდი, კაცო, გვერდითა ოთახში პატარა პური გავტეხოთ და თანაც მითხარი, რა გინდა; ლორწოიანი ხორცივით რას ჩამომეკიდე, – უთხრა კოლას და გვერდითა ოთახისკენ გაუძღვა.

ოთახში წისქვილის დაგა-დუგი ყრუდ ისმოდა, ახლა ერთმანეთთან სალაპარაკოდ ხმის აწევა აღარ იყო საჭირო. პატარა, ფქვილით მოსვრილ მაგიდაზე მოხარშული ღედალი, ხაშლამა, პური, მწვანილი ეწყო; იქვე სველი ხელადით ღვინო დაედგათ და ნაჩქარევად გარეცხილი მინის სამი თლილი ჭიქა იდგა.

მაგიდას მიუსხდნენ.

– პეტო, – კოლამ დაიწყო, – განა იგეთი რა ნახე, რომა ამ ხუთ თვეში ჩემი სარგო პასუხი ვერ მამიძებნე?! უკვე მესამედ მოვედი, ეხლა როგორ გინდა, ფეხებში ხომ არ უნდა ჩაგივარდე? სხვა ყველაფერი გითხარი და მეტი რაღა ვქნა. შე დალოცვილო, მაგ ბიჭის მსგავსი მედოლე მალე მთელს ქიზიყში არ იქნება; აი აქამდე გვაქვს შეკვეთები, – კოლამ მარჯვენა ხელი ყელთან მიიტანა, – ვეღარ ავუდივართ, კაცო! აბა ერთი სხვები ნახე, კვდებიან მთქნარებით, ბირჟაზე სხედან და ბუზებს ითვლიან, მაშ მთლად კვალში კი ნუ ჩაგვფლამ, – დაასრულა თავისი სიტყვა, მოხარშულ ღედალს ჩაყვითლებული ბარკალი შეახლიჩა, პირში გამოისვა, მერე ღვინო დაისხა, – პეტო, შენი გამარჯვებისა იყოს! – თქვა და გადაჰკრა. – მე ჩემი ჩამოვფქვი, ეხლა შენი თქვი, რაზე იკავებ თავს? – კოლა მოსაუბრეს თვალებში მიაჩერდა.

– შე მამაცხონებულო, მართლა მეზურნესავით რო დაჯექ და ჭამ, არ დაიცდი, „პურმარილი კაცურად შავირგოთ?! შენი გაწვრთნილი ბიჭიც იგეთი იქნება, რაც შენა ხარ! არადა, გადაწყვეტით გითხარ, მედოლის გასაყოლებელი შვილი არა მყავს, გაიგე?! – გაბრაზებით უთხრა და დაიძახა: – დათავ, ჰაი, დათავ!

ვიღაცამ კარებში ფქვილიანი თავი შემოყო.

– მოდი დროზე, თორემ, ხომ იცი, ამ მეარღნეს წესი არ ესმის, უკვე შაუდგა ქეიფს, – კოლას ვითომ ხუმრობით გადახედა.

– თქვენ დაიწყეთ და მეც მალე მოვალ, – გაბურძგნული ფქვილიანი თავი კარს უკან გაუჩინარდა.

– შენ მუსიკოსები თვალში ხომ არ გეპატარავებით?! იგრე ლაპარაკობ, ონასისი იყო, ამ წისქვილის ხრილითა ხარ ბეწვდაბწკვინებული, აქედან რომ გამოგაგდონ, როგორც ნაცარში ტილი, იგრე დაიკარგები. ჩვენ სადაც უნდა გადაგვაგდონ, კოჭურებივით სულ ფეხზე ვიდგებით, სპეციალისტები ვართ, გაი-

გე? უჩვენოდ ქორწილი და ქელეხი არ ჩატარდება. შენ რომ დამწვარი ხარ და ჯიბეში ხელის ჩაყოფა გეძნელება, ყველა ეგრე კი არ არი, რაც შენ ერთ თვეში მინდს მაიპარამ, შენი სასიძო მარტო ერთ ღამეში შუბლით აგროვებს იმდენს, მაშ! – კოლამ თავის ნათქვამს კვერი დაუკრა.

– ჰოდა, სწორედ მაგიტომაც არ მინდა, მაგას ჩემი გოგო გავატანო, ფურთხით დასვრილი შაბაში ვის რად უნდა! – პეტო გაბრაზდა.

– შენ ქვეყანას რომ პარავ, როგორ გგონია, ის დასვრილი არ არის?! ის უარესი რამითა ყარს. გაჩერდი, ყველაფერი არ მათქმევინო, – კოლაც გაბრაზდა.

– რა გინდა, კაცო, შარი ხარ?! გითხარ, მეღოლეს ქალს არ გავატან-მეთქი, მორჩა და გათავდა! – პეტომ თავის ნათქვამს წერტილი დაუსვა.

– აი, მეც მოვედი, – გაფქვილული დათა ოთახში შებაჯბაჯდა და მაგიდას მიუჯდა.

– კარგი, ეგრე რო იჭიმები უყურო ქოთანივით, შენი გოგო რაღა მაიხვეტება! – კოლამ ტონს აუწია.

დათამ იქვე მაგიდასთან დაიწყო დაფქვილული თავის და ტანსაცმლის ბერტყვა.

– აბა, თქვენ უნდა ასწავლოთ კოლას სუფრაზე როგორ მაიქცეს?! შე მუდრეგო, ეგ ფქვილია თუ ოხრობა, გარეთ ველარ გაიბერტყე, სუფრას ზედ რომ არ დააბერტყო, მაგაზე თქმა გინდა?! – პეტოს წღლანდელ შენიშვნაზე კოლამ შური იძია.

– რა ვიცი, გავერთე და... – დარცხვენილი დათა ოთახის კუთხეში მივიდა და ტანსაცმლის ბერტყვა იქ გააგრძელა.

– ვაი, თქვენს პატრონს, – კოლას გაეცინა, – ვითომ საქმე გააკეთე. ე, ჯანდი რომ დააყენე, ისევ აქ არ მოდის?!

– კარგი, კოლავ, დიდი ხანია რაც სინათლეზე გამოხვედი? დაგავიწყდა, შენ, შენი ცოლი, ტიტლიკანა გოგო-ბიჭები და შენი ძაღლი პურს ერთ გობში რომ ჭამდით? – დათამ წარსული შეახსენა და მაგიდასთან საფუძვლიანად მოეწყო.

– დამისხი ერთი, კოლავ, შენ კარგი დასხმა გეცოდინება, სულ ქეიფებზე დადიხარ, – დათამ ჭიქა მოიმარჯვა, კოლამ პირამდე გაუვსო.

– რაც ჩემ მოსვლამდე სადღეგრძელოები გითქვამთ, ყველას გაუმარჯოს, – დათამ ჭიქაში წვეთიც არ დატოვა.

– პეტოს ჰკითხე, რამდენი დავლიეთ, ამ ერთ ხელადა ღვინოს, ალბათ მომავალ რთვლობისთვის ინახამს, ერთი ჭიქის დალევა ძლივს მოვახერხე, – კოლამ გაიცინა, მე კიდევ ქალის სათხოვნელად მოვსულვარ, აი, ნახავ გასათხოვარი თუ არ დარჩეს. უფლისწულს ელოდება, ის კიდევა ჯერ არ დაბადებულა, – კოლა ისევ ახარხარდა.

– უფლისწული არ ვიცი, მაგრამ იმ შენს დასტაში მეღოლე ბიჭი რომა გყავს, მეეჭვება პეტოს ფიქრია არ მაიტაცოს, – დათამ ღიმილით თქვა.

– მაიტაცოს რა ლილახნობაა! – პეტო გაბრაზდა.

– რა ვიცი, კაცო, ახლა გოგო თავისი ნებით რო გაყვება ხოლმე, მაიტაცაო, იძახიან; მოდაში ეგრეა და მეც ვთქვი, – დათამ თავი იმართლა, – თორემ ჩემ გოგოს უთქვია თავისი დედისათვინ, ფიქრიას მეღოლე მიტრო იგრე უყვარს, გიძღებაო, მაშ, ეგრე ყოფილა. პეტო, დროზე მააბი მაგ საქმეს თავი, თორემ ეგ ჩიტი უშენოდაც გაფრინდება. იგრე ვარ შაყელთებული გოგოების მოტაცებით, როგორც კი მაჭანკალი მამივა, მაშინვე უნდა გავათხოვო. შენ რას იფასებ თავს, ბიჭები ანწლს კი არ ასხია. მოდი გაუბედე, ერთი შნოიანი ქორწილი შავირგოთ; ახალგაზრდებმა კი თავიანთთვის იჭუკჭუკონ.

– ბიჭო, ეგრე ენად რომ გაიკრიფე, გოგო არც კი იცნობს მაგ მეღოლეს, საიდან შაუყვარდებოდა?! ვიღაცის ყბედობა გაგიგონია და შენც ლაქლაქებ! – გაუბრაზდა პეტო.

– რა არ უნახავს, ამას წინათ, ქორწილში ბიჭი თვალის პაჭუნით გადამირია, ღოლს წესიერად ვეღარც კი უკრამდა. დადექ, პეტო, ცოტა ჭკუას მოუხმე, მემრე შერიგება სახვეწარი არ გაგიხდეს. არადა, ბიჭი გადარეულია, მაგის მეტი არავინ მინდაო, სულ ხელის გულზე ატარებს, შენ სხვა რაღა გინდა; ბოჩოლასავით მორჩილია, საითაც ყურს მიუწევ, იქით წავა. თუ მაინცა და მაინც მეღოლე არ გეპიტნავება, რა ფული არ გაოხრია, თუ რა, ასწავლე, ერთი გოგო გყავს: მთელი შენი არმად ნაშოვნი ქონება სხვას ვის უნდა მაახმარო?! – კოლამ ჭკუა ასწავლა.

– ეს არის არმად ნაშოვნი, დღე და ღამე თაგვივით წისქვილში ვგდივარ?! – პეტომ ჭერისკენ ხელები აღმართა.

– იმიტომა გდიხარ, რომ საკვნეტი გაქვს, მუქთად, რომ ეთქვათ, გაჩერდებოდი? მე მთელ ღამეს თეთრად რომ ვათენებ და ათას ოხერს თვალებში შავყურებ, გამორჩენაა, თორემ მაწყენდა ღამე თბილ ლოგინში დედაკაცის გვერდით გორაობა? – კოლამ ულვაშზე ხელი სიამოვნებით გადასივა.

– შენ დედაკაცის გამო უფრო ათენებ. ფულებს ტყუილად აბრალებ, კოლავ, ქალი ქვაზე დახატულ ეშმაკს დაამსგავსე ყოველდღე შენი დუდუკის ჭყვიტინით, – დათამ გაიხუმრა.

– შენცა ხარ, რა საქმის კაცი, ვითომ წისქვილის მეხანიკი გქვია, სულ ამოგანგლული და გათხუპნული დადიხარ, გულით რომ გინდოდეს, დედაკაცი ლოგინში არ ჩაგიწვენს – ხურდა ჩააბარა.

– დედაკაცს კაცი უნდა კაცური, თორე გათხუნვას მეევლება, – დათამ ხელი მკერდზე დაირტყა.

კარგი, კარგი, შენთან ლაპარაკისთვინ არ მოვსულვარ. ეგე ჩემი საქონელი, შენიც ვიცით რასაც წარმოადგენს, რას აპირებ, ისევ უარზე ხარ?! – ისევ პეტოს მიუბრუნდა.

– კოლავ, მესამედ მოხვედი და გაპატიე, მეოთხედ, იცოდე დიდი ჩხუბი მოგვივა. პურმარილით კი არა, კეტით დაგხვდები. ხუმრობა გვეყო, მეორედ ეგეთი მაიმუნობა აღარ გამიბედო, გაიგე?! – პეტო ბრაზობდა.

– პურმარილი თორე შენც მოზვერი დაკალი. შე დალოცვილო, მადლობა უნდა მითხრა, ქათმის ხორცის გემო გაგახსენე. ი, გოგო კიდევ, ჩემი სიტყვა დაიხსომე, ერთ თვეში ჩვენ ბიჭთან ქორწილს გადაიხდის, დანარჩენს მაშინ გაგახსენებ, – კოლა ადგა, – მზითვის მომზადება არ გინდა, ბიჭი უსახლკარო და გატლეკილია, იმის მამას სამი უნიფხო ბალღი სხვა ჰყავს, ნეტა იმათ მოუაროს; დაისვი სახლში ზედსიძედ და ვითომ ორი შვილი გყოლია, მოუარე, ქონი ბევრი გაქვს დაგროვილი, არ გაგიჭირდება, – კოლა კარებში რომ გადიოდა კიდევ მობრუნდა, – კარგად იყავ, ჯიგარო, ქორწილში მედუდუკე კოლას დაპატიჟება არ გამოგრჩეს, თუმცა, რა შენი დაპატიჟება მინდა, მე ბიჭის მაყარში ვიქნები, – კარები გაიხურა და მხიარული ღიღინით წავიდა ისედაც ჭკუამხიარული კოლა.

– უყურე, მაგ შობელძაღლს, როგორი დაჯერებულია, იმ წვინტლიან ბიჭს სახლში შამოვუშვებ?! – პეტოს თავისი ნათქვამის სჯეროდა.

– ნუ აჩქარდები, პეტო, რა იცი, იქნებ გოგოს ბედი სწორედ ეგ არი, მაინც ეგეთი არაფერი ჩაიდინო, რომ ბიჭმა გულში ჩაიდოს; კაცნი ვართ, ბედის ბორ-

ბალი ტრიალებს, – დათამ გააფრთხილა.

დამმარებული პეტო მაგიდას მიუჯდა და ღვინით სავსე ჭიქა უთქმელად გამოცალა...

– რასა შვრები, ბიჭო, ვერ მაჩანგლე პეტოს ფიქრია? – კოლამ მასთან სახლში მისულ მიტროს ჰკითხა.

ბიჭმა თავი ჩაღუნა და თითების მტვრევა დაიწყო.

– რა უხეიროდ იგრიხები, ვერაფერი მოუხერხე? – კოლა არ მოეშვა.

– მე რა უნდა მოვუხერხო, ბირჟაზე წამამცდა, უნდა მოვიტაცო-მეთქი და იგრე დაბღვერილი მიყურებს, პირდაპირ შეხედვა ვერ გამიბედნია, – მიტრომ მორცხვად თქვა.

– აბა, აგშენებია ოჯახი და ეგ არი. იქნებ იმის იმედი აგქვს, რომ გოგომ მოგიტაცოს. მაშინ სადმე ორღობეში დაუხვდი, მოფარებით, ოღონდ ხელს რომ გტაცებს, ყვირილი არ დაიწყო, თორემ მეგეშველებიან და გადაგარჩენენ, – კოლამ დასცინა.

– მე შენი იმედი მაქვს, კოლა ძია, – მიტრომ ისე დაბალ ხმაზე თქვა, თითქოს, ეშინია სხვამაც არ გაიგოსო.

– ღმერთმა ჩემი იმედი ნუ მოგიშალოს, მაგრამ რა ვქნა, ის ფქვილით გაბერილი პეტო ვერაფრით დავითანხმე, აბა, გოგოს კიდევ მე ხომ არ ავუხსნი სიყვარულს, – კოლამ ხელები გაშალა.

– რა მეშველება, კოლა ძია! ოღონდ ეს ოცნება შამისრულდეს და ჩემს ცხოვრებაში მეტს აღარაფერს ვინატრებ! – მიტროს თვალები მოუწყლიანდა.

– ბიჭო, მე ვეცდები, მაგრამ ცოტა შენც მიდექ-მოდექი, ეგრე როგორ შაიძლება, ჩამოგიშვია ლაშები და კოლას მიჩერებიხარ, თითქოს მე ვიყო ბედის გამგებელი, – კოლამ ხელები გაშალა.

– შენ ყველაფერი შაგიძლიან, კოლა ძიავ, თუ მაინდომე, – მიტრომ თითების მტვრევით მორცხვად უთხრა.

– ე, ბალღო, შენ იგრე ხარ მოწადინებული, მოგიკვდეს კოლა ძია, თუ ეს საქმე არ გაგიჩარხოს. ოღონდ თავი არ მამჭრა, ხომ იცი რაზე გეუბნები,– კოლამ სირცხვილისაგან გაწითლებულ ბიჭს თითი დაუქნია...

მითქმა-მოთქმამ და ამდენმა ლაპარაკმა თავისი გაიტანა, გაადნო პეტოს ყინულივით ცივი უარი და ერთ მშვენიერ დღეს საქორწილო სუფრასთან ფიქრიას გვერდით გამოიჭიმა ყვინჩილასავით გაფხორილი და საახალწლო ბასილასავით მორთული მიტრო.

კოლამ ახლო-მახლო კოლეგა არ დატოვა დაუპატიჟებელი; ყველა თავისი დოლით და გარმონით მოვიდა. მოკლედ, მიტროს ქორწილმა მთავარანგელოზის დღეობასავით ჩაიარა.

როგორც იყო პეტომაც გაიღიმა და სიძის ამხელა პატივისმცემელთა მაყურებელმა ნეფე-დედოფლის სადღეგრძელო დიდი ყანწით შესვა.

მიტრო სიმამრის სახლში გადაბარგდა, თუმცა რა გადაბარგება უნდოდა შალითაში ჩასმულ დოლს და ორ ჯოხს, რომლითაც განსაკუთრებულ შემთხვევაში უკრავდა ხოლმე.

ფიქრია საღამოს სკოლაში გადავიდა, მიტრო აკითხავდა ხოლმე, როცა დრო ჰქონდა და ამ ჯახირში თვითონაც დაამთავრა რვა კლასი. მიტრო ისევ უკრავდა, ცხოვრება მდორედ მიედინებოდა...

დისციპლინა მოშლილ ქვეყანაში, ყველაფერი მოიშალა, როგორც სხეულში შემძვრალი დაავადება მის ყველა ორგანოს თავის ლუკმად ხდის, ასევე ქვეყ-

ნის ყველა სამინისტროსა და საწარმოს მოსდებოდა ამ ქვეყნის საერთო სენი. მოხვეჭის, თვალთმაქცობის, თვალის ახვევის თუ სხვა რამ მანკიერებანი განათლების სისტემასაც მოსდებოდა. იყო დრო უცოდინართა გამეცნიერების, წერა-კითხვის მხოლოდ მცოდნეთ უმაღლესი განათლებით სპეციალისტებად კურთხევის, ნამდვილ მცოდნეთა დაკნინების, ცრუ დიპლომის მფლობელთა აღზევების. ჭირშეპარული ქვეყანა ჯერ ფეხზე იდგა, პარაზიტებს გამოსახრავი ჯერ საძებარი არ ჰქონდათ.

მიტროს გამჩალიჩებელმა სიმამრმა სულ მალე მიტროსავით საღამოს სკოლაში საშუალოს დამთავრების ატესტატი იშოვა და იმავე წელს ვინმე ბატონი იპოლიტეს მოქრთამვა-მოქონვით მიტრო აგრონომიული ფაკულტეტის დაუსწრებელი სწავლების სტუდენტად ეკურთხა. მოკლედ, მიტროს გააგრონომებას წინ აღარაფერი ედგა, მხოლოდ დიპლომიღა იყო საჭირო.

მეოთხე კურსზე რომ გადავიდა (რაშიც ბატონი იპოლიტე ირჯებოდა მიტროს მაგიერ), პეტომ ოფიციალურად გამოუცხადა: – მიტო, ახლა მიტროს აღარ ეძახდა, – დოლის დაკვრას თავი უნდა გაანებო, სირცხვილია, შენ სულ სხვა მომავალი გაქვს, ეგ სამარცხვინო საქმე აღარ გეკადრება. სულ მალე აგრონომი უნდა გახდე და შენი ბრიგადის წევრები შუბლზე ფურთხით რომ მოგაკრავენ შაბაშს, არ შეგრცხვება?!

მიტრო დაფიქრდა:

– აბა, მაშ რა ვქნა, სხვა რის გაკეთება შემიძლია?! – მოიჩივლა.

– ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, ტიტიკო გლახოევიჩს უკვე მოველაპარაკე, ჯერ ერთი თვით მევენახეობის ბრიგადაში ჩაგრიცხავს რიგით წევრად, ეგრეა საჭირო, ხალხმა თვალი მიგაჩვიოს, მემრე კი ბრიგადირად დაგნიშნავს. ინსტიტუტს რომ დაამთავრებ, მაშინ კიდევ ვნახოთ, აქ არა ვართ. ანეტა მერგოლურს უთქვამს, იგრე გამოვქნი მუშაობაში, დოლ-გარმონი აღარ გაახსენდესო, – პეტომ ორივე ხელი მუხლებზე დაირტყა და წამოდგა.

– ეგ ვიღა ანეტაა? – იკითხა მიტრომ.

– ქვრივი ანეტა არ იცი? სოფლის კაცებს მაგის დანახვაზე ნერწყვი ახრჩობთ, ლამაზი ქალია, – თითქოს ქვევრიდან ამოიძახაო, ისე თქვა ამ ქალის მიმართ არცთუ გულგრილმა პეტომ.

– კოლასთან აღარ წავიდე? – მორჩილად იკითხა.

– კოლას ხსენება არ გამაგონო. შენ დიდი კაცი უნდა გახდე, მედოლეობა აღარ შაგფერის! – პეტომ თავის ნათქვამს წერტილი დაუსვა.

## ქვრივი ანეტა

**სოფლის** სადალაქო ხალხით იყო გავსებული. შიგ რომ ვერ დაეტივნენ, გარეთ გრძელ სკამზე ახლად დაფრენილი მერცხლის ბარტყებივით გამწკრივებულიყვნენ. ოთახში განავისუფლებულ ადგილზე რიგის მიხედვით გადაინაცვლებდნენ. გამოცდილი მოლაყბეები იყვნენ ონოფრე, ფირანა და ნოღა დალაქები. სოფელში თავის ფართს აღარ ვამბობ, რადგან ყველა მამაკაცის თავი სავარცხლით და მაკრატლით ჰქონდათ გაზომილი, ჭორის თუ მართალი ამბის გავრცელების ოსტატები იყვნენ. ვინმეს მონაჩმახს მოისმენდნენ, რამდენიმე შეკითხვასაც მისცემდნენ, ვითომ სჯეროდათ და ძალზე აინტერესებდათ შინაარსში გარკვევა, ის პიროვნება რომ წავიდოდა, მოყოლილს უტყუარ, პირუთვნელ შეფასებას მისცემდნენ.

ოთახის გარეთ ყაყანი და ღრიანცელი იდგა, შიგ საპარიკმახეროში კი დაწყ-

ნარებული, დალაგებული საუბარი, ან კამათი იყო, მოკლედ, აქ ყველა ერთმანეთს უსმანდა.

უცებ, გარეთ ხმაური შეწყდა. ისე, თითქოს ბეღურების წვეულებას მიმინომ გადაუფრინაო: ოთახში მსხდომების ყურს უჩვეულოდ მოხვდა ამ ყაყანის შემდეგ სამარისებური სიჩუმე; სანამ მიხვდებოდნენ, რა მოხდა, კარებში პატარა ექვსი წლის ბიჭი გამოჩნდა, მორცხვად დაეხარა თავი დაბლა, უკან კი მშვენიერი, ოცდათხუთმეტამდე წლის ქალი შემოჰყვა. მაღალი, მკერდსავსე, სოფელში არნახული ქალური სილამაზე და ვნება ისე უშუალოდ, მოურიდებლად, ნიავივით შეიჭრა მამაკაცთა საბრძანებელში, რომ ყველას ენა სასაზე მიეწება; დალაქებმა მაკრატლის წკაპა-წკუპიც კი შეაჩერეს.

– ფირან, ბიჭს თქვენთან მოსვლის სცხვენოდა. რიგს შენთან დაიკავებს. ტყიურივით გახდა, – თქვა ქალმა.

– ჩემ რიგში მოკრიჭე მაგ ბიჭს თავი, – წამოხტა ერთი კაცი და სკამი შესთავაზა, მანამდე თქვენ აქ დაბრძანდით.

– აქ დასაჯდომად სადა მცალია, ბავშვს სამ საათში გამოვაგზავნი, ფირან, – თქვა ქალმა და ბავშვიანად კარებში გაბრუნდა.

– გამოგზავნე, გამოგზავნე, ანეტ, როგორც მოვა არ ვალოდინებ, – ყველას დაასწრო ონოფრემ.

– გამოგზავნე, გამოზავნე, ანეტ, როგორც მოვა, არ ვალოდინებ, – ღრეჭით დააჯავრა ფირანამ. – ვერ გაიგე? – იმან ფირანას უთხრა, შენ ვიღა იყავი!

– მე ბრიგადირი ვარ, პირველი სიტყვაც მე მეკუთვნის, განსაკუთრებით იგეთ ქალთან, როგორიც ანეტაა, – ონოფრემ თავისი უპირატესობა დაასაბუთა.

– ბრიგადირი რატო იქ არა ხარ, თვეში ერთ ბოთლ ადეკალონზე მეტი რომ არ გვეძლევა, საპონი არა გვაქვს, ბამბას კი სახლში საბნებიდან ვაძრობთ, – არ დათმო პოზიციები ფირანამ.

– მაგ საკითხს მარტო მე ვერ ვუშველი, ეს საერთო გაუგებრობის ბრალია. არც ჩვენ ვართ მართლები, გეგმის შესრულებამდე ჯერ საკუთარ ჯიბეზე რომ ვფიქრობთ. სახელმწიფომ რაღა ქნას, მიეცი და ისაც მოგცემს. არადა, კარგად სქელი ბამბის საბანი გქონია, მოაკელი ცოტა, არ გაცივდები, ნუ გეშინია, სამაგიეროდ ტყავი გაქვს სქელი, – ონოფრემ გაიხუმრა.

– ბრიგადირობა ანეტასთან გაგახსენდა, თორემ ამას წინათ რაიონში დალაქების თათბირზე კარგად მეხვეწებოდი, შენ წადი და თქვი რაც გვაკლიაო, – ფირანამ „ძველი ცოდვები“ გაახსენა.

– თქვენ დაჭამეთ ერთმანეთი, იპოლიტე მასწავლებელმა კი კინაღამ ეგ კალმახივით დედაკაცი ხელში ჩაიგდო, – საბჭოს აღმასრულებელი კოხტა დალაქების კამათში ჩაერია. – ჩემ რიგში მოიკრიჭე თავი, მობრძანდი. აგერ ჩემ სკამზე დაბრძანდი, მე კი თქვენ წინ დაჩოქილი დავუცდი ჩემ რიგს, – კოხტამ თავისი სკამი იპოლიტეს დაუდგა და თვითონ მის წინ მუხლი მოიყარა.

– აბა, მასხრობა არ იყოს! – იპოლიტე გაბრაზდა. – ზრდილობიანი კაცის მოვალეობაა ქალს პატივი სცეს.

– ეგ შენი პატივისცემა რატო სხვა დროს არ გამაიყენე, ორმოცი წლისა ცოლის ღირსი ვერ გახდი, – კოხტას მძღოლი ვალიკო მიეხმარა, – იქნება ჩვენ უფრო მეტის უფლება გვაქვს, ყურადღება მივაქციოთ!

– რაღაც ვერ შეგატყვე, გაქვავებული იჯექი, ვინ დაგიშალა, გამოლენჩებულები რომ ისხედით, მდგომარეობიდან მე გამოგიყვანეთ, მადლობის მაგიერია?! – იპოლიტე განაწყენდა.

– იპოლიტე არ ვიცი, მაგრამ იპოლიტა რომ ამაზონის სახელია, ვიცი ეს მე, ჰოდა, ანეტა ნაკლები ამორძალია?! ოღონდ ჩვენი იოპლიტე, აი, მამრი ამორძალი რომ არსებობდეს, ის იქნებოდა; ქალებისკენ კი მაინც თვალი გაურბის, – ტყის მცველი გოგია ახარხარდა, წიგნის კითხვით რომ მოპქონდა თავი და სადღაც დაუსწრებლადაც სწავლობდა.

– შე ტყიურო, თავი განათლებულად რომ მოგაქვს, მეტყვევე ხარ და ხის ჯიშებს ერთმანეთში ვერ არჩევ, მარტო გასაყიდ შეშის ფასში ერკვევი. რაღაცას მოკრავ ყურს და საპარიკმახეროში გამორბიხარ, გეჩქარება, თქვა, აი, რა ვიციო, იმ ნათქვამს იქით ცარიელა თავი რომ გაქვს, ამას ყველა თუ არა, მე და ჩემისთანები გამჩნევთ და სირცხვილისაგან ვიწვებით, – იპოლიტემ მეტყევეს ანგარიში გაუსწორა.

– შენ სირცხვილის გრძნობა რომ გქონდეს, აქამდე დაიწვებოდი, ორმოცი წელი მიწასა ლახავ და ქალის გემო არ იცი, – მეტყევე გაცხარდა.

– მე ნამდვილი ქალი და ნამდვილი სიყვარული მჭირდება, ის მჟავე და უწმაწურობით შენელებული უნამუსობა შენ ნამდვილი ქალის გემო ნუ გგონია! – შეედავა მეტყევეს იპოლიტე.

– ექამდე ნამდვილი ქალი ვეღარა ნახე? ე, სიბერე კარზე რომ აგტუზვია, ვერ ატყობ? – ჩაერია საუბარში ნოღა დალაქი, რომელიც ასაკით მალე სამოცს მიუკაკუნებდა.

– ნამდვილი სიყვარული სიბერეშიც შეიძლება! – იპოლიტემ მსმენელები და თავისი თავი დააიმედა.

– შენ სიყვარული დაუძახე, თუ სიბერეში აპირებ ცოლის შერთვას, ეცადე, საქმე წინ წაიგდო, აუცილებლად შვილებიანი მოიყვა, თორემ ახალგაზრდა მხოლოდ სახელად იქნება შენი, – კოხტამ იპოლიტე გააფრთხილა.

– ყველამ თავის ბოზ მამიდას მოუაროს! – გაბრაზდა იპოლიტე. დავა მწვავდებოდა, დაძაბულობა ისევ ონოფრემ განმუხტა, საუბრის თემა შეცვალა:

– ვალიკო, ჩვენ მეტი უფლება გვაქვს, ყურადღება მივაქციოთო, როგორ უნდა გავიგოთ? – ირონიულად იკითხა.

– როგორ და იგრე, როგორც იყო ნათქვამი!

– მაინც როგორ იყო ნათქვამი?

– იგრე, რომ ეგ ქალი ჩემთან ყველაზე ახლოა და ჩემს გარდა სხვასთან არ გაივლის! – თვითდაჯერებულად თქვა ვალიკომ.

– რაო, რაო? სხვასთან არ გაივლისო? – ონოფრემ კაცის პარსვას თავი დაანება და დოინჯი შემოიდო.

– ჰო, რა გაგიკვირდა, ეგ დედაკაცი ჩემთან დადის, სხვას კი მილიონზე არ გაეკარება! გაიგე? – ვალიკომ თავმომწონედ თქვა და ოთახში მჯდომთ ამაყი მზერა მოატარა.

– არ ვიცი, ძმაო. დღემდე მე მაგ ქალის აუგი არ გამიგია! – ონოფრემ ხელები გაშალა, – არ ვიცი, ამ ქვეყანაზე ვისი უნდა ირწმუნოს კაცმა! – ჩაილაპარაკა და ისევ შეუდგა სახეზე საპონშემშრალი კაცის გასაპნას.

– ვალიკო, შენ ჩემსავით ხომ არ ტრაბახობ, შურისძიება ხომ არ გალაპარაკებს, შე ულმერთო! – მეძროხე ნიკალა ჩაერია საუბარში.

– შენ რაღა დაიტრაბახე, ნიკალ? – ჰკითხა ფირანამ, თითქოს ათასჯერ გაგონილი არა ჰქონოდა ის ამბავი, სოფელში ლეგენდად რომ იყო გავარდნილი.

– თუ ყურს დამიგდებთ, მოვყვები, – ნიკალა, ალბათ, ათასმეერთედ გაემზადა ამბის მოსაყოლად.

— მიდი, ნიკალ, მიდი, ჩამოფქვი, შენი ჯერია! — შეაგულიანეს.

— საღამო იყო, — ნიკალამ ამბის თხრობა შორიდან დაიწყო, რაკი დაინახა, რომ ყველა სულგანაბული უსმენდა, — ნახირი სოფელში შემოვრეკე, მე კი უკან გავბრუნდი, ერთი ახლად მოგებული ძროხა ჩამორჩა და ის უნდა წამომეყვანა. ბინდდებოდა, ტყის პირას რო გავედი, უცებ, ფერდაზე ქალი დავინახე, ჯერ შემეშინდა ალქაჯი არ იყოს-მეთქი, მერე რო დავაკვირდი, ალქაჯი კი არა, ანგელოზი იყო, ეგეთი ქალი ჩემი გოგოს წიგნში ვნახე დახატული, ღრუბელზე იდგა. ქალი ჩემსკენ წამოვიდა, ანეტა იყო, გაიღიმა, აქ რას აკეთებ, ნიკალო, — მითხრა. გულმა დაგადუგი დამიწყო. რა მოგივიდა, კაცო, ხმა ამოიღეო, ისევ გაიღიმა, რა ვიცი, შენს დანახვაზე ხმა ჩამივარდა-მეთქი. ანეტამ გადაიხარხარა, რა არ მელოდებოდიო. იგრე მკითხა, თითქოს მე მყავდა დაბარებული. გელოდებოდი, ანეტ, გელოდებოდი! საჩქაროდ ვუთხარი, თითქოს იმისა მეშინოდა, არ იფიქროს, რომ არ ველოდებოდი-მეთქი. მელოდებოდი და მეც აქა ვარ, მითხრა ქალმა, კიდევ რაღაცა უნდა ეთქვა, მაგრამ მე სულელმა ვეღარ მოვითმინე, მეგონა, უკვე ჩემია-მეთქი. ოხ, შენ გენაცვალე, ანეტ! წავილუღლუღე და ქალს წელზე მოვხვიე ხელი, მინდოდა იქვე მწვანეზე გამეგორებინა და... — ნიკალა დადუმდა.

— მერე, მერე, ნიკალ, გააგრძელე! — მიაძახეს.

— მემრე თქვენს მტერს, რაც მაშინ მე დამემართა, მკერდზე იგრე მკრა ხელი, წავბარბაცდი და ხელებით ძლივს შავიკავე თავი, რომ არ გავშხლართულიყავი. მოქნილი, მაგარი შვინდის ჯოხი ზურგში რო გადამიჭირა, თვალი დამიბნელდა.

— ვერ წამოუხტი, კაცო? — ვიღაცა შეეხმიანა.

— წამოვუხტი კი არა, ხუთი რო გადამიჭირა, ხელებზე თავი ვეღარ შევიკავე, მიწაზე ბაყაყივით გავიშხლართე. მეექვსე რომ დაერტყა, უფალს სულს მივაბარებდი; გაროზგვის სიმწარე ჩემს ზურგზე გამოვცადე.

— როგორ გუნებაზე ხარ, კიდევ გინდაო? — დოინჯ-შემოყრილი ანეტა თავზე დამდგომოდა. მე იგრე მქონდა ყველა სურვილი გამობერტყილი, რომ მარტო იმაზე ვფიქრობდი, ჯოხი კიდევ არ მამხვედროდა.

— მეყოფა, ძლივს ამოვილუღლუღე და მუხლებზე წამოვდექი.

— ახლა გაპატიებ მაგ თავხედობას, თუმცა მეტის ღირსი იყავი. ერთი დღედამე ძროხა სახლში არ მოსულა, თუ არ მოძებნი, რაც ახლა დაგაკელი, მემრე გადაგითავებ! — მითხრა და იგრე წავიდა, უკან აღარ მოუხედნია. მე შვებით ამოვისუნთქე, მაგრამ ბოლმა მახრჩობდა, შურისძიების გრძნობა არ მასვენებდა. ანეტას შიშით ძროხა მაინც მოვძებნე და დიდი მოწიწებით მეორე საღამოს სახლში მივუყვანე.

რამდენიმე დღის შემდეგ კი სადალაქოში ზღაპრების მოყოლა დავიწყე. ანეტასთან იმ საღამოს, ტყის პირას როგორ ვიცუღლუტე. ამით მინდოდა შური მეძია, მაგრამ ბეჭებზე შემორჩენილმა ჯოხის სისხლიანმა კვალმა გამცა და ჩემი ვაჟკაცობაც ყველასთვის ცნობილი გახდა. მე კი იმ ამბის გახსენებაზე ზურგი ემეწვება ხოლმე და მახსენებს, უნამუსობა არ ჩაიდინოო, შენც ეგრე ხო არა ხარ, ვალიკო? — ნიკალამ ვალიკოს ირონიული ღიმილით მიხედა.

— მე მოსატყუარი არაფერი მაქვს. ქალი ჩემთვისა გიჟდება, თუ გინდათ, ყველაფერს დაწვრილებით მოვყვები, — ვალიკომ დანარჩენებს ამაყი მზერა მოატარა.

— სანამ რამეს მოყვები, ჯერ პერანგი აიწი და ხალხს დალიანდაგებული ზურგი აჩვენე! — ანეტას ვენახის მომიჯნავე შავი ალექსა მოულოდნელად ფეხ-

ზე წამოდგა, სამოცდაათ წელს მიღწეული, მაგრამ ჯერ ისევ ჯანგაუტეხავი და მუხის მუგუზალივით შავი კაცი. – შენ რა უნდა მოყვე, შე უღლეურო, ხალხს ყველაფერს მე მოვუყვები, მემრე კი საბუთსაც ვაჩვენებ, – თქვა შავმა ალექსამ და დაიწყო:

– საწყალი გოგო კარგა ხანია ღონდებოდა, ვენახიდან წალამი რით წაეღო. ეს ოხერი, ტაჭკის უბე მეც მაშინ გამიტყდა, შევპირდი კი, როცა გავაკეთებ, სახლში ამოგიტან-მეთქი, მაგრამ დამიგვიანდა და შიგ ქუნქრუკო ამაიზარდა.

წინა კვირა დღეს გოგო ადრე ჩამოვიდა ვენახში და თოხნა დაიწყო, მე ქოხში ვკუკუნებდი, არ გამოვხმაურებივარ. ერთი საათი არ იქნებოდა გასული, ამ ვაჟბატონმა მანქანა შამააგრიალა, – შავმა ალექსამ ხელი ვალიკოსკენ გაიშვირა. – გოგოს გაუხარდა. შენი ჭირიმე, ვალიკო, რომ არ დამაღალატეო, დადგა ის დალოცვილის შვილი და წალმის კონებს იგრე ისროდა მანქანაზე, კარგ ვაჟკაცს გაუხარდებოდა. ხანდახან რაღაცას გადაულაპარაკებდნენ ხოლმე ერთმანეთს, მაგრამ ის ლაპარაკი ჩემამდე არ აღწევდა. ერთალია ვიფიქრე, გავალ, მეც მივეშველები-მეთქი, მაგრამ მემრე გადავიფიქრე, რა ვიცი, იმ დროს იქნება რაღაცა ეჭვის ჭია მეცა მყავდა. მანქანა სანახევროდაც არ ჰქონდათ დატვირთული, ანეტა დაიხარა კონის ასაღებად, ამან კი უკნიდან მოკიდა ხელი და ზედ მიეკრა. ის იყო უნდა დამეყვირა, რას შვრები, შე მამაძაღლო-მეთქი და ჯოხს წავავლე ხელი, მაგრამ ჩემი დახმარება აღარ გახდა საჭირო. ანეტა უცებ წელში გაიშალა, იდაყვი მუცელში ჰკრა და ეს შენი ვალიკო მოკუნტული ჩაჯდა. ანეტამ იქვე ატამზე მიყუდებულ ჯოხს ხელი დაავლო და ზურგში რომ გადაუშხივლა, თითქოს ერთი დიდი საპალნე მოიხსნაო, იგრე მემეშვა, მაგრამ მემრე, რომ უჭირა და უჭირა, შემეშინდა, არ მოკლას ეგ შობელძაღლი-მეთქი. ეს ვაჟბატონი კი დაბლა ეგდო, გველივით იგრიხებოდა და ვაი, ვაი იძახოდა. ანეტამ ჯოხი მოისროლა, ხელები კაბაზე გაისვა, ეს უღლეური ისევ დაბლა ეგდო. შენ თვითონ დაუდე წალამი, სახლში მიიტანე და კარგად დაალაგე, თორემ დედას გიტირებო! გოგო ძალიან აღელვებული იყო, თოხს დაავლო ხელი და ვენახის პლანებში შავიდა. ეს კი წელმოწყვეტილი ადგა, წალამი მანქანაზე ძლივს დაუდო და იქიდან უთქმელად გაიპარა, – შავი ალექსა გაჩუმდა.

– ვააახხხ! – აღმოხდათ მსმენელებს.

– მაიცათ ხალხო, ჯერ არ დამიმთავრებია, – შავმა ალექსამ გააჩერა ლაპარაკის საღერღელ-აშლილი კაცები და თხრობა გააგრძელა: – ხომ გახსოვთ, რა ვაჟკაცი იყო მაგ გოგოს ქმარი. მითხარით, რომელი ჯობდა იმას გინდა მკლავში, გინდა მუხლით, გინდა ადამიანობით. ჩემ თვალწინ გაიზარდა და დავაჟკაცდა. შენ მანქანას, შე ვირიშვილო, – ვალიკოს მიუბრუნდა, – უკნიდან იგრე სწევდა, მიწას თვლებს მააცილებდა ხოლმე. რომელ მის თანატოლს არ ენატრებოდა ვარდოანთ ნუგზარას მსგავსი ყოფილიყო. მითხარით, რომელი გაუბედავდა დაჭიდებას?! – არავინ! ვინ იყო ყველა გაჭირვებულის მშველელი? ვარდოაანთ ნუგზარა! – შავი ალექსა ლაპარაკის აზარტში შევიდა; კაცები გაქვავებულივით მიჯაჭვოდნენ თავიანთ ადგილებს და ხმას ვერ იღებდნენ; დალაქები აღარ მუშაობდნენ, შავ ალექსას მონუსხულებივით შეჰურებდნენ. – იმ დაწყევლილ დღეს ადიდებულმა ალაზანმა ბორანი რომ მაიტაცა და მეჭიავე დედაკაცები წყალში გადაყარა ჭალაში დაკაფულ ფურცლიანად, რამდენი კაცი იყო მაშინ იქ; როგორც ვიცი, ზოგის ქმარიც იქა ბრძანდებოდა! – შავმა ალექსამ ვალიკოს რისხვით შეხედა, – რომელმა გამაიღო ხელი. ვარდოანთ ნუგზარა რო არა ყოფილიყო, რვა დედაკაცი დაიხრჩობოდა, რვა ამისთანა არაკაცი დაქვრივდე-

ბოდა, – ვალიკოსკენ გაიშვირა ხელი. – ვინ იცის, კიდევ რამდენი ბავშვი დაობლდებოდა. სადამდე არა სდია აჯილღასავით გონდაკარგულ ალაზანს და ყველა ქალი ნაპირზე გამოყარა; ბოლოს თვითონ კარჩხალზე დაჭრილი და სისხლისაგან დაცლილი რო ვეღარ ერეოდა გაავებულ წყალს, რომელი მიეშველეთ?! რამდენი ზიხართ ახლა აქ, მაშინ იქ რო ეყარენით! თვითონ გამოვიდა ნაპირზე სისხლისაგან დაცლილი, – შავი ალექსა დადუმდა, გრძნობამოძალებული ქშინავდა, სადალაქოში სამარისებური სიჩუმე იდგა; კაცებს თავები ჩაეღუნათ და ფეხის სიმრავლისაგან გაცვეთილ იატაკს მისჩერებოდნენ.

– გული კიდევ იცით რამ მამიკლა? – შავმა ალექსამ ცოტა შესვენების შემდეგ განაგრძო, – ეს მათხოვარი რომ წეეთრა, საწყალი გოგო ვენახიდან გამოვიდა, ქოხში შევიდა და, თითქოს ნუგზარის ცხედარი წინ უდევსო, ხმამაღალი მოთქმა დაიწყო, ეხვეწებოდა, წამიყვანეო, ამდენი უმადურობის ატანა აღარ შემიძლიანო, ბიჭი მყავს გასაზრდელი, თორე ერთ წუთს არ ვიცოცხლებდი თავსაო, შენ გვერდით ბედნიერად მოვისვენებდიო, მაგრამ რა ვქნა, ყველაფერს შვილის გულისათვის ვითმენო, არ შეგარცხვენ, შენს წმინდა სახელს არავის არ დავაჩრდილინებო; საწყალმა იტირა, მაიკვეთა გული; მე კი ჩემ ქოხში ეს ქვაგულა ბერიკაცი ცრემლად დავდნი. ერთი სული მქონდა, ეს ნაბიჭვარი მენახა და სული გამეფრთხობინებინა. თოფი ქოხში მიკიდია ხოლმე, შენი ბედი, ბალღო, ის გოგო რო გაამწარე, მაშინ არ ვიყავ იმ გუნებაზე, თორემ ბურვაკივით გაგაგორებდი! – შავი ალექსა ვალიკოსთან მივიდა და თავზე დაადგა, – ადექ ფეხზე! – უბრძანა.

ვალიკო წახდა, ადგომა ვერ გაბედა. შავმა ალექსამ ხელი დაავლო, წამოაყენა, ზურგით ხალხისკენ მიაბრუნა და პერანგი აუწია, – აი, მაგისი კაი კაცობა! – ვალიკოს ჯოხით დალილავებული ზურგი ყველამ დაინახა.

– თუ თქვენ ნამუსი არა გაქვთ და ეგრე გააგრძელებთ, იმის მაგიერ რომ იმ საწყალ გოგოს მხარში ამოუდგეთ და მძიმე ტვირთი შეუმსუბუქოთ; იმ რვა გადარჩენილი ქალის ქმრებსაც დაავიწყდათ, ვისი წყალობით შერჩათ ოჯახი მთელი და ბედნიერი, დღეს აქ სახალხოდ ვაცხადებ: თუ კიდევ გავიგე, რომ ანეტას ვინმემ პატარა უსიამოვნება მიაყენა, იცოდეთ, ორი ვაზნა იმისათვის მაქვს გადანახული, დედას ვუტირებ! – შავმა ალექსამ თქვა და პასუხს აღარ დაუცადა, პირი აღარ გაუპარსავს, აღელვებულმა დატოვა სადალაქო. ვალიკო იდგა შუა სადალაქოში პერანგამოჩაჩული, ხელებჩამოშვებული, შუბლზე სირცხვილის ოფლშემშრალი და ნატრობდა, იმ წუთში მიწას პირი გაეღო და ისე ჩაეყლაპა, რომ არავისთვის თვალებში არ შეეხედა.

## პეტოს არაფერი ეშლება

**მიტრო** ანეტას რგოლში ჩარიცხეს. რგოლს ვამბობ, თორე ბრიგადირი, ნოლა გოგიას რომ ეძახდნენ, თავისი მიჭყლეტილი ცხვირის გამო, ისეთი ზარმაცი და უწიგნური იყო, ყველაფერს ანეტას აკეთებინებდა, თვითონ მოპარვის ოსტატი თავმჯდომარეს მოსწონდა.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე ტიტიკო გლახოევიჩმა თავისი გრძელვადიანი თავმჯდომარეობის განმავლობაში კოლმეურნეობა მოწინავეობიდან საშუალოზე ქვევით ჩააცურა და ახლა ბოლო ადგილისათვის რამდენიმე კოლმეურნეობასთან გადიოდა კონკურსში. ტიტიკო დიდი არაფერი ორგანიზატორ იყო, მაგრამ ალღო და ყნოსვა მეძებარი ძაღლისა ჰქონდა. უფროსებთან, განსაკუთ-

რებით კი მთლად უფროსთან კარგად იყო და ლელო ამით გაჰქონდა.

– ანეტას ბუქსირზე ჰყავს აყვანილი ნოლა ბრიგადირი, ბარემ ეგ დანიშნონ ბრიგადირად, საქმესაც ეშველება და ჩვენც, – ამბობდნენ თუთის ჩრდილში შეფარებული დედაკაცები, – მაგრამ მაგას ხელს ვინ დაადებს, ტიტიკო გლახოევიჩის ნათესავი ყოფილა.

– რას ამბობ, ქალო, ტიტიკოს ნათესავი ვინ არის და ვინ არა, აღარ ვიცით?! სოფელში არა ვცხოვრობთ?! რაიონიდან ვიღაცას დაუვალებია, მიმიხედეთო.

– აბა, მაგან ვითომ სიკეთე უყო? დატანჯა საწყალი ნოლა.

– თუ სიკეთე უნდოდა, საწყობის გამგედ დაენიშნა, ეგაც დაისვენებდა და ჩვენც.

– მაგის ცოდვა კი მეეწიოს ტიტიკო თავმჯდომარეს! – ოხუნჯობდნენ ქალები და თან ფარდულისკენ იყურებოდნენ, სადაც ანეტა ნოლა გოგიას რაღაცას უწერდა.

– ცოდო ანეტაა, თორემ ნოლა კარგად ყვლეფას ბრიგადას, ტიტიკოსაც უყოფს; ანეტა მაგდენს არ იკადრებს და ბრიგადირად ვინ გაუშვებს.

– ი, ბიჭი ვიღაა, იმასთან რომ დადის? – ერთმა ქალმა იკითხა.

– ვიშ, ქა, ეგ მეწისქვილე პეტოს სიძე არ არის, მედოლე, საღამოზე ჩვენი ნოლა გოგია დოლ-გარმონზე ქეიფს ხომ არ გვიპირებს ნეტავ? – ქალებმა გადაიხარხარეს.

– თუ შაბაში არ მისცეს, კარგად არ დაუკრამს, მარტო თამადის სადღეგრძელოზე პატარა თუ გატოკდნენ, მემრე სულ გაბუტულებივითა სხედან. ამას წინათ ჩემმა მეზობელმა დიდი ძეობა გადაიხადა, მედუდუკე კოლას დასტა დაექირავებინა, ეგენი კიდევ ისხდნენ და ხმას არ იღებდნენ. მეზობელი გაბრაზდა, კინაღამ ყველა გაყარა, უთხრა: – თქვე ოხრებო, მე შაბაშზე როდის მოგირიგდით, დაუკარით, თორემ იმ ექვსას მანეთს კისრიდან ამოგაცლითო! ღვთის წყალობა, მემრე იკადრეს და მაგ ბიჭს მთელი ღამე პირი აღარ გაუჩერებია.

– ჩვენც აგრე ვქნათ, შავაშინოთ, შრომადღეებს აღარ დაგიწერამთო.

– მართლა, ქალებო, იმ ჩვენმა დამთხვეულმა თავმჯდომარემ შრომადღეზე კი არ აიყვანოს ეგ მუსიკოსები, – თქვა ერთმა.

– ეგ როგორ მოხერხდება, ქალო!

– როგორ და იგრე, დღეს ჩვენს ბრიგადაში დაუკრამენ, ხვალ სხვაგან, ახლა მემინდვრეებთან გადავლენ და თვის ბოლომდე ყველა ბრიგადას მოივლიან; ბოლოს გვეტყვიან, მუსიკა რომ მაისმინეთ, თვეში ათ-ათ შრომადღეს ჩამოგვაჭრით და მაგათ დავუწერთო.

– რას ამბობ, ქალო, ეგ როგორ შაიძლება?!

– ძალიანაც შაიძლება. ჩემს ქმარს ყოველთვე დალაქის მომსახურეობისას ხუთ შრომადღეს აჭრიან, ის საწყალი კიდევ თვეში ერთხელაც ვერ იპარსავს, სულ ძროხაში გდია იორზე; სახლში ნადირივით მოვა ხოლმე, იგრეა გაბანჯგლული, გული მისკდება.

– ნადირივით იქნება სხვა რამეზე მოდის, შე დასაღუპავო, არა მგონია, მაგაზე შენ გული გაგისკდეს! – ქალები ხმამაღლა ახარხარდნენ.

– თქვენ ხუმრობა გგონიათ, მაგრამ შეიძლება ეგ მუსიკოსები მართლა აიყვანოს ჩვენმა თავმჯდომარემ, – თქვა მოანგარიშე აბრამას ცოლმა.

– როგორ შაიძლება, ქალო, სწორედ ეგ ჯამბაზობაღა გვაკლია! – შეიცხადა ხანშიშესულმა ქალმა.

– რატომ არ შაიძლება, აღარ გახსომთ, შარშანწინ სასულე ორკესტრის

ინსტრუმენტები რომ მოატანინა ტიტიკო თავმჯდომარემ? კოლექტივში „დუხავოი“ ორკესტრი უნდა შევქმნაო. ჰოდა, მაშინ ჩემი ქმარი, აბრამა, გამოიძახა და დაავალა: ერთი მიანგარიშე რაიონში წელიწადში რამდენი კაცი კვდებაო და რაიონს „დუხავოი“ ორკესტრის ერთი დაქირავება რა უჯდებაო, მეზობელ რაიონებისკენაც გადაიხედე, სახელი რომ გაგვივარდება, ისინი დაიქირავებენ ჩვენს ორკესტრს; ახლა საზეიმო კრებები, გრანდიოზული საღამოები, ზოგმა კულტურულმა ოჯახმა ქორწილში და ძეობებშიც შეიძლება დაიქირავოს. მოკლედ, ამ ჩვენმა ორკესტრმა, მე რომ მოკრძალებით ვიანგარიშე, წელიწადში ორასი ათასი მანეთის მოგება უნდა მოგვცეს, რაც მეცხოველეობაში და მეაბრეშუმეობაში ზარალი გვაქვს, სულ უნდა გადაგვიფაროსო.

– შენმა ქმარმა რაღა ქნა? – ქალები დაინტერესდნენ.

– ჰოდა, აბრამამ მთელი კვირა გეგმის შედგენაზე იმუშავა, რომ დაამთავრა და ტიტიკოს მიუტანა, იმან კინაღამ თავზე დააფხრიწა, რამდენიც გეგმაში ჰქონდა, მოგება იმდენი არ გამოდიოდა.

ჯერ მუსიკოსებს ხელფასი წაუშალა, – ესენი მუქთად იმუშავებენ საზოგადოებრივ საწყისებზეო. აბრამა რომ შეეკითხა, ეს როგორ იქნებაო, აუხსნა და თან სია მიაწოდა, ვის რომელ ინსტრუმენტზე უნდა დაეკრა. თვითონ ტიტიკო, ბუღალტერი, საწყობის გამგე, გარაჟის გამგე, მოანგარიშეები, ბრიგადირები ყველას თავის ინსტრუმენტებზე დაკვრა უნდა ესწავლა. დასწყევლა ჭირმა, იმ ყუყუნების სახელი არ ვიცი. ერთი კი დამახსომდა, ჩემი აბრამა ღოლს რომ დაათრევენ, იმის დამკვრელად ჩაეწერა, ბუღალტერს კი თეფშებს რომ აჩხაკუნებენ, ის თანამდებობა ჩეეგდო ხელში პროტექციით; ტიტიკოს შახვეწებოდა, მუსიკისა არაფერი ვიცი, ეგაც შეიძლება ვერ ავითვისოო.

– ვიშ, ქა, რა საინტერესო სანახავი იქნებოდა; რაღად ჩაშალეს, მაგაზე მეტი გასართობი რა გვინდოდა, – ქალები ახმაურდნენ.

– ჰოდა, იმას ვამბობდი, – მოანგარიშის ცოლმა ამბის გაგრძელება დაიწყო, – ტიტიკომ მუსიკოსების ხელფასი გადაშალა და მოგებაში გადაიტანა, ქელეხთა რაოდენობას მოუმატა, ბევრს იხდიანო, გეგმაში კვირაში სამი დღე ეანგარიშა, თანაც ერთი პანაშვიდი და ერთი დაკრძალვა, პანაშვიდზე ცალკე ფასი დაეწესებინა. ყველა საღამოს კი ქორწილი, ძეობა, ქეიფი შეეტანა. მოკლედ, იგრე ააწყო საქმე, რომ მეცხოველეობა და მეაბრეშუმეობის ზარალი სულ დაფარა და ცოტათი მემინდვრეებსაც ეხმარებოდა. წერტილი რომ დაუსვა, თურმე იმ თავის ნამუშევარს და სკამზე გაიჭიმა, იგეთი გაბრწყინებული სახე ჰქონია, თითქოს მოგება უკვე ჯიბეში უდევსო.

ახლა რა ვქნათო, აბრამას უკითხავს, ახლა თათბირი ჩავატაროთ ორკესტრის მუშაკებთანო, თანაც დაუვალდებულებია, საღამოს რვა საათზე სუყველა ჩემთან გამაიძახეო. გათენებამდე დიდი კამათი და ვაი უშველებელი ჰქონიათ; ბოლოს ამ ამბით გულგახეთქილი „მუსიკოსები“ ტიტიკოს მაინც დაუყოლიებია, მეც თქვენთან ვიქნებიო, უთქვამს და მეორე დღიდან უკვე დაუწყიათ მეცადინეობა; რაიონიდან ვიღაც მასწავლებელი მოუწვევია.

ერთი კვირა ეგრე იჯახირეს, ბოლოს იმ მასწავლებელს უთქვამს: ყველამ თქვენს მაგივრად თითო ვირი მაიყვანეთ, ისინი უფრო იოლად აითვისებენ, ვიდრე თქვენაო. ტიტიკო თურმე იხტიბარს მაინც არ იტეხდა, მეცხოველეობას ვერაფერი მოუხერხა, გამოსავალი როგორც იყო, იპოვა და ისაც ხელიდან ეცლებოდა, თორემ მუსიკა ფეხებზე ეკიდა. გაწამებული კაცები უკვე კოლექტივიდან გაქცევს აპირებდნენ, რომ იმ დალოცვილმა რომელიღაც რაიონის კულტსახლის დი-

რექტორმა უშველათ. თურმე „დუხავოი“ ორკესტრის ინსტრუმენტები იმას ჰქონია გამოწერილი, შემთხვევით მოსულა ჩვენს რაიკოოპერატივში და...

– მემრე, მემრე რა მოხდა?! – ქალები ცნობისმოყვარეობას ველარ იკმაყოფილებდნენ.

– მემრე ის მოხდა, რომ იმ კაცმა იჩივლა, რაღაც საბუთებით გაიმარჯვა, დაამტკიცა, რომ ინსტრუმენტები იმისი იყო და წაიღო.

– მემრე რა მოხდა?! – ქალები ამბის მომყოლის პირიდან სიტყვებს იტაცებდნენ.

– ვიშ, ქა, მემრე რაღა უნდა მამხდარიყო, კაცებს ეშველათ და სიხარულით ორი დღე ქეიფობდნენ; ტიტიკოს კი დარჩა მუსიკის გარეშე თავისი ზარალიანი მეცხოველეობა, – ქალმა თავისი თხრობა დაამთავრა.

– ქალებო, მეც არ ვამბობდი, კოლექტივის კლუბში კაცები საღამოობით რას აჭყვიტინებენ-მეთქი, მა თქვენ არ გახსომთ? – თქვა ერთმა.

– მახსომს კი არა, ჩემი ქმარიც იქ დადიოდა; კაცი გადარეული იყო.

– ყველას გვახსოვს, – დანარჩენებმაც მხარი აუბეს.

– ეტყობა, ეგ მეღოლე აქ ტყუილუბრალოდ არ არის მოსული. ტიტიკო წირპლიანი ნამდვილად რაღაც ახლა იონს გვიწყობს, – ერთხმად თქვეს და ფარდულისკენ გაიხედეს.

– ნამდვილად ეგრე იქნება! – დაასკვნეს.

ანეტამ ნოღა გოგიას რაღაც ქაღალდები გადასცა და ფეხზე წამოდგა; პეტოს სიძე მორჩილად გაჰყვა.

ქალები ჩითის კაბების ბერტყვით წამოდგნენ.

– გაიცანით, ჩვენი ბრიგადის ახალი წევრია, მიტრო ქიტუაშვილი, – ანეტამ დამორცხვებული მიტრო ქალებს წარუდგინა.

– დოლზე დაკვრა ხომ არ უნდა გვასწავლოს? – ერთმა ქალმა ეშმაკურად იკითხა.

მიტრო უხერხულად შეიშმუშნა.

– პირიქით, დოლის დაკვრას შეეშვა, უმაღლესში სწავლობს; ახლა უნდა, რომ ნამდვილ შრომას მოჰკიდოს ხელი, – განუმარტათ ანეტამ.

– ჩვენთან რაღაზე მაიყვანე, ჩვენი ნებართვაა საჭირო? – ქალები ხუმრობდნენ.

– ჩვენს რგოლში ჩარიცხეს, – ანეტამ თითების მტვრევით გართულ თავდახრილ მიტროს გადახედა.

– აბა, ჰე, მიდი, მოგყვებით! – მხიარულ ხასიათზე მყოფმა ქალებმა ვაზის მაკრატლებს წამოავლეს ხელი.

– ის ბრიგადა შევარცხვინე, ვაზი ქალების გასასხლავი რო გახდება! – ერთმა ქალმა დაიჩივლა.

– რაღას წუწუნებ, ქალო, ერთი დასვენებული ბიჭი ხომ გამოგვიგზავნა ტიტიკო თავმჯდომარემ, მალე სხვასაც მააყოლებს და სულ ღიღინ-ღიღინით ჩავამთავრებთ სხვლას, – გაამხნევეს დანარჩენებმა.

სუყველა ვენახში გაიშალა.

ანეტამ მიტრო გვერდით დაიყენა.

– ვაზი გაგისხლავს? – ჰკითხა.

– რა ვი, – მხრები აიწურა მიტრომ.

– როგორ თუ რა იცი. მაკრატელი რომ მოგცე, გასხლავ? – ანეტამ შეკითხვა გაუმეორა.

– რა ვი, – ისევ გაიმეორა მიტრომ.

– აბა, მიყურე, – ანეტამ ვაზის გასხვლა დაიწყო. გასხვლის ყველა ვარიანტი აჩვენა, – ახლა შეძლებ დამოუკიდებლად გასხვლას? – შეეკითხა.

მიტროს თუმცა თავის დღეში მაკრატელი ხელში არ სჭეროდა, ძალიან იოლი ეჩვენა ეს საქმე, თანაც უნდოდა დაემტკიცებინა, რომ დიდად გარკვეული იყო ამ საქმეში.

– მე რაღა მესწავლება, ჭიპი ვაზის გასხვლაში მაქვს მოჭრილი, – ამაყად და თვითდაჯერებულად თქვა.

– თუ ასე იყო, ამდენი რაღას მალაპარაკე; პლანს გამოყევი! – ვითომ უსაყვედურა, გულში კი გაუხარდა, გამოცდილი მსხვლელი ვიშოვეო.

ანეტამ თავისი პლანი რომ დაამთავრა, მიტროს გასხლულ ვაზებს გაუყვა და კინაღამ გული შეუღონდა. უცებ წამოიკივლა, მაგრამ თავი შეიკავა და წინ წასულ მიტროს დაუძახა, მიტრო რომ მივიდა, საყვედურით უთხრა:

– ეს რა გიქნია, ბიჭო, ვაზი პირველად ნახე?! – გაუწყრა, – გადასაწვენად მწარე ვაზის ამონაყარი რომ დაგიტოვებია, მწარე ვაზს ვერა სცნობ?

– ვაზი მწარეა სანამ დაისხამს, მემრე მჟავე და ბოლოს ტკბილდება, – ვითომ გაიხუმრა მიტრომ და ნაძალადევად გაიღიმა.

– ოოოვე! ცუდად ყოფილა საქმე! – ანეტამ წყენით ჩაილაპარაკა.

ორივემ ერთად დაიწყეს მიტროს ნაღვაწის დათვალიერება.

– ვაი, ვაი! ეს რა უქნია, – ანეტამ დაბალ ხმაზე შეიცხადა, ქალებს რომ არ გაეგოთ. – ამაზე მოსაჭრელი რამდენი რქა დაგიტოვებია, ეს კი სულ გაგიკრეჭია, გამოსწორება რომ აღარ შეიძლება, რა გიყო ახლა შენ?! – ანეტა მიტროსკენ შეტრიალდა და დოინჯით გაჩერდა.

მიტროს გააცივა, სხეულზე ეკალი დააყარა, მოიბუზა.

– ქალებმა რომ გაიგონ, ყბად აგიღებენ, ქვეყანას შეგიყრიან. მე გამოვასწორებ როგორც შეიძლება, შენ კი წალამი ზიდე; ხვალიდან გვერდით დაგიყენებ და სხვლას გასწავლი.

მეორე დღეს მიტრო სულ ანეტას გვერდით მუშაობდა, მაგრამ ვაზის სხვლის ხელოვნებას მაინც ვერ ეზიარა.

ანეტას ჩითის კაბა ეცვა, რომელიც მის მშვენიერ სხეულს სინატიფეს და მიმზიდველობას მატებდა. ქალის ვნების აღმძვრელმა სურნელებამ, რომელიც მისი სილამაზის მსგავსად თავბრუდამხვევი და მომაჯადოებელი იყო, ისედაც დაბნეული მიტრო მთლად გამოალენჩა; მოძრაობებს ინსტიქტურად აკეთებდა და ქალს თვალებში ისე მორჩილად შეჰყურებდა, რომ ანეტას მისი სახის გამომეტყველებაზე ეცინებოდა.

ძილის წინ მიტროს სულ ანეტა ედგა თვალწინ. ბორგავდა, ლოგინში კოტრიალობდა. უყვარდა ანეტა, მის გარეშე სიცოცხლე ვერ წარმოედგინა. ოცნებობდა მიტრო და თან გვერდით იწევდა, რომ ფიქრიასთან უნებლიე შეხებას ეს ტკბილი განცდა არ დაეფრთხო და სინამდვილეში არ დაებრუნებინა. ერთი მიზანი ჰქონდა, ანეტა მისი გამხდარიყო. სასწრაფოდ გაეყრებოდა ფიქრიას და ანეტასთან გადაბარგდებოდა; მთელი ერთი თვე ამ განწყობილებით დადიოდა ბრიგადაში და უხასიათოდ დაათრევდა წალამს.

– ამ ბიჭს ხელიდან საქმე არ გამოსდის, რაღაც მთლად ნორმალური არა მგონია. ხანდახან ლენჩივით მომჩერებია, რომ დაველაპარაკები, ვერც კი იგებს, – თქვა თავის რგოლის ქალებთან ანეტამ.

– ნუ გიკვირს, ანეტ, მაგ სილამაზის პატრონი ბევრ კაცს გამოალენჩებს. ქა-

ლი ვარ და შენი ყურებით ხან მე მემართება მაგრე, – თქვა ერთმა ქალმა და სხვებიც აჰყვნენ.

– ერთი შენი სილამაზე მამცა, საღამოობით სოფლის ბირჟაზე ჯეირანივით გავივლ-გამოვივლიდი; მთელი სოფლის კაცებს გულებს დავუხეთქავდი.

– ანეტას სილამაზე მამცა იმ ჩემ უნდილ ქმარს, ზაირა ეკონომისტს რომ ეპრანჭება, მთელი თვე მუხლებზე ჩოქვით ვახვეწნინებდი და ახლოს არ გავიკარებდი, – მოანგარიშის ცოლმა სხვებს სიტყვის თქმა არ დააცალა.

– აბა, აბა! ასეთი ხუმრობა არ იყოს! – ანეტამ იწყინა და ქალებმაც ენა მაშინვე მოიკვნიტეს...

მიტრო ჭერმის ჭრელ ჩრდილში იჯდა, ზურგით მის ხორკლიან ძირს მიყუდებოდა. ფოთლებში გამომძვრალი მზის სხივი რამდენიმე ადგილას სახეზე მწვავედ კბენდა, ზაფხულის პაპანაქება სიცხე იყო. მიტროს ძილი თავს ართმევდა. ჩათვლემდა, მერე მზე თვალებთან მიადგებოდა, დამძიმებულ ქუთუთოებს ძლივს ასწევდა და პირველად ჭერმის ტოტებში ათასობით ცისარტყელის ფერებით დამშვენებულ რგოლებს ხედავდა, მერე კი ანეტაზე ოცნებით ისევ ბურანში იძირებოდა... თვალები ნელა გაახილა. მისკენ ნიავივით, ფრთხილად და უხმაუროდ ანეტა მიდიოდა. თვალს არ დაუჯერა, წამოჯდა, ანეტა უკვე თავზე დაადგა, დაიხარა და ხელი თმაზე გადაუსვა. მიტროს კინაღამ გული გაუჩერდა. ადგომა სცადა, ვერ ადგა, ანეტამ ხელი მოჰკიდა,ააყენა, მეორე ხელი ლოყაზე მოუთათუნა:

– წავიდეთ! – ჩურჩულით უთხრა.

– სად? – მიტრომ ძლივს ამოილუღლუღა.

– იქ, – ანეტამ ხელი ვენახის ბოლოს ვერხვებისაკენ გაიშვირა, – იქ ვერავინ დაგვინახავს.

მიტროს კინაღამ ფეხი მოეკვეთა, ადგილიდან ვერ დაიძრა.

– წამოდი, სანამ ქალები ქოხში ისვენებენ, – ანეტამ ჩურჩულით უთხრა და მიტროც მონუსხულივით გაჰყვა.

ვერხვის ჩრდილების ქვეშ შევიდნენ, პატარა ბორცვს მოეფარნენ. მწვანე, ხასხასა ბალახი ლივლივებდა, ვერავინ ვერ ხედავდათ; ანეტამ ხელები გაშალა და მიტრო გულში ჩაიკრა. ქალის ოფლით, სიყვარულით და სინაზით გაჟღენთილი დაუოკებელი ვნება მიტროს ბედის მასხრობასავით დააცხრა. ყველაფერი ერთმანეთში აირია, სასიამოვნო განცდამ რძისფერ ნისლში გაახვია და მთელი არსებით შთანთქა; მიტროს ისევ მოერია ბურანი, ძილს შეერია.

ჩრდილი გადასულიყო, მზეს მაგრად გაეხურებინა მიტროც და მის ირგვლივ გორაობით გათელილი ბალახი. მიტრო გადაგორდა და ასე გამოეკიდა ჩრდილს, წამოეწია, საიმედოდ მოეწყო და ისევ ჩათვლიმა, ანეტას ეძებდა, მაგრამ ვეღარსად ნახა...

შესაღამოვდა, ქალები ვენახიდან გამოვიდნენ და ფარდულში, სადაც თავიანთი ბარგი ჰქონდათ დაწყობილი, შეგროვდნენ.

– ქალებო, ი. მედოლე ბიჭი შუადღის შემდეგ ჭერმის გრილოში გორაობს, ალბათ ბალახიც გააქრო, ხომ არ იცით, რა სჭირს? – ერთმა ქალმა იკითხა.

– სიზარმაცე, სხვა რა უნდა სჭირდეს! მაგას ვენახში მუშაობა ღოლის ბრახუნი ეგონა; ნახავთ, რომ ისევ კოლასთან გაიქცევა, – იწინასწარმეტყველეს დანარჩენებმა.

– გაადვიძეთ, თორემ გაცივდება, ეტყობა ნაქეიფარია, – თქვა ანეტამ.

– მიტრო! – ძილბურანში მყოფს ქალის ხმა ჩაესმა. გაუხარდა, ანეტა ეგონა.

თვალები გაახილა. არა, ეს ანეტა არ იყო. – ადექ, ბიჭო! წასვლის დროა, – უთხრა შუახნის ქალმა და წავიდა.

მიტრომ თვალები მოიფშვნიტა, წამოდგა და ქალს არეული ნაბიჯით გაჰყვა.

ანეტამ ქოხში სამუშაო იარაღები შეიტანა და კარები ჩაკეტა, მიტრო მასთან მივიდა. ქალები შორს იყვნენ, ფარდულში ხმაურობდნენ; წასასვლელად ემზადებოდნენ.

მიტრომ ანეტას ხელი მოჰკიდა, თავხედურად გაუღიმა და ჩურჩულით უთხრა:

– დარჩი, ანეტ, ერთხელ კიდევ გავიაროთ!

– სად გავიაროთ? – გაკვირვებულმა და შეშფოთებულმა ქალმა მიტროს შეხედა.

– წეღან რომ ვიყავით, იქ, – მიტრომ თანამოაზრესავით გაუღიმა.

– სად ვიყავით, ბიჭო, წეღან? – გაკვირვებულმა ქალმა შუბლზე დაადო ხელი, სიცხე ხომ არა აქვსო.

– ვერხვების ჩრდილში აღარ გახსომს?! – მიტრომ უარესად გაიკვირვა.

– შუბლი ცხელი არა გაქვს, აბა რა ეშმაკი გეცა, შე უდღეურო! – ანეტამ მარჯვენა ხელი წაავლო მარცხენა ყურში და ისე აუწია, რომ მიტრო ფეხის ფრჩხილებით აჰყვა.

– ვაი! – დაიკვნესა, ხელის მიშველება უნდოდა, მაგრამ ანეტამ ისეთი ჩაარტყა, კინაღამ მაჯა გადაუმტვრია.

– აბა გაიმეორე, რა თქვი?! – ანეტას თვალებიდან ვეფხვი იყურებოდა.

მიტროს ფეხები შიშისაგან მოეკვეთა, „ოღონდ ამის ხელიდან თავი დავაღწიო და ქალზე აღარასოდეს ვიფიქრებ“, – ინატრა.

– არ გესმის?! – ცოტაღა აკლდა მიტროს თავზე მეხის დაცემას.

– რა ვი, მემეჩვენა ალბათ, ბოდიში. მაპატიე, ანეტ, – ტკივილისა და შიშისაგან მიტროს თვალებიდან ცრემლები ჩამოსცვივდა.

– ლაწირაკო, იქცევი კი ოდესმე ადამიანად?! – ანეტამ ყური როგორც ეჭირა, ისევე ჰკრა ხელი. მიტრო წაბარბაცდა, ძლივს შეიკავა თავი, არ წაქცეულიყო. უკან არ მოუხედია, ისე წავიდა სოფლისაკენ. ალბათ, ძუ ვეფხვის ბრჭყალებიდან სასწაულად განთავისუფლებულ კერატს თუ ექნება ისეთი განცდა, რასაც მიტრო გრძნობდა...

საღამოს, ვახშამზე მიტრომ საზეიმოდ გამოაცხადა: – თავი დამანებეთ, ხვალიდან ბრიგადაში წამსვლელი აღარა ვარო.

– რა დროს გაწყრომაა! – პეტომ შეიცხადა, – ტიტიკომ ხვალიდან ბრიგადა უნდა ჩაგაბაროს, ნოლა გოგია საწყობის გამგედ გადაყავს. შე დალოცვილო, რა ხელად აიკვირაძლე, ჯერ სად არი. შენ უფრო და უფრო ზევით უნდა გაიქაჩო; ტაბიკები ეგრე თუ ამტვრიე, მე და შენ არაფერი გამოგვივა!

– რა ვი, თუ ეგრეა, ვიმუშავებ, მა რას ვიზამ?! – გახარებულმა მიტრომ მთელი ყბით გაიღიმა.

– ეგრეა აბა, მაშ როგორ იქნება! – პეტომ თავი დაიფასა. – გუშინ ტიტიკო გლახოევიჩს ბევრი ვთხოვე და ბოლოს ჩავტეხე როგორც არ იყო. იმასაც შამპირდა, მაგარ საქმეში მივეხმარებიო. შენც დაუჯერე და, როგორც ის გეტყვის, იგრე მაიქეცი. მეც გზა და გზა ყველაფერს გასწავლი; პეტო თავისი მიღწევით დიდი კმაყოფილი იყო. ნაჩეჩქვი ხასიათი გამოუსწორდა მიტროს, აღარც ანეტას მიერ აქაჩული ყური სტკიოდა...

მიტროს ბრიგადირად დანიშვნა ქალებს ჯერ ხუმრობა ეგონათ. წინ საბჭოს აღმასრულებლის, კოსტას თავმჯდომარეედ დანიშვნას დაიჯერებდნენ. ვიდრე ამ

ამბავს, მაგრამ ყველა ჭირმა შეჩვევა იცის, სინამდვილეს კი სად გაექცეოდნენ.

მიტრო ამაყად და ზრუნვისაგან დამძიმებული ნაბიჯებით გამოცხადდა ბრიგადაში. მოკლე თათბირი ჩაატარა. შუბლშეკრული ლაპარაკობდა. გაურანდავ ფიცარდაკრულ მაგიდას დროდადრო მუშტს ურტყავდა; სწორედ ისე იქცეოდა, როგორც პეტომ ასწავლა და ტიტიკო თავმჯდომარემ დაარიგა, „ეცადე, თავი კარგად დაიჭირო, შენი შიში თუ არა აქვთ, თავზე გადაგაჯდებიან. შხამი გაშალე, შხამი, რომ შენს დანახვაზე კანკალებდნენ!" – გაახსენდა ტიტიკოს ნათქვამი და ტონს აუწია:

– ზარმაცობას ვერ მოვითმენ! უხარისხობას არავის ვაპატიებ! – მუშტი მაგიდას დაარტყა, – ნოღა გოგიას დრო არ გეგონოთ, მე დიმიტრი ქიტუაშვილი ვარ! – მაგიდას ხელი კიდევ დაარტყა.

– ვიშ ქა, როგორ გამაადგა მედოლეობა! მაგიდას ხელს რა მაგრად ურტყამს?! – ერთმა ქალმა მეორეს უჩურჩულა.

– მიტრო აღარა ხარ? – ვიღაცამ წამოიძახა. ქალებს სიცილი აუტყდათ.

მიტრომ პასუხი ვერ მოიფიქრა, ვითომ არ გამიგონიაო, მარჯვენა მუშტი პირთან მიიტანა და ჩაახველა.

– არც ჭერმის ჩრდილში დავიძინებთ? – ერთმა იკითხა.

– იქ როგორ უნდა დაიძინო, ქალო ერთმა ვინმემ ბალახის ხსენება გააქრო, – ქალები ახარხარდნენ.

მიტრო დაბნეული იდგა, თავმჯდომარის და სიმამრის დარიგება აქამდის ეყო, ახლა როგორ მოქცეულიყო, აღარ იცოდა, „ნეტავ ტიტიკო აქ მაინც იყოს" – ინატრა.

– ეგ უხარისხობა რაღაა, დიმიტრი ბატონო, ხომ არ შაგიძლია ჩვენც გვაჩვენო? – მონაგარიშე აბრამას ცოლი ფეხზე ადგა და ისე ჰკითხა, საინტერესო ლექციის შემდეგ წინა რიგში მჯდომი, ფანქრით და ბლოკნოტით შეიარაღებული მეტიჩარა რომ იძლევა ხოლმე.

– მაგის გასხლულ ვენახში შადი და იქ ნახავ, – ქალები ახმაურდნენ.

– ეგ რო მუშაობდა, იმას ჰქვია უხარისხობა! – სიცილით პასუხობდნენ შეკითხვას.

ქალებმა მიტრო აიგდეს, მისი მუქარით და ოფიციალური ტონით განაწყენებულებმა, მიტროს ნამჯით გატენილი ბურთივით ათამაშებდნენ.

– მიტრო ბრიგადირო, რამდენი ხნით გამოგაგზავნეს ჩვენთან? – ერთი ახალგაზრდა გოგო ირონიული ღიმილით შეეკითხა, თითქოს ეშინია, მიტრო ცოტა ხნით არ იყოს გამოგზავნილიო.

– რა ვიცი, საქმე გვაჩვენებს. დიდხანს არ გავჩერდები, უფრო წინ უნდა წავიდე, – თავისი სიმამრის ნათქვამი გამოადგა. მისი პასუხი იმდენად სერიოზული იყო და თავდაჯერებულობა იგრძნობოდა, რომ დედაკაცებს ერთხმად აღმოხდათ:

– ვაახხ! მაინც სად წახვალ, არ გვეტყვი? – წამოიძახეს.

– ამას მომავალი გვიჩვენებს! – მიტროს დაბნეულობამ გაუარა და თავისი დაწინაურების პერსპექტივებმა მხნეობა შესძინეს.

– მინისტრი რომ გახდები, ჩვენ არ დაგვივიწყო, დიმიტრი ბრიგადირო! – ქალები ახმაურდნენ.

– მიტრო აღარ დაგიძახო?

– მიტრო კი არა დიმიტრიო, ვერ გაიგე?

მიტრო ისევ ჩიხში მოექცა.

მთელი ამ „თათბირის“ განმავლობაში ანეტა ფარდულის ბოძთან იჯდა და ხმა არ ამოუღია. ყაყანს უსმენდა და გული უკვდებოდა მწარე ფიქრებით დამძიმებულს, „ნუთუ შეიძლება საქმის ასე აბუჩად აგდება?! თუმცა საქმე ვის აინტერესებს, იმას ცდილობენ, ბევრი როგორ მოიპარონ; გაუძლებს კი ქვეყანა ასე მომრავლებულ პარაზიტებს?!“

ქალები ისე ყაყანებდნენ, ერთმანეთის ლაპარაკი აღარ ესმოდათ. კამათობდნენ, ჩხუბობდნენ, ერთმანეთს აწყნარებდნენ. ისეთი აურზაური შეიქმნა, რით დამთავრდებოდა, ძნელი იყო ამის განსაზღვრა; მიტრო გასაპარად ემზადებოდა.

– ქალებო! – გაისმა ანეტას ხმა, უცებ თითქოს რძეს შეუბერესო, დუღილი ჩაცხრა. ქალები მას მიაჩერდნენ, ანეტასი სწამდათ და სჯეროდათ.

– ქალებო, წავიდეთ, ჩვენი საქმე გავაკეთოთ სანამ დაცხება; ბრიგადირთან საუბარს მოესწრებით!..

ქალები ყაყანით შეესივნენ ვენახს.

მიტრო ფარდულში გაოგნებული იჯდა. კარგა ხანს აზრი ვერ მოიკრიფა. ანეტამ იხსნა, გამოიყვანა მდგომარეობიდან. „თავს როგორ იჭერს, თითქოს ჩვენს შორის არაფერი მომხდარიყოს“, – გაიფიქრა და იმ მომხდარი ამბის აღდგენა დაიწყო. ყველაფერი გაიხსენა, ანეტას თავზე დადგომიდან, გამოთხოვებამდე. რომელ მომენტსაც ჩასჭიდა ხელი, მოჩვენებასავით გაუქრა, მთელი ის მომხდარი ამბავი მის მეხსიერებაში ნისლივით ცურავდა. „ნამდვილად დამესიზმრა“, – ჩაილაპარაკა და შუბლზე ცივმა ოფლმა გამოასხა. „ეს როგორ მამივიდა?! კიდევ კარგი ჯოხით არა მცემა“! – მიტროს შიშისგან გააჟრჟოლა, აწეული ყური აეწვა. „ეხ, მართალი მაინც ყოფილიყო!“ – ინატრა და ისევ თბილ ოცნებებში შეერია.

დიდხანს იჯდა ასე. რა ქნას? როგორ მოიქცეს? რა გააკეთოს? გამოსავალი ვერ მოძებნა. გულში თავის სიმამრს ლანძღავდა, მედოლეობა რომ მიატოვებინა და ამ ხათაბალაში უკრა თავი.

შესვენების დრო მოვიდა. ქალებმა ვენახიდან გამოსვლა დაიწყეს. მიტრო ადგა, ფარდული დატოვა და მოცილებით მდგარ თუთის ჩრდილში გადაინაცვლა. ბრიგადის წევრებთან შეხვედრის ეშინოდა.

ანეტა მიტროსთან მივიდა. მიტრო მის წინ გაკვეთილზე დაგვიანებული ბავშვით გაჩერდა. ანეტამ რვეული გაუწოდა: – აქ ჩვენი სამუშაოთა ნორმებია, გადახედე. კანტორაში ადი, რაც ბრიგადის საქმიანობასთან არის დაკავშირებული, ყველაფერი ამოიწერე და ისწავლე. კირი, შაბი; შემოდგომისათვის სარემონტოდ ამოსაყენებელი და მავთული ახლავე უნდა მოვიმარაგოთ. ტიტიკო თავმჯდომარეს სთხოვე, ცდილობსო იფიქრებს. აჰა კალამი, ჩაიწერე, რამდენი რა გვჭირდება; დანარჩენში მე მოგეხმარები. ოღონდ ეგ თავხედური ჩვევა გადააგდე, თორემ სიკეთეს არ გადაეყრები! – მიტრომ ყველაფერი ჩაიწერა და გულაჩუყებულმა ანეტას შეხედა.

– ანეტ, – ფრთხილად დაიწყო, – ოღონდ მაგ ხალხს მიმიხედე, მე არაფერს არ მოგაკლებთ, მუშაობაშიც ხელს არ შეგიშლით, ჩემთვის ვიქნები; რაც შემეშალა კიდენა, იმაზე ბოდიში!

– კარგი, წადი და ჭკუით იყავი, – ანეტა ქალებისკენ წავიდა.

მიტრო კი ისე გაიპარა, არავის გაუგია.

შეშინებული და დამფრთხალი მიდიოდა კოლმეურნეობის კანტორისაკენ. ბრიგადის წევრი ქალების შიში ჩასდგომოდა ძარღვებში და მათ გახსენებაზე თავის ბედს აგინებდა. „რა უნდა მოვუხერხო მაგათ, რა მეშველება?!“ – გაიფიქ-

რა. იმედად ანეტა გაახსენდა, მაგრამ მიტროს მუშაობის ჯავრი სულაც არ ჰქონდა, ხელის მოთბობაზე ფიქრობდა. ანეტას რა უყოს, მოპარვის უფლებას არ მისცემს. არაფერს არ აპატიებს, აქ კი ანეტა სატანაზე უარესად ზარავდა.

კანტორაში ჩაფიქრებული შევიდა.

– ბრიგადის დავალებები მინდა, – მორჩილად გაჩერდა და ძლივს თქვა სათქმელი.

მოანგარიშე აბრამამ შეხედა, სახეზე დამცინავმა ღიმილმა გადაურბინა.

– ეკონომისტთან მიდი, ყველაფერს გეტყვის, – ისე თქვა, მიტროს არც კი უყურებდა, მერე ჩარგო თავი მის წინ გაშლილ ქაღალდებში და მაღლა აღარ აუხედია.

ზაირა ეკონომისტი მხიარული გოგო იყო. კარგ ეკონომიკურ ანალიზს აკეთებდა, მაგრამ ყურს არავინ უგდებდა. ტიტიკოს თავისებურად ესმოდა ეკონომიკური ანალიზი. ზაირასაც ხელი ჰქონდა ჩაქნეული, მისდევდა მდორე ცხოვრების დინებას, როგორც სთხოვდნენ, ისაც ისე მუშაობდა.

ერთხელ თავმჯდომარესთან შევიდა, თავისი გამოანგარიშებებით დატვირთული ზაირა.

– ტიტიკო გლახოევიჩ! – საქმიანად დაიწყო და მაგიდაზე რაღაც ცხრილები გაშალა, – მეძროხეობა ზარალიანია, მეღორეობაც, ახლა მეცხვარეობაც მიჰყვათ. მე გამოვიანგარიშე რამდენ ზარალს იწვევს სხვადასხვა გაუთვალისწინებელი და უთავბოლო ხარჯები. მე დავსახე მოგების მიღების გზები. ახლა გაგაცნობთ და პირობას გაძლევთ, საანგარიშო წელს მოგებით დავამთავრებთ, – ზაირამ თავმჯდომარის პასუხს აღარ დაუცადა, ინფორმაციის გასაკეთებლად ქაღალდების მომზადება დაიწყო.

ტიტიკომ მოწირპლული თვალები ცხვირსახოცით მოიწმინდა და ზაირას დამცინავი ცნობისმოყვარეობით დააკვირდა.

– აი, მაგალითად, – ზაირამ ერთი ფურცელი აიღო.

ტიტიკომ აღარ დააცალა.

– ადე! ადე! ადე! შე ლოპრიანო! შენ რა უნდა ასწავლო ტიტიკო გლახოევიჩს, ჭიპი სოფლის მეურნეობაში მაქვს მოჭრილი. გუშინდელი გამამძვრალი, რაღაცა წაუკითხნია და ჰგონია, ქვეყანა მაგისია! გადი! გადი აქედან! შენი მოვალეობაა რაიონში ოპერატიული ცნობების გადაცემა. ვაი შენი ბრალი, თუ მაგის გამო შენიშვნა მივიღე, მაშინ დაგანახვებ, ზარალი საიდან მოდის! შე ლოპრიანო! – გაბრაზებული ტელეფონს მიუბრუნდა.

ზაირამ სასწრაფოდ მოკრიფა ქაღალდები და ტიტიკოს კაბინეტიდან გაიპარა. ერთი კვირა შოკში იყო, ეს შეურაცხყოფა ვერ მოინელებინა. მერე ხელი ჩაიქნია, მე რა მენაღვლება, თავშიც ქვა გიხლიათო, – თქვა. ყველაფერს შეეშვა და მარტო დილით ოპერატიული ცნობების გადაცემაზე იწუხებდა თავს. პირველად ყოველდღე ეძახებოდა ფერმის გამგეებსა და ბრიგადირებს, რამდენი მოწველეთ? რამდენი მოხანით? რამდენი ჰექტარი გათოხნეთო. ბოლოს მიხვდა, რომ ტყუილებს აწერინებდნენ. ჰოდა, ზაირაც ყოველ დილით სულ ათ წუთში ამთავრებდა ცნობის მომზადებას: ამინდს დააკვირდებოდა, თუ ცა მოწმენდილი იყო, ხვნას, თესვას და სხვა სამუშაოებს მოუმატებდა; წვიმიან და ნისლიან ამინდშიც უმატებდა, მაგრამ შედარებით ნაკლებს. ზაირას ცნობები ხან სინამდვილეს სამჯერ უსწრებდა წინ, ზოგ შემთხვევაში სანახევროდ ჩამორჩებოდა. პატარა შეხლა-შემოხლის და ჯაჯღანის შემდეგ ყველაფერი თავის ადგილზე დგებოდა და შემდგომი მუშაობაც ცნობილი წესით მიდიოდა.

ზაირა ეკონომიკურ ანალიზზე თავს აღარ იცხელებდა. ბიჭებთან გართობა უყვარდა; ბოლო დროს მოანგარიშე აბრამას შეეჩვია, თუმცა ხელიდან არც სხვა შემთხვევას უშვებდა.

მიტრო ზაირას მაგიდის წინ იდგა და მოკრძალებით შეჰყურებდა, თითქოს ხმის ამოსაღებად ნებართვას თხოულობსო.

– ზაირ, შენთან გამომაგზავნეს, ბრიგადაზე ყველაფერს ის გეტყვისო, – როგორც იყო სათქმელი თქვა.

– ვინ გამოგაგზავნა? – იკითხა ზაირამ.

– აბრამა მოანგარიშემ.

– რა გჭირდება, მიტრო? – ზაირა ფეხზე ადგა.

– რა ვიცი, ზაირ, ყველაფერი, ჯერ იგრე ვარ, რომ... – მიტრო გაჩუმდა, უნდოდა ეთქვა, ბრიგადისა არაფერი ვიციო, მაგრამ თავი შეიკავა და სულ სხვა დაუმატა: – ყველაფერი მაინტერესებს, თუ მემეხმარები, ყველაფერს შენ შეგეკითხები ხოლმე, პატივისცემა ჩემზე იყოს.

ზაირას გაეღიმა, მიტროს სიტყვები ესიამოვნა. რაღაც ორაზროვნად დააკვირდა, „მოანგარიშე აბრამას სჯობია", – გაიფიქრა და გაიღიმა.

– დაჯექი, მიტრო, ყველაფერს აგიხსნი, გასწავლი. ბრიგადაშიც გამოგყვები, უწყისებსაც შეგიდგენ; ისე აგიწყობ საქმეს, ყველანი გაკვირვებული დარჩნენ, – გამხიარულებული ზაირა ინტერესით შეუდგა მიტროს წრთვნას.

ერთი კვირის შემდეგ მიტრო და ზაირა ბრიგადაში ერთად მივიდნენ. ყველა კუთხე-კუნჭული მოიარეს. ვენახის ტახტის თავთან ანეტას შეხვდნენ, ზაირა დიდი მოწიწებით მიესალმა. როგორც კი გასცდნენ, ტუჩი აიბზუა და მიტროს დამრიგებლურად უთხრა:

– ბრიგადაში ეგ მეტიჩარა ქალი არ გამოგადგება, ისეთი ჭორიკანაა, შეიძლება რამეც კი მოგვიგონოს. მუშაობაში ხელს შეგიშლის, თავხედია. თავის თავზე დიდი წარმოდგენა აქვს და ისე ჰგონია, თითქოს მაგისთვის გიჟდებიან, თფუ! შაბიამნით და ოფლით აყროლებული ვის რათ უნდა?! – ანეტას მიმართულებით გადააფურთხა.

„აყროლებულიო, ეს რა თქვა?!" – მიტროს ანეტას თავბრუდამხვევი ქალური სინაზით და ვნებით გაჟღენთილი სურნელი გაახსენდა და სიამოვნებით გააჟრჟოლა; ნაბიჯი აერია.

– რა მოგივიდა მიტრო? – ზაირამ გაკვირვებით შეხედა.

– ბელტს წამოვკარ ფეხი, – სასწრაფოდ უპასუხა. – სწორე ხარ, ზაირ, ეგ რა ქალია, თავი დედოფლად წარმოუდგენია, – მიტრომ იცოდა, რომ ანეტაზე ფიქრი იმ ზმანებასავით აუხდენელი იყო, ზაირა კი თავისით მიდიოდა ჩანგალზე; რატომ უნდა დაეკარგა. – ვეცდები მოვიშორო, – დაუმატა და ზაირას გამოხედვას ერთგული ღიმილი შეაგება.

მიტროს გული მუჭაში დაჭერილ ბეღურასავით აუფართხალდა, მუხლებში სისუსტე იგრძნო, სახეზე სიწითლემ აუარა, გაჩერდა.

ზაირამ სახეში შეხედა, მისი დაბნეულობის მიზეზს მიხვდა, ესიამოვნა.

– ხშირად მოდი ხოლმე ჩემთან, ზაირ, მეც არ მოგცილდები, ვინც რა უნდა თქვას, მე... – მიტროს ენა დაება, უნდოდა ეთქვა, – მომწონხარო, მაგრამ ვერ გაბედა.

ზაირა კი ზუსტად გრძნობდა, მიტროს არსებაში რა ხანძარი ტრიალებდა. გრძნობდა და უხაროდა, რადგან მიტრო ყველა თაყვანისმცემელზე მორჩილად და საჭიროდ ეჩვენებოდა...

შეეჩვია ზაირა მიტროს ბრიგადას, ხშირად მიდიოდა მასთან, ვითომ აღრიცხვის საქმის სასწავლებლად, საღამოობით კი ვერხვების ჩრდილი რომ დაისაკუთრეს, ბრიგადის ყველა ქალმა იცოდა. მოკლედ მიტრო ზაირას ომფალოსავით ემსახურებოდა, ჰერაკლეობის დაბრალება კი ნამდვილად ცოდვა იქნებოდა ზაირა მსახურით გამოლენჩებულ მიტროსათვის.

– ბრიგადაში საქმე როგორ არის? – პეტომ სიძეს ერთ საღამოს ჰკითხა.

– კარგად. ყველაფერი კარგადაა, ოღონდ... – მიტროს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ვერ გაბედა.

– რა ოღონდ? – თუ რამეა საჭირო, თქვი! ტიტიკო გლახოევიჩს ვეტყვი და გათავდა, – პეტო ცოტა ხანს გაჩუმდა, დაელოდა, იქნებ თქვას, რა უნდაო, მიტრომ ხმა რომ არ ამოიღო, ისევ გააგრძელა: – ჰო, რამდენი ხანია მინდოდა მეთქვა, ტიტიკო გლახოევიჩი ძალიან გაქებს: რა ყოჩაღი ბიჭია, მეორე დღესვე მოვიდა და რაცა სჭირდებოდათ მოითხოვა, უცებ ჩაღგა საქმის კურსშიო. ყველაფერში უნდა შევუწყოო ხელი. შენი ერთგული იქნება-მეთქი, – პეტო ნასიამოვნები იყო.

– იგრე ავაწყო საქმე, ყველას გაუკვირდეს! – დაიტრაბახა შექებით გათამამებულმა მიტრომ.

– ეგრე უნდა ქნა, ეგრე! – კვერი დაუკრა სიმამრმა, – ოღონდ უფროსს პატივი უნდა სცე.

– როგორ ვცე პატივი? – მიტრომ გულუბრყვილოდ იკითხა.

– თანდათან ყველაფერს გასწავლი, აქ არა ვარ?! ახლა კი შენი სიდედრი და ფიქრია ბრიგადაში ჩაწერე, რასაც ქალები გამაიმუშავებენ, ამათაც დაუწერე; დედაკაცებს შრომაში ჩეეთვლებათ, გაიგე?

– გავიგე, მაგრამ ი ანეტა რო არი, ძალიან რაღაცნაირი ქალია, არ გააკეთებს, ჩხუბს დამიწყებს. ბრიგადას ამიბუნტებს, – მიტროს თვალებში შიშმა გაიელვა.

– ანეტას ვინ კითხამს! ბრიგადირი შენა ხარ!

– რა ვიცი, უწყისებს ის აკეთებს და... – მიტრომ თავი ჩაღუნა.

– ერიჰა, მაშ ტყუილად შაუქიხარ ტიტიკო თავმჯდომარეს! ეგ ქალი თუ გადაგაჯდა, მაშინ შენ იქ მჩვარი ყოფილხარ! ვერც თავმჯდომარეს გამაადგები და ვერც შენს თავს!

– ზაირა ეკონომისტს დავიხმარებ და იმას ახლოსაც არ გავიკარებ.

– ზაირა საით კუდი იღლიაა, რაში გჭირდება, რას აკეთებ, არავინ არ უნდა იცოდეს!

– სანდო გოგოა, – საქმეში გარკვეული კაცივით თქვა მიტრომ.

– შენ იცი, არაფერი შეგეშალოს.

– აი ნახამ, არაფერი შემეშლება, – დააიმედა სიძემ.

მიტრომ სიმამრს იმედები გაუმართლა. რთვალამდე ამოსაყენებელი და მავთული რაც კოლმეურნეობაში შემოვიდა, სულ მიტროს გააყიდინა ტიტიკომ. მალე ბრიგადის ყველა ქალმა მიატოვა მიტრო. ტიტიკომ ანეტას ცალკე ბრიგადა შეუქმნა, ახალშენი ვენახი მიამაგრა და ქალები ამით დააშოშმინა.

რთველში კი ყველა რეკორდი მოხსნა მიტრომ, კოლექტივის სახელზე ერთი ტონის ჩაბარებაც არ უნდოდა. ტიტიკოს ჯერ უხაროდა, რა შანსიანი ბიჭია, ყველა რომ ამნაირი მყავდეს, რა გამიჭირდებოდაო, მაგრამ მიტრომ ისეთი სასწაულები მოახდინა, რომ ბოლოს ტიტიკოსაც შეეშინდა. ამდენ ქურდობას არ გვაპატიებენ, საქმე გაგვისკდებაო. ზემოდან არავისი არ ეშინოდათ, პირის

მოქონვის ოსტატობა კარგად აეთვისებინა. სხვა ბრიგადებს დაავალა, თითო მანქანა ყურძენი მიტროს ბრიგადის სახელზე ჩააბარეთო და მიტრომაც, ყველაზე კარგი ვენახი რომ ჰქონდა, ოცდაათი პროცენტით შეასრულა გეგმა, ჩამორჩენა კი წინამორბედ ბრიგადირს გადაბრალდა. ტიტიკო კი ღიმილით იტყოდა ხოლმე: – ფულის გაკეთებაში ვინ უნდა მაჯობოს, მაგრამ ეს ბიჭი რაღაც განსაკუთრებული რისკიანია, ყველაფრის ჯიბეში ჩადება უნდა, ეგ ან მაგარ ქონს დაიდებს, ან დიდი ლუკმის გადაყლაპვისას დაიხრჩობა. ისე კი, დღეს მაგნაირების დროა. ყველა სახალხო ქონების ხვრაზე გადავიდა, ვინც მეტს მოკორტნის სახალხო დოვლათს, კაციც ის არის; ამბაკოს სწორედ მაგნაირები მოსწონს და მეც ვეცდები, მის ამქარში გავუკეთო რეკომენდაცია. იგეთი ბიჭია. ამაგს არ დამიკარგავს და რაიონში ჩემი მსგავსი საიმედო კაცი მეყოლება.

ზევით, სათავეში მომხვეჭელობის ბაცილამ იმძლავრა, გამრავლდა და ხელმძღვანელობის ყველა რგოლს მოედო. პატიოსნება და მინდობილი საქმის სიყვარული მის მატარებელ ადამიანისთვის სასჯელად და უბედურებად იქცა. უკეთეს შემთხვევაში თუ პრინციპულობას და ბრძოლას გააგრძელებდნენ, საპყრობილე და ფიზიკური განადგურება იყო მათი ბოლო.

## ღვთის წყალობა შენზე ჰკიდია

**ტიტიკომ** დილით ადრე ყველა სანდო ბიჭი გამოიძახა: საწყობის გამგე, მეღორეობის ფერმის გამგე, მთავარი ზოოტექნიკოსი, მიტროც მათ გვერდით იყო.

– დღეს ძალიან საპასუხისმგებლო ღონისძიება გვაქვს, – ამაყად დაიწყო ტიტიკომ, – საღამოზე რაიონის მთელი ხელმძღვარელობა ჩვენი სტუმარი იქნება. ჟურნალისტი კაკო ბენაშვილი ჩამოსულა და უნდათ, რომ შინაურ წრეში ტკბილი პური ჭამონ. ასეთ დროს, ხომ იცით, მარტო სანდო კაცს ავალებენ პურმარილს. ჰოდა, მე თუ არა, სხვა ვის შეეძლო ეს დავალება მიეღო, მოკლედ, დიდი პატივია! – დაასკვნა ტიტიკომ და მსმენელებს შეხედა, ოთხივე დიდი დაძაბულობით უსმენდა.

– საღამოზე, ხუთი საათისთვის ვერხვების წყაროსთან უმაღლესი პურმარილი უნდა გავშალოთ; ჩიტის რძე რა არის, ისაც უნდა გვქონდეს. თავმჯდომარეს თავის გამოჩენა თუ უნდა, ამ დროს უნდა გაისარჯოს. ზაქრო, შენ გამოცდილება არ გაკლია, მაგრამ მაინც ბატკანი, ციკანი, ბურვაკი, სამწვადე, სახაშლამე...

– არ გინდა ტიტიკო გლახოევიჩ, მე რაღა მესწავლება, თუ სირცხვილი გაჭამე და ვერ გამოგაჩინე, ა, მამჭერი თავი, – მთავარმა ზოოტექნიკოსმა, ზაქრომ სიტყვა შეაწყვეტინა.

– კარგი მაშინ, მიტრო თქვენთან იქნება, კოლას ბიჭს წამოიყვანს და მომზადებაში მოგეხმარებათ. მე აქ ვიტრიალებ, კიდევ არაფერზე დარეკონ, მერე რაიონში ავალ და იმათ გამოვყვები. აბა, საქმეს შეუდექით! – ტიტიკომ ხელები გაშალა და ფეხზე ადგა...

ვერხვების წყაროსთან სამი საათისთვის ყველაფერი მზად იყო. ხელებდამკვლარძული ზაქრო სკამზე იჯდა, ისვენებდა. ბიჭები ცეცხლზე შემოდგმულ ქვაბებთან ტრიალებდნენ.

უცებ გზაზე მტვერი ავარდა. ზაქრო არავის ელოდა. მანქანა მისკენ წავიდა. ზაქრო ფეხზე ადგა „აკი ხუთი საათისათვის იყავითო მზად“, – ჩაილაპარაკა და შესახვედრად მოემზადა. მანქანიდან ორნი გადმოვიდნენ მძღოლი და მის გვერდით მჯდომი ახალგაზრდა კაცი.

– გამარჯობა, ზაქრო!

– გაგიმარჯოს, კუკურ იობიჩ? – ზაქრო მძღოლის გვერდით მჯდომ კაცს მოწიწებით მიესალმა.

– როგორ არის საქმე, ემზადებით?

– ვემზადებით კი არა, მზადა ვართ; ახლავე რომ მოვიდნენ, დავხვდებით, – ამაყად უპასუხა ზაქრომ.

– აბა ვნახოთ, რაიმე არ შეგეშალოთ და თავი არ მოგვჭრათ! – კუკურა პროდუქტებით გამნექილ მაგიდასკენ წავიდა.

– ჩიტის რძეცა გვაქვს, კუკურ იობიჩ, – ზაქრომ ჩამოთვლა დაიწყო: – სამწვადე, სახაშლამე, ტაბაკა, ჩახოხბილი, ჩაქაფული...

– ღვინო რომელი გაქვთ?! – კუკურამ ჩამოთვლა შეაწყვეტინა.

– ჩვენ საკუთარ მარანში დაყენებული კახურია, უფალი ვერ დაიწუნებს.

– აბა გავსინჯოთ!

იქავე აუზში ჩაციებული სურიდან ჩაის ჭიქაში ჩამოუსხეს ჩაისფერი კახური. ჭიქა მაშინვე დაიორთქლა. კუკურამ რამდენიმე ყლუპი მოსვა და ტუჩი ასწია.

– ეს რა მოგიტანიათ! რაღაცის გემო აქვს; გუშინ რომ დავლიეთ, ის სულ სხვა იყო.

– სწორედ იმ ქვევრისა არის, პირველი ფრაქციაა. გუშინდელ ღვინოს ცოტა ჭაჭის ნაწური ერია, რაღაცის გემო შეიძლება იმისა გახსომს. სტუმრები რომ წავლენ, დარჩი და იმ რაღაცის გემოიანსაც დაგალევინებ, – ზაქრომ ფარული წყენით თქვა.

კუკურამ არაფერი უპასუხა.

– მწვანილი გაქვთ? – იკითხა.

– რას ამბობ, კაცო, მწვანილი დამავიწყდებოდა?! იმდენი მოვიტანე, ერთი ვირი მთელ კვირას იმყოფინებს.

– მარილი, ძმარი, ლოქო!

– ყველაფერია, ყველაფერი.

– პირისაბანი მოწყობილი გაქვთ?

– რა მოწყობა უნდა, ნახე, როგორი ანკარა წყარო მოჩხრიალებს; მისადგომიც კარგი აქვს.

– არა, ეგრე არ გამოვა! ეხლავე ვინმე გააქციე, სახლიდან პირისაბანი ჩამოიტანეთ, გვერდზე პირსაწმენდის ჩამოსაკიდებლად და საპნის დასადებად ბოძი ჩააგდეთ და ფიცარი მიაკარით; დაბლა ტაშტი დაუდგით, ფეხები არ დაისვარონ.

– მოდი, ნახე, პირსაწმენდის ჩამოსაკიდიც აქვს და საპნის დასადებიც. ქვეშ ტაშტი რაღად უნდა, მშვენიერი ანკარა რუა და მიდის თავისთვის, ფეხი არავის დაუსველდება და...

– მე რომ გეუბნები, ალბათ ეგრეა საჭირო! დროზე გააკეთე, თორე ვეღარ მოასწრებ!

ზაქროს ეწყინა.

– რამდენი კაცი იქნება, კუკურ იობიჩ? – ჰკითხა.

– თხუთმეტამდე, თქვენ თადარიგი ოცდახუთ კაცზე დაიჭირეთ.

– მიტრო! დაუძახა ზაქრომ, – ახლავე მანქანაში ჩაჯექ, ავარდი სოფელში, ერთი პირსაბანი, ოცდახუთი კბილების ჯაგრისი და პასტა იყიდე; ჩქარა, თორემ ვეღარ მოვასწრებთ!

მიტროს რაღაცის შეკითხვა უნდოდა, მაგრამ ვეღარ გაბედა, ადგილზე რეტიანი ჭედილასავით დატრიალდა და უცებ გაიქცა.

– მე მგონი ჯაგრისი არ დაგჭირდებათ, – ოფიციალური ტონით თქვა კუკურიმ, – ყოველ შემთხვევაში ორი-სამი საკმარისი იქნება.

– რას ამბობ, კაცო, მე თადარიგი ოცდახუთ კაცზე მაქვს დავალებული, ყველამ რომ მომთხოვოს კბილების დახეხვა, მაშინ რა წყალში ჩავვარდე?! – ზაქრო ხუმრობდა.

კუკური ისე იყო გაშალაშინებული და გასერიოზულებული ბიუროს დადგენილებასავით, რომ იუმორის უკანასკნელი სხივიც, ეტყობა, რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგედ გადაყვანის პირველსავე დღეს ჩაუქრა. ამიტომ იყო, რომ ზაქროს ყველა სიტყვას ბატონკაცური სერიოზულობით ხვდებოდა.

– მოკლედ, წავედი და იმედი მაქვს, არ შემარცხვენთ! – კუკური ისეთი ნაბიჯებით წავიდა, თითქოს ეშინია ჩემი სიმძიმით დედამიწა არ ჩავანგრიოო.

– თფუჰ! – ზაქრომ მანქანის გამონაბოლქვ კვამლს მიაფურთხა.

– მე რა ვქნა? – იკითხა მიტრომ.

ზაქრომ ჯავრი იმაზე იყარა.

– კაცო, შენ სმენაზე ცოტა მწყრალად ხომ არა ხარ?! წადი, ოცდახუთი კბილების „ჩოტკი" იყიდე, ორი ცალი კიდევ ქლიბი, დროზე, თორემ თუ გაუქლიბავი კბილებით დასხდნენ, დავიღუპებით; ჩვენს კბილებს კიდევ გაქლიბვა არა სჭირდება! – გაბრაზებით შეუღრინა.

მიტროს ხმა აღარ ამოუღია, კოლას ბიჭის მანქანაში შეძვრა, სოფლის მაღაზიისაკენ გააქროლეს.

– ესაც კარგი ბედოვლათი ჩანს! – ზაქრომ ჩაიცინა და ბიჭებს მიუბრუნდა:

– სურები დროზე შეავსეთ, წყალში ჩააწყეთ, გაცივება მოასწროს. ზოგი დატოვეთ, თბილად შეინახეთ; მაგათ ვერაფერს გაუგებ. ამას წინათ მე გაციებული ბორჯომი მივართვი, მეგონა, გაუხარდებათ-მეთქი, მაგათ კი ყელი გვტკივა, გაგვითბეო. ახლა ცეცხლი დავანთე და ბორჯომის ბოთლებს ზედ მწვადივით ვატრიალებდი. მოკლედ, როცა ეგენი მოდიან, სულ ეკლებზე ვზივარ, ეშმაკმა იცის, რას მოითხოვენ...

ვერხვების წყაროზე ტიტიკოს მანქანა შემოგრიალდა. მანქანიდან ჩამოვიდა და მაგიდისაკენ დინჯად გაემართა.

– სად არის ხალხი, ეს ამოდენა ხარჯი ჩვენ ჭირად არ გახადო! – ზაქრო შეეგება.

– ველოდე, იქნებ დარეკონ-მეთქი, რაკი არ შემეხმიანენ, პირდაპირ აქ მოვლენ; გზა კარგად იციან, მე აქ დავუცდი. თან მეშინიან, სხვაგან არ მოხვდნენ; გადმოსახვევთან კაცი ხომ არ დავახვედროთ, მაინც ყურადღებაში ჩაგვეთვლება? – ტიტიკო ვერ ისვენებდა.

– რა გზა უნდა აერიოთ, ჩვენთან უკვე იყო მახარობელი.

– ვინ მახარობელი?

– კუკურა მიქელაშვილი, განყოფილების გამგე რომ არის. შეგვიმოწმა პურმარილი. ამ საქმის დიდი სპეციალისტივით ჩამოგვიარა და დაგვარიგა.

– რაო, რა ქენითო?

– ვერხვზე პირისსაბანი ჩამოკიდეთო. ქვეშ ტაშტი დაუდგით, ბოძი ჩაარჭვეთ პირსაწმენდის დასაკიდებლად და საპნის დასადებათო.

– პირსაწმენდი ვერხვზე ვერ დაეკიდებოდა?

– ვერხვზე კი არა, არ გიკვირს, ორი ბოძის ჩაგდება რომ არ დაგვავალა, ერთი პირსაწმენდის დასაკიდებლად, მეორე კი საპნის დასადებად.

– ეგ კიდევ შენ უნდა გეკარნახა!



– რაც საჭირო იყო, ვუკარნახე.

– რა?

– ბიჭი ოცდახუთი კბილების „ჩოკტის“ საყიდლად გავაგზავნე, ქლიბსაც გამოაყოლებენ, ვინ იცის, იქნებ კბილებისთვის დასჭირდეთ, ხაშლამის ჭამისაგან ზოგს ძალიან დაუბლაგვდებოდა.

ტიტიკოს გაეცინა: – მოიცა, ეგ კბილების საწმენდი და ქლიბები არ გამოაჩინო, უხერხულია.

– არც პირსაბანი ჩამოვკიდო?

– რად გინდა, წყარო აქ არ არის, პირსაწმენდი და საპონი იქონიეთ.

– კუკურა რას იტყვის?

– სანამ რაიკომში მივიდოდა, კატასავით პირს ორი თითით იბანდა, საჭმელების სახელები ახლა ისწავლა მაგ ჭინჭრის შაჭამანდით გაზრდილმა, ტიტიკოს უნდა ასწავლოს პურმარილის გამზადება?! ჰაი, დედასა! უფროსებთან თავის გამოდება უნდა, ვითომ მე გავუკეთე ორგანიზაციაო, იმათაც სჯერათ და მაგას აგზავნიან ხოლმე, გადახედე, არაფერი აკლდეთო; შაიფერა და თავი თავთუხივით უჭირავს. მიტრო რა იქნა? – უცებ იკითხა.

– სოფელში გავაგზავნე ქლიბების მოსატანად.

– მასხრობას მორჩი, არსად ჩარჩეს და უდოლგარმონოდ სუფრას ლაზათი არ დაეკარგოს! – ტიტიკო შეშფოთდა.

– ნუ გეშინია, ყველაფერი საათივით იქნება აწყობილი, – ზაქრომ დაამშვიდა...

ვერხვის წყაროზე პირველი ამბაკო სიმონიჩის მანქანა შემოსრიალდა, უკან ათამდე მსუბუქი მანქანა მოჰყვა. ზოგში მძღოლის მეტი არავინ იჯდა, სამაგიეროდ ზოგი მანქანა გადატვირთული იყო. ამბაკომ საპატიო სტუმარი ტიტიკოს წარუდგინა: – ხომ იცნობ, რაიონის კეთილის მსურველი, ძმა და მეგობარი, გამოჩენილი ჟურნალისტი კაკო ბენაშვილი.

ტიტიკომ ხელი დიდი მოწიწებით ჩამოართვა.

– დამსახურებული თავმჯდომარე, გამოცდილი და მცოდნე, მუხლშეუხრელი მშრომელი, კაცური-კაცი, – სტუმართან დაახასიათა ტიტიკო.

– კუკურა იყო? – უცებ იკითხა.

– იყო, ამბაკო სიმონიჩ, ყველაფერი თავისი თვალით ნახა, მოგვიწონა, ჩვენც მზად ვართ! – ტიტიკო წინ მოწიწებით გაუძღვა.

– ვახ, ეს კუკურა რა კაცია, კაცო, მარილიდან დაწყებული ბატკნის ჩაქაფულამდე არაფერი ავიწყდება. თუ სუფრა შეამოწმა, მორჩენილია, წარმატება გარანტირებულია, – ამბაკომ სტუმარს საქმის ვითარება გააცნო.

– ეგრეა, ზუსტად ეგრეა! – წელში ორად მოხრილმა ტიტიკომ პირმოთნე ღიმილით დაუდასტურა.

სტუმრები წყაროსთან შეგროვდნენ და ხელების დაბანა დაიწყეს.

მიტრომ და კოლას ბიჭმა მანქანა შემოაგრიალეს და ქვაბებთან, ზაქრო რომ ტრიალებდა, მიაყენეს. მიტრომ ქაღალდში გახვეული ამანათი მიაწოდა და ხმამაღლა გამოაცხადა:

– აჰა, მოვიტანე ოცდახუთი კბილების „ჩოტკი“ და ოცდახუთი ქლიბი.

– ჩუ, რა გაყვირებს! – შემკრთალმა ზაქრომ გააჩუმა, წაიღე, ქოხში დაყარე, – ღიმილით დაუმატა.

წყაროსთან დიდი მიპატიჟება ჰქონდათ, ხელების დაბანას ერთმანეთს სთავაზობდნენ, ბოლოს მაინც თანამდებობრივი საფეხურების მიხედვით დაეწყნენ. ჯერ სტუმარმა დაიბანა, მერე ამბაკომ; მეორე მდივანი და აღმასკომის თავმჯ-

დომარე ერთმანეთს უთმობდნენ, ბოლოს მაინც წყალს ერთდროულად შეუშვირეს ხელები.

კუკური ზაქროსთან აღშფოთებული მიიჭრა:

– მე რომ გითხარი, პირისაბანი რატომ არ ჩამოკიდე?! – წაუსისინა.

– იქ რა ხელები დასაბანი რჩებათ? აგერ, კბილების „ჩოტკებიც“ მოიტანეს, თუ იტყვი, ახლავე მივუტანთ.

– კბილების „ჩოტკები“ კი არა, ქლიბი არ გინდა? – გაბრაზებულმა კუკურიმ წასვლა დააპირა.

– ქლიბებიც გვაქვს, ოცდახუთი ცალი, – ზაქრომ უპასუხა და ქოხისკენ წავიდა. – ახლავე მოვიტან, იქნება მოვასწროთ, სანამ დაიბანენ.

კუკურიმ ხელი ჩაიქნია და წყაროსთან შეგროვილ ხალხს შეუერთოდა; ზაქროს სიცილი აუტყდა.

კომკავშირის რაიკომის მდივანი მათე ბალაშვილი ქოხის წინ დაგდებულ ბოძზე იჯდა და ამ მოჩვენებით თავაზიანობის მარათონში მონაწილეობას არ ღებულობდა.

– ჯაგრისი მივხვდი, რისთვის მოიტანე, ალბათ ქვაბების გასახეხად, – სერიოზული ტონით უთხრა ზაქროს, – მაგრამ ქლიბების დანიშნულება ვერ გავიგე, კატორღელები ხომ არ გყავთ დაპატიჟებული, ბორკილების გასახეხად კარგიაო ამბობენ.

– ქლიბები კი არა, კუკურა გაბრაზებულია, პირსაბანი და ტაშტი რატო არ მაიტანე, მაგ ხალხს წყაროზე ხელების დაბანა არ ეკადრებაო. რა ვიცოდი, ტაშტშედგმული პირისაბნით ხელების დაბანა ეგეთი საპატიო თუ იყო. სახლში სულ ეგრე ვიბან, ჩემ დედაკაცს ათასჯერ უნდა მოვუხადო მადლობა ამ პატივისცემისათვის.

– ზაქრო, ეგ კი არა, თქვენი სოფლის მაღაზიაში სალიტინებული მანქანები იყიდება, ელემენტებზეა, ტიტიკოსთან თათბირზე ჯიბეში ჩაიდგი, როცა თავმჯდომარის უკბილო ხუმრობაზე გაცინება მოგინდეს, ჩართე, ისეთი ხარხარი აგიტყდება, თუ დროზე არ გამორთე, დაწინაურების მაგიერ სამსახურიდან გაგდება არ აგცდება; როცა დაღრეჭა მოგინდეს, მეორე მხარეს გადართე, ისეთი დენის ძალით დაგარტყამს, დაიღრიჯები კი არა, შარშან ღორის ჭირი რომ გაგიჩნდათ და ნახევარი ფერმა გაგინადგურათ, მაშინ რომ იყავ, იმაზე მჟავე ხასიათზე დაგაყენებს; დროზე მიასწარ, დიდი რიგი აქვთ, არ გათავდეს! – მათე ისე ლაპარაკობდა, უცხო კაცს შეიძლება დაეჯერებინა კიდევაც. მაგრამ ათასი ეშმაკის ხაფანგზე გადამხტარ ზაქროს მათესგან ამგვარი ხუმრობების მოსმენა არ აკლდა, გულახდილი იყო, რადგან იცოდა, მასთან თამამად ნათქვამი სიმართლე გვერდით მოვლენებს არ გამოიწვევდა.

– ეგ მანქანა თქვენ უფრო მოგიხდებათ, ჯერ ახლა რა ამბავში არიან და სუფრასთან პირდაპირ გულს მოგიკლავენ, სიცილი რომ უნდათ და ვერ გაუცინიათ, ზოგჯერ კი პირიქით, – ზაქრომ პასუხი ჩააბარა.

– ჩვენზე ნუ წუხდები, ორ-ორი ვიყიდეთ, უბის ჯიბეში გვიწყვია.

– მათემ ხელი ჯიბეში ჩაიყო.

– შენ ჩვენი თავმჯდომარე არ გეგონო, ტოროლების ამბავი განა დამავიწყდა?! – ზაქრომ გაახსენა, მაგრამ მაინც ფარული ინტერესით დააკვირდა, მართლა რაიმე მანქანა ხომ არა აქვსო.

მათემ ჯიბიდან პაპიროსის კოლოფი ამოიღო და ზაქროს გაუწოდა. ორივემ გააბოლეს.

ზაქროს სიცილი აუტყდა.

– შენი ამბავი ხომ ვიცი, მაგრამ ჯიბეში ხელი რომ ჩაიყავ, ეჭვი შემეპარა, ის მანქანა მართლა არ ამოიღოს-მეთქი.

– ეხ, ჩემო ზაქრო, იმ მანქანის გარეშეც კარგად ვართ მომართულები, – მათემ სიგარეტი ღრმად მოქაჩა და ნელი ნაბიჯით წყაროსკენ წავიდა.

ხელების დაბანა დაემთავრებინათ.

სანამ სუფრასთან დასხდებოდნენ, ვერხვის ჩრდილში შეიკრიბნენ; კაკო ბენაშვილს სკამი მიართვეს.

ამბაკო და ტიტიკო განზე გასულიყვნენ და რაღაცაზე საუბრობდნენ.

– ჩვენს რაიონზე რა მაგარი ნარკვევი დაწერე. პირდაპირ აღფრთოვანებულები ვართ; კაცი არ გამოგიტოვებია, რა მეხსიერება გქონია, კაცო! – ავტოსატრანსპორტო კანტორის უფროსი, იროდი დიდად კმაყოფილი ჩანდა.

– რა ვქნა, ბატონო, – კაკოს მისი სახელის თქმა უნდოდა, მაგრამ, ეტყობა, ვერ გაიხსენა, ცოტა ხანს გაჩერდა და მერე გააგრძელა: – კარგ ვაჟკაცებს უნდა ვემსახურო, მე სხვანაირად არ შემიძლია!!

– რა კარგად ეწერა, გესიამოვნებოდა, იროდი კაბინეტში არწივივით იჯდა, წამოხტა, ხელი ჩამომართვა, რომელი მარკის მანქანა გაწყობს, მზრუნველად მკითხა, ხუთ წუთში გაწკრიალებული „ვოლგა“ კარებთან გველოდებოდა; ხელმძღვანელიც ამას ქვიაო, – იროდის მას რომ ეხებოდა, ის ტექსტი ზეპირად დაეხსომებინა.

– კუკური მიქელაშვილთან რომ შევიდა, რა კარგად აქვს აღწერილი მისი დაძაბული მუშაობა. მაგიდაზე იმდენი ქაღალი ჰქონდა გაშლილი, თავი არ უჩანდა, ყოველ წუთში ტელეფონზე რეკავდა, ყველა გააფრთხილა, დღეს თქვენთან გამოჩენილი ჟურნალისტი, კაკო ბენაშვილი მოვა და თქვენ იცით, კარგად დაუხვდით, თავი გამოიჩინეთო. მერე იფიქრა, ვინ გავაყოლოო და მართლაც კარგი ვაჟკაცი შეარჩიაო, – რაიკომის ინსტრუქტორი ნიკო, რომლის მანქანით ხშირად სარგებლობდა კუკური, იგი ახლაც ამ ჯგუფში იყო, ზომაზე მეტად გასუქებულს მუცელი მიკიტანს მიუგავდა, ხელები სიმსუქნისაგან ბოლომდე ვერ დაეშვა ტკიპადახვეული ქათამივით; გაჭირვებით სუნთქავდა.

– რა მაგრად ეწერა ნიკოზე, კაბინეტში მაღალი, მხარბეჭიანი; მერე კი დავრწმუნდი, საქმეში ცეცხლივით ენერგიული კაცი შემოვიდაო; ღვინის სმაში მისი მომრევი კაცი არ დადის რაიონშიო, – ნიკომ მორცხვად გაიღიმა.

– ნიკო მართლაც მაგარია, კაკომ თავის ნარკვევის სინამდვილეს ხაზი გაუსვა.

– სწორე გითხრათ, ჩემზე დაწერილით ძალიან გავიხარე, – საუბარში ყველკარაქის ქარხნის დირექტორი, ვარლამი ჩაერია. ის იყო, მასზე დაწერილის მოყოლას აპირებდა, რომ რაიკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარემ შეაწყვეტინა: – ჩემზე ნაკლებად ეწერა? ენერგიული და საქმის მცოდნე კაცი გავიცანო.

– ჩემზე რომ ეწერა, ჩემზე! – საუბარში პურპროდუქტების ბაზის დირექტორი, რაჟდენა ჩაერია.

– ჩემი არ დაივიწყოთ! – ამაყად იჭიმებოდა რაიონული გაზეთის რედაქტორი. მიხეილ მძინარიშვილი. მოკლედ, კაკო ბენაშვილს გარს ეხვეოდნენ და აღარ იცოდნენ, ხოტბა როგორ შეესხათ.

მათე გვერდზე მიმდგარიყო და ამ ვნებააშლილ სკამოსანთა ქლესაობას უსმენდა. პაპიროსი ამოიღო და გააბოლა.

კაკომ დაინახა, რომ მათე არავითარ ინტერესს არ იჩენდა მისი ნაწარმოების ესოდენ დაშაქრული განხილვისადმი. იფიქრა, ალბათ, ნაწყენია, მაგაზე რომ არაფერი მიწერიაო და მისკენ მიბრუნდა.

– ამ ნარკვევში კომკავშირის რაიკომის მდივანზე ვერ დავწერე, მაგრამ მომავალში აუცილებლად გავითვალისწინებ, – მოწყალე ღიმილით უთხრა.

– ჩემზე რა არის დასაწერი, კაბინეტში იჯდა და ქაღალდებში თავი არ უჩანდაო, ან არწივივით იჯდაო, ან არ ვიცი, კიდევ რა ეწერა ამათზე, – მათემ გაშტერებულ მოსაუბრეებს გადახედა. – მე მგონი, უფრო კარგი და საინტერესო გამოგივიდოდათ ის ნარკვევი, დირექტორის კაბინეტზე და მის მანქანაზე კი არა, იმ ადამიანებზე რომ დაგეწერათ, მრავალი უკუღმართობის მიუხედავად, პატიოსნად რომ ღვრიან ოფლს. დირექტორიდან დირექტორისკენ მოგზაურობის და მათი, ხშირ შემთხვევაში, დაუმსახურებელი ქების ნაცვლად უბრალოდ და უპრეტენზიო ადამიანებზე რომ დაგეწერათ, მე, მაგალითად, გაცილებით სიამოვნებით წავიკითხავდი იმ თქვენს ნარკვევს, რომელსაც თამამად შეიძლება ეწოდოს, ჟურნალისტის გადაფრენა კაბინეტიდან კაბინეტში, – მათემ აუჩქარებლად, დინჯად დაასრულა თავისი სიტყვა და პაპიროსი მოქაჩა.

როგორც ცხელ ღადარზე წყლის დასხმით ხმაურით და შიშინით ჩამქრალი ნაღვერდალი ორთქლს, ნაცარს და კვამლს ერთდროულად ამოაფრქვევს ხოლმე, აქაც ასე მოხდა: ამოძრავდნენ, აჩოჩქოლდნენ, კვამლი და ორთქლი აუშვეს, საკუთარი თავის ქებით აშლილი ვნებები ჩაუქრათ და პირდაღებული – თვალებგაფართოებულები დადუმდნენ.

მათეს სიტყვის შებრუნება ვერ გაუბედეს, ეშინოდათ, რაიმე უარესი არ გვითხრასო. კარგა ხანს გაჩუმებულები იყვნენ. მერე მათეს მათხრახით დაბუხებულებმა საუბრის თემა შეცვალეს უკბილო ოხუნჯობებით. გულში კი მათეს შემართებას შურით აქებდნენ, რამეთუ მათ ამის თქმა არ ევაჟკაცებოდათ.

რა არავინ იცის, რატო დაწერა ის ნარკვევი? ამბაკო სიმონიჩს სჭირდებოდა ასე, ვისთანაც მივიდა, ყველამ დატვირთული მანქანით გაგზავნა. აბა, ის მშრომელები, მათეს ასე რომ ეწვება გული, რას მისცემდნენ. ამტვრევს ეს ბიჭი ტაბიკებს და არ იცის, რომ მაგნაირები უფროსებს არ უყვართ და ერთხელაც იქნება მიასკდება კედელს". თითქმის ყველა ასე ფიქრობდა და კაკო ბენაშვილის სახეზე მიმკვდარი ღიმილის დანახვა განუზომელ სიამოვნებას ანიჭებდათ.

– გთხოვთ მაგიდასთან მობრძანდით! – ტიტიკომ ხმამაღლა გამოაცხადა. ხმაურით და ერთმანეთის მიპატიჟებით როგორც არ იყო დალაგდნენ;

აქაც იგრძნობოდა თანამდებობრივი კიბე. ვინ ვისთან რა შავი აზრებით იყო დამძიმებული. ამას გულში ღრმად მარხავდნენ. ყველა თეთრ კბილს აჩენდა. თანამდებობისათვის ძიძგილი და გაწევ-გამოწევა, ზურგში დასმენა, პირში ქება, პირსუკან ლანძღვა; პირში ერთგულების მტკიცება. მოკლედ ღალატის და ვერაგობის საშუალო რგოლის მსმენელები იყვნენ, – დაწყებითები მათ ქვევით იყვნენ, უმაღლესი კი – დედაქალაქში; აკადემია, ალბათ, მოსკოვში ჰქონდათ.

ტიტიკომ ჭიქა შეავსო, ამბაკოსგან ნებართვა ითხოვა, მანაც მძიმედ დაუქნია თავი.

– მეგობრებო! – დაიწყო, – რაც არ უნდა კარგი კოლექტივი იყოს, ხელმძღვანელის გარეშე არ ვარგა, კარგი ხელმძღვანელი კი ყველაფერს ნიშნავს. ააყვავებს, ააშენებს, დახატავს, ყველას გააბედნიერებს; რაღა შორს წავიდეთ, ზედმეტობაში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ აგერ, აქ არა გვყავს ჩვენი რაიონის მაგალითი?! – სუყველა ფეხზე წამოდგა და ერთიანი ტაში დააქუხეს. ნელ-ნელა

დასხდნენ. ტიტიკოს, თითქოს აინშტაინის ფარდობითობის თეორია აღმოეჩინოს, ისეთი საზეიმო სხივი დასთამაშებდა. ამბაკო ფეხზე არ ამდგარა, ეს საზეიმო წამოდგომა და ტაში მისკენ იყო მიმართული; მადლობის ნიშნად ყველას მადლიერად უქნევდა თავს.

– ჰოდა, ჩვენი სუფრაც ხომ ეგრე საათივით უნდა აეწყოს და კარგი დრო გავატაროთ, ამიტომ თამადაა საჭირო, რომელიც არ მოგვაწყენს.

– შენ იყავი თამადა! – აქეთ-იქიდან წამოიძახეს.

ამბაკომ შუბლშეკრული მზერა მოავლოთ. მეტიჩრებს ენა ჩაეყლაპათ, მიხვდნენ, რომ ტიტიკოს თამადის კანდიდატურა ამბაკოსთან ჰქონდა შეთანხმებული.

– მოდით რაჟდენას ვთხოვოთ, ჩვენი პურ-პროდუქტების ბაზის დირექტორს, დღევანდელ ქეიფს უხელმძღვანელოს.

– კარგია, კარგი! – ახმაურდნენ.

– შენ გაგიმარჯოს, რაჟდენ! თამადობა მოგვილოცია, აბა, კარგი დრო გაგვატარებინე! – ტიტიკომ ჭიქა გამოცალა და დაჯდა.

რაჟდენას უარის თქმით თავის დაფასება აღარ დააცადეს, სადღეგრძელოები სეტყვასავით დააყარეს. რაჟდენას ისღა დარჩენოდა, მადლობა მოეხადა და სუფრის თავში სათამადო სკამი დაეკავებინა.

პირველი სადღეგრძელო თქვეს, ჭიქები ერთხმად დაიცალა. ჯერ თითო ლუკმა არ ჰქონდათ გატეხილი, რომ ამბაკო სიმონიჩმა სადღეგრძელოს თქმის უფლება ითხოვა. ფეხზე ადგა, სუფრასთან მსხდომთ თვალი მოავლო, მათაც სასწრაფოდ დაყარეს ჩანგლები; ლუკმაც დაუღეჭავად გადაყლაპეს. მხოლოდ მათემ ჩვეული სიდინჯით ჩაათავა ლუკმის ღეჭვა, ჭიქაში ნახევრად დაისხა ბოჯომი, დალია, სკამზე გასწორდა, სიგარეტი ამოიღო, ღრმა ნაფაზი დაარტყა და თავგადაწეულმა კვამლი მაღლა აუშვა. მთელი ამ ხნის განმავლობაში სხვები გასუსულები ისხდნენ, ამბაკო კი იცდიდა, სანამ ყველა არ გაისუსებოდა; მათეს მოძრაობაზე სუფრის დანარჩენი წევრები უხერხულად იშმუშნებოდნენ.

ამბაკო აშკარად უკმაყოფილი იყო, მაგრამ ხელჩასაჭიდებელი ვერაფერი ნახა, მათესათვის ღვარძლიანი შენიშვნა რომ მიეცა. მისი პირუთვნელი და შემართული ხასიათის გამო ისედაც არ მოსწონდა, ამას დანარჩენი პირმოთნენი კარგად ატყობდნენ და, როგორც კი საშუალება მიეცემოდათ, ცეცხლზე ნავთის დასხმას არ თაკილობდნენ.

ამბაკომ ჩაახველა, თავის ძალაში და გამორჩეულ მდგომარეობაში დარწმუნებულმა, დინჯად დაიწყო:

– ამხანაგებო! დღეს აქ გვესწრება ჩვენი რაიონის საპატიო სტუმარი, საყვარელი ადამიანი, უნიჭიერესი ჟურნალისტი, ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი ჩვენი თანამედროვე, პატივცემული აკაკი ბენაშვილი! – ამბაკომ ჩაახველა, კაკომ ხელები გაშალა, ვითომ დაიმორცხვა, რა საჭიროა ჩემი ასე დღეგრძელობაო; სახეზე კი უსაზღვრო სიამოვნების გრძნობა აღებეჭდა, ფეხზე ადგა და სავსე ჭიქით კიდევ უამრავი ქების მოლოდინში გაილურსა.

– ჩვენს გვერდით არის უდიდესი პიროვნება, რომლის შემოქმედებითმა გენიამ მრავალი საუცხოო ნაწარმოები შექმნა, რამაც უკვდავყო ბატონი აკაკის სახელი. მის ნაშრომებს საუკუნეები ვერ გაახუნებენ. მე სხვების ჩამოთვლას არ შევუდგები, ისინი ძალიან ბევრია. მხოლოდ ერთზე მინდა აღვნიშნო, ის უკვდავი ნარკვევი, რომელიც ყველა თქვენთაგანისათვის ცნობილია; ჩვენი რაიონის მშრომელებისათვის უძვირფასესი შენაძენია! – ერთხმად დააქუხეს ტაში, – დღეს აქ მოვიწვიეთ იმ ხელმძღვანელი მუშაკების ნაწილი, რომელიც ბატონმა აკაკიმ თა-

ვისი შეუდარებელი უძლიერესი, ღრმააზროვანი და მრავალსიმეტყველი შრომით უკვდავყო. არ იქნება ჩვენი რაიონის პატრიოტი ვისაც არ აღაფრთოვანებს და სიხარულის ცრემლებს არ მოგვრის ამ, დღემდე არნახული, ლიტერატურული შედევრის წაკითხვა! – ტაშმა ისევ იქუხა, კუკურის უნდოდა ეთქვა, გამოჩნდნენ ზოგიერთი პიროვნებები, რომელთაც არ მოსწონთო, მაგრამ მათეს დამშვიდებული და შეუპოვარ სახის გამომეტყველებას რომ შეხედა, ვერ გაბედა: „არა უშავს“, – გაიფიქრა, „მარტო როცა იქნება, მაშინ ვეტყვი, უფრო კარგია“. მათეს თვალებს შეხედა, შეკრთა, თითქოს ჩანაფიქრი გაუგესო, რაღაც მახინჯი, ცალყბა ღიმილი მოიმარჯვა. მათემ მის დაჯღანულ სახეს ერთი შეხედა და მზერა მოქადაგეზე გადაიტანა. ამბაკო ახლა რაიონის მოწინავე ადამიანებზე ლაპარაკობდა, რომლებიც სუფრასთან ისხდნენ, არც იმათ ივიწყებდა, ნარკვევში მოხსენებული რომ იყვნენ, მაგრამ ამ საიუბილეო პურობას არ ესწრებოდნენ. ლაპარაკობდა იმ დიდ, არნახულ, უზარმაზარ მიღწევებზე, ბოლო წლებში (მისი ხელმძღვანელობის დრო), რომ გაიფურჩქნენ, – ეს ყველაფერი თქვენი დამსახურებაა! – დროდადრო ეხმაურებოდნენ. თითქმის ყველამ მოასწრო, ქათინაურებით შენელებული რეპლიკა ესროლა; თან ისეთი პოზა და სახის გამომეტყველება ჰქონდათ, თითქოს ანიშნებდნენ, დამინახე, ამას მე ვამბობო. – მარტო მე არა, ამხანაგებო, თამამად შეიძლება ბევრი ღირსეული ადამიანის ჩამოთვლა. – ამბაკო თავმდაბლად უნაწილებდა უზარმაზარ მიღწევებს დანარჩენებს. ისე კი სჯეროდა, რომ მისი დაუშრეტელი ენერგიის წყალობით იყო ყოველივე დიდი წარმატება, რომელიც მლიქვნელთა მიერ გაბერილი საპნის ბუშტი იყო მხოლოდ. ისე კი ამბაკოსა და მისნაირთა უკუღმართობით ქვეყანა უკანონობის, თვალისახვევის, მიწერებისა და კორუფციის სიბინძურეში ფართხალებდა, რასაც მლიქვნელი, ბლენძი ბატონკაცები დიად მიღწევებად ნათლავდნენ. ჭრელა-ჭრელა პომპეზურ, ხმაურიან ღონისძიებათა საფარში. ამბაკომ ყველაფერი კარგად იცოდა, რა რღვევის ბაცილა შეპარვოდა უზარმაზარ სოციალისტურ სახელმწიფოს მისი და მისი მსგავსი პარტიული ფუნქციონერთა სახით მის ცკ-ს პირველი მდივნის თამადობით. გარეგნულად კი სოციალიზმის საქმისათვის თავგადაკლულ ზვარაკებად მოჰქონდათ თავი რეპრესიებით და მუშტის ქნევით დაშინებულ მრევლთან, რომელმაც ყველაფერი კარგად იცოდა. ამბაკომ ერთი კიდევ შეაქო ბატონი აკაკი და თავისი ნახევარსაათიანი გამოსვლის შემდეგ, მოშიებულ და მოწყურებულ მორჩილ აუდიტორიას, თავისუფლად ამოსუნთქვის საშუალება მისცა.

კაკოს სადღეგრძელო თანამდებობრივი კიბის მიხედვით შეისვა, ყველა ცდილობდა ნიჭიერი და პრინციპული ამბაკოსათვის მიებაძა. ბევრი მასავით ახველებდა, სიტყვასაც მაშინ ამბობდნენ, როცა ორივე ჩანას საჭმლით გამოიტენიდნენ, კბილებსაც ამბაკოსავით საჩვენებელი თითით იჩხრეკავდნენ, გამოღებული მწვადის ნაჭერსაც კბილებს შორის რომ გაეჩხირათ, ამბაკოს მსგავსად წკიპურტით ისროდნენ, ამბაკომ ქიზიყში თავისი დახვეწილი კულტურა შეიტანა ყველა სიკეთესთან ერთად, რამეთუ მაშინდელი აღზევებული კომუნისტთა ცკ-ს მდივანი ადგილობრივ კადრებს არ ენდობოდა და თავის კადრებს აგზავნიდა თუნდაც მას ამბაკოსავით თევზის ტვინი და თვალები ჰქონოდა. მოკლედ, სუფრას დიდი და მცირე ამბაკოები უსხდნენ. ახლა ერთი რომ ლაპარაკობდა, სხვები სუფრაზე ჭარბად დახვავებულ საჭმელს დაუზოგავად აქრობდნენ.

სამადლობელის თქმის ჯერი მოვიდა. კაკო გასწორდა, სალაპარაკოდ მოემზადა. მორჩილ თანამეინახეებს ამბაკომ ისევ მოავლო თავისი მომნუსხავი მზერა. ზუსტად იგივე განმეორდა, რაც სადღეგრძელოს დაწყებისას. მათეს ჭიქა

ეჭირა და ბორჯომს ნელ-ნელა სვამდა. კაკოს მოსასმენად მზადების ფაცაფუცს არაფრად აგდებდა.

– ამხანაგებო, მე ზომაზე მეტი შემაქო ამბაკო სიმონიჩმა, უფრო მეტის დაწერა შეიძლებოდა, კიდევ კარგად ვერ ავსახე ის დიდი მიღწევები, რაც, არ მიწყინოს პატივცემულმა ამბაკომ, მხოლოდ მისი ხელმძღვანელობის შედეგია; ვუყურებ და მიკვირს რა ენერგია აქვს ამ უნიჭიერეს და უკეთილშობილეს კაცს! – აზარტში შესული კაკო ინერციას იღებდა. ისედაც ნიჭის დეფიციტის ტყვეობაში მყოფი ამბაკო ამ აღვირახსნილი ქების გავლენით მთლად გამოლენჩებული თევზის თვალებით მისჩერებოდა სივრცეს, ვითომ დიდ საქმეებზე ფიქრობდა.

თავისუფალ სკამზე მათეს გვერდით ზაქრო ჩამოჯდა.

– როგორაა საქმე, ღიტინის მანქანები გამოგადგათ? – ღიმილით ჰკითხა.

– ცოტა მოიცადე და შენი თვალით დაინახავ იმ მანქანების მაგიურ ძალას, – პასუხი ჩურჩულით მიიღო.

ამბაკო უცებ ფეხზე წამოიჭრა.

– რა ამბავში ხართ თქვენ! – მათეს და ზაქროს უყვირა, – დაუგდეთ ყური, კარგ რამეს ლაპარაკობს! – განაგრძეთ ბატონო კაკო! – თითქმის უბრძანა სადღეგრძელოს დაღლილ ჟურნალისტს, მანაც გააგრძელა უნიჭიერესი და უენერგიულესი ამბაკოს გაუთავებელი ქება, მერე რაიონის გრანდიოზულ წარმატებებზე გადავიდა. დიდხანს ილაპარაკა თავისი ნარკვევის გმირებზე. ბოლოს დაასკვნა, რომ ახალ ნარკვევს ამზადებდა, სადაც არც ერთი ხელმძღვანელი არ გამორჩებოდა.

ტაშმა იგრიალა.

– რამდენს მოუწევს ძლვენის მომზადება; ტიტიკოს გახსენებისთვის ერთი მანქანა დავტვირთეთ და იგრე მივადექით ქალაქში, – ჩაილაპარაკა ზაქრომ.

კაკომ პირთან ჭიქა მიიტანა, ყლუპნახევარი შეაცალა და დადგა.

– ამსიგრძე სადღეგრძელოს კი ეკუთვნოდა ერთი ჭიქის დაცლა, – ზაქრომ გაიხუმრა.

– მაგან იმხელა სიტყვა თქვა, შესაფერისად ღვინო რომ დალიოს, ჩვენ აღარაფერი დაგვრჩება, – მათემ ჩაიცინა.

– რა კაცი ხარ, კაკო, რა კაცი! – ამბაკომ მხარზე ხელი დაარტყა და უცებ ახარხარდა. თითქოს ღვედებით არიანო გამობმული, ყველა ახარხარდა. მათეს დანარჩენის სიცილზე გაეღიმა.

– რაზე იცინიან? – იკითხა ზაქრომ.

– ღიტინის მანქანები ჩართეს, – მათემ აუხსნა.

ამბაკომ როგორც დაიწყო, ისევე მოულოდნელად შეწყვიტა სიცილი. დირიჟორი ასე უცებ ვერ გააჩერებს ორკესტრს; ყველამ მასავით სერიოზული სახე მიიღო.

– ვაახხხ! – ზაქროს გაუკვირდა, – გამორთეს?

– გამორთეს.

– ცოტა ხანს მოიცადე და ახლა მეორე მხარეს გადართავენ.

– ვააახხხ! – ზაქრომ თვალები დაჭყიტა.

თამადამ რამდენიმე სადღეგრძელო დალია, გამხიარულდნენ. ბახუსი ნელ-ნელა ძალას იკრებდა.

ყველ-კარაქის ქარხნის დირექტორმა დააცემინა.

– ჯანმრთელობა! – ამბაკომ მიაძახა.

– გმადლობთ, ამბაკო სიმონიჩ! თქვენ რომ ჯანმრთელად იქნებით, მეც მაშინ ვარ ჯანმრთელად. – მერე დააყოლა: – თხამ დააცემინა და მგელმა უთხრა, ღვთისწყალობაო. ჩემი ღვთისწყალობა შენზე ჰკიდიაო, – თხამ უპასუხა.

– ხა, ხა, ხააა! – ამბაკო ახარხარდა. ყველა აჰყვა.

– რა კაცი ხარ, ვარლამ, რას არ მოიგონებ?!

– ეგრეა ამბაკო სიმონიჩ, ჩემი ღვთის წყალობა შენზეა დამოკიდებული, – ვარლამმა პირმოთნე ღიმილით ამოშაქრა.

– ახლა თუ გინდა, რომ ვარლამს თავზე მეხი დაეცეს, უნდა ხმამაღლა განაცხადო: ამბაკო სიმონიჩ, ეგ რა თქვა, მგელს შეგადარაო; მაშინ ვარლამს მართლა ეწვევა თხის ბედი, რაც ამბაკოს გადაურჩება, ეს დანარჩენები ტურებივით გამოხრავენ, – იხუმრა ზაქრომ.

ანეკდოტების საღერღელი აეშალათ, ყველა ცდილობდა თავისი ენამოსწრებული მოყოლით ამბაკოს გასცინებოდა.

– ვარლამ, შენ ის მოყევი, კახელმა გურული რძლად რომ მოიყვანა, – მოისურვა ამბაკომ, მანაც, ალბათ, მეასედ, თუ ასმეერთედ დაიწყო მოყოლა. იცინოდა ამბაკო, დანარჩენები სიცილით სუსტდებოდნენ. სხვა შემთხვევაში ამ ანეკდოტს მრავალჯერ დაღეჭილს, ამოცოხნილსა და მოყირჭებულს მოსმენის ღირსადაც არ ჩათვლიდნენ, ახლა კი ფერდები იტკინეს.

– ტიტიკო მოგვიყვეს, ტოროლების დამზადების გეგმას როგორ ასრულებდა, – თამადამ მხიარულად გამოაცხადა.

– ეგ რაღაა, არ ვიცი? – ამბაკომ გაიკვირვა და თვალები დაბრიცა.

– ახალია, ამბაკო სიმონიჩ, საინტერესოა, ტიტიკო მოგიყვებათ.

– აბა, ტიტიკო მოგვიყევი, აქამდე რატომ არ ვიცი?!

ტიტიკომ ცხვირსახოცი ამოიღო, თვალები ბეჯითად ამოიმშრალა, და ღიმილშეზავებული ტონით დაიწყო:

– ამას წინათ რაღაც საქმეზე რაიონის ცენტრში ამოვედი, შესვენების დრო იყო, სუყველა სასადილოში შეკრებილიყო, მეც იქ მივედი. საუბრობდნენ. ტოროლა ახსენეს. ვიკითხე, რა ტოროლაზეა-მეთქი ლაპარაკი. აქამდე არ იციო, ერთმა მითხრა, – თქვი ვინც იყო! – წამოიძახეს სუფრის წევრებმა. – მოკლედ, მითხრა, რომ რაიონში ტოროლების დამზადების გეგმა მივიღეთო. მე ეჭვი შემეპარა და ვუთხარი, ესეთი რამე არ შეიძლება-მეთქი. როგორ არა, ინგლისში ჭია გაჩენილა ხორბლის ნათესებში, ვერაფერი მოუხერხებიათ, მარტო ჩვენებური ტოროლა ჭამსო, ჰოდა. იმათაც მოუთხოვნიათ ჩვენთვის; თითო ტოროლაში თავის წონა ოქროს იძლევიანო. როგორ უნდა დავიჭიროთ-მეთქი? – ვკითხე. სპეციალური ცხენის ძუისგან დამზადებული კაკანათები გამოუგზავნიათ, ბოლოში ხორბალი აქვს, ტოროლა როგორც ასაკენკად მივა, მაშინვე ფეხზე გამოეკვანძება. მინდორში რომ ჩაივლი, კაკანათებს დააგებ, ამოვლისას მარტო აკრიფეო. რაიონში გეგმა მოვიდა, სამმართველოში უკვე გაანაწილესო. გეგმა რამდენიაო, ერთმა ჰკითხა, სამოცი ათასი ცალიო. მე ვეღარ მოვითმინე და ვკითხე: – ჩვენს კოლმეურნეობაზე რამდენი გაანაწილეს-მეთქი, თხუთმეტი ათასიო. გავბრაზდი, ჩემთვის მეტი მოუციათ-მეთქი. რა გაბრაზებს, ჯერ სხვებს არც კი გაუგიათ, სანამ აზრზე მოვლენ, წადი, ჯერ იმათ მინდვრებში დაიჭირე, მერე შენსაში გადადიო. ეს რჩევა ჭკუაში დამიჯდა, სასწრაფოდ სამმართველოს უფროსთან გავიქეცი. – ამბაკო ისე ახარხარდა, კინაღამ გადაუყლაპავმა ლუკმამ დაახრჩო; დანარჩენებიც ჩვეული მონდომებით აჰყვნენ; სული რომ მოითქვეს, ტიტიკომ ლაპარაკი გააგრძელა.

– მოიცა, ახლა მე ვიტყვი, – სამმართველოს უფროსმა შეაწყვეტინა.

– კაბინეტში ვზივარ, რაღაცას ვწერ, აღშფოთებული ტიტიკო უცებ შემოვიდა, – სამართალი არ არის?! ეს რა გიქნია ჩემთვის! – ბრაზობდა.

– რა გვიქნია, ტიტიკო, რამ გაგაცხარა?! – ვკითხე.

– ტოროლების დამზადების ძალიან დიდი გეგმა მოგიციათ, მაგდენს ვერ დავიჭერ! – ჯავრობდა.

– რა ტოროლები? – შევეკითხე, თან გარეთ გავიხედე, საშინლად ცხელოდა, მზის დაკვრა გამორიცხული არ იყო. ტელეფონს გადავხედე, გართულების შემთხვევაში სასწრაფო დახმარება უნდა გამომეძახა.

– რა ტოროლები? – ინგლისში რომ უნდა გააგზავნოთ! – ტიტიკომ გამარკვია.

შუბლზე ხელი დავადე, – ტემპერატურა ნორმალური გაქვს, ეტყობა, ტოროლები თავში გყავს! – ვუთხარი და დავჯექ. ტიტიკო დაბნეული იდგა, მიხვდა, რომ გააცურეს.

– ვინ გითხრა? ვკითხე. ამანაც მითხრა, ვინც ეს ხურჯინი წამოჰკიდა. – ის გეტყოდა, ვუთხარი და ჩემი საქმე გავაგრძელე. ტიტიკო კი კარგა ხანს გონზე არ მოსულა; მას შემდეგ, თურმე, ტოროლები ჭირივით შეეჯავრა, – ისევ ახარხარდნენ.

კარგა ხანია ამბაკო ასე არ გამხიარულებულა.

– თქვენ აგაშენოთ ღმერთმა, – თქვა და საჩვენებელი თითით კბილში გაჩრილი ხორცის ნაჭერი მოსინჯა. მერე ორი თითი შეიყო და როგორც იყო გამოიძრო. – ეს რა კარგი ამბავი მითხარით, უკვე ვიცი, ვინც იქნებოდა. სოკრატის მეტი ვინ მოახერხებდა ამას, ყოჩაღ, სოკრატ! – შეაქო რაიკოოპკავშირის თავმჯდომარე.

– არა, ამბაკო სიმონიჩ, მე არა ვყოფილვარ, – სოკრატამ დანაშაულზე წასწრებული ბავშვივით ძლივს ამოღერღა, გული კი სწყდებოდა, რატომ მე არ ვიყავიო.

– მაშინ ვარლამი, – ამბაკომ ყველ-კარაქის ქარხნის დირექტორს თბილი ღიმილი შეაფრქვია. ვარლამმა სინანულის ღიმილით გააქნია თავი.

– კარგი, არ მითხრათ, მე თვითონ გამოვიცნობ, ჯილდო კი თქვენ მოიფიქრეთ, რაიმე სამახსოვრო სუვენირი, რომ დღევანდელი დღის გასახსენებლად ჰქონდეს! – ამ ამბის მოსმენით ძალიან მხიარულ ხასიათზე დადგა.

თამადამ დიდი სასმისები მოითხოვა და სპეციალურად მომზადებული სამი დიდი თიხის ჯამი ჩამოარიგეს.

თამადამ ჯამი პირამდე შეავსო და ამბაკო სიმონიჩის სადღეგრძელო აუწყა მოქეიფეებს; ყველა ფეხზე ადგა.

ამბაკო მოსალოდნელი ქებათა გრიგალის დასახვედრად სიამოვნებით გაიტრუნა.

– ამხანაგებო, თავს ნებას ვაძლევ და ამ კადნიერებისთვის წინასწარ ბოდიშს ვიხდი, რომ გავბედე შევსვა ჩვენი თაობის გენიის, არნახულ მოვლენის, სიცოცხლის და ენერგიის წყაროს, რაიონის იმედის და სიხარულის, ჩვენი მანათობელი მზის, უაღრესად პატივცემული ამბაკო სიმონიჩის სადღეგრძელო! – ტაშმა იქუხა, ამბაკომ მადლობის ნიშნად თავი დახარა, – თამადამ სადღეგრძელოს თქმა გააგრძელა, მთელი მჭევრმეტყველების მარაგი გახარჯა, ათასი ვალი დაიდო, დაესესხა თუ ვინმესგან ქების სიტყვა გაეგო ან წაეკითხა. ყველა სმენადქცეული იდგა, სახეზე მლიქვნელის უცხვირპირო, უფორმო და უმარილო ღიმილი დასთამაშებდათ.

– დღე და ღამე შრომაში ასწორებს. მის კაბინეტში ოცდაოთხი საათის განმავლობაში სინათლე არ ქრება. ჩვენ, უბრალო მოკვდავებს გვიკვირს, როგორ ახერხებთ ძვირფასო, ამბაკო სიმონიჩ, ამდენს? – თავის ნათქვამით აღფრთოვანებული თამადა ამბაკოს მიუბრუნდა, – ეს კაცი ხალხზე ზრუნვით დნება. ჯერ

მარტო რა საქმიანი თათბირები ტარდება, ამხანაგებო, დილის თერთმეტი საათიდან დაწყებული, ღამის თორმეტ საათამდე გრძელდება ხოლმე. როგორ დაწვრილებით იცის საკითხის გარჩევა, შეიძლება ერთი სიტყვა, ერთი წინადადება ათჯერ და მეტჯერ გაიმეოროს, რატომ? იმიტომ, რომ კარგად გავიგოთ და დავიხსომოთ. ახლა კიდევ კრებები, დადგენილებები. მთელი დღე რომ იკითხო, ბოლოში ვერ გახვალ იმდენია. ეს ვისი დამსახურებაა. ამხანაგებო? პატივცემული ამბაკო სიმოაანიჩისა. წაიკითხეთ და ისწავლეთო, გვეუბნება. ჯერ მარტო მისი მოხსენებები მთელი რვა საათი გრძელდება, ახლა საბოლოო სიტყვა ისაც ხომ დაახლოებით მოხსენების ხელა არის ხოლმე! ვისაც ამხელა ზრუნვის მოსმენა არ შეუძლია დარბაზში მთქმნარებით სკდებიან, ზოგს სძინავს კიდეც. თითო ოროლას თუ შეუძლია ამბაკოს დამოძღვრის გაძლება. სასწაული კაცია პირდაპირ, ადამიანი ლეგენდად ქცეული! გაუმარჯოს ჩვენს უბადლო ხელმძღვანელს, დიდ ამბაკო სიმონიჩს! – თამადამ დასჭექა.

– გა-უ-მარ-ჯოს! – სუფრის წევრებმა დაიქუხეს.

იჯდა ამბაკო ქებით გონებადაბინდული. სერიოზული სახის გამომეტყველებით და გაფართოებული თვალებით სივრცეში გაჭრილი მზერით ბრძნად წარმოედგინა თავი. სინამდვილეში კი გაბღენძილი ჭკუასუსტს ჰგავდა, მნახველის სინანულის ღიმილს რომ იწვევს.

რაჟდენამ ჯამი გამოცალა, გადმოაბრუნა და ყველას დაანახა; ალავერდი აღმასკომის თავმჯდომარესთან გადავიდა.

არნახული ქების და პირმოთნეობის მარათონი დაიწყო. ამბაკოს ღვაწლს, სიკეთეს, სიბრძნეს, ჭკუამახვილობას იხსენებდნენ. უამრავი ეპითეტებით ამკობდნენ, აქებდნენ ისედაც ქებისაგან გონებადაბნედილ კაცს.

– რაიონები რომ შენდებოდა, რაიონები რომ მშვენდებოდა, ირგვლივ ზეიმი და სიხარული რომ იყო, ჩვენ ვინგრეოდით, ვიშლებოდით, ვკნინდებოდით, ვნადგურდებოდით; რაიონის პატრიოტებს გული გვიკვდებოდა, მშველელს, მხსნელს, სასწაულს ველოდით და, აი, გამოჩნდა ჩვენი ამბაკო სიმონიჩი! როგორ მინდა, რომ ამ დღეებში მოვკვდე, რათა იმქვეყნად ამბაკო სიმონიჩის მამას შევხვდე და ვახარო მისი გენიალური შვილის გმირული საქმიანობის შესახებ; მინდა ვაუწყო, რამხელაზე ბედნიერია ბატონი სიმონი, რომლის შვილიც განუმეორებელ ადამიანად მოევლინა კაცობრიობას! – რაიონული გაზეთის რედაქტორმა ჯამი მარცხენა ხელში გადაიტანა და მარჯვენა ხელი ამბაკოსკენ გაიშვირა. ტაშმა და ვაშამ იგრიალა.

– სიმონა კი საფლავში გადატრიალდება თავისი შვილის მიერ შერყვნილი სახელის გამო! – დაღრეჯილი სახით თქვა ზაქრომ. მათეს კი რაღაც ტკივილნარევი ღიმილი შეყინოდა სახეზე.

– ამ უსინდისოთა ხელში დაინგრევა ეს ქვეყანა, რა გაუძლებს ამდენ ლორწოიან პარაზიტს, საკუთარი ნაჭუჭის დასათბუნებლად ყოველგვარ უსინდისობას რომ კადრულობენ, – მათემ ჩაილაპარაკა და სიგარეტს მოუკიდა.

– ავეწყეთ! ავშენდით! ავყვავდით! გავძლიერდით! ფრთები გავშალეთ! ვისი დამსახურებაა ამხანაგებო?! ამბაკო სიმონიჩისა! მაშ, გაუმარჯოს ძვირფას ამბაკო სიმონიჩს!!! – ოვაციამ ვერხვებზე მჯდომი ჩიტები დააფრთხო. ამბაკოს მეხოტბეები სიხარულის ცრემლებს ღვრიდნენ.

– ანთებული ჩირაღდნით დიოგენი რომ დადიოდა შუადღის მზით განათებულ ქუჩებში, ხალხი რომ ეკითხებოდა: „დიოგენ, რას ეძებო“, ის კი პასუხობდა: „კაცურ კაცსაო“, დიოგენს მე რომ შევხვედროდი, თამამად ვეტყოდი: აი,

დიოგენ, ნამდვილი კაცური კაცი, ჩვენი ამბაკო სიმონიჩი! – რაიკომის პროპაგანდის განყოფილების გამგემ ამბაკოს ერთგული ფინიას მზერა მიპყრო: ისევ გაუთავებელი ოვაცია.

– რა ახალგაზრდაა და უკვე რამხელა ფოჩიანი კუდი გამოაჩინა, – ზაქრომ მათეს გადაუჩურჩულა.

– კუდის გაზრდა ასაკზე არ არის დამოკიდებული. ზოგი ისე ბერდება, კუდის ღირსი ვერ გახდება, ზოგს კი, თუ ძირში დროზე არ შეაჭერ, ისე გაეზრდება, სიკეთის ხსენებას გააქრობს. – ჩაილაპარაკა მწარე ფიქრებიდან გამონთავისუფლებულმა მათემ.

– გაგიმარჯოს ამბაკო სიმონიჩ! – მათემ არ ისარგებლა მიცემული რეგლამენტით; ჯამი ბოლომდე გამოცალა, ამბაკომ მხრები უკმაყოფილოდ შეათმაშა.

დაიწყო გრძნობებით შეჯერებული გრძელი სამადლობელი. ამბაკო ცრემლშეპარული ყვებოდა იმ დიდ შრომაზე. ის რომ ეწეოდა; ყვებოდა ყველაფერს რასაც უწვრთნელი და ქებით დაბინდული გონება ჰკარნახობდა; ყვებოდა გაუთავებლად და სჯეროდა დროდადრო აღფრთოვანებული წამოძახილებისა, რომ მისი ეს სიტყვა კიდევ ერთ დიდების ფურცლად ჩაიწერებოდა, ისედაც დიდებით მოსილ მის შემოქმედებაში...

ქეიფი გაგრძელდა, ბახუსმა იმძლავრა. მორიგი სადღეგრძელოები დაიწყო. თანამდებობრივ კიბეს დაუყვა ამ საქმეში საოცრად გაწაფული რაჟდენა.

ამბაკო ყველა სადღეგრძელოს გრძელი სიტყვით აგვირისტებდა, ქება-დიდებით ამკობდა სადღეგრძელებელ პიროვნებას. ისიც, როგორც თავისი მომავალი წინსვლის საგზურს, უსმენდა ამბაკოს დამოძღვრას.

ყველამ იცოდა, ვის შემდეგ ისმებოდა მისი სადღეგრძელო და დიდი იმედით ელოდა ამბაკოს წყალობას...

– ტოროლების ამბის ავტორისათვის ჯილდოზე მოიფიქრეთ? – ამბაკომ საზეიმოდ იკითხა. ისეთი რაიმე მოიტანეთ, რომ ყველამ ზედ თავისი გვარი და სახელი დააწეროს; დღევანდელი ისტორიული დღის სამახსოვროდ დარჩება. ძალიან გამახარა იმ დალოცვილმა, თუმცა უკვე ვიცი, ნახეთ, საზეიმოდ გამოვუცხადებ და არც შევცდები.

– მოვიფიქრეთ, ამბაკო სიმონიჩ, – თითქოს წინასწარ იყოო გაფრთხილებული. ტიტიკომ გედივით გრძელყელიანი და მშვენიერი სურა მიართვა, თან უჩურჩულა: – სხვა არავინ გეგონოთ, ამბაკო სიმონიჩ, მათეა კომკავშირის მდივანი!

– ოხ! – მოულოდნელობისაგან ამბაკოს კინაღამ სურა ხელიდან გაუვარდა, მაგიდაზე დადგა და ზედ აღარ შეუხედავს.

მორიგი სადღეგრძელო ისმებოდა.

– მათე, ნელი და გონერი გახსოვს? – ზაქრომ მოულოდნელად ჰკითხა.

– როგორ არ მახსოვს.

– კომკავშირი! – უცებ იღრიალა ამბაკომ და ფეხზე წამოვარდა.

მათემ გაკვირვებით შეხედა. – უდისციპლინო! უქნარა! ყბედობ და ყურს არავის უგდებ! თვალი მასხრობაზე გიჭირავს! – მათეს გაკვირვებისგან თვალები გაუფართოვდა. თამადა ლაპარაკობს, შენ კიდევ ყურს არ უგდებ, ეგაც ტოროლებზე ანეკდოტი ხომ არა გგონია?! ჩაშლილი გაქვს მუშაობა! ხულიგნების პროცენტი ყველაზე მეტი ახალგაზრდებზე მოდის! კიდევ რომელი ჩამოგითვალო! შენ კი აქ ზიხარ და ყბედობ. საქმის მაგიერ ტოროლებზე ლაზღანდარობ!

– ჩემი ინიციატივით არ წამოვსულვარ, მეორე მდივანმა დამირეკა, პარტიულ

დავალებად ჩათვალეო; აფერუმ ესეთ პარტიულ დავალებას! – მათემ დინჯად უპასუხა, მაგრამ მკერდში ამ პირმოთნეთა სერობის დარბევის სურვილი დუღდა.

– უყურეთ რას ამბობს?! აქ წამოსვლა არ მინდოდაო. რასაც აქ გაიგებ და ისწავლი, სხვაგან სად უნდა ისწავლო. ეს აკადემია, სწორედ შენისთანებისათვის არის საჭირო, რომ ჩვენნაირ კაცად ჩამოყალიბდე! – ხომ არ გგონია, არ ვიცით პინგ-პონგის სათამაშოდ რომ დადიხარ; არც ის დაგავიწყდეს, ფეხბურთის და კალათბურთის თამაშის დროს რომ გნახეს, „ტურნიკზეც" რომ ეკიდები; ახალ კინოს რომ არ უშვებ და კულტურის სახლის ხშირი სტუმარი ხარ. ჩვენ კი დღე და ღამე დადგენილებების კითხვით თვალები გვაქვს ჩაწითლებული. იცი? რომ ერთ დადგენილებას ხან ოცდაათჯერ წავიკითხავ ხოლმე. ამას, თუ იცი, რისთვის ვაკეთებ?! ხალხისათვის. ყველა წაკითხვაზე ახალ-ახალ აზრებს ვპოულობ, მაშ! ასჯერ რომ წავიკითხო, ახალ აზრებს ვიპოვი.

– ეგ დალოცვილი, ერთ დადგენილებას ოცდაათჯერ რომ კითხულობს, სხვა საქმე აღარ აქვს?! – ჩაიდუდუნა მათეს ზურგს მოფარებულმა ზაქრომ, – ან რატო ასჯერ არა კითხულობს, სამოცდაათს რაღაზე მიკარგავს, კაცო!

მათეს კინაღამ სიცილი აუტყდა.

ამბაკო კი ბობოქრობდა: – ღამის სამ საათზე ძლივს გაღვიძებთ. აი, მეორე მდივანი, ადექი, უთხარი, რამდენი დავურეკე, ღამის ორ, სამ, ოთხ საათზე სულ ღვიძამს და დადგენილებებს კითხულობს.

– სინდისს გეფიცებით, – მეორე მდივანი ჩაერია საუბარში, – სახლში ყველა დადგენილებას ოცდახუთ-ოცდახუთჯერ ვკითხულობ, – ოცდაათჯერ ვერ თქვა, ამბაკოს გატოლება სახიფათო იყო. ლოგინთან ბლოკნოტი მიდევს, ძილშიც თუ რაიმე აზრი მომივიდა, წამოვხტები და ბლოკნოტში ვიწერ, რომ არ დამავიწყდეს.

– ცუდად ჰქონია საქმე, მე თუ ღამე გემელვიძა ბლოკნოტისთვის, სად მეცლება, – ზაქრო ხუმრობას არ იშლიდა.

– ყოველთვის ღამის სამ საათზე ვიბარებ ბიუროს წევრებს. ვისაც ვურეკავ, ყველა ამბობს მეღვიძა და დადგენილებებს ვკითხულობდიო, ამას ვეკითხები, რას აკეთებ-მეთქი. ღამის სამ საათზე რას უნდა ვაკეთებდე. მძინავსო. ახალგაზრდების ამგვარ ხელმძღვანელს რა უნდა ელაპარაკო! – დაასკვნა ამბაკომ.

– მე მითხრეს, პური უნდა ვჭამოთო, თქვენ გამსვლელი ბიურო გქონიათ; იქეიფეთ და უქონეთ ერთმანეთს გულისპირი! – მათემ ძლივს შეიკავა თავი და დაჯდა. ზევით აღარ აუხედია. აშკარა იყო, ერთი ამგვარი შეურაცხყოფა და ამბაკოს სახეში შეაფშვნიდა მლიქვნელთა მიერ საპნის ბუშტივით გაბერილ ყალბ დიდებას.

ამბაკოც მიხვდა ქარიშხალის მოახლოებას. გმირი და მამაცი თანამდებობის ძალით იყო, თორე უიმისოდ – მხდალი და მფრთხალი. ახლაც შეფიქრიანებულმა მზერა დანარჩენებზე გადაიტანა, სიტყვის თქმა ვეღარ გაბედა: ყველამ თანაგრძნობით დაუქნია თავი.

თამადამ დაძაბულობის გასამუხტავად ახალი სადღეგრძელო დაიწყო.

– ჩვენ ვაჭრობის მინისტრს, სოკრატას გაუმარჯოს!

– მოდი, სოკრატ, ერთი უნდა გაკოცო! – ამბაკომ ხელები გაშალა. სოკრატამ მაგიდას შემოურბინა და ამბაკოს წინ გაჩერდა. ამბაკომ ხელები მოხვია და მთელი ლოყა პირში ჩაიდო.

– მწპაა! – ხმამაღლა გაისმა და ამბაკომ ტუჩები მოილოკა. სოკრატამ ლოყის მოწმენდის მაგიერ ნაკოცნზე ხელი მიიფარა, თავის ადგილისკენ წავიდა, თან იძახდოდა:

– ამბაკო სიმონიჩის ნაკოცნს არ გაჩვენებთ, არა!

ყველა წამოიშალა, სოკრატას გაეკიდნენ.

– გკვაკოცნინე რა მდივნის ნაკოცნარზე! – ეხვეწებოდნენ.

– რა იყოთ, ბიჭებო, ყველას გაკოცებთ! – ამბაკომ ხელები გაშალა.

ახლა რიგი დააწყეს და თანმიმდევრობით კიბის მიხედვით გასწიეს ამბაკოსაგან კოცნის წყალობის მისაღებად.

მათე ადგა და ზაქროსთან ერთად ქოხისკენ გასწია.

ვალერიან ვახახიშვილი, პროპაგანდის განყოფილების გამგე რიგში სულ ბოლოში იდგა.

– ვაი, დიოგენ, ბოლოში რატომ დგახარ?! – მათემ შეიცხადა, თან დააყოლა: – ნუ გეშინია, დიოგენას რამდენიმე კომბინაცია და სულ თავში მოექცევი!

– მიტრო, დოლ-გარმონი! – ტიტიკომ დაიძახა. მიტრო და კოლას ბიჭი სირბილით მივიდნენ მაგიდის ბოლოში და დასაკრავად მოემზადნენ.

– შენ დაუკარ! – შესძახა თამადამ.

ამბაკო კოცნებს ცნობილი ტუშის ჰანგზე წყალობასავით არიგებდა.

– როგორ გითხრა? განა არ ვიცი, რომ ბურთს თამაშობ და „ტურნიკზეც“ ეკიდებიო?! თქვენთან ახალ კინოფილმზე დასწრება აკრძალული ყოფილა, ყოჩაღ! მაგარი გაძლება გქონია! – უკვირდა ზაქროს. – რატომღაც მეჯღანეების ჩხუბი გამახსენდა: ერთმა წამოსძახა, შენი ცოლი ბოზობსო; შენ კიდევ ბაზარში გასაყიდად გატანილი ჩუსტები რომ წაგართვესო. სამაგიერო გულის მოსაკლავი გაახსენა მეორემ.

– ძალიან უადგილო ადგილას მოგივიდა მაგ ამბის გახსენება! – მათემ ნათქვამი დაუწუნა.

– მაშ, ამბაკოს მოუვიდა ადგილიანი გახსენება?! სუფრაზე რომ აგიყვირდა, კომკავშირში საქმეები ჩაშლილი გაქვსო. თქვენ ხართ ყველგან ტაქტიანები და მართლები; ნაბიჯს არავინ გისწორებთ და როგორც გაწყობთ იგრე აბიჯებთ! – ზაქრო ჯავრობდა.

მოქეიფეებთან კი დოლი ნაპერწკლებს ისროდა.

„შორი გზიდან სატრფოს ველი.

სხვისი მოდის ჩემი არა“...

აზარტში შესული მიტრო მეღოლეების მოტივზე მღეროდა.

– ზაქრო, აქ გაჩერება აღარ შემიძლია, – თქვა მათემ.

– სადმე წავიდეთ, აღარც მაქვს საქმე; უკვე დაღრევდნენ, აღარაფერი გაეგებათ, მიყრილ-მოყრილ ჯამ-ჭურჭელს კი ბიჭები უჩემოდაც აალაგებენ.

ორივე ჩასხდნენ ზაქროს „ვოლგაში“ და ისე წავიდნენ, ერთად შეგროვილ მძღოლების გარდა არავის გაუგია.

– რა კოცნა და გრძელი დღეგრძელება დამიკარგე! – ზაქრომ ირონიული სინანულით უსაყვედურა.

– ეგ არის, ადამიანს კაცის სახეს რომ უკარგავს და მოჩვენებითი კეთილდღეობის ბურანში ახვევს; სასარგებლოდ გამოსაყენებელი ენერგია კი საკუთარი ვნებათა ღელვის კოსმეტიკას ხმარდება, – მათემ გულისტკივილით თქვა.

– ვერ გაუძლებ, ძმაო, ეგრე, შაიჭმები. გზის სატკეცივით გადაგვივლიან და კედელზე დარაბად აგაყუდებენ! ალილო და ხვალეო, მაგასაც შევესწრებით და გამიხსენებ, – იწინასწარმეტყველა ამ ცხოვრების წაღმართ-უკუღმართობის მცოდნე ზაქრომ.

– მე თუ შავიჭმები, შენ უკვე შეჭმული ხარ, ტიტიკოს მიერ ამოცოხნილი და

მასავით მახინჯი, – მათემ არ დაინდო ზაქრო.

– რაზე ვარ შეჭმული, ვისზე ნაკლებად ვცხოვრობ. კარგი სახლ-კარი, საკუთარი „ვოლგა“, არაფერი არ მაკლია; ცხოვრება საათივით მაქვს აწყობილი. – ზაქრომ ხელები გაშალა.

– შენ ძალიან კარგად იცი, რა უმსგავსობა ხდება თქვენს კოლმეურნეობაში. თუნდაც მარტო მეცხოველეობაში. ათას მახინაციებზე მიდიხართ. მეცხვარეობა ფეხქვეშ გათელეთ, თათრები გყავთ დაქირავებული, რათა ბნელ საქმეებში ხელი არ შეგიშალოთ თანასოფლელებმა. კოლმეურნეობა ხალხისაა, ყველას თავისი წილი აქვს სახალხო ქონებაში. თქვენ კი საკუთარ ხალხს პარავთ თავის წილს, თან გიკვირს, რომ კარგი სახლი გაქვს და „ვოლგით“ დასრიალებ; შენი წილი აღარ გყოფნის და იმ მეზობელს და თანასოფლელს პარავ, ყოველ დილით ღიმილით რომ ესალმები და თამამად უყურებ თვალებში. ქურდბაცაცობის ბუდედ აქციეთ კოლმეურნეობა. დღეს ამბაკო იმ გლეხების ხვედრით რომ ღრეობს, თან ერისკაცობას უქებთ, როდემდე შეგყვებათ ასეთი კოლმეურნეობა დიდ პატარა მღრღნელი რომ დასევია. შემოგეჭმებათ, დახრავთ, ვერ გაგიძლებთ მოტყუებული პატიოსანი კაცი; ბოლოს კი ყველა მშიერი დარჩებით, რამეთუ მკვდარს რჩენა არ შეუძლია. მეცოდები, რომ გჯერა შენი შეუჭმელობა; სწორედ ეგ ტიტიკო გჭამს და, თუ დროზე არ მიხედავ თავს, მოგინელებს კიდეც, მე კი ვერ შემჭამენ, მით უმეტეს ვერ მომინელებენ; ჯერ კი კბილებს იმტვრევენ მხოლოდ. შეიძლება მომსპონ, მაგრამ ვერც შემჭამენ და ვერც იზეიმებენ ჩემს ლორწოიან პარაზიტად გადაქცევას, – მათე გაჩუმდა. ცოტა ხანს ასე იარეს, ზაქრო ხმას ვეღარ იღებდა; ბოლოს მაინც მან დაარღვია სიჩუმე.

– მათე, ნეტავ ხშირად მაინც ვხვდებოდეთ ერთმანეთს. შენთან საუბრის შემდეგ ვიტყვი, ახლა კი ნამდვილად ადამიანურად უნდა ვიმუშაო-მეთქი, მერე ისევ ამიყოლებენ და მივდევ ტიტიკოს კვალს. მოკლედ, ვაჟკაცობა არ მყოფნის, არადა რა ვქნა, გავისრისები. გადამივლიან და დარაბასავით ამაყუდებენ. დღეს შენ რომ არ ყოფილიყავ, ალბათ, მეც იმათსავით კოცნის რიგში ვიდგებოდი და რამდენიმე დღე პირს არ დავიბანდი, ამბაკოს წყალობა არ წამშლოდა. შენ კი, – ზაქროს უნდა ეთქვა, შეიჭმებიო, მაგრამ ვეღარ გაბედა. – შენ კი გაგიჭირდება. აი, ნახავ, ძალიან გაგიჭირდება.

– გამიჭირდეს, თუ ამით ადამიანებს მცირედი შვება მაინც მიეცემათ. ამ ყაჩაღებში, ცხვრის ტყავში რომ იმალებიან და ანგელოზობას იბრალებენ, ყველაზე ძალიან ნამდვილ ადამიანს, ქვეყნისათვის ყველაზე პატიოსნებს უჭირს. წეღან მკითხე, ნელისა და გონერის შესახებ, დღეს ბედნიერი ოჯახი აქვთ; ყველას რომ თვალი დაგვეხუჭა, თუ იცი, რა მოხდებოდა? – მათემ ზაქროს თავიანთი სტუდენტობის ამბავი შეახსენა...

## ყოჩი სანდროს დასჯა

**ზაქრო** უკვე მეხუთე კურსზე იყო, მათე რომ მოეწყო და სტუდქალაქის იმ სართულზე დაასახლეს, სადაც ზაქრო ცხოვრობდა. ერთმანეთი მალე გაიცნეს, დაახლოვდნენ. მათე სწავლას და ვარჯიშს დიდ დროს უთმობდა. ისეთი ბიჭებიც იყვნენ, დროის მოკვლაზე რომ ღონდებოდნენ; მთელ დღეს უაზრო ხეტიალს ანდომებდნენ. ზაქრო არც მათესავით იტვირთავდა თავს, მაგრამ არც მთლად უსაქმურად იყო. თავის სტუდენტურ ცხოვრებას საშუალო დონეზე მიაგორებდა. გამოცდებს აბარებდა, სტიპენდია ჰქონდა, თვალში არავის ეღებოდა.

სტუდქალაქში ცხოვრობდა უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი ნელი ხელაძე. ზაქროს თანაკურსელ ოთარის ნათესავი იყო. ოთარი და ზაქრო ერთად ცხოვრობდნენ. ნელი ბიჭებს დასავით ჰყავდათ მიღებული და ძალიან დიდ პატივს სცემდნენ. ნელის თანაკურსელ გონერი სიხარულიძეს იგი გაგიჟებით უყვარდა. პროფესორის ბიჭი იყო. ფიზიკურად სუსტი, მეცადინეობას გადაყოლილი, ფერმკრთალი; მხოლოდ წიგნებისთვისაა დაბადებულიო, იტყოდა მისი მნახველი. გარეგნულად სიმპათიური იყო ეს ხასიათით კეთილი და სათნო ბიჭი. ნელი ჯეირანს ჰგავდა, ვარსკვლავებს ეთამაშებოდა, სილამაზესთან ერთად მხიარული ხასიათი და სითამამე არ აკლდა, გონერი მისი სიყვარულით სამი წელი იწვოდა, არც ნელი იყო მის მიმართ გულგრილი. ბოლოს, როგორც იყო, ერთმანეთს გაენდნენ. ნელი თავს უსაზღვროდ ბედნიერად გრძნობდა, გონერის სიყვარულით ჭკუას კარგავდა; მალე მშობლებს გაანდობდნენ თავიანთ გადაწყვეტილებას და მეხუთე კურსზე ხელის მოწერას აპირებდნენ.

გონერის და ნელის სიყვარულის ამბავი სტუდქალაქში ყველამ იცოდა. ოთარის სანახავად ხშირად ერთად მიდიოდნენ. ნელიმ რამდენიმეჯერ მათეს პერანგი გაუუთოვა, მისი ყურადღება არც სხვა ბიჭებს აკლდათ.

სტუდქალაქში ცხოვრობდა თავზეხელაღებული, ჩხუბისთავი, ხულიგანი სანდრო დევდარიანი. უნივერსიტეტიდან და პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან გამორიცხვა უკვე მოესწრო, ახლა ფიზკულტურის ინსტიტუტში სწავლობდა და სტუდქალაქში მის მსგავს ორ თანაკურსელთან ერთად ცხოვრობდა. სტუდქალაქი დატერორებული ჰყავდა. მასთან დავას ყველა ერიდებოდა, თავხედობაც ბევრი შეარჩინეს; გათავხედებული სანდრო კი უფრო თამამად პარპაშობდა. ნელი თურმე სანდროსაც უყვარდა. პირველი კურსიდანვე აედევნა, მაგრამ ნელიმ არაფრად ჩააგდო, პასუხის ღირსად არ ხდიდა; ნელი უშიშარი და, საჭიროების შემთხვევაში ვაჟკაცივით იყო, რამდენჯერ სანდროზე საცემად მიიწია.

– კარგი, – დაიქადნა სანდრომ, – აბა ვნახოთ, რომელი ბიჭი გაგეკარება, დედას ვუტირებ! ბოლოს მაინც ჩემი იქნები!

ნელის აჩრდილივით სულ უკან დაჰყვებოდა. გონერისთან ერთად რომ ხედავდა, არ მოსწონდა. ბოლოს დარწმუნდა, ნელის თანაკურსელებმაც უთხრეს, ერთმანეთი უყვართო. სანდრო გონერის შეხვდა უნივერსიტეტის ეზოში და მკაცრად გააფრთხილა:

– ნელისთან გავლილი თუ კიდევ გნახე, იცოდე, ცოცხალს არ გაგიშვებ! – გონერიმ მაშინ აგდებულად მოიცილა.

გაბრაზებული სანდრო სტუდქალაქში დიდხანს უცდიდა.

ერთხელაც ანგარიშის გასწორების მომენტი დაუდგა. პატარა სკვერში სკამზე იჯდა და თავის ამფსონებთან ლაზღანდარობდა. უცებ გაქვავდა, ტროლეიბუსიდან გონერი ჩამოდიოდა, იღლიაში წიგნები და რვეულები ამოეჩარა; სტუდქალაქის ეზოში შევიდა. „ნელისთან მიდის“, სანდრომ გაიფიქრა და მხრების თამაშით წამოდგა.

– სად მიდიხარ, პროფესორო? – დამცინავი ღიმილით წინ გადაუდგა და გზა არ მისცა.

– გამატარეთ! – გონერიმ უბრძანა და სათვალის ზევიდან შეხედა.

– მოიცა, ცოტა ხანს ვიბაზროთ! – სანდრო იღლიაში ამოდებულ წიგნებს წაეტანა.

– მე თქვენ არ გიცნობთ! – გონერიმ მხარი უკან ისე გასწია, რომ სანდრო წიგნებს არ მისწვდომოდა.

– არ მიცნობ? ჩემს შეყვარებულს კი ეპოტინები. აბა, შენ ნამუსი გაქვს?! – სანდრომ სახესთან გაშლილი ხელი მიუტანა.

– გოგოს მე ვუყვარვარ, შენ სძულხარ!

– შენ უყვარხარ, შე ჩანჩურავ?! – სანდრომ ხელის გული სახეში ჰკრა. გონერი წაბარბაცდა, თავი ძლივს შეიკავა, სათვალე გაისწორა.

სანდრომ არ დააყოვნა, ხელი მხარში მაგრად დაარტყა. გონერი წაბარბაცდა, რომ არ წაქცეულიყო, ხელები გაშალა; წიგნები და რვეულები ასფალტზე მარაოსავით გაიშალა. ახლა დათვის ტორი თავზე დაეცა, გონერის მუხლები მოეკვეთა. სათვალე მოსძვრა და დაბლა დაენარცხა, თვითონაც იქვე ჩაიმუხლა, ხელების ფათურით სათვალის ძებნა დაიწყო, როგორც იყო იპოვა, ერთი მინა გაბზარულიყო.

– მხეცო! ხულიგანო! – სანდროს მიაძახა და წიგნების აკრეფა დაიწყო.

– წადი შენი! – სანდრომ წიხლი ისე მაგრად ამოჰკრა, რომ საწყალი გონერი პატარა დეკორატიულ ღობეში თავით ჩაერჭო.

– ახლა ეს იკმარე! თუ ნელისთან გავლილი კიდევ გნახე, დედას გიტირებ! – გამარჯვებული სანდრო მამლაყინწასავით გაფხორილი წავიდა და თავის ამფსონებს შეუერთდა.

გაფანტული წიგნები და რვეულები გონერიმ ძლივს მოაგროვა, იღლიაში ამოიჩარა და უკან გაბრუნდა; ნელი აღარ უნახავს.

– როგორ წავიდა კუდამოძუებული ეგ ჩოქიმკალია, ქალში ეგ უნდა მეცილებოდეს?! – სანდრომ მკერდზე მუშტი დაირტყა.

ნელის საყვედურზე გონერის არაფერი უთქვამს, რომ შემპირდი, რატომ არ მოხვედი, მთელი დღე გელოდებოდიო.

იმ ამბის შემდეგ გონერიმ სტუდქალაქის გზა დაივიწყა, მაგრამ ნელის დაჟინებული თხოვნის შემდეგ გადაწყვიტა, გაჰყოლოდა.

ხელიხელჩაკიდებულები სტუდქალაქში მხიარული კისკისით შევიდნენ. მოულოდნელად მათ წინ სანდრო აიტუზა, მათი ბედნიერების გზაზე ქიმერასავით გაწვა.

– შე ნაბიჭვარო, რამდენჯერ გითხარ ამ გოგოსთან არ გაიარო-მეთქი! – წაისისინა და გონერისკენ გაიწია.

– ხელი არ დააკარო! – ნელიმ უყვირა.

თითქოს ნელის ხმამ უფრო გააღიზიანაო. სანდრომ სახეში ისე მაგრად შემოჰკრა, რომ გონერის სათვალე რამდენიმე მეტრზე გაფრინდა და შენობის კედელზე დაიმსხვრა. გონერი წაბარბაცდა და გონდაკარგული გაიშხლართა.

– მხეცო! გარეწარო! ეს რა ჰქენი?! – ნელი გონერის მიუბრუნდა, ბიჭი უგონოდ ეგდო. შეშლილივით ეცა სანდროს და დამცინავი ღიმილით დამვენებულ სახეში მუშტები დაუშინა.

სანდროს ხელი არ შეუბრუნებია, მაგრამ მისმა ძმაკაცებმა ორივე ხელი ამოუგრიხეს და ტკივილისაგან აკვნესებული გოგო გონერის გვერდით მიაგდეს.

– დრო მოვა, მოხვალ და შემეხვეწები; გაფრთხილებ, თუ წესიერად არ მოიქცევი, ჩემთან ხასად ყოფნა მოგიწევს! – სანდრო დაემუქრა და იქაურობას გასცილდა.

რამდენიმე დღის შემდეგ ატირებული ნელი ოთარისთან მივიდა, ზაქრო და ორი სხვა ბიჭიც იყო ოთახში.

ნელი თვალცრემლიანი ყვებოდა, რაც მოხდა.

– სიცოცხლე გაგვიმწარა, რა უნდა ჩვენგან, რა?!

ბიჭები დუმდნენ. სანდროსთან ჩხუბი და დავიდარაბა არავის უნდოდა ჯანი ერჩოდა, მასავით თავზეხელაღებული ძმაკაცებიც ჰყავდა; სიცოცხლე გაუმწარა, ვინც მის თავხედობას წინ აღუდგა.

– თავისით მოიტეხს კისერს, – ყველა ამას ამბობდა. სანდრო კი დათარეშობდა და მისი კისერის მომტეხი არსად ჩანდა.

– თქვენც მოერიდეთ, ხომ იცით, როგორი არამზადაა, მაგისთვის კაცის მოკვლა იოლია! – ვითომ დაარიგა ოთარმა.

სუყველა ჩუმად იყო. ხმას ვერავინ იღებდა, ნელიმ ოთხ ვაჟკაცს ცრემლიანი თვალებით შეხედა, გამოუქნელი მოზვრებივით იყვნენ, ერთად რომ დასჭიდებოდნენ, ასწლიან მუხას ძირიანად ამოთხრიდნენ. მათი მეგობარი გოგოს ვიღაც არამზადა ხულიგანისაგან დასაცავად ხმაც კი ვერ ამოეღოთ. დამბლადაცემულებივით ისხდნენ.

– თფუუპპპ! – ნელიმ სუყველას მიაფურთხა. – თქვენც უნდა თქვათ, ვაჟკაცები გვქვიაო! – კარები გაიჯახუნა და მისი ხმამაღალი ქვითინი ტალანში გაისმა, ნელ-ნელა შესუსტდა. კიბეს ჩაუყვა და ეზოს მხრიდან ფანჯარაში შემოიჭრა.

ბიჭებს ძარღვებში სისხლი გაეყინათ, მაგრამ მაგიურ შიშს მაინც ვერ მოერივნენ, გაქვავებულები ისხდნენ.

სანდრო გონერის თავის სახლის კუთხეში გადაუდგა და ერთხელ კიდევ გააფრთხილა:

– თუ იმ გოგოს თავს არ დაანებებ, ერთ მშვენიერ დღეს კატასავით დაგახრჩობ! – დაემუქრა. გონერი საბოლოოდ წახდა. ნელის აუდიტორიაშიც კი ერიდებოდა, ლაპარაკს ვეღარ უბედავდა.

გოგო ჩამოხმა, გონერიც დაილია, ბოლოს ნელის გადამწყვეტი სიტყვა უთხრა: – ნელი, ეტყობა ჩვენი შეუღლება ვერ მოხერხდება, ის გადარეული ხულიგანი სიცოცხლეს გაგვიმწარებს, სჯობს ერთმანეთს დავშორდეთ; თუმცა უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლია, – გონერის ქვითინი აუვარდა, თვალებზე ხელი აიფარა და გაიქცა.

ნელი მეხდაცემული იდგა, სიცოცხლე აღარ უნდოდა, იცოდა, გონერის გაგიჟებით უყვარდა, მაგრამ იმ შეურაცხყოფის შიშით, რაც შეიძლებოდა სანდროს მიეყენებინა და იმის რწმენით, რომ ამ გათავხედებულ ხულიგანთან საბრძოლველად მას ძალა არ ჰყოფნიდა, ამ საბედისწერო გადაწყვეტილებამდე მივიდა.

ნელი სახლში ცოცხალმკვდარი დაბრუნდა და საწოლზე მიეგდო. ბევრი იფიქრა, აზრად სანდროს მოკვლაც მოუვიდა, ბოლოს გადაწყვიტა, წავალ, ვთხოვ, ვეტყვი, რომ მე და გონერის ერთმანეთი გვიყვარს, როგორ შეიძლება არ გამიგოსო.

თუმცა ბიჭებზე ძალიან ნაწყენი იყო, მაინც მივიდა მათთან.

ოთახში ზაქრო და ოთარი დახვდნენ.

ნელი ისე შევიდა, სალამი არ უთქვამს.

– რომელიმე გამომყევით, სანდროსთან უნდა მივიდე, ჩემგან რა უნდა, ბოლოს და ბოლოს მინდა გავიგო, – ისე თქვა, ამ თხოვნის შესრულებაზე ეჭვი არ ეპარებოდა.

ბიჭები ხმას ვერ იღებდნენ. ნელი შუა ოთახში გაკვირვებული იდგა; პასუხი ვერ მიიღო, უხერხული დუმილი გამეფდა.

უცებ კარი გაიღო, ოთახში მათემ შეიხედა, – გამარჯობათ! – ხმამაღლა დაიძახა, პასუხი რომ ვერ მიიღო, ოთახში გაკვირვებული შევიდა.

– რა თავ-პირი ჩამოგტირით, ცუდი ამბავი ხომ არ გაიგეთ? – იკითხა.

ნელიმ თავი ვერ შეიკავა, ტირილი აუვარდა, თვალებზე ხელი აიფარა და

სკამზე დაემხო.

– რა მოხდა, ნელი? – რაზე ტირიხარ? – მათე შეშფოთდა.

– გუშინ გონერიმ გამომიცხადა, ჩვენ ერთმანეთს უნდა დავცილდეთო! – ნელიმ ქვითინით თქვა და ხმამაღლა აღრიალდა.

მათე სკამზე დაეშვა. ნელიმ ტირილით რომ იჯერა გული, ჰკითხა: – რატომაო? პროფესორის შვილი რომ ვარ იმიტომო?! – დედას ვუტირებ! – მათემ კბილებში გამოსცა.

– იმის ბრალი არ არის! – ნელიმ ტირილით უთხრა.

– აბა, მაშინ შენი ბრალი ყოფილა და რაღა გატირებს?! – მათე გაბრაზდა.

– არა მათე, შენ არ იცი, რაშია საქმე, გონერი თავის მხრივ არ ტყუის, მე მას გაგიჟებით ვუყვარვარ.

– ვერაფერი გამიგია, – ჩაილაპარაკა მათემ.

– მომისმინე, ყველაფერს მოგიყვები, – ნელიმ ცრემლების ყლაპვით დაიწყო ამბის თხრობა. მერე გაიმართა და დაწვრილებით მოუყვა, რაც სანდროსთან გადახდათ; ისიც უთხრა, აქ რაზე იყო მოსული.

ოთარი და ზაქრო ამ ხნის განმავლობაში დამნაშავეებივით ისხდნენ.

მათე წამოდგა – ბიჭებო, თქვენ ნელის გაყოლაზე უარი უთხარით?! – რაღაც საყვედურისმაგვარი ტონი იგრძნობოდა მის ნათქვამში.

– გადარეულია, ყველა ვერიდებით, – ზაქრომ ძლივს ამოაცილა ნათქვამი ბაგეს.

– ნელი, წავიდეთ, მე გამოგყვები! – უთხრა მათემ და სკამიდან ასაყენებლად ხელი მოჰკიდა.

სანდროს ოთახში სამნი იყვნენ. თვითონ სანდროს ჭრელი პერანგი ეცვა და ჭიპთან ბოლოებით გადაეკვანძა. მისი ორი ამხანაგი წელს ზემოთ გატიტვლებულები სტუმრების დანახვაზე კუნთების თამაშს შეუდგნენ.

მათემ ნელის სკამი შესთავაზა, ნელი დაჯდა. სანდრო საწოლზე იჯდა, არ ამდგარა; სახეზე გამარჯვებულის დამცინავი ღიმილი დასთამაშებდა. ორმა სკამები მიიცურეს, ზედ გადაალაჯეს, ზურგით დაიდგეს და წელის მისაყუდებელზე იდაყვებით დაეყრდნენ. მათემ ტაბურეტი მიიცურა და დაჯდა.

სიჩუმე ჩამოვარდა. ის ორი კუნთებს ათამაშებდა და ზედ იყურებოდნენ. ოთახის კუთხეში სხვადასხვა ზომის ჰანტელები ეყარა, იქვე ორფუთიანი გირი იდგა.

– შენი ფეხით მობრძანდი, ქალბატონო?! – სანდრომ ნიშნის მოგებით დაიწყო, – მე ხომ გითხარი, თუ ჭკუაზე არ მოხვალ, ჩემ ხასად გახდომა მოგიწევს-მეთქი! – სანდრომ გადაიხარხარა და ორიც აჰყვა.

– სანდრო. მე იმიტომ მოვედი, რომ გითხრა, მე და გონერის ერთმანეთი გვიყვარს და მინდა, შენ დაგარწმუნო, თუ ადამიანი ხარ, სიცოცხლეს ნუ გაგვიმწარებ! – ნელის ხმაში თხოვნა, მოწიწება, მუდარა, ცრემლი, იმედი ერთნაირად იგრძნობოდა.

– ხედავთ? – ცალყბად გაღიმებულმა სანდრომ თავის ძმკაცებს გადახედა. – აქ რომ მოხვედი, შენ უკვე ჩემი ხარ, ჭირიმე, ვერ ხვდები? ეს ნაბიჭვარი რომ გამოგიყოლებია, მაგან უნდა გიშველოს?! – კუნთიან ბიჭებს ხარხარი აუტყდათ.

– თქვენ სიცილის მაგიერ რაიმე რომ ჩაიცვათ უფრო მოგიხდებათ, თქვენ წინ ქალიშვილია! – ურჩიათ მათემ.

– ვა, ამას დამიხედეთ! რა თქვი, ჯიგარო? ხომ არ გინდა, ნელის მაგიერ ლოგინში შენ ჩაგიწვინოთ?! – სამივენი ახარხარდნენ.

– არა, ჯერ ნელის ჯერია, დიდი ხანი ველოდე, თავის ფეხით მოვიდა, აგერ

ჩემი საწოლიც მზად არის, ახლა თაფლობის ალერსს ჩავუტარებ და მერე ამან მდიოს, რაც მე ვდიე. აბა, დაიწყეთ! – ბიჭებს უბრძანა.

ნელი გაფითრდა, საშინელმა წინათგრძნობამ თავზარი დასცა.

– რას აპირებთ? – შეშინებულმა იკითხა.

– ახლა ნახავ, გენაცვალე, ჩვენ მარტო დაგიჭერთ, თუ შენით არ დანებდები, მარტო სანდრო უნდა დაატკბო! – ერთმა კუნთიანმა ნელის ხელი მოჰკიდა და სკამიდან უხეშად წამოაგდო.

– გამიშვი ხელი! – უყვირა ნელიმ.

– მოიცა! ბიჭმა მეორე ხელიც დაუჭირა და მაგრად გადაუტრიალა. ნელიმ დაიწივლა.

ყველაფერი თვალის დახამხამებაში მოხდა. მოძალადეს ტაბურეტი თავზე მეხივით დაეცა. ნელის ხელი უშვა და გონდაკარგული იატაკზე გაიშხლართა. სანამ გაოგნებული მეორე კუნთიანი რაიმეს მოიფიქრებდა, კისერში სკამის ფეხი ორჯერ მოხვდა, იმანაც პირველის გვერდით ჩაიჩოქა.

მოულოდნელობისაგან დაბნეული სანდრო ადგილიდან ვერ გატოკდა.

მათეს სკამის ფეხი მარჯვენა ხელში ეჭირა.

– ნელი მე მიყვარს, თუ ვაჟკაცი ხარ, დღეიდან რაიმე აწყენინე, დედას გიტირებ! წავიდეთ ნელი, – გოგოს ხელი მოჰკიდა და ოთახიდან გავიდა. სანდრომ ენა ვერ დაძრა.

კორპუსების გასწვრივ უხმოდ მიდიოდნენ, მათე ხელში შერჩენილ სკამის ფეხს ათამაშებდა. ნეტა რატომ უთხრა სანდროს, მე მიყვარსო, ნუთუ მართლა ასეა, იქნებ ამიტომაც გამომყვა, ნუთუ ყველა მამაკაცი ეგოისტია, მხოლოდ თავისთვის ცდილობს! – ფიქრობდა შეშფოთებული გოგო.

– ნელი, გონერისთან ვერ გამომყვები? – მათემ უცებ ჰკითხა.

– გონერისთან რა გინდა?! – დამფრთხალმა გოგომ კითხვა შეუბრუნა და ეჭვი უფრო გაუცხოველა.

– იცოდე, მე მაინც წავალ. ეს ერთი თხოვნა შემისრულე, თუ ჩემი ხათრი გაქვს! – მათემ ხმაში ისეთი სითბო ჩააქსოვა, რომ ნელის შერცხვა, ეს რა ვიფიქრეო.

ტაქსი ორსართულიან საკუთარ სახლთან გაჩერდა. ნელი შენობის კუთხეს მოეფარა, მათემ ზარის ღილაკს თითი დააჭირა, გონერი გამოვიდა.

– ვინ გნებავთ?

– გონერი მინდა.

– მე გახლავათრ!

– ცოტა ხანს აქეთ მობრძანდი, – სთხოვა მათემ.

– ვერსად ვერ წამოვალ! მე თქვენ არ გიცნობთ! თუ სათქმელი გაქვთ, აქ მითხარით, თუ არადა მიბრძანდით! – გონერი გაბრაზდა.

– იქ ნელი გელოდება, – მათემ აუღელვებლად უთხრა. გონერი დაიბნა. მათემ ხელი მოჰკიდა დ შენობის კუთხეში მდგარ გაფითრებულ ნელისთან მიიყვანა.

– გონერ, თუ ვაჟკაცი ხარ, გულახდილად მითხარ, ნელი გიყვარს? – რაღაც ხვეწნის მაგვარი აჟღერდა მათეს ხმაში.

– მიყვარს, თავდავიწყებით მიყვარს! – თავჩაქინდრულმა გონერიმ წაიდუდუნა.

– მერე, შე კარგი მამის შვილო, ვიღაცა გარეწარის შიშით ღალატობ? იცი? რომ ნელის უშენოდ სიცოცხლე არ შეუძლია და უწინ თავს მოიკლავს შენ რომ მიატოვო!

– საზიზღარი ხულიგანია, თავზე ხელაღებული, იმისაგან ყველაფერია მოსალოდნელი! – დარცხვენილმა გონერიმ სათვალე შეისწორა.

– თუ ეგრეა, ჩემიც მოისმინე! – მათეს თვალებში რისხვა ჩაუდგა, – თუ მაგ წმინდა სიყვარულს, რომელითაც შენ და ნელი ხართ დაკავშირებული, იმ ვიღაცა მაიმუნის შიშით უღალატებ, მაშინ, იცოდე, მე გაგისწორებ ანგარიშს ყველაფრისათვის, გინდაც იმისათვის, რომ ლამაზ სიყვარულს მფრთხალი სიცოცხლე გირჩევნია! – მათემ გონერის თვალთა ცეცხლი შეაფრთქვია და ჩქარი ნაბიჯით მოსცილდა ერთმანეთის ნახვით გახარებულ გულებს.

ისინი კი გაშტერებული იდგნენ და სახეზე სიხარულის ბედნიერი ღიმილი დასთამაშებდათ...

სანდრო და მისი ამხანაგები გონს გვიან მოვიდნენ. ნატკენი ადგილები მოისინჯეს, ცივი წყლით მოიბანეს. მეორე კუნთოსანს კისერი გაშეშებოდა, ვეღარ აბრუნებდა.

– ხედავ რა ქნა, მაგ ძუძუმწოვარამ?! – სანდრომ დაიღმუვლა.

– ცოცხალს არ გავუშვებ! – დაიქადნა ტაბურეტის თავით დამლეწმა და ლეიბის ქვეშიდან ბებუთი გამოაძრო.

– წავიდეთ, ნელის ნათესავი რომ არის, იმ ტილიანი ოთარის კორპუსში ცხოვრობს.

ბიჭები გამოეწყვნენ. დანებით შეიარაღდნენ. ტალანი ხმაურით და გინებით გაიარეს. გზაში ოთხი თანამოაზრეც შეუერთდათ. დამსჯელი რაზმი ოთარის ოთახს მიადგა. ბიჭები სახლში ივყნენ, სანდრომ კარები წიხლის კვრით გააღო და თავის ექსპედიციას ოთახში დაუკითხავად შეუძღვა.

– ის ნაბიჭვარი სად არის?! – ოთარს თავზე დაადგა და დაიღრიალა.

– ვინ გინდა? – ოთარმა შეკავებული მღელვარებით ჰკითხა.

– შენს კახპა ნათესავთან რომ დაეთრევა!

– ჩემი ნათესავი კახპა არ არის! – ოთარმა შუბლი შეიკრა.

– დედას გიტირებთ! ყველას გაგწყვიტავთ! – სანდრომ დანა დაატრიალა . ბიჭები წამოიშალნენ, ზაქრომ მოზრდილი პურის საჭრელ დანას ხელი სტაცა.

ჰაერში ჩხუბის სუნი დატრიალდა. სანდროს ამალას მიტმასნებულმა ოთხმა ტალანისკენ დაიხია.

– სანდრო, მთლად ნუ გაგვითამამდი, თორემ!... – ოთარის ხმაში ამდენი ხნის დაგროვილი სიძულვილი ჟონავდა.

სანდრო მიხვდა, რომ აქ არც ისე იყო საქმე, როგორც ეგონა, ბიჭები არ დაფრთხნენ. ერთი პატარა ბიძგი და ეს ოთახი ბრძოლის ველად გადაიქცეოდა, მთლად წარმატების იმედიც არ ჰქონდა, ამ კორპუსში ოთარის თანაკურსელები ცხოვრობდნენ, მას თავს არ უყადრებდნენ, თორემ ერთმანეთზე უკეთესი ვაჟკაცები იყვნენ; ზაქრო დანას ბოროტად ათამაშებდა.

სანდრომ ბებუთი ჯიბეში ჩაიდო.

– ჯერ ის ნაბიჭვარი ვნახო, თქვენ მერე გაგისწორდებით! – სანდრომ უკან დაიხია.

– მაინც რა დაგიშვათ, ასე რომ გამწარებულხართ?! – იკითხა ოთარმა.

– ამას თავზე ტაბურეტი დაამტვრია, მეორეს კი კისერში სკამის ფეხი ურტყა, დედას ვუტირებ! – სანდრომ ამოიღრიალა.

– ყოჩაღ ბიჭო! – გაიფიქრეს ბიჭებმა.

– როცა სკამის ფეხს გირტყავდათ, მაშინ სად იყავით, რაჭველებივით ახლა რას დარბიხართ?! – ოთარს გაეცინა.

– ვირიშვილო, მაგ სიცილს ჩაგამწარებ! – სანდრომ ოთარზე მიიწია.

მათეს საქციელმა ბიჭებს ფრთები შეასხა და ის შეუცნობელი შიშის თუ მორიდების ბარიერი გადაალახვინა, აქამდე ესოდენ რომ ბორკავდათ.

– აბა, აბა! – ოთარმა ხმა აიმაღლა, – არაფერმა შეგაცდინოს! ვირიშვილის ხმა მესმის! ოთარმაც მიიწია.

– კარგი, შეგხვდებით იცოდე! – სანდრო დაემუქრა.

– არ შემხვედრის დედა!.. – ოთარი გაცხარდა.

– აგერ ვართ. შეხვედრილები. რა უნდა, იქნებ თქვას? – ზაქრომ გამომწვევად დააყოლა.

– კარგი, კარგი, იქ გაჩვენებ, იქ! – სანდრომ კარებისკენ გაიწია.

– იქაც გაჩვენებ და აქაც; თქვენზე ნაკლების დედაც!.. – მიაყოლათ ზაქრომ.

სანდროს ამალამ კორპუსი ხმაურით დატოვა.

– წამოდი იმ ბიჭს დავხვდეთ, რაიმე არ აუტეხონ მაგ შობელძაღლებმა! – უთხრა ზაქრომ ოთარს.

– ფეხებსაც ვერ მოსჭამენ, კარგი გაკვეთილი მიიღეს, ალბათ ჯერ ითათბირებენ; შეხვედრას ხვალ უნდა ველოდეთ! – დაასკვნა ოთარმა.

– კარგა ხანია მაგათზე ხელები მექავება, ყოჩაღ მათე! გვიშველა, თორე ჩვენ რაღა კაცები ვიყავით! მოკლედ, მაგათ ჭკუა უნდა ვასწავლოთ, ამდენი მოთმინება გვეყო! – ზაქროს შურისძიების აზარტი არ ასვენებდა, ამდენი მოთმინებისაგან ნაჭამი სირცხვილისათვის.

– ყოველ წუთში მზად უნდა ვიყოთ, თუ კიდევ გამოჩნდნენ, ყბები ვანგრიოთ! – გადაწყვიტეს და სათანადო სამზადისსაც შეუდგნენ. დროებით სკამებს ფეხები შეხსნეს, ყოველ შემთხვევაში გამოგვადგებაო.

მათე საღამოთი გვიან დაბრუნდა. ზაქრო და ოთარი მის ოთახში ელოდებოდნენ, სურვილი კლავდათ, დროზე გაეგოთ, რა მოხდა. არც ნელი იყო თავისთან, ისიც მთელი დღე დაიკარგა.

მათემ ბიჭებს დაწვრილებით მოუყვა, რაც მოხდა, რასაც უპირებდა ნელის გათავხედებული სანდრო. ოთარი და ზაქრო გაცოფდნენ, სანდროსთან მისახტომად იწევდნენ, მათემ ძლივს შეაკავა.

– უჩვენოდ არსად წახვიდე. ხვალ ყველა მზად ვიქნებით, სასადილოს წინ პარკთან დავიცადოთ, იქ მოგვაკითხებს, – დაარიგეს მათე...

კვირა დღე იყო. პარკში სტუდენტები ირეოდნენ. ბიჭების ერთი ჯგუფი ოთარის და ზაქროს შემადგენლობით ტირიფის ქვეშ შეგროვილიყვნენ და რაღაცაზე ხმამაღლა დაობდნენ. მათე მარტო იჯდა სკამზე, ფეხი ფეხზე გადაედო და გამვლელ-გამომვლელს ათვალიერებდა.

სანდროს ამალა უცებ გრიგალივით შემოიჭრა. სწრაფი ნაბიჯით მოდიოდნენ, ყაყანებდნენ და ხელებს იქნევდნენ. პარკში შემთხვევით შემოსული ახალგაზრდები დაფრთხნენ. მომხდურები ისე მოდიოდნენ, გზის სიგანე არ ჰყოფნიდათ, ვისაც მისწვდნენ, აქეთ-იქით მიყარ მოყარეს.

– აქა ბრძანდება, ეს ნაბიჭვარი! – დაიღრიალეს და მისკენ გაიქცნენ.

ტირიფის ქვეშ შეგროვილი ბიჭები მათეს სკამისკენ წავიდნენ. სანდრო მათეს თავზე დაადგა, აქეთ-იქიდან ორი კუნთოსანი ამოუდგა, დანარჩენი ოთხიც იქავე გაჩერდა.

– ვირიშვილო, გეგონა დაგვემალებოდი?! – ანგარიშსწორების წარმატებაში დარწმუნებული სანდრო აყვირდა.

მათე ფეხზე არ ამდგარა, სკამზე გაიჭიმა, სანდროს სახეში შეხედა და დინ-

ჯად უპასუხა:

– შენთან დასამალი რა მჭირს!

სანდრომ ფეხებში ფეხი ამოჰკრა, მუშტი ისე მოუქნია, რომ ხელის შებრუნებას სულაც არ მოელოდა.

მათე სწრაფად დაიხარა, მუშტმა ჰაერში გაიშხუილა, ელვის სისწრაფით წამოხტა და როგორც იყო მოკუნტული სანდროს მუცელში თავით დაეტაკა, ეს უკანასკნელი უკან გაქანდა, რამდენიმე უნებლიე ნაბიჯი გააკეთა და აგურის ნაფხვენით მოკირწყლულ გზაზე ზურგით დაენარცხა. მათემ კისერგაშეშებულისგან ძლიერი დარტყმა მიიღო, წაბარბაცდა, თავი ველარ შეიმაგრა და გაზონებზე გადაეკიდა.

– ღორივით დავკლავ, მაგის დედა!.. – მეორე კუნთოსანმა დაიღრიალა და დანა იძრო.

მათე სწრაფად წამოხტა, კისერგაშეშებულისკენ გაქანდა, მაგრამ მისი გასაკეთებელი საქმე აღარ დარჩენილიყო. კისერგაშეშებულს ზაქრომ მუშტი დაატაკა და კოჭურივით დაატრიალა; დანაშემართულს ხელში სკამის ფეხი დაარტყეს, დანა გააგდებინეს და ახლა რამდენიმე წყვილი მუშტი თავ-პირს ულურჯებდა.

ოთარმა სანდროს წამოდგომისთანავე ყურის ძირში მუშტი დააჯახა, დარეტიანებულს წაქცევა არ აცალეს, ახლა მეორე მხარეს მოხვდა, აქეთ-იქიდან ურტყამდნენ, ბერაში გაატარეს. ბოლოს ცხვირპირდასისხლიანებული მიწას დაასკდა. სამივე აგურის ნაფხვენზე ეყარა და ზედ სისხლს აფურთხებდნენ.

ამალის ოთხ წევრს ხელი არ გაუტოკებია. ერთი კი მიიწიეს მათეზე, მაგრამ, როგორც დაინახეს, მათ მოთავეებს რა ბედი ეწიათ, გვერდზე მიდგნენ და მაყურებლის როლი არჩიეს.

– ესენიც ახვრები არიან, ამათი დედა!.. – ვიღაცამ დაიძახა და ერთ მათგანს სახეში მუშტი დააჯახა. თითქოს ამას ელოდნენო. ახლა ამ ბიჭებს დაერივნენ, ბრაგაბრუგი აუტეხეს.

სანდროს არმიის ნარჩენი თავქუდმოგლეჯილი გარბოდა, თვითონ კი აგურის ნაფხვენებზე ხელებდაყრდნობილი ფეხზე ადგომას წვალობდა.

– გაჩხრიკეთ! დანა ექნება, – ვიღაცამ დაიძახა.

სანდრო ფეხზე ადგა, აქეთ-იქით ირწეოდა, ზაქრომ ჯიბეში ჩაუყო ხელი და ბებუთი ამოაცალა.

– ეს რისთვის გინდოდა, შე ვირიშვილო?! – დანა ცხვირწინ დაუტრიალა, მერე ყბაზე სილა დააკრა და ისევ იქ დააბრუნა, საიდანაც ადგა.

ბოლოს სამივე თავპირგადაბრუნებულები და გვერდებდალილავებულები ერთმანეთს მიყუდებულნი ფეხზე ძლივს იდგნენ და ქანქარასავით ქანაობდნენ.

– კმაყოფილები ხართ, თუ კიდევ მოვინახულოთ ერთმანეთი? – დოინჯით მდგარი ოთარი შეეკითხა.

– თავი დაგვანებეთ, არაფერი არა გვაქვს სადავო! – სისხლის ფურთხებით, დახეთქილ და ამობრუნებულ ტუჩებს ძლივს მოაცილა სათქმელი.

– სამაგიეროდ სადავო ჩვენ გვაქვს! თუ ნელის თავს არ დაანებებ და სტუდქალაქში ხალხის დაჩაგვრას არ მოიშლი, თქვი და აქვე გამოგჭრი ყელს! – ზაქრომ სანდროს ბებუთი ისე აუსვ-დაუსვა ხელის გულზე, მაგიდაზე გამობმულ ტყავზე დალაქი რომ უსვამს თავის სამართებელს.

სანდრომ რაღაც ჩაიბურტყუნა, ალბათ, თავი დანებებული მაქვსო. ზაქრომ მიაბრუნა და ჭიტლაყი ამოჰკრა. ასე წიხლის კვრით და სტვენა-სტვენით თავიანთ კორპუსს გააცილეს ყველასაგან მოძულებული, ამჟამად უკვე განიარაღე-

ბული ხულიგნები...

ზაქროს მანქანა ნელა მიჰყავდა. ორივე კარგა ხანს დუმდა.

– როგორ ფიქრობ, შენი თავმჯდომარე ტიტიკო სანდროზე ნაკლები ხორცმეტია? – მათე მოულოდნელად ალაპარაკდა, – არ არის დრო. მას და მისთანებს თავი დაუჭირონ?! სანდროსათვის ლაგამი დროზე რომ ამოედოთ, ხომ არ მოხდებოდა ის რაც მოხდა. მე რომ წავმხდარიყავ და ნელის თავზე ლაფის დასხმის მოწმე გავმხდარიყავ, ხომ ვიქნებოდი სანდროზე უარესი გარეწარი. ვინ იცის, იმის შემდეგ ათჯერ და ასჯერ უარეს სისაძაგლეს არ ჩაიდენდა? დაუსჯელობის გრძნობით გათავხედებული ხულიგანი ლაჩარი და დედალია მსახვრელი ხელის წინ. ხომ გახსოვს, როგორ გამოიცვალა, თივთიკივით გახდა. სანდრო და მისი მრავალი მომავალი მსხვერპლი გადავარჩინეთ, ჩვენი სულები კი წაწყმედისაგან ვიხსენით.

– მაშინ შენ რომ არა, ალბათ, სირცხვილი უკვე ნაჭამი გვქონდა! – დაასკვნა ზაქრომ.

– არ მოგწონდათ მისი საქციელი, გძულდათ, მაგრამ, რაღაც იდუმალი შიშის გრძნობა გაკავებდათ. როგორც კი გადალახეთ ეს ბარიერი, ერთიათად აზღვევინეთ რაც კი ჩადენილი ცოდვები ჰქონდა. როგორ ფიქრობ, დღეს იმ სუფრაზე სიამოვნებდათ მლიქვნელობის და მაამებლობის მარაფონი?!

ამბაკოს ერთი სუსხიანი, პირუთვნელი შეჩვენება და მოჩვენებითი დიდების ბურანში მყოფს, ქებითა და მლიქვნელობით შეძენილი ნაჭუჭი შემოემტვრევა; მაშინ მიხვდება, რამხელა უსუსური და არარაობაა იმ სკამის გარეშე, რომლის ღირსიც არ არის და თავისი უვიცობით ჩირქს სცხებს, აკნინებს და არარაობად აქცევს მისგან დაუმსახურებელ თანამდებობას.

– მისთვის კარგი მინდა, მაგრამ ვერაფრით ვერ ხერხდება ჭეშმარიტება შეაგნებინო. შეიძლება თვითონაც იცის, რომ მაამებლები ყალბად აქებენ, სინამდვილე კი სულ სხვას ღაღადებს, მაგრამ მას და მის მსგავს მედროვეებს ასე აწყობთ. კომუნისტების მანტიაში შემძვრალნი ხვალ საწინააღმდეგო ქადაგებას მიეტმასნებიან, თუ ამით მათ პრივილეგირებული მდგომარეობა შეუნარჩუნდებათ. უზარმაზარ ენერგიას ფლანგავენ მოჩვენებით კეთილდღეობის შესაქმნელად გამართულ პომპეზურ ღონისძიებაზე. ენერგიას ფუქსავატობაზე ხარჯავენ, იმისათვის რომ თავიანთი ეგოისტური მიზნები დაიკმაყოფილონ. მესამე ხარისხოვანს გადააყოლებენ მთელ ძალას და ენერგიას, პირველხარისხოვანს კი წყალს გაატანენ. ხმაური ატეხეს კაკო ბენაშვილის ნარკვევზე, იმიტომ, რომ მათზე იყო ლაპარაკი; მხოლოდ ძმა-ბიჭური ქება, საქმეზე კი არც-ერთი სიტყვა, ოღონდ თვითონ კარგად და თბილად იყვნენ, დანარჩენი ფეხებზე ჰკიდიათ. ჩემზე რომ იყოს, ბენაშვილს იმ ნარკვევს თავზე გადავაფხრიწავდი; არავინ იცის, სანამდე მივლენ, ჭაობში რამდენად დაღრმავდებიან, ერთი კი ცხადია, ისინი სანდროს ამალას გვანან, ერთხელ დასასრული მსგავსი ექნებათ! – მათე გაჩუმდა.

რაიონის ცენტრს მიუახლოვდნენ.

ზაქრო ჩაფიქრებული იჯდა.

– მათე, – დაიწყო ზაქრომ, – როდის გეცლება? წამოდი, მეცხვარეები ერთად ვნახოთ. უკულმართობა ზევიდან მოდის, ამა ქვეყნის ძლიერნი ხელს უშლიან ბედნიერი ცხოვრების შექმნას; ძალის და უფლების შემწეობით იხვეჭენ ურგებ ქონებას, ფლანგავენ მშრომელთა ოფლით მონაპოვარს, ამიტომაც ხელფასი არავის ყოფნის. ვისაც რაზე მიუწვდება ხელი, იპარავს იმაზე მეტს, ვიდრე

სჭირდება, თავს იზღვევს, ვინ იცის რა მოხდეს.

– სწორე ხარ, ყველა რაღაცას იპარავს, ყველა დამატებით შემოსავალს ეძებს, რომ აღიკვეთოს ეს ხვეჭა-გლეჯა, უკეთესად ვიცხოვროთ იქნებ. უნდა მოიძებნოს ისეთი ცხოვრების წესი, რომ სკამოსან ბღენძებს ცხოვრების სინამდვილის გაყალბების საშუალება მოესპოთ, პარაზიტი, უნიჭო და ეგოისტი მის უღირს თანამდებობაზე ვერ გაძვრეს; ადამიანები რწმენით ემსახურებოდნენ მინდობილ საქმეს, სიყვარულით იყვნენ გამსჭვალული პატიოსანი მშრომელი ადამიანებისადმი, – მათე ოცნებაში წასული ლაპარაკობდა.

– ცხვარში როდის წავიდეთ?.. – ჰკითხა ზაქრომ.

– ზეგ საღამოს დაგირეკავ, თუ მოიცლი, დილით ადრე წავიდეთ.

– სად მიგიყვანო?

– კულტურის პარკში, ტენისს ვითამაშებ; ღვინოც გამივლის.

– კაცო, მგლის თავზე სახარებას რომ კითხულობდნენ, ისე მოგდის. ამბაკომ ხომ გითხრა, პინგ-პონგს თამაშობ, „ტურნიკზე“ ეკიდები, კინოში დადიხარ, მგონი კულტსახლშიც, რაღა დარჩა პირდაპირ დასახვრეტი ხარ! – ზაქრო მხიარულ ხასიათზე დადგა, ორივემ გაიცინა.

## ბილიარდის გაკვეთილი ბღენძისათვის

**ბნელოდა.** პარკში მყუდროება სუფევდა. სინათლის ბოძზე ჩამოკიდებული ნათურა მოძალებულ სიბნელეს წარუმატებლად ებრძოდა; მარტო ბოძის ირგვლივ ანათებდა. ბნელი უკან დაიხევდა ყველა ბოძზე რომ ნათურა დაეკიდათ და თავისი ნათებით ისინიც შებმოდნენ ბნელს, მაგრამ ჯერ მარტო ერთს ენთო და უჭირდა. სხივებს გულზე აბჯენდა სევდასავით მოწოლილ სიბნელეს, ენთო და იმედით ელოდა იმ ღამეს, როცა სხვა ბოძებზეც ნათურები აკიაფებოდნენ.

კულტურის პარკის დირექტორი, კოტე ფირაშვილი ადგილზე ჩანდა, მისი სამუშაო ოთახიდან სინათლე გამოდიოდა. გვიანობამდე უყვარდა დარჩენა, საჭადრაკო ეტიუდებს არჩევდა, თვითონაც ადგენდა.

მათემ კარი ფრთხილად შეაღო, კოტე დივანზე იჯდა, ზურგი მაგრად მიეყუდებინა და გაშტერებული თვალები ჭერისთვის მიეპყრო. ოცნებაში თუ ფიქრში ისე იყო ჩაძირული, მათეს შემოსვლა ვერ გაიგო.

– დათვალე? – ჰკითხა მათემ.

კოტე გამოერკვია, მათეს დააცქერდა.

– გაფრენილან! – უპასუხა და დინჯად წამოდგა, – ტენისს ხომ არ ითამაშებდი? – ახალი რაკეტები მომიტანეს, ვიეტნამისაა.

მათე დივანზე დაეშვა.

– არ მინდა, მძიმე ხასიათზე ვარ, შენთან იქნებ ცოტა დავისვენო.

– დაისვენე, ეგე ჭერიც მანდ არის, რამდენი ბუზი დაჯდება და აფრინდება, ანგარიში ჩამაბარე! – კოტე ისეთი ტონით ლაპარაკობდა, უცხო კაცი ხუმრობის ნიშანწყალს ვერ შეატყობდა.

მათე ჭერს დააკვირდა. ერთი ფრთაჩამოშვებული ბუზი სპონტანურად მოძრაობდა.

– რამდენიც დაფრინდება, იმდენი აფრინდება.

– შენ გინდა თქვა, რომ რამდენიც აღმართია, დაღმართიც იმდენია? არ დაგიჯერებ. გააჩნია ვისთვის აღმართია და ვისთვის დაღმართი. ეგ ბუზი ჭერში რომ დაბრძანდება, ერთად ერთია ამ ოთახში. წეღან მუჭიდან გამიძვრა. მას

შემდეგ ჭერზე ზის და დაბლა აღარ ჩამოდის, იცის, თუ აფრინდება, შეიძლება ისეთ ადგილზე დაფრინდეს, რომ სულაც იქ დარჩეს.

– შენ გგონია, მაგას ეშინია და იმიტომ არ ფრინდება? არ დაიჯერო. ეტყობა, ფრთა სტკივა, როგორც მოუშუშდება, ათასი სიკვდილიც რომ ელოდებოდეს, მაინც აფრინდება. ვისაც ფრენა შეუძლია, ერთხელ აფრენას არ გასცვლის ასი წლის სიცოცხლეზე! – მათემ კოტეს შეხედა, მას ხელში პინგ-პონგის ჩოგნები ეჭირა და მაცდურად ატრიალებდა.

– საიდან ახალი რაკეტები?

– იმ გლეხივით დამემართა, ძმა რომ მოუკვდა. მინდვრიდან მოსულს კუბოში ჩასვენებული დახვდა. გულდამწვარმა ბოღმის გორგალი ძლივს გადაყლაპა, სხვა ვერაფრის თქმა ვერ მოახერხა, თვალცრემლიანმა მიატირა; – დაირტყი აზიატსკებიო, – განმარტა თავისი მდგომარეობა.

– ვერ გავიგე, შენ რომელი კუთხიდან გიდგება ეგ ანეკდოტი?! – გაიკვირვა მათემ.

– მე ამბავს მოგიყვები და მერე შენ მიუყენე კუთხე; ოღონდ წამოდი, ცოტა ხანს წავითამაშოთ.

მათემ ერთი ჩოგანი გამოართვა.

– მოიცა, მოიცა, დალეული ჩანხარ. შენ გენაცვალე, ძლივს არ გადმოხვედი ჩვენს რელსებზე?! – კოტემ ჩოგანი მაგიდაზე დააგდო და მათესთან მივიდა, – ღვინო არ დალიო, პაპიროსი არ მოწიო, ქალებში არ იარო, არ გაცივდე და დიდხანს იცოცხლებო, ასე დაარიგა ჩემი ჭკუის ექიმმა შენი ჭკუის პაციენტი. მერე პაციენტმა, ერთხელ, ის ექიმი გაგლეჯილი მთვრალი, პირში სიგარეტგარჭობილი გვერდზე მშვენიერი ასულით რესტორანში დუდუკზე მოქეიფე რომ ნახა, უსაყვედურა: შე კაი კაცო, მე ყველაფერი ამიკრძალე, შენ კი რას შვრებიო! რა უპასუხა ექიმმა? – კოტე მკაცრი გამომეტყველებით დაადგა თავზე მათეს და სმენა დაძაბა:

– ჰო, მერე ექიმმა უპასუხა: მამაცხონებულო, შენ დიდი ხნით სიცოცხლე გინდოდა, მეც გირჩიე. მე კი დროსტარება და მოკლე სიცოცხლე მირჩევნია ობმოკიდებულ ლეშის თრევას. შენ დაუკარ! – კოტემ ხელები გაშალა, – წამოდი, თუ გინდა ერთი ხელი ბილიარდი გეთამაშო, მერე, ნახევარი ბოთლი ღვინო, სამი ცალი მჟავე კიტრი, ერთი გაუხსნელი კონსერვი და პატარა პურის ნაჭერი მაქვს, თუ კარგად მოიქცევი, დაგპატიჟებ?!

– წავიდეთ, ვეცდები კარგად მოვიქცე.

კოტემ ორი ახალი კიი გამოიტანა.

მათემ ერთი გამოართვა, ხელში შეატრიალა და გაკვირვებულმა უთხრა: – შენ ნატვრის თვალი ხომ არ გიშოვია, შემთხვევით?

– ნატვრისთვალი კი არა, ჭირი ვიპოვე. ორ კვირაზე მეტია აქ აღარ ყოფილხარ, ვერ წარმოიდგენ, რა ჯოჯოხეთი ტრიალებს! – კოტემ ხელზე ცარცის წასმა დაიწყო.

მათემ სამკუთხედად დაწყობილ შარებს ძლიერად დაარტყა და ერთიანად დაშალა.

– აღარ უშლიან?! – კოტემ გაიკვირვა, – შენ რა, არიფს ეთამაშები? შეხედე, რამდენი ნაღდი შარი დამიყენე! – კოტე დასარტყმელად მოემზადა.

– ისე ხარ ვიღაცისგან დაზაფრული, საშიში აღარ უნდა იყო მგონი, – გააღიზიანა მათემ.

– მოდი აქ, – კოტემ შარს აღარ დაარტყა, მათეს ხელი მოჰკიდა და მეორე

ბილიარდისკენ წაიყვანა, – ხედავ, მაუდი რამხელაზეა გახეული? – ხელით აჩვენა ბილიარდის შუაში სწორკუთხედად გახეულ მაუდზე.

– ჩხუბი იყო?

– ჩხუბს რა უჭირს, აქ რომ ამბავი დატრიალდა, ცალი თვალით ვიცინოდი, ცალით კიდევ ვტიროდი.

ამასობაში მათემ ლუზისკენ გასწორებულ შარს დაარტყა, – არის! – ღიმილით თქვა.

– ახლა ჩემი რიგი იყო.

– შარიც შენ ჩაითვალე. რას ითხოვ, მაღარიჩი გადაგიხადო მაგ ამბის მოყოლაზე?

კოტემ კიი მეძროხის ჯოხივით გადაიდო მხარზე და დაიწყო:

– შუა დღე იქნებოდა, სასწაული რომ მოხდა ჩვენს სალოცავში, თუ არ მივიღებ მხედველობაში ერთ მლოცველს, მათე ბაღაშვილს, რომელიც არ გვიპატიებს, თვითონ ამბაკო შემოვიდა თავისი მრავალრიცხოვანი ამალით; იქ ბრძანდებოდნენ თვითონ კუკური მიქელაშვილი და ვალერიან ვახახიშვილიც. მათ ზემდგომი დიდი თანამდებობის კაცი ახლდათ, ამბაკოს გადაჭარბებულ მოწიწებაზე შევატყვე. ჯერ ჩემს ოთახში შემოლაგდნენ, ამბაკოს მხლებელთა დაძაბულ-დაზაფრულ და მხდალ სიფათებს რომ შევხედე, მეც მეწვია დაძაბულობა, თუმცა რა სჯობდა გაცინებას. ის კაცი ისეთი უშუალო, უბრალო, თბილი და გულღია მეჩვენა, მაშინვე მოვიცილე დაძაბულობის ტვირთი.

– აუხსენი შენი მრავალწახნაგოვანი მუშაობის შესახებ; გადმოიღე შესრულებული სამუშაოების, გეგმების და ამოცანების მასალები; ჩქარა, ჩქარა! – კუკურა და ვალერიანი მომცვიდნენ.

– მე დავიბნე, უჯრისაკენ წავედი, მაგრამ რას თხოულობდნენ და რა უნდა მეჩვენებინა, არც მე ვიცოდი და არც იმათ.

– რა გქვია? – იმ დალოცვილმა ღიმილით მკითხა.

– კოტე.

– არაფერი არ მინდა, წამოდი, შენი მეურნეობა დავათვალიეროთო, – ხელზე ხელი წამავლო ოთახებისკენ წამიძღვა.

სამკითხველო დარბაზში შევედით, დაათვალიერა, მამაშვილურად მელაპარაკებოდა, მეც ისეთი თავისუფლება ვიგრძენ, შენთან რომ ვლაპარაკობ, ისე თამამად ვიყავ. მაგიდასთან დაჯდა და საუბარი გამიბა. ვუთხარ, რომ უნივერსიტეტის ისტორიული ფაკულტეტი მქონდა დამთავრებული. ერთი ჩემი ეტიუდიც დამაწყობინა, გაუჭირდა, მაგრამ ამოხსნა. წიგნებს თუ კითხულობო, მკითხა. მეც ჩამოვუთვალე. ზოგი წაკითხული ჰქონდა, ზოგიერთ გმირის ხასიათზე კამათი მოგვივიდა. ჩვენი ბედოვლათები თვალებს მიქაჩავდნენ, გაჩერდიო. მე ჩემი პოზიციები არ დავთმე, არც იმან დათმო. მოკლედ, ამბაკო ისე გაბრაზდა, კინაღამ თავში ჩამითაქა. იმან კი მომხვია ხელი და გულთბილად გადამკოცნა, ძალიან დიდი სიამოვნება მივიღე შენთან საუბრით, სწორედ ასეთი ახალგაზრდები მომწონსო, მერე გაიღიმა და დაუმატა, მეც ხომ ჯიუტი მოხუცი გამოვდექიო. დანარჩენების სახეებს რომ შევხედე, კინაღამ სიცილი ამიტყდა, ნაძალადევად იღიმებოდნენ და თან თვალებში მლიქვნელი სხივი უბზინავდათ.

– კოტე, რა ვქნა, ძმაო, მეც შენსავით ვერ ვიტან ამ ოხერ პარადულობას და მით უმეტეს, კუდქიცინებს! – გაიცინა და პინგპონგის ოთახში შევიდა.

– ტენისის მაგიდაც გქონიათ, ამბაკო, იქნებ ერთი ხელი გვეთამაშა?! – უთხრა და სანამ სიტყვას დაამთავრებდა, ჩვენი ახალი რაკეტები მივაწოდე.

— ამას კი ვერ მოგიწონებ, ჩემო კოტე, — მითხრა, — შენისთანა ბიჭს უკეთესი ეკუთვნის.

ამბაკომ ისე გადმომხედა, თითქოს ჩაყლაპვას უპირებსო.

— ბიჭო, აქ რომ ზიხარ უსაქმოდ, მოდი, გვითხარი, გვთხოვე! — მე ძალიან გამიკვირდა, გდიხარო რომ არ მითხრა.

შევატყვე, იმ კაცს ამგვარი მომართვა არ ესიამოვნა.

— ეს ძალიან კარგი რაკეტებია, მე ვიხუმრე, სპორტის ოსტატებს რომ აქვთ, ამათ რაში სჭირდებათ ისეთები, — ღიმილით თქვა და თვალი ჩამიკრა.

— ჩვენი რაიონი ისეთ დონეზეა, რომ სირცხვილია უმაღლესი ხარისხის რაკეტების გარეშე ვიყოთ! — ამაყად, თვითდაჯერებულად თქვა ინდაურივით გაფხორილმა ამბაკომ.

— ძალიან კარგი, ძალიან კარგი! — ის კაცი დაეთანხმა, გულში კი ვიცი, რასაც მე ვფიქრობდი, იმას ფიქრობდა.

მართალია ასაკი ჰქონდა და სიმსუქნეც შეპაროდა, მაგრამ რაკეტა რომ დაიჭირა და გაჩერდა, მივხვდი, კარგი მოთამაშე უნდა ყოფილიყო.

ამბაკოს რომ შევხედე, გული გამიწვრილდა, რაკეტა მაგრად ჩაებღუჯა და ისეთი დაძაბული იდგა, თითქოს ხარს უნდა შეეჭიდოსო.

პირველი სტუმარმა დაურტყა, მესიამოვნა, დაბალი დახვეული გაუშვა, ამბაკომ ხელი სადღაც სხვაგან გაიქნია. მეორე ჩვეულებრივი, მაღალი სასწავლო დაურტყა, ამბაკომ კიდევ გაიქნია ხელი, მაგრამ ბუზების მოსაგერიებლად თუ გამოდგებოდა მისი მოძრაობა. ახლა ამბაკომ დაარტყა, რაკეტა მაგრად მოიქნია, ბურთს შემთხვევით მოარტყა, მოწინააღმდეგის მაგიდაზე დაეცა და ჭერს მიასკდა; თავი ძლივს შევიკავე, რომ არ გამცინებოდა, ჭირისუფალივით დავიღრიჯე. იმ კაცმა არაფერი აგრძნობინა, რაკეტა მაგიდაზე დადო და სხვა ოთახები დავათვალიეროთო, თქვა.

ახლა ბილიარდის ოთახში მოვხვდით. კიი აიღო და ორჯერ ისეთი მოხდენილად დაარტყა, შეგშურდებოდა.

— ამბაკო, ხომ არ ითამაშებდი? — ჰკითხა და კიდევ ერთი შარი გაუშვა ლუზაში.

ამბაკოს კიი ისე მარგილივით ეჭირა, მაშინვე მივხვდი, რომ ეს მისთვის პირველი ხილი იყო. მოკლედ, რაღა მეტი გავაგრძელო, შარს ააცილა, კიი წვერით მაუდს გაუყარა, დაბნეულმა და დამფრთხალმა ახლა მაღლა ასწია და ერთი ბილიარდი წყობიდან გამოიყვანა.

იმ კაცს სახეზე უკმაყოფილება აშკარად შეეტყო.

— ამბაკო ბილიარდის თამაში არ გცოდნია! — უთხრა, — მაგრამ არცოდნა ცოდვა არ არის, ცოდვა არცოდნის არკისრებაა, მაგრამ უფრო დიდი ცოდვაა, არმცოდნეს თავი მცოდნედ რომ მოაქვს! — კიი კედელზე მიაყუდა, თბილად გამიღიმა, გამომემშვიდობა და გარეთ გავიდა.

კუკურა დამთხვეული მომვარდა:

— უფროსს ეს რა მრუდე ჯოხი მოუტანე, კარგი ვერ აურჩიე?! — აყვირდა, ერთი სული მქონდა, სახეში ხელუკულმა მეთხლიშა. ისეთი ხმით ყვიროდა, მისი ხმა, ალბათ, იმ სტუმრამდე აღწევდა, ამბაკოს კი სიამოვნებდა გამოსავალი რომ იპოვა; მაგრამ ის დალოცვილი, თვალებში ჩაგხედავდა და გაიგებდა, რას ფიქრობდი; მღვდელს ჭილობში ვერ იცნობდა?!

ჩემი უბედურება კი ამის შემდეგ დაიწყო. ჯერ კულტურის განყოფილების გამგემ გამომიძახა, ყვირილი დამიწყო, პარკში კულტურული მუშაობა ჩაშლი-

ლი გაქვს, კიი-ები და რაკეტები უვარგისი და გადასაყრელია, მის შეძენაზე არ ზრუნავთ; უცხო კაცთან რაიონი შეარცხვინეთ და ამბაკოს თავი მოსჭერიო. მეც ამევსო მოთმინების ფიალა: შემრცხვენიც და დამბრალებელიც-მეთქი!

ბოლოს, ერთ მშვენიერ დღეს ჩვენი კუკურა და პურპროდუქტების ბაზის დირექტორი რაჟდენა მომადგნენ.

– რა გიჭირს?! – კუკურამ ამაყად მკითხა.

– არაფერი, – ვუპასუხე.

– ამ ღვთისნიერ კაცს ჩააწერინე, რამდენი რაკეტა და კიი გჭირდება! – მითხრა და ხელით რაჟდენაზე მანიშნა, ისაც მაგიდასთან დაჯდა, ფანქარი და ქაღალდი მოიმარჯვა.

– რამდენსაც მოიტანთ, თქვენი ნებაა, – მე ვუპასუხე.

– ეგ რა პასუხია? საქმის კურსში არა ხარ! ორი ბილიარდი გიდგა და რამდენი ჯოხი გჭირდება, არ იცი! – კუკურა აყვირდა.

– რამდენიც მჭირდება, მაქვს, თუ ვინმეს ჩვენი არ მოსწონს, საკუთარის მოტანას არავინ უშლის! – მეორე ოთახში გავედი, ათი ჩოგანი და ერთი იდლია კიიები გამოვიტანე. – აი, ამას ჰქვია რაკეტები, ამას კიდევ ჯოხები! – კუკურის სათითაოდ მივუთვალე, – როცა გნებავთ მობრძანდით და რამდენიც გინდათ ითამაშეთ. თუ უკეთესი ხარისხის გინდათ, მოიტათ, მაგას ჩემი განაცხადი არ სჭირდება.

კუკურა დაიბნა. რაჟდენამ ფანქარი და ქაღალდი თავის ადგილას დადო.

– წავიდეთ! – კუკურამ გაბრაზებით თქვა, – ამას მე მოვუვლი.

– როცა მოვლა დააპირო, მეც შემეხმიანე! – მივაყოლე, – ერთი სული მქონდა, ყველაფრისათვის მიმეფურთხებინა და კუკურა ერთი კარგად დამეზილა.

ამ ოთხი დღის წინათ კი პირველი წარმოდგენა მქონდა. შუადღისას ამბაკო თავის ამალით მობრძანდა, რაჟდენაც თან ახლდა ოთხი ჩოგნით და ორი კიით.

ამბაკომ ჯერ ტენისის თამაში დაიწყო.

– როგორი მდგომარეობაა? – იკითხა მათემ.

– სამი მეცადინეობის შემდეგ, თავისი მაგიდიდან მოწინააღმდეგის მაგიდაზე ბურთის გადაგდებას ახერხეს; ყველა წარუმატებლობა მე მბრალდება, მუშაობა თუ ამ ტემპით გაგრძელდა, სამ ანდა უფრო მეტი დღის განმავლობაში შეძლებს, რომ მოწინააღმდეგის დარტყმულს ჩოგანი მოახვედროს. უფრო საინტერესო ბილიარდში მეცადიენობაა. თუ შარი შარს მოარტყა, ამალაში აღფრთოვანებული შეძახილები გაისმის. მოკლედ, ეგ სანამ თამაშს ისწავლის, მე აქედან გამასვენებენ. ამდენი ლორწოიანი არაკაცი, მლიქვნელი ერთად რა ძალამ შეაგროვა?! მათე, თუ ძმა ხარ, მითხარი, მაგათ ხელში ამ ქვეყანას რა ეშველება?!

– ბედნიერი ხარ, უარესი რომ არ გინახავს! – მათემ მხარზე ხელი დაარტყა, – წავიდეთ, ის ბუზი ვნახოთ აფრენა-დაფრენის ბალანსი გასწორდა თუ არა.

ბუზი ჭერზე აღარ იჯდა.

კოტემ თავისი გემრიელი ვახშამი მაგიდაზე გაშალა, კონსერვი გახსნა და მაგიდაზე წამოაპირქვავა.

ბუზი კონსერვის თეფშზე ბზუილით დაეშვა. კოტემ ხელის მოქნევით ჰაერში დაიჭირა და იატაკზე დაახეთქა.

– ახლა ხომ მიხვდი, რომ აფრენა დაფრენას აბალანსებს?! – თქვა მათემ.

ტელეფონი აწკრიალდა. კოტემ ყურმილი აიღო.

– ვინ უნდა იყოს? – ჩაილაპარაკა. – რა იცით, რომ კოტე ვარ? ლალი თქვენა ხართ? აქა ბრძანდება. რას ვაკეთებთ და ბუზების აფრენა-დაფრენის თეორი-

ას ვამუშავებთ... სხვა არავინ არის... ახლავე გალაპარაკებთ. ბიჭო მოდი. ლალი არის, ნეტა საიდან გაიგო, რომ აქა ხარ? – ყურმილი მათეს გადასცა.

– მათე თუ ძალიან არა ხარ დაკავებული, მოდი რა სახლში, რაღაც მოწყენილი ვარ; ბავშვებსაც უნდათ შენი ნახვა.

– საიდან გაიგეთ, რომ აქა ვარ?

– ჩიტმა ამბავი მომიტანა, მოდი, ყველაფერს მოგიყვები.

– მოვდივარ, მათემ ყურმილი დადო და წასვლა დააპირა.

– მიკარი ხომ წიხლი ნაკურთხ პურმარილზე. შე უკუღმართო, თუმცა აქ საშენო რა იყო, მეც არ მეყოფა! – კოტემ მათე კარებამდე გააცილა...

გაგას კარგა ხანია დაეძინა, ლალი ეკას აძინებდა. მათე ოთახში უხმაუროდ შევიდა. ლალის თვალებით მიესალმა. ეკას ხელი ფრთხილად მოუთათუნა. ჩაძინებულმა ბავშვმა თვალები გაახილა, მამა დაინახა და ალალი სიხარული ღიმილით აუთამაშდა, ძილს ვეღარ მოერია, თვალები ისევ დახუჭა და უშფოთველი ძილის ნისლში გაერია.

ლალი წამოდგა, მათეს კისერზე მოხვია ხელები და ნაზად აკოცა. მათემ საყვარელი მეუღლე მძლავრად ჩაიკრა, მაღლა აიტაცა და დაატრიალა.

– ნელა, ძვლები ნუ დამამტვრიე! – ლალიმ სიცილით უთხრა.

ლალის ისევ მის კისერზე ჰქონდა ხელები მოხვეული... მკერდზე მიადო თავი და გაყუჩდა.

– მათე, შენ ღვინო დაგილევია.

– ჰო, დავლიე.

ლალიმ ხელი შეუშვა და დივანზე დაჯდა.

მათე წამოწვა და თავი კალთაში ჩაუდო.

ლალის ნატიფი თითები მათეს აბრეშუმივით ნაზ და ხშირ თმას ვარცხნიდა.

– იცი, მათე, დღეს ჩემთან დარეკეს, – ლალიმ წყნარად დაიწყო.

– ვინ იყო? – ბურანში წასულმა მათემ ინსტინქტურად იკითხა.

– არ ვიცი.

– რა მინდაო.

– ქალის ხმა იყო, მათე ახლა მინდორში ვიღაც კახპებთან ქეიფობს, საღამოზე ნამრუშალი და გახეთქილი მთვრალი მოგადგება, თან გეტყვის, უფროსებთან ვიქეიფეო, არ დაუჯერო! სინამდვილეში ასე არის, როგორც მე გეუბნებიო.

მათე გამოფხიზლდა.

– ეშმაკური ნამუშევარია, – თქვა, – საქმე იმაშია, რომ მინდორში მართლა ვიყავი და ღვინო დავლიე, ამაში ვეთანხმები იმ ანონიმურ დამრეკს; ვისთანაც ვიქეიფე, კახპები იყვნენ თუ სამსახურის მეძავი ბლენძები დიდი არაფერი შელავათია.

– იცი, საიდან გავიგე, რომ პარკში იყავი?

– საიდან?

– ნახევარი საათის წინ ზაქრომ დარეკა.

– რა მინდაო?

– თქვენი დღევანდელი ქეიფის ზოგიერთი ამბავი მომიყვა და მითხრა, ბედნიერი ხარო; გადავწყვიტე, მათესავით სულ უშიშრად ვიარო, რომ მეც ისე შემიყვარონ, როგორც მე ეგ მიყვარსო, – ლალი გაჩუმდა.

– კიდევ რაო? – ძილის კარიბჭეს მიტანებულმა მათემ რაღაც ბურანიდან იკითხა.

– კიდევ ისაო, რომ ბედნიერება ის კი არ არის, თავზესაყრელი რომ გაქვს

ყველაფერი, ბედნიერება ის არის, შენ ნამუსთან და სინდისთან მართალი რომ ხარ, არავის წინაშე მონურ მორჩილებას რომ არ კადრულობ გამორჩენის მიზნითო; რომ გიყვარს და რომ უყვარხარ, რომ შეგიძლია შენ ურყევ რწმენას, თუ გინდა სიცოცხლეც შესწირო, – ლალი გაჩუმდა, მათეს ქოჩორში ნაზად დააცურებდა ხელს; მათეს ეძინა.

## მეცხვარეები და ცხვარიჭამიები

**ზაქრომ** „კოლხოზნიკი" აღმართს შეუყენა, სიჩქარე შეუცვალა, თავი გარეთ გამოყო, საბურავებს დააკვირდა, – მაგრად არიან! – ჩაილაპარაკა. მათე უკან იჯდა კოტესთან ერთად. ზურგი მიეყუდებინა და ღრმა ფიქრში ჩაძირულიყო.

– შემოდგომაც ზაფხულივით უნალექოა, ივრისპირეთი სულ გადაიბუგა, – წყენით ჩაიალაპარაკა ზაქრომ.

გვალვისაგან გადაბუგულ გორებზე აქა-იქ მარტო გამხმარი ურო მოჩანდა. კარგა ხანს ასე იარეს. თავდაღმართი ჩაათავეს, ვაკეზე გავიდნენ, ივრის პირას ამწვანებული მინდვრები გამოჩნდა.

– უდაბნო დამთავრდა, – კოტემ ჩაილაპარაკა.

– უდაბნო ზევით არის, – უპასუხა ზაქრომ.

– სად ზევით?

– იორს რომ აუყვები, ერთი კარგად გამართული მეურნეობა შეგხვდება.

– მეურნეობა უდაბნო, – ჩაილაპარაკა კოტემ, – თუ კარგად გამართულია, მეურნეობა წალკოტი დაუძახონ.

– საკითხი დააყენე, იქნებ ეგ წინადადება გავიდეს, – ზაქრომ ურჩია.

– მხარს დამიჭერთ? – იკითხა კოტემ.

– მე თავს ვიკავებ, – თქვა ზაქრომ.

– მე წინააღმდეგი ვარ, – ჩამოიბერტყა ფიქრები მათემ.

კოლმეურნეობის კომკავშირის მდივანი, მამუკა გზირიშვილი ზაქროს გვერდით ჩუმად იჯდა.

– რატომ ხარ წინააღმდეგი? – კოტე მათეს მიუბრუნდა.

– იმიტომ, რომ ხმაურიანი სახელი არ მიყვარს. მეურნეობა წალკოტი, ვინც გაიგებს, სასწაულის სანახავად განეწყობა, გადაშლის და ნახავს, უდაბნოაო. არა სჯობს, უდაბნო ერქვას წიგნს, რომელსაც კითხულობ. გადაშლი, წაიკითხავ და წინ წალკოტი გადაიშლება. ორივე შემთხვევაში მოლოდინის გაცრუება გელის, მაგრამ ერთმანეთის საწინააღმდეგო, – მათემ თავისი აზრი დაიცვა.

– შენ რატომღა იკავებ თავს?!– ახლა ზაქროს დამუშავებას შეუდგა თავისი აზრის დამცველი.

– რა მნიშვნელობა აქვს, თმა რიჟა იქნება თუ შავი, მთავარია შიგ რა ყრია, შენი შეკითხვა მე დაახლოებით ასე მესმის: ბრძენს შავი თმა მოუხდება თუ რიჟა; იგივე შეიძლება ითქვას სულელზე. მე კი გიპასუხებთ, თმაზე თავს ვიკავებ, აი, ქვეყანას კი ბრძენი მოუხდება.

– არ არის სწორი შედარება! – შეედავა კოტე.

– მე ვთქვი: თანახმა ხარ თუ არა, ბრძენს ბრძენი დავუძახოთ და არა სულელი.

– მათეს პასუხი შენებურად შეიძლება ასე გადავთარგმნოთ; სჯობს ბრძენს ერქვას სულელი და ბრძენი ყოს, ვიდრე სულელი იყოს და ბრძენი ერთქვას.

– ორივე შემთხვევაში მოლოდინის გაწბილება გელის, მაგრამ ერთმანეთის საწინააღმდეგო, – ღიმილით დაასკვნა ზაქრომ.

– მიშველე მამუკ, შენი იმედი მაქვს! – შეეხვეწა კოტე.

– ჩემი იმედი მამაჩემს არა აქვს, სულ მედავება, ბევრს ლაპარაკობთ და საქმეს ვერ ვხედავო, – მამუკამ კოტეს იმედი გაუცრუვა.

– მამაშენს რატომ არ ეტყვი ერთი ქათამია კვერცხს უჩუმრად რომ დებს, მერე კი იქაურობას კაკანით იკლებს, აი, რა გავაკეთეო. რაც ქათამი არსებობს, სულ ამ დღეშია, სულ კვერცხს დებს, მაგრამ ისტორიას არ ახსოვს, სანამ კვერცხს დადებდეს მანამდე დაეწყო კაკანი. თუ იცი რატომ? იმიტომ, რომ ეშინია, ვაითუ ვერ დავდოო, მიუხედავად იმისა, რომ თავის დღენი კვერცხს დებს და ერთხელაც არ გამრუდებია. შენ კი გყოფნის გამბედაობა განაცხადო, რაც არ გაგიკეთებია და ვერც გააკეთებ, მაგრამ ტრაბახობ, ყვინჩილასავით ყალბია შენი და შენი მსგავსების ფაფხური. ტაში არ გწყინდებათ, წინასწარ კაკანებთ, კვერცხის დადება კი დღემდე ვერ მოგიხერხებიათ.

– გეყოფა, კოტე, არა მგონია მამუკამ ხმა შენ მოგცეს.

– მაშინ ქათამს მაინც მისცეს ხმა.

– ქათამს იმ შემთხვევაში მივცემ ხმას, თუ კვერცხის დადებამდე დაიწყებს კაკანს და ყველას გააგებინებს, რომ კვერცხის დასადებად მიდის.

მანქანა იორს მიუახლოვდა.

იორი ამღვრეული მოდიოდა, – ეტყობა სადღაც ზევით იწვიმა, – თქვა ზაქრომ და მანქანა მდინარეში ფრთხილად შეიყვანა, ფონს მიჰყვა.

– ამფიბიაა, პირდაპირ ამფიბიაა! – ზაქრომ ორივე ხელი დაარტყა საჭეს. წყალმა ზევით აიწია, ფარებს შემოადგა, მანქანას გაუჭირდა.

– ამფიბიას ხომ არ მივაწვეთ? – იკითხა კოტემ.

– თუ ვირივით დაწვა, მიწოლა კი არა, სული ბოროტის სიმღერაც ველარ უშველის! ეტყობა, წყალი მატულობს.

ზაქრომ მანქანა წყლის დინებას მოაყოლა.

– ნაპირს მივუახლოვდით, მგონია გვეშველა! – შვებით ამოისუნთქა, – კინაღამ ცივი წყლის აბაზანების მიღება მოგვიწია. იქიდან ხიდზე უნდა გადმოვიდეთ, თორემ შეიძლება გამოსვლა გაჭირდეს.

– თუ ხიდი იყო, რა სახრჩობელა გაგვიმართე! – უსაყვედურა კოტემ.

– ათამდე კილომეტრი მოვიგეთ.

– შენ არ გაგიგონია, შორი გზა მოიარე და შინ მშვიდობით მიდიო? – შეახსენა კოტემ.

– გამიგონია და მაგას უკან რომ გამოვბრუნდებით, მაშინ გამოვიყენებთ. ახლა კი რა მნიშვნელობა აქვს. შინ ხომ არ მივდივართ. წინ კაციჭამია ძაღლებით სავსე ბინები გვაქვს ჩამოსავლელი; ვინ იცის, ვის სად უმტყუნოს ბედმა.

– მაშინ მე გადავრჩენილვარ, ძაღლი წიწაკიან საჭმელს არ ჭამს, – კოტემ თავი დაიიმედა.

– ადგილობრივ ჯიშის ძაღლებში დასავლეთიდან ჩამოყვანილიც შევურიეთ, ამიტომ გარანტიას ვერ მოგცემ.

– დასავლეთისას რა მნიშვნელობა აქვს?

– ის რომ, ისინი მხოლოდ წიწაკას ჭამენ.

– აბა, სპეციალურად მაგ საქმისათვის მიგყავართ და ეგაა, – შეიცხადა კოტემ.

– რა დაღონდი, შე კაი კაცო, ისე სუფთად იციან შესანსვლა, რომ დაინახო. შენ თვითონ შეეხვეწები, შემჭამეთო. ზოგ ადამიანს კი არ გვანან, კაცს ისე შეჭამენ გააფეთხუმებენ; საკუთარ თავს შეაძულებენ.

...ერთი ჭამს მეორეს,
ასე თქვა გამჩენმა,
ბოლოს კი სუყველა
შეჭმული დარჩება“.

წაიღიღინა კოტემ.

ჩათმის გზაზე გავიდნენ. საძოვარს ბალახი უჭირდა.

– ახლა, ვისაც ფერმისპირა დათესილი აქვს, გამოსულია მდგომარეობიდან, – ჩაილაპარაკა ზაქრომ, – ტიტიკოს არ აწყობს ფერმისპირა თესვა, სასტიკი წინააღმდეგია. მე სადაც მოხნული ვნახე, ყველგან დავთესე, ნაბადივით ჯეჯილი მოვიდა.

მათი მისვლა პირველად ძაღლებმა გაიგეს. შორიდანვე დაინახეს და ბინებიდან კარგა შორს მანძილზე მიეგებნენ. უსაქმურობისგან მოწყენილებმა გასართობი ნახეს. მწყემსების საცხოვრებელ ბინამდე მანქანა ყეფით და ღრენით მიაცილეს.

ზაქრო მანქანიდან ჩამოხტა და ძაღლებს დაუცაცხანა. მათ ამაყად და პატივით უკან დაიხიეს, თითქოს ფიქრობდნენ, რას გერჩოდით, ჩვენები ყოფილხართო.

ბრიგადირი დათა გამოეგება, მას ბიჭები დათა პაპას ეძახდნენ და ვეტერან კომკავშირელად მონათლეს. კომკავშირული ბრიგადის სიაში კომკავშირელად იხსენიებდნენ. დათა პაპას აღარც ჯანმრთელობა და აღარც ასაკი აღარ უწყობდა ხელს, მაგრამ ბიჭებს ხათრი ვეღარ გაუტეხა; ახლა მრჩევლად, დამრიგებლად და პატიოსანი კაცის ეტალონად ჰყავდათ.

– დათა პაპას გაუმარჯოს! – მხიარულად მიესალმა ზაქრო.

– გაგიმარჯოს! ზოოტექნიკოსო, კიდევ კარგია შენ მაინც გაგახსენდით! – უსაყვედურა დათა პაპამ და თან ფართუკზე ხელების წმენდა დაიწყო.

– გაიცანი, ეს რაიონის კომკავშირის მდივანია, ეს კი კულტურაა, – ზაქრომ ორივე დათა პაპას წარუდგინა.

– მაგისთვის კულტურა ვარ, შენთვის გზააბნეული ნაკომკავშირელი, – წარიდგინა თავი კოტემ.

– კარგი, ეგრე იყოს, ეგ კომკავშირიც სალაყბოდ და სახელად არის მარტო, სხვა რის მანქანაა; მეც ხომ გამაცუცურაკეს, – თქვა და ზაქროს მიუბრუნდა:

– ბიჭო, ნამუსი აღარა გაქვთ?!

– აღარა გვაქვს! – დაუდასტურა ზაქრომ – ბიჭები საით არიან?

– ბომბორა ვახო და როსტომა ჭრელაშვილი ფარეხს ასუფთავებენ, აგერ ისინიც, – დათამ ფარეხიდან გამოსული ბიჭები დაანახა, – მცირე გოგია და მეჩონგურე ლადო ცხვართან არიან; უთქმელი ქორა ჯენდაგ ცხვართან არის ყორულზე; მეოცნებე სერიოჟა კიდევ გუშინ სოფელში წავიდა. იქნება ფქვილი მოგვაშველოს, აღარავის არ გახსოვართ და ჩვენ თავს ჩვენ მაინც მივხედოთ!

როსტომამ და ვახომ ხელები დაიბანეს და ღიმილით მიესალმნენ.

როსტომა ჭრელაშვილი ბრიგადირი იყო, დათა პაპა კი მათი მოძღვარი, მოდად კომკავშირული ერქვათ.

ზაქრო, როსტომა, კოტე და მათე ფარეხში შევიდნენ. მამუკამ ვახო მოიხმარა და მანქანის საბარგულიდან ხარჯი ოთახში შეზიდეს.

ფარეხი დაწკრიალებული იყო. ათამდე ბატკანიც ჰყავდათ.

– ადრე დოლის ბატკნებია, ასამდე ველოდებით; ძირითადი დოლი კი ცოტა გვიან დაგვეწყება. წუწუნი და საყვედურების თქმა არ მიყვარს, მაგრამ ეგრე გადაგდება როგორ შეიძლება. გერებივით ვართ, სპეციალურად გვერიდებიან.

ფერმის გამგე თავიანთთვის დაქირავებულ მწყემსთა ბრიგადებს ამარაგებს, ჩვენსკენ გამოხედვა არ უნდა; ისევ ზაქრომ თუ გაგვიხსენა, სხვა ჩვენი პატრონი არ არის, – როსტომა წყენას ვეღარ მალავდა.

სუყველა ჩუმად იყვნენ, როსტომას სანუგეშოს არაფერს ეუბნებოდნენ.

– როგორც იყო ბატკნისათვის ბალახი ჩვენ ვიშოვეთ, ათასი ჭირი მოვჭამეთ მეზობელი კოლმეურნეობის მეცხვარეებს, მთელი ზვინი უდგათ, ხელი გაგვიმართეს, ნახეთ, დანარჩენ ბრიგადებში ყელამდე არიან. ვიცი, ეს ბოიკოტი რისთვის მოგვიწყეს, არაფერი გამოუვათ! – დაასკვნა როსტომამ.

– ჩვენ დანარჩენ ბრიგადებსაც მოვივლით, საღამოზე კი თქვენი სტუმრები ვიქნებით. მაშინ გავარჩიოთ ყველა საკითხი, – წყნარად თქვა ზაქრომ და მანქანაში ჩაჯდა.

მანქანა ფერდობის გასწვრივ მიდიოდა, გზა ფარამ გადაუჭრათ.

– ნახე, რა კარგი ცხვარია, აგერ მცირე გოგიაც, – თქვა ზაქრომ და მანქანიდან ჩამოვიდა.

მცირე გოგია ძაღლთან ერთად მიდიოდა.

– კბენა ხომ არ იცის?! – დაუძახა კოტემ.

– კბენა რომ იცის, იმიტომ წამოვიყვანე, თანაც ყველაზე ჯანიანია, – ერთი დღის წინათ მგელმა დღისით მზისით მეზობლების ცხვარი მწყემსის წინ გახეთქა; ის უპატრონო, თურმე არც კაცს არ ეპუებოდა.

– თუ მაგ ჯანსა და კბენას მარტო მგლებისათვის ინახავს, კარგი ყოფილა შენი ძაღლი, – ფრთხილად თქვა კოტემ.

– ნუ გეშინიათ, თქვენ არ გერჩით! – მცირე გოგიამ დათვივით ზორბა და ბანჯგვლიან ძაღლს თავზე ხელი გადაუსვა.

– კარგი ცხვარი გყავთ, – შეაქო ზაქრომ.

– კარგი მაშინ იქნებოდა, საძოვრები რომ გვივარგოდეს, აბა გახედე, ცხვარი დარბის, ბალახი ვერ მოუძებნია.

– წავიდეთ! – ზაქრო მანქანაში ჩაჯდა.

– პაპიროსი არ გექნება? – კარებთან მიუდგა გოგია, სალონში შეიხედა. ვა, კომკავშირის უფროსიც აქა ყოფილა, გამარჯობა, მათე უფროსო!

– მცირე გოგიას სიცოცხლე! – ღიმილით უთხრა მათემ და ორი კოლოფი „კოსმოსი“ გაუწოდა.

– ეს სულ მე?! – გოგიამ გაიკვირვა. ერთი მაშინვე გახსნა, სიგარეტი ამოიღო, ორივე კოლოფი უკანვე მიაწოდა, – თქვენ აღარ დაგრჩებათ. ერთი ცეცხლი მომიკიდე, მათემ მოუკიდა და ასანთიც გოგიას მისცა.

– ვააა! რა ბედს ვეწიე, კაცო! – გაუკვირდა.

– აბა, კარგად იყავი, გოგი, საღამოზე გინახულებთ! – ზაქრომ მანქანა ადგილიდან დაძრა...

– სალამ ზოოტექნიკ ზაქროს, სალამ! – მიეგებათ მეხუთე ბრიგადის ბრიგადირი ალი.

– ალი, როგორა ხართ, ხომ არაფერი გიჭირთ?! – ზაქრო მანქანიდან ჩამოვიდა და ბინისაკენ გაემართა.

ბიჭები და ალიც მიჰყვნენ.

– რა უნდა გიჭირდეს, გენასვალე, არაფერი არ გიჭირდეს; ფერმის გამგე პართენა ყველაფერი მაიტანოს! – ალიმ სათავსოს გადარაზული კარი გააღო, – აგე, ქერი. კორმა, ბლომად გაქვს, თივა გაქვს, ნამჯაც გაქვს; ცხვარი კარგად გყავს. ფქვილი გაქვს, მაკარონი გაქვს, აი, სოტა შაქარი აკლია. შაქარი სოტა

არის, იქნება ზაქრო ზოოტექნიკოსმა შაქარი მოიტანოს.

– ღვინო გაქვთ? – ღიმილით ჰკითხა ზაქრომ.

– ღვინო არა სვამს ალი, არც სხვა ბიჭები დალიონ, ჩაი არის, შაქარი სოტაა.

– დოლი როდი დაგეწყება?

– ორ-სამ თვეში დაგეწყება.

– რამდენი ბატკანი უნდა მიიღო ას ცხვარზე?

– ზაქროს ვენასვალე, რაც მაიგებს, აქ არ იქნება, კასო? ზოგი მოკვდეს, ზოგი გაბერწდეს, ზოგი სად, ზოგი სად; ზოგი კიდევ დარჩეს და ალიმ გაზარდოს.

– შენი საკუთარი ცხვარი რამდენი გყავს?

– ასი სული.

– სტყუი, მეტი გეყოლება! – ზაქრომ თითი დაუქნია.

– შენმა მზემ, ალიმ ტყუილი არ თქვას, ზუსტად ასი სული დედა სხვარი გყავს.

– დანარჩენებს რამდენი ჰყავთ?

– რა გითხრა, კასო, ზოგს რამდენი, ზოგს რამდენი.

– კოლექტივისა რამდენია?

– კასო, დანარჩენი სულ კოლექტივისა არ არის?

– საკუთარი ცხვარი შვიდას სულამდე ხომ იქნება?

– იქნება, შენი ჭირიმე, როგორ არ იქნება.

– კოლექტივისა რაღა დარჩა! – თქვა მათემ.

– დარჩა, როგორ არ დარჩა, კასო, აბა რა მოუვიდა?! – გაიკვირვა ალიმ.

– ალი, რაც ქერი და კომბინირებული საკვები გაქვს თქვენს ცხვრებსაც აჭამე.

– შენი ჭირიმე, აბა, მაშ არ აჭმევ! კარგად გაბედულად აჭმევ.

– ეგ ძროხები ვიღასია? – ზაქრომ თავის ზვინზე მისეული ოცდაექვსამდე მსხვილფეხა დათვალა.

– ჩვენი ბიჭებისა, კასო, აქ სხვისას ალი არ მოუშვებს!

– ბრიგადაში რამდენი ხართ?

– რვა კასი.

– დანარჩენები სად არიან?

– მე აქა ვარ, მამედა და სადიხა ცხვართან, მუხთარა ფარეხში.

– დანარჩენები?

– დანარჩენები დავითხოვე, ერთი კვირაში მოვლენ, მემრე ჩვენ წავალთ, – ლაპარაკ-ლაპარაკში ფარეხში შევიდნენ.

– ალი, რატომ არ ასუფავებთ?!

– აგრე თბილად არიან, ერთ კვირაში ბიჭები მოვლენ და უცებ დაგიხვეტამ.

– ალი, ერთ ცხვარზე რამდენი მატყლი გაპარსე?

– აბა მე რა ვისი, კასო! ეგ ფერმის გამგე პართენა იცის.

– რამდენი ხორცი ჩააბარე არც ის იცი?

– რას მეხუმრები, ზაქრო, ხორცი მე საიდან ისი, კასო, ეგ ფერმის გამგეგ პართენა იცის; ჩემი საქმე სხვარი გარეკო და ისევ ბინაში მორეკო.

– წავიდეთ ახლა სხვა ბრიგადები ვნახოთ! შენი მეზობლები როგორ არიან?

– კარგად? ზალიან კარგად არიან! იმათაც შაქარი სოტა აქვთ.

მეოთხე ბრიგადის ფარეხის წინ უცნობი მწყემსი იჯდა და ჯოხს ჩორკნიდა.

– გამარჯობა! – მიესალმა ზაქრო.

– გაგიმარჯოს! – უპასუხა და ჯოხის თლა გააგრძელა.

– ბრიგადირი ჰასანა სად არის?
– ორი დღეა სახლში წავიდა.
– შენ ვერ გიცნობ, აქ საიდან მოხვედი?
– ერთი კვირაა აქა ვარ.
– რა გქვია?
– ყურბანა.
– აქამდე სად მუშაობდი?
– მეზობელი რაიონის კოლმეურნეობაში.
– ქართული კარგად იცი.
– ხუთმეტი წელია ქართველებში ვარ.
– რაღად წამოხვედი?
– ჰასანამ შამაგულიანა. იქ ოცდაათ სულზე მეტის უფლებას არ იძლეოდნენ, აქ ოთხმოცი მყავს; თავისუფლებაც მეტია.
– მოკლედ, სამოთხეში მოსულხარ, ყურბან.
– ჯერ არ ვიცი, მაგრამ აქ ჯობია, როგორც გვინდა იგრე ვართ.
ზაქროს მორიგ ბრიგადაში გავლა აღარ უნდოდა. კოტეს და მათესაც ხასიათი გაუფუჭდათ. ზაქრომ მაინც მიაყვირა ბრიგადის საცხოვრებელ ბინას, ვიღაცა გამოვიდა.
– ესეც ახალია, არა ვცნობ, – ჩაილაპარაკა. შენ ვინა ხარ? ჰკითხა მანქანის კარი გააღო და დაბლა არ გადასულა.
– ია პასტუხ.
– ამან კიდევ ქართულიც არ იცის.
– ატკუდა პრიეხალ?
– ია შამხორსკი, ვოსემ დნეი ზდეს.
– ნრავიტსია?
– ოჩენ დაჟე, სობსტვენნიე ოვცი იმეიუ.
ზაქრომ მანქანის კარი მიიჯახუნა და ადგილიდან დაძრა.
– თაფლი ნახეს და ბუზი შამქორიდან მოვიდა, – მათემ მწარედ ჩაიცინა.
მეექვსე ბრიგადის ბრიგადირი, გიორგი ხატიაშვილი საგრძნობლად გაღიზიანებული შეხვდათ.
– როგორა ხართ, გიორგი? – ჰკითხა ზაქრომ.
– აბა, როგორ უნდა ვიყო, ცხვრის საჭმელს ვინ ჩივის, ჩვენი საჭმელი არ მოაქვთ. მთელი თვეა ოთხნი ვართ, ვეხვეწები, ვინმე გამოგზავნე, დამახმარეთ-მეთქი. შეწუხებული დღეს ერთი კიდევ გაიქცა. მარტო მე ამ ჯანდაგების გატყავებას ვერ აუდივარ! – გიორგიმ ახლად გატყავებული ცხვრის ტყავი ბოძზე ჩამოკიდა და ხმას აუწია: – არ წავალ, მარტო რომ დავრჩე, არ წავალ! როგორც უნდა შამიშალონ ხელი, არ გავიქცევი! ცხვარში ჭიპი მაქვს მოჭრილი. ეს ოხერი საქმე მიყვარს, თორე რა სჯობდა შვილიშვილებთან შინ ყოფნას; მე არ მივდივარ, არც ეგენი ტყდებიან. სამჯერ შამამთავაზეს, ცხვარს თავი დაანებეო. პართენას და ტიტიკოს დაქირავებული ბრიგადირის დანიშვნა აქვთ გადაწყვეტილი. ჩემთან ძარცვას ვერ ახერხებენ, არადა, ბრიგადა მოსპეს. არ წაალ, ჯინაზე აქ უნდა მოვკვდე, აბა ვნახოთ, ვისი აჯობებს! – გიორგიმ გულის ჯავრი ამოიღო და ცოტათი დამშვიდდა.
ბიჭები გარს შემოეხვივნენ.
ზაქრომ კოტე და მათე გააცნო.
– აგაშენა შვილებო, ღმერთმა, თქვენ მაინც რომ მოხვედით, იქნება ზევით

მიიტანოთ ამბავი, აქ რა დანაშაული ხდება, თორემ ეგრე გადავშენდებით, ძნელი იქნება ჩვენი გადარჩენა. ეს შვილივით მოვლილი და აწყობილი მეცხვარეობა ხომ სულ დაიშალა, კარგი ხმები არც სხვა მხრიდან მოდის. იქნება საანგარიშო კრება, მოვალ და ჩვენი კოლექტივის ხელმძღვანელობას უნდა ვკითხო, რა უნდათ?! იქნებ რამე იციან, ჩვენც გაგვაგებინონ. მეცხვარეობა დაქირავებული მწყემსებით რომ გაავსეს, კოლექტივში აღარაფერი შადის, მარტო ჩვენი და დათას ბრიგადა უშველის საქმეს?!

– აბა, რა გითხრა, გიორგი, თუ პართენა გამოჩნდეს, არსად წავიდეს, უთხარი, დათა პაპას ბრიგადაში აუცილებლად მოვიდეს, იქ ველოდებით; შენც საღამოზე გადმოდი.

– პართენა სათოფეზე არ მეკარება, იმას როგორა ვნახავ, მე კი აუცილებლად გადმოვალ. იქნება ხუთიოდე მოზვერივით გამოუქნელი ბიჭი ნახოთ, იგეთ მწემსებს დავაყენებ, ერთ წელიწადში ბრიგადის ჩაბარება შაიძლებოდეს. დამეშურეთ, შვილოსა, თორემ მეც ამდენ ჯაფას და ნერვიულობას ვეღარ ავიტან; დაქირავებულები კი ცხვარს პირს საით უშვრებიან, ჩემი თქმა არ გინდათ, იგრეც კარგად ჩანს...

მანქანა ოღრო-ჩოღრო გზაზე მირახრახებდა. კრიჭაშეკრულები ისხდნენ. მუდამ ხუმრობის ხასიათზე მყოფი კოტეც გაკვირვებული იყო.

– ეგაც ჩვენი ნაქები მეცხვარეები! – ხელი ხელს შემოჰკრა და იქვე გზის პირას გაშლილ ფარას გაჰხედა. – პრესაში და რადიოთი ქვეყანას იკლებენ, წარმატებები ვეღარ დაუთვლიათ. ის დალოცვილები მთვარიდან ჩამოფრენილები ხომ არ არიან. ჩამოვიდნენ და რასაც ამბობენ, შაბანას ყურში უჩურჩულონ. ვახ, კაცო! ეს ქვეყანა ამდენხანს როგორ სძლებს ამ სიყალბის, თვალის ახვევის, სიცრუის და ათასი მანკიერების საძირკველზე! ესაც ეკითხება, გეგმა რა გაქვსო. ბიჭო, მე ერთხელ მოვედი და მივხვდი, რომ ის თქვენთვის არ მუშაობს, თავის გეგმას კიდევ შენ რაში გაგანდობს! – უცებ ზაქროს მხარზე დაარტყა ხელი, – კაცო თქვენ პატრონი არა გყავთ?! ბიჭო ჯერ ყაჩაღებად ქცეული თავკაცები დააბით, მერე მოიგონეთ დაინტერესების ისეთი ფორმა, გლეხი რომ დაინტერესებული იყოს, თორემ მუქთად როდემდის იმუშავებენ! – ცხარობდა კოტე.

– შენ ეს არ იცი? – დაიწყო ზაქრომ, – ერთმა კაცმა მეორეს სახეში სილა გააწნა, იმან ქვეყანა შეყარა, ამას რა დამავიწყებსო. წიხლს რომ ამოგკრავ ისო, უთხრა პირველმა. ადრე დაქირავებული მწყემსები სულ არ გვყვანდა. ერთხელ ერთმა მწყემსმა თავისი ხუთი ცხვარი მოიყვანა და ცოფი ვყარეთ, ეს როგორ შეიძლებაო, ახლა პირიქით არის და ნორმალური მდგომარეობა გვგონია, ყური ისე შეეჩვია.

– ვისი ყური შეეჩვია? შენი შეიძლება აგრეა, მე მაგ სიაში ნუ ჩამწერავ, თუ ძმა ხარ. ვისაც ხელმძღვანელი ჰქვია ხალხის ძარღვზე წურბელად არის მოკიდებული და წაღმა საგრიალებელ საჭეს უკუღმა ექაჩება, – ცხარობდა კოტე.

– რას იზამ, აქამდე მოგვიყვანა მოჩვენებითმა კეთილდღეობამ, მართალი სიტყვის დაწიხვლამ, ერთი უგუნური ხელმძღვანელის სისულელეებზე ტაშის კვრამ და სხვა მასზე აყოლილის გაპაპაჯორებამ, – გულისტკივილით თქვა ზაქრომ.

– ალვირის დაჭერაა საჭირო, თორემ რაც შორს მივდივართ, სულ უფრო ძნელდება საქმის გამოსწორება. ყველაზე საშიში კი ადამიანისთვის დამახინჯებული შეგნების სწორ კალაპოტში ჩაყენებაა. ზაქრო, თუ თამამად შეებრძოლები ამ უმსგავსებას, არ შეიძლება უშედეგოდ დარჩე, – ურჩია მათემ.

– მე ვინა ვარ, მე ვინა მკითხამს?! განმკარგულებლები და ძალის პატრონები სხვები არიან. მე მეტიჩრულად უნდა ჩავერიო, ვიბრძოლო, ვიდავო, თუ შეიძლება, ვუკბინო ვინმეს; მერე ყველა ერთად დაილესავენ კბილებს და შემჭამენ. მე მაგათ ვერ მოვერევი! მეც ხომ მაგათნაირი ვარ, – ზაქრომ ხელები გაშალა.

– ვისთან აპირებ ჭიდაობას, ნეტავ?! – გაიკვირვა კოტემ. შენ, მთავარმა ზოოტექნიკოსმა, რომ მოითხოვო, ის, რაც გევალება, ინტრიგა და კბენა გგონია? მართლის თქმა დანაშაული გგონია?! მე კიდევ უარეს გეტყვი, რაც აქ ვნახეთ, უბრალოდ, გაჩუმება და თვალის დახუჭვა, შეგუება, ღალატია! – ხმას აუწია კოტემ.

– ღალატი მისათვის არ არის, ვინც ამოუშვა ეს ჯინი ქოთნიდან! მე უნდა ჩავაბრუნო უკან ქოთანში, ზაქრო ხუცურაულმა?! გაიგეთ ხალხო, თევზი თავიდან ყროლს, არც მე ვარ ამ მხრივ ანგელოზი, მაშ! – ზაქრომ თავისი წილი ცოდვები არ დამალა.

– ბიჭო, ხომ იპარავენ, ხომ რაღაცას ახერხებენ, ბარემ იმდენი პროდუქცია შეიქმნას, რომ მოპარვა და უკანონობა საჭირო აღარ გახდეს, – დაასკვნა კოტემ.

– თუ ძმა ხარ, ვინც ეს უნდა გააკეთოს ის კმაყოფილია, მისი საკმარისი მოდის. ზოგისთვის უკვე კომუნიზმია, არ დათმობს ამ პრივილეგიას. კანონი, სამართალი, სოციალიზმის იდეების და ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვა იმათთვის ნიღაბია მგლის სიფათზე; ამის გამჟღავნებას ვის აპატიებენ! ზაქრო გულგატეხილი იყო.

– ნახე, დაარწმუნე, აუხსენი, თუ არ დაიჯერა, სააშკარაოზე გამოიტა; ბრძოლაც ეგ არის! – არ ცხრებოდა კოტე.

– ბიჭო, მე უფრო სერიოზული მეგონე, რა ფუყე ორატორივით ლაპარაკობ, თავისი თბილი ადგილით კმაყოფილს არაფრის გაგება რომ არ უნდა, დემაგოგიით და მყვირალა ლოზუნგებით სიმართლეს ბურუსში ხვევს. მაშ ვერა ხედამ რა ხდება?! მარტო მე ვინა ვარ?!

– შენ დაიწყე, მერე ვინმე მოგეშველება.

– ჰოდა, ჩემი წუხილიც ეგ არის, სანამ პეტრე მოვიდოდა, პავლეს ტყავი გააძრესო, თუ პირიქით, მოკლედ ტყავი კი გააძრეს და.

– ეგეც შეიძლება მოხდეს, – უწინასწარმეტყველა კოტემ.

– მაშინ არა ყოფილა, ზაქრო ხუცურაულო, შენი საშველი და ეგ არის! მე კი მორჩა, სანამ ზოოტექნიკოსი ვარ. ამ მაიმუნობას აღარ შევეგუები; სადაც წერილია იქ დაწყდეს! ზაქრომ გაზს მოუმატა და მანქანა მტვრიან გზაზე გააქროლა.

– ნახე, ერთი გადაწყვეტილებით რამხელა შვება იგრძენ, შედეგსაც რომ მიიღებ, მაშინ ფრთები შეგესხმება, – წააქეზა კოტემ.

– ე, შვილოსა, ჩვენ რაღაცას ვფაფხურობთ, დღევანდელმა ქვეყნის თავკაცებმა კი, მოხვეჭაზე აიღეს გეზი. ფეხებზე ჰკიდიათ ქვეყნის და ხალხის ინტერესები. სიტყვით კი, გაგიხარია, წმინდანობას იბრალებენ. სიმართლეს იტყვი, დედას აგიტირებენ. ამ გადარეულთა ყეენობას, შენც გადარეულივით უნდა აუწყო ფეხი, თორე შეგაგდებენ ვირის აბანოში; რა, გაკვეთილები არა გვაქვს თუ...

– მიდი, გაფრინდი უგზო-უკვლოდ
არა გაქვს ქროლვა,
თუ შეიჭმები კაცურ კაცად
შერჩები ხსოვნას!

კოტემ ექსპრომტად წაიღიღინა.

– თუ შავიჭმები, ეგ ჩემს სასაფლაოზე დააწერეთ, – ზაქროს გული აუჩუყდა.

– შენს საფლავს ეს ტექსტი მოუხდეს იქნება:

– წახვედი ჩვენგან, ვერ გაექეც მუხთალ განაჩენს,
ვინც შენ შეგჭამა, გწამდეს ვეღარ შეჭამს დანარჩენს!

– ცოტა უფრო ოპტიმისტურია, – გაამხნევა კოტემ.

– იგრე აგიდგა გვერდები, რამდენი ოპტიმისტური ეგ ლექსი იყო! ბიჭო, იქ ამბობ, თუ შეიჭმებიო, აქ კი ამბობ უკვე შეგჭამესო; ის პატარა იმედიც მამისპე! ზაქრომ ნაშრომი დაუწუნა.

– მაშინ იქნებ ეს მოგეწონოს?

ხალხზე ზრუნვისთვის წაქეზება
არა გჭირდება,
ცხელი გული გაქვს, თვით საფლავშიც
არ გაცივდება.

– იცოცხლე, კარგი არის, მაგრამ ამააგდე ეგ ოხერი საფლავი, სანამ ცოცხალი ვარ, უმაგისოდ მამყოფე; ბოლოს სულ ერთად არ ვიქნებით?! – ზაქრომ ტექსტში შესწორება მოითხოვა,

გმირიც ჩვენსავით უბრალო
და წრფელი კაცია,
მაგრამ გრძნობები ჩვენზე
უფრო ცხელი აცვია,
დიად საქმისთვის თავს გასწირავს,
არ იცის დაღლა,
რომ ცა სპეტაკი და ნათელი
ხარობდეს მაღლა.

– არც ეს მოგწონს? – შეეკითხა კოტე.

– კარგია, მაგრამ მე რა შუაში ვარ?

– შუაში იქნები. შენს საქმეს კაცურად რომ მოემსახურები. – დაასკვნა კოტემ.

მანქანა, ახალგაზრდების ბრიგადას მიუახლოვდა.

მათკენ უკვე გამორბოდნენ ძაღლები...

ბრიგადაში დიდი ფუსფუსი ჰქონდათ. როსტომა ჭრელაშვილს ჭედილა ჩამოეტყავებინა, დათა პაპა ვახშმის სამზადისში იყო; დანარჩენები ცხვარს აბინავებდნენ.

– ეს რამხელა ჭედილა დაგიკლავს! მე ყველაფერი ჩამოვიტანე, – უსაყვედურა ზაქრომ.

– ჩვენია საკუთარი, ათი გავზარდეთ სასტუმროდ, ნამატის გეგმის გადაჭარბებაში პრემიაშია მიღებული. მეტი გვეკუთვნოდა, მაგრამ გაგვიმტყუნდნენ, როგორც აწყობთ, იგრე ჭრიან და კერავენ. შეპირება ფეხებზე ჰკიდიათ; ისედაც გაძვალტყავებულ წახალისებას აქრობენ, – მოიჩივლეს ბიჭებმა.

მეოცნებე სერიოჟაც დაბრუნებულიყო სოფლიდან, ხარჯი ჩამოეტანა. ოთახში ფარნები აანთეს, სუფრა გააწყვეს.

თამადად როსტომა აირჩიეს, მანაც პირველი ჭიქით დათა პაპა adლეგრძელა.

– მაპატიეთ, მაგრამ მე მინდა ვრცლად მოგიყვეთ იმ დიდ ღვაწლზე, რაც დათა პაპას მიუძღვის ჩვენს მიმართ, მეოცნებე სერიოჟა ფეხზე ადგა და სიტყვის სათქმელად მოემზადა.

– მაიცა შვილო, ჟორა, მაიცა! დათა პაპამ შეაწყვეტინა, ამ მაღლიან სუფრას ნუ გააფუჭებ; ეგრე სუფრასთან ქება, ლანძღვაზე უარესია. შენ ტიტიკოს პურმარილი ხო არა გგონია, პირში მაქებარნი და პირსუკან მაგინებელნი სიცრუით

რომ ძღებიან. ჯერ რა ნამუსია, თუნდაც გაკეთებულის გამო ქებას რო ისმენ, ახლა კიდევ თუ ზედმეტს გაბრალებენ, ამაზე დიდი ლანძღვა რა უნდა იყოს. ნუ აკადრებთ შვილებო, დათა პაპას და ნურც თქვენ მოუსმენთ ეგეთ კაცს; არ მეკადრება თქვენგან ეს. მე ჩემი ცხოვრების გზა გამივლია, რაც არ უნდა მითხრათ არ დამეჯერება, მაგრამ რომელიმე თქვენს ამხანაგს ქება რომ დაუწყოთ, გაფუჭდება, ვეღარ გაზომავს თავის საქციელს! თუ კაცისათვის კარგი გინდათ, პირში უთხარით ის, რა ნაკლიც აქვს. იგრე უნდა ემწვავოს ნათქვამი, რომ იმ ნაკლის განმეორება ყურებში მათრახივით მოხვდეს. ვისაც ადამიანისთვის კარგი უნდა, ეგრე იქცევა სწორედ. მდარე და ვერაგი, თილისმა და მამაძაღლი კი, კაცს ქებას დაუწყებს, სიფხიზლეს მოუდუნებს, თავის თავზე ყალბ წარმოდგენას შეუქმნის, დააბნევს, დაარეტიანებს, მოჩვენების ობში და ნისლში გაახვევს და ერთ მშვენიერ დღეს გათავხედებული ვირივით მგელს შეაჭმევს. ენაზე წიწაკა უნდა გქონდეთ მოყვარისა და მეგობრისათვის, რომ არ მოეშვას და ობი არ მოეკიდოს; თქვენნაირ მშრომელ და სატევარივით პირდაპირ ბიჭებს ეს არ უნდა გეშლებოდეთ! – სადღეგრძელოსთვის მადლობა! თქვა და ჭიქა სვენებ-სვენებით დალია. – დალოცვილი ღვინო ჩანს, აგაშენოთ! – დააყოლა და დიდი ულვაშები მარჯვენა ხელის გულით მოიწურა.

მეოცნებე სერიოჟა დარცხვენილი იდგა, ხელში სავსე ჭიქას უხერხულად ატრიალებდა, ბიჭებს თვალი მოავლო, თითქოს უნდა ეკითხა, რა გავაკეთოო; ყველას გამოეცალა ჭიქა და ახლა უსიტყვოდ ჭამდნენ.

– დალიე, შე უპატრონო! როდემდე უნდა იდგე ეგრე სარგადაყლაპულივით! – ბომბორა ვახომ მხარი გაჰკრა.

– დიდხანს სიცოცხლე და ჯანმრთელობა დათა პაპას! ყველამ რო შენნაირად ექვსი მწყემსი გაზარდოს, თანაც საქმის ერთგულები, რაღა გაუჭირდებოდა ჩვენს მეცხვარეობას! – ღვინო დალია და დაჯდა.

– როგორ ეშმაკურად აქვს აზრები აწყობილი, დათა პაპა ადღეგრძელა და თავისი თავი კი აქო. საქმის ერთგულმა სერიოჟამ, – დასცინა ბომბორა ვახომ.

გარეთ ძაღლები აყეფდნენ, მალე ფანჯრიდან მანქანამ შემოანათა.

– გადი, გაიგე, ვინ მოვიდა, ძაღლებმა არ შეჭამონ! – დაავალა როსტომამ ვახოს. სანამ ის ადგებოდა მეჩონგურე ლადო ოთახში ფერმის გამგე პართენას და ბრიგადირ გიორგის შემოუძღვა.

– ვინც მოვიდა, გაუმარჯოს! – ყველამ დაიძახა.

– ჩხირი კედელს, ვირი მჭედელს! – მცირე გოგიამ დააყოლა, წამოხტა და ჩხირის ძებნა დაიწყო.

სანამ ესენი ჩოჩქოლობდნენ, მეჩონგურე ლადომ დათა პაპას სადღეგრძელო თქვა, ღვინო ყელში გადაუშვა და კარებისკენ გაემართა, – მწვადსა ვწვავ, თითებს ჩაიკვნეტავთ, მწპაა! – ხელხე იკოცა და გარეთ გავიდა.

– რა ქენით გიორგი, მორიგდით? – ჰკითხა ზაქრომ.

– ჯერ არაფერი მითქვამს, ძალათი ჩავუჯექ მანქანაში და აქეთ წამოვიყვანე, – ლუკმის ღეჭვით თქვა გიორგიმ.

– რატომ არ უნდოდა წამოსვლა, ჩვენ რა, წყალგაღმა ვართ? – იკითხა დათა პაპამ.

– თქვენთან საქმე აწყობილი მაქვს, ვისაც უჭირს, ხშირად იმასთან მივდივარ, – პართენამ თავი იმართლა.

– გაჭირვებას თვალიც დასდგომია, ისევ იმათ გაუჭირდეთ; საქმე კი სადაც აწყობილი გაქვს, იქ დადიხარ სწორედ, ჩვენთან მოსვლა არ გაწყობს! – როს-

ტომამ მწყემსური უშუალობით მიახალა.

– ეგრეა სწორედ, ეგრე! – დაუდასტურა გიორგიმ, – ჩვენ რაში გჭირდებით, ყველა მაიმუნობას ვუგებთ და თავის ოინბაზობასთან არ ვუშვებთ; დაქირავებული მწყემსები ურჩევნია, საითაც უნდა, თავს იქით უგამს, – დაასკვნა.

– მაინც რაში მემდური? – ჭამა გააჩერა და გიორგის მიაჩერდა.

– სუყველაფერს ნუ მათქმევინებ, პართენ, ძალიან ბევრია, ვერ დაძრამ, – გააფრთხილა გიორგიმ.

– თქვი, მე არ მეშინიან! იქნება მეც მაქვს სათქმელი, რომ ვერც შენ და ვერც როსტომამ ვერ დასძრათ! – დაიმუქრა პართენა.

– კარგი, მაშინ მე ჩემსას ვიტყვი, შენ შენი თქვი, აგერ ზაქრო ზოოტექნიკოსი, რაიონის კომკავშირის უფროსი, ამათ გაარჩიონ მტყუანი და მართალი.

– ჩვენი ავის და კარგის გამრჩევი ტიტიკო გლახოევიჩია! – დაასკვნა პართენამ.

– ვერ გიშველის ტიტიკო, ძალიან დამძიმებული ხარ, ფრთხილად იყავით, ცოდვებმა ერთად არ დაგძიროთ! – ხმა აიმაღლა დათა პაპამ.

– შენც ამათ ჭკუაზე წახველ? – პართენა დათა პაპას მიუბრუნდა.

– მაგათ ჭკუაზე კი არ წაველ, ყველას ერთნაირად გვტკივა გული და ვცდილობთ, იქნება გეშველოს და ბოლომდე არ გაფუჭდე! – გაარკვია დათა პაპამ.

– რაში მემდურით, რა არ მოგწონთ?! – გაბრაზდა პართენა.

– ას ცხვარზე ოთხმოცდათერთმეტი ბატკანი გამოვზარდეთ, მატყლი ყველი და ხორცი ათმაგად გადავაჭარბეთ, ნამჯა და ბალახი არ მოგაქვთ, სილოსზე ზედმეტია ლაპარაკი, ძაღლის ჯერი რა  არის, ისაც არ მოგაქვთ, ჩვენს საჭმელს ვილა ჩივის! ახლა მე გეკითხები: რაში გვემდური, ეგრე რომ აგვიქნიეთ ხელი? ზომაზე მეტს რომ არ გაპარინებთ და წილს რომ ვთხოულობ გადაჭარბებისათვის, იმიტომ?! – როსტომამ თავისი ბრალდებები ჩამოათავა.

– კაცო, რატო ვერ გაგიგიათ, სხვებს უფრო უჭირთ და იმათ ვეხმარები. თქვენ რა დახმარება გინდათ, საქმე იგრეც კარგად გაქვთ! – თავი იმართლა პართენამ.

– ბიჭო, ეს ორი ბრიგადაღა დაგრჩა ნორმალური, დანარჩენები დაქირავებული მწყემსებით და საოხრო ცხვრებით გაავსე. კოლექტივისა იქ არაფერია, იმათ თავპირსაყრელად ამარაგებ, იმათ ას ცხვარს უნახავთ, ჩვენ ათი რომ გვყავდეს, იმდენს გვაწერებთ შენახვისას, რომ აზრი აღარ აქვს. რატომ იმათ არ აწერებთ შენახვისას?! ხალხი გარბის, ცხვარში აღარავინ მიდის. ვისაც ნამუსი დაგვრჩა და სიყვარული გვაქვს ამ დალოცვილი საქმისა, იგეთ დღეში გვაგდებთ, საკუთარი თავი შეგვძულდა, რათა შერებით შვილოსა ეგრე. ვინ გაწყენინათ?! – გიორგის კიდევ უნდოდა რაღაცის თქმა, მაგრამ დათა პაპამ აღარ დააცადა.

– ვინ აწყენინა და საკუთარმა სინდისმა. შენ შვილოსა, მამაძაღლობას ვერ აუდიხარ და ეგრე საქმის გაკეთება ვინ გაიგონა, ეგრე მარტო საქმის გაფუჭება შეიძლება და აფუჭებ კიდევაც! – დათა პაპა დინჯად ლაპარაკობდა, მაგრამ ეტყობოდა მოთმინების ფიალის ავსება.

– ჩვენი კოლექტივის ცხვარ-მეცხვარეს გაუმარჯოს! – როსტომამ პართენას ხმის ამოღება აღარ დააცადა.

ბიჭებმა გრძელი სიტყვების თქმის გარეშე გამოსცალეს.

– შენა და ტიტიკომ სამჯერ მირჩიეთ, მეცხვარეობას თავი დაანებეო, კარგი, მე წავალ, ვინ უნდა მაიყვანოთ ჩემს მაგიერ? ხომ არ გგონიათ, ცხვარში

ყოფნა მეხალისება, მაგრამ, თქვე უღვრთოებო, გული მტკივა, წლების განმავლობაში ნაფერები და აწყობილი საქმე ვის ხელში ჩავაგდო?! მაიყვანთ ვიღაც ალიას და მუსიას, ერთ წელიწადში ყუაზე დაიყვანს რაც კი ამდენი ხნის ოფლის ღვრით აგვიწყვია, მერე მე რა ვთქვა? რას ვემსახურე-მეთქი მთელი სიცოცხლე?! ბიჭო, შენც მწყემსის ჯილაგისა არა ხარ? იორმუღანლოელ რაშიდას ათას მანეთათ რომ აძლევ ჩემს ბრიგადას და შენს კაცურ-კაცობას! – გიორგის სიბრაზე თანდათან ეუფლებოდა.

–ეგ ვინ გითხრა? – პართენას ყურები აუწითლდა.

– თვითონ რაშიდა იყო ჩემთან, როდის მიდიხარ, ჩემი ბიჭებით უნდა მოვიდე, თქვენები სუყველა წავიდნენ, დროზე ქენით, ცხვარი ვერსად წამიყვანიაო. კიდევ სხვა ბევრი რამეც თქვა, როგორ ყიდით ნამუსს და თქვენს ხალხს! – გიორგიმ ხმას უფრო აუწია.

– ნეტავ რას მემუქრები, აგერ, ზაქრო აქ არ არის, როგორც ესენი ამბობენ, იგრე ვაკეთებ! – პართენამ ზაქროზე მიუთითა.

– მე გავალებ, რომ დაქირავებული მწყემსები მოიყვანო და ადგილობრივი გაყარო?!

– ბიჭოს, უფროსები თქვენა ხართ, მე პატარა კაცი ვარ, – დაასკვნა პართენამ.

ზაქრო აფეთქდა! – შე შობელძაღლო, მე როდის მეკითხები, რას აკეთებ აქ, თანამონაწილედ რომ გამიხადე! ტიტიკოსთან სამჯერ მიჩივლე, მუშაობაში ხელს მიშლისო. ტიტიკომაც ფერმის გამგეები ძალიან კარგად მუშაობენ, შენი საქმე არ არის მწყემსებს დაიქირავებენ თუ არა, შენ იმათ ფუნქციებში ნუ იჭრებიო, – ზაქრომ პართენას შეხედა, იმან ხმა ვერ ამოიღო, – კარგი, ამ ხალხს რათ უშლი ხელს, შენს ჭკუაზე რომ არ დადიან, იმიტომ?!

– ჩემი ჭკუა საქმის მოთხოვნაა! – გამომწვევად თქვა პართენამ.

– საქმის მოთხოვნაა, აბა რა, ცხვრის და მატყლის დატაცების საშუალებას რომ არ გაძლევთ, იმიტომ შაგძულდით, – უთხრა როსტომამ.

– ოთხასი სული ცხვრის ტყუილი გაგრილება გააფორმე, რომ არ დაგთანხმდი, წილი შამამთავაზე, ჩემთან რომ არ გამოგივიდა, ის ხერხი ალიას ბრიგადაში გამაიყენე – აი, რატომ არ გინდივარ, – გიორგიმ თითი დაუქნია.

მეჩონგურე ლადომ და პართენას მანქანის მძღოლმა მწვადები შემოიტანეს. შამფურები სუფრაზე დააწყვეს.

– ზაქრო, ეს ბუნტი სულ შენი ბრალია, იცოდე, მოგეკითხება! – პართენამ სხვებს პასუხი რომ ვერ მოუძებნა, ზაქროს დაემუქრა.

– სიმართლის თქმა ბუნტია?!

– მეცხვარეობაში ხელს ვერ აურევ, ძალიანაც გინდა რომ ჩემი საქმეც გაფუჭდეს, ვერ მოგართვი! მარტო ესენი ხომ არ არიან, ექვსი ბრიგადა სხვაცა მყავს.

– ექვსი ბრიგადა მოსპე, ამათ ვერაფერი მოუხერხე და იგრე ექცევი, დაანებონ თავი და გაიქცნენ; უწინ შენ წახვალ, ვიდრე ამ ბრიგადებს მოსპობ! – დაასკვნა ზაქრომ.

– მოხვალ ტიტიკო გლახოევიჩთან და იქ გამოჩნდება ვინ წავა; შენ თავში რაღაცა აგივარდა! – გაცხარდა პართენა.

– თავში ის ამივარდა, რომ ამდენ უსინდისობას ველარ ვითმენ!

– ნაკელი გიფუის და სინდისი გგონია! – პართენამ ნათქვამი შეუსწორა.

– შენ მართლა ნაკელო! ძნელია გამოსწორდე!

– ნაკელის ხმა მესმის!

– ამაზე უკეთესს ვერაფერს ვიღონებ! – ზაქრომ სილა გააწნა.

პართენა წამოხტა, კარებისკენ გაიქცა.

კარებში როსტომა ჩაუდგა.

– მიდი, დაჯექი, ჯერ შენთან კიდევ გვაქვს სათქმელი! გამომწვევად თქვა და სკამისკენ უბიძგა.

– რას მიპირებთ?! – პართენას ხმა გაებზარა.

– ცოცხალი გამატათ, სათვალავითა მყავს ჩაბარებული, – მძღოლმა მათ თავისი მოვალეობა შეახსენა.

პართენამ თავხედობა დაკარგა, მორჩილად დაჯდა თავის ადგილას.

– ბიჭო, შე უღმერთო, მამაშენიც მწყემსი იყო, ნამდვილ მეცხვარედ ითვლებოდა, ნამქერმა დაახრჩო. მთაში რამდენი ავდივარ, იმ ადგილზე შესანდობარი რომ არ დავლიო, არ იქნება. შენ შეიძლება მამაშენი არც გაგხსენებია, ამ ბიჭებმა კი თავიანთი ხელით იქ დიდი სამახსოვრო ქვა მიაგორეს და ზედ წარწერა გაუკეთეს. იგრე არ ავიყრებით იქიდან, რომ იმის სულის სახსენებელი ჭიქა არ გადავაქციოთ. პატივსა სცემენ იმ ხალხის ხსოვნას, ამ დალოცვილ საქმეს რომ შეეწირნენ; თვითონ ბიჭებიც ხომ მეცხვარეობაზე შეყვარებულები არიან. ბიჭო, მეცხვარეობას ჭირად რომ ექეცი, ეს ყველამ ვიცით, იმ ცხონებული მამაშენის მომგონებელთ რაზე სპობ, იმას იქ შესანდობარს ვიღა დაულევს და განა მარტო ის ერთია?! რამდენი კარგი ვაჟკაცი დაგვრჩა ჩვენ გზაზე, იმათ პატრონი არ უნდათ? შე უღმერთო, ვის ხელში აგდებ მათ ხსოვნას?! ჰაი, დედასა, სად არის ახალგაზრდობა, თორემ შენ ხანჯლის წვერზე გაქვს ადგილი, შე არგასაზრდელო! – დათა პაპა თავს ვეღარ მოერია, უბიდან დიდი ბაღდადი ამოიღო და თვალებზე მომდგარი ცრემლი მოიწმინდა.

– ახალგაზრდები კიდევ ჩვენა ვართ და არც ხანჯლის ტრიალი გვეშლება, დათა პაპავ! – ისე წამოიწია ბომბორა ვახომ, თითქოს ხანჯლის აღებას აპირებსო.

პართენა თავჩაღუნული იჯდა, დათა პაპას სიტყვა ყველაზე მგრძნობიარე გულის ძარღვზე წამოედო, ისე მტკივნეულად მოქაჩა, კინაღამ გაუწყვიტა, იჯდა პართენა და სწორედ იმ სიმივით აჟღერებულ გრძობას უგდებდა ყურს.

კოტე ადგა, ხელში სავსე ჭიქა ეჭირა.

– მე მაპატიეთ, კადნიერებას რომ ვბედავ, მინდა თამადას ვთხოვო, ერთი სადღეგრძელოს უფლება მომცეს, ისევ კარებთან მდგომ როსტომას გახედა და დაიწყო: – მოდით მეგობრებო, პართენას მამის თამადობით, ბოდიშს ვიხდი, სახელი არ ვიცი, – გიგა ერთქვა, შვილო, იმ დალოცვილს, – სიტყვა მიაწოდა დათა პაპამ. – გიგა ძიას სახით, ყველა იმ მეცხვარის შესანდობარი დავლიოთ, ვინც ამ სამამულო საქმეს შეეწირა. წარსულში დარჩნენ, მაგრამ მოამავლის სხივად და იმედად ხსოვნას არ სცილდებიან. იმათ მომგონებელ მწყემსებს გაუმარჯოს! ხელი შეახმეს ძირში, ვინც ამ სამამულო რქის მოჭრას ეცდება! – კოტე ღელავდა, სიტყვის გაგრძელება ვეღარ შეძლო, ყელში ბურთი აწვებოდა და თანდათან უფრო იჭედებოდა; ჭიქა მოიყუდა და სურნელოვანი ღვინით გააქრო მოძალებული ბურთი.

სადღეგრძელოს ჯერ-ჯერით სვამდნენ, ყველამ რაღაც თქვა, ყველამ რაღაც გაიხსენა, ყველამ თავის წილად პირობა დადო, რომ ამ საპატიო და ვაჟკაცურ საქმეს სიყვარულით ემსახურებოდა.

პართენა თავჩაღუნული იჯდა. სადღეგრძელო რომ ჩაათავეს, ჭიქა აიღო და უცებ, სულმოუთქმელად გამოცალა.

ქეიფი გაგრძელდა. საუბარი სხვა თემაზე გადაიტანეს, გამხიარულდნენ, პართენამ უცებ ამოიღო ხმა:

– ერთი თვის შემდეგ ჩამოდით და თუ რომელიმემ ჩემზე საყვედური თქვას, ჩემი ხელით გამოვიჭრი ყელს!

– იცოდე, დიდი ბრძოლა მოგიწევს, შეიძლება შაიჭამო კიდევაც, ხომ იცი რაზეც გეუბნები?! – გააფრთხილა ზაქრომ.

– შავიჭმები და შავიჭამო, მაგის დედაც ვატირე! დღეს აქ ერთი სიცოცხლე გავათავე, დათა პაპავ. იმ მამაჩემის სულსა ვფიცავ, არ მოგატყუებთ! – პართენას ნერვიულობისაგან ხმა ჩაუწყდა, ჭიქა აიღო და სულმოუთქმელად დალია.

## ყეყეჩი მოძღვარი, კუდქიცინა ამალა და მორჩილი მრევლი

**ამბაკო** რაიკომის პირველი მდივანი, შეიძლება კაცი გადაირიოს ამხელა წარმატებით. არადა, ვინ იფიქრებდა საბუღალტრო ტექნიკუმდამთავრებულ ამბაკოს ასეთ აღზევებას, საანგარიშოზე მიმატება და გამოკლებას ვერ ახერხებდა, გამრავლება-გაყოფას ვიღა ჩივის. ყველა თავში უფაჩუნებდა, მალე ბუღალტერიიდან გაგდება არ ასცდებოდა, დროზე უშველა თავს, საქართველოში ხელმოცარულ ავანტიურისტს შეუერთდა და ტამბოვის გუბერნიაში სცადა თავისი შესაძლებლობანი; გაუმართლა დევებთან მოხვედრილ ნაცარქექიასავით. მეურნეობის დირექტორობაზე გაქაჩა მისმა ნაცრით შენელებულმა სიტყვის ძალამ. ბოლოს მიუხვდნენ რა ჩიტიც იყო, პარტიაში შემძვრალს ქალის გაუპატიურებაზე მიარტყეს საყვედური, მეორე მეურნეობის უთავბოლო ხელმძღვანელობისათვის მიიღო; პანღურის მიღებამდე ერთი ამოსუნთქვაღა იყო. ამბაკოს ბარგი შეკრული ჰქონდა, სხვა ოლქში გადასაფრენად, აბა საქართველოში ასეთ წარმატებულ დაბრუნებაზე რას იფიქრებდა.

სასწაული მაინც მოხდა. საქარველოში ედუარდ ამბროსევიჩმა პარტიის ცეკას პირველი მდივნობა მოინადირა, წინ დიდი ასპარეზი გადაეშალა საქართველოს და ქართველი ხალხის ამაყი ხასიათის მოტეხა-დაბეჩავებაში. ჰოდა, ისროლა პირველი ლოზუნგი, საქართველოში პატიოსანი კადრების გადაშენებისა და რუსეთში გადახვეწილ ქართველთა ხელმძღვანელ პოტსზე დაბრუნების შესახებ. ამით ერთი გასროლით ორი კურდღელი დააქამანდა: პირველი ის, რომ მოსკოვში ბებერ ბღენძებს ასიამოვნა, მეორე, ეს ათას ეშმაკზე გადამხტარი ავანტიურისტები, რომელთაც ასეთი პატივი დასდო, სიტყვის შეუბრუნებლად შეუსრულებდნენ ყოველგვარ ილეთს, რასაც მიწერა, თვალის ახვევა, კომბინაცია, გაყალბება და არასასურველი პირთა მოშორება ჰქვია. გაუღიმა ამბაკოს ბედმა, მეურნეობიდან გაგდების ნაცვლად საქარველოში, მოანგარიშეობა კინაღამ რომ არ აუკრძალეს, რაიკომის მდივნად გამოიჭიმა. უცნაურია ბედი ადამიანისა, მასხრობაც თავშესაქცევი იცის.

ამბაკოს ქებამ ისეთი თავბრუ დაახვია, ისედაც მცირელიტრაჟიანი ტვინი მარტო ორთქლის გამოშვებას თუ ასწრებდა. უყვარდა ხალხით გაჭედილ, დიდ დარბაზში ჯდომა. ეგონა, მორჩილი მრევლი და კუდქიცინა ამალა ამბაკოს პიროვნულ თვისებებს და მის გენიალური ტვინის გამოსხივებას სცემდნენ თაყვანს. ვერ მიმხვდარიყო, რომ ძლიერ სკამზე პაპუასების ბელადივით გამოჭიმული ამბაკო გულს ურევდა მის მაყურებელს, მაგრამ ისევ ამბაკოს მიერვე შერყვნილი სკამის შიშით, პირმოთნედ ითმენდნენ ყოველივეს.

ახლაც გაფართოებული თათბირი მიმდინარეობს, მევენახეობის საკითხზე

რაიონის მთავარი აგრონომი მოხსენებას აკეთებს. ამბაკო ზის და თევზის მზერა ჭერისთვის მიუბჯენია, დროდადრო ორი თითით პირიდან კბილებში გაჩრილ ხორცის ნაჭრებს იღებს და უმისამართოდ ისვრის; სამაგალითო და ბრძენი ამბაკო რაიონის მშრომელებს მაგალითს აძლევს. უცებ წამოვარდა სკამიდან, მომხსენებლის ნათქვამი არ მოეწონა, ყვირილით დაიწყო:

– მოუფიქრებლები ხართ, არავითარი აზროვნების უნარი არა გაქვთ; სულ ხომ მე არ გეყოლებით, რომ სწორ გზაზე დაგაყენოთ და ბრძნული რჩევა მოგცეთ?! რამდენი მევენახე სპეციალისტია, თქვე კაი კაცის შვილებო, ამბაკო სიმონიჩამდე ვერ უნდა მოიფიქროთ, რომ ვაზს ფოთოლი არ სჭირდება?! ჩვენ მხოლოდ ყურძენი გვინდა, არადა, ჭრაქი ვაზს ფოთლიდან უჩნდება, გააყრევინეთ ფოთოლი, აღარც ჭრაქი გაუჩნდება და ყურძენიც ამოისუნთქებს, – დაამთავრა ბრძნული დამოძღვრა და თვალები დააჭყიტა; სწორედ ახლა ელოდა აღფრთოვანებული მრევლის მიერ სადიდებელ ოვაციას.

დაბნეული მაამებელნი ენაჩაყლაპულნი ისხდნენ, მათაც ამბაკოსავით დაეჭყიტათ თვალები, ვერაფერი მოეფიქრებინათ, როგორ მოქცეულიყვნენ. ამბაკოს ბრძნული აზრის ოპონენტობა თვითმკვლელობას უდრიდა, ედუარდ ამბროსევიჩის მიერ გამოგზავნილი კაცი ვისაც ედუარდთან დააბეზღებდა, წასული იყო მისი საქმე, წვრილფეხობას კი თვითონ უგრეხდა კისერს.

იჯდა თვალებდაჭყეტილი ამბაკო და მისჩერებოდა ყბადაღებული მრევლი.

– საოცარი წარმოსადგენია, უფოთლო ვაზი როგორ ყურძენს დაისხამს, – ჩაილაპარაკა წინა რიგში მჯდომმა მევენახე ბრიგადირმა.

ეს ჩურჩული ამბაკოს სმენას მისწვდა, თავისი აზრის მხარდაჭერად ჩათვალა და მოჩურჩულეს მიაძახა: – ადექ, ხმამაღლა თქვი, ამათაც გაიგონ ვაზის ფოთლის გაყრევინების სიკეთე!

ბრიგადირი წელმოწყვეტილი წამოდგა. ეს სისულელე ვინმე უბრალო მოკვდავს რომ ეთქვა, თავს გამოუნადგურებდნენ, იმდენს ჩაუთაქებდნენ, მაგრამ ამას ამბობდა თვით ამბაკო სიმონიჩი. ბრძნად და ჭკუის კოლოფად რომ მონათლა მისმა კუდქიცინა ამქარმა ძლიერი სკამის და დაუნდობელი მფარველის შიშით. ახლა მთავარია დარტყმის ქვეშ არ მოყვეს, თორე, ბრიგადირობა კი არა, შეიძლება ველის მცველობა საოცნებო გაუხდეს, ვინ ჭკუათამყოფელი გააყრევინებს ვაზს ფოთოლს, არც ამბაკოს შეაშფოთებს მისი ბრძნული აღმოჩენის დაუნერგაობა. მთავარია აქ, ამ აუდიტორიაში მორჩილმა ბრბომ ჩვეულებისამებრ უნდა შეაქოს და მისი აღმოჩენა მეცნიერულ მიღწევად ჩათვალოს, ბრიგადირმაც დაზოგა თავისი ტყავი და გადაწყვეტილებამიღებულმა თამამად დაიწყო: – რაც მართალია, მართალია, ვაზის ფოთოლი კი არა, ჩვენ ნაყოფი გვჭირდება; ნაყოფის გადარჩენისათვის ყველაფერი უნდა ვიღონოთ. ახლა საჭიროა ვაზის ფოთლის გაყრევინების ნორმა დავადგინოთ, კოლწევრებს ერთი ჰექტარი ვაზის გატიტვლებისათვის რამდენი უნდა გამოვუწეროთ, – ამ ყეინობის თამაშში ბრიგადირმაც მასზე მიცემული როლი ღირსეულად შეასრულა.

არჩევანი უკვე მიღებული იყო, ახლა საჭირო გახდა ამ დიადი იდეისათვის თავის გამოჩენა.

– კარგი იქნება, კარგი, ვაზს ფოთოლი რად უნდა! – ახმაურდნენ.

– იქნებ ისეთი პრეპარატი გამოვიგონოთ, შევასხუროთ და ვაზს ფოთოლი გასცვივდეს.

– ოღონდ ყურძენს არ უნდა ავნოს.

– სკოლის მოსწავლეები გამოვიყვანოთ, ფოთოლს ხელად გააყრევინებენ.

– უკეთესი ხომ არ იქნება, თხები შევუშვათ.

საქმეზე მოლაპარაკე მომხსენებელმა შუაზე გაწყვიტა სათქმელი, ახლა კამათი ვაზის ფოთლის გაყრევინებაზე გაიმართა.

ამბაკო კი იჯდა, სიამოვნების საბურველში შემძვრალი ჭერს მისჩერებოდა და ამ გამოგონებით მოპოვებული დაფნის გვირგვინზე ოცნებოდა. სიყალბის და სიცრუის ბურანი ამ ქვეყანას უფსკრულისკენ მიაქანებდა და არავინ იყო აღვირის დამჭერი. პირმოთნეობის, მაამებლობის, მლიქვნელობის, საკუთარი ქონის და ნაჭუჭის კედლის გასქელებისათვის ყველაფრის კადრების არაკაცობა ადამიანობას ანადგურებდა.

ამბაკო ფრთების ამოსვლას ელოდა და ნერვიულობდა, რომ მისი დიდების დამსახურებული გამოვლინება ესოდენ აგვიანებდა. იგი სამკურნალო იყო, მაგრამ ამის ნაცვლად კიდევ უფრო უმატებდნენ მის დიდების ილუზიებში გაბლანდულ ტვინს მლიქვნელობის სამსალას და ამბაკოც სოფლის ჭკუასუსტივით დაჭენაობდა. პირმოთნე მეტაშეები კი ქება-დიდებას აფრქვევდნენ თავისი შემახილებით გადარეულ ისედაც მცირე გონების მარჩენალს. ამბაკოც ჭირვეული და აბეზარი ბავშვივით ახალ-ახალ ოინებს იგონებდა.

უკვე მთელი თვეა, რაც მისი ცოდვით სავსე კეთილის, თუ უკეთურობის მსურველმა დიდი საზღვაო ჭოგრიტი აჩუქა. ახლა ამბაკო დღეში ოცჯერ მაინც არბის რაიკომის შენობის ბრტყელ ჭერზე და ალაზნის ველს ათვალიერებს, იქ სარწყავი ფრეგატები მუშაობის დროს თეთრად გაწოლილ, გრძელი ჭიებივით მოჩანს. ამბაკო ამ თეთრ ჭიებს ითვლის და ანგარიშობს: – ოცდაათი ფრეგატიდან თორმეტი არ მუშაობს, – ბუტბუტებს.

გაცოფებული თავისი გრძელი ჭოგრიტით კიბეებზე ჩამორბის. ჰოლში და შესასვლელში შეგროვილი ხალხი გზას უთმობს. ამბაკო კაბინეტში შერბის და ფრეგატების სამმართველოს უფროსს ურეკავს: – ოცდაათი ფრეგატი რატომ არ მუშაობს, შე უსაქმურო! – ღრიალებს და მაგიდაზე მუშტებს უბრახუნებს.

– სულ ოცდაორი ფრეგატია, აქედან ოთხს ახლა ვარემონტებთ, დანარჩენი მუშაობს, – პასუხობენ ტელეფონის მავთულის მეორე ბოლოდან.

– მე შენ გეკითხები, რატომ ოცდაათი ფრეგატი არ მუშაობს?! – ღრიალებს.

ერთხელ ნათქვამს კიდევ უხსნიან. ამბაკო კი ოცდაათი ფრეგატის მუშაობას ითხოვს: – შენი დუხი არ იქნება, თუ ოცდაათი ფრეგატი არ აგიმუშავდება! – ღრიალებს ამბაკო და ლუარსაბის ურმებივით ითხოვს იმას, რაც არ იცის, რისთვის აკეთებს ამას. ამას მხოლოდ თავისი ძალის დემონსტრირება ახარებს, თორემ ფრეგატები ჭირსაც წაუღია.

ერთი საათის შემდეგ სახურავზე კიდევ არბის და სეირის მაყურებელთა მთელი ამალა უკან მისდევს. მალე ღრიალით ეშვება დაბლა და ფრეგატების სამმართველოს უფროსს გინებით დედ-მამის სულს უშფოთებს. ოცდაათის ნაცვლად ახლა თხუთმეტი მუშაობს, მთლად გადაირია ჭოგრიტომანია შეყრილი ამბაკო. რაიკომის სახურავზე ბინოკლით სირბილზე ანეკდოტები დადის, ამბაკოს კი ხელმძღვანელობის მეცნიერული მეთოდის დანერგვა ჰგონია.

ზის ამბაკო კაბინეტში, მდივანი გააფრთხილა, არავის არ მივიღებ, დიდი გეგმები მაქვს შესადგენიო. გარეთ, მოსაცდელში შეგროვილი ხალხი უცდის ამბაკოს დიდი გეგმების შედგენის დამთავრებას. ამბაკო კი ზის და ფიქრს აპირებს დიად გეგმებზე, მაგრამ, ეს ოხერი, ფიქრი ვერ მოუხერხებია, ამდენი ყალბი ქება-დიდებით ტვინის გაძვალება დაეწყო.

კაბინეტში სამგლოვიარო მუსიკის ჰანგები შემოიჭრა, ამბაკოს ადრეც გაუ-

გონია, იცის რას ნიშნავს ეს მუსიკა, რაიკომის შენობის წინ მოედანზე ამ პატარა ქალაქის მცხოვრებნი თავიანთ თანამოქალაქეს უკანასკნელ გზაზე მიაცილებენ. ამ მოედანზე გატარება დიდი ხნის ტრადიციაა, განსვენებულს უკანასკნელად ემშვიდობება პატარა ქალაქი სამუდამო საუფლოში დასამკვიდრებელ გზაზე.

ამბაკო ფეხზე წამოიჭრა, როგორ გაბედეს მისი ფიქრების ძაფის გაწყვეტა! გარეთ გამორბის. მერე პროცესიის უკან მიმავალ მედუდუკეებს გაეკიდა.

– ვის გაუგონია დუდუკებით მკვდარის გაცილება! – ღრიალებს.

რაიკომიდან მილიციაში რეკავენ, გამწარებულმა ჭირისუფლებმა ამბაკო არ გალახონ და ისედაც მოძულებულმა ქიზიყმა ედუარდის რისხვა არ დაიმსახუროს.

მილიციელები თავქუდმოგლეჯილები გამორბიან და ჭირისუფლებთან ამბაკოს შერკინებას ფრედ ამთავრებენ.

გაბრაზებულმა ამბაკომ მოედანზე გარდაცვლილის გატარება აკრძალა. პირადად აკონტროლებს ამ საქმეს. იცის, მკვდარი როდის უნდა გამოასვენონ და წინასწარ მოედანზე შემავალ გზებს სატვირთო ავტომობილებით ხერგავს. ამ პატარა ქალაქის მცხოვრებთ სიკვდილი ისე არ აწუხებთ, როგორც სასაფლაოს გზაზე სკილასავით მოღარაჯე ამბაკოსგან თავის დაღწევა.

ამბაკო რაიკომის პირველი მდივნისთვის განკუთვნილ ბინაში ცხოვრობს; აქ ცხოვრობდა ყველა ყოფილი პირველი მდივანი. ამბაკო სულ სხვაა; უნდა იცოდნენ, რომ ამბაკო ამბაკოა. ჰოდა, ვიღაც გაივლის ქუჩაზე და სწორედ მის სახლთან ხმამაღლა დაილაპარაკებს, ან გაიცინებს; ავტომობილი გაივლის და შეიძლება საყვირის მიცემა მოუწიოს. ამბაკო კი ამას ვერ მოითმენს, ამიტომ ერთ მშვენიერ დღეს ქუჩა გადაღობა. დილით სამუშაოზე წასულ მოქალაქეებს საღამოთი სახლისკენ მიმავალ გზაზე კედელი გადაეღობათ. ასე იცის ამბაკომ, ნურავის დაავიწყდება მისი აქ ყოფნა.

ამბაკოს კაბინეტი შენობის სულ ზევითა, მესამე სართულზეა. საერთო საპირფარეშო ამბაკოს როგორ ეკადრება და იგი კაბინეტის ახლოს მოიწყო. ერთი ახირებაც ახლავს ამბაკოს, პრიალა, ბრჭყვიალა საგნები უყვარს, ამიტომ იატაკზე კედლის კაფელი დააგებინა. ტუალეტში ზოგჯერ წყალი არ ყოფნის, ამიტომ ჭერზე ავზი დაადგმევინა და მის შესავსებად სახანძრო მანქანას იძახებენ. ახლა ამ პატარა ქალაქის მცხოვრებლებმა იციან, როცა სახანძრო მანქანა სირენების ღრიალით მოდის რაიკომის შენობისაკენ, ხანძარია, ამბაკო საპირფარეშოში იწვის.

მაამებელთა მიუტევებელი დაუდევრობაა, განა შეიძლება ამბაკოს საპირფარეშოს წყალი აკლდეს?! ერთი ინსტრუქტორი მიამაგრეს ამ საქმეს მოსაგვარებლად. ისიც თავს იზღვევს, სანამ ავზი სანახევროდ დაიცლება. სახანძრო მანქანას იძახებს, ქალაქში კი ყოველ მეორე დღეს ამბაკოს საპირფარეშოს გასახსენებელი სახანძრო მანქანის საპატიო სირენების ხმა ისმის.

ვერავინ გაუბედა, იატაკზე კედლის კაფელის დაგება არ შეიძლებაო, ან ვინ არის ისეთი მცოდნე, რომ ამბაკოს რაიმე ურჩიოს, ხომ დაატყდება თავზე მისი რისხვა. კედლის კაფელის იატაკზე დაგების თეორიის დამუშავება და მთელ რაიონში, მერე კიდევ რესპუბლიკაში მისი დანერგვა სურს. თუ არა ერთი შემთხვევა, ამბაკოს კაფელომანია უფრო შორს გაჭენდებოდა.

ერთხელ რესპუბლიკის დედაქალაქიდან დიდი სტუმართაგანი ეწვია. ამბაკომ პატივისცემის ნიშნად თავისი საპირფარეშო შესთავაზა. ათი წუთის შემდეგ იქიდან ისეთი ბრაგვანის ხმა გამოვიდა, ამბაკო სკამზე შექანდა.

– რა არის ეს?! – თავპირდასისხლიანებული დიდი სტუმარი იქიდან ხოხვით

გამოვიდა და შერყეული კბილი თითით გაისწორა. – ვინ დააგო იატაკზე კედლის კაფელი, რატომ არ დაიჭერთ იმ მავნებელს?! ახლავე პასუხისგებაში მიეცით; ნამდვილი ტერორისტული აქტია! ეს როგორ დაგემართა, ამბაკო, ნუთუ აქამდე არ შესულხარ შიგ?

ამბაკომ დილანდელ კოპზე ინსტინქტურად ხელი მოისვა და ამ დივერსიით შეშფოთებული აყვირდა; – წარმოგიდგენიათ, რას ბედავენ?! ამათთვის ჯერ ვერ მოვიცალე, მოვძებნი და ამ ვერაგული საქმის ჩამდენს სასტიკად დავსჯი! უყურეთ, კედლის კაფელს იატაკზე აგებენ, რომ ხელმძღვანელმა მუშაკებმა კისერი მოიტეხონ; სასტიკად გავუსწორდები, სასტიკად! – ღრიალებდა ამბაკო და უკვე სჯეროდა, რომ ეს დივერსია ვიღაცამ მოუწყო, რათა ამბაკოს თავზე კოპებს ეზეიმათ.

ამბაკო ჯერჯერობით ქუდბედიანობდა თუ ბედის უკუღმართი მასხრობა იყო, საქართველოში ახალი ცეკას მდივნის მიერ დატრიალებული ქარბორბოლა მის სასარგებლოდ ბრუნავდა. პარტიის მამამთავარი პატიოსან კადრებს უნდობლობას უცხადებდა, საეჭვო რეპუტაციის ქართველებს ითხოვდა მდგომარეობის „გამოსაჯანმრთელებლად". ჰოდა, დიდი და პატარა კვაჭები დაიძრნენ პარტიულ სამუშაოზე, თავიანთი გონებრივი სიბნელისათვის ხალხისთვის სამაგიეროს მისაზღავად. ამბაკოც, რუსეთში გადახვეწილ დეფექტურთა ტოტალური მობილიზაციის მონაწილე თავისი სიბრძნით ხალხში რწმენას საფუძვლიანად ურყევდა იმ პარტიას, რომლის მდივანიც თვითონ იყო და იმ იდეას, რომელსაც ეს პარტია ქადაგებდა.

## ქიმერა ცხოვრების გზაზე

**ომარი** კიკილაშვილი პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეოთხე კურსზე სწავლობდა. წესიერი სტუდენტი თან შრომობდა, ფიზიკურად ძლიერი სამბოში ვარჯიშობდა და კარგი შედეგებიც ჰქონდა. თავმდაბალი და მოკრძალებული საქციელი მის ფიზიკურ სრულყოფას ამშვენებდა. ჰყავდა საცოლე, მშვენიერი, სათნო ქალიშვილი, უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი მარინე ლაპიაშვილი. ომარი თავს ბედნიერად გრძნობდა, თავისუფალ დროს მარინესთან ატარებდა; ეს სიყვარულით ანთებული წყვილი ბედნიერ მომავალს ოცნებით ხედავდა.

გვიანი საღამო იყო. ახალი კინოფილმის ნახვის შემდეგ, ომარი მარინეს სახლში მიაცილებდა. ერთმანეთის სითბოთი და სიყვარულით დამტკბარნი საუბრობდნენ და ირგვლივ მყოფნი თუ მთელი სამყარო სიკეთით, სიყვარულით და სათნოებით გაჯერებული ეგონათ.

მთავარი ქუჩიდან გადაუხვიეს. ხელიხელჩაკიდებულები საცოდავად განათებულ ქუჩას გაუყვნენ. პატარა, ჩაბნელებულ სკვერთან ოთხი ბიჭი იდგა, რაღაცას ჩურჩულებდნენ, მერე ახმაურდნენ და ამ ბედნიერების დამათრობელ ბურანში მყოფ წყვილს შემოეხვივნენ.

– სიმონ, ცოტა ხანს ეს ნაშა ჩვენ დაგვითმე, წავიკაიფებთ! – უთხრა ერთმა ახმახმა და დანა ნიკაპთან მიუტანა, ორი ეცა, ხელები დაუჭირეს; მეოთხემ მარინეს სტაცა ხელი და გაზონებისაკენ გაათრია. ყოველივე ისე სწრაფად მოხდა, ომარი, რომელიც ასეთ თავხედობას სიზმარშიც ვერ წარმოიდგენდა. დაიბნა. ბიჭი მარინეს ბღღვნიდა. ომარს ორი მაგრად იჭერდა, ნიკაპზე კი დანის წვერი ჩხვლეტდა.

– მოშველება ხომ არ გინდა? – ახმახმა მარინეს მწვალებელს დაუძახა და იქით გაიხედა.

ყველაფერი თვალის დახამხამებაში მოხდა, მუცელში ძლიერად დარტყმულმა წიხლმა ახმახი მიწაზე ბურთივით გააგორა. ორს უცებ დაუსხლტა, ძლიერ დარტყმას ლავიწის ძლვის ჭახანი და ბიჭის შეღრიალება მოჰყვა. მეორემ დანა იძრო, ომარმა მოქნეული დანიანი ხელი აუტრიალა და მომხდური თავისივე დანაზე წამოაგო. როგორც იყო, ახმახი გაიმართა. გაცოფებული ომარი ეცა, ჯერ თავზე შემოიხეთქა, მერე ორჯერ ისეთი წიხლი უთავაზა გვერდებში, ნეკნები ხორცში აუზილა.

მეოთხემ მარინეს ხელი უშვა, ჯერ ახმახის მიშველებას აპირებდა, მაგრამ მისი ხვედრის დამნახავმა გაქცევა დააპირა, დაუგვიანდა, დანა იძრო, ვერაფერმა უშველა, ხელის გაქნევა ვერ მოასწრო, ისე ძლიერად მოხვდა ყბაში, ჩანები მოეღრიცა, გაცოფებული ომარი წაქცეულს დააცხრა, ხშირ თმებში ორივე ხელით დაეჭიდა, ათრია და ცხვირპირით ისე გამგელებით უჯაჯგუნა იქვე მდგარ ჭადარზე, სახის ნაკვთები ერთმანეთში სისხლიან ხორცის მასად გაუერთიანა. მარინემ გადარეულ ომარს ხელიდან ძლივს გააგდებინა გონდაკარგული და თავპირგაბრტყელებული ხულიგანი...

გამომძიებელი ბრაზობდა, სკამზე ამაყად მჯდარ ომარს შეკითხვებს აძლევდა; დროდადრო ოთახში მყოფ კაცს ელაპარაკებოდა:

– ამ გამოუსწორებელმა ხულიგანმა ოთხი კეთილშობილი ახალგაზრდა კინაღამ სიცოცხლეს გამოასალმა; მერე არ იკითხავ, ვისი შვილები არიან?! – იმ კაცს ბოლომდე აღარ აუხსნა საქმის ვითარება, ისევ ომარს მიუბრუნდა:

– ეს დანა საიდან გაქვს?! – იმის დანა დაუდო წინ, ხელებს რომ უჭერდა.

– ეგ იმას ჰკითხეთ, ვისი გვერდებიდანაც ამოიღეთ, – წარბშეუხრელად უპასუხა ომარმა.

– უყურე ამას! თავისი დანა თვითონვე დაირტყა?

– არა, მთლად ასე არ იყო, ცოტა მეც მივეხმარე.

– როგორ მიეხმარე?

– ჩემს დასარტყმელად მოქნეულ ხელს მიმართულება შევუცვალე.

– კარგი, ლავიწის ძვალი როგორ გადაუტეხე?! ბატონი აქვსენტი არტემიჩის ბიჭია, – ოთახში მჯდომ კაცს აუხსნა, იმან გაკვირვებისაგან წარბი მაღლა ასწია. – რა ჩაარტყი, შენ გეკითხებიან! რაღაც მძიმე, ბლაგვი საგანი აქვს ნახმარი.

– ხელი ჩავარტყი.

– მაშინვე დაგიჯერე.

– მოიყვანეთ და მეორე ლავიწზე ვცდი.

– აბა, თავხედი არა არის, მონანიების მაგიერია?!

– მონანიება კი არა, ისინი მიწას რომ ლახავენ, ჩემი სირცხვილია!

– რამ გაგაცოფა ეგრე, შე უპატრონო!

– უკვე მეათედ მოგიყევი, რაც ჩაიდინეს.

– მეც დაგიჯერე. ბატონი გიორგის ბიჭს სამი ნეკნი აქვს ჩამტვრეული, სამმართველოს უფროსის ბიჭს, – გამომძიებელმა იმ კაცს ყურში რაღაც უჩურჩულა, იმანაც თვალები გადმოქაჩა, – ჩანის ძვალი აქვს მოტეხილი, თაბაშირში ჩაუსვეს; ცხვირი კი სახესთან ჰქონდა გასწორებული, ოპერაცია დასჭირდა, ამ გარეწარმა ოთხი კეთილშობილი ოჯახი გაამწარა!

– ისეთი ოჯახი შევარცხვინე, რომელიც ამგვარ ნაძირალებს ზრდის! – ამაყად თქვა ომარმა.



– უყურე ახლა ამას, ოთხ წესიერ ახალგაზრდას დანით თავს დაესხა და ისევ ისინი არიან ნაძირალები?!

– ოთხი დანა მქონდა?

– არა, ერთი!

– ისინი ყველა დანებით იყვნენ, დანარჩენი რა იქნა?

– სხვა დანა არ ყოფილა, აი, ეს ერთი, შენ რომ გქონდა, ისინი დანებით ყოფილიყვნენ, ასე ამაყად აღარ იჯდებოდი ჩემს წინ!

– ოთხივეს თავიანთი იარაღი მიეცით, ცარიელი პერანგით გავალ, რაც და-აკლდათ, მინდა გადავუთავო!

– რაღა დააკელ, ოთხივე საავადმყოფში წევს; შენ კი ღირსეულად აგებ პასუხს კანონის წინაშე.

– რომ მოვეკალი და თავისი ჩანაფიქრი ბოლომდე მიეყვანათ, ეს საქმე ხომ დაგრჩებოდათ გაუხსნელი. ალბათ, მერე ვიღაცა საცოდავს წამოკიდებდით, კე-თილშობილი ოჯახის შვილები კი დაუსჯელი დარჩებოდნენ.

– შენი კახპაც ეგრე ამბობს!

– იმის ხსენების დროს პირი გამოიბანე!

– უყურეთ ამ ლაწირაკს, რამდენი ამის მსგავსი გადაგვარებული ეთვლება ჩვენს საზოგადოებას, რომელ ერთს მოსპობს კაცი! – გამომძიებელი გაცხარდა.

– ჩემისთანების მოსპობას ვერ შეძლებთ, აი, შენ და იმ ოთხის მსგავსი ცხოვრების მუწუკები კი ნამდვილად ამოსაგდები ხართ!

გამომძიებელი წამოხტა და გასარტყმელად ხელი ასწია. ომარიც წამოხტა.

– გაბედე, თუ ვაჟკაცი ხარ!

ხელის გარტყმა ვერ გაბედა, ყვირილი დაიწყო:

– მოდით, დროზე მიშველეთ!

ოთახში ხუთი მილიციონერი შევარდა.

– ეს გათავხედებული ხულიგანი ახლა ჩემზე იწევს! – გააცნო საქმის ვითარება.

მილიციონრებმა ძლივს გაიყვანეს ომარი...

უკვე ნახევარი წელია, რაც ომარი კოლონიაში ბრიგადირად დანიშნეს, ისე კი წელიწადი და ორი თვე გავიდა, რაც დააპატიმრეს. საწყალი მამა ზალიკო ბოლო წლებში ავადმყოფობდა, ომარის ამბავმა კი სულ მოუღო ბოლო; მხედ-ველობაც დააკლდა. ცოლი ადრე გარდაეცვალა, მეორე ცოლის მოყვანაზე არც უფიქრია, ორი შვილის აღზრდაზე დადო თავი. ომარის ამბავზე სად არ მივიდა, მაგრამ ყველამ უთხრა, შენი შვილი დამნაშავეა, უნდა დაისაჯოსო; გალახულ-თა გავლენიანი მშობლების შიშით ინსტიტუტიდან დახასიათებაც კი არ მისცეს. დაიღალა, ავადმყოფობამ ისევ დარია ხელი. ომარს მისი უმცროსი ძმა და მარი-ნე აკითხებდნენ. დრო კი ნელა მიიზლაზნება ექვსი წლით თავისუფლება აღკვე-თილ ახალგაზრდისათვის.

ერთხელ მარინეს უთხრა, ნუ დამიცდი, წადი, სხვა ვინმე მოძებნეო. საწყალ-მა გოგომ ტირილით თავი მოიკლა, მერე კი საბოლოო პასუხი ჩააბარა. თუ მაგას კიდევ მეტყვი, იცოდე, შენს სანახავად აღარ მოვალ, მაგრამ გწამდეს, რომ აღარც ცოცხალი დავრჩებიო. ომარმა ბოდიში მოუხადა და ამის შემდეგ სიყვარულზე და ბედნიერ მომავალზე იყო საუბარი. მივიდოდა მარინე, ომარს ნახავდა, ერთმანეთის ხილვით დატკბებოდნენ და ამ სითბოს მომავალ შეხვედ-რამდე სასოებით იზოგავდნენ.

კოლონია, რომელშიც ომარი ირიცხებოდა, ქურდულ ზონას ეძახდნენ. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ კოლონიის ადმინისტრაცია კოლონიის კარებს შიგნით აღა-

რაფერს წარმოადგენდა. ზონის მაყურებელი ქურდი, ქურდული კანონის ერთგული, ისეთ წესრიგს ამყარებს მექრთამე და გამომძალველ ადმინისტრაციას არც კი დაესიზმრება, მაგრამ ქურდებშიც არიან უკუღმართები, ქურდის შეუვალ კანონებს სხვის დაჩაგვრად და ქონების მოსახვეჭად რომ ამახინჯებენ. სწორედ ამგვარი ქურდი იყო ომარის ზონის მაყურებელი, ჭარხალა – რობა კვირიკაშვილი. ქურდებს მის მიმართ ბევრი პრეტენზია ჰქონდათ, მაგრამ ჭარხალა ჯერჯერობით ზონის მაყურებელი იყო და პატიმრების დატერორების წყალობით თავადივით ცხოვრობდა.

ჭარხალას ომარის ბრიგადაში ერთი ჰყავდა მიმაგრებული ფულის შემგროვებლად. თავხედობისა და სხვათა აბუჩად აგდების გამო ომარს მასთან წაკინკლავება მოუხდა.

ჭარხალა ისედაც ვერ იტანდა ომარს, ამ ამბის შემდეგ კი მისი მტრობა ჩაიდო გულში. მთელ ზონას ტყავს აძრობდა, ყველაფერში წილში იყო, ობშიაკის ფულსაც ითვისებდა და სახლში აგზავნიდა. ამ მუხთლობის შესახებ ქურდებმა გაიგეს და დროს უცდიდნენ მისთვის საქმის გასარჩევად. ჯერ კი ზონაში პარპაშობდა ჭარხალა და ქურდული კანონის დარღვევით ქონს აგროვებდა...

იმ დღეს ომარს მარინესთან ჰქონდა შეხვედრა. მაგიდასთან ისხდნენ და ტკბილად საუბრობდნენ. ჭარხალამ რამდენიმეჯერ გაიარ-გამოიარა. მარინეს ხარბი თვალებით დააკვირდა. საღამოთი კი ომარი თავისთან გამოიძახა.

– იმ კაი სახმარმა ნაშამ რაც მოგიტანა, სულ აქ მოიტან! – უბრძანა.

– ის გოგო ჩემი საცოლეა და მეორედ მაგის თქმა აღარ გაბედო! – გააფრთხილა ომარმა.

– საცოლე მაცოლე არ ვიცი მე, ეგ პირველად ჩემი იქნება თუ მინდა, შენ კი ნუ ხტუნაობ, თორემ ცხვირ-პირს გაგიერთიანებ!

– ჭარხალ ქურდის სახელს უთხარი მადლობა, თუ ეგ სიტყვები ახლა შეგრჩა, მეორედ აღარ გაპატიებ!

– ვის ემუქრები, შე ნაბიჭვარო! – ჭარხალამ ომარს სახეში შემოჰკრა.

ხელი ჯერ დაშვებული არ ჰქონდა, რომ ომარის დარტყმისგან ჰაერში აიწია და ფინური ოთახის ფანჯრის ჩარჩოები თავით ეზოში გადაიტანა.

ყველაფერი აირია. დანარჩენები ომარს დაესივნენ, ერთი სხვების დასაძახებლად გაიქცა. ომარსაც გამოუჩნდნენ მომხრეები, ვინც ჭარხალას თავხედობით შეწუხებული იყო. მოკლედ, კოლონია ბრძოლის ველს დაემსგავსა. „ჭარხალას“ კი არაფერი გაუგია, ამ ხნის განმავლობაში გულწასული ეგდო და ორი „შუსტრიაკი“ წყალს ასხამდა...

## რაიკომის ოინბაზები

– **ნიკო**, როგორი ბიჭია ახალი ინსტრუქტორი? – იკითხა რაიკომის ინსტრუქტორების ოთახში თავისუფალ სკამზე ჩამომჯდარმა კაცმა.

– დოლივითაა, მარტო ფანერაზე გადაჭიმული ტყავია, – მისცა დახასიათება ნიკომ.

– კუდიანი დოლი სად გინახავს, შე კაი კაცო, ისეთი ღუნღულა და გრძელი კუდი უჩანს, ახალგაწმენდილ პარკეტზე შეუძლია მტვერი ააყენოს, – ნიკოს დახასიათებაში მეორე ინსტრუქტორმა შესწორება შეიტანა.

– იმასთან სიტყვა თუ წამოგცდა, უკვე ამბაკომ იცის.

– სიტყვის წამოცდენას მოევლება, რადგან იცი, ვინც არის, ენას კბილს და-

აჭერ; რაც არ გითქვამს, იმას რომ დაგაბრალებს, შენ ეგა თქვი.

– თავისი ნაცოდვილარი პროექტი რომ გაიტანა ბიუროზე, საკითხი არ შეემოწმებინა, ხალხს მოგონილი დარღვევები ჩაუწერა, მერე დარბოდა და აფრთხილებდა, არაფერი თქვათ, თქვენზე ისე, უბრალოდ მიწერიაო. ბოლოს ბიუროზე სუყველა აყვირდა, ჩვენი თავი არ შეუმოწმებიაო, საყვედური მაინც მიიღეს, მედოლემ კი წარბშეუხრელად ილიკოს გადააბრალა, პროექტი მან მოამზადა, მე მარტო ვკითხულობდიო. ილიკო იმ დროს შვებულებაში იყო, ამბაკო დაემუქრა, მაგრამ ილიკოს დაბრუნებამდე ის ამბავი ყველას დაავიწყდა. მიტროს კი აფიორა ხახვივით შერჩა.

– ილიკოს ეგ დაბრალებაღა უნდოდა? ისედაც ხაზეინი კარგი თვალით არ უყურებს, – თქვა სტუმარმა.

– მიტრომ სწორედ მაგით ისარგებლა, უფროსსაც აისმოვნა და თვითონაც იოლად გამოძვრა.

ოთახში ილიკო შემოვიდა, თავის მაგიდაზე ქაღალდების დასტა დაყარა, ამოიქშინა და სკამზე მძიმედ დაეშვა.

– რა შემადგენლობამოხსნილი ორთქმლავალივით ამოიქშინე, – ისე თქვა ნიკომ, მისკენ არც კი გაუხედავს; დანარჩენი ორი ინსტრუქტორი თავჩაღუნული რაღაცას წერდა.

– აქედან მე მალე წავალ, ღმერთმა თქვენ დიდი გაძლება მოგცეთ! – თქვა და უჯრაში ქაღალდების ჩალაგება დაიწყო.

– რა მოხდა, ისევ უფროსთან იყავი? – ერთხმად იკითხეს.

– საჩივარი მქონდა, პურპროდუქტების ბაზის დირექტორს მუშები უჩიოდნენ, გვლანძღავს, უხეშად გვექცევა, ფქვილს და კომბინირებულ საკვებს იპარავსო. მძღოლებიც კი იყო დასახელებული, ვისი მანქანებითაც გადიოდა ფქვილი; რვა მუშა აწერდა ხელს.

რომ ჩავედი და იმ ხალხს გავესაუბრე, რაც წერილში ეწერა, ათი ამდენი სხვა თქვეს, დირექტორ რაჟდენას სულ კაკალი ატეხვინეს. მერე ცალკე რომ დავრჩით, მუშებთან ასეთი მოქცევა არ მოვუწონე. იმან აქეთ დამიწყო მუქარა, მუშები ამიჯანყე, იმათ რას ეკითხები, მოსულიყავ და ჩემთვის გეკითხა, მე რა ნაკლები ავტორიტეტი მაქვს, თუ დამსახურებაო. თვითონ ამბაკოს სიმონანიჩმა იცის ჩემი კაი კაცობის ამბავი, შენ ვინა ხარ, ამდენს რომ ბედავო. მოკლედ, წერილს იმ მუშების ახსნა-განმარტებითი ბარათები დავურთე, მოხსენებით ბარათში კი აღვნიშნე, რომ ბაზაში ნამდვილად არასახარბიელო მდგომარეობაა, მუშების უკმაყოფილება საფუძვლიანია და საჭიროა, სპეციალურმა კომისიამ ეს საკითხი შესიწავლოს. ახლა ამბაკოსთან ვიყავი. ის ახსნა-განმარტებითი ბარათები სახეში მესროლა და იმ რვა მუშის შემდეგ, მეცხრე ინტრიგანი მიწოდა. მე ვუთხარ, რომ თითქმის ყველა მუშა ამ აზრის არის, არაფერი გამოვიდა, ისინიც ინტრიგანებად აკურთხა და რიგითი ნომრებიც მეცხრეს შემდეგ მიიღეს. მე შემპირდა, გუდანაბადს აგიკრავო. ჰოდა, მეც ვამზადებ ჩემს ბარგი-ბარხანას. თქვენი არ ვიცი, მაგრამ მე მადლობელი ვარ ამ გადაწყვეტილების. იქნება მეც მეღირსოს ნორმალური ცხოვრება, არადა, სულ ამ დღეში ვარ, რაღაცას შევისწავლი, ჩემს აზრს ვიტყვი და უცებ თავზე მეხი უნდა დამეცეს; ეტყობა, სხვაგვარად არ შემიძლია, – ილიკომ ისევ ქაღალდების დალაგება დაიწყო.

– აქ, ჩემო ილიკო, ქვევრი უნდა იყო, რასაც ჩაგძახებენ, ის უნდა ამოსძახო. ან დოლი უნდა იყო, როგორც დაგარტყამენ, ხმაც ისეთი უნდა გამოსცე. მოკლედ, ტვინზე ისე უნდა გქონდეს ტყავი გაჭიმული, ნაოჭის ნატამალი არ გეტყო-

ბოდეს. სანამ საკითხის შესწავლას დაიწყებ, ჯერ ასჯერ უნდა გაზომო, თუ ასი არ ეყოს, შეიძლება ათასჯერ გაზომვა მოგიწიოს. წინ, უკან, გვერდზე, ყველა მხარეს უნდა გაიხედო, მერე შენი პოზიციაც უნდა შეამოწმო, ნახო, როგორ დგახარ. ვისაც ამოწმებ, აუცილებლად უნდა გაარკვიო, ვისიმე ნათესავი ან ახლობელი ხომ არ არის, ვისთან როგორი ურთიერთობა აქვს. მოკლედ, ვისთან კარგად არის და ვისთან ცუდად. მერე იმის მოკეეთები და მოქიშპეები სასწორზე უნდა დადო და გაიგო, რომელი მხარე უფრო მძიმეა. თუ დაატყე, რომ ძალიან გავლენიანი მხარდამჭერები ჰყავს და ძლიერია, ქვეყნის ამომგდები რომ იყოს, შენც მხარეში უნდა ამოუდგე, ამით ძლიერ მოკავშირეებს პოულობ. თუ შეატყე, რომ კაცი მართალია, მაგრამ ძლიერნი ამა ქვეყნისანი ცუდად უყურებენ, საკუთარი ძმაც რომ იყოს, არ უნდა დაინდო, მიწასთან გაასწორე; შენ კი კიდევ ერთი ქულა მოგემატება. აბა, ნახე, უბატონოდ თუ ვინმემ ხმა გაგცეს. ახლა კი რა გააკეთე, ბიჭო, ამბაკო სიმონიჩი რაჟდენას გარეშე პირში ლუკმას არ იდებს, რაჟდენას ერთი სიტყვა და რაიკომში შენი ხსენება არ იქნება. სპეციალური კომისია მოითხოვა, მუშების მხარე დაიჭირა, ვაი შენს პატრონს! – ნიკომ საქციელი დაუწუნა.

– აბა, მაშ რა ვქნა, სიმართლე არ მომეხსენებინა?! – გაუკვირდა ილიკოს.

– აი, მე როგორ მოვიქცეოდი, – ნიკომ კალამი დადო და სკამზე გაიჭიმა,– პირდაპირ რაჟდენასთან გამოვცხადდებოდი, წერილს წავაკითხებდი, ერთი, ორი დღე იქ დავტოვებდი, თანაც თანაგრძნობით ვეტყოდი, ეგ რვა ინტრიგანი ერთ თვეში ყველა მაიშორე-მეთქი. რაჟდენას გაუხარდებოდა, ხელს მხარზე გადამდებდა, სწორედ შენი მსგავსი ვაჟკაცები უნდა მუშაობდნენ რაიკომშიო. მერე საქეიფოდ ერთად წავიდოდით, იმ წერილს ერთი ორი თვე ვათრევდი, მერე ჩამოვწერდი და იმ მუშების განთავისუფლების ბრძანებას დავურთავდი. როგორც უდისციპლინოების და წვრილმანი მტაცებლებისას, რაჟდენას ანგელოზად გამოვიყვანდი, რამეთუ იმ ანგელოზობიდან მეც პატარა მომეცხობოდა. კმაყოფილი ამბაკო წერილს ჩამოწერდა, მე კი ყველაზე პერსპექტიული ინსტრუქტორი ვიქნებოდი, – ნიკომ თავისი დამრიგებლური სიტყვა დაამთავრა.

– წარმატება ნუ მოგიშალოს! მე კი არც მაგნაირი წარმატება მინდა და არც მუშაობა! – დაასკვნა ილიკომ.

– არ გინდა და ჯანდაბამდის გზა გქონია, ნახავ, ეგ შენი მრუდე გონება სად გადაგჩეხავს! – უწინასწარმეტყველა ნიკომ.

– მე შეიძლება ჩემმა მრუდე გონებამ სადმე გადამჩეხოს, მაგრამ ჩემი ბედის უკმაყოფილო მაინც არ ვიქნები, რადგან იმას ვაკეთებ, რასაც ჩემი გული და სინდისი მკარნახობს. შენ კი, თუ მაგ დებულებას მიჰყვები, რომელიც ესოდენ დეტალურად ჩმოაყალიბე, მერწმუნე, ადრე თუ გვიან ჯანდაბის კარამდე მიგიყვანს! – არც ილიკომ დაიშურა წინასწარმეტყველობა.

ოთახში აღფრთოვანებული მიტრო შემოვიდა.

ნიკომ ბიჭებს თვალი ჩაუკრა და ოთხივე ფეხზე წამოვარდა. სტუმარი დაიბნა, ისიც ფეხზე ადგა, ვერ მიხვდა, ვინ მოვიდა.

– დღეს რა კარგ ხასიათზე ბრძანდებით, დიმიტრი გიოევიჩ! – ნიკომ იუმორით შენელებული პირფერობით უთხრა.

– დედა ვუტირე! – მიტრომ საზეიმოდ განაცხადა, მილიციიდან მოვდივარ, დღეს ერთმა შოფერმა გამაბრაზა და მე, როგორც რაიკომის ინსტრუქტორმა, ჩემი ძალა ვაჩვენე, აბა, მაშ რა ჰგონიათ, ჩემს დანახვაზე უნდა კანკალებდნენ!

– ვაააა! – ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს.

– რა მოხდა, არ გვეტყვი?

– რა მოხდა და, დღეს რა დღეა? ჰო, პარასკევი, ორშაბათს დილით ადრე ავდექ, ხომ იცით, როგორი ხასიათი მაქვს, ჯერ ზონას უნდა ჩამოვუარო, ყველა ვნახო, გავიგო, ვის რა უჭირს და რა ულხინს. აქაც ისეთ დროს ამოვედი, ვერავინ მამისწრო. დავჯექი, ყველას დავურეკე, გავაფრთხილე, დავარიგე, ვურჩიე, არაფერი შეგეშალოთ, თორე დიმიტრი გიოევიჩი არაფერს აპატიებთ; ისე კი, ხომ იცით, მაგარი ძალა მაქვს!

– მაშ, მაშ! – დაუდასტურეს ბიჭებმა.

– როცა ამ ოთახში შენ არა ხარ, თამამად შემოდიან, როგორც გაიგებენ, რომ აქ ხარ, აკაკუნებენ, შემოსვლას ისე თხოულობენ.

– თქვენც აგრე უნდა იყოთ! – შეიფერა მიტრომ.

ნიკომ ერთ ინსტრუქტორს ჩაუკრა თვალი, ისიც უხმაუროდ ადგა და გარეთ გავიდა.

– ჰოდა, იმას ვამბობდი, მე რომ ვიტყვი, წყალი არ გაუვა. ამბაკო სიმონიჩთან ქაღალდები მივიტანე, ზოგი დადგენილება, ზოგი წერილი. ჰო, აი, ის დადგენილება აღებული ვალდებულების შესრულებაზე რომ არის, წაიკითხა, გაუკვირდა, ეს სულ შენ გააკეთეო? მე, ჩემი ხასიათი ხომ იცით, ვითომ არაფერი, თავი ისე დავიჭირე უბრალოდ, ჩემმა მზემ. გარეთაც რომ გამოვედი, არავის არაფერი ვაგრძნობინე. ახლა, რადგან ამბაკო სიმონიჩმა კარგად გამიცნო რა მაგარიც ვარ, მე ხომ არ დავიწყებ, ეგრე და ეგრე-მეთქი!

– ეგ რომელი დადგენილებაა? – ერთმა იკითხა.

– იმას ამბობს, ილიკომ რომ გაატანა, – უპასუხა ნიკომ.

მიტრომ უხერხულად ჩაახველა.

კარებზე კაკუნი გაისმა.

– რა ვუთხრათ? – ნიკომ მიტროს ჰკითხა.

– მობრძანდით! – დაიძახა მიტრომ.

ბიჭებმა სიცილი ძლივს შეიკავეს. ოთახში ბიბლიოთეკის გამგე, ტასიკო შემოვიდა.

– უი, ბატონო მიტრო, თქვენ აქ ბრძანდებით? – შეიცხადა ქალმა.

– არა უშავს, რა მოხდა მერე! თამამად მობრძანდით, ჩემი ნუ მოგერიდებათ, მეც ისეთი ადამიანი ვარ, როგორც ეს დანარჩენები, – გაბღენძილმა მიტრომ თავისი დიდება სხვებსაც უწყალობა.

ტასიკო ნიკოსთან მივიდა, ეშმაკურ ღიმილს ძლივს მალავდა.

– ნიკო, ის წიგნი მთელი ორი თვე რომ არ მოგაქვს, დროზე მოიტა, თორე კისრიდან ამოგიღებ! – უთხრა, თან ეცინებოდა. ნიკომ თვალით ანიშნა, თავი შეიკავეო.

– ორ დღეში მოგართმევთ, ქალბატონო ტასიკო, აი, დიმიტრი გიოევიჩი იყოს მოწმე, თუ ორ დღეს გადავაცდინო, – მოისაწყლა თავი ნიკომ.

– მოგიტანს, ტასიკო, მოგიტანს! მე რომ ვეტყვი, აუცილებლად მოგიტანს! – თვითდაჯერებულად უთხრა მიტრომ.

– თქვენი იმედი მაქვს, დიმიტრი გიოევიჩ, თორე ამას არ ვენდობი, – ტასიკო კარებისაკენ მიბრუნდა, პირზე ხელი აიფარა და სასწრაფოდ გავიდა.

გარეთ გასული ინსტრუქტორი შემოვიდა და თავის მაგიდასთან დაჯდა. ნიკოს თვალი ჩაუკრა. ვის უტირა დედა დიმიტრი გიოევიჩმა, მე რომ ვერ მოვისმინე?! – უკმაყოფილო ტონით თქვა.

– სად ვიყავ? – იკითხა მიტრომ.

– ორშაბათი ჯერ არ დაგიმთავრებია, – შეახსენა ილიკომ.

– ჰოდა, სამშაბათს კოლმეურნეობის თავმჯდომარემ დამირეკა, წამოდი, ფერმები დავათვალიეროთო. მე აუარებელი საქმე მაქვს, მაგრამ მაინც, თავმჯდომარის გვერდით რომ ვარ, ეს სულ სხვა ავტორიტეტია, თანაც დიმიტრი გიოევიჩი, მთლად ხუმრობა ხომ არ არის!

– აბა, აბა! – ბიჭებმა დაუდასტურეს.

კარებზე კაკუნი გაისმა.

– მობრძანდით! – სასწრაფოდ დაიძახა მიტრომ.

ოთახში საზოგადოება ცოდნის მდივანი ტარასა შემოვიდა, დაბალი ტანის, სუსტი და ეშმაკობით სავსე ახალგაზრდა.

– თქვენთან ბოდიში, ბატონო მიტრო, მაგრამ მინდა ყველას მოგახსენოთ, რომ ძალიან ცუდად მონაწილეობთ ლექციების კითხვაში, – ტარასამ ყველას კოლექტიურად უსაყვედურა.

– ჩემი ყველა საუბარი ლექციაა. ვამბობ, რომ საჭიროა თავდადებული შრომა, რომ გეგმის შესრულება კანონია, რომ...

– ტარას, – ილიკომ მიტროს ლექცია შეაწყვეტინა, – ერთი შენი ლექციების თემატიკა შემოიტანე, უფრო სწორად, მიტრო გიოევიჩს აჩვენე, რომელ თემაზე წაიკითხოს ლექციები, თან ალბათ, ტექსტიც საჭიროა, რომ ჩაგაბაროთ.

– კი, აბა, სხვაფრივ როგორ შეიძლება! – შეიცხადა ტარასამ, – თქვენ რომელ თემაზე წაიკითხავთ, ბატონო მიტრო?

– მე ყველა თემაზე ვკითხულობ! – ბატონკაცური ტონით უპასუხა მიტრომ.

– ჩვენ რომ მოგვლექ და თვალში თითს გვაჭერ, აბა, ახლა მიტროს ელაპარაკე. ჩვენ თითო ლექციის წაკითხვა გვიჭირს, ეს კი ყველას ერთად კითხულობს; მიდი, შეეკითხე რაიმე, ნახე, რა დღეში ჩაგაგდოს! – ნიკო ტარასას დაემუქრა.

– მე თქვენთან მაქვს საქმე, კაცი უნივერსალი თუ არის, იმას უფრო დიდი ჩემისთანა უნდა, – ტარასა შეშინდა და კარებისკენ გაიწია.

– ეგრე, ახია შენზე, ხომ გაგიხეთქა გული დიმიტრი გიოევიჩმა!

– მე რა ვიცოდი, თუ ბატონი მიტრო აქ დამხვდებოდა, – შეშინებული ტარასა სასწრაფოდ გაიპარა.

– ეს ერთი, – თქვა გარეთ ნამყოფმა ინსტრუქტორმა.

– ერთი კი არა ორია, – შეუსწორა ნიკომ.

– აფსუს! – ინანა გარეთ ნამყოფმა, – სულ ხუთი უნდა იყოს.

– რას ითვლით? – ღიმილით იკითხა მეოთხე ინსტრუქტორმა.

– რამდენი შტერი შემოვა და რამდენი ბრიყვი დახვდება აქ, – უპასუხა ილიკომ.

– ჩვენმა მიტო გიოევიჩმა ტარასა მასახარას სულ თავბრუ დაახვია! – საზეიმოდ თქვა ნიკომ.

– ჩემთვის ტარასა რა არის, თუნდაც მთელი ცოდნა აქ მოვიდეს! – მიტრომ ქება შეიფერა.

– მაინც ვერ გავარკვიეთ, მიტრო გიოევიჩმა ვის უტირა დედა? – ისევ იკითხა გარეთ გასულმა ინსტრუქტორმა.

– სამშაბათზე ვიყავი, – თქვა მიტრომ.

– სჯობია ოთხშაბათიდან გააგრძელოს, – შეედავა მეოთხე ინსტრუქტორი.

კარებზე კაკუნი გაისმა.

– შემოდი! – გაეხმიანა მიტრო.

ოთახში რაიონის ზოოტექნიკოსი შემოვიდა.

– ოხ, ბოდიში მიტრო გიოევიჩ, არ მეგონა რომ აქ ბრძანდებოდით, თამამად შემოვედი,– მიმართა მიტროს და ნიკოს წინ ჩამოჯდა.

– რაზე შემოვედი, რომ იცოდე, ჯერ არსად არ მითქვამს, ალბათ, მალე საგანგაშო მდგომარეობა შეიქმნება.

– რაშია საქმე? – ყურები ცქვიტეს.

– სიგნალი არის, რომ კოლმეურნეობები ბებერი ძროხის რძეს აგზავნიან ყველ-კარაქის ქარხანაში; ამას ხომ იცით, რა შედეგი მოსდევს?

– რა? – იკითხეს.

– რა და ბებერი ძროხის რძე არ დუღდება, სხვა რძეში შერეული ცივი რჩება, როცა დანარჩენი მასა დუღს. ვინც იმ რძისგან დამზადებულ ყველს ან კარაქს შეჭამს, კუჭი ეშლება. ახლა შემჩნეულია კუჭის აშლის მასობრივი შემთხვევები და ფრთხილად იყავით! – ზოოტექნიკოსმა თავისი გაფრთხილება დაასრულა.

– როგორ უნდა გავიგოთ, რომ ბებერი ძროხის რძე არის შერეული? – საქმიანად იკითხა ნიკომ.

– ადუღებულ რძეში თითი უნდა ჩაყო, სადაც ბებერი ძროხის რძე მოგხვდება მოგეყინება, სადაც ადუღებული მოგეხარშება, – ასწავლა გამოკვლევის მეთოდი.

ზოოტექნიკოსი კარებთან მივიდა, უცებ მობრუნდა, – ჰო, დამავიწყდა, ცხვარში მდგომარეობა ძალიან დაიძაბა, მუცელთან გაღვერილ ცხვარს სცივა, შეიძლება მაკეების გაბერწება გამოიწვიოს, რომელ რაიონშიც სამხედრო ნაწილი დგას, იმათ არ უჭირთ, ჯარმა ძველი კურტკები აჩუქათ, თუ თქვენ ნაცნობები გყავთ, იქნებ რაიმე მოახერხოთ.

– ეგ რას უშველის! – გაიკვირვა მეოთხე ინსტრუქტორმა.

– სახელოებში წინა ფეხებს ჩააყოფინებენ, მერე ქამარს შემოუჭერენ და არის ნელთბილად, არცა სცივა და არც...

– არცა შია, – მიეხმარა გარეთ ნამყოფი ინსტრუქტორი.

– მოიცა კაცო, ყველაფერს სამახსროდ ნუ გახდი ხოლმე! – გაუწყრა ნიკო.

– ქამრებიც საჭიროა? სად უნდა ვიშოვოთ ამდენი?

– შე კაი კაცო, კურტკა თუ მოგცეს, ქამარს დაგიჭერენ?! – დააიმედა ილიკომ.

– პისტოლეტის ჩამოსაკიდი თუ ექნება ზედ? – იკითხა ნიკომ.

– იქ ყოჩები საკმარისად არიან, პისტოლეტის ჩამოსაკიდი იმათთან მოიკითხე, – უპასუხა ზოოტექნიკოსმა. – თუ კუჭის აშლის ნიშნები შეგეტყოთ, იცოდეთ, ბებერი ძროხის რძისგან იქნება, – გააფრთხილა და კარები გააღო.

– შენს თავს გაუფრთხილდი, უმმა რძემ არ გიხამოს! – მიახაძა ნიკომ.

მიტრო ბლოკნოტში რაღაცას დიდი გაფაციცებით იწერდა.

– ერთი გასვლით ამდენი ქულიკი სად მოიძებნა?! – ჩაილაპარაკა ილიკომ.

მიტრომ ეს ტვირთი აიკიდა, ალბათ, ამბაკოსთან თუ მოიხსნის, – გაიფიქრა.

– ქულიკმა ქულიკის მეტი რა იცის, – მხარი აუბა ნიკომ.

– მაინც ვის უტირა დედა მიტრო გიოევიჩმა, რომ ვერ გავიგეთ?! – მოიჩივლა მეოთხე ინსტრუქტორმა.

– ხუთშბათიდან დაიწყოს, – წამოაყენა წინადადება გარეთ გასულმა ინსტრუქტორმა.

– ხუთშბათს დილით სოფლის საბჭოში შევედი, თავმჯდომარეს კინაღამ გული გაუსკდა, მე რომ დამინახა, არ ეგონა, თუ ეგრე ადრიანად დავადგებოდი

თავზე. მე სკამზე დავჯექ და პაპკა გავშალე; თან ისე ვზივარ, ვითომ თავმჯდომარის დაბნეულობას ვერ ვგრძნობ...

კარებზე კაკუნი გაისმა.

ყველამ მიტროს შეხედა, მანაც თავისი მოვალეობა გაიხსენა, მობრძანდით! – დაიძახა.

ოთახში კულტურის განყოფილების ბუღალტერი შემოვიდა.

– თქვენთან ბოდიში, მიტო გიოევიჩ, რომ შემოვედი, ჩვენს უფროსს ვეძებ და...

– თქვენი უფროსი დაკრძალვის ბიუროში ზის ყოველდღე და სასულე ორკესტრს ამეცადინებს, – მიასწავლა მისამართი ნიკომ.

– თქვენთან ბოდიში, მიტო გიოევიჩ! – ქალი მოწიწებით გავიდა და კარი გაიხურა.

– უყურეთ, რა ხდება, ჩვენ კაცად არავინ გვთვლის, ყველა მიტო გიოევიჩს ეკითხება შემოსვლა-გასვლას, – მოიჩივლა ნიკომ.

– ეგრეა, ძმაო, სახარე ხბოს სასკორავში ეტყობა.

– ამქვეყნად ბევრი ქულიკია კიდევ? – ჩაილაპარაკა ილიკომ.

– ერთი კიდევ დარჩა, – უპასუხა გარეთ გასულმა.

– მაინც ვის უტირა დედა, რომ ვერ გავიგეთ, – მეოთხე ინსტრუქტორმა ისევ წამოჭრა საკითხი.

– ჰოდა, პარასკევს დილით რომ ავდექი, – დაიწყო მიტრომ, – პირდაპირ რაიკომში წამოვედი.

– ბიჭო, შენ გვითხარ, იმ შოფერს რაზე უტირე დედა! – მეოთხე ინსტრუქტორს მოთმინების ძაფი გაუწყვეტილდა.

– მანამდე მისვლა ხომ საჭიროა, – მიტრო არ დაეთანხმა.

– თუ ეგრეა, პარასკევს მომხდარი ამბავი რაღა ორშაბათიდან დაიწყე, პირდაპირ შენი დაბადების დღიდან დაგეწყო, ხომ არა სჯობია? – უთხრა მეოთხე ინსტრუქტორმა.

კარებზე კაკუნი გაისმა.

– ჩემი ცოდვა იმას, ვინც თქვენ გადაგრიათ! – ჩაილაპარაკა ილიკომ.

ნიკოს გაეცინა. – ეს შობელძაღლები რა მუმლივით აირივნენ, – თქვა და გარეთ გასულ ინსტრუქტორს საყვედურით გახედა.

– მორჩა, – იმანაც ხელები ასწია.

კაკუნი მეორედ გაისმა.

– შემოვუშვათ? – ჰკითხა ნიკომ მიტროს.

– შემოდი! – დაუძახა მიტრომ.

ოთახში რაიკომის დამლაგებელი კატუშა შემოვიდა.

– მიტროჯან, ჩემი იატაკის ჯოხი და ტილო აქ ხომ არ არის? – ისე იკითხა, სხვებისთვის ზედაც არ შეუხედავს.

– მიტრო რა, შენი ჯოხის ყარაულია! – გაბრაზდა ილიკო.

– რა ვიცი, გარეთ მითხრეს, მაგას ჰკითხეო, – დაიბნა კატუშა.

ნიკო მივიდა და მიტროს ყურში რაღაც უჩურჩულა, მერე ისევ თავის სკამზე დაჯდა.

– მამაკაცების ტუალეტში შედი, წინა ოთახის კედელზეა მიყუდებული, სადაც ხელების დასაბანია, ტილოც იქ არის, – მიტრომ მიასწავლა მათი ადგილსამყოფელი.

– ვიშ, გენაცვალეთ! ეგრე ყველაფერი როგორ იცის, ქა? – გაკვირვებული კატუშა გარეთ გავიდა.

– მაინც იმ მძღოლს დედა როგორ უტირა, რომ ვერ გავიგეთ, – ისევ წამოიწყო მეოთხე ინსტრუქტორმა.

– ჰოდა, მივედი რაიკომში, – გააგრძელა მიტრომ.

– ბიჭო, რაიკომში კი არა, მოკლედ გაგვაგებინე ის დასალუპავი ამბავი, დამთავრება რომ არ ეღირსა, – ნიკოსაც გაუწვრილდა მოთმინების ძაფი.

– ჩავედი კოლმეურნეობაში, თავმჯდომარე კაბინეტში არ დამხვდა, ხალხი საძებნად გავაგზავნე, მე კი ტელეფონზე დავიწყე რეკვა.

– ეგ როდის იყო? – იკითხა გარეთ გასულმა ინსტრუქტორმა.

– პარასკევს.

– გიშველა ღმერთმა, იქნებ გავიდეთ ბოლოში.

– გამოვიძახე ბუღალტერი, მთელი ხუთი ფურცელი ცხრილი მივეცი, თანაც ავუხსენ, აი, პირველი გვერდი...

– თუ კაცი ხარ, ჩვენც შეგვიბრალე, ახლა მაგ ცხრილის გარჩევა არ დაიწყო.

– ბიჭო, რა ტვინი წაიღე, თუ ამბობ, თქვი, იმ მძღოლს დედა რაზე უტირე! – შეწუხებული ნიკო ფეხზე ადგა.

– დანარჩენი აღარ ვთქვა?

– არ გინდა, იმ დანარჩენის დედა ვატირე! – ნიკომ თავში ხელები წაიჭირა.

– მანქანაში ჩავჯექ და აქეთკენ წამოვედი, ვხედავ, მაღაზიის კარებთან მანქანა მიუყენებია, რაღაცას ცლიან. იმხელა ადგილია დატოვებული, ძლივს გაძვრები, თანაც ასფალტიდან უნდა გადახვიდე და ხრეშზე გაიარო. სიგნალი მივეცი, გადააყენე-მეთქი. რა პატარა ადგილია, გაიარეო. ვის უბედავ, შე თავხედო, მე რაიკომის ინსტრუქტორი ვარ-მეთქი. რაიკომის ინსტრუქტორი კი არა, გინდა ყარამანი იყავ. ეგე გზა და გაიარეო. გამანება თავი და მაღაზიაში შევიდა. მე მანქანიდან ჩამოვედი და მაღაზიაში შევყევი. წამოდი და ეხლავე გადააყენე მანქანა, ვუყვირე. აქედან დაიკარგე, თორე თუ გაგკარ სილა, კედელზე განცხადებასავით გაგაკრამო, მითხრა. მეც ჩავიწერე ნომერი და ახლა მილიციაში ცხარე ცრემლით ტირის.

–რას ედავებიან? – ჰკითხა ილიკომ.

– სულ მცირე სამი თვით ჩამოვსვამთო მანქანიდან, მილიციის უფროსი შემპირდა.

– რა მიზეზით?

– მიზეზს ჩვენ მოვუძებნითო. ახლა ზის და იხვეწება, სამი შვილი მყავს, ცოლიც ავადმყოფია, ჩემი გაცდენა ერთი დღით არ შეიძლებაო; ხომ ვუტირე დედა! – დაასკვნა მიტრომ.

– ხომ არ გახსოვს რა ჰქვია?

– ცეკავშირის გარაჟის მძღოლია, არტემა ჰქვია, გვარი არ მიკითხავს.

– ყოჩაღ შენ! – ნიკომ საქციელი შეუქო.

– გამძვრალიყავ შენც ვიწროში, შენი ცხოვრება სულ ვიწროში ხარ ნატარი, ახლა გაგიკვირდა?! რაზე გაამწარე ის საცოდავი კაცი, – აღშფოთდა მეოთე ინსტრუქტორი.

– დიმიტრი გიოევიჩის ხსენებაზე ყველას იმიტომ აკანკალებს, რომ დანდობა არ ვიცი.

– ვაი შენს პატრონს! – ველარ მოითმინა ილიკომ.

– აქ ზოგ-ზოგი წესიერად მოიქცეს, თორემ ამბაკო სიმონიჩს მოვახსენებ! – მიტრო დაიმუქრა.

– შენ ამბავი რომ არ მიუტანო, გასაკვირი ის არის.

– ვნახოთ, ამას გაგახსენებ! – შეპირდა მიტრო.

– ილიკო, რომ არ ამყრალდეს, ნაკელი არ უნდა გაქექო, – გააფრთხილა მეოთხე ინსტრუქტორმა.

– პირი შეკარით არა?! – მიტრო გაბრაზდა.

– არა, ბატონო მიტრო, ჩვენ შენს მზესა ვლოცულობთ! – ნიკომ ოთახიდან სასწრაფოდ გასული მიტრო კარებამდე მიაცილა.

ილიკომ ყურმილი აიღო.

– მილიციის სამორიგეოა?... სერჟანტი ტერტერაშვილი ხარ? ავტოინსპექტორი ნახე, ან ვისაც ეგ საქმე ავალია, მანდ ცეკავშირის გარაჟის მძღოლი არტემა რომ ჰყავთ, თუ ახლავე არ შეეშვებიან, პირდაპირ მინისტრთან წავალ... მე ვინა ვარ? რაიკომის ინსტრუქტორი ილიკო გოგოლაშვილი; ეგ კაცი ნათესავია და არავის არ დავაჩაგვრინებ! ნახევარ საათში დამირეკონ.

თხუთმეტი წუთი არ გავიდა. ტელეფონის ზარი აწკრიალდა, – უფროსო გოგოლაშვილო, მოგახსენებთ მილიციის სერჟანტი ტერტერაშვილი, თქვენი ნათქვამი გადავეცი ავტოინსპექტორს; შოფერი არტემა თქვენთან წამოვიდა. – იცოცხლე, სერჟანტო ტერტერაშვილო! კაცი ხარ კაცური! – ყურმილში ჩასძახა ილიკომ.

ოთხიოდე წუთის შემდეგ ყურმილი ისევ აწკრიალდა, ახლა ავტოინსპექტორი რეკავდა! – ილიკო, შენი ნათესავი გამოვუშვით, დარღვევა არა ჰქონდა, მაგრამ ინსტრუქტორმა ქიტუაშვილმა იმდენი იმუქრა, ხომ იცი, უფროსი კარგად უყურებს და... – დიდი მადლობა კეთილი საქმისათვის, – ილიკომ ყურმილი დაკიდა.

ყველანი გაქვავებულნი ისხდნენ, სტუმარს ხომ საერთოდ ხმა არ ამოუღია.

კარებზე კაკუნი გაისმა. მეორედ კიდევ დააკაკუნეს. ნიკომ გარეთ ნამყოფ ინსტრუქტორს გადახედა. იმან თავი გააქნია, ჩემი მორჩაო, ანიშნა. კარი გაიღო და შუახნის, ჭაღარა კაცი შემოვიდა.

– ბიჭებო, ილიკო გოგოლაშვილი რომელია? – იკითხა.

– ეს არის, – ნიკომ ილიკოზე ანიშნა.

უცნობი ილიკოს მიუახლოვდა.

– საიდან მიცნობ, შე ღვთისნიერო ადამიანო, მითხარი ერთი, დიდი ჭიქით უნდა გიღღეგრძელო ჯიში და ჯილაგი! – ყველა მიხვდა, ეს კაცი არტემა უნდა ყოფილიყო.

– იმ დიდი ჭიქით შენი შვილები და ავადმყოფი მეუღლე აღღეგრძელე, უფალს კი სთხოვე, თუ სადმე არსებობს, სინდისგარეცხილ ადამიანებს ნუ მოამრავლებს ამ ცოდვილ დედამიწაზე! – ილიკომ თავის მაგილაზე რაღაც ქაღალდი დადო, ჩანთა აიღო და გარეთ უხმოდ გავიდა.

არტემა შუა ოთახში დაბნეული იდგა. რა ექნა, ვერ მოეფიქრებინა.

ნიკო ახლოს მივიდა, მხარზე ხელი დაადო.

– წადი შენ ცოლ-შვილში, არტემ, სულ გამარჯვებით გევლოს! – კარებამდე მიაცილა.

– კარგად იყავით, ბიჭებო! – დაბნეულმა არტემამ ხმის ამოღება ძლივს მოახერხა.

ნიკო ილიკოს მაგიდასთან მივიდა, ქაღალდი აიღო, თვალი გადაავლო და მერე ხმამაღლა წაიკითხა. ჯერ ღუღუნებდა, განცხადების მისამართს კითხულობდა, მერე კი გამოკვეთილად გააგრძელა. ინსტრუქტორ ილიკო გოგოლაშვილის განცხადება:

ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრი გაუარესების გამო, გთხოვთ გამანთავისუფლოთ სამსახურიდან.

ილიკო გოგოლაშვილი

– თარიღით დღევანდელია, – ჩაილაპარაკა.

– აგაშენათ ღმერთმა, – სტუმარი ფეხზე იდგა, – გავალ, იქნება განყოფილების გამგე მოვიდა, – გართობა არ გაკლიათ, ღმერთმა გაძლება მოგცეთ! – სტუმარი გავიდა.

მეოთხე და გარეთ სამაიმუნოდ გასული ინსტრუქტორი გაშტერებულები ისხდნენ. ნიკოს ქაღალდი ხელში შერჩენოდა და კედელს მისჩერებოდა.

## სკამოსნის კაპრიზზე ფუჭი ფაფხური

**წინა** დღეს თათბირი ღამის თორმეტის ნახევარზე დამთავრდა. დილიდან დაიწყო და საღამოსათვის, სანამ რამდენიმე კაცი გულშეღონებული არ გაიყვანეს, ამბაკომ თავისი გაუთავებელი ბოდვა არ დაამთავრა.

მთელი დღე დეკემბრის ცივი ქარი ქროდა, თითქოს თათბირის დამთავრებას ელოდებოდა, ხალხის შენობიდან გამოსვლისთანავე სინათლე ჩაქრა და მთელს ქალაქში ისეთი სიბნელე ჩამოწვა, ხელების ფათურით, ყვირილით და მანქანების საყვირის გნიასით ძლივს მოძებნეს ერთმანეთი. როგორც იყო პირველი საათისათვის დაწყნარდა ქარისაგან სულშეღონებული, სიბნელეში ჩაძირული რაიონის ცენტრი...

ტელეფონის ზარის ხმა გაისმა. ოთახში გაუვალი სიბნელე საუფევდა. მათემ ძლივს, ხელის ფათურით მოძებნა ყურმილი.

– რომელი საათია? – მათემ თვალების ფშვნეტით იკითხა.

– ღამის სამი საათია.

– სადმე ხანძარი ხომ არ არის?

– არა, ჩვეულებრივ გამოვიდა და ბიუროს წევრებს დაურეკეთო, მითხრა.

– თქვენთან სინათლე არის?

– სინათლე კი არა, ერთი ძველი ლამპა მქონდა, ისიც ამბაკომ გამომართვა, ბნელაში ვზივარ.

– აბა, მაშ რა იცი, რომელი საათია?

– ვისაც დავურეკე, ყველამ ეგ მკითხა; შენ ბოლოს გირეკავ, რომ წამოხვალ, ასანთი ან კელაპტარი გამოაყოლე, თვალთან მიტანილი თითი არ ჩანს.

– ასანთი კი არა, შარვალი თუ ვიპოვე კარგი ბიჭობაა.

– ხალხო, თქვენ პატრონი არა გყავთ? – თავი თუ არ გებრალებათ, მე მაინც მომასვენეთ. ყოველ დღე ამ დღეში ვარ; მიეცით ჩემი თანამდებობა ამბაკოს შეთავსებით და ორივეს გვეშველება! – ბრაზდებოდა კომენდანტი.

– ეგ ამბაკოს უთხარი, სულ ერთად არა ხართ?! – გააქეზა მათემ, ყურმილი დადო და ტანსაცმლის ძებნა დაიწყო.

მათე კიბის სახელურს აჰყვა და მოსაცდელ ოთახში ხელის ფათურით შევიდა. აქ უკვე ბიუროს ყველა წევრი შეკრებილიყო.

ვიღაცას ნახევარი კელაპტარი მოეტანა. ახლა კომენდანტის წინ, საფერფლეში ჩადგმული სიბნელესთან ჭიდილში დნებოდა.

– კიდევ კარგია, ზარი არ მუშაობს, თორემ ათჯერ დარეკავდა, სად არიან აქამდისო, – ჩაილაპარაკა კომენდანტმა.

– ეს რასა ჰგავს, თორმეტ საათზე დავიშალეთ. ახლა ისევ გვეძახის, ძილი

აღარ გვინდა?! – ჯავრობდა ხანში შესული აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე.

– კაცს ქებით ტვინი გადაეწვა, შენს კაბინეტში შუქი არა ქვრებაო, უშენოდ რა გვეშველებოდაო და ეგე, ეგაც გვშველის, თვითონ წყალს ნაყავს და ჩვენ საცრით მოსატანად გვაგზავნის.

– მაგას გადარევას აღარაფერი უკლია და ჩვენ იძულებით გადარეულის როლს ვასრულებთ.

– ბოლოს და ბოლოს გამოვაფხიზლოთ ეგ კაცი, თორე მოიტეხს კისერს და არც ჩვენ დაგვეყრება კარგი დღე.

– გაჩერდით ერთი, ჩვენ მთქმელი კაცები არა ვართ, ჩათბუნებულ ნაჭუჭს საკუთარი კანის ფხრეწაში ვერ გავცვლით.

– ცალკე როცა ვართ, სათქმელს ვამბობთ, პირში კი კუდს ვუქნევთ და საქციელს ვუქებთ.

– ჰოდა, ბედს რაღას ვსაყვედურობთ, ვაქოთ ეგ კაცი და ვდიოთ მინდორში ქარს.

საუბრობდნენ ძილგატეხილი ბიუროს წევრები.

კომენდანტი კაბინეტში შევიდა.

– მოვიდნენ! – ამბაკოს ხმა შემოესმათ და ერთხელ დაკანონებული რიგით შევიდნენ.

ამბაკო მაგიდასთან იჯდა, წინ კომენდანტის ქაღალდჩამოფხატული ლამფა ედგა. იგი არაფერს არ აკეთებდა, როლს თამაშობდა პირმოთნე ბიუროს წევრების წინ, რათა მერე ეთქვათ ამბაკოს ტიტანურ შრომაზე.

– თქვენი დასვენება არ შეიძლება? – პირმოთნეთ უთხრა მეორე მდივანმა.

– ვმუშაობ, აბა, რა ვქნა, ერთი წუთითაც რომ თვალი მოვხუჭო, ქვეყანა დაინგრევა!

– ეგრეა, ეგრე! – დაუდასტურეს.

ტელეფონის ზარი აწკრიალდა, ფოსტის მორიგე ამბაკოს კოლმეურნეობის თავმჯდომარეებთან აკავშირებდა.

– ტიტიკო, შენა ხარ?... კანტორაში ხარ... თათბირი ჩაატარე? ყოჩაღ! აი, მესმის ოპერატიულობა.

– რა ყოჩაღია ტიტიკო, – შეაქო სამმართველოს უფროსმა. – ზოგი, მგონი, ადგილზეც არ მისულა, მაგას კიდევ თათბირიც ჩაუტარებია.

– ვასწავლე ხალხს მუშაობა. ადრე ღამის ორ, სამ საათზე რომ დავრეკავდი, სახლიდან მპასუხობდნენ, ახლა კი კანტორაში სხედან, ავამუშავე სუყველა! – თვალებდაჭყეტილი ამბაკო აღფრთოვანებული იყო.

– ფარნაოზი ხარ? – ჩასძახა ყურმილში, – საიდან მელაპარაკები?... ხმა ამოიღე არ გესმის?! კანტორიდან? უყურეთ, ამასაც ვასწავლე ღამით კანტორაში ჯდომა, – ამბაკომ ბიუროს წევრებს ამაყად გადახედა, – რა ღონისძიება გაატარე წუხანდელი თათბირის შემდეგ?... ჯერ სუყველას სძინავთ? გააღვიძე! ჯოხით წამოყარე! თათბირი ჩაუტარე!.. აღრიალდა. – შენ ხარ მაგაზე მიმაგრებული, წადი, ეხლავე ისეთი თათბირი ჩაუტარე, რომ სულ ყველა დაოსებული დარჩნენ! – ამბაკომ მათეს დავალება მისცა.

– წავიდე? – მათე ფეხზე ადგა.

– სუყველა წადით, საქმეს შეუდექით! მე შუაღლისას შემოგიერთდებით, – ამბაკო ფეხზე ადგა, ბიუროს წევრები წამოიშალნენ.

ამბაკომ თავისი როლი დაამთავრა. ახლა წავა სახლში და შუადღემდე ლო-

გინში იგორავებს. პირმოთნეებს კი ქებისთვის მასალა მოუმზადა.

ყველა გამოვიდა კაბინეტიდან

– ახლა ეგ წავა, ჩალოგინდება, ჩვენ კი ვაბრაცუნოთ ამ კუპრივით ღამეში, – მოიჩივლა მეორე მდივანმა.

– სპექტაკლი დამთავრებულია, ჩვენც გავიმეოროთ ამბაკოს ილეთი და დასაძინებლად წავიდეთ, – უთხრა სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა.

– როგორ?

– წამოდი, გასწავლი.

მეორე მდივნის კაბინეტიდან ტიტიკოს დაუკავშირდნენ.

– არ მოიშალე შენი ეშმაკობა, არა? ხომ ვიცი საიდანაც მელაპარაკები!.. აბა რა ვქნა? ისა ქენი, რომ მე ნახევარ საათში შენთან ვარ და ვთათბირობთ. მოკლედ, ყველას ეგრე უთხარი, ახლა დაწექი და გათენებადმე ტკბილად იძინე! ნახვამდის!

კაბინეტში სამმართველოს უფროსის და მეორე მდივნის სიცილის ხმა გაისმა...

მათე მანქანით მოყინულ და მიხვეულ-მოხვეულ ცივგომბორის ქედის გზას მიჰყვებოდა. ფიქრი არ ასვენებდა: ფარნაოზი რაღამ გააგიჟა! ნუთუ ისიც სხვასავით უაზროდ, უმიზნოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ამბაკოს ასე სურს, ზის კანტორაში, ნუთუ ეს ნორმალური კაციც გადაგვარდა?

ფარნაოზ ნადირაშვილი იმ კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო, სადაც მათე ამბაკოს გრაფიკით მიამაგრეს. ფარნაოზი ვერ ეგუებოდა ამბაკოს და მისი „გვარდიის“ უაზრო, ბატონკაცურ, საქმის საზიანო ხმაურიან თვალთმაქცობას; სასჯელი და მუქარაც არ აკლდა.

„ერთი კაცი მთელს რაიონს თავის ხუსტურებზე აცეკვებს, ხმის ამოღების, სიტყვის შებრუნების უფლება არავის არა აქვს. ძლიერი სკამი საღ აზრზე ბატონობს და სახალხო საქმეს ღუპავს. მით უფრო დამღუპველია ეს უგნურობა, ამ სკამზე რაც უფრო შეზღუდული გონების კაცი მოხვდება; არადა, ედუარდ შევარდნაძემ ისეთი პირობები შექმნა, შეზღუდული გონების კარიერისტს დაწინაურების ყველაზე დიდი შანსი აქვს, რადგან მლიქვნელს და აღვირახსნილ, ყველაფრის მკადრებელ კარიერისტს ფართო გზა მისცეს გამოშიგნულ და ფორმალურ დემოკრატიის პირობებში. ამბაკო და მისი მსგავსი პატარა ამბაკოები თბილად არიან უკანონობის, მაამებლობის და ყალბი კეთილდღეობის ლაქლაქა იმპერიაში. ერთმანეთს ამაგრებენ, რომ ეს დამყაყებული თვალთმაქცობის ცივი უძრაობა არ მოეშალოთ: ძნელია ამ კარიერისტ, ბიუროკრატ-მომხვეჭელთა სიმაგრის დარბევა: დაგლეჯენ, დაკბენენ, მოსპობენ, ვინც ამას გაბედავს! არადა, ქვეყანა იღუპება, დაშინდა ხალხი, დაკარგა მართალი სიტყვის თქმის სურვილი და იმედი, რომ ამის გამო დაუსჯელი დარჩება, სწორეც არის, არავის აპატიებენ, ამას! მშრომელი ადამიანების კეთილდღეობისათვის დაღვრილი სისხლის ადგილზე მომრავლებული ეს პარაზიტები არარაობად აქცევენ იმ იდეებს ადამიანთა კეთილდღეობა, თანასწორობა და ბედნიერი ცხოვრება რომ ჰქვია“, – მათე ამ ფიქრით კოლმეურნეობის კანტორას მიადგა.

კარები დაკეტილი დახვდა. მძლავრად მიაბრახუნა, შიგნიდან ყარაულის ხმამაღალი ბუზღუნი გაისმა: – ვინ არის ეს ოჯახდასაქცევი. ამ შუაღამისას რას დაეთრევა, იგრე ცივა, პატრონი ძაღლს კარში არ გააგდებს!

კარი გაიღო, თვალები მოფშვნიტა: – მათე არა ხარ? – გაკვირვებულმა ჰკითხა. – შენს გაზრდას, რომელი სათია?

– ხუთია.

– რა გინდა, შვილო, ამ შუაღამეში რას დადიხარ, დღისით კიდევ უნდა დაიძინო? ეგრე უკუღმართი ხალხი იქცევა!

– ფარნაოზთან მოვედი, პატარა საქმე მაქვს.

– ფარნაოზს აქ რა უნდა. ჯერ ჭკვიანია, არ გაგიჟებულა!

მათე კანტორაში შევიდა.

– ფარნაოზის კაბინეტს ვერ გამიღებ?

– გაგიღებ, რატომ არ გაგიღებ! დასვენება გინდა?

– არა, ტელეფონზე მინდა დავრეკო.

ოთახში ციოდა. მათე თავმჯდომარის სკამზე დაჯდა.

– წავალ ტყაპუჭს წამოვისხამ, – თქვა ყარაულმა და გავიდა.

მათემ ტელეფონზე დარეკა.

– ფარნაოზი ხარ?

– ჰო, მე ვარ, – გაისმა ნამძინარევი კაცის ხმა.

– ახლა სადა ხარ?

– სად ვიქნები, კანტორაში ვზივარ და თათბირის გეგმას ვადგენ.

მათეს სიცილი აუტყდა.

– რა გაცინებს?

– მე სადღა ვარ, შენ თუ კაბინეტში ზიხარ?! – მათემ ისევ გაიცინა.

– მანდ რა გინდა? – იკითხა გაკვირვებულმა ფარნაოზმა.

– მე კი ვიცი? ამბაკომ გამომგზავნა, წადი, ფარნაოზი მარტო ზის თავის კაბინეტში, ცოდოა არავინ შეაშინოსო.

– ნეტავ იცოდე, როგორ გვიშლით ხელს; აღარ გრცხვენიათ?! – ფარნაოზი გაბრაზდა.

– იმას რატო აღარ სცხვენია, ლოგინიდან რომ იტყუება კაბინეტში ვზივარო.

– ტყუილი, კეთილ საქმეს რომ ემსახურება, ზოგჯერ საჭიროა და უხეირო სიმართლეს ბევრჯერ სჯობია!

– ბოდიშის მეტი რა მეთქმის, ძილი ნებისა!

– მათე, არ წახვიდე, ახლავე მოვდივარ; თქვენს ხელში ძილს მაინც აღარა აქვს მადლი! – ფარნაოზი ჩქარ-ჩქარა ლაპარაკობდა.

– დაიძინე, დღისით გამოვივლი.

– არ წახვიდე, უკვე მოვდივარ.

– რადგან არ იშლი, რა გაეწყობა, გელოდები, – მათემ ყურმილი დადო და კედელთან მდგარ რბილ სავარძელში გადაინაცვლა, პალტოში მოხერხებულად გაეხვია და სავარძლის ზურგზე გადაწვა.

ყარაული შემოვიდა, ჩაძინებული ეგონა, ცხვრის ღუნღულა ტყაპუჭი მოიხსნა, რომ დაინახა მათეს ელვიძა, ჰკითხა:

– დაგაფარო?

– არ მინდა, ახლა ფარნაოზიც მოვა, – უთხრა და სავარძელში შესწორდა.

– მაშინ წავალ, შეშას მოვიტან, ღუმელს ავანთებ, თორემ გაიყინებით, – ყარაული გარეთ გავიდა.

„ნეტა როდემდის უნდა გაგრძელდეს ეს თავდავიწყებამდე მისული, საკუთარი თავის განდიდებით და დაუმსახურებელი ქებით გზააცდენილი კაცის კაპრიზები? ნუთუ უნარი არ უნდა შეგვწევდეს, ჭეშმარიტება თამამად ვუთხრათ და მისი უსუსური ფაცაფუცი, რომელიც უნიჭო მსახიობის თამაშს ჰგავს, მთელი სიცხადით დავანახოთ, ვინც არის, გადავარჩინოთ თვითონ ის სამარცხვინო ბურანში ბოდიალს, საერთო საქმე ჭეშმარიტ, რეალურ და სწორ გზაზე გავიყ-

ვანოთ, რა უნდა ამას? მხოლოდ ის, ვიყოთ პირუთვნელნი და საკუთარ კეთილდღეობას საერთო, სახალხო საქმის ზარალის ხარჯზე არ ვაგებდეთ. საწყალი გადარიეს ქებით და დამამცირებელი განდიდებით იმ დონემდე მიიყვანეს, რომ ახლა თვითონვე უჭირთ გადარეული კაცის ხუსტურებზე როკვა; დააკარგვინეს თავი და, ალბათ, ტანსაც მიაყოლებენ ზედ", – მათე ფიქრობდა და სინანულის გრძნობა არ ასვენებდა, „როგორ უქმად იხარჯებოდა უზარმაზარი ენერგია, სწორი და მიზანმიმართული გამოყენების შემთხვევაში სასწაულის მოხდენა რომ შეუძლია. დაძაბულობის და პომპეზური მყვირალობის სიგიჟეს უფრო და უფრო უმატებენ სიყალბის როკვას; სადღაც ხომ უნდა ჰქონდეს დასასრული"!

ყარაულმა შეშა შემოიტანა და თუნუქის ღუმელის წინ დაყარა. იქვე ჩაიმუხლა, ხმელი და წვრილი ნაჭრები აარჩია, შეუკეთა, პირმოტეხილი ბოთლიდან ნავთი დაასხა და ანთებული ასანთის ღერო მიაგდო. ღუმელი აგუგუნდა. ყარაულმა კარები მიხურა და ჩანგალზე გადაკეტა. ანთებულ ცეცხლს სული ეხუთებოდა, კარების საქშენიდან გარეთ გამოვარდნას ლამობდა. ჟანგბადს ითხოვდა, ბუბუნებდა, ღუმელს აზანზარებდა.

„ორ მაგხელა ღუმელში, ალბათ, წყნარად იქნებოდა", – გაიფიქრა მათემ, – „ნავთი ბევრი ჩაასხა და ენერგია ღუმელში ჩაკეტა".

ყარაული კარებისკენ წავიდა.

– რომ გაიქცეს, რა ვუყო? – მათემ მიაძახა.

– ირბენს და დადგება! – დააწყნარა ყარაულმა.

მათე სავარძელში გასწორდა, მზერა ღუმელს მიაპყრო, –„სციოდა, წყნარად იყო, ენერგია იგრძნო და ქვეყანა შეყარა, გაუთავდება და ისევ უხმაუროდ გაჩერდება. ბოლოს, ალბათ, ჟანგი შეჭამს და ჯართში ჩააბარებენ, რომ მისი სხეული ახლა სხვა საგანში გადასახლდეს, თუნდაც გუთნის სახსნისში. მაშინ ადამიანებს ისევ მოუტანს სიკეთეს, ან, ხომ შეიძლება ქვემეხის ჭურვში მოხვდეს. მაშინ, გაივსება, გაიტენება ბოროტებით, სულ იმის ფიქრში იქნება, როდის გასკდეს, სიკვდილი, ცრემლი და შიში ირგვლივ უხვად მოაბნიოს. ჯერ კი გუგუნებს და ოთახს ათბობს; დაე, იგუგუნოს, სანამ ბედი ახალ განაჩენს გამოუტანს", – მათე ფიქებიდან გამოერკვა. ოთახში ფარნაოზი ხმაურით შემოვიდა.

– ეგრე, ჩამოდი ხოლმე, გამითბე კაბინეტი; ოღონდ იმ სკამზე ნუ დაჯდები! – ფარნაოზმა თავმჯდომარის მაგიდისკენ გაიშვირა ხელი, – იჯექი ამ სავარძელში და იყავი.

– იმ სკამზე ჯდომას გრძელი კუდი და არანაკლებ გრძელი, სველი და უფროსების ასალოკად გამზადებული ენა უნდა, – მათემ სკამის მფლობელი დაახასიათა.

– ეგ უპირატესობა მე მაქვს? – უფრო სწორედ, გრძელი კუდი? – იკითხა ფარნაოზმა.

– არა გაქვს, მაგრამ ნიშნები გეტყობა, რომ ამოგივა, – დააიმედა მათემ.

– რაში მეტყობა?

– იმაში, რომ შეგიძლია საწოლში მყოფმა ვიღაცის საამებლად არა საქმის, კაბინეტში ჯდომა დაიბრალო, თანაც თურმე დიად გეგმებზე მუშაობ არარსებული თათბირებისათვის, – მათემ პალტოს ჯიბეში ხელები ჩაიყო და სავარძელში მოხერხებულად შესწორდა.

– მაშ, რა ვქნა?! – მარტო მე ვიძახი სიმართლეს და დაუზოგავად მლანძავენ. განა ნორმალურმა კაცმა იმდენი ვერ უნდა მოიფიქროს, რომ ღამის სამ საათზე კაბინეტში არავინ იჯდება? რა მიზანი აქვს ამ უაზრობას? ჭკვიანმა

ხელმძღვანელმა ამ დროს ვინმეს კაბინეტში რომ მიატანოს, კინწისკვრით უნდა გააგდოს, მეორე შემთხვევაში სამუშაოდან მოხსნას, რომ ყველასთვის გაკვეთილი იყოს; არტისტები მხოლოდ სცენაზე არიან საჭირო, სინამდვილესთვის ზარალი და არეულობა მოაქვთ. აჰა, მოვედი, რა ვაკეთოთ? დავხსდეთ, ვიცოდვილოთ, ვიდავოთ, ერთმანეთს ვუკბინოთ, ზოგ შემთხვევაში კანტორის ყარაულიც მოვიხმაროთ, ხალხი სამუშაოდ რომ გამოვა, ავდგეთ და დასაძინებლად წავიდეთ. პირმოთნეები გამოჩნდებიან, რომ ეს სისულელე საქმისთვის თავდადებად მოგვინათლონ. ღონისძიების ეფექტის გასაზომი მანქანა რომ იყოს, გაირკვეოდა რამხელა ზარალი მოგვაქვს ჩვენი ამ ქარაფშუტა საქციელით! – ფარნაოზმა სკამი ღუმელთან მიაცურა, დაჯდა და ხელები მიუფიცხა.

– გეთანხმები, სწორეა თქვენი გამოსვლა! – მათემ მარჯვენა ხელი ასწია, – რადგან ამდენი გაისარჯე, იქნებ ისაც გვასწავლო, როგორ ვიმკურნალოთ?

– ყველაზე კარგი წამალია პირში თქმული, მართალი და სახრესავით მოქნილი სიტყვა, რომ ყალბი დიდების ნაყოფი, ერთი-ორ მორტყმაში გასცვივდეს. ლოყები და ყურები ისე მაგრად უნდა აეწვას, რომ ამგვარი სისულელის გახსენებაზე ლოყებმა და ყურებმა ქვეყანა შეყარონ, იქით არ გაიხედოო. თუ ამგვარმა მკურნალობამ დააგვიანა, იცოდე რიგში საგიჟეთი დგას, ბოლოს კი ყველა მრუდის გამასწორებელი სამარეა, – ფარნაოზმა მკურნალობის მეთოდები ჩამოაყალიბა.

– დაიწყე პირველი მეთოდი, – ურჩია მათემ.

– მე ვისაც ვწვდები, ვიქნევ ზევით და ქვევით სახრეს, ეს შენც კარგად მოგეხსენება, თუ მოვიქნიე და ვერ მოვარტყი, ათმაგად ისევ მე მხვდება. ვცადე ეს მე რამდენიმეჯერ და კინაღამ ძვალხორციანად შემჭამეს. ამის შემდეგ შეიძლება ასე თამამად ვერ ამოვიღო ხმა, მაგრამ ვერც კუდიანობას და ენაგრძელობას დამწამებ; ჩემს საქმეს რწმენით ვემსახურები, სანამ შევძლებ, ყველას მსაჯული ვერ ვიქნები. განკითხვის საათი არავის დატოვებს მოკითხვის გარეშე! – ფარნაოზმა იმედი კიდევ დაიტოვა.

– მე რას მირჩევ, ყოველდამე ეგრე ვიარო შენთან, დაგიფრთხო ძილი, თუ ავიკრა გუდა-ნაბადი და შენთან ზოოტექნიკოსად გადმოვიდე? – შეეკითხა.

– გაგიხარია, შენნაირ ზოოტექნიკოსს ვინატრებდი. მაგრამ სად არის. მომეცი თავმჯდომარედ შენი მსგავსი კაცი, მე მასთან აგრონომად მამუშავე, ოღონდ შენი ხასიათის კაცი იმ ჭაობში ნამდვილად დაიხრჩობი. შენ ვერც ხავსი მოგედება, ვერც წურბელად ან ბაყაყად გადაიქცევი, კალმახივით მთის ანკარა წყალი გჭირდება! ან მოგსპობენ, მითქვამს, მე შენთვის, მაგრამ არ იდარდო, ერთი ჭირისუფალთაგანი მეც გყავარ.

– არ ვიცი, ცხოვრებას ასე რატომ ამრუდებენ, როცა ნორმალური, სასიკეთო მუშაობა შეიძლება.

– ეს იმიტომ ხდება. რომ მე თავმჯდომარედ ისე გამიშვით, არც ცოდნა მქონდა, არც საქმის სიყვარული, სამაგიეროდ ზევით ვიღაცას ერთგულებას ვუმტკიცებ და ქონსაც მოვცხობ. ვინც ნამდვილად ღირსეულია, ის ჩემთან რიგითი მუშაკია, მე ვგრძნობ, რომ საქმეში სუსტი ვარ, სამაგიეროდ ათასი ეშმაკი მიზის თავში, პოზიციები რომ გავიმაგრო, ღობე-ყორეს ვედები. ჯერ იმათ მოვსპობ, ვისი ეჭვიც მაქვს, რომ თავმჯდომარედ გამოდგებიან. მერე გარშემო ისეთ ხალხს შემოვიკრებ, ხოტბას რომ შემასხავენ და ჩემი ზეადამიანური შესაძლებლობათა შესახებ ყველა გზაჯვარედინზე იყვირებენ. იმ ხალხს კიდე, პატიოსანი ადამიანები რომ იყვნენ, დაუმსახურებელ ქებას ხომ არ დამიწყე-

ბენ, ამიტომ საჭე სიბინძურისაკენ უნდა მივაბრუნო, იმათ კი პირში ბურთი უნდა გავუჭედო, ვინც იტყვის, სწორად არ მიდიხართო. ჩვენი კოლექტივი დაემსგავსება მორყეულ მანქანას, ძარა ცალკე რომ მიდის, კაბინა ცალკე. თუ ჭანჭიკები ვინმემ არ დაუჭირა, კატასტროფა გარდაუვალია.

– მაგით რის თქმა გინდა? – მოიმიამიტა მათემ თავი.

– ამით იმის თქმა მინდა, თუ სანაგვიდან მოჩხრეკილ კადრებს დასვამენ ხელმძღვანელ სკამებზე, მათგან ზარალის მეტი არაფერია მოსალოდნელი. შეიძლება ისეთი ჭრილობა მიაყენონ საქმეს, ძნელი მოსარჩენი გახდეს, ეს ჭრილობა მით უფრო მძიმეა, რაც უფრო მაღალ პოსტზე დაბრძანდება ნაგავი. ან სატანის ნაშიერი.

– როგორი წესით უნდა შეარჩიო პიროვნება?

– წესი არ ვიცი, მთავარი კი ის არის, რომ შერჩევის დროს ყველა გრძნობას წინ უნდა უძღოდეს ნამუსი, ხალხის სიყვარული და პატიოსნება. მაშინ იმას მივიღებთ, რასაც ერთი საერთო მიზნისათვის ბრძოლა ჰქვია.

– კარგი იდეაა, მაგრამ ვინ შეასრულოს, ერთი გაძვრება და ათას კუდს გაიყოლებს, მერე იმ კუდებს სხვა მიჰყვება და მათი მოქმედების სფერო საზარელი სიმსივნის მეტასტაზებით დაიფარება; მათგან რამდენი საღი სხეულის უჯრედს ელოდება გადაგვარება! – მათე ფეხზე ადგა და ოთახში გაიარ-გამოიარა.

– მოკლედ, ეგრე ჯახირში უნდა ვიყოთ? – ფარნაოზმა ხელი ჩაიქნია.

– რათა კაცო, მაგ საქმის მოვლა შეიძლება, – ხუმრობის ხასიათზე დამდგარ მათეს გაეღიმა. შეიძლება ძალიან დიდი კარტოფილი აიღო. გაფქცვნა, უვარგისი ნაწილები მოაცილო და შეიძლება სულ პატარა კარტოფილის ხელაც აღარ დარჩეს. ჰოდა, ადამიანების შერჩევაში ასეთი მანქანების გამოყენება კარგი იქნება. იმ საფცქვნელში რომ შეაგდებენ ძალიან დიდ საქმისათვის გაბერილ ავანტიურისტს, ისე გაგითლის, ბრიგადირობისთვისაც აღარ გეყოს იქნებ მისი წონა, შეიძლება პირიქითაც მოხდეს. ეს მანქანა გვაკლია სწორედ, ჩვენი ბლენძების მანუფაქტურა კი მათი ღიპის შემოსვას უნდება მხოლოდ.

– ელოდე იმ მანქანას და იყავ! – ურჩია ფარნაოზმა და თავმჯდომარის სკამი დაიკავა.

თენდებოდა, კანტორაში თანდათან ხმაურმა იმატა.

– რა თათბირის ჩატარება გაქვთ დავალებული? – ჰკითხა მათემ.

– თათბირი იყოს და გინდა ჭრიჭინების ულელში შებმას ეძღვნებოდეს.

– თუ მაგას მიაღწევთ, ირბინეთ და წრთვენით ჭრიჭინები, – გაეღიმა, მერე კი შეშფოთებულმა დაამატა: – თუ ძმა ხარ, ამბაკოს ყურამდე არ მიიტანო, თორე ჭრიჭინების დევნა მოგიწევს მთელ ზაფხულს.

– შენ ჩემს შეწუხებას შეეშვი და გიჯობს კომკავშირს მიხედო, ხომ იცი, ამას წვრილმანი მეურვეობა ჰქვია; ჩვენ კი ჭრიჭინის საშუალება მოგვეცით.

– შენი ბედი, მე ვარ მომაგრებული, თორე ნახავდი, რა არის წვრილმანი მეურვეობა.

– ვიცი ეგ მე, ერთი მაგით აღარ დამსაჯა განგებამ, – ფარნაოზს გაეცინა.

– რაც შეეხება კომკავშირს, ვაი, რომ ეს საქმეც ისევე გააყალბეს, როგორც დღევანდელი ჯახირი. მოკლედ კომკავშირი მარიონეტია დღევანდელი გაუკუღმართებული პარტიის ხელში, პარტია კი იმ უკუღმართი კაცის ხელშია გაუპატიურებული, კადრების საფცქვნელში შეგდებული მხოლოდ ღალატის და სატანისთვის განკუთვნილ ნაგავში რომ მოხვდება. ეს დაღუპავს პარტიას და მთელს ქვეყანას, რადგან ავანტიურისტის და არამზადის მაღალ პოსტზე გაძრომის დამ-

ცავი მექანიზმი არა გვაქვს. ახლა წავედი. დროა ძილზე იფიქრო, – მათე კარებისკენ გაემართა.

გარეთ მტრედისფრად ინათა.

## ქურდული კანონის სუსხი

**„ჭარხალა“** რობა კოლონიის საავადმყოფოში წაათრიეს, მერე ჩააწყო საქმე და რესპუბლიკის ციხის საავადმყოფოში გადაიყვანეს. იქ კი კარგად მოწყობილ პალატაში მოთავსდა და ოთხი ავადმყოფი მას ემსახურებოდა; რას იზამ, ჯერ ქურდი ერქვა, უამრავ მოსაკითხს ითვისებდა, ქურდის სახელით მოძალადეს არაფერი აკლდა, მოკლედ, სულთანივით ცხოვრობდა, მაგრამ ქურდებში უკვე შერყეოდა ავტორიტეტი და შორს არ იყო ის დრო, მას სპეციალურ სხადნიაკს რომ მოუწყობდნენ.

ამავე დროს ციხის საავადმყოფოში იწვა კოჭლი ვანო ქიზიყელი, გაუტეხავი ქურდი და ქურდების ყველა კანონის ერთგული. საშინლად იყო გამხდარი ფილტვების სისუსტის მიერ დახრული ვაჟკაცი. მძიმე გამოცდას, რაც ქურდის სახელის შენარჩუნებას ახლავს, გაუძლო ვანომ, მაგრამ ჯანმრთელობა ისე შეერყა, რომ სიცოცხლის გზის დასასრული გამოუჩინა.

საავადმყოფოში იყო ოთხთვალა სარქისა, სამოც წელს გადაცილებული ქურდი, ისეთი სათვალე ეკეთა, თვალები ოთხად მოუჩანდა. ეს სათვალე იყო მისი ავლადიდება, აღარავინ აღარ შერჩა. სოლოლაკში ერთი პატარა ოთახი ჰქონდა, რკინის საწოლით და სკამით, მაგიდად ფანჯრის რაფას იყენებდა, როცა დროებით განთავისუფლება უწევდა, იქ იძინებდა, სანამ ციხეში მორიგ საგზურს გამოუწერდნენ.

იმ ჩხუბის შემდეგ ომარს მარჯვენა ხელი დაექექა, არაფრად ჩააგდო, გაურთულდა, კოლონიის საავადმყოფოში ვერაფერი უშველეს, გარედან დახმარების წყალობით მოხერხდა მისი რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაყვანა. სიმსივნე გაუჭრეს, ამოუწმინდეს და უკვე ერთი კვირაა სასიკეთო პირი დაეტყო.

ომარმა აქ გაიცნო კოჭლი ვანო. გამოირკვა, რომ ისინი მეზობელი სოფლებიდან იყვნენ. ვანოს ძალიან აინტერესებდა ქიზიყის ამბები: ალალი, პირდაპირი და ვაჟკაცური ხასიათის ომარი მოეწონა და საინტერესო ამბებს ხშირად უყვებოდა.

ომარს დანაშაული ჰქონდა ჩადენილი, ქურდზე ხელი აღმართა, მაგრამ თვითონ ჭარხალას ქურდობა ეჭვის ქვეშ იყო, ამიტომ საკითხი საქმის გარჩევას უნდა გადაეწყვიტა. ომარმა გულახდილად მოახსენა ოთხთვალა სარქისას და ვანოს საქმის ვითარება, რომელიც იმ ამბის მონაწილე სხვა მომავალმაც დაადასტურა. ამ დროს ჭარხალა რობა თავის პალატაში ნებივრობდა და დრო განცხრომაში გაჰყავდა.

ქურდები „ჭარხალას“ საქმის გარჩევას არ ჩქარობდნენ, სხვა ქურდების გამოჩენას ელოდებოდნენ. საჭირო იყო გარკვეული რაოდენობის ქურდების შეკრება, „ჭარხალას“ ღალატისათვის სერიოზულად უპირებდნენ სამაგიეროს მიზღვას; საკითხის გარჩევა კი ერთმა შემთხვევამ დააჩქარა:

ომარი თავის პალატაში საწოლზე იწვა, ჭერს მისჩერებოდა და თავის ყოფის ირგვლივ აბრუნებდა ფიქრის ჩარხს. კარები გაიღო და, დაახლოებით სამოცი წლის, პატარა ტანის კაცი შემოვიდა, საწყალს უზარმაზარი ფუშები ძლივს



დაჰქონდა.

– შვილო, ომარი რომელია? – იქვე საწოლზე წამომჯდარ თავგადახოტრილ ბიჭს ჰკითხა.

ბიჭმა უხმოდ ანიშნა ომარზე.

კაცი მივიდა და ომარის წინ მოკრძალებით გაჩერდა. ომარი ფეხზე ადგა, ნატკენი ხელი კისერზე ჩამოკიდებული აღარ ჰქონდა, მაგრამ დოლბანდით მაგრად შეეკრათ.

– შვილო ომარ, – ისე უთხრა, თითქოს დიდი ხნის ნაცნობი ყოფილიყო, – უნდა დამეხმარო, ბიჭებმა შენზე მომასწავლეს. შენი დახმარება მარტო მაგას შეუძლიაო.

ომარს გაეცინა და საწოლზე ჩამოჯდა.

– დაჯექი, ძია კაცო, რასაც მხედავ ესა ვარ; მე თუ რაიმე შემიძლია, – მხრები აიჩეჩა.

კაცი საწოლზე ჩამოჯდა, ყველას მოავლო თვალი და ხმის კანკალით დაიწყო: – ხომ ხედავ, რა დღეში ვარ, – ფუშები მაღლა ორივე ხელით აზიდა, შეიძლება ერთ დღეს ჩამეჭდოს და, მშვიდობით, პატიმრის ამბავი ხომ იცით, ვინ არის ჩემი მშველელი. საავადმყოფოში ოპერაციის გასაკეთებლად ძლივს გამომგზავნეს, იმედი მქონდა მეშველება-მეთქი. დღეს დილით ქირურგი მოდის ჩემთან და მეუბნება, ოპერაციას ვერ გაგიკეთებ, შენი წილი მორფი ქურდმა ჭარხალამ წაიღოო. თუ გინდა, გაყუჩების გარეშე გაგჭრიო. აბა, როგორ უნდა გავუძლო. შვილო, ისედაც გადავრჩები თუ არა, ეშმაკმა იცის! – კაცს თვალებში ცრემლი მოადგა. ომარს გული დაემდუღრა, საწყალი კაცი შეეცოდა.

– ჩემთან რაზე მოგასწავლეს, ძია კაცო, მე რა შემიძლია? – შეწუხებულმა ჰკითხა.

– მაგან ჭარხალას ერთხელ ჭკუა ასწავლა, თავით ფანჯრები ანგრევინა, მართალი ბიჭია. შენს დაჩაგვრას არ აპატიებსო, თქვეს, – კაცმა ომარს ცრემლიანი თვალები იმედით შეანათა.

ომარს იმის თვალების დანახვაზე გული შეეკუმშა, ჩაფიქრდა, თვალწინ წარმოუდგა რა ხათაბალაში ჩავარდებოდა, თუ ამ კაცს გამოექომაგებოდა, მაგრამ განა შეეძლო ომარ კიკილაშვილს კაცის ეგრე ულმერთოდ დაჩაგვრის მოწმე ყოფილიყო და ხმა არ ამოეღო? არა, სიკვდილი ერჩია, ვიდრე იმ ინერტული და გრძნობადაბეჩავებული ადამიანების რიგში ჩამდგარიყო.

– წადი, ბიძა კაცო, თუ მოხმარება შევძელ, თვითონ მოგნახავ, – უთხრა და კარებამდე მიაცილა.

მობრუნდა, ლოგინზე წამოწვა და ფიქრებში გაერია: ჭარხალას ცალი ხელით დავნაყავ, სამი მაგნაირიც რომ იყოს მოვუვლი, მაგრამ თავი რით ვიმართლო? ეგრე არ გამოდგება, მანამდე ქურდებთან უნდა დავაყენო საკითხი. დე, იმათ გაარჩიონ თავიანთი კანონების თანახმად, ერთი კი მჯერა, არ მოუწონებენ და იმ მორფსაც უკან მოატანინებენ, – ომარი წამოხტა და კოჭლი ვანოს პალატისკენ გაემართა.

დაწვრილებით მოუყვა, რაც იმ კაცმა მოიჩივლა. ოთხთვალა სარქისა აილეწა, მაგრამ ომარის თანდასწრებით ქურდზე აუგი არ თქვა. ვანო გაბრაზდა, მაინც შეიკავა თავი, ერთი კი თქვა: – ქურდი მაგნაირ საქმეს არ იკადრებს!

– ვანოჯან, გაუშვი ქსივა, ახლოს არიან მწარე კოლა, მგელი გურამა, მოკლე ბაღათურა, – სარქისას სიტყვა არ დაემთავრებინა, პალატაში ჭარხალა შემოვიდა. ომარი იქ რომ დაინახა, არ ესიამოვნა.

– სალამი ძმებს! – ცალყბად თქვა.
– სალამი! – მიიღო პასუხი.
– ეს აქ რაზეა? – ომარიზე იკითხა.
– შენზე ჩივის, – სარქისამ ვითარება გააცნო.
– ბოზობა ამის მოგონილია, სხადნიაკი ჩავატაროთ და მერე უნდა გავასაღოთ, – ქურდებს ვერ იტანს! – დაახასიათა ომარი.
– მე ნამდვილ ქურდს ბევრს ვიცნობ, კაცობაში არაფერი რომ ეშლებათ, შენზე კი რატომღაც ეჭვი მეპარება! – ომარი ვალში არ დარჩა.
– მაინც რას მიჩივი?!
– კი არ გიჩივი, მოვითხოვ, იმ კაცის მორფი რომ მიითვისე, უნდა დაუბრუნო, პატიმარია, გართულებული გრიჟა აქვს, შეიძლება მოკვდეს, ოპერაცია ვერ გაუკეთებიათ!
– მოკვდეს, იმის დედაც! რა ჩემი საქმეა!
– მე არაფერს არ ვაბობ. შენი საქციელი ქურდებმა გაარჩიონ, მანამდე მოვიცდი! – ომარი გარეთ გავიდა.
– ხვალზევით ბიჭები მოვლენ. სხადნიაკი გვექნება, სად შევიკრიბოთ? – თქვა ვანომ.
– ციხის უფროსს ვეტყვი. თუ მინდა თავის კაბინეტს დაგვითმობს! – ამაყად თქვა ჭარხალამ.
სარქისამ ყურებზე ხელი რუპორივით დაიდო, – რაო? ვერ გავიგე, აბა, გაიმეორე!
– უფროსი კაბინეტს დაგვითმობს. ან კარგ ოთახს გამოგვიყოფს, – ჭარხალამ საქმის ვითარება აუხსნა.
– ვააა! დავყრუვებულვარ. ვანოჯან, რაღაც უკუღმა მესმის, ერთი გადამითარგმნე, რა თქვა?
– რა თქვა და, ძაღლები ბინას დაგვითმობენ სხადნიაკის ჩასატარებლად, – აუხსნა ვანომ.
– ერთი შენს გაზრდას, ჰკითხე, მიკროფონებს არ დაგვიდგამენ?
– მიკროფონებს ხომ არ დაგვიდგამენო,– ვანომ ნათქვამი ჭარხალამდე დაიყვანა.
– მე მაგათთან ისეთი ბლატი დავაკაჩავე, თუ საჭიროა, მიკროფონებსაც დავადგმევინებ! – ჭარხალამ თავი გამოიდო.
– აუუუ!!! – ოთხთვალა სარქისა აღმუვლდა, აღარაფერი არ უთქვამს, ლოგინზე დაწვა და კედლისკენ გადაბრუნდა.
– ხვალზევით ბიჭები მოვლენ, მაშინ ვილაპარაკოთ! – კოჭლი ვანო საწოლზე პირქვე დაწვა და მეტი ხმა აღარ ამოუღია.
ჭარხალა ცოტა ხანს იდგა, პალატაში სიჩუმე მეფობდა, მასთან საუბარი არავის უნდოდა, გაბრაზებული გარეთ გავიდა. ომარის მტრობა არ ასვენებდა, საღამოზე გავასაღებ! – გაიფიქრა და ღილაკიანი დანა მოისინჯა.
საღამო იყო.
ომარმა ტუალეტის კარები გააღო, ზურგიდან ვიღაცამ ხელი მოუქნია, დროზე შეასწრო თვალი, გვერდზე გადახტა. დანა ზურგში წვერით მაინც მისწვდა. ომარი ფოცხვერივით მოტრიალდა, დანა ხელიდან გააგდებინა, ჭარხალა გაიქცა, ომარმა დანა აიღო და თავის პალატაში შევიდა.
ბიჭებმა ჭრილობაზე ღოლბანდი დააფინეს. სისხლის დენა შეუწყდა, ოთხთვალა სარქისას პალატაში ისე შევიდა, სალამი არ უთქვამს, დანა მაგიდაზე

დადო და გამობრუნდა.

– რა მოხდა, ომარ? – ვანომ შეკითხვა დაადევნა.

– ჭარხალას დანაა, მოქნევა კარგად ვერ მოზომა, პატარაზე გამკაწრა; თქვენს პასუხს ვუცდი, თუ არადა, მე ჩემსას ვეცდები! – ომარი პალატიდან გავიდა.

ქსივამ შეუფერხებლად იმოქმედა, მას თავისი „სტავკა“ აქვს, სავადმყოფოში საჭირო პირის გაწერასაც თავისი ღირებულება აქვს; დანარჩენი მხოლოდ ტექნიკური მხარე იყო.

დანიშნულ დროს ქურდებში თავისი საქმის ერთგულებით განთქმული მწარე კოლა, მგელი გურამა და მოკლე ბაღათურა ადგილზე იყვნენ. ქურდებში არ არის თანამდებობრივი სხვაობა, ერთმანეთს დიდ პატივს სცემენ, ქურდი ხარ – ძმა ხარ. მათ შორის არ არის ეროვნული შუღლი, ძმა ხარ გინდა მონღოლი იყავ და გინდ ჭარელი ლეკი. ერთი აქვთ ყველაზე ურყევი ქურდული კანონების დაცვა. ვინც ქურდისთვის შეუფერებლად იქცევა, მათ კანონებს ბოროტად იყენებს, ჩაარტყამენ და არაქურდად დასვამენ; თავიანთი პარტიიდან გარიცხავენ. მათი იდეოლოგიური მამა და ქურდული სინდისის ეტალონი ბრილიანტაა, რომელმაც თავისი ცხოვრება საკანში გაატარა, უამრავ ტანჯვას გაუძლო, არავითარ ცდუნებას არ აჰყვა და ქურდობის ერთგულმა დაამთავრა ამქვეყნიური ცხოვრება.

ახლა სწორედ ქურდული ცხოვრების უსაზღვროდ ერთგული ხუთი ქურდი იჯდა ოთხთვალა სარქისას და კოჭლი ვანოს პალატაში. ჭარხალაც მოვიდა და მათსავით ფეხმორთხმით დაჯდა საწოლზე.

ქურდები იმდენად იყვნენ გაბრაზებულები, ჭარხალას მოსვლისთანვე პირდაპირი საუბარი დაიწყეს. ჭარხალას მრავალი ბრალდება წაუყენეს, ეტყობა, სადაც კი რა ცოდვა ჩაიდინა, ქურდებს არ დავიწყნოდათ, თუ ადრე ზოგი აპატიეს, ახლა, როცა ესოდენ დამძიმდა ჭარხალა თავისი მუხთლობით, ყველაფერს წვრილად უხსენებდნენ. ჭარხალას თავის დაცვა უჭირდა.

– ობშიაკის ფულის მითვისება ხელობად გაიხადე, ზონიდან ქსივა მოგვდიოდა, პირადად ბევრმაც დაამტკიცა! – მწარე კოლამ მრისხანედ შეხედა.

– ბიჭები წითელ ზონებში შიმშილით სულს ღაფავენ, შენ კი მათი ფული მიითვისე! – მწარე ღიმილით თქვა მოკლე ბაღათურამ.

– ჩოლოყაშვილივით ცხოვრობს, უზარმაზარი ორსართულიანი ბინა ავეჯით და ანტიკვარებით გატენილი აქვს, – წარმოადგინა მისი ქონება მწარე კოლამ.

– გასაქურდი შენ თვითონ ხარ, ვის რა უნდა მოპარო? – ერთხმად თქვეს.

– ძაღლებთან შეკრული ხარ. სხადნიაკიც იმიტომ შემოგვთავაზე, იმათ კაბინეტში, – დაუმატა კოჭლმა ვანომ.

პალატის კარები გაიღო, ომარი ზედ ზღურბლზე გაჩერდა: ქურდებმა ერთმანეთს გადახედეს.

– ეგ ის მუჟიკია, რომ ვილაპარაკეთ, – კოჭლმა ვანომ დანარჩენებს ომარი გააცნო.

– შემოვიდეს, ახლა მაგასთან დასამალი არაფერი გვაქვს, – თქვეს.

ომარი შევიდა და იქვე სკამზე ჩამოჯდა.

– მხარში რა მოგივიდა? – კოჭლმა ვანომ ისე ჰკითხა, ვითომ არ იცოდა.

– მე დავამახინჯე, – წაიტრაბახა ჭარხალამ.

– რა დაგიშავა? – შეეკითხა ოთხთვალა სარქისა.

– ვიღაცას მორფი წავართვი. პატიმარია, ოპერაცია უნდა გაიკეთოს, მიე-

ციო, მეტიჩარა!

— ეგ საკითხი ხომ აქ უნდა გაგვერჩია, უჩვენოდ რად გამოიტანე განაჩენი?! — შეედავა ოთხთვალა სარქისა.

— არიფია, ამის დედაც ვატირე! — აიქნია ხელი ჭარხალამ.

— ვაა, ჩვენ საქმის გასარჩევად მოვედით, ამან კიდევ თვითონ გაარჩია, არიფიაო, არიფები ჩვენ ვყოფილვართ ამის თვალში! — გაბრაზდა მწარე კოლა.

— ძმებო! — ჭარხალას რაღაცის თქმა უნდოდა.

— ძმა კი არა, ბოზი ხარ! — პირში მიახალა მგელმა გურამამ.

— მაგას რად ამბობ, მეც თქვენსავით ქურდი ვარ! — ჭარხალამ ხმა აიმაღლა.

— ქურდი კი არა, ბოზი და ჯიჯი ხარ, ქურდიც შეცდომით იყავ; აღარა ხარ ქურდი! — ყველამ დაასკვნა.

— ეს მუჟიკი შენთან მართალია, — მწარე კოლამ ომარზე ხელით აჩვენა, — ჩვენ ყველაფერი წვრილად გავიგეთ.

ჭარხალა მოიბუზა.

— მიიღე! — მოკლე ბაღათურამ ომარს უბრძანა.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ ომარს სულის ამორთმევამდე შეეძლო ეცემა, არც ხელის გაურტყმელობა იქნებოდა.

ომარმა ფეხზე მდგარ ჭარხალას ისეთი შემოჰკრა, ჭარხალა კედელს მიასკ-და და გულშეღონებული იატაკზე გაიშხლართა.

— მაგარი ჯორი ჩანს! — ქურდებს სიცილი აუტყდათ.

## ბუნტი

**პართენამ** დათა პაპას ბრიგადაში მიღებული გაკვეთილის შემდეგ ცოტათი სასიკეთოდ გაიბრძოლა, მაგრამ მალე მიხვდა, რომ არაფერი გამოუვიდოდა, იმდენად გაისვარა დარღვევა დანაშაულებებში. მაშინ განცხადება დაწერა და ავადმყოფობის გამო განთავისუფლება მოითხოვა. ტიტიკოს მისი გაშვება არ უნდოდა, მაგრამ დაარწმუნეს, როსტომა ჭრელაშვილი პართენაზე ნაკლებად არ მოგეხმარებაო შენს ჩანაფიქრში. მოკლედ, პართენას მაგიერ როსტომა ჭრე-ლაშვილი დაინიშნა ფერმის გამგედ. პართენა კი მეძროხეობის ხრამის ბრიგა-დის ბრიგადირად გადავიდა. ტიტიკო ჯერ ნაკლებ მტიკვნეულად ღებულობდა ზაქროს მიერ მეცხოველეობაში გატარებულ სასიკეთო ღონისძიებებს. ყველამ აუწყო ფეხი ზაქროს, თუ ასე გაგრძელდებოდა, ერთ წელიწადში რძის გეგმას მიწერები და ათასი მაქინაციები აღარ დასჭირდებოდა.

მესამე კვარტლის დამთავრებას სექტემბრის ბოლო დეკადა აკლდა. რძისა და ხორცის ციებ-ცხელებას მოეცვა რაიონი. ტიტიკოს კოლმეურნეობაში ციებ-ცხელება კი არა, ხელჩართული ბრძოლა იყო გამართული. ტიტიკოს ძველი, გამოცდილი მეთოდის იმედი ჰქონდა და ზემდგომებს არხეინად არწმუნებდა, თვის ბოლოსათვის სამივე კვარტლის გეგმა შესრულებული მექნებაო.

ახლა უკვე გადამჭრელი მომენტი დადგა და საგანებო თათბირზე ყველა მოიწვია, ეს პრობლემა ვისაც უნდა გადაეჭრა.

ტიტიკოს კაბინეტში ზაქრო, პართენა, მეძროხეობის ფერმის გამგე მიტუშა და საწყობის გამგე ისხდნენ. ტიტიკო ტელეფონზე ლაპარაკობდა.

— გამიჭირდება, მაგრამ უსათუოდ შევასრულებ!.. სხვა კოლმეურნეობებსაც დავეხმარო? ვასწავლი სად და როგორი წესით უნდა იშოვნონ რძე, ყველი და კარაქი. მივიდნენ, ჩემს ბიჭებს გაყვნენ და იქიდან უკვე პროფესორები ჩამოვლ-

ნენ!... კარგად იყავით! – ტიტიკომ ყურმილი დადო და კაბინეტში მსხდომთ მიუბრუნდა.

– გესმოდათ? – ხელი ტელეფონისკენ გაიშვირა, – რძე ყველაზე აუცილებელია, დანარჩენს იოლად მოვუვლით. მიტუშ, ორი მანქანა ქერით დატვირთე. მწყემსებზე ხელფასი არ გასცე, ის ფულიც თან წაიღე; ხვალ წალკაში ამოყავ თავი, სხვებმა არ დაგასწრონ, რაც ყველი იქნება, სულ წამოიღე; პართენა და მიტუშა ზაქათალა ბელექანში წავლენ, გინდა ბრინზა იყოს, წამოიღეთ, ყველკარაქის ქარხანას მაინც მიაღებინებენ. მოკლედ, როგორც ხერხდება ხოლმე. რაიონის მადაზიებში გააფორმებენ, ფონდზე კი თვითონ იზრუნებენ. ახლა ფულზე, რაც ხელფასის ფული არის, მაიცა, ბუღალტერს დავუძახო, – ტიტიკომ ზარის ღილას თითი დააჭირა, – ხელფასზე ყველამ უარი უნდა თქვას; დანარჩენი ზოგი რა, ზოგი რა და, მოკლედ, გამოვდივართ! – ტიტიკომ ისეთი ტაში შემოჰკრა, თითქოს რძე უკვე ჩაებარებინოს.

ოთახში ბუღალტერი შემოვიდა.

– რაც ხელფასის ფული გაქვს, ყველის შეძენაში უნდა გავხარჯოთ; ისე გეგმას ვერ ვასრულებთ! – უბრძანა ბუღალტერს.

– დაიწერონ და წაიღონ, ოღონდ როგორღა გაასწორებენ? – შეეკითხა ბუღალტერი.

– მაგას თვითონ მოუვლიან! – თქვა თავმჯდომარემ.

ბიჭები ენაჩავარდნილები ისხდნენ. ამ საქმისათვის ხელის მოკიდება არავის არ უნდოდა. პართენა და მიტუშა ზაქროს უცდიდნენ, მისი იმედი ჰქონდათ, რომ ხმას აიმაღლებდა, თვითონაც მხარს დაუჭერდნენ, მაგრამ ზაქრო ისე მშვიდად იჯდა, რომ ეჭვი შეეპარათ, ესეც არ დაეთანხმოსო.

– არ შეიძლება მაგის გაკეთება, ტიტიკო გლახოევიჩ. ძლივს ეწყობა საქმე, ჯერჯერობით გეგმის შესრულება გაგვიჭირდება, სამაგიეროდ მომავალი წლის ბოლოს პირნათლად ვიქნებით გეგმასთანაც და ხალხთანაც. ახლა რომ მწყემსებს ხელფასი არ მივცეთ, ისევ გაგვექცევიან – წყნარად თქვა ზაქრომ.

– მაიცა, რა თქვი? კარგად ვერ გავიგე! – ტიტიკომ ყურები ცქვიტა.

– ისა ვთქვი, რომ ეგრე გეგმის შესრულებას ბოლო უნდა მოეღოს. ჩვენი მეცხოველეობა ამან გააჩანაგა. ერთ წელიწადში ჩამორჩენას თავს დავაღწევთ და მერე ჩვენი საქმე სულ აღმა წავა. მოკლედ, ყველის საყიდად არავინ არ უნდა წავიდეს. ჩამორჩენისათვის გალანძღვა სჯობს, ვიდრე ამ ბინძური საქმის ხელის მოკიდება, – თავის ნათქვამს ზაქრომ დასკვნა გაუკეთა.

– შენ ამ ბოლო დროს აურიე, ეს მეცხვარეობაო, ეს მეძროხეობაო, რა ბუნტი დაიწყე! ხომ არ გგონია, ვერ გიგებდე რა მუცლის ტკივილი გაქვს! შენ, ნუ წახვალ, პართენა და მიტუშა მშვენივრად გაართმევენ ამ საქმეს თავს! – ტიტიკო ორივეს მიუბრუნდა, მოკლედ, დღეს საღამოსვე წადით, ერთი ერთ მხარეს, მეორე მეორე მხარეს!

– მე მაგ საქმეს ხელს არ მოვკიდებ, ტიტიკო გლახოევიჩ! გნებავთ დამავალე და ექვს თვეში ხრამის ბრიგადას რაიონში მოწინავედ ვაქცევ, – პართენამ აუღელვებლად უთხრა.

– მიტუშ, შენ წადი როგორც წესია, ამათ მე მოვუვლი! – ნერვიულობისაგან თვალებში სითხე მოადგა, ცხვირსახოცი ამოიღო და ამომშრალებას შეუდგა.

– ეგრე როდემდის უნდა ვიაროთ, ხომ ვხედავთ რომ არაფერი გამოდის, ცოტა რაღაცა წამოვიწყეთ. ეს ამბავი იგრე შეგვიშლის ხელს. წელში ვეღარ გავიმართებით, – მიტუშა მტკიცედ ლაპარაკობდა.

– პირი შეკარით არა?! – ტიტიკო აყვირდა, – ვიცი, ამის მოთავე ვინც არი, ფეხი არ ჩაუვა, გონია ტიტიკოს გააგდებენ და მაგას დარჩება ტახტი და მოედანი. ვერ მოგართვეს! მანამდე მაგას ავუკრავ გუდ-ნაბადს! – აშკარა იყო, ეს ნათქვამი ზაქროს მიმართ იყო მიმართული. – მანამდე კი სხვებს გავაგზავნი, ყველს ვაყიდინებ და გეგმას შეუსრულებელს არ დავტოვებ!

– ვერავის ვერ გააგზავნი! – მტკიცედ უთხრა ზაქრომ – მორჩა, ჩვენს კოლექტივში ეს სისაძაგლე უნდა მოიკვეთოს!

– რა. შენ არ გეხება გეგმის შესრულება?! – ტიტიკო უკვე ყვიროდა. – ჰოდა, აგებ კიდეც პასუხს.

– პასუხს ვაგებ, მაგრამ დანაშაულით გეგმის შესრულების უფლებას არავის მივცემ! – ზაქროც გაცხარდა.

– წადით! არა მჭირდებით! – აყვირდა ტიტიკო. იქ მოგელაპარაკებით, იქ! – მიაძახა უკვე კარებში გასულებს და ხელი მაღლა ასწია.

## ამბაკოს თათბირი

– **კოლმეურნეობებზე** მიმაგრებულ ამხანაგებთან თათბირი, ნახევარ საათში დაიწყება, – გამოაცხადა ამბაკოს პირადმა მდივანმა გოგომ, როგორც მისი კაბინეტიდან გამოვიდა, ზოგს დაურეკა, ზოგს პირადად შეხვდა და ატყდა ფაციფუცი, ტელეფონებზე რეკვა, გეგმების შესრულებაზე ცნობები აიღეს, ზოგი რამ სხვა წვრილმანიც გაიგეს: რაც მიმაგრება იყო, შემსრულებლები არანაკლები ყალბი და თვალისახვევაში დაოსტატებული იყვნენ. არც ამბაკოს სჭირდებოდა ნამდვილი საქმე, ამ თათბირებით თავის ერთგულთა თვალთმაქცობას ამოწმებდა და ვინც არ მოსწონდა, მათზე შეურაცხყოფით გულს იფხანდა. ადამიანი კი საქმით კი არა, პირმოთნეობით და ამბაკოსათვის გამრუდებული საქმიანობის წყალობით, პირადი გამდიდრების სურვილის დაკმაყოფილების დონით ფასდებოდა, ეს თათბირი კი ფარნაოზ ნადირაშვილის საქმიანობის დასაკნინებლად და მისთვის შემდგომი ანგარიშსწორებისთვის უნდოდა. საქმე იმაში იყო, რომ ამ რამდენიმე დღის წინათ ფარნაოზს დიდი პურმარილი დაავალა, მაამებლებმა ხარჯი დაიწუნეს და ფარნაოზს ბრალი დასდეს უპასუხისმგებლობაში. ძაღლის თავი კი სულ სხვაგან იყო დამარხული, ფარნაოზი კოლმეურნეობის დაკნინების ხარჯზე იმას ვერ თუ არ აძლევდა, რასაც ამბაკო თხოულობდა საკუთარი ქონის გასასქელებლად; ფარნაოზის ნამდვილი მიღწევა არავის აინტერესებდა, მთავარი მიღწევა ამბაკოს ჯიბის გასქელებაში საკუთარი წვლილის შეტანა იყო...

– პირუტყვის გამოზამთრების საქმე როგორ მიდის? – იკითხა ცხრილში თავჩარგულმა ამბაკომ.

ხმა არავის ამოუღია.

– კოლმეურნეობის მიხედვით დავიწყოთ. ბევრი თავმჯდომარე სულ მხარში გვიდგას, ჩვენს ირგვლივ ტრიალებს; ხომ არაფერში გჭირდებითო, გვეკითხება. ზოგს კი სულ ვერ ვპოულობთ, რასა ჰგავს ფარნაოზ ნადირაშვილის საქციელი! – ამბაკო უცებ აყვირდა – ნამჯა და თივა დალეპა, სილოსი უხარისხოდ ჩადო, ძირფესვიანად ამოაგდო კოლმეურნეობა და ეგ არი!

– ამბაკო სიმონიჩ, მე მაგ კაცისგან ვერაფერი გამიგია, სწორედ რომ მუხის თავი აქვს! – მეორე ხმა მიაწოდა სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა.

– კაცი მივამაგრეთ, მაგრამ რა გამოვიდა, ეტყობა მათე ბალაშვილიც თავის ჭკუაზე გადაიყვანა. მოდით, მათეს ვკითხოთ, რაშია საქმე, რა ეშველება მაგ კაცს?! – ამბაკომ მათეს მიხედა, ისაც ადგა და დინჯად დაიწყო დამაჯერებელი ლაპარაკი.

– მე არ ვიცი, რაში ემდურით ფარნაოზ ნადირაშვილს, ყველა თავმჯდომარეს საქმე მასავით რომ ჰქონდეს დაყენებული, ალბათ, ეს მომაბეზრებელი მიმაგრება საჭირო არ იქნებოდა. რა ნამჯა უნდა დაელუპა, როცა მთელი რაიონის სამყოფი ნამჯა აქვს დამზადებული, როცა სხვებს ფარნაოზის მეათედი არ დაუმზადებიათ, აქედან ჩანს, ნამჯა ვინ დაალპო. ამ ზაფხულს გადაუღებლად წვიმდა, მარტო მაგის მთიბავები არ ისვენებდნენ, გათიბულ ბალახსაც დააწვიმა, მაგრამ ბალახის დამზადების გეგმა გადააჭარბეს. მაშ, ვინ გააფუჭა ბალახი? ფარნაოზ ნადირაშვილმა, თუ იმან, ვინც გრამი თივა ვერ დაამზადა. ამჟამად არც ერთი დარგი ჩამორჩენილი არ აქვთ; კოლმეურნეობა ძლიერია და ხალხიც კმაყოფილი, რომელთაც თავისი თავმჯდომარის სჯერათ. აი, რაშია საქმე, ამბაკო სიმონიჩ, და მეც ამიტომ ვარ ფარნაოზ ნადირაშვილის ჭკუაზე, – მათემ დაამთავრა და დაჯდა.

– აბა ამას რა უნდა ელაპარაკო, მაშ, ნამჯა არ გააუფუჭა? – ამბაკო ბრაზობდა.

– სულ რაღაც ორ ჰექტარზე ვერ აიღო ნამჯა, მაგრამ აუარებელი დაამზადა. კოლმეურნეობების რვაასი ჰექტარიდან გრამი არ აუღიათ და არც აქვთ არაფერი, ასეა თივის დამზადების საკითხშიც. დღეს ფარნაოზის საქონელი მაძღარი არის. სადაც შრომაა, იქ დანაკარგიცაა. სადაც არაფერს აკეთებენ, არც დანაკარგია და არც არაფერი აქვთ.

– შენ უყურე, ფარნაოზი მოწინავე გამოიყვანა. დაგიჯერე და ეგ არის!

– მე რად უნდა დამიჯეროთ, წინ გიდევთ რაიონის კოლმეურნეობების მაჩვენებლები, ისინი ღაღადებენ ჭეშმარიტებას!

– დაჯექ! დიდი გაუგებარი კაცი ხარ! – გაუწყრა ამბაკო.

– მათეს ვერ გაუგია, ამბაკო ფარნაოზაზე იმიტომ ბრაზობს, პურმარილზე ხაშლამის ხორცი კარგი არ იყოო, კუკურამ დაასმინა, ისედაც ვერ იტანს, რადგან ამბაკოს მადას ვერ სწვდება, – ინსტრუქტორებმა ერთმანეთს გადაუჩურჩულეს.

ამბაკოს ხასიათი გაუფუჭდა, ნერვიულობა დაეტყო, ვინც ააყენა, ყველა გალანძღა, არაფერს აკეთებთო, ჯერი მიტროზე მიდგა.

– ყურადღებას არაფერს აქცევთ! არხის პირას მეღორეობის ბრიგადა რომ არის, ღორები გარეთ უპატრონოდ დაეხეტებოდნენ. ერთი ნეზვი კი ისე ეგდო, ნამდვილად ავად იყო, – ამბაკო მიტროს დააშტერდა.

– სწორი ბრძანდებით, ამბაკო სიმონიჩ, თქვენ რომ გაიარეთ, მე და თავმჯდომარე სწორედ მაშინ მივედით. ღორები ბინაში შევყარეთ, ის ნეზვი ნამდვილად ავად იყო, ფერშალმა სასწრაფოდ ნემსი გაუკეთა. მწყემსი და ბრიგადირი მკაცრად გავაფრთხილეთ, ვუთხარით, რომ შეგვარცხვინეს, რომ თვითონ ამბაკო სიმონიჩმა ნახაო, ალბათ, ეს ნაკლოვანებები: პირობა დადეს, ამბაკო სიმონიჩს ეგრე პირშავად აღარ შევხვდებითო.

ამბაკო რაღაცაზე დაფიქრდა. თვითონ სულაც არ უნახავს ღორები და არც ავადმყოფი ნეზვი. მიტრო კი ისე ყვებოდა, ამბაკოც კი დააჯერა. თუ არ დააჯერა, ასიამოვნა, მორჩილების და პირმოთნეობის დემონსტრირება სახეზე იყო. ამბაკოსაც სწორედ ეს სჭირდებოდა, თორე ავადმყოფი ნეზვი კი არა, მთელი რაიონის ნეზვები ჭირსაც წაუღია. ახლა უფრო რბილი ტონით შეეკითხა:

– ზევით, ვენახების თავში, მოსახვევთან ტრაქტორი ეგდო, თქვენ ეგ არ გეკადრებათ.

– მართალი ბრძანეთ, ამბაკო სიმონიჩ, ჩვენც ვნახეთ, მივხვდით, რომ თქვენ ამაზე აუცილებლად მოგვცემდით შენიშვნას. ტრაქტორისტი მოვძებნეთ, ნაწილი გაფუჭებოდა, ვუშოვეთ, დავაყენეთ და ახლა უკვე მუშაობს.

ამბაკო ისევ ჩაფიქრდა. მიტრო იცოდა, რა პიროვნება იყო, მაგრამ ახლა დარწმუნდა, რომ ეს დღევანდელი მუშაობის დონეზე მართლა მიგნება იქნებოდა.

– ბურდო მთის ბოლოს მოსახნავი მიწის ნაკვეთი რათ დაგიტოვებიათ?

– კარგი ბალახი წამოვიდა, ორჯერ გავთიბეთ, ახლა ანეულად არის დატოვებული. გაზაფხულზე მოვხნავთ. თუ თქვენ გვეტყვით, ახლავე შეიძლება მოხვნა. ტრაქტორები მზად გვყავს, – მიტრო თამამად და სხაპასხუპით პასუხობდა.

„მე ხომ ვარ, მაგრამ ეს, ნაცარქექიაა კვადრატში, ედურად ამბროსევიჩს რომ გაახარებს სწორედ ის კადრია, მე და ამგვარი ადამიანებია საჭირო სოციალიზმის დასანაცრებლად“, – გაიფიქრა, ხმამაღლა კი თქვა: – ეგე კაცი, საქმის კურსშიც არის და ღონისძიებებიც სასწრაფოდ გაატარა, – შეაქო მიტრო. – რა მდგომარეობა გაქვთ მეცხოველეობაში?

– ახლა უკვე ისე შეეკითხა, როგორც ყველა წვრილმანში გარკვეულ კაცს ეკითხებიან ხოლმე.

– რძეში გეგმას ვასრულებთ. ცოტა ბებერი ძროხის რძე ჩვენთანაც იყო შერეული. დროზე მოვაგვარეთ საქმე. მეცხვარეობაში კურტკების საკითხი დავაყენეთ. ალბათ, საკმარისი რაოდენობით ვიშოვით.

– ვაიმე ჩემი ბრალი! – ამოიგმინა მთავარმა ზოოტექნიკოსმა, – ახლა კი გამომიყვანენ წირვას! – წყრომით უჩურჩულა გარეთ გასულ ინსტრუქტორს – მე რა, ვეტყვი, შენ რომ გამაქეზე!

– ხომ არ გაგიჟდი! – შეუბღვირა მან.

ამბაკო ისე იყო მიტროს პასუხებით მონუსხული, მიტროს პასუხების შინაარსი არც კი აინეტერესებდა. ის ოცნებაში ჩაიძირა. „ყველა რომ მიტროსნაირი იყოს, ხომ სამოთხე იქნებოდა ეს ცხოვრება“.

– აი, როგორ უნდა იმუშაოთ, ყველაფერი დაწვრილებით იცის, არც ისე დიდი ხანი ინსტრუქტორად მოვიყვანე და გასაკვირია, ისე აუღო მუშაობას ალღო! – ამბაკო გამხიარულდა.

– ყოჩაღი ბიჭია, ყოჩაღი! – სიტყვა შეაშველეს პირმოთნეებმა.

თათბირი დამთავრდა. ინსტრუქტორების ოთახში ზოოტექნიკოსი და ინსტრუქტორები ერთად შევიდნენ. მიტრო ამბაკოს მოსაცდელში შეგროვილ ბიუროს წევრების შორიახლოს იდგა და მათ საუბარს პირმოთნე ღიმილით უსმენდა.

– ნიკო, რა ფაციას გადავრჩით! – შიშნარევი სიცილით უთხრა ზოოტექნიკოსმა.

– გააჩნია, ამბაკო სიმონიჩი მაგ ნათქვამს როგორ მიიღებდა, შეიძლება სიცილით გადაფიჩინებულიყო.

– არა, ისეთ მჟავე ხასიათზე დააყენა მათემ, სუყველას დედას გვიტირებდა, – საუბრაში მეოთხე ინსტრუქტორი ჩაერია, – თავისი წილი არავის არ ასცდებოდა. კომისია გამოიყოფოდა, შეისწავლიდნენ საკითხს. პროექტის სათაური დაახლოებით ასეთი იქნებოდა, „ახლახან გამოვლინებული ბოროტ მასხარათა საზოგადოებრივ საშიშ საქმიანობათა შესახებ“. გიყვარდეს, დამლაგებლიან ცოდნის მდივნიანად სუყველას ცოცხს მოგვატარებდნენ. შეიძლება პირიქითაც მომხდარიყო და კარგ ბიჭებად მოვენათლეთ, ეგ მისი უდიდებულესობის გუნება

განწყობილებაზე იყო დამოკიდებული.

– რამდენი დღე გავიდა, თავმჯდომარისათვის არ უთქვამს, თორე აქამდე ხომ მოიხსნიდა გულას, რაღა პირდაპირ ამბაკოს წინ ჩამოცალა! – გაუკვირდა ნიკოს.

– რა ჩამოცალა, ისევ ზედა ჰკიდია, შენ მერე ნახე, თავმჯდომარესთან რომ მიიტანს; ამჯერად კი გადავრჩით... ზოოტექნიკოსი გარეთ გავიდა.

ნიკომ რაღაც ქაღალდები ამოიღო და წერა დაიწყო.

– ჩვენ ზონაში მივდივართ, – ორმა ინსტრუქტორმა ოთახი დატოვა.

ნიკოს ქაღალდებში ჩაედო თავი და რაღაცას გაფაციცებით წერდა.

მიტრო შემოვიდა, ჩანთა მაგიდაზე დააგდო და დააყოლა:

– მოვკვდი კაცი ამდენი მუშაობით, აღარ შემიძლია! ნეტა ჩემთვის დასვენება როდის იქნება?

ნიკოს ხმა არ გაუცია, ისე იჯდა, თითქოს არც გაუგია, რომ ოთახში ვინმე შემოვიდა.

მიტრომ ნიკოსკენ გაიხედა, რაღაცის თქმა უნდოდა, გადაიფიქრა, მაგიდასთან დაჯდა და ტელეფონზე რეკვა დაიწყო.

– გოგია მინდა, გოგია! – ჩასძახა ყურმილში.

„კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ურეკავს“, – გაიფიქრა ნიკომ და სმენად გადაიქცა.

– გოგი, გამარჯობა! ამ წუთში ამბაკო სიმონიჩს მიმაგრებულებთან თათბირი ჰქონდა, ჩვენ კარგად გამოვედით, დანარჩენები ყველა დალანძღა – მე, ხომ იცი, იგრე ვუპასუხე, მადლობელი დარჩა... ყური მიგდე, არხის პირას ღორები გზაზე დადიოდნენო. ერთი ნეზვი ავად იყოო. მე ვუთხარი თავმჯდომარესთან ერთად, ჩვენც მაშინ მივედით-მეთქი, – მიტრომ ნიკოსკენ გაიხედა, ისევ ისე იყო ქაღალდებში თავჩარგული, ვერც გრძნობდა მიტროს იქ ყოფნას, მაინც ხმას დაუწია, – ღორს ნემსი გავუკეთეთ და გამოკეთდა-მეთქი, გაიგე? თუ გკითხოს. შენც ეგრე უთხარ... ეს ამბავი როდის მოხდა? გუშინწინ ყოფილა მინდორში გასული... შენ დათხოვილი იყავ? ამბაკო სიმონიჩმა ეს იცოდა? მიტრო ცოტა ხანს ჩაფიქრდა, მერე გააგრძელა: – არა უშავს, დამიჯერა... ჰო, ვენახების თავში, მოსახვევთან რა ტრაქტორი გდია? ეგ ტრაქტორი საგზაოსია? ჩამოწერილია? სამი წელი ეგრე გდია? – მიტრო ისე ჩაფიქრდა: ყური დამიგდე, მე ვუთხარ, რომ ტრაქტორისტი წასული იყო, ნაწილი ვუშოვნეთ და ახლა მუშაობს-მეთქი... კიდევ რომ ნახოს? ტრაქტორი გამოაბით და სადმე მოფარებით გადაათრიეთ... კარგია, ეგრე ქენი. ბურდო მთასთან გრძელი ნაკვეთი რომ გვაქვს... ბურდო მთასთან არავითარი ნაკვეთი არა გვაქვს? გრძელი ნაკვეთი მოსახნავი დაგრჩენიათო, მითხრა... ამბაკო სიმონიჩმაც იცის, რომ ეგ სხვა რაიონისაა? თუ იცოდა, მე რატო არაფერი არ მითხრა? მიტრო ისევ ჩაფიქრდა. კიდევ, აი, რა, ბებერი ძროხის რძეზე და სამხედროებიდან კურტკების გამოტანაზე მქონდა საუბარი, რაიმე უნდა ვიღონოთ. სხვები ჯერ აზრზე არ არიან... რა კურტკები? რა ბებერი ძროხის რძე? როცა გნახავ, აგიხსნი, დღესვე მოვდივარ, ამ საქმის გადადება არ შეიძლება, მიტრომ ყურმილი დადო, და ისე ამოიხვნეშა, თითქო დიდი ტვირთი მოეხსნა.

ნიკო აღარ წერდა, სკამზე გადაჭიმულიყო და ჭერს მიშტერებოდა.

– ბიჭო, როდის შენ გითხრეს კურტკების ამბავი, ჯერაც არ იცის თავმჯდომარემ?! ვიღა დაგიტოვებს. ჩემებმა უკვე ჩააცვეს, ცხვარი ნამდვილად გაგიცივდებათ და თავმჯდომარე სულ შენ დაგაბრალებს, იცოდა და საქმის კურსში დროზე არ ჩამაყენაო. – ნიკო ისევ იმ პოზაში იჯდა და ისე ლაპარაკობდა: მერე

მიტროსათვის არც შეუხედავს, კალამი აიღო და წერა გააგრძელა.

მიტროს ხმა არ ამოუღია. ცოტა ხანს მაგიდასთან იწრიალა. უცებ რაღაც მოიგონა, ჩანთაში ფაციფუცით ჩააწყო ქაღალდები. წამოხტა და ოთახიდან გველნაკბენივით გავარდა.

## სარქისას გონება გადაეკვანძა

**კოჭლი** ვანო საწოლზე ფეხმორთხმით იჯდა და თავის ეკლიან გზას ფიქრებით ჩხრეკდა. რა ჭირის დღე არ უნახავს, რას გაუძლო; ან გაუძლო, კი მის ქვითკირის ნებისყოფას ასევე მაგარმა ჯანმრთელობამ უმტყუნა, ოღონდ ჯანმრთელობის შერყევამ იმ რწმენას ვერაფერი დააკლო, მისი სიცოცხლე ესოდენ მკაცრი და სუსხიანი რომ გახადა.

ციმბირის წითელი ზონის კარცერში, გისოსებიდან ღია სარკმელში ქარი სატანური ხარისხით ნამქერს რომ აფურთხებს, გათოშილი იჯდა და გრძნობდა ფილტვებში შემძვრალ ყინულის ბრჭყალებს. ვანომ სიკვდილის სუნი იცოდა, უძრაობის განუკითხაობა სულ სხვაა. კლდიდან რომ ჩაჰყურებ უძირო უფსკრულს და იცი ამ საშინელ უსასრულობაში ვიღაცის ხელის კვრა გაგაფრენს, ვანო ასევე ელოდა საკანში შემძვრალ ცივ სიკვდილს, რომლის კლანჭებიდან დახსნის გზა ერთი იყო მხოლოდ – ქურდული რწმენის უარყოფა, კოლონიის წესებისადმი დამორჩილება და მონური შრომა იმ სიამაყის დაკარგვის ხარჯზე, რაც ქურდულ რწმენას ახლდა, უპრინციპო, მორჩილ და უფერულ მასაში უნდა ჩაკარგულიყო, მყრალი, ობმოკიდებული, უაზრო სიცოცხლის შესანარჩუნებლად; სიცოცხლის ფასად არ ღალატობდა თავის რწმენას. ვანო დნებოდა. კარცერიდან, რომლის კედლებს მისი ჯანმრთელობა შეყინოდა, გათოშილი და კრიჭაშეკრული გამოჰყავდათ. დამზრალს დახველების თავიც აღარ ჰქონდა, კოლონიის ადმინისტრაციამ ვანოს ვერაფერი მოუხერხა, არაფერმა არ გაჭრა, ბოლოს თავისი ყოფილი ძმები შეახვედრეს, ახლა კოლონიის ჭაპანს მონური მორჩილებით რომ ექაჩებოდნენ; იქნებ მათ მაინც მოერჯულებინათ ვანო. ამ ბიჭებმა სიკვდილთან პაექრობას ვერ გაუძლეს, გატყდნენ და სიამაყემომსპარნი ვანოს წინ, სისუსტისაგან ძლივს რომ სუნთქავდა, დანაშაულზე წასწრებულ ბავშვებივით იდგნენ. ვანომ გრძელი ხველებისაგან სული ძლივს მოითქვა და თქვა სათქმელი:

– მე შეიძლება აქედან ცოცხალი ვერ გავიდე. თქვენ გავალებთ, რომ „ძმებს" გადასცეთ, თქვენ ქურდები აღარა ხართ, იმიტომ, რომ მყრალი სიცოცხლე გირჩევნიათ სიკვდილთან უთანასწორო ბრძოლას. არაქურდად დაგსვათ კოჭლმა ვანომ. იცოდეთ, დღევანდელი სხადნიაკის ამბავს ვერ დამალავთ, კედლებიც იტყვიან სათქმელს! – ვანოს ხველა აუტყდა. ვერც ერთმა ხმა ვერ ამოიღო, თავჩაღუნულები იდგნენ და მის სულის მოთქმას უცდიდნენ, ერთმა გაბედა და ცხვირსახოცი მიაწოდა, ვანომ სახეში ესროლა.

ამ ამბის შემდეგ ისევ კარცერი და ისევ ყოფნის არყოფნასთან ჭიდილი. ვერ გატეხეს. არც ბარაკში უშვებდნენ, პატიმრებს გადაგვირევსო. მისი მიღება არცერთ კოლონიაში არ უნდოდათ. ბოლოს გარეთ დარჩენილი ძმების მცდელობით მოხერხდა მისი საქართველოში დაბრუნება. აქ მაინც შეიძლებოდა დახმარება და, აჰა, ვანო ციხის საავადმყოფოში ებრძოდა ციმბირიდან ადევნებულ თანატოსს.

კარებზე ვიღაცამ დააკაკუნა. ფიქრები გაუფრთხნენ.

– შემოდი! – სარქისამ დაუძახა.

ოთახში ომარი შევიდა და კარებთან გაჩერდა.

– გამარჯობათ! – თქვა და პასუხს დაელოდა. დამხდურები დუმდნენ.

ვანო ომარს მიაჩერდა, ჯერ ისევ მძიმე მოგონებათა ტყვეობაში მყოფს ხმის ამოღების სურვილი არ ჰქონდა.

– ჩვენებმა პატარა ძღვენი შემომიგზავნეს, თუ იტყვით, იქნებ... – ომარმა სათქმელი აღარ დაამთავრა.

– შენს პალატაში მოიხმარე. ჩვენ თუ წახემსების ხასიათზე მოვედით, მოგიწვევთ, – უთხრა ვანომ.

ომარი სიტყვის უთქმელად გავიდა. სარქისამ ვანოს შეხედა. მერე საწოლიდან ადგა და სარკმელთან მივიდა. არ უყვარდა ლაპარაკი. თუ რაიმეს იტყოდა, მხოლოდ აუცილებელს, გამოცდილმა ქურდმა ყველაზე უკეთ იცოდა სიტყვის ძალა და უპასუხისმგებლოდ გაფრენილი ნათქვამის მთქმელის ყურებზე მატრახად მოხვედრის სუსხი. უსასრულო დროსთან ჭიდილში გამომუშავებული ჰქონდა მძიმე ფიქრებით მისი დაღნობის ჩვევა, რათა მეორე დღეს იგივე განმეორებულიყო. მთელი თავისი სიცოცხლის ორი მესამედი ციხის მკვიდრს თავისუფლებაში ცხოვრება დავიწყებოდა. თუ ციხეში გამორჩებოდათ მისთვის რაიმე ხრიკებით სროკის წამოკიდება, გარეთ ან ვაზნებს, ან ნარკოტიკებს ჩაუყრიდნენ ჯიბეში და სარქისაც რამდენიმე თვის გარეთ გასეირნების შემდეგ თავის ძირითად სამყოფს უბრუნდებოდა.

ფიქრების შემოსევის დროს საუბრის სურვილი არ ჰქონდათ, ამიტომაც მოიცილეს ომარი. ვანო სარქისაზე სიტყვაძუნწი იყო, მაგრამ ეს ასაკოვანი, ქურდული ცხოვრებით გაცვეთილი კაცი პირველი სიტყვის თქმის უპირატესობას მაინც ვანოს უთმობდა მისი ქურდულ სამყაროში პატივსაცემი დამსახურების გამო.

პალატაში ექიმი შევიდა. შუა ხნის, ამ ცხოვრების ავკარგში უკიდურესად გათვიცნობიერებული, ციხის საავადმყოფოს ყველა ჩრდილოვან და ბნელ კუნჭულში გარკვეული კაცი. ამიტომაც ესოდენ პატივისცემით და თავაზიანად ეპყრობდა ქურდებს, რამეთუ მათი სიტყვის და საქმის ძალას კარგად სცნობდა, მათგან არც პატივისცემა არ აკლდა.

– ვანო, სიცხე უნდა გაგიზომო. ბიჭებმა ეს წამალი შემოგიგზავნეს, დღეში სამჯერ უნდა დალიო. აბა, ჯერ ეს ერთი დამილიე, – ექიმმა აბი ხელის გულზე დაიდო და გრაფინიდან ჭიქაში წყალი დაასხა.

– სიცხის გაზომვა არ მჭირდება, წამალი მანდ ტუმბოჩკაზე დადე, ხელი რომ სტიკვა იმ ბიჭს, ომარს გადაეცი, ორი საათის შემდეგ ჩვენთან მოვიდეს, – ვანომ ექიმს მზერა მოაცილა. ეს ნიშნავდა, რომ საუბარი დამთავრებული იყო; არც პასუხს არ საჭიროებდა. ექიმმა იცოდა, რომ ვანოს ზედმეტი ლაი-ლაი არ უყვარდა. ისაც იცოდა, რა ქვის ნატეხი იყო და რა წონა ჰქონდა ქურდებში თუ არაქურდებში; წამალი დადო და პალატიდან უხმოდ გავიდა.

– მოდი, ვანო, დღეს თითო ას-ასი გრამი გადავკრათ, იქნებ ეს უფრო კარგი წამალი იყოს ჩვენი ფილტვებისათვის, ვიდრე რაღაც აბები, ინდაურებივით რომ გვაყლაპებენ, – თქვა სარქისამ და სიგარეტს მოუკიდა, ვანომაც აიღო ერთი ღერი.

– არა, შენთვის არ შეიძლება! – გაუწყრა სარქისა.

ვანომ სიგარეტს მოუკიდა. ღრმა ნაფაზი დაარტყა, ბოლი გამოუშვა და შევბანაგემმა თქვა: – ამათ რომ ჰკითხო, არც არაყის დალევა არ შეიძლება

სარქისას გაეღიმა, ხელი ჩაიქნია და ღიმილითვე დაუმატა: – ვინც ძალიან ფრთხილობს, უკვდავია?!

დრო ნელა გავიდა.

ტანმორჩილმა სანიტარმა სუფრა გააწყო, პროდუქტების ნაკლებობა არ ჰქონიათ; საძმო კარგად ამარაგებდათ.

– არაყი გვაკლია, თორე სხვაფრივ სუფრას ვერავინ დაგვიწუნებდა, – თქვა სარქისამ.

– მე კახურს უფრო სიამოვნებით დავლევდი. სანიტარს მოვატანინოთ, აკრძალული ხილი უფრო ტკბილია, – დაუმატა ვანომ.

კარი დაკაკუნების გარეშე გაიღო, პალატაში ომარი შევიდა, ნებართვა არ უთხოვია, ორივე ხელი დამძიმებული ჰქონდა ჩანთით და ათლიტრიანი კანისტრით, – ეს „ტიბაანია“, – თქვა და კანისტრა მაგიდასთან დადგა, ორი ბოთლი არაყი და მოხარშული ინდაურიც ამოალაგა ჩანთიდან.

სარქისამ არყის ბოთლი გახსნა, – დღეს უნდა დავლიო, – თქვა და ჭიქაში დაასხა.

პატარა მაგიდას სამნი შემოუსხდნენ.

პირველი სადღეგრძელო არყით თქვეს და სამი სახარება გაიხსენეს.

– ამით კიდევ მეოთხე, იოანეს სახარებას გაუმარჯოს! – თქვა ვანომ და მეოთხე სახარების სადღეგრძელოს ცალკე სასმისი უძღვნა.

– მეოთხესაც გაუმარჯოს და ორმოცდამეათესაც, – გაზარდა სახარებათა რიცხვი სარქისამ და ჭიქა გამოცალა.

– სახარება ოთხია: მათე, მარკოზი, ლუკა და იოანესი, – აუხსნა ვანომ.

– შენ რომ იცი, ნეტა იმდენი მღვდელმა, პროკურორმა, ისტორიკოსმა, ფილოლოგმა, გეოგრაფმა, სარქისა ჩაფიქრდა, – კიდევ რღაცის მოგონება უნდოდა, ვერ გაიხსენა, – ნეტა იმის ნახევარი იცოდნენ თუნდაც გამომძიებელმა. – დაუმატა.

– სარქის. გამომძიებელი ყველაზე ჭკვიანი გგონია იმათ შორის, ვინც ჩამოთვალე? – ჰკითხა ვანომ.

– გამომძიებელი ჩემი ბედის მწერალია თავისი უკუღმა მოწყობილი ტვინით, – განმარტა სარქისამ.

– შენი ბედისმწერალი უკუღმა მოწყობილი ეს ცხოვრებაა, ასე მრალად რომ ჩეკავს დაბალ-მაღალ სკამებზე უკუღმა ტვინმომართულ არაკაცებს, – დაასკვნა ვანომ.

ომარმა არაყი დაასხა.

– მართალია სახარებები პირველად ვადღეგრძელეთ, უკუღმართ ქვეყანაში ამის უფლება გვაქვს. ამ ჭიქით მინდა ვისაც რა რწმენა აქვს, როგორიც არ უნდა იყოს ეს რწმენა, სიყვარულით და ერთგულად რომ ემსახურება, ასეთ რწმენის კაცს გაუმარჯოს! – ომარმა არაყი გადაჰკრა.

– ერიჰა, ჩვენ ერთი არყის დალევას ვაპირებთ, – ვანომ მესამე ჭიქაც დალია და არყის ბოთლი გვერდზე მიაცურა, – ღვინით გავაგრძელოთ, – დააყოლა.

ნაცნობმა ექიმმა პალატის კარი გააღო და მოკრძალებულად გაბრაზდა: –აბა, ეს როგორ შეიძლება, სად გაგონილა აქ არყის და ღვინის სმა?!

– ღვინო ჯერ არ დაგვილევია, აბა გასინჯე, – ვანომ ღვინით სავსე ჭიქა მიაწოდა.

ექიმმა დალია და სიამოვნებისაგან გაიღიმა.

– ამას რა წამალი შეედრება, აგაშენოთ! – ინდაურს ბარკალი შეახლიჩა, ახლა წავედი, ეს ღვინო სულ არ დალიოთ.

– იქნებ არაყიც გაგესინჯა, – სანქისამ არყის ჭიქა შესთავაზა.

– არა, ჩემთვის ჯერ მეტი არ შეიძლება, ამაღამ კი სიამოვნებით.

– ამაღამ ჩვენ გვეძინება, სათქვენოდ იმდენს გადავინახავთ, რომ არ მოიწყენთ, – შეჰპირდა ვანო.

– ეგრე ქენით, – ექიმმა ინდაურის ბარკლიანად დატოვა პალატა.

ღვინო მოეწონათ. ორი ჭიქის შემდეგ იმძლავრა ბახუსმა და ლაპარაკის ხასიათზე მოვიდნენ.

– ვისაც ჩვენი ეს გამოცოცხლება არ შეშურდება, იმას გაუმარჯოს! – სარქისამ ჭიქა გამოცალა და პურს პატარა ნაჭერი შეატეხა.

– შენი გამომძიებლები მაინც ვერ დაინახავენ, შურით რომ გასკდნენ, – ღიმილით უთხრა ვანომ.

– როგორ მეცოდებიან ის ცოდვისშვილები, – თქვა სარქისამ და პურის ნაჭერი ჩაიდო პირში.

– ომარის გამომძიებლებს რაღა ეშველებათ, ეს უცოდველი ბიჭი სატანის ნალებით რომ დაჭედეს.

– თუ ნამუსის მარცვალი კიდევ შერჩენიათ, სინდისის ქენჯნა გააწვალებთ, თუ არადა, ამქვეყნად რამდენი უნამუსოა უფლის სამსჯავრო რომ უცდის, – თქვა სარქისამ.

– უფლის სამსჯავროს გაუმარჯოს! ისე კი დღევანდელი კვერცხი მირჩევნია ხვალინდელ ქათამს, – ვანომ გაიღიმა და ჭიქა ასწია.

საუბარში გაერთნენ, ღვინომაც იმძლავრა და მათ მოღრუბლულ სახეზე ღიმილმა გამოანათა.

– ომარ-ჯან, შენგან კარგი ქურდი დადგებოდა, თავის დროზე პატრონი რომ გყოლოდა, – სარქისას გული აუჩუყდა.

– ეს ქვეყანა უპატრონო რომ არ იყოს, ქურდი საჭირო არ იქნებოდა, მაგრამ განუკითხაობის, სახელმწიფო ყაჩაღების სამთავროს ცოტათი თუ ბევრად ჩვენ ვაწონასწორებთ, – დაასკვნა ვანომ.

– არ მესმის, როგორ აწონასწორებთ? – შეეკითხა ომარი.

– აი, მე ქურდი ვარ, მოსამართლე კი ამ საზოგადოების საპატიო მოქალაქე ყველგან მოწიწებით რომ ხვდებიან, მაგრამ რით არის ჩემზე უკეთესი? „სროკით“ რომ ვაჭრობს და კანონის ძარღვზე წურბელასავით მომჯდარა; კანონის გამრუდებით ფულს რომ იღებს და ამით ქონს აგროვებს იმით? მე არ ვმალავ, რომ ქურდი ვარ. ის კი, საზოგადოებას თავს პატიოსნად აჩვენებს, სინამდვილეში კი ყაჩაღია და მერე როგორი. არადა, ყველამ იცის ნიღაბში შემძვრალი პარაზიტი რომ არის და მაინც სარქისას დასდევენ, ქურდი ხარო. არადა, ამ საწყალს თავის ქოხში ერთი რკინის საწოლი და მორყეული სკამის გარდა არაფერი არ გააჩნია, იმასაც არ ანებებენ. ის, საზოგადეობრივი ყაჩაღი კი იმხელა სახლში ცხოვრობს, თავისი საწოლი ვერ უპოვია. განა მარტო მოსამართლეა ასე? ვისაც კი სკამის სიმაღლე უწყობს ხელს, ყველა ქურდი და ოხერია, იტაცებენ და ისე კუჭავენ, მერე თვითონაც ვერ უპოვიათ. ამ საზოგადეობრივ, ნებიერ ყაჩაღებს კანონი იცავს, ჰოდა, ამიტომაც არის საჭირო ქურდი, რომ ზედმეტი ცხიმი გამოვაცალოთ, რათა არ გასკდნენ.

– შენ გინდა, რომ ქურდობაც ისე დააკანონონ, როგორც მოსამართლე, გამომძიებელი, პროკურორი, ან მთავრობის ხელმძღვანელი? – შეეკითხა ომარი.

– ქურდობას არავისი დაკანონება არ სჭირდება. როცა ადამიანებში გაჩნდა მდიდარი და ღარიბი, მქონებელი და უქონელი, იქიდან მოდის ქურდობა. კამეჩი რომ მოკლეს თემი იყო თუ გვარი, ბელადს იმდენი მისცეს, ოცი კუჭი ვერ გადა-

ამუშავებდა, მაშინ შეიპარა ვინმე მშიერი და დიდი ნაჭერი დაითრია. თუ დაიჭერდნენ, ცემით გახეთქავდნენ, რადგანაც მაშინ კარცერი არ ჰქონდათ და არც დღევანდელ ცივილიზებულ წამების მეთოდებს არ იყვნენ ნაზიარები. თუ შერჩებოდა, ის კიდევ მოიპარავდა, სანამ საქათმის კარზე არ გაუთენდებოდა. მაგრამ ამით ქურდობას ვერ მოსპობდნენ, რადგან ქურდს კი არ უნდა ებრძოლო, არამედ მის გამომწვევ მიზეზებს, რაც არ აწყობთ და არც შეუძლიათ.

დღეს ყველა ქურდობს. მეზობელი რომ მეზობელს ქათამს პარავს, ქურდობს; ვიღაცა საწყალ კაცს ჯიბეში უყოფს ხელს, ქურდობს; მაგრამ ესენი ყველა ქურდები კი არა, ვირთხები არიან. ქურდი ამაღლებული ზნეობის კაცია, მხოლოდ იმას პარავს, ზედმეტი ქონის დამალვით რომ ნერვიულობს, ჩვენ სწორედ ამ ნერვიულობის განცდას ვუხსნით. კანონის მფარველობაში მყოფ ვირთხებს ვპარავთ, რამეთუ მათთან კანონით ჭიდილი არ გამოვა. მე კიდევ ვამბობ: – არიან პატიოსანი ქურდები და არიან ვირთხები, ამას გარკვევა უნდა. მოკლედ, ნამდვილი ქურდი საზოგადოების ძარღვზე მომჯდარი ვირთხის რისხვაა. ჰოდა, ქურდი საჭირო ყოფილა მანამ, სანამ ეს ქვეყანა არ გამოსწორდება, გასწორდება კი... – ვანო ჩაფიქრდა. ომარმა აღარ დააცალა ფიქრებში ჩაღრმავება და შეეკითხა:

– ვანო, როგორც შენ ამბობ, ზედმეტი ქონის პატრონს ანთავისუფლებ ზედმეტი ნერვიულობისაგან. ბინაში რომ შედიხართ, ადამიანებს გულებს უხეთქავთ, რაც მოგეწონებათ, თავისი ხელით მოაგროვებინებთ, ეს როგორღაა?

– შენ ქურდი და ყაჩაღი ერთმანეთში ვერ გაგირჩევია. ქურდი ისე უნდა შევიდეს ბინაში, პატრონმა ვერ გაიგოს. მერე როდისმე ნახავს თავის დანაკარგს და თანდათან შეეგუება. ყაჩაღებთან შედარებით ჩვენ ჰუმანურები ვართ, ადამიანს გულს არ ვუხეთქავთ. ჩვენი მოქმედება იუველირივით ზუსტი და მოზომილია; ეს ხელოვნებაა სხვა რომ ვერ ფლობს. ყველაზე ძლიერი კი ქურდული იდეოლოგიაა, რომელიც სახელმწიფოთა საზღვრებს არ სცნობს, არსად არ წერია და არც არქივში არ ინახება, ის ჰომეროსის უკვდავი ილიადასავით თაობიდან თაობაზე ზეპირად გადადის; მოსპობით კი მაშინ მოისპობა, როცა ქვეყანაზე უსამართლობას აღარ ექნება ადგილი, – ვანოს ენერგია აღარ ეყო, სული შეეხუთა, მუჭაში ჩაახველა და ჭიქიდან ერთი ყლუპი ღვინო მოსვა.

– ეგრეა, ეგრე, ქურდობის მოსპობა არავის არ შეუძლია, – დაასკვნა სარქისამ.

– სახლში რომ შეხვიდე და შემთხვევით პატრონი იქ დაგვხვდეს, მაშინ რას იზამ, ბოდიშს მოუხდი? – ღიმილით შეეკითხა ომარი.

– არის ასეთი შემთხვევებიც, არც სავალალო შედეგია გამორიცხული. მაგრამ ეს შემთხვევებია მხოლოდ; ძირითადად კი, ქურდი თავისი მოწოდების ერთგულია.

– შენ თუ გქონია მსგავსი შემთხვევა? – ჰკითხა ომარმა.

– როცა საქმეზე მიდიხარ, ყველაფერია მოსალოდნელი; დაზღვეულიც არაფრისგან არა ხარ. ამიტომ მოულოდნელობისათვის მზად უნდა იყო. რაც მე შემთხვევები მქონია, რა ჩამოთვლის. ერთს კი ხშირად ვიხსენებს ხოლმე:

– ერთხელ ბინაში შევედი, საქმე ვინც მომცა, ოჯახის მამის ძმის შვილი იყო, იჩხირავდა, წამლისათვის ყოველგვარ არაკაცობას კადრულობდა. ქალაქის განაპირას კარგად შემოღობილი იზოლირებული ბაითი იდგა. შევიპარე და წყნარად ვმუშაობდი. მეორე ოთახიდან ქალის შეშფოთებული ხმა მესმოდა; ჩემი თავის იმედი მქონდა, საქმეს უხმაუროდ ვაკეთებდი. ფული და ძვირფასეულობა ზუსტად იქ დამხვდა, როგორც მითხრეს, ყველაფერი ჩანთაში ჩავალაგე

და წასასვლელად მოვემზადე. ამ დროს მეზობელ ოთახში ქალმა საზარელი მოთქმით წივილი დაიწყო: – თამრიკო შვილო! ხმა ამოიღე, რა მოგდის? თამრიკო! თამრიკო! თამრიკო! – კიოდა ქალი. ბოლოს აღრიალდა: მიშველეთ! მე შემეძლო, როგორც შემოვედი, ისე უხმაუროდ გავსულიყავი ჩემი ჩანთით, მაგრამ გულმა არა ქნა. ჩანთა დავაგდე და შეხსნილ კარებში შევიხედე. ქალს გონწასული ბავშვი ხელში ეჭირა და წიოდა. იქნებ მოკვდა?! საზარელმა წინათგრძნობამ შიგნეულობა დამიბრჭყალა. მაშინ ერთი მიზანიღა მქონდა მხოლოდ, როგორმე ბავშისთვის მეშველა. კარი შევაღე.

– ნუ გეშინიათ, ქალბატონო, მითხარით, რით მოგეხმაროთ?! – თანაგრძნობით მივმართე.

– მაღალი სიცხე აქვს, გონი დაკარგა, ტელეფონი არ მუშაობს, რომ სადმე დამერეკა, – ტირილით მითხრა.

– ნუ გეშინიათ, ქალბატონო, ძმრიანი წინდები ჩავაცვათ და მერე ექიმთან გავიქცევი.

ქალი დამშვიდდა, იმედი მიეცა, წინდები ჩავაცვით, დავზილეთ, ოფლი მოვადინეთ; გონზე მოვიდა.

– არ დაიბნეთ, ქალბატონო, ყველაფერი კარგად იქნება, – დავამშვიდე და სასწრაფოს მოსაყვანად გარეთ გავვარდი.

მსუბუქი ავტომობილი დავიჭირე და სულ კისრისტეხით ვატარე. სასწრაფო დახმარების მუშაკები ოთახში შეკრებილიყვნენ და სიცილ-კისკისი ჰქონდათ.

ჩემს თხოვნაზე ერთმა ახმახმა ბიჭმა თავხედურად მიპასუხა, ყველა მანქანა გასულია, ჩვენ კიდევ არ გვცალიაო და ხელით მანიშნა, ოთახიდან გადიო.

ბევრი ახსნა-განმარტება არ დამიწყია, ქეჩოში ხელი ვტაცე, სულ ჯიკავჯიკავით შევტენე მანქანაში. ზედ ინსტრუმენტების ჩანთიანი ქალიც მივაყოლე; საშველად გამოკიდებული დანარჩენები კი ნაგანით დავაფრთხე...

ბავშვს ნემსი გაუკეთეს, მოაბრუნეს, კარგ ხასიათზე დააყენეს, რეცეპტი გამოწერეს და ისევ უკან წავიყვანე; ფულითაც კარგად დავასაჩუქრე, მორიგე აფთიაქი მოვძებნე. წამლები ვიშოვე, იმ ბინაზე მივიტანე და... ბინაზე სისხლის სამართლის სამძებროს ნაცნობი, გამოცდილი მუშაკი დამხვდა, იხტიბარი არ გავიტეხე, ქალბატონს წამლები ჩავაბარე, მაშინვე დაალევინა; გოგონა უკვე კარგად იყო, ლაპარაკობდა, რომ გამოვბრუნდი, ის მუშაკი ხელში იარაღს ათამაშებდა.

– კოჭლო, სისულელე არ ჩაიდინო, თორე ცუდი სროლა არ ვიცი მე, – მითხრა.

– რა მოხდა, ბატონო, რა დააშავა?! – გამომექომაგა ის ქალბატონი.

– ქალბატონო. ამ კაცს საიდან იცნობთ? – ჰკითხა.

– არ ვიცნობ, მაგრამ ჩემს ცხოვრებაში ასეთი კეთილშობილი ადამიანი იშვიათად თუ შემხვედრია.

– ეს კეთილშობილი ადამიანი ქურდია, აქაც მაგ მიზნით შემოძვრა.

ქურდის ხსენებაზე ქალს ელდა ეცა, მუხლები მოეკვეთა და სკამზე ჩამოჯდა; მაინც მოერია შიშს და კიდევ სცადა ჩემი გამოქომაგება:

– როგორ გეკადრებათ, ბატონო, თქვენ გეშლებათ, როგორ შეიძლება ასეთი ზნემაღალი ადამიანი ქურდი იყოს?!

– კოჭლო, ქალბატონს აუხსენ, ვინც ხარ. სასწრაფოდან რომ დარეკეს, კოჭლობს და იარაღის მუქარით ექიმები წაიყვანაო, მივხვდი, რომ შენ იქნებოდი, მე წამოვედი, რადგან სხვები ვერ მოგივლიდნენ და შეიძლება საქმე ძალიან გართულებულიყო. ბინის მისამართი იმ ახმახმა ექიმმა მომცა, შენ სასწრაფო-

ში რომ მოიყვანე. გამოკიდება შემეძლო, მაგრამ რომ გავიგე, რეცეპტი გამოგვართვაო, ვიცოდი, შენ წამლის მომტანი იყავ და მეც აქ დაგელოდე: ხომ კარგად მოვიქეცი? – ირონიულად გაიღიმა.

მეც ვიდექი და ვიღიმებოდი.

– რა გიხარია, ბიჭო, აქედან პირდაპირ სროკზე რომ გიკრავ თავს, არ იცი?!

– არა ვჩივი, უფროსო, ბავშვი ხომ გადარჩა, – ვუთხარ და, მგონი, მაშინ გაუდნა გულში შერჩენილი სამსახურებრივი ყინული.

– ახლა მომაწოდე ეგ ნაგანი და ქალბატონს გამოემშვიდობე; ცელქობა არ იყოს, – მითხრა და მარცხენა ხელი გამომიწოდა ნაგანის ჩამოსართმევად.

ქალმა იარაღი რომ დაინახა, კინაღამ გული შეუღონდა.

– ნუთუ მართლა ქურდია? – აკანკალებულმა იკითხა.

– ქურდი ვარ, ქალბატონო, თქვენ კი თოვლის ბაბუა გეგონეთ, მაგრამ დაიხსომეთ, ნამდვილი ქურდი თოვლის ბაბუაც არის და კეთილი ანგელოზიც, – ღიმილით ვუთხარ და ის ჩანთა მივუტანე, – კაპიკი არ აკლია, ქალბატონო, – დავიხარე, ხელზე ვაკოცე და ჩემს მცველს ჩავბარდი.

– ახლა დარწმუნდით, ქალბატონო, ვინ იყო თქვენს ბინაში? – ჰკითხა.

– ღმერთო ჩემო, ვინც გინდა იყოს, ამისი კეთილშობილი საქციელი მკარნახობს, რომ გამოვესარჩლო. სიკეთის მეტი არაფერი გაუკეთებია, ამიტომ გთხოვთ, გაუშვათ; ვერც დაიჭერთ! – ბოლო სიტყვებს უფრო დამაჯერებლად ამბობდა.

– დავიჭერთ, ქალბატონო, ამისათვის მარტო ეს ნაგანი გვეყოფა, კეთილშობილებისათვის კი მადლობას ვეტყვით, – მიიღო პასუხი...

მანქანაში მძღოლის გვერდით ერთი რიგითი ძაღლი იჯდა, ჩვენ უკან მოვეწყვეთ. კარგა ხანს რომ ვიარეთ, მითხრა: – კოჭლო, რა უბრალოდ დაიწვი.

– დავიწვი. ექიმები რომ მოვიყვანე, თქვენი მანქანა ვიცანი, რადგან არ გამომეკიდეთ, მივხვდი, რომ გამოცდილი ვინმე იქნებოდა. ისიც ვიცოდი, ბინაში რომ დამხვდებოდით, მაგრამ არ ვნანობ, რადგან კაცობით და მორალით თქვენზე მაღლა ვდგავარ, – ვუპასუხე.

– სად მიგიყვანოთ? – მკითხა.

– მე ქუჩაში ვცხოვრობ, უსახლკარო ვარ, – ვუპასუხე.

– ნუ გეშინია, ვანო, ამჯერად ჩვენ მშვიდობიანად გავცილდებით, რადგან არ გვენდობი, რა გაეწყობა – მძღოლს მანქანა გააჩერებინა. ჩამოვედით. განყოფილებაში წადითო, მისცა დავალება.

ცოტა ხანს ვიარეთ. ხმას არ იღებდა. ერთი ქუჩის კუთხეში გაჩერდა.

– ვანო, მეტს ვეღარ გაგაცილებ, სახლში უნდა წავიდე, – ნაგანი გამომიწოდა. – შენ უბრალოდ წასახდენი ბიჭი არა ხარ. ვერც ტურების საჯიჯგნად გაგწირავ; ნამდვილ საქმეზე თუ გადამეყარე, არ დაგინდობ, იცოდე! – მითხრა. ხელი ჩამომართვა და ისე წავიდა, უკან აღარ მოუხედია. მაგათშიც არიან ადამიანები მშრალ, გაყინულ, უჯიგრო კანონს კაცური სინდისით და ადამიანური გრძნობით რომ ათბობენ, – ვანომ თავისი მოყოლა დაამთავრა.

– იქნებ იმიტომ გაგიშვა, რომ შენი მოქმედება არ გახმაურებულიყო და ქურდების ავტორიტეტზე სასიკეთოდ არ ემოქმედა, – აზრი გამოთქვა ომარმა.

– არა მგონია, იმას სინდისის ძარღვი გაწყვეტილი არ ჰქონდა. ასეთებთან ჭიდილი საპატიო და ღირსების საქმეა. დანაშაულზე რჯულამდე მოგყვებიან, საქმეც ვაჟკაცური იციან; უბრალოდ კი არ წაგახდენენ. ასეთები ნიჭიერები არიან, მათთვის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი სამსახურებრივ ბიუროკრატიას და კანონების დოგმებს ვერ ჩაუკლავს. საქმეს რისკიანად უდგებიან, მაგ-

რამ ხშირად უნიჭო კოლეგების დაგლეჯის ობიექტი ხდებიან.

– სწორე ხარ, ვანო, ძაღლებშიც არიან ბიჭები, თავის დროზე სწორ გზაზე რომ ევლოთ, კარგი ქურდები დადგებოდნენ, – სარქისამ თვისებური განმარტება მისცა აღზრდის საკითხს.

ომარი ჩაფიქრდა, მერე ხმამაღლა თქვა:

– ჩემი საქმე ამგვარი ადამიანის ხელში რომ მოხვედრილიყო, ხომ გაარკვევდა ავ-კარგს.

– ავ-კარგს კი გაარკვევდა, მაგრამ შენს მიერ მიყეყილი ბიჭების გავლენიანი მამების გასაგლეჯი გახდებოდა. ამიტომაა, რომ ყველას არ შესწევს ვაჟკაცობა კანონში შეზრდილ ძალადობას შეებრძოლოს. იოლი საქმეა, თვალთმაქცობით, სიყალბით ცხიმის დაგროვებაზე დახარბებული ვირთხების როლი, – განუმარტა ვანომ.

– ამგვარ უსამართლობაში მართალ კაცს გაძლება არ უნდა?! – მოიჩივლა ომარმა.

– თუ გინდა გაუძლო, შენი თავი დაარწმუნე, რომ ბრძოლა შეგიძლია, თუ დამარცხდები, მაინც ბედნიერი იქნები, რადგან შენი რწმენა ამქვეყნიურ ამაოებას საჯიჯგნად არ მიუგდე თბილი და ცხიმიანი სიცოცხლის მოპოვების მიზნით. მთავარია ირწმუნო ის, რაც გინდა და შენი სხეულის ყველა უჯრედი ნებისყოფის სამსახურში ჩააყენო. როცა გამოუვალი მდგომარეობა მაქვს, სწორედ მაშინ ვიხსენებ, რა უსუსურნი და არარაობა ვართ. თვითონ დედამიწა პატარა მტვრის ნაწილაკიც არ არის უზარმაზარ სივრცეში. ჩვენი გალაქტიკა ერთი ბოლოდან მეორე ბოლომდე რომ გადასეროს, ასი ათასი სინათლის სხივის წელიწადია საჭირო. მზის სისტემიდან გალაქტიკის ცენტრამდე ოცდაათი ათასი სინათლის სხივის წელი. მარტო ჩვენს გალაქტიკაში 150 მილიარდი მზეა. ჩვენი მზე გალაქტიკას 200 მილიონი წლის განმავლობაში უვლის გარს, თავისი არსებობის 5 მილიარდი წლის განმავლობაში სულ 25-ჯერ შემოუარა მხოლოდ. მზეში მილიონ სამასი ათასი დედამიწა მოთავსდება. ვარსკვლავი ბეთელჰეიზი, რომელიც 22000-ჯერ მეტ ენერგიას ასხივებს, ვიდრე მზე, მისი რადიუსი მზისაზე 350-ჯერ მეტია და 250 მილიონ კილომეტრს შეადგენს. თუ დედამიწა 150 მილიონი კილომეტრითაა მზიდან დაშორებული, კარგად წარმოგიდგენია, რამხელა იქნება ეს გიგანტი. ჩვენი გალაქტიკიდან მაგელანის ღრუბლებამდე 180000 სინათლის წლის მანძილია. უახლოეს ანდრომედეს გალაქტიკამდე კი ორი მილიონი სინათლის წლის. აღმოჩენილია გალაქტიკები ერთ მილიარდ სინათლის წლის მანძილზე, კვაზარები კი 10 მილიარდი სინათლის წლის მანძილზეა.

უსაზღვროა მეტაგალაქტიკა, მისი ზომების მასშტაბების წარმოდგენა ადამიანის გონებას არ ძალუძს. გალაქტიკებსაც აქვთ წარმოშობის და დაბერების სტადიები: რაც ჩნდება, ის აუცილებლად კვდება კიდეც.

მარტო ჩვენს გალაქტიკაში ერთი მილიონი ცივილიზაციის ჰიპოთეზაა, გალაქტიკები კი მილიარდობით არის. ისე ჩაქრება მზე და გაიყინება დედამიწა, მისი ცივილიზაცია არავის და არაფრის კვალს არ დატოვებს. მთელი ისტორიები და არქივები. მეცნიერთა გამოგონებები და ადამიანთა უამრავი ცოდვილობა არარაობად იქცევა. იბადებიან და ქრებიან ცივილიზაციები ისე, რომ ამ უსასრულობაში მათი არსებობა არავინ იცის და არც არავის სჭირდება.

შენ ვინა ხარ? მტვრის ნაწილაკში ჩაბუდული ბაქტერია თუ ვირუსი. ამხელა ვეებერთელა სამყაროში არარაობაა შენი არსებობა. ჰოდა, ეს ჩვენი წვალებაც

არარაობად ქცეული არსებათა ფუჭი მიეთმოეთია.

უამრავი ვარსკვლავი მოქრის ჩვენსკენ, ბარნარდის ვარსკვლავი საათში 388000 კილომეტრი სიჩქარით გვიახლოვდება. ამჟამად მისგან გაცილებული ვართ ექვსი სინათლის სხივის წელიწადით, სულ რაღაც 17000 წლის შემდეგ აქ იქნება, თავის პლანეტებით და, შეიძლება, ცივილიზაციითაც. ყველა ვარსკვლავს რა ჩამოთვლის, ჩვენსკენ რომ მოქრიან. ისინი მზეზე დიდები თუ არა, პატარები არ არიან, მოხდება დაჯახება და კარგად მეყოლე.

– კარგი, ვანოჯან, თორემ შეიძლება ჭკუიდან გადავიდე, გონება გადამეკვანძა. აღარაფერი აღარა თქვა, გავაფრინო ლამის. ეს რაებს ყვები, კაცო?! მე როგორცა მწამს, ეგრე მირჩევნია ყოფნა. მგონია, რომ ვარსკვლავებს მოვკრეფავ და ჯიბეში კაკალივით ჩავიჩხრიალებ. ვინც ეგეთები მაიგონა, საღი ჭკუა არ შერჩებოდა, – სარქისამ ყურებზე ხელები მიიფარა და სკამიდან წამოხტა, – ჩვიდმეტი ათასი წლის შემდეგ აღარც ვირი იქნება და აღარც მისი პატრონი. ეგეთები ძაღლებს მოუყევი. ქვეყანა თავისი რო ჰგონიათ. მე რა გულს მიხეთქავ, იგრეც ორი პარასკევი დამრჩენია! – სარქისა საწოლზე პირქვე დაეგდო.

– ნუ გეშინია, სარქის, იმ ვარსკვლავს, მგონი, დედამიწის მსგავსი პლანეტაც ახლავს. ახლოს ჩაგვიქროლებენ, შეიძლება რომელიმე პლატფორმაზეც გაჩერდნენ, იქაური ადამიანები ხელს ჩამოგვართმევენ და, როგორც მატარებლის მგზავრები, თავის გზაზე წავლენ, – დაამშვიდა ვანომ.

– ვანო, რა განათლება გაქვს? – ჰკითხა ომარმა.

– განათლების საზომი თუ ორყდიანი დიპლომია, არა მაქვს. თუ ცოდნას გულისხმობ, იმდენი წიგნი მაქვს წაკითხული და შესწავლილი, რამდენიც ხელში ჩამივარდა; წიგნებით კი ჩემი საძმო კარგად მამარაგებდა, მეხსიერებას არ ვემდური. ციხიდან ციხეში მრავალ ადამიანთან მაქვს ჩემებური კამათი ისე, რომ ჩაკარცერებით ვერას მაკლებენ.

– ვინ იცის, შენი სახით როგორი მეცნიერი დაუკარგეს ქვეყნიერებას, – მოიჩივლა ომარმა.

– შუბლზე ვისაც რა აწერია, ის აუცხადდება, ალბათ, მე არ ვემდური ბედს, რამეთუ დიდხანს და განცხრომით რომ კორტნა წუთისოფელი, მას უფრო მადიანად მიირთმევს სამარის ჭია. სიცოცხლე კი ისე მცირე გაელვებაა, ნაჭუჭის მოპირკეთების ჩალიჩად არ ღირს! – ვანო დიდხანს დუმდა, ომარიც გაიტაცეს ფიქრებმა.

– ეტყობა, პურმარილის გაგრძელება აღარ გამოვა, ჩემი ღრუბლებში ბოდიალით სარქისას ნერვები მოვუშალე. ღვინო და ინდაური, თავისი მისატანებლით, ექიმებს წაუღე; კარგად იყავი, – ვანო ომარს გამოემშვიდობა.

## თუ მიწერა არ გინდა, წადი

**ტიტიკო** ასეთი გაბრაზებული არავის ენახა, თავს ვერ იკავებდა, ცხვირსახოცი კი სულ ხელში ეჭირა და თვალებში მომდგარ სითხეს იწმენდდა. კაბინეტში ბუღალტერი, ვეტექიმი, ეკონომისტი ზაირა და გარაჟის გამგე იდგნენ.

– რა ქნეს, როგორ ჩააფურთხეს საქმეში?! რძის სახელმწიფოზე მიყიდვის გეგმა ჩააგდეს, ვითომ თვითონ უნდა შეესრულებინათ. მოიტანონ! ვინ უშლით, სად არის რძე, სად?! – ტიტიკო ისევ აყვირდა და ორივე ხელი წინ გაიშვირა.

– აჰა, ვეტექიმი, გარაჟის გამგე. ბუღალტერი არავინ არ დაინდეს, ძროხები გამოუყარეს. თვითონ რას მიკეთებენ, დროს თხოულობენ, ექვს თვეში გეგმას

შევასრულებთო, მაგათ სხვა მუცლის გვრემა აქვთ; ყველანი ზაქრომ გადაიბირა, მთელი მეცხოველეობა ააბუნტა, შეპირდა, თავმჯდომარედ რომ ვიქნები, როგორც გინდათ იგრე იჯირითეთ თქვენს ნებაზეო. ჰგონიათ გეგმას რო არ შეასრულებენ, ტიტიკოს გააგდებენ და ზაქროს დანიშნავენ. არაფერი შეგეშალოთ, რაიონში ყველაფერი იციან. მაგას იმ გადარეული კომკავშირის რაიკომის მდივნის იმედი აქვს, არ იცის, რომ ისაც მაგას მიყვება. ერთს არ გავაჩერებ, მაგათი დუხი არ იქნება კოლმეურნეობაში! აღელვებული ტიტიკო ტელეფონის ყურმილს დასწვდა, – ამბაკო სიმონიჩთან დამაკავშირეთ, – ჩასძახა. მაგათ ავიწყდებათ ტიტიკო გლახოევიჩის ძალა, ნახონ როგორი რკინის ცოცხი მოვატარო სუყველას, რას ხტუნაობენ, რომ ხტუნაობენ, ჯერ ჩემი მომრევი ამ სოფელში არ დაბადებულა, გაიგეთ! – ტიტიკომ რიხით გადახედა კაბინეტში მყოფთ.

– ამბაკო სიმონიჩ, გამარჯობათ! – ტიტიკო ფეხზე ადგა და პირმოთნე ტონით ალაპარაკდა... რა ვიცი, ამბაკო სიმონიჩ, როგორ უნდა ვიყო, ზოოტექნიკოსი რომ მყავ, ზაქრო ხუცურაული, კომკავშირის მდივნის, მათე ბალაშვილის ძმაკაცი, კოლექტივი ამირია, ბუნტს მიწყობს. არ ვიცი, ვისი იმედი აქვს, აქეთ იმუქრება, სპეციალურად შემიშალა ხელი, რომ რძის გეგმა არ შეესრულებინა. აქ ხალხს აქეზებს, ნუ დაუჯერებთ, გეგმებს ნუ შეასრულებთ, ტიტიკოს მოხსნიან, თავმჯდომარედ მე დამაყენებენ, ზევით მაგარი კაცი მყავს, მხარს დამიჭერს; მერე როგორც გინდათ ისე იგირალეთო... არ ვიცი, ეგ არის ზაქროს ძმაკაცი, აბა, სხვა ვისი იმედი ექნება. მოვხსნი, თორე ისე აურევს, დალაგება გაჭირდება... ბიუროზე მოხსნით?... მორიგ ბიუროზე; გმადლობთ, ამბაკო სიმონიჩ, მე აქ დანარჩენებს მივაყოლებ და საქმეს ძველებურად ავაწყობ!... კარგად ბრძანდებოდეთ, ამბაკო სიმონიჩ! ტიტიკომ ყურმილი დადო. ცხვირსახოცით ჯერ წირპლები და მერე შუბლზე მომსკდარი ოფლი მოიწმინდა.

– მაშ რა ეგონა, წავიდეს და ახლაც იყელყელაოს! ვეტექიმს აღარ სცნობს, ფერმიდან ძროხები გამოუყარა; კანონიერად მოუნდა გეგმის შესრულება. ზოგი საქართველოს პარტიის ცკ-ს პირველ მდივანს, ედუარდ ამბროსევიჩს უჩურჩულოს ყურებში, კაცმა მოსკოვს ისეთი პირობა მისცა, გადარია ხალხი, საქართველოში კომუნიზმი უკვე აუშენებიათ და ონკანებში რძე მოდისო, გამარჯებულის დროშები სულ მაგას მოაქვს. მთავარია მოსკოვს გეგმის გადაჭარბებით შესრულება უპატაკოს, საქართველოში გინდა რძის მაგიერ შრატიც ნუ ჰქონიათ, ქაღალდზე გეგმის წარმატებით შესრულებისათვის მწვანე სინათლე გვინთია, ზაქრო ვინ ოხერია წინ რო გვიდგება! – ტიტიკო დაჯდა.

– მე ზაქროს არ ვემდური, კარგი ქნეს, რომ მუქთა ხალხს ძროხები გამოუყარეს; ჩემი მუშაობის პერიოდში სულ ამაზე ვდავობდი, მაგათ კი ერთი ხელის დაკვრით გააკეთეს, – ვეტექიმმა ტიტიკოს იმედი გაუცრუა.

– ქვეყანა მოწამლა და რა გასაკვირია, შენც მაგის გზაზე იდგე; განა შენი მოხსნა კი გამიჭირდება?! – დაემუქრა.

– თუ მაგ ბიჭებს მოხსნი, მე ერთი წუთითაც არ გავჩერდები! – არ დათმო თავისი პოზიციები ვეტექიმმა.

– ყველას მოვხსნი და შენც ზედ მიგაყოლებ!

– ღმერთმა ხელი მოგიმართოს! – ვეტექიმი კარებისაკენ წავიდა.

– ჯანდაბამდის გზა გქონია! – მიაძახა ტიტიკომ, – შენ უყურე, მე მაგისკენ ვარ, ეგ კიდევ ეშმაკებისკენ!

– ძალიან კარგი საქმე გაკეთდა, ხალხმა დაისვენა, მარტო მე წელიწადში ცხრა თვის ხელფასი არ მიმიღია, – ზაირამ ცეცხლზე ნავთი დაასხა.

– გადი! გადი! გადი! მოშორდი აქედან, შე უსაქმურო! ცხრა თვისა კი არა, თორმეტი თვისა არ გეკუთვნის! ტიტიკომ ორივე ხელის თითები მოკუჭა, თითქოს უნდოდა ეჩვენებინა, ზაირას რამდენი თვის ხელფასი არ ეკუთვნოდა. თითები არ ეყო. გაბრაზებულმა ხელები დაიქნია და თითები გაშალა, – ან აქ რას უდგეხარ და ყბადაღებული მამჩერებიხარ, გადი აქედან! – უყვირა.

ზაირამ წყენით შეათამაშა მხრები და გარეთ გავარდა.

რაც მიტრო ინსტრუქტორად გადაიყვანეს, ზაირა სულ შეიცვალა, თავის მდგომარეობას ჩაუფიქრდა და ქალურმა სიამაყემ, ისედაც ამაყ და პირდაპირ გოგოს, ცხოვრებაში სწორი გზის შერჩევის უნარი შესძინა.

მიტრო სანამ კოლმეურნეობაში იყო, ზაირაზე ლამაზი არავინ ეგონა, თავის ბედს ემდუროდა, ფიქრია რომ მოეცილებინა და ზაირა შეერთო სულ ამაზე ოცნებობდა, მაგრამ თავისი სიმამრისა ეშინოდა, არც ამ საქმის ბოლომდე მიყვანის ვაჟკაცობა ჰქონდა, ზაირას ეგონა მიტროს გაგიჟებით ვუყვარვარო და თამამად მიდიოდა მისი ოჯახის დანგრევის რისკზე. მიტრო რომ ინსტრუქტორად გადაიყვანეს, ზაირამ საკითხი უკვე გადაწყვეტილად ჩათვალა. მთელი თვე ელოდა, მაგრამ მიტროს აღარ გახსენებია; ბოლოს თვითონ მიაკითხა. მიტრომ ისე მიიღო, როგორც მეზობელზე მომჩივარი, გაუთავებელი ჩხუბის მოყვარული ქალი. ზაირა ღიმილით შევიდა მის ოთახში და მხიარულად მიესალმა:

– გამარჯობა დიმიტრი!

მიტრო სკამიდან ადგა, ხელი მოწყვეტით გაუწოდა.

– გამარჯობათ, ქალბატონო! – თქვა და ხელის ჩამორთმევის შემდეგ ისევ დაჯდა, თითქოს ეკითხება, რისთვის მოსულხარო.

– ისე გამოგიარე, დიმიტრი, მაინტერესებდა, როგორ მოეწყე; თანაც მინდოდა, ახალი თანამდებობა მომელოცა, – ზაირა ინსტინქტით მიხვდა მიტროს ჩანაფიქრს.

– ისე გამოვლა და ისე მოკითხვა უსაქმურების ხელობაა, განა ცოტა საქმე გაქვთ კოლმეურნეობაში? როგორ კარგავ უქმად სიარულისთვის დროს? რაც შეეხება მილოცვას, მე სამაგისო არაფერი მჭირს. ჩემი გადმოყვანა სრულიად დამსახურებული იყო. ეს ადგილი, რასაკვირველია, ჩემთვის დროებითია, მე უფრო დიდი საქმეებისათვის ვარ გამიზნული! – მიტროს ისეთი ცივი და ოფიციალური ტონი ჰქონდა, რომ ზაირას შეაჟრჟოლა.

– კიდევ რას მეტყოდით, ქალბატონო? – მიტროს სახეზე იმ კაცის გამომეტყველება ეხატა, რომელსაც ძალიან ძვირფასი წუთები, დიდი საქმისთვის რომ სჭირდებოდა, წაართვეს.

– არაფერი, ბატონო მიტრო! – ზაირა საავდროდ მოქრუშულ ღრუბელს დაემსგავსა, – დიდი ბოდიში, რომ მოგაცდინეთ! სასწრაფოდ წამოხტა და გარეთ გავარდა.

არა, ზაირა სულაც არ იყო გულმოკლული, პირიქით, თავს ბედნიერად თვლიდა, რომ იმ ბურანიდან გამოერკვა, რომლის გავლენის ქვეშ კარგა ხანს იყო. ღმერთო ჩემო, ეს რა პატარა კაცი ყოფილა, ადრეც ვატყობდი, მაგრამ ქალურმა სისუსტემ თვალები დამიბნელა. ნუთუ ასე ახლოს მაგასთან ვიყავ? ხალხი ხომ ყველაფერს ხედავდა, განა მთელი ბრიგადა ტყუილად გაექცა? მე კიდევ ანეტას ვაგინებდი. ზაირას სახეზე ალმურმა აურბინა, ლოყაზე ხელი მიიდო, – ვაი, სირცხვილო! – ღრმა ფიქრებში ჩაძირული გოგო მთელი დღე ხმას არავის არ სცემდა. სწორედ ამ შეხვედრამ დაანახა, რა საპატიო და საამაყოა პატიოსანი ადამიანის ცხოვრება. რა ძლიერი და ბედნიერია ის, ვინც ეს გზა აირჩია.

მაშინ მოუნდა, ანეტა მოეძებნა, მის წინ მუხლებზე დამხობილიყო და როგორც ღვთისმშობლის ხატის წინ, ელოცა. ზაირამ ანეტასთან დაახლოება სცადა, მაგრამ ის გულგრილად ექცეოდა და ახლოს არ იკარებდა. ზაირა სუმთლად შეიცვალა, სამართლიანობის და პატიოსნებისათვის თავდადებული გახდა; ანეტა იყო მისი იდეალი და ამას არც მალავდა. ბოლოს ანეტაც მიხვდა, რომ ზაირა სასიკეთოდ შეიცვალა, სითბო აჩვენა, დაუახლოვდა.

ზაირა თავის მაგიდასთან იჯდა და ფიქრობდა. ზაქროს მოხსნა კოლმეურნეობაში გაჭირდება, ალბათ რაიკომის ბიუროზე მოხსნიან, ზაქრო უნდა გავაფრთხილო, წამოდგა, ოთახის კარი გაიღო, ანეტა შემოვიდა. მის დანახვაზე ზაირამ შვება იგრძნო, უცებ მოეშვა, გული აუჩუყდა, ცრემლები წასკდა.

– რა გატირებს, გოგო?! – შეიცხადა ანეტამ.

– ტიტიკო ზაქროს მოხსნას უპირებს, ოღონდ აქ კი არა, რაიკომში; მდივანთან დაასმინა!..

ზაქრო ტიტიკოსთან შევიდა, კაბინეტში ბუღალტერი და მეწისქვილე პეტო ისხდნენ. ტიტიკომ დამცინავად შეხედა. ზაქრომ წინ განცხადება დაუდო. ტიტიკომ ხმამაღლა წაიკითხა:

– გთხოვთ გამანთავისუფლოთ სამსახურიდან, – მიზეზს რატომ არ წერ?

– მიზეზის დაწერა არ შეიძლება.

– მაშინ დაწერე ან ჯანმრთელობის გაუარესება, ან ოჯახური პირობების გამო-თქო.

– ტყუილის წერა არ შემიძლია.

ტიტიკომ განცხადება უკან გადაუგდო.

– ეს ახლა წაიღე, რაიკომის ბიუროზე უფრო საიმედოდ დაგჭედავენ! – ნიშნის მოგებით უთხრა.

– ნუ ინატრებ, ტიტიკო, რაიკომის ბიუროზე ჩემს მოყვანას, თორე დაჭედვა შენი ნახე, ისეთ მასალებს წამოგილაგებ, რომ ის შენი ამბაკო მეხვეწებოდეს, ფეხები მაგრა დაუჭი, ყაირი ბოლომდე უნდა დავასოო! – ზაქრომ გამომწვევად მიახალა.

– რა გაქვს მხედველობაში?

– მხედველობაში ისა მაქვს, მაგ განცხადებას რეზოლუცია დაადო და ჩემს გზაზე გამიშვა. ღმერთმა შენ და შენს საქმიანობას ხელი მოგიმართოთ! ეკალი ისეც ბლომად თესე, ახლა ქარს ნუ თესავ, თორე, იცოდე, ქარიშხლად აღმოგიცენდება. ამას ახლა იმიტომ გეუბნები, რომ, როცა აღმოცენდება, მაშინ ველარავინ დააკავებს, შენ, მე და სხვას წალეკავს. თუ ამ განცხადებას რეზოლუციას არ დაადებ, მაშინ მოემზადე მაინც.

– იმუქრები?

– კი არ ვიმუქრები, სამსახურიდან განთავისუფლებას მოვითხოვ. თუ მაინც გინდა, რომ ბოლომდე შემჭამო, ნუ დაგავიწყდება, რომ არ არსებობს ისეთი სკამი, რომელზე მჯდომის შეჭმა არ შეიძლებოდეს, გარდა მამაუფლისა! – ზაქრომ მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი ჭერს დაუმიზნა.

– მე რომ გაგანთავისუფლო, ამბაკო სიმონიჩს რა ვუთხრა, იმის აზრია, ბიუროზე უნდა მოვხსნათო.

– ეს შენ და იმ ამბაკომ გადაწყვიტეთ!

– ზაქრო, რო იმუქრები, თავმჯდომარეს შენ რა უნდა უყო! – მეწისქვილე პეტო ტიტიკოს გამოექომაგა.

– თუნდაც ის, რომ შენნაირი ვირთხა დღემდე წისქვილში ზის და აღურიცხავ

ხორბალს გასაყიდად ფქვავს. გინდა გითხრა? ახლაც მაგ საქმეზე ხარ მოსული, ორმოცი ტონა ლევი ფქვილი კი გაყიდვას ელოდება; ჩემი ამ კაბინეტიდან გასვლა და შენი ხელების შეკვრა ერთი იქნება.

პეტოს ჩანა ჩამოუვარდა, ფერი დაკარგა

ტიტიკომ რეზოლუციის დასადებად განცხადება მიიცურა.

– პეტო, ახლა ერთ განცხადებას შენ დაწერ განთავისუფლების შესახებ! თქვენ კიდევ, – ბუღალტერს მიუბრუნდა, – ხალხს გააგზავნით და იმ ფქვილს შემოსავალში აიღებთ! – ზაქრომ ტიტიკოს რეზოლუციადადებული განცხადება გამოსტაცა და კარებისაკენ წავიდა. მერე უცებ მოტრიალდა და მუქარით თქვა: – ერთი საათის ვადას გაძლევთ, გამოაცხადებთ პეტოს მოხსნას, თვითონ ბუღალტერის თამადობით წავა კომისია და ფქვილს შემოსავალში აიღებთ! იქიდან გრამს ვერ გადამალავთ! საღამოზე კი ზაქროს სადიდებლად სანთლები დაანთეთ, რომ ეს ამბავი შორს არ გავუშვი და ვინმეს საჯიჯგნად არ გაგიმეტეთ ისე, როგორც უნამუსო ტიტიკოს და მის მეწისქვილეს სჩვევიათ! – ზაქრომ კარი გაიჯახუნა.

საღამოსათვის მთელმა კოლმეურნეობამ იცოდა მეწისქვილე პეტოს მოხსნის შესახებ; ფქვილიც მაშინვე აიღეს შემოსავალში და სამეურნეო საჭიროებისათვის დაფქულად გამოაცხადეს...

## მუშტით შესრულებული გეგმა

**მუშტი** მაგიდაზე დაეცა, საფანქრეში ჩაწყობილმა ფანქრებმა ამოფრენა სცადეს, მაგრამ ძალა აღარ ეყოთ და თავის ადგილს ხმაურით დაუბრუნდნენ.

– არ გამოდის! – მწყრალად თქვა ამბაკომ და საანგარიშო ახლოს მიიცურა.

ბიურო კარგა ხანია დაწყებული იყო, პირველი მდივნის კაბინეტი, სადაც ბიუროს სხდომა ტარდებოდა, ხალხით იყო გაჭედილი.

– გეგმის შესრულებას ას ოცი ტონა რძე გვაკლდება! ასე მუშაობა არ გამოვა! წელი მთავრდება. თქვენ კი არხეინად ყრიხართ! ვინ მოუმატებს?! – მაღლა აიხედა.

– რიგის მიხედვით ამოვიკითხოთ, – წამოაყენეს საკითხი ბიუროს წევრებმა.

ამბაკომ ცხრილს დახედა, შიგ კოლმეურნეობები ერთხელ დაწესებული რიგის მიხედვით ეწერა.

პირველი კოლმეურნეობის თავმჯდომარე ადგა.

– რამდენს მოუმატებ – ჰკითხა ამბაკომ.

– მე გეგმა ათი ტონით გადავაჭარბე, მეტი აღარ შემიძლია, რაც გითხარით, ისიც დიდი დაძაბული მუშაობის პირობებში შეიძლება. ეს ნიშნავდა, რომ კოლმეურნეობის თავმჯდომარემ რაც შეძლო მიაწერა, მეტს ვეღარ აიტანდა ვერც მისი ჯიბე და ვერც სხვათა ხელფასი.

– შე ოხერო, შენ რომ შეასრულე, სხვებს არ შეუსრულებიათ, შენს ყურებში არ შედის?! – აყვირდა ამბაკო. ეს კი ნიშნავდა იმას, რომ ამბაკოსათვის პატივისცემის გეგმა შეუსრულებელი ჰქონდა, თორე ამბაკოსთან პირნათლად ყოფნის პირობებში შეღავათი გარანტირებული იყო.

– ხუთ ტონას კიდევ ვეცდები, – დათმობაზე წავიდა თავმჯდომარე და ხვნეშით დაჯდა.

მეორეს სანახევროდ არ ჰქონდა შესრულებული.

– რას იზამ? – ჰკითხა.

– ვეცდები სანახევროდ შევასრულო.

– დაჯექი!

ყველაფერი ნათელი იყო, ამბაკოსთან ეს თავმჯდომარე პირნათლად გამოსული ჩანდა.

კიდევ ოთხი თავმჯდომარეააყენა. გეგმა იმათაც უჭირდათ, შეპირდნენ გეგმის ნახევარს მაინც გადააჭარბებდნენ.

ჯერი ტიტიკოზე მიდგა.

– შენ რაღა, ეშმაკი გეცა! ყოველთვის აჭარბებდი, ახლა სულ მოეშვი, სანახევროდაც ვერ ასრულებ გეგმას!

– გამიჭირდა, ამბაკო სიმონიჩ, იგეთი ხალხი გამოჩნდა, გეგმის შესრულება კი არა, ლამის თავი მომაკვლევინონ.

– ვინ არიან, რა გვინდაო?

– თავმჯდომარეობა უნდათ, მოვიდნენ და ნახონ, როგორია აქ ჯდომა.

– მაინც რომელია?

– ჯგუფია ინტრიგანების, ზოოტექნიკოს ზაქრო ხუცურაულის ხელმძღვანელობით.

– რძეში გეგმა რომ არ სრულდება, ვისი ბრალია?! სადა გდია?!

– აქ რაზე წამოვა, გასალანძღად? თავმჯდომარეა.

– შენ დაჯექი! – ტიტიკომ ზარის ღილაკს თითი დააჭირა.

მორიგე შემოვიდა.

– სასწრაფოდ მოძებნეთ და აქ მოიყვანეთ ზაქრო ხუცურაული! – უბრძანა და თავმჯდომარეების ამოკითხვა განაგრძო.

ფარნაოზ ნადირაშვილის ჯერი მოვიდა.

– შენ რას იზამ? – ჰკითხა.

– გეგმა შევასრულე, ოცდაათი ტონა გადავაჭარბე, წლის ბოლომდე ხუთ ტონას კიდევ გადავაჭარბებ, – მიიღო პასუხი.

– ბიჭო, შენ ყურებში ბამბა ხომ არა გაქვს? – აქ რომ ზიხარ, ყურს არ უგდებ, რას ვთხოულობ?

– ყურს ვუგდებ და მოგახსენებთ, რომ გეგმის ზევით ოცდაათ ტონას ჩავაბარებ, – გაიმეორა ფარნაოზმა.

– ვახ, ეს ხეთაგანი ვინ არის, ჩვენ ვეკითხებით, კიდევ რამდენს ჩააბარებო!

– წლის ბოლომდე ხუთი ტონის მოწველის საშუალება კიდევ არის, აბა, სხვა რა ვთქვა?

– თქვენ მაინც გააგებინეთ მაგ ოჯახდასაქცევს, იქნება ჩემი ვერ გაუგია, – ამბაკო ბიუროს წევრებს მიუბრუნდა.

– მაგაზე ზევით კიდევ რამდენს ჩააბარებო, – განუმარტა მეორე მდივანმა.

– რასაც ვამბობ, ყველა რეზერვის გამოყენებით არის.

– ბიჭო, გადახედე დანარჩენებს. ნემსის ყუნწში ძვრებიან, სად აღარ დადიან, სად აღარ შოულობენ. შენც იკითხე, მიდექ-მოდექ, ეგრე გულხელდაკრეფილი რომ დაბრძანდები, ვინ მოგართმევს! – ამბაკომ მისცა დარიგება.

– მე ერთ სულ ძროხაზე ყველაზე მეტი მაქვს დაგეგმილი, მაინც გეგმის გადაჭარბებით შესრულება შევძელი. გულხელდაკრეფილი ჯდომით არა მგონია, რომ ასეთი გეგმა შესრულებულიყო. რიღასთვის მივდგე-მოვდგე, ვერ გამიგია. ვინც გეგმას ვერ ასრულებს, გინდა მიდგეს და გინდა მოდგეს! ჩემი ბრალია, გეგმა რომ ვერ შეასრულეს?

– შენი ბრალია ნამჯა რომ დაალპე, თივა წვიმაში გააშავე, იქნებ ეგაც

სხვისი ბრალია? ამდენს რომ გითმენთ და შენს ნებაზე დაყიალობ, ჩვენი ბრალი ეგ არის! – ამბაკო გაბრაზდა, საქმეში ჩახედული კაცისათვის აშკარა იყო, რომ ფარნაოზი თავის კოლმეურნეობის გაკოტრების და გაჩანაგების ხარჯზე ამბაკოს ჯიბისათვის ისე თავდადებით არ ზრუნავდა, როგორც გეგმის სანახევროდ შემსრულებლები.

– დაგიგრძელებია ენა და ტლიკინებ! ეგ შენთან მომაგრებულის ბრალია. მოიცა, როგორც საჭიროა მოგივლი, დეეგდე!

თვრამეტი კოლმეურნეობის თავმჯდომარიდან მხოლოდ ხუთმა თქვა, რომ გეგმას შეასრულებდა, აქედან ორი საეჭვო ჩანდა, ადრე განაცხადეს, რომ ვერ შეასრულებდნენ, ამბაკომ მეორედ შეაჯამა მათი ნათქვამი და გეგმა მაინც არ სრულდებოდა და მესამედ ჩამოიარა, მოუმატეო და იმ ორმა სწორედ მაშინ განაცხადა – გეგმას შევასრულებთო. ამბაკომ ისევ მიიცურა საანგარიშო, შვებით ამოიხვნეშა, – გეგმა შევასრულეთ! – თქვა და ყველას კმაყოფილი მზერა მოავლო, – ეგრეა, სანამ სატეხივით არ დავდექი, გეგმა არ შესრულდა.

თავმჯდომარეები კი, ოღონდ ამ ლანძღვისთვის თავი დაეღწიათ, თამამად იღებდნენ ისეთ ვალდებულებებს, რომლის შესრულება თვითონაც არ სჯეროდათ.

– კიდევ რა საკითხი გვაქვს თავმჯდომარეებთან? – ამბაკომ იკითხა.

– არასწორი, ყალბი ცნობის გაცემის საკითხი გვაქვს, – კუკური მიქელაშვილი წელში მოხრილი ადგა.

– ჰოოო! – ამბაკომ მრავალმნიშვნელოვნად დაიქნია თავი, – ყველა გავიდეს, ყალბი ცნობის გაცემაზე შემოვიდნენ.

ხალხი ხმაურით წამოდგა, დაოსებულებმა და გაოფლილებმა მახრჩობელა ჰაერი თან გაიტანეს. შიგ დარჩენილები კი გარედან შემოსულ ჰაერს გუბის თევზებივით მიეძალნენ, ვიღაცამ ფანჯარაც გამოაღო.

– დავიწყოთ, – თქვა ამბაკომ.

ბიუროს სხდომაზე ფარნაოზ ნადირაშვილი შემოიყვანეს, კუკური მიქელაშვილი ადგა და ბრალდებები გადმოულაგა:

– ფარნაოზ ნადირაშვილმა გასცა ყალბი ცნობა კოლწევრ თინა მაზიაშვილზე, რომელმაც სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტში შეიტანა საბუთები. ცნობაში ეწერა, რომ მას ერთი წლის უწყვეტი მუშაობის სტაჟი ჰქონდა, ფაქტობრივად მარტში არ უმუშავია, ვითომ ავად იყო. სხვა თვეები ნამუშევარი აქვს, მაგრამ ფაქტია, რომ უწყვეტი სტაჟი არ გამოდის. ამრიგად თავმჯდომარემ დაუშვა სიყალბის აღმაშფოთებელი ფაქტი. წინადადებით შემოვდივარ, მოიხსნას დაკავებული თანამდებობიდან.

კუკური დაჯდა.

– ნახეთ, ეს რა ჩაუდენია?! – შეწუხებული ტონით თქვა ამბაკომ, – რას იტყვი, ესეც ხომ ნამჯის დალპობა არ არის, ნახე, სადამდე მიგიყვანა შენმა თვითნებობამ!

ფარნაოზი ფეხზე ადგა და წყნარად დაიწყო:

– თინა მაზიაშვილი საუკეთესო მუშა გოგონაა, ნეტავი ყველა ასეთი იყოს, მთელი კლასი შრომაში ჩაება და სოფლის სიყვარული დაიმსახურა. ცნობა კი არა, სული რომ მთხოვოს, სულს არ დავუჭერ მაგ ბავშვს!

ფარნაოზი დაჯდა.

– ამაზეა ნათქვამი, მგლის თავზე სახარებას კითხულობდნენო, – ჩაილაპარაკა ამბაკომ, რას იტყვიან ბიუროს წევრები?!

სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი ადგა.

– ფარნაოზ ნადირაშვილს ძალიან უხეში დარღვევები და დანაშაულებანი აქვს ჩადენილი, ამაზე ახლა არ ვილაპარაკებ!

– თქვი, წინ ვინ გიდგა! – ფარნაოზმა მიაძახა.

– აბა, რა უნდა გველაპარაკო, როცა ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე არ ესმის! კუკურის წინადადებას ვეთანხმები! – ნიშნის მოგებით თქვა და დაჯდა.

ახლა სხვები ადგნენ, ყველა აღშფოთებული იყო ფარნაოზის დანაშაულით და მის მოხსნას ითხოვდნენ.

– კომკავშირის რაიკომის მდივანი რას იტყვის, დანაშაული, სწორედ, სადაც მიმაგრებულია, იმ კოლმეურნეობაში მოხდა. დიდად აფასებს თავმჯდომარის უგერგილო მუშაობას; ერთი გვითხრას, ასე რატომ ხდება! – ამბაკო ირონიით და მუქარით აზავებდა ნათქვამს.

– თინა მაზიაშვილი საუკეთესო მშრომელი ახალგაზრდაა, ეს მთელმა სოფელმა იცის, თებერვალში ავად გახდა, მაინც მუშაობდა, ფილტვების ანთება გაურთულდა და მარტში სულ საავადმყოფოში იწვა, ძლიერ დასუსტებული აპრილში მაინც მუშაობდა და წარმატებითაც. რაც შეეხება ცნობის გაცემას, მაშინ ფარნაოზი მთაში იყო. ცნობა მოადგილემ გასცა. ახლა თქვენ თვითონ განსაჯეთ ფარნაოზის დანაშაული. ჩემი აზრია, ეს საკითხი ახლიდან შევისწავლოთ და ტენდენციურად მომზადებული სიყალბისათვის შემმოწმებელი სასტიკად დაისაჯოს! – მათე დაჯდა. უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.

– რა მნიშვნელობა აქვს, ხელი ვინ მოაწერა, ეგ ხომ იქ თავმჯდომარეა! – კუკურიმ ხმა აიმაღლა.

– ჯერ გარკვეული არა გაქვთ, ხელი რაზე მოაწერა, გეუბნებიან, რომ ის ცნობა ყალბი არ არის. მეორეც აშენებული კედელი თუ დაინგრა, შენთვის სულ ერთია კალატოზს დასჯიან, თუ მჭედელს?! – უთხრა მათემ. – თუ ყალბი ცნობის გამცემი გაინტერესებთ, ასეთები ბევრია.

ამბაკოს ნერვიულობისაგან ფანქარი ხელში შემოემტვრია. ყველასათვის ცნობილი იყო, ამბაკოს დავალებით რამდენიმე ფუქსავატმა ახალგაზრდამ მიიღო ყალბი ცნობა გეგმების სანახევროდ შემსრულებელი თავმჯდომარეებისაგან. მთავარი იყო ფარნაოზის მოცილება, დაბრალება კი ყველაფრის შეიძლებოდა, მაგრამ ეს მათე აფუჭებდა საქმეს. ყველა გრძნობდა, რომ მისი მოცილება იყო საჭირო ამ ჰარმონიულად აწყობილ თვალთმაქცობაში მართალი სიტყვით რომ აფრთხობდა სიყალბის მოციქულებს. არა უშავს, მასაც მოუძებნიან სუსტ ადგილს, ანდა სუსტი ადგილი რა საჭიროა, როცა ზევიდან ჩამოშვებულ თვალთმაქცობას წინ ელობება.

– რა ვუყოთ? – იკითხა ამბაკომ.

ყველამ მხრები აიჩეჩა.

– საკითხი გადამოწმდეს, თუ დამტკიცდა, რომ ცნობა ყალბად გაცემული არ არის, დღევანდელი ბრალმდებლები დაისაჯონ! – მოითხოვა მათემ.

ამბაკო ჩაფიქრდა. კუკური შიშისაგან მოიკუნტა. გამორიცხული არ იყო, ამბაკოს მთელი ღვარძლი მისთვის დაეთხია.

– საკითხი დამატებით შეისწავლონ! – დაადგინა. – შემდეგი საკითხი! – თქვა და შუბლშეკრული კარებს მიაჩერდა.

პირველი ტიტიკო შემოვიდა, მას მოყვნენ დანარჩენები.

მოხსენება სამმართველოს უფროსმა დაიწყო. აღნიშნა, რომ ამ კოლმეურნეობაში სისტემატურად სრულდებოდა რძის სახელმწიფოზე მიყიდვის გეგმები, მაგრამ ბოლო დროს ზაქრო ხუცურაულის ხელის შეშლის შედეგად სულ მოიშა-

ლა მეცხოველეობის საქმე. თავმჯდომარეს ხელს უშლის, რამაც მოშალა დისციპლინა და წესრიგი, გეგმები აღარ სრულდება. მერე ჩამოთვლილი იყო ის ნაკლოვანებები, რომელიც ნისლივით იწვა კოლმეურნეობაში და თანდათან უფრო მუქდებოდა, რომლის მოსასპობად ესოდენ თავდადებულად იღვწოდნენ ზაქრო და მისი თანამზრახველები. თურმე ყოველივე ამ ნაკლოვანებებმა ბოლო დროს იჩინეს თავი, როცა ზაქრომ მის აღმოსაფხვრელად აქტიური ბრძოლა დაიწყო.

– სად არის თვითონ? – იკითხა ამბაკომ.

– აქ რაზე წამოვა, თავი სხვამ უნდა იტეხოს! – უპასუხა ტიტიკომ.

– მოძებნეთ, სადაც გინდა იყოს და მოიყვანეთ! – ბრძანა ამბაკომ – შენ აქ რომ აყუდებულხარ, რასა ფიქრობ, მეძროხეობა წყალს რომ გაატანე?! – უყვირა მეძროხეობის ფერმის გამგეს.

– წყალს მიჰქონდა, მაგრამ ახლა ისეთი ღონისძიებები გავატარეთ, რომ მალე მოწინავეთა რიგში ჩავდგებით! – თამამად უპასუხა მან.

– ადრე ვინ გიშლიდა, შე ოხერო!

– ადრეც გვქონდა ნაკლოვანებები, მაგრამ ზოოტექნიკოსი ზაქრო ხუცურაულის დახმარებით გამოვასწორეთ.

– ბუღალტერი რას იტყვის?

– მართალია გეგმა ვერ შევასრულეთ, მაგრამ ახლა მეცხოველეობაში კარგი ღონისძიება გატარდა, – მოკრძალებით და პირმოთნედ თქვა ბუღალტერმა.

– შე გამოყრუჩუჩებულო! აქ რაზეა ლაპარაკი ვერ გაგიგია?! ადრე გეგმებს ასრულებდით, ახლა ვეღარ ასრულებთ და თანაც ამბობთ, კარგი ღონისძიება გატარდაო; ბარაქალა ტიტიკოს, ამდენ ხისთავას ერთად რომ უძლებს! ეგ გოგო ვიღაა?

– ეკონომისტია, – უპასუხა ტიტიკომ.

– აბა, იქნებ შენ მაინც გვითხრა, გეგმები რატომ არ სრულდება, ეგ ხომ შენი პირდაპირი მოვალეობაა; რა მოხდა, რა გიშლით ხელს?

ზაირა ადგა და თამამად დაიწყო:

– ადრე გაცილებით ცუდი მდგომარეობა გვქონდა, მწყემსები სამუშაოდან გამორბოდნენ, რადგან იმათი და სხვათა ხელფასებიც რძეს თუ გეგმის შესრულების მიზნით ათას მაქინაციებს ხმარდებოდა; გეგმებიც მოტყუებით სრულდებოდა. ამჟამად ორჯერ მეტი იწველება, ვიდრე გასული წლის ამ დროს. მწყემსებიც გულით მუშაობენ, რამდენიმე ხანში მიწერების გარეშე შევძლებთ გეგმის შესრულებას.

– ტიტიკო, ეს ენატლიკინა ვინ მოიყვანე, ამ სულელ გოგოს ეკონომისტად როგორ ამუშავებ?! ეტყობა ესაც ზოოტექნიკოსის ამალიდანაა. ხვალიდან მაგის „დუხი“ აღარ იყოს! – ბრძანა ამბაკომ.

– მაინც რატომ გათავხედდა ის ზაქრო, ვინმეს იმედი ხომ არა აქვს? იქნებ ჰგონია, რაც გინდა ჩავიდინო, დამიფარავსო. თქვენთან რომელიმესთან ახლოს ხომ არ არის? – ამბაკომ ბიუროს წევრებს გადახედა.

– მათე ბაღაშვილის მეგობარია, მე თვითონ ვნახე, მეცხვარეობის ფერმაში ერთად იყვნენ, თან კულტურის პარკის დირექტორი, კოტე ფირაშვილი ახლდა, – დაინახა, თუ გაგებული თქვა, რა მნიშვნელობა ჰქონდა, მიტრომ ამბავი ადგილზე დროულად მიიტანა.

ამბაკომ მათეს გადახედა. მათე ადგა და აუღელვებლად დაიწყო;

– ზაქრო ჩემი სტუდენტობის დროინდელი ამხანაგია, საქმის მცოდნე ზოო-

ტექნიკოსია. თუმცა, ერთ პერიოდში პრინციპულობამ უმტყუნა, როცა კოლმეურნეობა მიწერებით და მიხვეულ-მოხვეული გზებით გეგმებს ასრულებდა. რაც შეეხება ქიტუაშვილის ნათქვამს, სწორია, მეცხვარეობის ფერმაში ვიყავით კოტე ფირაშვილთან ერთად; ის ჩემი მეგობარია და მე ამით ვამაყობ.

– შენ მოისვენე და ერთ კოლმეურნეობაში დეეტიე! შენი უკუღმართი ლაპარაკისგან ის ფარნაოზი ხომ კაცად აღარ ვარგა, ახლა როგორ გინდა, ეს მშვენიერი კოლექტივიც უნდა მოსპო?! შენი ხელი უკვე დაატყვე! – ამბაკომ ღვარძლი გადმოანთხია.

– შეიძლება ეგ დახასიათება სწორი იყოს სუბიექტური ინტერესები და პირადი ანგარიშსწორების სუნი რომ არ უდიოდეს. რადგან ასეა, ჰკითხეთ ხალხს, იმან ზუსტად იცის, კაცად ვინ ვარგა და ვინ არა! – მათე გაბრაზდა.

ამბაკო ბრაზისგან გაფითრდა.

– რა უნდა იმ უსაქმურს, პარკში რო გდია, განათლებულიო, რის განათლება, როცა მთელი დღე ბილიარდის შარებს დააგორებს. მეცხვარეობაში მწყემსების გასაზარმაცებლად და გასაფუჭებლად წაიყვანე! ხომ არ გგონია, არ ვიცით, რომ შენც დადიხარ იქ სათამაშობდ!

– მერე რა, იქ სხვებიც დადიან! – ჩაურთო მათემ.

– მე მოგივლი შენ!

– თქვენი ნებაა, – ჩაილაპარაკა მათემ.

– მეძროხეობის ფერმის გამგე მოიხსნას!

– ეკონომისტი იქ გასაჩერებელი არ არის!

– ზოოტექნიკოსი დასაჭერია, მეორე ბიუროზე მოიყვათ! სხვა აზრი ხომ არ არის?! – იკითხა ამბაკომ.

ყველა ჩუმად იყო.

– თავისუფლები ხართ! – ბრძანა ამბაკომ.

ბიურო გვიან ღამემდე გაგრძელდა. ბოლოს როგორც იყო დამთავრდა. გარეთ დეკემბრის ბოლო დეკადა სუსხიან მახვილს იქნევდა.

ყველანი ადგნენ და კარებისაკენ გაემართნენ.

– ბიუროს წევრები დარჩნენ! – ისურვა ამბაკომ. წელმოწყვეტილები მიუბრუნდნენ ჯდომისაგან გულშეღონებულ სკამებს.

– როგორი იყო ბიურო? – იკითხა ამბაკომ. მლიქვნელთა და პირმოთნეთა მორიგი ქება მოუნდა.

– მაგარი, ამბაკო სიმონიჩ, მაგარი, აბა რა ჰგონიათ, სხვებისთვისაც ჭკუის სასწავლებელი იქნება! – აქეთ-იქიდან მიაძახეს.

– მე რაღა ვქნა, ვუფრთხილდები, ველოლიავები, ვარიგებ, ბოლოს, რომ შეგაყელთებენ, იძულებული გახდება, ჭკუა ასწავლო.

– კარგი იყო, ამბაკო სიმონიჩ, კარგი! – შეაქეს დანარჩენებმა;

ნახევარი საათი გაგრძელდა ამბაკოს გულის მოსაქონი საუბარი. ამბაკო მორიგი ქების ხასიათზე მოვიდა. ნებიერ კატასავით უყვარდა მოფერება და ხელის გადასმა, ისაც კრუსუნით ირგებდა ყოველთვის და გაუთავებელ ქებას ითხოვდა.

ყველას რომ ეგონა, ახლა კი დაამთავრებს და წავალთო, ამბაკომ უჯრიდან რვეული ამოიღო.

– აბა, ბიუროს წევრების აზრი მაინტერესებს, ერთ ჰექტარზე რამდენი ცენტნერი ხორბალი გვექნება, – ამბაკო მორიგ ნაცარქექიაობის ხასიათზე მოვიდა, – რას იტყვის სამმართველოს უფროსი.

– ბევრი ვიფიქრე, ავწონ-დავწონე. ვიანგარიშე და ბოლოს იმ დასკვნამდე მივედი, რომ ოცდაექვს ცენტნერზე ნაკლები არ იქნება, – საქმით დატვირთული კაცის ტონით თქვა. ახსოვდა ამბაკოს თავქარიანი ნათქვამი, მომავალ წელს ოცდაექვსი ცენტნერი გვექნებაო, – ზუსტად იმ ციფრს დაამთხვია.

– ყოჩაღ, გესმის საკითხი! – შეაქო ამბაკომ.

დანარჩენებმაც ოცდაექვს ცენტნერს უტრიალეს, ან ორი ცენტნერით მეტს ამბობდნენ, ან ნაკლებს.

– ძალიან კომპეტენტურები გახდნენ ბიჭები! – ამბაკო აღფრთოვანებული იყო.

– კომკავშირი რას იტყვის? – ამბაკო მოსასმენად მოემზადა.

– თხუთმეტი ცენტნერი, თექვსმეტს არ გადასცილდება, – თქვა მათემ.

ამბაკომ ფანქარი დააგდო.

– აბა ამას რა უნდა ელაპარაკო, წარმოდგენა არა აქვს; ეს მეცხვარეობის ბინებში დარბის, წარმოდგენა არა აქვს მინდორში რა ხდება.

– შარშან ორმოცდაშვიდს ამბობდით, მაგრამ თექვსმეტ ცენტნერზე მეტი ვერ მივიღეთ. წელს იმაზე უარესად მოიხნა და დაითესა, აქედან გამომდინარე, შარშანდელზე უარესი მოსავლის მიღებაა მოსალოდნელი; მაშინაც მარტო მე ვამბობდი თხუთმეტ ცენტნერს.

– რა იცი, რომ გვიან დაითესა, ალბათ, ეგ ფარნაოზის კოლექტივში მოხდა!

– აგროტექნიკურ ვადებში ფარნაოზმა დათესა მხოლოდ. იმათ, თორმეტ ცენტნერს რომ ვერ ასცილებიან, დეკემბერში დათესეს ბელტიან ნაკვეთებში; მოსავალსაც შესაბამისს მიიღებენ.

– შენ რა იცი, როდის ნახე?! ან სხვა კოლმეურნეობის მინდორში რას დაეთრევი!

– მე ყველგან მივდივარ.

– შენ იქ ეგდე, სადაც მიგამაგრეთ და აქა-იქ თრევას თავი დაანებე, თორე მოგივლი როგორც საჭიროა! – ამბაკო დაემუქრა.

– ეგდე, დაეთრევი პარტიული ეთიკის ნორმებში არ ეტევა. სკამის ძალით შეურაცხყოფის მიყენებაც ვაჟკაცობად არ უნდა ჩაითვალოს, რაც შეეხება მუქარას, ტყუილად ირჯებით, მე რომ მშინებოდა, ამათსავით ოცდაექვს ცენტნერს ვიტყოდი. აქ სამუშაოდ ვარ. არ გინდათ? არც იმის უფლებას მივცემ ვინმეს, თავის ხუსტურებზე მაგინოს! – კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა. თავი ძლივს შეიკავა ისედაც მოთმინების ზღვარზე მისულმა მათემ. რაღაც დაწერილი ქაღალდი დააგდო მაგიდაზე, – ინებეთ, მე თქვენთან ვერ ვიმუშავებ! – თქვა და გარეთ გავიდა.

კუკურიმ განცხადება აიღო. წაიკითხა და ნასიამოვნებმა ხმამაღლა გამოაცხადა:

– განთავისუფლებას თხოულობს, – მერე დაუმატა: – აბა, რა ეგონა, ეგრე რო ხტუნაობდა!

– წავიდეს! მოშორდეს! – რამდენიმემ ამბაკოს საამებლად წამოიძახა.

ამბაკო ჩაფიქრდა. მოიბუზა. შეშინდა. იმას ურტყავდა, ვინც ქედს მონურად უხრიდა, ვაჟკაციც კუდქიცინებთან, მაამებლებთან იყო. მკერდში კი მფრთხალი მღრღნელის გული უცემდა.

– კაცო, მაგათი ცეკა ძალიან უჭერს მხარს, სკამზეც იმათი რეკომენდაციით ზის. განთავისუფლების შესახებ რომ გაიგონ, იჩივლებენ. ხომ იცით, როგორი ენა აქვთ. შეიძლება ვილაცა გამოიძებნოს, რომ მხარი დაუჭიროს და ათასი უსიამოვნება დაგვატეხონ თავზე. პარტიის ცეკაშიც არიან ჩვენი პოლიტიკა რომ

არ მოსწონთ, ედუარდ ამბროსევიჩს ისეთ ამბავს მიუტანენ, რომ ისიც იძულებული გახდეს გაგვისროლოს. მოკლედ, მაგ ბიჭს სხვანაირად მოვუვლი. ერთი კვირაა რაც აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ განთავისუფლება ითხოვა, პენსიაზე გადის. იქ გადავიყვანოთ, მერე ვნახავთ მხარს ვინ დაუჭერს! – შენ რა აზრისა ხარ? – აღმასკომის თავმჯდომარეს ჰკითხა.

– კარგი ბიჭია, მაგაზე უკეთესს ვერ ვინატრებდი. ძალიან ენერგიული და პატიოსანი ბიჭია! – თქვა აღმასკომის თავმჯდომარემ.

ამბაკომ ისეთი თვალით შეხედა, შეჭმას ცოტაღა აკლდა.

აღმასკომის თავმჯდომარემ ენაზე იკბინა.

## პატიმრის დაბრუნება

**ᲓᲐᲛᲘᲡ** ათი საათი იქნებოდა, ქუჩაში აღარავინ იყო. ციოდა, სუსხიანი ქარი ძვალ-რბილში ატანდა, თოვლის იშვიათ ფანტელებს ქარი ელექტრონათურების შუქზე აცეკვებდა. მათე როგორც გამოვიდა ამბაკოს კაბინეტიდან, პალტო ჩაიცვა და სახლში წავიდა, რაც მოხდა, არ ნანობდა, იმ განცხადებას ამდენი ხნის მოთმინება თან გააყოლა. საყელო აიწია, ხელები პალტოს ჯიბეში ღრმად ჩაიყო და ფიქრებში ჩაძირული ნელა გაუყვა გზას. რას ჰგავს ეს, ნუთუ ადამიანებს თავისი კეთილდღეობის მეტი აღარაფერი არ უნდა ახსოვდეთ? განა შეიძლება, რაც ხდება იმის მოთმენა? განა არ იციან ფარნაოზისავით საქმის ერთგული ყველა რომ იყოს, ეს უზარმაზარი სიძნელეები აღარ გვექნებოდა; რატომ ეძებენ მის საქმეში ნაკლოვანებებს მიკროსკოპით, როცა სხვაგან უზარმაზარი ლოდებივით ყრია. მათემ გზაზე დაგდებულ ქვას ფეხი წაჰკრა, გვერდზე მიაგდო. თითქოს ნაკლოვანებები მოიცილაო. ისევ გაუყვა ფიქრის ბილიკს: ზაქრო ბედნიერად იყო, კარგად ერკვეოდა ცხოვრების წყალქვეშა კლდეების ადგილმდებარეობას და მოხდენილად ცურავდა. იყო თავის ნაჭუჭში ჩაკეტილი. მის გარშემო რა ბოროტება ხდებოდა, ხედავდა, მაგრამ იმასაც გრძნობდა, რომ თუ შეეჭიდებოდა, როგორც ის ამბობდა, შეიჭმებოდა. ბოლოს იმ ჭაობში ყოფნას საღ ჰაერზე გამოსვლა და იმავე ჭაობის ამოშრობა არჩია. რამდენი გამოდგა მასავით შეგუებული დამპალ ყოფასთან, რომ სძულდათ ის, რასაც აკეთებდნენ, მაგრამ ნებისყოფა და გამბედაობა არა ყოფნიდათ, შებრძოლებოდნენ იმ სისაძაგლეს; შეჭმის ეშინდოდათ და მაინც შეიჭამნენ. მერე ვისგან? ვისაც ყველაზე ძალიან უნდა უხაროდეს მათი ეს საქციელი! ქარმა ძალუმად დაუბერა. მათემ პალტოს საყელო ყურებთან შეისწორა. ნეტავ ლალი რას იტყვის? გაიფიქრა. რაც ამბაკომ მის შევიწროებას უმატა, სულ იმას ეხვეწებოდა, მაგ სამუშაოს თავი დაანებე, შენი სპეციალობით იმუშავე სადმეო. ლალისაც ურეკავდნენ და ათასი მონაჭორით გულს უკლავდნენ. ახლა მათეს ტვირთი მოცილებული ჰქონდა. მივა, ლალის ახარებს, რომ ხვალიდან სულ სხვა ცხოვრებას იწყებს, რომ ხშირად ერთად იქნებიან; არც არავის მოერიდება კინოსა და თეატრში წასვლის დროს. ამ ხნის განმავლობაში რაც სითბო და ყურადღება დააკლო, ახლა უნდა აუნაზღაუროს; რაც ამ დღეებში სიმწარე ნახა, სულ სიტკბოდ უნდა შეუცვალოს.

თავის სახლს მოუახლოვდა, სასწრაფო დახმარების მანქანა დაინახა, გული რაღაც საშინელის მოლოდინში შეუქანდა, ნაბიჯს უმატა; მანქანა მისი ალაყაფის კარებთან იდგა, კარები ღია იყო, სირბილით შევიდა. პირველი კოტე შეხვდა, ზაზა ეჭირა ხელში და ათამაშებდა.

– რა მოხდა? – იკითხა შეშინებულმა მათემ.

– უკვე არაფერი, – დინჯად უპასუხა კოტემ და ზაზა შეათამაშა.
მათე ოთახში შევარდა. საწოლში ფერმკრთალი ლალი იწვა, თვალები დაეხუჭა: თავით ექიმი ედგა, მისი მაჯა ხელში ეჭირა, იქვე ექთანი ფუსფუსებდა, ყუთში წამლებს ალაგებდა. მათეს დედა ექიმის გვერდით იდგა და ცხვირსახოცით თვალებს იწმენდდა.
– რა მოხდა? – რა მოუვიდა? – დაბალი ხმით შეეკითხა ექიმს.
– ნაღვლის ბუშტის მწვავე შეტევა, გულიც ჩაითრია, მძიმე მდგომარეობა იყო. ახლა უკეთ არის, შეიძლება აღარ განმეორდეს, – ექიმი ისე ლაპარაკობდა, მაჯა ხელიდან არ გაუშვა.
ლალიმ, მათეს ხმაზე, თვალები ნელა გაახილა, გაიღიმა.
– რა დაგემართა, ლალი? – მათეს შეკითხვა კვნესას ჰგავდა.
– არაფერია, ნუ გეშინია! ახლა კარგად ვარ, გამიარა, ცოტა შეუძლოდ ვიყავ, – ლალის ლაპარაკი უჭირდა, თვალები ისევ დახუჭა.
– აღარაფერი უჭირს, ტკივილი ჩაუყუჩდა, – ექიმმა ლალის მკლავი საბანზე დადო და ადგა, – ყველა წამალი მიღებული აქვს, ახლა მოსვენება უნდა, – ექიმი წავიდა.
ლალის საწოლთან მათე მუხლებზე იდგა, მისი მაჯა ხელში ეჭირა და ნაზად ეფერებოდა; ლალიმ თვალები გაახილა, სუსტად გაუღიმა.
ოთახში კოტე შემოვიდა, მათეს უსაყვედურა:
– რა ისეთი საქმე გქონდათ, რომ შენი გამოშვება არ შეიძლებოდა? სამჯერ დავრეკე, იმ დამთხვეულმა მიტომ არაფრით არ ქნა. ვერ გეტყვი, ძალიან სერიოზული საკითხები იხილებაო. ვეუბნები, ამაზე სერიოზული რა უნდა იყოს, მეუღლე უკვდება-მეთქი. აქ ყველა გრძნობაზე მაღლა საერთო საქმე დგასო, ისეთი პათოსით მითხრა, მივხვდი, მაგას ყველა კრამიტი თავის ადგილზე არ უნდა ჰქონდეს; ცოტა დაცენტრილი ჩანს!
– ცოტა? – გაეღიმა მათეს.
– ეს ტელეფონი მაგნაირებისთვის არის მოგონილი. თუ მივწვდებოდი, სხვა ჰანგზე ავამღერებდი. იცი, რა მითხრა? – კოტემ თავი შეიკავა.
– თქვი, კოტე, მე და მათე სულ იმას ვფიქრობთ, როდის გვეღირსება ნამდვილი ადამიანური ცხოვრება. ტელეფონზე რომ ბრაზობდი, მესმოდა, – აუღელვებლად თქვა ლალიმ.
– იცი, რა მითხრა? საღ უნდა გამოვიდეს, ახლა შეიძლება მაგის საკითხი გადაწყდეს. წირვა უნდა გამოუყვანონ, ქვეყანა შეაღონა, თავისი თავი დიდი ვინმე ჰგონია. ამბაკო სიმონიჩი ისეთი შორსმჭვრეტელი და ბრძენია, რომ მაგის მსგავსს ამ წმინდა ტაძარში არ გააჭაჭანებსო.
– შენთვის მაგ სიტყვების თქმა დაკარგულია, რადგან ამბაკოს არ მიუტან. ეტყობა იქ ისეთი კაცი იდგა, რომელზეც იყო გამიზნული ეგ ნათქვამი. – მათემ ღიმილით თქვა.
– იცი, რა უპასუხა? – ლალი გამხიარულდა, – შენისთანა ნაკელის ჭიებთან დიდიც არის და ბუმბერაზიც. მაგ ბნელ ტაძარში სანთელივით ანთია და ღამურები მის ჩაქრობას იმიტომ ცდილობენო; – ამას ცოტა უწმაწური დასკვნაც ჰქონდა.
– რა დასკვნა? – იკითხა მათემ.
– არაფერი, თავისი კეთილები გავუხსენე.
– აგინე?
– აბა, რა მექნა. შორს იყო. მუშტით ვერ მივწვდებოდი. ამას ახლო კონტაქ-

ტისთვის ვინახავ.

– ნუ გგონია, რომ ხელი შეგიბრუნოს, პირდაპირ სასამართლოს კარებზე დაგაყენებს.

– რა უშავს, მე გულს მოვიფხან და სხვებისთვის გაკვეთილი იქნება.

– არა მგონია, ასეთ პიროვნებასთან კოტე ფირაშვილის თავის გაყადრება ღირდეს. მაგას ერთნაოჭიანი ტვინი აქვს, ის უნდა აქოს, ვისგანაც პურის ნატეხს მოელის. შეაქო ამბაკო და გახდა ინსტრუქტორი. ახლა წინ რაღა დაუდგება, იმდენს აქებს, სანამ კისერს არ მოატეხინებს. დრო მოვა, თვითონაც არ იტყვის უარს მის ადგილზე. ხვალ შენგან რომ მოელოდეს იმ პურის ნატეხს, ცამდე აგიყვანს, ამბაკოს კი კბილით დაგლეჯს, – აუხსნა საქმის ვითარება მათემ.

– ახლა კი ვრწმუნდები, რომ ყველა ადამიანის წინაპარი სულაც არ იქნებოდა მაიმუნი. მიტროს წინაპარი შეიძლება ძაღლი ყოფილიყო, რადგან კუდის ქიცინი და მოპარვით კბენა მასში ისეა მოცემული, რომ არავითარი სახეცვლილება არ განუცდია. ჩემი კი ნამდვილად მაიმუნი იქნებოდა.

– აქ ჭირისუფლად საიდან გაჩნდი? – ჰკითხა მათემ.

– დედაშენმა ისეთი შეშინებული ხმით დამირეკა, ლალი ძალიან ცუდად არის და მომეშველეთო, ვფიქრობ და ახლაც ვერ გამიხსენებია, აქ მანქანით მოვედი, თუ ჩემს ფეხებს ვუთხრა მადლობა. ახლა ყველაფერი კარგად არის. ვინძლო ამაღამ სამ საათზე გაიქცე თავმჯდომარეების გასაღვიძებლად. კარგად იყავით! – ხელი ასწია და წასასვლელად ადგა.

– დღეიდან შენსავით მაიმუნების კატეგორიაში გადმოვედივარ; განთავისუფლებაზე განცხადება დავწერე.

– მართლა, მათე? – ლალიმ წამოიწია და მათეს ყელზე მოეხვია. – ადამიანური ცხოვრება ჩვენც გვეღირსება.

– შენ სულ მაიმუნი იყავ, ახლა მაიმუნი ხარ კვადრატში! – მიაძახა კოტემ, ოთახიდან გავიდა და კარი გაიხურა.

ლალი ისევ დაწვა. ეტყობოდა, ამ ამბით ძალიან გაიხარა.

მათე ბავშვების ოთახში გავიდა.

ბებიას და ზაზას ერთად ჩასძინებოდათ...

ციოდა. იანვრის სუსხს მოძრაობა შეებოჭა. ყინავდა. ხორხოშელა თოვლი თეთრად ეფინებოდა გათოშილ დედამიწას. გაყინულ ბუნებას ზამთრის ღრმა ძილში ეძინა.

მანქანა ნელა მიჰყავდა, ფიქრებს შემორჩა მარტოდ დარჩენილი. მაინც რა უცებ მოხდა, იმ ბოლო ბიუროს შემდეგ გამოიძახეს, ამბაკომ ბევრი თბილი სიტყვა დახარჯა. განცხადება უკან დაუბრუნა და აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ გზა დაულოცა. ლალის სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა. მათე ისევ პირმოთნე კარიერისტთა ამალაში ირიცხებოდა.

რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე რომან მაისაშვილი სამოც წელს მიტანებული კაცი იყო, თავისი ცხოვრება სულ ხელმძღვანელ სამუშაოზე გაეტარებინა; ქიციც იცოდა და ქიცმაცურიც. რამდენიმეჯერ მართალი აზრის გამოთქმის შემდეგ ისე შეუტიეს, რომ ბოლო წლების გამწარების მოერიდა და თვითონაც შეერია ამბაკოს მლიქვნელთა ამალაში. არადა, ყველაზე უკეთ გრძნობდა ედუარდ შევარდნაძის დამღუპველ, დამაქცეველ საქმიანობას ქვეყნის და ხალხის მიმართ. თუმცა მოსწონდა მათეს მართალი სიტყვა, მაგრამ მხარის დაჭერას ვერ ბედავდა, რადგან იცოდა, ამას როგორი არასასიამოვნო რეაგირება მოჰყვებოდა. მისი მოადგილედ გადაყვანა ძალიან გაუხარდა. ისე, რომ

ვერ დამალა და ამბაკოს გულისწყრომა დაიმსახურა. სამაგიეროდ, თავის კაბინეტში, მათესთან დიდხანს გულთბილად ისაუბრა; არც თავისი სიმპათიები დაუფარავს მის მიმართ...

თოვამ იმატა. გზა თეთრად დაიფარა. ბინდმა გამუქება დაიწყო, მათემ პატარა ნათურები ჩართო. გზის პირას ვიღაც კაცი დაინახა, ზურგზე ჩანთა მოკიდებული მიდიოდა. წინ კიდევ დიდი გზა იყო გასავლელი. ნეტავ აქ საიდან გაჩნდა? ასე სიარული გაუჭირდება, – გაიფიქრა.

მანქანა კაცს წამოეწია და გაჩერდა. მგზავრმა სიარული განაგრძო. მანქანისკენ არც კი მიუხედავს. მანქანა ისევ წამოეწია, მათე გვერდით გადაწვა და კარები გააღო.

– დაჯექ, ჯერ კიდევ გრძელი გზა გაქვს გასავლელი, ეგრე ფეხით სიარული გაგიჭირდება! – დაუძახა მგზავრს.

კაცი უხალისოდ ჩაჯდა, ზურგზე მოკიდებული ჩანთა უკან გადააგდო და მძღოლის გვერდითა სავარძელზე გასწორდა. მათემ მანქანა ადგილიდან დაძრა. ჩამობნელდა. დიდი ნათურები ჩართო. ცოტა ხანს ასე იარეს. სიჩქარის ბერკეტთან პაპიროსის კოლოფი იყო.

– შეიძლება მოვწიო? – იკითხა მგზავრმა.

მათემ მიაწოდა, თვითონაც ამოიღო ერთი ღერი. გააბოლეს. მანქანამ დათოვლილ ასფალტზე ცურვა დაიწყო.

– მაპატიეთ, ძალიან ნაცნობი სახე გაქვთ, ვერაფრით გამიხსენებია, საიდან შეიძლება გიცნობდეთ, – ჩაილაპარაკა.

– მეც, თითქოს, გიცნობთ, მაგრამ ვერ აღმიდგენია, საიდან მახსოვხართ; შეიძლება ახალგაზრდობაში შევხვედრილვართ, – უპასუხა მგზავრმა და სიგარეტი მოქაჩა.

– კოლონიიდან დღეს გამანთავისუფლეს, ჩვენებმა არ ციან, სახლში მივდივარ. გადმოსახვევამდე რომელიღაც საბარგო მანქანას მოვყევი, აქეთ ფეხით მოვდივარ, – მგზავრმა პაპიროსი ისევ მოქაჩა.

– დიდხანს იჯექ?

– საკმაოდ.

– რაზე?

– გრძელი ისტორიაა.

– იქნებ მომიყვე? – სთხოვა მათემ.

მგზავრმა ახალ სიგარეტს მოუკიდა და დაიწყო:

– თავს ყოველთვის უდანაშაულოდ ვთვლიდი, არ ვიცი, სხვა ამას როგორ მიგებს, მაგრამ დამიჯერე, მეგობარო, ყველა ადამიანს, რომელიც სწორ გზაზე დგას და ბედნიერ მომავალზე ოცნებობს, მსგავსი უსიამოვნება შეიძლება შეემთხვეს სანამ ჩვენს საზოგადოებას პატიოსანი ადამიანის ქურქში შემალული მგლები ეყოლება, – აღელვებით თქვა.

– ეტყობა ვიღაცაზე ხარ განაწყენებული, – შენიშნა მათემ.

– განაწყენებული ბევრზე ვარ, იმიტომ, რომ მათ თავიანთი უღირსი საქციელით ზიანი მიაყენეს მთელ ჩვენს საზოგადოებას, ამ საზოგადოების ერთ წევრს. ჩემი ცხოვრების გზაზე ბარიერად აღიმართნენ და, ბოლოს, ზიანი მიაყენეს საკუთარ თავს, რამეთუ არც ისინი არიან დაზღვეული, ჩემი მსგავს ამბავში მოხვდნენ და მათზე ძლიერმა ამა ქვეყნისამ უხეშად გაუთელოთ სიმართლე და ადამიანური ღირსებები. მსგავსი საქციელი შანთით თუ არ ამოიწვა, საშინელ ინერციას აიღებს და ვინც ერთხელ უკანონობას თავის სასარგებლოდ იყენებ-

და, ბოლოს იმასაც მოსდებს განუკითხაობის ბრჭყალებს, – მგზავრმა სული მოითქვა, ღელავდა.

– მომიყევი და მერე ჩემთვის უფრო ნათელი იქნება შენი ისტორიის სიღრმეში ჩაწვდომა; იქნებ მეც მოგეხმარო უკუღმართობასთან ჭიდაობაში, – თანაგრძნობით უთხრა მათემ.

– მე ვარ ომარი კიკილაშვილი, – დაიწყო მგზავრმა, – საშუალო სკოლა სოფელში დავამთავრე, მოწინავე მოსწავლე ვიყავ და ინსტიტუტში პირველსავე წელს ჩავირიცხე, – ომარი თავის ამბავს ყვებოდა, მათე ყურადღებით უსმენდა და მთელი არსებით თანაუგრძნობდა. ღრმად სწამდა, რომ ის ბრმა შემთხვევა, რომელმაც ომარის ცხოვრების გზა ესოდენ ეკალ-ბარდით შეამკო, თავისუფლად შეიძლებოდა მას, ან რომელიმე მის მსგავს სხვა ახალგაზრდას გადაყროდა, მაშინ ისაც ზუსტად ომარის ბედს გაიზიარებდა და ხსნის იმედი არსაიდან არ უნდა ჰქონოდა.

– კოლონიაში ჩხუბის შემდეგ ორი წელი დამიმატეს, ჰოდა, რომ არ ველოდი, გამომიცხადეს, თავისუფალი ხარო. მეც ავიკარ გუდა-ნაბადი და აგერ, ახლა შენს მანქანაში ვზივარ, – ომარმა თხრობა დაამთავრა და ღრმად ამოიოხრა. გარეთ კარგა გვარიანად ბარდნიდა.

– ჩვენ ერთ პერიოდში გვისწავლია, – უთხრა მათემ, – ახლა მახსენდება, კალათბურთს თამაშობდი კარგად, სპორტის სხვა სახეობებშიც ძლიერი იყავ. მე რაიონის ცენტრის სკოლის გუნდში ვთამაშობდი კალათბურთს, ფინალში მოგვიწია შეხვედრა.

– მოიცა, მოიცა! შენი სახელი? – ომარი მათეს დაჟინებით დააკვირდა.

– მათე ბაღაშვილი, არ შეიძლება, ვერ გამიხსენო, მაშინ მე ჩვენი გუნდის კაპიტანი ვიყავ.

– მათე! – ომარმა გაკვირვებით წამოიძახა, – კალათბურთში კი არა, ყველა სპორტულ შეჯიბრებებში გვიხდებოდა შეხვედრა. სკოლის დამთავრების შემდეგ კი ჩვენი გზები გაიყარა, თუმცა ხშირად მახსენდებოდა ის ბედნიერი წლები.

– არა უშავს, ომარ, ახლა, ალბათ, ხშირად ვიქნებით ერთად. შენ მაგ ტკივილებსაც მოიშუშებ და საღ ცხოვრებას ააწყობ, – ანუგეშა მათემ.

– მათე, სად მუშაობ?

– რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ვარ.

– დიდი კაცი ყოფილხარ!

– დიდი კაცი, ჩემო ომარ, თანამდებობით როდი იზომება, დიდი ადამიანის საზომი, ჩემი აზრით, სულის სიწმინდე, გულის სითბო და ადამიანური გრძნობების სიდიადე უნდა იყოს. შენ ჩემს თვალში ბევრზე გაცილებით დიდი ხარ, რომელთაც სიდიდე სკამმა შესძინა, სულით კი ქონდრისკაცები არიან. ბევრი ვერ შეძლებს შენნაირად ჩააბაროს ადამიანობის და ვაჟკაცობის გამოცდა, – მათე ცოტა ხანს გაჩუმდა და მერე ჰკითხა: – ახლა რას აპირებ? სად გინდა იმუშაო?

– ვერ გადამიწყვეტია, მინდა ყველაფერს გავეთიშო და ბუნებასთან ვიყო, ტყეში, მინდორში, მინდა, ეს დაწყვეტამდე მისული ნერვები დავასვენო! – გულისტკივილით თქვა ომარმა.

– არის კი ისეთი ადგილი, ამ ცხოვრების ტალღა რომ არ მოგწვდეს?

– გააჩნია, რა ძალით მომწვდება, ყოველ შემთხვევაში მის შუაგულში მაინც არ ვიქნები.

– რაზე შეიძლება იმუშაო? – მათე ჩაფიქრდა.

– მოიცა, მოიცა, ეგერად რომ იყოს, არ სჯობია? – მათე ომარისკენ შებრუნდა, – ბუნებასთანაც ახლოს იქნები და ნადირსაც ბრაკონიერებისგან დაიცავ; მერე კი, ალბათ, ინსტიტუტში აღდგენასაც ეცდები.

– ვნახოთ, ჯერ სახლში მივალ, ერთი-ორი დღე ოჯახს მოვისურვილებ, ჩემი სამსახურის ამბავს მერე გადავწყვეტ. ისე, ეგერობა თუ მოხერხდა, ჩემთვის სასიხარულო იქნებოდა.

მანქანა ომარის სოფლისკენ გადასახვევს მიუახლოვდა. ბნელოდა. მანქანის შუქზე უთვალავი ფანტელები საქარე მინისაკენ მოქროდნენ.

– აქ გამიჩერე, – თქვა ომარმა და ზურგჩანთის ასაღებად უკან გადასწვდა.

მათეს თითქოს არ გაუგია, ომარის სოფლისაკენ გზა გააგრძელა.

– გააჩერე! გააჩერე! – ომარმა საჭეზე ხელი უტაცა, – ამდენს ვერ შეგაწუხებ. მათე, თუ ძმა ხარ, აქ გააჩერე; ყველაფერზე დიდი მადლობა!

მათემ მანქანა გააჩერა. ომარმა მარცხენა ხელით ზურგჩანთა აიღო და მარჯვენით კარები გამოხსნა.

– ომარ. – მათემ შეაჩერა.

ომარი მათეს მიაჩერდა.

– შენ რომ იყო ჩემს ადგილას, როგორ მოიქცეოდი? აი, ახლა მე ომარი ვარ, – შენ მათე, მიჩერებ მანქანას და მტოვებ, ამ ყიამეთში შუა გზაზე, მე წყენით გეუბნები: არა გრცხვენია? ფეხით კი მივალ სახლამდე, მაგრამ შენ რა გეშველება? მე მჯერა, რომ ომარი კიკილაშვილი ამას არ იკადრებდა, მაშ, რატომ გგონია, რომ მათე ბაღაშვილი ისე დამდაბლდა, რომ ეს იკადროს?!

ომარს ხმა აღარ ამოუღია, კარები მოხურა, ზურგჩანთა ისევ უკან გადააგდო, კოლოფიდან სიგარეტი ამოიღო, მოუკიდა, კვამლი ღრმად ჩაისუნთქა და სავარძლის ზურგზე გადაწვა.

მათემ მანქანა ადგილიდან დაძრა.

თოვდა. გაბედულად ბარდნიდა. ფანტელები მანქანას სიხარულით ეგებებოდნენ და მის გამთბარ მინაზე ცრემლებად დნებოდნენ.

## თავმჯდომარის დამხობა

**ტიტიკო** კაბინეტში ამაყად იჯდა. ყველა ერთი დაკვრით მიყარ-მოყარა, ვინც კი მის წინააღმდეგ ხმა აიმაღლა, ბაქროზე გული სწყდებოდა, რომ სათანადოდ ვერ გაუსწორდა, პირიქით, მისი ისე ეშინოდა, თვითონვე უშუამდგომლა, ბიუროზე ნუღარ დასჯითო; ბაქრო თუშური ცხვრის ჯიშთსაშენში ზოოტექნიკოსად მოეწყო და კოლმეურნეობას სულ გაეთიშა.

მეძროხეობის ფერმის გამგე, მიტუშა და ხრამის ბრიგადის ბრიგადირი პართენა ჯერ თავის მოვალეობას ასრულებდნენ, სანამ ტიტიკო ახლებს შეარჩევდა. ვეტექიმიც ისევ მუშაობდა, რადგან შემცვლელი ჯერ ვერ მონახეს.

თებერვლის პირველი დეკადა დამთავრდა. ტიტიკოს ახალი გეგმები ჰქონდა. საანგარიშო საარჩევნო კრებას ჩაათავებდა, როგორც ის ამბობდა, და მერე შეუდგებოდა საქმის აწყობას.

ახლა კაბინეტში პეტო ეჯდა, რომელიც მოხსნის შემდეგ ერთ თვეში ისევ აღადგინა წისქვილის გამგედ.

– ჩემმა სიძემ თქვა, ხომ იცი როგორი ავტორიტეტი აქვს უფროსებში, – პეტო დაბალ ხმაზე ეუბნებოდა, – ტიტიკო გლახოევიჩს ხელს ვერავინ დააკარებს. ამბაკო სიმონიჩი და დანარჩენებიც დიდ პატივს სცემენო; თვითონ ჩემი

სიძე, დიმიტრი ხომ შენს მზეს ფიცულობს.

– სულ შენი სიძის მსგავსი ბიჭები უნდა იყვნენ, რომ აღარავის გაუჭირდეს. აბა, იმ დამთხვეული მათესთანების მიერ არის ეს ცხოვრება არეული. მაგრამ, არა უშავს, დიმიტრი ხომ კარგი ბიჭი მივეცით ქვეყანას! ეგ ჯერ კიდევ წინ წავა, – იმედიანად თქვა ტიტიკომ.

– წავა, როგორ არ წავა, არც შენს ამაგს არ დაივიწყებს. ტიტიკო გლახოევიჩ, – დააიმედა პეტომ.

კაბინეტში ბუღალტერი შემოვიდა.

– კრებაზე ჯერ არ მინახავს ამდენი ხალხი მოსულიყოს, გაფრთხილებაც არ დასჭირდათ, დარბაზი უკვე აავსეს, – თქვა გაკვირვებით.

– ეგრეა, აბა რა ეგონათ, სანამ ჩემი ძალა არ ვაჩვენე, მანამდე ჭკუაზე არ მოვიდნენ. რაც ზაქრო და მისი ბანდა დავშალე, ყველანი ეგრე არიან მოკაკულები, – ტიტიკომ მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი მოხარა და თვალებთან მიიტანა, – ის ეკონომისტი სადღა გდია? – იკითხა.

– ისაც აქ არის. რაც გაანთავისუფლე, ანეტასთან მუშაობს და ერთი დღეც არ გაუცდენია; კარგი მუშა გამოდგა, – დაასკვნა ბუღალტერმა.

– კარგი კი არა, ეგენი ორივე ერთმანეთზე უარესები არიან! იგრე გავუხდი მაგათ საქმეს, თავიანთი ფეხით გარბოდნენ, შენ ცოტა ხანს დამაცადე. რა დღეს დავაყრი, ვისაც გრძელი ენა აქვს! – ტიტიკო მუქარის და ტრაბახის ხასიათზე იყო.

– ეგრე უნდა, მაშ რა ეგონა, ზაქრო უშველიდა?! – პეტომ მხარი მისცა.

– კრებაზე ვინ გვესწრება? – იკითხა ბუღალტერმა.

– კუკურა მიქელაშვილი, იმას ველოდები. კრების შემდეგ კი პურ-მარილი ჩემთან მაქვს გამზადებული, შენც წაგიყვან, – ტიტიკომ ეს დიდი პატივი ბუღალტერს წყალობასავით მიუგდო.

კაბინეტში რაიკომის ინსტრუქტორი ნიკო და განყოფილების გამგე კუკური მიქელაშვილი შემოვიდნენ.

– ვინც მოვიდნენ, გაუმარჯოთ! – ტიტიკო ფეხზე ადგა და სტუმრებისკენ გაემართა.

კუკურიმ ყველას ჩამოართვა ხელი.

– ეს თქვენი ინსტრუქტორის, დიმიტრი ქიტუაშვილის სიმამრია, კაცური კაცი, – ტიტიკომ კუკურის პეტო წარუდგინა.

–ჰოოო! – მრავალმნიშვნელოვნად თქვა, – ძალიან სასიამოვნოა! – კუკური მაგიდასთან დაჯდა.

– მოკლედ, ტიტიკო გლახოევიჩ, რაიონის ხელმძღვანელი თქვენს დამსახურებას დიდად აფასებს, გამოცდილი თავმჯდომარეა და კიდევ დიდხანს იმუშავებსო. ასე თქვა, ისევ თქვენ დარჩებით თავმჯდომარედ, – კუკურიმ მოწყალედ გაიღიმა.

ტიტიკომ მადლობის თქმა არ დააგვიანა.

– ეს კრება ხელად მოვიცილოთ და მერე, ალბათ, ახლად არჩევის, აღვნიშნოთ, ოღონდ ძალიან ნუ გააგრძელებ, მოკლედ ილაპარაკე. კამათში გამოსულებიც გააფრთხილე, სიტყვას ნუ გაჭიმავენ, – გააფრთხილა კუკურიმ.

– ფიქრი ნუ გაქვს, ყველაფერი ისე იქნება, როგორც თქვენ იტყვით! – იმედიანად თქვა ტიტიკომ.

დარბაზი ისე იყო გაჭედილი, ნემსი არ ჩავარდებოდა. ყველანი თავისი დარგების მიხედვით ისხდნენ. მემინდვრეობას ერთი მხარე დაეკავებინა, მათ გვერდით მევენახეები ისხდნენ. მეცხოველეები ყველა ერთად იყო, მექანიზმატორე-

ბი კი სულ უკან დამსხდარიყვნენ; ვისაც სკამი არ შეხვდა, უკან და კუთხეში ფეხზე გაჩერებულიყვნენ.

ტიტიკო მოხსენებას კითხულობდა, მთელი წლის საქმიანობა ისე ჰქონდა წარმოდგენილი, რომ წარუმატებლობასაც მიღწევებში იხსენებდა. მეცხოველეობაზე აღნიშნა: რძის გეგმის შეუსრულებლობა ზოგიერთი უპატიოსნო მუშაკის ბრალია, ამ საკითხზე დაწვრილებით ქვევით მოგახსენებთ – ქვევით რაღაა ახლა თქვი, ვინ გიშლის! – დაიძახა ვიღაცამ. ტიტიკომ ამას ყურადღება არ მიაქცია და მოხსენების კითხვა განაგრძო. დარბაზში ჩურჩული ატყდა, რომელიც თანდათან ხმაურში გადაიზარდა. კუკური უხერხულად შეიშმუშნა. – ბოლო წლებში მეცხვარეობა საგრძნობლად წინ წავიდა, ფერმის გამგე, როსტომა ჭრელაშვილის სუსტი მუშაობა რომ არა, უფრო მეტის მიღწევა შეიძლებოდა, – წაიკითხა მომხსენებელმა.

– ადრე როგორ გქონდათ საქმე, სანამ როსტომა ჭრელაშვილს გაუშვებდით ფერმის გამგედ? – ფეხზე ადგა და ისე დაიძახა ბომბორა ვახომ.

– ადრინდელი აღარ ახსოვს, იგრე შეჭამა! – უპასუხა ვიღაცამ. ხმამაღალი ხარხარი ატყდა.

მოხსენების გაგრძელება შეუძლებელი გახდა.

– შენ რა წვლილი მიგიძღვის მეცხვარეობის წარმატებაში, ისა თქვი! – გაისმა დარბაზში.

მცირე გოგია ფეხზე ადგა და შეკითხვის მიმცემს ხმამაღლა უპასუხა:

– მეცხვარეობის წარმატებაში მაგასაც მიუძღვის წვლილი, ოღონდ უკან-უკან სვლაში; ახლაც მეცხვარეობას ნალისავით ჰყავს მოთრეული! – ისევ ატყდა ხარხარი.

– ჩვენ გვეგონა, მარტო მევენახეობის მუხრუჭი იყო, – მევენახეობის ჯგუფიდან დაიძახეს.

– მემინდვრეობა ხომ სულ ამოაგდო, მემინდვრეობა აღარ არის, ხალხო! – ერთი ქალი ფეხზე ადგა და ხელები გაშალა, – ჯერ რას თესავენ, რას მამაძალლობენ, გული მოგიკვდება, რაც მოდის კიდევ ქარს ატანენ! – ქალმა გაშლილ ხელის გულს შეუბერა.

– ნუ გეშინია, ქარს არ ატანენ, ტიტიკომ იცის, როგორი გზა მოუძებნოს! – დაიძახეს.

– ტიტიკო კი არა, ვირთხაა, გამოხრა კოლექტივი! – ხალხი ახმაურდა.

მომხსენებლის ხმა აღარ ისმოდა. ტიტიკო გაჩერდა, ხელი მაღლა აღმართა, – დაწყნარდით! – დაიძახა, – ჯერ მოხსენება არ დამიმთავრებია.

– მოხსენება კი არა, ისა თქვი, რძის გეგმის შესრულება რატომ გაგიჭირდა! – დაიძახეს დარბაზიდან, ახარხარდნენ.

– ტიტიკო, როდემდის გინდოდა ჩვენი ხელფასით გეგმის შესრულება! – შენ რძეზე ილაპარაკე, თეთრი რომაა! – ხალხი ხარხარებდა.

ახლა ტიტიკო მოხსენებას კითხულობდა, მაგრამ აღარც არავინ უსმენდა და არც ისმოდა იმის ხმა.

კუკური წამოდგა.

– გაჩერდით ამხანაგებო, მოუსმინეთ, ტიტიკო ყელაფერს თქვენთვის ამბობს, თორე თვითონ ძალიან კარგად იცის! – დაიძახა.

– თვითონ ძალიან კარგად იცის, როგორ მოგვატყუოს, ვირეშმაკაა! – უპასუხეს დარბაზიდან.

– გეყოფა, ტიტიკო, ახლა ზოგი რამე ჩვენ გვაქვს სათქმელი, ჩამოდი დაბლა!

– მეწისქვილე რაზე მოხსენი?!

– თუ მოხსენ, რაღად აღადგინე!

– ვირთხა რომ არის, არ იცი?!

– გეყოფა, ტიტიკო, თავმჯდომარეობა, გვერდზე მიდექ! – ისმოდა დარბაზიდან.

ხალხი ზღვასავით ღელავდა.

ტიტიკოს კადნიერება სულ გაუქრა. ხელიდან ცხვირსახოცი აღარ გაუშვია, თვალებს მალ-მალე იწმენდდა.

– მოხსენება დამთავრდა, გადავდივართ კამათზე, – გამოაცხადეს პრეზიდიუმიდან. სიტყვა ეძლევა... ვერ დაამთავრა სიტყვის დასრულება, დათო პაპა ადგა.

– მე მაქვს ორიოდე სიტყვა, – თქვა თუ არა, ხმაური მაშინვე შეწყდა.

– ტიტიკო რაზე ემდური როსტომა ჭრელაშვილს, დაქირავებული მწყემსები რომ გარეკა და საქმე მამაპაპურად, ნამუსიანად ააწყო, იმიტომ?! მტრად რაზე გაუხდი ცხვარ-მეცხვარეს, ქურდობა, მამაძაღლობა და ხალხის მოტყუება რომ აიკრძალა, იმიტომ?!

– მაღლა ამოდი! – დაუძახეს პრეზიდიუმიდან.

– აქედანაც კარგად ვეტყვი! – უპასუხა და დაუმატა: – არა, შვილოსა, შენ სათავმჯდომარეო კაცი არა ხარ, იმიტომ, რომ ნამუსი გაყიდული გაქვს! დღეს აქ მოვედი, რომ ყველას გასაგონად ხმამაღლა დავიძახო: კოლექტივი თუ ვირთხებისაა გვითხარით, თუ არადა, ყველამ ერთნაირად გავიყოთ, რაც მოგვყავს მოპარვის გარეშე, ტიტიკოსათვის კი ორი ბატის ნდობა არ შეიძლება!

– არ გვინდა ტიტიკო! წავიდეს, ბატები მწყემსოს! – აღრიალდა ხალხი.

კუკურის მკვდრის ფერმა გადაჰკრა. წყნარი, უშფოთველი კრების და მერე პურმარილის იმედი ჰქონდა. ეს რა ხდება, სულ უკუღმა დადგა ყველაფერი, რა ქნას, ამბაკოს რა მოახსენოს? კუკური ფეხზე წამოდგა და ხმამაღლა, რაც კი შეეძლო ყვირილით დაიწყო: – ტიტიკო მექერიშვილი საუკეთესო თავმჯდომარეა, ერთეულების ყბედობაზე არ არის დამოკიდებული მისი ყოფნა არ ყოფნა; ტიტიკო იქნება თქვენი თავმჯდომარე!

– იქნება და იყოს! ეგე კოლექტივი და ეგე ტიტიკო, სანამ ეგ თავმჯდომარე იქნება, კოლექტივში გამომსვლელები არა ვართ! – იგრიალა ხალხმა, ყველა წამოიშალა და გასასვლელისკენ დაიძრა. – წაიყვანეთ სადაც გინდათ, იქ დანიშნეთ. ჩვენ გვეყო, ახლა სხვამ ნახოს, როგორი საუკეთესო ეგ არის!

– ორი ბატი ჩააბარეთ, მაინც ორს მოგიყვანს უკან, ოღონდ ერთს აუცილებლად გაყიდის, ან დაკარგავს, მეორე ბატი თვითონ ტიტიკო იქნება! – ისმოდა ხმამაღალი ძახილი და დარბაზი ნელ-ნელა იცლებოდა...

საღამოთი ბრძოლაში დამარცხებული სარდალივით ფერდაკარგული და შეშინებული კუკური ამბაკოს კრების ამბავს უყვებოდა. აღშფოთებულმა ამბაკომ მუშტი რამდენიმეჯერ დაარტყა მაგიდას. ისედაც შეშინებულ კუკურის სული ქუსლებში გაეპარა, წელში სამმაგად მოიხარა და საცოდავი ადამიანის გამომეტყველებით ამბაკოს მორჩილად შეჰყურებდა.

– უყურე, როგორ გათავხედნენ?! – ისევ დაეცა მუშტი მაგიდას, – დარეკეთ, ხვალ თერთმეტ საათზე მოიწვიონ კრება, აღმასკომის თავმჯდომარე რამანა მაისაშვილი, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი ტარიელ ძმანაშვილი წავლენ კრებაზე, მილიციის უფროსს და პროკურორსაც წაიყვანენ. ვინც დებოშის ატეხვას ეცდება, იქავე დააპატიმრონ! ტიტიკო მექერიშვილს აირჩევთ თავმჯდომარედ და ისე წამოხვალთ უკან! ეს ბედოვლათი კი, – მიუბრუნდა კუკური მიქელაშვილს, რომელსაც ისედაც შიშით მუხლები უკანკალებდა, – ეგ-

დოს აქ, მარტო ენის წაგრძელება და ლაქლაქიც ეხერხება! – კუკური მუხლმოკვეთილი სკამზე დაეშვა.

– რომ არა ქნან და ტიტიკოს გადაყენება მოითხოვონ, მაშინ რა უნდა ვქნათ? – იკითხა აღმასკომის თავმჯდომარემ.

– თქვენ იმიტომ გაგზავნით, რომ ეგ ვერ უნდა გაბედონ! – დაასკვნა ამბაკომ.

– ხალხი თუ ისე აღელვებულია, იქნებ ანგარიშის გაწევა სჯობდეს; ეტყობა არც ტიტიკოა მთლად მართალი, – გაბედა სიტყვის თქმა აღმასკომის თავმჯდომარემ.

– კაცო, შენ მოადგილისგან ხომ არაფერი გადაგედო?! – შეუბღვირა ამბაკომ.

– მოადგილისგან ცუდი არაფერი გადამედება. რაც შეეხება ტიტიკოს საკითხს, ჩემი აზრია, ახალი კანდიდატურა მზად გვყავდეს, იქნებ ხალხი მართლაც დამსახურებულად არის აღშფოთებული, – არ დაიხია უკან აღმასკომის თავმჯდომარემ.

ტიტიკომ შეუბღვირა, მაგრამ აღმასკომის თავმჯდომარისგან პირდაპირი და შეუპოვარი შემოხედვა მიიღო, მოწოლილი რისხვა შეიკავა და სულ სხვა ფორმით წარმოადგინა.

– ეგ ყველაფერი იმ ზოოტექნიკოსის მიერ უნდა იყოს მოწყობილი, გამორიცხული არ არის, რომ მაგ საქმეში შენი მოადგილის ხელი ერიოს.

– მე არ ვიცი ზოოტექნიკოსის როლის შესახებ, მაგრამ ვინც მათეს იცნობს, მასზე ამგვარი რამის თქმა არ შეიძლება, – თქვა აღმასკომის თავმჯდომარემ.

– ვააა! ასეთი რა გაჭამა?! – დამცინავად უთხრა ამბაკომ.

– ის კარგი ადამიანია! – დაასკვნა აღმასკომის თავმჯდომარემ.

– კარგია და გყავდეს, ვინ გეცილება! – ღვარძლით თქვა, – მოკლედ, ხვალ ტიტიკოს აირჩევთ!

– მე კი მგონია, თავმჯდომარის კანდიდატურის შერჩევაზე დღესვე რომ გვეზრუნა, ცუდი არ იქნებოდა, – აღმასკომის თავმჯდომარე თავისას იმეორებდა.

ამბაკომ გაკვირვებული თვალებით შეხედა აღმასკომის თავმჯდომარეს, უკანასკნელ დროს პრინციპული ტონი რომ შემატა თავის ნათქვამს.

– რა წინადადება გაქვს? – ჰკითხა დიდი ხნის ფიქრის შემდეგ.

– ჩემი აზრია, სარეზერვო კანდიდატურა გვყავდეს, ხალხს გაჯიუტების შემთხვევაში რომ შევთავაზოთ.

ამბაკო ცოტა ხანს ჩაფიქრდა, მერე უცებ გადაწყვეტით უთხრა:

– ყოველ შემთხვევაში ინსტრუქტორი ქიტუაშვილი წაიყვათ, თუ ტიტიკო მაინც და მაინც არ ინდომეს. ეგ შესთავაზეთ, მაგაზე ხომ ვეღარ იტყვიან უარს!

აღმასკომის თავმჯდომარემ სამმართველოს უფროსს გადახედა, იმან თავი დაბლა დახარა.

– კი ბატონო, თუ თვითონ შეძლებს და თანახმაა.

– შეძლებს, დიდი ენერგიული ბიჭია! – დარწმუნებით თქვა ამბაკომ...

კრება აღმასკომის თავმჯდომარემ გახსნა.

– ტიტიკო მანდ ნუ ზის, ჩამოვიდეს დაბლა და მერე ვილაპარაკოთ! – ხალხი ხმაურობდა.

– ტიტიკო მეძერიშვილი წლების განმავლობაში თქვენი თავმჯდომარე იყო და თანაც კარგი თავმჯდომარე. ჰოდა, წინადადება გვაქვს, ისევ თავმჯდომარეად დარჩეს! – აღმასკომის თავმჯდომარის სიტყვებს დამაჯერებლობა და ცეცხლი აკლდა.

– ტიტიკო ჩვენი თავმჯდომარე ველარ იქნება, თუ ჩვენთან ლაპარაკი გინდათ, ჩამოვიდეს დაბლა! დაბლა ჩამოვიდეს კი არა – სულ დაიკარგოს აქედან! – ღრიალებდა ხალხი.

აღმასკომის თავმჯდომარე მიხვდა, რომ საქმე სერიოზულად იყო, ხალხს მოთმინების ფიალა ავსებული ჰქონდა და ახლა აღარ იყო ძალა, რომელიც მას ტიტიკოს კანდიდატურას თავზე მოახვევდა; ტარიელ ძმანაშვილს გადაულაპარაკა:

– გარეთ გადი, ამბაკო სიმონიჩს გადაურეკე, რა ვქნათ, ტიტიკოზე ხალხი წინააღმდეგია-თქო, – ტარიელი გარეთ გავიდა. დარბაზში ფუტკრის სკასავით ბზუოდა. რამდენიმე წუთის შემდეგ ტარიელი შემობრუნდა.

– მიტრო ქიტუაშვილი აირჩიეთო! – მოიტანა ამბაკოს დავალება.

აღმასკომის თავმჯდომარე ფეხზე ადგა, ხელით ანიშნა, გაჩუმდით, ხალხი ნელ-ნელა დაწყნარდა.

– რადგან ასე გინდათ, ტიტიკოს კანდიდატურა მოხსნილია, თავმჯდომარე აღარ იქნება!

– ვაშაა!!! – დარბაზმა ერთხმად იქუხა. ტაშის ცემა და ერთმანეთის მილოცვა დიდხანს გაგრძელდა. ბოლოს, როგორც იყო იმ დონეზე დაწყნარდნენ, რომ აღმასკომის თავმჯდომარემ ლაპარაკის გაგრძელება შეძლო: – თავმჯდომარის კანდიდატურად მინდა წარმოგიდგინოთ თქვენი სოფლის მკვიდრი, კარგი ახალგაზრდა კაცი, უმაღლესი განათლებით, ამჟამად რაიკომის ინსტრუქტორი, დიმიტრი ქიტუაშვილი, – ხელით აჩვენა მიტროს. ადექიო, ისიც ფეხზე ადგა.

ტიტიკოს მოშორებით აღთროვანებულ ხალხს თითქოს ცივი წყალი გადაასხესო. უცებ გაკვირვების შეძახილი აღმოხდა და მაშინვე სამარისებური სიჩუმე გამეფდა.

– ამაზე ხომ თანახმა ხართ! – გამარჯვებული ტონით იკითხა აღმასკომის თავმჯდომარემ.

სიჩუმე უცებ ვიღაცის ხმამ დაარღვია: – უმაღლესი როდისღა დაამთავრა, თავის დღენი სულ დოლს უკრავდა.

– ეგ მეწისქვილე პეტოს სიძეა? – იკითხა ვიღაცამ.

– აგვშენებია ოჯახი, ისევ ტიტიკო არ გვერჩივნა?! – შეწუხებულმა წამოიძახა ვიღაცამ.

ხალხი თავიდან ახმაურდა.

– დოლი რა უყო, დოლი!

– მაიყვანოს მეღუღუკე კოლა, ტარასა „შენ დაუკარ“, კოლას ბიჭი, მაგათ დაუკრან, ჩვენ ვიცეკვებთ, მაინც საჯამბაზო წუთისოფელი გვაქვს და ეგ არის! – დარბაზი ხმაურობდა.

აღმასკომის თავმჯდომარემ სიჩუმე მოითხოვა.

– რაღა გინდათ, ამხანაგებო! თუ ვინმეს რაიმეს თქმა უნდა, გამოვიდეს, ვინ გიშლით! – თქვა და დარბაზს დააკვირდა, – აზრის გამოთქმას ვინ აპირებს? – იკითხა.

შავი ალექსა ფეხზე ადგა და ადგილიდან დაიწყო:

– შვილოსა, თუ ის გეწყინათ, რომ ტიტიკოზე უარი ვთქვით, გვითხარით, ნუ გერიდებათ, თუ არადა, რა მასხრად გვიგდებთ! ე, ბიჭი რაც მაიხვეტება, ჩვენზე კარგად იცით? ხალხო, ჩვენს თვალწინ არ გაიზარდა? თავისი დღენი ხელი ფულისთვის ჰქონდა გამოწვდილი, მაგან ხალხს როგორ უნდა უხელმძღვანელოს?! წაიყვანეთ და თუ კარგი მუშაა, როგორც თქვენ ამბობთ, ღმერთმა სიკეთეში მოგახმაროთ. ჩვენ ნამდვილი ადამიანური ადამიანი მოგვეცით თავმჯ-

დომარედ; როდის ყოფილა გველიხე ბარის ტარად გამომდგარიყოს! – შავი ალექსა დაჯდა.

– მაგან ერთ ბრიგადას ვერ მოუარა! მევენახე ქალები აწიწინდნენ, – მთელი ჩვენი ნაშრომი გაყიდა. ახლა გინდათ, რაც ტიტიკოს გადაურჩა, მაგან გადაყლაპოს?! – მევენახეებს მთელი დარბაზი აჰყვა.

მიტრო ფეხზე იდგა და ფეხებს უხერხულად იცვლიდა.

– მიტრო მედოლე! – უკანა რიგებიდან დაიძახეს, – რამდენი გინდა მოგცეთ, რომ თავი დაგვანებო. წადი, შენ სხვაგან დაუკარ მწვანე ლობიო, ჩვენ კირკაჟი შეგვარგე! – დარბაზი ახარხარდა.

– ნეტა იგეთი რა ასწავლეს, უცბად თავმჯდომარედ რომ გამოაცხეს?! – ყვიროდა ვიღაცა.

– მიტრო, დაანებე თავმჯდომარეობას თავით, მედუდუკე კოლას ბიჭი და შენ წამოდით, შაბაშით აგავსებენ! – ვიღაც ახალგაზრდა ყვიროდა.

– მოდი, მიტრო, შენ დაუკარ, რა გასართობი კოლექტივი გვექნება! – უკანა რიგებში ახალგაზრდებმა სკამზე დოლი შემოჰკრეს.

– აფსუს, ბიჭო, ტიტიკო რა სანატრელი გაგვიხდეს! – ვიღაცამ ხმამაღლა მოიჩივლა.

– რა დანიშნეს და ეგ არი? მუშაობა აღარ გვინდა, მაგისი პატრონიც! – დანარჩენებიც აჰყვნენ.

– დაწყნარდით! დაწყნარდით! – ხმის ჩახლეჩამდე ყვიროდა აღმასკომის თავმჯდომარე.

ხმაურმა ცოტა იკლო.

– კარგი, მაშინ თქვენ თქვით, თავმჯდომარედ ვინ გინდათ! – გაისმა აღმასკომის თავმჯდომარის ხმა.

ხალხი უცებ ჩაწყნარდა, ამას კი არ მოელოდა, რომ არჩევანი მათ მოუწევდათ; ერთმანეთს გადახედეს, ვინ შეიძლება იყოს თავმჯდომარე?

– კარგი, ჩვენი წამოყენებული კანდიდატურა არ გინდათ, მაშინ თქვენ თქვით, თავმჯდომარედ ვინ გამოდგება, – აღმასკომის თავმჯდომარემ გაიმეორა.

დარბაზში ბუზის გაფრენის ხმას გაიგონებდით. ვინ დაესახელებინათ, ვინ შეიძლება ყოფილიყო ისეთი, რომ ნდობა გამოეცხადებინათ და არ შერცხვენილიყვნენ.

ხალხი დუმდა. ხმის ამოღებას ვერავინ ბედავდა.

– ეგრეა, სათავმჯდომარეო კაცის შერჩევა იოლი ხომ არ გეგონათ! – ნიშნის მოგებით წამოიძახა ტარიელმა.

ამ დროს შუა დარბაზში დათა პაპა ფეხზე ადგა.

– რამან! – მიმართა აღმასკომის თავმჯდომარეს, – დიდი ხანია მიცნობ და კარგად იცი, შრომაში და კაცის გატანაში ღალატი არ მჩვევია. თუ ჩემზე რაიმე არაკაცური გაგიგიათ, მითხარით, დავჯდები და ხმას არ ამოვიღებ! – დათა პაპა ხალხს მიუტრიალდა.

– მართალი კაცი ხარ, დათა პაპა! – დაიგუგუნა ხალხმა.

– მე ბევრი ლაპარაკი არ მყვარებია, ახლაც გული მტკივა და იმიტომ მოვითხოვ სიტყვის თქმას, ეს ჩემი საბოლოო სიტყვა იქნება. ხალხო, თუ კოლექტივისათვის კარგი გინდათ, ზაქრო ხუცურაულისთანა ძნელად მაიძებნება, გაუშვან ეგ ბიჭი თავმჯდომარედ და სუყველას გვეშველება! – დათა პაპა დაჯდა.

თითქოს დიდი ხნით დაგუბებულ წყალს გზა მიეცაო, ხალხმა უცებ, ერთხმად დაიგუგუნა: – ზაქრო, ზაქრო ზოოტექნიკოსი გვინდა თავმჯდომარედ!

მორჩა, წყალმა კალაპოტი იპოვა. ახლა მისი სხვა მიმართულებით გადაგდება ძალზე ძნელი იყო, თითქმის შეუძლებელი.

– მოგვეცით ზაქრო ხუცურაული და მუშაობა მოგვთხოვეთ! – ითხოვდა ყველა.

– ისე, ნამდვილად კარგი კანდიდატურაა! – რამანამ ტარიელს გადაულაპარაკა.

– ზოგი ამბაკო სიმონიჩსაც ჰკითხე, თავზე კაკალს დაგვამტვრევს.

– მაშინ ჩამოვიდეს და მიტრო თავმჯდომარედ თვითონ აარჩევინოს, მე ხალხს მილიციით ვერ შევაშინებ! – გადაწყვეტით თქვა რამანამ.

– მაშ რა ვქნათ?

– ამბაკო სიმონიჩს მოვახსენოთ, მანამდე კრება სახვალიოდ გადავდოთ, – რამანა ფეხზე ადგა.

–სად არის ზაქრო ხუცურაული? – იკითხა.

ყველამ აქეთ-იქით დაიწყო ყურება, ზაქროს ეძებდნენ.

– აქ აღარ მუშაობს! – ვიღაცამ დაიძახა.

– თუშურ ცხვარშია! – დააზუსტეს მისი მისამართი.

– კარგი, მაშინ ზაქრო მოვძებნოთ და კრება ხვალისათვის გადავდოთ! – რამანამ კრება დახურულად გამოაცხადა.

– ვაშა!!! ზაქრო გვეყოლება თავმჯდომარედ! – გახარებულები ერთმანეთს ულოცავდნენ...

ამბაკოს რისხვას საზღვარი აღარ ჰქონდა აღმასკომის თავმჯდომარემ, რამან მაისაშვილმა და ტარიელ ძმანაშვილმა, როცა რაც მოხდა დაწვრილებით მოახსენეს.

– ტიტიკოს ხალხისთვის თავი ისე შეუძულებია, მისი სახელის ხსენება არ უნდათ. რაც შეეხება მიტრო ქიტაუშვილს, ეტყობა, სოფელში ძალიან შელახული აქვს ავტორიტეტი; მისი თავმჯდომარედ დასახელება ხალხმა პირველად ხუმრობად მიიღო. საჭიროა ღირსეული კანდიდატურა შეირჩეს და კრების წინაშე ისე წარვდგეთ, თორე უხერხულია; კრება უკვე მეორედ ჩაიშალა, – რამანამ თავისი აზრი გამოთქვა.

– მერე, ვინ გითხრათ, კრება ჩაშალეთო. თქვენ რომ უხერხემლოები ხართ, ვისი ბრალია; კანდიდატურა იქ გყავდათ და აგერჩიათ! მაგრამ უშნოები ხართ. ვინ იცის, იქნებ, აქ ზოგიერთს კრების ჩაშლა კიდევაც გაწყობდათ. მე ვატყობ, ზოგ-ზოგი ვიღაც-ვიღაცეების გავლენის ქვეშ მოხვდნენ! – ეს გადაკრულად ნათქვამი აშკარად რამანას ეხებოდა, – მაინც რა გვინდაო, ვის თხოულობენ თავმჯდომარედ? – გამომწვევად იკითხა.

– ზაქრო ზოოტექნიკოსი გვინდაო, ყველა როგორც ერთი, ისე ითხოვს; სხვა არავის კანდიდატურა არ უნდათ, – მოახსენა ტარიელმა.

– მაგრად უმუშავიათ, მთელი ხალხი გადაუბირებიათ. მაშ, ვერ მიხვდით, რომ ეს ამბავი თვითონ ზაქროს მოწყობილი იყო, მაგრამ თქვენი რა იმედი უნდა ჰქონდეს კაცს; ეშმაკმა იცის, რას ამბობთ, გულში კი რა გაქვთ! – ამბაკომ წონასწორობა დაკარგა.

– კარგი იყო, თვითონ წამოსულიყავ და გენახა, რომ ხალხი არავის გაუქეზებია და არც არავინ ჰყოლიათ წინასწარ თავმჯდომარედ მომზადებული. უბრალოდ ტიტიკოს საქციელმა ხალხი ისე ააღელვა, რომ მისი დანახვა აღარ უნდათ. ამ ქიტუაშვილის სიმამრიც საშინლად სძულთ, ტიტიკოს მეგობარი ყოფილა; რომ გაუჭირდათ, თავიანთ რიგებიდან ყველაზე უკეთესი შეარჩიეს, ეს

იყო და ეს, – განმარტა საქმის ვითარება რამანამ.

– ვინ არის ყველაზე უკეთესი?!

– ზაქრო. მისი თაოსნობით ბევრი კარგი საქმე გაკეთდა და ხალხი უფასებს დამსახურებას, – რამანამ ზაქრო დაახასიათა.

– მაგას, ალბათ, შენი მოადგილე მოგიყვებოდა.

– არა, იმ კოლმეურნეობის ვეტექიმმა მომიყვა. ძალიან საინტერესოა რაც იქ ხდება. მაგრამ რა, ზაქროს განთავისუფლებისთანავე ვეტექიმსაც დაუწერია განცხადება და განთავისუფლებულა. მაგრამ სანამ ახალ ვეტექიმს იშოვიან, მაინც ყურადღებას არ აკლებს კოლმეურნეობის პირუტყვს. ჩემი აზრია, უფრო ღრმად ჩავწვდეთ ამ საკითხს, – რამანამ ზომაზე მეტის უფლება მისცა თავის თავს.

– მაინც ვინ გყავს მხედველობაში ყურადღებით რომ ეკიდებიან საქმეს?! – ამბაკომ დამცინავად იკითხა.

– თვითონ ვეტექიმი, ზაქრო, მეცხვარეობის ფერმის გამგე.

– არ დაიჯერო, ეგენი ყველა ინტრიგანები და მაიმუნები არიან! – ამბაკომ დაასკვნა, – შენ კი იმის ნაცვლად, რომ ის გაუთლელი ბიჭი მოგერჯულებინა, თვითონ გადაგიყვანა თავის ჭკუაზე; ეს ყველაფერი შენი მოადგილის მოწყობილია!

– მე საკმარისად მაქვს ცოდნაც და გამოცდილებაც, რომ ავი, ბოროტი და კეთილი ერთმანეთში გავარჩიო. ჩემი მოადგილე ნამდვილად არ იმსახურებს, რაც ახლა თქვი. ისე კი, ურიგო არ იქნებოდა პირადად დაინტერესებულიყავ იმ კოლმეურნეობაში შექმნილი მდგომარეობით, მაშინ სწორ დასკვნებს გააკეთებდი; ახლა კი, პირიქით, ვიღაცის არასწორ ინფორმაციის გავლენის ქვეშ ხარ! – რამანას ამგვარი პასუხი თავის გაწირვას უდრიდა.

– შენი საქციელი არ მომწონს, რამან! ცოტა დაუფიქრდი, რას ამბობ, ნუ გავიწყდება, რომ აღმასკომის თავმჯდომარეობა შთამომავლობით არ გერგო! – ამბაკო პირდაპირ მუქარაზე გადავიდა.

– ჩვენში შთამომავლობით თანამდებობა არავის რომ არ ერგო, მგონი ეს შენთვისაც ცნობილია. რაც შეეხება იმას, რომ თანამდებობის დაკარგვის შიშით მე მხარი ტიტიკოს და მის მსგავსებს დავუჭირო, არ მოხდება; მე ისედაც ჩემი სინდისის წინაშე ბევრი ცოდვა მიმიძღვის! სიმართლის პირში თქმა კი ყველასათვის კარგი სამკურნალო საშუალებაა, როცა კაცი მოჩვენებით კეთილდღეობის ბურანში გაეხვევა; ეს მეც მეხება, შენც და სხვასაც! – რამანამ ამ პასუხით შვება იგრძნო.

– შენთან ლაპარაკი აღარ ღირს, მე მოგივლი! – ამბაკომ მაგიდას დაარტყა ხელი.

– ნება შენია!

– იმ კრებაზე შენი გაგზავნა დიდი შეცდომა იყო, მისი ჩაშლაც შენს კისერზე წევს! – ამბაკომ რამანას გამომწვევად შეხედა.

– კრების ჩაშლა იმის კისერზე წევს, ვინც უავტორიტეტო, უვარგის, უსაქმურ კაცს ხალხს თავმჯდომარედ აჩეჩებს და ყურს არ უგდებს საღი აზრის ხმას!

– მე შენთან საუბარი დავამთავრე, აღარც მაქვს სურვილი ამ საკითხზე კიდევ გელაპარაკო!

– ზუსტად ასე ვარ მეც!

– კარგი, კარგი სხვა დონეზე გელაპარაკები! – დაიმუქრა ამბაკო.

– ვიცი, შენი მფარველი, ედუარდ ამბროსევიჩი ყოველგვარ დასმენას შეგისრულებს! – რამანა ადგა და ამბაკოს კაბინეტიდან გავიდა.

– უყურე შენ, როგორ გათავხედდა! მალე გამოგიყვან წირვას! – ამბაკო

ბრაზობდა, ტარიელი თავჩაღუნული იჯდა.

ამბაკომ სასწრაფოდ გამოიძახა მეორე მდივანი, მილიციის უფროსი, პროკურორი, დანარჩენი ბიუროს წევრები და პრინციპული დავალება მისცა: – სოფელში დღესვე ჩახვალთ, კრებას სახვალიოთ ორგანიზაციას გაუკეთებთ, თავმჯდომარედ მიტრო ქიტუაშვილს აირჩევთ! ის ზაქრო ხუცურაული მოძებნეთ, კრებაზე მოვიდეს და ხალხს განუცხადოს რომ თავმჯდომარეობას ვერ შეძლებს, მოკლედ, უარი თქვას! მილიციელები წაიყვანეთ და ბუნტისთავები იქვე დააპატიმრეთ! ყველაფერი ამას უხელმძღვანელებს სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი ტარიელ ძმანაშვილი!...

ხალხი თავმჯდომარის ასარჩევად მესამედ შეიკრიბა. ახლა პრეზიდიუმში სულ რაიონიდან ჩამოსულები ისხდნენ. დარბაზი ისევ ხალხით გაჭედილი იყო, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ შესასვლელში და კუთხეებში მილიციელები იდგნენ. ზაქრო მოეყვანათ და პრეზიდიუმში დაესვათ, მიტრო ქიუაშვილიც იქ იყო.

– ჩვენი ზაქრო მოუყვანიათ! – ვიღაცამ დაიძახა.

– ამხანაგებო, დღეს ჩვენ შევიკრიბეთ, რომ კოლმეურნეობის თავმჯდომარე ავირჩიოთ, გავარკვიოთ საკითხი, თავმჯდომარედ ვინ იყოს.

– გასარკვევი რაღაა, კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ზაქრო უნდა იყოს, ზაქრო! – დაიგრიალა ხალხმა.

ტარიელმა ხალხს ხელით აჩვენა, გაჩუმდითო. ხმაური ნელ-ნელა შეწყდა.

– აგერ, აქ არის ზაქრო ხუცურაული, თვითონ გვითხრას, თავმჯდომარეობას შეძლებს თუ არა, – ტარიელმა ზაქროს აჩვენა, ადექიო.

ზაქრო წინ წამოდგა. მისი სიტყვის მოლოდინში ხალხი გაჩუმდა.

– მე თავმჯდომარეობა არ მინდა, ვისაც უნდა, ის იყოს თავმჯდომარე, მე თავი დამანებეთ! – თქვა ზაქრომ და ხალხს რაღაც ზმუილისმაგვარი აღმოხდა:

– თქვი, რომ თავმჯდომარეობას ვერ შეძლებ, რომ სამაგისო არც ცოდნა და არც გამოცდილება არა გაქვს, – უკარნახა ტარიელმა.

– თქვენ რაც გინდა ის თქვით, მე თავი დამანებეთ, რაც სათქმელი იყო გასაგებად ვთქვი! – ზაქრომ ხელი ჩაიქნია, ჩავიდა ტრიბუნიდან და დარბაზი დატოვა.

– ბარემ გიჟის მოწმობა უშოვნეთ! – დარბაზიდან დაიძახეს. – თქვე მამაცხონებულებო, თუ მაგას ცოდნა და გამოცდილება არა აქვს, მა თქვენ გაქვთ?! ტარიელა რაიონის სოფლის მეურნეობას უძღვება და ზაქრო სოფელს ვერ მოუვლის?! შააშინეს! შააშინეს! – აღრიალდა ხალხი.

ტარიელი ადგა, სიჩუმე მოითხოვა.

– ჩვენთვის ცნობილია, რომ ზოგიერთი კრების ნორმალურად წარმართვას ხელს უშლის, ამიტომ, შეიძლება იმათ სხვა ტონზე ველაპარაკოთ! – ხელი მილიციელებისკენ გაიშვირა, – თქვენ აქ გვყავს თქვენი სოფლის შვილი, კარგი ახალგაზრდა კაცი, დიმიტრი ქიტუაშვილი.

– იგრე იხაროს შენმა ცოლ-შვილმა, რამდენი ეგ კარგი იყოს! – დაიძახეს დარბაზიდან.

– ვინ თქვა, ფეხზე ადგეს! ახლავე ვაჩვენებთ სეირს! – ტარიელი დაიმუქრა.

– მთელი სოფელი ამბობს! გვაჩვენე ერთი, რა გაქვს საჩვენებელი! – რამდენიმემ ერთად დაიძახა.

მილიციელები გასავლელში ამოძრავდნენ, თან ხალხს აჩუმებდნენ.

– დიმიტრი ქიტუაშვილი იქნება თქვენი თავმჯდომარე! – გამოაცხადა ტარიელმა.

– თქვენი იყოს, სიკეთეში მაიხმარეთ! ჩვენი თავმჯდომარე ვინც უნდა იყოს, უკვე ვთქვით! – ღრიალებდა დარბაზი.

– ამხანაგი ქიტუაშვილი ნიჭიერი, განათლებული და პატიოსანი მუშაკია, დიდი ავტორიტეტი აქვს, კარგი მუშაკია; რაიონში საჭირო იყო, მაგრამ გავიმეტეთ იმიტომ, რომ ამ სოფელს ყურადღება მიაქციოს, ცოდნა და გამოცდილება თავის სოფელს მოახმაროს!

– ნუ გაიმეტებთ! თქვენთვის დაიტოვეთ! მაგის ცოდნა და გამოცდილებაც თქვენ მაიხმარეთ, ჩვენ ყურადღების მომქცევიც გვყავს და კაი მცოდნე კაციც! – იძახდა ხალხი.

ტარიელს სიტყვის გაგრძელება უნდოდა, მაგრამ ისე ხმაურობდნენ, რომ მისი ხმა არ ისმოდა. მილიციელებმა უკანა რიგებში ორი ახალგაზრდა გაკოჭეს და გარეთ გაათრიეს.

– მოკლედ, თავმჯდომარედ ქიტუაშვილი გეყოლებათ! წარმატებას გისურვებთ! – ტარიელმა გადაწყვეტით თქვა და მიტრო თავმჯდომარედ არჩეულად ჩათვალა.

– ეგ ქიტუაშვილი თქვენთვის მაიხმარეთ! რო ჩამოხვედით და ეგ უნდილი ბიჭი ჩამოიყვანეთ, ჩვენზე კარგად იცნობთ? თუ კოლექტივის სიკეთე გინდათ, შვილოსა, ის კაცი მოგვეცით თავმჯდომარედ, თუ მაინც და მაინც ეგ გინდათ, კარგა ბლომად ჩანხართ, ეგე კოლექტივი და ეგე თქვენ, დაღექით და იმუშავეთ, თავმჯდომარედ გინდა ქიტუაშვილი დაიყენეთ და გინდა ამბაკო, ჩვენ აღარ ვიმუშავებთ! – შუა დარბაზში ადგა რამდენიმე მევენახე, ეს თქვეს და კარებისკენ გაემართნენ, ხალხი წამოიშალა და მათ მიჰყვა.

– ნუ გგონიათ, რომ ქვეყანა ჩალით არის დახურული, ხვალ მთელი სოფელი მთავრობაში წავალთ და თქვენს კაი კაცობას იქ მოვახსენებთ! – ღრიალებდნენ.

– მოიცათ, ამხანაგებო! სათქმელი კიდევ დაგვრჩა! – ტარიელი უყვიროდა.

– თქვენთან სათქმელი აღარაფერი ვგაქვს, მთავრობაში მოვილაპარაკოთ; ისინი რომ ჩამოვლენ, თქვენს კაი კაცობას იქ წამოვალაგებთ! – ისმოდა ხალხიდან.

ტარიელმა მის გვერდით მსხდომთ შეშინებული მზერა მოავლო...

საღამოთი ამბაკოსთან ტარიელი და კრების სხვა მონაწილენი მომხდარ ამბავზე შეშფოთებული ყვებოდნენ.

– მართალია ქიტუაშვილი თავმჯდომარედ გამოვაცხადეთ, მაგრამ ხალხი წინააღმდეგ ერთხმად წავიდა, მთავრობაში ჩივილით დაგვემუქრნენ. ასე თქვეს, სუყველა წავალთო.

– მერე, რატომ ვერ დააწყნარეთ! – ამბაკომ საყვედურით თქვა.

– ყური არ დაგვიგდეს, ერთხმად აღგნენ და დარბაზი დატოვეს; ხვალ მაგათი დედაქალაქში წასვლა გამორიცხული არ არის, – ტარიელმა შიშნარევი ხმით თქვა.

ზევით, მთავრობაში თუ ცეკაში კარგად იცოდნენ, რა ძალადობას და სიყალბეს თესდნენ. ადგილებზე ყველაფრის ავტორები და შემომქმედნი თვითონ იყვნენ, მაგრამ რაიონის ხელმძღვანელობას ზევით ჩივილს არ უწონებდნენ. აქამდე ნუ მოუშვებთ, ადგილზე მოუარეთ, ამისათვის ყველა უფლებას გაძლევთო. ეს კარგად იცოდა ამბაკომ და ამიტომც მაშინვე შეატრიალა თავისი პოზიცია. შეიძლება მომჩივარნი გამოეყარნათ, მაგრამ თუ სჭირდებოდათ, ამბაკოს წინააღმდეგ გამოიყენებდნენ.

– მაგის დაშვება არაფრით არ შეიძლება! მოკლედ, ეტყობა ტიტიკო მართლა უვარგისი თავმჯდომარე იყო, ჩვენ ვერ გავუგეთ! – დაასკვნა.

– უვარგისი და უქნარა იყო! – ტარიელმა დაუმატა.

– მერე, თავის დროზე გეთქვა, სულ მის ქებაში რომ იყავ, აქამდე ხომ აღარ მივიღოდით! სულ შენი ბრალია, შენი! საქმის კურსში არა ხარ, რა ხდება რაიონის სოფლის მეურნეობაში! – ამბაკომ მკაცრად დაუქნია თითი, – იცოდე, ეს ყველაფერი მოგეკითხება როგორც წესი და რიგია! თავმჯდომარე გეგმებს დარღვევებით ასრულებს, ჩვენ გვგონია, რომ პატიოსანი მუშაკია, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი კი ყოველივე ამას ხედავს და ხმას არ იღებს. რამდენი ვკითხე, სულ ტიტიკოს ქებაში იყო; თვალს გვიხვევდა, ვინ გაპატიებს, ამხანაგო ამას! – ისევ შეუტია ტარიელს, რომელსაც უამისოდაც მკვდრისუფერი ედო.

– ჩავლენ ცეკაში საჩივლელად და პირველ რიგში სამმართველოს უფროსი მიჰყვება ამ საქმეს. წავიდა, კრება დარღვევით ჩაატარა, დემოკრატიულობის პრინციპი შელახა. მილიციას კრებაზე რა უნდოდა. შენ გეკითხები?! – ტარიელს თავზე დაადგა, – თუ უმრავლესობა თანახმა არ იყო, როგორ შეიძლებოდა თავმჯდომარის არჩევა?! ან ზაქრო ხუცურაულმა თავმჯდომარეობაზე უარი რატომ თქვა, ამდენი იყავით, ნუთუ ვერ უნდა მოგეხერხებინათ მისი დაყოლიება? ამ საკითხს სპეციალურად შევისწავლით და სანამ ცეკადან ჩამოვლენ, ზომებს ჩვენ გავატარებთ! დოყლაპიებო! ხალხი ღირსეულ კაცს თავმჯდომარეთ თვითონ ირჩევს, ის უარს ამბობს, ვერ შევძლებო, იმის მაგიერ, რომ დაარწმუნონ და მხარი დაუჭირონ, იოლი გამოსავალი ნახეს, რაიკომის ინსტრუქტორი მიაჩეჩეს, ჩაშალეს კრება და პატიოსანი მშრომელი ხალხი გაანაწყენეს! ამას ვინ გაპატიებთ, ვინ?! – ამბაკომ მაგიდაზე მუშტი დაარტყა.

სუყველა გაქვავებული იჯდა.

– სასწრაფოდ მოძებნეთ ზაქრო ხუცურაული, დაარწმუნეთ, რომ ის თავმჯდომარეობას შეძლებს და ხვალვე ხალხს წარუდგინეთ! – ბრძანა.

– ჩვენ აღარ დაგვიჯერებს, ძალიან ჯიუტია, მისი უკან მობრუნება გაძნელდება, – თქვა მეორე მდივანმა.

– მოძებნეთ, აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე მათე ბაღაშვილი, ჭკვიანი ბიჭია, შეძლებს რომ დაიყოლიოს, დღესვე ნახოს ზაქრო, ხვალ კრების ორგანიზებულად ჩატარებისათვის ღონისძიება გაატაროს და ზაქრო ხუცურაული წარუდგინოს ხალხს. თქვენ იქ საჭირო აღარავინ არა ხართ, ის თვითონ მიხედავს საქმეს! დოყლაპიებო! – ამბაკომ ხელი დაარტყა მაგიდას.

კრების მონაწილეები კაბინეტიდან ნაცემებივით გამოვიდნენ...

მეორე დღეს კი მათემ ხალხის ტაშის გრიალში ზაქროს თავმჯდომარეობა პირველმა მიულოცა.

## სამსახური საქმისთვის, პოსტი კუდისთვის

**ის** იყო მათემ ტელეფონზე საუბარი დაამთავრა და მაგიდაზე დაწყობილ ქაღალდებს მიუბრუნდა, რომ კაბინეტის კარები გაიღო და ომარმა შეიხედა.

– შეიძლება? – მორიდებით იკითხა.

მათე წამოდგა.

– ომარს გაუმარჯოს! – მივიდა, ხელი ჩამოართვა, სკამი შესთავაზა და თვითონაც გვერდით მიუჯდა.

– როგორა ხარ, ომარ? როგორ გაატარე ეს დღეები? ახალი ხომ არაფერია? – კითხვები დააყარა.

– თითქმის ახალია, მე და მარინე ოფიციალურად შევუღლდით. შაბათს პა-

ტარა შინაურული პურმარილი გვექნება, დასაპატიჟებლად მოვედი... – ომარი შეყოყმანდა.

– ძალიან დიდი მადლობა, ოღონდ ერთი კარგი მეგობარი მინდა გაგაცნო, თუ წინააღმდეგი არ იქნები, იმასაც წამოვიყვან; შენ კარგად გიცნობს, – მათე ტელეფონთან მივიდა.

– კოტე, იცი ჩემთან ვინ არის? ომარი კიკილაშვილი, მე რომ მოგიყევი, აბა, თუ იცნობ, ჩვენ ძლივს მოვახერხეთ ერთმანეთის ცნობა... ახლავე მოხვალ?...ჰო, ჯერ ჩემთან არის. შუადღისას დავპატიჟოთ. მათემ ყურმილი დადო.

– მათე, მე დიდხანს ვერ გავჩერდები, მოსაგვარებელი საქმეები მაქვს, – ომარი წამოდგა.

მეთემ მხარზე ხელი დაადო.

– მოიცა, შე კაი კაცო, ჯერ ხომ არ შემოსულხარ. სამსახურზე რა გადაწყვიტე?

– ეგერად თუ მოხერხდებოდა ჩემი მუშაობა, კმაყოფილი ვიქნებოდი, ჩემს ცხოვრებას უკეთ დავაკვირდებოდი, მომავალზეც ვიფიქრებდი, – მორიდებით თქვა ომარმა.

– აბა, რა საქმეები გაქვს მოსაგვარებელი, ომარ, იქნება ჩვენც გამოგადგეთ რამეში?

– არაფერი, ისე ვთქვი, შენი დიდხანს შეწუხება არ მინდოდა.

– ომარ, ასე ნუ მერიდები, თორე  ვიფიქრებ, რომ შენთან მეგობრობის ღირსად არ მთვლი! – უთხრა მათემ.

ომარს გაეცინა.

– ნუ დამძრახავ, მათე, ხომ იცი, მე ისეთი მკაცრი ცხოვრების გამოცდა მივიღე, შენი მსგავსები ბევრი არ შემხვედრია, მივეჩვევი, მთლად არ წავმხდარვარ, – ომარმა თავი იმართლა.

– არა უშავს, წამხდარხარ კი არა, მაგ დიდი ცხოვრებისეული გაკვეთილით ყველას გვჯობიხარ, – მათემ გაამხნევა.

კაბინეტში ხმაურით კოტე შემოვიდა, ხელები გაშალა. – ომარს გაუმარჯოს! – დაიძახა და დიდი ხნის უნახავი ძმასავით მკერდში ჩაიკრა.

დაბნეული ომარი უხერხულობას არ იტყობდა, კოტეს თვითონაც გადაეხვია. კოტემ ხელები გაშალა.

– აბა დამაკვირდი, ომარ, ვინა ვარ, თუ მიცნობ?

ომარმა გაიღიმა და დაჯერებულმა უთხრა:

– კოტე ხარ, როგორ ვერ გიცანი!

– შენ თუ იცან, – მათემ სიცილით უთხრა კოტეს.

– თუ ვერ ვიცან, მაშ, რატომ შენ არ გადაგეხვიე?!

– შენი ბედი, რომ ოთახში სამნი არ ვიყავით, თორემ იმ მესამეს არ ასცდებოდა შენი პირველი სალამი, – ყველამ გაიცინა.

– ომარი მართლა მახსოვს, თავიანთ გუნდში ყველაზე უკეთესად თამაშობდა, თანაც უთქმელი და მორიდებული იყო. შენ თუ გახსოვარ, ომარ?

– ნამდვილად მახსოვხარ, სახელი კი დამავიწყდა. მაშინ ყველაზე ბევრს შენ ჭიჭყინებდი! – მიანიშნა ომარმა.

– აი, რით ამახსოვრდები ხალხს, ყველაზე მეტს ჭიჭყინებდიო. რა გინდა, იჭიჭყინე, არსად არ დაიკარგები, – გაამხნევა მათემ.

– ყველა ჭეშმარიტების დასაბამი ჭიჭყინია. ყოველგვარი შეურიგებლობა წვრილმან დარღვევებთანაც კი საზოგადოებას აჯანსაღებს. თავის ქნევა, მლიქვნელობა და მაამებლობა კი ხრწნის და აკნინებს მას! მაშ მე ვყოფილვარ საზო-

გადოების გამაჯანსაღებელი, – თქვა და ომარის გვერდით დაჯდა.

კაბინეტში მონადირეთა კავშირის თავმჯდომარე შევიდა. ორმოცდაათ წელს მიღწეული, ჩაფსკვნილი ვაჟკაცი, დათიკო ნატროშვილი.

– ნატვრასავით გამოცხადდი, – უთხრა მათემ, – ეგერის კანდიდატურაზე რომ გესაუბრებოდი, აქ არის.

– რომელია ჩემი მრევლი? – იკითხა და ბიჭებს მიუბრუნდა.

– აგერ, ომარი კიკილაშვილი, ეგერობის საუკეთესო კანდიდატურა. აგერ მე, კოტე ფირაშვილი ხელმოცარული ბრაკონიერის კანდიდატურა, – ორივეს თავი წარუდგინა კოტემ.

– უთოფო ბრაკონიერი არ გამიგია მე, – დათიკომ გაიცინა და ყველას ჩამოართვა ხელი.

– ერთი იაფფასიანი თოფი მომყიდეთ, არ გინდათ, თქვენს საზოგადოებას ერთი ნამდვილი ფლორის და ფაუნის გულშემატკივარი შეემატოს?! – თქვა კოტემ.

– ფლორასა და ფაუნას თოფიანი გულშემატკივარი რად უნდა?! – გაიკვირვა დათიკომ.

– მაშ თქვენ რადა გაქვთ?

– იმიტომ, რომ ბრაკონიერებს ვებრძოლოთ, ზოგჯერ კი მავნე მხეცები შევაცალოთ, როგორიცაა ტურა, მელა, მგელი და სხვა, – დათიკომ მათი თოფების დანიშნულება გააცნო.

– მეც მაგას გეუბნებით, მომეცით თოფი, რომ ბრაკონიერებს ვებრძოლო, ზოგჯერ კი ისეთი გემრიელი ხორცის მატარებელი ფრინველი შევაცალო, როგორიცაა ხოხობი, კაკაბი, იხვი და სხვა, – კოტემ თქვა თავისი სათქმელი.

– ფრთხილად, კოტე, შენზე დენთის და საფანტის გაყიდვა არ ავკრძალოთ! – დათიკომ თითის დაქნევით გააფრთხილა.

– მათე, სხვა საქმეზე შემოვიარე, მაგრამ რაკი ომარი აქ დამახვედრე, გავიყოლებ ალამანზე, იქ ძალიან გვიჭირს! – დათიკო გასასვლელად მოემზადა.

ომარი ადგა. ცოტა ხანს გაჩერდა, მერე მათეს მოკრძალებით უთხრა: – მათე მინდოდა ქორწილში ჩემი ნათლია ყოფილიყავი.

– შენ გენაცვალე, ომარ, ნათლიად ორივე მოვდივართ! – კოტემ მათეს სიტყვის თქმა აღარ დააცადა და ომარს გადაეხვია.

მათემ მადლიერი ღიმილით დათიკო და ომარი კარებამდე მიაცილა...

რაიკომის მესამე მდივანი, გიორგი საყვარელიძე განსაკუთრებით სძულდა ამბაკოს. გიორგი სწორედ ის მუშაკი იყო სიმართლისა და ადამიანთან სოციალური კეთილდღეობისათვის თავს რომ არ ზოგავდა. სოციალისტური კანონმდებლობის უსაზღვროდ სჯეროდა, მაგრამ ამბაკოს და მისი მფარველი ცეკას პირველი მდივნის ედუარდ შევარდნაძისგან წარყვნილი ცხოვრების მიერ გათავხედებული ძალოვანი სტრუქტურები კანონებს უკანონობის და ძალადობის დასამკვიდრებლად იყენებდნენ. გიორგი მთელი შესაძლებლობით ებრძოდა ზევიდან აგორებულ განუკითხაობის და კანონიერების ნიღბის ქვეშ უკანონობის დამკვიდრების შეუქცევად პროცესს, რაც სოციალიზმის რღვევის, ავტორიტეტის შელახვის და ბოლოს მისი მოსპობის პროგრამით ხორციელდებოდა. ვინც ამ სიმუხთლეს წინ აღუდგა, სპობდნენ, ყოველგვარი უსინდისო ცილისწამების და თავიანთი დანაშაულის მართალ ადამიანებზე სატანური ცინიზმით გადაბრალებით. გიორგი საყვარელიძე ამბაკოს სამარცხვინო მმართველობას სიმართლით და სპეტაკი სინდისით შეეჭიდა, ამიტომ უკვე ორი წელია საშინელი ცილისწამება მოუგონეს და თირკმელებით მძიმედ დაავადებულ გიორგის დაპატიმრებას

უპირებდნენ. დიდი ხნით სავადმყოფოს საწოლზე მიჯაჭვული გულმა იხსნა, რომელმაც ვერ გაუძლო ამხელა სიმუხთლეს და გასკდა. ამბაკომაც შვებით ამოისუნთქა, რამეთუ სიმართლეს და კანონიერებას ქომაგი მოუსპო. მის ადგილზე კუკური მიქელაშვილი დაინიშნა. განყოფილების გამგედ კი, ყველას გასაკვირად, მიტრო ქიტუაშვილი აკურთხა. ეს სამი თვის შემდეგ მოხდა, რაც მიტრო კოლმეურნეობის თავმჯდომარედ არ მიიღეს.

მიტროს მიერ ამბაკოს ქებას და მის წინაშე ქედის მოხრას საზღვარი არ ჰქონდა. რა ესიამოვნებოდა წინასწარ იცოდა და მის ყველა ჩანაფიქრს მოხდენილად ასრულებდა.

– ეს რა განძი ვიშოვეთ, კაცო! – ამბაკო ხშირად ამბობდა.

მიტრო თავის ყოფილ კოლეგებს სისხლს უშრობდა. ინსტრუქტორები მისი შიშით კანკალებდნენ, ეშინოდათ, მიტროს რაიმეზე ამბაკოსთან არ დაესმინა, რაც მიტროს ძირითადი თვისებათაგანი იყო. ქება უყვარდა, ამიტომ ინსტრუქტორები ერთმანეთს ეცილებოდნენ მიტროს ქებაში. ისიც იჯდა და სიამოვნებით ისმენდა მოგონილ თუ შელამაზებულ მის დიდ დამსახურებას. ბიჭები ახლა ველარ უბედავდნენ ამბის გრძლად მოყოლის შეწყვეტას, ისხდნენ და მიტროს ტრაბახით დაოსებულები გაუთავებელ თხრობას მოთმინებით, პირმოთნე ღიმილით და მთქნარებით ისმენდნენ.

მიტროს ზაქროსთან განსაკუთრებული ანგარიში ჰქონდა გასასწორებელი. მარტო ის რად ღირდა, რომ ხალხმა თავმჯდომარედ ზაქრო აირჩია. პირველსავე დღეს მისი სიმამრი წისქვილიდან გამოაგდო. როცა ხვდებოდნენ ერთმანეთს, პეტო სულ კოლმეურნეობის აუგს ელაპარაკებოდა. მიტროც იმუქრებოდა, მოიცადოს, მე მაგას ვაჩვენებო სეირს. პეტოს კი, კვირა არ გავიდოდა, ანონიმური წერილი არ დაეწერა, მოგვხედეთ, ყაჩაღმა და კომბინატორმა ზაქრო ხუცურაულმა დაგვაქციაო; თანამოაზრეებიც იშოვა ნოღა გოგია და მისი მსგავსები. ამბაკო ყველა წერილს დიდი სიამოვნებით კითხულობდა. უყურეთ, კაცო, ეგ ზაქრო ვინ ყოფილა, მთელ კოლექტივს შეჭამს! მაგრამ ჩვენ ამის უფლებას არ მივცემთ! იტყოდა და მერე ამას მოჰყვებოდა კომისიის დაკომპლექტება. მთელი კვირა ჩასხდებოდნენ კოლმეურნეობაში, მუშაობის ყველა სფეროს გაჩხრეკდნენ, ბოლოს კი შედგებოდა ვრცელი მოხსენებითი ბარათი, სადაც მიტროს და ამბაკოს გულის გასახეთქად ეწერა, რომ ანონიმურ წერილში სიცრუე და ცილისწამება წერიაო. ამბაკოს ამის წაკითხვა არ სიამოვნებდა, მაგრამ ყველა მორიგ კომისიას სულ ერთმანეთზე საგანგაშო ამბავი მოჰქონდა; კოლმეურნეობაში არნახული ერთსულოვნება და დარაზმულობა იგრძნობოდა.

## ნადირობა

**აგვისტო** მიილია, ზაფხულის სიცხე კი მძლავრობდა. ალაზნის ველი გახურებულ თონეს ჰგავდა, ცივგომბორის ქედიდან სასიამოვნო სანახვი იყო ცისარტყელასავით ფერებით შემკული, ადამიანის მიერ სახეშეცვლილი და გალამაზებული გარემო. შორს, ჭალის, პირას დინჯად და ზვიადად მიიკლაკნებოდა დიდი ალაზანი.

კვირა დღეს, დილით ადრე, ალაზნის პირას ეგერების სახლს მზეზე ადრე მათე და კოტე მანქანით მიადგნენ, სიბერე მიტანებული ეგერი, მოსე ნასყიდაშვილი ადგილზე დახვდათ. ბიჭებს მხიარულად მიეგება.

– ომარი კარგა ხანია გასულია, შემოვლას დაამთავრებდა, მალე მოვა. მანამდე დასხედით, დაისვენეთ, – მიიპატიჟა.

კოტემ დაამთქნარა და გემრიელად გაიზმორა.

– მე თუ დავჯექ, კიდეც დამეძინება, – თქვა და იქვე მწვანე მოლზე გაიშოტა.

– ჩვენ ალაზნის პირას გავივლით, სანამ მოვბრუნდებით, ომარიც მოვა, – თქვა და კოტეს ასადგომად ხელი მიაწოდა.

– ალაზანს თავდაღმა დაუყევით, ომარი იქიდან მოვა, გზაზე შეხვდებით, – გააფრთხილა მოსემ.

ორივე ბალახებში ჩაკარგულ ბილიკს გაუყვნენ. უცებ კოტე უკან გაიქცა, მანქანაში შეძვრა, თოფი აიღო და მათეს ძუნძულით წამოეწია.

– თოფი რად გინდა, აქ ნაკრძალია, – გაახსენა მათემ.

– სასროლად კი არ წამოვიღე, ისე, ტყეში კაცს თოფი უხდება; ვითომ მეც ეგერი ვარ, – კოტემ მხარზე თოფი შეისწორა.

ალაზანი დაწმენდილი და ცხელი ზაფხულისგან ტალღებშეთხელებული მოდიოდა, მაგრამ ჩვეული რიხი და სიდიადე არ აკლდა. ნაპირიდან თავდაყირა გადაშვებულ უზარმაზარ ვერხვს, ფესვების ნაწილი ისევ მიწაში რომ დარჩენოდა, ძალუმად უტევდა, სუმთლად წყალში ჩათრევა უნდოდა. ვერხვი კი მცირე მიწის ნაგლეჯს ეჭიდებოდა, რომელიც ჯერ კიდევ არ ჩამოენგრია დინებას; ალაზანი ვერხვს მორყეული კბილივით ატოკებდა და სულ უფრო და უფრო იხუტებდა.

– ამას ჰქვია წყალწაღებული ხავსს ეჭიდებაო, – ჩაილაპარაკა მათემ.

– მორჩა, ფეხზე ველარ ადგება, მაგრამ მაინც როგორ ვაჟკაცურად იბრძვის, – კოტემ ვერხვის სიჯიუტე შეაქო. – მაგრამ მაგის საქმე მორჩენილია, ალაზანს მოუსპია, ცოტა დროღა დარჩენია და მერე, ვინ იცის, უგზო-უკვლოდ სად ჩამარხავს.

– მაგის საქმე შეიძლება მორჩენილი იყო, მაგრამ მოსპობაზე კი არ გეთანხმები. აბა, გახედე, ალაზნის პირას რამდენი ვერხვი დგას და მისი მაცოცხლებელი ტენით იკვებება. მაგას, უბრალოდ, ბედმა უმუხთლა, ამ შეუჩერებელ დინებას ფეხში მოედო, რომელიც დღემდე აცოცხლებდა და მისივე მსხვერპლი გახდა; განა ალაზანს კი სჭირდება მაგის დაღუპვა? არა, მაგრამ როცა წვიმებით მთაში დამდნარი თოვლით ძალაშემატებული უგნურ რისხვას უხვად თესავს, ბოროტი, უსამართლო და გაუტანელი ხდება უხასიათო მთვრალი კაცივით, უფრო სწორად კი დიდი ძალაუფლების მქონე ვერაგი სკამოსანივით. ეტყობა, მაგ ვერხვს ძირი მაშინ გამოაცალა, ახლა კი დაწყნარებულია, მაგრამ ბოდიშის მოხდის მაგიერ თავის უგნურობას აკანონებს და ამართლებს; თუმცა, რომ მოინდომოს, ვერხვს ფეხზე მაინც ველარ დააყენებს, ეგ ვერხვი ჩვენი სამართალდამცავების მიერ უდანაშაულოდ დასჯილ კაცს ჰგავს, – მათემ ვერხვის და ალაზნის ჭიდილს თავისებური განმატება მისცა.

– ასეთები არიან ძლიერნი ამა ქვეყნისა! – პათეტიკურად თქვა კოტემ.

მოსახვევიდან ომარი გამოჩნდა. კოტემ ხელი დაუქნია, – ბუნების შვილს გაუმარჯოს! – დაიძახა.

ომარი მაღალი. მხარბეჭიანი ვაჟკაცი იყო. სულ საღ ჰაერზე ყოფნას და მზის სხივების სიჭარბეს კიდევ უფრო გაეკაჟებინა. თხელი, მოკლესახელოებიანი პერანგი ეცვა, მხოლოდ კუნთი, ძვალი და ზედ გადაკრული ბრინჯაოსფერი კანი იყო. თან თოფი არ ჰქონდა, ქამარზე თავისი განუყრელი სანადირო დანა ეკიდა.

– ასე ადრე არაფრით არ გელოდით, თორე ბინაში დაგიცდიდით, – მოიბოდიშა.

– მათეს გადამკიდე რატო შუაღამისას არ დაგადექით, – კოტემ დილის ძილის დაკარგვით გამოწვეული უკმაყოფილება გამოხატა.

– კარგია, ადრე რომ მოხვედით, წავიდეთ, ჯერ მწყერზე ვინადიროთ და მერე დაბმულ ლოქოს გაჩვენებთ, – ომარი ორივეს ბინისაკენ წაუძღვა.

– ჯერ დაბმული ლოქო ვნახოთ, – ცქმუტავდა კოტე.

– დაბმულის ნახვას ყოველთვის მოვასწრებთ, მწყერი კი დაუბმელია. თუ დაგვიცხა, ნადირობა გაძნელდება, არც მწყერი ამოვა, – აუხსნა ომარმა.

ერთი ფართო ნაწვერალში ჩადგნენ, მარტო ომარის ძაღლი ეკალა ჰყავდათ თან.

– ძაღლი არ დაგვჭირდება, მწყერი იმდენია, თავისით ამოდის; ეკალა კი ერთსაც არ დაგვიკარგავს, – თქვა ომარმა.

კოტე ძაღლს დიდხანს აკვირდებოდა, მერე იკითხა: – რა ჯიშისაა ეგ შენი ეკალა?

– ავჩარკისა და ირლანდიური სეტერის ნაჯვარია, ხასიათიც ორივესი აქვს, ყველაფერი იცის, ადამიანივით აზროვნებს, – დაახასიათა ომარმა.

– ეკალ! – კოტემ დაუძახა. ძაღლმა ყურები ცქვიტა, – მოდი აქ! – ძაღლმა ომარს შეხედა.

– მიდი, ეკალ, ჩვენიანია! – უბრძანა ომარმა. ეკალა კოტესთან მივიდა. ჩაცუცქდა და ყურება დაუწყო.

– ეკალ, იცი მე ვინა ვარ? კოტე ფირაშვილი, განთქმული მონადირე და ნადირთა რისხვა! – ძაღლმა თავი გადაატრიალა და ცალი თვალით შეხედა.

– ძაღლს ეჭვი ეპარება, ნახე, როგორ შემოგხედა,– მათემ სიცილით უთხრა.

– ლაპარაკი ესმის? – კოტე ომარს გაკვირვებით შეეკითხა.

– რაც საჭიროა ყველაფერი ესმის, – აუხსნა ომარმა.

– გაითვალისწინე და შემდეგში რომ ჩამოვალ, ლაპარაკი იცოდეს! – კოტემ ომარს დავალება მისცა. – თუ ყოველ შემთხვევაში არ მოხერხდეს, რომელიმე მეტყველთან შეჯვარების გზით შეიძლება მიიღო!

– ეგ არ გამოვა, – აუხსნა ომარმა.

– გამოვა, როგორ არ გამოვა, ქვეყანაზე რამდენი მაგის ჯიშის მეტყველი დადის, მოძებნე და იპოვი, მაგრამ არ გირჩევ, მეტყველებას კი ისწავლის, მაგრამ პატიოსანი შთამომავლის პერსპექტივას გაუფუჭებს! იყოს ისევ როგორც არის! – კოტემ ეკალას მეტყველების უცოდინრობაზე ნება დართო და მასრების ფალასკა შეისწორა.

– წავიდეთ! – ნაწვერალში გრძელი ნაბიჯებით შევიდა, – წამოდი, ეკალ, ჩემთან, მაგათ სროლა არ იციან, მწყერი მე მომკითხე.

მწყერი იქავე აუფრინდა. კოტემ სროლა მოასწრო, ჩამოაგდო. სანამ თოფს გატენიდა, ეკალამ მიურბენინა და ისე მიაწოდა თითქოს ამანათრბენში ნავარჯიშებიაო.

კოტემ ხელში გადაატრიალა, – საწყალი მომკვდარა! – სინანულით ჩაილაპარაკა.

–ტყვია ესროლე, ყვავილების ბუკეტი ხომ არა. დღევანდელი მწყერთა ცოდვა დაედოს იმას, ვინც პირველი მწყერი მოკლა, – მათემ ლოცვასავით ჩაილაპარაკა.

კოტეს კი მათეს ხმა არც კი გაუგონია. მწყერი ხელის გულზე დაიდო და თვალმოწყლიანებული დაჰყურებდა. უძრავად მდგარ კოტეს ეკალამ ერთხელ კიდევ შეხედა და სანადიროდ გასულ ომარისაკენ გაიქცა.

კოტემ თოფი მხარზე გადაიკიდა და ბიჭებს უკან გაჰყვა.

– ცოცხალია, – თქვა მათემ და ეკალას დაჭრილი მწყერი გამოართვა. –

ველარ გადარჩება, – ჩაილაპარაკა და თასმის ჩამოსაკიდის ყულფში თავი გაა-ყოფინა.

– რა შვრები, ახრჩობ?! – დაიყვირა კოტემ, მათესთან მიირბინა და მწყერი გამოართვა.

– საწყალი კვდება და შენ მომაკვდავი უნდა ჩამოახრჩო, ამაზე დიდი უსა-მათრლობა რა არის! – ჯავრობდა კოტე.

– აბა, რა მექნა, ზიარება მე არ ვიცი და... – მათეს გაეცინა.

რამდენი თოფი გავარდებოდა, კოტე ხან მათესთან და ხან ომარისკენ გარ-ბოდა.

– ცოცხალი ხომ არ არის?! – შორიდანვე იძახდა. თუ ცოცხალი იყო, ყვირო-და: – არ ჩამოკიდოთ! არ ჩამოკიდოთ!!!

კოტეს ათამდე დაჭრილი მწყერი შეუგროვდა, მაგრამ ყველა მოუკვდა.

– ფრთაშია დაჭრილი, ისე მთლად საღია! – დაიძახა ომარმა.

კოტემ მაშინვე მიირბინა და მწყერი სათუთად გამოართვა. – გული ისე უცემს, გაუსკდეს ლამის! – ჩაილაპარაკა.

იქვე ჩაჯდა. დიდხანს ესაუბრა: – აბა, ახლა მე რა გიშველო, რომ წაგიყვა-ნო, ვაი, თუ, პატიმრობაში ჭრილობა უფრო გაგიღიზიანდეს და დარდისაგან გული გაგისკდეს. მოდი გაგიშვებ, საჭმელი ბევრი გექნება, ზამთრამდე ფრთა მოგირჩება და როგორმე თავს შეინახავ, – კოტემ მონადირეებისკენ გაიხედა, შორიახლოს გაჩერებულიყვნენ, წინ იყურებოდნენ, ეტყობოდათ, კოტეს ელო-დებოდნენ. თითქოს ეშინია, არ დამინახონო, მწყერი ბალახებში ჩასვა და ფეხ-ზე ადგა. ომარი და მათე ერთმანეთს მიუახლოვდნენ; კოტე მათთან მივიდა.

– ორივეს ოცი მწყერი გვყავს, ვაზნები კიდევ დაგვრჩა, – თქვა მათემ და ფალასკაში დარჩენილი ვაზნების დათვლა დაიწყო.

ეკალამ რაკი არაფერს ავალებდნენ, მინდორში სუნსული დაიწყო. მალე ომარისთან მივიდა და პირით რაღაც მიაწოდა. ომარი დაიხარა, მწყერი გამო-ართვა.

– ეს ფრთაში დაჭრილი მწყერია, მე რომ მოგეეცი, ეტყობა გაგეპარა, საწყა-ლი კვდება. ეკალას ისე ღრმად ჩაუდვია პირში, სული შეუგუბდა, ალბათ, – ომარმა მომაკვდავი მწყერი კოტეს გაუწოდა.

კოტემ ნაღვლიანად გამოართვა.

– ვითომ სიკეთე მინდოდა, – სინანულით ჩაილაპარაკა, – მეგონა, აქ დავ-ტოვებ, ფრთა შეუხორცდება და იცოცხლებს-მეთქი, საწყალი დავღუპე, ახლა ჩვენ ხალხი ვართ, რას გვიშავებენ, რაზე ვხოცავთ?! ამათზე უწყინარი და სათ-ნო ფრინველი ვერ წარმომიდგენია. მერე როგორი ლამაზები არიან, განა შეიძ-ლება ამისთვის ტყვიის სროლა?! – მოთქვამდა კოტე.

– ნადირობა აღარ გამოვა, დავამთავროთ, – ჩაილაპარაკა მათემ და თოფი მხარზე გადაიკიდა.

– დაბმულ ლოქოსთან წავიდეთ! – გაუხარდა კოტეს.

ომარს გაეცინა, – აქ ხან ისეთი ცოდვა ტრიალებს, რომ იცოდე, კოტე, ალ-ბათ გაგიჟდებოდი. ხოხობზე ძაღლებივით იწევენ, მაგრამ ჯერ ვუმაგრდები, კარგად მოვამრავლე.

– ამ სილამაზეს რატომ სპობენ, არა სჯობია მისი მზერით დატკბნენ?! თუ ხორცი უნდათ, წავიდნენ და მაღაზიაში იყიდონ. თუ კიდევ ხელები ექავებათ, ყვავები ცოტაა? სდიონ და ხოცონ. – კოტემ ყვავები არ დაინდო.

– ყვავს დედა არა ჰყავს? – სიცილით თქვა მათემ.



– ჰყავს, მაგრამ არაფრის მაქნისია, თანაც საძაგელი ყრანტალი იცის. სამას წელს ცხოვრობს და ეყოფა. მწყერმაც იცოცხლოს ხუთი წელი, რა დააშავა! – კოტემ ყვავებზე ნადირობა დაასაბუთა.

– როგორ უნდა გაიგონ, რომელი უახლოვდება სამას წელს, რომ მეტი აღარ გაუშვან? დაიჭირონ და ჰკითხონ, შემთხვევით მცხოვანი ყვავი ხომ არა ხარ. უნდა მოგკლაო? – მათემ ბებერ ყვავებზე ნადირობის პრობლემა წამოჭრა.

– ყვავიც საჭიროა, ბუნებას ზედმეტი არაფერი არ გაუჩენია, – ომარი ჩაერთო კამათში. – ისე ჭკვიანურად არის აწყობილი, გაგიკვირდება, რაც შეუქმნია ყველას თავისი ჭირი გაუჩინა, ოღონდ იმ რაოდენობით, რომ ძალიან არ გამრავლდნენ და ბიოლოგიური წონასწორობა არ დაარღვიონ. მწყერს მიმინო და ათასი მტაცებელი ემტერება, რომ უზომოდ არ გამრავლდნენ და მცენარეულ საფარს საფრთხე არ შეუქმნიან. ყვავი საუკეთესო სანიტარია, თაგვებსაც სიამოვნებით მიირთმევს... – ომარს კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, კოტემ აღარ დააცალა.

– იქნებ ბუნებამ ადამიანს თოფი იმიტომ აჩუქა, რომ მწყრები გაეწყვიტა, წონასწორობა არ დაირღვეს, ან ყანა არ გაძოვონ და მშიერი არ დარჩეო, – კოტემ თოფის გამოგონების მიზანს მიაგნო.

– აი, მანდ კი სცდები, კოტე, ადამიანი ძალიან ხშირად ერევა ბუნების კანონზომიერების საკითხში. ცდილობს, რომ ყველაფერი თავის სასარგებლოდ გამოიყენოს, მაგრამ თუ ფრთხილად არ მოექცევა, მისი შედეგები ბუმერანგივით თვითონვე მოუბრუნდება, – ომარამ დაამთავრა თავისი სათქმელი.

– განგებაა თუ ბუნება, რომ შეგვქმნა, ამისთვის დიდი მადლობა, რაღა ჭირად გამოგვაყოლა ტილი, რწყილი, ბაღლინჯო. იმ დალოცვილმა, სხვა უკეთესი ვერაფერი მოიგონა?! – კოტე განგებას გაუწყრა.

– სადაც ეგენი აღარ არიან, იქ იმატა წნევამ, სკლეროზმა, ინფარქტმა და ვინ იცის, კიდევ რამ, – აუხსნა ომარმა.

– მე შენი განმარტება ასე მესმის: ვთქვათ, ღმერთმა ადამიანი რომ შექმნა, ეს არ სახსენებელი მწერებიც თან გაატანა და უთხრა, აჰა, წაიყვა, წნევა, სკლეროზი და ათასი ოხრობა რომ არ დაგემართოს, იმიტომ გატან, მართალია გვარიანად შეგაწუხებენ, გვერდებს მოგაფხანინებენ, ქონს მოგაცილებენ, სამაგიეროდ ჯანმრთელი იქნები, სიკეთეში მოიხმარეო. ეს სულელი ადამიანი კი ხოცავს, ჭყლეტს, სპობს, ანადგურებს, ერთ მშვენიერ დღეს წნევიანი და სკლეროზიანი გაიღვიძებს, რა უმადურობაა! – შეიცხადა კოტემ.

– მაგ საკითხებშიც წონასწორობაა საჭირო. ზოგს იმდენი მკბენარა დასევია, მარტო მათ საკვებად არსებობს, – განმარტა საკითხი მათემ.

ალაზნის ჭალას მიუახლოვდნენ. პირველივე მუხის ჩრდილში შედგნენ, ცოტა შევისვენოთ, რა კარგი გრილი ნიავი უბერავს, – თქვა მათემ და მთლად სველი პერანგი გაიძრო.

– რაღა დროს შესვენებაა, ლოქოსთან მივიდეთ და იქ რამდენიც გინდა შეისვენე: საინტერესო საყურებელი იქნება, – მოითხოვა კოტემ.

გზა ისევ განაგრძეს.

– შენთვის საინტერესო იქნება. ყბაში ჩანგალგარჭობილი და კაპრონის თოკით ხეზე მიბმული ლოქოს ალაზანში ფართხალი? ლოქო პირდაპირ აღფრთოვანებული დარჩება ამ პატივით? – ჰკითხა მათემ.

– ლოქო მტაცებელია და მისი დაბმით, ალბათ, ბევრი კეთილშობილი თევზი გადარჩა, – შეედავა კოტე.

– კეთილშობილებაში იმ თევზს რას უთვლი, ლოქოს რომ ვერ მორევია და თავისზე მცირეს რომ ჭამს? თუნდაც ლამაზი, წინწკლებიანი კალმახი თანამოძმეს არ დაინდობს თუ შეატყო, რომ მისი გადაყლაპვა შეუძლია.

– რა ვქნა, ძმაო! – კოტე უცებ გაჩერდა და ხელები გაშალა, – ამ ცოდვიან ქვეყანაზე ყოველთვის ვიღაცა ვიღაცას ჭამს. სულიერს ვერ მოძებნი, ვინმე რომ არ ჰყავდეს შეჭმული. ამას არ გააკეთებს? ან მშიერი მოკვდება, ან მას თვითონ შეჭამენ. ეს ცხოვრება ეგრე ჭამა-ყლაპვით მოდის, რა ვქნა, მე ხომ ვერ გავასწორებ. ამბობენ, თვითონ ღმერთმა შექმნაო ეგრე! მაშინ ლოქოსთან რა გინდა, მარტო თევზს ჭამს, ადამიანმა კი მარტო თევზი რომ ჭამოს, წმინდანად საღიარებელია. გველის ხორციდან, აქლემის, ვეშაპის და კალიის ჩათვლით შეუჭმელი არაფერი გვრჩება და მაინც არ გვყოფნის.

ალაზნის პირას გავიდნენ.

ომარი ზედ ნაპირთან მდგარ, ახალგაზრდა ვერხვთან მივიდა და კაპრონის წვრილი თოკი ახსნა.

– წყნარად არის, საწყალი ერთი დღე-ღამე აბია, ეტყობა, ბევრი იწვალა; კარგა მოზრდილია, დასვენებულიცაა, შეგვებრძოლება, უცებ უნდა მოვზიდოთ. ომარმა თოკი მოსწია და უცებ მყუდრო მორევი ადუღდა. ლოქომ მძლავრი კუდი მოიქნია და წყალი ნაპირს შეახეთქა, თავგანწირულად იბრძოდა, აქეთ-იქით აწყდებოდა, მაგრამ ომარი ნაპირისკენ დინჯად მოათრევდა. როგორც იყო წყალს მოაცილა და ნაპირზე გამოათრია, ახლა აქ დაუწყო მიწას თავისი კუდის სასოწარკვეთილი ტყლაშუნი.

– აუ, რამხელა თავი აქვს! – აყვირდა კოტე. – სად გაიზარდა ამხელა, ეს წყალში კაცს რომ შეხვდეს, ხომ მოაჭამა ბარკალი!

– სამი ფუთი თავისუფლად იქნება, – თქვა მათემ.

– როგორ დაიჭირე? – ჰკითხა კოტემ.

– ბაყაყი უყვარს. ანკესზე წამოგებული, რომ ფართხალებს ანკესიანად ყლაპავს, – აუხსნა ომარმა...

სუფრა უზარმაზარი მუხის ჩრდილში გაშალეს. პური გატეხეს და თითო ჭიქა ღვინოც გადაჰკრეს.

– ბუნების წიაღში ამ დალოცვილს სულ სხვა ეშხი აქვს! – კოტემ ცარიელი ჭიქა ბალახზე გააგორა.

– ეშხი და ლაზათი მაშინ აქვს, როცა შრომით დაღლილი ხარ და ღვინო გწყურია, რომ გაძალებენ და ძალათი სვავ, მაშინ არაფრის გემო არა აქვს, პირიქით ზიზღით სვავ!

– ადამიანია ერთადერთი ცხოველი, თუმცა მოაზროვნე, რაც არ უნდა, რომ ჭამს, რაც ეზიზღება, რომ სვავს; ღორს ვერ ჩაასხავ იმას, რაც არ უნდა ან არ სწყურია, – დაასკვნა კოტემ.

მზე დასავლეთისკენ გადაიხარა, ხის ტოტებში თავისუფალი ადგილი ნახა და სუფრაზე ჩამოჯდა. სამივემ დაავლეს ხელი რაც ჰქონდათ და ღრმა ჩრდილში გადაინაცვლეს.

მოსემ დიდი სინით, ძმრით და ქინძით შენელებული ლოქოს ხორცი მოიტანა.

– ამ ლოქოს ბედი ჰქონია, ჩანგალი რომ არ გაგლიჯა და არ წავიდა. ყბადახეული მშიერი მოკვდებოდა; ვინ იცის, რომელი მყრალი თევზის ლუკმა გახდებოდა, – თქვა მათემ.

– ჩვენ ცივილიზებულად ვჭამთ, გემრიელადაა შეკაზმული ძმრით და ქინძით, საუცხოო ღვინის სმის დროს ვიხსენებთ სიცოცხლისათვის მის ბოლო, თავ-

განწირულ ბრძოლას; აბა, ის რაში აწყობდა ყბამომტვრეულ მომაკვდავს რომელიმე ურცხვი თევზი რომ გამოგლეჯდა გვერდს, გამოძღებოდა, მერე უსირცხვილოდ შეათამაშებდა კუდს და ისე გაცურდებოდა, მადლობასაც არ ეტყოდა. ამ ლოქოს ნამდვილად ბედი ჰქონია! – დაასკვნა კოტემ.

– შამაიას დამკარგავი რომ ტიროდა, ვინმემ ქაშაყის დონეზე არ ჭამოსო, ამ ლოქოს საქმეც ეგრე ექნებოდა, იმ ურცხვ თევზს რა ეცოდინებოდა, რომ დიდებული და უძლეველი ლოქოს ხორცს მიირთმევდა, ისე შეჭამდა, როგორც ყვავის პირიდან გავარდნილ მყრალ ხორცს, რომ ვერ მიხვდებოდა იმ დიდებული ტრაპეზის არსს. მაშ გაუმარჯოს ლოქოს! – ომარმა ჭიქა ასწია.

– ლოქოს გაუმარჯოს! – დაიძახეს და ჭიქები გამოცალეს.

– ისე გაიხარა ყველა ავმა და ბოროტმა, რამდენი ჩვენმა დღეგრძელობამ ამ ლოქოს რაიმე უშველოს, – კოტემ ოხრახუში მოკეცა, მარილში ჩააწო და პირში ჩაიტენა.

მოსემ ლოქოს სადღეგრძელო უხმოდ დალია და ადგა, – მე ცოტა ხანს გავივლი, გადაგრილდა, არავინ შემოგვეპაროს, – თქვა, თოფი აიღო და ბალახით დაფარულ ბილიკს გაუყვა.

– ხოხობი! – უცებ დაიძახა კოტემ.

კვინლის ბუჩქთან არხეინად მიდიოდა დედა ხოხობი, უკან კი კარგად მოზრდილი, რიგში ჩამდგარი ჩრიხვები მისდევდნენ.

მათე ინტერესით მიაჩერდა.

– თქვენ ეგ რა გიკვირთ, აგრილდეს, ნახავთ რამდენი გამოიშლება; თამამად ველარ ხოცავენ და ამათაც შეეტყოთ, – ამაყად თქვა ომარმა.

თითქოს მისი ნათქვამის გაქარწყლება უნდაო, სადღაც ახლოს თოფი გავარდა, მას დუპლეტი მოჰყვა. ომარი ფეხზე წამოხტა, ყური დაუგდო, აზუსტებდა, რომელ ადგილას უნდა ყოფილიყვნენ, – ნამდვილად ჩალიან ყურეში არიან. იქ ჯერ კაცს თოფი არ გაუსვრია, – ცოტა ხანს ასე იდგა, – ვის უნდა გაებედა? – ჩაილაპარაკა. ამის თქმა და რამდენიმე ზედიზედ გავარდა, მერე სროლის ხმა უფრო გახშირდა. თითქოს შეთანხმებული არიანო, ყრუ აფეთქებამ მისცა ბანი, ზედიზედ კიდევ ორი აფეთქება გაისმა.

– თქვენ აქ იყავით! – წამოიძახა ომარმა და ადგილს შურდულივით მოსწყდა.

– ეს რა ამბავია, ომი დაიწყო? – იკითხა კოტემ.

– შენ აქ იყავი, სანამ მოვბრუნდებით, – უთხრა მათემ და ომარის კვალს სირბილით მიჰყვა.

კოტემ მხრები აიჩეჩა, თოფი აიღო, მხარზე გადაიკიდა, მერე მანქანას მიმართა;

– შენ აქ იყავ, სანამ მოვალთ! – სულიერივით უთხრა და უკვე გაუჩინარებულ ომარის და მათეს კვალზე ჩქარი ნაბიჯით წავიდა.

ომარს ჩალიან ყურემდე სირბილი არ შეუნელებია, თოფის ხმა არ წყდებოდა, სანამ პირველ ბრაკონიერთან მივიდოდა, წინ ძაღლმა გაურბინა, ომარმა წიხლი ისე ძლიერად ამოჰკრა, ჰაერში შეაგდო და ხუთიოდე მეტრზე გადაისროლა.

– რას შვრე... – კაცმა სიტყვის თქმა ვერ მოასწრო, ომარმა ელვის სისწრაფით გამოსტაცა თოფი. მიწას დაარტყა და გადაამტვრია. დრო აღარ დაკარგა, ახლა მისგან რამდენიმე მეტრით დაცილებულს მიუხტა, იმან თოფით მოგერიება სცადა, ომარმა ხელი აუკრა, დუპლეტმა ცას შეჰყეფა, ყბაში მძიმედ დაარტყა მუშტი და იქვე დაამხო, თოფი კი პირველი მეთოდით დალეწა. ახლა სამი თოფშემართული ბრაკონიერი მისკენ მირბოდა, მეოთხე კი კარგა მანძილზე იყო შორს.

– დაგცხრილავ, შენი! – დაიღრიალა ერთმა და თოფი მიუშვირა, დანარჩენ ორსაც თოფები გამზადებული ეჭირათ, თუმცა ლულები დაბლა ჰქონდათ დაშვებული. ომარმა მანძილი დთვალით მოზომა და წინას, რომ ეგონა, გაუნძრევლად დგასო, ერთი ნახტომით ეცა, თოფი ხელიდან გააგდებინა და ისეთი სილა შემოჰკრა, მისმა ხმამ თოფივით იჭექა. სროლა არ ხერხდებოდა, შეიძლება ერთმანეთი დაეზიანებინათ; ორმა კონდახები მოიმარჯვა და ხელჩართულ ბრძოლაში ჩაებნენ. ომარმა ისინიც დანარჩენების გზას გაუყენა. ახლა სამივე თოფი მარცხენა მხარზე გადაკიდებული ღვედით ეჭირა; ხუთივე ბრაკონიერი მის შორიახლოს იდგა და ნამუშტარ ადგილებს ხელით იგრილებდა.

– დაყარე თოფები, თორე გაგათავე! – ზურგის მხრიდან ვიღაცამ იღრიალა. ომარი მოტრიალდა, მის წინ გამოუსწორებელი ბრაკონიერი, ყველა ავი საქმის მონაწილე და ხელმრუდე, „მჟავე“ ფორე იდგა. რაც ომარი ეგრად გაუშვეს, ფეხი ამოეკვეთა, თორე ადრე დაუსჯელად დადიოდა, არავის არ ეპუებოდა, ყველაფერს ანადგურებდა. ომარს ბევრჯერ დაემუქრა, ჩემს ხელით გაქვს წერაო, მაგრამ ვერ შეუსრულა, ახლა კი მის წინ იდგა.

ბრაზისაგან სახემოღრეცილმა „მჟავე“ ფორემ არანორმალურად დაიღრიალა: – დაყარე თოფები, თორე გაგათავე!

ომარმა ღვედებს ხელი გამოჰკრა, სამივე თოფმა მიწაზე ზღართანი მოადინა.

– გაიწით! გვერდზე მიდექით! – დაუღრიალა დანარჩენებს, – მე ამასთან ძველი ანგარიშები მაქვს, ახლა უნდა ვუტირო დედა! – „მჟავე“ ფორეს ომარი სამიზნეზე ეჯდა. შეშინებულმა დანარჩენმა ბრაკონიერებმა გვერდზე გაიწიეს. ომარი ზამბარასავით იყო შეკუმშული, მარჯვენა ხელი ქამარზე ჩამოკიდებული დანის ტარს გრძნობდა; მის თავში აზრები ელვის სისწრაფით ბრუნავდა.

– ხომ ჩამივარდი ხელში, ყმაწვილო! – დორბლი გადმოანთხია და სასროლად გასწორდა.

– დააგდე თოფი და ხელები მაღლა ასწიე, თორე გადაგაყლაპე დუპლეტი. – „მჟავე“ ფორეს ყურში ჩაესმა და ზურგში ძლიერად მიჭერილმა თოფის ლულებმა ხერხემლის ტყვი გადაუყვლიფეს. „მჟავე“ ფორეს თოფი ხელიდან გაუვარდა, ხელები კი ძაფმობმული მარიონეტივით ასწია.

ომარმა თოფები მოკრიფა.

– ამას რა ვუყო, საფრთხობელასავით ეგრე იდგეს, თუ მოვკლა?! – „მჟავე“ ფორეს უკან მდგარმა კოტემ ისეთი ტონით იკითხა, თითქოს ხელში ქათამი სჭეროდეს და ახლა კითხულობდეს, რომელ კუნძზე დავაგდებინო თავიო.

– ჯერ იდგეს! – უბრძანა ომარმა და ექვსივეს ნანადირევი შეუმოწმა.

– თხუთმეტი მოუკლავთ, თანაც ნახევარი ჩრიხვებია, ბინაზე წავიდეთ, იქ გავარჩევთ საკითხს! – თქვა ომარმა. დაუშვი ხელები, შე მართლა არაკაცო! ახლა რა გიყო, ხელებაწეული დგეხარ, თორე კარგი გასაბრტყელებელი ხარ; შენგან კაცს დანდობის იმედი არ უნდა ჰქონდეს! – ომარმა „მჟავე“ ფორეს თოფი კოტეს გადაუგდო.

– ბიჭო, სოკრატ, შენ საიდან გაჩნდი?! – გაკვირვებული კოტე პირველ ბრაკონიერთან მივიდა, თავისი თოფის ნამტვრევები რომ ეჭირა.

– ხვალ ხაზეინს სტუმრები მოსდიან, განსაკუთრებული პურმარილისთვის ვემზადებოდით და... – სოკრატამ სიტყვა აღარ დაამთავრა.

– ჰოოო! – კოტემ მრავალმნიშვნელოვნად თქვა და თოფი მხარზე გადაიკიდა.

– ომარ, ეს ჩვენი რაიკოოპკავშირის თავმჯდომარეა, – კოტემ სოკრატი ომარს გააცნო.

ომარი უხერხულად შეიშმუშნა, – აბა, მე რა ვიცოდი თუ... – სიტყვა აღარ დააბოლოვა, თოფები სამივეს დაუბრუნა, კოტეს მჟავე ფორეს თოფი გამოართვა და მხარზე გადაიკიდა.

– ცუდი შეხვედრა გვქონდა, რა გაეწყობა, ასე ხელაღებით ფრინველს მხოლოდ ბრაკონიერი ხოცავს, – თქვა და ისე წავიდა, – უკან აღარ მოუხედია.

– ხუთივე გამოუსწორებელი ბრაკონიერია, რაიკავშირის თავმჯდომარეს მათთან რა აქვს საერთო?!... – გაკვირვებით თქვა.

– სუფრის ლაზათი მაგათ იციან, აბა, სტუმარს ხომ უნდა მოაწონონ თავი მამაპაპური, ზღაპრული პურმარილით. დაავალებენ და ეგენიც გააჩენენ ხოხობს, კაკაბს, დურაჯს და კიდევ ვინ იცის, რას, – აუხსნა საქმის ვითარება კოტემ.

– საქმე ეგრე თუ მიდგა, რაც ფრინველია, ერთ კვირაში გაწყდება, მერე რაღა დარჩება, მამაპაპური პურმარილით თავს როგორღა მოიწონებენ?! – ომარი ისე საყვედურობდა კოტეს, თითქოს ეს ნადირობა მისი მოწყობილი იყო.

– რას იზამ, ბიოლოგიურ წონასწორობას ვარღვევთ, რომ მერე ჩვენს უგუნურ საქციელზე ვინანოთ, – იმართლა თავი კოტემ.

– აბა, ის ამფეთქებლები ვიღა იყვნენ, მოვინახულოთ, – ომარი და კოტე იქით წავიდნენ, სადაც ალაზანი მუხლს აკეთებდა.

ერთგან ალაზანს ფართო კალაპოტიდან უკან დაეხია, მარცხენა ნაპირისკენ გადაენაცვლა და ქვა ქვიშით დაფარული ფსკერის მოზრდილი ნაწილი დაეტოვებინა. სწორედ ამ ნაპირზე შეეგროვებინათ დინამიტის აფეთქებით გულგახეთქილი თევზები. იქვე გასაბერი ნავი ეგდო, ისაც თევზებით სავსე იყო.

– რეტიანმა ნიკომ ისევ მოგვინახულა, – თქვა მოსემ, – კიდევ კარგი, მათე დროზე მომეშველა, თორე რა მოხდებოდა, არ ვიცი.

რეტიანი ნიკო, გამოუსწორებელი ბრაკონიერი, „მჟავე“ ფორეს მეგობარი და თანამოაზრე. ალაზნის პირას იჯდა და დალურჯებულ თვალს წყლით იგრილებდა.

– თქვენც იმათთან ხართ? – ჰკითხა ომარმა.

– უფროსების დავალებააო, ეგრე მითხრეს, თორე რამდენი ხანია მე აქეთ აღარ გამომიხედია! – გაბრაზებით თქვა „რეტიანმა“.

– ამდენი რომ არ გაგექლიტათ დიდი და მცირე, სხვანაირად არ შეიძლებოდა?!

– ახლა წყალმა რამდენი წაიღო!

– მე რა ვიცი, ჩქარაო და ეგე, ჩქარა კიდევ ეგრეა!

– აიკიდე გუდა-ნაბადი, ეს შენი ნაოხრალი წაიღე და მოშორდი აქაურობას! ნავს კიდევ გამოეთხოვე!

რეტიანმა ნიკომ და მეორემ რაც ჰქონდათ მოკრიფეს, თევზით ნახევრად გავსებული ორი ტომარა მოიკიდეს და ხვნეშით წავიდნენ. რეტიანი უცებ გაჩერდა, ნავს ხარბი მწერა ესროლა, – ეგ შემინახე, ჩემი არ არის, პატრონს ფული მიუცია.

– წადი. წადი! შენახულად ჩათვალე, – ომარი შეპირდა.

– ცემა ეგრე არ უნდა, სადმე შეგხვდები! – რეტიანი ნიკო მათეს დაემუქრა.

– წადი შენი! – ომარმა ვეღარ მოითმინა და გაუქანდა.

რეტიანი ნიკო ძუნძულით წავიდა.

– ეგეც შენი კვირის ნადირობა! – წყენით თქვა კოტემ და ქვიშაზე დაეშვა.

– კარგი ქენი, ნანადირევი რომ გაატანე, თორემ ჩვენს აქ ყოფნას სულ

სხვანაირად მონათლავდნენ, – მათე ფიქრებიდან ლაპარაკობდა. ისიც კოტეს გვერდით ჩამოჯდა.

– ნეტა რაში სჭირდებათ ასეთი რამე? – თქვა ომარმა და ორ მეგობარს გვერდით მიუჯდა.

– მე ბინაზე წავედი, ნავი აქ არ დააგდოთ, – დაიბარა მოსემ და ალაზნის დამრეც ნაპირს შეუყვა.

ღრმად ჩაფიქრებული მეგობრები ისხდნენ და მრავლის მომსწრე ალაზნის ტალღების ტყლაშუნს უსმენდნენ.

## მიტროს აღმასკომი

**რამანა მაისაშვილს** თავისი აზრის გამოთქმა არ შერჩა. ამბაკო ყველა ნაკლოვანებას მას აბრალებდა. მიტრო, კუკური და სხვა მათი მსგავსები კბენდნენ და ისედაც მის წინააღმდეგ ამხედრებულ ამბაკოს აქტიური მოქმედებისკენ უბიძგებდნენ. პარტიის ცეკაში რამანაზე ამბაკოს ბოლო დასმენამ ნაყოფი გამოიღო, რამანა გაანთავისუფლეს. რაიკომის მდივანი იყო ედუარდ ამბროსევიჩის წარმომადგენელი და მისი უკუღმართი მიზნების შემსრულებელი რაიონში, დანარჩენებს მის ღუდუკზე უნდა ეცეკვათ, ურჩების კისრის მოსატეხად მრავალი მეთოდი არსებობდა სამსახურიდან განთავისუფლებით თვით უფალთან საგზურის გამოწერამდე. რამანა შედარებით იოლად გადარჩა, რამეთუ მისი ურჩობა განთავისუფლების დონეზე ემწარათ.

ამბაკო კაბინეტში იჯდა და მის წინ დაწყობილ აღმასკომის თავმჯდომარეობის კანდიდატურათა პირად საქმეებს ათვალიერებდა. ერთი მათგანი მათეც იყო, მაგრამ ამბაკო ამას როგორ დაუშვებდა, რამანა მაისაშვილის ბოლო თვითნებობა მათესთან შედარებით ხომ არაფერი იყო; განა მათეს გავლენის შედეგი არ იყო მაისაშვილის ასე შეცვლა?!

– ის იქედანაც მოსაშორებელია, სანამ წყალს მთლად არ აამღვრევს! – ამბაკომ მათეს პირადი საქმე გვერდზე გადადო.

დანარჩენებიც დაათვალიერა, ყველას რაღაც ნაკლი უპოვა, თუ რომელიმეს არასწორი რამ წამოსცდენია, ამბაკოს გაგებით, ან მართალი სიტყვა უთქვამს, ყველაფერი ახლა გაიხსენა.

– დიმიტრი გიოს-ძე ქიტუაშვილი, საბოლოო კანდიდატურის პირად საქმეზე წაიკითხა, – კარგი ბიჭია, არაფერი ეშლება, სულ ჩემს ქებაშია, სიტყვას არ იტყვის, რომ არ დაუმატოს, ამბაკო სიმონიჩს ასე სურს. ამბაკო სიმონიჩმა ასე თქვა, ამბაკო სიმოანიჩი ასე გვასწავლისო! მოკლედ იშვიათი მონაპოვარია. განათლება და პირადი ინიციატივა არა აქვს, თვალებში სულ მე უნდა მიყუროს. იმ მოადგილესაც მხოლოდ ეს მოუვლის, ყველა სახის ავანტიურაზე წავა; ცოდნა არ დაუშლის და სინდისი. მოკლედ ასეთი კაცი მჭირდება! – დაასკვნა ამბაკომ. – მის ადგილზე კი ვალერიან ვახახიშვილს გავუშვებ. ეგაც არანაკლები ამომგდები გამოვა ქვეყნის! როგორი შექება იცის, ალბათ, სხვებს კიდევ ტყავს აძრობს. მე რა მენაღვლება, სწორედ მაგნაირი მჭირდება, ყველა გზაჯვარედინზე ჩემს ქებას იძახის. ჩემს შემდეგ რა იქნება, სულაც არ მენაღვლება; კისერიც უტეხიათ! რაც უფრო უვარგისი დაჯდება, მით უფრო კარგად გამიხსენებენ! – ამბაკოს ცნობილი ეს თეორია მარტო მას არ ეკუთვნოდა, ამ მეთოდით მუშაობდა ედუარდ ამბროსევიჩის კადრების სამჭედლო...

სულ მალე მიტრო აღმასკომის თავმჯდომარედ აკურთხეს, ვახახიშვილი კი

მის ადგილზე განყოფილების გამგედ მოთავსდა.

ამბაკო მიტროს დიდხანს არიგებდა, უხსნიდა, როგორ უნდა ემუშავა, ყველა თანამშრომელი დაუხასიათა და ურჩია, ვისთან როგორ უნდა მოქცეულიყო. მიტროს ქაღალდი და ფანქარი ეჭირა ხელში და ამბაკოს დარიგებას გაფაციცებით იწერდა.

– ყველაფრის ჩაწერა საჭირო არ არის. ზოგი ისე დაიხსომე, რაც საჭირო იქნება მე გზადაგზა გეტყვი; მთავარია ყურადღებით იყო.

მიტრომ ქაღალდი სასწრაფოდ შეინახა, ფანქარი იქვე საფანქრეში ჩადო, სკამზე მოწიწებით შესწორდა, – ყველაფერს ისე გავაკეთებ, როგორც თქვენ მეტყვით, ამბაკო სიმონიჩ, – მის ხმაში უსაზღვრო ერთგულება გამოსჭვიოდა.

– ალმასკომის მდივანი, ვასო აბრამიშვილი, თავისებური კაცია, – ამბაკომ თანამშრომლების დახასიათება განაგრძო, – თავი ვითომ მართალ კაცად მოაქვს, ძველი მუშაკია, საქმე იცის, შეიძლება ცოტა იჭუჭყუნოს, მაგრამ როგორც საჭიროა, მაინც ისე გააკეთებს; მოკლედ იმუშაოს, ხელს ვერ შეგიშლის. საორგანიზაციო განყოფილების გამგე, რობერტ კაკალაშვილი უსაქმური კაცია, თავისი ცხოვრება ალმასკომშია ნაგდები, ყველაფერი იცის, მაგრამ მუშაობა ეზარება, ჭიქა ღვინოს დასვდევს; რაც გინდა დაავალო, ყველაფერს გააკეთებს, გამოგადგება. მათე ბაღაშვილი შენი მოადგილე კი ჩვენი საქმიანობის მტერია, გაუგებარი, შეუგნებელი, ვირი, თავისნათქვამა, ავის და კარგის გარჩევა არა აქვს, იმასთან განსაკუთრებით ფრთხილად უნდა იყო; მასალები მოუგროვე და ერთ მშვენიერ დღეს საკითხი დააყენე, მე მხარს დაგიჭერ, თავიდან თუ არ მოიცილე, მუშაობაში ხელს შეგიშლის.

მიტრო მოუთმენლად აცქმუტდა, – მაგას მოსვლისთანავე მოვსპობ! – უცებ წამოდგა, თითქოს ეჩქარება, რომ მივიდეს და მათე მოსპოსო.

– ასე იოლი არ გეგონოს, ფრთხილად იყავ, შენ რომ გგონია არც იგრეა საქმე, ეგ ბიჭი მაგარი კაკალია, იცოდე, მხრის დამჭერებიც ჰყავს! – გააფრთხილა ამბაკომ.

მიტრო თავის სამსახურებრივ მოვალეობის შესრულებას თათბირით შეუდგა. დილიდან დაიწყეს. ოთხი საათი გავიდა ისევ მიტრო ლაპარაკობდა. ყვებოდა, როგორი პრინციპული და შეურიგებელია ყოველგვარ ნაკლოვანებათა მიმართ; განსაკუთრებით ვერ იტანს ერთი წუთითაც დაგვიანებას, – ჰკითხეთ ჩემს ინსტრუქტორებს რა დღეში ვაგდებდი, სულ შიშისგან კანკალებდნენ. აქაც დაგიმყარებთ წესრიგს, თქვენს ნებაზე ხეტიალი არ გამოვა! სულ ფანჯარასთან ვიდგები, იმისი ბრალი, ვინც დაიგვიანებს, ტყავს გავაძრობ, ტყავს! აქ ეტყობა ზოგ-ზოგი თავის ჭკუაზე დადის. ეს ამბაკო სიმოანიჩმაც კარგად იცის; იმათ მე მოვუვლი! იქნება ჩემი ხასიათი არ იციან, არ დავინდობ, ჩემი თუ არ გჯერათ, იკითხეთ, ისინი გეტყვიან, რა კაცია დიმიტრი გიოევიჩი. ცხარე ცრემლით გატირებთ, ამბაკო სიმონიჩმა იცის ეს.

– რა იცის? – ერთმა თანამშრომელმა იკითხა.

– ცხარე ცრემლით რომ გვატირებს, – აუხსნა ალმასკომის მდივანმა, ვასო აბრამიშვილმა.

– ეგრეა სწორედ! – დაუდასტურა ნათქვამი მიტრომ. – ვერაფერს ვერ გამომაპარებთ. მე სულ სხვანაირი ვარ, თუ არ გჯერათ იკითხეთ! ჯერ სად არის, ბევრი გეგმა მაქვს, ამბაკო სიმონიჩმა იცის ეს. ჯერ მარტო ისეთი დარიგება მომცა, წვეთი არ გაუვა, ყველას შემწვრებს გიცნობთ, თათბირს როგორც დავამთავრებ, შედეგებზე მოვახსენებ. არა, მე სულ სხვანაირი ვარ, ჩემთან სულ

კანკალით შემოდიოდნენ, რომ დავჯდები და შუბლს შევიკრავ, ტყუილია ვინმემ გამიძლოს, თუ დავიყვირე ან მაგიდაზე მუშტი დავარტყი, უკვე გათავებულია, – მიტრო გაჩუმდა.

– რა არის გათავებული? – რობერტ კაკალაშვილმა ვასო აბრამიშვილს ჩურჩულით ჰკითხა.

– ეშმაკი და ქაჯი მაგის თავს! – ვასომ გაბრაზებით ჩაილაპარაკა.

– რამდენი ხანია ვლაპარაკობ და ვერავის ვხედავ, ფანქარი და ქაღალდი ეჭიროს და იწერდეს! – მიტრომ სუყველას თვალი მკაცრად მოავლო. ქაღალდის ფრიალი ატყდა, ზოგმა ფურცელი ითხოვა, ზოგმა ფანქარი, ბოლოს დაკომპლექტდნენ და ისევ სმენად გადაიქცნენ. – მე ბევრი ლაპარაკი არ მიყვარს თუ არ გჯერათ, იკითხეთ! – ფანქრებმა ქაღალდზე პირველი კვალი გაატარეს. – მე რომ ალმასკომის თავმჯდომრე ვარ, ეს იმას ნიშნავს, რომ მე ვარ ყველაზე, – მიტრო შეყოვნდა, რა თქვას, ჭკვიანი? მცოდნე? – ეს იმას ნიშნავს, რომ ამ საკითხში ჩემზე კარგად ვერავინ ერკვევა და რაიონშიც უნდა ესმოდეთ ეს. ამბაკო სიმონიჩს არაფერი ეშლება, იკითხეთ, მე რა შემიძლია. ვაი იმის ბრალი, ვინც ისე არ მოიქცევა, როგორც მე მინდა!

მათე მთელი ამ ხნის განმავლობაში უსიტყვოდ იჯდა, ახლა ჯიბეებში ხელებჩაწყობილი სკამის ზურგს მიაწვა და ჭერში ერთ წერტილს მიაშტერდა.

– პატიების იმედი ნურავის ექნება, სუყველას გაგცხრილავთ! ზოგ-ზოგი თავმჯდომარე არ გეგონოთ, ამბაკო სიმონიჩმა იცის ეს, მენდობა და რასაც მივაწვები, გავიტან, თუ არ გჯერათ, იკითხეთ!

– რა ვიკითხოთ? – კაკალაშვილმა ვასოს ჰკითხა.

– რომ რასაც მიაწვება, გაიტანს; ამბაკო სიმონიჩმა იცის თურმე ეს, – აუხსნა ვასომ.

მათეს მოთმინების ძაფი გაუწყდა.

– სასწრაფო საკითხი მაქვს გასარკვევი, – თქვა, პასუხსაც არ დაელოდა, ისე გავიდა.

მიტროს თათბირი კიდევ ოთხი საათი გაგრძელდა, ჯერ დამთავრება არ ეწერა, მაგრამ ამბაკომ თავისთან გამოიძახა. სასწრაფოდ გაიქცა და დაიბარა, რომ თათბირს სხვა დროს გააგრძელებდა.

თათბირის შემდეგ ვასო მათესთან შევიდა, დაჯდა და მხრებს რაღაც უცნაურად იჩეჩდა.

– მოკლედ, სასწაულსაც მოვესწარ! – თქვა და ხელი მუხლებზე დაირტყა.

– რას მოესწარ? – მათემ ნათქვამი ვერ გაუგო.

– სასწაულს მოვესწარ-მეთქი. კაცი ვბერდები და ამისთანა არაფერი მინახავს, პირდაპირ მოვლენაა. ვინ იცის, ახლა არ დაგვაღგეს, რაც დაგავალეთ იკითხეთ თუ არაო; თანამშრომლები ცალი თვალით იცინიან, ცალით კიდევ ტირიან.

– ეტყობა ორი თვალი იმიტომ არსებობს, – აუხსნა მათემ.

– კაცო, საქმე სახუმროდ გვაქვს?! – ვასომ შეიცხადა.

– რას იზამ, საჯამბაზო წუთისოფელი გვაქვს.

– მე კი ისეთი შეგრძნება მაქვს, – თითქოს ცირკში ვიყო, არა მაყურებლად, არამედ მსახიობად.

– არ არის ცუდი, როცა მაყურებელი ტაშს გიკრავს.

– მეც სწორედ მაგის მეშინია. ტაშის დაკვრის მაგიერ სტვენას დაგვიწყებენ.

– ახლანდელმა მრევლმა მხოლოდ ტაშის დაკვრა იცის, სანამ სტვენას ისწავ-

ლის, მანამდე შენი როლი დამთავრდეს იქნება. – მათემ იმედი არ გადაუწურა.

ვასო გარეთ ხელების შლით გავიდა...

ტიტიკო მექერიშვილმა კარგა ხანს უმუშევრად იარა, ეგონა გამომიძახებენ და რომელიმე მნიშვნელოვან ობიექტს ჩამაბარებენო. არავის არ გახსენებია. ბოლოს თვითონ გამოცხადდა, მიტროს მიაკითხა, დიდი იმედი ჰქონდა მისი. კაბინეტში შინაურული განწყობილებით შევიდა.

– გამარჯობა, დიმიტრი! – უთხრა და ხელი გაუწოდა.

– სხვათა შორის ჩვენთან უფროსებს მამის სახელით მიმართაენ! – ცივად შენიშნა მიტრომ, სკამიდან არც ამდგარა, რაღაც ქაღალდების ქექვა დაიწყო.

ტიტიკომ გაწვდილი ხელი ჰაერში გაუშეშდა, უხერხულობა რომ დაეფარა, ჯიბეში ჩაიყო და ცხვირსახოცი ამოიღო.

– უმუშევრობით შევწუხდი, იქნებ მომეხმარო, ჩვენი ხარ, შენი იმედი მაქვს და ღმერთმა ნურც მომიშალოს, – ტიტიკო სკამზე დაუკითხავად ჩამოჯდა. – ძალიან გამიხარდა განყოფილების გამგედ რომ გადაგიყვანეს. ვიფიქრე, ახლა კი მეშველება-მეთქი, – ტიტიკო ჯერ კიდევ იმედიანად ლაპარაკობდა.

– მაინც რას თხოულობ? – მიტრომ სხვათაშორის ჰკითხა.

– სადმე ორგანიზაციის ხელმძღვანელად გამიშვით; იცოდე, არ შეგარცხვენ.

– შენ ერთხელ უკვე შეარცხვინე ამბაკო სიმონიჩი. შენი დიდი იმედები ჰქონდა, მაგრამ არ გაუმართლე, სირცხვილია, სირცხვილი! – მიტრო სკამზე გაიჭიმა და ტიტიკოს განაწყენებული მზერა მიაპყრო.

– რა ვქნა, კაცო, შენ ხომ იცი, იქ როგორი ხალხი მყავდა, ველარ მოვერიე. – ტიტიკომ თავი იმართლა.

– სუსტები და უსუსურები ხართ ზოგიერთი, ახლა კიდევ მოდიხართ და ხელმძღვანელობას ითხოვთ; ამდენი ხანი ამბაკო სიმონიჩის ხელმძღვანელობით იმუშავეთ, ვერაფერი კი ვერ ისწავლეთ! – აი, მე მიყურეთ, უკვე განყოფილების გამგე ვარ, ამბაკო სიმონიჩი მალე უფრო დამაწინაურებს, რატომ? იმიტომ, რომ მე არაფერი მეშლება და ყველა ჩემი შიშით კანკალებს, თქვენ კი კოლექტივიდან კინწისკვრით გამოგაგდეს. წადით ახლა და სადაც გინდათ იქ იმუშავეთ! – ისე მკაცრად უთხრა, რომ ტიტიკომ ხმა ვერ ამოიღო, უკან ცივად გამობრუნდა და კარები ფრთხილად მიიხურა.

რამდენიმე ხნის შემდეგ პეტომ მიაკითხა და სთხოვა წერილები დაეწერათ ზაქროსა და მისი ბანდის დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ. ტიტიკომ ცივი უარი სტკიცა, მე ანონიმური წერილების წერა იმთავითვე მეჯავრებოდა, ზაქროს წინააღმდეგ კი ისედაც ბევრი დანაშაული მიმიძღვის, ნეტავი იმდენი შევძლო ის გამოვისყიდოო.

ტიტიკოს თავის სოფელში გაუჭირდა. ხალხთან შეხვედრის პირი არ ჰქონდა, არადა, არც სოფლის დატოვება უნდოდა. ზაქროსთან რომ მისულიყო და სამუშაო ეთხოვა, რაიმეს მოუხერხებდა, მაგრამ სცხვენოდა. როგორც გაიგო, მიტრო აღმასკომის თავმჯდომარედ გადაიყვანესო, თუმცა მისი იმედი არ ჰქონდა, მაინც გადაწყვიტა ბედი კიდევ ერთხელ ეცადა.

მეორე დღეს აღმასკომში გამოცხადდა, მოსაცდელში მდივანს სთხოვა, მიტროსთვის გადაეცა, რომ ტიტიკო მექერიშვილი უცდიდა.

ორმოცდაათ წელს მიღწეული მდიანი ქალი, ანიკო გულთბილი და ყურადღებიანი ტიტიკოს თბილად შეხვდა, – თუმცა კაბინეტში შესვლას მიკრძალავს, როცა გამომიძახებს. – შეპირდა, მოვახსენებო.

რამდენიმე ორგანიზაციის ხელმძღვანელი შემოვიდა, მიტროსთან ჰქონდათ

საქმე, ტიტიკოს ხელის აწევით და დიდი მოკითხვით რომ ხვდებოდნენ, ახლა ცივი სალამი ძლივს გაიმეტეს. ტიტიკოს მწარედ გაეღიმა, თანამდებობით და პურმარილით შეძენილი ყალბი მეგობრების და ავტორიტეტის არარაობა მთელი სიგრძე-სიგანით თვალწინ დაუდგა. ყველაფერი თანამდებობას გაჰყვა, ახლა ტიტიკო მარტო თავისი პიროვნული შესაძლებლობით იდგა ახალი ცხოვრების კარიბჭესთან.

– არა მცალია, ვერ მივიღებო, ტიტიკო გლახოევიჩ! – მიტროს კაბინეტიდან გამოსულმა ანიკომ თანაგრძნობით უთხრა.

ტიტიკო სკამიდან ადგა, მიტროსთან თავისი ურთიერთობა თვალწინ წარმოუდგა, ასეთი გარდასახვა ვერ წარმოედგინა ამ ცხოვრების ყველა უკუღმართების მცოდნეს. – ეს ვინ ყოფილა, კაცო?! – თავისთვის ჩაილაპარაკა და თავჩაღუნული გარეთ გავიდა...

პეტოს დიდი ზეიმი ჰქონდა, მისი სიძე აღმასკომის თავმჯდომარედ გადაიყვანეს. სამაღარიჩო ქეიფი მოაწყო. პირველ დღეს ამბაკო და მის მიერ შერჩეული ხალხი ჰყავდა დაპატიჟებული. მიტროს მიმართ მრავალი თბილი და გულის ამჩუყებელი სიტყვა ითქვა; პეტო ფრთებშესხმული იყო.

მეორე დღეს კი თავის ახლობელ თანამოაზრეთა შემადგენლობა დაპატიჟა. მიტრო მოგვიანებით გამოცხადდა და სტუმრებს მისალმება წყალობასავით დაურიგა.

რამდენიმე ნათესავის გარდა ამ პურმარილს ესწრებოდნენ: ნოღა გოგია, პეტოს ანონიმურ ბრძოლაში თანამოაზრე და გვერდში მდგომი, რაიონის სატყეოს უფროსის მოადგილე ზალა ჭიღიტაშვილი, მას თან ახლდნენ მჟავე ფორე, რეტიანი ნიკო ორივე ტყის ნადირის რისხვა, – ასე გააცნო სიძეს. ეს კი რობა კვირიკაშვილია, ჭარხალა ცარიელი შანსია, კაცური კაცია, თუ დაგჭირდა, შენი გულისთვის კაცს მოკლავს! – ასე გააცნო პეტომ მიტროს. – მოკლედ, ეს სამი კაცი და სატყეოს უფროსის მოადგილე მე დამითმე. იგრე აგიწყობთ საქმეს, შენი მოწონებული, თუ ვინმე ხელს შეგიშლის, ხელად მოგაცილებთ!

– თამადობა პეტომ იკისრა. მამალივით გაფხორილი და შუბლშეკრული მიტრო გვერდზე მოისვა.

– ბიჭო, ეგ მეღოლე არ იყო? – „ჭარხალამ" მჟავე ფორეს გადაუჩურჩულა, – რაც მაგისთვის შაბაში მიმიცია და მერე ისევ წამირთმევია!

– ეგრეა, ახლა საჭირო კაცია, მაგ ადგილიდან გააგდებენ და ისევ ძველებურად დაუკრავს, – უწინასწარმეტყველა მჟავემ.

მიტრო მიხვრა-მოხვრაში, სუფრაზე გაბღენძვაში, სიჩუმის მოთხოვნაში და სიტყვის თქმაშიც სულ ამბაკოს ბაძავდა. ყოველ მეორე სიტყვაში მას ახსენებდა; ერთხელ არ გაუღიმია, ოფიციალური და შუბლშეკრული იყო.

– კაი პეტუხი ჩანს! – ჩაილაპარაკა ჭარხალამ.

– პეტუხია თუ ყვინჩილა დღეს მაგის ყივილზე კი თენდება და, – შეეპასუხა რეტიანი ნიკო.

– რამდენი შენი მსგავსი ოხერი ეუბნება მაგ უბედურს, შენს ყივილზე თენდებაო, მაგასაც სჯერა და იმიტომ არის ეგრე გაბერილი; ეტყობა თავი მთლად ცარიელი აქვს, – ჭარხალამ დაასკვნა.

მიტროს კი ხელში ჭიქა ეჭირა. ფეხზე იდგა და აზრებით დამძიმებული გრელ სადღეგრძელოს ამბობდა:

– აქ მოსვლის დრო არ მქონდა, ეს ის ნახე, იქ წადი, ის შემოწმე, რაიმე არ გაფუჭდეს, ეს ის, ეს ესე და ხომ იცით, რა უზარმაზარი ტვირთი მაწევს მხრებ-

ზე, – მიტრომ მხრები ისე შეათამაშა, თითქოს ტვირთის სიმძიმეს ამოწმებდა. – ჰოდა, დრო მაინც გამოვნახე და ახლა თქვენს გვერდით ვარ. ამბაკო სიმონიჩი გუშინ აქ იყო, ვინც მოიხილა, კარგად ახსოვს, როგორ მაქო. ჩემი არქება არ შეიძლება, ცეცხლივით ვარ. ალმასკომში გაკვირვებულები არიან, ეს ვინ მოგვივიდა, მაგის უცოდინარი არაფერი არისო, უცებ რა წესრიგი და შიში შემოიტანაო, რა მაგარი თათბირი ჩაატარაო, თავი როგორ უჭირავს, ერთი არ გაიცინებსო. ეს ყველაფერი მათი მონაყოლია, ხომ იცით, ჩემი ხალხი ყველგან მყავს, ეგ კი არა, თათბირი რომ ჩავატარე, მეორე დღეს ერთმანეთის ჩუმრად შემოდიოდნენ თანამშრომლები და სულ ჩემს ქებაში იყვნენ, ეს რა კაცი მოგვევლინე, ასეთ რამეს არ მოვსწრებივართ, პირდაპირ გადავირიეთო. მე, ხომ იცით, ისე ვიჯექ, ვითომ ეს ალპარაკი მე არ მეხებოდა. აბა, მაშ როგორი უნდა ვიყო-მეთქი, სხვათა შორის ჩაურთავდი ხოლმე; ისინი კი მაქებდნენ და მაქებდნენ. ახლა იქ არიან ზოგ-ზოგები, ხომ იცით, მე იმათ მოვუვლი. ამბაკო სიმონიჩი მეუბნება, მიდიო. მდივანი მყავს ბებერი, კიდევ არის ერთი მათე, გვარს არ ვიტყვი, ჩემი მოადგილეა, მოადგილე რად მინდა, ვიტყვი და კიდეც გაკეთდება, კარგად ვერ მიცნობთ, თორემ გაგიკვირდებოდათ, ეს ვინ არისო, თქვენ კი არა, ხანდახან მეც კი მიკვირს, რა სასწაული კაცი ვარ!

– ეს ცოტა დაცენტრილი ჩანს, აი – „ჭარხალამ“ ჩაილაპარაკა.

– მაგის ცოდვა მეეწიოს, ვინც ეგ აღმასკომის თავმჯდომარედ დასვა; გაგიქებას ერთი ნაბიჯიღა უკლია! – დაასკვნა რეტიანმა ნიკომ.

– აფსუს, მაგის ხელობა რა იოლი ყოფილა, მდივანსაც ახალგაზრდას დაიყენებს და კარგად მეყოლე. შე უბედურო ჩემო თავო, მაგნაირი ბედი შენ შეგხვედროდა, რა ნაკლები ტრაბახი ვიცი, თუ ლამაზი მდივნის არჩევა შემეშლებოდა?! – მჟავე ფორემ თავისი კანდიდატურა მოიწონა;

მიტრო კი გაუთავებლად ლაპარაკობდა და არავინ ჰყავდა ეთქვა, გეყოფაო...

ჭილიტაშვილი ზალა სატყეოს უფროსის მოადგილედ უკვე მეორე წელი მუშაობდა. თვითონ უფროსი ამბაკოს არ მოსწონდა, მაგრამ სამინისტრო მხარს უჭერდა. ამდენ დავიდარაბაში ეს საქმის მოყვარე, პატიოსანი კაცი ავად გახდა და სამსახურში ვეღარ ცხადდებოდა, ამბაკო კი უფროსად ზალა ჭილიტაშვილს სთვლიდა. ახლა ჭილიტაშვილი მიტროს კაბინეტში ესტუმრა.

– დიმიტრი გიოევიჩ, თქვენმა სიმამრმა და ჩვენ ერთად ძალიან კარგი საქმე ჩავიფიქრეთ, ალაზნის ჭალაში საკუთარი ცხვარი და ძროხა გვეყოლება, ოღონდ იქ რამდენიმ კოლმეურნეობის საქონელი დადის, უნდა აუკრძალოთ; ჩვენ რამდენიც გინდა გვყავდეს, მომკითხავი არავინ იქნება.

– ჭალაში კოლექტივის საქონელს რა უნდა, სასწრაფოდ გამოვაყრევინებ, სადაც უნდათ იქ წაიყვანონ! – მხარი დაუჭირა მიტრომ.

– კიდევ ერთი საკითხია, ვითომ ალაზანი გადმოვარდა და ხეები გაახმო, ხეებს გავჩეხავთ ორი-სამი წლის განმავლობაში საზამთროს ვერ გამოვლევთ; ტყის მიწაზე საუცხოო მოსავალს იძლევა.

– ეგაც კარგია, ამოძირკვეთ! – დაეთანხმა მიტრო.

– მე ჩემს ზემდგომში საკითხს დავაყენებ, თქვენი წერილი იქნება საჭირო.

– წერილი მოამზადეთ, მე ხელს მაშივნე მოვაწერ.

– დიმიტრი გიოევიჩ, ტყის გაკაფვის გეგმა მაქვს, შეშა უნდა დავამზადოთ. რაიონის სკოლებზე, საბავშვო ბაღებზე, მოსახლეობაზე, მეცხოველეობის ბინებშიც ბევრი მიაქვთ. თქვენმა მოადგილემ სული ამოგვხადა, ერთი კუბამეტრის გაყიდვის საშუალებას არ გვაძლევს, ვისაც რამდენი გაუნაწილა, ზუსტად

მოითხოვა მისი შესრულება, მოკლედ, გასაქანს არ გვაძლევს.

– მათეს არაფერი ეკითხება! ცოტაც და ალმასკომშიც მაგის ხსენება არ იქნება, ეს იცის ამბაკო სიმონიჩმა, მე მაგას არაფრად ვაგდებ!

– იმ შეშას გზას გამოუძებნით, ძალიან კარგ ფასში იყიდება, თქვენ კი გვიან გაანაწილეთ, თანაც ცოტა და ვინც გინდა იჩივლოს. მის შესრულებას ნუ მოითხოვთ, სანამ ისინი გონზე მოვლენ, შეშას თავის გზაზე გავუშვებთ. ბოლოს იღავღავებენ და გაჩუმდებიან, ზამთარიც გაივლის, დათბება თანდათან ყველაფერი დაავიწყდებათ; პეტო საქმის კურსშია, ჭილიტაშვილმა ყველაფერი აუხსნა.

– ძალიან ჭკვიანურად მოგიფიქრებიათ, ყოჩაღ! შეშაზე ხმას არავის ამოვაღებინებ, აბა გაბედოს მაგ მათემ და უბატონოდ ხმა გაგცეს, ჭრაქივით გავაქრობ!

– ძალიან კარგი ბიჭები ვიშოვე, წუხელ პურმარილზე რომ იყო, ჭარხალა ქურდია, იმისი შიშით ტყეში რაც ხდება ხმას ვერავინ ამოიღებს, თუ ვინმემ მაინც გაბედა, ისეთ დღეში ჩააგდებს, სულ თავბედს აწყევლინებს, თუ გაჭირდა, კაცს ისე მოკლავს, თვალს არ დაახამხამებს. ძმაკაცებიც კარგი ჰყვს მჟავე ფორე და რეტიანი ნიკო, იმათი შიშით ენას ყველა მუცელში ჩაიგდებს, – ზალამ ხმას დაუწია, – თქვენ ძალიან დიდ პატივს გცემენ, პეტოსთან ხომ პირდაპირ ძმებივით არიან, თუ დაგჭირდა, თქვენი გულისთვის კაცს მოკლავენ და ისე გააქრობენ კვალს არ დატოვებენ!

– ეგრეა, ეგრე. მე ყველა მაფასებს თუ მოვინდომე, თითს გავატოკებ და მათეს ეგ ბიჭები ხელად თავს წააცლიან ისე, რომ სველი ადგილი არ დატოვონ, ვიცი მე, აბა, ვინმემ მაგათ ხმა გასცეს, დედას ვუტირებ! როგორც უნდათ იგრიალონ, მაგათი ხმის გამცემი კაცი არ იქნება, – მიტრო ახლა თავისი თავის ქებაზე გადავიდა, ზალას კარგა ხანს უყვებოდა, რა შეუძლია და ამბაკო სიმონიჩი როგორ ენდობა. შეწუხებული მსმენელი კი მოუთმენლად ელოდა მისი ქადილის დამთავრებას.

მიტროს ფიქრიას სიძულვილის გრძნობა ისევ შეუჩნდა. აბა ეს შემფერის მე, მთელი რაიონის თვალსა და ხელმძღვანელს?! არსად გამოსაჩენი არ არის, არადა რამდენი ლამაზი დადის, თვალები სადა მქონდა, სად?! ბედს უბრაზდებოდა და გამოსავალს ეძებდა, მისთვის შეუფერებელი ფიქრიასგან თავი როგორ დაეღწია.

ერთხელ პედაგოგიურ ტექნიკუმში შეიპატიჟა მისმა დირექტორმა, რემონტისათვის თანხის გამოყოფა სურდა. ძლივს მიაღწია საწადელს, მაგრამ მიტროს შენობის დათვალიერება სულაც არ აინტერესებდა, ლამაზთა კონტინგენტის დათვალიერება უნდოდა.

დირექტორი, პედაგოგების გაცნობის შემდეგ ოთახების დასათვალიერებლად გაუძღვა. მიტრომ ერთ მშვენიერ მასწავლებელს თვალი ვერ მოსწყვიტა, ისიც გამომწვევად უღიმოდა. მიტრომ გაცნობის დროს მისი ხელი დიდხანს არ გაუშვა. ახლაც ყურში თბილად უღიტინებდა მისი რაღაც განსაკუთრებული სინაზით და ვნების ამღძვრელი საამო ნათქვამი: – ამალია იაშვილი, ქიმიის მასწავლებელი, ძალიან სასიამოვნოა, ბატონო ალმასკომის თავმჯდომარევ, რომ ჩვენთან მობრძანდით! ქალს ხელის გაშვება არ უცდია, თითქოს უნდოდა, რომ მიტროს დიდხანს სჭეროდა; თვალებში უყურებდა და ეშმაკური ღიმილით უთამაშებდა.

მიტრო ტექნიკუმის დირექტორს ბრმასავით დაჰყვებოდა და მის მოთხოვნაზე თავს ინსტინქტურად უქნევდა, ფიქრებით კი ამალიასთან იყო, რომელიც ერთხანს მათ გაჰყვა, მაგრამ დირექტორმა თავაზიანად დაითხოვა. ვახ, რა ქალია, კაცო! მიტრო თავის თავს ესაუბრებოდა, – სად იყო ეგ დალოცვილი თავის დროზე, მე რომ ბედი მქონოდა, ფიქრიას გადაეყრებოდი და ეგ მშვენიე-

რი ქალი განზე დამრჩებოდა?! – მიტრო თავის ბედს ედავებოდა.

წასვლის დროს ამალია ისეთ ადგილას დაუხვდა, რომ გამომშვიდობებოდა; – მთლად ნუ მიგვატოვებთ, ბატონო თავმჯდომარევ! – თქვა ხელის ჩამორთმევისას და ვნებიანად გაუღიმა.

– ვეცდები, ძალიან ვარ დატვირთული, თუ რაიმე დაგჭირდეს – გამომიარე, შენი სტუმრობა ძალიან გამიხარდება, – საქმიანი კაცის ტონით უთხრა მიტრომ და დირექტორის თანხლებით შენობიდან გავიდა.

რამდენიმე დღე მოსვენება აღარ ჰქონდა, თვალწინ სულ ამალია იაშვილი ედგა, მასთან დაკავშირება ვერაფრით მოახერხა; ჯავრი მდივან ანიკოზე იყარა: – რატომ აგრე დადიხარ, ქალო, რომ არაფერი გაგეგება! – დილითვე აუყვირდა, როგორც კი გაზეთები შეუტანა, – შე ოხერო, გაზეთები რომ მოგაქვს ამ დილაობით უსაქმური გგონივარ?! – მიტრომ ხელი მაგიდასკენ გაიშვირა, სადაც ქაღლდების მთელი დასტა ეწყო. ეს ზემდგომი ორგანოების დადგენილებები იყო, მისი წაკითხვა ჭირივით ეჯავრებოდა, – ხედავ, ამას წაკითხვა არ უნდა?! ახლა სხვა ათასი საქმე მაქვს, შენ მაგას როგორ მიბედავ?! წაიღე და მოადგილეს მიუტანე, დაანებე მუშაობას თავი, როცა ამდენ ხანში ვერ ისწავლე, რა უნდა აკეთო! ხვალიდან აქ აღარ გნახო! – მიტრომ ხელები ჰაერში გაასავსავა, მაგრამ ანიკოს თვალებში ისეთი რისხვა ამოიკითხა, ხმის ამოღება ვეღარ გაბედა.

სამაგიეროდ შეურაცხყოფა ანიკომ არ აპატია, ყოველთვის თავმდაბალი და კეთილი ქალი ძუ ვეფხვს დაემსგავსა.

– ამხელა გაუზრდელი სად გაიზარდე. შე მართლა ვირო და უწიგნურო! ეს ქაღალდების დასტაც იმიტომ გიწყვია, რომ წაკითხა გეზარება! აქ შენისთანა მაიმუნი უნდა მუშაობდეს?! წესიერი ადამიანი როგორ გაგიძლებს, თფუჰ! – მიაფურხა და გარეთ გავიდა. ამგვარმა შეურაცხყოფამ ჯერ გააცოფა, გარეთ რომ გავარდა, ერთბაშად მოეშვა, მაგიდაზე დაემხო და აქვითინდა.

ოთახში აღმასკომის მდივანი ვასო შევიდა, ხელში დიდი დასტა ქაღალდები ეჭირა.

– ანიკო რა გატირებს? – გაკვირვებული თავზე დაადგა.

ქალმა მაღლა აიხედა.

– რაც მოვიდა, უშვერი პირით მლანძღავს, მაგას ან დედა არა ჰყავდა, ან გამზრდელი? ასეთი ტყის კაცი საიდან მოძებნეს, ღმერთო ჩემო! – ანიკომ ცრემლები მოიწმინდა და ადგა. – გაზეთები რად შემომიტანე, უსაქმური ხომ არ გგონივარ, მოადგილეს მიუტა და შენ ხვალიდან აქ აღარ დაგინახოო.

ვასომ მხრები აიჩეჩა და მიტროსთან შევიდა.

მიტრო მაგიდასთან იჯდა, რომელიღაც დადგენილება გადაეშალა, მაგრამ შიგ არ იყურებოდა, ამალიაზე ფიქრობდა. რა ქალია, კაცო! მა ჩემსავით გამოჩენილ კაცს ფიქრია უნდა ჰყავდეს ცოლად, ე ჯეირანივით ამალიას კი ვინ იცის, შეიძლება სულ უბრალო თანამდებობის ვიღაცა ეარშიყება, თფუჰ, ჩემს ბედს რა ვუთხარ"!

– ახალი დადგენილებები მოგიტანე, დიმიტრი გიოევიჩ, – ვასომ ფიქრები შემოუფრთხო.

– ვახ, კაცო, ამდენი დადგენილებებით მოვკვდი! – მიტრომ ხელები გაშალა.

– თუ განიხილე, ის ძველები მომეცი, ზოგი ძალიან სასწრაფოა, პასუხს თხოულობენ, – ვასომ ახალი დადგენილებები მაგიდაზე დააწყო და ძველის მთელი დასტა აიღო. დათვალიერება დაიწყო, – არ განიხილე? – შეეკითხა.

– აბა, როდისღა განვიხილავდი, ხომ იცი რამდენი საქმე მაქვს, ეს ამდენი დადგენილ... მიტრომ სიტყა აღარ დააბოლოვა, დადგენილებები უნდოდა ეთქვა, მაგრამ ვასოსთან ველარ გაბედა, მან ხომ იცოდა, დადგენილებებში და საერთოდ ქაღალდებში ჩამხედი არ იყო, – ხომ იცი რამდენი საქმეა! – მიტრომ იხტიბარი არ გაიტეხა.

ვასომ იმ დასტიდან რამდენიმე ქაღალდი ამოირჩია, – ეს ახლავე ნახე, სასწრაფოდ პასუხს თხოულობენ, დანარჩენი დღესვე უნდა განიხილო, თორემ ძალიან დაგვიანდა, გაგვიბრაზდებიან! – ვასო გარეთ ხელცარიელი გავიდა და მათეს შეუარა.

– აღარ ვიცით რა ვქნა, უკვე რამდენი ხნის მასალებს არ იხილავს, ეგრე თუ გაგრძელდა, წარმოდგენა არა მაქვს, რა დღეში ჩავვარდებით!

– რომელიც სასწრაფოა, ან განსაკუთრებულ კონტროლს მოითხოვს, გადახედე, რომ წინაწარ დავიჭიროთ თადარიგი, – დაარიგა მათემ.

– შენი არ ვიცი, მაგრამ მე ეტყობა ანიკოს მალე მივყვები! – ვასომ ხელები ჩაიქნია და გარეთ გავიდა.

მიტრომ ერთი დადგენილებაც ვერ წაიკითხა, გვერდით მიაგდო და ზარის ღილაკს თითი დააჭირა. ანიკო მაგიდას ალაგებდა, წასასვლელად ემზადებოდა, არავინ რომ არ გააგონა, მიტრო გარეთ გამოვიდა, შენ ზარის ხმა არ გესმის?! – ანიკოს აუღრიალდა.

– მე აღრ ვმუშაობ, აქედან მივდივარ! – ანიკომ უხეშად უპასუხა.

– ჯანდაბამდის გზა გქონია! – მიტრომ მიაძახა და უკანვე მობრუნდა.

– აბა, ეს ადამიანია?! – თქვა ანიკომ და გასასვლელისკენ გაემართა.

მიტრომ რობერტ კაკალაშვილი ტელეფონით გამოიძახა. ისაც სასწრაფოდ გამოცხადდა და ახლა მის წინ მოკრძალებით იჯდა.

– კაცო, ხომ იცი, რამხელაზე ვარ გადატვირთული, ამდენ მსხვილმან-წვრილმან საქმეებს ველარ აუდივარ, ჰოდა, ეს ამოდენა დადგენილებები კიდევ გულს ცალკე აწყალებს. ახლა შენ როგორც ჩემთვის ყველაზე სანდო და ახლობელი კაცი, ეს ამბაკო სიმონიჩმაც იცის და, სხვათა შორის, ყველაზე კარგი კაციაო, თქვა, აბა მოადგილე და ვასო შენთან რა სახსენებლები არიან. ეს დადგენილებები შენ წაიღე, ყველა ყურადღებით წაიკითხე, მითხარ, რა დავაწერო და... გასაგებია?

რობერტ კაკალაშვილი იშვიათი ეშმაკი და ალღოიანი კაცი იყო, მიტროს ნათქვამს მაშინვე მიუხვდა.

– დიმიტრი გიოევიჩ, მე დადგენილების ზემოდან ქაღალდებს დავამაგრებ რა უნდა გაკეთდეს ზედ დავაწერ, თქვენ კი რეზოლუციად გადაწერთ და ხელს მოაწერთ.

– კარგი იქნება, ძალიან კარგი აზრია, ჭკვიანი კაცი ხარ, რობერტ! – მიტრომ ქაღალდების დიდი დასტა გადასცა.

რობერტი კარებისკენ წავიდა.

– თუმცა, მოიცა, მოიცა, რობერტ! – მიაძახა.

რობერტი მობრუნდა.

– რაღა გადავწერ-გადმოვწეროთ, ზედ იგრე დააწერე, რომ მარტო ხელის მოწერა იყოს საჭირო, ხომ გაიგე?

– გავიგე, დიმიტრი გიოევიჩ, ისე იქნება, როგორც ბრძანეთ, – უპასუხა. გულში კი გაიფიქრა: ამ დალოცვილს დალეჭილის გადაყლაპვა აღარ უნდა!

მიტრომ ეს დიდი ტვირთი მოიშორა და შვებით ამოიხვნეშა. მაგიდასთან

დაჯდა, გაიბღინძა, თავი ამაყად მოატრიალ-მიატრიალა. ყოჩაღ, ჩემო თავო, მთელი რაიონის მთავრობა ხარ, რაღა მეფე და რაღა მე, ამხელა თანამდებობის კაცს ცოლად ფიქრია უნდა ჰყავდეს?! აფსუს ამალია! მიტრომ ტელეფონისკენ გაიხედა, იქნებ დარეკოს, მაგრამ რა უთხრას დირექტორი თუ შეხვდა? რაიმეს მოიფიქრებს. ყურმილი დიდი მღელვარებით აიღო, ქალის ხმამ უპასუხა: – ამალია მინდა, იაშვილი... ამალია ხარ? როგორ ვერ გიცანი. დიმიტრი გიოევიჩი ვარ, ალმასკომის თავმჯდომარე, ჩემთან რატომ არ გამოიარე? მე ყველა საქმეს გადავდებ და დაგელოდები, იცოდე... ერთი საათის მერე? ეგ გაკვეთილი სხვას ჩაატარებინე ან სულაც ნუ ჩაატარებ, თქვი, რომ ჩემთან გამოგიძახეს. გელოდები! – მიტრომ ყურმილი დადო და სიამოვნებით გაიზმორა.

ადგილზე ვერ ისვენებდა, ამალიასთან შეხვედრის გეგმას აწყობდა, რა უნდა ეთქვა, იმაზე ფიქრობდა, დრო გადიოდა, ამალია კი არ ჩანდა, რა ქნას? კიდევ დარეკოს? მიტრო ადგა და კაბინეტში სიარული დაიწყო. რამდენი ხანი გავიდა, აღარ ახსოვს, კარი ფრთხილად გაიღო, ზღურბლზე ამალია გამოჩნდა, იღიმებოდა. მიტრომ კარებთან მიირბინა და ჩამოსართმევად ორივე ხელი გაუწოდა. დიდი მოწიწებით შემოუძღვა, სკამი შესთავაზა, თვითონ თავის მაგიდასთან დაჯდა. ხელები დაიკაპიწა, მხრები შეათამაშა, გაიჭიმა, გაიზმორა, თითქოს ეუბნებოდა, ნახე, რა კაცი ვარო. ამალიაც ეშმაკურად იღიმებოდა, მამაკაცებთან ურთიერთობაში დიდი გამოცდილების მქონე რამდენიმე წელი ქმართან გაცილებული იყო, ისიც სულ ექვსი თვე გაატარეს ერთად, მაგრამ ამალია უკაცობას სულაც არ განიცდიდა. მიტროს მაშინვე მოუძებნა სუსტი ადგილი და ახლა მდგომარეობის ბატონ-პატრონივით იჯდა.

მიტრო ღელავდა, სიტყვის თქმა ვერ მოეხერხებინა. ამალია ამას გრძნობდა და გამბედაობა უფრო ემატებოდა.

– რაზე დამიბარეთ, დიმიტრი ბატონო? – ნათქვამი იდუმალი ღიმილით შეაზავა.

– ძალიან მომეწონე, ამალია, უშენოდ ვეღარ გამიძლია! – მიტროს ხმა უკანკალებდა.

– ვაი მე!... – ამალიამ პირზე ხელი მიიფარა, – ეგ რა მითხარით, დიმიტრი!

– მართალი გითხარ, მალე ჩემს მახინჯ ცოლს გავაგდებ და შენ წაგიყვან ცოლად!

– არა, ამას ნუ ჩაიდენთ! – ამალიამ შეიცხადა და თავის გამოხედვას ვნებიანი სითბო მოუმატა.

მიტრო ადგა, ამალიასთან მივიდა და მხრებზე ხელი მოხვია.

– ვაიმე რას შვრებით, მრცხვენია! – ამალია გაინაზა.

მიტროს აღარაფერი ესმოდა, წამოაყენა და გაშმაგებით დაუწყო კოცნა. ამალია ჯერ სუსტ წინააღმდეგობას უწევდა, მერე მთლად მიენდო, ბოლოს კი ხელის კვრით მოიშორა.

– კარგი, გეყოფა, ზოგი მერე, არავინ შემოგვისწროს!

მიტრო ბავშვივით დაემორჩილა, თავის სკამზე დაჯდა და მოუთმენლად ჰკითხა:

– როდის შევხვდეთ?

– რა ვიცი, შეხვედრა რად გინდა? – მიამიტივით ჰკითხა.

– რად მინდა კი არა, შენთვის ჭკუას ვკარგავ! მდივანი მაინც მყავდეს, გამოგიძახებდა ხოლმე, – მიტომ მოიჩივლა.

– მდივანი არა გყავთ?

– არა, გავაგდე.

– გინდა კარგი გოგო გიშოვო?

მიტრო სიხარულისგან შეხტა. – მოიყვა, სად არის? დღესვე გავაფორმებ! ვინ არის?

– ნარგიზა წიკლაური, ჩვენი ტექნიკუმი დაამთავრა, მშვენიერი გოგოა, როცა ჩემი ნახვა გინდოდეს, იმას დაავალებ, – უკვე შინაურულად უთხრა.

– დღესვე მოვიდეს, დღესვე! – მიტროს მოთმინება აღარ ჰყოფნიდა. მაგიდას შემოუარა, ამალიასთან მივიდა და ხელები მოხვია.

ქალი ადგა, მიტრო ნაზად მოიცილა.

– ახლა წავალ, – უთხრა და თმა შეისწორა.

– არ წახვიდე, ცოტა ხანს კიდევ დარჩი რა! – მიტრო შეეხვეწა.

– ზოგი კიდევ სხვა დროს, – ამალიამ ვნებიანად გაუღიმა და კარებისკენ წავიდა. – კარგად იყავი, მიტო! – ამალიამ ხელი ნაზად დაუქნია და კარები მიხურა...

რამდენიმე საათის შემდეგ მიტროს წინ მშვენიერი გოგო, ნარგიზა წიკლაური იდგა.

მიტრო აღფრთოვანებული იყო, ამალია სულ დაავიწყდა, ახლა ემზადებოდა, ფიქრიას გაგდება და ცოლად წაყვანა ნარგიზასათვის შეეთავაზებინა. იმავე დღეს ნარგიზა პირად მდივნად გააფორმა.

ნარგიზა ამალიას შორეული ნათესავი იყო, სწავლის დროს ამალია მფარველობდა და ეხმარებოდა. სამაგიეროდ, ამ გოგოს ხშირად ისეთ რამეს ავალებდა, რომელიც სხვა შემთხვევაში მხოლოდ თავის მეტს არავის ანდობდა. მოკლედ, საიდუმლოდ კონსპირირებულ შუამავლის როლს ასრულებდა, ზედმეტი ლაპარაკი არ იცოდა, ამალიაც ამიტომ აფასებდა. თუმცა მოპრანჭვა უყვარდა, ბუნებით პატიოსანი გოგო უფლებას არავის აძლევდა, რაიმე ეკადრებინათ. მიტრომ პირველ დღიდანვე არშიყი დაუწყო. ამალია თითქმის გადაავიწყდა. როცა დროს მოიხელთებდა, მაშინვე ფიქრიას ლანძღვას იწყებდა. შენნაირი გოგო უნდა შემხვედროდა, რამდენიმეჯერ ხელიც მოჰხვია, ვითომ სხვათა შორის. შემკრთალი გოგო ვერაფერს ეუბნებოდა, მაგრამ მასთან შესვლის ეშინოდა. მიტროს თითი სულ ზარის ღილაკზე ედო. ნარგიზას მიღების ერთი კვირის თავზე კი თავისი გეგმები გადაუხსნა, რომ ფიქრიას გააგდებდა და მას წაიყვანდა ცოლად, მერე ხელები მოხვია და კოცნა დაუწყო; გოგო ძლივს გაუსხლტა და მთელი დღე მის ზარზე აღარ რეაგირებდა. ორჯერ კი მიტროს ისეთი პასუხი აგემა თავაშვებულ არშიყზე, რომ ახლა მიტროს ეშინოდა მისი კაბინეტში შესვლის; დაისვენა გოგომ. როცა ამალიას წერილი გადასცა – საღამოზე ჩემთან მოდიო, ძალიან გაუკვირდა და ისევ უწმაწურად წაატანა ხელი, მაგრამ გოგომ ისეთი განმგმირავი მზერა მიაბჯინა, რომ მიტროს კინაღამ ამალიასთან შეხვედრის სურვილიც დაეკარგა...

გვიანი შემოდგომა იყო. ციოდა, ყველა გათბობისთვის ზრუნავდა, სკოლები, საბავშვო ბაღები. ორგანიზაციები, ხალხი სათბობს მოითხოვდა, განაწილება რატომღაც დაგვიანდა. მიტრო ჯერ ყველას აიმედებდა, ცოტა ხანს მოიცადეთ, მე ყველაფერი ვიცი და გათვალისწინებული მაქვსო, ბოლოს, ყინვები რომ დაიჭირა და ხალხმა შეაწუხა, მიტრო ყველას თავიდან იცილებდა, ეგ საკითხი მე არ მეხება, მოადგილესთან წადითო, ყოველივე ეს ისეთი მოულოდნელი იყო, სუყველა სახტად დარჩა. მათე საგონებელში ჩავარდა, ამ საკითხის მოგვარება ქიტუაშვილმა ითავა, ახლა კი როცა დანა ყელთან არის, ამბობს, მე არაფერი ვიციო.

მათესთან კაბინეტში სოფლის საბჭოს თავმჯდომარე მოსე გოძიაშვილი,

ქალაქის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე ელენე ხელაშვილი და მდივანი ვასო ისხდნენ.

– რაიმე უნდა ვიღონოთ, მათე, თორემ ბავშვები სიცივით გაგვეყინებიან! – ელენე შეწუხებული იყო.

– მეც ხალხმა თავ-პირი მომაჭამა, ერთი გაჭირვებული ინვალიდი კაცი მყავს, ორივე ფეხი მოჭრილი აქვს, იმაზე ძალიან ვდარდობ, რაღაც უნდა მოუხერხოთ, – იხვეწებოდა მოსე.

– ის ქაღალდი მოძებნე, სადაც ჩვენთვის სათბობად შეშა იყო გამოყოფილი, – მათემ ვასოს დაავალა.

– მე სად უნდა ვნახო, თავმჯდომარეს აქვს ჩაკეტილი, – ვასომ ხელები გაშალა.

– მიდი, ჩასაკეტად სხვა ქაღალდი მიეცი, ის კი სასწრაფოდ მომიტა! – მათეს ხმაში ამოსაფრქვევად გამზადებული ვულკანი იგრძნობოდა.

ვასო გავიდა, მაგრამ ათიოდე წუთის შემდეგ ისევ ხელცარიელი შემობრუნდა. ის ქაღალდი რად გინდა, ისე მოახერხეთ რამეო. მაგ კაცისა ვერაფერი გამიგია, – ვასო დაბნეული იყო.

მათემ მიტროს დაურეკა: – შეშის შესახებ წერილი რომ მოგვივიდა, შენ არაფერი იცი? მანდ სეიფში გაქვს, მოვალ და მე თვითონ მოვძებნი. არ იცი რომელია? – ვასო, წადი, აჩვენე რომელია და აქ მოიტა! – მათემ ყურმილი დადო.

მალე ვასომ ქაღალდით შემოაღო კარები.

– ვახ, კაცო, რა ძალიან უფრთხილდებოდა, ძლივს არ დავაღწიე!– ქაღალდი მათეს გადასცა.

– ნახეთ, სულ ჩვენი რაიონის სატყეოზე ყოფილა განაწილებული, რა იოლად შეიძლებოდა საქმის მოგვარება! – მათემ ყურმილი აიღო.

სატყეოს უფროსის მოადგილე ადგილზე დაუხვდა.

– ზალიკო ხარ?... შენთან სასწრაფო საქმე გვაქვს, ახლავე მოდი, ძალიან ვთხოვთ!... რა საქმეა?... რომ მოხვალ გაიგებ! – მათემ ყურმილი დადო.

– ზოსიმე, ჩემი მანქანით წადი და მოიყვანე, თორემ ეგ ისეთი თავხედია, არ მოვა, შეიძლება სულაც დაიმალოს

ზოსიმე სასწრაფოდ გავიდა და ოც წუთში ნირწამხდარი ზაალი თითქმის ძალით შემოიყვანა.

– მოდი შე კაი კაცო, რა ფეხებს ითრევ, მთელი რაიონის შეშით მომარაგება შენზე ყოფილა და ჩვენ კიდევ ღობე-ყორეს ვედებით, – ზოსიმე ლაპარაკით შემოჰყვა.

– რაიონისთვის რამდენი კუბამეტრი გაქვს დამზადებული? – მათე მაშინვე შეეკითხა.

– დასამზადებელი სად რა იყო, რა დამემზადებინა! – ზაალმა აგდებით უპასუხა.

– შენ ეს ქაღალდი არ მიგიღია? – მათემ მიტროსგან შემოტანილი წერილი აჩვენა.

– მივიღე, მაგრამ რა აზრი აქვს, არა გვაქვს და... – ქაღალდი ისევ უკან დაუბრუნა.

– სასწრაფო დეპეშა მოამზადე ამათი სამინისტროს სახელზე, რომ ერთი ღერი შეშა არ დაუმზადებიათ, სკოლები გათბობის გარეშე დატოვეს, მოვითხოვოთ სპეციალური კომისია შესამოწმებლად. მინისტრს ახლავე დავურეკავ! – მათემ ვასოს მისცა დავალება და ყურმილს მისწვდა.

– დარეკვა ან დეპეშა რა საჭიროა, მოვიდნენ და წაიღონ, უარი როდის

მითქვია! – ზაალმა თავი იმართლა.

– შეშას საგეგმო განყოფილება გაანაწილებს, ხვალიდანვე დაიწყონ გამოზიდვა! რაც შეეხება სამინისტროს, დეპეშა მაინც შევადგინოთ, დიმიტრი გიოევიჩმა მოაწეროს ხელი და ხვალვე გავაგზავნოთ, ამათი საკითხი მაინც შესწავლის ღირსია.

– დეპეშა რაღად გინდათ! – შეიცხადა ზაალმა.

– კარგი დეპეშა გამზადებული იქნება, თუ რაც დავალებული გაქვს, არ შეასრულებ, მაშინ კი შენს თავს დააბრალე, ხვალიდან ზოსიმეს სოფელში უფეხებო მახარეს პირველ რიგში გაატან შეშას, ქალაქის სკოლის სამეურნეო ნაწილის გამგე დაიწყებს შეშის გამოზიდვას! – მათე მკაცრად ლაპარაკობდა.

– მოვიდნენ, წაიღონ, – უგერგილოდ თქვა ზაალმა და გარეთ გასვლა დააპირა.

– მოიცა, მე ვიცი რომ შენ შეშა არა გაქვს, უფრო სწორად უკვე გაყიდე, რა ვიცოდი, რომ რაიონის მშრომელების სითბოს ყიდდი. იმ ფულით იშოვნი შეშას თუ არა დაწერე განცხადება და მოსცილდი აქედან, თორემ ვერ გადამირჩები, ახლა რომ განებივრებენ, იმათზე დიდი მფარველიც რომ გამოგიჩნდეს, – მათეს ამ სიტყვებზე ზაალს კინაღამ გული წაუვიდა.

ფერდაკარგული კაბინეტიდან გავიდა. ახლა უკვე მიტროსთან იჯდა და საქმის ვითარებას უხსნიდა:

– მინისტრთან რეკავდა, ძლივს გადავაფიქრებინე, ახლა მთელი შეშა გაანაწილა, ხვალიდან ყველა უნდა დააკმაყოფილოო. თქვენზე თქვა, დეპეშაზე ხელი მოაწეროსო.

– მე ვიცი რასაც მოვაწერ, ჯერ აქამდის მოიტანონ! – დაიმუქრა მიტო.

– ერთი კუბამეტრიც აღარ დაგვრჩა, სულ გავეცით, პეტო გვაიმედებდა. ახლა მათემ თუ აიწყვიტა, ნამდვილად ძალიან ცუდ დღეში ჩაგვყრის, – წუწუნებდა ზაალი.

– კაბინეტში ვინ ჰყავდა, მხარს ვინ უჭერს? – იკითხა მიტრომ.

– საბჭოს თავმჯდომარე ზოსიმე გოძიაშვილი, სასწავლო ნაწილის გამგე რომ არის ქალი, ელენე ხელაშვილი და მდივანი ვასო.

– ბანდა. განა არ ვიცი, ეგენი რას ჭუკჭუკებენ! ჩემი ადგილი უნდათ, ნახე, მაგათ სუყველას მოვიცილებ. აი, – მიტრომ უჯრიდან გრძელი სია ამოიღო. – ამათ აღმასკომის თავჯდომარეობა უნდათ, დედას ვუტირებ. მუშკაზე მყვანან უკვე. ერთს არ გავახარებ, ვინც ჩემი სკამისკენ იყურება! ეგ მათე და ზოსიმე შეთანხმებული არიან, მათე ჰპირდება, თვითონ რომ თავმჯდომარე გახდება, ზოსიმეს მოადგილედ დანიშნავს; მდივანი ვასოც კარგი მელიაა, ამბაკო სიმონიჩმაც იცის ეს! იმ ქალს მაგათთან რაღა უნდოდა? ეტყობა, სკოლის დირექტორობა უნდა, ეტყობა კი არა, ეგრეა, მათე ჰპირდება, ოღონდ მხარი დამიჭირე და სკოლის დირექტორად გაგხდიო, თანაც უკურკურებს კიდეც, უკვე რამდენიმეჯერ დავინახე აქ. მაიცადონ, მაგათ ყველას მე მოვუვლი! ვინც ვარ, მალე გამიცნობენ, წავიდნენ, იკითხონ ვინ არის დიმიტრი გიოევიჩი! თავის გაუთავებელ ქადაგებას დაწყებას აპირებდა, რომ ზაალი უზოდიშებლად ადგა, – მე წავალ, საქმეს მივხედავ, ეგ ცოფიანი როგორმე გააჩერეთ, მაგაზე ძალიან არავისი მეშინია, სხვას რამენაირად მოევლება.

– მაგას მე მოვუვლი, იგეთი ბიჭები მყავს, თუ არ გაჩერდება, ერთ დღეში გააქრობენ! – მიტომ წაიტრაბახა.

– ზაალი გავიდა.

– ეგ ელენე რა სულელი ქალი ჩანს, ისე კი რა მშვენიერია, მაგისი მსგავსი

რაიონში არ დადის. რა უნდა მოადგილე მათესთან, მთელი რაიონის მეფე და ღმერთი ტოლი კაცი ვარ! არა, მიხვდება მაგას და მალე ჩემი გახდება. ხვალიდანვე ვეცდები ვაგრძნობინო, რომ მიყვარს. იმ ინტრიგან ზოსიმეს კი რაიმეს მოუხერხებ და პირველ რიგში გავაგდებ! – მიტრო ხმამაღლა ფიქრობდა და მომავლის გეგმებს აწყობდა...

ხუთი დღე გავიდა, რაც მიტრომ ზოსიმეს მოხსნა გულში ჩაიდო. ამბაკოსაც მოახსენა, რომ ინტრიგანია და მათესთან ერთად გეგმებს აწყობს, როგორ მოგვიცილონო. ამბაკოს რისხვას საზღვარი არა ჰქონდა.

– მოუძებნეთ რაიმე და სასწრაფოდ გააგდეთ! – უბრძანა მიტროს.

მასაც ეს უნდოდა. საიდუმლოდ დაიბარა რობერტ კაკალაშვილი და დაავალა ზოსიმე გოძიაშვილზე მასალები მომიმზადე, უნდა გავაგდოო.

მეხუთე დღეს დილით რობერტიმ ახარა: – დიმიტრი გიოევიჩ, გუშინ ზოსიმემ საბჭოს ეზოში თელა მოჭრა, მთელი სოფელი იმის ჩრდილში, რომ ეფარებოდა.

– ეგ რა ჩაუდენია, მაგ მამაძაღლს! – მიტრო აყვირდა. – სასწრაფოდ გამოიძახეთ აღმასკომის წევრები, ერთ საათში სხდომა უნდა ჩავატაროთ! სამაგალითოდ დავსჯი, სამაგალითოდ! ნახოს ხის მოჭრა როგორია, რომლის ქვეშ მთელი სოფელი ისვენებდა!

ატყდა ტელეფონების რეკვა და აღმასკომის სხდომის ჩასატარებლად ხალხი შეიყარა.

– რა საკითხს ვიხილავთ? – მათეს ზოგიერთმა აღმასკომის წევრმა ჰკითხა.

– წარმოდგენა არა მაქვს, – მათემ მხრები აიჩეჩა; საქმის კურსში არც სხვები იყვნენ.

– ზოსიმეც გამოიძახეს, ისაც აღმასკომის თანამშრომელთა გვერდით იჯდა, არც იმან იცოდა გამოძახების მიზეზი.

ყველანი ადგილზე ვართ, რობერტ კაკალაშვილმა მიტროს მოახსენა.

მიტრომ ყურმილი აიღო.

– ამბაკო სიმონიჩ უკვე მზად ვართ! – დავიწყოთ? თქვენი აზრი უკვე ცნობილია, მოხსნის მომხრე ხართ, – მიტრომ ყურმილი დადო და პირდაპირ საქმეს შეუდგა. – პროექტი წაიკითხე! – უბრძანა რობერტს.

მანაც დაიწყო: – დადგენილია, რომ ზოსიმე გოძიაშვილმა თელა მოჭრა, რომლის ჩრდილში მთელი სოფელი ისვენებდა. იმის მაგიერ, რომ ჩვენი ბუნების აყვავებას ხელი შეუწყოს, პირიქით, მთელი სოფლის სიამაყე მოჭრა, – რობერტიმ წამოალაგა ბრალდებები.

– რაო, რაო! რა ხე მოვჭერი! გინახავთ როდისმე? ეზოს კუთხეში იდგა, ამ ზაფხულს გახმა, მოვჭერ და უფეხებო მახარეს გავატანე, რა მექნა, შეშა არ მომეცით და...

– შენ დაჯექი! – აყვირდა მიტრო, – ჩემი აზრია, მოიხსნას ამხანაგი სოფლის საბჭოს თავმჯდომარეობიდან, ამბაკო სიმონიჩიც მოხსნის მომხრეა, ამ წუთას ველაპარაკე! სხვა აზრი ხომ არ არის? არა. თავისუფალი ხარ, – უთრა ზოსიმეს.

– შენ ის ხე ნახე? – მათე მოულოდნელად შეეკითხა რობერტს.

– არა.

– აბა, რა იცი, რომ მთელი სოფელი აფარებდა თავს! წასულიყავ, შეგემოწმებინა, მაგ შეთითხნილი პროექტის გამოტანას ის არ სჯობდა? სოფელი რომ გაიგებს, რაზე მოხსნეს ზოსიმეო, ხალხი ხომ სიცილით გაიგუდა.

– შენ გადი! – მიტრომ ზოსიმეს უბრძანა.

ზოსიმე გავიდა.

– ეს პროექტი იმდენად უსუსური და ობიექტურობას მოკლებულია, ვშიშობ, თვითონ კაკალაშვილი არ გაგვიხდეს დასასჯელი, – თქვა მათემ.

– რატომ არის უსუსურად შედგენილი?! – მიტრომ შუბლი შეიკრა.

– იმიტომ, რომ თელა ეზოს ბოლოში რომ იდგა, გახმა და დიდი ხნის მოსაჭრელი იყო. ზოსიმემ შეშა უფეხებო, უპატრონო მახარეს გაუგზავნა, რადგან სატყეოს უფროსის მოადგილე ზაალ ჭილიტაშვილმა მთელი რაიონის კუთვნილი შეშა ადრევე გაყიდა და იმდენიც აღარ დატოვა, რომ ბავშვები და ინვალიდები გაგვეთბო. ახლა იძულებული ვართ, ათას ადგილას ვიმათხოვროთ, რომ სკოლები და საბავშვო ბაღები გავათბოთ. ამიტომ წინადადება შემომაქვს, რობერტ კაკალაშვილს უსუსური და ცილისმწამებლური პროექტის გამოტანისათვის მიეცეს საყვედური. შეიქმნას კომისია სატყეოს საქმიანობის შესასწავლად, მანამდე განთავისუფლდეს ზაალ ჭილიტაშვილი და სასწრაფოდ დაბრუნდეს სამსახურში სატყეოს დირექტორი, რომელიც პატიოსანი მუშაობისთვის არ მოსწონთ.

– რატომ უჭერთ, ამხანაგო, დამნაშავე გოძიაშვილს მხარს?! – მიტრო გამომწვევად შეეკითხა.

– გოძიაშვილი დამნაშავე კი არა, პატიოსანი მუშაკია, მხარსაც იმიტომ ვუჭერ. მაგრამ მე მინდა, აქ დავსვა შეკითხვა, ვინ უჭერს მხარს დამნაშავეს, რომელმაც მთელი რაიონის ფონდი გაყიდა. შენ გეკითხები, დღემდე რატომ არ ვიცოდით, რომ რაიონის სატყეოს უნდა მოვემარაგებინეთ შეშით, როცა წერილი უკვე ხუთი თვეა აღმასკომში ინახება?! – მათე ბევრს ითმენდა, მაგრამ ახლა უკვე ავსებოდა მოთმინების ფიალა.

– ყველაფერს ამბაკო სიმონიჩს მოვახსენებ, ამას ეგრე არ დავტოვებ! – მიტრო აყვირდა.

– აქამდე უნდა მოგეხსენებინა, რომ აღმასკომის რომელიღაც მუშაკის უპასუხისმგებლობით, ანდა იქნებ უფრო სხვა მიზეზით, დღეს ჩვენს მოზარდ თაობას სცივა, – მათეს ხმა ზარივით რეკდა და ყველა მსმენელში მონურ მორჩილებას აქრობდა, შემართებას და პრინციპულობას აღვივებდა.

– ამას ეგრე არ დავტოვებ! – დაიმუქრა მიტრო და კაბინეტიდან გავარდა.

– ამას ასე, ვინმეს გულით რომ უნდოდეს. ხალხი არ დატოვებს. პასუხს მოითხოვს! – თქვა მათემ და გარეთ გავიდა.

მოსაცდელ ოთახში ხალხი შეჯგუფებულიყო.

– რა მოხდა, შენ მაინც ვერ მეტყვი? – ზოსიმე მათეს შეეკითხა.

– ვერაფერი გამიგია, მეჩვენება, რომ სასწაულებრივი უგნურობა დაგვეუფლა, მაგრამ ვერ ამომიხსნია, ასე რატომ ხდება! – უპასუხა მათემ...

მიტრომ ამალიასთან ურთიერთობა კარგადააწყო, როცა შეხვედრა უნდოდა, თვითონ ამალია იბარებდა. მაგრამ ამ ბოლო დროს ამალია აღარ აკმაყოფილებდა, ახლა ელენე ხელაშვილზე ოხრავდა. ნარგიზა კი პერსპექტიაში ჰყავდა და იმედი ჰქონდა, რომ ბოლოს თავისას მიაღწევდა. ახლა კი ელენეს სურვილი არ ასვენებდა.

– ნამდვილად მათესთან აქვს საქმე, რა აღმასკომის თავმჯდომარე ვარ, რომ არ ვაჯობო. როგორც მომენტს ვნახავ, აუცილებლად ვეტყვი და დამთანხმდება. სად მე და სად მოადგილე, მალე მაიდანაც გავაგდებ, – ხმამაღლა ფიქრობდა მიტრო და ელენე უკვე თავისი ეგონა.

ერთხელ მოსაცდელში რომ შევიდა, ელენე ხელაშვილი იქ დახვდა.

– აქ რას აკეთებ? – მიტრომ მოჭარბებული ყურადღებით ჰკითხა.

– მათეს ველოდები, – მიიღო პასუხი.

– ისეთი რა საქმეა, მე რომ გამიჭირდეს გაკეთება. აბა, მოდი ჩემთან! – მიტრომ ხელი მოჰკიდა და კაბინტეში თითქმის ძალით შეიყვანა.

როგორც კარები მიხურა, მიტრომ ხელი მხარზე გადასდოდა, მკერდზე მიიკრა, –ოხ, რა კარგი ხარ! ფიქრია უნდა გააგდო და ცოლად შენ წამოგიყვანო! – ყურში ჩსჩურჩულა და საკოცნელად მიიწია.

ელენე პატიოსანი და თავაზიანი ქალი თავის მეუღლესთან ერთად ოჯახის სიყვარულით და საქმის ერთგულებით რაიონში სამაგალითო იყო.

მიტროს ხელი უბიძგა და მოიშორა.

– როგორ გეკადრებათ, ბატონო დიმიტრი, თქვენს მდგომარეობას ასეთი მსუბუქი საქციელი განა შეეფერება?! – უთხრა უაღრესად გაკვირვებულმა.

– მათეზე ნაკლები რითა ვარ, იმასთან თუ შეიძლება, ჩემთან რატომ არ უნდა შეიძლებოდეს, მე უფრო თავმჯდომარე არა ვარ! – მიტრომ თავისი მოქმედება გაამართლა.

– რას ბრძანებთ, ბატონო! – ქალი აილეწა, – სკოლა შეშის გარეშე დაგვიტოვეს. ამას წინათ სატყეოდან ცარიელი მანქანები დაგვიბრუნეს, მათემ სამშენებლო ორგანიზაციებიდან ჩამოწერილი მასალა მოგვიხერხა, ახლაც იმაზე მოვედი, იქნებ კიდევ გვიშოვოს და ეს დატანჯული ზამთარი გავა ალბათ.

– მე გიშოვნი ყველაფერს, ჩემო სიცოცხლევ! – მიტრო უცებ მოეხვია და კოცნა დაუპირა.

ქალი დაიბნა. მოულოდნელობისაგან გაშრა, მისმა მოკრძალებულმა ხასიათმა ამგვარი თავხედობა ვერაფრით ვერ წარმოიდგინა. ბოლოს ბრაზი და სიძულვილი ერთბაშად მოეძალა.

– ამ ადგილზე ვინ დაგნიშნა, შე პირუტყვო, წმინდის და პატიოსნის შეგნება რომ წაბილზე! – ისეთი ძლიერი სილა გააწნა, ხმა გარეთ გავიდა; მიტროს თვალებმა ნაპერწაკლები დააკვესა, – პირუტყვო! შენ ადამიანებთან რა გინდა, თავიდან ფეხებამდე ტალახში ხარ გასვრილი! ბინძურო! – დაბნეულ მიტროს მაღალი ხმით უთხრა და კაბინეტიდან სასწრაფოდ გავიდა.

– რა ხმაური იყო? – ჰკითხა ნარგიზამ.

ელენემ პასუხი არ გასცა.

– მათე რომ მოვიდეს, გადაეცი, შეშა გაგვითავდა, იქნებ კიდევ მოახერხოს ჩამოწერილი მასალის გამოყოფა, – უთხრა ნარგიზას და იქაურობას მოსცილდა.

მათე ერთ საათში მოვიდა.

ნარგიზამ მაშინვე მოახსენა: – ელენე ხელაშვილი იყო, გელოდებოდათ, თურმე სკოლაში შეშა უთავდებათ, გთხოვათ, იქნებ დაგვეხმაროსო. თავმჯდომარემ კაბინეტში შეიყვანა, რაღაც აწყენინა, ისეთი ხმა გამოდიოდა, ნამდვილად იჩხუბეს, – ნარგიზამ ხმადაბლა დაუმატა.

– რა იცი, რომ იჩხუბეს? ან რა ხმა გაიგონე? – მათემ უნდობლად ჰკითხა.

– აშკარად გავიგონე სახეში სილაქის გარტყმის ხმა, თანაც პირუტყვოო, ელენე უყვიროდა.

– იქნებ სხვა რამ ხმაური იყო.

– შიგ რომ შევედი მარცხენა ლოყა აწითლებული ჰქონდა და ზედ სველ ცხვირსახოცს იდებდა.

– ყურის გდება კარგი საქმე არ არის, რაც მოხდა არსად არ თქვა, დაე თვითონ ელენემ გადაწყვიტოს, როგორ მოიქცეს; პატიოსანი ქალია და შეიძლება ათასი კუდი გამოაბან, – დაარიგა მათემ.

– მე ლაპარაკი საერთოდ არ მიყვარს, მაგრამ თქვენთან შეიძლება თქმა,

ვიცი, რომ კეთილი ხართ და სწორად გამიგებთ, ცუდი არავისთვის არ გინდათ, – ნარგიზა ცოტა ხანს გაჩუმდა, მერე დაბალი ხმით დაუმატა: – მათე, ფრთხილად იყავ, ძალიან გემუქრებიან, თქვენ მართალი სიტყვა გიყვართ და ბევრი ამის გამო გულში მტრობას ინახავს; რაიმე მახე არ დაგიგონ! – ნარგიზა გულის კარნახით ლაპარაკობდა.

მათეს გაეღიმა.

– ნუ წუხდები, ნარგიზა, დარწმუნებული იყავ, რომ აქ მახეს არავინ არავის უგებს. კრიტიკა კი აუცილებელია და სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანები ერთმანეთის მტრები არიან.

ნარგიზა გავიდა.

ოთახში აღმასკომის მდივანი ვასო შევიდა, ხელში ქაღალდების დიდი დასტა ეჭირა.

– ხედავ ამას? – ვასომ ქაღალდები აჩვენა.

– რა არის?

– სესიის მოხსენებაა, უკვე მესამე კვირაა დაამწნილა, უნდა წავიკითხო, ისე ხომ არ შეიძლება ჩემი აზრები არ შევიტანო და არ ჩავასწორო, გადაშლილი არა აქვს, აი, – ვასომ მოხსენება მაგიდაზე დადო და ფურცვლა დაუწყო, – სპეციალურად დავაწებე, ისევ ისეა, ხელი არ უხლია. ახლა დამიბარა და მითხრა: – მე ვნახე, გავასწორე. ბევრი ახალი აზრი ჩავუმატე და თავიდან დავაბეჭდვინეო. ტყუილს ისე ამბობს, არც კი სცხვენია. მთელი მოხსენება ჩემი დაწერილია, რა უნდა ჩაუმატოს, რომ ვერ გავიგო, აჰა, საერთოდ არ გადაუშლია! – ვასომ მოხსენება ორივე ხელში აიღო და მათეს გაუწოდა.

– მე რად მინდა, ეგ იმას უთხარ, – დაარიგა მათემ.

– კაცი რომ იყოს ვეტყოდი, ვეტყოდი კი არა, მაგრად შევახურებდი, მაგრამ არაკაცს რა ვუყო, იმის მაგიერ რომ მადლობა მითხრას, მტრად გამიხდება და ისეთ ცილს დამწამებს, ზოსიმეს ხე იმასთან მოგონილი იყოს, – მოხსენება აიღო და ფურცვლა დაუწყო, ზოგან ხუთი ფურცელი ერთად იყო გადაბმული.

– სიბერეში ეშმაკობაც ისწავლე? – მათეს გაეცინა. – ეს რამ მოგაფიქრებინა.

– მტყუანს მტყუანის კარამდეო, ხომ გაგიგონია, – ვასომ სიცილითვე უპასუხა.

ოთახში რობერტ კაკალაშვილი შემოვიდა.

– ზოსიმეს ხის ავტორს გაუმარჯოს! – ვასო მხიარულად, ხელის აწევით მიესალმა.

– შენც ერთი, რა ჩემი ბრალია, დამავალეს და ვთქვი, აბა რა მექნა?! შეშის ახალი განაწილება მოვიტანე, მათე, – უთხრა და ქაღალდი მიაწოდა.

მათემ ჩაათვალიერა, მერე უკანვე დაუბრუნა.

– ახლა დიმიტრის შეუტია, ნახოს: ყველა გააფრთხილე, დროზე გაიტანონ.

– რამდენი ზოსიმეს ხის მსგავსი საქმის შეთითხნა მოგიწევს, შე უბედურო, ხომ არა გგონია, რომ მიტროს მაგიერ დადებულმა რეზოლუციებმა გიშველოს! – დასცინა ვასომ. – ეს რეზოლუციას ადებს, ის კიდევ ხელს აწერს, მერე რას აწერენ გაკვირდები, რამდენიმე ამორჩეული მაქვს, მათე უნდა წაგაკითხო. ორივეს ერთად ერთი რვა კლასდამთავრებული მოსწავლის ტვინიც არა აქვთ. წადი, თუ გინდა, მიუტანე ამბავი!

– როდის იყო, მე ამბავი მიმქონდა, თვითონ დამავალა და რა მექნა! – რობერტმა თავი იმართლა.

– მერე, შე მუდრეგო, კულტურის სახლების მუშაობაზე საკითხს განათლებას რომ აწერ, განათლებისას კიდევ ბანკს, ჯანმრთელობის დაცვისას მილიცი-

ას, მთვრალი მაინც ნუ კითხულობ. ის ბედოვლთი კიდევ თვალხუჭულა აწერს ხელს ეს მე ვიცი, რას ოინბაზობთ, სხვა ხომ ამას ვერ გაიგებს.

– რამდენი წლისა ხარ, რობერტ ბატონო? – ჰკითხა მათემ.

– უკვე ორმოცდათოთხმეტისა ვხვდები.

– კაი ვირია, ამოდენა ქვა აღარ დაგორავს, ტვინი კი... – ვასო ჩაფიქრდა. – ეტყობა ვირის ხელაც არა აქვს.

– შენ რა გგონია, ვირს პატარა ტვინი აქვს? – დაიცვა ვირის ტვინის პრესტიჟი რობერტიმ.

– შენთვის ეგაც დიდია, – დაამადლა ვასომ.

– რა გინდა, ვასო, მთელი ცხოვრება ერთად გაგვიტარებია, ბევრი, ბევრი, შვიდი წლით ხარ ჩემზე უფროსი, შენხელა რომ გავხდები, მეც ბევრი მეცოდინება. როგორ კარგად ვიყავით. ამ ბოლოს დროს სულ მლანძღავ, ძმობაზე აიღე ხელი?!

– აღუ, ნეკზე არ მიკბინო! პატარაა, გაიზრდება და ბევრი ეცოდინება. ბიჭო, იმდენი როგორ არ უნდა იცოდე, რომ ზოსიმეს ხით მიყენებულ სირცხვილს სიკვდილიც ვერ მოგბანს. მერე რა, რომ დღეს დადგენილებებს არალეგალურად ადებ უტვინო რეზოლუციებს, დღემდე რაც ნამუსიანად გივლია, სულ ზედ მიაფურთხე! – არ დაინდო ვასომ.

– კარგი, თუ ეგრეა, შენ რატომ არ აიმაღლე ხმა, რატომ მათესავით არ დაიცავი ზოსიმეც და სიმართლეც. პირს უკან რომ გრძელი ენა გაქვს, იქ რათ ჩაგივარდება ხოლმე?! – რობერტი შეტევაზე გადავიდა.

– სად ჩამივარდა?

– სად და სხდომაზე. მოკლედ, გაჩუმდი, მათემ რომ თქვას, მესმის, ამას თავი აქვს გადადებული; მეც, შენცა და სხვაც ჩრდილს ვეფარებით, საითაც ძალას ვგრძნობთ, იმის სასარგებლოდ ვმუშაობთ, პირს უკან ყბედობა კი სხვა არაფერია, თუ არა საკუთარი თავისთვის პასუხისმგებლობის მოხსნის ცდა; თორე ზოსიმეს ხის საკითხში ჩემზე ნაკლები დანაშაული შენ არ მიგიძღვის! – რობერტიმ შვება იგრძნო.

– რა გინდა ჩემგან, რას მოითხოვ, გინდა რომ ეს საპენსიო ასაკს მიღწეული კაცი, მაგათ ყბაში ჩამაგდო?! – ვასომ თავი იმართლა.

– ჰოდა, გაჩუმდი, იკისრე, რომ ჩვენ ყველა საკუთარ ტყავს ვუფრთხილდებით, მათეს ტყავის ფხრეწა სინანულს გვგვრის. მაგრამ კმაყოფილები მაინც იმით ვართ, რომ ჩვენი მთელი რჩება, უფრო მეტიც, შეიძლება ამის ნარჩენის ხარჯზე ლუკმა ჩვენც შეგვხვდეს. მაგალითად, თუ მათეს მოიშორებენ, მე ან ჩემი მსგავსი სხვა უცხვირპირო დაჯდება მის ადგილზე, აბა, მითხარ, რაში ვტყუივართ? – რობერტიმ გულახდილად ილაპარაკა.

– მთლად ვირის ტვინი არა გქონია, როცა ეგრე საღად აზროვნებ! – ვასომ ქაღალდები მოკრიფა და გავიდა.

– შეშა ერთი ღერიც არ დაიკარგება, მათე! – თქვა რობერტიმ და ვასოს გაჰყვა.

## ქურდები და წამქეზებლები

**ლალი** ისევ მძიმედ ავად გახდა. ნაღვლის ბუშტის მწვავე შეტევები დაეწყო; თბილისში გადაიყვანეს. მათემ ორი კვირით შვებულება აიღო და ლალის არ მოსცილებია; თუ შეტევები არ მოეხსნებოდა, ოპერაციის გაკეთებას აპირებდნენ.

მათეს შვებულება დაუმთავრდა. ლალის რამდენიმე დღით გამოეთხოვა, სახლში ჩამოვიდა, ბავშვები და დედა თბილისში გააგზავნა. სამი დღის შემდეგ

ცოლ-შვილს თბილისში ჩააკითხა. ლალი უკვე კარგად იყო. ექიმები შეპირდნენ, ერთ კვირაში გამოვწერთო. მათე გახარებული დაბრუნდა. დილით სამსახურში გამოცხადდა. შუადღისას კი სახლში ავიდა. ოთახები არეული დახვდა. დათვალიერება დაიწყო. ვიღაცას განგებ აერია იქაურობა. ერთი ოთახის კარების მინა გაეტეხათ, იქვე ჩამომტვრეული ჭერის ფიცრები ეყარა. ვიღაცას იმ ღამით მისი სახლი გაეტეხა. რა უნდა წაეღოთ, მათეს სახარბიელო რა ჰქონდა, მაგრამ ოთახში შესული მძარცველი მაინც გულს დასწყვეტს, რაც გინდა წაიღოს, თანაც თუ თავისი ოფლით აქვს შეძენილი.

მათემ მილიციას აცნობა. მათეს პიჯაკები, პერანგები, მეუღლის და ბავშვების საცმელები და რამდენიმე ზეწარი აკლდა.

– ერთ კვირაში დავიჭერთ ქურდს! – განაცხადეს მილიციიდან. მათემ ყველაფერი იღონა, ლალის რომ არ გაეგო, მაგრამ შეკეთებული ჭერის კვალი მაინც დარჩა; თანაც არამკითხე გულშემატკივრებმა ყველაფერი ამცნეს.

ცხოვრება მალე ჩადგა კალაპოტში. ლალიც შედარებით უკეთ იყო, თუმცა დრო და დრო ანონიმური მრეკავები შეახსენებდნენ ხოლმე თავს...

პეტომ კი ამ დროს მთელი თავისი შემოქმედებითი შესაძლებლობები ტყეში მოღვაწეობას მიუძღვნა, თუმცა თვითონ იქ იშვიათად ცხადდებოდა. მნიშვნელოვანი რაოდენობით ჰყავდა ღორი და ძროხა ჭალაში გაშვებული, ახლა საზამთროს ბაღსაც ამზადებდნენ. პეტო ერთ-ერთი ძირითადი პარტნიორი იყო ტყეში დამკვიდრებულ საქმიანობისა. „მჟავე“ ფორე და „რეტიანი“ ნიკო ადგილზე მთელ საქმეს განაგებდნენ. „ჭარხალა“ რობა კი ადგილზეც იყო და საგარეო საქმეებსაც აგვარებდა, თუ ვინმე აუხირდებოდათ, უნდა დაემუნჯებინა. ქურდი ჭარხალასიაო ჭალაში გაშვებულ ღორზე და ძროხაზე რომ იტყოდნენ, ყველა ერიდებოდა, პეტო კი მთავრობასთან იყო შუამავლად.

ბინდდებოდა. ჭალაში გაშლილ სუფრასთან პეტო, ჭარხალა, მჟავე, ფორე და რეტიანი ნიკო ისხდნენ, საჭმელს შეექცეოდნენ და საქმიანად საუბრობდნენ.

– ბიჭო, ხოხბის ბუდეში ცხოვრობთ და ორ ხოხობზე მეტი ვერ მოიტანეთ სუფრაზე?! თევზიც იმდენია, თითქოს სამათხოვროდ ყოფილანო, – პეტომ პურმარილი დაიწუნა.

– ცუდად არის საქმე, პეტო, შობელძაღლი ეგერი გვყავს შემოჩენილი, სიცოცხლე გაგვიმწარა, დინამიტს ვიღა ჩივის, ალაზანში რაც ოჩხი გვქონდა, სულ მოგვიშალა. ხოხბის ხოცვას არ ვიშლიდით, ბოლოს თოფები ორივეს წაგვართვა, თან გვითხრა, თუ ერთხელაც მოგატანეთ, რომ ხოხობი მოგიკლავთ, ალაზანზე, თქვენს ხსენებას გავაქრობო, – მოიჩივლა მჟავე ფორემ.

– თქვე დედლებო, ვინ არის, მაგას რომ გიბედავთ, რატომ აქამდე არ მითხარით, სულ სისხლს ვაფურთხებინებ, დედას ვუტირებ! – გაბრაზდა ჭარხალა.

– არც ეგრეა საქმე, ჭარხალ, შობელძაღლი ფოცხვერივით მარდი და ხარივით ჯანიანია. თოფს იგრე ხმარობს, თვალს ვერ მოასწრებ, გაფრენილ იხვს ჟაკანს არ აცდენს. ჩვენც ბევრი ვეცადეთ, მოკვლაც გვინდოდა, მაგრამ არაფერი გამოვიდა, კიდევ არ გაგვიმეტა, თორე ორივეს დაგვხოცავდა. თოფი ვესროლეთ, მოგვასწრო, აიცდინა და ახლა უთოფოდ ვზივართ; კიდევ მადლობა ღმერთს, არ დაგვხოცა! – ერთმანეთს არ აცდიდნენ რეტიანი და მჟავე.

– კარგი, დედას ვუტირებ, ამაღამვე გავასაღებ! რა ჰქვია? – იკითხა ჭარხალამ.

– ომარი ჰქვია, კიკილაშვილია, მაგასთან ხუმრობა არ შეიძლება, ხომ გითხარით, ჯანით და ხერხით სამივეს გვაჯობებს. ძაღლი ჰყავს, ეკალა, ერთია რომ ლაპარაკი არ იცის, თორე იმ უპატრონოს ყველაფერი ესმის. ახლა აქ რომ

იყოს და ომარზე ჩვენს საუბარს ისმენდეს, ყველას გადაგვჭამდა; ძაღლი კი არა პირდაპირ სატანაა! – მოიჩივლეს.

ჭარხალას თითქოს ცივი წყალი გადაასხესო, ენა ჩაუვარდა, ტრაბახის და მუქარის ხასიათი წაუხდა, – ნეტავი აქ საიდან მოხვდა? – ჩაილაპარაკა.

– ხულიგნობაზე და ჩხუბისათვის ციხეშია ნაგდები, იგრე კი შობელძაღლს რა დარტყმა აქვს, რომ მახსენდება, სახსრებში მტეხამს. ერთი ორჯერ იგეთი მომარტყა, გონზე ძლივს მოვედი, – მოიჩივლა მჟავე ფორემ.

– არც მაგის ძმაკაცია ნაკლები, ის ალმასკომის მოადგილე მათე, დედა ვატირე, მაშინ ალაზნის პირას რო დამარტყა, დედამიწა ფეხქვეშ გამომეცალა. სანამ ალაზნის წყალი არ დამასხეს, გონზე ვერ მოვედი. იგრე კი რა გამოვიდა, მათხოვარივით უცხოვრია. ეგრე გამოფხეკილი მე არა ვარ. ის კი ამხელა კაცია და არაფერი ჰქონია ხელმოსაჭიდი; ზეწარში ძონძები გამოვახვიე და ის წამოვიღე, – მოიჩივლა, – რეტიანმა, – ამბობენ ეგ ომარი იმან დაანიშვნინაო ეგერად.

– რა ვქნა, მე ხომ ზუსტი ცნობა მოგეცით, რომ იმ ღამეს სახლში არ იქნებოდა; ეტყობა ფულები და ძვირფასეულობა მიწაში ექნება ჩამარხული, – თავი იმართლა პეტომ.

– არა, პეტო, ეგ იგეთი უბედური ჩანს, მიწაში ჩამარხული რომ ჰქონოდა, ეგრე არ იქნებოდა, ისე ღარიბულად ცხოვრობს, დავალებული რომ არ მქონოდა, წამოღების ნაცვლად, რაც ფული მქონდა იქ სადმე მაგიდაზე დავუტოვებდი. უნდილი ჩანს, არაფერს არ ეკარება და რა ექნებოდა, – დაბეჯითებით თქვა რეტიანმა ნიკომ. – აი, შენი სიძე კი ცარიელი შანსია, მაგას ექნება მიწაში ჩამარხული ფულები. იგეთი ყოჩაღია, ქვასაც კი წვენს ადენს, – დაუმატა მჟავე ფორემ.

– დასამარხი ფული სადა აქვს, იგრე კი შანსი რომ არის, ეგ ფაქტია, – პეტო გაიბღინძა.

– ეგ ომარი თუ არ მოვკალით, შეიძლება საქმე გაგვიფუჭოს, დიდი შობელძაღლია. მე კარგად ვიცნობ, მაგასთან ძველი ანგარიშებიც მაქვს. ერთხელ ჩავუსაფრდები, მივაძაღლებ და მერე იმ მათემ ეძებოს ალაზანში. მანამდე მე უნდა მოვერიდო, თორე შეიძლება თქვენც გამოგყაროთ აქედან და გააფუჭოს საქმე – ჭარხალამ ბიჭები გააფრთხილა.

– ვინ არის, კაცო, ჩემს სიძეს ვეტყვი და მაიდან მააშორებს! – დაიტრაბახა პეტომ.

– დადექ, პეტო, მათეს ნუ გააღიზიანებ, თორე აღარ გახსოვს ზალიკო რა დღეში იყო? კაცი შიშისაგან კვდებოდა, რატო შენმა სიძემ არ უშველა რო იხვეწებოდა განცხადებით გამიშვითო. მათემ არ გამოუკვანძა ბოლო. ახლა ჩვენ რომ მოგვიბრუნდეს, ამოდენა საქონელზე და საზამთროზე მშრალზე დაგვასვამს. ჩვენ კი ვფშეკამთ ფეხებს, მაგრამ იმ განთავისუფლებულ ზალიკოს დაჭერას არ აცდენს; ეტყობა იმას შენი სიძე ფეხზეც არა ჰკიდია. იქიდან უნდა მოუაროს, ჩვენ აქედან რა შეგვიძლია. თუ ძალიან გაჭირდა, ერთ ქაკანს ვგლეჯთ და ეგ იქნება, – დაიქადნა ჭარხალამ.

– ეგრე მოუწევს, ეგრე! – პეტომ კვერი დაუკრა.

## უკუღმართთა უკუღმართობანი

**ცხელოდა.** ქიზიყში არნახული გვალვა იდგა, დიდი მომავლის დიდ გეგმებზე ყიზილბაშივით ნადირობდა. ხეს ფოთოლი არ შეარჩინა და მინდორს ბალახი. იყო წელი ხმაურიანი წინსვლის მდუმარე უკან ჩიჩოლის პირობებში. გაწყრა

ბუნება, თითქოს საქართველოს პარტიის ცეკას პირველი კაცის, ედუარდ ამბროსევიჩის მიერ ერის, სინდისის, ადამიანობის და ბოლოს უფლის წინაშე ჩადენილი ცოდვებისათვის სამაგიეროს თავისებურად უხდიდა. მაგრამ გვალვა კი არა, თვითონ მზეც რომ მყინვარწვერზე ჩამომჯდარიყო და ყველაფერი გადაებუგა, ამით არაფერი შეიცვლებოდა, მოსკოვზე მიცემული ვალდებულება აუცილებლად შესრულდებოდა, მერე კრემლს თამამად მოხსენდებოდა, ჩვენ კომუნიზმის კარები უკვე შევაღეთ და თქვენც მალე შემობრძანდითო. ედუარდ ამბროსევიჩი რაღაც სატანური მიგნება იყო პარტიის და ხალხის თვალისხვევაგაბითურების საქმეში. ისე იტყუებდნენ თავს მოსკოველი ბღენძები ედუარდის მიერ მართლად მონათლული სიცრუით, როგორც ამბაკო მიტრო ქიტუაშვილის უსაზღვრო პირმოთნეობით შენელებული ნაბოდვარით. ყველამ ყველაფერი იცოდა, იმან, ვინც თავს იტყუებდა და ვინც ატყუებდა. იმან, ვინც ტრიბუნიდან ქადილით ფანტავდა სიცრუის გრიგალს და იმათ, დარბაზში აღფრთოვანებულები რომ უცდიდნენ ერთგულების ტაშის დაქუხებას. სკამებს პირმოთნეობით და მონური მორჩილებით ინარჩუნებდნენ, რომელიც სწორედ ამგვარი დამსახურებით მიიღეს. რაც დიდი სიცრუე აგორდებოდა, ოვაცია და ვაშას ძახილი იმის შესაფერისად აზანზარებდა ჭერს. შიშმა ადამიანებს მორჩილება და სიცრუის აღფრთოვანებით მოსმენა ასწავლა. ქათამივით წააჭრიდნენ თავს. მთელი ქვეყნის დანაშაულს დააბრალებდნენ, თუ არასაიმედობას შეატყობდნენ თვალის ახვევის, მიწერების, კორუფციის, სიცრუის, ფუჭი პომპეზურობის გზაზე. რეჟიმი ლპებოდა, დოგმებში იხრჩობოდა, შემოქმედებით და საღად მოაზროვნე ადამიანებს ხელმძღვანელობის ყველა ეშელონში სასტიკად უსწორდებოდნენ, სპობდნენ და გზიდან იცილებდნენ: ასპარეზი კი ედუარდ ამბროსევიჩის რბევის პროგრამით, ამბაკოს და მიტრო ქიტუაშვილის მსგავსებს რჩებოდათ. ქვეყანა სავალალო დასასრულისკენ მიექანებოდა, სწორედ ისინი ულებდნენ ბოლოს, ვისაც მისი დაცვა და დღეგრძელობა ევალებოდათ. თავიანთი საქმიანობით ხალხს თავი შეაძულეს, რაც მთლიანად ცხოვრების სოციალისტურ სისტემას ბრალდებოდა, რამეთუ ყოველივე უმსგავსობა სოციალისტური სისტემის ლოზუნგებით ხდებოდა. მდუმარე პროტესტი წვეთ-წვეთად ემატებოდა ამ ოკეანეს, რომელიც ერთხელ აღელდებოდა და ამ რწმენადაკარგულთა საბრძანებელს ძირფესვიანად შეარყევდა. ახლა კი გაორებული ადამიანები ფარულად ოჯახში, თუ ვიწრო წრეში ახლობლებთან დასცინოდნენ იმას, რასაც შეკრებაზე თუ თათბირებზე ზარზეიმით ხოტბას ასხამდნენ.

ამბაკოს და მის მსგავს ყალბ კომუნისტებს, თვით კომუნისტთა თავკაცის ედუარდის მეთაურობით, არც ღმერთი სწამდათ და არც კომუნისტური იდეების, რომლის ერთგულებას გულზე ხელის ბრაგუნით იფიცებოდნენ. მათ ერთი რწმენა ჰქონდათ, ყველაფრის კადრება სკამის შენარჩუნებისა და უფრო ზევით დაჯდომისათვის.

დიდი წარმატების წელი სჭირდებოდა ედუარდს, გრანდიოზული მიღწევებით უნდოდა მოსკოველი გადაყრანტებული პოლიტბიუროს წევრების მოჯადოება, გაუგონარი ქება-დიდებით რომ ფხანდნენ ხავსმოკიდებულ გულებს რესპუბლიკათა ხელმძღვანელები, რომელთაც დიდი ქონება მოიხვეჭეს კომბინაციებით, მიწერებით, უამრავი მაქინაციებით და კორუფციით სახალხო დოვლათის ძარცვით. უკვე ზედაპირზე ამოტივტივებას ლამობდა მათი ბნელი საქმენი. უზბეკეთში გამოაშკარავებული დაუჯერებელი კომბინაციის ფაქტი საგანგაშო გახ-

და, ყველა უმაღლეს პარტიულ ბღენძს ემუქრებოდა მასში მონაწილეობის გამ-ჟღავნება. შორს არ იყო ის დრო ქვეყანას მართალი, პატიოსანი, ხალხის საქმის ერთგული ადამიანები როცა მოვლენოდნენ, მაშინ ხომ მოუწევდათ პასუხის გაცემა ჩადენილი ბოროტებისათვის.

გამოსავალი ერთი იყო მხოლოდ. ქვეყნის დაშლა, დანგრევა, სოციალიზმის იდეების უარყოფა და თავისი მოხვეჭილი, მოპარული, ჩათბუნებულ-ჩამალული ქონებით კაპიტალიზმში გადაბარგება. მექანიზმი უკვე ჩართული იყო, ქვეყნის გაჩანაგების, დაშლის და გავერანების კარუსელი უკვე ბრუნავდა და თანდათან სიჩქარეს მატულობდა.

ამბაკო დიდ კაბინეტში იჯდა და ფიქრებს მისცემოდა. რაიონის პატარა მე-ფეს თავისი უზარმაზარი დამსახურებისა მაშინ სჯეროდა, როდესაც პირმოთნე-თა აღვირახსნილი ქება-დიდების გაუვალი ღრიანცელი აბრმავებდა, მაგრამ სა-კუთარ თავთან მარტო დარჩენილს ნათელი აზროვნება უბრუნდებოდა და მა-შინ გრძნობდა საპნის ბუშტად გაბერილ დიდებასთან რამხელა უსუსური იყო, ამიტომ სძულდა მარტო დარჩენა თავის აღზევების მსგავს კაბინეტში.

ახლა კი საკუთარ სინდისთან გულახდილად საუბრობდა: – მაინც როგორ მოვიფიქრებდი, რომ რაიკომის მდივანი გავხდებოდი. რამდენი ჩემზე განათლე-ბული, საქმიანი, პირდაპირი, პრინციპული და კარგი ერის კაცი იყო მე რომ გავუსწარ ჩემი პირმოთნეობით, მლიქვნელობით, ღალატით, დასმენით, უფრო-სების ნაფეხურების ლოკვით და უმცროსებისგან ჩემს მიმართ იგივეს მოთხოვ-ნით. ისინი სხვანი იყვნენ, მე – სხვა. უფროსებს პირში სიმართლის თქმა არ უყვარდათ, ამიტომ გზიდან იშორებდნენ საქმიან, განათლებულ და მართალ ადამიანებს. სამაგიეროდ ჩემი მსგავსებით გაავსეს აპარატი, ერთმანეთს პირში რომ აქებდნენ, პირსუკან კი გესლავდნენ. მე სხვა გზით ამ მაღალ პოსტს ვერ მივაღწევდი. პირდაპირობა, საქმის სიყვარული, განათლებულ და ვაჟკაცური ბუნების ადამიანთა ხვედრია, მე კი არც ერთი ეს თვისება არ გამაჩნდა. სამაგი-ეროდ რაც მქონდა, სწორედ ის სჭირდებოდათ ამა ქვეყნის ძლიერთ და ალბათ, ამ ქვეყანას სწორედ ეს მოუღებს ბოლოს. მიწერებით, თვალის ახვევით, სიც-რუით, მოვხეჭით და არამი ქონების ჩაკუჭვით, ყალბი დიდებით და პომპეზური ღრიანცელით სოციალისტური ცხოვრების საჭე მიმართულებას ავაცდინეთ. ალ-ბათ, როდისმე დადგება დრო, მე და ჩემი მსგავსების მიერ შერყვნილი ადამია-ნების თანასწორობის ნათელი იდეების პრაქტიკული განხორციელების ეშე-ლონი ჩიხში რომ გაიჭედება; მაშინ კი აიშლის ხელებს ჩემი შესაძლებლობები. ახლა რამდენიც გინდა იშოვო, მაინც ვერ გამოაჩენ, გეტყვიან, საიდანო, უნდა დავმალო, რაც მომიხვეჭია. სოციალიზმის იდეების კრახს მე და ჩემმა მსგავსმა პარტიულმა ხელმძღვანელებმა უნდა მივაღწიოთ, რათა მოხვეჭით და ძარცვით შევიძინოთ დღეს რომ საერთო სახალხო ქონება ჰქვია და ახალ კაპიტალისტე-ბად მოვევლინოთ ჩვენს მიერვე გაუბედურებულ ადამიანებს. ახლა კი გვმარ-თებს სახალხოდ სოციალიზმის იდეების ქადაგება, საქმით კი მისი საფუძვლის შერყევა, ფასადის შერყვნა და ჩვენივე ხელით მისი მოთხრა.

– გაფრთხილდი, ამბაკო, სოციალისტური და ხალხის თანასწორობის იდეე-ბის ნამდვილი ერთგული, ფანატიკურად შეყვარებული ადამიანები არ მოვიდ-ნენ პარტიის სათავეში, მაშინ ხომ დაკარგე ეგ თავი შიგ უკულმა რომ ჩაუდგამს გამჩენს ტვინი, – შეედავა სინდისი.

– ეს არ მოხდება, რესპუბლიკას სათავეში ისეთი ჩემი მსგავსი უდგას, რომ მე იმასთან თაგვის ხელა ვარ მხოლოდ, ის კი ბუმბერაზია სატანური, უკულმა

მოწყობილი ტვინით. აბა ის კადრულობს ყველაფერს თავისი სკამის გასამაგრებლად და უფრო მაღალზე ასაჯდომად, თორე მე რა მიჭირს, ზოგჯერ ქეიფის დროს მაინც მახსენდება, რომელი ერის, ჯიშის და ჯილაგის ვარ. იმას კი არც ეროვნება ახსოვს, არც თავისი ჯიში და ჯილაგი; ყველა ქართველს ერთი საფეხურით ამაღლებისთვის მოსპობს. თუ დასჭირდა, გამოუსწორებელი ღვთის მაგინებელი მღვდლის ანაფორას ჩაიცვამს, თუ საჭიროა, მუსულმანად მოინათლება, ღმერთს იმის გაჩენაში რაღაც შეშლია; საკმარისია რამდენიმე მაგნაირი და ადამიანთა მოდგმის იმ ნაწილს, სადაც მაგათი მაგია გაჭრის, ქრისტე ღმერთიც ვეღარ უშველის. დღეს კი კომუნისტთა თავკაცის მანტიაში ვერაგულად შემძვრალი ყველაზე ცოფიანია, თუ ოდესმე სადმე უიდეო, ცოფიანი არამზადა ყოფილა. ვინ იცის, ხვალ რა იკადროს. მე კი სიფრთხილე მმართებს, რაიმე არ შემეშალოს და მისი ვერაგობის მსხვერპლი არ გავხდე.

– რა მაგარია ედუარდ ამბროსევიჩი, – ფიქრებში ჩაძირულმა ამბაკომ ხმამაღლა წამოიძახა. უცებ შეკრთა, გამოაფხიზლა ამ წამოძახილმა და სავარძლის უკანა კედელზე ჩამოკიდებულ საქართველოს კომუნისტთა თავკაცის სურათს შეხედა. ეს სურათი ამბაკომ ლენინის ადგილზე ჩამოჰკიდა, იქნებ ჩემს კაბინეტში შემოსვლა მოუწიოს და ნახავს, რამხელაზე ვცემო თაყვანს.

– შენ ვინ შეგწვდება, ედუარდ ამბროსევიჩ, – ამბაკომ შეუძახა თავის მსგავსს უკულმართთა მამა-მარჩენალს. – ამხელა კაცს რუსული ვერ გისწავლია, მაგრამ სამ ადამიანთან ლაპარაკს ქართულად არ კადრულობ კრემლის გადაყრანტებული ქურუმების საამებლად. შენი შემყურე წვრილ-მსხვილი კარიერისტმეძროვეები ქართულად სალამის თქმასაც აღარ კადრულობენ, თორე პლენუმებზე, თათბირებზე, აქტივის კრებებზე ხომ ტვინი წაიღეს ვიღაცის მიერ რუსულად დაწერილი სიტყვების თავიანთებური მინჯღრეული კითხვით. არადა, კაცს ქართული, მშობლიური თავისი კარიერის სამსხვერპლოდ გაუწირია და რუსულს ჩასჭიდებია, რომელსაც სიკვდილამდე ასე ნჯღრევით ატარებს. ვაი, შენ პუშკინის და ტოლსტოის ენავ, ყველაფრის მკადრებელ კარიერისტთა სათრევი რომ გახდი უსინდისობით და ცოდვით დასვრილ გზაზე, – ამბაკო უცებ შეკრთა, უზარმაზარ კაბინეტს ფხიზელი თვალი მოავლო, ხომ არავის შეეძლო ჩემი საუბრისათვის ყური მოეკრაო. საფუძლიანად დარწმუნებულმა თავის მარტოობაში, გააგრძელა: – შენ გენაცვალე, ედუარდ ამბროსევიჩ, შენს გარდა რა ტვინის პატრონს შეეძლო მოესაზრებინა მოსკოველ ბებერთა საამებელი ვერაგობა, საქართველოში კადრები გაიხრწნენ და რუსეთში მომუშავე ქართველები მჭირდებაო ხელმძღვანელ სამუშაოზე. არადა, შენზე უკეთ ვინ იცოდა, რა ჩიტები ვიყავით, მაგრამ ამით რუსულად ბჟუტურის მსგავსად კრემლის ბებრებთან შენს ნდობას კიდევ უმატე სიმუხთლის დუღაბი. კაცო, მაგარი ხარ, აბა რა, ყველა დანარჩენი რესპუბლიკებიდან რუსეთის ბაზრები გავსებულია ათასნაირი პროდუქციის გამყიდველებით, შენ ქართველ კაცს არ აჭაჭანებ, აქედან დამსჯელ ექსპედიციებს აგზავნი და ქართველებზე ანადირებ, აქაოდა, საქართველოს პრესტიჟს ვიცავო. საწყალი ქართველი კაცი რუსეთის ბაზრებში მანდარინის საყიდად ვეღარ შესულა, თორე გაყიდვას ვიღა ჩივის?! რა გინდა, მოსკოვიც კი არ კრძალავს. შენ რა ჭირად ექეც ქართველ კაცს. მაგრამ მე ხომ ვიცი, ედუარდ ბატონო, რომ შენი ხალხის აწიოკება-შევიწროებით ქულებს იხვეჭ იქ, ზევით. სოციალიზმის პრინციპების ერთგული ვარ და ვერავითარ გადახვევებს ვერ შევეგუებიო. აკი გაავსე ციხეები ქართველი კაცის გოდებით. დახურულ წერილებში კი ტრაბახობ, ნახეთ, რამდენი დავიჭირე წესრიგის და კანონის

მოყვარულმა ედუარდმაო. არადა, ედუარდ ამბროსევიჩ, ჩემზე კარგად ვინ იცის, რამდენ თვალის ახვევას, მიწერას და ათას უკუღმართობას სარეველასავით რომ თესავ კანონისა და კანონიერების ლოზუნგით. იქ, მოსკოვში გადაყრანტე-ბულ პოლიტბიუროს წევრებს აბითურებ კუდის ქიცინით. მაამებლობით და სა-ქართველოში ქართველი კაცის თუ მთლიანი საქართველოს ინტერესების ბურ-თაობა, ფეხქვეშ მოგდებით. მაგარი ხარ, ედუარდ ამბროსევიჩ, მორჩილი მრევ-ლის უფრო მაგრად დაბეჩავებაში, მაგრამ თუ წინააღმდეგობას წააწყდი, ვერა-ვინ შეგედრება წაწოლაში და კუდის ამოძუებაში. აფხაზებმა გაგრიდან რომ შენი ჩაყვანილი რაიკომის მდივანი გამოგიგდეს და სოხუმში სახეში გაფურთხეს, იმი-ტომ არ დააყარე პრივილეგიების კორიანტელი; იმ ამბის შემდეგ იქ ქართველი რაიკომის მდივანი ვეღარ დაგინიშნია მაქებარ, მეხოტბეთა ნებიერს.

მაგარი ხარ და მოქნილი ტვინიც გაქვს. ოღონდ სკამი შეინარჩუნო და უფრო მაღლა ააბიჯო, მთელს საქართველოს და ქართველთა ინტერესებს საფეხურე-ბად დაიდებ. შენ დიდი ასპარეზი გჭირდება, საქართველო არ გეყოფა, ვერ გა-გიძლებს. მაგ უკუღმა ჩადგმული ტვინის ოინბაზობას საბჭოთა კავშირის სიდი-დეც არ ეყოს იქნებ. აფხაზებს რომ წაუწექ და მათ წინ ხოხიალით გულზე ბალანი გაიყრევინე, ამას რომელი ქართველი იკადრებდა, მიაფურთხებდა იმ სკამსაც და კარიერასაც და თავს არ შეირცხვენდა, მაგრამ შენ სულ სხვანირი მიგნება ხარ ეშმაკის თუ მისი მსგავსების მიერ, არავინ და არაფერი არა გწამს საკუთარი თავის გარდა. ოღონდ სახელი მოიხვეჭო, თუნდაც ეს ჰეროსტრატეს გზით იყოს მიღწეული, არ გერიდება, არც გრცხვენია. მთავარია მაღლა იჯდე და უამრავი მაამებლები და მაქებარნი გეხვიოს ირგვლივ: იმათ რა შეეშლებათ, დანგრევას აშენებად, კაცთმოძულეობას კაცთმოყვარებად, ერის სიძულვილს მის სიყვარუ-ლად, ღალატს ერთგულებად ისე შეგილამაზებენ, გაბითურებულ ბითურებს ვა-შად და ქების ოინბაზობად აყლაპებენ. შე საცოდაო ჰეროსტრატე, ედუარდ ამბ-როსევიჩის ჭკუა და მოქნილობა რომ გქონოდა, ხომ შემორჩებოდი ისტორიას სიკეთის, შენების და ხანძრის ჩამქრობის სიმბოლოდ, – ამბაკო ედუარდის სუ-რათს მიაჩერდა, – შენც მაგარი ხარ და ჩვენც ხომ მაგარი ბიჭები შემოგვიკრიბე, აბა ვინმემ გაბედოს და შეგვეჭიდოს, ხომ დაუბალღამებთ სიცოცხლეს.

ტელეფონის ზარი აწკრიალდა. ფიქრებშემომფრთხალი ამბაკო ყურმილს მის-წვდა, მიტრომ დიდი მოწიწებით და ქათინაურებით რაღაც საკითხი შეათანხმა. ამბაკომ ყურმილი დადო და ტელეფონის აპარატს მიტროს ანგარიშში მიმართა: – აბა, შენ იქნები ქვეყნის ამომგდები, თორე მე რა მიჭირს. რა თაობა მოდის, კაცო! როგორი წყობილება გაუძლებს ამათ ავკაცობას?! ამბაკომ მაგიდას ხე-ლი დაარტყა და პირვანდელ მდგომარეობას დაუბრუნდა; ისევ ფიქრების ბი-ლიკს გაუყვა: – რა მიტრო ვიშოვე, პირდაპირ იშვიათი ეგზემპლარია. ბოროტე-ბის, ქვეყნის და ერის პარაზიტის წოდების მინიჭება რომ არსებობდეს, ედუარდ ამბროსევიჩი უპრეტენზიოდ მიიღებდა მარშლის წოდებას, მიტრო ლეიტენანტი მაინც იქნებოდა, მე? მე კი, ალბათ, ეფრეიტორის რანგში გავიდოდი. – საკუთარ თავთანაც ცრუობ, ამბაკო, შენთვის კაპიტანი და მაიორიც ცოტა იყოს იქნებ, – შეედავა საკუთარი მე. – რა ჩემი ბრალია, როგორ მუშაობასაც თხოულობენ, ისე ვიქცევი, ვინც წინ აღუდგათ, მოსპეს, დაიჭირეს, მოხსნეს, დააქვეითეს. აბა მე იმათსავით ხისთავიანი ხომ არა ვარ, რომ კედელს ვურტყა. ვასრულებ, რა-საც ითხოვენ და ვარ ბედნიერად. მაშ მათეა მართალი? ვთქვათ, მეც მაგასავით მოვიქეცი, ხომ გამომიყვანეს წირვა. ვინ მაპატიებს, რომ გეგმა არ შესრულდეს, ეს ხომ ედუარდის ღალატად ჩაითვლება. კაცი თავს იწონებს ციფრებით, შენც

იჯამბაზე, პროდუქტს ხომ არ ითხოვს, მთავარია გარდამავალი დროშები მოინადიროს და მოწინავე ერქვას. სანამ ვინმე ამ ცოდვებს მოუჩხრეკავს, ეგ და მაგის მსგავსები ამ ქვეყანას ისე დაშლიან, აწყობა ვეღარ მოხერხდეს. მათი ცოდვებიც იმ ნანგრევებში მოჰყვება და მომკითხავი აღარავინ იქნება. მათეს ვერ წარმოუდგენია, ქვეყანა რა თვალთმაქცი ძიების ხელშია, მაგას და მაგის მსგავსებს მრუდე მუხის გასწორება სურთ, ჭაობში ტყუილად ფართხალებენ, რომლის სიმყრალის ამოშრობის თავი არ აქვთ; ჭაობი კი შეიწოვთ, რადგან უმრავლესობას ვერ აიყოლიებენ, თორე შეძლებდნენ ადამიანთა ფოჩიანი კუდის გარეშე ცხოვრებას.

– ვინც ამ უკუღმართობის გასწორებას ცდილობს, გმირია, რადგან ვერაგ თვალთმაქცობასთან ვინ იცის, რა უბედურებას გადაეყრებიან, – არ ისვენებდა სინდისის ფეთქვა, – ისევ ეგენი იყვნენ გმირები და შეიჭამონ თავი, მე კი თბილი, უზრუნველი ცხოვრება და დღევანდელი დიდება ყველაფერს მირჩევნია. მოკლედ, თავი გამანებე, ყველამ თავის ბოზ მამიდას მოუაროს! – გაბრაზებულმა ამბაკომ ხელი აიქნია, თითქოს აბეზარ ბუზს იგერიებსო. ამით სინდისის ფეთქვა დაამუნჯა. ახლა ისევ ის ამბაკო იყო. ზარის ღილაკს თითი დააჭირა და მდივანი გოგოს მოსვლამდე სავარძელში მიესვენა.

დიადი მიღწევებისათვის დიდი და არნახული მოჩვენების წელი იწყებოდა. მოსკოველი მოჩვარული პოლიტბიუროს მთავარი წევრის ორდენებზე გადარევა რესპუბლიკის მთავარ ბლენძსაც გადაედო და ახლა საქართველოში გმირის წოდების მოხვეჭისათვის გამართულმა ჯირითმა ისეთ ინერცია მიიღო, რომ მიწერების სიგიჟემ მორალის, პატიოსნების და სინდისის მუხრუჭი გაგლიჯა. გარდამავალი დროშა და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებაც შანსიანი ადამიანების მისაწვდომი იყო. ამ საქმეში დაოსტატებული რესპუბლიკის ხელმძღვანელი ქება-დიდებით ანებივრებდა მიწერის და თვალთმაქცობის ოსტატებს; არც შემდეგ მათ შერჩევით ჩატუსაღებას ივიწყებდა. ნახეთ, როგორ დაუნდობლად ვებრძვი დანაშაულსო. კაცობრიობის ისტორიაში პირველი სოციალისტური სახელმწიფო უკანონობით, თვალთმაქცობით და კორუფციით დაბინძურებული მორყეულ იმპერიად იქცა. ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ ანგრევდნენ კაცთმოყვარეობით ნაგებ სიკეთეს და კეთილდღეობას. ასევე ნაბიჯ-ნაბიჯ შეჰყავდათ ხალხი სიძულვილის, ბოროტების, განუკითხაობის, ადამიანში მხეცის გაღვიძების ჯოჯოხეთში.

ვინც გაიბრძოლა, კრიტიკა გაბედა, მოსპეს. ახლა ასპარეზი ანონიმურ მწერლებს დარჩათ. ეს მეთოდი ხელმძღვანელებს კიდეც აწყობდათ, ქვემდგომთა დაშინება-დაშანტაჟებისათვის.

თვითონ რაც იყვნენ, ძალიან კარგად იცოდნენ. ნამდვილ სახეს ნიღბის ქვეშ მალავდნენ და თუ ვინმე მათ მხილებას შეეცდებოდა, კარიერისტთა მაგიის დაუნდობლობის უსაზღვრო ვერაგობას ვერსად გაექცეოდა. ანონიმური წერილების ავტორებს კი პირდაპირი მხილების არც ვაჟკაცობა და არც გამბედაობა არ ჰქონდათ; ამ დედლური ბუნებით მაინც აღიზიანებდნენ მათზე არანაკლებ დედალ და ვერაგ ამა ქვეყნის ძლიერთ.

უსაზღვრო იყო შური, ღვარძლი და დაუნდობლობა იმ ადამიანთა მიმართ, ვინც მართალი სიტყვით ცხოვრობდა, ვინც ვერაფრით ვერ შეგუებოდა თვალთმაქცობას. პირმოთნეობას და უამრავი სიყალბით მოხვეჭილი არამი ქონებით ნებივრობას.

მათეს თავისი სიმართლე და იმ საქმისადმი ალალი რწმენა, რომელსაც

ემსახურებოდა, საწინააღმდეგოდ ღვარძლით შენელებული ბუმერანგივით დაუბრუნდა. ძლიერი იყო ყალბთავათა ორდენი. მათეს მსგავს ხალხის ერთგულებს ყოველნაირი მუხთალი მეთოდებით ებრძოდნენ და მათი ბოლო, უკეთეს შემთხვევაში, სამსახურიდან დათხოვა იყო.

მათე რესპუბლიკის ხელმძღვანელობასთან დაასმინეს, როგორც არაკეთილსაიმედო პიროვნება, რომელიც ხელს უშლის უკუღმა აწყობილ მუშაკთა უკუღმა სვლას. უკვე რამდენიმეჯერ მოიხსენეს მათე, როგორც პარტიის დიადი საქმის ხელის შემშლელი. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მათეს დაბრალდებოდა ის დანაშაულებანი, რაც ზემოდან ნებადართული იყო ვითომ შენიღბულად. ხალხის თვალში ბრძოლას უცხადებდნენ მექრთამეობას, პროტექციონიზმს, კორუფციას და ათას მანკიერებას, რაც თვითონ იყვნენ თუ ვინმე მათ მხილებას ეცდებოდა, ყველა სიბინძურეს მას გადააბრალებდნენ და სათანადოდ გაუსწორდებოდნენ. მათემ პირველად იგრძნო ამგვარი ანგარიშსწორების სუსხი.

მათე კაბინეტში იჯდა და თავის ფიქრებს ეჭიდებოდა. სოციალიზმის იდეების სწამდა, ადამიანთა თანასწორობა და ყველას კეთილდღეობა ნათელ მომავლად ესახებოდა. სწამდა და სჯეროდა პატიოსანი მუშაობის პირობებში, გაქრებოდა მოხვეჭა, გამდიდრების ველური სურვილი, თვალთმაქცობა, ღალატი და ორპირობა. პარტიული ხელმძღვანელი რაც მაღალ თანამდებობაზეა, უფრო სპეტაკი ეგონა. მერე რა, რომ ისინი გენიოსები არ იყვნენ, შეცდომებსაც უშვებდნენ, მთავარი იყო მათ საქმიანობაში სუფთა სინდისი, პატიოსნება, იდეის ერთგულება, ხალხის სიყვარული. ფიქრობდა მათე. ახლა კი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ უმაღლეს ეშელონებში გამძვრალმა ეგოისტმა, კარიერისტმა მოლაყბეებმა მთელს ქვეყანაში როგორ ამრავლეს თავიანთი მსგავსი დიდ-პატარა ნაძირალები. სწორედ ისინი არიან ადამიანთა ბედნიერი ცხოვრების, თანასწორობის და კეთილდღეობის მესაფლავენი. ახლა დროღაა საჭირო, ბედნიერი და ნათელი ცხოვრების იმედი უკვე მიცვალებულია. იხვეჭენ და დამალული ქონების დასაკანონებლად, როგორც შესაძლებლობა მიეცემათ, კაპიტალისტებად ან ბატონყმობის პერიოდის ყმათა მფლობელებად გადაიქცევიან. ნელნელა შლიან სოციალიზმს და ხალხს აძულებენ, იმის მაგიერ, რომ გააუმჯობესონ და ხალხის ბედნიერებად აქციონ. ამ თვალთმაქცთა მხილება და სააშკარაოზე გამოტანა შეუძლებელია, ძლიერი დამსჯელი აპარატი სასიკეთო საქმეს რომ უნდა ემსახურებოდეს, ამ სატანის მოციქულთა ხელშია, ამიტომაც სპობენ სიმართლისა და სიკეთის თესლს. ყოჩაღ, მათე, ამ ხნის განმავლობაში კედლისათვის გირტყამს თავი და მხოლოდ ახლა იგრძენ ეს! ამ ფიქრებმა მწარე ღიმილი მოჰგვარეს. ეხ, ჩემო მათე, ბოროტების გზაზე დამდგარმა ვერაგობამ სიმართლისა და სიკეთისათვის ანგარიშსწორებაც თავისი შესაფერი იცის, – ხმამაღლა თქვა და ისევ ჩაფიქრდა: გულუბრყვილო ადამიანებს ჯერ კიდევ სწამთ ხალხის სოციალური თანასწორობის ნათელი იდეების, რომელიც მრუდდება ღლევანდელი კარიერისტი, სკამის მაძიებელი, ეგოისტის, მუცელღმერთა კომუნისტების მიერ, ცრუ ორდენების ჟღარუნი და მათ მიერ ნაწამები ადამიანების კვნესა ყალბი დიდება რომ ჰგონიათ. პირველ ქრისტიანებს სწამდათ იესოს კაცთმოყვარე, სიკეთით და შენდობით ღმერთამდე ამაღლებული რწმენის, შემდგომში პაპებმა და ეპისკოპოსებმა ადამიანთა გოდებით, სისხლით, ცრემლით და საშინელი ცოდვებით რომ შეაძრწუნეს. მთელი საუკუნეების განმავლობაში იესოს სახელით სტანჯავდნენ და კლავდნენ ისეთ კეთილშობილ მოაზროვნეთ, როგორიც იყო თვითონ იესო. იგი ვერ წარმოიდგენდა, რომ ქვეყნად იქნებოდა

ისეთი გარყვნილი აზროვნების ხალხი, რომელიც მას სისხლისმსმელ მოლოქად წარმოიდგენდა. ქრისტიანობას რომ უარეყო ისეთი სასტიკი კანონები, რომლის ძალითაც იესო დაისაჯა, განა უფრო სამართლიანი არ იქნებოდა. იესოს წმინდა სახელს შეფარებული ეგოისტი, საკუთარი ჯიბის სისქეს დახარბებული პაპი და ეპისკოპოსები ქრისტეს სახელით პირადი ბედნიერებისათვის ცეცხლით და მახვილით მუსრავდნენ ხალხს. მეთორმეტე საუკუნიდან მეცხრამეტე საუკუნის სამოცდაათ წლებამდე მძვინვარებდა ინკვიზიცია; ქრისტეს მსახურმა სისასტიკით ქრისტე შეაძრწუნეს. სახარებაში ვერ იპოვით ადგილს, სადაც იესო რაიმე სარწმუნოებრივი წესების შემოღებას თხოულობდეს. იესო რომ წამომდგარიყო, თავისი სახელის ხსენებას აუკრძალავდა მათ, ანაფორაში შემძვრალებმა ქრისტეს სარწმუნოების დაცვის მიზეზით ცოდვები რომ ამრავლეს. ამ უმაღლეს, ზეადამიანურ, ღვთიური სათნოებით, ამაღლებულ ქრისტეს მოძღვრებას თუ გაუჩნდნენ ინკვიზიტორების მსგავსი კაცთმოძულე, ქრისტეს სახელს ამოფარებული არამზადები, რა გასაკვირია, რომ ადამიანთა თანასწორობის და კეთილდღეობის იდეას დღევანდელი კომუნისტი ბელენძების სახით პარაზიტთა მთელი ხროვა გასჩენოდა, რომელიც საბოლოოდ გამოხრავს და სასაცილოდ აქცევს ამ მოძღვრებას“, – ფიქრობდა მათე და თავისი თავი ებრალებოდა ხალხის კეთილდღეობისათვის ბრძოლის ადგილი სწორად რომ ვერ შეარჩია გულუბრყვილო რწმენის გამო...

## მათეს სიზმარი

**ივრი** ნაპირებიდან გაყინული, მინდორი სიცივისგან შებოჭილი, დღე მოკლე და სამხრეთისკენ ჩაცურებული მზე. ივრის ჭალების ფოთოლშემოძარცული ხეები. სითბოს ძებნაში გართული ყოველი სულიერი. აბოლებული მწყემსის საცხოვრებელი ბინის ბუხარი, – მფეთქავი სიცოცხლე უკიდეგანო სიცივის სამფლობელოში. ამჟამად ზამთრის ძალაუფლება ზის ტახტზე, სიცივე, ყინვა და თოში მისი ლეკვები ყეფენ და არემარეს შიშის ზარს სცემენ. შიში კი საფუძვლიანია, რამეთუ ზამთრის დაუნდობელ ლეკვებს არაერთი ჩქეფარე სისხლი გაუყინიათ. არადა, ამ სიცივის საფარში დადუმებულ ივრისპირეთს ზაფხულის აუტანელი სიცხეც ახსოვთ და მისგან შეწუხებული სულდგმულნიც, ენაგადმოგდებულნი ჩრდილს და მაცოცხლებელ წყალს რომ დაეძებენ. ასეა, სიცივე და სიცხე სხეულში ჩასახლებულ სულებს აწუხებთ მხოლოდ, თორე უსულო საგანს ისე აშფოთებს, როგორც ზღვის ღელვა ხეზე შემომჯდარ ბუს. იმავე ბუს სულაც არ ენაღვლება, რატომ არ ინდობენ ადამიანები ერთმანეთს, ან რატომ არის ადამიანი ადამიანისთვის მგელი, მელა და აფთარი, ან ხარბი ადამიანი რატომ ვერ ძღება მანამდე, სანამ საფლავის მიწა არ ამოუვსებს პირს.

იქნებ ამას ფიქრობს ახლა მათე, მწყემსების ოთახში გამთბარ ღუმელთან ნაბადზე წამოწოლილი რომ თვლემს. მათე ძილ-ღვიძლშია და ამ ბურანში მხოლოდ ღუმელში მოტანებულ ცეცხლის ბუტბუტი ესმის. რა უნდა, რას ბუტბუტებს? მცირეა მისი ძალა, მხოლოდ ოთახში შემოჭრილ სიცივის დასადუნებლად თუ გამოდგება. ის კი ბუტბუტებს. ბედს ემდურის თუ დიდ საქმეზე ოცნებობს. უზარმაზარ ხანძრად ქცეული სამყაროში შემოჭრილ ყინულის ბრჭყალს რომ შეეჭიდება. ასეა ყოველთვის, არავის არ უნდა სუსტი და მცირე იყოს და თუ მაინც არიან სუსტნი და მცირენი ეს მხოლოდ იმიტომ, რომ არ შეუძლიათ იყვნენ ძლიერნი და დიდნი: უფალმა ყველას წილად თავის ბედთან შერიგება არგუნა.

მათე კი ბედს არ ურიგდება. ებრძვის ზვავივით აგორებულ სიცრუეს, თვალთმაქცობას, ძალადობას და კანონიერებად მონათლულ უკანონობას. ებრძვის და კარგათაც ხვდება მოსახვედრი მისგან განაწყენებულ ბლენძკაცთა მიერ. რაღაცის იმედი ჰქონდა, ეს რაღაცა სიმართლის გამარჯვების რწმენა იყო, მაგრამ ეს რწმენაც დაემსხვრა ისე, რომ ახლა მისი ნამსხვრევებიც საძებარი აქვს.

მათე შვებას მწყემსებთან მინდორში ეძებს. როცა კი შეუძლია მათთან რჩება და ამით იქარვებს უკუღმართი ადამიანებისაგან გამრუდებული ცხოვრების მიერ მიყენებულ ტკივილს. სამსახურიდან განთავისუფლება და მეცხვარეობაში წასვლა გადაწყვიტა, მაგრამ ჯერ არ ჩქარობს, იქნებ პატიოსანი ადამიანების თვალთმაქცთა ხახაში შეტოვება არ უნდა, თვითონ ხომ მოურიდებლად და დაუფარავად ამხელს ყველას და ყველაფერს, რაც და ვინც ამ ცხოვრებას სირცხვილად და უბედურებად ჰქცევია. თავისი თავის იმედი ჰქონდა, რომ ბოლომდე დაიცავდა იმას, რაც სწამდა, სჯეროდა, რომ ზევიდან სიმართლეს და პატიოსნებას დაუჭერდნენ მხარს, ეს რწმენა იყო, ასე თამამად რომ ათქმევინებდა მართალ სიტყვას. ახლა დარწმუნდა, რომ ზევით მისი ესოდენ თავდადება სიმრათლისათვის არ სჭირდებათ, პირიქით, აღიზიანებთ და ხელის შემშლელობაში ჩარიცხულ ჩამოსაწერლ ჰყავთ გამზადებული; ჩამოწერის მეთოდები კი უამრავია ჩამოსაწერთა საქმიანობის და მათ მიერ ხელის შეშლის ხარისხის მიხედვით.

ზევითაც არიან მათეს მსგავსი ადამიანები, მაგრამ როცა ცეკას პირველი მდივანი ჩამდგარა სატანის სამსახურში, დანარჩენების მცდელობა ფუჭი ფაფხურიღაა მხოლოდ, რამეთუ ედუარდ ამბროსევიჩს ყველა საპასუხისმგებლო ადგილზე თავისი მსგავსი ჰყავს დანიშნული, თუ სადმე კიდევ ზოგიერთმა არ გაუმართლა, ნაცადი ვერაგული მეთოდებით უსწორებს ანგარიშს. ნაცადი მეთოდები კი მისი მსგავსების მიერ ჩდენილი დანაშაულის მის არამსგავსებაზე გადაბრალებაა. ხალხი ამას დაიჯერებს თუ არა. ედუარდს სულაც არ აწუხებს, რადგან კანონის დამცველთა უკანონობის მექანიზმი მის განკარგულებაშია იმ ორგანოებში თავისი მსგავსი პატარა ედუარდების წყალობით. ხალხის მოვალეობა კი ისაა, რომ ამათ ნათქვამზე ტაში და ვაშა დააქუხოს: ხალხს ბრბოდ თვლიან და ბრბოს მექანიზმით მართავენ.

მათე თანდათან ხვდებოდა, რომ ამ უთანასწორო ბრძოლაში მარტო რჩებოდა. მის ირგვლივ მყოფი ადამიანები ცალკე პირუთვნელობას და სიმართლისათვის ბრძოლას რომ უქებენ, ამბაკოსა და მის მსგავსებს პირმოთნედ ეთანხმებიან ყველაფერში. შიში სამსახურის, საცხოვრებელი ადგილის, ბოლოს სიცოცხლის ან თავისუფლების დაკარგვისა ადამიანებს არსებული ხელისუფლების ულირს თავკაცთა ლაქიებად აქცევს. ამ ადამიანებში ყველაზე მაღლა დგას საკუთარი თავის კეთილდღეობისათვის ზრუნვა, რის ფასადაც არ უნდა იყოს ეს მოპოვებული: მლიქვნელობის, ფარისევლობის, დასმენის, ღალატის, სიცრუის, უსირცხვილობის და კიდევ ვინ მოსთვლის იმ ადამიანურ ქვენა გრძნობებს ასე ჭარბად რომ იშრობს პირუტყვის ინსტინქტს დაწაფებული ადამიანი.

კომუნისტური ცხოვრების ყველაზე დიდი შეცდომა ადამიანთა უსიტყვო მორჩილებაა, სწორედ ახლაა საჭირო ხალხის აქტივობა, როცა სოციალიზმის ლოზუნგით უსპობენ მას, რისთვისაც იბრძოდნენ უფროსი თაობები ბედნიერი ცხოვრების მოპოვების იმედით. ძლივს შეიქმნა პირობა სოციალური კეთილდღეობისათვის, მაგრამ სწორედ ახლა ისეთი საშინელი ბაცილა გაუჩნდა ადამიანთა სასიკეთო მძლავრ ორგანიზმს, რომ მისი მკურნალობა თითქმის შეუძლებელია, რამეთუ ვინც უნდა მკურნალობდეს, სწორედ ისინი არიან ყველაზე დიდი

პარაზიტები, ბაცილები, ვიბრონები.

სად წახვალ, ვის მიმართავ, ყველგან დიდ-პატარა ედუარდ ამბროსევიჩები სხედან. თუ შეატყეს, რომ მათთვის საშიში ხარ, სოციალისტური სახელმწიფოს მტრად მოგნათლავენ და მტრის დონეზე გაგისწორდებიან, რამეთუ შენ მათთვის მტერი ხარ.

მათე გრძნობს, რომ უძლურია, მისი მსგავსნი დაქსაქსულები არიან. სოციალისტური ენთუზიაზმის ცეცხლი ჩამქრალია, ადამიანები სოციალურ კეთილდღეობაზე აღარ ზრუნავენ, ყოველივე სიკეთე რაც სოციალიზმიდან მოდის, მათ ბუნებრივი ჰგონიათ, იმას კი ვერ გრძნობენ, რამხელა საშიშროების წინაშე დგანან მომხვეჭელთა, გაუმაძღართა, ეგოისტთა, კარიერისტთა, კორუმპირებულ ბღენძთა კონტრრევოლუციური, დამანგრეველი, დივერსიული, ფარული, მცოცავი აგრესიის პირობებში. ყველაზე საშიში კი ის არის, რომ ამას პარტიული ზედა ფენა აწარმოებს თავისი ეგოისტური, მესაკუთრული, გამყიდველური, პრიმიტიული ინსტინქტის დაკმაყოფილების მიზნით. სწორედ ეს პირუტყვული ინსტინქტია, სოციალისტურმა რევოლუციამ რომ შებოჭა ადამიანში, ახლა კი მოშვებულობასა და დაუდევრობის პირობებში საშინელმა ბაცილამ დანგრევის ზღვარზე დააყენა ადამიანთა მიერ ბრძოლით და შრომით მოპოვებული სოციალური თანასწორობის ქვეყანა.

ამ ფიქრებში გაბლანდულ მათეს ტახტზე ჩაეძინა. მაგრამ რას ჰგავს ეს, რანაირი მშფოთვარე ჩაძინებაა, როცა მის წინ ყოველივე ცხადივით ხდება. იქნებ მისი მძიმე ფიქრები ცნობილი გახდა მათთვის, ვისაც ესოდენ სძულს მათეს საქციელი? ან რაღაც მაგიური ძალაა ისე უცერემონიოდ რომ ძვრება ადამიანთა სულში.

ოთახში ვიღაც დადის, მათე აკვირდება, ნამდვილად ამბაკოა, მაგრამ ხელების მაგიერ თხის ჩლიქები რად გამობმია, თავზე კი რქები და გრძელი წვეტიანი ყურები, კუდიც აქვს და თხის ჩლიქებიან უკანა ფეხებზე დგას. კოსტიუმი და ჰალსტუხიც არ დავიწყებია. ამბაკო იცინის. უხარია, რომ მათე ძალიან გაკვირვებულია მისი ნახვით. ამბაკო გახურებულ ღუმელზე ცეკვავს, მათე ნერვიულობს, ჩლიქები არ დაეწვასო.

– რა თავპირი ჩამოგტირის, მათე, მომაკვდავ სოციალიზმს გლოვობ? – ამბაკო ახარხარდა.

– შენ სულ სოციალიზმს ფიცულობ და მის ძლიერებას ქადაგებ, ახლა ასე აუგად რატომ იხსენებ? – შეეკითხა მათე.

– იქ ვცრუობ, ხალხს ვაბითურებ, მართალს ახლა ვამბობ, მათე, სოციალიზმის და მისი დამცველების დღეები დათვლილია, გაიგე?! – იცინის ამბაკო.

– შენ საიდან გაიგე, თხის რქებმა გითხრეს?

– სწორედ რომ ეგრეა, თხის რქებიანები დაამხობენ შენს მოწონებულ ქვეყანას.

– ჩემი მოწონებული რათა. შენ იგლეჯავ წვერს მისი დაცვით და ქებადიდებით.

– ამას იმიტომ ვაკეთებ, რომ თანამდებობა და ძალაუფლება შევინარჩუნო, საქმით კი მის დამხობას ვემსახურები, გაიგე?! – ამბაკომ რქები შეათამაშა. – აქ რას უზიხარ, სოციალისტურ საკუთრებას განიავებისაგან იცავ?

– ვცდილობ, რომ არ განიავდეს კოლმეურნეთა ქონება.

– შენ რომ კოლმეურნეთა გგონია, ჩვენ უკვე გავინაწილეთ. ერთი შენ გამოდექ ბითური, ადამიანთა სოციალური კეთილდღეობის ბოდვების რომ გწამს,

თორე ჩვენ ყველანი საკუთარი ქონების დაგროვებისათვის ვიბრძვით, ისე ვხრავთ იმ შენს მოწონებულ სოციალისტურ საკუთრებას შიგნიდან, როგორც ხეში შემძვრალი ჭია ხეს. ჰოდა, სანამ დაიშლება და ჩაიფუშება, რაც შეიძლება ბევრი ქონების დაგროვება უნდა მოვასწროთ; დაშლის შემდეგ ნახე წეწვა-გლეჯა, – ამბაკო ღუმელზე ცეკვავდა.

– მაგას ვერ ეღირსებით, ადამიანთა სოციალური კეთილდღეობისაკენ ლტოლვა შეუქცევადია, – მტკიცედ თქვა მათემ.

– შენ რა უნდა გელაპარაკო, სოციალისტური იდეებით ისე გაქვს მოწამლული ტვინი, ჩემზე დიდმა ჩემისთანამ ვერ შეგაცდინოს იქნებ, – თქვა ამბაკომ და გაუჩინარება დაიწყო.

სამაგიეროდ ოთახი უფრო დიდმა ამბაკოს მსგავსმა თხის ჩლიქიანმა და რქოსანმა შეავსო. მათე დააკვირდა, თითქოს სადღაც ენახა, მაგრამ თვალებს არ უჯერებდა, განა შეიძლება იმას თხის რქები ჰქონოდა? აგერ, ნამდვილი ადამიანის სახე მიიღო და მათესაც გაკვირვებისგან თვალები გაუფართოვდა. ედუარდ ამბროსევიჩი საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველი მდივანი იცნო.

– ედუარდი ვარ, მათე ურწმუნო! – ახალმა მოჩვენებამ ხმა ამოიღო.

– ურწმუნო რაზე ვარ, სოციალიზმს და ხალხის კეთილდღეობის ნათელ იდეას რწმენით და შეგნებით ვემსახურები.

– სწორედ ეგ არის ურწმუნობა და ჩვენი საერთო საქმის ღალატი.

– როგორ, შენ სოციალიზმის იდეების არ გწამს?

– მე რისი უნდა ვიწამო, როცა თვითონ ვარ საკუთარი იდეოლოგიის ფუძემდებელი, – ედუარდს ბატონკაცურად ჩაეღიმა, – ჩემი რწმენაა საკუთარი კეთილდღეობისათვის, მაღალი პოსტის ხელში ჩაგდების და მისი შენარჩუნებისათვის, ძალაუფლების და ქონების მოხვეჭისათვის ყველაფრის კადრება. დიდი სატანური ტვინია საჭირო, რომ გძულდეს ადამიანთა კეთილდღეობა და მის ყველაზე ერთგულ მცველად გაასაღო თავი; გაუმაძღარი მომხვეჭელი იყო და მის წინააღმდეგ მებრძოლთა მედროშედ ითვლებოდე; კაცთმოყვარებას ქადაგებდე და სატანას ემსახურებოდა; ჰიპნოზის მაგიურ ძალას უნდა ფლობდე, რომ შენი ერი შენს კარიერისტულ სამსხვერპლოზე შედო, ხალხი კი ბატკანივით გისრულებდეს თავის საუბედურო ბრძანებას, თუ ვინმე გიგებდეს ჩანაფიქრს და მასზე მაგიურმა ჰიპნოზმა არ გასჭრას, მას კიდევ იმავე ხალხის ტაშისკვრაში მოაშთობინებ.

– ყოველივე ეს შენი რწმენაა? – ჰკითხა გაკვირვებისგან ყბადაღებულმა მათემ.

– დიახ. ჩემია და ჩემნაირები იზიარებენ.

– რა გაიძულებს სიკეთესთან ბოროტებით ბრძოლას?

– სიკეთე სად არის? ეს აბსტრაქტული ცნებაა, რომელიც მხოლოდ ლამაზი სიტყვების მოსაპირკეთებლად იხმარება, პლანეტის სულიერთა არსებობა კი ბოროტებაზე, სიძულვილზე, ძლიერის მიერ სუსტის მოშთობაზეა აგებული. აბა გადახედე რანაირი ცხოველებით არის დასახლებული დედამიწა, ობობებიდან დაწყებული ვინც კი ვის ერევა ჭამს და სტომაქს იყორავს. რატომ ხდება ეს, იცი? თავიანთი სხეული რომ აცოცხლონ. ის სხეული კი განგების მოგონილია და იმთავითვე ისეა გათვლილი, რომ თუ სხვას არ შეჭამს, ვერ იცოცხლებს. სხეული კიდევ ის მექანიზმია, რომელიც უფლის დავალებით სხვა სხეულების გადამუშავებაზე მუშაობს და გამოყოფს ისევ მიწასთან შესაერთებლად. ორგანიზმების მიწად გადაქცევის მექანიზმშია ჩასახლებული რაც კი დედამიწაზე

სულერი ბოგინობს. ჰოდა, ბრძოლაა გაჩაღებული ვინ ვის მოერიოს და სტომაქში ჩაიდოს, მთელს დედამიწაზე ეს უპირველესი კანონი მოქმედებს, სხვა დანარჩენი ამის საფუძველზეა აგებული. თუ რომელიმე მეტიჩარა ამ კანონების საწინააღმდეგო რაღაც სისულელეს მოიგონებს იმ თქვენი სოციალიზმის მსგავსად, იქნებ იმაზეც იზრუნოს დედამიწის მსგავსი პლანეტა მოიგონოს, სადაც ჭამა არ არის საჭირო, სადაც მარტო ერთმანეთს ეფერებიან და სიყვარულით გვერდებს ულოკავენ. ჰოდა, თუ ამგვარი პლანეტის შექმნა არ შეგიძლიათ, მაშინ დაემორჩილეთ იმას, ვისი ნებართვითაც გაჩნდით ამ ქვეყნად. ახლა ხომ დარწმუნდი, რომ ამგვარ წეწვა-გლეჯვასა, ურთიერთ ჭამა-ყლაპვის და მოსპობის მცდელობაში ეგ შენი სოციალიზმი ხომ არის მაღალი სიცხის გავლენით ბოდვა?! – ედუარდ შევარდნაძე ახარხარდა და ისევ თხის ჩლიქიანი სატანის ფორმა მიიღო.

– ადამიანი თავის განვითარების გარკვეულ ეტაპზე აყოლილი იყო შენგან ჩამოთვლილ მხეცურ ინსტინქტებს, რამეთუ ადამიანში დასაბამიდან ერთმანეთს ებრძვის ორი ხასიათი მხეცის და ადამიანის. დროთა განმავლობაში ადამიანი აგროვებს ცოდნას. გამოცდილებას და ამის საფუძველზე ადამიანური ინსტინქტები თრგუნავს მხეცს. ცოდნას და კაცთმოყვარებას ადამიანი კაცობრიობის მაღალ შენობად აგებს. ყოველი ახალი თაობა თავის წინამორბედთა დაგროვილ ცოდნას და გამოცდილებას აგრძელებს და თავის წილს უმატებს, ასევე მაღალ საფეხურზე ადის ჰუმანიზმი და ადამიანური უწმინდესი გრძნობები. ადამიანი ის მოაზროვნე არსებაა, რომელიც სისტემატურად ავარჯიშებს უსაზღვრო შესაძლებლობების ტვინს დროთა განმავლობაში განგების დონემდე ამაღლება რომ შეუძლია. სწორედ ადამიანი არის ის არსება, რომელსაც შენგან ჩამოთვლილ წეწვა-გლეჯვაზე მაღლა დადგომა შეუძლია. სოციალიზმი კი ჯუნგლების კანონზე გამარჯვებას ნიშნავს. თუ ზოგჯერ სატანა იმარჯვებს ადამიანში და ჰუმანიზმს თრგუნავს, ეს მხოლოდ დროებითი მოვლენაა და კაცობრიობის წინსვლას სიკეთისა და კეთილდღეობისაკენ ვერავითარი ბნელი ძალა ვერ შეაჩერებს. შენ კი, ედუარდ ამბროსევიჩ, უბედურებად ჰქცევიხარ ადამიანთა იმ ნაწილს, რომელიც შენი და შენისთანების მაგიის გავლენაში მოქცეულან, – მათემ მისთვის დამახასიათებელი პირუთვნელობით უთხრა სათქმელი.

– ბავშვი, რომელმაც არ იცის ეგ შენი ამაღლებული იდეები, ცდილობს ყველაფერი მისი იყოს, ეს გენებით გადმოცემული თვისებაა და ადამიანში მოხვეჭა-მითვისების მძაფრ ინსტინქტს ვერავითარი ძალა ვერ მოსპობს, რამეთუ თავიდანვე ადამიანი ამისათვის არის შექმნილი. ამრიგად სოციალიზმზე ყალბი მიეთ-მოეთი სულ ფუჭია. ადამიანს რამდენიც არ უნდა უჩიჩინო თანასწორობისა და კაცთმოყვარების სისულელეზე, იგი დაბადებიდან რეალური სინამდვილის ტყვეა, ეს სინამდვილე კი ძლიერის სუსტზე ბატონობაზე და ძარცვაზეა დამყარებული.

– ჰაინე ამბობდა, გოლიათის მხრებზე შემდგარი ქორდნისკაცი გოლიათზე შორს ხედავს, მაგრამ გოლიათს გული არ უცემსო. შენ კი გოლიათის მხრებზე შემდგარი ის ქონდრისკაცი ხარ, უკან რომ იყურები და გულის მაგიერ მკერდში ნაკელის ხოჭო გიზის. ამგვარი საშინელი აზრებით როგორ იკავებ თავს საქართველოს კომპარტიის ცეკას მდივნის სკამზე?! – გაბრაზებული მათე შეტევაზე გადავიდა.

– დიახ, გოლიათის მხრებზე ვდგავარ და იმ გოლიათსაც ჩემს სურვილის მიხედვით. დავაჯირითებ, ოღონდ ფრთხილად, რომ ჩემი აზრები არ გაიგოს.

წელან გითხარ და კიდევ გიმეორებ, რომ გძულდეს ადამიანთა სოციალური კეთილდღეობა და მის ყველაზე ერთგულ დამცველად გაასაღო თავი, დიდი სტანური ტვინია საჭირო. დღეს ასეა, მთელს საქართველოში სულ ჩემი მსგავსი რაიკომის მდივნები დავაგზავნე, ისინი იქ, ადგილზე მოაშთობენ შენს მსგავს სოციალიზმზე შეყვარებულ უგნურებს და მათ საქმიანობას: მოხვეჭას, ძალადობას და უზნეობას დაამყარებენ, რასაც სოციალიზმს დააბრალებენ. ხალხი კი ბრბოა, შეიძულებს მათ სასიკეთო საქმეს და ჩადგება, მის უნებლიეთ, სატანის სამსახურში სანამ მოგონდება, მერე კი უკვე გვიან იქნება, რამეთუ სოციალიზმის დამხობის შემდეგ თვითონ შერგობს თავს ბატონყმობის უღელში. ჩვენ კი სოციალიზმის ლანძღვით გამოვალთ ახალ ასპარეზზე, მოხვეჭილ და ნაძარცვ ქონებას დავიკანონებთ და მეპატრონები თუ მემამულეები გავხდებით; სათავეშიც ჩვენი ძალადობაზე დამყარებული პარტიით მოვალთ, რომელსაც ხალხის სოციალურ კეთილდღეობაზე ზრუნვა ცხვირის მოსახოცად თუ გამოადგება. დამყარდება წეწვა-გლეჯა, ძლიერი მოსპობს სუსტს, ვინც გადარჩება, ყმად და მონად შემორჩება სიცოცხლეს. ასე დამყარდება ძალადობის ჰარმონია, სადაც კაპიტალის მფლობელნი ვიქნებით ძლიერნი ამა ქვეყნისანი, თუ საჭირო გახდა, ყველაზე მგზნებარე უფლის მორწმუნეობასაც დავიბრალებთ ჩვენ სატანის სამსახურში მყოფნი, რით აპირებთ ჩვენთან ბრძოლას, შიშველი პატიოსნებით? ან იქნებ იმის იმედი გაქვთ, ზღაპარში რომ ცოდვილობენ, ბოროტსა სძლია კეთილმა. ეს ზღაპარია, სინამდვილეში კი პირიქით ხდება. ეს ცხოვრება ბოროტებაა, სიკეთე მხოლოდ სულელთა ფუჭი ოცნების საკვებია. ბოროტებაა რაც ამ ცხოვრებას ასულდგმულებს. ჰოდა, აგერ ვართ ჩვენ, დანარჩენები ჩამოგვეცალეთ, დიადი მომავალი მხოლოდ ჩვენთვის მოდის! ედუარდი იატაკზე ჩლიქებს აბაკუნებდა და თავისი ბოდვების ტყვეობაში სატანურ აბდაუბდას თავდაუზოგავად გაჰყვიროდა.

მათეს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ედუარდ ამბროსევიჩი აღარ უსმენდა. ხტოდა, რაღაც არეულ ფრაზებს ლოზუნგებად ისროდა, ჯოჯოხეთის მოციქულებს იწვევდა საქართველოში, მერე კი მთელი საბჭოთა კავშირის შეხრამუნებას ჰპირდებოდა.

იქვე ოთახის კუთხეში თაგვის სოროდან აჩრდილი გამოძვრა, ჯინივით გაიბერა და ჰიტლერს დაემსგავსა, გაიჭიმა და ედუარდს მარჯვენა ხელის წინ და მაღლა აქნევით მიესალმა, ედუარდმა კი აღმოსავლური წესით იატაკზე თავის დაკვრით უპასუხა.

– შეცდომა იყო ბლიც კრიგი, საბჭოთა კავშირს ბომბებით ვერ დაანგრევ, სატანურმა ტვინმა იგი შიგნიდან უნდა გამოხრას ისე, როგორც თერმიტმა ხის ნაგებობა. მე ამას უკვე ვხედავ. ისეთი ჭირი გაუჩნდა საბჭოთა კავშირს შენი მსგავსი თხის ჩლიქიანთა სახით, რომ უკვე ძალიან ძნელია მისი მკურნალობა. სანამ ვინმე გამოჩნდება და რაიმე საწინააღმდეგო ვაქცინას მოიგონებს, თქვენ უკვე გამოუყვანთ წირვას ადამიანთა სოციალურ კეთილდღეობას ისე, როგორც ხოლერის ვიბრიონი თავის პირველ მსხვერპლ ადამიანს. გლოცავთ, გლოცავთ და მიხარია! – მარჯვენა ხელაწეული ჰიტლერი უკან-უკან წავიდა, თანდათან დაპატარავდა და თაგვის სოროში გაუჩინარდა.

– ნახე, როგორ გრძნობენ ჩვენს ძალას ბნელეთის მოციქულები?! გამარჯვების დღეც მალე მოვა. შენს იდეებს კი, მათე ურწმუნო, დიდი ხნით დავამწნილებთ ისე, რომ ოცდამეათე საუკუნეშიც ვერ მოახერხონ ნაჭუჭის გამომტვრევა! – ედუარდი ახარხარდა, აცეკვდა, თხის ყურები ააპარტყუნა, ასე როკვაში

გაუჩინარებულმა მათე ძილბურანში შეატოვა.

მათე ნელ-ნელა ფხიზლდებოდა და გაშტერებული მისჩერებოდა იმ ადგილს, სადაც ედუარდი გაუჩინარდა.

– ეს რა ვნახე, კაცო, ცხადი იყო თუ სიზმარი?! – გაკვირვებული მათე თვალებს იფშვნეტდა.

ოთახში ბრიგადირი შევიდა.

მათე უცებ წამოხტა და დაიღრიალა:

– თხა რა იქნა, თხა!

– ფარას გავაყოლე, ახლახან გავიდა ბინიდან, – ბრიგადირმა მხრების აჩეჩვით უპასუხა.

– არ გაუშვა, მაგ თხას ცხვარი არ ანდო, დაღუპავს! – აღრიალდა მათე.

მათე ტახტზე ჩამოჯდა და თავი ხელებში ჩარგო.

– რა მემართება, იმათი მნახველი სულ გადავირიე, – ჩაილაპარაკა.

– ვინ ნახე, სიზმარში ალქაჯები ხომ არ გამოგეცხადნენ? – ღიმილით ჰკითხა ბრიგადირმა.

– ალქაჯებს რა უჭირს, თუ ეს ნამდვილად ამიცხადდა, ქვეყნის უბედურება ვნახე. ნახტომისათვის გამზადებული აფთარი ვნახე, ხალხს ცრემლში და უბედურებაში რომ აბანავებს! – მათე ოთახიდან რაცრაცით გავიდა, ბრიგადირის მიპატიჟებას ყური არ ათხოვა, მანქანაში ჩაჯდა და იქაურობას გასცილდა.

## კოჭლი ვანოს დაბრუნება

**ომარმა** ერთი კვირის შემდეგ გაიგო, კოჭლი ვანო გაუნთავისუფლებიათ და თავის სახლში არისო. მაშინვე აპირებდა მის ნახვას, მაგრამ მათეს ბინის გატეხვის საქმეზე ორი დღე იქ იტრიალა; ეჭვი არავისზე არ ჰქონდათ. მათე თავს იმტვრევდა და ვერ მიმხვდარიყო, ვის შეიძლება გაეტეხა მისი ბინა, როცა დღე და ღამე კარებს არ კეტავდა. ისაც იცოდნენ, რომ საინტერესო არაფერი არ ჰქონდა, მაშ რა მოხდა? ვინ გატეხა ბინა? ეს საიდუმლო ვერაფრით ვერ ამოეხსნა.

ომარის სტუმრობა ვანოს ძალიან გაუხარდა. ომარი რომ მივიდა, ტახტზე იყო წამოწოლილი, წამოდგა, მიესალმა, ომარს უნდოდა გადახვეოდა, ახლოს არ მიიკარა, მერე ბოდიში მოიხადა: – არ გეწყინოს, ომარ, ცოტა შეუძლოდ ვარ, წამოვწვები და ისე გელაპარაკები, – ვანო ისევ წამოწვა და პაპიროსს მოუკიდა.

პატარა ძველ უსაჩეხო სახლში ჩამტვრეულ ფანჯარაზე გაზეთი მიეკრა, ძველებური ტახტი, მაგიდა და სამი მორყეული სკამი ედგა; ელექტრონი გამოყვანილი არ ჰქონდა, ეტყობა ღამე ლამპა ენთო, ფანჯარაზე იდგა გამზადებული; ასანთი და პაპიროსი სკამზე მოხერხებულად დაეწყო.

– რა დაგემართა, ვანო, თუ საჭიროა, ექიმს მოგიყვან, – ომარი შეწუხდა.

ვანოს ირონიულად გაეცინა.

– ჩემი დღეები დათვლილია, ომარ, ორივე ფილტვზე გახურებული ჭლექი მაქვს, აქტირებით გამანთავისუფლეს, იციან, რომ წინ დიდი დღე აღარ მიდევს.

– მერე აქ ყურადღებას ვინ გაქცევს? საჭმელი ხომ გინდა, წავალ, ახლავე ყველაფერს მოგიტან, – ომარი ფეხზე წამოდგა.

– დაჯექ, ომარ, ძმები ყურადღებას არ მაკლებენ, ხომ იცი, არც მე ვარ დიდი პრეტენზიული კაცი, ვიქნები ჩემთვის, – დინჯად თქვა ვანომ, მერე უცებ ხველა აუტყდა, გარეთ გავიდა, ომარიც გაჰყვა. ნახველს სისხლი ამოაყოლა. ომარმა წყალი მიუტანა, ხველით შეწუხებულმა ვანომ ცოტა მოსვა, სული მოითქვა.

იქვე ქვაზე ჩამოსხდნენ.

– დღეს მილიცია იყო ჩემთან, – გაჭირვებით დაიწყო ვანომ, – ვიღაც აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის სახლი გაუტეხიათ, შენ გეცოდინებაო, მედავებოდნენ, გვითხარი ვინ იყო, ან გაგვიგე, ვინ გატეხაო. მამაცხონებულები, მთელი არმია არიან. მე, მომაკვდავ კაცს მავალებენ, ბინის გამტეხი იპოვეო. თან ვანო ის ბიჭი ნახეს, ბოზობა დაიწყოს, რომ ვიცოდე, ვიტყოდი?! არადა, ეგ ქურდის გაკეთებული არ არის. ან ვინმე ნაბიჭვარია, ან ინტერესით არის მოწყობილი.

– იცი რა ვაჟკაცია, ვანო? ჩემი მეგობარია, – რაღაც გულიდან მოგლეჯილი სიტყვებით თქვა ომარმა.

– ვინ, ის აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე? – ვანომ გაკვირვებით ჰკითხა.

– ჰო, ის. მათე ბაღაშვილი, ჯიგრიანი ბიჭია. სულ იმასთან ვარ, ვერაფერი კვალი ვერ გავიგეთ, – ომარმა სინანულით დაუმატა.

ვანოს ხმა არ ამოუღია, რაღაცაზე ფიქრობდა.

– ვანო, – დაიწყო ომარმა, – მე ალაზანზე ეგერად ვმუშაობ, ჭალაში კარგი ბინა გვაქვს, ალაზნის პირას, ორსართულიანია, ჰაერი, წყალი, კარგი ბუნება, სიგრილეა, მაღალი კოშკი გვიდგა. დღე და ღამე სულ ნიავი ქრის. წამალს და საჭმელს არ მოგაკლებ. წამოდი, იქნებ იმ ჰაერმა გიშველოს: აქ, აბა, შენი ყოფნა როგორ შეიძლება. კარგად რომ იყო, დაავადმყოფდები, – ომარი ალალი გულით ლაპარაკობდა.

ვანომ მადლობის ნიშნად გაიღიმა და ომარს მხარზე ხელი დაარტყა.

– კარგი „მუჟიკი“ ხარ, ომარ. დღეს და ხვალ არ შემიძლია, ძმები უნდა მოვიდნენ; არც შენი ყოფნა შეიძლება აქ. ორი დღის შემდეგ გამომიარე, მოვიფიქრებ. ახლა კი კარგად იყავი, – ვანო ადგა და ომარს გამოემშვიდობა.

ორი დღის შემდეგ კიდევ მიაკითხა ომარმა და ხველებისგან დასუსტებული ვანო ეგერების სახლში წაიყვანა.

## ხმამაღლა ილაპარაკე, ყრუა

**პეტრო** მიტროს კაბინეტში იჯდა. ის იშვიათად ხდებოდა, საქმიანი საუბარი ყოველთვის შინ ჰქონდათ, მაგრამ ახლა განსაკუთრებული შემთხვევა იყო.

– ეგე, ოცდაათი კაცის სია, რომლებზეც მანქანები უნდა გასცე. ვინც მანქანა უნდა იყიდოს, ყველამ მომიტანა იმ კაცის გვარი და სახელი, ვისზეც მანქანას გასცემ, ისინი ყველა შეთანხმებული არიან. მანქანის ჩამოსატანად კი ის წავა, ვისაც უნდა დარჩეს; ბოლოს კი ყველა თავის წილს მიიღებს. იცოდე, მე წინასწარ ფულები უკვე ჩამაბარეს, რაც მეკუთვნის, გამტყუნება არ შეიძლება! – პეტომ გააფრთხილა.

– ეს როგორ არის, ვერ გავიგე, მე მანქანას სხვას მივცემ, სხვა კიდეც წაიღებს? – მიტრო ამ კომბინაციაში ვერ გაერკვა.

– აბა, ეს ეგრეა, – პეტომ დაწვრილებით დაუწყო ახსნა, – ვისაც მანქანის ყიდვა უნდა, ჯერ მე შემითანხმდება, მერე ვინმეს მონახავს ან ნათესავს, ან ნაცნობს, ვინც რიგითად მუშაობს, არ არის საჭირო მოწინავე იყოს, უბრალოდ, რომ შეიძლებოდეს მასზე მანქანის გაცემა; ისინი თვითონ შეთანხმდებიან, მე კი ამდენი უნდა მომიტანონ, – პეტომ სამი თითი აჩვენა, მიტროს სახეზე სიამოვნების ღიმილი აუთამაშდა. ჰოდა, შენ იმ ტყუილი სიით გასცემ მანქანებს, წაღებით კი ის წაიღებს, ვინც ფული გადაიხადა, გაიგე? ამბაკო სიმონიჩსაც ხომ

უნდა მისცე თავისი წილი.

– გავიგე, ახლა კარგად გავიგე! – გახარებულმა მიტრომ ხელი ხელს შემოჰკროა.

– ოღონდ ოცდაათი ცოტაა, რამდენი მანქანაცაა, ყველამ უნდა გადაგიხადოს ფული. მამაცხონებულებს მუქთათ რაში უნდა მისცე. შენ რა იმათი მსახური ხომ არა ხარ! – პეტოს მეტი უნდოდა.

– რა ვიცი, ზოგი მოწინავეა, ზოგი კიდევ ვიღაც-ვიღაცეებმა დაგვავალესო და... – მიტრო დაიბნა.

– შენ იმათი სიები მამეცი, მე ჩამოვუვლი, ნაწილს მაინც წავართმევ, ეგრე მუქთად როგორ შეიძლება, რა ძალადობაა? გეკუთვნის, ძმაო, მანქანას აძლევ, ვირს ხომ არა. შენ გამაგებინე, ვის მისცემ, იმათ მე მოვუვლი! – თქვა პეტომ და ადგა. თუ დამატებით კიდევ გამოჩნდა ამ სიის გარდა, პირდაპირ შენთან გამოვაგზავნი, იმათ ეცოდინებათ, ვის სახელზე გასცე მანქანა. შენმა სიმამრმა. პეტომ გამომგზავნაო თუ გითხრეს, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩემთან საკითხი მოგვარებული აქვთ.

– ეგრე იქნება, როგორცა თქვი! – მიტრომ გახარებული გაისტუმრა თავისი სიმამრი...

ვასო და რობერტი მათესთან ისხდნენ.

კარები გაიღო და კაბინეტში ბანჯგვლიანმა თავმა შემოიხედა.

– აღმასკოლმის თავმჯდომარე აქ არი? – იკითხა.

– აქ არის, – თავაუღებლად უპასუხა ვასომ, იმას ეგონა, თავმჯდომარესთან წავაო.

– აქ არი და იმისთანა მაქვს საქმე! – კაცმა თამამად, ფართო ნაბიჯით შემოაბიჯა კაბინეტში; პირდაპირ მათეს დაადგა თავზე, სანამ ეტყოდნენ, თავმჯდომარე სხვა ოთახშიაო, იმან ხმამაღლა დაიწყო:

– შენმა სიმამრმა, პეტომ გამამგზავნა, მანქანას მოგცემსო, ოღონდ გლახო ხატიაშვილზე უნდა გააფორმო. ყველაფერში შეთანხმებული ვართ! – კაცმა მათეს ქაღალდი მიაწოდა.

„გლახო ხატიაშვილზე მოითხოვე მასალები.<br>კოლმეურნეობის ტრაქტორისტია.<br>პეტო“.

– მათემ ხმამაღლა წაიკითხა.

– ეგრეა, ეგრე, აბა მე რა ტყუილს გეტყოდი თუ! – მათემ ყურის ნიჟარა ხელის გულით წინ წამოიწია.

– რაო, – კაცმა ვასოს გაკვირვებით ჰკითხა.

– ყრუა, არ ესმის, ხმამაღლა უთხარით, გაიგე? – ვასომ გაარკვია და ფეხზე ადგა.

– შენმა სიმამრმა გამამგზანა, პეტომ.

– კიდევ უფრო ხმამაღლა, ეგრე ვერ გაიგებს! – ვასომ წააქეზა და კაცი დაჭრილი დათვივით აღრიალდა, რაც პეტომ დააბარა, თავიდან მოყვა.

– ამ ოხერმა, წაიღო ყურის ბარაბნები! – რობერტიმ ოთახის კუთხეში გადაინაცვლა.

– რა ვქნა, არ ესმის და, – კაცმა თავი იმართლა.

– შენ სად მუშაობ? – ჰკითხა მათემ.

– კოლექტივის კერძოების ბრიგადის ბრიგადირი ვარ! – დაიქუხა კაცმა.

– გასაგებია, ოღონდ თავმჯდომარე ამ კარების მოპირდაპირე ოთახში ზის,

იქ შედი და იმას მოუყევი შენი ზღაპარი, – ქაღალდი უკან მიაწოდა.

– თუ ეგრე იყო, შე დალოცვილო, აქ რაღა ვირივით მაყვირე! – იწყინა კაცმა.

– რეპეტიციაზე გაგატარეთ, ის უფრო ყრუა, ვიდრე ეს. როგორც შეხვალ, ეგრე ყვირილით ელაპარაკე. თორე ვერაფერს გაიგებს, – აუხსნა ვასომ და თავმჯდომარის კაბინეტის კარებამდე მიაცილა, ცოტა მოხსნილი დატოვა და იქვე გაჩერდა; მას რობერტი და დანარჩენი მუშაკებიც შეუერთდნენ, რომლებიც ამ ყვირილზე შექუჩებულიყვნენ.

– გამარჯობა! – როგორც შევიდა, ისე დაიყვირა, ჭაღის მინებმა წკრიალი დაიწყეს.

მიტრომ იფიქრა, ყრუ იქნებო და მანაც ყვირილით უპასუხა:

– გაგიმარჯოს!

– შენმა სიმამრმა გამამგზავნა, მანქანას მოგცემსო, აი, ამ კაცზე უნდა გააფორმო, ტრაქტორისტია, გლახო ხატიაშვილი; პეტოს ანგარიში უკვე გავუსწორე, – კაცმა ქაღალდი მიაწოდა.

მიტრომ წაიკითხა.

– კარგი. წადი, მეცოდინება!

– გეცოდინება კი არა, მანქანა როდის იქნება, მანქანა!

– პეტო გეტყვის, პეტო!

– კარგი, არ გამიმტყუნდე, თორე პეტოს ფულს უკანვე წავართმევთ! – კაცი კარებისკენ გაემართა.

– ეს ვინ გამოუგზავნია, კაცო, ყრუა და თანაც მთლად ნორმალური არა ჩანს, – ჩაილაპარაკა მიტრომ.

კაცს მოსაცდელში მთელი თანამშრომლები გაღიმებული დახვდნენ.

– ე, რა მაგარი ყრუ ყოფილა, ძლივს გავაგებინე, რაც მინდოდა, – უთხრა ვასოს და აღმასკომის თანამშრომელთა ხარხარში ოთახიდან გავიდა.

## ქურდად არ იბადებიან

**ალაზნის** ჭალაში, ეგერების სახლთან, მუხის ჩრდილის ქვეშ დიდ კუნძს სამნი უსხდნენ. პირველი სადღეგრძელო ვანომ ნახევრად შესვა, მათემ და ომარმა ბოლომდე მოცალეს.

– მათე, შენი ბინის გამო მილიცია არ მასვენებს, ქურდის პოვნას მე მავალებენ, – კოჭლმა ვანომ სიჩუმე დაარღვია.

– გავიგე, ომარმა მითხრა.

– მაგათ ადგილზე ვიყო, საქმეს ხელად გავხსნიდი! პატარა დაფიქრებაა საჭირო და კვალს მიაგნებენ, მაგრამ, ეგ ბედოვლათები, მე მომდგომიან, გვიპოვეო. ერთი რამის თქმა შემიძლია მხოლოდ, ეგ საქმე ქურდობის მიზანი არ არის, არც ქურდები არ არიან გარეული.

– შენ რა იცი?

– ჯერ ერთი იმიტომ, რომ მე მაშინ ახალი გამოსული ვიყავი. ქურდი არ იკადრებდა, რომ ჩემთვის არ შეეთანხმებინა, რადგან იციან, მილიცია პირველ რიგში მე მომადგებოდა. მეორე ის, რომ სანამ არ გაარკვევდა იქ ფული დახვდებოდა თუ არა, საქმეს ხელს არ მოჰკიდებდა. შენზე კი მთელმა რაიონმა იცის, რის პატრონი ხარ. სახლის კარები სულ ღია გაქვს, რაღა ჭერი ჩაანგრიეს, პირდაპირ შესულიყვნენ, ვინ უშლიდათ. მესამეც ის, რომ შენი თანამდებობის

კაცს ქურდი ერიდება, რადგან იცის, რომ რჯულამდე მიჰყვებით. ქურდი არმად ნაშოვნ ქონებას ეძებს, გინდა წაიღოს, რომ პატრონმა ჩივილიც ვერ გაბედოს, ყოველ შემთხვევაში, რაც დაკარგა, შიშით ვერ გაამჟღავნოს, რომ არ უთხრან, საიდანო. ეგრე, მათე, ეგ საქმე შეისწავლე, მაგის გამკეთებელი არც ისეთი არიფია. ეტყობა საქმე ესმის. მე ჩემი ანგარიში მაქვს და თუ შევხვდი, ჩემებურად გავუსწორდები კიდეც. შენ კი იცოდე, რომ ბინა გაქურდვის მიზნით არ გაგიტეხეს, მანდ სულ სხვა ინტერესებია, რომელიც მე არ მეხება, – ვანო ლაპარაკით დაიღალა, ცოტა ღვინო მოსვა. – მომპარავი ვინც გინდა იყოს, მაგის მთქმელი ვარ? საწყალი კოჭლი ვანო ბოზად უნდათ დასვან. მომინახეს რაღა მომენტი! მათე, ეს მინდოდა შენთვის მეთქვა, იმ მილიციამ მე თავი დამანებოს! – მოთხოვნის ტონით თქვა ვანომ.

– ვანო, მაგ მილიციამ ისეთ დღეში ჩამაგდო, ვეჭვობ ჩემზე ხომ არ არიან დაგეშილები. ჩემს ახლობლებს დაერივნენ, თან ეუბნებიან, მათეს აქვს თქვენზე ეჭვიო. რაღაც საიდუმლო ფესვებია მაგათსა და ამ საქმეს შორის. მე კი ვეტყვი, რომ შენ თავი დაგანებონ, მაგრამ ვშიშობ, უფრო საწინააღმდეგო არ გააკეთონ, – გაარკვია მათემ.

– ეგრე იქნება, სჯობია ხმა სულაც არ ამოიღო; იმათ ძალიან კარგად იციან, ბინა ვინც გატეხა, ყოველ შემთხვევაში მე ასე მწამს! – ომარმა თავისი აზრი გამოთქვა.

– გამორიცხული არაფერია. ფრთხილად უნდა იყო, თორე როცა ეგ იკადრეს, სხვა უარესს არ მოერიდებიან! – დაასკვნა ვანომ.

– ვნახოთ, დანარჩენს ცხროვრება გვაჩვენებს, – თქვა მათემ და ჭიქა აიღო, – შენ გაგიმარჯოს, ვანო, პირველად ვზივარ ქურდთან და ძალიან მიკვირს, თბილი და ადამიანური ბუნება ვიგრძენი შენში! – მათემ ჭიქა გამოცალა.

– ქურდად არც მე დავბადებულვარ, მეც ისეთი მიზნები და ამოცანები მქონდა, როგორც ყველა ახალგაზრდას, ალბათ, როგორც ომარს, თუნდაც როგორც შენ, იმ გზაჯვარედინზე, სადაც ჩემი ბედი გატაყდა, ვინმე ადამიანური ადამიანი რომ შემხვედროდა და დახმარების ხელი გამოეწოდებინა, სწორ გზაზე დავეყენებინე, მორჩენილი იყო საქმე, მეც მექნებოდა ჩემი მყუდრო ოჯახი, ცოლშვილი, მეც მექნებოდა ცხოვრებისა და სიცოცხლის მიზანი, – ღრმად ამოიოხრა და რამდენიმე ყლუპი ღვინო მოსვა. – ერთხელ დედა გამიხდა ავად, ფრონტიდან მამის დაღუპვის დეპეშის მიღების შემდეგ, სულ ცუდად იყო; ადრეც ავადმყოფობდა და ამ ამბავმა ბოლო მოუღო. ძალიან გვიჭირდა. წამალი ვერ ვიშოვე, დედა დამძიმდა, რა ვქნა? მაშინ პირველად ვიქურდე, აფთიაქიდან წამლები მოვიპარე. ჩემზე ეჭვი ჰქონდათ, მაგრამ ვერ დამიმტკიცეს.

ერთი თანაკლასელი გოგო მიყვარდა. მაშინ მეშვიდე კლასში ვსწავლობდით, იმისი დანახვა ჩემი სიხარული და ბედნიერება იყო. მისთვის სიცოცხლე არ მეზოგებოდა. ორი მცირეწლოვანი ძმა ჰყავდა, დედა წელში წყდებოდა, მაგრამ გაჭირვების მახრჩობელა საცეცებს ყელიდან ვერ იშორებდა. საჭმელი პური არა ჰქონდათ, არც ჩვენ გაგვაჩნდა რაიმე, რომ დავხმარებოდი; ხშირად ჩემ წილს არა ვჭამდი, მასთან მიმქონდა.

დედაჩემს ერთი დეიდაშვილი ჰყავდა, რაღაც მიზეზების გამო ომში არ წავიდა. ძალიან კარგად ცხოვრობდა. ხშირად ფქვილს იმისგან ვსესხულობდით, მაგრამ ერთ გრამს არ შეგვარჩენდა, სულ სარგებლით თხოულობდა. მარანი ფქვილით და ხორბლით სავსე ჰქონდა. ერთხელ მითხრა – ვანო, შენ ჩემი ხარ, ერთ ფუთ ფქვილს გაჩუქებ, მეორე ფუთს კი ორას მანეთად მოგყიდიო, მაშინ ფუთი

ფქვილი ასი მანეთი ღირდა. ვიცოდი, ეშმაკობდა, უნდოდა მადლობელიც დავრჩენილიყავ და კაპიკიც არ დაეკარგა. მე ის ნაჩუქარი ერთი ფუთი ავიკიდე, მეორისთვის მოვბრუნდები-მეთქი, ვუთხარი და ის ტომარა ჩემი მეგობარი გოგოს სახლში მივიტანე, დედაჩემმა გამომატანა-მეთქი; ძალიან გაუხარდათ. იმ ორასმანეთიან ფქვილისათვის აღარ მივბრუნებულვარ. ბოლოს თვითონ მომძებნა, — ფქვილი რატომ არ მიგაქვსო. მე ვუთხარი, ნაჩუქარზე ძალიან დიდი მადლობა, ყიდვა აღარ მინდა-მეთქი. გაბრაზდა, მუქარა დამიწყო, მეც ჩავიდე გულში მტრობა და ღამ-ღამობით მისი მარნიდან ბლომად ხორბალი იმ გოგოს სახლში გავზიდე. მერე ეს არ ვაკმარე და რაც გადამალული ფული ჰქონდა, მოვპარე და იმ გოგოს ჩავაბარე, ოჯახში გამოიყენეთ-მეთქი.

ბოლოს ის კაცი ჩამისაფრდა და მორიგი ქურდობის დროს დამიჭირა და პირდაპირ მილიციაში მიმაბრძანა. დანარჩენი ხორბალი და ფქვილი სად წაიღეო, ისე მცემეს, სულ გამიერთიანეს ძვალი და რბილი. ხმა ვერ ამომაღებინეს. საწყალ დედაჩემს მაშინ სახლში ლუკმაპურიც არ ჰქონდა. მოკლედ, იმ ამბიდან დაიწყო და სულ ამ დღეში ვარ, გამომიშვებენ, ისევ დამიჭერენ. დედაჩემი დარდისაგან მოკვდა. ბოლოს ერთ მაგარ სამეზე დამიჭირეს. ეს ფეხიც მაშინ დამიზიანდა, შიგ კოჭში გამიარა ტყვიამ. ის გოგო სანახავად მოვიდა. საწყალი გაუბედურებული იყო, არა, ჩემი ბედის მოზიარედ ვერ გავხდიდი, არადა, ისე ვუყვარდი, სიკვდილამდე ჩემი ერთგული დარჩებოდა. რომ ამეხსნა. წადი, გათხოვდი, მე მიყვარხარ, მაგრამ შენი გაუბედურება არ მინდა-მეთქი, თავს არ გამანებებდა, ჩემს მწარე ბედს გაიზიარებდა და გაუბედურდებოდა. მე ხერხი ვიხმარე, ყვირილი და ლანძღვა დაუწყე: წადი! გაეთრიე! თვალით არ დამენახო! აღარ მიყვარხარ! იცოდე, თუ არ გათხოვილხარ, მოუკლავს არ გაგიშვებ-მეთქი. წამოვუხტი, უნდა გამერტყა, ძაღლებმა ძლივს დამიჭირეს. საწყალი ტირილით წავიდა, მერე მე მთელი თვე ჭკუაზე არ ვიყავი, მაგრამ გადავიტანე. ახლა ჩვენს სოფელში ცხოვრობს, კარგი ოჯახი აქვს, ქმარ-შვილი ახვევია. ბედნიერი ვარ, რომ ვიცი, არაფერი უჭირს, იმას კი ჰგონია, მე შევიძულე და აღარ მახსოვს, — ვანომ ამოიოხრა, ჭიქა აიღო და ბოლომდე მოცალა.

— ვინ არის, ვანო, გვითხარი, — სთხოვა ომარმა.

— რომ გითხრათ, ეს ამბავი ერთხელ იმის ყურამდე მიაღწევს, მიხვდება, რატომ მოვიცილე თავიდან და ორმაგად დაიტანჯება; დაე იცოდეს, რომ მე ის მძულდა, ღმერთმა ბედნიერად აცხოვროს ამ ქვეყანაზე.

ნელი სიო მუხის ფოთლებთან ცელქობდა. სადღაც, შორს ალაზანგაღმა რომელიღაც ჩიტი ადამიანის ხმაზე მოსთქვამდა. ვინ იცის, მასაც რა ჭირის დღე ადგა. გამოღმა, განცდებით დამძიმებულ სუფრასთან ორი ვაჟკაცი მესამის გაუნელებელ ტკივილს იზიარებდა. ბედის ბორბალი კი ბრუნავდა, ალაზანიც უდარდელად ბუტბუტებდა. ამ ცოდვის მტვირთველ დედამიწაზე არავის არაფერი არ უკვირდა; დრო ვერაგი და დაუნდობელი ყველაფრის არარაობად ქცევით იმუქრებოდა.

## სატანა ანგელოზის პრეტენზიებით

**ამბაკომ** ნაკისრი ვალდებულების შესრულება ზემდგომს წარმატებით უპატაკა. რის ამბაკო იყო, თავისი ინიციატივითაც არ წაემატებინა, ამ საქმეში გაწაფულს რა ენაღვლებოდა, თვალთმაქცობას და სიცრუეს ქება დიდებით ამკობდნენ სიმართლის მესაფლავენი.

მორჩა, ყველაფერი დიდი ზარ-ზეიმით ჩატარდა. გეგმა-ვალდებლებებს ბუმბერაზმა შედეგებმა ცის თაღი გახიეს. რესპუბლიკის ხელმძღვნელმა საოცნებო ოქროს ვარსკვლავი მოინადირა, ჯილდოების ალაფი სხვადასხვა რანგის ბღენძებმაც მიიღეს ფოჩიანი კუდის სიდიდის შესაბამისად. იშვიათი, გაუგონარი თვალთმაქცობის წელი უმაღლესი და არნახული წარმატებით დამთავრდა. ქუხდა მარში, ზეიმობდა თვალთმაქობით და სიყალბით სუნთქვაშეკრული საქართველო. ედუარდ შევარდნაძის ქებით ნისკარტები გაუცვდათ ცხიმიან ყველის ნაჭერს დახარბებულ მედროვეებს. ქვეყნის გამარჯვებად მონათლული კრახი კი არ ისვენებდა, შუბი ხელათში არ იმალებოდა. მიწერებით და თვალის ახვევით შექმნილი პროდუქციის სიჭარბე სინამდვილეში სულს ლაფავდა. ერთიმეორის საწინააღმდეგო რამ ხდებოდა, გეგმა-ვალდებულებებით შექმნილი განცხრომა სინამდვილეს ცარიელ დახლებად ევლინებოდა. მითქმა-მოთქმამ, ურწმუნოთა ჩურჩულმა, ანეკდოტებმა, მოსკოვში გაფრენილმა ანონიმურმა წერილებმა შეაშფოთეს რესპუბლიკის სკამის ნებიერნი. მოსკოვიდანაც გახშირდა დამცინავი რეპლიკები. ახლა კი საჭირო ხდებოდა სათანადო რეაგირების გატარება. არნახული გამარჯვება მსხვერპლთშეწირვას ითხოვდა, ედუარდი რის ედუარდი იყო, თავისი ოქროს ვარსკვლავი თანამემამულეთა გოდებით არ დაემშვენებინა. უკვე დაეტყო აშკარა ნერვიულობა, ბრაზობდა, იმუქრებოდა: – თურმე არიან ადამიანები, ჩვენი დიადი გამარჯვებები სულს რომ უშფოთებთ, სწორედ ისინი ცდილობენ მიწერებით და უამრავი მაქინაციებით ჩრდილი მოგვაყენონ, ამას ვერ მოვითმენო. გამოვააშკარავებთ და პასუხს გაგებინებთ! – ბობოქრობდა ედუარდი. აშკარა იყო, პროსკრიპციის ახალი ტალღა სტარტისათვის ემზადებოდა. ვინც არ მოსწონდათ, ვინც ხელს უშლიდათ და ფეხში ედებოდათ თავისი სპეტაკი ადამიანური სინდისით, სტაცებდნენ ხელს და მთელი ქვეყნის ცოდვებს წამოჰკიდებდნენ გრანდიოზული წარმატებისათვის შესაწირად.

ამბაკოს და მის მსგავსებს კომუნიზმის იდეების ერთგულად მოჰქონდათ თავი, რამეთუ სწორედ ამგვარად შენიღბულებს შეეძლოთ პოსტზე გაძრომა და თავიანთი ეგოისტური გრძნობებით ამ იდეების შებღალვა. ედუარდ ამბროსევიჩი ხომ მარქსიზმ-ლენინიზმის ერთგულების ეტალონი იყო, მის იდეოლოგობას იბრალებდა, სინამდვილეში კი კომუნისტური ქადაგება საკუთარი სკამის გამაგრებისა და უფრო მაღლა აჯდომისათვის სჭირდებოდა. ოღონდ ფარის სათავეში მდგარიყო, მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, კომუნიზმისკენ მიდიოდნენ, კაპიტალიზმისკენ თუ არარაობისკენ. უზნეო, უიდეო, სინდისგარეცხილი ადამიანები ბღალავდნენ კაცობრიობის მიერ საუკუნეებში გამოტარებულ, ტანჯვა-წამება ნაგემებ ნატვრას, ადამიანთა სოციალური კეთილდღეობის წმინდათა წმინდა იდეის ხორცშესხმის პირველ მცდელობას.

ორგია ხვალისათვის იყო დანიშნული. დღეს კი დასაკლავი სულადობის შერჩევისათვის ემზადებოდნენ. ამბაკომ და მისმა მსგავსებმა იცოდნენ ეს და შიშის მთქნარება შეპყროდათ. ედუარდი მუქარას მწყემსის კავივით იქნევდა, ფარას ათვალიერებდა და დასაკლავად შერჩეულებს ბრალდებას კავივით გამოსდებდა. საშიში პერიოდი იდგა, თავის გადარჩენა იყო საჭირო, სანამ სხვებს სტაცებდნენ ხელს და თავიანთი ცოდვების ჩამოსარეცხად საყასბოში შეყრიდნენ. იცოდა ეს ამბაკომ და ცდილობდა ურჩ, ან ძალიან მსუქან ჭედილად თვალში არავის მოხვედროდა; მორჩილება და ქათინაურები საფრად იფარა. ნუთუ ამ ღონისძიებას შემწირავენ, ნუთუ ამხელა თავდადებას გამიუქმებენ და არარაობად მაქცევენ?! ეჰ, ამბაკო, დაგაყენეს სუქებაზე და რა გასაკვირია, როცა დას-

ჭირდებათ, მაშინ მოიხმარონ შენი ტყავ-ხორცი; როგორმე უნდა გადავურჩე დარბევის ამ ტალღას! – ფიქრობდა ამბაკო, და ეს ათეიზმის მონა, ღმერთს ეხვეწებოდა, გადამარჩინეო. შიშის საფუძველი კი ნამდვილად ჰქონდა, რამეთუ ედუარდის ვერაგი ხასიათი კარგად შეისწავლა, ოღონდ მის სკამს და კარიერას არაფერი დამუქრებოდა, ამბაკოს კი არა, თავის ძმას ყელს გამოღადრიდა და უსინდისობას მიუგებდა, ნახე, რამხელაზე ვარ შენი ერთგულიო.

ამბაკოს თბილისში გამოძახების სიკვდილივით ეშინოდა, შიშობდა, დასაკლავ სულადობაში არ მოხვედრილიყო, მაგრამ მაინც ვერ გადაურჩა სახიფათო ბილიკზე გავლას და ახლა ედუარდ ამბროსევიჩის კაბინეტში შეშინებული და დაზაფრული იჯდა. ედუარდი კი ჯერ საუბრის დაწყებას არ აპირებდა, ამბაკოს მოთმინების ნერვს შიშის და ძრწოლვის ნაცარს აყრიდა, რომელიც გარეგნულად მშვიდად იყო, მკერდში კი კუპრივით უდუღდა დღევანდელი შეხვედრის მოსალოდნელი უბედური შედეგი.

ედუარდი ქაღალდებში იქექებოდა, ზოგჯერ ამბაკოსკენ გაიხედავდა და ისიც პირმოთნე ღიმილით დნებოდა. ეს მხოლოდ მისი გარეგნული ფორმა იყო, თორე შესძლებოდა, მოუსავლეთში უკრავდა თავს ედუარდს და მის უკიდეგანო ავანტიურებს. ახლა ამ დაძაბული ტვირთის ქვეშ გრძნობაგადრეკილი გულის მოსაფხანად ფიქრობდა იმაზე, მის მეხდაგუბებულ შემოხედვას პირმოთნე ღიმილით რომ ალბობა: მშობლებმა, ალბათ, დაბადებისთანავე ედუარდად მონათლეს, თუ მოუნათლავად შეარქვეს ეს სახელი, ახლა ცეცხლით და მახვილით რომ ებრძვის ნათლობას და უფლის სახსენებელს, თუმცა ამგვარ რადიკალიზმს სულაც არ ითვალისწინებს კომუნისტური ათეიზმი. მაგრამ ედუარდი რის ედუარდია, თავისი კეთილდღეობის გულისათვის ღმერთს კი არა, თავის ერსაც შეაყოფინებს თავს გილიოტინაში. იცის ედუარდმა, როგორ უპასუხოს დროის მოთხოვნას თუ ამინდი შეიცვლება, არც ანაფორის ჩაცმას მოერიდება და წმინდანთა შორის თავის „უფლის კაცობის“ დამსახურებით ადგილსაც მოითხოვს. ამას არც უფლის სწამს და არც კომუნისტობის, არც შერცხვება, საჭიროების შემთხვევაში, სულ საწინააღმდეგო თამაშში პირველობას მიისაკუთრებს, რამეთუ საკუთარი ამბიციების ტყვეს სხვა ყველაფერი ნიღბად სჭირდება მხოლოდ. ედუარდს სახეზე მისჩერებოდა მორჩილების ღიმილნაბარტყი და ფიქრებით იფხანდა სიძულვილით და ღვარძლით გასიებულ გულს: ეტყობა მშობლებმა მისთვის ქართული სახელი იცოტავეს. ვთქვათ: დავითი, ილია, გიორგი, ცოტნე, თევდორე, აკაკი, საზღვარგარეთ გაიჭრნენ და ედუარდი მიაჩუქეს. ახლა ერთიღა რჩებოდა მხოლოდ, იგი ძლევამოსილ მოაზროვნედ უნდა გაზრდილიყო. მშობლებსაც ეცოტავებოდათ ასპარეზად საქართველო მათი შვილისათვის. ჯერ მხოლოდ ძონძების ჩასველებით რომ იწყებდა მსოფლიოში გამოჩენილ ავანტიურისაკენ მიმავალ გზას. ჰოდა, როგორც ყველა დიდი საქმის სათავესთან, აქაც გაჩნდა ბედის მასხარა და ტვინში ერისკაცობა უკულმა, ერის არაკაცობად შეუტრიალა. ჰოდა, რა ედუარდის ბრალია თავის სამშობლოს უბედურებაში რომ მიახრიგინებს.

ედუარდმა მაღლა აიხედა და ამბაკომაც ისეთი ღიმილი დაახვედრა, თითქოს ეუბნებოდა, ნახე, შენი ცულლუტობა ბედის მასხარას გადავაბრალეო. იქნება ახლა მაინც მითხრას სათქმელი, გაიფიქრა, მაგრამ ედუარდმა ისევ ქაღალდებში ჩარგო თავი და ამბაკომ თავის თავთან საუბარი გააგრძელა. ძალის და თავზე საყრელი უფლებების უკულმა ქნევით ედუარდმა კომუნისტთა თავკაცის სახელი დაამცრო. მას კი არც კომუნისტობა სწამს და არც მათი იდეები. ძალას

და უფლებას კი იყენებს სინდისის და პატიოსნების მსახურთა მოსასპობად, რათა თვალთმაქცობას, სიცრუეს და ვერაგობას ეზეიმა ადამიანთა ამაღლებულ გრძნობაზე. სწორედ ის იქცევა კომუნისტური ცხოვრების ტრაგედიად. უღირს ადამიანს რომ შეუძლია უმაღლეს ეშელონებში გაძრომა და შემდეგ თავისი ქვენა გრძნობით ხალხის სიყვარულის, რწმენის და სინდისის ძარცვა, საკუთარი ეგოისტური მიზნების ტყვე ედუარდი თვალთმაქცობას და კაცთმოძულებას თესავს საქართველოში, მისი პირმოთნე მგალობელთა ამალა პირუთვნელად და კაცთმოყვარებად რომ აბღავლებს მორჩილ და ჩათბილნაჭუჭებულ ობივატელს. იგი საქართველოს უბედურებად ექცევა და უფრო დიდ უბედურებად კი იმ კომუნისტებს, რომელთა კეთილი საქმის რწმენას ედუარდის, და თუნდაც ჩემს ხელში, ახდენა არ უწერია, – თავისი თავიც არ დაზოგა, რამეთუ პირადი სინდისი ესაუბრებოდა და აქ თავის შენიღბვას აზრი არ ჰქონდა. ედუარდის შემოხედვას კი ერთგული მონის მორჩილი ღიმილი დაახვედრა.

– ჩვენს საერთო საქმეს ღალატობთ არა?! მთლად გადაგვარდით! ფონს გასვლა მიწერებით და თვალის ახვევით გინდათ; შე გამყიდველო, მოღალატევ, ამას როგორ ბედავ, არ იცი, რომ პარტიას ვერ მოატყუებ?! – ედუარდი ბობოქრობდა და ჩანაჩამოვარდნილ ამბაკოს პატარა იმედის სხივსაც უქრობდა – ხომ გამოამჟღავნე ნამდვილი სახე, როგორც მიწერების და ათასი მამაძაღლობის მოთავემ; ეს დადასტურებულია და მკაცრი სასჯელიც არ აგცდება! წარმოგიდგენიათ? თვითონ რაიკომის მდივანია ჩვენი დიადი საქმის ღალატის მოთავე. აქედან წაბრძანდები იქ, სადაც შენისთანების ადგილია! – ედუარდმა დაამთავრა ამბაკოსათვის ბრალდებების გადმოლაგება.

ვაი, შენს დაბადებას, ამბაკო, გაუწირივართ და ეგ არის! ამის გაფიქრებაზე უფრო მოიკუნტა, კარებისკენ გაიხედა, ყოველ წუთს უშიშროების ფორმიანთა გამოჩენას ელოდა. ახლა მას დაიჭერენ, მთელი ქვეყნის ცოდვებს წამოჰკიდებენ და დესერტად სხვებსაც მიაყოლებენ. სამაგისო რა დავაშავე?! ექვსი თვის წინათ თვითონ მავალებდა, ინიციატივიანი და შემოქმედებითი კაცი ხარ, გეგმები როგორც გინდა ისე გადააჭარბე და გვასახელე. მწვანე შუქი გინთია, რაც გინდა ქენი, ვაი მისი ბრალი, ვინც ხელს შეგიშლის! მოკლედ, გეგმა-ვალდებულების შესრულება გადაჭარბებით უნდა მიპატაკოთ. იცის ამბაკომ, რომ ბეწვის ხიდზე დგას, საკმარისია უთხრას, შენ არ გვავალებდიო, რომ საკუთარ თავს სიკვდილის განაჩენი გამოუტანოს.

– ედუარდ ამბროსევიჩ, – ამბაკომ ხმა ამოიღო. – ვინც თქვენ ვერ გაგიგებთ, განა ის ჩვენი პარტიის წევრობის ღირსია?! ასეთი კრისტალური და სპეტაკი ხელმძღვანელის ხელში განა შეიძლება ვინმემ თვალთმაქცობა იკადროს! თქვენ სწორედ ამას ებრძვით, ის ხომ თქვენი იდეების მოღალატე იქნება, ვინც ამას ჩაიდენს. თქვენი ერთგულება და სიყვარული იმის უფლებას არ მაძლევს, რომ მცირედი დარღვევაც კი დავუშვა. რაიონის მშრომელები აღფრთოვანებულები არიან იმ გიგანტური მიღწევებით, რაც თქვენი გენიალური ხელმძღვანელობით მოვიპოვეთ. ყველგან ზეიმი და სიხარულია, მაგრამ არიან ადამიანები, რომელთაც თქვენი ეს წარმატებები არ მოსწონთ და თავიანთი ბინძური საქმეებით ცდილობენ ჩვენი წინსვლის დამუხრუჭებას; იქ ჩვენთანაც არიან ასეთები, – ამბაკო ლაპარაკის დროს ედუარდის სახის ნაკვთებს აკვირდებოდა და მისი ცვლილებებით ხვდებოდა, ეს ქადაგება რა ეფექტს ახდენდა.

ედუარდი მაგიდასთან იჯდა და მთელი ამ ხნის განმავლობაში რომელიღაც ქაღალდს ჩაჰყურებდა, ფიქრით კი ამბაკოს სიტყვებს აფთიაქის სასწორზე წო-

ნიდა: ამბაკო ნამდვილად განძია, მისი გამეტება არა ღირს, ზუსტად უღებს ალღოს ჩვენი მუშაობის საჭიროებას. ვიღაც არაკაცი რომ ყოფილიყო, მაშინვე მომახლიდა, შენ არ დაგვავალეო და კიდეც გაჰყოფდა ყულფში თავს. ეს კი როგორ პატიოსნად და ვაჟკაცურად ლაპარაკობს. კარგი კაცია ამბაკო, ჩვენ რომ გვჭირდება სწორედ ის არის, – ედუარდი დიდხანს მდუმარედ იჯდა,ვითომ ქაღალდს კითხულობდა. იცოდა ამბაკომ, რომ ახლა, სწორედ ახლა წყდებოდა მისი ბედი და გული ქუსლებისკენ მიძვრებოდა. სურვილი ჰქონდა, წამომხტარიყო და ედუარდ ამბროსევიჩსითვის ხელის გულები აელოკა, ქების კორიანტელში გაეხვია. დედამიწის ღერძის გარშემო ბრუნვა და წელიწადის დროთა ცვალებადობა ედუარდის ძალისათვის მიეწერა და მესიად ეღიარებინა, მაგრამ ვერ გაებედა სახეზე პირმოთნე ღიმილშეყინულს.

– ამბაკო, – თქვა ედუარდმა და ამბაკოც სკამზე დენდარტყმულივით შეხტა. – შენ მართალი თქვი, უმადური ადამიანები არიან, ჩვენი წარმატებები რომ აცოფებთ. სწორედ ისინი უკეთებენ ორგანიზაციას მიწერებს, ფალსიფიკაციებს, თვალის ახვევებს და ათას მამაძაღლობას. რესპუბლიკაში დავიწყეთ და ყველას ვაგებინებთ პასუხს, თქვენთანაც იქნებიან ასეთები, სასწრაფოდ უნდა მოიცილოთ!

საშიშროებამ გადაიქუხა, თავის მართლების ღვარცოფი პატიოსან ადამიანებს ითხოვდა მსხვერპლად; ამბაკო სანდო და შინაურ კაცად დარჩა.

– ედუარდ ამბროსევიჩ, მყავს ასეთი, აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე და ერთი სოფლის კოლმეურნეობის ბანდა, ჩვენს საქმიანობას რომ არცხვენენ, დღევანდელ სიტუაციას წაადგება იმათი დაჭერა; მიწერების და მაქინაციებისთვის პასუხი უნდა აგონ.

ედუარდი ერთხანს გაშტერებით უყურებდა, მერე ქაღალდების გადალაგება დაიწყო. გათამამებული ამბაკო მხიარულ ხასიათზე დადგა. ამ დალოცვილს თუ დასჭირდა, მაგ წარმართულ სახელსაც მოიშორებს და უფლის მიერი სახელით მოინათლება, რამეთუ უფლის არ ეშინია რწმენის გარეშე დარჩენილს, – ამის გაფიქრებაზე გაეღიმა. სწორედ ამ დროს ედუარდმა მაღლა აიხედა. შეშინებული ამბაკო ისე დაიღრიჯა, თითქოს ფეხის თითზე ქალის ფეხსაცმლის წვრილი ქუსლი დააჭირესო.

– არა უშავს, ამბაკო, დასაღრეჭად საქმე მალე სხვას გაუხდება, – თქვა და ყურმილი აიღო, – შეადგინეთ გამოცდილი ადამიანების ჯგუფი რაიონში დამნაშავეთა ბანდის ასალაგმავად, დაწვრილებით დავალებას ჩემი გამოგზავნილი კაცი გადმოგცემთ! – ეუდარდმა ყურმილი დადო და ამბაკოს მიუბრუნდა: – ხვალ სპეციალური ჯგუფი ჩამოვა, იმ კოლმეურნეობაში, ვინც არ მოგწონს ყველას დაიჭერენ; ცოტა მოგვიანებით აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეც დაგვჭირდება, მანამდე საქმე შეუკერე, – ამბაკოს გამომშვიდობების ნიშნად ხელი გაუწოდა, მანაც ორივე ხელი შეაგება.

– ედუარდ ამბროსევიჩ, თქვენთვის და თქვენი იდეებისათვის თავს არ დავზოგავ! – ამბაკო უკან-უკან წავიდა...

– როგორ გაბედეს ჩემი გაგზავნლი კაცის უარყოფა და ვიღაც ზაქრო ხუცურაულის მხარის დაჭერა?! ნახევარ სოფელს ჩავატუსაღებ, დაე, დარჩენილმა ნახევარმა და მთელმა რაიონმა დაინახოს თავხედობას რა მოსდევს! – თავის თავთან ხმამაღლა ლაპარაკით ჩამოდიოდა ამბაკო პარტიის ცეკას კიბეებზე...

მდუმარე პროტესტმა ერთხელ გამოხეთქა კალაპოტი, ვინც უნდოდათ თავმჯდომარედ ის აირჩიეს, მაგრამ მთავარი დაავიწყდათ, რომ ყველა ამ ბლენძთა

მძევალი და მათი დემოკრატია საქათმის ქათმების კრიახი რომ იყო, ურჩი ქათმის ბედი კი – კუნძზე დადებული თავი.

სპეციალური ჯგუფი ამბაკოს კაბინეტში იჯდა, მან ოცამდე კაცის სია გადასცა ზაქროს თამადობით.

– ამათ დღესვე ავიყვანთ, ბრალდებებს მოვუძებნით, – დიდი გამოცდილების მქონე ჯგუფის ხელმძღვანელმა სია გამოართვა.

იმავე დღეს ყველა დააპატიმრეს.

სოფელს მილიცია შეესია. ყველა ბინა გაჩხრიკეს, ვისგანაც სჭირდებოდათ დინამიტები, კაფსულები, ვაზნები, დანები და ნარკოტიკებიც კი აღმოაჩინეს, იმ ოჯახებს წარმოდგენაც რომ არ ჰქონდათ, ჩამოიტანეს, საქმეში ჩადეს და უკან წაიღეს.

სოფელში ეგზეკუცია მძვინვარებდა, სხვა სოფლები კი შიშისაგან კანკალებდნენ, მიტრო კი არა, თავმჯდომარედ სახედარი რომ გამოგვიგზავნონ, ხმას რა ამოგვაღებინებსო.

ამბაკო ხელებს იფშვნეტდა, შედგენილი გეგმა ზუსტად სრულდებოდა, მათემდე ერთი გაჩალიჩებაღა რჩებოდა. მან კი ამ მუხთლობის შესახებ ისე იცოდა, როგორც ნახირში შეგდებულმა მოზვერმა მეორე დღის ღონისძიებაზე მისი დაკვლის განაჩენზე.

## ავაზაკების ბუნაგის საიდუმლო

**როზერტმა** მათეს რაღაც სია შეუტანა, მაგიდაზე დადო და თვითონაც დაჯდა.

– ეს მანქანა ვინც უნდა მიიღოს, იმათი სიაა, კომისიაზე გაატარეო, დიმიტრი გიოევიჩმა დამავალა. მე როგორ უნდა გავატარო, კომისიის თავმჯდომარე შენა ხარ; გაატარე, თორე ისევ დამიწყებს ლანძღვას! – შეეხვეწა.

– მიდი, უთხარ, რომ ამ სიიდან მანქანას ერთიც ვერ მიიღებს. ვინც ამას გააკეთებს და გასცემს, მე აუცილებლად სააშკარაოზე გამოვიტან ამ საქმეს. წადი, უთხარი, რომ იმ მყვირალა კაცის ამბავიც ქვეყანამ იცის, იქნებ უშველოს და სწორ გზაზე დააყენოს! – მათემ შეშინებული რობერტი კარებამდე მიაცილა...

საღამოთი კი პეტოს ბანაკში განგაში იყო.

– თუ არ მოვიშორეთ, სუყველას დაგვღუპავს, მაგის გამოსწორება არ შეიძლება! – საბოლოოდ დაასკვნეს...

მათემ რამდენიმე დღით ცოლ-შვილი სიდედრთან გააგზავნა. გვიანი საღამო იყო. ცხელოდა. ოთახში იჯდა. სახლის კარი ღია ჰქონდა. დაბალ მაგიდაზე წიგნები დაეწყო, ხელში ჟურნალი ეჭირა და კითხულობდა. ჟურნალი დადო, გრაფინი აიღო, ჭიქაში წყალი უნდა დაესხა. სწორედ ამ დროს იჭექა რაღაცამ. გრაფინი ხელში დაემსხვრა. მაგიდაზე დალაგებული წიგნები ოთახში გაიფანტა. მათე ინსტინქტურად ფეხზე წამოვარდა. რამდენიმე წამს ასე გაშტერებული იდგა, ოთახში გაბნეულ ნივთებს უყურებდა, რა მოხდა? დაბნეულობამ გაუარა. ისროლეს! მის ტვინში ზარივით დაირეკა. გრაფინის ყელი, ხელში რომ შემორჩენოდა, მოისროლა და კარებში გავარდა. ჯერ ეზოში დატრიალდა, ხან ერთ კუთხეს ეცა, – ხან მეორეს, თანდათან დაწყნარდა, აზრი მოიკრიფა, საიდან შეიძლება ესროლათ? ფიცრის ღობეს გაჰყვა, ადგილი იპოვა, სადაც ცოტა ხნის წინათ, ალბათ, მკვლელის კანდიდატი იდგა, კარგად დატკეპნილი ბალახი იყო, ალბათ დიდხანს უთვალთვალა. მთელი უბანი მოიარა, საეჭვო ვერაფერი ნახა. ეს ამბავი აღარ გაუხმაურებია, ბინის გატეხვის საკითხსაც მის წინააღმდეგ იყენებდნენ ქურდის მოძებ-

ნის მაგიერ და, თუ არა მათეს გულახდილი განმარტება, მეზობლები და ახლობლები კინაღამ შეაძულეს. ეს ამბავი მარტო კოტეს და ომარს გაანდო.

ცოტა ხნის შემდეგ პურპროდუქტების ბაზის სალაროდან ოცდაათი ათასი მანეთი გაქრა. მილიციის უფროსი ტრაბახობდა, ქურდი ხელში მყავს. სამ-ოთხ დღეში დავიჭერო. ერთ დილას კი მიტრომ დაიბარა.

– ეგ საქმე არ უნდა გახმაურდეს, ხომ იცი, ხელმძღვანელები ცუდად გაგვიგებენ; ამბაკო სიმონიჩის აზრიც ეს არის! – უთხრა გაშტერებულ მილიციის უფროსს.

– აბა, მაშ რა ვქნა!

– რაჟდენამ უკვე იცის, უწყისებზე ხელს მოაწერინებს, ვითომ ხელფასი მიიღეს და საქმეც მორჩება!

– მოაწერენ? – მილიციის უფროსს ეჭვი შეეპარა.

– დარწმუნებული იყავ, რაჟდენა ყველაფერს გააკეთებს! – მიიღო პასუხი.

– თუ გააკეთებს და თქვენ, უფროსებს ეგრე გინდათ, იყოს როგორც ამბობთ; ისე კი ქურდი ნაპოვნი მყავდა! – სინანულით დაუმატა.

– ვითომ არაფერი არ მომხდარა, ამბაკო სიმონიჩის აზრია ეს! – დაუმატა. თითქოს თავისი სიტყვისათვის ძალის მიცემა უნდაო.

მილიციის უფროსმა მხრები აიჩეჩა და კაბინეტიდან გავიდა...

აგვისტოს პაპანაქება სიცხე იდგა. მზე დასავლეთისაკენ გადახრილიყო. ავადმყოფობის და ფიქრის ტყვეობაში მყოფი ვანო ალაზნის პირას დასეირნობდა; აქ სულაც არ იგრძნობოდა, რომ სულ ახლოს აგვისტოს სიცხე მძვინვარებდა.

ისედაც უხმაურო სიარულს მიჩვეული, ახლა მთლად აჩრდილად ქცეული. ისე მიდიოდა, თითქოს ბალახიც ვერ იგებდა მისი ფეხის დაბიჯებას. ფიქრებით დამძიმებული ნელი ნაბიჯით ალაზნის ნაპირს მიუახლოვდა, სადაც მდინარე მკვეთრ მოსახვევს აკეთებდა, იქ გავიდა. თვალწინ უზარმაზარი საზამთროს ბაღი გადაეშალა. იქვე, ზევით, მუხის გვერდით, ბუჩქებში კარგად მოწყობილი ქოხი დაინახა. ეტყობა ვიღაცეები მის წინ, მუხის ჩრდილში ისხდნენ, ხმამაღლა ლაპარაკობდნენ თუ დაობდნენ. ვანომ იფიქრა, მივალ, ცოტა ხანს გავერთობიო, მაგრამ თავის პროფესიულ ჩვევას არ უღალატა. ჯერ უნდა დაეზვერა, ვინ იყვნენ და სად მიდიოდა. ზედ ქოხთან მივიდა და მის წინ მსხდომნი ახლოდან დაათვალიერა.

მუხის ჩრდილში მოწყობილ ფიცრის მაგიდასთან სამნი ისხდნენ, ერთი ჭარხალა იყო, დანარჩენი ორი ვერ იცნო. ჭარხალასთან გამოჩენა არ უნდოდა, გამობრუნება დააპირა, მაგრამ ისეთი რამ გაიგონა, იქავე გაქვავდა და ყური დაუგდო.

– ნიკო, არ ვარგიხარ, სროლა არა გცოდნია, ეტყობა გეშინოდა კიდეც, მაშ მეორე რატო არ მიაყოლე! – ჭარხალა საყვედურობდა.

– რო მეშინოდა და ვღელავდი, მაგას როდის ვმალავ, მაგრამ აცდენა ამის ბრალი არ არი, სწორედ მაშინ დახარა თავი, მეორის დამიზნება კი ველარ მოვასწარ, მაშინვე წამოხტა და უკვე კარები მოეფარა, – ნიკო თავს იმართლებდა. მემრე კი უკვე ჩემი თავის გადარჩენაზე ვფიქრობდი. გიჟივით გამოვარდა, ხელში რომ ჩავვარდნოდი, გამგლეჯდა: ხომ ვიცი,  რა ჯანის პატრონია.

– თუ ესროლე, რატო არსად გამოაცხადა?! – ეჭვით უთხრა მესამემ.

– ბინა რომ გაუტეხეთ და გამოაცხადა, რა მიიღო, პირიქით, მაგის ახლობლებს დეერივნენ, ვითომ მათემ დაგვავალაო და სუყველა შეაძულეს, – თქვა ჭარხალამ და სამივე ახარხარდა.

– იქნება ჭკუა ისწავლოს და საჯდომს დააჭიროს, – თქვა მესამემ.

– იმედი ნუ გექნება, მჟავე რომ ძაღლს კუდი გასწორდეს, როგორც ის გაფუ-

ჭებული ომარი კაცად არ იქცევა, ისე მათეს სამარის გარდა ვერაფერი გაასწორებს, – ჭარხალამ ორივე თავისებურად დაახასიათა.

– ალბათ, მჟავე ფორე ეგ არის, – გაიფიქრა ვანომ და მესამეს დააკვირდა.

– სანამ ღმერთი ჩვენთან არის, ეშმაკი ფეხებსაც ვერ მოგვჭამს! – დასძინა მეორემ.

– ჩვენს მფარველებს გაუმარჯოს! – ჭარხალამ ჭიქა ასწია, სამივემ ერთხმად გამოცალეს ჭიქები.

– ეგ მათე მათხოვარი ყოფილა, ყველა გლეხი მაგაზე კარგად ცხოვრობს! ადგილს რა ტყუილად აცდენს! – დასცინა ჭარხალამ. – ის რაღაცეები რომ წამოვიღეთ, რა უყავი? – შეეკითხა მეორე.

– დავწვი, რეტიანო, რად მინდოდა, რომ ენახათ ჭირად გამიხდებოდა.

„ეგეც რეტიანი ნიკო“, – გაიფიქრა ვანომ.

– ვიღას უნდა ენახა, მილიცია არ ეძებს და.

– მილიცია არ ეძებს, მაგრამ კოჭლი ვანოსათვის დაუვალებიათ, იგეთი შობელძაღლია, შეიძლება კვალიც აიღოს. დედას ვუტირებ, იმას ჩემგან აქვს წერა! – ჭარხალა გაბრაზდა.

– აქა გდია, ომარისთან, გაძლიერებული ჭლექი ჰქონია, დიდხანს ვერ გაძლებსო, ამბობენ, – ფორემ ჩაილაპარაკა.

– მართლა აქ არის? მართლა კვდებაო? – ჭარხალამ შეკითხვები დააყარა.

– მე კი არ მინახავს, მაგრამ ეგრე ამბობენ, – უპასუხა ფორემ.

– ეგრეა, ეგრე! – დაუდასტურა ნიკომ.

– დედას ვუტირებ, სულზეც რომ იდოს, მივალ და ეგრევე დუპლეტ კარტეჩს დავახლი! – ჭარხალამ კბილები გააკრაჭუნა.

– გაბრაზებული იქნები მა რა, ამბობენ, არაქურდად ჭარხალა მაგან დასვაო, – უთანაგრძნო ნიკომ.

– ვინ არის არაქურდი?! – ჭარხალამ დაუღრიალა.

– იყავ, კაცო, მეც ეგ არ მინდა?! – ნიკომ უკან დაიხია.

– მაინც რა მაგრად გამოვიდა „ზაგოტზერნოს“ სალაროს საქმე? შენ და ნიკო იმ მოლარის ქმართან ქეიფობდით, მე კი, ვითომ აქ არაფერიაო, იმ ქალს გასაღები ამოვაცალე, წავედი, სალაროდან ფული გამოვიღე და მოვედი; მეორე დღეს ფული ფა-ფუ! – ფორემ ხელის გულს შეუბერა, – მილიციამაც ვერაფერი გაიგო, ყველა მშრალად გამოვედით.

– შენ მშრალად გეგონოს. იმ მოლარის ქმარმა მაშინვე ჩვენ დაგვასახელა, ეგენი იქნებოდნენო. მე მაშინვე პეტოსთან გავიქეცი, დევემუქრე, თუ დაგვიჭირეს, ყველაფერს დავფქვავთ-მეთქი. პეტომ ის ფული მამთხოვა. ჰოდა, იმათაც ფა-ფუ! – ჭარხალამ ხელის გულზე შეიბერა.

– ვახ, შენ გენაცვალე! რა დროზე მოგიხერხებია! მაგრამ ფული რომ წაუღიათ...

– ეგენი ფულის გულისათვის ყველაფერს იკადრებენ, არადა, ჩვენი საქმე წასული იყო. პეტო შავაშინე, ყველაფერს დავფქვავთ-მეთქი, თორემ რამდენიც არ უნდა გაგვეხსნა პირი, მით თავს დავიღუპავდით; ცემით სულს ამოგვხდიდნენ და მამკითხავიც არავინ იქნებოდა. ფულიც იმიტომ მაშინვე მივუბრუნე, თორე შავ ჭირს მივცემდი, – გაარკვია საქმის ვითარებაში თავისი თანამოაზრეები.

– ალღოიანი ხარ, ჭარხალ, დროზე იცი საქმის მოკვარახჭინება, – შეაქეს.

– მაიტა ღვინო კიდევ დავლიოთ, ხომ ხედავთ ჩვენი მომრევი ჯერ არ გაჩენილა! – ჭარხალა ტრაბახის ხასიათზე დადგა, – ხოხობიც ბლომად დაყარეთ, არ არის თუ, – შემწვარ ხოხობს მხარი აახლიჩა და პირში ჩაიდო.

– ხოხობი სად არის, ამასაც კაკანათით ვიჭერთ, ომარმა რომ გაგვიგოს, გაგვყრის აქედან; მთელი ზაფხული უთოფოდ ვართ, – ორივემ მოიჩივლა.

– მე კაი ცენტრელკებს მოგიტანთ, – შეპირდათ ჭარხალა.

– რად გვინდა, ვერც კი გავისვრით და, როგორც თოფის ხმას გაიგებს, თავზე დაგვადგება და სხვებივით იმ თოფებსაც წაიღებს, მოკლედ, დაგვაშინა, – გულახდილად აღიარეს.

– ნუ გეშინიათ, ხვალ საზამთროს საბოლოო რეისს წავიღებ. ეს პირუტყვიც ამ დღეებში გავყიდოთ, ფულად ვაქციოთ, აქ გდება გვეყოფა, რაც ზალა გაანთავისუფლეს, სატყეოს უფროსმა ცელქობა დაიწყო, არ მოგვასვენებს, ეგაც მათეს და ომარის ჯიშისა ჩანს. ერთ ღამეს ჩამოვალ და ომარის და კოჭლსაც მიქელ გაბრიელთან გავისტუმრებ, ეძებოს მათემ ძმაკაცები ალაზანში, – ჭარხალამ დაიტრაბახა, ახარხარდნენ.

– ჭარხალ, ფული ხომ საიმედოდ გაქვს გადამალული? – შეახსენა ნიკომ.

– მთელი ფული, რაც გვიშოვია, სულ ჩემთან არის. ორ კვირაში საქონელი გავყიდოთ და მემრე გავინაწილოთ. პეტომ თავისი წილი უკვე წაიღო, ზალა ჭიღიტაშვილს კი, აი! – ჭარხალამ ძმაბიჭებს მარჯვენა ხელით სამი თითის კომბინაცია აჩვენა, – ის რომ არ მოეხსნათ, ცოტა ხანს კიდევ დავრჩებოდით აქ. ბოლოს კი ჟაკანი ომარს, კოჭლს, მათეს და სატყეოს უფროსს! – დაიძახა ჭარხალამ და ჭიქა ასწია.

– გაუმარჯოს! – სამივე ფეხზე ადგა და ჭიქები ზალპით მოცალეს.

ვანომ ზურგში გარჭობილი ნაგანი ამოიძრო.

„სამივეს აქავე დავაწყობ და ეშველება აქაურობას“,– გაიფიქრა. ის იყო საფარიდან უნდა გამოსულიყო, რომ გადაიფიქრა. არა, ისეთ საქმეს გავუხდი, ერთმანეთი თვითონ დაჭამონ. ნაგანი ისევ ზურგში გაირჭო და იქაურობას აჩრდილივით უხმაუროდ გასცილდა.

## ქურდი ვანოს აღსასრული

**ვანო** თანდათან უფრო ცუდად ხდებოდა.

– ეტყობა, აღსასრული შორს აღარ არის, ომარ, – ვანომ გადაწყვეტით თქვა, – წავალ ჩემს ადგილს მოვძებნი, ისე უნდა მოვკვდე, რომ კარგა ხანს მტერსაც და მოყვარესაც ცოცხალი ვეგონო; თანაც ჩემს სიკვდილს შენ ტვირთად არ გაგიხდი.

– არავითარ შემთხვევაში, შენი გაშვება არ შეიძლება! – შეიცხადა ომარმა.

– არა, ომარ, ამ ცხოვრებასთან მე ჩემი ანგარიში მაქვს, სიკვდილამდე უნდა გავასწორო, მერე კი სადარდო აღარაფერი დამრჩება. აი, რასაც მხედავ, ეს არის ჩემი ავლადიდება და ეს ნაგანი, – ვანომ ომარს ზურგში გარჭობილი ნაგანი აჩვენა. სხვა იმ პაპაჩემისეული ქოხის გარდა არაფერი მაბადია. მთელი ჩემი სიცოცხლის განმავლობაში ამაზე მეტი არც არაფერი მქონია, ისე წავალ და გავქრები, საცრემლედ ერთი ქალის თვალებიც არ მოიღრუბლება, მანამდე კი პატარა საქმე მაქვს დასავლეთში, უნდა მოვასწრო, გზამდე მიმიყვა მხოლოდ, – თქვა და წასასვლელად ადგა.

ომარმა ვერაფერი გააწყო. ვანოს გადაწყვეტილება ურყევი იყო; მოსეს ორთვალაში ცხენი შეაბა და გზამდე მიიყვანა.

– ომარ ფრთხილად იყავ, ჭარხალამ და იმ ორმა ნაბიჭვარმა არაფერი მოგიწყონ, ხომ იცი, მე ჰაერზე ლაპარაკი არ მიყვარს. მაგარი ბიჭი ხარ, მაგრამ

ღალატს ყველაფერი შეუძლია. მშვიდობით, ამიერიდან ჩვენ ერთმანეთს ველარ შევხვდებით, – ვანო ომარს გამოეთხოვა, მერე გზად მიმავალ მანქანაზე დაჯდა და საბოლოოდ მიეფარა...

დაღამდა. ჭარხალამ ეზოში უზარმაზარი ქოფაკი გაუშვა, თვითონ კარები ჩაკეტა და სახლში შევიდა. ფანჯრები შეამოწმა, ღია ხომ არ არისო. ბოლო დროს შიში აეკვიატა, სულ ფრთხილობდა, თვითონაც არ იცოდა, რისა ეშინოდა, მაგრამ გული უშფოთავდა და არასასიამოვნო წინათგრძნობა არ ასვენებდა. აღარ ახსოვს, რამდენი ხანი გავიდა. ადგა, საპირფარეშოში წავიდა, დაძინებას აპირებდა, ტელევიზორის გამოსართავად მობრუნდა, ის იყო უნდა გამოერთო, – არ გამორთო! – რაღაც ნაცნობმა ხმამ დაუძახა.

მუხლები მოეკვეთა, ცოტას გადარჩა, არ წაიქცა, მობრუნება მოახერხა, შიშით რაღაც უცნაურად ამოიღრიალა. სავარძელში კოჭლი ვანო მისვენებულიყო და ხელში ნაგანს ატრიალებდა.

– ხმას აუწიე! – უბრძანა და ფეხზე ადგა. – შე გამჩენძაღლო, რა ჩოლოყაშვილივით გიცხოვრია, მათეს ბინაში კი დაძვრებოდი!

ჭარხალამ ცოლ-შვილის ოთახის კარებისკენ გაიხედა.

– ნუ გეშინია, ჩავკეტე, – ვანომ უთხრა და გასაღები სავარძელში მიაგდო.

– რა გინდა? – ჭარხალამ საიქიოდან მობრუნებულივით ჰკითხა.

– სადა გაქვს ის თოფი, სიკვდილის წინ რომ უნდა დამცე?! – დაცინვით შეახსენა.

ჭარხალას შიშისაგან გააქრიალა. ნეტავ საიდან იცის? – გაიფიქრა.

– ჩემგან რას თხოულობ? – გამბედაბა მოიკრიფა და შეეკითხა.

– იმ ქვეყანას მივდივარ. მინდა წინ გაგიმძღვარო. იქ მსახური ხომ დამჭირდება, თუმცა ისეთი ბინძური ხარ, არც იქ გამოდგები! თუ თავის გამოსასყიდად ფულს გამოიტან, შეიძლება ცოცხალი დაგტოვო...

– ფული ვინ მამცა! – ჭარხალა გათამამდა.

– მაშინ ილოცე! – ვნომ ნაგანი ფეხზე შეაყენა.

– იცოდე, ახლა ორი იმდენი აღარ გიშველის, რასაც წეღან შეიძლება გადაერჩინე! – დაემუქრა.

– კაპიკი არა მაქვს, ძმაო, აქაურობა გადააქოთე, თუ რამ ნახო, – აწუწუნდა.

– გადავაქოთო კი არა, ქვესკნელიდან შენი ფეხით ამოიტან! – ვანომ პირველი ტყვია ჭარხალას მარცხენა ფეხის ცერა თითს გააქექა.

ჭარხალა შეხტა, გაკაწრული აეწვა, ოთახიდან ქალმა დაიძახა:

– რობინზონ, რა ამბავია?

– არაფერი, ეგდე მანდ, შე შობელძაღლო! – ჭარხალამ ბოღმა ქალზე ამოანთხია.

– როგორ ვქნათ? – ვანომ დინჯად იკითხა და მეორე ტყვიამ ჭარხალას მარჯვენა ფეხის შუა თითი წააწყვიტა.

სისხლმა იფეთქა. ჭარხალამ ჩაიჩოქა.

– რას შვრები, მკლამ?! – ჭარხალამ ამოიღრიალა.

– ფეხზე ადექ! გასწორდი! მესამე ტყვიას შუბლში რომ დაგარჭობ, სიკვდილს მაშინ იხილავ! – ვანომ ნაგანი ფეხზე შეაყენა.

– ნუ იზამ, ვანო, შენი ჭირიმე, ნუ მამკლამ, ყველფერს გამოვიტან, რაც კი მაბადია, არაფერს არ დავიტოვებ! კაპიკს არ დავიტოვებ! – ჭარხალამ სიკვდილის სუნთქვა იგრძნო და სულმთლად წახდა, მისი ტვინი ახლა მხოლოდ სიცოცხლის შენარჩუნებაზე ზრუნავდა.

– რაცა გაქვს, გამოიტა, თუ იმდენი მოგროვდა, მე რომ მჭირდება, იქნებ გადარჩე! – ვანომ ცოცხლად გადარჩენის იმედი გაუღვიძა.

ჭარხალა ოთახიდან ოთახში ვანოს თანხლებით კვნესით დადიოდა, თან სისხლიან კვალს ტოვებდა, ფეხი სასტიკად სტკიოდა, მაგრამ მისი ჯავრი აღარ ჰქონდა, როცა თვითონ სიცოცხლე, ყოფნა არ ყოფნის წუთებს ითვლიდა.

ჭარხალამ ორი დიდი ზურგჩანთა გატენა.

– ნახე კიდევ, არაფერი დაგრჩეს! – უბრძანა ვანომ.

– დამიჯერე რა, კაპიკიც აღარ დამიტოვებია. ადამიანი არა ხარ?! – ჭარხალა მუხლებზე დაეცა და აქვითინდა – არ მამკლა, ვანო! – შეეხვეწა.

– მაშინ წამოიღე და წავიდეთ!

ჭარხალა შეყოყმანდა.

– დროზე! დროზე! გრძელ გზაზე ვარ წასასვლელი, – ვანომ დააჩქარა.

ჭარხალამ ორივე ზურგჩანთა თრევით წაიღო.

მთავარი შემოსასვლელი ღია დაუხვდათ.

ჭარხალამ ვანოს შეხედა.

– ჩვენ ეგ გვესწავლება! – ღიმილით თქვა ვანომ.

ეზოში გავიდნენ. უზარმაზარი ქოფაკი კუთხეში ეგდო და სულს ებრძოდა. ჭარხალამ ვანოს შეკითხვის მზერა მიაპყრო.

– ეტყობა ჩემმა საჩუქარმა აწყინა, – ვანომ საქმის ვითარება აუხსნა. ახლა შენი მანქანა გამოიტა, ეს ნაგავი შიგ ჩავყაროთ! – უბრძანა...

გაზ-24 ეზოში იდგა, ძრავი მუშაობდა.

– ბენზინი არის? – ჰკითხა ვანომ.

– სავსე ბაკია.

– არ გვეყოფა, გრძელი გზა უნდა გავიაროთ.

– კიდევ ორი კანისტრა მაქვს.

– ორივე ჩადგი!

ჭარხალამ კანისტრები საბარგულში ჩადგა და გვერდით გაჩერდა.

– აჰა, ძმაო, მანქანაცა და ფულიც შენზე ალალი იყოს, – ცოცხლად გადარჩენის იმედმომატებულმა გზა დაულოცა.

– დაჯექ საჭესთან, უშენოდ მეშინია, არ მოვიწყინო! – უბრძანა ვანომ და უკანა კარები გამოაღო.

შორს არ წასულან. სოფელს გასცდნენ, მინდორში გადაუხვიეს და პატარა, მწვანე მოლზე გაჩერდნენ.

– მოვედით! – თქვა ვანომ და ნაგანი ისევ ფეხზე შეაყენა, – რასაც გეტყვი შეასრულებ, პატარა ყოყმანი თუ შეგატყვე, გაგათავებ, იცოდე! – დაემუქრა.

ჭარხალას ისევ მოეძალა სიკდილის შიში.

– მზადა ვარ, ვანოს ვენაცვალე! – ახლა კი მთლად წახდა.

– საბარგული ახადე! ორივე კანისტრა ამოიღე! ყველა კარები გააღე და კაპოტი ახადე! გახსენ ზურგჩანთები და დაასხი მანქანას ბენზინი! – ვანოს ბრძანებები ისმოდა.

– ვაიმე, შენს ჭარხალას! – ამოიგმინა.

– კრინტი, თორე შენსავე მანქანაში შეგწვი! მიაგდე ცეცხლი! – უყვირა ვანომ.

ჭარხალამ ასანთი გაჰკრა და ანთებული ღერი ესროლა. მანქანაში ცეცხლმა იფეთქა და ალში გაეხვია.

– ვაიმე! – ჭარხალამ ამოიღრიალა.

– ეგ ქონება შენთვის არამი იყო და არმად მიდის! ახლა აქედან მოუსვი, სანამ არ გადამიფიქრებია! – უყვირა ვანომ. ჭარხალა ადგილზე გაქვავდა.

– არ მესროლო, ვანო! – ხვეწნა, მუდარა, გოდება, მოთქმა იგრძნობოდა ამ განწირულ ხმაში.

– ვნახოთ, როგორ გაიქცევი; თუ ნელა წახვალ, ტყვიას მოგაყოლებ! დროზე! – უყვირა და ტყვიით ფეხებს წინ ბელტი მოგლიჯა.

ჭარხალა თავქუდმოგლეჯილი გაიქცა. დაჭრილი ფეხის ტკივილს სულ აღარ გრძნობდა. გზაზე სამი გასროლის ხმა კიდევ წემოეწია და ისე გაიქცა, საკუთარ თვალთა სხივს გაასწრო...

ვანო ალაზნისკენ მიდიოდა. სიარული უჭირდა. დროდადრო ხველა ახრჩობდა. ნეტა იქამდე მისვლა შევძლო, – გაიფიქრა და უცებ შეეშინდა. ვაი, თუ აქ, მინდორში მოვკვდე! ძალა მოიკრიბა, ნაბიჯს უმატა, ხველა ისევ მოეძალა, თავბრუ დაესხა. მიწაზე დაჯდა. ადგომა დაეზარა, – არა, ასე შეიძლება აქ დავრჩე, – ჩაილაპარაკა. ადგა და რაცრაცით გასწია. ალაზნის ხმაური მოესმა, ხმაური კი არა გუგუნი იყო, მთაში მოსულ წვიმას ისე აედიდებინა, მარცხენა ნაპირიდან გადასული ჭალას მოსდებოდა. მარჯვენა, ამაღლებულ ნაპირს კი მშიერი ძაღლივით უყეფდა; ძირიანად მოგლეჯილ უზარმაზარ ხეებს ასანთის ღერივით მოათამაშებდა.

– ბედი მქონია, – ჩაილაპარაკა ვანომ. შემაღლებულ ნაპირზე შედგა და მის ქვემოთ აჯაგრულ მორევს გადახედა, – ჩემი ცხოვრებასავით დაუნდობელია, – ჩაილაპარაკა და ნაგანი მარჯვენა საფეთქელზე მიიდო, რომ დარჩენილი რამდენიმე საათის სიცოცხლე, ან შეიძლება საათიც არა, ბოლო ტყვიით შეემოკლებინა.

– არა, – ჩაილაპარაკა, – ჩემი ცხოვრება სულ ბრძოლაში გავატარე, თავს არ მოვიკლავ, ამ დაწყევლილ სტიქიას შევეჭიდები, დაე ასე მოვკვდე! – ვანომ ნაგანი ალაზანში ისროლა, ნაპირზე შეიმართა, გასწორდა და აქოჩრილ მორევში გადაეშვა. მალე ამოყვინთა, ცოტა ხანს ზედაპირზე გაჩერდა, თავი გააქნ-გამოაქნია, ხშირი თმებიდან წყალი ჩამოიბერტყა, ალაზნის გაცოფებულ ტალღებს ძველებური შემართებით შეება. რამდენიმე ხელის მოსმა შეძლო მხოლოდ, უცებ აფეთქებული ენერგია მთლად დაელია, უზარმაზარმა ტალღამ გადაუარა და მღვრიე მორევში ჩაინთქა.

## ცოფით გონებაარეული

**მეორე** დღეს შუადღიდან მჟავე ფორეს და რეტიანი ნიკოს ქოხიდან ხმამაღალი ლაპარაკი ისმოდა, რომელიც შემდეგ ყვირილში და გინებაში გადაიზარდა.

ჭარხალა როგორც კი გონს მოვიდა, ფეხი შეახვევინა, თოფს ხელი დაავლო და ალაზანზე წავიდა. თითქმის მთელი საათი დაბლა ეგდო და ხმას არ იღებდა.

– ამოშაქრე, რა დაგემართა?! – ჯერ-ჯერით ეკითხებოდნენ, მაგრამ პასუხს ვერ ღებულობდნენ.

– რაღაც უბედურება სჭირს, ნამდვილად შესალოცია! – თქვეს და განზე დასხდნენ.

ბოლოს, როგორც იყო, ჭარხალა ადგა, თოფი აიღო და თქვა:

– ცუდად არის საქმე! – ნათქვამში ბოღმა და ვარამი გაურია.

– რა მოხდა?! რაშია საქმე?! – შეშფოთებული შეეკითხნენ.

– რაც ფული გვქონდა, კოჭლმა ვანომ სულ წაგვართვა, – მოთქვამდა ჭარხალა.

– რას ამბობ, ეგ როგორ მოხდა?

ჭარხალამ დაწვრილებით მოყვა, რაც გადახდა.

– რაღაცას გვალანდებ, ჭარხალ, ფული დაწვაო, მაგას ვერ დავიჯერებთ! კოჭლი ვანოც ნახე რაღა სულელი, ფული დაწვას! – მჟავე ფორემ კბილები დაკრიჭა. – აი, ნახე მოსატყუარი კბილები სულ გამოცვლილი მაქვს.

– ამას არიფები ვგონივართ, – უნდა გაგვაცუროს! – რეტიანმა ნიკომ ღვარძლიანად დაუმატა.

– არიფები ხართ, აბა, მაშ რა არის, ქურდის სიტყვა არა გჯერათ! – ჭარხალა გაბრაზდა.

– ქურდი კი არა, ჩარტყმული ხარ, ხომ არა გგონია, არ ვიცოდით, რაზე დაგსვა კოჭლმა ვანომ არაქურდად. ობშიაკის ფულს რომ ითვისებდი, ახლა ჩვენის მითვისებაც მოგინდა?! არა, ფეხი არ ჩაგივა! იცოდე, კისრიდან ამოგაძრობთ! – მჟავე ფორე დაემუქრა.

– შენ ცოტა დაუწი, თორე, ხომ იცი, ჭარხალას ხუმრობა არ უყვარს! – ჭარხალამ თოფი ხელზე გადაიდო.

– ფუმფლო და ბოზი რომ იყავ, ვიცოდი, მაგრამ ამას თუ იკადრებდი და მშრალზე დაგვსვავდი ორივეს, ეს კი აღარ მეგონა! – რეტიან ნიკოს ბრაზი ნელნელა ეუფლებოდა.

– მე თქვენთან სადავოდ არ მოვსულვარ, იმ კოჭლს და ომარას სული უნდა დავალევინო, თუ გინდათ, გამომყევით.

– უყურე, როგორი ჭკვიანია! ჩვენი ფული შეიტყაპუნა, ახლა გვასულელებს, წამოდით, კოჭლი და ომარა მოვკლათო. ვითომ არ იცის, სამი კვირაცაა კოჭლი ომარისთან აღარ არის, წავიდა. ომარა კიდევ თურმე გველოდება, მოდით, მამკალით, ჭარხალამ თქვენი ფული შეჭამა, გული ჩემზე მაინც მაიფხანეთო. შე შობელძაღლო, ომარამ რა დაგვიშავა?! მოსაკლავი შენა ხარ, შენი დედა!.. – რეტიანმა ნიკომ მრავალსართულიანი გინებაც დაყოლა.

– მოსაკლავი შენა ხარ, შენი ბოზი დედა!.. – მას მჟავე ფორე აჰყვა.

– აქვე გაგასაღებთ, შე ფუმფლო, ხომ არა გგონია, გაპატიებთ და, ეგ არის, შაგრჩა? დედას გიტირებთ! ჯიგარს ამოგიღებთ! – რეტიანი ნიკო აყვირდა და დანაზე ხელი გაივლო.

– ჭარხალამ უკან დაიწია, თოფი მოიმარჯვა და დაიღრიალა:

– დედას გიტირებთ! ნებით თუ არა, ძალით მოგაჭკვიანებთ!

– შე ნაბიჭვარო, რას გვიზამ! – მჟავე ფორემ დანა იძრო და ჭარხალაზე მიიწია.

ჭარხალამ ნაბიჯი უკან გადადგა და თოფი მიუშვირა.

– არ გატოკდე, თორე გაგათავებ! – დაიღრიალა.

რეტიანმაც იძრო დანა და მარცხნიდან მიუახლოვდა.

– დააგდე თოფი, შენი დედა!.. – დაუყვირა.

– ორივე ისე იყვნენ გამწარებული, აღარაფერი ესმოდათ. ვერც იმას ხვდებოდნენ, რომ შიშისა და ბრაზისაგან გონებაარეული ჭარხალა ყველაფრის ჩამდენი იდო.

– დააგდე თოფი, თორე გამოგჭერ ყელი! – დაისისინა მჟავე ფორემ. დანა შემართა და მისკენ ნაბიჯი გადადგა. დანამომარჯვებული ნიკოც მარცხნიდან უახლოვდებოდა. ცოტაც და ხელჩათული ბრძოლა გაიმართებოდა.

თოფმა უცებ იქუხა, მჟავე ფორეს დანა გაუვარდა და ხელი მუცელზე იტაცა. რაღაცის თქმა უნდოდა, ენა აღარ ემორჩილებოდა, მიწაზე დაეცა და ფართხალი

დაიწყო. პირი სისხლით გავსებოდა, რაღაც ღმუილის მსგავსი ხმა ამოსდიოდა.

– ეს რა ჰქენი, შე!..

ჭარხალამ სიტყვის თქმა აღარ დააცალა, კოჭლი ვანოსათვის გამზადებული კარტეჩი ახლო მანძილიდან მკერდში დაახალა. რეტიანი ნიკო წაქცევამდე მოკვდა, ალბათ, მიწას მოჭრილი მორივით დაეცა და აღარც გატოკებულა. მეავე ფორე კი ჯერ არ მომკვდარიყო, ფართხალებდა და პირიდან სისხლს აფურთხებდა...

ადიდებული ალაზანი იქაურობას ხმაურით იკლებდა.

დროზე უნდა გადავყარო, ჭარხალას ინსტინქტი აჩქარებდა, თოფში ახალი ვაზნები ჩააწყო, მხარზე გადაიკიდა, რეტიან ნიკოს ფეხებში ჩაავლო ხელი და ალაზნისაკენ თრევით წაიღო. შემაღლებულ ნაპირზე დააგდო, წავალ, მეორესაც მოვათრევ და ერთად გადავყრი, გაიფიქრა. უცებ ძაღლის ყეფის ხმა მოესმა, სასწრაფოდ ხეს მოეფარა და თოფი მოიმარჯვა. მოსახვევიდან ეკალა გამოვარდა, მისკენ მირბოდა, მალე ომარიც გამოჩნდა, თოფი არ ჰქონდა, ქამარზე თავისი განუყრელი დანა ეკიდა.

– კარგია, შენი ფეხით მოდიხარ! – ჭარხალამ წაისისინა და ჩახმახები შეაყენა.

ეკალამ რაღაც იყნოსა, ჭარხალას საფრისკენ ყეფით გაქანდა.

ომარმა დამიზნებულ თოფის ლულებს თვალი მოჰკრა, გვერდზე გადახტომა და თოფის გავარდნა ერთი იყო, ტყვიამ ცოტათი მხარში გაკაწრა. მას ზედ მეორე გასროლა მოჰყვა, ომარმა მარჯვენა მხარში ძლიერი დარტყმა იგრძნო, შეტორტმანდა და ბალახში ჩაიჩოქა; უცებ თვალებზე ბინდი გადაეფარა, გონებას კარგავდა.

ჭარხალამ თოფი გადახსნა, ახალი ვაზნების ჩაწყობა უნდოდა. – ძაღლია, ეგრე იოლად არ მოკვდება! სანამ ოთხ ქაკანს მაინც არ გადავაყლაპებ, არ მოვეშვები! – ლაპარაკობდა და თან თოფს ტენიდა. თოფის დაკეტვა ვეღარ მოასწრო, ხელში კბილებდაღრჭენილი ეკალა ეცა, – ჰაგა, შე უპატრონო! – დაიღრიალა და თოფი მოუქნია, ეკალა განზე გადახტა, მოქნევა აიცდინა და გაავებული მკერდზე შეაბობღდა; ძაღლისა და კაცის სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლა გაიმართა.

ომარი გონზე მოვიდა. მარჯვენა მხარი საშინლად სტკიოდა. მუხლებზე დადგა და მიდამოს თვალი მოავლო, სულ რაღაც სამ მეტრაში ეკალა ვიღაცა კაცს ებრძოდა. გაახსენდა რაც მოხდა. მარჯვენა ხელი და მხარი აღარ ემორჩილებოდა. მარცხენა ხელით დანა ძლივს ამოაძრო ბუდიდან. ძალა მოიკრიბა, პირიდან დასარტყმელად მაინც ვერ გაიმეტა, დანა ტარიდან კეფაში ჩაარტყა, გონწასულმა ჭარხალამ იქვე ჩაიჩოქა, ომარსაც ისევ გადაეკრა ბინდი, გონს რომ მოვიდა, თავით ეკალა ეჯდა და სახეს ულოკავდა. მარცხენა ხელი ძაღლს კისერზე მოხვია და ჩასჩურჩულა: – ბინაზე წადი, ეკალ, მოსესთან, მოსესთან, ბინაზე! – ძაღლი პატრონს მიუხვდა, ადგილიდან მოსწყდა და ისარივით გაფრინდა...

– დააგდე თოფი, შე შობელძაღლო! – ომარს ბურანში ჩაესმა. ნელ-ნელა ნისლი გაიფანტა და თოფიანი კაცი დაინახა. ეს ეგერი მოსე იყო. სწორედ რომ დროზე მოუსწრო.

ჭარხალა გონზე მოსულიყო. ომარს თოფს უმიზნებდა, რომ საბოლოოდ გასწორებოდა, აღარ დასცალდა, მოსემ დაასწრო და შორიდან ნასროლი ქაკანით მკერდგაგლეჯილი მიწას მოჭრილი მორივით დაასკდა.

# ქიზიყის ჩაუშესკუს გაპარვა

**ОМАРИ** საწოლზე წამომჯდარიყო, თავს უკვე კარგდ გრძნობდა, თუმცა ექიმებმა სიკვდილს ხელიდან ძლივს გამოსტაცეს. სანამ საავადმყოფოში მოიყვანდნენ, ბევრი სისხლი დაკარგა. კოტემ და მათემ არაფერი დაიშურეს და ახლა მის ძარღვებში საკუთარის გარდა ორი მეგობრის სისხლიც ჩქეფდა. მარჯვენა ხელს უკვე კარგად ამოძრავებდა.

კოტე საწოლთან ეჯდა და მეგობარს დაღონებული უცქერდა.

– ბიჭო, სულ მე სად გეყოლები, ერთხელ გადაგარჩინე, ახლა შენი ჟანგიანი დანით ორლულიან თოფზე მეორედ წახვედი. მეთორმეტე საუკუნიდან ხომ არ მოხვედი, თოფის ძალა რომ არ იცი! ბუხ და ფა-ფუ, გათავდა სიზმარი! – კოტემ ხელები მოიფშვნიტა.

– აბა, მე რა ვიცოდი, მეგონა, თოფი იმიტომ მოიგონეს, მწყერი არ გამრავლდეს-მეთქი, – ომარმა ღიმილით თქვა, ორივემ გაიცინა.

– კოჭლ ვანოზე ხომ არაფერი გაგიგია? – ომარმა მოულოდნელად ჰკითხა.

– რაც ჭარხალას მანქანა დაუწვა. მისი მნახველი აღარავინ არის. ალბათ, დასავლეთში წავიდა, – დაასკვნა კოტემ.

– ეხ, ვეღარ წავიდოდა, დიდი დღე აღარ ჰქონდა დარჩენილი. ის თავს ჭირად არავის არ გაუხდიდა, – ომარმა ნაღვლიანად თქვა, – მათესი რა ისმის? იქნებ მომიყვე რა მოხდა?

– რა გითხრა, ჩემო ომარ, მათე უსამართლობას ვერ ეგუებოდა, არადა, დღევანდელი თვალთმაქცი მთავრობა სწორედ სიმართლეს და მართალი სიტყვის მთქმელს ვერ ეგუება. მათეს კი ეგონა, ამ ყალბ წუთისოფელს, ძალადობაზე ნაგებ დღევანდელობას პირუთვნელობით, პატიოსნებით, კრიტიკით სწორ გზაზე დააყენებდა.

ამბაკომ და მისმა მსგავსებმა პარტიაში შემძვრალმა პარაზიტებმა თავიანთი სამარცხვინო საქმიანობით შებღალეს ხალხის ბედნიერი ცხოვრების ნათელი მიზნები, ქვეყნის მაცოცხლებელ ძარღვზე წურბელებად მოკიდებულები სწოვენ იმ სისხლს ადამიანების ბედნიერების და საამო ცხოვრებისათვის რომ ჩქეფს. მექრთამეობის, ძალადობის, ყალბსიტყვაობის, ქიშპობის, თანამდებობისათვის ძიძგილის შენიღბვის ფონზე ხალხის კეთილდღეობისათვის მებრძოლობას იბრალებენ. ხალხმა კი ყველაფერი ზედმიწევნით კრგად იცის, იგი არასდროს არ შეცდება; თუ თავს იტყუებს, უხეში ძალის გამოა მხოლოდ. მშრომელებს თავი შეაძულეს, რამეთუ ბოლო პერიოდში პარტიის მაღალ ეშელონებში შემძვრალთა საქმიანობა შებღალული და დასვრილია. ედუარდ ამბროსევიმა ხომ დაამცრო და დააკნინა პატიოსანი ხელმძღვანელის სახელი და რესპუბლიკის ყველა რაიონი თავისი მსგავსობით დააბინძურა. სწორედ მათ გამოუცხადეს ბრძოლა საქართველოში თუ სადმე პატიოსანი მუშაკი მათ ავკაცობას ვერ ეგუებოდა. სინდისის გრძნობაზე გამწყრალნი არასასურველ პირს რასაც უნდათ იმას დააბრალებენ, რათა თავიანთი ავკაცობა, ხალხის ღალატი და უამრავი სიბინძურე სხვას გადააბრალონ.

ამბაკომ თავის ცეკას მდივანთან გადაწყვიტა მათეს, როგორც არასასურველი პიროვნების, სამაგალითოდ მოცილება. დანარჩენი წინასწარ დაწერილი სცენარით მოხდა. მათეს სწორედ ის დააბრალეს, რაც თვითონ არიან. დაჯერებით კი შეიძლება ვიღაცა შეცდეს, ვინც მათეს არ იცნობს, რადგან იმ აპარატის

მუშაკი იყო, რომელსაც ამბაკომ და მისმა მსგავსებმა სახელი გაუტეხეს. მათეს დაპატიმრებით უკანონობა, ძალადობა და ყოველგვარი თვალთმაქცობა საბოლოოდ სიტყვაშეუბრუნებლად დააკანონეს. მათე თავის თავზე გამოსცდის უსამართლობის საშინელებას, რაც ედუარდ შევარდნაძემ საქართველოში დაამკვიდრა. მიხვდება, როგორ კაცმოძულე ადამიანებთან ჰქონია საქმე, სადა და ალალი პრინციპებით რომ უნდოდა მათი გასწორება. ქვეყნის, ერის, ხალხის კეთილდღეობის ნათელი იდეების მოღალატეების გასწორება კი ისეთი უტოპიაა, როგორც შხამიანი გველისთვის შეგონებით კბენის გადაჩვევა, – კოტე გაჩუმდა, ომარს დააკვირდა, რომელიც გაფითრებული ბალიშზე მიესვენა. ცუდად ხომ არ გახდი? – კოტე შეშფოთდა.

– არა, ახლა ცუდად გახდომის უფლება არა მაქვს! დროზე უნდა გამოვჯანმრთელდე, მათეს ახლა ყველაზე ძალიან ესაჭიროება მეგობრის თანადგომა. კოტე, შენ არ იცი, რა ჯოჯოხეთური უსამართლობის ხახაშია მოხვედრილი. მათეს კი შეიძლება ახლაც ჰგონია თავისი სიმართლით აჯობოს უსამართლობით აჯაგრულ ძალოვან სტრუქტურებს, ედუარდის გაწვრთნილი ამბაკოები რომ მართავენ; ვერ მიხვდება, რომ ანგარიშს სწორედ სიმართლის და ხალხის საქმის ერთგულებისათვის უსწორებენ! – ომარი საწოლიდან ადგა და ტანისამოსი მოითხოვა. მისი საავადმყოფოში გაჩერება არავის აღარ შეეძლო...

რაიონის ცენტრის მთავარი მოედანი ხალხით იყო გაჭედილი. ედუარდ შევარდნაძის მიერ პარტიის ამბაკოებით დაბინძურებით, ძალადობის, კორუფციის, მექრთამეობის, თვალთმაქცობის დამკვიდრებით, ხალხის და სოციალური კეთილდღეობის ნათელი მიზნების უგულებელყოფით და ფეხქვეშ გათელვის შედეგად შეძულებული ლენინის ძეგლი ზევიდან გადმოჰყურებდათ. ძალადობა თაგვის სოროს ეძებდა.

ამბაკო კაბინეტში შეყუჟულიყო და ფანჯრის ფარდას ამოფარებული დაჰყურებდა მის წასალეკად ზღვასავით აბობოქრებულ ხალხს.

– ძირს ქიზიყის ჩაუშესკუ! – გრიალებდა მოედანი.

– ძირს მოძალადეთა თვითნებობა! გაუმარჯოს დემოკრატიას!

– გამოდი, ამბაკო, მოუყევი ხალხს, როგორ ძარცვე ადამიანთა სინდისი და პატიოსნება. რამდენი მძიმე ჭრილობა მიაყენე თავისუფლების მოყვარე, უბატონო ქიზიყელთა სულს, რამდენი ძალადობა და უსამართლობა აბარტყე! გამოდი, ამბაკო, თორე ჩამოგიღეთ ძირს! – ბობოქრობდა ხალხი.

შეშინებულმა ამბაკომ თავის ფართე კაბინეტს თვალი მოავლო, ყველა გაპარულიყო. მარტო დაეტოვებინათ მის ერთგულების მტკიცებაში ენაგაცვეთილ მლიქვნელებს. ამბაკომ საშინელი მარტოობა იგრძნო, შიშისგან მუხლი მოეკვეთა. მიშველეთ! ჩურჩულით, ჩანის კანკალით თქვა. ქარის მთესავი გრიგალს იმკიდა. ახლა კუთხეში მომწყვდეულ ვირთხას ჰგავდა უამრავი სიკეთის წახდენისათვის იატაკის ჯოხის დარტყმას რომ ელოდა. კბენაზე დაგეშილს საკუთარი ხელი ჩაედო პირში, რამეთუ სხვისი დაკბენა აღარ შეეძლო.

მოედნიდან მძლავრი გუგუნი გრიგალივით შეიჭრა მის კაბინეტში:

– კარები ავუჭედოთ! გავაუქმოთ მოძალადის ბუდე!

ამბაკო გონს მოეგო. უნდა გავასწრო! ხმის კანკალით თქვა, მოსასვენებელ ოთახში გავიდა და იქიდან სათადარიგო კარებით გაიპარა. კარებს რომ უჭედავდნენ, უკაცრიელი ქუჩით დასამალად მიძვრებოდა.

მიტრო მიტინგს თავისი კაბინეტიდან უსმენდა; ის არავის გახსენებია. ჯერ

ამბაკოს, მთავარ დამნაშავეს უტევენ.

– ეგრე უნდა, მაშ რა ეგონა! ახლა ამბაკოს გააგდებენ და პირველ მდივნად მე დავჯდები. საქმეს ჩავაწყობ, უფროსებს კარგად დავასაჩუქრებ. ჯერ ამბაკო გააგდონ, დანარჩენი ჩემზე იყოს, საქმის ჩაწყობაში ვინ უნდა მაჯობოს, მოკ-ლედ, მალე პირველი მდივანი ვიქნები! მიტრომ ხელები მოიფშვნიტა. თავის არჩევანში ღრმად დარწმუნებულს თავი ამბაკოს სავარძელში წარმომედგინა.

## მიტროს ბედის ბოლო მასხრობა

**მიტრო** კაბინეტში იჯდა, თავის არეულ ფიქრებში იყო გაბლანდული. რა უცებ მოხდა ყველაფერი, ამბაკო საცობივით გავარდა. „მალე პირველად დავჯ-დები“, – ფიქრობდა.

რეალურ სინამდვილეს მოწყვეტილი მიტრო უკვე ამოვარდნილი გრიგალის ძალას ვერ გრძნობდა. შეგნება და ტვინი ისე ჰქონდა ჭაობის ობისაგან გამოხ-რული.

კარები ნელა გაიღო, ოთახში ქალი შევიდა. მიტრომ ნაოცნებარი თვალები მოჭუტა. მის წინ ჭრელა-ჭრულად ჩაცმული ქალი იდგა და იღიმებოდა. ნეტავ სად მინახავს? გაიფიქრა. უცებ ეს ჩამოძენძილი არსება მშვენიერ, ულამაზეს ქალად გადაიქცა. მიტრომ ახლა კი იცნო. სწორედ ეს იყო, კოლას სახლის წინ დიდ ქვაზე ჩამომჯდარს რომ შეხვდა.

ქალი უღიმოდა. მიტროს ადრინდელი შიში და მოკრძალება თანამდებობით განებივრების პერიოდში გაჰქრობოდა, ახლა თავის თავში დარწმუნებული და აღზევებული მისგან სულ სხვა რამეს ითხოვდა. რა კარგი ნაჭერია! გაიფიქრა და ადგა. ქალი ისევ უღიმოდა.

– რა გინდა, მიტრო, რას თხოულობ? – ჰკითხა.

– შენ თავს გენაცვალე! ერთი შენთან დამაგორა და მერე გინდა! – მიტრომ სიტყვა აღარ დაამთავრა, ხელები გაშალა და ქალს მოეხვია. მაგრამ ქალს ხე-ლით ვერ შეეხო, ის ახლა სხვა მხარეს იდგა.

– ამას რას შვრები, მიტრო, მე შენი ბედი ვარ, მოვედი რომ!..

მიტრომ სიტყვის თქმა არ დააცადა.

– ჩემი ბედი ხარ და მეც ეგ არ მინდა?! ხელები მოხვია, დივანზე დააწვინა და... უცებ თვალებზე ნისლი გადაეფარა.

ახლა დივანზე იჯდა, მის წინ დაძონძილი ქალი იდგა.

– ბედის მასხარა იყო შენთან. შე ბედოვლათო! – უთხრა და ჩანთა ააჩხრი-ალა. ყველა უპრინციპო, უიდეო, მომხვეჭელი, პარაზიტად ქცეული მეტყველი ერის ინტერესებზე წურბელად მოკიდებულები აქ არიან ედუარდ-ამბაკოების ჩათვლით. იქ, მოხვალთ ჩემთან, მუცელზე ცურვით რომ მემსახუროთ! – უთხრა და ახარხარდა. დიდხანს იცინა. ხელში პატარა ედუარდებს, ამბაკოებს და მიტ-როებს ათამაშებდა. მერე კი კარები გააღო და წავიდა. მიტროს თვალებზე ბინდი გადაეფარა...

ეზოში კუნძზე იჯდა, ოთახიდან ფიქრიას ბრაზობა ისმოდა:

– მაგ მუქთახორამ წყალი მაინც მოიტანოს! ნაცარქექია, გდია და მარტო ჭამს!

მიტრომ ეზო დაათვალიერა, ყველაფერი თავის ადგილზე იყო, კოკებაკიდე-

ბული ვირიც თუთის ხეზე მიებათ. „გატეხილი კოკა თუ შეცვალეს?“ – გაიფიქრა. არადა, რა სიზმარი ვნახე, ბედის მასხარა რომ არ გამებრაზებინა, დიდხანს გაგრძელდებოდა. ადგა, ვირთან მივიდა. ერთი კოკა ეკიდა, მეორეში ისევ ქვები ეწყო. ეხ, ამისათვის მიმეხედა და მეორე კოკა მეშოვნა!“ – გაიფიქრა, საღამოზე მაწვნის შეჭამანდი თუ დამახვედრეს, ჩემს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს, – ჩაილაპარაკა და ეზოდან გავიდა; უკან ფიქრიას გაავებული ლანძღვა მისდევდა.

# სატანის ღიმილი

(რომანი)



# ნებაზე მიშვებული ბღენძი

**საქართველოს** კომპარტიის ცეკას პირველი მდივანი ედუარდ შევარდნაძე გაფართოებულ თათბირზე ჩაფიქრებული იჯდა. ასეთი ჩაფიქრება მაშინ ეწვეოდა ხოლმე, როცა ახალ, გრანდიოზულ, ჯერ არნახულ, ხმაურიან ღონისძიებაზე ფიქრობდა. ყველაფერი კარგად მიდიოდა, საქართველოში გეგმებისა და ვალდებულებების შესრულება დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნეს. ქვეყანა გააბრუეს შევარდნაძის იმ „უდიდესი" დამსახურებისა და ავტორიტეტის შესახებ, რამაც საქართველოს ასეთი წარმატება მოუტანა.

რამხელა ჯაფა, ოფლის ღვრა, კუდის ქიცინი, პირმოთნეობა, ხელსაყრელ მომენტში სხვებისთვის ფეხის დადება, გზიდან ჩამოშორება და მოუსავლეთში გადაგდება დასჭირდა იმისათვის, რომ პარტიის ცეკას მდივნის პირველ სკამს დაუფლებოდა. გაახსენდა თბილისში ხრუშჩოვთან საზეიმო შეხვედრა, მაშინ კომკავშირის ცეკას პირველი მდივანი იყო, ნიკიტა ხრუშჩოვისადმი ლიქნით გატენილი სიტყვა წარმოთქვა, პირმოთნის ერთგულებით რომ გააბრუა ქართველი ხალხის ჯალათი, ვინც ცხრა მარტის სისხლისღვრა მოაწყო და ყოველი არყის ჭიქის გადაკვრაზე ქართველების ციმბირში გადასახლებას ითხოვდა! – იმ დროს ვასილ მჟავანაძემ გადაულაპარაკა თავის გვერდით მჯდომს: რა უხერხულობაში ჩაგვაგდო ამ მეტიჩარა ბიჭმაო... უსიამოვნოდ გააჟრჟოლა და ერთდროულად ღვარძლი მოეძალა; ხომ მაგარი კვანტი უგდო იმ მჟავანაძესაც და კარგად მიუზღო მისი კაცთმოყვარეობისათვის. იმდენი ცილისწამების ნაგავი მიაყარა, დროთა ქარბორბალა დასჭირდება მის გადაყრას...

იქედნურად გაიღიმა და ფიქრი ისევ გააგრძელა... დრო ჰქონდა, ვიღაც მეტიჩარა სიტყვაში გამომსვლელი გაუთავებლად ტრაბახობდა, მამათელ ბიჭს კი თავბრუდამხვევი კარიერა ჭკუას უბნელებდა. დალოცვილი სოციალიზმი, თორემ ფერშლის ადგილი სანატრელი უნდა ჰქონოდა; ჰოდა, მიღწეულით გონებაარეული იქნევდა მარცხნივ და მარჯვნივ დაუნდობლობის მახვილს, რასაც სოციალიზმისთვის უსაზღვრო ერთგულებად ნათლავდა. არადა, არასრულყოფილების აკვიატებული გრძნობა არ ასვენებდა; ექიმობას ვერაფრით ვერ ეღირსა, ფერშლის ბარიერი ვერ გადალახა და... უკვე პარტიის ცეკას პირველი მდივანი იყო, მართალია, ექიმი ვერაფრით ვერ გახდა... მერე რა, ჰიტლერიც ვერ გასცდა ეფრეიტორობას, მაგრამ ხომ მოაჯდა ქვეყანას ზურგზე. – შედეგიც შესაბამისი იყო, – ჩაესმა უხილავი მსაჯულის სუსხიანი ხმა.

დიდი შემართებით და სოციალიზმის გაუკუღმართებული ერთგულებით შეუდგა ცეკას მდივნობას. მაშინვე აკრძალა საქართველოდან მოსახლეობის მიერ ციტრუსების და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რუსეთში გატანა. შემომხედეთ, როგორი პრინციპულობით ვებრძვი კაპიტალიზმის გადმონაშთებსო. სინამდვილეში ფულიანი ჩარჩ-ვაჭრების ხელით გადიოდა ყველაფერი, მხოლოდ გატანის ფასი – „სტავკა" – გაიზარდა. ვისაც პროდუქცია მოჰყავდა, იმას გაუჭირდა, თორემ ედუარდმა იცოდა, მოსკოვში მაღალი თანამდებობის პირთა მოსაქრთამად დიდი ფული როგორი მაქინაციებით ეშოვნა.

ვითომ ქართველი კაცის პრესტიჟის დასაცავად რუსეთის ბაზრებში დამსჯელ ექსპედიციებს აწყობდა და ვისაც დაიჭერდნენ, აწიოკებდნენ. აფხაზეთში უკმაყოფილება დაიწყო. როგორი საქმეა, მთელს საბჭოთა კავშირში ერთი მეტიჩარა კარიერისტის თვითნებობა პატარა რესპუბლიკის ბინადართ გაწამაწიად ექცეთ, ხმას კი ვერავინ იღებდეს.

რაიკომის პირველ მდივნებად მთლად უცნობი, საეჭვო რეპუტაციის პირების დანიშვნა დაიწყო წყლის უკეთ ამღვრევის მიზნით. განაწყენებულმა აფხაზებმა გაგრიდან თავისი მოყვანილი რაიკომის მდივანი გამოუგდეს და საქართველოდან გამოყოფის მიზნით გამოსვლები დაიწყეს. ამ სამარცხვინო აკრძალვით გურულებიც განაწყენდნენ, კახელებიც და იმერლებიც, მაგრამ რა ექნათ, ისინიც ხომ არ იტყოდნენ, საქართველოში აღარ გვინდაო. ასე ჩადო ედუარდ ამბროსევიჩმა თავიანთ სამშობლოში ქართველთა აწიოკების პირველი თესლი; ამგვარ „თესვებს“ კი ცეკას მდივნობისას განუწყვეტლივ აგრძელებდა.

აფხაზებმა მიტინგზე სახეში აფურთხეს. დაფრთხა, დაიბნა, დაშინდა, ხომ შეიძლებოდა კარგად გამართულ კარიერისტულ გზაზე ეს ამბავი საბედისწერო დაბრკოლებად ჰქცეოდა. აფხაზების წინაშე შაქრად და თაფლად დადნა, ყველა კაპრიზი შეუსრულა; საქართველოდანაც ჩამოაცილებდა, მაგრამ საამისო ძალა აღარ გააჩნდა. გულში დაგროვილი ბოღმა კი ქართველთა რეპრესიებად დაანთხია. უყვარდა წყლის ამღვრევა და მერე იქ თავისი საკბილოს მონადირება. შინაგან საქმეთა მინისტრობისას ავტოინსპექტორებად ოფიცრების მუშაობა აკრძალა და გაუნათლებელი რიგითების დანიშვნა დაიწყო. ფულიანი მძღოლები და სხვა მათი მსგავსნი არაფერს ზოგავდნენ ავტოინსპექტორობისთვის. აიწია დანიშვნის „სტავკამ“, შეივსო მოსკოვში დიდი თანამდებობის პირთა მოქრთამვის ყულაბა.

წარმატებებზე ქადილით ქვეყანა აიკლო. სინამდვილეში საქმე სულ სხვანაირად იყო. ყოველგვარი კანონის და ზნეობრივი ნორმების უგულებელყოფით, მიწერების შედეგად საქართველოში ადამიანთა ცხოვრება ცირკის არენაზე ილუზიონისტის ოინბაზობას დაემსგავსა. შევარდნაძეს კი შრომის გმირობის სურვილი განებივრებული ბავშვის ბრჭყვიალა სათამაშოს შეძენისათვის გამართულ ისტერიკად ექცა. რესპუბლიკის ხელმძღვანელს გმირის მედლის მოხვეჭა აბოდებდა. მის თვალთმაქცობაზე გაწაფული თანამოსაქმენიც შეუდგნენ შეფისათვის სასურველი მედლის შესაძენად ალქიმიურ ოინბაზობას.

სწორედ ამ დროს ყურძნის ჭიამ მევენახეობა საგრძნობლად დააზიანა. გმირობის ჟინს რეალური საფრთხე დაემუქრა. მაშინ რა ეშველებოდა გმირობაზე თავგადაკლულ შეფს? მიწერა — დალოცვილია ეს ილუზიონისტური ილეთი, — თუნდაც მთელი პლანეტისთვის შეუძლებელს შეძლებს. გადაწყვეტილება რესპუბლიკის თავკაცის მოწონებით მიიღეს და დაიწყო არარსებული მოსავლის აღება. საქართველოსკენ შაქრის ეშელონები დაიძრა. ყოველი ჯურის მაღალი რანგის კომბინატორები შაქრის შემოზიდვით სასწაულებს ახდენდნენ: ყურძენი არ იყო, მაგრამ იგი ზღაპრული რაოდენობით მზადდებოდა. კახეთის ერთ-ერთი რაიონის რაიკომის მდივნის დარეკვის შესახებ ანეკდოტი გავრცელდა; ყურძნის კრეფა დავამთავრეთ, რთველი გავაგრძელოთ თუ არაო. ცენტრალურ კომიტეტს კი საკონტროლო ციფრი ჰქონდა შერჩეული, მხოლოდ მისი გადალახვის შემთხვევაში იყო შესაძლებელი ყურძნის კრეფის დამთავრება.

ღვინის ქარხნებში ყურძნის მაგიერ შაქრით დატვირთული ტრაილერები შედიოდა, ვალდებულება სრულდებოდა, გმირობის ჰარიჟაშეყრილი ბღენძი ხელებს იფშვნეტდა, საქართველოში ჩაის დასატკბობად შაქარი აღარ იშოვებოდა. ამგვარი თვალთმაქცობის შემყურე ქართველი კაცი მწარედ ილიმებოდა. ედუარდ ამბროსევიჩის მაქებართა კუდქიცინა ამალა ქვეყანას იკლებდა მისი „ძლიერი შემოქმედებითი ნიჭის“ ხოტბა-დიდებით.

საბჭოთა კავშირის კომპარტიის გენერალურ მდივანს ისე უყვარდა ქება, რო-

გორც ფსორიაზიანს გაუთავებელი ფხანა. სიამოვნებისგან გაყუჩებული დიდი მონდომებით უგდებდა ყურს, როგორ აბრალებდნენ ტიტანურ შრომას. თითქოს კონკურსი იყო გამოცხადებული ბრეჟნევის ქებაში: ვინც უფრო უზნეოდ და უსირცხვილოდ იმლიქვნელებდა. ამაშიც ყველას ედუარდ ამბროსევიჩმა გაასწრო. სამაგიეროდ, ნასიამოვნები ბრეჟნევის მიერ თავზე ხელის გადასმა არ აკლდა.

მიიღო გმირის მედალი და უამრავი ანეკდოტი აჰყვა ანეკდოტად ქცეულ გმირობას. ამგვარი ხუმრობის მოზღვავება ისე გახშირდა, რომ მოსკოვსაც მისწვდა. ნებიერ ედუარდს პოლიტბიუროშიც რამდენიმე ისეთი ანეკდოტი უთხრეს, რომ დაშაქრული მედლის მიღებით ნასიამოვნებს კარიერისტული ამბიციები დაუბალღამეს.

კარიერიზმით დაავადებული ადამიანის დაუნდობლობა მორფინისტის „ლომკაზე“ უარესია. მორფინისტი ამ დროს წამლის გულისთვის კაცს მოკლავს. წამალს გაიკეთებს და დაწყნარდება. კარიერისტი კი თავის აღზევების ხელის შემშლელთა მოსპობის მიზნით სხვა უამრავ უცოდველ ადამიანს მიაყოლებს ისე, რომ სირცხვილის ან სინანულის ძარღვი არ შეუტოკდება, რამეთუ არ გააჩნია. კარიერისტი გაუმაძღარია, არაფერი არ ჰყოფნის... იმას ანგარიშს არასდროს გაუწევს, რომ ხუთი ბატის მწყემსობისთვისაც კი ცოტაა მისი კარიერიზმით დაფუყული ტვინი. მკურნალი ერთია, მათრახივით მოქნეული მართალი სიტყვა მწვავედ რომ მოხვდება ყურებში, კარიერიზმის ბილწ ილუზიებს გააყრევინებს და ბატის სამწყემსოდ მოწყობილ ტვინს, ქვეყნის ხელმძღვანელობის პირობებში უბედურების მეტი არაფრის მოტანა არ შეუძლია, ხალხის მკაცრ განკითხვას ააფარებს თვალებზე; ბოლოს კი საფლავის მიწას შეუძლია მისი გაუმაძღარი კუჭის საბოლოოდ ამოვსება.

საქართველოში შექმნილი მდგომარეობის სასიკეთოდ შემოსაბრუნებლად ვინც გაიბრძოლა, ამქვეყნად ყოფნა უბედურებად უქციეს. აბა როგორ, სიცრუის, თვალთმაქცობის და ბოროტების გზაზე თუ შედექი, დაუნდობელიც უნდა იყო სიმართლის, ჭეშმარიტების და სიკეთის მიმართ. შენს მიერ არჩეული მეთოდით უნდა მოსპო, ვინც კეთილსინდისიერებისკენ მოგიწოდებს; ადამის მოდგმისადმი შენი სიძულვილი კი კაცთმოყვარეობად გაასაღო. თუ ძალიან მოქნილი თვალთმაქცი ხარ, დიდხანს გაგიგრძელდეს იქნებ ეშმაკის დუდუკზე როკვა. შეიძლება ასევე მიადგე ჯოჯოხეთის კარს, თუ ადამიანურმა საღმა აზრმა არ იმძლავრა და ეშმაკის დუდუკზე როკვა სააქაო ცოდვების განკითხვად არ გიქცია.

აბა, გაბედოს ვინმემ სიმართლის ყბედობა! თანამოაზრეები, ერთგულები და ყურმოჭრილი შემსრულებლები უნდა იყვნენ მის გვერდით. დანარჩენებისთვის, ვისაც დამოუკიდებელი აზროვნება, მართალი, პირუთვნელი სიტყვა ვერ მოუთოკია, მისთვის განაწყენებული კარიერისტის შურისძიებით ნაკარნახევი სასჯელია.

ვინც იცნობს სიცრუის, სიყალბის, ძალადობის, უკანონობისა და უზნეობის სამზარეულოს, რომელშიც კარიერისტის ამბიციები მზადდება, იმან კარგად იცის, რომ ოფიციალურად გამოქვეყნებული დანაშაული მხოლოდ ნიღაბია, რომლის იქით სულ სხვა ღვარძლი და დაუნდობელი ანგარიშსწორება იმალება.

ყურძნის გეგმის დაშაქვრის გლობალური, მთელი რესპუბლიკის მასშტაბით მიწერა, რომელსაც ხელისუფლება ატარებდა, ლოკალურად ერთი რაიონის არასასურველ ხელმძღვანელს უნდა აჰკიდოს და გატარებული ღონისძიების ნიღბად მოხერხებულად გამოიყენოს. რამდენი ამგვარი საქმე მოუკვარახჭინებია და, როგორც ქაჯთა ღრეობაზე უცოდველ სულებზე დაცინვა, მრავალ მარ-

თალ ადამიანზე წამოუკიდია თავისი ჭკუით ნაბარტყი ცოდვა. გადაწყვეტილი იყო, ვიღაცას უნდა დაბრალებოდა ყურძნის დაშაქვრა, მაგრამ ვის? იმას ხომ არ გაამხელდნენ, ვინც ამ საქმეს ახორციელებდა. მაშინ დაბრალება ხომ აღარ იქნებოდა. დაბრალება კი იმაში მდგომარეობდა, რომ შენს მიერ ჩადენილი სამარცხვინო საქმენი იმისთვის აგეკიდა, ვინც ამაში ხელს გიშლიდა და შენს ავკაცობასთან არავითარი საერთო არ ჰქონია...

არჩევანი კახეთის ერთ-ერთი რაიონის რიგით ხელმძღვანელზე შეჩერდა, რომელიც თავისი პირუთვნელობით და მართალი სიტყვით ხელს უშლიდა ედუარდის მიერ გაგზავნილ რაიკომის მდივანს, – გეგმების მიწერებით შესრულებასა და მოსკოვიდან ქების მოხვეჭისთვის ალქიმიურ კომბინაციებში.

ფიქრიდან თავი გაითავისუფლა. ყველას ადგილი მიუჩინა, დააზუსტა, ვის რა მიუზღო, ვის რა გადააბრალა, დასაჯა და აკვნესა; დაე, ახლა იმარჩიელონ, რისთვის გაწირეს ასე.

ახლოვდებოდა გიორგიევსკის ტრაქტატის ორასი წლისთავი, საბჭოთა კავშირის და საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების მესამოცე წლისთავი. გაფართოებულ თათბირზე მოწვეული იყო ყველა, ვისაც რაიმეს გაკეთება ევალებოდა ამ თარიღების საზეიმოდ აღსანიშნავად. ედუარდ ამბროსევიჩი აღგზნებული იყო, ახლა შეეძლო თავის კიდევ უფრო უკეთ გამოჩენა, ზღაპრული ზეიმით მოხიბლავდა მოსკოველ ხელმძღვანელებს, რათა უფრო მეტი ნდობა და პატივი მოეპოვებინა; დაუსჯელად და განუკითხავად ეფხრიწა მართალი, პატიოსანი ადამიანების ბედი.

ახლა სიტყვას ამბობდა: გიორგიევსკის ტრაქტატის დიდ სასიკეთო მნიშვნელობაზე იქადაგა, საბჭოთა კავშირი და კომუნისტური პარტია ქება-დიდებით ცამდე აიყვანა. ბოლოს ასე დაამთავრა: – კომუნიზმის მშენებელმა ბედნიერმა ქართველმა ხალხმა ახალ-ახალი წარმატებით უნდა აღნიშნოს ღირსეულ თარიღებთან ჩვენი ტრიუმფალური სვლა. უღრმესი მადლიერების გრძნობით და უბრწყინვალესი ღონისძიებებით უნდა აღვნიშნოთ ღირსეული თარიღები. მადლობა ჩვენი პარტიის გენერალურ მდივანს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს, რომელიც თავისი ტიტანური შრომით აღგვაფრთოვანებს და მედგრად მიგვიძღვის წინ კომუნიზმის გამარჯვებისაკენ! – ედუარდ ამბროსევიჩი გაჩუმდა და სასურველი რეაქციის მოლოდინში დარბაზს დააკვირდა. ეს თათბირი ვაშა-ტაშიანი ღრიანცელისთვის არ იყო გათვალისწინებული, მაგრამ ედუარდი ისე მიეჩვია ამგვარ ტაშფანდურს, რომ ყველა თავის, ეგრეთ წოდებული, ისტორიულად მონათლული მონოლოგისთვის „ვაშას“ და ოვაციებს მოითხოვდა.

დარბაზში ვერ მიხვდნენ, რა სურდა მათ კერპს. ბოლოს ერთმა წინა რიგში მჯდომმა, ყველაზე უფრო გაწაფულმა პირმოთნემ, შინაგანი ინსტინქტის კარნახით ფრთხილად შემოჰკრა ტაში. ალბათ ეს უნდაო, მიხვდნენ დანარჩენები და ისეთი ტაში დააქუხეს, კედლები შეირყა. შიგადაშიგ ვაშა, დიდებულია, დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას და მის გენერალურ მდივანს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს, ვაშა! კიდევ რაღაც უნდოდა ედუარდ ამბროსევიჩს, მიუხვდნენ, ფეხზე ადგნენ და აბა ახლა დაადგა ჯაფა ტაშზე გაწაფულ ხელებს და ვაშას ძახილით გაბერილ ფილტვებს.

იდგა ედუარდ ამბროსევიჩი და მთელს სხეულში სიამოვნების ჟრუანტელი უვლიდა. რამხელა ბედნიერება იყო, რაც იქ ხდებოდა, მოსკოველი ხელმძღვანელები აუცილებლად გაიგებდნენ და თავზე ხელის გადასმას არ მოაკლებდნენ. ცეკას მეორე მდივანს გადახედა. ისიც ხომ რუსია მოსკოვიდან გამოგზავნილი,

ალბათ, მოახსენებს მის ესოდენ ერთგულებაზე. მეორე მდივანს კი სახეზე ერთი ნაკვთიც არ შეტოკებია. გაკვირვებული მიშტერებოდა ამ გადარეულთა ღრიანცელს და ფიქრობდა: რუსი რომ იყოს საქართველოს ცეკას პირველი მდივანი, უფრო მეტად ქართველი, ეროვნული იქნებოდა, ვიდრე ეს დაწინაურებაზე გადარეული და სკამისთვის ბრძოლაში ყველაფრის მკადრებელი, ქართველი ხალხის ინტერესების თავის კარიერისტულ კიბეზე საფეხურად დამდები ქართველიო. ირონიულად ჩაეღიმა. მე ქართულს ვსწავლობ, მინდა ქართველებს ქართულად ველაპარაკო. ეს კი, დღემდე რუსული გამართულად რომ ვერ უსწავლია, სამ კაცში რუსულად ლაპარაკობს, ნახეთ, რუსეთის როგორი ერთგული ვარო. არადა, პოლიტბიუროშიც არის ბევრი ისეთი, ამგვარი გადაცდენა რომ მოსწონს. სწორედ ეს ადამიანები უტეხენ სახელს ჩვენს პარტიას და, ვინ იცის, როგორი გამოცდის წინაშე დააყენონ. დამცინავად გაეღიმა. არავის არ შეუძლია ერის ინტერესების ისე უტიფრად ფეხქვეშ გათელვა, როგორც კარიერიზმის ბაცილით დაავადებულ იმავე ერის წარმომადგენელს. ზუგდიდის მიტინგი გაახსენდა, კერამიკული კომბინატის გახსნასთან დაკავშირებით რომ მოეწყო, ხალხით გავსებული უზარმაზარი მოედანი ედუარდ შევარდნაძის გამოსვლას მქუხარე ტაშით შეხვდა. დაამთავრა სიტყვა და გაწბილებულები მდუმარედ მისჩერებოდნენ ტრიბუნას, სადაც თხუთმეტიოდე ადამიანი უხალისოდ ურტყამდა ხელს ხელზე. რა მოხდა? რამ დაადუმა ათი ათასზე მეტი მსმენელი? შევარდნაძემ თავისი გამოსვლა რუსულად წაიკითხა. ხალხმა კი არ აპატია ის, რასაც პირმოთნენი დიდ დამსახურებად უთვლიდნენ. შემდეგ ვიწრო წრეში ერთმა მწერალმა შეჰბედა: – ქართულად რატომ არ ილაპარაკე, იქ ხომ ყველა ქართველი იყოო. მოსკოველი სტუმარი გვესწრებოდა, ის ქართულს ვერ გაიგებდაო, უპასუხა შუბლშეკრულმა ედუარდმა. ჩემთვის რომ დაევალებინათ გამოსვლა, ქართულად ვილაპარაკებდი, მით უმეტეს რომ რუსი ვარ და ქართული ცუდად ვიცი. თუ მომენტი მიეცემა, ვაი იმათი ბრალი, ვისაც ესოდენ ეპირფერებაო. ფიქრობდა ცეკას მეორე მდივანი და გულისტკივილით მისჩერებოდა მაამებელთა თავაწყვეტილ ღრიანცელს. შევარდნაძემ კი მის სახეზე უკმაყოფილება ამოიკითხა და ღვარძლით ჩაიქირქილა: შენც შეგიკერავ ჩემი თარგით მოჭრილ ბრალდებას, რომ აქედან მოგაშორონ და სხვა ჩემი ჭკუის გამოგზავნონო.

თათბირი თათბირს მოსდევდა, რაღაც გამაოგნებელი ღონისძიების ჩატარება იგეგმებოდა. ედუარდ ამბროსევიჩი საბჭოთა კავშირის გაკვირვებაგაოცებას ესწრაფოდა. მთელი მსოფლიოს ალაპარაკებას და რუსეთის გადარევას ცდილობდა თავისი თავდადებით და უზომო ვითომ ერთგულებით. ცქმუტავდა, ამ არაჩვეულებრივი ერთგულებისთვის მოსკოვის ჯილდოებს ელოდა. ბედნიერების ბურუსში იყო, ტელეფონის ზარი რომ აწკრიალდა და მოახსენეს: – თვითმფრინავის გატაცების მცდელობაა, ბათუმიდან თურქეთში უნდოდათ გადასვლა. მფრინავებმა თვითმფრინავი თბილისში დასვეს, მაგრამ გამტაცებლები არ ნებდებიან.

ვინ გაბედა ასეთი საზეიმო მზადების ჩამწარება?! ბრაზისგან დაიბნა, სავარძელში უღონოდ ჩაეშვა. ელდამ დროებით მოქმედების უნარი წაართვა. ყველაფერი წყალში ჩაუყარეს, დაღუპეს, დაამცირეს. სიგიჟემდე მისული შურისძიების ბოღვა დაეწყო. სასტიკად უნდა გაუსწორდეს, ღედაბუდიანად უნდა გააქროს იმათი სახსენებელი. მთელი მსოფლიო გაიგებს, თუ რა შეუძლია ზეიმის ნოტზე აწყობილ ედუარდ ამბროსევიჩს გაწბილების დროს...

ენერგიულად ამოქმედდა. ძალოვანი მინისტრები შეყარა, აეროპორტში გა-

იქცა, იბრაზა, იმუქრა; მოსკოვიდან სპეცნაზი გამოიძახა და კბილების კრაჭუნით ირგვლივ მუქარა ფანტა. საქართველოში ცნობილი, როგორც უწმინდურთა მოციქული, მოსკოვში საბჭოთა კავშირის ერთგულ, დიდ რუს ხალხზე შეყვარებულ წმინდანად ასაღებდა თავს. შეუძლია კი საკუთარი ერის უბედურების, ღვარძლის პარკუჭმა სხვა რომელიმე ერი შეიყვაროს?

როდესაც მისი ნებართვის გარეშე ჩიტიც ვერ ფრინავდა, თვითმფრინავის გატაცება სცადეს. ვის დაუთმობდა სასტიკი, სადისტური ანგარიშსწორების სიამოვნებას. უხეში ძალის დემონსტრირებით უკულმართობის და თვითნებობის ყველა მიჯნა უკან ჩამოიტოვა. ეს საზარელი აღვირახსნილობა აღემატებოდა ერთი რომელიმე ორდინარული პიროვნების შესაძლებლობებს. იგი ნაყოფი იყო იმ განუსაზღვრელი ძალაუფლებით აღჭურვილი კაცის ღვარძლით გაჯერებული საქმიანობისა, კარიერიზმის გზაზე დაბრკოლება რომ შეუქმნეს. ყველაზე დიდი დამნაშავე პარტიის ცეკას პირველი მდივანი იყო, ასე უხეშად რომ არღვევდა სოციალისტურ კანონიერებას და თავისი ეგოისტური ამბიციების დასაპურებლად ადამიანთა სისხლს და ცრემლს ჭარბად ღვრიდა. მის კაბინეტში იგეგმებოდა, ვინ უნდა დაეჭირათ, ბრალდებებიც იქ ითითხნებოდა და განაჩენიც დაპატიმრებამდე იყო გამოტანილი. გამოძიება და სასამართლო მისგან მიღებული „შპარგალკით“ მოქმედებდა, რასაც დიდი გულმოდგინებით ასრულებდნენ, რამეთუ ერთგულ ლაქიებს ცხიმიანი ლუკმა არ აკლდათ და არც არავინ ედავებოდათ, საიდანო.

მშობლების თვალწინ, რომლებიც ევედრებოდნენ, თვითმფრინავში შესვლის უფლება მიეცათ და პირობას იძლეოდნენ, რომ შეძლებდნენ შვილების გამოყვანას, ცოფი ჰყარა ედუარდმა: მოსკოვს ხომ უნდა დაენახა მისი ერთგულება. „სპეცნაზმა“ თვითმფრინავი გარედან დაცხრილა, სიტუაცია რვა წუთში გააუვნებელყო. შედეგად ორი მოკლული, ოთხი დაჭრილი მამაკაცი და ერთი 19 წლის ქალიშვილი. მსხვერპლი კი თვითმფრინავის გამტაცებლებს მიაწერეს. ყველაზე გამაოგნებელი მაინც მღვდელ მამა თეოდორესადმი ანგარიშსწორება იყო, რომელიც საერთოდ არ ყოფილა თვითმფრინავში და აზრზე არ იყო, რა მოხდა. აქციის მოწყობიდან სამი თვის შემდეგ დააპატიმრეს ედუარდ ამბროსევიჩის უფლის მსახურებისადმი სიძულვილის გამო. ეს სიძულვილი მამა თეოდორეს დახვრეტად იქცა. 1984 წელს აღსრულებელი დახვრეტის განაჩენი ოჯახის წევრებმა მხოლოდ 1989 წელს შეიტყვეს. ამ გასაიდუმლოებით და ხალხისთვის სიმართლის დამალვით ამხანაგი ედუარდი იყო დაინტერესებული.

ოსტატურად დააგვირგვინა საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაში თავისი სამარცხვინო ინიციატივის კრახი, მოკავშირე რესპუბლიკის ენის სახელმწიფო ენად აღარ ცნობის შესახებ. ყველაფერი თითქოს კარგად ჩაიფიქრა, ეგონა, მის ესოდენ სამარცხვინო ინიციატივას სხვა რესპუბლიკებიც გამოეხმაურებოდნენ, მწარედ შეცდა. ქართველი ხალხის თავის ენისადმი თავგანწირული სიყვარული ვეღარ გაითვალისწინა; თბილისში გამოსვლები დაიწყო ქართულის სახელმწიფო ენად ცნობისათვის. მდგომარეობა სერიოზულად დაიძაბა.

დემონსტრანტებმა პოლიციის კორდონი გაარღვიეს და მთავრობის სახლისკენ გაემართნენ. დაფრთხა ედუარდ ამბროსევიჩი, როგორ მოახსენოს ბრეჟნევს ამის შესახებ, როცა ეს ინიციატივა თვითონ ითავა მისთვის ჩვეული ანტიეროვნული ცინიზმით. ახლა კი კარიერისტული მუხთლობა შეიძლება მაგარ წაფორხილებად ჰქცეოდა. ფანჯრიდან უყურებდა დემონსტრაციის მსვლელობას.

რა ვქნა, როგორ მოვიქცე? – ჩანაჩამოვარდნილი, აკანკალებული მიაჩერ-

და მის გვერდით მყოფებს.

– დაურეკე ბრეჟნევს და ყველაფერი მოახსენე, – ურჩიეს.

დიდი ყოყმანის შემდეგ ხელის კანკალით აიღო ყურმილი.

– კონსტიტუციაში ქართულის სახელმწიფო ენად აღიარებას მოითხოვენ, – ხმის კანკალით მოახსენა.

– იყოს სახელმწიფო ენად, რა პრობლემაა, – უპასუხა ბრეჟნევმა.

გადარჩა. ბრეჟნევის რბილმა ხასიათმა იხსნა. მან კი ენის სტატუსის დაცვა თვითონ დაიბრალა. ნახეთ, რას მივაღწიე, თავი გავწირე და ქართული სახელმწიფო ენად დავატოვებინეო. რა სატანური ნიჭი უნდა გქონდეს კაცს, უკუღმართი წაღმართად რომ მოაჩვენო ხალხს და თანაც შენგან წამოწყებული და შემდეგ ჩაფუშული გამცემლური საქმის წინააღმდეგ მებრძოლად გაასაღო თავი და ამისთვის დაფნის გვირგვინი მოითხოვო.

შინაგან საქმეთა მინისტრობის დროს მოსკოველ ხელმძღვანელთა მოსაქრთამად სპეციალური საიდუმლო ფონდი შექმნა, რათა მის ყალბ, ანტიხალხურ, ანტისახელმწიფოებრივ, კარიერისტულ ფაფხურზე რეაგირება არ მოეხდინათ და, პირიქით, მხარი დაეჭირათ მისთვის. გროვდებოდა ფული ვასილ მჟავანაძის და სხვა არასასურველ პირთა გზიდან ჩამოსაცილებლად. ეს იყო შევარდნაძის გაუკუღმართებული საქმიანობის მიმართ ზემდგომი ორგანოების თვალის ახვევის ფონდი. ასე ყიდულობდა ინდულიგენციებს საქართველოში ჩადენილ ცოდვათა გამოსასყიდად.

ედუარდ შევარდნაძე იყო ერთ-ერთი პირველი საქართველოს სინამდვილეში ყველაზე მაღალი რანგის სახელმწიფო მოღვაწე, რომელმაც დაამკვიდრა კორუფცია, მექრთამეობა, მიწერები, სახელმწიფო ქონების დატაცება-განიავება. ხარისხის დაქვეითების ხარჯზე პროდუქციის რაოდენობის ზრდა და სხვა უამრავი ბოროტება სახელმწიფო მართვის დონეზე აიყვანა და თვითონ გახდა მისი ორგანიზატორი. ყურძნის მოუსავლიანი წელი მისი „ბრძნული ხელმძღვანელობით" იქცა დაშაქრული ღვინის რეკორდულად დიდი რაოდენობით დამზადების წლად. ამგვარმა კრიმინალურმა საქმიანობებმა არა მარტო სოციალისტური შრომის გმირობა, არამედ სოფლის მეურნეობის გამოჩენილი ხელმძღვანელის სახელიც მოუხვეჭა.

მიუხედავად ყოველივე ზემოთ თქმულისა, საქართველოში სოფლის მეურნეობის დეზორგანიზატორმა იმ დროს შეძლო კავშირის მასშტაბით სოფლის მეურნეობის ორგანიზატორის სახელი მოეპოვებინა. ხოლო საქართველოში სახელმწიფო მაფიის შემქმნელმა – მაფიასთან შეურიგებელი მებრძოლის სახელი დაიმკვიდრა. მისი ცხოვრების მთავარი მიზანი კარიერისტული მწვერვალები იყო, რომლის მისაღწევად ყოველგვარი სიმუხთლის კადრება შეეძლო. მისთვის მორალურ კატეგორიებს არავითარი ღირებულება არ ჰქონდა. ამიტომ უსაფუძვლოა უსაყვედურო გულქვაობაზე, როდესაც ადამიანებს კარიერისტული მიზნებით სასაკლაოზე ისტუმრებდა. მისთვის გამოშიგნული სიტყვები იყო პატრიოტიზმი, კაცთმოყვარეობა, ამაღლებული ადამიანური გრძნობები, ისევე, როგორც მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა იდეოლოგიას, იქნებოდა იგი მარქსისტულ-ლენინური, ფაშისტური თუ სატანისტური. მთავარია, ფარის სათავეში მდგარიყო, იდეოლოგია ვის ან რას ემსახურებოდა, მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა. საზოგადოებას რა სახითაც არ უნდა მოვლენოდა, შინაგანად ერთი და იგივე კარიერისტი, კაცთმოძულე მიზანტროპი იყო.

## ობობები საკანში

**მანქანა** გურჯაანის მილიციის საპატიმროს კარებს მიადგა. საშინლად ცხელოდა, ისე, როგორც იცის კახეთში აღვირახსნილი გვალვის დროს. მანქანას მილიციონერები შემოერტყნენ. ხმაურით გაიღო რკინის კარები.

– ჩამოდი! – ბრძანა მებადრაგემ და გვერდზე მიდგა.

მაღალი კაცი წელში მოხრილი ჩამოხტა მანქანიდან. მხრებში გაიშალა, როგორც კი დადგა მიწაზე ფეხი. გაოფლილი შუბლი ცხვირსახოცით მოიწმინდა და გავარვარებული ჰაერი შევებით, მთელი ფილტვების ტევადობით ჩაისუნთქა. გამხდარსა და მხარბეჭიანს შუბლის ზემოთ თმა ძალუმად შეთხელებოდა, საფეთქელთან ჭაღარა მოსძალებოდა, დიდი, ნაღვლიანი, მოთაფლისფრო თვალების უპეები შებინდისფრებოდა, კიდეებზე კი საფეთქლის მიმართულებით ხშირი, წვრილი ნაოჭი გასჩენოდა. მაღალი კისერი ბამბასავით გათეთრებოდა და მისი სახის ფერს უერთდებოდა. მოკლესახელოებიანი შავი პერანგი ეცვა. მარცხენა ხელში პატარა პარკი ეჭირა, მარჯვენა ხელით კი თონეში ჩაკიდებული ხაბაზივით მომსკდარ ოფლს იწმენდდა. მაღალი იყო და თეთრი, ვითარცა წმინდა გიორგი, გარშემო კი მავრებივით შავი მილიციონერები შემოხვეოდნენ. ჩქარობდნენ, დროზე შეეყვანათ ბნელ და ნესტიან საკანში. ის კი იდგა, მშობლიურ ჰაერს და მზის სხივს ღრუბელივით იშრობდა.

შორს, ეზოში შემოსასვლელ კარებთან, სიმაღლის მიხედვით მდგარ ბავშვებს მოჰკრა თვალი, ყველაზე პატარა გოგონას მთლად ჭაღარა ქალი ედგა. ეტყობოდა, რომ ტიროდა, ცხვირსახოცით მალ-მალე იმშრალებდა თვალის უპეებს და ღაწვებს. ბავშვები ქანდაკებადქცეულნი მისჩერებოდნენ იმ თეთრ კაცს, თითქოს მისი სხეულის ყველა ნაკვთის თავიანთ მეხსიერებაში სამუდამოდ ჩაბეჭდვა უნდათო.

ორი წელი და ორი თვე გავიდა, რაც სამარის იდუმალებით მოცული იზოლაციის პირობებში გამოკეტეს. გამოსცადა და გაუძლო იმას, რაც შეიძლება მოიგონოს ადამის მოდგმის მოძულებამ. ახლა რა მოუვიდა? მისჩერებია ცოლშვილს და თვალები უწყლიანდება.

ბავშვები თვალებით ჭამენ ამდენი ხნის უნახავ მამას. ნუთუ აუსრულდათ ოცნება, აუცხადდათ ტკბილი სიზმარი? მამა დგას მათ წინ, თუმცა, მოშორებით და მუგუზალივით გაშავებული მცველებით გარშემორტყმული. ეს არაფერი, მთავარია მამა ცოცხალია. აგერ, იმანაც დაინახა ისინი და თავისი დიდი, ნაღვლიანი თვალებით შეათვალიერა. რას ამბობენ ნეტა მამის თვალები? ასე გაუმაძღარი ნახვის სურვილით რომ ჩაშტერებია ყველას ერთად და სათითაოდ. „თქვენ შემოგევლოთ მამა, ჩემო გაწამებულო ცოლ-შვილო!“ – ალბათ ამას ფიქრობს ახლა. – „ნეტავ კი შემეძლოს წამლად დაგედოთ ყველას!“ დედა არ ტირის, უნდა სადი თვალებით დაინახოს, მაგრამ რა ქნას, ცრემლებს ვერ იკავებს, ღვარივით მოსდის, არ ქვითინებს, არც მოსთქვამს, საყვარელი მეუღლის დანახვა უნდა, მაგრამ ეს ოხერი ცრემლები უშლის. ცრემლები, ცრემლები, ცრემლები! ვერ ამოაშრო ვერაფრით.

– შვილებო, მამა ძალიან შეცვლილია? – კვნესაგარეული ხმით იკითხა, რაკი თავის თვალებს ვერ მოერია.

– აბა, წავიდეთ! – ბრძანა ერთმა და ხელი საპყრობილეს კარებისკენ გაიშვირა.

კაცი გაქვავებული იდგა. არაფერი არ გაუგონია, ვერ ძღებოდა სიცოცხლე-

ზე უფრო ძვირფასი არსებების ცქერით. ორმა მოჰკიდა ხელი და ძალით დაუპირეს წაყვანა.

– უუხხხ!!! – რაღაც სულისშემძვრელი ზმუილი, კვნესა, გმინვა თუ ჭირთათმენის მსხვრევის ხმა აღმოხდა კაცს.

მრავლისმნახველ მილიციონერებსაც კი გააჟრჟოლათ ამის გაგონებაზე. მაშინვე უშვეს ხელი და მის გარშემო მტკიცე რგოლად შემჭიდროვდნენ. ნაწამები ადამიანის მოთმინების ფიალას ერთი წვეთი აკლდა... მათაც იგრძნეს ადამიანის სულში რა ქარბუქი ტრიალებდა. მილიციონერის ფორმა ეცვათ და, ეშმაკმა იცის, რამდენი ადამიანური გრძნობის გამაუხეშებელი დავალება შეუსრულებიათ, მაგრამ, რა ექნათ, თუ მკერდში ქართველი ვაჟკაცის კაცთმოყვარე გული უცემდათ?! გახევებულები იდგნენ და ნაღვლიანად შესცქეროდნენ წამებით ძვალხორცად ჩამომდნარ ვაჟკაცს და, ალბათ, მთელი არსებით იზიარებდნენ მისი სულის ბორგვას. აღარავის აღარ სურდა მისი საკანში შეყვანის ბრძანება გაეცა.

კაცი შემობრუნდა და კარებისკენ თვალდაუხამხამებლად წავიდა. გატყდა რკინასავით ვაჟკაცი. საკმარისი იყო ქუთუთოების შერხევა და ცრემლები ჩამოსცვივდებოდა, არა, ეს არ უნდა ენახათ მათ, ესოდეთ გულმოდგინედ რომ მიაცილებდნენ საკანში. ეზოში შემოსასვლელ კართან მდგარი ოჯახის წევრები ხელის ქნევით ემშვიდობებოდნენ.

– შვილებო, წაიყვანეს? – იკითხა დედამ, ვერაფრით რომ ვერ შეიკავა ცრემლების დენა, სულ პატარა გოგონა ჩაიკრა მკერდში და ახლა კი ხმამაღლა აქვითინდა.

ბნელი ტალანი გაიარეს, მარცხნივ მოუხვიეს, აქ უფრო ბნელოდა. გვირაბის მსგავსი გასასვლელის ბოლოში სამმაგი რკინის გისოსით დამძიმებულ სარკმლიდან იპარებოდა სინათლე.

მეორე ნომერი საკნის მძიმე რკინის კარები, რომელსაც ასევე მძიმე კლიტე ედო, ხმაურით გამოაღეს. მეტად გამოღების საშუალებას არ იძლეოდა იქვე დარჭობილი ლითონის მილი. კაცმა განიერი მხრები პირდაპირ ვერ შეტია, გვერდულად შევიდა. კარები საზარელი რახუნით და ღრჭიალით დაიხურა. საკანში კიდევ უფრო ბნელოდა, უცებ ვერაფერი გაარჩია, სანამ თვალს მიაჩვევდა ბინდისფერ ყოფას, ადგილზე გაჩერდა.

– საკანში მარტო იქნება! – გარეთ ვიღაცა ბრძანებას იძლეოდა.

კაცს მწარედ გაეღიმა: – განა ვყოფილვარ როდესმე მარტო?! ჩემი ფიქრები და ოცნებები ბარე 100 კაცს ეყოფა, – ჩაილაპარაკა და საკნის დათვალიერებას შეუდგა. ჯერ მის პირდაპირ კედელს აკვირდებოდა, რომლის გასწვრივ ფიცრის საწოლი იყო მოწყობილი. მაღლა, ვიწრო და გრძელ ჭრილში ორთქლის ქვაბის ლითონის გარნიტურის დახვრეტილი ფურცელი იყო ჩაშენებული; ესეც საკნის სარკმელი, რომლის იქით ოთხრიგად არმატურის პერიოდული რკინის გისოსები ჩაემაგრებინათ. ლითონის ნასვრეტებიდან დღის სინათლე დიდი მოკრძალებით იმზირებოდა. მარჯვენა კუთხეში ბეტონის ლოდივით ამოშენებული მაგიდის მსგავსი მასა იყო, რომლის გვერდით დიდი თუნუქის ვედრო იდგა, რომელსაც ჟანგიანი, ადამიანის წარმოშობის დროინდელი სახურავი ეფარა. „პარაშა“, გაიფიქრა მან. ვედროს გვერდით მეორე იდგა, ის კი წყლის დასალევად იყო, ალბათ, გამოყოფილი. ახლა უკვე მთლიანად სცნობდა საკანს. ბეტონის მაგიდიდან ფიცრის ნარამდე ერთი მეტრი ადგილი იყო დარჩენილი, აქედან მეორე კედლამდე ოთხი მეტრი იქნებოდა. ბოლთის საცემად უკეთესს ვერ ინატრებდა სუკის დილეგში ნაჯდომი ჯურღმულის ტყვე. ხვალ სასამართლო იქნება. ორ



წელზე მეტ ხანს სუკის  იზოლატორში ნაწამებს ისეთი ცილისწამება შეუკოწი-წეს, ადამიანის ტრაგედია რომ არ ახლდეს თან, გულიანად იხარხარებდა. ახლა კი გახსენებაზე მწარედ ეღიმება მხოლოდ.

ნარის წინ გაიარ-გამოიარა. მარტო  ყოფნას მიჩვეულია, ეს არ აწუხებს, არც მყრალი ჰაერი სიცხესთან ერთად რომ უძვრება ფილტვებში. მთელი სასამართლო რომ სპექტაკლია არაკაცი პარტიული ბოსის მიერ მოწყობილი, ესეც იცის, ის ბოსი მისთვის კარგად ცნობილი მანიაკია, ხალხის წინ ყვავის კუდს ანგელოზის ფრთებად რომ ასაღებს. იცის, რომ ყველაფერი გადაწყვეტილია, არა გამოძიების მიერ, არა სასამართლოში, არამედ იმ არაკაცის მიერ პარტიის მეწამულ ფერს გაწამებულთა სისხლით რომ ბღალავს, თავის ცრუ ადამიანობის შესანიღბად. რამხელა ძალადობის და უსამართლობის მოწმე გახდა, ამას ვერ წარმოიდგენს, ვერც დაიჯერებს ის მოქალაქე, რომელსაც უსამართლობის ბრჭყალის სიმწვავე საკუთარ სხეულზე არ უგემია. პროპაგანდა კი ისე შენიღბეს, რომ მორჩილთა ნახირს რასაც უნდათ, იმაზე აძახებინებენ  ვაშას. გული სწყდება, რომ ამ ყეინობის მონაწილე თვითონ არის. ვიღაცას სჯერა, ალბათ, რაღაცის, ვიღაცამ შეიძლება ირწმუნოს  მოსამართლის სინდისი და თემიდას ერთგულება, მაგრამ მან ხომ იცის, რომ იმ სკამზე, მხოლოდ მარიონეტი იჯდება, რომლის ენა და ტვინი რობოტივით დაპროგრამებული არის.

საკანში ბუზები მძიმე ბომბდამშენებივით დაბზუიან. „ნამდვილად უჭირთ, იქნებ საკბილო არაფერი აქვთ“, – გაიფიქრა, „გაძვრებიან დახვრეტილ რკინაში და მზით განათებულ სივრცეში ამოყოფენ თავს, მაგრამ სადაც სიბინძურეა, ბუზის ნატვრაც იქიდან იწყება“.  კედელზე მოგრძო მრავალფეხამ სწრაფად გაირბინა და პირდაღებულ ჭრილში მიიმალა. ჩრჩილის პეპლებიც დაფრინავენ აქა იქ თავისი დონდლო ფრთებით. კოღოს ნაცნობი ზუზუნიც შეიცნო, პიკირებაზე რომ მიდიოდა  ყურის ძირში. ორი მოზრდილი, წითელი ხოჭო ცელოფანის პარკს უტრიალებდა. „ალბათ მაგათ ავალიათ ჩხრეკა, ეს უკვე რიგით მესამე იქნება“, – გულუბრყვილოდ გაეღიმა. ჭუჭყით, ადამიანის ოფლით, ცრემლით და გოდებით გაჟღენთილ ნარზე ჩამოჯდა. – უკეთეს საწოლს ვერც ინატრებს აქ შემომძვრალი ტუსაღი, – ჩაილაპარაკა და შავ ფიცარს ორივე ხელი დაარტყა.

კარებმა გაიჩხაკუნა, მერე ცივი, გრძელი და გამგმირავი ღრჭიალით გაიღო.

– თქვენებმა ადიალა შემოგიგზავნეს, – ზედამხედველმა მრგვლად დახვეული მიაწოდა.

სწრაფად გამოსტაცა, მკერდში ჩაიკრა და მოფერება დაუწყო სულ ცოტა ხნის წინათ, ალბათ, შვილები და მეუღლე ასე ეფერებოდნენ ამ საბანს, რომელიც მალე მათ მრავალტანჯული ოჯახის მამას უნდა მომსახურებოდა. დიდხანს ჰქონდა მკერდში ჩახუტებული საბანი. ჯერ ასე იყო გაშტერებული, მერე სიარული დაიწყო. მიყუჩებული ფიქრები აეშალნენ და გულის ბზარში ცხელი შამფურივით გაერჭნენ. ხმამაღლა დაიკვნესა და ნარზე დაემხო.

ზურგზე იწვა, კედელზე ფეხები მიეყუდებინა და ჭერს მიშტერებოდა. რომელიღაც  აბეზარი ბუზი არ ასვენებდა. რამდენჯერმე მოიცილა ხელის აქნევით, მაგრამ გაქეზებულივით ისევ იმ ადგილზე აჯდებოდა, საიდანაც ახლახან  ესოდენ უცერემონიოდ მოიშორეს. რიგში ჩამდგარი მწარე მოგონებები კი თავის ჯერს თხოულობდნენ, ისიც გაჰყვა  მოგონებების  ჯაჭვს. რატომ აწამეს, რის გამო, რისთვის? ახლა იცის მან, რომ კარიერიზმის ქიმერას გამოკიდებული უსახო, უცხვირპირო, უიდეო, უთავმოყვარო ადამიანი ყველაზე საშიშია და, თუ ამ უბედურებას გადააჯდა, მაშინ კი უბედურებაა ერისთვისაც და ბერისთვისაც.

იცის, რომ ეს ქვეყანა დიდ-პატარა მექრთამეებით არის დასახლებული. მოსამართლე, პროკურორი, გამომძიებელი ქრთამზე რომ ჯიჯგნიან კაცს, ას იმდენს ართმევენ, რამეთუ რესპუბლიკის პარტიული ბოსის სამსახურში არიან, რომელმაც დანერგა ყოველივე ეს სიბინძურე ქვეყანაში. თუ ვინმეს მართალი სიტყვა წამოსცდება, ისეთ სიცრუის წუმპეში ამოავლებენ, ობივატელმა რომ ქოქოლა მიაყაროს, ეს რა ჩაუდენიაო. ისინიც ჩათბილნაჭუჭებულნი იქნევენ თემიდას მახვილს და ჩეხავენ, ვისაც ზემდგომი ბლენძი მიუგდებთ. მტყუანმართლის განკითხვა ჯუნგლის კანონის ხელშია, რა ეშველება ამ ქვეყანას? დაიშლება და დაინგრევა რომის იმპერიასავით. ვერ გაუძლებს პარაზიტთა ამხელა ძალადობას, თვალთმაქცობას და უსამართლობას, რომელიც გუბეში ჩაგდებულ ქვასავით ცენტრიდან აგზავნის ამ სიმუხთლეს პერიფერიებისაკენ.

ვერ იქნა ფიქრის გადაბმა, ბუზი არ ისვენებდა. თურქულ პოზაში წამომჯდარი, კუთხეს დააკვირდა, ახლაღა შენიშნა სხვადასხვა ზომის აბლაბუდათა სიმრავლე; ჭერიდან ნარის ფიცრამდე რვამდე დათვალა. ალაზნის პირას ჩამწკრივებული ოჩხები გაახსენდა. ერთხანს სავაჭრო დუქნების რიგს შეადარა ეს დიდ-პატარა აბლაბუდები, ერთმანეთისგან რაღაც კანონზომიერებით რომ იყვნენ დაცილებული. არა, დუქანი არ გამოდგება შესადარებლად, ისინი მუშტარს ელოდებიან, რომ რაიმე მიაყიდონ, ჯიბეში ხელი ჩაუყონ და, თუ მოახერხეს, კარგად, გვარიანად მოაფათურონ, მოსწოვონ ნაოფლარი, შეძლებისამებრ გაძარცვონ და მაინც ცოცხალი გაუშვან. ეს ობობები კი მონადირენი არიან, მოწყობილი ბადეებიც მათ ხელოვნებასა და დაოსტატებაზე მეტყველებს.

წამოდგა. უფრო ახლოდან დაიწყო ამ ნაგებობების დათვალიერება. კარგად გარჯილიყვნენ არაქნეს შთამომავალნი. ზოგს ისეთი მასიური ბადე მოექსოვა, რომ შიგ მცირე მტვრის ნაწილაკსაც კი გაუჭირდებოდა გაძრომა. თვითონ ოსტატს კუთხეში პატარა მრგვალი ხვრელი ამოეგვირისტებინა და შიგ იყო შემძვრალი.

– ნეტა თუ გაებმება შიგ რამე. ეს ბუზებიც სწორედ აქ არ დაფრინავენ, – სხვა აბლაბუდეებს დააკვირდა. ზოგი ობობა ისეთი პატარა იყო, წერტილის ხელაც ძლივს ჩანდა. ყველას თავისი შესაძლებლობის შესაფერისი ნაგებობა ჰ ქონდა. ერთი, ყველაზე დიდი ობობა, გაფარჩხული რვა ფეხით, გაყუჩებულიყო დაუდევრად მიბმულ-მობმულ ნაქსოვზე.

– ოჰო, აქ მრავალი რამ შეიძლება გამოიკვეთოს, მაგრამ რას ჭამენ, როცა ჯერ არაფერია გაბმული. ამათ კი ამირანის მოთმინება აქვთ, გარინდული სხედან და იცდიან, როდის გაებმება რომელიმე ყეყეჩი საკნის ფრინველთაგანი ან კი გაებმება როდისმე? – უნდა დაველხმარო, ვნახოთ, რა მოხდება.

პირველად იმ აბეზარ ბუზს გაეკიდა, თუმცა, არც სხვები იყო საძებნი. იმას ხმაზე იცნობდა, რაღაც გულისგამაწყალებელი ბზუილით დაფრინავდა. თუ დაჯდებოდა, ადგომას აღარ ფიქრობდა.

– რაღაც სტკივა ან იქნებ გადამძღარია და ხულიგნობის ხასიათზეა. ვნახოთ, რა დაუჯდება ჩემი ესოდენი შეწუხება.

ბუზი გამუდმებით დაფრინავდა, სწორედ ახლა აღარ აპირებდა დაჯდომას.

– იქნებ ეს არ არის, ცოტანი არიან? იმათში გაერეოდა, – ჩაილაპარაკა, – არა, ხმაზე ვცნობ, ნამდვილად ის არის.

დევნა გაგრძელდა. ზოგჯერ მარტო ხმა ისმოდა, ბუზი არ ჩანდა, საკანში ბევრგან მეფობდა შავი ჩრდილი. ბოლოს თვალი მოჰკრა, განათებულ ადგილას ნელა რომ გადაიფრინა და ჰაერში დაიჭირა. ახლა მისი ობობაზე გადაბარება

იყო საჭირო. ერთხანს მუჭაში შებოჭილი ეჭირა, დააბორიელა, მერე ყველაზე დიდ ობობას საბრძანებლის ქვეშ შეყო ხელი და გაუშვა. დაბნეული ბუზი ზევით აფრინდა და წაღმა-უკუღმა დაბლანდულ აბლაბუდაში გაიხლართა. რამდენიმე ძაფი გაწყვიტა, გაარღვია, მარჯვენა ფრთა გაითავისუფლა და სასოწარკვეთილად აბზუილდა; მთელმა ქსელმა ძაგძაგი დაიწყო. ობობა დაფაცურდა, ბუზს მიეჭრა, რომელიღაც ძაფი მოჭიმა და თავისუფალ ფრთაზე წამოსდო, კიდევ რამდენიმეჯერ გადაატარ-გადმოატარა და საიმედოდ დაამაგრა. ახლა ფეხები გაუკოჭა, მეორე ფრთაც შეამოწმა, დააბა. ბუზი ქინძის კონასავით შეკრა და აბლაბუდაზე გააკრა; მერე კისერთან მოეჭიდა და წუწნა დაუწყო.

– მორიგე! – ვიღაც აღრიალდა მოპირდაპირე, მესამე საკანში და რკინის კარებს მუშტები დაუშინა.

– მორიგე! – ღრიალებდა ვიღაც. ეტყობა ხელები დაებექა, ახლა ფეხები მიახმარა.

ეს ღრიალი კარგა ხანს გაგრძელდა. მორიგე შეღონდა, თავისი პოსტიდან გამოეხმაურა: – რა იყო, ფეხი დაგადგა ვინმემ? – რა გაყვირებს, შე მუტრუკო!

– გააღე კარები, ამოვიხრჩეთ. ცოტა წყალს გადავივლებთ, ამოვიხრჩვეთ ხალხი.

– ახლა თქვენთვის არა მცალია, საქმეები მაქვს! – ეტყობა, წავიდა.

– მორიგე! – ისევ ატყდა საშინელი ბრახაბრუხი. ახლა უკვე, ეტყობა, ორნი, ან სამნი ურტყამდნენ.

– რა მოგივიდათ, აიწყვიტეთ?! – ისევ მობრუნდა მორიგე.

– გამოგვიშვი, ჯო, კაცი არა ხარ?! ცოტა ფეხი გავშალოთ.

– დათვებო. თქვენ თუ აღრიალდით, რაღა დაგაწყნარებთ, გამოეთრიეთ და ისევ შამობრუნდით! – მესამე საკნის კარი ხმაურით გაიღო.

მეორე საკნის სათვალთვალოს ვიღაც მოადგა.

– მე ხომ ვთქვი, მეორეში ვაღაცა მაიყვანეს-მეთქი, – გადაულაპარაკა დანარჩენებს. – სადაური ხარ, ჯო? – ძლიერი ბოხი ხმით დაიძახა. ეს ის ხმა იყო პირველი რომ აყვირდა მორიგის გამოსაძახებლად.

– აქაური ვარ, კახელი.

– მაიცა, ერთი მეც შამახედე, ამბობენ, მათე მაიყვანესო ბაღაშვილი სიღნაღიდან, კარგად ვიცნობ, აბა, ის ხომ არ არის? – ახლა მეორემ შეიჭყიტა.

– აუ, ბიჭებო, მათე ყოფილა! – დაიღრიალა და ყველა ერთად მიაწყდა სათვალთვალოს.

– მოშორდით მაგ „კამერას!“ – აყვირდა მორიგე.

– ეგაც გამოუშვი, ბიჭო, გაიარ-გამაიაროს, – სთხოვეს.

– თქვენ რო შახვალთ, მაგას მემრე გამოვუშვებ!

– ჩვენთან ერთად რა უჭირს?!

– არ შაიძლება!

– მათე ბატონო, რაც თვითონ იჯამბაზეს, ყველაფერი შენ დაგაბრალეს, არა? – თქვა ერთმა ბოხ ხმაზე.

– მაინც რას გედავებიან, მათე ბატონო? – ახლა მეორემ იკითხა.

– აბა, რა გითხრათ, ბიჭებო, კაცს რომ შუბლის ძარღვი აქვს გაწყვეტილი, თანაც ყველაზე მაღალ სკამზე ზის, იმისგან ბოროტებისა და უსამართლობის გარდა, არაფერს უნდა მოელოდეს კაცი, – თქვა მათემ და დაუმატა: – კარიერისტი რომ იკადრებს, თანაც სულ მაღალ სკამზე მჯდომი მუხთალი, მორიელს შეშურდეს იქნებ.

– აუ, ბიჭო, რა ჯიგარდამწვარი ლაპარაკობს!

– მართალ კაცს ვალაცა თავის ცოდვების გუდურით რომ ჩაგასაფლავებს, დაგეწვება ჯიგარი, აბა, რა იქნება.

– მოსცილდით კარებს! – აყვირდა მორიგე და ყველა გარეკა იქიდან.

– იქნებ სჯობდა კიდეც, მათე ბატონო, შენი ეგეთი წამება. მაგათ გაჩათლახებულ ამქართან შენ რა გქონდა საერთო. როცა ქვეყნის სათავეში ქაჯები სხედან, წმინდანები ციხეში უნდა ისხდნენ. მაგათ კი საკუთარი გესლი დაახრჩობთ! – დაამშვიდეს ბიჭებმა და ტალანის ბოლოში მოთავსებულ ტუალეტისკენ გასწიეს.

დიდმა ობობამ უკვე მესამე ბუზი გამოსუტა. ახლა გვერდებში ციცინათელა აღარ გასდიოდა, გატიკული სხეული დიდ, რუხ წვეთად ექცა. დამძიმდა, მოუქნელი გახდა. მათემ ახლა მის ზევით მოთავსებულ პატარა ობობას მიუგდო ნახევრად მკვდარი ბუზი, რა მოქნილი და სწრაფი იყო ეს თვალით ძლივს შესამჩნევი არსება. ბუზი როგორც კი მის ბუდეში გატოკდა, მაშინვე ეცა მასზე, ალბათ, ათჯერ უფრო დიდს და ფეხები საიმედოდ შეუბოჭა. კარგად დაოსტატებული ნალბანდივით მუშაობდა. ისე გაკოჭა, ბუზი მთლად ჯანმაგარი რომ ყოფილიყო, ვეღარ გაეშვებოდა. ის იყო, საქმეს მორჩა და ახლა გამოწუწნას უნდა შესდგომოდა, რომ დიდი ობობა, რომელიც ზანტად დაათრევდა გამძღარ სხეულს, თავს დაესხა. პატარამ ნანადირევი სასწრაფოდ მიატოვა და კუთხეში შეიმალა. დიდი ობობა დინჯად მუშაობდა, ბუზი საიმედოდ დააბა, ზოგი მოხსნა, ზოგი ახლიდან შეაბა და თავის საბრძანებელში შეათრია; მერე დაამაგრა და წუწნა დაუწყო.

– მოძალადე, ყაჩაღი! – ჩაილაპარაკა მათემ და ახალ ბუზს გამოეკიდა. მალე ამ პატარა ობობას ბადეში კიდევ გაფართხალდა ბუზი. პატარამ სწრაფად შეკოჭა და წუწნა დაუწყო. დიდმა ერთხანს უშვა ხელი თავის ნადავლს, მეორე ბუზის წართმევაც დააპირა, მაგრამ ეტყობა, დაეზარა, ისევ თავის მსუქან ნადავლს მიუბრუნდა.

დღის ბოლომდე დიდმა ობობამ ხუთი ბუზი გამოწოვა. დანარჩენებსაც შეხვდათ თითოოროლა. საქმიანი გაწამაწია იყო ამ კუთხეში. გამძღარი ობობები ისეთი აქტივობით აღარ იწევდნენ აბლაბუდაში მოხვედრილ ბუზებისკენ გასაკოჭად.

მათემ მთელს საკანში დაუწყო ბუზებს დევნა. ახლა ნახა, რომ დანარჩენ სამ კუთხეშიც ისეთივე აბლაბუდები იყო; ასპარეზი გაფართოვდა. მოქნილი და მარდი ობობები უნდილ ბუზებს ისე აქამანდებდნენ, როგორც ვეშაპზე მონადირენი დონდლო და მფრთხალ ნამდვილ ვეშაპებს.

საკანში ბუზი აღარ დარჩა. ახლა მათი ჩონჩხები აბლაბუდებზე ქანაობდნენ. მათე ნარზე იწვა და ერთ კუთხეს მისჩერებოდა. ბუზები სასტიკად დაისაჯნენ. მაინც რა დააშავეს ამის ფასი? დაბზუოდნენ, ზედ ასხდებოდნენ და აწუხებდნენ. მან კი სიკვდილი არ იკმარა, საშინელი წამებით ამოართმევინა ობობებს სული. განაწყენდა და მათი სასჯელიც თავის გასართობად მოიგონა. ძლიერი იყო და იმიტომ, უფრო სუსტს, ვთქვათ, ჭიანჭველას შეეძლო ასე დაესაჯა ბუზები? თუმცა, რომ შეძლებოდა სულ ნაწილ-ნაწილ დაგლეჯდა და წაიღებდა თავის ბუდეში. მოკლედ, ძლიერი მართალია ყოველთვის და იქამდის ივლის დაუსჯელად, სანამ მასზე ძლიერის ბრჭყალებში არ მოექცევა, ან ისე არ დაკნინდება, რომ ყოფილი სუსტის ლუკმა გახდეს. როგორც ყველგან, საკანშიც რაღაც ჯუნგლის კანონის მსგავსი უხეში ძალა ბატონობს.

– მორიგე! – ისევ აყვირდნენ და დაუშინეს მუშტები კარებს მესამე საკნელებმა. დიდი დავიდარაბის შემდეგ ისევ გაუხსნეს კარები.

– როგორ ხარ, მათე, ბატონო? – ჯერ მის სამზირს მიადგნენ.

– ვცოცხლობ, ბიჭებო.

– გამოუშვი, შე ოხერო, კაცი არა ხარ?! – ახლა ერთხმად აუყვირდნენ მორიგეს.

– თქვენ თქვენს თავს მიხედეთ, თორე შეგაბრუნებთ უკან! – დაემუქრათ.

– შენცა ხარ რაღა! – შეუღრინეს მესამე საკნელებმა.

– რომელი საათი იქნება, ბიჭებო? – იკითხა მათემ.

– რომელი საათია, ჯო? – იმათ მორიგეს ჰკითხეს.

– შვიდი იქნება.

– ჰოდა გამოუშვი, შე ვირიშვილო, კაცი არა ხარ?! – შეუტია ბოხხმიანმა.

– თქვენ რომ შეხვალთ, მერე გამოვუშვებ აუცილებლად, – თქვა მორიგემ.

– შენ არც წეღან გამოუშვი, იცოდე.

– წეღან არ მეცალა. მიდით, შეაყოლეთ, ბევრი დრო არა მაქვს, იცოდეთ!

ბიჭები ხმაურით შევიდნენ მესამე საკანში.

– საღამოთი გაივლი? – სამზერიდან იკითხა მორიგემ.

– გავივლი, – მიიღო პასუხი.

კარებმა ჩვეული რახუნი ატეხა და როგორც იყო გაიღო.

მათემ საპონი და პირსაწმენდი აიღო, ტალანში გავიდა. ბოლოში სამმაგ გისოსებში მოტანებულ რაფაზე კატა იყო წამოწოლილი.

– ფისო, ფისო! – მოეფერა. იმან არ იუცხოვა.

გისოსებში ხელი შეყო და თავზე გადაუსვა. კატამ სიამოვნებისგან კრუტუნი დაიწყო და ხელზე მიეგლისა. დიდხანს ეფერებოდა. კატა გამხდარი ეჩვენა. დილანდელი შეუჭმელი პატარა ყველის ნაჭერი გაახსენდა და საკანში შებრუნდა, გამოიტანა, შეაჭამა და დროებით გამოეთხოვა.

ხელ-პირი დაიბანა, გაგრილდა, სასწრაფოდ უკან გამობრუნდა, მაგრამ ფანჯრის რაფაზე კატა აღარ დახვდა, გული დასწყდა. ნელი ნაბიჯით გაემართა უკან. საკანში შევიდა თუ არა, კუდაპრეხილი კატა ფეხებში გაებლანდა და ნებივრად დაიკნავლა.

კარები ჯახუნით დაიკეტა. მათემ თავისი საკვები მარაგი დაათვალიერა, კატას პური მიუგდო. მან დასუნა, კუდი აიპრიხა და ისევ ფეხზე მიეგლისა.

– ვახშამი დამიწუნა, – ჩაილაპარაკა. ახლა დაღეჭილი პური მიუგდო, კატამ სიამოვნებით მიირთვა.

– თურმე რაში ყოფილა საქმე, – იქამდე ღეჭავდა და აჭმევდა, სანამ კატამ გაძღომის ნიშნად ნახევარი შეუჭმელი არ დაუტოვა...

... ახლა სასამართლოზე ზის. შემოღობილს ორივე მხრიდან მილიციელები იცავენ. იქით, პირველ რიგში, სხედან ჭაღარა მეუღლე და შვილები, იქვე მთლად ძვალ-ტყავად ქცეული დედა ზის, სიარულს რომ ვერ ახერხებდა. დარბაზიდან მრავალი ნაცნობი სახე თანაგრძნობით მისჩერებია.

ბრალდება, რომლითაც რესპუბლიკის პარტიულმა ბოსმა სოც. გმირის წოდება მიიღო და შური კი იძია ყველა მართლის მთქმელ, პატიოსან კაცზე, სწორედ იმაზე, ვინც თვალთმაქცობას, მიწერას და მისგან სამამაძაღლოდ გამოგზავნილ მდივანს მედგრად დახვდა.

ბრალდება, – მათე ავალებდა ღვინის ქარხანაში შაქრის შეტანას. მოწმედ ერთი კოლმეურნეობის თავმჯდომარე ჰყავთ.

– გვავალებდა კი არა, ეს იყო შაქრის შეტანის წინააღმდეგი, – ამბობს მოწმე, რომელსაც ადრე ჩვენება მუქარით და შანტაჟით დააწერინეს.

– წინააღმდეგი იყო და იმიტომაც გაუმრუდეს ბედის დედაბოძი, – სიცილით თქვა დარბაზიდან ვიღაცამ. გულშემატკივრების გარდა გურჯაანელებიც არიან დარბაზში.

– გურჯაანში ვიღა ავალებდა, გურჯაანში! – ვიღაცამ დაიძახა.

– გურჯაანში რად გინდა, მთელს საქართველოში დაიშაქრა ყურძნის დამზადების გეგმა. რა ძალიან გაჰკვირვებიათ?

– ვინ არის, კაცო, ყველგან მაგის დავალებით რომ შაუტანიათ შაქარი? – იკითხა ვიღაც გულუბრყვილომ.

– სიღნაღში უმუშავია ჯერ კომკავშირის მდივნად, მემრე ალმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ყოფილა. ძალიან მართალ და მაგარ ბიჭს ამბობენ. თურმე ეგ უშლიდათ ხელს მიწერის ოინბაზობაში. დაშაქვრის წინააღმდეგი ყოფილა და აკი აჰკიდეს მთელი რესპუბლიკის ცოდვა.

– რა ძალა ადგა, მაგასაც ექნია თავი და ექიცინებინა კუდი, რაზე გააშხამებინა ოჯახი.

– შაქრის შეტანა რაზე უნდა დაევალებინა, მედალს მაგას ხომ არ ჩამოჰკიდებდნენ.

– ვინც მედალი ჩამოიკიდა, გადაბრალებაც მაგარი სცოდნია, ცოტა მაინც მიემსგავსებინა იმ ცოდვებით გატენილს!

– გაჩუმდით, ნუ ხმაურობთ, თორე გაგიყვანთ დარბაზიდან! – დაიმუქრა მოსამართლე.

– აღარა გრცხვენიათ?! იქ, ზევით დაავალეს თუ რაც იყო, ხომ გაკეთდა, როგორც უნდოდათ, ვინ ედავებათ. ამ პატიოსან კაცს რაღაზე დაუბალღამეს სიცოცხლე, თანაც რას აბრალებენ, კაცო!!!

– უყურეთ, კაცო, ერთი ცრუ მოწმე და ორ წელზე მეტი კგბ-ში გამოუკეტიათ!

– ან მოწმე რაში სჭირდებათ, რასაც უნდათ იმას დააბრალებენ არასასურველ კაცს, თუნდა ანგელოზი იყოს; ეტყობა, ზევიდან ვიღაცა ანგარიშს უსწორებს.

დარბაზი ხარხარებს. მოსამართლე გაოგნებული ზის, მოწმე თავისას ამბობს. ხალხს ჰგონია, მოსამართლე სიმართლის მსახურია და მათეს აქედანვე გაუშვებს. არ იციან, რა უსამართლობის და ძალადობის ქვეყანაში ცხოვრობენ. რამდენიც უნდა ილაპარაკონ, განაჩენი ზევით, ყველაზე მაღალი სკამის მფლობელის მიერ არის გამოტანილი. იქ კი ადამიანთა მოდგმის სირცხვილი ზის. მათე ახლა ხვდება, რამხელაზე საშიშია პარტიული ხელმძღვანელის ყველაზე მაღალ სკამზე ისეთი ადამიანის მოხვედრა, თავისი კარიერისტული ამბიციებისთვის ყველაფრის კადრება რომ შეუძლია. იმხელა ძალაუფლებაა მის ხელში თავმოყრილი, ქვეყანა ერთ მთლიან ხორცის საკეპად რომ აქციოს, სიტყვის თქმას ვერავინ შებედავს. სწორედ ამიტომ იყო საჭირო დიდი სიფრთხილე, რომ იქ ქვეწარმავალი არ გამძვრალიყო. ცოდვილმა გამომძიებლებმა კი ისეთი საქმე შეთითხნეს, თვითონაც ეცინებათ, მაგრამ იმ ძალის სჯერათ, რომლის წინაშე სიცრუე სიმართლედ საღდება.

– ნეტა რას ხმაურობს ეს ხალხი? – ფიქრობს მოსამართლე და აღარ ცდილობს მათ გაჩუმებას. საქმის გაცნობაც არ სჭირდება. დავალება მიიღო, რამდენი უნდა მიუსაჯონ. ან რა საჭირო იყო სასამართლო პროცესი, რისთვის წუხდებიან ნეტავი, საწყალ მათეს მეუღლეს უხარია, სიმართლე დასტურდება

და აქედანვე გაუშვებენო შინ. ხალხი ფეხზე დგება. ეს კაცი მართალი ყოფილა, რა ტყუილად უწამებიათო. ყველას ჰგონია, მათეს აქედანვე გაუშვებენ. მარტო მოსამართლემ იცის, რომ ეს მიეთ-მოეთი ვერაფრით ვერ შეცვლის სიტუაციას, შეიძლება მთავარი მოსამართლე ამით უფრო გააბრაზონ და მათეს უფრო მძიმე განაჩენი გამოუტანოს. ვინ მკითხავს მე. დღეს რომ გავგიჟდე და სიმართლის განაჩენი გამოვიტანო, მათე დამსახურებულად გავუშვა თავის ცოლ-შვილში, ხვალ მეც და მათესაც ისეთ ჯურღმულში შეგვაგდებენ, იქიდან გამოსვლა არავის რომ არ უწერია.

რა ქნას მოსამართლემ, ისიც ხომ ადამიანია, მასაც ხომ ჰყავს ცოლ-შვილი. მათესავით რომ იყოს, იტყოდა სიმართლეს და დაეჭერინებოდა კიდეც თავის ცოლ-შვილის საუბედუროდ. რა უნდოდა მათეს, ექნია მლიქვნელის კუდი და ეცხოვრა თბილ ნაჭუჭში შემძვრალს, რაზე აიწიოკა ცოლ-შვილი. არა, მოსამართლეს ამის რისკი არა აქვს. ის პარტიის ბოსების რეკომენდაციით ზის მოსამართლედ და ასრულებს კიდეც მათ დავალებებს. იმიტომაც არის წყნარად, რომ მასაც აქვს მორჩილი კაცის მსუქანი ლუკმა. ასეა ყველა, ვისაც ამ ქვეყნად არსებობა კუჭის კარნახით გადაუწყვეტია.

მათე რომ გაამართლონ, მაშინ ხომ ის უნდა დაიჭირონ, ვინც ესოდენ აწამა. მაგრამ ვინ აწამა? გამომძიებელმა? პროკურორმა? თუ ციხის მუშაკებმა? არც ერთმა. ისინი მხოლოდ შემსრულებლები არიან იმ დიდი პოსტის მფლობელის ხელში, რომელსაც განგებამ უკუღმა ჩაუდგა ტვინი თავში. ეშმაკიც ღმერთმა სიკეთისთვის შექმნა, მაგრამ უკუღმართმა ტვინმა ადამიანებს მხოლოდ ვნება მოუტანა. ის, მაღალი პოსტის მფლობელი არაკაციც თავისი ცოდვების შესანიღბად და დიდი მუხთლობის პატიოსან კაცზე გადაბრალებად ბლანდავს ამ საქმეს და ხალხმა რამდენიც გინდა იბჟუტუროს სიმართლეზე, არავინ მოუსმენს, ამით მათეს უფრო ურთულებენ საქმეს; გაბრაზებული ბოსი მოაშთობინებს მათეს, ხოლო ამ ქვეყნის უკუღმართობას, რაც სწორედ მისი ხელით მრუდდება, სულ მას დააბრალებს, ანდა დაბრალება რაში სჭირდება, დაუბრალებლად ვინ ედავება. იმდენ ადამიანს ჩაუქრო სიცოცხლის და ოჯახის სანთელი, ვითომდა კომუნისტური იდეების ერთგულმა, რომ მისგან გასაკვირი არ არის არავითარი სიბილწე. მოსპობს და დანაყავს მთელს საქართველოს, თავის კარიერისტული მიზნებისთვის მალამოდ მოსაცხობად. მას ვერაფერს შებედავენ, მაღალ სკამზე ზის და კანონის სადავეებიც მაგრად უპყრია ხელში. მოსამართლეც ხომ მარიონეტია. მისი ყოველი სიტყვა, ხელის მოძრაობა და თუნდაც თვალის დახამხამება საიდანღაც უხილავი ძაფებით მოუდის მოძრაობაში; ტვინიც ხომ რობოტივით დაპროგრამებული აქვს. იგი სულაც არ უგდებს ყურს, რა ხდება დარბაზში. იმაზე ფიქრობს, მიღებული დავალება როგორ შეასრულოს. ყველაფერი ყირაზე დადგა, მოწმე მათეს ამართლებს. თვითონაც იცის, რომ ბრალდება მკვდრად შობილია, თვითონ ღაღადებს თავის არარაობაზე. მოსამართლეს თემიდას ნიღაბი აქვს აფარებული, მის იქით ქონდრის კაცი, ლილიპუტი და პიგმეია; მას მხოლოდ ერთი მიზანი ამოძრავებს, კარგად ემსახუროს ქვეყნის და ერის მოღალატე თავკაცს, ზუსტად შეასრულოს ძალადობის ნაბოდვარი და ამით ერთგული ძაღლის ლუკმა მოიპოვოს, დიდხანს შერჩეს ამ პოსტს, და პარტიული ბოსის მხარდაჭერით როგორც უნდა, ისე ფცქვნას კანონი.

მათე სხვა ჯურის დამნაშავეა. მან უნდა დაიბრალოს ის, რაც რესპუბლიკის ხელმძღვანელისგან კეთდებოდა მისთვის გმირის მედლის მოსანადირებლად. მათე უნდა შეიმოსოს დამნაშავის შავი სამოსით, პარტიულმა კარიერისტმა კი

ანგელოზის ფრთებით აბითუროს მორჩილი მრევლი. ერთი რაიონის რიგითმა ხელმძღვანელმა  დააშაქვრინა მთელი საქართველოს ყურძნის გეგმა კარიერისტი ცეკას პირველი მდივნის გასაგმირებლად და თავისთვის სიცოცხლის დღეთა დასაბალღამებლად. მოსამართლე კომუნისტია და ემსახურება პარტიას, ეს ხალხის გასაბითურებლად სჭირდებათ, თორემ სად არის პარტია, ან ვინ ჰკითხავს კომუნისტებს, ერთი კაცია პარტიის სახელით რომ რყვნის პარტიის სახელს, სწორედ ის კაცი ატალახებს პარტიის საქმიანობას. დრაკონი უზის სულში, არცხვენს პარტიას და მისი სახელით ნადირობს პატიოსნებაზე.

სასამართლო გადაიდო. არ ეგონათ საქმე ასე თუ გართულდებოდა. როგორ გაბედა მოწმემ ცრუ ჩვენების უარყოფა. ახლა მას ემუქრებიან, შეუსრულებენ კიდეც; იცის მათემ ეშმაკეულთა შესაძლებლობა. ტირილით გამოემშვიდობნენ მთლად დამღნარი დედა და ცოლ-შვილი.

ისევ საკანში მიაბრუნეს. მთელი კვირა აღარ გაგრძელებულა სასამართლო პროცესი. ემუქრებიან, აშინებენ, ნერვიულობენ ძლიერნი ამა ქვეყნისანი. აბა, თვითონ ხომ არ აღიარებენ ყურძნის გეგმის დაშაქვრას. თუ თავს დამნაშავედ არ სცნობს, სხვა უარეს ცილისწამებას შეუთითხნიან და ისე დასჯიან, როგორც შეუძლია უნამუსობას, რომლის ხელში ძალა და სამართალია.

მეუღლე და ბავშვები შეახვედრეს. ტიროდა საწყალი. მძიმე დაავადებას არ ამჟღავნებდა, მაგრამ აშკარად ეტყობოდა მძიმე სენის  ბრჭყალებში რომ იყო. ეხვეწებოდა; დაიბრალე რასაც გაბრალებენ, ქვეყანამ ხომ იცის, მართალი რომ ხარ. იქნებ დაგვიბრუნდე, სხვას ყველას თავში ქვა უხლია, ქვეყანას შენ ვერ გაასწორებ, მოგსპობენ და გამკითხავი არავინ იქნება, ბავშვები მთლად უპატრონოდ დაგვირჩებიან. ხომ ნახე და დარწმუნდი, რა დრაკონის ხელში ხარ. ორ წელზე მეტია, მზე არ დაგანახეს, ვერაფერს გააწყობ, როცა ძალა და უსამართლობა ქვეყნის მოღალატე კაცის ხელშიაო...

დაუძახე დათვს ბაბაიაო, ურჩევდნენ. მოერია დათვი და იძულებულია ბაბაია დაუძახოს...

საკანში ყველა აბლაბუდა ბუზების ჩონჩხებით სავსეა. ობობები ისე გაბერილან, კანში ველარ ეტევიან. არც ერთი ბუზი აღარ დარჩა. თუ არა მათე, ალბათ, ერთი ბუზიც არ ექნებოდათ გამოსუტული. მისმა ამ საკანში შემოსვლამ საშინელი ტრაგედია დაატრიალა, დაარღვია ბიოლოგიური წონასწორობა. წამოხტა, ხელი აღმართა აბლაბუდების ჩამოსაწეწად. – შეჩერდი! – უბრძანა  ტვინის რომელიღაც უჯრედმა. – ერთ ცოდვას ახლა სხვა უარესი არ მიუმატო, შეეშვი, რაც იყო, იყო, აქ ცხოვრება ისევ ჩვეულებრივ აეწყობა. ეს ქარაფშუტა ობობები ამიერიდან მხოლოდ იმდენს მიიღებენ, რამდენსაც ბუნება გაიმეტებს მათთვის. არ იყო შენი საქმე მაგათ ყოფა-ცხოვრებაში შეჭრა, ნახე, რას დაემსგავსნენ, გასივდნენ, ასე რომ გაგრძელდეს, მაგათი მოდგმა, ალბათ, სულ გადაშენდება; აბლაბუდის ქსოვას გადაეჩვივნენ და ბუზებს შემწვარს მოითხოვენ, ტაფაზე დადებულს, ყოველთვის ხომ არ ეყოლებათ შენისთანა მეურვე. –  მათემ ხელი დაუშვა და ნარზე დაჯდა.

– მორიგე, ცოტა ხანს გამოგვიშვი! – ღრიალებდნენ მესამე საკანში.

– მათე ბატონო, გული არ გაიტეხო, მაგრად იყავ! ჩვენზე უკეთ მოგეხსენება, რომ სიმართლე და სიკეთე მხოლოდ ზღაპრებში  იმარჯვებს, უსამართლობის და ბოროტების ხელშია ამ ქვეყნის სინამდვილე! – იხმაურეს, მორიგესთან იჯაჯღანეს, გულის ბოღმა ამოიღეს, ბოლოს ისევ ხმაურით შელაგდნენ თავიანთ საკანში.

ახლა მათე გამოუშვეს. სატუსაღოს კატა მძიმე გისოსებიან სარკმელზე იწვა.

— ფისო, ფისო! — დაუძახა მათემ. კატას ზედაც არ შეუხედია, ვიღაცას ძალზე გამოეძღო; ახლა რაღაში სჭირდებოდა მათეს მშიერი მოფერება...

მოსამართლე განაჩენს კითხულობდა. კმაყოფილი იყო. მათეს ხმა არ ამოუღია, მთელი დღე ჩუმად იჯდა. მძიმედ დაავადებული მეუღლის ხვეწნამ და მოძალადეთა ცილისწამების წინააღმდეგ ფართხალის უაზრობამ დაამუნჯა. შეგჭამენ, მათე, არაკაცთა ხელში რომ ხარ, ნუთუ აქამდე ვერ მიხვდი? შენ მოგსპობენ და მერე, როცა ამღენ სისხლიან ხელმძღვანელს სხვა შეცვლის, შეიძლება გაგამართლონ კიდეც, მაგრამ რას გიშველის ან შენ, ან შენს დაქცეულ ოჯახს. დაიბრალე, რაც უნდათ. თქვი, რომ მთელს საქართველოს ღვინის ქარხნებში შაქარი შენ შეატანინე. თუ უნდათ, კენედის ან იულიუს კეისრის მოკვლას დაგაბრალებენ, ან დაბეჩავებულ ბრბოს კიდევ ქვას ასროლინებენ, ეს რა ბოროტება ჩაუდენია, კეისარი მოუკლავსო. ნურავის იმედი ნუ გექნება, სანამ ხალხი არ გამოფხიზლდება და ერთიანად არ ამოაშხამებს, რაც ბოროტებით დაიტკბეს ეგოისტი სული...

მთელი დარბაზი ფეხზე იდგა. ფეხზე იდგა მათეც და უყურებდა ადამიანს, თემიდას მახვილი რომ ეპყრა ხელში. ადამიანი იყო გარეგნულად, სინამდვილეში კი კომპარტიის ცეკას მუხთალი მდივნის — თოჯინა. მახვილსაც ის იქნევდა მოსამართლის ხელით. ხალხი დუმდა, მას მხოლოდ უხეში და დაუნდობელი ძალა ამუნჯებდა...

## კოლონიაში

**მათე** ბარაკში საწოლზე თვალებდახუჭული გულაღმა იწვა, ფიქრების ლაბირინთში გახლართულიყო. ცხვირის ნესტოებში რაღაც მწარე სუნი უძვრებოდა. მყრალ ზეთში თევზს წვავდნენ. ვერ დაიძინა. მწველი ჰაერი ზედამხედველივით დაძვრებოდა, შიგნეულს უქოთებდა. ვიღაცა ელემენტებიან რადიოს აღრიალებდა, ამით თავის უპირატესობას ხაზს უსვამდა; შემოწმებისას რომ არ წაერთვათ, ორმოცდაათ მანეთს იხდიდა, მათეს მეზობელივით ღილაკიან დანას რომ დაათრევდა, დანა კი არა, გვადი ბიგვას ხანჯალივით იყო. ესეც იხდიდა ამ იარაღის ტარებისთვის ყოველთვიურად ასმანეთიან ხარკს. შრომაგასწორების კოლონია ერქვა, თორემ ქვეყნის ერთად შეყრილ ყველა სიბინძურეში უსამართლობით ნაგვემ ადამიანთა სატანჯველი იყო.

„ბრალიანი კაცი ყველაფერს აიტანს, რაც უნდა სატანჯველი იყოს, ვაი იმას, ვინც უბრალოა“, — ილია ჭავჭავაძის ნათქვამი გაახსენდა მათეს.

ფანჯარაზე ვიღაცამ ძალუმად დააკაკუნა, ზედამხედველი იყო.

— რა გინდა?! — შეუღრინა.

— შენთან არ მაქვს საქმე! — მანაც შემოუღრინა.

ორჯერ კიდევ დააკაკუნა და ერთმა მიაკითხა, ყომარის მოთამაშეა.

— ჩემი წილი მომეცით, ცვლას ვამთავრებ, — მოითხოვა ზედამხედველმა.

— ჯერ არ დაგვიმთავრებია, ვაგებ, — იყო პასუხი.

— ვინც იგებს, იმან მომცეს.

— როცა მოვრჩებით, შენსას მიიღებ, — დააწყნარა და ისიც წავიდა.

ბარაკში ოთხ ადგილას გახურებული ზარის თამაში იყო. ზედამხედველს თავისი წილი ჰქონდა, ქურდს — თავისი. ეს უბედურები კი ხან იგებდნენ, ხან აგებდნენ, ბოლოს გაფცქვნილები რჩებოდნენ, თუ ფუმფლოდ ჩავარდნილები

თავს არ მოიკლავდნენ, ან პედერასტების ბარაკში ამოყოფებდნენ თავს.

როგორც იყო ჩასთვლიმა. ვიღაცამ დაუსტვინა. ბარაკში სტვენა ატყდა. ღამის დათვლა დაიწყო. მოთამაშეები დროებით დაიშალნენ. ვაი-ვაგლახით დათვალეს. კოლონიაში ერეკებოდნენ ზედამხედველად თუ სხვა თანამდებობაზე ყველა ჯურის დეფექტურს და მილიციაში გამოწუნებულს. ამ მრუდთა ხელში იყო შრომა-გამასწორებელი ღონისძიებები. ძალიან ძნელია შეთითხნილი ბრალდებით, ვიღაც არამზადის გულის მოსაგებად, ამ ჯოჯოხეთის სიბინძურეში ფართხალი, ნამდვილი დამნაშავე და საზარელი ცოდვების მტვირთველი რომ გარეთ დაბრძანდება და მართალი კაცის ნიღაბში შემძვრალი სატანის ფარული ღიმილით ნიშნს გიგებს და დაგცინის.

რატომ ხდება ეს საშინელება? აშკარაა, პარტიის ხელმძღვანელ პოსტებზე გაძვრნენ იმ იდეის მაგინებლები, რასაც ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვა, კანონიერება და სამართლიანობა ჰქვია. განა შეიძლება ხალხის წინაშე საჯაროდ სიკეთეზე იფიცებოდე, გულში კიდევ მუხთლობა, ღვარძლი, სიძულვილი და საერთო საქმის ღალატი გიფუთფუთებდეს?

მათე ახლა უკვე მთელი სიცხადით გრძნობდა, რამხელა მუხთლობის თესლი იყო ჩადებული ამ ქვეყნის სათავეში. პირადი კარიერისტული ამბიციების დასაპურებლად არასასურველ პირთა ყოველგვარი საშუალებით მოცილება. როდის და რატომ დაიწყო ყოველივე ეს? საშინელებაა, როცა კარიერის ბაცილით დაავადებული ქვეყნის პირველი კაცი ხალხის მტრობის და ღალატის ბილიკზე შედგება. რა ბედნიერება ყოფილა, როცა ხელმძღვანელს თავისი ხალხი უყვარს და კარიერისტული ამბიციები არ აწუხებს. ასე ყოფილა მუდამ, სანამ ბალღამის გემოს არ იგემებ, თაფლის სიტკბოზე წარმოდგენა ვერ შეგექმნება. და, აჰა, პარტიის ყოფილი ცეკას პირველი მდივანი ვასილ მჟავანაძე დასმენით, მოსკოვში მაღალი თანამდებობის პირთა მოსყიდვით მოიცილეს და აირია კიდეც ცხოვრება. ყოველივე კი ვითომ სოციალისტური კანონიერების დაცვის ლოზუნგის ფრიალით დაიწყო. კარიერისტულ ამბიციებს ეწირებოდა საქართველოს და ქართველი ერის კეთილდღეობა. იმ დროს უამრავი ადამიანის ცხოვრება სამუდამოდ მოიწამლა.

მათე კოლონიაში რომ მიიყვანეს, პატიმრის ტანსაცმლის მიღებისას, საწყობში პატარა ტანის, გამხდარი, ასაკოვანი კაცი დახვდა. მაშინ ის კოლონიის ადმინისტრაციის თანამშრომელი ეგონა, შავი ხალათი ეცვა მარცხენა მხარეს რაღაც წარწერით; მაშინ ვერ ერკვეოდა, ეს რას ნიშნავდა.

– ვერ მიცანი? – შეეკითხა ის კაცი.

– ვერ გამიხსენებიხარ,– უხერხულობის განცდით უპასუხა მათემ.

– მე დიმიტრი ჭანუყვაძე ვარ, ფინანსთა სამინისტროს სარევიზიო სამსახურის უფროსი, – თვალცრემლიანმა შეახსენა.

მათე ადრე იცნობდა ამ კაცს. ისე იყო შეცვლილი, დაკნინებულ-დაჩიავებული, წარსულის აჩრდილიც აღარ ეთქმოდა. მათეს გადაეხვია, თავი მკერდზე მიადო და აქვითინდა.

– შენც პატიმარი ხარ? – გულუბრყვილოდ შეეკითხა მათე.

– პატიმარი ვარ. თხუთმეტი წელი მაქვს მოსჯილი, შემდეგ კი ხუთი წელი – გადასახლება. სასაცილოა არა? ჩემი ასაკის კაცი რამდენი წელი იცოცხლებს?!

მათემ იცოდა, ფინანსთა სამინისტროში რა ჯოჯოხეთის ქარბორბალა დატრიალდა. ამის შესახებ პატიმრებში საკმაოდ ზუსტი ინფორმაცია არსებობდა. მინისტრი ფარნაოზ ანანიაშვილი ცნობილი იყო პრინციპულობით, სიმართლის

თამამად თქმით, თავისი საქმის ბრწყინვალე ცოდნით და საკავშირო ხელისუფლებაში დიდი ავტორიტეტით; უკომპრომისო მებრძოლი ყველა იმ მანკიერებათა წინააღმდეგ, რაც უშუალოდ შევარდნაძის წაქეზებით იფურჩქნებოდა.

საქართველოს ხელისუფლებას სანატრელი რომ ჰქონდა კოლმეურნეობისთვის ხუთი მილიონი კრედიტის ჩამოწერა, ფარნაოზ ანანიაშვილმა შეძლო ას ხუთი მილიონი კრედიტის ჩამოწერისთვის მიეღწია. სულაც არ გახარებია ეს ედუარდ ამბროსევიჩს. კარიერისტის ავადმყოფური ეჭვით სძულდა ყველა, ვისაც მოსკოვში ესოდენ მნიშვნელოვანი სიმპათიებით ხვდებოდნენ. ახლა საკავშირო ფინანსთა მინისტრის თხოვნამ გააღიზიანა, ანანიაშვილი ჩემს მოადგილედ მინდაო. სასწრაფოდ უპასუხა: ანანიაშვილი კატეგორიული წინააღმდეგიაო; მან კი ამის შესახებ არაფერი იცოდა. ხუმრობა საქმე ხომ არ არის ასეთი განათლებული და ენერგიული ქართველის მოსკოვში დაწინაურება? ხომ შეიძლებოდა საქართველოში მაღალ პოსტზე მისი გამოყენება საჭირო გამხდარიყო. როცა ადამიანს სატანა ჰყავს დაპატრონებული, მის სახეზე აფარებულ უცოდველობის ნიღაბს იქით საზარელ ავკაცობის მანჭვას იხილავთ მხოლოდ.

პარტიულ ბოსისთვის საძულველ პირთაგანი იყო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზურაბ პატარიძე – ქვეყნის კეთილდღეობისთვის თავდაუზოგავად მებრძოლი, ხალხის სიყვარული შარავანდედივით რომ ამშვენებდა. შევარდნაძის მიერ საქართველოში აგორებულ მექრთამეობას, მიწერებს, სიყალბეს და ყოველგვარ უზნეობას პატიოსანი კაცის შეუპოვრობით ებრძოდა; სწორედ ის იყო ამ უკუღმართი კარიერისტისთვის ყველაზე დიდი ბარიერი.

იმ დროს, როცა ღვინის ქარხნებში შევარდნაძის მითითებით ფალსიფიკაციის სასწაულებს ახდენდნენ და სასტიკად იყო აკრძალული ღვინის ქარხნების შემოწმება, პატარიძის დავალებით ყვარლის ღვინის ქარხანაში დაინიშნა რევიზია. მისივე ოფიციალური მოთხოვნის საფუძველზე შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებაში გადაეცნენ რევიზორები. ამით დაირღვა მეღვინეობაში დამკვიდრებული ფალსიფიკაციის ჰარმონია; თანაც ეს ზურაბ პატარიძის სახელთან იყო დაკავშირებული, რამაც სასტიკად შეაშფოთა დანაშაულობათა წინააღმდეგ მებრძოლის ნიღაბაფარებული ედუარდი. პატარიძის და ანანიაშვილის ხსენებაც კი მოსვენებას უკარგავდა მას. მოიწვია ცეკას ბიურო და დაავალა ანანიაშვილს, რომ გამოეყო რევიზორები ყვარლის ღვინის ქარხნის შესამოწმებლად. პასუხად მიიღო: ამ საკითხზე რევიზორები უკვე გამოყოფილი არიან და საქმე თითქმის დამთავრებულიაო.

გაბრაზდა ედუარდი. დანაშაულის გამოვლინება პატარიძის კი არა, მისი ინიციატივით უნდა მომხდარიყო. ფარნაოზ ანანიაშვილის პრინციპულობა ედუარდს საშინლად აღიზიანებდა, რაც ბრალდებად და ცინიზმით შენელებულ განაჩენად უქცია. ანანიაშვილს კი ეგონა, წრეგადასულ სიყალბეს და ქვეყნის დამაქცევართა თარეშს შევაჩერებო, საპასუხოდ თავისი მოღვაწეობის საათი შეაჩერა. მისი მოცილება ციხის გზით გადაწყდა.

ზურაბ პატარიძის ამგვარი მეთოდით მოცილება არ მოხერხდებოდა, კახეთიდან ღამით მანქანით მომავალს გზაზე ტრაილერი გადაეხარიხა... სასტიკად „შეშფოთებულმა“ შევარდნაძემ მძიმედ დაშავებულ პატარიძესთან თბილისელი ექიმები არ მიუშვა, მოსკოვიდან გამოვიძახეო პროფესორები; ამასობაში პატარიძე გარდაიცვალა.

გამწარებულმა პატარიძის მეუღლემ დაკრძალვაზე მიაძახა:

– შე მკვლელო, აქ რა გინდაო!

ამ ავარიის მოწმე და დაზარალებული მთავარმომარაგების უფროსი ბუჭა ბუაჩიძე ჩეხოსლოვაკიაში სამკურნალოდ გააგზავნეს. თვითმფრინავის ტრაპზე რომ ჩამოდიოდა, მაშინ გარდაიცვალა და ცელოფანის პარკში გახვეული ჩამოასვენეს. რა უიღბლობაა, კაცი მათზე ზრუნავდეს, ისინი კი იხოცებოდნენ?! ავარიის სხვა მოწმეებიც გაქრნენ; ფაფუ, დამთავრდა ზღაპარი.

ძლიერია სატანის უკუღმართი ჭკუა, ადამიანებთან ანგარიშსწორების ინდივიდუალური მეთოდით მიდგომა იცის.

ფინანსთა მინისტრის მოადგილე ბენო ჯაფარიძე საკავშირო გეგმით კახეთის ერთ რაიონის ღვინის ქარხანაში მყოფ რევიზიას ხსნის და ზესტაფონში აგზავნის, რისი უფლებაც მას არ ჰქონდა, მინისტრმა ფარნაოზ ანანიაშვილმა ამის შესახებ არაფერი იცოდა. მილიონზე მეტი მიწერა გამოვლინდა ზესტაფონში. ამ საქმის ორგანიზატორ მეღვინეებს იძახებდნენ მილიციისა და პარტიის რაიკომში, ავალებდნენ, წინასწარ შედგენილ განცხადებებზე ხელი მოეწერათ, რომ რევიზორები ფულს სძალავდნენ. შემდეგ ცეკას პლენუმზე ხმამაღლა განაცხადეს: მადლობა ზესტაფონის კომუნისტ მეღვინეებს, რომ მექრთამე რევიზორები ამხილესო. რევიზორი კიბის ის საფეხური იყო, რომლის მეორე საფეხურზე სარევიზიო სამსახურის უფროსს დადებდნენ და მინისტრს მისწვდებოდნენ. ამ განუკითხაობის სამთავროში ყალბი ბრალდების მოძებნას რა უნდა, როცა ანეკდოტად ქცეულ სამართლიანობას დამნაშავე განაგებს და თავისი ცოდვიანი კვალის დასაფარავად კეთილსინდისიერი ადამიანების სისხლ-ცრემლს იყენებს.

ფარნაოზ ანანიაშვილის ბედი გადაწყვეტილი იყო, მექანიზმი პირველმა სახელმწიფო დამნაშავემ ჩართო. ახლა დროღა იყო საჭირო მსხვერპლის დასაქამანდებლად.

რევიზორები დაიჭირეს, მათი მექრთამეობა გაუკვირდათ, როცა ქვეყანაში ქრთამის ოთურმა ბრუნავდა და მისი მთავარი ორგანიზატორი ქრთამით აქამანდებდა მოსკოველ დიდი რანგის მექრთამეებს. ყველას შეარგოს ქრთამიც და ქურდბაცაცობაც, ვინც ედუარდ ამბროსევიჩს მხარში უდგას, მას ანანიაშვილის ჯავრი აქვს და რევიზორები ამ საქმეს უნდა შეეწირონ როგორც ვანდალების ორგიაზე დაკლულ ხარს სხვა წვრილფეხა პირუტყვი. რას იზამ, ქვეყნის უბედურებად ქცეული კარიერისტი თავის მრუდე საქმეთა მამხილებლებს არ ინდობს.

მალე სარევიზიო სამსახურის უფროსი აიყვანეს, აქედან კი ფარნაოზ ანანიაშვილამდე ერთი ნაბიჯიღაა. სუკის იზოლატორის ჯოჯოხეთური ძალადობის ფონზე, სადაც სიცრუის გამოსაჩეკად შეყრილ ადამიანებზე კაცობრიობის მიერ მოგონილ წამების ყველაზე „პროგრესულ“ მეთოდებს იყენებენ, ჭანუყვაძეს თავისი როლი ჰქონდა – ანანიაშვილზე ქრთამის მიცემის ცოდვა. გაუჭირდა ამ სიცრუის თქმა. ერთ დღეს საკანში გაზეთი „კომუნისტი“ შეუგზავნეს, რომელშიც ანანიაშვილის ნეკროლოგი იყო გამოქვეყნებული ცეკას ბიუროს წევრთა ხელმოწერით.

– მომკვდარა. ვიტყვი და ახლა მაინც დამეხსნებიანო, – თვალცრემლიანი ყვებოდა ჭანუყვაძე, – თურმე ის ერთი ეგზემპლარი ჩემთვის დაბეჭდესო.

ამის გარდა, სხვა სამარცხვინო ცილისწამება შეაკოწიწეს, მისი მოსმენა სინანულის დამცინავ ღიმილს რომ იწვევს მსმენელში.

ფარნაოზ ანანიაშვილის ფიზიკური მოსპობა იყო დაგეგმილი, მაგრამ ერთი დეტალი გამორჩათ, იგი დეზერტირი კი არ იყო, დაბადების წლის გადაკეთებით რომ დაეღწია თავი ომში წასვლისთვის, მოხალისედ წავიდა ფრონტზე და მძიმე ჭრილობებიც მიიღო. ამგვარი კაცის დახვრეტას კი კანონი კრძალავდა. ერთი

იმედიდა შემორჩათ, თვითმკვლელობაზე აეძულებინათ; საამისოდ მრავალი პირობა შეუქმნეს, მაგრამ ანანიაშვილმა მათ ეს სიამოვნება არ მიანიჭა. მაშინ მოსამართლემ პირდაპირი დავალება მიიღო: დახვრეტა მიუსაჯეო. მან ეს ვერ გაბედა და მაქსიმალური წლები მიუსაჯა. ეს თვითნებობა არ აპატიეს და სამსახურიდან გაათავისუფლეს. გამოძიება, პროკურატურა, მილიცია, სასამართლო, ყველა შევარდნაძის ხუშტურებზე როკავდა, რამეთუ ის იყო მათი მამა მარჩენალი, ეზოს მოძღვარი და ცხიმიანი, თუმცა ცოდვიანი, ჩასათბურებული ცხოვრების გარანტი.

შევარდნაძეს საკუთარი სულიერი და გონებრივი სივიწროვე, ეგოიზმი და ყოვლის მკადრებელი კარიერისტული გაუმაძღრობა ყველა სრულყოფილი, საღი და ნათელი გონების, ერისთვის საჭირო ადამიანთა დაუძინებელ მტრად აქცევდა. მისი ცხოვრების გზაც ნადირის ნაკვალევივით სისხლით, გოდებით და წყევლა-კრულვით მოპირკეთდა.

შინაგან საქმეთა მინისტრობა მოსკოველ მაღალი პოსტის მუშაკთა მოქრთამვას მოანდომა. მათ შორის ყველაზე ეფექტურად საკავშირო შინაგან საქმეთა მინისტრი, ბრეჟნევთან დაახლოებული შჩოლოკოვი მოხიბლა მისმა ქრთამმა. ამგვარი მაქინაციებით მზადდებოდა ედუარდის აღზევება, რისთვისაც საკავშირო უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმზე მოისმინეს თბილისის ქალაქკომის ანგარიში, სადაც პირველმა მდივანმა ოთარ ლოლაშვილმა დადებითად ილაპარაკა თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის დირექტორ მიხეილ ბაბუნაშვილზე, რომელმაც ეს დარგი ააყვავა და მსუბუქი მრეწველობის მინისტრად უპირებდნენ გადაყვანას. შევარდნაძემ შჩოლოკოვს ათქმევინა ბრეჟნევთან, ეს დირექტორიც კი კომბინატორი და ყაჩაღიაო. დანარჩენი უკვე კაცთმოძულეობის ღვარძლის დანთხევის უნარს უნდა გაეკეთებინა.

მაუდ-კამვოლის კომბინატში სპეციალური დავალებით უხარისხო ნედლეული შეაგზავნეს, რომელიც მიხეილ ბაბუნაშვილმა არ მიიღო. მიუხედავად ამისა, კომბინატი დაარბიეს, ბაბუნაშვილი დამნაშავედ გამოაცხადეს, ჩვეული მეთოდით უამრავი ყალბი ბრალდება შეუთითხნეს. საზარელი იზოლაციის პირობებში აწამეს და ბოლოს, დახვრეტას გადარჩენილს, მაქსიმალური სასჯელი წამოჰკიდეს. მსუბუქ მრეწველობაში ამგვარი თარეშით საქართველოს მილიარდ მანეთზე მეტი ზარალი მიაყენეს.

კარიერისტული ამბიციები ქართველი ერის ღირსეული შვილების სისხლსა და ცრემლს მოითხოვდა. რომელსაც ათასობით ოჯახის გლოვა, მოთქმა და ქვეყნის დაკნინება ახლდა. განდიდების მანიით შეპყრობილ მინოტავრს კი ახალ-ახალი მსხვერპლი სჭირდებოდა, რომელსაც წინასწარ არჩევდნენ; მსხვერპლშეწირვის ცერემონიას კი წინ პროპაგანდისტული ხმაური უძღოდა. შევარდნაძესთან მორიგი თათბირის შემდეგ ცეკას საორგანიზაციო განყოფილების გამგე სოლიკო ხაბეიშვილი სასტიკად აღშფოთებული ალაპარაკდა თბილისის რაიონებში ქრთამის აღების შესახებ. აშკარა იყო, სამიზნე უკვე შერჩეული ჰყავდათ.

მალე 26 კომისრების ალმასკომის თავმჯდომარე იუზა კობახიძე დააპატიმრეს – შევარდნაძესთან დაახლოებული კომკავშირულ-პარტიული ავტორიტეტი. მოსკოვამდე სდია ამ საქმეს. ბრეჟნევიც რომ წინააღმდეგი იყო, დაითანხმა და დახვრეტას მიაღწია. რა ჯავრი ჰქონდა, ან რა ძველი წყენა გაახსენდა, რომ იუზა კობახიძეს სიცოცხლის ფასად უქცია? ფაქტი კი ის იყო, რომ მისი დახვრეტის შემდეგ ბინების გაცემაზე ქრთამის „სტავკა“ ორჯერ გაიზარდა.

მათეს საზარელი ამბების გახსენების ძაფი გაუწყდა, ისევ თავის სავალალო

ყოფის სინამდვილეს დაუბრუნდა.

ყომარბაზებმა თამაში გააგრძელეს. ვიღაცამ რადიო ისევ ჩართო. ისევ აბოლდა სიგარეტი და ხელმოცარულთა გინებასთან ერთად გაითქვიფა აშმორებულ ჰაერში.

მათემ ვერაფრით ვერ დაიძინა. სირცხვილის გრძნობა არ ასვენებდა, რომ ადამიანი იყო. ყველაზე დაუნდობელი და ვერაგი მტაცებელი არ იკადრებდა ადამიანის მსგავს მუხთლობას და სიბინძურეს. ყოველ შემთხვევაში, ის არ მალავს, რომ მხეცი და ნადირია; ასეც იცნობენ ცხოველთა სამყაროში. მხოლოდ ადამიანს შეუძლია, იყოს მხეცი, სისხლის მსმელი ვამპირი, კანიბალი; ვერაგი, მუხთალი, კაცთმოძულე, და ამავე დროს თავი მოჰქონდეს ადამიანებისთვის დამახასიათებელი მაღალი ზნეობრივი სისპეტაკით. უბრალო მოკვდავის მხეცურმა თვისებამ შეიძლება გვერდით მყოფს, ვისაც მისწვდება, დაუბალღამოს სიცოცხლე, მაგრამ მას ადამიანები მალე ამოსდებენ ლაგამს. საშინელებაა ქვეყნისათვის, ერისთვის და, საერთოდ, ადამიანური სინდისისთვის, თუ ამგვარი გულმხეცი სახელმწიფოს მართვის სადავეებთან გაძვრა.

საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველი მდივნობიდან ვასილ მჟავანაძის მოცილების შემდეგ დაიწყო პატიოსან და საქმის ერთგულ კადრებზე აღვირახსნილი ნადირობა, გატალახების ცდა და გზიდან ჩამოცილება; ახლად დანიშნულ საეჭვო რეპუტაციის ადამიანების ანგელოზებად წარმოჩინება, ფრთები ჯერ რომ არ ამოსვლიათ; ბოლოს კი მართლაც ამოუვიდათ სვავების, ყვავყორნების, ღამურების ფრთები.

ასე მოიშორა ძველი კადრები. კანონის და კანონიერების ლოზუნგით მოსპო ყველა, ვინც კანონის და კანონიერების ერთგული იყო. ცხოვრება კალაპოტიდან ამოვარდა და ყალბი, ღვარძლიანი, ეგოისტური მიეთ-მოეთის შამბნარში გაიხლართა.

ღამე იფერფლებოდა. ყომარბაზები დაიღალნენ და ჩუმად, უხმაუროდ დაიშალნენ. ბარაკს ეძინა. მათეს გული უკვნესოდა. შავი მოგონებები ყორნებივით ესხმოდნენ თავს, არ აძინებდნენ, ერთიმეორეზე საწინააღმდეგო ფიქრებს იგერიებდა. ორ წელზე მეტი ხნით სუკი-ს იზოლატორის მკვიდრს კოლონიის ჯოჯოხეთური ყოფა სამოთხედ ეჩვენებოდა. უძრაობისგან ფეხების ატროფია მიიღო. ერთი საათით ფეხზე დგომა უჭირდა, ფეხის გულები საშინლად ეწვოდა. ვინც სუკის დილეგში ცოტა ხნით ნამყოფი იყო, უკვირდა, ამდენი ხნით როგორ გაუძლო. არადა, ბღენძის მიერ დაბრალებული ცილისწამებით, რისთვისაც და რომელ ტაფაზე შესაწვავად ინახავდნენ ადამიანის მსგავსი არაადამიანების მსახურნი?! მძიმედ დაავადებული მეუღლე და აწიოკებული ოჯახი. თვითონ კი უსამართლობის ქვეყანაში ყოვლის მკადრებელთა ხელში...

დაპატიმრებიდან თხუთმეტი თვის შემდეგ, მთლად გათეთრებული, მძიმედ დაავადებული მეუღლე და შვილები შეახვედრეს. – მწუხარებისგან დამდნარი, სხვის დახმარებით მოძრავი დედა. რისთვის, რა დააშავა, რა ეწყინა მისგან ბოროტების პარკუჭის მფლობელს?!

კოლონია სავსე იყო გარდამავალი დროშებისთვის ნაბრძოლი და შემდეგში შერჩევით განწირული ადამიანებით. რაჭველების მთელი ბრიგადა იყო შეყრილი. ხუმრობით ეკითხებოდნენ: რაჭაში თუღა დარჩაო კაცი. ედუარდ ამბროსევიჩის ყალიბის რაიკომის მდივანს დაუვალებია რაღაც კენკრის დამზადება, ეს რესპუბლიკისთვის მნიშვნელოვანი საქმეა და ყველაფერზე უნდა წახვიდეთო. მათაც დაამზადეს ის არაფერი, რითაც ესოდენ ნებივრობდნენ გარდამავა-

ლი დროშების წვიმით. ეს რაჭველები კი უკვე ცნობილი სცენარით ზელავდნენ კოლონიის ტალახს...

უკან გადაიწია და ფანჯრიდან ცას შეხედა. ღამე დღესთან ბრძოლას აშკარად აგებდა. ნაგავზე მონადირე ყვავებიც ყრანტალით აშლილიყვნენ. ბარაკში მთელი ღამის ორგიით დაღლილ ხმაურს მკვდარივით ეძინა. გულაღმა დაწოლილი თავისი საწოლის მეორე სართულის ფსკერს მიაჩერდა. სადღაც, შორს დედის მოთქმა და სასიკვდილოდ განწირული მეუღლის კვნესა მოესმა. რამხელა შვების მომგვრელია ღმერთის რწმენა, ნუთუ იქ მაინც დაუდგებათ განკითხვის ჟამი ამქვეყნიურ ცოდვაში მოფართხალეთ?!

მარში აჭყვიტინდა. რა საზარელია ეს ხმა. კინოფილმში უნახავს ფაშისტების კონცლაგერში ამგვარი რამ. ისინი სამშობლოსთვის ბრძოლაში ჩავარდნენ ტყვედ. აქ კაცთმოძულე ბლენძის ამბიციების მსხვერპლი ათასები ღეჭავენ საკუთარ ნერვებს. იქ, გარეთ კი უსამართლობა, ძალადობა და უზნეობა ხალხის ერთგულების მანტიაში შემძვრალი დაუსჯელობის გრძნობით გათავხედებული ზეობს.

კვნესით, ოხვრით, წყევლა-კრულვით ეწყობოდნენ სამუშაო ზონაში მიმავალი რაზმეულები. საზიზღარი მარშის ჭყვიტინი გაწყვეტას უქადდა წამებულთა ნერვებს. მისდევდა მათე დამცირებულთა, წამებულთა, სიმართლე შელახულთა რიგებს და თვითონაც იმას განიცდიდა, რასაც უსამართლობის მსხვერპლი ათასები. იქ ნამდვილი დამნაშავეებიც იყვნენ, კაცის მკვლელები, ბავშვთა გამაუპატიურებლები, ავაზაკები, აფერისტები, ქურდები, ყაჩაღები, მანიაკები, ყოველგვარი ადამიანური თვისებების მაგინებელნი. სწორედ ეს უკლავდა გულს, რომ ამ ავაზაკთა ბრბოში, ამჟამად დამკვიდრებულ სახელმწიფოებრივი ძალადობით, უამრავი პატიოსანი ადამიანი იტანჯებოდა.

სამუშაო ზონაში ბევრი საამქრო და სახელოსნო იყო, ვისაც შეეძლო თავისი პატარა კუთხე ჰქონოდა მოწყობილი, დანარჩენები ზეთში ჩავარდნილი წიწილებივით დაკავკავებდნენ. აქ იყო წარბა, შავი სამყაროს ძლიერი ავტორიტეტი. განუკითხაობის და ძალადობის მსხვერპლი, რამაც საბოლოოდ აურია ცხოვრება. პრინციპული, მართალი, უხორცოსავით შეუპოვარი; განუკითხაობის და ძალადობის მტერი. გარეთ ვიღაც არაკაცი თანამდებობის პირის უკანონობით გზას აცდენილი და უკანონობის მატარებელთა დაუნდობლად დამრბევი. თავისი საძმო ჰყავდა, იგი მათი კერპი იყო. ისინიც წარბასავით სიმართლით და კაცთმოყვარეობით შეპყრობილი იყვნენ. უყვარდათ მათესთან საუბარი. მათეც მათთან საუბარში და მათთან სიახლოვით სულიერ სიმშვიდეს პოულობდა.

წარბა პატარა ოთახში იჯდა და ქრისტეს ჯვარცმას ფიცარზე ცხელი რკინით ხატავდა. თუ არა ცხოვრების უკუღმართობა, შეიძლება კარგი მხატვარი გამოსულიყო, — ფიქრობდა მათე და ნამუშევარს ათვალიერებდა.

— მოგწონს? — ჰკითხა წარბამ.

— მომწონს და ამ ცხოვრების უკუღმართობას დავცინი, ალბათ, რამდენ უნიჭოს დაათრევენ ნებიერი მამები ხატვის სასწავლებლად, მათგან მხოლოდ „ტაბურეტკის" გამკეთებელი თუ გამოვა, რამდენი ნამდვილი შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული კი ეგოისტი ადამიანების უსულგულობის მსხვერპლი ხდება.

— ამ ქვეყნად ჩვენი სტუმრობა დროებითია, ბრძოლა და სუსტზე ძლიერის თვითნებობაა. რაც ბედმა გვარგუნა, მას უნდა მივყვეთ, რადგან სხვა გამოსავალი არ არის. ყველაფრის წამალი კი უფლის რწმენაა და იმის იმედი, რომ იქ, საუფლოში მაინც ეღირსება ადამიანის სული სასუფეველს, რასაკვირველია, თუ

ამას იმსახურებს. ადამიანს კი ღმერთი მაშინ ახსენდება, როცა უჭირს. თორე გამართულ კაცს თავი ყოვლისშემძლე ჰგონია და უფალი რაღაში სჭირდება. ყველას საკუთარი ბედი შუბლზე აწერია, რაც არ უნდა ვიფხლაკუნოთ, ვერსად გავექცევით. სამარის ჭია კი კვდება სიცილით, მოლასავით მისთვის სულ ერთია.

– ეგ რომელია?

– ორი მოჭიდავე დანაძლევდა, ვიჭიდაოთ, და დამარცხებული მოლამ გააუპატიუროსო. ჭიდაობის დროს მაყურებლებმა მოლას ჰკითხეს, რომელს ემხრობიო. მან უპასუხა, ჩემთვის სულ ერთია, ბოლოს ერთი მათგანი უნდა შემხვდესო.

მათეს სიცილი აუტყდა.

– რა გაცინებს? – შეეკითხა წარბა.

– ანეკდოტი არცთუ მორგებული გამოდგა, მოლას ერთი მათგანი უნდა რგებოდა, სამარის ჭიას კი ვერავინ ასცდება. განაწყენებული არ დარჩეს ამ შედარებით ლეშის ჭამია.

ახლა წარბას აუტყდა სიცილი.

– ჩაგეთვალოს, – ღიმილით უთხრა მათემ, – შენი შემოქმედება კი ძალიან მომწონს.

– დღეს ხაბეიშვილის სასამართლო პროცესის გადმოცემაა ტელევიზიით, ერთად ვუყუროთ, – შესთავაზა წარბამ.

– ვა? ვიღაა ეგ ხაბეიშვილი? – იკითხა წარბას ძმაკაცთაგანმა.

– ხაბეიშვილი ედუარდ შევარდნაძის ყველაზე სანდო პირი იყო, ცეკას მდივანი, შევარდნაძის საქმეების ჩამწყობი მოსკოვში და ყველა საიდუმლო, საჩალიჩო საქმეთა ავან-ჩავანი, – აუხსნა წარბამ.

– ვაა! – გაიკვირა იმან, – ეგეთი რამეებიც ხდება?

– მაგათში ყველაფერი ხდება, მუხთლობა და გადაგდება კაი კაცობად ინათლება, ფეხის დადებაც მოსწრებაზეა. წაქცეულზე წიხლებით გაჯირითება ხომ გმირობად ეთვლებათ. ჰოდა, არის კიდეც შევარდნაძე დაშაქრული ღვინის გმირი. თურმე ჩაის იმ მედლით ატკბობს, შაქრის კომბინაციით რომ მიიღო...

პატიმრები დიდი ინტერესით შეგროვდნენ ოთახში, სადაც ტელევიზორი იდგა. ვინც ვერ დაეტია, ფანჯარასთან მოჯარდა. სხვები, უფრო შორს დარჩენილები, ამბავს კითხულობდნენ. ტელევიზორის ოთახი, სადაც ყველა სკამს თავისი მემკვიდრეობით თუ ფულით შეძენილი მფლობელი ჰყავს, ადამიანთა შავი მასით გაიჭედა. ფანჯრიდან ისეთი კვამლი და ოხშივარი გამოდიოდა, თითქოს ეს შავი მასა ერთიანი სხეულით სუნთქავდა პაპიროსის მუქ ბოლს. წარბას გვერდით მჭვარტლისფერ ფიქრებში გახვეული მათეც უსმენდა ამ პროცესს. აქ, ჰადესის მკვიდრნი, ბოლომდე რომ შეუსვიათ უსამართლობის ბალღამი, ყველაზე უკეთ ხედავდნენ მართლმსაჯულების ნიღბის შიგნით რა სიყალბის ქვაბი დუღს.

ხან ისეთი ხარხარი და გინებით შენელებული კომენტარები აგორდებოდა, რომ ეს ცოდვილი ოთახი გრძნეულის ქოხივით ფანფალებდა.

– ბიჭო, ეგ რომელი ხაბეიშვილია? – იკითხეს „შავებმა“.

– შევარდნაძის მარჯვენა ხელი, მისი ყველა მაქინაციების მონაწილე და საიდუმლო საქმეთა ყულაბა, – დაწვრილებითი ინფორმაცია მისცა რაჭველმა დამამზადებელმა.

– ეგეთებსაც იჭერენ?

– ბოლოს ყველას ცოდვის გამკითხავი ღმერთია. შევარდნაძესაც დაძირავს ცოდვის საცალო, ძალიან ბევრი დაუგროვდა! – გულზე მჯიღის ბრაგუნით ამბობდა ვიღაც გაწამებული.

— ამან დამსვა რაიკომის მდივნად, ციხეშიც ამის გამო მოვხვდი, ეს ცეკას პირველი მდივნის ჩოხის ჩასაცმელად ემზადებოდა, — პირზე ადგება რაიკომის მდივანი.

— ვახ, სიმონ, რა მაგრა წაუჭირა ყელში! — აყვირდა ერთი „შავი".

— ეგ ბოზობაა, სიმონ, არ ვიცი, მაგათებურად რას ნიშნავს, ჩვენებურად კი ბოზობაა, — განმარტა მეორემ.

— მდივნად დაუსვია, იმ ჩოხას რომ მოირგებდა, ხომ მაგასაც მიუგდებდა ვარსკვლავს პაგონზე.

— საქმე არ გამოუვიდათ და ახლა დაერივნენ ერთმანეთს.

— ხაბეიშვილმა ფული მთხოვა, მამაჩემს ვესესხე ხუთი ათასი მანეთი და მივუტანე, — მგლისგან დამფრთხალი ციკანივით ყვება ახლა სხვა რაიკომის მდივანი.

— ბიჭო, ეგ თვალთმაქცობს. ორი ნული უნდა მიუმატოს თავის ნათქვამს თუ მეტი არა, — ვიღაც ოხუნჯობდა.

— ეტყობა, ძალიან ნაწყენია ეგრე რომ წაუჭირა ყელში. ბარემ თქვას, რამდენი შეიტანა გმირის მედლის მოსასყიდ ფონდში, თუ ბოზობაა, ბოზობა იყოს! — ხარხარებენ.

— ბოლომდე არ იხსნება ეგ პრასტიტუტკა! — მუხლებზე ირტყამენ ხელებს და სკამებზე ხტიან.

— მეორედ კიდევ მთხოვა და ჩემს ნათესავ მწველავს ვესესხე ხუთი ათასი მანეთი, — აგრძელებს იგივე ბოსი.

— ხა, ხა, ხააა!!! — ხალხი შეიშალა, დაოსდა ხარხარით.

— მწველავისგან ნასესხებ ფულით შენარჩუნებულ რაიკომის მდივნობას გავკარ! — ხრიალებს ვიღაც გაგუდვის ზღვარზე მისული.

— რად გინდა ასეთი რაიკომის მდივნობა, შე მათხოვარო! ფოსტის წინ ენაგადმოგდებული დადექ, მარკის დასველებაზე ფულს გააკეთებ, მაგარი გრძელი მწკლარტე ენა გქონია, შე... — ვიღაცამ ოხუნჯობას გინებაც მიაყოლა.

— რა ხუთი ათასი მანეთი აუტყდათ, ერთხელ ან მეტი, ან ნაკლები არ იყო?

— ჯიგარო, ეტყობა ხუთი ათასი მანეთი იმდენია, რომ არც მწვადს სწვავს და არც შამფურს. მეტი რომ თქვას, ეტყვიან, საიდანო. ის მწველავი ბოლოს და ბოლოს ფულს ხომ არ წველის. ნაკლებზე კიდევ ეტყვიან, შე ოხერო, ცეკას მდივანი იყო, ბაზრის მებაჟე ხომ არაო, გაიგე?

— ბიჭო, ეგ ცეკას მდივანი და ის რაიკომის მდივნებიც, ეგრე რომ ურიგებიათ ნასესხები ფულები, ყველა შევარდნაძის დანიშნული არ არის?

— ეგრეა, აბა რა?

— ჰოდა, ბარემ ბოლომდე გახსნან კარტები, რომელი გარდამავალი დროშა რა დაუჯდათ, ან მოსკოვში რა ოინბაზობა აბარტყეს იმ მწველავისგან ნასესხები ფულებით, — ისევ ახარხარდნენ.

— ვახ, ეგ იმ შევარდნაძის ხალხია ამათი ხელით პატიოსნებას რომ გვპირდებოდა? ვაჰ, უფალო! რამხელა კუდი ჰქონია შარვლის ტოტში შემალული?!

— კუდს კიდევ რა უჭირს, მუხთალი კაცის ტვინია ყოველგვარი უბედურების მამა მარჩენალი.

— ჰოდა, მუხთალი ტვინის პატრონს ეზრდება კუდი მგლის, ჩლიქები და რქები ეშმაკის, ღოჯები აფთრის, ოღონდ ამას პატიოსანი ადამიანი ვერ ხედავს, მუხთალი კიდევ არ გასცემს, სანამ ერთმანეთს ღდევანდელივით არ დაერევიან, — დაასკვნეს ბოლოს.

კიდევ ბევრმა გამოიჩინა თავი მსგავსი „გულახდილობით“. ყველა კი შევარდნაძის შერჩეული სპეტაკი და პრინციპული კადრი იყო კანონის და კანონიერების ლოზუნგით ქვეყანაში უკანონობის და უზნეობის ყეინობა რომ გამართეს...

კარგა ხანია დამთავრდა ცეკას მდივნისთვის გმირის ვარსკვლავის მოსანადირებელი ღვინის დაშაქვრის კამპანია. მთელი რესპუბლიკა შეიძრა ამ თვალთმაქცობის უზარმაზარი მასშტაბებით. ჩამოიკიდა გმირის ვარსკვლავი და არასასურველი პირები შერჩევით შეყარა კოლონიაში.

პატიმრებში ანეკდოტი გავრცელდა: თურმე ბრეჟნევს თავისმა ქალმა სთხოვა, შევარდნაძეს გმირის ვარსკვლავს რომ გადასცემ, უნდა აკოცოო.

– Разве нельзя без поцелуя? – უკითხია მას.

– Нет, Папа, это поцелуй миллион стоит, – უთქვამს ქალს.

– Тогда два раза поцелую, – უპასუხია ბრეჟნევს.

პატიმრები ამ ირონიით ერთობოდნენ და აი, მართლაც ტელევიზორში აჩვენეს ბრეჟნევი შევარდნაძეს სოც. გმირის მედალს რომ გადასცემს.

– აკოცა, ბიჭო, მართლა აკოცა! – აყვირდნენ წინა რიგებში მჯდომი „შავები“. არც იუმორის გრძნობა აკლდათ და უცებ ვიღაცამ ხილაბანდით შეიმოსა თავი, ქალურად განაზებულმა მეორეს მიმართა:

– Папа, вы должни поцеловать Шеварднадзе.

– Разве нельзя без поцелуя? – ბრეჟნევის ჩახრინწული ხმით უპასუხა მეორემ.

– Нет, Папа, это поцелуй миллион стоит, – დაუსაბუთა ხილაბანდიანმა.

– Тогда два раза поцелую, – უპასუხა ჩახლეჩილმა ხმამ და ახარხარდა გაწამებულთა საძმო.

– რა მოუჯოკრა, სიმონ, კიდევ კარგი, ათჯერ რომ არ აკოცა, თორე კოლონიაში ისეც ადგილი აღარ გვაქვს! – ხარხარებდნენ პატიმრები.

## რღვევა

**დიდი** ხნით საზოგადოებას, ხალხს მოშორებული, სუკ-ის დილეგის და კოლონიის სიმწარე ნაწვნევი მათე მწარე ფიქრებით დამძიმებული ნელა მიუყვებოდა რუსთაველის პროსპექტს. კოლონიიდან გამოსვლის შემდეგ პატიმრის შოკური მდგომარეობა ჯერ არც კი მოეშუშებინა, ოჯახში უბედურების აჩრდილი დატრიალდა. მწუხარებისგან მთლად გათეთრებული, მძიმედ დაავადებული მეუღლე საწოლიდან ძლივს ადგა, ნაღველჩამდგარი თვალებიდან სიხარულის ცრემლები დაღვარა და საყვარელ მეუღლეს ქვითინით ჩაეკრა მკერდში. საქმე სახუმაროდ არ იყო, მეუღლის გამოჯანმრთელების იმედი თითქმის მთლიანად ჩაფერფლილიყო. ოჯახს ერთ უბედურებაზე უფრო მძიმე და დამანგრეველი მეორე განსაცდელი უცდიდა. ქალი დნებოდა, იფერფლებოდა.

მათე, მართალია, გაათავისუფლეს, მაგრამ არსებული რეჟიმი დამკვიდრებული ჩვეულებისამებრ მტრულად უყურებდა. ეს საშინელება და დევნა სიკვდილამდე არ მოასვენებდა უსამართლობანაგემებ ადამიანს. გამარჯვებული საერთო საქმის მოღალატე ოინბაზები, პარტიული ფუნქციონერები და მათ მიერ ხელმძღვანელ სამუშაოზე დაწინაურებული იგივე პარტიის წევრი მღრღნელები გააფთრებით ძარცვავდნენ ხალხის მიერ შექმნილ სიკეთეს. ედუარდ ამბროსევიჩის ჩასათბურებული მექრთამე, მომხვეჭელი, უზნეო ზედა ფენა კომუნისტობის ნიღაბში შემძვრალი, ბოლოს უღებდა ხალხის სოციალური კეთილდღეო-

ბის იდეებს. მათე დაიბნა. თავისი პირუთვნელობით სიმართლისთვის ბრძოლით სწორედ იმ სიმსივნეში მოხვდა, უსამართლობით გამწარებული ადამიანი არსებული ხელისუფლების დაუძინებელ მტრად რომ ყალიბდება, კოლონია სახელმწიფოში არსებული ყოველგვარი სიბინძურის ბუდე იყო – მისი სალექარი, იგი ხრავდა და ასუსტებდა ქვეყანას, რომელსაც ხალხთა ბედნიერებისთვის მებრძოლის პრეტენზიები ჰქონდა. დამნაშავეს კი არ იჭერდნენ, არამედ დამნაშავეები, განსაკუთრებით დიდი მასშტაბის სახელმწიფოს მავნებლები მართალ, დანაშაულის წინააღმდეგ მებრძოლ, ქვეყნის და ერის საყვარელ შვილებზე ნადირობდნენ, რამეთუ სწორედ ისინი იყვნენ ამ პარაზიტთა ბოროტ საქმეთა მამხილებელნი. ხელისუფალთა შიშით დაითრგუნა დიდი და პატარა. – სანამ ესენი იქნებიან, მათ მიერ რეპრესირებულ პირს შევიწროვებას არ მოაკლებენ, – ამბობდა მათე.

სახლში დაბრუნებულ მათეს თანამდებობის და მათთან დაახლოვებული პირები აშკარად ერიდებოდნენ როგორც კეთროვანს, ის კეთრი კი პოსტის დაკარგვის, ან არასასურველ პირთა სიაში მოხვედრის შიში იყო. წინ გრძელი და უფრო მახრჩობელა შევიწროვება ელოდა. ეს იყო ინკვიზიციის პერმანენტულად მოქმედი სამსალა, სოციალისტურ სახელმწიფოში მომხვეჭელმა, კარიერისტმა პარტიულმა ბღენძმა რომ დანერგა სინდისის და კაცთმოყვარეობის უარყოფის შედეგად. კათოლიკურ ეკლესიაში ინკვიზიცია თვითონ რომის პაპისგან დაკანონებული და მოწონებული იყო. აქ, სოციალისტურ სახელმწიფოში ჰუმანურ და ცივილიზებულ კანონების გვერდის ავლით ქვეყანა სულისმხუთავ საშინელებად აქციეს. სად წახვალ, ვისთან იჩივლებ? ვისაც ადამიანური გრძნობა და სინდისი ჰქონდა, ედუარდ შევარდნაძემ საშინელი ძალადობის ბრჭყალებში შეყარა. იცოდა მათემ, რომ გამოქომაგების იმედი არ უნდა ჰქონოდა. ადრე ხომ თვითონ თავგანწირულად ებრძოდა ყოველგვარ უკუღმართობას, ამის გამოც მოხვდა შერისხულთა ამქარში. ახლა მისი ქომაგი კაცის შვილი არ იქნებოდა, ჭკუანასწავლი ადამიანები საკუთარ ტყავს და ცხიმიან საწუწნ ცურს არავითარ ზნეობრივ სიწმინდეზე არ გასცვლიდნენ. რამდენადაც რეალური იყო ამგვარი ძალადობის შეგნება, იმდენად სულის შემხუთველი იყო საკუთარ და ჩაგრულ მდგომარეობაზე ფიქრი.

რუსთაველის პროსპექტზე არნახული გამოცოცხლება სუფევდა. ჭადრის ხეებზე უამრავი ქაღალდი გაეკრათ არსებული ხელისუფლების შეურაცხმყოფელი ლექსებით თუ მოწოდებებით. მთავრობის სახლის წინ მოედანი ხალხით გაჭედილიყო, – პლაკატები, ლოზუნგები, უამრავი სხვადასხვა ფერის დროშები, სურათები დაცურავდა მომიტინგეთა თავზე.

– ეგ ვინ არის? – ჰკითხა ბიჭს, ჯოხზე დამაგრებული სურათი რომ ეჭირა ჩოხაში გამოწყობილი ფაფახიანი კაცის.

– ვა, ამას ვერ იცნობ? – ბიჭს გაკვირვებისგან თვალები გაუფართოვდა.

– ვერა, – დინჯად უპასუხა მათემ.

– ქაქუცაა ჩოლოყაშვილი, არ გაგიგია? – გაკვირვებულმა მათეს ისე შეხედა, თითქოს უცხო ფრინველი დაენახა.

მათემ სურათი ერთხელ კიდევ შეათვალიერა და გზა განაგრძო.

მთავრობის სახლის კიბეებთან კი მიკროფონი ნაპერწკლებს ჰყრიდა.

ზოგი ნატო-ს ჯარებს ითხოვდა, ზოგი რუსებს აგინებდა და საქართველოს დამოუკიდებლობის წართმევაში ადანაშაულებდა. ვიღაც შენობის სახურავზე ავიდა და სოციალისტური საქართველოს დროშა ჩამოხსნა. იქვე იყვნენ მოშიმ-

შილეები, შიმშილი მაშინ მართლაც გასაკვირი იყო. მაძღარი ქვეყნის და მაძღარი ცხოვრებისთვის ვიღაცის შიმშილი მართლაც დიდი უბედურება იყო, მოშიმშილეებს განსაკუთრებული ზრუნვით ეკიდებოდნენ. თუ არ გადადგებით, არ ვჭამთო. მშობლების მიერ განებივრებული ბავშვებივით ჯიუტობდნენ მოშიმშილენი. შიმშილით ხელისუფლების დაშინება გამძღარი ცხოვრების დროს შეიძლება, თორემ ახლა, დამშეულ ქვეყანაში, ლუკმა-პურის შოვნა ოცნებად რომ ქცეულა, შიმშილობა კი არა, მაძღრად ყოფნაა გასაკვირი. ჰოდა, ეს მოშიმშილენიც შიმშილის გამოცდით მიდიოდნენ იქით, სადაც შიმშილით ვეღარავის გააკვირვებ.

მთელი თბილისი სეირის საყურებლად შეყრილიყო, უამრავ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში თუ სახელმწიფო ორგანიზაცია-დაწესებულებებში მომუშავე ადამიანები ქუჩაში გამოსვლის მიზეზს ეძებდნენ გასართობად და აგერ ისიც, რუსთაველის პროსპექტზე. ხალხისთვის ასეთი თავშეყრა და არსებული ხელისუფლების გატალახება ახალი ხილი იყო; უკვირდათ ცხოვრების ასეთი გარდასახვა. ისიც საკვირველი იყო, ამდენ ლანძღვა-გინებას ასე მდუმარედ რომ ეგუებოდნენ. კორუმპირებული, მექრთამე, მომხვეჭელი თანამდებობის პირები ცქმუტავდნენ, ახლოვდებოდა დრო ნაქურდალ-ნაძარცვის დღის სინათლეზე გამოტანისა, სახალხო ქონების მითვისებით მექრთამე-კორუმპირებულთა კაპიტალისტებად და მიწათმფლობელებად გადაქცევისა. ხალხის და მშრომელთა ინტერესს, მათი კეთილდღეობის საქმეს ფარულად ღალატობდნენ მაღალჩინოსანი კომუნისტები. დგებოდა დრო, კომუნისტების ლანძღვით ისევ მათ მოეხვეჭათ, რაც ვერ მოასწრეს. ახლა კი დისიდენტებს და ახალგაზრდებს დროებით უთმობდნენ ასპარეზს, რათა შემდგომში ოსტატურად გაეტალახებინათ და ნიღაბშეცვლილებს ხელისუფლების სადავეები ეგდოთ ხელში.

მთავრობის სახლის წინ რუსთაველის პროსპექტი ხალხით გაჭედილი უდედო ფუტკრის სკასავით არეულიყო. მიკროფონით გამომსვლელებს უსმენდნენ და ვაშა-ტაშით ხვდებოდნენ არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ დამამცირებელ გამოსვლებს. მიკროფონთან სიტყვის თქმის მსურველთა გრძელი რიგი იდგა. უამრავი პარტიული ფუნქციონერი თუ თანამდებობის პირი ირეოდა. ყველას სულში ბუდობდა პატარა ჭია შექმნილი სიტუაციიდან სწორი ალღოს აღების და პრივილეგირებულ, ახალ პარტიაში გაძრომისა. ეს ჭია კი იმის მიხედვით იზრდებოდა ან პატარავდებოდა, ხელისუფლების მდგომარეობა მორყეული იყო თუ მყარდებოდა.

– ეროვნულ მოძრაობას ფინანსური დახმარება სჭირდება, ბატონებო! მიიღეთ მონაწილეობა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენაში! – ენერგიულად გაჰყვიროდა ჭადრის ხესთან მდგარი წვერგაბურძგნული, მოჭმუჭნულლაბადიანი ახალგაზრდა კაცი.

მათემ უნებლიეთ მისკენ გაიხედა. დიდი ხის ყუთი ღვედით ჩამოეკიდებინა კისერზე, ორივე ხელით ყუთის ძირი ეჭირა და ენერგიულად ეპატიჟებოდა ყველას ყუთში ფულის ჩასაყრელად. ჭრილიანი სახურავი კარგად მოზრდილი კლიტით დაეკეტა. აქეთ-იქიდან ორი წვერმოშვებული ახალგაზრდა კაცი ედგა. ეტყობოდათ, ესენიც აპირებდნენ წვერის მოშვებას, მაგრამ ჯერ ვერ მოესწროთ მთლად ბალანგაზრდილებში რომ ჩაწერილიყვნენ.

სალახანა. მათემ ერთი წვერგაუპარსავი იცნო მისი განუყრელი მეორე სახელით. ნამდვილი სახელი ვერ გაიხსენა, რადგან აღრეც არ იცოდა, ყველა სალახანად იხსენიებდა. რაიკომის ინსტრუქტორად მუშაობდა და თავისი საქ-

ციელით ნამდვილი სალახანა იყო.

მათე შორიდან აკვირდებოდა ამ ტრიოს საქმიანობას. პარტიული თუ სამე-ურნეო ხელმძღვანელები ფრთხილად, ნაცნობებისგან მალულად მიდიოდნენ და ფულს მუჭებით ყრიდნენ ყუთში.

– დამიხსომეთ, ბიჭებო, თქვენთან ვარ. მთელი ჩემი ცხოვრება ფარულად ვებრძოდი არსებულ წყობილებას, ახლა კი ნამდვილად დავამხობთ და გვეშვე-ლება, – პირმოთნედ ამბობდნენ და ხალხში იმალებოდნენ დამშვიდებულნი იმით, რომ თითქოს ახლა გარანტირებული ჰქონდათ ახალ ხელისუფლებაში პრივი-ლეგიები.

ამ სურათის მნახველ მათეს მწარედ ეღიმებოდა. რამხელა მუხთლობას და თვალთმაქცობას იტევს ადამიანის სული. ის სოციალისტური საზოგადოება უსინ-დისობით და მრავალი სიბინძურით დასვარეს მისი ერთგულების ნიღაბში შემძვრალებმა. ახლა ამინდის ცვალებადობისამებრ იმოსებიან ახალი ბუმბუ-ლით, რათა თავიანთი ბინძური სული აქაც აზეიმონ წმინდასა და სუფთაზე.

კიდევ რამდენიმე ადგილას შეხვდა ამგვარი ყუთით ფულის შემგროვებლებს და მათ ახლო-მახლო მობოდიალე პოლიტიკური ამინდის ჭიებს.

საავადმყოფოში ეჩქარებოდა. ახლაც სოლოლაკიდან მისთვის წყალი მიჰ-ქონდა, რატომღაც ავადმყოფმა ასე ინდომა. მათეს კი უხაროდა, რომ მძიმედ დაავადებულ მეუღლეს სურვილს შეუსრულებდა. სუკის დილეგის მძიმე განცდე-ბი კი ჯერ ვერ მოეცილებინა. უსამართლობამ, ძალადობამ და მუხთალი ადამი-ანების თავხედობამ მთლად შეურყია ადრინდელი შეხედულებები ცხოვრებაზე, ბოროტების მოსპობასა და სიკეთის ზეიმზე. ადამიანთა კეთილდღეობას თუ არ სდარაჯობს მძლავრი ხელი და ნათელი, ხალხის საქმის ერთგული, ფხიზელი გონება, ყურადღების პატარა მოდუნებისთანავე ადამიანები ცოფიანი ნადირე-ბივით დაერევიან ერთმანეთს და ცივილიზებულ საზოგადოებას ჯუნგლების განუკითხაობად აქცევენ. უნდა არსებობდეს დამცავი მექანიზმი ჯანმრთელი ორგანიზმის იმუნიტეტის მსგავსი, რათა სახელმწიფოს მართვის სადავეებთან არ გაძვრეს ადამიანთა კეთილდღეობის მაგინებელი. ამ ფიქრებით მოუყვებო-და რუსთაველის გამზირს. აქეთ უკვე ხალხი თითქმის აღარ მოძრაობდა. ლა-ღიძის წყლის დასალევად შეიარა. ერთი ჭიქა წყალი აიღო და მინებიდან უკაც-რიელ ქუჩას მიაჩერდა. ნელ-ნელა პატარა ყლუპებით სვამდა. სამნი გამოჩნდ-ნენ, წვერიანს კისერზე ჩამოკიდებული ყუთი ჰქონდა. იქაურობა დაათვალიე-რეს, ავტომობილს ამოეფარნენ, ყუთი გახსნეს და ფულის გაყოფა დაიწყეს. მა-თეს დიდი მარმარილოს სვეტი ეფარებოდა. სამეული დავიდარაბით და ჭიჭყი-ნით ფულს იყოფდა. მათემ სალახანა და მისი ამქარი იცნო, ასე ენერგიულად და „პატრიოტული სულის“ მოძალებით ეროვნული მოძრაობისთვის ფულს რომ აგროვებდნენ ბითური და ამინდის ქროლვას აყოლილ, მედროვე თხუნელებად ქცეული კაცებისგან.

– ჩქარა წავიდეთ, კიდევ მრავალი ღლავი წამოეგება ჩვენს ანკესს, – სიცი-ლით თქვა დიდწვერიანმა და პირმოუპარსავები ხარხარით გაემართნენ ახალ საკბილოთა დასაქამანდებლად.

შორიდან კი ნიავს რადიოს მქუხარე ხმა მოჰქონდა. ეროვნული მოძრაობა რუსეთის ლანძღვით და „ნატოს“ ჯარების შემოყვანის ლოზუნგით იდგამდა ფეხს დამოუკიდებლობის გზაზე.

– საშინელი განსაცდელი გვემუქრება, – ჩაილაპარაკა მათემ და ლაღიძის წყლებიდან გამოვიდა.

დაცარიელებულ პროსპექტზე რადიოს შორეული ხმა ისმოდა. ორატორები ჩქარობდნენ. მთავარი იყო ზოგიერთებს მიკროფონი ხელში მოეგდოთ, რათა მოჭარბებული აზრების გადმოღვრის სურვილი დაეკმაყოფილებინათ. ეს აზრები კი როგორი ტვინის ნაშობი იყო, არავინ კითხულობდა. ხალხი ღრიალებდა; ეროვნული მოძრაობისთვის ფულის შემგროვებლები თავდაუზოგავად იღვწოდნენ...

მდგომარეობა უფრო და უფრო უმართავი ხდებოდა. მოსკოვიდან მოშვებულ ქანჩებს იმპერია რღვევისკენ მიჰყავდა. მთავრობის სახლის წინ მიტინგი დღე და ღამე გუგუნებდა. საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად დაწინაურებულ ედუარდ შევარდნაძეს, ახლა უკვე პოლიტბიუროს წევრს, როგორც საქართველოს საქმეებში ღრმად ჩახედულს, თავტყირპიან გორბაჩოვისგან ნდობით აღჭურვილს, ევალებოდა თბილისში შექმნილი სიტუაციის მოგვარება. მან კი ძალიან კარგად იცოდა, როგორ მოეარა ამ საქმისათვის და როგორ გასწორებოდა ურჩ ელემენტებს.

შევარდნაძემ უფროსებს დაუმტკიცა, რომ ერთგული შემსრულებელი იყო. თავისუფლად და სინდისის ქენჯნის გარეშე, რამეთუ ეს უხერხულობა მას არ გააჩნდა, შეეძლო მგზნებარე კომუნისტიდან ცოფიან ნაციონალ-სოციალისტად მოვლენოდა მისი სახეცვლით თავბრუდახვეულ მრევლს.

ახლა მოსკოვში თავტყირპიანი ბედოვლათი მოაჯდა ხელისუფლების მართვას და თავისი უთავბოლო ჩანაფიქრის განხორციელებაში სწორედ, ჩვენთვის ცნობილი, ყველაფრის მკადრებელი შემსრულებელი სჭირდებოდა და წაიყვანა კიდეც საგარეო საქმეთა მინისტრად; საქართველოში კი დატოვა კარიერიზმით დაავადებული ღვარძლი.

ჯერ კიდევ შევარდნაძის საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველი მდივნობის დროს მისი ბნელი საქმეების თანამონაწილე, ცეკას რიგითი მდივანი სოლიკო ხაბეიშვილი და აგრეთვე, რიგითი მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი ერთმანეთს გადაემტერნენ. ბრძოლა ყველაზე სამარცხვინო მეთოდებით მიმდინარეობდა, რაც ფართო საზოგადოებისთვის უცნობი იყო, კულისებში კი დაუნდობელი ორთაბრძოლა მძვინვარებდა მაკომპრომეტირებელი მასალების შეგროვებით, ერთიმეორის ახლობლების, თუ მათი აზრით, მოწინააღმდეგის მხარდამჭერთა დაშინება-განადგურებით; ცილისმწამებლური მასალების შეთხზვით, რასაც ისეთი ადამიანები ეწირებოდნენ, რომელთაც ამათ კარიერისტულ ამბიციებზე წარმოდგენა არ ჰქონდათ. ხაბეიშვილი განსაკუთრებით აქტივობდა, რამეთუ შევარდნაძის მხარდაჭერას გრძნობდა; ბევრ უდანაშაულო ადამიანს დაუბალღამა სიცოცხლე, პატიაშვილის ჩამოსაცილებლად გზას რომ იკაფავდა. წააგო ხაბეიშვილმა. შევარდნაძე წავიდა და მისი სურვილის საწინააღმდეგოდ ცეკას პირველი მდივნობა პატიაშვილს დარჩა. ახლა პროკურატურა, მილიცია, უშიშროება, სასამართლო ხაბეიშვილის მოსასპობად მასალების შეთხზვას შეუდგნენ ისეთივე სამარცხვინო მეთოდებით, როგორითაც ხაბეიშვილი პატიაშვილის წინააღმდეგ მოქმედებდა: ძალადობა, დაშინება, შანტაჟი, მუქარა; ნათესავებზე, ახლობლებსა და ამხანაგ-მეგობრებზე ნადირობა, უამრავი სირცხვილი, რაც კაცობრიობამ თავისი არსებობის მანძილზე პოსტის მაძიებელ მეღროვეთა ტვინით დააგროვა და საუკუნეთა სიმრავლის შესაბამისად გააუმჯობესა. ამგვარი თვითნებობით კომუნისტური ზედა ფენა, რომელსაც სპეციალურად გაწვრთნილი ძაღლის ერთგულებით ემსახურებოდნენ ადმინისტრაციული ორგანოები, იმათთვის კანონი რომ უფროსების სურვილის შესრულება იყო,

დანაშაულიც და სასჯელის ზომაც ზემდგომის კაბინეტში წყდებოდა, მისი გამოჭრა და მსხვერპლის ტანზე მორგება კი ე. წ. თავის ნებაზე მიშვებულ გამომძიებელთა შემოქმედების საქმე იყო.

ამგვარი ძალადობით, თვითნებობით და აშკარა სიცრუით კომუნისტური ზედა ფენა არცხვენდა იმ იდეას, რომელსაც ემსახურებოდა; ხალხში ამის გამო თანდათან, წვეთ-წვეთად უნდობლობა გროვდებოდა, რომელიც შემდგომში მათ მიმართ სიძულვილში გადაიზარდა.

მართალი და სპეტაკი იყო ის, ვინც მაღალ სკამზე მოკალათდებოდა, საძულველ პიროვნებას როგორი მოდელისაც სურდა, იმგვარ სიმართლედ წოდებულ, შეთითხნილ ძალადობაგარეული ცილისწამებით შემოსავდა. სოლიკო ხაბეიშვილსაც სწორედ ასეთი სამოსი შეუკერეს, აშკარა შეთითხვნა თეთრით შავზე რომ ეტყობოდა. შეიძლება ხაბეიშვილი სხვა უფრო დიდი დანაშაულის ჩამდენი იყო, მაგრამ ის, რაც საქვეყნოდ გამოიტანეს, ძალადობანარევი, ცილისმწამებლური იყო, რამეთუ კარიერისტულ ძიძგილში დამარცხდა; ახლა გამარჯვებულს ყველაფრის დაბრალება შეეძლო. იმავე ძალადობით ნაქარგ დანაშაულს თავისუფლად მოარგებდნენ პატიაშვილს, ხაბეიშვილს რომ აეღო ხელისუფლების მართვის სადავეები. ეს იყო კომუნისტ თავკაცთა მიერ ქვეყანაში დამკვიდრებული დრაკონული უსამართლობის მაგალითი და ვაი მას, ვინც მის ბრჭყალებში მოხვდებოდა.

სოლიკო ხაბეიშვილის დანაშაული ის იყო, რომ კომუნისტ თავკაცთა კარიერისტული ამბიციებით დაავადდა და ის სამარცხვინო თამაში წამოიწყო, რომელშიც ყველაფრის კადრება დაშვებული იყო წარმატების მისაღწევად, მაგრამ დამარცხების შემთხვევაში, იმავე მეთოდებით გაუსწორდებოდნენ, რომლითაც თვითონ ებრძოდა სხვას.

შევარდნაძე წავიდა და საქართველოში მისი დიქტატურის ძველებურად გაგრძელება სურდა, მაგრამ პატიაშვილი მის კადრებს დაერია და შევარდნაძის წყრომა დაიმსახურა: ხაბეიშვილზე ანგარიშსწორებით კი საბოლოოდ გადაიმტერა.

თბილისში სიტუაცია კრიტიკული ხდებოდა. კომუნისტ ზედაფენის ბატონკაცურ ნოტზე აწყობილი პატიაშვილი მოუქნელად მოქმედებდა. დემოკრატიის მუსიკაზე აკუნტრუშებული გორბაჩოვი ძალადობის და დემოკრატიის ორ სკამზე ჯდომას ერთი საჯდომით ცდილობდა, რაც სასაცილო სიტუაციაში აგდებდა ისედაც დიდი ძალაუფლებით გონებაშეზღუდულს; თბილისში მიტინგის დარბევის წინა დღეებში მთლიანად ძალადობის სკამზე გადაჯდა. პატიაშვილი მაინც ფაფხურობდა, მაგრამ მას არაფერი ეკითხებოდა. თბილისის ამბებზე პოლიტბიუროდან მიმაგრებულ შევარდნაძეს კი ირონიულად ეღიმებოდა, თუ რამ არასასიამოვნო მოხდებოდა, ჯუმბერ პატიაშვილი ზვარაკად ჰყავდა, მასზე ხელებს იოლად შეიწმენდავდა, თანაც, სასტიკად განაწყენებული იყო და...

მიტინგის დარბევის წინ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მოუწოდა მომიტინგეებს, დაშლილიყვნენ, — არ დაუჯერეს. ისეთი სიტუაცია იყო, რომ ვინც გინდა გამოსულიყო არ დაუჯერებდნენ. საქართველოს ხელისუფლება მიტინგის დარბევის შეჩერების საქმეში მთლად უსუსური იყო. ჯუმბერ პატიაშვილის მომიტინგეების წინაშე გამოსვლას შედეგი არ მოჰყვებოდა, შეიძლება პირიქით მომხდარიყო, მის მიმართ პროვოკაციის მოწყობა გამორიცხული არ იყო, რასაც საზარელი სისხლისღვრა მოჰყვებოდა.

მიტინგის დარბევის ღამეს, თბილისის აეროპორტში საიდუმლო თვითმფრი-

ნავი დაჯდა, რომელზეც საქართველოს სუკის მაშინდელი უფროსი გივი გუმბარიძე ავიდა. დარბევის მონაწილე გენერლების განცხადებით, იმ თვითმფრინავში ედუარდ შევარდნაძე იჯდა. მან კი ქოჩორი დაიგლიჯა, დარბევის შესახებ არაფერი ვიცოდიო. გორბაჩოვმაც, ყოველ საკითხს თბილისის ამბების შესახებ შევარდნაძეს რომ უთანხმებდა, თავი გამოიდო, დარბევის შესახებ არაფერი ვიცოდიო. მათი ლოგიკით გამოდიოდა, რომ რომელიღაც ეფრეიტორმა გასცა დარბევის ბრძანება.

მომიტინგეები დააწიოკეს. იყო მსხვერპლი... მეორე დღეს თბილისში კომენდანტის საათი გამოცხადდა. პოლიტბიუროდან ამ საქმის გასარკვევად მთლად „უცოდველი" ედუარდ შევარდნაძე გამოგზავნეს. მანაც შეიცხადა, ვაი, რა მომხდარაო, ნიანგის ცრემლები ღვარა. ხალხი კი პატიაშვილს ემდუროდა და წყევლით იკლებდა. კომისიაც შეიქმნა მიტინგის დარბევის საქმის შესასწავლად, მაგრამ დარბევის ბრძანების გამცემი თითქოს, ვერ მოძებნეს; პოლიტბიუროდან კი იფიცებოდნენ, ჩვენ არაფერი ვიცოდითო.

ყველაფრისგან „განწმენდილმა" შევარდნაძემ პატიაშვილი აიყოლია და რამდენიმე შრომით კოლექტივს შეახვედრა მარტო პატიაშვილს რომ სდებდნენ ბრალს; შევარდნაძეს კი ჩვეული ღიმილი უწყნარებდა უცოდველობას ამოფარებულ სულს. ცოდვადაბრალებული ჯუმბერ პატიაშვილი თავისი განცხადებით გადადგა.

საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველ მდივნად უხერხემლო და უნდილი, საიდუმლო თვითმფრინავში ინკოგნიტოდ რომ შევიდა, ის სუკის თავკაცი დანიშნა ედუარდ შევარდნაძემ, თბილისში კომენდანტის საათი გააუქმა და ამით თბილისელები დიდად დაავალა. წარმატებული ილეთით კმაყოფილი ჩაჯდა თვითმფრინავში და ჩვეული ღიმილით სინდისდაწყნარებული მოსკოვში გაფრინდა.

ცხრა აპრილი სულაც არ იყო 1956 წლის ცხრა მარტი, როცა მომიტინგე ახალგაზრდები განურჩევლად და დაუნდობლად დახვრიტეს, რომელთა რაოდენობა დღემდე ზუსტად არ არის ცნობილი. დახვრეტას შემდეგ კი რეპრესიები მოჰყვა და მრავალი მონაწილე დააპატიმრეს. შედეგად მთავრობის მოფერებას და თავზე ხელის გადასმას მიჩვეული ინტელიგენციის მიერ იმ მომიტინგეთა საქციელის მაღალი ტრიბუნიდან დაგმობა მოჰყვა. ასეა, ბევრია სასარგებლო ამინდის მოტრფიალე. დიდია სურვილი მეტიჩარა დემაგოგთა მასაში გმირისა და თავდადებული მებრძოლის სახელის მოხვეჭისა, თუ მათ ამგვარ მოქმედებას არასასურველი შედეგი არ მოჰყვება, პირიქით, სასარგებლო ნაყოფი შეიძლება გამოიღოს თუ სიტუაციას სწორად აუღო ალღო. ამგვარად შეიძლება უსირცხვილო, თავცანცარა, ყბედი ადამიანი პოლიტიკოსად ან ძალიან აქტიურ წევრად გამოცხვეს გზაჯვარედინზე მყოფი საზოგადოებისთვის.

ასე მოხდა ახლაც: ჯერ გაყუჩდნენ, შეეშინდათ რეპრესიებისა, მაგრამ რომ დაინახეს, რომ მოსკოვიდან ქანჩების მოშვების პოლიტიკა გრძელდებოდა, ჭექა-ქუხილის და თავსხმის შიშით სოროში შემძვრალი მეღროვენი, რომელთაც თამამად შეეძლოთ ცხრა აპრილის აქციის მონაწილენი ლანძღვა-გინებით აეკლოთ ხელისუფლებიდან ცხიმიანი ლუკმის დამსახურების იმედით. ახლა, როცა დამბლადაცემული ხელისუფლების და მისი ლანძღვა მომგებიანი იყო, იოლი წარმატების მაძიებელთა ბრბომ ხელისუფლების ლანძღვა-გინებით და ეროვნული მოძრაობისთვის თავდადების მოჩვენებით დაიწყო პრივილეგირებულად მიჩნეულ პარტიებში გაძრომა, რამაც თავისი ეგოისტური კარიერისტული, წმინ-

და პიროვნული განდიდებისთვის ლტოლვის კვალი დააჩნია ეროვნულობას, სამშობლოსთვის თავდადებას და საკუთარი თავის კეთილდღეობისთვის ზრუნვა დაუტოვა მხოლოდ.

## ძირს იმპერია

**მათეს** სუკის დილეგის კოშმარულმა განცდებმა თავისი მძიმედ გადასატანი და პერმანენტულად მოქმედი ნერვების გამათხელებელი კვალი დააჩნია. უსამართლობამ, რომელიც განიცადა და რომლის სამყაროშიც აგრძელებდა ცხოვრებას, სიცოცხლის სიყვარული და სიმართლისთვის დაუცხრომლად მებრძოლის შემართება მოუდუნა. უსამართლობა საშინელი მახრჩობელა გველის შემოხვევას ჰგავდა, რომელსაც ვერაფრით დაუძვრები და არც არავინ გყავს მშველელი. ხსნა მხოლოდ ერთშია, შეეგუო მის პარპაშს და შეურაცხყოფილის დამცირებული ყოფა იტვირთო; ეს არის ბეჩავი სიცოცხლის გადარჩენის ერთადერთი საშუალება. მათე კი არ ეგუებოდა ამას. სუკის დილეგის მოგონებები გამოაქვეყნა და უზომოდ გაანაწყენა მთავარი ბღენძის ბუნაგის მკვიდრნი. ბედის ნებიერ დამნაშავეებს საშინლად სძულდათ ის, ვინც მათ მხილებას გაბედავდა. დაუნდობლობაც თავიანთი ჭკუის, მიზნებისა და ღვარძლის შესაბამისი ჰქონდათ. მათეს დევნა დაიწყეს, როგორ გაბედაო სიმართლის თქმა. ცნობილი მეთოდით საქმის შეკოწიწებას შეუდგნენ და მძიმედ დაავადებული მეუღლე ერთხელ კიდევ შეუშფოთეს. ინანა მათემ მომაკვდავი მეუღლის კიდევ ერთხელ გამწარება და ბრძოლად შემართულმა ხელები ჩამოუშვა. ძნელია, როცა მარტო ხარ და ოფიციალური ხელისუფლების მიერ მოყრილი ნაგავი შენი ჰგონიათ უვიცებს. მაგრამ, როცა მეუღლე გვერდში გიდგას, მაშინ თავი უძლეველი გგონია. მათეს კი მეუღლეც ხელიდან ეცლებოდა.

ძალიან ბევრი გახუნდა. საამხანაგოდ და ნორმალური ურთიერთობისთვის აღარ ვარგოდნენ, — გზაც იქით ჰქონიათ. ასიდან ერთმა რომ გაგიმართლოს, ბედნიერად ჩათვალე თავი, — იტყოდა ხოლმე განუკითხაობის საშინელ ქარტეხილში ნამყოფი მათე. მხოლოდ განუყრელი მეგობრები: კოტე — კულტურის პარკის დირექტორი და ეგერი ომარი არ სცილდებოდნენ გვერდიდან. ისინი მიეხმარნენ საშინელ კოშმარულ განცდებიდან თავის დახსნაში. მიეხმარნენ, ეს სიტყვაც პირობითია, რადგან იქ ნაგემები სულის შემხუთავი განცდები საფლავის კარამდე მიჰყვება მის მსხვერპლად ყოფილს; თანაც მეუღლის ავადმყოფობით შეშფოთებულს ხშირად ეუფლებოდა კოშმარული განცდა.

ახლაც ომარმა და კოტემ სახლში მიაკითხეს, ისაუბრეს; ზოგი რამ წარსულიდან გაიხსენეს, გამხიარულდნენ, გაიცინეს. მათეს სახლიდან გამოსვლის სურვილი არ ჰქონდა, ძმაკაცებმა დააძალეს: — წამოდი, მიტინგია, შორიდან სეირს ვუყუროთ, ვნახოთ, რამდენი გიჟი, ორპირი და დარეხვილი ამშვენებს ჩვენს არეულ ყოფასო. პატარა ქალაქის მოედანზე გავიდნენ. განაპირებით მაღალი, კვიპაროსის ხესთან გაჩერდნენ, აქვე ჯგუფებად იდგნენ სხვა სასეიროდ მოსულნი.

რომ დაანგრიო მკვიდრად ნაგები შენობა, უნდა იცოდე, საიდან დაიწყო მისი დაშლა. საძირკველში ჩასხმულ, მაგარ, მასიულ რკინა-ბეტონის მტვრევას რომ შეუდგე წერაქვით და ძალაყინით, დაგაწყდება ხელები და შემოგემტვრევა ნგრევის იარაღი, რკინა-ბეტონს კი ვერაფერს დააკლებ, რამეთუ შენობის დანგრევის შემდეგაც დარჩება იგი არსებული კეთილშობილი ნაგებობების უტყვ

მოწმედ. დანგრევასაც ცოდნა სჭირდება, თუმცა, მშენებლის ცოდნასთან შედარებით, მნგრეველის ცოდნა ისეთი პრიმიტიული და ერთუჯრედიანია, როგორც უფლის ამაღლებულ, უწმინდეს, სულის გამაკეთილშობილებელ კაცთმოყვარეობასთან ფარისეველთა ოინბაზობა...

ამ დროს გამოჩნდა თავტყირპიანი ბედოვლათი, უტვინო მესაათესავით რემონტი აიტეხა და ჩამორჩენილი ქვეყნის „აჩქარება" და „პერესტროიკა" მოინდომა. ყალბი მიეთ-მოეთით გაბრუებულმა ალკოჰოლიანი სასმელების აკრძალვა, ვენახებისა და მევინეობის გაჩანაგება დაიწყო, რის შედეგად ქვეყანამ მძლავრი ეკონომიკური დარტყმა მიიღო. ახლა დასავლეთის კაპიტალისტების ქებამ, მათკენ ლტოლვამ და კუდის ქიცინმა შეურყია სკამი, მიხვდა, რომ უკვე გვიან იყო, მომაკვდავი სხეულის გაგლეჯა, გაფატვრა, საერთო-სახალხო ქონების განიავება ძალაში შესულიყო.

მოღალატეთა მიერ საფუძველშერყეული კომუნისტური პარტია თავს ვეღარ იმაგრებდა ქვეყნის საჭესთან. რაიკომის მდივნებს პოსტებიდან კინწისკვრით ერეკებოდნენ. ხალხი რაღაც აზარტულ თამაშს აყოლილივით ყოველდღე მიტინგზე სეირის საყურებლად გამოდიოდა.

მთელი თვე მიტინგი მიტინგზე ეწყობოდა. ქიზიყის პატარა ქალაქში ხელმძღვანელობას ბრალდებას ბრალდებაზე უყენებდნენ, რომელთა აღვირახსნილმა საქციელმა ხალხისათვის სასიკეთო მოძღვრება და ცხოვრება შეაძულათ.

რაიკომის მდივანი უკვე კარგა ხანია გაპარული იყო. მის ადგილებზე მომიტინგეებმა სხვა რაიკომის მდივანი დასვეს ფორმალურად შეკრებილ რაიკომის პლენუმზე. პარტიის ხელმძღვანელის ძალა სწრაფად სუსტდებოდა, ზევიდან მხარდაჭერის გარეშე დამბლადაცემულს ჰგავდა. მომიტინგეები კი ჯერ ფრთხილობდნენ, გიგანტი ძილ-ბურაში არ იყოს და ძველებურად არ წამოიმართოსო. წუთისოფელი კი მათ სათამაშოდ ატრიალებდა ჟამთასვლის ბორბალს.

სადღაც, იორზე ხე მოჭრეს და მის ადგილზე საზამთროს ბაღი გააშენესო, — რამდენიმე მიტინგი მარტო ამ „ეკოლოგიურ კატასტროფას" მიუძღვნეს, ვიღაც, ხელმძღვანელობაზე განაწყენებული, გადამღები კამერით წავიდა და სადღაც რამდენიმე მოჭრილი ტოტი გადაიღო. სწორედ ამ პერიოდში უამრავ წყალსაცავებთან კარვები გაეშალათ და მუშებს საშუალებას არ აძლევდნენ, უზარმაზარი ტერიტორიების გასარწყავიანებისთვის ემუშავათ. საქართველოს დაბეჩავება და სარწყავი სისტემების ძარცვა ფეხს იდგამდა.

დამბლადაცემული ხელისუფლება სიტყვის თქმას ვეღარ ახერხებდა. მილიცია, თავის ტერიტორიაზე შეკეტილი, ზემოდან დავალებას ელოდა. იქ, ზემოთ, უყურადღებოდ მიტოვებულებს საკუთარი თავი გასჭირვებოდათ. შეიარაღებული, წვერგაუპარსავი კრიმინალები არაფორმალებს თუ ეროვნულ მოძრაობას მიტმასნებულნი, მილიციას თავს ესხმოდნენ და იარაღს ართმევდნენ, რამეთუ მას ხელის გაქნევის უფლება არ ჰქონდა.

ქაოსი დუღდა, წვერმოშვებულთა თარეში ძალაუფლებას ეპოტინებოდა. ვისაც თავში ერთი მწყერი მაინც ჰყავდა, აუცილებლად წვერს უშვებდა. წარმოიდგინეთ, რამხელა წვერი ექნებოდა მრავალ მწყერიან თავს.

იყო ჟამი უამრავი პარტიის გამოჩეკისა. კრუხად კი ქაოსი, ანარქია, ყაჩაღობა, ძარცვა და ქვეყნის უბედურების როკვის დასაწყისი იჯდა. თუ ვინმეს სადმე ხელი მოეცარა, ან განაწყენებული იყო კაცზე თუ კაცურ სინდისზე, უფრო მეტი კი ამ ქაოსში პრივილეგირებულ მდგომარეობის მოსაპოვებლად მიტინგების თუ პარტიების აქტივისტებად იქცნენ. დუღდა მორევი განუკითხაობისა და

შიგ პატიოსანი კაცი იძირებოდა. იმ არეულ, ამღვრეულ მასაში ძნელდებოდა ერისთვის პატიოსნად მებრძოლის საქმე.

მიტინგზე თანდათან უფრო რადიკალური საკითხები დგებოდა. კომუნისტურ პარტიას არავითარ ანგარიშს აღარ უწევდნენ, რომლის რიგებიდან ადრე პრივილეგიების მოპოვების მიზნით შემძვრალი მედროვენი გარბოდნენ და ახალ, არეულობით გამძლავრებულ პარტიებში მიძვრებოდნენ. თავის დროზე ნაყიდ მანდატებს კი საქვეყნოდ ყრიდნენ.

ხალხი დაიღალა. მიტინგებზე გასართობად მისულთა ნაკადმა იკლო. თუ პირველად დიდი ინტერესით და მონდომებით ესწრებოდნენ ადრე აკრძალულ ამ უცნაურ სანახაობას, ახლა მომაბეზრებელი გახდა მომძლავრებულ წვეროსანთა უთავბოლო, ღვარძლით შეზავებული, ერთი და იგივე ზღაპრების თუ იგავ-არაკების მოსმენა. არადა, მიტინგების ორგანიზატორებს უფრო მეტის სურვილი უჩნდებოდათ.

იმ დღესად მიტინგი იყო დანიშნული. დიდ ოთახში, სადაც შტაბის წევრები შეკრებილიყვნენ, პაპიროსის კვამლი ნისლივით ჩამოწოლილიყო. მაგიდაზე ქაღალდები არეულად ეყარა. ორი დიდი საყვავილე ქოთანი პაპიროსის ნამწვით თავმობმული მის გადამყრელს ელოდა. თბილისიდან ჩამოსულ წვეროსნებს ადგილობრივებიც უბამდნენ მხარს და დიდი ყაყანი შეექმნათ. მათ გაუთავებელ და არეულ-დარეულ კამათში ბოლოს იმ აზრის გამოტანა შეიძლებოდა, რომ მიტინგებზე დასასწრებად ბევრი ხალხი იყო საჭირო; ხალხი კი ბოლო დროს ძალიან მოკრძალებით ცხადდებოდა.

– ჩამოვუაროთ ყველა ორგანიზაციის ხელმძღვანელს, თუ ხალხი ვერ გამოიყვანეს, იქიდან გამოვყაროთ! – მუშტის ქნევით იმუქრებოდა თბილისიდან ჩამოსული წვეროსანი.

– სულ კინწისკვრით გამოვრეკამთ! – მხარი აუბეს ადგილობრივმა მამლობის მაძიებელმა ყვინჩილებმა.

– სამკერვალო ფაბრიკა გავაჩეროთ, მუშები აქეთ წამოვიყვანოთ, – ერთმა წინადადება წამოაყენა.

– მთელი თვე მიტინგებზე დაგვყავდა, ახლა დირექტორი შეგვეხვეწა, გეგმა ჩაგვივარდა, ცოტა ხანს შემეშვით, რაიმე ვაწარმოოთ, თორე ხელფასს ვერ გავცემო, – განმარტა მათ შორის ყველაზე საქმიანმა.

მთელი ოთახი აიშალა, აბობოქრდა, გამძვინვარდა, ეს რა გაუბედია იმ თავხედ დირექტორსო.

– წავიდეთ, სულ ცხვირ-პირი ვამტვრიოთ! ხელფასსაც გასცემს და ხალხსაც ყოველდღე მიტინგზე ატარებს. ჩვენ მაგათი მუშაობა არა გვჭირდება. უბრალოდ ბევრი ხალხი უნდა გვისმენდეს, თორე არც უმისოდ გვაკლია ძალა! – ყვიროდა ყველაზე გრძელწვერიანი.

– რა დროს მუშაობა და იმპერიული პროდუქციის წარმოებაა, ყველაფერს მოვსპობთ! ჩვენ არ გვინდა რუსეთი, არ მივცემთ ციტრუსებს, ჩაის, ღვინოს, „ბორჯომის“ წყალს! –ისტერიულად აღრიალდა პირზე დუჟმორეული წვეროსანი.

– დრო აღარ ითმენს, სამკერვალო ფაბრიკაში წავიდეთ; ხალხი გვჭირდება, – თქვა ერთმა ადგილობრივმა და ხუთნი ოთახიდან გავიდნენ.

ერთი საათი არ გასულა, მოედანზე სამკერვალო ფაბრიკის თანამშრომელთა ბრბო ღრიალით შემოიჭრა.

– ძირს იმპერია! გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს! – კიოდნენ ქალები და უხაროდათ, რომ იმ გაცდენილი დღის ხელფასს გადაუხდიდნენ. სულ

ახლოს იყო დრო სამუდამოდ რომ გაჩერდებოდა ფაბრიკა და მის გაძარცვულ საამქროებს „ძირს იმპერია!“-ს ძახილი ვეღარ უშველიდა.

მოედანი გაიჭედა. ადამიანები ყვიროდნენ, ხელებს იქნევდნენ, იმუქრებოდნენ, ტაშს უკრავდნენ, იცინოდნენ, ორატორი ორატორს სცვლიდა. ყველას ოვაციებით და აღფრთოვანებული ღრიალით ხვდებოდნენ.

– საქართველო დამოუკიდებელი უნდა იყოს! – მთელი ძალით გაჰყვიროდა ორატორი. – რუსეთი გვძარცვავს. ვის მიაქვს ჩვენი აუარებელი ქონება, ვის მიაქვს ჩვენი სიმდიდრე?! მარტო „ბორჯომი“ შეგვინახავს!

– „ნატო“-ს ჯარები უნდა მოვითხოვოთ. წავიდნენ რუსები, „ნატო“-ა ჩვენი ხსნა! – ქუხდა ორატორი. – ჩვენ შევქმნით ძლიერ, მუშტადშეკრულ საქართველოს ერთიანი ცენტრალური ხელისუფლებით. გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს! – გუგუნებდა ხალხი...

– ყველა ქალაქი, რაიონი, სოფელი დამოუკიდებელი უნდა იყოს. არავითარი ბრძანება არ გვჭირდება, თვითონ უნდა ვმართოთ ჩვენი ბედი. თბილისმა თავის თავს მოუაროს, ქუთაისმა, გორმა... და ეგრე ყველამ. არავის არავისი კარნახი არ სჭირდება. ეგრე იყო ძველ რომში, ყველა ქალაქი და სოფელი დამოუკიდებელი იყო და ზევიდან ვერაფერს უბედავდნენ. ერთიანი ცენტრი არ გვჭირდება, ყველა და ყველაფერი თავის ნებაზე უნდა იყოს. არ გვინდა არც „ნატო“ – არც ჩრდილოეთი და არც დასავლეთი. არავითარი ცენტრალური ხელისუფლება, ძველი რომივით უნდა ვიცხოვროთ. გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს! – დაამთავრა თავისი გამოსვლა წვერში ჩაკარგულმა ბანჯგვლიანმა თავმა და ბრბომ ღრიალით ჩაიწყვიტა ხმის იოგები.

– მაგ ჩემი ცოდვით სავსეს, ისტორია მაინც წაეკითხა ნორმალურად, რა ცილისწამების ღვარძლში გაახვია ძველი რომის იმპერია, – ღიმილით თქვა მოცილებით კვიპაროსზე მიყუდებულმა მათემ.

– რაც წინა ორატორმა თქვა, მომდევნომ საწინააღმდეგო იბჟუტურა, ეს ბითურები კი მომართულებივით ერთ ნოტზე ღრიალებენ. ამათში ნადირის ინსტინქტმა იმძლავრა და პირველყოფილი განუკითხაობით დასვრის ყველაწმინდას, – გულისტკივილით თქვა კოტემ.

– მაგათ რომ ჰკითხო, ზოგი ნაპოლეონია, ზოგი – ციცერონი და იულიუს კეისარი, ყველა კი ავლიპი ზურაბაშვილის პაციენტია. მკურნალობის გარეშე მაგათი დატოვება საზოგადოებას გიჟურ როკვაში ჩააბამს, – თავისი აზრი გამოთქვა ომარმა.

– დღეს ქართველები რომ გვქვია და ასეთი ნებიერები ვიყავით მთელს საბჭოთა კავშირში, რუსი ერის დამსახურება არ არის? თუ არა რუსეთი, ახლა ხომ გამარჯობის მაგიერ სალამ-ალეი-ქუმს უნდა ვიძახდეთ და წინდაცვეთილი დავდიოდეთ ქართული სიამაყისა და მადლდაკარგულები. განა შეიძლება ასეთი უმადურობა?! რუსზე საუკეთესო ძმა და მეგობარი მთელ ამხელა ქარცეცხლში გამოტარებულ ისტორიას რომ გადახედო, ვინ გვყოლია? აფერუმ ჩვენს უმადურობას! – კოტემ გაბრაზებით გადააფურთხა.

– რომ ვუფიქრდები, მეჩვენება, რომ ვიღაცის უხილავი ხელი ამღვრევს წყალს. რუსეთს უნდათ რომ შეგვაძულონ, რათა მერე იოლად დაგვაბეჩაონ. არადა, რუსეთთან მეგობრობის შემთხვევაში ამას ვერ მიაღწევდნენ. სატანამ ტვინი გადაგვიბრუნა. ახლა ღიმილით დაგვცინის და ხელებს იფშვნეტს ჩვენი გაპუტვის მოლოდინში, – დაასკვნა მათემ.

– დავანგრიოთ! მიწასთან გავასწოროთ! მოვსპოთ! გავანადგუროთ, რაც

ამათ შეუქმნიათ! – განსაკუთრებული მონდომებით გაჰკიოდა კაფანდარა ორატორი, თითქოს უნდოდა, ბრბო დაერწმუნებინა თავის დაუნდობლობაში? შემომხედეთ, დამინახეთ, როგორი ენერგიით ვუტევო კომუნისტობას.

– გუშინ ჯერ კიდევ ყოყმანობდა, კომუნისტობის მობრუნების იმედი ჰქონდა და პარტბილეთს სათუთად ინახავდა. ახლა კი ყველაზე ღვარძლიანად ლანძღავს, არაფორმალებში ავტორიტეტი რომ მოიპოვოს, – ჩაილაპარაკა კოტემ.

– ყველაზე ლორწოიანი ბიუროკრატი და მლიქვნელი იყო კომუნისტთა შორის. პარტიას სწორედ მაგის მსგავსებმა გაუტეხეს სახელი. ახლა იმავე ფოჩიანი კუდით და მლიქვნელის ლორწოიანი სულით შეძვრება მომრავლებულ წვეროსნებში. ვაი ჩვენს ყოფას! – ამოიოხრა ომარმა.

– ეგ ვალერიან ვახახიშვილი არ არის, პროპაგანდის განყოფილების უფროსი? წვერიც მოუშვა. ღმართო ჩემო! რამხელა გველაძუა ყოფილა! – გაკვირვებისგან თვალები გადმოკარკლა მათემ.

– განა მარტო ეგ? უსინდისოთა და ნაძირალათა ბაირამობაა დღეს, რა ეშველება პატიოსან კაცს?! – კოტემ შუბლზე შემოირტყა ხელი.

– ძირს იმპერია! – რაღაც სმენის მჩხვლეტავი, საშინელი წვრილი ხმით წიწინებდა იქვე მდგომი სამკერვალო ფაბრიკის აქტივისტი ქალი. ბიჭებმა ყურებზე ხელები აიფარეს.

– ჩვენ ეგ ლექსი უკვე ვიცით, „ძირს იმპერია" იქით არის, – ომარმა ტრიბუნისკენ მიუთითა.

ბიჭებს გაეცინათ.

– თქვენ იმპერიის დაშლა არ გინდათ?! – პირმრგვალი, ლოყებჩაწითლებული, ჩაკუპატებული ქალი ბიჭებთან მიიჭრა.

– გვინდა, როგორ არა, გენაცვალე, ჯერ ხომ შენ ანგრევ. მაგნაირ შეხორცების ქალს არა მგონია გაგიჭირდეს, თუ საქმე შეფერხდა, დაგვიძახე, და შუბლის გასაგრილებლად ტილოს მოგართმევთ, ჩასველება კი შენზე იყოს, – ბრაზიანი ღიმილით შეანელა ნათქვამი კოტემ და ზურგი შეაქცია:

ქალი გაწბილდა, აღრიალებულ ბრბოს მიაჩერდა, – „ძირს იმპერია"-ს ბალნიანი ორატორის აკომპანიმენტად რომ გალობდა. ეს რა გაუბედეს, ერთი შეუძახოს და გაათელინოს ეს თავხედები თუ იმპერიის აგენტები.

– თქვე სუკ-ის აგენტებო, მე მოგივლით! – დაემუქრათ და ხალხისკენ მიბრუნდა.

– შენს თავს მოუარე, ტანწერწეტავ, თორე ხომ შეიძლება ისე გასივდე, საწოლში ქმრის ადგილი აღარ დაგრჩეს. „ძირს იმპერიით" არა მგონია, ის დამფრთხალი ქმარი მოაბრუნო, – გააფრთხილა კოტემ.

– ქმარი სადა ჰყავს, იმიტომაც თამამად იკავებს ორსაწოლიან ადგილს, – შეეპასუხნენ იქვე ნეიტრალურ ჯგუფად მდგარი, მიტინგის სასეიროდ მოსული ბიჭები.

ქალი მოხულიგნო ბიჭებს მიუბრუნდა:

– ხომ არ გინდათ, ამ ხალხს შევუძახო და თქვენი ბუმბული ვაპენტინო?!

– ეჰ, ტასიკო, დღევანდელ არეულობას რა ვუთხარ, იმპერიის დასანგრევად რომ გაცდენს. ის დრო არ სჯობდა, სათითაოდ რომ გვეპატიჟებოდი ხავერაში? აბა, შენნაირ ვნებააშლილ ძუკნას ეგ კაფანდარა ბალანაშლილი დააგრილებს?! – ბიჭები ტასიკოს გამასხარავებით იმშვიდებდნენ წვეროსანთა განუკითხაობით აშლილ ნერვებს.

ტასიკომ წივილი მორთო: – მოდით, ეს შემოგზავნილი მოღალატეები გასრისეთ!

– აქ შენი გასიებული საჯდომი, იქ კიდევ იმათი დედა!.. თუ არ მოკეტამ, რაც დაგემართოს, იმპერიას დააბრალე! – ბიჭებმა ტასიკო სერიოზულად გააფრთხილეს.

რამდენიმე ქალი იმპერიის დანგრევას არცთუ დიდი ენთუზიაზმით რომ აგალობებდა, ტასიკოსთან მივიდა და გაცეცხლებული დედაკაცი იმპერიის ნგრევის მოღრიალეთა გუნდში ჩააყენეს.

მიტინგი კი ბობოქრობდა. ორატორი ორატორს სცვლიდა. იქვე, ტრიბუნასთან სიტყვაში გამოსვლის მსურველთა რიგი იდგა. საქმე მოსწრებაზე იყო, ყოველ შემთხვევაში, სიტყვაში გამოსვლის მსურველებს ასე ეგონათ. ვინც მაგრად, ღვარძლიანად, ბოროტად გალანძღავდა უკვე დასამხობად გადაქანებულ ხელისუფლებას, ახალ მთავრობაში თუ პრივილეგირებულ პარტიაში მოხვედრის გარანტიას ელოდა. ყველაზე აღვირახსნილად სწორედ ეს ნაკომუნისტარი თუ ჯერ ისევ კომუნისტები, მოხვეჭის მიზნით რომ შეძვრნენ პარტიაში, აფრქვევდნენ ღვარძლს, საწინააღმდეგოდ მიმავალ ეშელონში თბილი და რბილი ადგილის მოპოვების სურვილის გარდა, არაფერი რომ არ ამოძრავებდათ. მათთვის ყველაზე მთავარი და სასურველი ქონების მოხვეჭა იყო. არც სინდისის ფეთქვა არ აშფოთებდათ, რამეთუ გუშინდელი ქადაგების საწინააღმდეგოდ დღეს ისე ხმამაღლა და თამამად გაჰყვიროდნენ, თითქოს მთელი თავიანთი სიცოცხლე ერთი მიზნის მიღწევისთვის ბრძოლაში გაეტარებინოთ.

ხალხი ღმუოდა, დრტვინავდა; ბოღმა, ბოროტება და ღვარძლი ღვარცოფივით მოდიოდა და კალაპოტი აღარ ყოფნიდა. ადამიანში გაღვიძებული ნადირის განუკითხაობა რბევის და ნგრევის ასპარეზს ითხოვდა. უგნურებას გონიერება, ნადირს ადამიანობა, სიგიჟეს სიმშვიდე და საღი აზროვნება მოეშთო.

ორატორი კი ბობოქრობდა, უფრო გაბედულ და თამამ მოქმედებას მოითხოვდა; მარტო ყვირილი და ღრიალი აღარ აკმაყოფილებდა. ძალუმად მოშვებულ წვერზე დორბლი ეყრებოდა, მაგრამ ხელებს მის მოსაწმენდად არ ეცალათ, ჰაერში უთავბოლო ქნევით უხილავ მტერს დაეძებდნენ. აგერ მტერიც, რაიკომის შენობა. ორატორმა ჰაერში მობოდიალე ხელი ერთი მიმართულებით გაიშვირა და აღა-მაჰმად ხანის ხმაზე დაიჭყივლა: – დავარბიოთ მაგათი ბიბლიოთეკა!

შეჯდა გაბოროტება ბიბლიოთეკაში და განწირული მსხვერპლის წივილივით გაისმა მსხვრევის და მტვრევის ხმა; მალე მას დაფხრეწილი, დახეულ-დაგლეჯილი წიგნების ფრიალ-ფრიალი მოჰყვა.

– ჰიტლერმა პირველი სისხლიანი ნაბიჯები წიგნების ჭიაკოკონით გადადგა. როგორ წარმოვიდგენდი ამ ადამიანებს, ადრე ნორმალური აზროვნება რომ ამშვენებდა, ასე გადარევდა შხამი კაცთმოძულეობისა, – სინანულით თქვა მათემ.

მოედანზე ჭიაკოკონა აანთეს. მის გარშემო შეშლილივით როკავდნენ, ხახაში ახალ-ახალ ლიტერატურულ შედევრებს აყრიდნენ.

– პარტკაბინეტის ბიბლიოთეკა ჰქვია, მაგრამ პარტიული ლიტერატურის გარდა, უნიკალური მხატვრული, მეცნიერული და პუბლიცისტური ნაწარმოებები ინახებოდა. ეს ხომ საკუთარი გონების კასტრირებაა. თუ ყველგან ასე გაანადგურეს ბიბლიოთეკები, მაშინ ვინ ვყოფილვართ ჩვენ?! – გულისტკივილით ამბობდა მათე.

დარბევის ჟინით შეშლილმა სახის ნაკვთებმა ახლა კოტეზე გადაინაცვლა და მისი თვალებიდან გაშმაგებულმა ვეფხვმა გამოიხედა. ერთ დამრბევს შეუტია...

– რას სწვავ, იცი?! – კოტე ღრიალებდა.

კაცი დაიბნა.

წიგნების დარბევა შეჩერდა. ზოგმა დასაწვავად გამზადებული წიგნებიანი ხელი ზურგს უკან დამალა; უფრო თამამნი იმ კაცს ამოუდგნენ და კოტეს შეუტიეს:

– რას გვიშლი, სუკ-ის აგენტი ხომ არა ხარ? – მაგ შენობაში ნამყოფი ყველა წიგნი უნდა დაიწვას, თორე შავი ჭირივითაა, ყველას გადაედება! – ერთი თმაგაჩეჩილი ბიჭი შეედავა, მის სახეს ინტელექტის ნასახიც რომ არ ეტყობოდა და შუშის თვალებს აბრიალებდა; ნახევრად შეხსნილი პირით თავხედურ ღიმილთან ერთად უტიფარ უვიცობას აფრქვევდა.

კოტემ შეხედა და მაშინვე უსიამოვნო გრძნობა მოეძალა: „ღმერთო ჩემო! ნუთუ დაბადებიდან ასეთი იყო, თუ დღევანდელმა აღვირახსნილობამ დააჩნია თავისი გულისამრევი კვალი? – გაიფიქრა.

თავხედი ბიჭი კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა. კოტე დაიხარა და დაბლა დაგდებული წიგნი აიღო.

– ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა მესამე ტომი, – წაიკითხა. – ეს არის შავი ჭირი? – თქვა მშვიდად.

– შენ ილია ჭავჭავაძით ნუ გვაშინებ, იქ რაც წიგნები იყო, ყველა უნდა დაიწვას! – თქვა ბიჭმა და წიგნების ასაღებად დაიხარა.

კოტემ წიგნი ხელიდან გამოსტაცა.

– ლევ ტოლსტოი, – თქვა და გადაფურცლა, – კაზაკები, პოლიკაშკა, დეკაბრისტები, – ხმამაღლა წაიკითხა და ბიჭს ჰკითხა: – აქედან რომელიმე თუ წაგიკითხია?

– რათ მინდოდა რუსულის კითხვა! – თავხედურად უპასუხა.

– იცი, რუსულმა ლიტერატურამ, კულტურამ, ხელოვნებამ, მეცნიერებამ და საერთოდ რუსმა ხალხმა რამხელა სიკეთე მოგვიტანა?! – დაუყვავა.

– რუსეთი იმპერიაა, იმათი არაფერი არ გვინდა; გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს! – პირზე დუჟის მოსვლამდე აღრიალდა.

– გაანებე თავი, ეს ბიჭი მართალია, ჩვენ რუსეთი არ გვჭირდება! – ორმოციოდე წლის კაცი გამოესარჩლა.

– შენ რაღა გეტაკა, ამხელა კაცს საქართველოს ისტორია არ გადაგიფურცლავს მაინც; ცოფი შპრიცით ხომ არ გაგიკეთეს?! – კოტემ შეუტია. – შენ ამ გადარეულებში მსუქანი ადგილის მონადირებისთვის მთელი ქართველობის ინტერესებს ჰყიდი! – უყვირა.

ბიჭი წიგნების ასაკრეფად დაიხარა, რათა კოცონში ესროლა.

– ადექ ფეხზე, – უყვირა კოტემ.

ბიჭი წამოდგა და ხელში რამდენიმე წიგნი აიყოლა.

– ვაჟა-ფშაველა, – კოტემ ხმამაღლა ამოიკითხა და ისევ გახელდა. ილია ჭავჭავაძის ტომი ასწია და ბიჭს თავში დაჰკრა. – იქნებ ეგრე მაინც გაიგო რამე! – დააყოლა.

ბიჭმა გასარტყმელად მიიწია, მაგრამ კოტემ დაასწრო, მუშტი დააჯახა და, თავის თანამოაზრეებს დატაკებული, წიგნიანად ასფალტზე გაიშხლართა.

მათე და ომარი მაშინვე კოტესთან გაჩნდნენ და წიგნებით დატვირთულებზე მუშტებით გაინავარდეს.

დამრბევები დასამალს ეძებდნენ. მოქაქანე ყბედებიდან გამოსარჩლება არავის უცდია. კოტე რომელიღაც ბანჯგვლიანს წვერით მიათრევდა, თან უყვიროდა: – შე წვინტლიანო, ბიბლიოთეკის დამრბევთა თავისუფალი საქართველო ვის რად უნდა!

უგუნურება გამხეცებით იყო ერთიანი. ახლა გამოფხიზლებული, გათითოკაცებული მყუდრო ადგილისაკენ მიილტვოდა. ნარის გლეჯა სხვისი ხელით არის საჭირო, თორე ხელების დასისხლიანება თბილი ადგილის მაძიებელთ არ აწყობთ.

კოცონი კი გიზგიზებდა. იფერფლებოდა ადამიანთა გონების, შრომისა და ნათელი აზრის ნაყოფი. გამხეცებულ უგუნურებას მკურნალი სჭირდებოდა, მაგრამ იგი არსად იყო.

## ქაოსი

**მათე** დია ცის ქვეშ ისე დადიოდა, როგორც საფლავის იდუმალების საშინელებიდან ამოსული, ცოცხლად დამარხული სულიერი სივრცეს ითხოვდა ამდენი ხნით კოშმარის ტყვე. იმ საშინელების გახსენება ფილტვებში ჟანგბადს აქრობდა, ჰაერი აღარ ჰყოფნიდა, კოშმარული უიმედობა იპყრობდა და სიგიჟის ზღვრამდე მიჰყავდა. ნევროზის ამგვარი შემოტევის დროს მათეს სიკვდილი ენატრებოდა, მაგრამ, ეტყობა, ისიც შორიდან უმზერდა და მისი ტანჯვით ტკბებოდა.

ტანჯვას მეუღლის ავადმყოფობაც უათკეცებდა. მძიმედ დაავადებულ მეუღლეს სიკვდილისკენ მიმავალი თვეები თითებზე ჩამოსათვლელად დარჩენოდა. ხედავდა მათე სიყვარულით და ბედნიერებით ნაშენები, სპეტაკი, ზნემაღალი, ადამიანთა მოდგმისადმი უსაზღვროდ შეყვარებული მისი ოჯახი, თავისი ერის და სამშობლოს ეს ერთ-ერთი მცირე ჯანსაღი უჯრედი, როგორ ისპობოდა, ინგრეოდა კარიერისტი ადამიანის მიერ მოთესილი ბოროტების, ღვარძლის, სიძულვილის სამსალით. რა ვუყოთ, მარტო მათე და მისი ტანჯული ოჯახი ხომ არ იყო ამ დღეში. ათასობით თავის თანამემამულეს დაუბალღამა სიცოცხლე კაცთმოძულე, ადამიანური თვისებების მორიელის ინსტიქტზე გადამცვლელმა ვაი ადამიანმა, ზოგი თუ მაშინვე მოსპო, ათასებს და ათი ათასებს დიდხანს გაჰყვებათ მისი შხამის მტანჯველი ზემოქმედება.

ხედავდა მათე თავის უბედურების ნელ-ნელა მომძლავრებას, მაგრამ ვერაფრით შველოდა, საშინელი განცდები უჰაერობით და კოშმარით აწამებდნენ, სიცოცხლე ჯოჯოხეთად ჰქცეოდა, ერთადერთი ხსნა უფლის რწმენა იყო. კოლონიაში დამზადებულ ვერცხლის ჯვარს მკერდით ატარებდა და კოშმარის ყველაზე მძიმე შემოტევას მისი დახმარებით ებრძოდა.

ქვეყნის უბედურების მთესველი საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად მოკალათებულიყო და თავის ნატარზე იქაც ნარ-ეკალს ამრავლებდა. უბედურების ფანტვას საქართველოდან უზარმაზარ ქვეყანაში გადაენაცვლა და მილიონთა ოჯახებში უცერემონიოდ მიძვრებოდა.

სწორედ ამ დროს საქართველოში შევარდნაძის სასურველი ნასუკარი გუმბარიძე ცეკას პირველი მდივნის სკამზე თავს ძლივს იმაგრებდა. ირყეოდა მოძალადეთა საბრძანებელი. ქვეყანაში დემონსტრაციები და მიტინგები დუღდა. ბოლო წლებში პარტიაში შემძვრალმა ვიგინდარებმა, პარტიის წევრობასაც ფულზე რომ ყიდდნენ. ხალხს თავი მოაძულეს. ფულზე ნაყიდი პარტიის ბილეთები კი გამყიდველ-მყიდველებმა ხალხის უბედურებაზე გადაცვალეს. ახლა სახალხო ქონებას დასეოდნენ და ყველაფერს ითვისებდნენ.

მასობრივი გამოსვლების მოთხოვნით საქართველოში ახალი უზენაესი საბჭოს არჩევნები დაინიშნა. კომუნისტური პარტია დამბლადაცემული იყო. მოს-

კოვიდანაც, ალბათ, ასე ჰქონდათ გადაწყვეტილი, რამეთუ პარტიას დამბლა იქაც საგრძნობლად დაუფლებოდა.

სუკის ნაუფროსალი გუმბარიძე ცეკას მდივნად იმდენად უუნარო გამოდგა, თავის ცხვირს იქით რა ხდებოდა, აზრზე არ იყო, ან იქნებ ასეთი ჰქონდა დავალება. გაყიდული, დაბინძურებული, კორუმპირებული და იდეის მოღალატე კომუნისტთა ზედა ფენა ძალაუფლებას თავისი ნებით თმობდა, რათა შემდეგში უკვე ნიღაბშეცვლილი, ნაძარცვი ხალხის ქონებით, კაპიტალისტებად და მემამულეებად მოვლინებოდნენ იმავე ხალხს, ახლა უკვე ლეგალურ მძარცველებად.

საქართველოს პრეზიდენტად გამოჩენილი დისიდენტი და დისიდენტების თავკაცი ზვიად გამსახურდია აირჩიეს. ეროვნული მოძრაობის დანარჩენი მონაწილენი საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით რომ მოჰქონდათ თავი, ახალ ხელისუფლებას დაუპირისპირდნენ. რა მოხდა? რატომ ებრძოდნენ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებას? აბა, მაშ როგორ, დამოუკიდებლობა და ყველა საკითხები, რომლებსაც ისინი აყენებდნენ, ხელისუფლებაში თავიანთი ყოფნისთვის უნდოდათ, თორემ რიგითი მოქალაქეები კომუნისტების დროსაც ხომ იყვნენ. ამგვარმა კარიერისტულმა ამბიციებმა უამრავი ქართველის სიცოცხლე და სისხლი მოითხოვა. ახლა ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ დაიწყეს გამოსვლები ადრე მისმა ყოფილმა თანამებრძოლებმა. ხუმრობა საქმე ხომ არ იყო ამ არეულობაში სასურველი პოსტის გარეშე დარჩენა.

ყველა ეროვნული პარტია თუ არაეროვნული ფუნქციონერი ახალ ლიდერს ეძებდა. ბევრმა თვალი მიაპყრო მოსკოვში უმუშევრად დარჩენილ, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა ნამინისტრალ ედუარდ შევარდნაძეს, საქართველოს კომპარტიის ცეკას მდივნობის დროს მის მიერ ჩადენილ დანაშაულზე გამსახურდიას მთავრობამ ბრალდება რომ წაუყენა და შორს აღარ იყო მისი დაპატიმრების სანქციის გაცემის დღე. თვითმფრინავის გამტაცებლების და, განსაკუთრებით, მოძღვარი თეიმურაზ ჩიხლაძის დახვრეტაზე ხომ უკანონობის და კაცთმოძულების სასწაულებს ყვებოდნენ. მოსკოვში შევარდნაძეს ამ საკითხზე გაესაუბრა საქართველოს ხელისუფლებიდან გაგზავნილი დომუხოვსკი. ედუარდ ამბროსევიჩმა პირველად იგრძნო თავი მის მიერ ჩადენილ ცოდვათა განკითხვის სიახლოვეს. წამებულთა სულები პასუხს ითხოვდნენ, მაგრამ თემიდა არ ჩქარობდა, პირიქით, სატანა უფრო საშინელ დანაშაულებათა ჩასადენად ამზადებდა თავის მსხვერპლს, ამქვეყნიური ბოროტებით მოპოვებულ კეთილდღეობისთვის მისთვის ჯოჯოხეთში სათრევად სული რომ მიეყიდა. უხაროდა, ედუარდ ამბროსევიჩს თბილისური არეულობა. არასასურველი საქართველოს პრეზიდენტის დამხობა ხომ მისთვის ამნისტიის გამოცხადების ტოლფასი იყო. შიში და სიძულვილი ერთმანეთს გადაენასკვა და შევარდნაძე გამსახურდიას დამხობის მსურველებს ჩაეხუტა. ქართველთა მიერ ქართველთა სისხლისღვრაში დაქუცმაცდა და დაკნინდა საქართველო. ეროვნული მოძრაობა ეგოისტურ ამბიციებად დაიშალა. გამარჯვებულმა მარიონეტებმა და კრიმინალებმა მოსკოვიდან შევარდნაძე ჩამოიყვანეს, სიამოვნებას გგვრის ქართველთა კვნესა და, აჰა, დატკბიო.

თუ დარჩებოდა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება, მაშინ ედუარდს ბორკილდადებულს მოუწევდა თბილისის მონახულება და თავისი ცოდვების, ახლა უკვე მართლმსაჯულების წინაშე, არ შერგებული საჭმელივით ამონთხევა. მაგრამ ახლა, ერის მოღალატეთა ხელშეწყობით, მოდიოდა ისევ ხელისუფლების სათავეში წამოსაჯდომად, მისი მცდელობით დანგრეულ და აოხრებულ თბი-

ლისში ნიანგის ცრემლების დასაღვრელად. ერთხელ ასეთი ცრემლები ხომ ღვარა ცხრა აპრილის ამბებით გაკვირვებულმა. შერჩა მაშინდელი მაქინაციები, ცხრა აპრილის ამბებიც მოქნილად გაასხვისა. თბილისში ქართველთა მიერ ქართველთა სისხლისღვრა, კანონიერი ხელისუფლების დამხობა სატანის ლოცვასავით შეერგო და ძალადობით, სისხლიანი გზით მოსული ხუნტის სათავეში უცოდველი თეთრი ყვავივით წამოჯდა.

მორჩა, შვებით ამოისუნთქა, მისი ცოდვების მომკითხავი ეროვნული ხელისუფლება დამხობილი იყო. ახლა აღარავინ მოეღავებოდა ახალი ტიპის ინკვიზიტორს მოძღვრის, თეიმურაზ ჩიხლაძისთვის საზარელი ძალადობით ანგარიშსწორებას – მისი უფლის რწმენის გამო.

იცოდა ედუარდმა უსამართლობა, ცილისწამება, თვითნებობა როგორ გაესაღებინა სიმართლედ, კანონიერებად და დემოკრატიად. ახლა უკვე ხუნტის მეთაურის ხელში იყო კანონიც და სამართალიც. იტყვის რაც უნდა, რაც აწყობს, მსმენელი დაიჯერებს თუ არა, ამას მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, ხმას არავინ იღებდეს, რადგან სიტყვის შებრუნება ან საწინააღმდეგო აზრის გამოთქმა ჯოჯოხეთის საგზურით იმუქრება. ხუნტაში უმრავლესობა ისეთი ადამიანები, კრიმინალები იყვნენ, ქართველთა სისხლით რომ ჰქონდათ ხელები დასვრილი. თვითონ კი, თითქოს არაფერ შუაში იყო, ის ხომ ჩრდილში იდგა, ის ხომ თეთრი ყვავი იყო შავ ყვავებში. მერე რა, რომ ისიც ყრანტალებდა და სხვებივით მყრალი უსამართლობის და სიცრუის მძორით იკვებებოდა. ის სხვები ხომ წვრილფეხობა იყო მთავარი ბოროტების მიერ გამოჩეკილი იმისათვის, რომ იმათზე შეეწმინდა ავხორცობის ნამოქმედარი. ეს ხომ პირველი შემთხვევა არ იყო, ბევრჯერ შერჩა თავისი უკუღმართი აზრებით ნაბარტყი ცოდვების მის შემსრულებლებზე შეხოცვა. კომუნისტური პერიოდის ძალადობა ხომ მისი დავალებით ხორციელდებოდა, უსამართლობის მსხვერპლთ მისივე შერჩევით ასმევდნენ მოძალადის მიერ მოგონილი სასჯელის სამსალას. მაგრამ როცა დასჭირდა და კინაღამ განკითხვის ჟამმა მიაკითხა, შეიცხადა, მე რა შუაში ვარ, აგერ ძალოვანი სტრუქტურები და სასამართლო. ცოტა მოგვიანებით, უკვე საქართველოში მეორედ დამკვიდრებულს როგორც დასჭირდა, სინდისი არც მაშინ გახსენებია, ანტიბოლშევიკური პათოსით რომ გაიძახოდა, „ბოლშევიკური შავი ჭირი აღარ განმეორდებაო“, თითქოს მთელი სიცოცხლე ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში გაეტარებინოს და ბოლშევიკების თავკაცად გამძვრალს საზარელი რეპრესიებით არ ჰქონოდა ხელები დასვრილი. ამგვარ „ფრთოსან სიტყვებს“ კარიერიზმით დაბნელებული სულით იგი მარჯვნივ-მარცხნივ ფანტავდა სატანის მიერ შეჩეჩებულ სარეველათა თესლივით.

„საქართველოში მზე ჩრდილოეთიდან ამოდის!“ – ისროლა ეს ლოზუნგი და თბილ ღუმელს მიფიცხებული კატის ინსტინქტით დაელოდა თავზე ხელის გადასმას, რასაც ნასიამოვნები კატის კრუტუნივით მიაყოლა რუსეთ-საქართველოს ტრაქტატის ორასი წლისთავის აღსანიშნავი რაღაც გამაოგნებელი ღონისძიებათა სამზადისი და მისი დამაგვირგვინებელი ცერემონიით მსოფლიოს გადარევის სურვილი. იმ დროს არ გაუმართლა. ახალ გენერალურ მდივანს საქმე უფრო აინტერესებდა, ვიდრე ცირკის ილუზიონისტის ილეთებს აყოლილი რესპუბლიკის ხელმძღვანელის ოინბაზობა. იმითაც დაინტერესდა, რა სახსრებით აპირებდა ამ თავაწყვეტილ აურზაურს. საღმა აზრმა იმძლავრა და ედუარდ ამბროსევიჩი მისი თვალთმაქცობის გამხელის საფრთხის წინაშე დადგა. სატანა კი თავის რჩეულს უყურადღებოდ არ სტოვებდა. ანდროპოვი მალე გარ-

დაიცვალა და კვლავ გაიღიმა უბედურებამ ტანჯული ადამიანების ძალადობით მოწამლულ ბედზე.

ასპარეზზე თავტყირპიანი ბედოვლათი გამოჩნდა და სატანამაც ედუარდ ამბროსევიჩს ამჯერად მის ნაფეხურებზე თავისი კვალის გასწორება დაავალა. ამ ვაგლახებს უზარმაზარი ქვეყანა თავზე ჩამოენგრათ უთავბოლობის, უვიცობის, ანგარების და სიმუხთლის აკომპანიმენტით, რასაც თან მოჰყვა უცხო სახელმწიფოების ხელმძღვანელთა ქება და ედუარდ ამბროსევიჩისთვის „მსოფლიო მნიშვნელობის პოლიტიკოსის" სახელის მიჩუქება ისე, როგორც ცირკის მასხარასთვის ნაპოლეონ ბონაპარტის ფორმის ჩაცმევა, როცა ამ მასხარას თავი ნამდვილად ნაპოლეონი ჰგონია, არენაზე გაჭიმული დადის მაყურებელთა ხარხარსა და გნიასში.

შეირყა საბჭოთა კავშირი და ედუარდ ამბროსევიჩმა კიდევ ერთი „ფრთოსანი სიტყვა" ისროლა, „საბჭოთა კავშირის ბოლო მოქალაქე მე ვიქნები"-ო. შეცდა „დიდი პოლიტიკოსი" პროგნოზირებაში, საბჭოთა კავშირის დაშლა ვერ წარმოედგინა და ეს სიტყვა ერთგულების ზეიმად ექცეოდა, ეგონა, არ გაუმართლა, ის ქვეყანა დაიშალა. მერე რა, სატანა უყურადღებოდ არ სტოვებდა უკულმა შებრუნებულ საქმეთა წაღმართად მოჩვენებაში. სიტუაციამ მოითხოვა და ახალ ნოტზე აჟღრიალდა: „საბჭოთა კავშირი მე დავშალეო". იცინის ცირკის არენაზე გამოსული მასხარას ნაპოლეონობით გამხიარულებული მაყურებელი, იცინის, მაგრამ ვერ ხვდება, რომ ეს მასხარა სატანის ღიმილით ხალხის უბედურებად ოინბაზობს...

მიტინგების დახვრეტა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ახლა უკვე ქართველები დაუზოგავად ხოცავდნენ მომიტინგე ქართველებს. ცხრა აპრილის დარბევამ ასე რომ აღაშფოთა ქართველი ხალხი და მისი ინტელიგენცია, ახლა პირში წყალჩაგუბებული ითმენდა ასეთ საშინელ, განუკითხავ, თავხედურ სისხლისღვრას. მოკლულების და უკვალოდ გამქრალთა სათვალავი არ იყო. ჯერ კიდევ ყველაფერი მხოლოდ იწყებოდა. შევარდნაძის საქართველოს ხელისუფლებაში მეორედ მობრუნება მეორედ მოსვლას დაემსგავსა; სისხლისღვრა და უბედურება ინერციას იძენდა. ღვარძლის მდინარე ყველაზე სისხლიანი დამპყრობელის სიძულვილით სამეგრელოსკენ მიგორავდა ანგარიშის გასასწორებლად მხოლოდ იმისთვის, რომ კოლხები ძალადობას წინ აღუდგნენ.

განსაკუთრებულია ქართველთა სიამაყე დიდგორის ომში ბრწყინვალე გამარჯვებით და უფრო ბრწყინვალე მისი შედეგებით. რა დიდია გულის ტკივილი, სევდა და სინანული გარნისის სამარცხვინოდ წაგებული ბრძოლის გამო, რომლის სავალალო შედეგები საქართველოს შეუხორცებელ ჭრილობად დააჩნდა. მაშინ მოღალატე ივანე მხარგრძელის მაგიერ სათავეში რომ ყოფილიყო სამშობლოსთვის თავდადებული, ნიჭიერი მამულიშვილი, ახლა საქართველოს ისტორია, გულისტკივილის და სინანულის გარეშე, შვებით წასაკითხი იქნებოდა.

საბჭოთა კავშირის მაღალგანვითარებული რესპუბლიკის შრომის ფერხულში ჩაბმული, თამამი, ამაყი, სტუმართმოყვარე, ყველა ერის და ეროვნების მეგობრად მიმღები, მოლხენილი ქართველი კაცი, მიუხედავად იმისა, რომ მაშინდელი კომუნისტი თავკაცისგან ბევრი სიმწარე იგემა, მაინც გამართული იყო. ხომ შეიძლებოდა ის, რაც ჰქონდათ, შეენარჩუნებინათ და ახალი კეთილდღეობა დამოუკიდებელ საქართველოს ბედნიერებად დაეშენებინათ, მაგრამ სატანა ამ კეთილშობილ ერს დროდადრო იობივით საზარელ გამოცდას უწყობდა. იმ კარიერისტის სახით ღალატმა ისეთი ხელმძღვანელი მოუვლინა საქართველოს,

რომ გარნისის ომის პერიოდის საშინელებას ახსენებდა.

შევარდნაძე თავისი ბოლშევიკობის პერიოდში რუსეთის ქებით და პოლიტ-ბიუროს წევრებთან კუდის ქიცინით ახერხებდა საქართველოში უბედურების თესვას. ახლა დამოუკიდებელი საქართველოს სათავეში სისხლისღვრით და კანონიერი ხელისუფლების დამხობის წყალობით მოსული რუსეთის ლანძღვით იწონებდა თავს, რამეთუ მოდაში იყო ეს, მის ირგვლივ მყოფ ანტირუსული ფსიქოზით დაავადებულ ვაი პოლიტიკოსებს ასწრებდა. დასავლეთის სახელმ-წიფოთა მეთაურებთან მეგობრობას იბრალებდა და ამით ხაზს უსვამდა თავის დემოკრატობას. ერეკლე მეორეს უწყრებოდა, მარტო ხმლის ქნევა იცოდაო. არადა, პატარა კახზე ნიჭიერი მხედართმთავარი, თავდადებული მამულიშვი-ლი და ბრწყინვალე პოლიტიკოსი, თუნდაც თავმოყვარე, იშვიათია, მაგამ ტოტ-ლებენს თავდადრეკილი ეხვეწებოდა თანადგომას, რამეთუ ამაში თავისი ქვეყ-ნის გადარჩენის გზას ხედავდა. ამან კი ერთი ომი წამოიწყო, ისიც საკუთარ ქვეყანაში, უნიათობით და ბეცი პოლიტიკით ხელში აღნებოდა საქართველო. როცა კაცი სატანის სამსახურშია და ამქვეყნიური ნებიერი ცხოვრება საკუთა-რი სულის ეშმაკისთვის მიყიდვით მოუპოვებია, იმისთვის არც ისტორიის გაკ-ვეთილებია და არც სამშობლოს სიყვარული. ამგვარი ადამიანი უბედურებაა სამშობლოს და ერის, რომელსაც ის ეკუთვნის. განსაკუთრებით დიდია უბედუ-რება, როცა ეშმაკისეული ქვეყნის სადავეს მოიგდებს ხელში, მაშინ კი ერის ყველა ჯანსაღი ძალების მობილიზაციაა საჭირო, თორემ სატანას და მის მსა-ხურებს არაერთი ხალხი აღუგვიათ პირისაგან მიწისა.

ადამიანის ხორცით ძეხვივით გამოტენილი მეტროს მატარებელი ნელ-ნელა შევიდა, ასევე გამოტენილ სადგურში. ხალხი ძლივს იმაგრებდა თავს, რომ მა-ტარებლის სავალ ნაწილში არ გადაშვებულიყო. კარები ძლივს გაიღო, მაგრამ სადგური ისეთი გატენილი იყო, რომ ხალხი ვაგონებიდან გამოსვლას ვერ ახერ-ხებდა. შიგ შემსვლელები კი თავგამოდებით აწვებოდნენ გამომსვლელებს. დახუთული ჰაერით სუნთქვა ჭირდა. დაბლები იხრჩობოდნენ, მაღლები გაჭყ-ლეტილ შიგნეულზე მოსთქვამდნენ. ესკალატორი უწყვეტ ნაკადად ეზიდებოდა ზესკნელის ჯოჯოხეთიდან ქვესკნელის ხორცსაკეპში უიმედობით გათანგულ ადამიანებს და უარეს უიმედობაში გასაგუდად ტოვებდა. ისენი შიმშილით, სი-ცივით და განუკითხაობით შებოჭილი მოსიარულე აჩრდილებად ქცეული ამაყი ერის დედაქალაქის ყოფილი ამაყი მოქალაქეები იყვნენ, დამოუკიდებლობისთ-ვის ბრძოლით უბედურებაში, მძარცველ, ეგოისტ, ვაი პოლიტიკოსთა დემაგო-გიის მოყვარულ ბურუსში რომ აღმოჩნდნენ. მოღალატეთა მიერ მოტყუებულმა პატარა ერმა იმდენი სისხლი დაღვარა, ბარე ათ დამოუკიდებლობას ეყოფოდა, ამან კი გზა მხოლოდ უბედურებისკენ გაიკვლია, რადგან წინ კარგად ცნობილი და გამოცდილი სიმუხთლე მიუძღოდა. დაღვრილი სისხლით და კვნესა-გოდე-ბით კი მისივე ჯიშის და ჯილაგის იუდა დანაყრდა. ხალხი სისხლისგან იწრი-ტებოდა, ყველაფერი დაღუპვისკენ მიექანებოდა.

ბავშვივით არტახებში ჩაჭედილ მათეს ვიღაცამ გულის კოვზზე თავი მიაბ-ჯინა, სუნთქვა შეეკვრა; ის კი, ალბათ, იგუდება. მათე მაღალია და თავაწეუ-ლად დგას; ნეკნების ღუნვა არაფერია, ჯერ სუნთქვას ახერხებს.

– გაიწიეთ, მიიწ-მოიწით, ადამიანი იგუდება! – ყვიროდა მათე. ხალხში ჩაჭედილს ხელი ვერ გაეტოკებინა.

მარტო მათე არ ყვიროდა, მთელს ვაგონში წივილ-კივილი და გოდება ის-მოდა. გარეთ უარეს დღეში იყვნენ ვაგონში შეღწევას რომ ცდილობდნენ.

– ძაბვის ვარდნის გამო მოძრაობა შეწყვეტილია, გთხოვთ, გაანთავისუფლოთ ვაგონები, – გამოაცხადა რადიომ.

ხალხი სამივე გაჩერებულ ესკალატორს მიაწყდა და ზლაზვნით ზევით გაემართა. დაძაბულობამ იკლო. გულის კოვზზე მიბჯენილი თავის მფლობელმა წაიჩოქა.

– ქალი გაიგუდა! – აღრიალდა მათე.

ყურადღება არავინ მიაქცია. ირგვლივ თავბრუდახვეული და დაოსებული ადამიანები ფუსფუსებდნენ. ქალს ხელი მოჰკიდა და გარეთ გამოიყვანა. მეტროს სადგური ნაომარ ველს ჰგავდა, ვისაც სიარული შეეძლო, ესკალატორისკენ მიმავალ ხალხს მიჰყვებოდა.

– მესამე დღეა საჭმელი ვერ ვიშოვე, არც გაზი და სინათლეა, რომ რაღაც მეღონა, – მოთქმის ტონზე ჩაილაპარაკა ქალმა.

მათეს ტვინში რომელიღაც უჯრედი აეწვა. ერი შიმშილით ისპობოდა, ქვეყანა უკან მიექანებოდა უარესი შიმშილისკენ და პარტახისკენ ისე, რომ შეჩერების არავითარი იმედი არ იყო. სიცოცხლე სისხლით, ცრემლით და უიმედობით ბრმავდებოდა. ღალატს უბედურება პანდორას სკივრით გამოეგზავნა. ეს ახალი პანდორა ღმერთების შექმნილი კი არა, ამ ხალხის სისხლი და ხორცი, კარიერიზმის და მომხვეჭელის გაუმაძღრობა შეყრილი, ჩრდილდაკარგული, სიცრუის და სატანურ ბოღვათა მჩხიბავი იყო.

ამ დამშეული ქვეყნიდან ვისაც შეეძლო, გარბოდა. ზოგი ტერორის, ბევრი ხელოვნურად მოგონილი ეთნოკონფლიქტების და პარაზიტთა გულისმოსაფხანად ატეხილ ძმათამკვლელი ამბიციების მსხვერპლი გახდა. თავისუფლებისთვის ბრძოლის სიყალბეშერეული ადამიანები ერთმანეთს წაეკიდნენ და ის ენერგია, ერის კეთილდღეობას რომ უნდა მოხმარებოდა, ერის უბედურებად იქცა. სატანის მოციქული კი ილიმებოდა ერთ დროს აყვავებულ და ბედნიერ ერზე გამარჯვებით.

აგერ ისიც, მიწის პირი, მეტროს სადგურთან მოჯარულ უბედურთა მასა და მასთან შეერთებული მეტროდან ამოსულთა გმინვა, გოდება და კვნესა.

მათე ისნის სადგურიდან ნავთლუღისკენ ფეხით მიდიოდა. მეუღლისთვის წამლები იყიდა, ახლა სიდედრისთვის ავტობუსზე უნდა გაეტანებინა. აუჩქარებელი ნაბიჯით მიუყვებოდა უკაცრიელ ტროტუარს. ჭადრების და ნაძვების ჩრდილები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. ქუჩაში ავტომატიანი ახალგაზრდები დათარეშობდნენ. დრო და დრო სროლის ხმა ისმოდა. დაუსჯელად მოთარეშენი ერთობოდნენ, ან ვიღაცას ანგარიშს უსწორებდნენ. მათეს ერთი რამ უკვირდა მხოლოდ, რანაირმა ჯადოქარმა დააბეჩავა, თუ ჰიპნოზის ტყვეობაში მოაქცია ქართველთა სიფხიზლე, რომ საქართველოში ერთხელ უკვე ნამყოფი უბედურების მთესველის ჩამოყვანას ასე მორჩილად ეგუებოდნენ. ედუარდ შევარდნაძე ყველაზე რადიკალური და დაუნდობელი კომუნისტი ისე ამართლებდა თავის კომუნისტობას, როგორც დომინიკანელი ეპისკოპოსი, პირსისხლიანი ინკვიზიტორი ტომაზო ტორკვემადა ქრისტეს სათნოებით და კაცთმოყვარებით ამაღლებულ მოძღვრებას. ახლა იგი, ეგრეთ წოდებული დემოკრატიის ნიღბით და კომუნისტობის გინებით აგრძელებდა საქართველოდან წასვლის შემდეგ გავსებული ღვარძლის პარკუჭის დაცლას.

ჟიგული წამოეწია და იქიდან სამი ავტომატიანი ახალგაზრდა გადმოვიდა. მათემ განურჩევლად შეხედა მათ და გზა განაგრძო.

– მოითმინეთ! – მიაძახა ერთმა და გზაზე გადაეღობა.

– რაშია საქმეა, ბიჭებო? – იკითხა მათემ.

– შენ გეძებთ, დამხობილი პრეზიდენტის მხარეზე იარაღით იბრძოდი, –

მიიღო პასუხი. – შემთხვევით გადაგეყარეთ, თორემ ვინ იცის, როდის გიპოვიდით, – დაუმატა.

მათე გულიანად ახარხარდა: – ოცდარვა თვე სუკ-ის დილეგში რანაირი ცილისწამება არ მიწვნევია, მეგონა, უარესს ველარ მოისმენდნენ ჩემი მრავლის გამგონე ყურები. ამგვარი სიცრუის შემთხზველი ძველი ცილისწამების გაუმჯობესებული მჩმახავი უნდა იყოს.

– მაშ, იარაღით არ იბრძოდი?

– გამსახურდიას პრეზიდენტობაში, ძველი ცოდვებით დამძიმებული პროკურატურა დასაჭერად დამდევდა სიმართლის გამოქვეყნების გამო. ზვიადი კი სანამ აზრზე მოვიდოდა, ირგვლივ რა ოინბაზები ეხვივნენ, ჩამოაგდეს კიდეც. მე არც ჩამოგდებულთან და არც ჩამომგდებელთან არავითარი საერთო არ მქონია; ჩემს ჭირთან ვარ შეჭიდებული.

– რა ვიცი, დაიჭირეთ და კომენდატურაში წამოიყვანეთო, ეტყობა, გითვალთვალებენ, – რაღაც სინანულის ტონით თქვა ერთმა.

– სუკ-ის დილეგში ცოტა ხნით მეც ვარ ნაჯდომი, ოცდარვა თვე გაძლება არ უნდოდა?! – გაუკვირდა ერთ მათგანს.

– ეტყობა, ჩემი გამოქვეყნებული მოგონების გამო დევნას აგრძელებენ. რა უნდა გაარკვიონ კომენდატურაში? – იკითხა მათემ.

– ეხ, კომენდატურა სიტყვის მასალაა, თორე ზედმეტი ლაილაისთვის ვის სცალია, ჩამოწერენ და მორჩა.

– ვინც მაგ ცოდვიან საქმეს გავალებთ, იცოდეთ, დრო მოვა და ყველა თავიანთ სისხლიან ავკაცობას თქვენზე შეიხოცავს. შენ, – მათემ ერთს საჩვენებელი თითი მკერდზე მიაბჯინა, – შენც და შენც, – იგივე გაიმეორა და ნარჩენების მიმართ, – საშინელ ბოროტმოქმედებად გამოგაცხადებენ, თვითონ კი ჩრდილში დარჩებიან, თუ სადმე საღი აზრი შეგრჩენიათ, დაფიქრდით ამაზე.

ბიჭები თავჩაღუნული იდგნენ.

– ახლა ერთ-ერთი გამომყევით, ავტობუსზე ქალი მელოდება, ავადმყოფისთვის წამლებს გადავცემ და მოვბრუნდები.

ბიჭები ყოყმანობდნენ.

– გაჰყე! – უბრძანა ორჭოფული ღიმილით ერთმა, ალბათ, მათ შორის, უფროსმა.

ავტობუსების სადგომს მიუახლოვდნენ.

– შენ აქ დამიცადე, წამლებს გადავცემ და მოვალ. უხერხულია ავტომატიანი ბადრაგით სიარული, – მათე პასუხს არ დაელოდა, ისე წავიდა.

ავტომატიანი ახალგაზრდა ადგილზე დარჩა, პირზე დამცინავი ღიმილით. „ხალხში შეერევა და ვინ იცის, საით მოკურცხლოს. ძალიან კარგად მიხვდა, რომ მაგის გასაღება გვაქვს დავალებული. ცოტა ხანს ვიდგები, ვითონ ვეძებდი და მერე უკან გავბრუნდები“, – ფიქრობდა და თანაც უხაროდა, რომ ამ ცოდვიანი საქმიდან თავს დაიხსნიდა.

მათემ ავტობუსს ველარ მიუსწრო, „ალბათ წავიდა სიდედრი, დავაგვიანე“, – გაიფიქრა.

უკან გაბრუნებულ ავტომატიანს მათეს ძახილი წამოეწია:

– მოიცა, ბიჭო, მოვდივარ!

გაკვირვებული მათეს მიაშტერდა: – შენ ისევ ჩვენთან მოდიხარ?!

– უპირობა და ღალატი არ მჩვევია, არც ლაჩრულად შენარჩუნებული სიცოცხლე მინდა! – მკაცრად უთხრა მათემ და წინ გაუძღვა.

ავტომატიანი ახალგაზრდა კი დანაშაულზე წასწრებული ბავშვივით უკან მისდევდა. ადგილზე დარჩენილებთან მივიდა: – ეს ვინ ყოფილა, კაცო! უკვე წასული იყო, გამოებრუნდი და უკან გამომეკიდა, – თავის მართლების ტონით მოახსენა.

– რა ვქნათ ახლა ჩვენ?– იკითხა მათემ.

პასუხი არავის გაუცია.

– ადამიანთა ამ ქვეყნად ყოფნა იმდენად ხანმოკლეა, ტანჯვა-წამებით სიცოცხლის თრევას აზრი არა აქვს. არც იმისთვის აქვს აზრი ბევრის მოხვეჭით პირუტყვს რომ დამსგავსებია, რამეთუ ჭამაზე და მოხვეჭაზე ნაგებ სიცოცხლეს მძორის მჭამელი არსების სუნი უდის; ერთხელაც იგრძნობს საშინელ სიმუხთლეს და მერე ვაი მის ყოფას. სიცოცხლეს კი ყველაზე უფრო ამქვეყნიური ცოდვის მტვირთველი ებღაუჭება, რადგან იმქვეყნად უფლის მკაცრ სამსჯავროს ვერ ასცდება. მაგრამ ცოდვიანს თავის მიერ ჩადენილ ცოდვათა კოშმარი უსწრაფებს სიცოცხლეს, რათა იმ ქვეყნად სამუდამოდ ჯოჯოხეთის მკვიდრად დატოვოს. ყველაზე ბედნიერი კი მართალი და სულით სპეტაკი ადამიანია, მისთვის ამქვეყნიური ხანმოკლე არსებობა იმქვეყნიურ სასუფეველში გრძელდება. მაგრამ ვაი, რომ მრავალნი ამქვეყნიურ ცთუნებას და გამხეცებას გახდომიან მსხვერპლად. ახლა თქვენ აირჩიეთ თქვენი გზა, მე რა უფლება მაქვს, შეგედაოთ. ან რას ჰგავს ქართველის მიერ ქართველთა ქლეტა. რა ნამუსით უნდა დალიოს ამგვარმა კაცმა სამშობლოს სადღეგრძელო?! – მათემ თავისი მონოლოგი დაამთავრა. ბიჭები კი ღრმად ჩაფიქრებული, თავჩაღუნული იდგნენ.

– ჩვენ რა ვიცოდით, მტერი უნდა მოისპოსო, გვითხრეს. შესრულების შემთხვევაში კი ჯილდოს შეგვპირდნენ, – თქვა იმათში უფროსმა.

– მოკლედ, მე ამგვარ საქმეზე წამომსვლელი არა ვარ, ისედაც უბედურება არ აკლია ჩემს ხალხს, – ერთმა ხელი ჩაიქნია და მანქანისკენ წავიდა.

– კარგად იყავ! – უთხრა უფროსმა. – ოღონდ იცოდე, სიაში ყავხართ და ისეთებიც მოიძებნებიან, განუკითხავად კაცის კვლა ქათმის დაკვლადაც რომ არ უღირთ. ფრთხილად იყავ, ნაწამები კაცი ყოფილხარ და მეცოდები.

სამივე მანქანისკენ წავიდა.

– მოიცადეთ, ბიჭებო! – მათემ ჯიბეების ჩხრეკა დაიწყო. რაც კი ფული ჰქონდა, სულ ამოიღო, უკანას წამოეწია და მუჭით ჯიბეში ჩაუჭყუნა. – წადით, ბიჭებო. და ამით თქვენი სულის გადამრჩენელი ანგელოზის დალიეთ.

ბიჭებს გაეცინათ.

– შენი სიცოცხლის გადამრჩენ ანგელოზსაც არ დავივიწყებთ! – მათეს ხელი დაუქნიეს და მანქანაში სიცილით ჩასხდნენ.

მათე ავტობუსების სადგურისკენ წავიდა. ჯიბეში კაპიკი აღარ დაიტოვა. ბევრი არ ჰქონდა, მაგრამ ბიჭებს საპურმარილოდ გასწვდებოდა. ახლა კი ავტობუსის ფულიც აღარ დარჩა. ნავთლუღის სადგურში დაიწყო ხეტიალი. ჯერ ვერ გადაწყვიტა, როგორც მოქცეულიყო.

– მათე! – უკნიდან ვიღაცამ დაუძახა, მობრუნდა.

– მათეს გაუმარჯოს! – გამხდარი, საშუალოზე მაღალი, მოხდენილი, ოცდაათიოდე წლის ვაჟკაცი მისკენ მიდიოდა.

– წარბა! შენ გენაცვალე! – გულის ძარღვიდან ამოიძახა, ორივე ხელი გაშალა და გადაეხვია.

წარბა უაღრესად ნაკითხი, მართალი, პირდაპირი და შეუპოვარი ჯერ კიდევ თვრამეტი წლისაც არ იყო, თანამდებობის პირის შვილთან ჩხუბი მოუვიდა, შეურაცხყოფილი მამა გადაეკიდა, არარსებული ქურდობა დააბრალა და

ციხეში გაუშვა. წარბა ახლა უკვე მართლა ნადირობდა თანამდებობით გაზულუქებულ არაკაცებზე. მისი ცხოვრების გამმრუდებელსაც წაამწარა ბოროტება. მაგრამ იმ ამბის შემდეგ ციმბირის ბევრი მკაცრი ზონა და რუსეთის ციხეები შემოატარეს. შავ სამყაროში დიდი ავტორიტეტი იყო, სიმართლით და პირუთვნელობით სცნობდნენ და აფასებდნენ. უყვარდა მათესთან საუბარი ლიტერატურაზე, ისტორიაზე, გეოგრაფიაზე, ყველაფერი აინტერესებდა და ცოდნას ღრუბელივით იწოვდა. კარგად ხატავდა, მათემ რომ ნახა და მოეწონა მისი ქრისტეს ჯვარცმა, რამდენიმე თვის მუშაობის შემდეგ წარბამ ეს ნაშრომი სავსებით მოულოდნელად მათეს აჩუქა. ძვირფასი ნახატი მათემ თავის საწოლ ოთახში დაკიდა, რომლის შეხედვა სულის სიმშვიდეს და სიცოცხლის უნარს მატებდა.

წარბამ იქვე სახინკლეში შეიპატიჟა. კოლონიის ამბები გაიხსენეს. დაღუპულთა შესანდობარი შესვეს.

– კოლონიაში ნამყოფი ბევრი დღეს ავტომატწამოკიდებული დადის, – თქვა მათემ, – შენც ხომ არ შემოგთავაზეს?

წარბამ იწყინა: – ავტომატგადაკიდებული ყაჩაღობის მკადრებელი ვარ მე? იქ ვინც არაკაცი და ნაძირალა იყო, იმათი ამინდი დადგა. საშინელ მხეცობას კადრულობენ, მაგრამ ყველაფერი დროებითია. რაც არ უნდა გახანგრძლივდეს ავკაცობა, დასასრული მისგან დატოვებული კვალის შესატყვისი ექნება. აუარებელი საშინელების გამოცდის შემდეგ ღრმად ვიწამე, რომ ეს ქვეყანა პატიოსანი, მართალი, სპეტაკი, კეთილი ადამიანის სატანჯველად არის მოგონილი. რომელი ადამიანური ადამიანის გული გაუძლებს იმას, რაც ჯუნგლების ძალადობად ქცეულ ჩვენს საზოგადოებაში ხდება! რა ვქნა, ჩემო მათე, არაკაცებზე დაუნდობლად ვნადირობ, მაგრამ რა გამოლევს მუხთლებს ამ უკუღმართთა სამთავროში. დღეს ან ამათთან უნდა იყო, ან არ უნდა იყო. ვინც მართალი და თავისი რწმენის ერთგული ბიჭები იყვნენ, რუსეთში გადაიხვეწნენ. მეც ძალიან მიჭირს გაძლება, ალბათ, უნდა მოვშორდე? აქაურობას. რაიმესი კი არ მეშინია, ვერ ვეგუები ჩემი სამშობლოს ასეთ გაუკუღმართებას.

– ძნელია ყოველივე იმის გაძლება, რაც ჩვენს ირგვლივ ხდება, მაგრამ სხვა რა გზაა, – მათემ მოუყვა ამ ცოტა ხნის წინათ რაც გადახდა, თავისი ოჯახის მოსალოდნელი უბედურებაც არ დაუმალავს. უყვარდა ეს ნიჭიერი, ცხოვრების გზას აცდენილი, თავის სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული ახალგაზრდა კაცი და თავის გულისტკივილი გაუმჟღავნა.

წარბა შეწუხდა.

– ამას წინათ ბიჭებს ვთხოვე შენი ამბის გაგება, იქნებ რამე უჭირს, მივეხმაროთ-მეთქი. შენ ვერ გნახეს, ამბავი კი მომივიდა, კარგად არისო. იცი რა, მათე? გული გახეთქვაზე მაქვს, კარგი, კაცური კაცები კოლონიის შავბნელი ყოფის შემდეგ იღუპებიან, ძნელად იტანენ იმ ტანჯვას და თავისუფლებაში აკითხებთ გათხელებული ნერვების სიმწარე. შენზეც ვწუხდი. მადლობა ღმერთს, რომ კარგად ხარ! – წარბამ ვიღაც დაინახა, დაუძახა. – მომპარავია, – გააცნო მათეს. ღვინის ჭიქა გაავსო და მიაწოდა: – მიდღეგრძელე კარგი, კაცური კაცი, ბატონი მათე, ძაღლების მიერ ულმერთოდ ნაწამები.

ბიჭმა ჭიქა აიღო, მათე ადღეგრძელა, სუფრა დალოცა და მხოლოდ ცოტა მოსვა: – ვერ დავლევ, გიას ვენაცვალე! საქმეზე ვარ, – მოიბოდიშა და წასვლა დააპირა. წარბას წვრილფეხა მომპარავები „კლიჩკით“ ვერ უბედავდნენ მიმართვას, ნათლობის სახელით მიმართა ახლაც მომპარავმა.

– მოიცა, – წარბამ შეაჩერა, – მთლად უფროსი სადა გყავთ?

– ჯაჯღანა? აქვეა ახლოს.

– წადი, უთხარი, წარბას ფული სჭირდება-თქო, ასი ათასი მანეთი მიშოვოს საჩქაროდ! – უბრძანა.

– ახლავე, გიას ვენაცვალე! – ბიჭი საჩქაროდ გაბრუნდა.

მალე, წელში ოდნავ მოხრილი, შავტუხა, ცხვირმონგრეული ბიჭის თანხლებით მოვიდა.

– წარბას გაუმარჯოს! – საზეიმოდ მიესალმა, უნდოდა, გადახვეოდა, მან კი: – გამარჯობა ჯაჯღან, ძალიან ხომ არ შეგაწუხე? – უთხრა და უბრალოდ გაუწოდა ხელი.

– რას ამბობ, გიას ვენაცვალე! მიმსახურე ძმაო! უცებ სამოცი ათასი ვიშოვე მხოლოდ, თუ დაიცდი, ასიც იქნება.

წარბამ ფული გამოართვა და მათეს მიაწოდა: – ჩემი მეგობარია, მოსაკლავად დასდევენ, – თქვა:

მათემ ფულის გამორთმევა იუარა.

– აიღე, მათე ბატონო, ვინ იცის, ამ უკუღმართ წუთისოფელში შეიძლება მეტჯერ ვეღარც კი შევხვდეთ. თან ერთმანეთის სიყვარული და პატივისცემა გაგვყვება მხოლოდ, – წარბამ მათეს ფული ხელში ჩაუდო და ხელზე ხელი თანაგრძნობით მოუჭირა.

– ვაი, რომ ძალიან უკუღმართია ეს წუთისოფელი. ყველაზე დიდი ავაზაკები, ქურდები, ყაჩაღები, უზნეოები სახელმწიფოს სათავეებს ებღაუჭებიან და ხალხის ბედით ჟონგლიორობენ, წარბასნაირი თავის ხალხზე და ქვეყანაზე შეყვარებული ადამიანები კი შავებად ეთვლება ადამიანთა მიერ გაუკუღმართებულ ამქვეყნიურ ცოდვილობას, – სინანულით თქვა მათემ.

– ჯაჯღან, ძმაო, ფულს ხვალვე მოგიტანენ, მაგრამ გახსოვდეს, დღეს ძალიან ბევრია გაუბედურებული, ლუკმაპურისთვის რომ წვალობს, იმათ ნუ შეაწუხებთ. ბარიგა, წურბელა, ხალხის გამტყავებელი ოხერი და მამაძაღლი არ მოასვენოთ, – დამოძღვრა წარბამ.

– ეგრე ვიზამთ, გია ბატონო, ეგრე, – პირმოთნეთ დაეთანხმა ჯაჯღანა და გამოემშვიდობა.

– ვისაც მოვახელებ, უკანასკნელი მანეთიც რომ ჰქონდეს, წავართმევ, ახლა ეგ მადარდე, ვინ ლუკმაპურისთვის წვალობს, ვინ კიდევ ქონში იხრჩობა. მოკლედ, წარბამ თავისი ფილოსოფია არ მოიშალა, – ჩაილაპარაკა გარეთ გასულმა და ხალხში შეერია.

წარბა მათეს გადაეხვია. თბილად გამოემშვიდობნენ ერთმანეთს. წარბასაც არ ასვენებდნენ ხელისუფალნი, რადგან მათთან თანამშრომლობა არ იკადრა, მათეს კი მწვავე ნევროზული შეტევა დაეწყო, ვაი, თუ ამ ძვირფას ადამიანს მეტჯერ ვეღარ შევხვდეო.

## სალახანა

**სოციალიზმის** დროს მუშაობა ფოსტის შიკრიკობით დაიწყო და რვა წლის განმავლობაში ვაი-ვაგლახით ძლივს მოახერხა დაუსწრებლად ისტორიული ფაკულტეტის დამთავრება. კომუნისტურ პარტიაში შეძვრა და რაიკომის ინსტრუქტორობაც მოინადირა. ბოტკინით დაავადებულის ყალბი ცნობით ჯარში გაწვევას დაუძვრა. ქვეყანა რომ აირია, პარტიის ლანძღვით თავი გამოიჩინა. თბილისში ომი რომ დაიწყო, ჯერ დაიცადა, უპირატესობა როგორც გამსახურ-

დიას მოწინააღმდეგეთა მხარეზე გაირკვა, მაშინვე ჩავიდა თბილისში და აჯანყებულ გვარდიელებს შეუერთდა, ავტომატიც მიიღო და მთავრობის სახლში გამოკეტილებს ტყვია დაუშინა. ხუმრობა საქმე როდი იყო, როცა იქიდანაც ისროდნენ. საფარში თავჩარგული ისროდა, ეშმაკმა რომ იცოდა მხოლოდ საით. სამაგიეროდ მთავრობის დამხობის შემდეგ, დემონსტრანტების დახვრეტით გამოიჩინა თავი, აქ უკვე აღარ ეშინოდა და ბეტონის ბლოკებში თავჩარგული არ ისროდა. უიარაღო დემონსტრანტების დახვრეტაში ბადალი არ ჰყავდა; ამით დიდი ავტორიტეტი მოიხვეჭა თანამოაზრეთა შორის. გაბღენძილი და გაბატონკაცებული სალახანა კახეთის ძარცვას შეუდგა. მისი მსგავსებიც გამოიძებნენ და კახელებმა კახელებს შაჰ აბასი გაახსენეს.

ადრინდელი დანიშნული პრეფექტები სულ ცემა-ტყეპით გამოყარეს რაიკომის მდივნების მიერ დატოვებული კაბინეტებიდან, სადღაც საწყობში თუ საძროხეში შეყარეს და ავტომატის კონდახით კარგა ხანს უზილეს გვერდები. ზედ მიაყოლეს დამხობილი პრეზიდენტის სხვა მომხრეებიც; ვინც გაექცათ და ვერ მოიხელთეს, მათზე ნადირობა გამართეს. პრეფექტები გამგებლებით შეცვალეს და ძარცვა-რბევას შეუდგნენ. სოციალისტური სახალხო ქონება ახლად აღზევებულ ავაზაკებს მადას უღვივებდა. აღარავინ იყო პატიოსანი და იწეწებოდა ათეული წლების თავდადებული შრომით მოპოვებული სიკეთე.

სალახანა საგანგებო რწმუნებით აღჭურვილი, შეუზღუდავი უფლებით გონებადაბინდული დაუნდობლობის და ძალადობის სასწაულებს ახდენდა. რაიონის ახლად გამომცხვარი გამგებლები პირმოთნედ და კუდის ქიცინით ხვდებოდნენ დაუსჯელობის გრძნობისგან ცოფშეყრილ არაკაცს.

ახალ მანქანაზე ჰქონდა აშლილი სადღეღელი. სამი დღის შემდეგ ადრე დაყაჩაღებულის გამოცვლა სურდა, მაშინვე გზაზე გავიდოდა და ვაი იმას, ვისაც გადაეყრებოდა.

ახლაც შარა გზაზე იდგა თავისი ამალით. ღვინის ქარხნიდან გამოტანილი მთელი ეშელონი პორტვეინი ვიღაც ფულიანს გაატანა. ახლა კონიაკის სპირტის დატაცებას ამზადებდა. გზაზე კი გასართობად, თავისი ძალის დემონსტრაციით ბრჭყალებს გამვლელებზე სცდიდა. მოძრაობა ჯერ კიდევ შესამჩნევი იყო. ამ მაგისტრალით მთელი შიდა კახეთი დედაქალაქს უკავშირდებოდა.

ძველი, ჩაჟანგულ-ჩამორჩენილი სატვირთო ავტომობილი ძლივს მიარღვევდა აღმართს.

– რა უბედურებაა ეს?! – სალახანამ ცხვირზე აიფარა ხელები. უცებ გაბრაზდა, – გააჩერეთ! – ბრძანა.

– გააჩერე! – გადაუდგნენ შეიარაღებული კაცები.

– რო ჩავაქრო, ველარ დავქოქამ! – გადმოსძახა მძღოლმა.

– დაქოქვას ახლა გაჩვენებ! – ავტომატის ჯერმა წინა საბურავები დაცხრილა. მძღოლმა საჭე ველარ დაიმორჩილა, მანქანა მარჯვნივ წავიდა და თხრილში გვერდზე გადაწვა.

მძღოლი და მის გვერდით მჯდომი ორი კაცი ერთმანეთში აირივნენ. იწვალეს, იბღლარძუნეს, როგორც იყო მძღოლის მხრიდან კარები ტანკის კოშკურის სახურავივით ახსნეს და მძღოლმა გაბურძგნული თავი ამოყო.

– ამოდი, ამოდი, არდაქოქვას გაჩვენებ მე! – ბუტბუტებდა სალახანა.

მძღოლი როგორც იქნა ამოძვრა. მას დანარჩენი ორიც ამოჰყვა. ვაი-ვაგლახით ჩამოფოფხდნენ ასფალტზე და სახის მანჭვით ნატკენ გვერდებს იზელდნენ.

– რა სროლა ატეხეთ, გავრბოდი თუ რა! – უსაყვედურათ მძღოლმა.

– უყურე ერთი, აქეთ გვედავება ნაბიჭვარი! – მოქნეული ავტომატის კონდახი მძღოლს კეფაში მოხვდა და თავგაჩეხილი ასფალტზე გაიშხლართა.

– მოკლა კაცი, მე ამის დედა! – კაბინიდან ამომძვრალი ერთი მძღოლისკენ გაიქცა. მას ფერდში წიხლი ამოარტყეს, ვერ წააქციეს, მოუბრუნდათ. მეორეს ავტომატის კონდახს ურტყამდნენ, ისიც მუშტებით იგერიებდა.

უცებ ავტომატის ჯერმა ის მეორე მოცელა.

– რას შვრებით, გადაირიეთ?! – აყვირდა პირველი კაცი. სიტყვის გაგრძელება აღარ აცალეს, ავტომატის ჯერით ჩააკმენდინეს ხმა.

ძველ, დანჯღრეულ მანქანასთან ეყარნენ სამნი და სისხლისგან იცლებოდნენ. რა დააშავეს? ვის აწყენინეს, ასე ულმერთოდ რომ გაუსწორდნენ? ეს იყო ადამიანში გაღვიძებული მხეცის ნაკვალევი, დაუსჯელობის გრძნობით რომ ანებივრებს ძალაუფლებით აღჭურვილ არამზადას. მეოცე საუკუნის დასასრულს კაცობრიობა ცივილიზაციით ასე რომ ამაყობს, ეს პატარა ქვეყანა უცებ დაიტბორა მაიმუნამდელი არსების ბოროტებით.

ყველაფერს სჭირდება ალვირი, წესრიგი და მორალური სიწმინდის აღზრდა. არავის არ უნდა სტოვებდეს გრძნობა ყოველგვარი უზნეობის და საზოგადოებრივი წესრიგის ნორმებიდან გადაცდენისთვის დასჯის გარეშე. როგორც კი ეს მოიშლება, რაც უფრო მაღალ დონეზეა ცივილიზაცია, მით უფრო საშინელ კაცთმოძულებას აბარტყებს, ისეთს, რომ წარსულის ყველა რეკორდს მოხსნის.

ზევიდან ძველმა „ქიგულმა" რახრახით ჩაიარა იმ დროს, ესენი ანგარიშსწორებით რომ იყვნენ გართული. არ გაუჩერებიათ. იმანაც, როგორც კი აქაურობას გასცილდა, სვლას უმატა. შემხვედრი მანქანები გააჩერა და გააფრთხილა, იქით არ წასულიყვნენ. ქვევიდან მოძრაობა შეწყდა.

თბილისის მხრიდან ძველი, ორკარიანი „კოლხოზნიკი" გამოჩნდა. გამურული, შავი, ზეთში დასვრილი კაცი იჯდა საჭესთან. გააჩერეს.

– რა მიგაქვს? – ჰკითხეს.

– ბენზინი. სართიჭალაში ვიშოვე, ვალი მაქვს და უნდა ჩავაბარო.

სიტყვის თქმის ღირსადაც არ ჩათვალეს, ბენზინის კანისტრები ისე ჩამოაწყვეს.

– ცოტა მეც დამიტოვეთ, ცოდო ვარ! – შეეხვეწა კაცი.

– აი, შენ ესეც გეყოფა! – მაგარი ჭიტლაყი ამოჰკრეს.

– გამძარცვეთ და ისევ მე მცემთ?!

– ვინ გაგძარცვა, შე ტილიანო! ცემას კი ახლა გიჩვენებთ!

სანამ ფეხზე იდგა, ავტომატის კონდახი ურტყეს. წაქცეულს წიხლით თავპირი გაუერთიანეს. ახლა პირქვე ეგდო და სისხლით ასფალტს ალბობდა.

სამი მძიმედ დატვირთული „კამაზი" გამოჩნდა, რას გაუშვებდნენ, გააჩერეს. პირველი მანქანიდან მძღოლი და ორი კაცი ჩამოვიდა.

– რა მიგაქვთ? – იკითხა სალახანამ.

– ფქვილი, ხალხს უნდა დავურიგოთ, აი, საბუთებიც, – ერთმა ქაღალდების შეკვრა გაუწოდა. სალახანამ ხელი აუკრა: – ამოისვი, როცა ძალიან დაგჭირდეს! – დამცინავად უთხრა.

კაცი გაშრა, ხმა ვერ ამოიღო.

– ამ მანქანებს ჩვენ წავიღებთ სადაც საჭიროა, თქვენ კი აქედან აახვიეთ, სანამ არ გადამიფიქრებია!

– ჰუმანიტარული ტვირთია, მომეცი რაიმე საბუთი თუ ამის უფლება გაქვს, – კაცი შეედავა.

– უფლება კი არა, აი, რა მაქვს! – სალახანამ შეაბრუნა და ჭიტლაყი ამოჰკრა.

კაცი ამას არაფრით არ მოელოდა, ღენდარტყმულივით შემოტრიალდა: – რას კადრულობ, თუ იცი?! – შეუტია.

– თუ ვიცი კი არა, შენი ოხერი დედაც! – ერთმა ბეჭებში ავტომატის კონდახი ჩაარტყა. კაცი მუხლებზე დაეცა. ახლა წიხლები დაუშინეს. მძღოლმა და მეორე კაცმა გამოქომაგება სცადეს, გაცოფებულებს წინ გადაუდგნენ: – რას შვრებით, არ მოკლათ?! – ეხვეწებოდნენ.

როგორ თუ ეს გაგვიბედესო, ერთმა მძღოლს ავტომატის კონდახი მოუღერა ჩასარტყმელად. მძღოლმა ხელი უტაცა, სალახანამ აღარ დააყოვნა და მძღოლს ავტომატის ჯერი მიუშვა, ამას აღარ დასჯერდა და მეორე კაციც ზედ მიაყოლა.

დანარჩენი ორი მძღოლი მოცილებით იდგა. პირველი მანქანის მძღოლი რომ წაიქცა, ერთი ღრიალით მისკენ გაექანა: – რასა შვრებით, თქვენი დედა! – მეტი აღარ დააცალეს, ისიც იქვე ავტომობილის გვერდით ჩაცხრილეს. მესამე მძღოლი უკან გაიქცა, მასაც ესროლეს. მანქანაზე მოფარება მოასწრო, რამდენიმე ნაბიჯი გაირბინა და ხევში გადახტა. აქ უკვე გაუვალი მაყვლის ბარდი ეფარებოდა. ალალბედზე დაუწყეს სროლა, მძღოლს ვერ ხედავდნენ. ის კი კლდეს ამოფარებული აღმა გარბოდა, თან გაბრაზებული ბურტყუნებდა:

– ძმაკაცები დამიხოცეს, ანზორა აღარ არის, არც – დათო, ის კაცებიც დახოცეს. ნოდარა მოგიკვდეთ, ბიჭებო, თუ სალახანას ეგ შავარჩინო!

სალახანამ კი თავისი თანამოაზრეები დასხა მანქანებზე და იორმუღანლოელ თათართან ნარდად მისაყიდად წავიდნენ.

მსგავსი სისხლიანი საქმეებით ბევრი ოჯახი აატირა სალახანას ბანდამ. სამეგრელოს დარბევა რომ დაიწყო, ჯავშანტრანსპორტიორს კახეთი დააწერა და ძარცვა-რბევაში გაწაფულმა საშინელებათა სასწაულები მოახდინა. სახლების გადაწვა, ოჯახების ამოწყვეტა, ქალების გაუპატიურება, მანქანების და სხვა ქონებათა დატაცება, ენა ვერ ჩამოთვლის, რასაც ეს ავაზაკები კადრულობდნენ. სალახანას მსგავსი მრავალი ნაძირალა დაძრწოდა სამეგრელოში კახელების სახელით, კახელების სისხლი, ცრემლი და წყევლა-კრულვა რომ აჰყოლოდათ განკითხვის დღის მოლოდინივით. ვისი ბრალია? ვის მოჰკითხოს ქართველმა კაცმა ასე სულით და ხორცით გათახსირებულთა თარეში? ვინ გახადა ქართველთა წმინდათა-წმინდა სამშობლოს ნაძირალათა საჯიჯგნად? ვინ მოუკლა ქართველ კაცს ეროვნული სიამაყე? ვინ ცდილობდა საქართველოს ლამაზ კუთხეთა შვილებში ერთმანეთისადმი შუღლის ჩათესვას? ვინ დააბეჩავა და გააღატაკა ქართველი კაცი? ვინ?! სანამ ამის პასუხი მოიძებნება, მკითხველმა წარმოიდგინოს, საიდან და ვინ ჩაუყარა საფუძველი უბედურებას.

სამეგრელოს დარბევით სახელგანთქმული სალახანა კახეთში ნაყაჩაღარი უცხოური ჯიპით დაბრუნდა. მუდამ გვერდით ჰყავდა თავისი სამი თანამზრახველი, სამხედრო ფორმაში გამოწყობილი, გათავხედებული არამზადა.

რაიონთა გამგებლების ხშირი სტუმარი იყო. ფეხი-ფეხზე გადადებული ოხუნჯობდა. მერე ან მათთან იქეიფებდა, ან გზაზე გამოსული ვიღაცას თავს გააცნობდა; რაც მოეწონებოდა, იმისი იყო: მანქანა, პირუტყვი, დუქანი, თუ რესტორანი.

ბინდდებოდა. ნაქეიფარი სალახანა თავისი ამფსონებით ალაზნისპირიდან უკან ბრუნდებოდა. ამ გზით მოდიოდა ბენზინი აზერბაიჯანიდან, ალაზანზე ნავებით გადმოტანის შემდეგ.

– ვინც კი გაივლის, ყველას სანახევროდ დაუტოვეთ, თუ ვინმე გაჯიუტდა, სულ წაართვით! – ბრძანებდა სალახანა.

– მე ვინც კი დავიჭირე, სულ წავართვი. ის ბიჭებიც იმიტომ ჩავხოცეთ, რომ შეპასუხება გაბედეს.

– ჰოდა, ის მეძროხეც მოსაკლავი არ იყო? სად მიგყავთ, ეგ მოზვრები მე მაბარიაო. ვინა კითხავდა, ჩაიბაროს ეგე ახლა იმ ხაშლამად მოხარშული მოზვრების სულები.

– ალაზანში რომ გადავაგდეთ, რომელი პარტიის უფროსი იყო?

– ალაზანში კი არა, ლამზე დაეცა, ალბათ, ახლაც იქა გდია. ენა წინ უსწრებდა და ენაგადმოგდებული ვერა წევს ალაზნის პირას?!

ამგვარი საუბრით და სლოკინით მიარღვევდნენ ოღრო-ჩოღრო გზას. დაბნელდა. სინათლე ჩართეს. გზაზე მანქანა გამოჩნდა, შემხვედრად მოდიოდა, მარცხნივ ჩახვევა სცადა, ვიწრო გზაზე ვერ გაიმართა, დიდი სატვირთო „ზილი" იყო, უკან დაიწია, გზა მთლიანად ჩაკეტა, ჩაუქრა თუ სხვა რამ გაუფუჭდა, მანქანიდან ორნი გადმოვიდნენ და კაპოტი ახადეს.

სალახანამ ჯიპი ზედ მიაყენა.

– თქვენ ნაბოზვრებო! გზა რომ გადამიკეტეთ, გინდათ „ლიმონკა" შეგიგდოთ და მანქანიანად აგწიოთ? – მუქარით ჩამოვიდა დაბლა. მეორე გვერდით მჯდომიც იდლიაში ავტომატმომარჯვებული ჩამოჰყვა. უკანა სავარძელზე ერთმა ჩამოსვლა არ ისურვა, მეორე კი ჩამოვიდა და იქვე არხის პირას მოშარდვა დაიწყო.

დიდ მანქანასთან ორიდან ერთი რადიატორის წინ ფუსფუსებდა. მეორემ ძარის მხრიდან მოუარა, არხის პირას რომ შარდავდა, გვერდით ამოუდგა და პისტოლეტი მიადო: – ხმა არ ამოიღო, თორემ გაგათავებ! ყურში ჩასჩურჩულა. ახლა უკვე შიშისგან შარდვა-შარდვით მანქანასთან მიიყვანა, კარები გააღო და მეორე დაბლა ჩამოათრია.

სალახანა მანქანასთან მოფუსფუსეს ლანძღვა-გინებით უახლოვდებოდა, მეორე ავტომატმომარჯვებული უკან მოსდევდა.

– გაგხეთქამ ცემით და იგრე ჩაგაძაღლებ, შენი კარგები და კეთილები! – სალახანა მიახლოვების შესაბამისად გინებას სართულებს უმატებდა.

მეორემ ავტომატი მოიმარჯვა და სროლას აპირებდა. ვერ მოასწრო, დამხვდურმა პისტოლეტიდან ორჯერ ზედიზედ დაახალა და აბოლებული ლულა სალახანას პირში ჩასჩარა.

სამივე ერთად შეაგროვეს. ხელ-ფეხი თოკით მაგრად შეუკრეს და სატვირთო მანქანის ძარაზე დაყარეს. მოკლული ადგილზე დატოვეს.

წინ სატვირთო ავტომობილი მიდიოდა, უკან სალახანას „ჯიპი" მიჰყვებოდა. ალაზნის ჭალას მიუახლოვდნენ. ტყეში შევიდნენ. ცოტა კიდევ იარეს და ალაზნის პირას გავიდნენ. დიდი ვერხვის ქვეშ შეჩერდნენ. ჯიპის ფარების სინათლეზე სამივე დაბლა გადმოყარეს.

– როგორ აჯობებს, ორივე ფეხით თუ ცალით ჩამოვკიდოთ? – იკითხა ერთმა.

– ცალით სჯობია, მაგრად იფართხალებენ. მანამდე სალახანას გავესაუბროთ. არადა, ეს არამზადები ჩამოკიდების წვალებად არა ღირან, – იყო პასუხი.

– რომელმა მოკალით ანზორა და დათო? – ერთმა სალახანას სახეზე წიხლი მიაჭირა და ვერხვზე თავმიდებულს მიაწვა.

– არ ვიცი, ვისზე მეუბნები, – სისხლის ფურთხებით უპასუხა სალახანამ.

– შოფრები რომ დახოცეთ, მე იმათი ძმაკაცი ვარ, ნოდარა, სროლით რომ მამდევდით. ეს კიდევ მოკლული მეძროხის ბიჭია ვახო, – ნეკნებში მთელი ძალით დაარტყა წიხლი.

– ვაიმე! – ამოიღრიალა სალახანამ.

– კახეთში რაც მიქარეთ, ყველასთვის ცნობილია. სამეგრელოში ჩადენილ არაკაცობაზე მოუყევით მიქელ-გაბრიელს! – უყვირა ნოდარმა.

სამივეს შეხსნეს ხელ-ფეხი. ახლა მუხლებზე დამდგარნი იხვეწებოდნენ, არ მოგვკლათო.

– თქვენი ჭირიმე, ბიჭებო, ფეხსაცმელებს აგილოკამთ, თქვენს ნაფეხურებს დავკოცნით, ლაქიად და ხელის ბიჭად მიმსახურეთ, არ მომკლათ. ძაღლივით ყელზე თოკშებმული მატარეთ, სულ თქვენზე ვილოცებ, არ მომკლათ, არააა! – ტიროდა, ქვითინებდა, სახეს იკაწრავდა შიშისგან ადამიანის სახედაკარგული არაკაცი, ხაფანგში მომწყვდეული ცოფიანი ნადირი. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ნადირი ხაფანგშიც იღრინება. ესენი კი შიშისგან დამბლადაცემულები ყველაფერს კადრულობდნენ თავიანთი ბინძური არსებობის შესანარჩუნებლად.

– ერთი კვირა თქვენს კვალს დავდევ. მადლობა უფალს! ამდენი დღის ნადირობა წარმატებით დასრულდა. ამიერიდან თქვენ ველარ შეძლებთ ადამიანთა სისხლით თრობას, მაგრამ ვაი, რომ ჩვენს ტანჯულ საქართველოს თქვენი მსგავსი ბაღლინჯოები ბლომად ასევია.

– ნოდარმა და მისმა ამხანაგმა ავტომატები ფეხზე შეაყენეს.

– გვაპატიეთ! არ მოგვკლათ! – სამივე არაადამიანურ ხმაზე აღრიალდა.

ეს ანზორისთვის, დათოსთვის, მამაჩემისათვის, კახეთში დაქცეული სისხლისთვის, სამეგრელოში დატრიალებული უბედურებისთვის, ავტომატის განუწყვეტელ ჯერს ნოდარის და ვახოს ხმები უერთდებოდა.

მორჩა. დაცლილი ავტომატები თავიანთ უსულო პატრონებს მიაგდეს. სატვირთო მანქანაზე დასხდნენ და ძრავის ღმუილით იქაურობას გასცილდნენ.

რამდენიმე დღის შემდეგ ჩადენილი ცოდვებივით შავი ყორნები შეგროვილიყვნენ ალაზნის პირას გაჩერებულ ჯიპთან და გემრიელი სადილის სიხარულით ყრანტალებდნენ. ალაზანი კი მიდუდუნებდა, რაღაცაზე დავობდა, რაღაცით უკმაყოფილო იყო, წარსულის სახელით აწმყოს ტუქსავდა, ადამიანებს დასცინოდა. როცა ავდიდდები, ცოფიანი და განუკითხავი ვარ, მაგრამ ჩემი ბოროტება თქვენი, ადამიანების მიერ ჩადენილ ავკაცობასთან აბეზარი ბავშვის ცელქობააო მხოლოდ.

## რას დუდუნებს ალაზანი

**ცხოვრება** თანდათან უარეს და უარეს ჯოჯოხეთს ემსგავსებოდა. მათე ნელნელა დნებოდა, იფერფლებოდა. ომარმა ალაზანზე წაიყვანა, იქნება ბუნებამ საშინელი განცდა შეუმსუბუქოსო. ახლა იჯდა და ალაზნის დუდუნს ყურს უგდებდა.

ნამდვილი მონადირეები ტყვია-წამლის უქონლობის გამო სანადიროდ იშვიათად დადიოდნენ. სამაგიეროდ ახლად გამოჩეკილი ბრაკონიერები ძალიან მომრავლდნენ. ავტომატებით ნადირობდნენ და განურჩევლად ხოცავდნენ, რაც შეხვდებოდათ. გაზი, ნავთი დ სხვა საწვავი გაქრა; ხალხი ტყეს დაუნდობლად ჩეხავდა, ეს საშვილიშვილო დანაშაული არავის აწუხებდა. ხელისუფლება მხოლოდ თავის სკამზე და მოხვეჭაზე ფიქრობდა, ქვეყანა ნადგურდებოდა. ხალხის დაბეჩავების ბორბალი შეუჩერებლად ბრუნავდა.

ომარი სანამდეც სწვდებოდა, არც ხეს აჭრევინებდა და ნადირსაც იცავდა. ამხელა ალაზნის ჭალაში ოაზისივით იყო მისი მეურნეობა. ყოველივე ეს კი

დიდ ბრძოლად და ავაზაკთა ბანდებთან დაპირისპირებად უჯდებოდა.

იჯდა მათე ალაზნის პირად და ფიქრებით მის დუდუნს შიფრავდა. რაო, რა თქვა? – საშინელი სისხლისღვრის და უბედურების მომსწრე ვარო ყიზილბაშთა მიერ პირწმინდად დანგრეული, განადგურებული და უზომოდ სისხლდადენილი კახეთი მინახავს, მაგრამ მისი მოსპობა და საბოლოო განადგურება ვერავინ შეძლო, სიცოცხლისუნარიანი და ძლიერია მებრძოლი კახელი, როცა ყველა ერთ მუშტად არის შეკრული საერთო მტრის წინააღმდეგ, თუნდაც ის მტერი ისეთი ძლიერი იყოს, როგორც შაჰ აბასის ირანი იყო. ირანში ბრძოლით და ხოცვა-ჟლეტით ძლივს გაასახლეს კახელების ნაწილი. დღეს რა დაგემართათ, თქვენ ბეჩავებო?! ისეთი რბევის, ნგრევის და უბედურების ბორბალი აბრუნდა, რომ ნებაყოფლობით გარბიხართ ამ წმიდათაწმიდა მამულიდან, თანაც რაც გაგაჩნიათ, თქვენივე ხელით ანადგურებთ. საშინელებაა, როცა ქვეყნის ხელისუფლებაში ღალატი დაიბუდებს. გამოფხიზლდით, თქვე სატანის მიერ დაბუხებულნო! თორე ასე ულიმლამოდ დაგიმთავრდებათ ამქვეყნიური სტუმრობა, – ასე გაშიფრა მათემ ალაზნის დუდუნი და სული ისევ შეეხუთა.

ზევით გაიხედა. ვიღაც გაფხეკილლაბადიანი კაცი მისკენ მოდიოდა. თავზე გახუნებული „პანამა“ ჩამოეფხატა, ზურგზე ჯოხი გაედო და მარცხენა ხელში პლასტმასის პატარა ვედრო ეჭირა. მათეს მიუახლოვდა. გამხდარი, ჭაღარა წვერმოშვებული, თვალებში უიმედობის ნაღველჩამდგარი, სოფლმშენის ყოფილი უფროსი იაფეთი იცნო. ერთმანეთს მიესალმნენ, იაფეთს გაუხარდა მათეს დანახვა.

– რა ხდება ჩვენს თავს, მათე? – ისე ჰკითხა, თითქოს ყოველივე იმას ეკითხებოდა, – ვიღუპებით, და შველას ვერ ვხედავ.

– წყალწაღებულს უთხრა უფალმა, ხელი გაატოკე და გეშველებაო; დღევანდელობა ბოროტის გამარჯვებაა კეთილზე, – მწარე ღიმილით უპასუხა მათემ.

– შეიძლება ამაზე დიდ გაჭირვებას და უბედურებას გაუძლოს კაცმა თუ რწმენა და მომავლის იმედი არის, დღეს კი ყველაფერი პირიქითაა, – მოიჩივლა იაფეთმა.

– ზედმეტი ხალხი არა სჭირდებათ, ვინც ვერ გაუძლებს, პატიოსანი და ერის შვილი დაიღუპება. ქვეყანა უკან, ბატონყმობისაკენ მიგორავს. თავისუფლების სიკეთე ნაგემ ხალხს და ძალადობით და სისხლ-ცრემლის თხევით უნდათ დაადგან ქედზე ყმის და მონის უღელი. ბევრი უკვე მონად და ლუმპეპროლეტარებად კვდება. როდესაც ცხოვრება დაავადდა ედუარდ ამბოსევიჩის მსგავსი ბაცილით, არავინ აიმაღლა ხმა განსაკუთრებულად. ჰოდა, მოკვდა და ამჟამად პარაზიტები ქვეყნის სხეულს ხრავენ. ერის ჯანსაღი უჯრედი კიდევ უნდა დაიღუპოს, – განმარტა მათემ.

– ეხ, მე რომ ვიღუპები, ცხადია. ნეტავ, ამ უბედურებას არ მოვსწრებოდი. სიცოცხლის უკანასკნელი წლები ტანჯვად მიქციეს. ომარი ჩემი მეზობელია, მთხოვა, ალაზანზე ჩამოდი, ანკესით თევზის ჭერით გაერთობიო, მეც დავდივარ და მოწოლილ ნაღველს ალაზნის ბუტბუტს ვუზიარებ. ვიცი, ჩემო მათე, შენც ეს ნაღველი გტანჯავს. მაგრამ, რას ვიზამთ, როცა უკუღმართი კაცის ლუკმად ვქცეულვართ, – იაფეთი ალაზნის პირას ჩამოჯდა და ანკესი გამართა.

მათეს ფიქრის ძაფი გაუწყდა, იაფეთს გამოეთხოვა, და ალაზანს ზურგი შეაქცია...

ეგერების სახლთან უზარმაზარი სატვირთო მანქანა ღრიალით გაჩერდა. კაბინიდან მაღალი, სპორტული აღნაგობის ვაჟკაცი გადმოვიდა, მეორე მხრი-

დან, მძღოლზე დაბალი, ოღონდ მუხის ძირკვივით მკვრივი ვაჟკაცი გადმოჰყვა. ეგერი მოსე გამოეგებათ.

— გამარჯობა, მოსე ძიავ! როგორა ხარ, კაცო, ხომ არ დაგიმორჩილეს წლებმა? — მძღოლმა მხიარული სიცილით ჰკითხა.

— ზაქროს სიცოცხლე! ბიჭოს, ფარნაოზიც აქ ყოფილა, — მოსემ ორივეს ჩამოართვა ხელი. — წლების სიმრავლე კი ვინც დაჯაბნოს, გაღმა გასვლის შემდეგ დაიტრაბახოს! — სიცილით თქვა და ზაქროს ფართო მხრებზე ხელი მოუთათუნა, — ძალა მოგდევს და წლები არ გაშინებს, მაგრამ იმ ოხერმა იგრე იცის შემოპარვა, რომ მოგღუნავს, მერე გაგახსენდება მისი სიმრავლის სიმუხთლე, — დაუმატა და ბიჭები იქვე მუხის ჩრდილში მოწყობილ მაგიდასთან მიიპატიჟა.

— იცი, ვინ არის აქ? მათე. ძალიან ცუდადაა, ნევროზი ახრჩობს. მისი ცოდვით ვიწვები, — თქვა მოსემ.

— მეც როგორ მინდოდა მისი ნახვა. რაც მაგან გადაიტანა, აფერუმ კიდევ რომ ცოცხლობს.

— ახალი ამბავი რა არის ქვეყანაზე. ამ ჭალაში გამომწყვდეულებს არაფერი გვესმის, — მოიჩივლა მოსემ.

— ძალიან კარგია, რომ არ გესმის. იგეთი ცოდვა ტრიალებს, ყურს უჭირს მისი მოსმენა.

— ეგ დამთხვეულები აფხაზეთში შეიჭრნენ სამეგრელოს დარბევის შემდეგ. ჩამოგდებული პრეზიდენტის მომხრეების დევნით საქართველოს ღუპავენ.

— მთელი ქვეყნის ნაძირალები აიშალნენ საქართველოს ასაოხრებლად.

— აქ, კახეთშიც ისტერია შეეყარათ. საზღვრები გაამაგრეთ, ჩეჩნები არ შემოიჭრანო. მოსჩვენებიათ, ბელექანში არიანო ჩეჩნები. ერთი ქოთქოთი აქვთ ატეხილი. ვისაც ფულს აგულებენ, ავტომატის შესყიდვას ავალებენ, მერე ეშმაკმა იცის, სად ყიდიან. გაძრიალებული ძარცვა და წეწვა-გლეჯაა. ადამიანები გადაირივნენ, მოსწრებაზეა, ვინ რას მოიტაცებს, — ყვებოდნენ სტუმრები. ორივენი კარგი მოჭიდავეები იყვნენ, თუმცა, სპორტისთვის კარგა ხანია თავი დაენებებინათ. ომართან ძმაკაცობდნენ და ბრაკონიერების აწიოკებაში ბევრჯერ მიუღიათ მონაწილეობა...

მათეს მოსწყინდა ალაზნის ღუდუნის მოსმენა, არაფერს სასიკეთოს არ ამბობდა. ბოლოს ის დაადგინა, რომ თქვენ თვითონ თუ არ გაატოკეთ ხელი, არაფერი გეშველებათო, მწარედ ჩაეღიმა: — ეს რა მემართება, ეგრე თუ გაგრძელდა, რა მეშველებაო. ბინისკენ წავიდა. გზაზე სამი ავტომატიანი ბიჭი შეხვდა. — სანადიროდ ჩამოვედით და ღორი ვერ გვინახია, — მოიჩივლეს.

— სააგურეში ღორის მეტი რა ჰყავთ, რას დევეხეტებით ამ ჭალაში, — თან დაუმატეს.

— ღორი ახლა ღიჭიანშია შესული, — მათემ გაუვალ ბარდებზე მიუთითა.

— მოდი, გამოვრეკოთ, — გადაწყვიტეს და ბარდებს ავტომატის ცეცხლი გაუხსნეს.

მათეს მათთვის ყურადღება აღარ მიუქცევია, თავის გზაზე წავიდა. ისინი კი ხმაურით და ღრიალით ბარდებს ეომებოდნენ.

— რა ხდება? რა ამბავია? ჩეჩნები ხომ არ შემოგვესივნენ? — სიცილით იკითხეს ზაქრომ და ფარნაოზმა. ამ დროს ომარი ქოხიდან გამოვიდა და სტუმრებს მიესალმა.

— ეშმაკა და მისი მსგავსები შემხვდნენ ალაზნის პირას, ავტომატები ჩამოუტანიათ და თათრებს ევაჭრებოდნენ. ეტყობათ, წარმატებულად წაუვიდათ საქ-

მე და სიხარულით ისვრიან, – განმარტა ომარმა.

– ისვრიან კი არა, ალბათ, ღორზე ნადირობენ, – თქვა ფარნაოზმა.

– რაც ტყვია-წამალი აქვთ, სულ რომ დახარჯონ, ერთ ჩხიკვს ვერ მოკლავენ. ეგენი უიარაღო ადამიანებზე  არიან მაგრები, – დაამშვიდა ომარმა.

ამასობაში მათეც მოვიდა.

– ეშმაკას ბიჭები ისვრიან? – ჰკითხა მოსემ.

– ეშმაკაა თუ ბელზებელა, მაგარი დამთხვეულები კი არიან. ღორი ბარდებში იქნება-მეთქი, ვუთხარი და ბარდებს ეომებიან. ეგენი გარეული ღორის მომნადირებლები არ არიან. ქვევით, სააგურეში შინაური ღორები ჰყავთ, უბედურებას იქ დაატრიალებენ, – იწინასწარმეტყველა მათემ.

ეზოში ძველი, ორკარიანი „კოლხოზნიკი“ შემოგრიალდა, საჭესთან ანაფორიანი მოძღვარი იჯდა, მეორე მხრიდან ომარის და მათეს განუყრელი მეგობარი – კოტე.

– მოგესალმებით მთავარანგელოზის ეკლესიის სახელით, დღეს მამა ზოსიმეს მიერ მორთმეულ პურმარილზე გეპატიჟებით, რამეთუ სანადიროდ ქცეულ ქვეყანაში ნადირი გამქრალა, – მხიარულად თქვა, მუდამ მხიარულ ხასიათზე მყოფმა კოტემ.

მამა ზომიმემ დამხვდურებს ხელი ჩამოართვა და ყველა დალოცა.

– თქვენი თავი მენახოს სატანის წყევლისაგან თავდაღწეულ და ბედნიერ საქართველოში! – პირჯვარი გადასახა ყველას.

ავტომატის ჯერი გაისმა.

– რა ხდება, შვილებო, გვებრძვიან?

– ეხ, მამაო ზოსიმე, ჩვენივე ჯიში და ჯილაგი უბედურებად გვქცევია, – მოიჩივლა მოსემ.

– ქვეყანა ყაჩაღთა საჯირითოდ ქცეულა და მთავრობასთან არიან წილნაყარი, ღალატმა დაგვრია ხელი. ვაი, რომ ჯერ კიდევ ვერ მოვსულვართ გონზე! – ზოსიმე მოძღვარმა სატანა დაწყევლა და პირჯვარი გადაიწერა.

– მამაო ზოსიმე, ერთხელ რომ უბედურება ძლივს მოგვცილდება და მას ხელმეორედ ჩამოიყვან, რა ჰქვია ამას? დანარჩენი ხალხის ცოდვაზე აღარაფერს  ვამბობ, მღვდელი დახერიტა, შენ დაგაპატიმრა; ხატებს მტრობდა. ახლა იძახის, წმინდა ედუარდ-გიორგი ვარო. ღმერთი გაგვიწყრება, აბა რა?! – ზაქრომ მამა ზოსიმეს ისე  უსაყვედურა, თითქოს ედუარდ ამბროსევიჩი იმას ჩამოეყვანოს და, ეშმაკმა იცის მხოლოდ მერამდენედ, იმას მოენათლოს.

– გაუგრძელდა, ძალიან გაუგრძელდა ბალღამის ნთხევა, მისგან მოწეულ ქარიშხლის მომკა კი იგვიანებს, – დაასკვნა მამა ზოსიმემ.

– ერთი კვირის წინათ ფოთში ვიყავით, ხორბალი ჩამოგვატანინეს. აბა იქ ტრიალებს ჯოჯოხეთის კალო, ძარცვა-რბევა და განუკითხაობაა, რაც ამათ სამეგრელოში ამბავი დაატრიალეს, შეგრცხვება, რომ ადამიანი ხარ, ქართველობაზე  ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ახლა აფხაზეთში შეიჭრნენ და, ეშმაკმა იცის მხოლოდ, რით დასრულდ:ება ყველაფერი, – მოიჩივლა ფარნაოზმა.

– მსოფლიოს ისტორიაში უპრეცედენტო ამბავი მოხდა, დიდ პოლიტიკოსად მონათლეს ის, ვინც მოსპო თავისი სახელმწიფო და მტერს მიეყიდა. ამერიკა რომ დაეშალა და დოლარი მანეთივით გაბანძებულიყო, მაშინ ეთქმოდა სიტყვა. მტერი რომ ორდენებით, პრემიებით აჯილდოვებს და საქმეებს უქებს საკუთარის მოსპობისთვის, რა ჰქვია ამას? ჩვენი ქვეყნის ვაი მეთაურმა და ჯარების მთავარსარდალმა რასაც ხელი  მოჰკიდა, მოსპო. მტრის თვალში გმირია,

ჩვენთვის  კი სატანის ღიმილი. ეგ ჯერ აფხაზეთს მოუღებს  ბოლოს, მერე კიდევ მთელს საქართველოს? – დაასკვნა მათემ.

– ამ დღეებში ჩვენს სოფლელებს ფქვილი უნდა მოვუტანოთ. მერე მანქანას მივაყენებთ,  თორე ძალიან ნადირობენ ჩვენზე. რამდენიმეჯერ მკლავით მოგვიწია დახსნა. იგეთ არამზადებს აქვთ იარაღი ჩაგდებული, კაცის კვლა რომ უხარიათ, – გულისტკივილით თქვა ზაქრომ.

– არადა, რა უნდა აკეთოს კაცმა. აფხაზეთში ვაპირებდით წასვლას, მაგრამ რომ გავიგეთ, იქ რა მუხთლობა ტრიალებს, გადავიფიქრეთ, – დაუმატა ფარნაოზმა.

ამასობაში პურ-მარილი გაშალეს. ზაქრომ ომარი განზე გაიხმო და საიდუმლოდ უთხრა: – ამ დღეებში შეიძლება შენთან ჩემი ძმაკაცი ნოდარა მოვიდეს, ისა და კაი ბიჭი ინგილო ვახო იქნება, მამა რომ მოუკლეს. ადრე სალახანას და მის ბანდას აუგეს ანდერძი.

– რას ამბობ, ზაქრო, ეგენი იყვნენ?! – ომარს გაუკვირდა.

– ჩემთან თქვეს, საიდუმლოა, სანამ ესენი პარპაშობენ. ეშმაკას ამოუწყვეტია ნოდარას დეიდაშვილის ოჯახი. თუ თვითონ არ იზრუნა, პასუხს არავინ სთხოვს.

– ეშმაკა ერთი კვირაა აქ დაეთრევა. ქვევით, სააგურეში ტიმოთე ლაშიანს შეუჩნდნენ. საწყალმა ლამის თავი ჩამოიხრჩოს, ისეთ დღეშია. საღლაც აგროვებენ აფხაზეთში წასაღებ იარაღს და აქ თათრებზე  ყიდიან.

ამ დროს შორიდან ავტომატის სროლის ხმა გაისმა.

– თავს დავიჭრი თუ სააგურეში ღორებს არ ხოცავდნენ. ყოველდღე ეს ამბავი აქვთ. მთელი კოლტიდან ერთ ღორსაც არ დაუტოვებენ, – გულისტკივილით თქვა ომარმა.

– ეგენი არც ადამიანებს ინდობენ, ნოდარა გამოჩნდება და მოუხერხებს რამეს. არადა, დასდევენ. იმ უბედურების დაკრძალვაზე უთქვია, თქვენს მკვლელებს არ ვაცოცხლებო.

– მოვიდნენ, მივხედავ, ყურადღებას არ მოვაკლებ. ამ ნაძირალების ჯავრი მეცა მჭირს, მაგრამ მაგათზე ხელის გასვრას არ ვკადრულობ: თავიანთი არაკაცობა გადაჩეხავთ.

– არა ხარ, ომარ, მართალი, კოღო სანამ თვითონ ჩვენ არ გვიკბენს, ხელის გაქნევა არ გვინდა. პარაზიტი კი დროზე თუ არ მოიცილე, ყველას გაამწარებს. შენს მსგავსად ბევრი რომ ფიქრობს, იმიტომაც გაგვინებივრდნენ არამზადები, – უსაყვედურა ზაქრომ.

– ეგრეა, სანამ ერთიანი ხელმძღვანელი არ გამოგვიჩნდება. საქმეს კი ის ართულებს, რომ თვითონ ხელმძღვანელია ამათ მხარეზე. კანონიერი პრეზიდენტის წინააღმდეგ ბრძოლაში მეკობრეთა ბელადის ტიტულიც კი გაახუნა. მე მზად ვარ, ძმაო, სადაც ერთი გაისარჯება, ორი იმდენი ჩემიც მიათვალეთ, – ომარმა ზაქროს ხელი გაუწოდა.

სუფრას შემოუსხდნენ. მოძღვრის პურ-მარილს ეგერების  და ზაქროს მოტანილიც მიუმატეს და მდიდრულად მოეწყვნენ. მოსე იაფეთის მოსაყვანად წავიდა. მალე სამი პატარა თევზით მოიყვანა.

– მამაო ზოსიმე, კომუნისტების დროს დაწყებული ეკლესიის შემოღობვა დღესაც  რომ ვერ დაგიმთავრებია, ისევ კომუნისტების ბრალი ხომ არ არის? – გამომწვევად ჰკითხა მათემ.

– რა ვიცი, ყველა უფლის მაგინებელი მორწმუნეობას იბრალებს, სადაც კი ამაღლებული ადგილი ნახეს, ეკლესიას აშენებენ; შენი სამების შემოღობვა გა-

უჭირდათ?! – ახლა კოტემ მიუმატა სათქმელი.

– როგორ გითხრათ. ძალათ მორწმუნე ურწმუნოებმა წალეკეს ეკლესია, როცა ღმერთი არა გწამთ, მაგრამ მოდას თუ თანამდებობის სკამს აყოლილი ყველაზე თავდადებულ მორწმუნეობას იბრალებ, ეს არის ყველაზე დიდი ცოდვა და უფლის უპატივცემულობა. როგორ შეიძლება, ერთდროულად ღმერთიც გწამდეს და სატანაც. ეს გერმაფროდიტები გულს მირევენ, კარგად ვიცი, საკმარისია, პოლიტიკური ამინდი შეიცვალოს, რომ ეკლესიების რბევას ვერავინ დაასწრებთ. ეკლესიებს იმიტომ აშენებენ, რომ თქვან, მე ავაშენეო. ძველი ისტორიული ძეგლის შერემონტება და ღობის შემოვლება რაში აწყობთ, სახელოვან ძეგლს თავიანთ უბადრუკ სახელს ვერ მიატმასნიან. ერთი კურტანაა ცინგლიანი, ათასი სამარცხვინო საქმით გასვრილი, ძალიან დიდი ფული იშოვნა. ვთხოვე, ეკლესია შემოღობე-მეთქი. ამით ჩემს სახელს რა შეემატებაო. გამებრაზა და პირში მივახალე: – შენი სახელი ნულია, მარტო ის უნდა ეცადო, ნულს ქვევით არ დაეშვა-მეთქი. გულზე დიდი ოქროს ჯვარი ჰკიდია, უნდა ჩამომეგლიჯა. უფალი შენისთანებს სასუფეველში არ მიუშვებს-მეთქი, ვღრიალებდი. ლაჩარი ისე გაიძურწა, სული ქუსლებში გაეპარა. მითხარით, რომელმა პატიოსანმა კაცმა იშოვა ფული და გეტყვით, მე, რომ ერთ კვირაში ეკლესიას ქვითკირის ღობეს შემოვავლებ. ამ თავისი ხალხის სისხლით გასიებულ ისკარიოტელებს რა უნდა მოვთხოვო, რა?! – ზოსიმე აღელდა და ქვეყნის დამაქცევართ წყევლა-კრულვა გაუგზავნა.

– ლუარსაბ თათქარიძე ხომ იყო მაგარი მორწმუნე, რომ ამბობდა: – წირვა-ლოცვას მე არ ვაცდენ, კაცი მე არ მომიკლავს, მისვამს და მიჭამია. არც ერთი დღე მშიერი არ ვყოფილვარო. არც ლუარსაბს აუშენებია მთავარანგელოზის ეკლესიის ღობე, არც გაჭირვებულებისათვის შეუწუხებია თავი. მოკლედ, ლუარსაბების ამინდი დადგა. ასევე მომრავლდნენ ყმები. მორჩილი ცხვრებივით მივდივართ ბატონყმობისკენ, ალბათ, ამის ღირსი ვართ. ნამდვილი, თანასწორი ცხოვრებისთვის, ეტყობა, მომწიფებული არ ვყოფილვართ. ახლა რამდენიც გინდა იჯაჯალანო, ბატონყმობა სახეზეა.

– არისტრაქოს სამოსელმა ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაასკვნა, რომ სამყაროს ცენტრი მზე იყო, არაფრად ჩააგდეს. მეთექვსმეტე საუკუნეში კოპერნიკმა რომ იგივე დაამტკიცა, კოცონზე დაწვას ბუნებრივმა სიკვდილმა გადაარჩინა, ახლა აღარავის უკვირს დედამიწის ბრუნვა მზის გარშემო, თვით ეკლესიის მსახურებსაც. კაცობრიობა თანასწორობის და სოციალურ კეთილდღეობისკენ მიდის, მაგრამ მანამდე ეტყობა, დიდი ხნით ველური ყოფით და ჯუნგლების კანონით უნდა ვგლიჯოთ და ვხრათ ერთმანეთი, – დაასკვნა მათემ.

სუფრასთან საუბარი და აზრის გამოთქმა გაუგრძელდათ. შებინდდა. ზაქრო და ფარნაოზი დანარჩენებს გამოეთხოვნენ. ზოსიმე მოძღვარი, კოტე და მათე ეგერებთან დარჩნენ. კოტემ, მათემ და იაფეთმა ანკესით ლოქოზე თევზაობა გადაწყვიტეს.

## ზოსიმე მოძღვარი

**მთავარანგელოზის** ეკლესია ხევის პირას, ტყით დაფარულ გორის ძირში, მოსწორებულ ადგილზე აეშენებინათ. დიდი ხნის განმავლობაში მიტოვებული იყო. მხოლოდ დღეობაზე მოგროვდებოდნენ ხოლმე მლოცველები, თუ უბრალოდ, დროს გატარების მსურველები. შეთქმულ პირუტყვს დაკლავდნენ, მთელ ღამეს ქეიფსა და ღრიანცელში გაატარებდნენ; დათვრებოდნენ, იჩხუბებდნენ.

ზოგი დაიჭრებოდა, ზოგს თავ-პირის და ნეკნების შესწორება მოუწევდა. ასე ღამენათევი, ნაცემ-ნაცემები მეორე დღეს მათ მიერ მოტანილი ნაგვით და ნარჩენებით დაბინძურებულ ეკლესიას მიატოვებდნენ და შინისაკენ ოხვრა-კვნესით და მოთქმით გასწევდნენ.

ზოგჯერ ვიღაც მოვიდოდა შეპირებულ ცხვრის თუ მოზვრის დასაკლავად; რამდენიმე ქალი და კაციც მოჰყვებოდა. პირუტყვს დაკლავდნენ, ხორცს შეწვავდნენ, მოხარშავდნენ; მიწაზე გაშლილ სუფრას ქვებს შემოუწყობდნენ, ზედ დასხდებოდნენ და უფლის თუ სამშობლოს სიყვარულის სადღეგრძელოებს ცრემლის ღვრით და მკერდზე მჯიღისცემით ბოლომდე გამოცლიდნენ. წვეთს არავის შეარჩენდნენ, უფალს ეწყინება ჭიქაში ღვინო რომ დარჩესო. დათვრებოდნენ, დაღრევდებოდნენ, გონებაარეულებს უფალიც და სამშობლოც დაავიწყდებოდათ, ცოტა ხნის წინათ ასე თვალცრემლიანები ჭიქების ბოლომდე გამოცლით რომ უმტკიცებდნენ სიყვარულს და ერთგულებას. იგინებოდნენ, ერთმანეთის სიფათი თუ ნათქვამი სიტყვა აღარ მოსწონდათ, იმუქრებოდნენ, ჯავრობდნენ, ბრაზობდნენ; იქავე მოისაქმებდნენ, მთელი ეკლესიის კარმიდამოს ნაგვით აავსებდნენ და უფლისადმი ვალმოხდილნი ღრიალით და ჯაჯღანით დაიშლებოდნენ.

ეკლესიას მოძღვარი არ ჰყავდა. უპატრონობით და უყურადღებოდით ნელ-ნელა ინგრეოდა. შემოუღობავი და დაუცველი სოფლიდან მოსული ძროხების დასასვენებელ ადგილად იქცა. დრო და დრო საქეიფოდ, სალოცავად თუ დროს გასატარებლად მოსული ხალხი პარტახის კვალს ტოვებდა წასვლის შემდეგ. ათეიზმის ხანა იყო, უფრო საქეიფოდ და გასართობად ამოდიოდნენ აქ, ვიდრე ჭეშმარიტი რწმენის კარნახით.

ზოსიმემ ახალგაზრდობიდანვე უფლის სამსახური გაიხადა მიზნად. მცხეთის სასულიერო სასწავლებელი დაამთავრა და თავისი სურვილით მთავარანგელოზის ეკლესიაში დაბინავდა. დაუღალავმა შრომის მოყვარემ თვითონ შეარემონტა, დაასუფთავა; სენაკები საცხოვრებლად მოაწყო. მოყვრებიც გაუჩნდნენ. რამდენიმე მორჩილი და მორწმუნე ქალები ისე გულმოდგინედ ასუფთავებდნენ იქაურობას, რომ ეს ნამდვილად წმინდა ადგილი მოკრძალებას და სალოცავისადმი თაყვანისცემას უღვივებდა მნახველს. ღამის მთევლები თუ შეწირული საკლავის მომყვანნი ისე აგდებულად და აღვირახსნილად აღარ იქცეოდნენ. მოვლილი და გაპატიოსნებული ეკლესია მრევლის თაყვანისცემას, წესრიგს და უფლის მიერ ჩაგონებულ კაცთმოყვარეობას ითხოვდა.

თუმცა ზოსიმე მოძღვარს მრევლი დიდ პატივს სცემდა, ურწმუნო ახალგაზრდები ხშირად აბუჩად იგდებდნენ გრძელ ანაფორაში გამოწყობილ, ჯოხით ხელში ქუჩაში მიმავალ მოძღვარს. განსაკუთრებით თავხედებისთვის ზოსიმეს თავისი შრომაში ნაწრთობის მკლავის ძალა უგრძნობინებია. ხშირად გადადიოდა საინგილოში, ეკლესიებს მოინახულებდა, წირვას აღავლენდა. ადგილობრივი აზერბაიჯანელი ხელმძღვანელობა ებრძოდა ცრუმორწმუნეობის ქადაგების საბაბით. რამდენიმე დღით დაიჭერდნენ, იქ გასვლას აუკრძალავდნენ, მაგრამ ზოსიმე მაინც არ იშლიდა, ისევ წავიდოდა, ისევ იქადაგებდა მრევლთან და ყველაფერი თავიდან იწყებოდა.

საქართველოს კომპარტიის ცკ-ას პირველ მდივნად შევარდნაძის მოსვლის შემდეგ განსაკუთრებით გამკაცრდა ათეისტური ღონისძიებები. კანონი არ კრძალავდა სარწმუნოებას, ვისაც სურვილი ჰქონდა რიტუალებში მონაწილეობის და რწმენის არჩევის თავისუფლება იყო. მაგრამ განსაკუთრებით მძლავ-

რად გამოვლენილი კარიერისტული ამბიციების მქონე ზედა ეშელონებში გამძვრალ ვაი კომუნისტები, თავის გამოჩენის მიზნით, არღვევდნენ სოციალისტური კანონმდებლობის პრინციპებს და უხეში ჩარევით, ძალადობით და უკანონობით ბატონკაცურად ამახინჯებდნენ და სვრიდნენ თავისუფლების და დემოკრატიის პრინციპებს. ახალგაზრდას თუ ეკლესიაში ნახავდნენ, ვაი იმის მშობლებს, არც ერთ კანონში რომ არ ეწერა, შეიძლება პარტიიდან გაერიცხათ ან სამსახურიდან გამოეგდოთ. სიმართლისთვის ხმის ამოღება ისეთივე საშიში იყო, როგორ ცოფიანი ლომის ხახაში თავის შეყოფა. რადგან მოძალადე დაუნდობელია მისი არაკანონიერი, კარიერისტული ამბიციების კარნახით აგორებული უმსგავსო მოქმედებათა მხილების შემთხვევაში. იგი ყოველგვარ დანაშაულზე მიდის, რათა მის ანტიხალხურ, ანტისახელმწიფოებრივ, ანტიეროვნულ ბოდვას კანონის და კანონიერების დამცველის ნიღაბი ან ჩამოხსნან.

ზოსიმე მოძღვარი წირვა-ლოცვაზე, ხალხთან საუბარში, ყველგან ამხელდა არსებულ ხელმძღვანელობას, რომელიც ქვეყნის კანონის საწინააღმდეგოდ ასე უხეშად ებრძოდა სარწმუნოებას და მრევლს ათასნაირი მუქარით ატერორებდა.

ბოლოს მამა ზოსიმეს საქმიანობაზე ზევით მოხსენდა და მისი დაჭერის გეგმაც იქ შედგა.

გაძარცულ და გაპარტახებულ ეკლესიაში მამა ზოსიმემ თავისი მოგროვილი ხატები, შანდლები, ჯვრები და ათასი რამ მოიტანა. თვითონ მრევლიც ჩუქნიდა ეკლესიას ძვირფას ხატებს. აქედან ყველაზე მნიშვნელოვანი და თვალში მოსახვედრი ღვთისმშობლის ხატი იყო. ეკლესიაში შესული მაშინვე შეამჩნევდა მის ბრწყინვალებას. მოოქროვილ ჩარჩოში ჩასმულ სხვა ყველა ხატზე ძვირფასი იყო. ზოსიმე მოძღვარი მეთვრამეტე საუკუნის ნიმუშად აღიარებდა და განსაკუთრებით უფრთხილდებოდა. მისი დაპატიმრების სამარცხვინო კარუსელი კი უკვე ბრუნავდა.

ზოსიმე მოძღვარი თავის სენაკში იყო. მაღალი, შავებში ჩაცმული, შავი ხილაბანდით თავწაკრული მშვენიერი ქალი ეკლესიაში შევიდა. ღვთისმშობლის ხატის წინ დაიჩოქა და დიდხანს ლოცულობდა, სანამ მოხუცი ქალი, ეკლესიას რომ ემსახურებოდა, მასთან არ მივიდა.

– რამდენი ხანია გიყურებ, ეგრე ცოდო ხარ, ადექი, სკამზე დაჯექ, დაისვენე, – წამოაყენა და კედელთან მოწყობილ სკამისკენ წაიყვანა.

– თავი მაქვს მოძულებული, მარტოდ დარჩენილს სიცოცხლე არ მინდა, აქ, თქვენთან თუ მაცხოვრებთ, შეიძლება პატარა შვება მივიღო, თუ არადა, წყალში გადავვარდები, – ცრემლების ფრქვევით მოიჩივლა ქალმა.

– ეგ რამ გაფიქრებინა, სული არ წაიწყმიდო. მე სამრეკლოს ქვედა სართულში ოთახი მაქვს მოწყობილი. მოძღვარს ვთხოვოთ, თუ დაგვთანხმდა, ჩემთან იცხოვრე, – უთხრა და მამა ზოსიმესთან წაუძღვა.

ზოსიმე ამ ქალის ეკლესიაში დატოვებაზე წინააღმდეგი იყო, მაგრამ ბევრი ხვეწნა-მუდარის და ცრემლებისღვრის შედეგად მოლბა და სამრეკლოში ცხოვრების ნება დართო.

სუზანად გააცნო თავი ვნებამოჭარბებულმა ქალმა ზოსიმე მოძღვარს. რამდენიმე დღე იარა მხოლოდ მონაზვნის შავ ტანისამოსში. მერე ისე მოკლე, მკერდამოღებული, გამჭვირვალე კაბების ჩაცმა დაიწყო, სხეულის ყველა ღირსებას დაუფარავად რომ აჩენდა. ამ გაშიშვლებულ ვნების დანახვაზე სალოცავში მოსული კაცები კი არა, მგონია, დიდ საფლავის ქვაზე ამოკვეთილი ჩოხოსნებიც კი ოხრავდნენ.



ზოსიმემ რამდენიმეჯერ გააფრთხილა, უფლის სახლში ასეთი ჩაცმულობით გამოჩენა მკრეხელობააო. პასუხად მომხიბლავი, ვნებიანი ღიმილი, ანაფორაზე კოცნა და ღუმელის ქვეშ გახუხული კატის მოფერება მიიღო. ეს ვნებააშლილი დედაკაცი რამდენიმეჯერ სენაკშიც მიეჭრა და მის გვერდით დაწოლა სცადა. ვერაფრით ვერ გაათბო ზოსიმეს გული. ქალი ნერვიულობდა. ახლა პირდაპირ შეტევაზე გადავიდა, სენაკში შეიპარა, დასასვენებლად წამოწოლილ მოძღვარს კოცნა და ალერსი დაუწყო. გაბრაზებულმა კინწისკვრით გამოაგდო გარეთ და ერთ კვირაში ეკლესიის დატოვება უბრძანა. მაშინვე გააგდებდა, მაგრამ შეებრალა, მანამდე თავშესაფარს იშოვის სადმეო. ერთი კვირა აღარ დასჭირდა. მშვენიერი სუზანა ორ დღეში გაქრა ღვთისმშობლის ხატთან ერთად. სანამ ზოსიმე რაიმეს მოიფიქრებდა, ხატის გაქრობის მეორე დღესვე მილიცია დაესხა თავს. ეკლესიაშივე დააპატიმრეს და თითქოს მოუხელთებელი ყაჩაღი დაიჭირესო, გამარჯვებულები დიდი სიხარულით წავიდნენ.

ამ „საშინელი“ დანაშაულით რესპუბლიკა დაინტერესდა და ზოსიმე პირდაპირ თბილისში წაიყვანეს.

– მღვდელო, ხატი მოიპარე? რაღაზე უნდა ილოცო, შე უფლის მაგინებელო! – გამომძიებელმა თავიდანვე აბუჩად აგდებით დაიწყო.

– მკრეხელის მყრალ სუნს აფრქვევ მაგ ფარისევლის პირიდან, დოლბანდი მაინც აიფარე, მადლია! – ზოსიმემ იქით შეუტია.

გამომძიებელი ამგვარ პასუხს არ მოელოდა, დაიბნა, უტიფარი ტონი გაუქრა. სერიოზულად დაიწყო: – დადასტურებულია, რომ თქვენ, მოძღვარო, ზოსიმე, ეკლესიიდან ხატი მოიპარეთ, რას იტყვით ამაზე?

– ხატის ქურდები და სარწმუნოების მაგინებლები სხვაგან მოიკითხეთ!

– ეგრე თავს ვერ დაიხსნი, ძალიან მკაცრად დაისჯები!

– ბევრი წმინდანი აწამეს ბნელეთის მოციქულებმა, რითაც საკუთარ თავს ჯოჯოხეთი მოუმზადეს. შენც ძალიან კარგად იცი, რა საშინელი ცილისმწამებლის როლი დაგაკისრეს; შეგინდოს უფალმა! არ დაგწყევლი, მაგრამ მეცოდები, რა გეშველება, გაფუჭდები, ცოდვებს მოაგროვებ და დაიღუპები, – ზოსიმემ პირჯვარი გადასახა, თან დაუმატა: – უფალო, იხსენი საბრალო სული!

დაკითხვაზე გასართობად მოსული გამომძიებელი დაიბნა. დიდხანს დუმდა, მერე უნებლიეთ დაიწყო:

– თქვენ გბრალდებათ ხატის ქურდობა.

– ხატი გუშინ საღამოს გაქრა, – ზოსიმეს სუზანაზე ჰქონდა ეჭვი, მაგრამ ამათთან არ უნდოდა თქმა, ფიქრობდა, თვითონ მოვატანინებო. მერე გამომძიებელს მოულოდნელად ჰკითხა: – ასე უცბად ჩიტმა მოგიტანათ ამბავი?

– ჩვენ ყველგან გვყავს ჩიტები. ხატი ვისაც მიჰყიდე, თვითონ მოვიდა ჩვენთან, მოძღვარმა თავის რწმენას უღალატაო.

ზოსიმე სიცილისგან გადაფიჩინდა.

– უფალო, გესმის? თურმე ეს ამოდენა ურწმუნოთა და ფარისეველთა არმია მე მყარაულობს, ჭეშმარიტ რწმენას არ უღალატოსო, ამას ფარისევლის მეტი ვინ მოიგონებდა. უფალო, შეუნდე ცოდვილს! – ზოსიმემ გამომძიებელს სიცილით გადასახა პირჯვარი.

– შემოიყვანე მოწმე! – გამომძიებელმა სხვა ვერაფრის თქმა ვერ მოახერხა და მორიგე მილიციელს უბრძანა.

დრო გავიდა, მოწმე იგვიანებდა. გამომძიებელს ლაპარაკის სურვილი აღარ ჰქონდა თუ ზოსიმეს მორიგ შეჩვენებას ერიდებოდა; ქაღალდების ქექვით გაერთო.

– რა ძალიან გაუჭირდათ მოწმის მოძებნა, გავიდნენ ქუჩაში, სტაცონ ვინმეს ხელი, მოწმე არ იქნება? ამხელა თვალთმაქცობის გამოცდილების მქონეთ, მეშინია იაღლიში არ მოგივიდეთ, ნამდვილ მოწმეს არ დაუწყოთ ძებნა. სად იპოვით იმას, რაც არ არსებობს, – დამრიგებლის ტონით თქვა, გულზე დიდი ჯვარი ხელით მოძებნა. ახლა გაახსენდა, რომ ჯვარიც, ჯოხიც და ქამარიც აქ ჩამოართვეს.

გამომძიებელმა თავი მაღლა აიღო, რაღაცის თქმის სურვილი ჰქონდა, მაგრამ ვერ მოიფიქრა. ეშველა, ოთახის კარები გაიღო და მილიციელმა ვიღაც გაპუდრული შუა ხნის ქალი შემოიღვანა.

– მოწმეა, – თქვა მილიციელმა.

– ამან მოგყიდა ხატი? – შეეკითხა გამომძიებელი.

– ჰო, ეს იყო, – საჩქაროდ დაეთანხმა ქალი.

– როგორი ხატი იყო? – ახლა ზოსიმე შეეკითხა.

– ძალიან კარგი.

– წმინდა გიორგის იყო, არა? – თანამოაზრესავით შეეკითხა ზოსიმე.

– წმინდა გიორგისა, ჰო, წმინდა გიორგის იყო.

ზოსიმემ ღიმილი შეიკავა და გართობის ნოტზე მომართულმა ჰკითხა: – ხატი კი არა, ჯვარი მოგყიდე, აი, ეს ჯვარი გულზე რომ მეკიდა, დიდი ჯაჭვით, აი, ასე გადავიძრე თავზე და მოგეცი.

– ჰო, ჯვარი იყო, ჯვარი. ნახეთ, გულზე აღარ ჰკიდია, მე მომყიდა, – გაპუდრული ქალი მაშინვე დაეთანხმა.

– პუდრიც მე მოგყიდე, ეგრე მუჭა-მუჭა რომ დაგიყრია?

– ჰა? – წამოიძახა დაბნეულმა ქალმა.

გამომძიებელი ამდენ ხანს ჩუმად იჯდა. მღვდლისთვის ხატის ქურდობის დაბრალება გასართობი ეგონა. მოწმე თვითონ არ შეარჩია, მილიციელმა კი, ეტყობა, ვიღაც კახპა ქუჩიდან მოიყვანა და, აჰა.

– ჰა და ცეცხლი! გაეთრიე გარეთ! – უღრიალა გაპუდრულ ქალს და მაგიდაზე მუშტი დაარტყა. ელდანაცემი ქალი გარეთ გავარდა.

– წაიყვა, კამერაში! – უბრძანა მილიციელს, – ცოტა ხანში სულ სხვა ნოტზე დაუკრავს! – დაუმატა.

– სირცხვილის შვილებო, ვაი, რომ უდანაშაულო ადამიანთა გოდება თქვენთვის გასართობი მუსიკაა! – ზოსიმეს მილიციელები დაადგნენ და ტალანში გაიყვანეს. უცებ ოთახიდან გამოსული, შარვალში გამოწყობილი, მშვენიერი ქალი შეეფეთათ. ზოსიმე ადგილზე გაქვავდა, ქალს დაჟინებით დააკვირდა და უცებ ჰკითხა: – შენ სუზანა არა ხარ?

– არა, მე ზაირა ვარ, – მოულოდნელი შეხვედრით შემკრთალმა უპასუხა.

ზოსიმე ახლა კი მიხვდა, რატომ უძვრებოდა საწოლში და ეს ყოველივე ვისი მოწყობილი იყო.

– სუზანა ხარ, თუ ზაირა,
გაითახსირე თავი რად,
ბინძური ცოდვა იტვირთე,
აღარა ღირხარ ყაირად.

ექსპრომტად მიაძახა და მილიციელებს გაჰყვა, – ამათი აგენტი ყოფილა, რას აღარ კადრულობენ ეს ისკარიოტელები! – ხმამაღლა თქვა.

მოწმეები შეცვალეს, იცოდვილეს, საქმე როგორც უნდოდათ, ისე შეთითხნეს და ბოლოს ზოსიმეს გამოუცხადეს, თუ გინდა, რომ სროკზე არ გაგიშვათ,

ჩვენთან უნდა ითანამშრომლოო.

– მე უფალს სპეტაკი რწმენით ვემსახურები. თქვენ მისამართი შეგეშალათ, სატანის სამსახურში ყოფნას მეძავებიც არ იკადრებენ. ზაირასნაირი თხისჩლიქიანები კი ბლომად არიან და წამლეთ სიმართლის ნერგი, სანამ ჯოჯოხეთში აფართხალდებით! – მიიღეს ზოსიმეს პასუხი.

ამის შემდეგ ბევრი აწვალეს. გასამართლება ვერ გაებედათ. სამარცხვინოდ შეთითხნილი ბრალდება სასაცილოდ აქცევდა მათ მცდელობას. მორწმუნეებმაც იაქტიურეს. ბოლოს თითის ქნევით და მუქარით გამოისტუმრეს, ხატი აღარ მოიპარო, თორე ვაი შენი ბრალიო.

– რომ გაიგო, ვის ხელში ხარ, ამათი უსამართლობის შხამის გემო უნდა გასინჯო, – ხშირად იტყოდა ხოლმე ზოსიმე. – უსამართლობას და ძალადობას თავი გავანებოთ, შევარდნაძის შიშით ეკლესიაში ცხვირს ვერავინ შეყოფდა. შვილების მოსანათლად ღამე მოდიოდნენ, რომ არავის დაესმინა. ახლა ეს ქრისტეს ძვლის მკვნეტავი ლამის წმინდანად შერაცხონ. გაგვიწყრება უფალი, მაშ რა; – ამბობდა და თან უფალს ევედრებოდა: – საქართველოს თავისი ერის მაგინებელი ფარისეველის საჯიჯგნად ნუ იმეტებო.

ზოსიმემ რომ ეკლესიის რემონტი და კეთილმოწყობა დაიწყო, რაიონის ხელმძღვანელობამ თავიდან ვერ გაიგო. მთავარანგელოზის ეკლესია სოფლიდან მოცილებით ტყეში იდგა, თუ სპეციალურად არ წავიდოდა კაცი, სხვა ვერავინ ნახავდა, როცა ამბავი მოუვიდათ, ვიღაც მღვდელი ეკლესიაში დაბინავდა, არემონტებს და იქაურობას ასუფთავებსო, შევარდნაძის მიერ გამოგზავნილი რაიკომის მდივანი გაცოფდა. წარმოდგენა არა ჰქონდა, ის ეკლესია სად იყო, არც იმისი ჯავრი აწუხებდა, გაარემონტებდნენ თუ დაანგრევდნენ. არც პარტიაზე და კომუნისტობაზე ეწვოდა ჯიგარი. რუსეთში ათას ავანტიურას ნაზიარებმა ერთი იცოდა მხოლოდ, ცკ-ის პირველი მდივნისთვის, შევარდნაძისთვის ესიამოვნებინა და მისი ნაკარნახები საქმეები ეკეთებინა, თუნდაც, ეს ქვეყნისა და ხალხის საუბედურო ყოფილიყო. ახლაც ასე იმიტომ გაბრაზდა ეკლესიის კეთილმოწყობაზე, რომ იცოდა, თავისი შეფის და მწყალობელის ედუარდ შევარდნაძის აგრესიული და განსაკუთრებით მტრული დამოკიდებულება უფლის რწმენის და მთლიანად მართლმადიდებლური ეკლესიის მიმართ. გაბრაზებულმა აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეს დაავალა: – წადი, მღვდელი გამოაგდე, ანაფორა შემოახიეთ, გაკრიჭეთ და ეკლესია მიანგრ-მოანგრიეთო, – თქვა და ანგარიში სულაც არ გაუწია, რას ნიშნავდა ეს. მას კანონების და სამართლიანობის შესახებ თავისი საკუთარი შეხედულებები ჰქონდა. ეგონა, რომ კანონიც და სამართალიც თვითონ იყო, რასაც იტყოდა, აუცილებლად ის იყო სწორი.

მთავარანგელოზის ეკლესიის დარბევაზე დავალება მათეს მისცა და იფიქრა, ათმაგი გულმოდგინებით მოაოხრებდა ეკლესიას. ამის შემდეგ ეს ამბავი აღარც გახსენებია. თუ შემსრულებელი მასავით დაშტამპული ტვინის მფლობელი იყო, გაგიხარია, დარბევის და უზნეობის კორიანტელს დააყენებდა. რამდენი ამგვარი უკუღმართი დავალება გაუცია. სწორედ ამგვარ კალაპოტში ჩამჯდარ, უგრძნობელ, დაუნდობელ, საკუთარი აზრის და შეხედულების უქონელ მუხისშუბლიან შემსრულებლებს ჰქონდათ დიდი პატივი და დაფასება შევარდნაძის განუკითხაობა-ძალადობის რეჟიმის დროს.

ანაფორააკეცილი, ხელებდამკლავებული ზოსიმე მოძღვარი ეკლესიის ღობისთვის საძირკველს თხრიდა. ერთ უზარმაზარ ქვას მიადგა, ვერაფერი დააკ-

ლო, ადგილიდან ვერ დაძრა: არადა, ამის გამო ღობის გამრუდება არ უნდოდა. ჰოდა, იყო ბრძოლა მოძღვარსა და ლოდს შორის. გარშემო შემოუთხარა, წერაქვი მიწაზე დააგდო, ახლა ძელაყინით იწვალა, მაგრამ ამაოდ, ქვას ძვრა ვერ უყო. ბედს არ შეურიგდა, წერაქვი ისევ აიღო და ქვის გარშემო მიწის თხრა დაიწყო. ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა. გაჯიუტებულ ქვას ჯიუტი მოძღვარი არ ასვენებდა. პოზიციების დათმობას არც ერთი არ აპირებდა. დაიღალა, ქვას ოფლი აწვიმა. დასვენება გადაწყვიტა, ქვას დახედა, – შენ დაჯდომის ღირსად არ გაგხდი, სატანის დაგდებულო! – მიაფურთხა და იქვე მოხრილი ხის კუნძზე ჩამოჯდა. ახლა შენიშნა, ვიღაც კაცი ეკლესიის ეზოს ათვალიერებდა, მერე ეკლესიაში შევიდა. ,,სანთლის დანთება თუ უნდა", – გაიფიქრა მოძღვარმა. კაცი ეკლესიიდან გამოვიდა და მისკენ წამოვიდა:

– გამარჯობა მოძღვარო, – უთხრა და ქვაზე ჩამოჯდომა დააპირა.

– არ დაჯდე, ეგ ეშმაკის დაგდებულია; ხელები დამაწყდა და ადგილიდან ძვრა ვერ ვუყავი, თფუ ეშმაკს! – ზოსიმემ ქვას მიაფურთხა.

– მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალიაო, მოდი, ორივემ ვცადოთ, – შესთავაზა კაცმა.

– ორი კი არა, ეჭვი მეპარება, ფესვები არა ჰქონდეს გადგმული; მაინც ვცადოთ, – ზოსიმე უიმედოდ ადგა და წერაქვი აიღო.

ქვის გარშემო დიდხანს თხარეს, მაინც ძვრა ვერ უყვეს.

– ქვევიდან გამოვუთხაროთ და დავაგოროთ, – თქვა კაცმა და ფერდობის მხრიდან დაიწყო მიწის გამოღება.

ძელაყინი დაუდეს, დასწიეს და ქვა ცოტათი შეტოკდა, თითქოს დიდი ხნის ძილის შემდეგ გაიზმორაო.

დიდი სქელი ტოტი მოჭრეს, ქვას ღრმად ამოსდეს და ორივე დაეკიდნენ. ქვა შექანდა, კიდევ რამდენიმეჯერ შეანჯღრიეს, მერე მაგრად დასწიეს და როგორც იყო, ადგილიდან დაძრეს, ცოტა კიდევ დაატოკეს და ქვა თავდაღმართზე დაგორდა, თანდათან გაძრიალდა, ხეების ლაწალუწით და ჭახანით ხევში გაუჩინარდა.

– გიშველა ღმერთმა! თუ არა შენ, მარტო მე ამის მომრევი არ ვიყავი, – მადლობის ტონით თქვა მოძღვარმა.

ცოტა ხანს კიდევ წაიმუშავეს და დასხდნენ.

– საძირკველს ვთხრი, ეკლესიას ქვითკირის ღობე უნდა შემოვავლო, – უთხრა კაცს.

– ამხელა კედლის აშენებას რამდენი ხანი მოუნდები, თუ იცი?

– სამ წელიწადში მოვრჩები.

კაცს გაეცინა.

– სანამ შენ ქვითკირის ღობეს ააშენებ, სოფლის საქონელი აგიკლებს.

– აბა, რა ვქნა?

– ჯერ წნელის ღობე შემოავლე, ტყეში ხარ, ეს არ გაგიჭირდება. თანდათან ააშენე ქვითკირის ღობე, გინდა ხუთი წელი მოუნდე, ეზო დაცული გექნება.

ზოსიმე ჩაფიქრდა.

– მართალს ამბობ, ხომ იცი, აქაც ქვის გადაგორებასავით მომეხმარე; ახლა კი გვეკუთვნის თითო ჭიქის დალევა.

ეკლესიის მსახურმა მოხუცმა ქალმა ხელადით ღვინო და მცირედი საჭმელი მწვანიანზე დააწყო.

– იმედია, მოძღვრის მწირ ტრაპეზს არ დამიწუნებ, – თქვა ზოსიმემ და

ჭიქები ღვინით გაავსო. – იქნება ახლა მაინც გავიცნოთ ერთმანეთი, მე სამების ეკლესიის მოძღვარი ზოსიმე გახლავართ.

– მე – ალმასკომის თავმჯდომარის მოადგილე მათე ბალაშვილი, – სტუმარმა გაოცებულ მოძღვარს ხელი გაუწოდა.

– აქ რამ მოგიყვანა?

– გამომგზავნეს, მარტოა, ქვის გადაგორება უჭირს, ცოდოა, მიეხმარეო, – ღიმილით უთხრა მათემ.

– ეგრე გამოსწორდა თქვენი ურწმუნო მდივანი? კიდევ კარგი, ხატის მოპარვა არ დაგავალეს.

მათემ ეს ამბავი დაწვრილებით იცოდა და ღიმილით უთხრა:

– ხატის ქურდებს ცოტა უფრო ზევიდან აგზავნიან.

– ვიცი, ვიცი, სათავიდან ბელზებელი იძლევა მაგნაირ დავალებებს.

მათ შორის გულთბილი საუბარი გაიმართა. იცინეს, მათეს მოეწონა მართალი სიტყვის მოურიდებლად მთქმელი მოძღვარი. ზოსიმეც მოხიბლა უბრალო, თავაზიანმა და იუმორით დაჯილდოებულმა მათემ, სულაც რომ არ ჰგავდა გაბღენძილ, მამლაყინწასავით გაფხორილ, მყვირალა, თავქარიან-თავცარიელ, თანამდებობისგან გათავხედებულ, გონებაჩლუნგ სკამოსნებს.

– შენ აქ შემთხვევით არა ხარ მოსული. მე მაინც უფალს მადლობას ვწირავ, ვინმე თავქარქაშა ინდაური რომ არ გამოგზავნეს.

– ზოგჯერ ესეც საჭიროა გამოსაფხიზლებლად, – უთხრა მათემ.

დიდხანს ისაუბრეს, ერთმანეთს არც მათრახივით მოქნეული სიმართლე და ურთიერთბრალდება არ მოაკლეს. მათეს ღმერთი სწამდა, მაგრამ თავისებურად; საეკლესიო დოგმებს არ ეთანხმებოდა. ზოსიმე კი ამ ხელისუფლების თვითნებობას, უკანონობას და, როგორც თვითონ ამბობდა, თავქარქაშიანობას მათესაც აბრალებდა, რომელიც სიცილით იგერიებდა მის თავდასხმებს და უხსნიდა, რომ ყოველი უკანონობა, ძალადობა, უზნეობა, უსინდისობა ხელისუფლებაში გამძვრალ არაკაცების მიერ ხდებაო.

ამ დღის შემდეგ, მათე და ზოსიმე დაძმობილდნენ, ეგერი ომარი და კოტეც გააცნო. ზოსიმეს ნადირობა არ უყვარდა, მაგრამ მათი საძმოს წევრი გახდა და ალაზნის ჭალაში ხშირად დადიოდა.

## ანგელოზების შეშფოთება

**მოწმენდილი,** უმთვარო ცა ვარსკვლავებით მოიჭედა. ზოსიმე მოძღვარი ორი დღის წინათ საინგილოში გადავიდა. კოტემ და ომარმა ეგერების სახლში დაიძინეს. მათემ ვერ მოისვენა, ოთახის სივიწროვეს ვერ იტანდა. ნაბადი წამოისხა და მაღალ სათვალთვალო კოშკზე ავიდა; ხის კენწეროებსაც კი ასცდა. აქ ფიცრის ტახტზე ნაბადში გახვეული წამოწვა და ცაში გაფანტულ ვარსკვლავებს დააკვირდა. უზარმაზარმა სივრცემ სულის ხუთვა მოუხსნა. შვება იგრძნო, ჭალას გადახედა, გაბატონებულ სიჩუმეში სადღაც ჭოტი გაჰკიოდა. ალაზნის ტალღების ტყლაშუნი მკაფიოდ ისმოდა. გრილ ნიავზე ფოთლები ღამის სუნთქვასავით შრიალებდნენ. „მზე დედამიწის მეორე მხარეს მისჩერებია ალბათ ახლა“, – გაიფიქრა მათემ. – „უზარმაზარია ჩვენი გალაქტიკა და უფრო უზარმაზარი უამრავი სხვა გალაქტიკებია. ყოველივე ამის გამგებელი კი ღმერთია – მამა ღმერთი, ნეტავ თუ როდისმე არის მოცლილი? თუმცა, როგორ უნდა მოიცალოს ამხელა სამყაროს მეუფემ, გამგებელმა. დუღს და ბობოქრობს უამრავი

გალაქტიკა, თითოეულში ასობით მილიარდი დიდ-პატარა და გიგანტური ვარსკვლავები თავიანთი ამბიციებით, მოაზროვნე არსებებით დასახლებულ მილიონობით პლანეტებით, ყოველივე ამის გამგებელი მამა-უფალი, მამა-ღმერთია; ექნება კი მოსვენება ამხელა აურზაურში? ყველას თავისი გზა მისცა, დაულოცა არსებობა და მოძრაობის მიმართულება, მაგრამ რა, ვინ იცის, როდის გადაირევა რომელიმე ვარსკვლავი და ათასობით მეტ ენერგიას არ ამოაფრქვევს, ვიდრე უფალმა უბოძა, გიჟური სიჩქარით არ მიეჭრება რომელიმე მასზე დიდ თუ მცირე ვარსკვლავს, საშინელ აურზაურს, მსხვრევას. ნგრევას და ურთიერთ გადაყლაპვას არ გამოიწვევს სამყაროს იმ ნაწილში. რა ქნას უფალმა. როგორ მოიქცეს? ბელზებელიც კეთილ ანგელოზად შექმნა, მაგრამ რა გამოვიდა ამით? როცა ამ უკუღმართმა, კარიერისტმა სხვა ანგელოზებიც გადაიბირა და უფლის სიკეთეს ბოროტებით დაუწყო ბრძოლა; ბარაქალა ბელზებელს და მისი ამალის წევრთა გაწყვეტილ ნამუსის ძაფს.

კიდევ კარგი, რომ უფალი ჩვეულებრივი მოკვდავი არ არის და ერთ რომელიმე პლანეტაზე, ვთქვათ, დედამიწაზე არ დაღოღავს ისე, როგორც სინათლის სხივი მთელს გალაქტიკაში.

უფალი კი იმიტომაა უფალი, რომ ყველგან და ყველაფერშია, ყველა სულიერს მოიცავს, სამყაროს ყველა ვარსკვლავს განაგებს. იგი ერთადერთია დროსა და სივრცეზე რომ ბატონობს. სივრცე – უსასრულო და ადამიანის გონებისთვის მიუწვდომელი, დრო – დაუნდობელი და ყველაფრის არარაობად მქცეველი... უფლის წინაშე კატის კნუტებივით მოკუნტულან მოფერების, თუ მკაცრი საყვედურის მოლოდინში. აი, ვინ არის უფალი: მძლავრი, დიადი, მართალი, სათნო და სიკეთით აღსავსე; სამყაროს შექმნაც სიკეთემ და სათნოებამ უკარნახა, მაგრამ მარტო სურვილი რაა, ბოროტება ისე დასდევს სიკეთეს კვალზე, როგორც ბნელი სინათლეს.

ჩვენ კი, უფლის ნებით შექმნილი სამყაროს მოაზროვნე არსებანი, სისტემატურად ვაწუხებთ უფალს საკუთარი ყოფის მოსაპირკეთებლად, თან გვიკვირს, უფალს რატომ არ ვახსენდებით. ის კი არ გვაღელვებს, ყოველთვის იმას ვთხოვთ უფალს, რის თხოვნაც გვეკადრება?! წარმოიდგინეთ, რა დაემართებოდა სამყაროს უფალი ამგვარ მიეთმოეთს რომ უსმენდეს. ბევრი თავის მეზობელს, ნათესავს, ახლობელს თუ შორეულს ამოაწყვეტინებდა; ზოგი იმოდენა ოქროს და ძვირფას სამკაულებს აიკიდებდა, მისი სიმძიმის ქვეშ გაიჭყლიტავდა თავს. სხვა დედამიწისთვის საჭეს მოითხოვდა, მიუჯდებოდა და უზარმაზარ სივრცეში თავქარიანად აჯირითებდა. აქაოდა, სურვილებს გვისრულებსო, ბევრი ეტყოდა, უფლობა მე დამითმეო, აბა, მაშინ გენახა ცოდვის ტრიალი. დალოცვილია უფლის სამართალი და უმადურია მის მიერვე თიხისგან შექმნილთა ამოუვსებელ ამბიციათა ხახა.

კიდევ კარგი, უფალს არაფერი ეშლება. ისიც იცის, რა უკუღმართია თიხაში სულჩაბერილთა გონება, რომელთაც უფლის რჩევები გადუგდიათ და ეშმაკის ბილიკზე შემდგარან. – მათე ფიქრობდა და ვარსკვლავებით მოჭედილ ცას მისჩერებოდა. სიზმარს ხედავდა თუ მისი ოცნების გაგრძელება იყო, იქნებ უკვე ეძინა და მისმა ფიქრებმა გამოსახულების და მოჩვენების ძალა შეიძინეს? თვალები ეხილა, ყველაფერს ნათლად ხედავდა და ყველაფერი ესმოდა. ის ახლა სივრცეში იყო, სამყაროს შერთვოდა და რაც იქ ხდებოდა, მას ნათლად აღიქვამდა. ცაში დაფრინავდა და ეგონა, რომ ყოველივე ეს ცხადში ხდებოდა, რომ ამიერიდან იფრენდა და სულის ხუთვის კოშმარი აღარ შეაწუხებდა.

აგერ ისინიც, დედამიწის ანგელოზები, უკვე დიდი ხანია უფალთან შეხვედრა რომ უნდოდათ, მაგრამ ამოდენა სივრცის მფლობელს თავისუფალი დრო ვერ მოუნახეს, არადა, ყოველი მილიონი წელი ძვირფასია, ჭირს დროზე უნდა მკურნალობა, თორე მერე გვიან იქნება. როგორც იყო მოიხელთეს მოსვენებით მჯდარი უფალი და მაშინვე მიეჭრნენ, რათა არ მოასვენონ: – უფალო, დედამიწაზე გოდებამ ზეცა შეძრა, ადამიანს გონება დაუბნელდა და პირუტყვად იქცა. ცხოველთა დონეზე დაეშვნენ მოხვეჭისა და ხარბი ცხოვრების ტყვეები, – ჩურჩულით უთხრა ანგელოზმა ყოფილ საბჭოთა კავშირზე რომ ჰქონდა ზედამხედველობა დავალებული.

უფალი დუმდა, ღრმა ფიქრებში ჩაძირული სიტყვის თქმის სურვილს არ ამჟღავნებდა. ამით ისარგებლა იქვე მდგარმა მიქაელ მთავარანგელოზმა და წყნარად, თითქოს თავის ფიქრებთან საუბრობსო, დაიწყო: – დედამიწის იმ რაიონში, პირველი თანასწორი ცხოვრება რომ ეგონათ შექმნეს, მოხვეჭისა და უზომო დაგროვების ავადმყოფობამ იმძლავრა. ხარბმა ადამიანებმა ის სოციალიზმიც დაანგრიეს, რაც დარჩა, ყველაფრის სტომაქში ჩადება უნდათ. ერთმანეთს დაერივნენ დიდი და მხირე ერები; გაუთავებელი სისხლისღვრაა. შიმშილი, ყაჩაღობა, ქურდობა, კაცისკვლა და ყველა უბედურება, რაც სატანამ ადამიანს მოუვლინა, ამჟამად ზეობს იქ. ვითომ ღმერთისკენ შემოტრიალდნენ, ის ათეიზმის გერები ლოცულობენ და სანთლებს ანთებენ, ამას მხოლოდ ერთმანეთის დასანახად აკეთებენ, რამეთუ ახლა მოდაში უფლის რწმენა შემოვიდა ურწმუნოთათვის ნიღბად. სინამდვილეში ქვეყანა საშინელ ჯუნგლებად აქციეს. ადამიანი ადამიანისთვის ყველაზე საშიში სულიერია. უფალი გამქრალა, მათ შეგნებაში სატანა მძვინვარებს. დიდ სივრცეზეა მოდებული, მაცხოვარო, ეს უბედურება; მარტო სოდომის და გომორის მცირე გაკვეთილი არ ეყოს მგონია. არადა, დიდი უმრავლესობა უფლისმიერი ადამიანებია, მაგრამ სატანის ინტერესზე ამხედრებული ბოროტი მოკვდავნი გაბატონებულან და ფეხქვეშ თელავენ ყველა წმინდას. რა ვქნათ, უფალო?

უფალი პასუხის გაცემას არ ჩქარობდა, იჯდა წყნარად და სამყაროს მძლავრ მაჯისცემას უგდებდა ყურს. რა ბედენაა უზარმაზარ გალაქტიკაში, სადაც სინათლის სხივის ცოდვილობა კუს ნაბიჯით ღოღიალს ჰგავს, მტვრის ნაწილაკზე მცირე დედამიწაზე მომრავლებული მოაზროვნე არსებანი, უფლის ნებით რომ შეიქმნენ თიხისგან, რათა უფლის ეს ციცქნა განსახიერებანი ამაღლებული, ღვთიური სიკეთის და სათნოების მატარებელნი ყოფილიყვნენ; ახლა სატანის სურვილით ბოროტებას დააჯირითებენ. ხომ შეიძლება ამ უმადურობით განაწყენებულმა მაცხოვარმა უამრავი უწმინდურობით დასვრილი დედამიწა მზეში ისროლოს, როგორც მარტენის ღუმელში მუხუდოს მარცვალი. მოისვენებენ ანგელოზებიც და სატანაც მიახმება თავის ღვარძლს, მაგრამ უფალი სწორედ ამიტომაა განუსაზღვრელად ძლიერი, რომ მოთმენაც და სიკეთეც უსაზღვრო აქვს.

თითქოს ნაზმა სიომ დაბერაო, ისე წყნარი იყო უფლის საუბარი:

– ადამიანებს შეუძლიათ ტვინი სიკეთის სამსახურში ისე ავარჯიშონ, რომ თანდათან ამაღლდნენ სამყაროს ყველა საიდუმლოს შესწავლამდე; მათ ტვინს ამის ენერგია აქვს, თუ სიკეთე და სიყვარული ჰყავს დაუფლებული, ბოროტება და სიძულვილი კი უკან, პირუტყვობისკენ მიათრევენ. უკვდავთა გარდა, ყველაფერი ისპობა, კვდება, ახალი იბადება და ასე გრძელდება სამყაროს არსებობა. ადამიანთა მაცოცხლებელი მზეც ჩაქრება. თვითონვე გამოთვალეს, ხუთი

მილიარდი წლის ასაკის მზეს ოთხნახევარი მილიარდი წლის სიცოცხლე რომ დარჩენია. ამ ხნის განმავლობაში ადამიანს შეუძლია ტვინის სისტემატური ვარჯიშით, ცოდნის ცოდნაზე დაშენებით სამყაროს ყველა საიდუმლოს შეცნობა. ამ დროს, მზე ჩაქრობას რომ დააპირებს, ადამიანები სხვა პლანეტის მოძებნას და მასზე გადასახლებას მოახერხებენ. შემდეგ კი ღვთიური აზროვნების წყალობით სამყაროში სხივზე სწრაფად იმოგზაურებენ და, ადრე თუ ამერიკის აღმოჩენა გაუკვირდათ, უამრავ ცივილიზაციებთან კავშირი მეზობელ სახელმწიფოებში მოგზაურობად მოეჩვენებათ. აი, რას კარგავენ სატანური ბოროტების ეშხით. მზის ჩაქრობამდე ამოჭამენ ერთმანეთს, თუ სასწაული მოხდა და მანამდე იარსება დედამიწის სიძულვილს გზაზე შემდგარმა ცივილიზაციამ, მაშინ კი ჩაეყინებიან უმზეოდ გათოშილ დედამიწას და ასე უაზროდ დაამთავრებენ ამქვეყნიურ ბოდვას; არარაობად ქცეულებს არარაობის კვალიღა დარჩებათ მხოლოდ. სამყაროში უამრავი ცივილიზაციებია, ვინც ჩემს რჩევას გაიგებს, არსებობის ღირსი ის იქნება! – უფალმა თავის საუბარს დასკვნა გაუკეთა და ნაზი სიოს ქროლვაც ჩადგა. უფალი დადუმდა, ანგელოზები ხმის ამოღებას ველარ ბედავდნენ, ყველაფერი გარკვევით ითქვა, ახლა საჭირო იყო მოქმედება, დედამიწის მცხოვრებთა სიკეთისკენ მობრუნება. ანგელოზებმა პასუხი მიიღეს. ახლა მორჩილად და სიყვარულით შეჰყურებდნენ ღრმა ფიქრში ჩაძირულ უფალს. მხოლოდ ერთ ანგელოზს ეტყობოდა შეკითხვის სურვილით შფოთვა და მოუსვენრობა. უნდა შებედოს სათქმელი, თორე თუ წავიდა. ასეულობით წლები დასჭირდეს იქნებ, სანამ ამგვარი შეხვედრის შესაძლებლობა კიდევ მიეცემა. დანარჩენებს გამოეყო და წყნარად, უღრმესი მოკრძალებით, დაიწყო: – უფალო! საშინელმა განცდებმა მიბიძგეს შენთვის შეკითხვა გამებედა.

უფალი ღრმა ფიქრიდან გამოერკვა, ანგელოზს შეხედა და თავის თითქმის შეუმჩნეველი მოძრაობით აგრძნობინა: თქვიო...

– მე თქვენი დავალებით ქართველთა სიკეთისთვის ვიღვწი, – დაიწყო ანგელოზმა, – მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ახერხებს სატანა ჩემი მცდელობის გაყალბებას, მაინც შევძელი, თქვენი დახმარებით, ისტორიის საშინელ ქარტეხილში გამომეტარებინა. ახლა აღარ მიჯერებენ, უფალო! მთლად გამიხუნდა ყველა სასიკეთო მცდელობა, იღუპებიან და მაინც სატანის ბოდვას მიჰყვებიან; მათ დარწმუნებაში უძლური შევიქენ, და ეს მიკლავს გულს.

ჩაფიქრებული უფალი უცებ გამოფხიზლდა, ირგვლივ მყოფთ რისხვით გადახედა და განაწყენებულის ტონით დაიწყო: – ქართველი ერი მცირე და მედგარი სიკეთის, სიყვარულის და ადამიანთა მოდგმის ბედნიერების ნიმუშად შევქმენი მე. მეზობელი ძლიერი ტომები სწორედ ამიტომაც ესეოდნენ საკბენად და გასაგლეჯად, რამეთუ გემრიელი ლუკმა იყო ყოველგვარი ბოროტისათვის. სატანაც არ აკლებდა მცდელობას ქართველთა გონების გაუკულმართებას, რაც არაერთხელ შეძლო და ეს კაცთმოყვარე ერი ბევრჯერ დააყენა გარდაუვალი მოსპობის და დაღუპვის ზღვარზე. უფრო ადრინდელს აღარ ვიტყვი, შეიძლება თვითონ ქართველებსაც აღარ ახსოვთ, მაგრამ სულ ცოტა ხნის წინათ, გარდაუვალი მოსპობის გზაზე რომ იდგნენ, დავითი მივავლინეთ, მერე მათ აღმაშენებელი უწოდეს. გადარჩა და გამძლავრდა მაშინ საქართველო, მაგრამ ისევ აერიათ ტვინი, დაიშალნენ, დაქუცმაცდნენ, ერთმანეთს დაერივნენ, ერთმანეთის შურლით, მტრობით და ღალატით დააკნინეს ქართული გენი, იმძლავრა სატანამ და გადაშენება კვლავ დაემუქრათ. მაშინ კი ერეკლე მივავლინეთ, შემდეგში პატარა კახი უწოდეს. ერეკლემ სცადა საქართველო ერთ-

მორწმუნე რუსი ხალხის დახმარებით ეხსნა. რუსეთმა საქართველო გააერთიანა. დავით აღმაშენებლის შემდეგ ქართველს ამგვარი აყვავება და გამძლავრება არ ღირსებია. რა მოხდა შემდეგ? ისევ იმძლავრა სატანამ და ჯერ კიდევ რუსეთთან მეგობრობის დროს შეაპარა თავისი კაცი. სად იყავ მაშინ შენ? რატომ ვერ შეძელ, რომ იმ საშინელ კაცს საქართველოზე თავისი ბოროტებით არ ეზეიმა! – უფალმა ანგელოზს რისხვით შეხედა: – რა დაგავალე მე?!

– რა მექნა, უფალო! მაშინ თვითონ რუსეთშიც მძლავრობდა სატანის ავკაცობა, სწორედ იმათ დასვეს იგი საქართველოში ქართველთა ჭირად და ნაცილად.

– რა ჰქვია?

– სატანური ნათლობის სახელი ედუარდია. ახლა იმავე სატანის კარნახით მოინათლა და ედუარდ-გიორგი შეირქვა. უფლის რწმენას იბრალებს ის უფლის მაგინებელი. ქართველებმა ერთხელ ნახეს რა უბედურების და უსამართლობის კალო ატრიალა მათ ქვეყანაში. სრულიად უდანაშაულო მღვდელი დახვრიტა, მხოლოდ იმიტომ, რომ უფალს ემსახურებოდა. ახლა ჩამოიყვანეს საქართველოში და უბედურებას ვეღარ უგებენ სათვალავს. სატანამ გადაუტრიალათ ტვინი, რუსეთს ლანძღვა-გინებით იკლებენ და ქართველთა მყლაპავებს მიტმასნებიან, როგორც ფარეხის ერთგულ ძაღლზე განაწყენებული ცხვარი მგლებს. იმ მგლებს კიდევ რუსეთის ეშინიათ, თორემ საქართველოს აქამდე მრავალჯერ გადაყლაპავდნენ...

– ჰო, მართლაც ქართველებს დღეს ყველაზე მძიმე განსაცდელი უდგათ, რაც სატანამ და მისმა მსახურებმა მოუწყეს. ყველაზე საშინელი არეულობა და ქაოსია, ერთმანეთის არ ესმით და ჭეშმარიტ მეგობარს მტერსა და მაცდურში ცვლიან. მორჩა, მეც მომწყინდა მათი ამღენი მერყეობა. თვითონვე უნდა უშველონ თავიანთ გასაჭირს. მოიცილონ სატანის კარნახის ნაყოფი. ერთ მუშტად შეიკრან და ჭეშმარიტ მეგობარს უმადურობის ღვარძლით ნუ სვრიან, თორემ მრავალი დიდი თუ მცირე ერი მოუსპია სატანას თავის ჭკუაზე გადაბირებით. გაუსაძლის გაჭირვებასთან და მომრავლებულ მომხვეჭელ, გაღორებულ-გამხეცებულ პარაზიტებთან ერთად გარყვნილებაც მოსძალებიათ. სიტყვა ქართველს მე მაღალ ზნეობრივ სიწმინდესთან და ყოველივე ადამიანურ სულიერ სისპეტაკესთან ვაიგივებ. ახლა კი ყველაფერი საწინააღმდეგოდ ხდება, საშინელმა სიბინძურემ დასვარა ყველაწმინდა. სწორედ ამის გამო მოისპო ძლიერი ლათინთა მოდგმა, სატანურ ცდუნებებს ვერ გაუძლეს და დაიღუპნენ. ქართველთა სიძლიერე მაღალ ზნეობაში და სიძულვილზე სიყვარულის ზეიმშია, რაც სატანის მოციქულმა დააკარგვინათ. დროზე უნდა მოიცილონ საშინელი სენი. თორემ მერე მეც ვეღარ ვუშველი! – უფალი დადუმდა. საქართველოს მფარველი ანგელოზი დამნაშავესავით თავჩაქინდრული იდგა. ყველაფერი ნათელი იყო, უფალმა ადამიანებს საბოლოო განაჩენი გამოუტანა, ახლა უკვე მათზე იყო დამოკიდებული ბედი დედამიწის ცივილიზაციისა.

ცოტა ხანს კიდევ იჯდა მდუმარედ, მერე კი წყნარად, სიტყვის უთქმელად მიატოვა დედამიწის ანგელოზები, რომელთაც უფლის საუბრიდან არასასიამოვნო პერსპექტივა შემორჩათ, თუ ასე გაგრძელდებოდა, უმუშევრობით გარანტირებული იყვნენ.

ადამიანებში ბოროტებამ, ღვარძლმა, შურმა, ეგოიზმმა და ყოველივე სატანურმა თუ საბოლოოდ იმძლავრა და ღვთიური სიკეთე დაამცრო, მაშინ ისე ამოჭამენ ერთმანეთს, რომ დედამიწის ანგელოზებს შეიძლება უფრო ადრე მიაკითხოთ უმუშევრად დარჩენის სინანულმა. მდგომარეობიდან გამოსავალი

რომ მოძებნონ, უნდა მიაგნონ სატანის გამძლავრების სათავეებს.

სამივე მთავარანგელოზი: მიქაელი, გაბრიელი და რაფაელი მჭმუნვარებას მოეცვა, დანარჩენი რიგითი ანგელოზებიც შემოხვეოდნენ და საერთო სულიერ მდგომარეობას იზიარებდნენ. უფალმა დედამიწის მოაზროვნე არსებების უფლისმიერ სიკეთემდე ამაღლება სწორედ ამათ დაავალა. ახლა კი რა ხდება? სატანა დაპატრონებული დედამიწის მკვიდრნი ლამის სატანას სჯობიან სატანურ საქმიანობაში.

– დაბლა დავეშვათ, გავარკვიოთ, რა დონეზეა ბოროტება გამძლავრებული, – თქვა მიქაელ მთავარანგელოზმა.

აიშალა ანგელოზების საკრებულო, კავკასიონის მთაზე კენტად მოსეირნე ღრუბელზე ჩამოსხდნენ, დედამიწას თვალი მოავლეს და ცოტა ხნით მისი ცქერით დატკბნენ.

– რა ლამაზია და რამდენი ბოროტება ფუთფუთებს ამ მშვენიერებაში – ერთმანეთის ჭამა, გლეჯა რომ მძვინვარებს დედამიწის პირზე თუ ოკეანის სიღრმეში, გასაკვირი არ არის, რამეთუ ყველა კუჭის ამოყორვაზე ზრუნავს. გაძღებიან და დამშევამდე წყნარად არიან. მხოლოდ ადამიანია მათ შორის ყველაზე განსხვავებული. თოფი და ზარბაზანი რომ მოიგონა თანამოძმეთა გასაწყვეტად, ეს არაფერი, ატომის ბომბით მთელ კაცობრიობას მოსპობით ემუქრება. შეიძლება ისეთი სიმძლავრის ბომბი ააფეთქებინოს ბოროტი ჭკუის კარნახმა, რომ დედამიწა საზამთროსავით გასკდეს, ვენერასა და მარსს შორის უამრავ მოხეტიალე ნამსხვრევად დაიშალოს, მერე სუყველა სატანას ჩაბარდება სატანური ბედის გასაზიარებლად, – გულისტკივილით თქვა რაფაელმა.

– მოდი, რომელიმე უცნაურთაგანს გავესაუბროთ, სახელმწიფოს სათავეში რომ იჯდა და უგუნურობით ისახელა თავი, იქნებ ასე უფრო იოლად მივაგნოთ ადამიანთა სატანისგან ხსნის გასაღებს, – წინადადება წამოაყენა მთავარანგელოზმა გაბრიელმა.

– ბევრი უგნური ხელმწიფის მომსწრეა ადამიანთა დედამიწაზე არსებობის ისტორია, მაგრამ ბოლო დროს რუსეთის შუბლტყირპიანი გამგებლის მსგავსი არ მოიძებნება მსოფლიოს ისტორიაში. იგი ადამიანთა ხსოვნაში შევა როგორც უგუნურობის და ბითურობის უმაღლესი მწვერვალის პირველი და უკანასკნელი დამპყრობი, – ყოფილი საბჭოთა კავშირის ზედამხედველმა ანგელოზმა წამოაყენა თავისი კანდიდატურა.

– ახლა სად არის, ხომ არ შეგვიძლია აქ მოვიყვანოთ? – იკითხეს წვრილმა ანგელოზებმა.

– ის ჯერ უფლის მიერ მოზელილ თიხაში ზის, მე ვიცი სად არის, შემიძლია ძილიდან მოვიყვანო, – მიიღეს პასუხი.

– მოვიყვანოთ, იქნებ რაიმე თქვას სასიკეთო, ჩვენს დღევანდელ გაჭირვებას რომ წაადგება, – თქვა მიქაელმა და საბჭოთა კავშირის ზედამხედველი ანგელოზი მაშინვე დაეშვა დედამიწაზე.

მისი დაბრუნების მოლოდინში ანგელოზები დააკვირდნენ ყოფილ საბჭოთა კავშირისეულ ტერიტორიას და ელდა ეცათ. გონებადაბნეული ადამიანები ყველაფერს სპობდნენ და ანგრევდნენ. შიმშილი, სიღატაკე, ყაჩაღობა, ძარცვა, მოტყუება, კაცისკვლა მძვინვარებდა ირგვლივ, ყველაფერი ინგრეოდა და ნადგურდებოდა; ყოველივე ამის შემოქმედი ადამიანი უფრო მძვინვარე და დაუნდობელი ხდებოდა.

– ის არ არის ცოდვა, ადამიანს რაიმე იდეის რომ სჯერა, და მას სპეტაკი,

უანგარო რწმენით იცავს, რითაც უფლისმიერ სიკეთეს ემსახურება. საშინელებაა, როცა ღმერთი არა სწამს და თავს მორწმუნედ აჩვენებს, ბოროტებით და ღვარძლით გატენილი სალოცავის წინაშე თვალთმაქცობს, რამეთუ ამას სხვის დასანახად, მორწმუნეთა პრივილეგიების მოსაპოვებლად აკეთებს, – მძიმე ფიქრებიდან წარმოთქვა გაბრიელმა.

– სწორედ ეგ ჭირი სჭირს ყოფილი საბჭოთა კავშირის მრავალ მეღროვეს, ადრე ათეიზმით უფალი შეძრწუნებული რომ ჰყავდათ, – რაფაელმა თავისი დიაგნოზი დასვა.

– მოვიყვანე ყოფილი დიდი თავტყირპიანი მბრძანებელი, – ანგელოზმა საკრებულოს წარუდგინა მელოტი, შუბლზე ტყირპმიკრული არსება.

– ვინა ხარ შენ? – ჰკითხა მიქაელმა.

– ახლა ტაკიმასხარა. ადრე ვიყავ უზარმაზარი და ძლიერი სახელმწიფოს მბრძანებელი, საბჭოთა კავშირი რომ ერქვა და მსოფლიოს მისი შიში ზარავდა, – მომაკვდავი პენსიონერის დაფერფლილი სიამაყით თქვა ტყირპიანმა.

– რა მოხდა ისეთი, ის შენი მსოფლიოს მზარავი სახელმწიფო ბაბილონის გოდოლს რომ დაემსგავსა, ყაჩაღებით და მათხოვრებით რომ გაივსო და მიწასთან გასწორდა? – ჰკითხეს.

– ჩემი ბრალი არ არის, მე დანგრევა არ მინდოდა, – ტყირპიანს ცრემლი მოადგა.

– მაშ, რა ბზიკმა გიკბინა, რომ სუყველა ასე უბედურებაში შეყარე?!

– ჩემთვის ბზიკს არ უკბენია, ბზიკი თავში მყავდა. თავის გამოჩენა მინდოდა ძალაუფლებით განებივრებულს და გარდაქმნა მოვინდომე. ჰოდა, დავიწყე იმ მძლავრი სახელმწიფოს რემონტი, თან ვტრაბახობდი, შემომხედეთ, როგორი გენიოსი და ბრძენი ვარ, რომ ამ რთული და უზარმაზარი, მძლავრი მექანიზმის რემონტს ვატარებ-მეთქი.

– მერე რა მოხდა?

– მერე ის მოხდა, რომ ჩემი უვიცობით დასაშვები ქანჩი დავუჭირე, დაჭერილი დავუშვი. თანდათან უფრო გავთამამდი ჭირვეული და ნებიერი ბავშვივით, ჭკუის დამრიგებელი რომ არავინ ჰყავს. დავიწყე ნაწილების მოხსნა და ჩემი გონებით ნაცოდვილარის დაყენება. ფუყე თავთუხივით თავაწეულს მიხაროდა ჩემი შრომის ნაყოფი, რომელმაც მალე რახრახს უმატა, ციებიანივით აძაგძაგდა, გასკდა და დაიშალა. მე რომ მეგონა, უნაკლო და ბრწყინვალე ჭკუის პატრონი ვიყავ, სწორედ მაშინ რამხელა ძალაუფლება და სკამი დავკარგე! ისევ მომინდა სულ მაღლა ჯდომა, პრეზიდენტის არჩევნებზე ვიღაცამ მაგრად მითაქა კეფაში, შე ბედოვლათო, თუ სკამი გინდოდა, რაზე დაკარგე და ჩვენც უბედურებაში რაზე ჩაგვყარეო. მე ხომ არ მინდოდა დაშლა, დამეშალა და რა ვქნა?! მერე მივხვდი, რომ ტვინში ბზიკი მყავდა! – ტყირპიანი სათამაშოგატეხილ ბავშვივით აქვითინდა.

– უბედურებაა უნიჭო მეღროვე კარიერისტის ასეთ სიმაღლეზე მოხვედრა, თავი გენიოსი და უბადლო რომ ჰგონია, – დაასკვნა რაფაელმა და დამცინავად შეხედა სტუმარს დედამიწიდან, – აგერ, შედეგიც, შუბლტყირპიანი ბედოვლათის ნაცოდვილარი, ადამიანთა ისტორიას, ალბათ, ამაზე ბითური სახელმწიფოს მეთაური არ ახსოვს.

– ბითური ვარ, ბითური! – აღრიალდა და ხელები თავში წაიშინა სკამდაკარგულმა.

ანგელოზებს სიცილი აუტყდათ, მხიარულ ხასიათზე დადგნენ.

– შენი ცოდვა მიეწიოს იმას, ვინც მაღალი სკამის მონადირების საშუალება მოგცა. არა სჯობდა, სამი ბატი გემწყემსა, ერთს დაკარგავდი, მეორე დღეს ორს წაიყვანდი და ამით ქვეყანა არ დაიქცეოდა, – იცინოდნენ ანგელოზები.

– კარგი იქნებოდა, კარგი, სამი ბატის მწყემსობით ქვეყანას ვერ დავანგრევდი! – გაიხარა ტყირპიანმა.

ანგელოზებმა დიდხანს იცინეს. ცოტა სული რომ მოითქვეს, მაშინ შენიშნეს, რომ ტყირპიანის უკან ვიღაც იდგა.

– ეგ ვიღაა? – იკითხა მიქაელმა.

– ჩემი საგარეო საქმეთა მინისტრი იყო, – გააცნო ტყირპიანმა.

– აქ რა უნდა?

– იძახის, საბჭოთა კავშირი მე დავშალეო და ძილიდან წამოვიყვანე, – უპასუხა რიგითმა ანგელოზმა.

– მაგან როგორღა დაშალა? – ერთხმად იკითხეს მთავარანგელოზებმა.

– მე რომ საბჭოთა კავშირს ვარემონტებდი, მაგას ვაგზავნიდი ქანჩის გასაღების, ჩვენებურად „კლუჩების“, მოსატანად, – უპასუხა ტყირპიანმა.

– შენ თვალებს ითხრი, ვარემონტებდიო, მაგან როგორღა დაშალა?!

– არც მაგას უნდოდა დაშლა, მაგრამ ახლა რაღას იზამს, როცა საბჭოთა კავშირის დაშლაზე ტრაბახი მოდაშია, ეგაც იძახის, დავშალეო.

ანგელოზებს გაეღიმათ.

– კიდევ რა დაშალეთ? – ღიმილით ჰკითხა გაბრიელმა.

– ეს ჩემი მინისტრი იძახის, ბერლინის კედელი მე დავანგრიეო.

– ეგ როგორღა მოხდა?

– გერმანიაში გავაგზავნე და დავაბარე, ბერლინის კედელი დაენგრიათ.

– შიკრიკი თუ ფოსტალიონი ყოფილა – თუ გერმანელები ისევ არ აიშლებიან, მაგ კედლის დანგრევა სასიკეთოდ ჩაგეთვალოთ იქნებ.

– სასიკეთო იქნება, სასიკეთო! – ღრეჭით დაეთანხმა თავტყირპიანი.

– თუ აგიშენებიათ რაიმე? – იკითხეს ანგელოზებმა.

– ყველაფერი აშენებული და გამართული დაგვხვდა, ჩვენმა წინამორბედებმა ასაშენებელი აღარაფერი დაგვიტოვეს. ჰოდა, დანგრევა-დაშლა დარჩა ჩვენს წილად, – თავტყირპიანი ატირდა და ცრემლები მუჭით მოიწმინდა.

– ეგ, მეორე ამჟამად რა კაცია? – იკითხა გაბრიელმა.

– ერთი პაწია მიწის მონაკვეთია, კეთილი და მოსიყვარულე, პატარა ერი ცხოვრობს. ისეთი კეთილი მასპინძელია, თვითონ იკლებს და მის მიწაზე დასახლებულ უცხო ტომის ხალხს ანებივრებს, ამით კაცთმოყვარეობის მაღალ გრძნობას იკმაყოფილებს. ეს მუდმივი სტუმრები კი იმდენად ხარბები და უმადურები არიან, მიწასაც ისაკუთრებენ და საწყალ მასპინძლებს თავისივე მიწიდან ერეკებიან სიკეთის და სიყვარულის სანაცვლოდ. თუ დედამიწაზე ბოროტებამ ასე იმძლავრა, ამ ერისთვის ადგილი აღარ დარჩება. ამჟამად ისეთი ბოროტების და გაჭირვების ბორბალი ტრიალებს, მათ საკუთარ მიწაზე ცხოვრება გოდებად გადაქცევიათ. ეს ნამინისტრალი, პოლიტიკისა რომ არაფერი გაეგება, ღალატით, სადაც მისწვდა, ყველაფერი დაშალა... მტრებმა დიდ პოლიტიკოსად მონათლეს, საჩუქრებით აავსეს და ქებით თავბრუ დაახვიეს, რათა უარესი მუხთლობა ჩაადენინონ. ახლა იმ პატარა ერის მეთაურია და უქცია კიდეც ჭირის დღედ ამქვეყნად ყოფნა, – უთხრა ანგელოზებს ამიერკავკასიის ზონის ანგელოზმა.

– ჰოოო! – მრავალმნიშვნელოვნად წამოიძახეს ანგელოზებმა.

– ვინმეს ხომ არ უნდა ამ ცრუ პოლიტიკოსთან გასაუბრება? – იკითხა მიქაელმა.

– შეკითხვა არ გაბედოთ. რაც მაგ ტყირპიანს ჭკუა აკლია, სატანას ნამინისტრალისთვის უკუღმა ჩაუდია და თავის სასარგებლოდ მოუმართია. პატარა გასაუბრება და იქ, დედამიწაზე გამოაცხადებს, ანგელოზები ჩემი მეგობრები არიანო. თუ რამე გვიკეთებია, თვითონ დაიბრალებს. ქებით ისეთ დღეს დაგვმართებს, შეიძლება ქვის სროლა დაგვაწყებინოს; როგორც ამინდი შეექმნება და დასჭირდება, ლანძღვით აგვიკლებს. გასაუბრების გარეშე წავიდეს. სატანის ბოდვას ვინც აჰყვა, იქ თუ ვერ მოუსწრებს განკითხვის მსახვრალი ხელი, აქ სადღა წაუვა უფლის სამსჯავროს. თავტყირპიანი კი თავის ლეშსღა ყარაულობს, რომ არ გაიხრწნას, სანამ აქ გამოსამგზავრებლად საგზურს გამოუწერენ, – თქვა ყოფილი საბჭოთა კავშირის ზედამხედველმა ანგელოზმა და ამით დაამთავრა გასაუბრება.

– ამ ციურ ბილიკს გაჰყე და შენს ჩაძინებულ სხეულთან მიგიყვანს, – მიქაელ მთავარანგელოზმა ხელით აჩვენა, საით უნდა წასულიყო. ისიც დაადგა ბილიკს: უკან თავისი ნამინისტრალი მიჰყვა.

ანგელოზები თვალს მიეფარნენ. ირგვლივ სიცარიელე და სიწყნარე იყო. ცოტა ხანს ასე იარეს და ვიღაც ზორბა, მხარბეჭიან, უსაზღვროდ გაბრაზებულ კაცს მიუახლოვდნენ. ბობოქრობდა ძლიერი კაცი და ბილიკის სიახლოვეს ბოლთას სცემდა. ტყირპიანს ამ ბობოქარ სულთან შეუმჩნევლად ჩავლა ერჩია, მაგრამ კაცმა შენიშნა და ხელი სტაცა.

– უკეთეს შეხვედრას ვერც ვინატრებდი! – თქვა და მსხვერპლი ლორწოიანი ხორცივით დაითრია. – რად დამიღუპე რუსეთი! სიბნელიდან გამოვიყვანე, დასავლეთ ევროპისკენ გზა გავუხსენ; გავამრავლე და გავამაგრე... ძლიერი სახელმწიფო მსოფლიოს თავის ნებას კარნახობდა... ისეთი რა უგდე, რომ დაშალე, დაარბიე, მათხოვრად და არარაობად აქციე, საუკუნეების მცდელობით მიღებული დიდება გაუნიავქრე! რას შევადარო შენი ღალატი, რას?! – ღრიალებდა მთისხელა კაცი, ტყირპიანმა პეტრე პირველად რომ შეიცნო.

– ჩემი ბრალი არ არის, მე გადაკეთება და უფრო გაძლიერება მინდოდა. არ გამომივიდა და ამ მცდელობაში სულ დამეშალა, – ამოიკვნესა პეტრე დიდის მძვინვარებით შეშინებულმა.

– უტვინო! – ისევ აღრიალდა პეტრე, – ახლა რაღა უნდა გელაპარაკო, შენ იქაც არარაობა ხარ. მოათავებ დედამიწაზე ბოდიალს, აქ მოხვალ და დანარჩენს მერე მოგკითხავ! მომიტანეთ ერთი მუჭა ბზე! – ვიღაცას გასძახა. კაცმა მოირბინა, ალბათ, პეტრეს დროინდელი მეჭურჭლეთუხუცესი თუ იყო.

– ბზე არ იშოვება ახლანდელ რუსეთში, ისეა დამშეული და გაძვალტყავებული, – მოახსენა.

– მაშინ, წადი, ჩემი დროინდელი ბზე მოიტა! – უბრძანა.

კაცი გაიქცა და მალე ერთი მუჭა ბზე მოუტანა. პეტრემ თავის მსხვერპლს ტყირპა აახია, თავში ბზე ჩაუტენა და ისევ მიაფარა, – ამით უკეთ იაზროვნებ, ვიდრე შენი, სატანის მიერ შრატად გადაქცეული თავის შიგთავსით, – თქვა და ისეთი ჭიტლაყი ამოჰკრა, ტყირპიანი შურდულიდან გასროლილ ქვასავით გაფრინდა.

– მალე მობრუნებამდე! – მიაძახა პეტრემ და მარტო დარჩენილ ნამინისტრალს დამცინავად შეხედა.

– ადრე საქართველოში მზე ჩრდილოეთიდან ამოდიოდა, არა? ფრთხილად,

ყველაფრის მკადრებელო ჭიავ, სატანას აყოლილო ნაცარქექიავ, თორემ კისრის ერთხელ მოტეხვაც საკმარისია, რომ განკითხვის სუსხის წინ აბოლდე! ყველა ავის და ბოროტის ნამოქმედარს რომ იბრალებ, რის იმედი გაქვს, ღალატის ნოტზე აწყობილო არარაობავ?! რუსეთი ამხელა ღალატის შემდეგ ფეხზე წამოდგება, მაგრამ რა ეშველება შენგან გაყიდულ მრავალტანჯულ საქართველოს?! – პეტრემ ზიზღით გადააფურთხა და ზურგი შეაქცია.

სხვის უკან სიარულს მიჩვეული დაიბნა. ტყირპიანის ბილიკი მიატოვა და სულ სხვა მიმართულებით წავიდა. თავის ჭკუის კარნახით მიდიოდა, რამეთუ აღარავინ იყო ფითრივით მოჰკიდებოდა და მისი საქმენი მიეთვისებინა. ასე იარა, სანამ ხავერდოვანი და ტკბილი ხმა არ მოესმა: – ცოტა ხანს მოიცადე, შვილო ჩემო!

ხმის მიმართულებით გაიხედა. სიმპათიური, თეთრწვერიანი, სათნო მოხუცი უახლოვდებოდა. იცნო სულბან-საბა ორბელიანი და დაფარული ზიზღით დაუწყო ლოდინი. „ახლა მაგის ჭკუის დარიგებაღა მაკლია. ქვეყანაზე დაეთრეოდა საქართველოს ბედის საძებნად, თვითონ კი კაპიკიც ვერ იშოვა; მაგან რა უნდა მირჩიოს მსოფლიოს დონის პოლიტიკოსს და უმდიდრეს მაგნატს! – ჩაილაპარაკა.

მოხუცი მიუახლოვდა.

– მისმინე, შვილო ჩემო, მთელი ჩემი ძალა და ენერგია დასავლეთ ევროპაში მშველელის ძებნას შევალიე, მაგრამ ამაოდ, თუ შენგან გამორჩენას არ ელიან, დახმარებაზე ფიქრი ქიმერაა. ფულს კი იმისათვის მოგცემენ, რომ გაგაღატაკონ, ყმად და მონად გაქციონ, ეროვნული სიამაყე და თვითმყოფადობა მოგიკლან. ყველაზე დიდი იმედი და მომავალი ბედნიერება ქართველთა ერთობაშია. მუშტად შეკრული და შრომის ფერხულში ჩაბმული ძლიერი საქართველო ყველას აიძულებს, ანგარიში გაუწიონ; მეგობრობასაც და კეთილმეზობლობასაც მაშინ ისურვებენ. შენ კი ვის ან რას ემსახურები?! აბა გახედე, ქართლის დედა, წმინდა ნინო, თამარი, ქეთევანი ტირიან. კვნესის ქართველი კაცი. უმუშევრობით და სიღატაკით შეწუხებული სამშობლოდან გარბის, ახალგაზრდები ოჯახს აღარ ეკიდებიან შიმშილის ავბედითი აჩრდილის შიშით.

დავრდომილ საქართველოში ახლობლებიც და შორს მყოფნიც გემრიელ ლუკმას ხედავენ მხოლოდ. ის, შენი მეგობარი სახელმწიფოები გემრიელად მიირთმევენ საქართველოს ძვალხორცს. განაგდე საქართველოს დამაქცევრებთან სამსახური. რამდენიც გინდა მოიხვეჭო, სამარის ჭიას ვერ გადაურჩები; მხოლოდ შენგან დატოვებული კვალი დარჩება. ვაი, იმას, ვისაც თავისი ერის მოღალატის სახელი ჩაჰყვება საფლავში! განაგდე სატანა. დრო ჯერ კიდევ გაქვს. იცოდე, მერე ძალიან გვიან იქნება. საქმე ისე არ გაიხადო, რომ შენს შთამომავლობას საქართველოში არ ეცხოვრებოდეს! სასიკეთო ბილიკზე შედექ. სხვა გზა ფართე და მატყუარა კისრის მოტეხამდე მიგიყვანს მხოლოდ. ქართველებს უამრავი მოღალატე დაუსამარებიათ, ისინი ყველა მუხთალს მოინელებენ; საქართველო უკვდავია! – სულხან-საბამ თქვა თავისი სათქმელი და მრისხანედ შუბლშეკრული უკან გაბრუნდა.

შავ-თეთრი ფიქრებით დამძიმებულმა ნამინისტრალმა გზა განაგრძო. სივრცის იდუმალი ექო კი იმეორებდა: – საქმე ისე არ გაიხადო, შენს შთამომავლობას საქართველოში არ ეცხოვრებოდეს!

ღრუბელზე ჩამომჯდარი ანგელოზები კი ფიქრობდნენ, საფიქრალი თავსატეხი ჰქონდათ – დედამიწის მკვიდრთა სატანის დაცინვისგან ხსნა.

მათემ ხელები აიქნია, აფრენა სურდა. ნაბადი დაბლა ყორნის ფრთასავით გადაფრიალდა. ფიცრებიდან წამოხტა, დაბლა გადაიხედა, ნაბადი ფრიალ-ფრიალით გაიშალა მიწაზე. თვალები მოიფშვნიტა, სიფხიზლეს დაუბრუნდა. მწარედ გაეღიმა, სიზმარი თუ მოჩვენება დამთავრებულიყო. ერთი კი ცხადად იწამა; ბოროტების მთესველს საუფლოში მკაცრი განკითხვის სამსჯავრო არ ასცდება!

## ეშმაკა

**ერთიმეორეზე** გადაბმულ სოფლებში შიში და მოულოდნელი უბედურების აჩრდილი დაძრწოდა. თუ სადმე სროლის ხმა გაისმოდა, კარებს უფრო მაგრად კეტავდნენ და შეშინებულები პირჯვარს იწერდნენ, მძარცველები არ მოგვიცვივდნენო. ძარცვა-რბევა კი ცხოვრების წესად ქცეულიყო. ,,დიდი პოლიტიკოსის" ხალხის დაბეჩავების მანქანა მოძრაობას ასე იწყებდა. ეს ისეთი ყაჩაღობა იყო, არავის და არაფრის მორიდება რომ არ ჰქონდა. შეიარაღებული ადამიანები დღისით-მზისით იკლებდნენ, ვინც სურდათ. კანონიც მათი იყო და სამართალი, რამეთუ ძალადობა იყო აყვანილი კანონის კვარცხლბეკზე. განუკითხაობა სისხლიანი ბრჭყალებით დაჯირითობდა და თავის ნატარზე უბედურებას თესავდა. დაშინებულ-დატერორებულ ხალხს ბატონყმობის სიბნელისკენ და სიღატაკისკენ ერეკებოდნენ მოხვეჭას დახარბებული, ახლად გამომცხვარი თუ კომუნისტობის მაგინებელი, კომუნისტებში პარაზიტად გამძვრალი ნაკომუნისტარ-ნაკაცარი ვაი თავკაცები. სათავეში მოკალათებულ სიმუხთლეს სახალხო ქონების ძარცვა-რბევა დაეკანონებინა.

ვისაც სინდისი და ნამუსი ჩამორეცხილი ჰქონდა, ხალხში არაკაცად იყო ცნობილი, ნორმალური ცხოვრების დროს არაფრად აგდებდნენ და თვითონაც ქეციანი ძაღლივით დაწანწალებდა ყველა შეხვედრის ფეხების ალოკვის და კუდის ქიცინის სურვილით, ახლა ეს ნაგავი ერთად შეეგროვებინა ბოროტების, ღვარძლის და საკუთარი ერის სიძულვილშეყრილ გაღიდკაცებულ არარაობას.

საზოგადოებას ყოველთვის ჰყავს ისეთი წევრები პატიოსან ცხოვრებას უღირსი საქციელით რომ წამლავენ. თუ ქვეყანაში წესრიგია, ამგვარ ხორცმეტებს შხამის დანთხევის საშუალება არ ეძლევათ და თავისივე ღვარძლსა თუ ბოროტებაში ფართხალებენ. ადამიანები მათ გამოსწორებაზე ზრუნავენ, ნორმალური ცხოვრების ამღვრევის საშუალებას არ აძლევენ. როგორც ჭურჭლის ძირში ჩაწოლილ ლექს შეუძლია შენჯღრევის შემთხვევაში დაწმენდილი სითხის აქოთება, ახლაც ასე მოხდლა, ცხოვრება შეინჯღრა, ადამიანთა ყოფა აიმღვრა, ნალექი, ნაძირალა სათავეში მოექცა და მისი ჭკუით ნაკარნახევმა ქაოსმა მოსპო, მოაოხრა სიკეთით მოპოვებული კეთილდღეობა.

აფხაზეთში დაწყებულმა მოუფიქრებელმა, წინდაუხედავმა, დაუდევარმა თუ მუხთლის ღრმად ჩაფიქრებულმა ავანტიურამ ნაძირალების სათარეშოდ აქცია ქვეყანა და ამ თარეშს თვითონ ხელისუფლებაში ჰქონდა ფესვები გადგმული. ერთ ამგვარ არამზადას ეშმაკად იცნობდა ყველა, დასმენა, ავაზაკობა, ყოველგვარი უზნეობა ხელობად გაეხადა. ყველას სძულდა, ერიდებოდნენ. ბოლო დროს აფერისტობისა და ქალის გაუპატიურებისთვის იხდიდა სასჯელს. აფხაზეთის ომის არაპოპულარულად ქცევის და ამის გამო იქ წასვლის მსურველ პატიოსან მამულიშვილთა მიერ თავის შეკავების გამო, ვაი ხელისუფლებამ კოლონიიდან დამნაშავეები გამოიყვანა და აფხაზეთში წასაყვანად იარაღი დაურიგა, მაშინ, როდესაც აფხაზეთის ქართველობას პოლიტიკური უნდობლობის

მიზეზით იარაღს არ აძლევდა.

ეშმაკამ თავის მსგავსებთან ერთად იარაღი მიიღო და საკუთარ ხალხს, ასე რომ სძულდა, ომი გამოუცხადა. ქეციანი ძაღლის მსგავსი ათიოდე ნაძირალა მოაგროვა და აფხაზეთში მეომრის სახელით იკლებდა ყველას და ყველაწმინდებს.

ალაზნის ხიდთან ჯერ კიდევ შემორჩენილ სამწვადეს ორი მსუბუქი მანქანა მიადგა.

– ეშმაკა! – ხმის კანკალით თქვა მებუფეტემ და სამზარეულოში შევიდა.

– ეშმაკაა! – შიშით ამოიგმინა მზარეულმა და ქვაბისკენ გაწვდილი ხელი გაუჩერდა.

– რა გაუძლებს ახლა მაგათ?! – მზარეულის თანაშემწეც შეშფოთდა, თან დაუმატა: – სასადილო ყველამ დაკეტა, ჩვენ მაინც არ ვიშლით, კლიენტიც არ გვყავს; რაზე ვიკლამთ თავს?!

– რა ვიცი, ყველა სასადილო მოსპეს და გაანადგურეს, იქნებ როგორმე გადავარჩინოთ ჩვენი დუქანი, – განმარტა მებუფეტემ.

– ვერც დუქანს გადაარჩენ და თავსაც წააგებ? – ბრაზიანად ჩაიდუდუნა მზარეულმა.

გარეთ ღრიალი ატყდა: – გამოდით, მოგვხედეთ, თქვე ვირიშვილებო! ვერა ხედამთ ვინ მოვიდა?!

წვერმოშვებული, თმაგაჩეჩილი, იარაღგადაკიდებული კაცები დუქნის წინ საცმელს და იარაღს ისწორებდნენ. ერთი კარებისკენ მოდიოდა და ყვირილით იმუქრებოდა.

მებუფეტე მუხლის კანკალით გამოვიდა გარეთ. მომხდურმა მაშინვე კეფაში ჩაუთაქა.

– მიდი ჩქარა, ხინკალი და მწვადი მოგვიმზადე, რვა კაცი რომ ხოშიანად გამოძღეს! ღვინო და სხვა დანარჩენიც ბლომად იყოს. ოცი წუთი გაქვს, თუ დააგვიანებ, სიკვდილის ბუზის ზმუილს მოისმენ! – დუქნისკენ ძალით შეაბრუნა და ხელის კვრით შიგ შეაგდო. თვითონ უკან გამობრუნდა და მოყაყანე თანამოყაჩაღეებს შეუერთდა. შიშისგან დაზაფრული მებუფეტე და მზარეულები საქმეს შეუდგნენ; დამლაგებელმა ქალმა მაგიდების და სკამების დალაგება დაიწყო.

თხუთმეტი წუთი არ იყო გასული, გარეთ მოყაყანე ბანდა დუქანში კორიანტელივით შეიჭრა და მყრალი ოხუნჯობით იქაურობა დატბორა. მაგიდები თავიანთ სურვილზე დააწყეს, სკამები მიადგეს, იღლიაში ამოდებული ავტომატები ზედ გადაჰკიდეს; რამდენიმემ მაგიდაზე ხელყუმბარები დააწყო. ერთი სამზარეულოში შევიდა და კონცლაგერის კომენდანტივით ჩამოუარა.

– აბა, როგორ არის საქმე, ვერ გაამზადეთ ხინკალი?! – იკითხა, მაგრამ ბრძანებას უფრო ჰგავდა.

– სამწვადე დავჭერით, ხინკლისათვის ფარშს ვამზადებთ, – მიიღო მზარეულის პასუხი.

– სანამ შენ თვითონ არ მიქცევიხარ ფარშად, მანამდე რაც კი გაქვთ, გამაიტათ! თორე შარიკი თუ გადამიტრიალდა, ქრისტე ღმერთი ველარ გიშველით! – დაიმუქრა. ისინი კი თავიანთ საქმეს აგრძელებდნენ.

– ჩქარა! იღრიალა ყაჩაღმა და მებუფეტეს ისეთი წიხლი ამოჰკრა, კარადაზე მიაგდო.

ჩაფსკვნილი, სქელკისერა, ჯმუხი ვაჟკაცი კარადასთან გაირინდა. მის თავში აზრები ქარბორბალასავით დატრიალდა. მოუბრუნდეს და ამ კაფანდარა არამზადას კისერი წიწილასავით წააწყვიტოს, მაგრამ საწინააღმდეგო აზრი

აკავებდა – ცოლ-შვილის და ოჯახის მამის პასუხისმგებლობა! სულის ამბოხი მოთოკა და დარბაზში გავიდა.

პური, ყველი, მწვანილი, ცივად მოხარშული ქათმის ხორცი და ღვინო მიიტანა მაგიდასთან, თანაც შეჰპირდათ, მწვადი და ხინკალი მალე იქნებაო.

– არ იქნება და შენმა აჯობოს! – დაემუქრნენ.

– იმ ბედოვლათებს ჰგონიათ, ჩვენ ახლა აფხაზეთში ვართ, არა! – თქვა ერთმა და ხმამაღლა ახარხარდა.

– ვართ, ვართ! – დაუდასტურეს დანარჩენებმა, – აქ რა ნაკლები ომია?!

– სადაც მივდივართ, ყველგან ვომობთ. იარაღი თუ გაქვს და გული გერჩის, საომარს რა გამოლევს.

– კოლონიიდან რომ გამოგვიყვანეს, ქვეყანა შევყარეთ, აფხაზეთში საომრად მივდივართ-მეთქი.

– ჩვენ ყველა ეგრე არ ვიყავით?

– იარაღი რომ დაგვირიგეს, ვინ საით მიდიოდა, ვერ გაიგებდი.

– როგორ არა, ზოგი მართლა წავიდა.

– ნეტა რას მიდიოდნენ. კოლონიიდან გამოგვიშვეს და იარაღი დაგვირიგეს, ამაზე უკეთესი რა უნდა გვენატრა; მიუგდეს კატას ფილტვი, ახლა აქედან ვეხმარებით, როგორია?

– საჩვენოდ რომ გაუხდათ საქმე, მაგათი საშველი არ არის.

– ჩემი იმედი მამაჩემს არა აქვს, ვისაც უნდა იომოს, მე კი რაც მეხერხება, იმას ვაკეთებ.

– ჰოდა, ყველას თავისი გზით გაუმარჯოს! – ჭიქები დაცალეს.

– ჩვენი მანქანა ურევს, ძრავი ხმაურობს, შეიძლება გზაში დაგვეტოვოს, – თქვა სახეშეჭვარტლულმა ავტომატიანმა.

– რაც მანქანებია, ჩვენი არ არის? ორი გავიდეს გარეთ და ვინც გაივლის, მანქანიდან გადმოაგდეთ! – ბრძანა ეშმაკამ.

სამი ადგა. თითო ჭიქა ღვინო დალიეს, პური და ხორცი მუჭაში დაიჭირეს და ჭამით შარაზე გავიდნენ. დანარჩენებმა ქეიფი და ღრიანცელი გააგრძელეს. დროდადრო სამზარეულოში მოფუსფუსეებს გინებით აჩქარებდნენ.

– რატო შხამი არა მაქვს, მწვადზე დავუყრიდი და მაგ არაკაცებს ვირთხებივით გავქუქამდი, – კბილების კრაჭუნით თქვა მებუფეტემ.

– ამის შემდეგ გაითვალისწინე და მოიმარაგე, – ურჩია მზარეულმა.

– სანამ ეს ყაჩაღები ფარფაშობენ, მე აქ გამამსვლელი აღარ ვარ.

ამ დროს ერთმა დამლაგებელ ქალს საჯდომზე ხელი დაარტყა.

– ვარგოდეს მაინც ეს მათხოვარი. აქავე წამოვაქცევდი, – თქვა და უწმაწური სიტყვების კორიანტელი დააყენა.

– ერთ ბოთლ ღვინოს რო დავლევ, ამასაც კარგად ვიხმარ, – უნდოდა მუხლებზე დაესვა, მაგრამ ქალი ხელიდან გაუსხლტა და სირბილით კარს უკან გაუჩინარდა.

– უყურე მაგ ტურტლიანს, იუკადრისა! – გაუკვირდათ.

– ჯერ ერთი, მაგრად დავღრევდეთ. უკადრისობას ვაჩვენებ მე, – დამცინავად თქვა ეშმაკამ.

ამ დროს სროლის ხმა გაისმა, მას გრძელი ჯერი მოჰყვა. შარაზე გასულებს მანქანა არ გაუჩერეს, მძღოლმა სიჩქარეს უმატა და ხიდისკენ გააქროლა. ახლა სამივე ავტომატის გრძელ ჯერს უშენდა. მანქანა უცებ მარჯვნივ შეტრიალდა და თხრილში ცხვირით ჩაერჭო. დარტყმისგან მსუბუქი მანქანის ოთხივე

კარები გაიღო, მძღოლი და მის გვერდით მჯდარი კაცი გარეთ გადმოვარდა, სწრაფად წამოხტა და ალაზნისკენ გაიქცა. მძღოლი კი როგორც დაეცა, აღარ გატოკებულა. სამივე ავტომატის სროლით გამოეკიდა გაქცეულს. ხიდამდე ოციოდე მეტრიღა დარჩა, გაქცეულმა წაიფორხილა და მიწაზე გაიშხლართა. მდევრები მომზადებულები იყვნენ, როგორც კი წამოდგებოდა, ცეცხლი უნდა გაეხსნათ, მაგრამ ის ადგომას აღარ აპირებდა.

ამასობაში დანარჩენებიც გამოვიდნენ სამწვადიდან. თხრილში ჩაჩეხილი მანქანის უკანა სავარძელზე კაცი ეგდო და სისხლისაგან იცლებოდა; მძღოლიც სისხლის გუბეში იწვა. გაქცეულს ტყვია მუცელში მოხვედროდა, ცოცხალი იყო, მაგრამ სიკვდილის აჩრდილი თავზე დასდგომოდა.

– ეს გინდოდა არა, შე შობელძაღლო! – ავტომატის გრძელი ჯერი დააყოლა თავის ნათქვამს პირველად მოსულმა ავაზაკმა.

– სუყველა თხრილში ჩავყაროთ, თვალს უხერხულად ხვდება, – თქვა ეშმაკამ და სისხლში გასვრილი ცხედრები მანქანის გვერდით თხრილში ჩაყარეს. სისხლიანი ხელები შარვალზე გაიწმინდეს და სამწვადისკენ წავიდნენ.

ნაომრები მაგიდას ხელდასვრილნი შემოუსხდნენ.

– ჩქარა მწვადი და ხინკალი, თორე მოვიდა სიკვდილი! – აღრიალდნენ, მაგრამ სამზარეულოდან არავინ გამოხმაურებიათ; ნაკვერჩხლის ტკაცუნის ხმა ისმოდა მხოლოდ.

ერთი სამზარეულოში შევარდა. იქ რომ არავინ დახვდა, უკანა ეზოში გავიდა; სხვებიც წამოიშალნენ.

– გაქცეულან, ეგ შობელძაღლები! – ყვირილით და ღრიანცელით დაასკვნეს.

– სადაც დავიჭირამთ, იქ ჩავაძაღლებთ სუყველას! – გამოუტანეს განაჩენი და ისევ სამზარეულოში შეგროვდნენ.

დიდ ქვაბში ხინკალი ჯერ არ დუღდა, მაყალზე დაწყობილ შამფურზე ხორცს სისხლი არ შეშრობოდა.

ხინკალი თასში წამოყარეს და ჯერ ისევ ცომი სისხლიანი ხელებით წამოკრიფეს. დიდი სიამოვნებით ჭამდნენ უმ მწვადს და მოუხარშავ ხინკალს ადამიანის სისხლით დასვრილი ხელებით.

საშინელებაა ცოფიანი ნადირი, დაუნდობელი და გაუმაძღარია მისი ბოროტება. გაცილებით უარესია ადამიანში გაღვიძებული მხეცი, რომელსაც სიძულვილის ნერგი ადამიანის ჭკუაზე დაუმყნია. ახლა დაუსჯელობის გრძნობა მიმატებული კიდევ არნახულ საშინელებად აქცევს. ამგვარად გადაგვარებული ადამიანი ლაჩარიც არის, უფლის რწმენა კი მხოლოდ ავაზაკობის მფარველად სჭირდება.

კუჭები გამოივსეს უმი ხორცით და პირუტყვის სიამოვნებანაგემნი ახლა კბილებში გაჩრილ ნამცეცებს იძრობდნენ.

– გაიპარნენ არა, ესაც მაგათ, სანამ მივწვდებით! – ავტომატის ჯერმა ბუფეტზე შელაგებული ჭურჭელი დაამსხვრია. ზოგმა ჭერს შეჰყეფა და შიფერს ლაწა-ლუწი აუტეხა. მანათობელმა ტყვიებმაც თავისი საქმე გააკეთეს, ჯერ კვამლის სუნი დადგა. გარეთ რომ გამოვიდნენ, სამწვადის ჭერს ცეცხლის ენები ლოკავდნენ.

შორს სატვირთო, გადახურული „კამაზი“ გამოჩნდა.

– არიქა, ბიჭებო! სწორედ მაგნაირი მანქანა გვჭირდება, არ გაუშვათ! – ერთხმად აყაყანდნენ და გზის ორივე მხარეს განლაგდნენ.

მანქანამ მათ ნიშანზე სვლა შეანელა და მოახლოებისთანავე გაჩერდა. ერთმა რამდენიმეჯერ ისროლა ჰაერში.

მძღოლმა კარები გააღო და მშვიდობიანად იკითხა: – რაშია საქმე, ბიჭებო?

– ჩამოეთრიე ძირს, აქ გავარკვევთ! – შეუღრინა ეშმაკამ.

მძღოლი დაბლა ჩამოხტა, მაღალი, დაკუნთული ვაცკაცი იყო.

– ეშმაკას გაუმარჯოს! – ხელი გაუწოდა. ეშმაკამ სხვათა შორის შეაგება ხელი.

მძღოლს თითქოს ხელში ბაყაყი ჩაუდესო, სველი და ტურტლიანი ხელის შეხებაზე შეაჟრჟოლა.

– ბიჭო, შოფერი მე ვარ, შენ რას გიგავს ეს ხელები, ალაზანში მაინც დაგე-ბანა, – უსაყვედურა.

– ზაქრო, ის დრო აღარ არი. მკლავზე რო იყურებოდი და შენი მომრევი არავინ გეგონა, ახლა ჩვენი იფქვება, იცოდე! – ღვარძლით შენელებული სიამა-ყით უთხრა ეშმაკამ.

– დაფქვით, როგორც ხოში გქონდეთ, ვის მამაძაღლს ეწყინოს, – თქვა ზაქრომ და ეშმაკას ტურტლით დასვრილი ხელის ჩვრით გაწმენდას შეუდგა.

– რამდენს აყბედებ, ეშმაკ, მიაყენე კანაოსთან მაგის ოხერი დედაც! – მიეჭ-რათ ერთი ბანჯგვლიანი.

– ბალღო, თუ არ მოძაღლავ მაგ ყბებს და გტაცე ხელი, ავტომატის იმედი ნულა გექნება, იცოდე, ღოლის გოჭივით შამოგაწყვეტამ „შიტოკზე!“ – ზაქროს ამათმა ავტომატის ტრიალმა ფერი არ უცვალა.

– მანქანა გვჭირდება, აფხაზეთში მეომარ ბიჭებს დახმარება უნდა წავუ-ღოთ, – განუმარტა ეშმაკამ.

– ჩემი თავი გენაცვალოთ, მე თვითონ წამოვალ. მანქანაზე ფქვილი მიდევს, პატრონებიც აქ არიან, სახლებში ჩამოვურიგებ და სადაც მეტყვი, იქ მოვალ.

– რაღას ჩამოურიგებ, ფქვილიც გვჭირდება და სხვა რამეც, ეგენი კიდევ იშოვნიან. შენ საჭირო სულაც არა ხარ, იქ მეომარი ბიჭები უნდა იყვნენ.

– ბიჭოს, რა უცებ „გამომბრაკე“, ვისზე ნაკლებად შემიძლია ომი.

ამასობაში კიბიდან მეორე კაცი ჩამოვიდა, მას ორი ქალიც ჩამოჰყვა.

– ვაა, რამდენი ყოფილხართ, ავტობუსია? – გაიკვირვა ერთმა ავტომატიანმა.

– თუ დაგვჭირდება, ავტობუსიც არის, – უპასუხა კაცმა.

– მე დაგაჭირვებ შენ, შე ნაბიჭვარო! – ერთმა შეუღრინა და ავტომატის კონდახი ზურგში ჩასცხო.

კაცი ტკივილისგან დაიღრიჯა, უცებ ორივე ხელით მხრებში სწვდა და მან-ქანის საბურავებს შემოაწყვიტა. მეორე იქვე მდგომმა უკან დაიხია და ავტომა-ტის სროლა სცადა, ვერ მოასწრო, უროსავით მუშტი მოხვდა ჩანაში და უგო-ნოდ გაიშხლართა.

ხმაურზე ზაქრო ფოცხვერივით შემოტრიალდა. ეშმაკამ ზურგში ორჯერ ეს-როლა, არ წაქცეულა, შემოუბრუნდა, შეშინებულ ეშმაკას თვალებში ჩახედა: – ლაჩარო და ავაზაკო, შენგან სხვა რას უნდა მოელოდეს კაცი! – სიტყვები ძლივს ამოაცილა ბაგეს და იქვე ჩაიკეცა.

მეორე კაცი კი გააფთრებით იბრძოდა. ავტომატიანები შემოფრთხნენ, შორს გაიქცნენ. ერთს მაინც მისწვდა და გაჯიუტებული თოხლივით დაითრია. შიშს დიდი თვალები აქვს, ყოველი არამზადა კი ლაჩარი და ვერაგია. მათაც შორი-დან გახსნეს ცეცხლი და იმ კაცთან ერთად ამხანაგიც დაცხრილეს.

ახლა არაფრის შიში აღარ ჰქონდათ, აწივლებულ ქალებს დაერივნენ და გაუპატიურება დაუპირეს. ქალები ძუ ვეფხვებივით იბრძოდნენ.

მთელი ამ ხნის განმავლობაში თექვსმეტიოდე წლის ბიჭი მძღოლის უკან

საწოლზე წამოწოლილი უგდებდა ყურს, რაც ხდებოდა. ქალებს რომ დაერივნენ, კაბინიდან უჩუმრა ჩამოძვრა, მიიხედ-მოიხედა, მისთვის არავის ეცალა, ჯერ ფრთხილად წავიდა, ცოტა შორს რომ გასცდა, ხიდისკენ მთელი შესაძლებლობით მოკურცხლა.

– ბიჭებო, ვიღაც გარბის! – ერთმა შენიშნა და ხიდს რომ უახლოვდებოდა, სროლა ატეხა.

დანარჩენებმა ქალებს თავი დაანებეს და ბიჭს სროლით გამოეკიდნენ; ნაქექებიც ჩანჩალით მიჰყვნენ.

დაუზოგავად ნაცემი ქალები სამწვადის უკან ბუჩქებისკენ გაიქცნენ და მიიმალნენ.

ბიჭი ქურციკივით გარბოდა. მდევრები ტყვიას არ იშურებდნენ. ხიდის შუამდე მიაღწია, უცებ წაბორძიკდა, წაიქცა, წამოდგომა სცადა, გაუჭირდა, უკან მოიხედა, მდევრები ხიდს სროლით უახლოვდებოდნენ. ძალა მოიკრიბა, მოაჯირს შეაფოფხდა და ალაზანში გადავარდა; ხიდზე და მოაჯირზე სისხლის კვალიც დატოვა.

აქოშინებულები მოცვივდნენ, მოაჯირს გადაეყუდნენ და ალაზანს დააკვირდნენ, წყალს ბიჭის ქუდი მიჰქონდა; ახლა მას გაუხსნეს ცეცხლი.

– დაჭრილია, წყლიდან ცოცხალი ვერ გავა, – დაასკვნეს. მაინც დიდხანს იდგნენ და ალაზანს აკვირდებოდნენ, იქნებ სადმე წყალწაღებული დავინახოთო.

ბიჭი ალაზნის დინების მიმართულებით იქვე წყალში ჩაყუდებული მუხის კარჩხალს მოეკიდა, დიდ ტოტს მოეფარა და მდევრებს იქიდან აკვირდებოდა. დაჭრილი მხარი არ ემორჩილებოდა, აღარც სტკიოდა, სისხლი კი მდინარის ნაკადში იხსნებოდა.

სამწვადე ჭახჭახით იწვოდა. ძალიან მაღლა ასული კვამლი განგაშის სიგნალს ჰგავდა, გზა მთლად უკაცრიელი გამხდარიყო, გამვლელებმა ალღოთი თუ გაიგეს, რა ხდებოდა ალაზნის ხიდთან.

ქალებმა ბუჩქებში სული მოითქვეს, ცრემლები შეიმშრალეს. საშინელმა განცდებმა ბრძოლის უნარი შესძინათ. ბუჩქებიდან ფრთხილად გამოვიდნენ. ავაზაკები ხიდზე იდგნენ და ყაყანებდნენ.

– წამოდი, ესმა, სანამ ის გარეწრები მობრუნდებიან, იმ უბედურებს მივხედოთ, იქნებ რომელიმე ცოცხალია, – ცრემლების ყლაპვით თქვა ერთმა.

– დროზე, თინა, არ მოგვასწრონ, – გააფრთხილა მეორემ და მანქანისკენ ბუჩქებში ამოფარებით წავიდნენ.

ერთი ავაზაკი და ის კაცი ტყვიებით დაცხრილული ეყარნენ, ქალები მათთან ხოხვით მივიდნენ: – ფარნაოზი მოუკლავთ! – ერთმანეთს შეჰქვითინეს, წივილი მოგუდეს და სახე ჩუმად მოთქმით ჩამოიკაწრეს. ზაქრო ცოცხალი იყო, რამდენიმე მეტრზე გახოხებულიყო, ახლა ძალას იკრებდა, რომ კიდევ ეცადა გატოკება.

– ზაქრო, ცოცხალი ხარ? – ქალებმა ყურში ჩასძახეს.

– ნუ გეშინიათ, გავუძლებ, – ძლივს გასაგონად წაილუღლუღა დაჭრილმა.

– დროზე წავიყვანოთ, თორე თუ ნახეს, რომ ცოცხალია, მოკლავენ, – ქალები ზაქროს აქეთ-იქიდან მხარში შეუდგნენ და ეს მკვრივი ვაჟკაცი ბუჩქებისკენ თრევით წაიყვანეს.

ხიდზე მოყაყანენი უკან გამობრუნდნენ, არ ჩქარობდნენ, არც ჩადენილ დანაშაულზე პასუხისმგებლობა აშფოთებდათ, ისინი ხომ სახელმწიფო საქმეზე ზრუნავდნენ. რაიონის ხელმძღვანელობაში პირმოთნედ ხვდებოდნენ. მეტი რა-

და უნდა დაუსჯელობის გრძნობის ქვეშ შაეიარაღებულ არამზადას.

– ბიჭო, ჩვენი წანწალაც შემოგაკვდათ? – იკითხა ეშმაკამ.

– რა გვექნა, ის შობელძაღლი იგეთი ჯანიანი იყო, მაინც მოახრჩობდა. ავტომატი რომ წაერთმია, ცუდად წაგვივიდოდა საქმე.

– ალაზანში გადავაგდოთ, ხელწერილით ხო არ ჩაგვიბარებია, – გადაწყვიტეს.

უკან მობრუნდნენ. წანწალა მსუბუქი მანქანის საბარგულში ჩატენეს და ხიდიდან ალაზანში გადაისროლეს.

სატვირთო მანქანის ძარაში სამ ტონამდე ფქვილი იქნებოდა.

– ეს ბაზარში ჩამოვცალოთ, ფული „ოპტომ" ავიღოთ. ამ მანქანით კი მეძროხეობის ფერმიდან ძროხები წამოვიყვანოთ. აფხაზეთში მეომარ ბიჭებს დახმარება ხომ უნდათ, ხა, ხა, ხა! – ახარხარდნენ.

ზაქროს გაუჩინარება არც კი შეუმჩნევიათ. ერთი მსუბუქი ავტომობილი იქვე დატოვეს. ვიღაც ახვარს წავართვით, თუ შეუძლია, მოძებნოსო. სატვირთო და მსუბუქი ავტომობილის ძრავების ღრიალით იქაურობას გასცილდნენ.

ხმაური როგორც მიწყდა, უფრო ახალგაზრდა ქალი, თინა სამალავიდან გამოვიდა, იქაურობა დაათვალიერა, მერე ისევ უკან შებრუნდა და მეორეს მოუხმო. მიტოვებული ავტომობილი იქავე იდგა.

– თინა, შენ მანქანის მართვა ხომ იცი? – ჰკითხა უფროსმა.

– ვნახოთ, თუ გამართულია, ვცდი.

ქალი საჭესთან დაჯდა. გასაღები შიგ დაეტოვებინათ, მანქანა დაქოქა.

– რაღაცა სჭირს, – თქვა თინამ, – მაგრამ სახლამდე მიგვიყვანს.

მანქანა ბუჩქებთან მიაყენეს. ზაქრო ვაი-ვაგლახით გამოიყვანეს და უკანა სავარძელზე დააწვინეს. ფარნაოზი საბარგულში მოათავსეს და საშინელი განცდებით გაკაჟებულები დაიძრნენ.

## ესეც ლეკიანობა!

**მტრედისფრად** ინათა. ჭალა უამრავი ჩიტების გალობამ გამოაცოცხლა. ზოგი მღეროდა, ზოგი თითქოს საუბრობდა, რომელიღაც მარტოხელა მოსთქვამდა, კოდალა არ ისვენებდა, სიმღერისა და გალობისთვის არ ეცალა, მატლებზე დილიდანვე ნადირობდა.

მათე კოშკიდან ჩამოვიდა, კოტე უკვე ფეხზე დახვდა. ომარი ჭალაში იყო გასული. მოსე ბინასთან ფუსფუსებდა. თენდებოდა ისე, როგორც გალაღებული და მხიარული ცხოვრების დროს. ადამიანი კი მოჭარბებული ეგოისტური, ცხოველური ინსტინქტების, ნადირის ჩვევების თუ პარაზიტის გაუმაძღრობის მონობაში თვითონ იწამლავდა საკუთარ სიცოცხლეს, გათავხედებული ძლიერიც ბოლოს მასზე ძლიერის გაუმაძღრობის ლუკმა ხდება. ამგვარ გაწამაწიაში შეგდებული კაცობრიობა მხოლოდ საკუთარ თავს უმწარებს სიცოცხლეს, ბუნება კი წინსვლას შეუფერხებლად აგრძელებს. ადამიანის ფაფხური ბუნებაზე ზემოქმედებისა, საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენის მქონე ცოდვილობაა, რადგან დედამიწის ერთ სერიოზულ გაზმორებას შეუძლია არარაობად აქციოს ადამიანთა მთელი თაობების მცდელობები. დედამიწის გაზმორება კი მძლავრი მიწისძვრა, წყალდიდობა, დათბობა თუ შეცივნებაა. ნუ ინებებს უფალი, რომ ეს გაზმორებები მთელს დედამიწას მოედოს.

– სიზმარი იყო თუ მოჩვენება, უფალი და ანგელოზები ვნახე, – რაღაც იდუმიალებით შეპყრობილი ხმით უთხრა მათემ კოტეს.

– ამ ერთიბეწო კოშკიდან უფალი რომ ნახე, იალბუზიდან ალბათ ხელს ჩამოართმევ, – ღიმილით უპასუხა კოტემ.

– მართლა, ანგელოზები ძალიან შეშფოთებული არიან ჩვენი უბედურებით.

– მარტო ანგელოზები? მამა ზოსიმე ლამის მთავარანგელოზის ეკლესიის სამრეკლოზე ჩამოეკიდოს ამქვეყნიურ უბედურების შემყურე, – კოტე ხუმრობდა.

– ზოსიმეს უთხარი, ნუ იჩქარებს, სანამ ბოლო ჩამომხრჩვალს უფალს არ შეავედრებს, – ხუმრობითვე უთხრა მათემ და წყაროზე პირის დასაბანად წავიდა...

ალაზნის პირას, ეგერების სახლის ეზოში მწვანიანზე დიდ კუნძს ოთხნი შემოსხდომოდნენ: ეგერი ომარი, მისი ორი განუყრელი მეგობარი მათე და კოტე, მოძღვარი ზოსიმე საინგილოდან ახლახან რომ მოსულიყო. ანაფორაში გამოწყობილი დინჯად საუბრობდა. ეს სახელდახელო პურის ჭამაც მის მოსვლას ეძღვნებოდა. კუნძზე ადგილი აღარ იყო, ღვინის ხელადა დაბლა მოლზე დაედგათ. მოძღვარს დაკოჟრილ ხელებზე ეტყობოდა, რომ შრომა მისთვის უცხო ხილი არ იყო, დანარჩენებიც მზისგან გარუჯულნი მუხის გამომშრალ მუგუზლებს ჰგავდნენ.

– დიდი პატივით მიმიღეს კახში. ეკლესიაში წირვა-ლოცვას ბევრი ხალხი ესწრებოდა. მშვიდი და ნორმალური ცხოვრება აქვთ. არაფერი არ მოუსპიათ და არ გაუნადგურებიათ, სინათლეც ოცდაოთხი საათი უნთიათ. არც ყაჩაღების და ავაზაკების შიში აწუხებთ. ეს უფრო შესამჩნევი ხდება ჩვენთვის, საშინელება და სატანის ბოდვა რომ ჩაგვდგომია კვალში და სიცოცხლეს ბალღამად გვიქცევს, – გულის ტკივილით ყვებოდა ზოსიმე მოძღვარი.

– ეტყობა, რაღაცით გავანაწყენეთ უფალი, ასეთი არეულობის და საშინელებისთვის რომ გაგვიმეტა, – დაასკვნა კოტემ.

– უფალს რას ემდური, შევარდნაძემ რაც პარტიის ცეკას მდივნობაში უბედურების კევრი აბრუნა, იმის შემდეგ ისევ რომ მოიყვან, ახლა უკვე სრულიად საწინააღმდეგოდ მიმავალ ცხოვრების მესაჭედ, უფალს უნდა დაემდურო, რა დაგიშავეთ, რატომ გაგვწირეო? ჩვენივე ბედოვლათობის მსხვერპლი ვართ და ჩვენივე უბედურებად ვიმკით ყოველივეს, – გულის ტკივილით თქვა მათემ.

– მამაო ზოსიმე, უდანაშაულო მღვდელი თემურ ჩიხლაძე რომ დახვრიტა, თვითმფრინავის გატაცება აზრადაც რომ არ მოსვლია, სარწმუნოების წინაშე ჩადენილ დანაშაულს აღარ ვამბობ, სიმართლის ასე აბუჩად აგდებას რა ვუშველოთ? ხომ შეიძლებოდა შენ დაეხვრიტე, რა სხვაობაა, თვითმფრინავის გატაცება არც შენ მოგსვლია აზრად, რატო სამღვდელოება ხმას არ იღებს, რატო წმინდანად არ შერაცხავთ იმ წამებულ მოძღვარს? მაგრამ არ გინდათ შევარდნაძეს აწყენინოთ. ერთად შეკრულები ხართ და სანამ თვითონ თქვენ არ დაგხვრეტამთ ინდირა განდისთვის ტერორისტული აქტის მოწყობის გამო, აზრზე ვერ მოხვალთ, მაგრამ ეგაც ვერ გიშველით. გამოჩნდება კიდევ ვინმე უფლის მსახურად წოდებული, წმინდა ედუარდ-გიორგიდ რომ მონათლავს და, ეშმაკმა იცის მხოლოდ, მერამდენეჯერ მოინათლება. მერე ჩვენნაირი ბრბო ბითურთა – უფალო რატომ გვიწყრების ჩააგალობებს, – საყვედურით თქვა კოტემ.

– შვილნო და ძმანო ჩემნო, მე ერთი რიგითი მოძღვარი ვარ. კომუნისტობის დროს ედუარდის მიერ ჩადენილ უმსგავსოებებზე მე ვინმე რიგით კომუნისტს რომ მოვდგომოდი და საყვედურებით ამეკლო, ამას რატომ შვრებითმეთქი, მართალი ვიქნებოდი? განა ის შეძლებდა რამის შეცვლას? ერთი ჭეშმარიტება იცოდეთ: რაც არ უნდა დიდ ხანს გაგრძელდეს მუხთალი კაცის პარპაში, ბოლოს იუდას ბედის გაზიარება არ ასცდება, თაობებს კი სალანძღავად

შემორჩება მისი სახელი! მე პატიოსნად ვემსახურები უფალს და მისი სახელით – ჩემს ხალხს. თუ ვინმე სცოდავს, განკითხვის ჟამის მოახლოების შიშით უნდა ძრწოდეს! – ზოსიმე მოძღვარმა ღვინის ჭიქა აიღო და გამშრალი ყელი ყლუპით გაისველა.

– „ხშირია ხოლმე, როცა სული ჭლექდება – ხორცის დღეობა მაშინ არის, როცა სული ჰყვავის – ხორცი დნება", ილია ჭავჭავაძის ეს ნათქვამი სულ მუდამ გვაფრთხილებს, სულით არ დაჭლექდეთო. მაგრამ ვინც სულით ჭლექიანია, მას ეს არ აშფოთებს, დღეს სულით ჭლექიანობა ქვეყანას ეპიდემიასავით მოსდებია. ჩვენ შესანდობარს კი ვსვამთ, მაგრამ ვაი, რომ ვერაფრით ვშველით. ვინ იცის, კიდევ რამდენი მსხვერპლი დგას რიგში, – მათემ დაამთავრა თავისი სათქმელი.

დანარჩენებმა არაფრის თქმა აღარ ისურვეს, შესანდობარი იყოსო, – თქვეს და ჭიქები მოცალეს.

– ეშმაკმა აცდუნა ევა და ადამი, ამის შემდეგ კაცობრიობას უბედურება არ მოჰკლებია. დღესაც ეშმაკია ჩასახლებული ბოროტი კაცის სულში, – განმარტა მოძღვარმა.

– ადამს ვაშლი რომ არ მოეკბიჩა, დღეს ჩვენ სამოთხეში თუ ედემის ბაღში ვიქნებოდით ლეღვის ფოთოლაფარებულები? – იკითხა მათემ.

– ვიქნებოდით, ვიქნებოდით! – მტკიცედ უპასუხა მოძღვარმა.

– ადამის შემდეგ კაცობრიობა ისე მომრავლდა, რა ლეღვის ფოთოლი ეყოფოდა მის შესამოსად.

– ნუ მკრეხელობ, კოტე, უფალს ამგვარი რამ არ უყვარს! – გაუწყრა მოძღვარი.

– არ გეთანხმებით, მამაო ზოსიმე, უფალს კრიტიკა არ უყვარსო და ამისათვის ჯორდანო ბრუნო კოცონზე დაწვეს, კოპერნიკმა მოასწრო და თავისი წერით მოკვდა, თორე არც მას ასცდებოდა ინკვიზიციის მახვილი. ახლა მე გეკითხები შენ, უფალს მოსწონს ეკლესიის მსახურთა ასეთი თვითნებობა?

– უკუღმართები და რწმენის შემრყვნელები ყველგან არიან. კომუნისტების იდეოლოგიას კარგად ვიცნობ, იქ მხოლოდ ძმობა, ერთობა და თანასწორობაზეა ლაპარაკი; ქრისტიანობაც ხომ ამას ქადაგებს. რაც შევარდნაძემ და მისმა მსგავსმა ვაი კომუნისტებმა უკანონობა და ძალადობა აბარტყეს, უფრო ადრინდელს აღარ ვიხსენებ, იმ იდეის ღალატი არ იყო? ასევე მოხდა ეკლესიაშიც, ქრისტეს წმინდა მოძღვრების მაგინებლები შეძვრნენ და თავი შეირცხვინეს; სარწმუნოება კი უფლისმიერი, სპეტაკი გზით წავიდა; იქ ყველა მკრეხელს მოეთხოვება პასუხი.

– საიდან ვიცით, რომ მოეთხოვება თუ იქაც თავიანთ სამარცხვინო საქმეს გააგრძელებენ.

– იქიდან ვიცით, რომ უფალი იქ არის და არ აპატიებს.

– აქაც ხომ არის, სულ იმას იძახით, ჩვენთან არს ღმერთიო. ვინმესი ეშინია თუ ვაშლის შეჭმის გამოა გაბრაზებული?

– უფალს არაფერი ეშლება. თუ ვინმე ცოდვის ბილიკზე მიდის, თავის თავს უმზადებს ჯოჯოხეთის ცეცხლს. ადამიანი კი იმიტომ შექმნა, რომ უფალი ყოველთვის ახსოვდეს.

– კარგია, როცა კაცს ღმერთი ჭეშმარიტად სწამს, მაგრამ ეს ურწმუნო მორწმუნე მედროვეები რომ მომრავლდნენ, რა ეშველება ამას?

– სატანის სამსახურში ყველა თვალთმაქცის და ფარისევლის მომრავლება ქვეყნის უბედურებაა. გული მიკვდება და ყოველდღე ვემუდარები უფალს, იხს-

ნას ჩვენი ქვეყანა ამ განსაცდელისაგან, – ზოსიმე მოძღვარმა პირჯვარი გადაიწერა.

მზე კარგა ხანია დასავლეთისკენ გადაიხარა. სუფრა აელაგებინათ. ახლა ისხდნენ და ქვეყნის ავკარგზე საუბრობდნენ.

ზოსიმე მოძღვარი უცებ ფეხზე წამოდგა, პირჯვარი გადაიწერა და ბალახში ჩაკარგულ ბილიკს დაჟინებით მიაშტერდა: ყველა იქით მიბრუნდა.

მთლად სველი, სისხლით დასვრილი, მარჯვენა მხარჩამოვარდნილი ბიჭი მათკენ რაცრაცით მოდიოდა. ძალა აღარ ეყო თუ ფეხი რამეს წამოჰკრა, წაიქცა, წამოდგომა სცადა, მუხლებზე წამოიწია, ადგომა გაუჭირდა, გაიბრძოლა და თავით ბალახში ჩაემხო.

სამივენი ადგილს მოსწყდნენ და ბიჭისკენ გაიქცნენ. ანაფორის ფლარტუნით და ვიშვიშით მოძღვარი უკან მისდევდათ.

ბიჭმა აიხედა, მიბინდული თვალებით მისკენ მიმავალი აჩრდილები დაინახა, დაყვირება სცადა, რაღაც ბგერები ამოიხრიალა და თავი ისევ ბალახზე დაუვარდა.

– დაჭრილია! – წამოიძახა პირველად მისულმა კოტემ და წამოსაყენებლად დაიხარა.

ბიჭს გონი არ დაუკარგავს, დასუსტებულს ადგომის თავი არ ჰქონდა. დანარჩენებიც შემოეხვივნენ და შეკითხვები დააყარეს:

– საიდან მოდიხარ? სად დაიჭერი? რა მოხდა?

– ხიდთან სამწვადე რომ არის, ეშმაკამ და მისმა ხალხმა ზაქრო და ფარნაოზი მოკლეს. ქალებს არ ვიცი, რა მოუვიდათ, მე მოსაკლავად გამომიდგნენ, – ძალა აღარ ეყო და დადუმდა.

ბიჭი წაიყვანეს, ეგერების ქოხში ტახტზე დააწვინეს. ტყვია მარჯვენა ლავიწის ძვლის ზევით კუნთში იყო გავლილი.

– უბრალო ჭრილობაა. კიდევ კარგი, ძვალს არ მოხვედრია. დიდება შენდა ღმერთო! – ჩაილაპარაკა მოძღვარმა.

ჭრილობა შეუხვიეს. ტანსაცმელი გამოუცვალეს, რამდენიმე ყლუპი ღვინო დაალევინეს. ბიჭი ცოტათი მომჯობინდა.

– ომარა ძიავ, ვერ მიცანი? მე გიგა ვარ, შარშან ზაქროსთან ერთად რომ ვიყავი აქ. ზაქრო, შოფერი, შენი ძმაკაცი, ის და ფარნაოზა – მოკლეს. მაგარი მოჭიდავე რო იყო.

– ახლა გამახსენდა, გიცანი! როდის მოხდა ეგ უბედურება?

– დილას. მე მოსაკლავად გამომიდგნენ. ხიდთან მაგარი სროლა იყო.

– იმ ბიჭებს უნდა მივხედოთ. ჯერ კი ეს დავაბინაოთ, – დანარჩენებს მიმართა ომარმა.

– ბიჭის ჯავრი ნუ გექნებათ, ექიმთან წავიყვან და სანამ გამოჯანმრთელდება, ჩემთან მეყოლება; თქვენ კი კეთილი საქმისთვის დამილოცნიხართ! – მოძღვარმა პირჯვარი გადასწერათ.

გიგა ზოსიმე მოძღვარმა თავისი მანქანით წაიყვანა, ომარის „კოლხოზნიკით“ კი სამივენი ხიდისკენ გაემართნენ.

დამწვარ სამწვადეს ბოლი ასდიოდა. თხრილში თავჩარგულ ჟიგულთან სისხლის გუბეები იდგა. არსად ადამიანის ხსენება არ იყო. ეტყობა, მკვდრები წაასვენეს და ამ დაწყევლილ ადგილს შემოფრთხნენ.

– როგორ გავიგოთ იმ ბიჭების ამბავი? – იკითხა კოტემ.

– ზაქროს სახლი ვიცი, იქ ვიკითხოთ, – თქვა ომარმა.

ხიდი გადაიარეს და გეზი ზაქროს სოფლისკენ აიღეს. გზაში არავინ შეხვედრიათ. მოძრაობა მთლად ჩამკვდარიყო. გარეთ გასვლას და მგზავრობას ერიდებოდნენ. ცოფიან ნადირთან ისე საშიში არ იყო შეხვედრა, როგორც შარაგზის ყაჩაღებთან.

სოფელიც დაცლილს ჰგავდა, გამოსალაპარაკებლად ვერავინ ნახეს. ზაქროს სახლთან სიწყნარე იყო. ალაყაფის კარებზე ბევრი აკაკუნეს, მაგრამ არავინ გამოხმაურებიათ. ერთმა მეზობელმა გამოიხედა და მაშინვე კარები დახურა.

– გამოიხედეთ გარეთ, ხალხი არა ხართ?! – ომარმა იმ მეზობლის ალაყაფის კარებზე მძლავრი ბრახუნი ატეხა.

კარები მოხუცმა ქალმა გაუღო. ომარი ეზოში შევიდა. შუა ხნის კაცი და ოციოდე წლის ახალგაზრდა სანადირო თოფებმომარჯვებულები იდგნენ.

– რა ხდება, ხალხო, ლეკიანობაა? – იკითხა ომარმა.

– ლეკიანობას რა უჭირს, ყაჩაღებთან წილნაყარი საკუთარი მთავრობაა თუ რაღაცა გვარბევს, – მიიღო პასუხი.

– ზაქროს ძმაკაცები ვართ, გამარკვიეთ, რა მოხდა? – თავისი ვინაობა დროზე გააცნო, ყაჩაღები რომ არ ჰგონებოდათ.

– ზაქრო ხიდთან ვიღაც ეშმაკას დაუჭრია, მეორე კარგი ვაჟკაცი, ფარნაოზი კი მოგვიკლეს. ჩვენი სოფლელი ორი ქალიც იქ იყო, იმათ მოიყვანეს.

– ზაქრო სად არის?

– არ ვიცით, იმ ქალებს ჰკითხეთ.

– ვერ გვაჩვენებთ?

– ამ სოფელში ცხოვრობენ, იკითხეთ, გეტყვიან.

– ვის ვკითხოთ, გარეთ კაცისშვილს ვერ დაიჭერ. თუ კაცი ხარ, გამოგვყევი, ისევ მოგიყვანთ, – სთხოვა ახალგაზრდას.

მან თოფი უფროსს გადასცა და უყოყმანოდ გაჰყვა.

თინას დაუძახეს. ტუჩგახეთქილი და თვალებჩალურჯებული ახალგაზრდა ქალი გამოვიდა.

– თუ არ შეწუხდები, ზაქროს ძმაკაცები ვართ... – ქალის სახეს რომ შეხედა ომარმა, სათქმელი ველარ დაამთავრა.

– მობრძანდით, დაისვენეთ. მანამდე ჩემს მეგობარ ესმას მოვიყვან, ისიც იქ იყო, ორივე მოგიყვებით, რაც მოხდა, – თქვა და ოთახიდან გავიდა.

მალე არანაკლებ ნაცემ და დალურჯებულ, ასაკით მასზე უფროს ქალთან ერთად დაბრუნდა.

– გაიცანით, ჩვენ ორივე იმ საშინელების მოწმე ვართ.

– ესმა, – თქვა ქალმა. ხელი არ გაუწვდია, მარჯვენა დოლბანდით ჰქონდა შეხვეული, – კინაღამ მომტეხეს, მაშინ ვერ ვიგრძენი, ახლა ძალიან შემაწუხა, – მოიბოდიშა.

ქალები მომხდარ ამბავს დაწვრილებით მოყვნენ.

– გიგა დავკარგეთ, ვფიქრობთ მოკლეს და ალაზანში გადააგდეს, – ტირილით დაამთავრეს ამბის თხრობა.

– გიგა ცოცხალია. მხარში მსუბუქადაა დაჭრილი; ექიმთან გავაგზავნეთ, – დაამშვიდეს ქალები. მათ კი სიხარულით შეჰკივლეს. ესმა წამოხტა: – გავიქცევი, იმის მშობლებს შევატყობინებ, – სასწრაფოდ წავიდა.

– ახლა სად არის ზაქრო? – იკითხეს.

– ნათესავის სახლში წევს. ქირურგმა იქ გასინჯა, საავადმყოფოში მიყვანას

მოერიდნენ, შარი რომ არ მოუდონო. მის ადგილსამყოფელს არავის აგებინებენ. რა ვიცი, ეშმაკს არ სძინავს. ფარნაოზის სახლში კი გლოვა და გოდებაა.

– ზაქრო მძიმედაა?

– მარჯვენა ბეჭიდან ორი ტყვია ამოუღეს. ეშმაკამ პისტოლეტიდან ესროლა. ფილტვი დაზიანებული არ ჰქონდა.

– ახლა ვერ ვნახამთ?

– აზრი არა აქვს, სძინავს. კარგი იქნება, სამი-ოთხი დღის შემდეგ მოხვიდეთ.

– გასაგებია.

– რა ჯიშის მხეცები  იყვნენ, ქალებს ასე რომ გცემეს? – ემოციები ვერ მოთოკა კოტემ.

– მხეცები და მერე როგორი. მუშტით და წიხლით დაუზოგავად გვირტყამდნენ. ჩვენც ვებრძოდით, რაც შეგვეძლო. ორს ისე ჩამოვაკაწრე სახე, ბალნები ფრჩხილებში მქონდა. გიგა რომ არა, დაგვხოცავდნენ და რა სიბინძურეს არ იკადრებდნენ, ვინ იცის. ნეტა რა დედამ გაზარდა ამგვარი უხსენებლები?!

ესმა ოთახში სახედაღადრულ  და თვალცრემლიან ქალს შემოუძღვა, მას კაციც შემოჰყვა.

– გიგას მშობლები არიან, – გააცნო.

– გიგა კარგადაა, არაფერი უჭირს. ტყვიით ცოტათი მხარი აქვს გაკაწრული. ჩვენმა მეგობარმა მოძღვარმა წაიყვანა, ის უპატრონებს,  ამ დღეში ჩვენ თვითონ მოგიყვანთ. – დაამშვიდეს შეშფოთებული მშობლები.

– მანამდე რა მოგვასვენებს? – შეიცხადა ქალმა.

ბოლოს ზოსიმე მოძღვრის მისამართი მისცეს, თუ მანამდე ვერ მოითმენთ, შეგიძლიათ მთავარანგელოზის ეკლესიაში ნახოთო. გიგას მშობლები ფაციფუცით გაიქცნენ. თვითონაც გამოემშვიდობნენ სახედალურჯებულ ქალებს და უკან გამობრუნდნენ.

დიდხანს მდუმარედ მიდიოდნენ ფიქრებთან შეჭიდებულები. სიჩუმე კოტემ დაარღვია: – რა შხამის ძუძუ უნდა ჰქონდეს ნაწოვი ადამიანს, სისხლის წყურვილში ნადირი რომ გაახუნოს.

– ბევრ ოჯახს გაამწარებს, სანამ თავის დათესილ ნარის ნაყოფს მოიმკის.

– მარტო ეგ ერთი ხომ არ არის, რამდენი მაგნაირი არამზადა დაძრწის.

– „სალახანა“ ხომ გახსოვთ,  ეშმაკაზე არანაკლებ სისხლის მსმელი ბალღინჯო იყო, სამეგრელოს დასარბევად რომ წაიყვანეს ის და  მისი მსგავსი კახელების სახელით. რაც იქ ბოროტება და საზიზღრობა თესეს, დამპყრობს გააქრქოლებდა. ეს წინასწარ გამიზნული ღონისძიება მეგრელებში კახელების მიმართ სიძულვილის გამოწვევის მიზნით იყო დაგეგმილი.

– ყაჩაღს, ავაზაკს, გარეწარს, ცოფიან აფთარს არც სამშობლო აქვს, არც ოჯახის და თავისი კუთხის სიყვარული. კიდევ კარგი, ამ ნაძირალებმა კახელებისა და მეგრელების სიყვარულში, ძმობასა და ერთმანეთისათვის თავდადებაში ბზარი ვერ შეიტანეს; აქაც ჩაუვარდა კოვზი ნაცარში თავისი ხალხის მოძულე კარიერისტთა ხროვას. მეგრელებმა იციან, რომ იმ ყაჩაღებს, სამეგრელოს რომ შეუსიეს, კახელების სისხლით ჰქონდათ ხელები დასვრილი, როგორც მამაძაღლ ეშმაკას და მის მსგავსებს.

ქვეყანა განსაცდელის წინაშეა, მაგრამ განსაცდელი ათმაგდება,  როგორც ეგრეთ წოდებული მთავრობა თავის ხალხს ებრძვის, ქვეყნის ინტერესებს ღალატობს და გაუმაძღრობა შეყრილი, ქონებას აგროვებს ხალხის უბედურების ხარჯზე.

– ეხ, ლაპარაკით მხოლოდ ენას ვიფხანთ, ეშმაკამ კი სულ მალე შეიძლება ჩვენც გვიკბინოს.

– მართალია. ვირთხა თუ გაგითავხედდა, შეიძლება ნამძინარევი დაგგლიჯოს.

– ზაქრო, ალბათ, გადარჩება. ეგ ისეთი ბიჭია, ეშმაკას ეშმაკობას თავბედის წყევლად უქცევს, ჩვენც წავახმაროთ ხელი იქნებ, – იმედის მომცემად თქვა ომარმა.

ბინდდებოდა. უპატრონოდ მიტოვებულ სოფლებს ღამე ყაჩაღთა მუქარასავით აკრთობდა.

## სიცოცხლე გრძელდება

**საინგილოდან** ალაზანს ორი ცხენოსანი მოადგა, ეტყობა, ფონი კარგად იცოდნენ, მდინარე გადმოლახეს და ციცაბო აღმართს შეუდგნენ. ომარმა ადრევე შენიშნა და მათ შესახვედრად გაემართა.

– „ნოდარ, „კამაზიდან“ ცხენზე გადაჯდომა შემთხვევითი არ უნდა იყოს, – მისალმების შემდეგ უთხრა წინ მომავალს.

– მანქანა დამინგრიეს. მეც რომ ყაჩაღობა დამეწყო, მექნებოდა ცოდვით გაპოხილი ტრანსპორტი, – უპასუხა ნოდარმა. – გაიცანი. ეს ვახოა. გაგონილი გექნება, სალახანამ მეძროხე მამა მოუკლა, – გააცნო თანამგზავრი.

– გამიგონია, – თქვა ომარმა და ვახოს ხელი გაუწოდა.

– ზაქრო და ფარნაოზი უნდა ყოფილიყვნენ შენთან.

– იყვნენ ექვსი დღის წინათ.

– ხომ არ იცი, ახლა სად არიან? ან ხომ არ დაუბარებიათ, როდის მოვლენ?

– ფარნაოზი ცოცხალი აღარაა. ზაქრო კი მძიმედაა დაჭრილი.

– რას ამბობ, გაგიჟდი?!

– გაგიჟდება კაცი, რაც ირგვლივ ხდება, ყველაფერი რომ იცოდეს.

– რა მოხდა, ამიხსენი, თუ ძმა ხარ!

– ზევით, ალაზნის ხიდთან სახინკლე რომ იყო. ეშმაკამ ზაქროს მანქანა გაიტაცა. პატარა ბიჭი გიგა და ზაქრო დაჭრილები არიან, ფარნაოზი კი მოკლეს.

– როგორ დავიგვიანე! – ნოდარმა ხელები თავზე მოიჭირა, მერე უცებ გაცეცხლდა: – დედას ვუტირებ, ახლავე უნდა მოვძებნო და გავუსწორო ანგარიში! – აყვირდა.

მოიცა. წამოდი ბინაზე, მოვიფიქროთ, როგორ მოვიქცეთ, – ომარმა დააწყნარა და ბინისკენ წაუძღვა...

სააგურეში სიწყნარე იყო. აგური აღარავის სჭირდებოდა. ადრე დამზადებული შტაბელებად ეწყოთ. ახლა ღორებს, ქათმებს, ბატებს და ძროხებს უვლიდნენ მომავალში როდისმე სააგურეს ამუშავების იმედით. ბინდდებოდა. სააგურეს „ჟიგულით“ სამი შეიარაღებული წვეროსანი მიადგა და პირდაპირ საცხოვრებელ ბინას მიაყვირა. სააგურეს უფროსი, ტიმოთე აივანზე გამოვიდა.

– რას მაიზლაზნები, რაღაც არ გესიამოვნა ჩვენი მოსვლა! – შეუღრინა მძღოლის გვერდით მჯდომმა.

– რა ვქნა, ცეკვას ხომ არ დავიწყებ! – გაუღიმებლად უპასუხა მოძალადეთა მიერ შეწუხებულმა.

– მიდი, ერთ ღორს გამოჭერი ყელი, ქათმებიც მიაყოლე, ვიქეიფებთ და უნდა წავიდეთ. თუ არ იჩქარებ, ერთის მაგიერ ორს მივცხრილამთ, – დაემუქრნენ.

– რაც გინდათ გიქნიათ, დახოცეთ და დაისვენეთ! – უპასუხა ტიმოთემ და ეზოში ჩავიდა.

ამ დროს საცხოვრებელი სახლის კედელს მოფარებული ორი კაცი გამოვიდა და პირდაპირ მანქანასთან მივიდნენ.

– ბიჭო, ნოდარა! – დაიყვირა ერთმა და ავტომატს მისწვდა. დააგვიანდა. ნოდარმა სამი ტყვია დაახალა. ვახომ მეორეს ესროლა. მესამემ ხელის გატოკება აღარ სცადა. – არ მესროლოთ! – აყვირდა.

ვახომ მხრიდან ავტომატი ააძრო და უყვირა: – სად არიან დანარჩენები?!

– აფხაზეთში უნდა წავიდეთო და ჩვენც ავითესეთ, – უპასუხა შიშისგან აკანკალებულმა.

– ეშმაკას სად ვნახამთ?

– იმას არ ვიცნობ. სულ ორი დღეა, რაც ამათთან ვარ. საინგილოში მინდოდა გადასვლა.

– ტიმოთე, ამ ბიჭს იცნობ? – ნოდარმა სააგურეს უფროსს მიმართა.

– ერთხელ იყო აქ. მაგათში ყველაზე წესიერია. ეშმაკასთან ერთად არ მინახია. ეს ორნი კი – დახოცილებზე მიუთითა, ცოფიანები იყვნენ.

– ეშმაკაზე რას ამბობენ, სად შეიძლება იყოსო? – ბიჭს შეეკითხნენ.

– მის მსგავსებთან ერთად აფხაზეთში აპირებდაო წასვლას. ვიღაცეებს შეუგულიანებიათ, მაგარი ძარცვა მოდისო.

– რა ვქნათ ახლა? – ვახო ნოდარს შეეკითხა.

– გავიგოთ, სად წავიდა და მოვიფიქროთ, როგორ მოვიქცეთ.

დახოცილების იარაღი აკრიფეს. იქვე მოფარებით დაბმული ცხენები გამოიყვანეს და სიტყვის უთქმელად იქიდან გაქუსლეს...

ზაქრო ლოგინზე წამომჯდარიყო, ნოდარი და ვახო იქვე სკამებზე ისხდნენ.

– ნამდვილად წასულები არიან. სადაც ვიკითხეთ, ყველგან ამბობენ, აფხაზეთში აპირებდნენო წასვლას, – გულისტკივილით ამბობდა ნოდარი.

– თქვენზე თუ ნადირობს ვინმე? – იკითხა ზაქრომ.

– მილიციას თავი მოაბეზრეს, ეგენიც არ ერევიან საქმეში. თვითონ კი ერთმანეთსაც არ ინდობენ. სალახანას იმდენი ცოდვა ჰქონდა, რომელმა უწია, ძნელი გამოსაცნობია.

ამ საუბარში იყვნენ ომარის, მათეს და კოტეს მოსვლა აუწყათ ზაქროს მეუღლემ.

– კარგად რომ გახდები, მოვილაპარაკოთ, – უთხრა ნოდარმა და ადგა. – ჩვენ აფხაზეთში ვაპირებთ წასვლას, თუ ეშმაკს სადმე გადავეყარეთ და სამშობლოსთვის თავდადებულად იბრძვის, ვაპატიებთ ჩადენილ ცოდვებს. უფლის საქმეა, იქ რას მოჰკითხავს. თუ აგრძელებს თავის არაკაცობას, მაშინ კი მოუწევს პასუხი აგოს.

ნოდარი და ვახო გამოეთხოვნენ. ახლად მოსულებს აივანზე შეხვდნენ. ზაქრო დავლალეთო, მოიბოდიშეს.

– აფხაზეთში წასვლას ვაპირებთ, ხომ არ წამოხვალთ? – ყველას მიმართეს.

– სამშობლოსთვის იომო დიდი ბედნიერებაა, მაგრამ სამარცხვინო მთავარსარდალი მარტო აფხაზეთს კი არა, მთელს საქართველოს ღუპავს. თუ ცხოვრებას საღად არ შეხედავ, რა მნიშვნელობა აქვს, აფხაზეთში მოგიღებს ბოლოს თუ აქ, – ირონიულად უთხრა მათემ.

– მაშ, არ წავიდეთ?

– წახვალ და ნახავ, როგორ აკნინებს მამაცი ერის სიამაყეს ორპირობა,

განხეთქილება, ურთიერთ მტრობა; ღალატი როგორ სპობს სამშობლოსთვის ანთებულ გულებს.

– კარგი რა, მათე, გულს რაზე გვიცრუებ.

– როცა მუხთალი თხა სვავებისგან დამფრთხალ ფარას ხრამისკენ მიატრიალებს, მეცხვარეც იქით კი არ მირბის, ყველა ღონეს ხმარობს, თხა გააჩეროს.

– მე მეცხვარე არა ვარ, ჩემო მათე, არც ის ცხვარი თხას ხრამისკენ მორჩილად რომ მიჰყვება, იცი შენ ეს. მეცხვარე კი უფალია, სათხე გაპონედ თუ გაგვხადა, ალბათ რაღაც დანაშაულის გამო გვსჯის.

– მაშინ უნდა დავსხდეთ და ლოცვით შევაწუხოთ უფალი, დაგვხსენით სატანა ჩასახლებული თხა, – საუბარში კოტე ჩაერია.

– თოკი სთხოვეთ უფალს, თქვენი ხელით რომ ჩამოეკიდოთ თხის გასახარად, – შეაშველა სიტყვა მათემ.

– თოკის გარეშეც კარგა გვარიანად გვავლებს ღალატი მუსრს, – თქვა ომარმა.

– ჩვენ აფხაზეთში სხვა საქმეც გვაქვს, ეშმაკა უნდა მოვძებნოთ, – ვახომ საბოლოოდ გაარკვია მათი გამგზავრების მიზანი.

– ეშმაკას ძებნაში ეშმაკის ლუკმა არ გახდეთ.

– ეგაც შეიძლება მოხდეს.

– ჰოდა, მაშინ სადავო აღარაფერია. წასვლის წინ შემოგვიარეთ, გზას დაგილოცამთ. იგრე კი არ მოხდეს, ახლა ეშმაკა ჩვენ არ გაგვიხადოთ საძებნელად, – სიცილით თქვა ომარმა.

ერთმანეთს გამოემშვიდობნენ.

ზაქრო ბალიშზე თვალდახუჭული გადაწოლილიყო. მეუღლემ კარები შეაღო და უკან გამობრუნდა.

– დაუძინია, ცოტა ხანს მოიცადეთ, – უთხრა სტუმრებს.

– ცოტა ხანს კი არა, სანამ კარგად არ გამოიძინებს, არ შევაწუხებთ, – მიიღო პასუხი.

ეზოში თინა შემოვიდა.

გაიცანით, ზაქროს დეიდაშვილია. იმ გარეწრებმა კინაღამ ესაც...

– ზაქროს მეუღლეს კოტემ სიტყვა აღარ დაამთავრებინა:

– ვიცნობთ ქალბატონო, კრივი კარგი იცის, მაგრამ ისინი წესების დარღვევით ჩხუბობდნენ. და ამის გამო უნდა დაისაჯონ, – თინას ხელი გაუწოდა: – გამარჯობათ, ქალბატონო თინა, ამ წუთისოფელს თქვენი მსგავსი ქალის ძებნაში შევაბერდი და რა ვქნა.

მათეს და ომარს სიცილი აუტყდათ: – ბიჭო, რა ექსპრომტად აუხსენ სიყვარული.

თინამ ღიმილით გაუწოდა ხელი: – ასეთი ბედი მაქვს, ბებრები თავს იმართლებენ, ახალგაზრდებს არ ვახსენდები.

ახლა კი ყველა ახარხარდა.

– შენს ცხოვრებაში ქალისადმი პირველი კომპლიმენტი სიბერედ გექცა, უფრო უკეთესი ვერაფერი მოიფიქრე? – სიცილით უთხრა მათემ.

– მე მეგონა, სიბრალულის ცრემლებს დაღვრიდით, რა ვიცოდი, რომ თვითონ თინას თვალშიც ესოდენ მობერებული ვჩანვარ, – თავი მოისაწყლა კოტემ.

– თვითონ თქვი, ბებერი ვარო. მე საიდან უნდა მცოდნოდა, რომ ასე არ არის? – თავი იმართლა თინამ.

ამასობაში ესმაც გამოჩნდა. მხიარულობის მიზეზი ვერ გაიგო და მისალმების შემდეგ იკითხა: – რა მოხდა, რამ გაგამხიარულათ?

– კოტემ თინას ისე ორიგინალურად აუხსნა სიყვარული, უარის თქმა აღარ გამოვა, – უპასუხა ომარმა.

– მართლა? რა კარგია! – ესმამ ტაში შემოჰკრა.

– ესმა თანახმაა, ჩვენც, ახლა თინას თანხმობაღა დარჩა, – დაასკვნა ომარმა.

– მობრძანდით, ზაქრომ გაიღვიძა, – მისი მეუღლე მნახველებს ოთახში შეუძღვა.

– რა კარგია, მართალს ამბობენ? – ესმა თინას მოეხვია.

– ვაიმე, როგორ თამამად ვიყავ, ახლა ისე შამარცხვინეს, მაგათთან ველარ მივალ, – თინა უკან გაბრუნდა.

– სად მიხვალ, ქალო, სირცხვილია, ეგონებათ ეწყინაო. – ესმა გამოეკიდა: – მოიცა, იხუმრეს იქნებ. იფიქრებენ, იუმორის გრძნობა არ ჰქონიაო, – ძალით შეაჩერა.

ზაქროსთან ცოტა ხანს დარჩნენ. მოიკითხეს, გაიხუმრეს, კიდევ მოვალთო, შეჰპირდნენ, მალე გამოჯანმრთელება უსურვეს და გარეთ გამოვიდნენ.

ესმა და თინა ეზოში იდგნენ.

– თინა, ამ ჩვენი ძმაკაცის ხუმრობა არ გეწყინოს, – მოიბოდიშა მათემ.

– ხუმრობაა თუ მასხრობა, სინამდვილედ რომ იქცეს, კარგი წყვილი იქნებოდა, – დაასკვნა ომარმა.

– მე თინას ბოდიშს ვუხდი, ასე უხეშად და საჯაროდ ნაზი გრძნობების გამხელისთვის, არც იმას ვმალავ, რომ მოუხეშავი და მოუქნელი ვარ, მაგრამ თუ თინა არ დამცინებს და თანამიგრძნობს, ძაღლის შვილი ვიყო, თუ ჩემი ნათქვამი ამ საოხრო გულის ჭეშმარიტი ამოძახილი არ იყოს, – კოტეს აღელვება დაეტყო.

– ბიჭოს, აქ სახუმაროდ სულაც არ არის საქმე, საკითხი სანახევროდ გადაწყვეტილია, კოტე თანახმაა, ვკითხოთ, რას იტყვის მეორე ნახევარი, – ომარი გამხიარულდა.

თინა გაწითლდა და სახეზე ხელები აიფარა.

მოიცა, ბიჭო, რა სახრჩობელა გავუმართეთ, მოიფიქროს, დაელაპარაკონ ერთმანეთს, ჩვენ აქ კიდევ მოვალთ. თინა ასე იოლად მოსანადირებელი გოგო არ არის; კიტეს კიდევ სიბერე სიზმარშიც არ უნახია, – მათემ სიტუაციის განმუხტვა სცადა.

უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.

– ახლა წავედით, ზაქრო რომ წამოდგება, უფრო სერიოზული საუბარი გვექნება, – ომარი გოგოებს გამოეთხოვა.

კოტემ თინას მოკრძალებით ჩამოართვა ხელი და წამით თვალებში შეხედა: – არ დამღუპო, გოგო! – ჩურჩულით უთხრა და ჩქარი ნაბიჯით წავიდა მანქანისკენ.

კარგა ხანს უსიტყვოდ მიდიოდნენ, უცებ მათეს სიცილი აუტყდა:

– ბიჭო, რა დაზვერვის გარეშე შეუტიე მოწინააღმდეგის მოედანზე.

– რა ვქნა, სიყვარულმა ხომ ტარიელიც გადარია, – მიიღო პასუხი.

– ასე უცებ მაინც როგორ შეგიყვარდა?

– იმ ამბის შემდეგ, რაც ხიდთან მოხდა, სულ მაგაზე ვფიქრობ. როგორ იბრძოლეს, ზაქრო გადაარჩინეს. ქართველ ქალში მებრძოლი სული რომ ბუდობს, სწორედ გაჭირვების ჟამს იფეთქებს ხოლმე.

– კი მაგრამ ნელიმაც ხომ ივაჟკაცა.

– ბიჭო, ჯერ ერთი, ნელი უფროსია, მეორეც, ქმარშვილიანია, მესამე კიდევ

ის, რომ ორივე ხომ არ შემიყვარდებოდა.

– მეოთხე გამოგრჩა, უკეთესი და მშვენიერი გოგო შეგიყვარდა. ზაქრო გამოჯანმრთელდება, სერიოზულად მოვილაპარაკოთ და, თუ ხელი არაფერმა შეგვიშალა, პატარა ქორწილიც შევირგოთ, – ომარმა კოტეს მხარზე დაარტყა ხელი.

– რას იზამ, ძმაო, სიცოცხლე გრძელდება, როგორი ცუდი ამინდიც არ უნდა სტანჯავდეს ღლევანდელობას. კოტეს გადაწყვეტილებამ კი ისე გამახარა, თითქოს უკუღმართი ცხოვრების სიმძიმე შემიმსუბუქდა, – მათე გახარებული იყო, კოტე – დარცხვენილი, – ომარი კი საჭეს ჩაფრენილი ღიმილით გაჰყურებდა გზას.

## გაუმარჯოს კუკური მაძღარაშვილს!

**აფხაზეთის** ომმა სავალალო ხასიათი მიიღო. პომპეზურობას და ფუჭ ღრიანცელს მიჩვეულმა შევარდნაძისტებმა ახალი ღონისძიება მოიგონეს, აფხაზეთის ქალთა მატარებელი დაიძრა იარაღის და ტყვია-წამლის ნაცვლად. ამგვარი ქარაფშუტული პომპეზურობის ნაყოფი ხმაურითა და ღრიანცელით მიდიოდა აფხაზეთისკენ, ხალხში სინანულის ღიმილს რომ იწვევდა, სანამ მოაზროვნე სამხედროებმა არ შეაჩერეს და უკან არ გამოყარეს. იარაღიც მოძრაობდა, მაგრამ არა აფხაზეთისაკენ, არამედ მომხვეჭელ საქმოსანთა ჯიბის გასასქელებლად. გამდიდრებაზე დახარბებული ნაძირალები ქვეყნის ინტერესს ფულზე ყიდდნენ.

აფხაზეთიდან ღალატის და უთავბოლობის საშინელი ამბები მოდიოდა; საუკეთესო, სამშობლოსთვის თავდადებული ახალგაზრდები ზოგი გმირულად, ზოგი კი სამხედრო საქმის უცოდინარობით იღუპებოდნენ. არამზადები, მაროდიორები, ყაჩაღები, მოღალატენი, ერის ინტერესებით მოვაჭრენი მდიდრდებოდნენ. დიდ პოლიტიკოსად გასაღებულ ედუარდ ამბროსევიჩის ავანტიურამ მთელი ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები და თვით რუსეთშიც სიძულვილი გამოიწვია და ყველა ყოფილი მეგობარი მტრად გაიხადა... საქართველოს კომკავშირის ცეკას მდივნობისას ნიკიტა ხრუშჩოვის ქებით, ლიქნით და საერთოდ, უფროსებისადმი უსაზღვრო კუდქიცინით ახალგაზრდებს კომკავშირი შეაძულა; შინაგან საქმეთა მინისტრობის დროს მთელი მილიცია მექრთამეობის და კორუფციის ბუდედ აქცია; საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველი მდივნობის დროს მთელი რესპუბლიკა სიყალბით, ბიწიერებით, თვალთმაქცობით, ოინბაზობით, ძალადობით, უკანონობით, ფუჭი პომპეზურობით, მექრთამეობით გარყვნა და დააბინძურა; საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრობისას ამხელა ქვეყანას უღალატა, თავტყირპიან ბედოვლათთან ერთად საერთო-სახალხო ინტერესები გაყიდა, მინდობილი საქმისადმი ღალატისათვის ნასიამოვნებ მოწინააღმდეგეთა მიერ მსოფლიო პოლიტიკოსის სახელით მოინათლა. ისე მოერგო მას ეს დაცინვა, როგორც იუდას მოციქულობა. ცნობილი „პოლიტიკოსი“ საქართველოში, ახლა უკვე მეორედ და უფრო საშინელი ცინიზმით ჩეკდა სისხლცრემლით გაპოხილ უბედურებას, რომლის საშინელება ყველაზე მწარედ სამეგრელოს შემდეგ აფხაზეთში მცხოვრებმა ქართველებმა იგემეს.

აფხაზეთში კატასტროფა ახლოვდებოდა, ამ უბედურებას კი შეიძლება შევარდნაძისტთა წალეკვა და ქვეყნის ერთ მუშტად შეკვრა გამოეწვია, საჭირო გახდა რაიმე ილუზიონისტური ილეთით ხალხის გაბითურება და აი, პარლამენტში მორიგი შეხლა-შემოხლის შემდეგ შევარდნაძე გაწყრა, მე გადავდექი და იცოდეს ყველამ, რომ ჩემს გადაფურთხებულს აღარ ავლოკავო. მთელი საქართველო ისმენდა მის ამ სიტყვებს და შვებით ამოისუნთქა, როგორი საქ-

მეა, გადაფურთხებულის ალოკვა, კატაც კი არ კადრულობს ამას, მით უმეტეს ნამუსის ძარღვშეუწყვეტელ ადამიანს ამგვარ ლოკვას სიკვდილი ურჩევნია. სპექტაკლი კი თურმე ამის შემდეგ იწყებოდა. შევარდნაძისტებმა ნელ-ნელა პარლამენტის შენობის წინ კიბეებზე იწყეს შეგროვება. მოსყიდულმა პოლიტიკურმა ლიდერებმა აქტიურობა დაიწყეს, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქიც მოიწვიეს და თხოვნის ცრემლები ღვარეს, „ედუარდ ბატონო, დარჩი, ნუ მიგვატოვებ, უშენოდ არ გვეცხოვრებაო".

მათე საშინელ ავადმყოფობის ბრჭყალებში მოქცეულ მეუღლეს საავადმყოფოში თავზე ედგა და მისი გადარჩენის მცირედ იმედს სასოებით შეჰყურებდა. კოტემ ჩამოაკითხა და მეგობრებმა ცოტა ხნით ქუჩაში გავლა გადაწყვიტეს. სპექტაკლი მთელი ძალით რომ ამოქმედდა, რუსთაველის პროსპექტზე სწორედ პარლამენტის წინ მოხვდნენ; უფასო წარმოდგენის საყურებლად მოშორებით გაჩერდნენ.

კიბეზე შეკრებილთაგან რამდენიმე ხვეწნა-მუდარით შესთხოვდა ედუარდ „მხსნელს" დარჩენილიყო. ზევიდან კი „პოლიტიკოსები" „მგზნებარე" სიტყვებით შესთხოვდნენ ბატონ ედუარდს აელოკა თავისი გადმოფურთხებული. კიბეებზე შეკრებილებმა დაიჩოქეს და ერთხმად შეღაღადეს, არ გადაედგა ეს ფრიად შესაშური ნაბიჯი. ბოლოს ისიც გამოჩნდა, გატყდა კაცი, გადმოფურთხებულს კი არა, რა სიბინძურეს არ აალოკვინებს შენგან ქონშეძენილ გაზულუქებულთა გაუმაძღრობის სურვილი. ვითვალისწინებ თქვენს თხოვნას და აღარ გადავდგებიო, გამოაცხადა კიბეებზე შეგროვილთა ღრიალში. სპექტაკლი დამთავრდა, მათე და კოტე ერთმანეთს გაკვირვებულები შეჰყურებდნენ.

— ეს რა მოხდა, აზრზე ვერ მოვდივარ! — ხელების ქნევით თქვა კოტემ.

— თვითონ აზრზე არიან და შენისთანების აზრზე მოსვლა სულაც არ სჭირდებათ, — აუხსნა მათემ.

ამ დროს მათთან აქოშინებული, მსუქანი ჭამა-სმით განებივრებული, თანამედროვე ფულიან ნებიერთა ფორმის გრძელ შავ ლაბადაში გამოწყობილი კაცი მიიჭრა.

— ვაიმე, დამაგვიანდა, რა მოხდა, ვერ მეტყვით? გუშინ გამაფრთხილეს და ხომ იცით ვაჟკაცი კაცის ამბავი, რესტორანში ქეიფს და ხოშიან გოგოებს გადავყე? ... ეხ, საძმოში ჩავიჭერი! — მოიჩივლა.

— ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად არის, ედუარდმა ალოკა თავისი გადმოფურთხებული, — საზეიმოდ უთხრა მათემ.

— შენ გენაცვალე, ისევ დარჩა არა?

— ჰო, დარჩა, ოღონდ გადმოფურთხებულ ალოკილი.

— კარგი რა, ეს რა გამოთქმაა! გუშინვე ვიცოდი, რომ დარჩებოდა, მაგრამ ეს საჭირო იყო.

— რა იყო საჭირო, გადმოფურთხებულის ალოკვა? — მათეს თანდათან ბრაზი ერეოდა.

ურთიერთობის დაძაბვა გარდაუვალი იყო. უცებ კოტემ საუბრის თემა შეცვალა:

— მოიცა, მოიცა, შენ კუკური არა ხარ, მაძღარაშვილი? — ჰკითხა.

— ჰო, კუკური ვარ, საიდან მიცნობ?

— ვისაც ერთხელ შენი პურ-მარილი უნახია, როგორ შეიძლება დაავიწყდეს.

— მოიცა, სად ვიქეიფეთ ერთად?

— არსად. მე მხოლოდ შენი თამადობა და ქმრიანი ქალის დაქამანდების

ოსტატობა მოვიხილე აეროპორტის რესტორანში. მაშინ შენ ამით მაგარი სა-ნაძლეო მოიგე და ყველა თანამეინახეს პირში ჩალა გამოავლე.

– ვახ, შენ გენაცვალე, საიდან იცი ჩემი ის გმირობა?

– მეც იმ რესტორანში ვიჯექ და ყველაფრის მოწმე ვიყავ. მხოლოდ ის ვერ გავიგე, სად შეიძლებოდა მიგეყვანა ქალი.

– გეტყვი, არ დაგიმალავ, რესტორნის ყარაულს პატარა ფარდულში ბალახი ჰქონდა დაყრილი და იქ მყავდა ის ლამაზმანი, ხა, ხა, ხააა! თუ ქალის ჟინი გაქვს, საღორე, საძროხე, საქათმეც გამოდგება. არა, შენ ისეთი მაგარი, ვაჟკაცური საქმე გამახსენე, უნდა აღვნიშნოთ. აგერ ჩემი გაპრიალებული „მერსედესი“, ორი სხვა მანქანაც მახლავს, რესტორანში უნდა წაგიყვანოთ და გაგრიალოთ. იქ ყველას მოუყევი, ჩემს გმირობას შემთხვევით როგორ შეესწარით. დაე, ყველამ გაიგოს, ვინ არის კუკური მაძღარაშვილი. აბა, წამოდით! – დაიმედებულმა, რომ უარს არ ეტყოდნენ, კუკურიმ კოტეს მხარზე ხელი მოხვია და მანქანისკენ გაიწია.

– დიდი მადლობა, კუკური ბატონო, ვერ წამოვალთ, დრო არა გვაქვს, – გადაჭრით უთხრა კოტემ.

– მაშინ მოდით, აქვე შევიდეთ, სულ რამდენიმე სადღეგრძელო ვთქვათ, – განზე მდგარ კაცზე აჩვენა, – ამ ჩემს ძმაკაცებს მოუყე, რაც იქ იხილე.

კუკურიმ თავისი ორი მხლებელი გააცნო. თხოვნაზე უარი ვეღარ უთხრეს, იქვე სასადილოში შევიდნენ.

– კონიაკი, შამპანური, ღვინო, რაც კარგი გაქვთ, ყველაფერი მოიტათ! – ბრძანა კუკურიმ.

პირველივე სადღეგრძელო ფეხზე ამდგარმა დაიწყო: – აი, ეს კაცია, მთლად უცნობი, მაგრამ ჩემი ვაჟკაცობის მოწმე, სახელით და გვარით მომმართა, ისე დავამახსოვრე თავი. ასე ვარ ყველგან, ქუხს ჩემი სახელი, მაშ! მოდი, ბიჭებო, დღევანდელ დღეს გაუმარჯოს! ედუარდ ამბროსევიჩი ხალხმა არ გაუშვა, იმი-ტომ, რომ უიმისოდ როგორც ტილი ნაცარში, ისე დავიკარგებოდით. რაიკომის მდივანი, მერე დიდი ტრესტის მმართველი ვიყავ, იმდენი ფული მაშოვნინა, ეს ცხოვრება რომ არ მოსულიყო, სად უნდა წამეღო, არ ვიცი. ეს ცხოვრებაც მაგან მოიტანა. ვისაც შნო არა ჰქონდა, დამშეულები და გამათხოვრებულები დარჩნენ, მე კი ნახევარ საქართველოს ვიყიდი. დავგრიალებ და სადაც ლამაზ ქალს ვნა-ხავ, არ ვუშვებ, ამ კაცს ჰკითხეთ, რა შემიძლია! – ყველა ადგა. მათემ ორი ბოთლი ლუდი მოიტანა: – ჩვენ ღვინოს ვერ დავლევთ, კახელების ადათის მიხედ-ვით კი ლუდით დავლევთ ყველაზე საყვარელ სადღეგრძელოს, – კოტემ და მა-თემ ჭიქები ლუდით გაავსეს. – გაუმარჯოს! – თქვეს და ბოლომდე გამოცალეს.

კუკურიმ ჭიქა გამოცალა და ახლიდან შეავსო.

– ხომ მაგრად ავართვი მაშინ ის ლამაზი ცოლი თავის ბითურ ქმარს?! – ტრაბახის ტონით შეეკითხა კოტეს, – მიყვარს ძმაო, სხვის ბაღში გემრიელი ხილის მოკრეფა.

– მაშინ იმ სუფრიდან ერთმა მშვენიერმა ქალმა გითხრა, შენი ბაღი სხვისი დასაკრეფი არ გაგიხდესო, რაღაც ამგვარი მახსოვს, – შეახსენა კოტემ.

– ის ქალბატონი ჩემი მეუღლეა. თუ ქალი მომეწონა, ცოლი რას მიქვია, ისიც იქ იყო, მაგრამ მაინც გავინადირე ჩემებურად.

მათემ და კოტემ ჭიქები ლუდით შეივსეს. კუკურის სადღეგრძელოს თქმა აღარ დააცადეს: – ამით კიდევ სხვის ბაღში მოპარვას მიჩვეულ მებაღეს გაუ-მარჯოს! – თქვეს, ჭიქები გამოცალეს და ტრაბახის აზარტში შესულ კუკურის გამოემშვიდობნენ.

ცოტა ხნის შემდეგ ერთმა თქვა: – ბიჭო, კახელები ლუდით იმას ადღეგრძელებენ, ვინც ძალიან სძულთ!

– მართლა? – იკითხა მეორემ.

– ნახე შენ, ვინა ყოფილან! – კბილების კრაჭუნით ამოიხრიალა კუკურიმ.

მათე და კოტე რუსთაველის პროსპექტზე ნელი ნაბიჯით მიდიოდნენ. კოტემ ამბის თხრობა დაიწყო: – მათე, შენ რომ დაჭერილი იყავ, ერთი ამბავი შემემთხვა და ახლანდელმა ამბავმა მიბიძგა, მომეყოლა.

– ხომ იცი, აეროპორტში ბევრი ნაცნობი მყავს, ერთმა დამავალა, ბილეთი მიშოვეო, მაშინ ბილეთის შოვნა ძალიან ჭირდა. წავედი აეროპორტში, მაგრამ ბილეთის ასაღებად ლოდინი დამჭირდა. ციოდა. შემოდგომა მოღალატე ცოლივით ჭირვეულობდა. ქარი მეწველი ძროხასავით ცურგამოტენილ ღრუბლებს აბეზარი ოფიცრის ბატალიონივით აჯირითებდა. ზოგ ქანცგამოლეულს მოშვებულ ჯიქნებიდან წვიმის წვეთები ეღვრებოდა. ნიავწანწალა ქუჩაში მოსიარულეთ სახეში უტყლაშუნებდა თავის სველ და არც თუ სასიამოვნო, ცივ, უხილავ ფრთებს. იყო მოშლილი ამინდი იმ ცხოვრებასავით, რომლის ჭანჭიკები კარგა ხანია მოშვებულიყო და ახლა სახელმწიფოს მთელი მანქანა ციებიანივით ძაგძაგებდა, ჯერ ადგილზე ხროტინებდა. შორს აღარ იყო დაშლის, დანაწილების და უკან, ქაოსისაკენ თავქარიანი დაქანების ხანა. იყო ადამიანში ნადირის გაღვიძების წინა პერიოდი, ყაჩაღობა, ძარცვა-რბევა, კაცის განუკითხავად კვლა, ოჯახების დარბევა-აწიოკება და ათასობით კეთილშობილი ადამიანის თავის სამშობლოდან ლტოლვილად ქცევა სტარტისთვის ემზადებოდა. აწმყოზე უკმაყოფილონი წარსულს ემდუროდნენ, დიდი იმედით ბნელში თვალდახუჭულნი მიდიოდნენ უცნობი მომავლისაკენ, რომელიც მალე თავისი სისხლიანი ხელებით შიმშილის, უბედურების და განუკითხაობის ტომარაში უკრავდა ყველას თავს.

თბილისის აეროპორტში უხასიათო შემოდგომის გადარეულ დღეს ფრენა შეეჩერებინა. ლოდინით დაღლილი მგზავრები დროს მთქნარებით ებრძოდნენ. ადგილობრივი რადიო ამა თუ იმ რეისის გადადებაზე არასასიამოვნო ცნობას ქამგამოშვებით აცხადებდა. იყო ლოდინი და იმედი ამინდის გამოკეთებისა.

აეროპორტის დარბაზის კარებთან საყელოაწეული ვიდექი.

– კოტე, რას გაჩერებულხარ, თვითმფრინავმა ხომ არ გაგასწრო? – მხარზე ხელი დამარტყეს.

შემოვბრუნდი. ორი ნაცნობი ღრეჭით მომჩერებოდა.

– წამოდი რესტორანში, ჩვენი თვითმფრინავი აგვიანებს, შენი კიდევ ჯერ არ გამოსულა ქარხნიდან, – მითხრეს.

– წავიდეთ, მაგრამ დალევა არ მინდა, დრო კი იქ უფრო მალე გადის.

– ჩვენც ეგრე ვფიქრობთ, – თქვა ორმა და სამნი რესტორნისკენ გავემართეთ.

რესტორანში შესასვლელი კარების მოპირდაპირე სკვერში ღედალი ძაღლი ჩაცუცქულიყო, ხუთი მამალი კი მის გარშემო სიყვარულის ქათინაურებად დნებოდა.

მე გავჩერდი, ძაღლებს დავაკვირდი.

– წამოდი, კოტე, მაგათზე ნუ წუხდები. თუმცა, მამალი ძაღლი ხუთია, ძალას მაინც არ იხმარენ; ძუ თავის გემოვნებით აირჩევს გულის სწორს. ადამიანები ხომ არ არიან, რომ ძალა იხმარონ და სადღეგრძელოსავით ჩამოირიგონ, – დამამშვიდეს.

ძუ ძაღლი ადგა, ერთს შეუღრინა, მეორეს საკბენად გაუქანდა, დანარჩენებსაც ავად დაუღრიჭა კბილები, სკვერიდან გზაზე გადავიდა და მეორე მხარეს

ნაძვნარში შევიდა. ხვადთა ესკორტი თავაზიანად და მოკრძალებით უკან გაჰყვა.

მე რესტორნის კარი შევაღე.

დარბაზში თვალსაჩინო ადგილას დავსხედით. თითო ბოთლი ღვინო და მცირე რამ სასუსნავი მოვითხოვეთ. დროს გასატარებლად არ მივსულვართ იქ, დარბაზს ვათვალიერებდით და ათას რამეზე ვსაუბრობდით.

დარბაზში დიდი ჯგუფი ხმაურით და როხროხით შემოვიდა. მაგიდები მიაცურ-მოაცურეს, სკამები მიადგეს და, როგორც იყო, დასხდნენ. მე ჩვიდმეტი დავითვალე – რვა მამაკაცი და ცხრა ქალი. ერთი ზედმეტია, მიკარნახა ინსტინქტმა. კარგად ეცვათ. ქალები საკმაოდ მოხდენილები და ზომაგადაცდენილად მოპრანჭულები იყვნენ, სიგარეტიც ლამაზად ეჭირათ პომადიანი ტუჩებით. რატომღაც ანეკდოტი გამახსენდა: ერთმა ცოლს სხვა მამაკაცთან წაასწრო და უსაყვედურა, შენ მალე პაპიროსის წევასაც დაიწყებო. გამეღიმა, ამათ უკვე დაეწყოთ.

თამადა აირჩიეს, ასე ორმოცდახუთი წლის, მაღალი, მუცელმოსწრებული, შეთხელებულთმიანი მამაკაცი. სახეზე რაიმეზე ზრუნვის არავითარი ნაოჭი არ ჰქონდა. განურჩევლობის ყოყოჩი ღიმილი უმარილო ხაშლამას მიუგავდა. ეტყობოდა, იმ ფენიდან იყო, ამ ცხოვრებაში დანერგილმა უკულმართობამ პარაზიტის სულხორცი რომ მიაჩუქა.

– კუკურის გაუმარჯოს! ითამადე, ძმაო, და გაგვატარებინე დრო, სანამ ჩვენი ძმა სოლომონი კიევიდან არ ჩამოფრინდება და ქალბატონ მიმოზას არ ამოუკოცნის ორი კვირის განშორებით ცრემლნადენ თვალებს, – კუკურის სადღეგრძელომ ყველა ბაგე ჩამოიარა და მჭევრმეტყველებით გამშრალი ყელი ღვინით დაალბო.

ქალბატონი მიმოზა კი სიგარეტს ეშხიანად ქაჩავდა და ფილტვებში ნამგზავრ ბოლს ფუნფუშა ტუჩებით მაღლა ნაზად აგზავნიდა.

– დაღნა ქალი ქმრის მოლოდინით. სოლომონამ კი, ალბათ, კიევში დედაკაცი არ გაუშვა; ასეთია ჩვენი ცოლების ხვედრი, – ერთმა მანდილოსანმა მოიჩივლა და თავის ქმარს, გვერდით რომ ეჯდა, თითი საყვედურით დაუქნია. მეუღლემაც შეიფერა და დიდი გმირობის ჩამდენი რაინდის მოკრძალებით თქვა:
– რას ვიზამთ.

მოქეიფენი კარგ ხასიათზე იყვნენ. ხმაურობამ და ოხუნჯობამ იმატა.

კუკური ფეხზე ადგა, მარჯვენა ხელი მაღლა ასწია, მორიგი სადღეგრძელოს სათქმელად სიტყვა მოითხოვა.

მზერა უნებლიეთ მის ხელის მტევანზე შემიჩერდა. მეუცხოვა ამხელა ხორცით სავსე მამაკაცისთვის ასეთი პატარა და უწვრთნელი ხელის მტევანი. „ალბათ, თითით იღლიაც არ გამოუფხანია“, – გავიფიქრე.

კუკური მორიგ სადღეგრძელოს აგვირისტებდა.

ჩვენ სამნი წყნარად ვისხედით. დაბალ ხმაზე საუბრით ვკლავდით დროს და სულ არ გვაწუხებდა, რა ეშველებოდა მიმოზას თვალებს მეუღლის კიევიდან არ დაბრუნების შემთხვევაში.

დარბაზში ორნი შემოვიდნენ: საშუალოზე მაღალი, – მოხდენილი ტანის უფროსი ლეიტენანტი და მისივე სიმაღლის ძეწნასავით მოქნილი, დამფრთხალი შველივით მშვენიერი, თაფლისფერთმიანი იდა თაფლივით დამატკბობელი ქალური სილამაზის მანდილოსანი. ჩვენს გვერდით მაგიდასთან დასხდნენ, ორას გრამ არაყს და მოკრძალებულ საუზმეს შეექცნენ.

აფორიაქდა ხმაურიანი თამადის სუფრა.

– ვახ, ბიჭო, რა ქალია, შენ გენაცვალე! – გულზე ხელი დაირტყა ერთმა და ოხვრა დააყოლა.

– მაგასთან ერთი ღამის გატარება თორმეტი თვის სიცოცხლეს მომიმატებდა, – ამოიგმინა სხვამ და ცოლის საყვედური მიიღო; – კი, მაგრამ, ჩემს ხელში სიცოცხლე გაკლდება? ნეტა მე რით მჯობია?!

– „კაცის გული ისეთია, ვით მორევი შავი ზღვისა“, – ქმარმა პოეტი მოიშველია სხვისი ცოლისკენ ლტოლვის აუცილებლობაში.

– თქვენც ხომ გყავთ ცოლი და ის დანარჩენებისთვის სხვისი ცოლია, – შეახსენა ერთმა მანდილოსანმა და ნაზი თითებით სიგარეტი ტუჩებთან მოხდენილად მიიტანა.

ქალები ახარხარდნენ. თავიანთი ცოლების ერთგულებაში დარწმუნებული მამაკაცები მამალი ინდაურებივით როხროხებდნენ ჩამოშვებული ფრთებით ფუჭად რომ ფხაჭნიან მიწას.

კუკური თამადამ თავისი ცნობილი ხელი მაღლა ასწია და საზეიმოდ გამოაცხადა: – მე შემიძლია მაგ ყეყეჩ ოფიცერს ეგ ქალი ფუკასავით ავაცალო; ვისაც არ სჯერა, დამენიძლაოს. იცოდეთ, ამგვარ საქმეში ჯერ არ გავწბილებულვარ.

– ვარიანტი არ არის. თუ ოფიცერს დენშჩიკად დაუდგები, შეიძლება წლის ბოლოს ქალმა ფეხების ნაბანი წყლის გადაღვრის უფლება მოგცეს, – ერთხმად უპასუხეს და ახარხარდნენ.

კუკური გაბრაზდა და ყველას დაუდო სანაძლეო მაგარ პურმარილზე. კედლის საათმა გონგივით დარეკა და ქალების მუსუსი საასპარეზოდ მიიწვია.

მიმტანმა ცნობილ წყვილს ექვსი ბოთლი კონიაკი, შოკოლადი, ხილი და ორი ბოთლი შამპანური მიუტანა.

– ეს გამოგიგზავნეს თქვენმა მოკეთეებმა, – თქვა და გაოგნებული წყვილი იდუმალ ძღვენს შეატოვა.

– ვის უნდა გამოეგზავნა? – დარბაზს თვალი მოავლეს, – არავის არ ვიცნობთ, პირდაპირ გასაკვირია! – მიუხედავად გაურკვევლობისა, ძღვენი მიიღეს და ერთი კონიაკის ბოთლი გახსნეს.

კუკური სკამიდან ადგა, მხრები შეათამაშა, ჰალსტუხი შეისწორა, პიჯაკი ჩამოიბერტყა, სამივე ღილზე შეიკრა და ტანის რხევით უცნობი წყვილის მაგიდასთან მივიდა.

– უკაცრავად, მე კუკური გახლავართ მაძღარაშვილი, თადარიგის მაიორი. სულით სამხედრო ვარ და ყველა ნამდვილ სამხედრო სამსახურში მყოფი მიყვარს. მაპატიეთ და ამიტომ შეგბედეთ ესოდენ მცირე ძღვენის მორთმევა, – ძარღვიანი ქართული აქცენტით ჩაარუსულა.

მადლიერად გაუღიმეს და სუფრასთან მიიწვიეს. კუკურიმაც პირველი სადღეგრძელოთი ეს მშვენიერი წყვილი ადღეგრძელა და ქათინაურებად დაიშალა.

ოთხი ბოთლი კონიაკი დალიეს. კუკური მასპინძელს სმაში აშკარად ღალატობდა. მრავალი ანეკდოტის და ტრადიციის მოშველიებით დალეული კონიაკიდან მას ორასი გრამიც არ შეხვედრია. მეხუთე ბოთლი გახსნეს და დარბაზში საცეკვაო მუსიკა აჟღერდა. კუკურიმ ბახუსის კლანჭებში გაბლანდულ ოფიცერს ნებართვა სთხოვა და მანდილოსანი საცეკვაოდ მიიწვია. მარჯვენა ხელი წელს ქვევით დაადო, მარცხენა – კი ბეჭებზე და ქალის აფუებული ჯიქნები მკერდზე შეიზილა.

ოფიცერმა ჭიქა შეავსო, რაღაც წაიბურტყუნა, ერთი აქნევით ხახაში ჩაისხა,

რაღაცაზე განურჩევლობის ნიშნად ხელი ჩაიქნია და თავი მაგიდაზე დაუვარდა.

კუკურიმ ქალს ყურის ძირში მოკლემეტრაჟიანი კოცნა დააწება და მარჯვენა ხელი იმ ნაკვთზე ჩააცურა, რომლითაც დიაცი ცოტა ხნის წინათ სკამზე იჯდა.

– ნახე, კაცო, რა ოსტატურად წააბა! – შურით სავსე თანამეინახეებს თვალები გაუფართოვდათ და გარღვევაზე გასულ თავდამხსმელის ბოლო დარტყმის მომლოდინე გულშემატკივრებივით დაიძაბნენ.

კუკურიმ მანდილოსანი ქმრის მაგიდასთან მიიყვანა. ოფიცრის თავი ჩაქაფულით სავსე მათლაფაში შეტოკდა და ნიკაპიდან ყურის ძირამდე წვენში დაღრმავდა.

ქალს რაღაც უჩურჩულა. მანაც ეშმაკურად გაუღიმა და ორივემ მიატოვეს ჩაქაფულში ჩაძირული ოფიცრის თავი. დარბაზიდან გავიდნენ. გულშემატკივრების მაგიდასთან კი ჩურჩული, სიცილი, საყვედურები და შურიან მამაკაცთა ოხვრა დატოვეს.

ცნობისმოყვარეობის ჭია მომეძალა და მოსვენება დამიკარგა.

– ნეტავ სად წაიყვანა? – ვთქვი.

– მამაკაცთა ტუალეტში, ან შეიძლება ქალებისაშიც, გასაკვირი არაფერია, – ორმა აზრი გამოთქვა.

იმ ჭიამ ფეხზე წამომახტუნა.

– ცოტა ხანს გარეთ უნდა გავიდე, – ვთქვი და სკამი უკან მივაცურე.

– ნუ სწუხარ, კოტე, არა მგონია, კუკურას შენი დახმარება დასჭირდეს. არადა, შეიძლება სულაც გარეთ დასეირნობენ. ძაღლები ხომ არა ვართ, ერთ ძუკნას ხუთი ხვადი აედევნოს, – შეეშვი, – მირჩიეს.

– მალე მოვალ, – მათქმევინა ჭიამ და დარბაზიდან გამიყვანა.

ყველა საეჭვო ადგილი მოვინახულე და ხელმოცარული გარეთ გაველი. სასტუმროში წაიყვანდა, მიკარნახა ჭიამ და მაშინვე იქით მიბიძგა. სასტუმროს მორიგეს კარგად ვიცნობდი, მისალმებისთანავე ვკითხე: – რომელ ნომერში შევიდნენ ახლად მოსული კაცი და ქალი?

– არავინ მოსულა, – მიპასუხა.

– რას მიმალავ! – ვიწყინე.

– აი, ყველა ნომრის გასაღები აქა მაქვს. დააგდონ თუმნიანი და ვინ მამაძაღლი, ნომერში არ გაუშვებს სიყვარულით ანთებულ წყვილს.

– ლუქსის გასაღები მომეცი, – მორიგეს არ ვენდე, გასაღები გამოვართვი და გასაღები შიგნიდან გავუკეთე; არ დამიკეტია, ჩემს აბეზარ თანამოსუფრეებზე ვეჭვობდი, კარი გარედან არ გადაეკეტათ.

ოთახები მოვიარე, ვერავინ ვნახე. ხოხობდაკარგული მწევარივით გაწბილებული შუა ოთახში გავჩერდი. შემოსასვლელი კარი გაიღო და მშვენიერი, სხეულსავსე, ჩემზე მაღალი, ეშხიანი მანდილოსანი შემოვიდა, კარი მიხურა და შიგნიდან გადაკეტა. სხეულში უსიამოვნო გრძნობამ დამიარა. ქურდი ხომ არ ვგონივარ, გავიფიქრე.

ქალი მომიახლოვდა, მარჯვენა ხელით ჩემი პერანგი ჩაბღუჯა და თავისკენ მიმიზიდა. საბოლოოდ წავხდი.

– ქალბატონო, შემთხვევით შემოველი, მეგონა, აქ არავინ ცხოვრობდა, არაფერი გამიფუჭებია, ახლავე წავალ, – სახეზე დამნაშავე ბავშვის დაბნეულობა ვაბარტყე.

– მოდი აქ, ახლა შენ ჩემთან უნდა იცხოვრო! – ქალმა მარცხენა ხელით კაბა აიწია და მშვენიერი ფეხების ბროლივით ზედა ნაწილი გამოაჩინა.

მუხლები ისე მომეკვეთა, თითქოს ეშაფოტზე ასასვლელად მიბიძგესო.

ქალმა იგრძნო ჩემი წახდენა და თვითონ დამიწყო შარვლისა და ღილების გახსნა.

– როგორ გეკადრებათ, ქალბატონო! – ამოვილუღლუღე.

– მეკადრება! – ბრძანების კილოთი თქვა და დივანისკენ წამათრია.

დამიმორჩილა. დამფრთხალს და დაბნეულს მომეხმარა და შეხვედრის პირველი ნახევარი თავის სასარგებლოდ დაამთავრა.

პირველმა დაბნეულობამ გამიარა მოწინააღმდეგის მოედანზე მოთამაშე გუნდივით. გამბედაობა მოვიკრიფე და შეხვედრის მეორე ნახევარში აღვიდგინე მამაკაცის სიამაყე. ახლა ქანცგაწყვეტილები და მოთენთილები ტანისამოსს ვისწორებდით.

– რა გქვიათ, ქალბატონო? – ვკითხე. შეიძლება ეს შეკითხვა შემდგომი შეხვედრის სურვილმაც მიკარნახა.

– ვენერა, – მიპასუხა.

– აფროდიტა, – დავაზუსტე მე.

– არც მე ვარ აფროდიტა და ვერც შენ დაიკვეხნი ჰერმესობას, დღეიდან კი ჩემი ქმარი ქორბუდას რქების კავალერია. ამ შეხვედრისათვის ბედნიერ მომენტს მოუხადე მადლობა. გისურვებ, ლოგინიდან ყოველთვის ასე მარჯვენა ფეხზე ამდგარიყავ, – ქალი გარეთ გავიდა და გაოგნებული ოთახის შუაგულს შემატოვა...

– ბიჭო, რა ნაფუტკნი მოხვედი, კუკურიმ ის ქალი შენ ხომ არ გადმოგილოცა? – გამეხუმრენ მაგიდასთან დამხვდურნი.

მე იმ მაგიდას გავხედე, ოფიცრის თავს ბატკნის ჩაქაფულში რომ ეძინა.

– არ დაბრუნებულან? – ვიკითხე.

– არა მგონია, იმ ვნებააშლილ ძუკნას ეგრე იოლად დაუძვრეს კუკურასნაირი ხვადი, – მიპასუხეს.

ჭიქაში ღვინო დავასხი და სადღეგრძელოს უთქმელად დავლიე.

დარბაზში ქალი შემოვიდა, ვიცანი.

– ნუ ღელავ, ქალბატონო ვენერა, კუკური ისეთი ბიჭი არ არის, თავი წააგოს, – დაამშვიდეს ძმაკაცებმა.

– კუკურიმ თავი უკვე წააგო, – აუღელვებლად თქვა ვენერამ და მეზობელ ქალს სიგარეტი სთხოვა. პირველსავე ნაფაზზე ხველება აუტყდა.

– არა უშავს, პირველად ასე იცის, – ანუგეშა გამოცდილმა ქალმა.

თურმე ვინ ყოფილა, გავიფიქრე, პაპიროსის წევაც ახლა დაიწყო. ეწეოდა ვენერა სიგარეტს და სახეზე იმ ადამიანის ღიმილი უთამაშებდა, დამცირებისთვის სამაგიერო რომ მიუზღა.

კარგა ხანი გავიდა. ოფიცერმა გაიღვიძა. დარბაზს არაფრის მთქმელი მზერა მოავლო, მერე სავსე ჭიქა აიღო და ერთი აქნევით ამოაშრო.

როგორც იყო, კუკური გამოჩნდა საცმელმოჭმუჭნული მანდილოსნით.

– თივის ზვინში ხომ არ იწვნენ? – ვიღაცამ იხუმრა.

კუკურიმ დიაცი თავის ქმარს შეატოვა და ორივეს თავაზიანად გამოემშვიდობა.

მაგიდასთან ხმაურით შეხვდნენ მოგებული სანაძლეოს რაინდს.

– ასეთი რა იყო, ინდოეთის კინოს ხომ არ აყურებინე? – გაეხუმრნენ.

– ასე ვიცით ჩვენ. მიყვარს სხვის ბაღში აკრძალული ხილის მოკრეფა. რა ვქნა. ბედნიერ ვარსკვლავზე ვარ დაბადებული! – დაიტრაბახა კუკურიმ.

– შენს ბაღს მიხედე, უცხოთა საძრომიალო არ გაგიხდეს და უბაღბოსტნოდ

არ დარჩე, – ირონიულად უთხრა ვენერამ და სიგარეტი გამომწვევად მოქაჩა.

ქალი მხარში შეუდგა და მოჩვარული ოფიცერი ბანცალ-ბანცალით დარბაზიდან ძლივს გაიყვანა.

კუკური ფეხზე ადგა გამარჯვებული კაცის სადღეგრძელოს სათქმელად. ვენერამ გამარჯვებული ქალის, დამცინავი ღიმილით შეხედა. ხარირემივით იდგა თამადა და სხვისი ცოლების დასაქამანდებელ ილეთებზე ყვებოდა. მის თავზე ფართოდ ტოტებგაშლილ რქებს მარტო ვენერა და მე ვხედავდით.

– გაიმარჯვე ძმაო, სანაძლეო სუფთად მოიგე, – თქვა ყველამ ერთად.

– კუკურის გაუმარჯოს! – ფეხზე წამოდგნენ და ჭიქების ჭახაჭუხით გამარჯვება მიულოცეს.

– „რამხელა ენერგიის დახარჯვა მოუწია კუკურის იმ ქალის მოსაპოვებლად და ჩემთვის ვენერას გადმოსალოცად. ორივესთვის იზრუნა, არ ვემდური", – გავიფიქრე და ხმამაღლა დავაყოლე: – გაუმარჯოს კუკური მაძღარაშვილს! – ჭიქა ტუჩებთან მივიტანე და ვენერას კოცნასავით ნელ-ნელა გამოვცალე.

მათე ცოტა ხანს მდუმარედ მიდიოდა, მერე უცებ სიცილი აუტყდა: – ერთი ანეკდოტი გამახსენდა, ცოლ-ქმარი ბავშვის დაბადების დღის გადასახდელად ემზადებოდა. ცოლი ბაზარში წავიდა, იქიდან რომ დაბრუნდა, ბავშვი მოუყვა: – დედა, შენ წასული იყავ, მამამ მეზობელი კატუშა შემოიყვანა, საწოლზე დააწვინა და... ქალმა სიტყვა აღარ გააგრძელებინა, საღამოზე სტუმრები რომ მოვლენ მაშინ მოყევი ეგ ამბავი. ჰოდა, სტუმრებთან დედამ მოსთხოვა ამბის მოყოლა და ბავშვმაც გააგრძელა: – მამამ კატუშა საწოლზე დააწვინა და კურორტზე შენ მიშა ძია რომ გიშვრებოდა, ისე უქნაო... კუკური რომ გეხვეწებოდა, მოყევიო, „მიშა ძიას" ოინები რომ მოგეყოლა, ხომ იქნებოდა იმ ბავშვის დაბადების დღესავით მხიარული მოსასმენი, – მათეს ისევ აუტყდა სიცილი, კოტეც აჰყვა და ნანახი სპექტაკლით გაფუჭებული განწყობილება გამოუკეთდათ.

## ურჩიე, მამაო, ნუ წავა

**ომარი,** კოტე და მათე ზაქროს სანახავად რამდენიმეჯერ იყვნენ. კოტე ყოველ მოსვლაზე ხვდებოდა თინას. ბევრს საუბრობდნენ, ოხუნჯობდნენ. ახლა უკვე გოგოსაც მოსდებოდა ამურის ცეცხლი და მოუთმენლად ელოდა ზაქროს მოსანახულებლად მათ მოსვლას.

წინა დღეს ნოდარი და ვახოც ყოფილიყვნენ და ეშმაკასთან შეხვედრის ქინშეყრილი ზაქრო აფხაზეთში წასვლაზე დაეთანხმებინათ.

ზაქრო უკვე მთლად გამოჯანმრთელებულიყო. გაშლილ სუფრასთან ისხდნენ და მხიარულად საუბრობდნენ. რამდენიმე ჭიქა ჰქონდათ დალეული, ზოსიმე მოძღვარიც გამოჩნდა, ოთახში შევიდა და საყვედურით თქვა: – რადგან ღვინო საკმარისი გაქვთ და მე არ გჭირდებით, რომ წყალი ღვინოდ ვაქციო, იმიტომ არ მეპატიჟებით, არა?!

– მამა ზოსიმეს სიცოცხლე და მრევლის სიმრავლე! – ზაქრო ფეხზე წამოდგა და მოძღვარს გადაეხვია.

– ვითომ წყლის ღვინოდ გადაქცევა შეგიძლია? – ირონიულად იკითხა ომარმა.

– რომ არ შემიძლია, იმიტომ არ მეპატიჟებით, არა? – მაიცათ, მეც მექნება ღვინო.

– შენ იმ ქუთაისელივით გვეუბნები, თავის ძმაკაცებს რომ უსაყვედურა, რატომ არ მირეკავთ, ტელეფონი რომ არ მაქვს იმიტომ არა? მაიცათ, მეც

მექნებაო ტელეფონი, – შეახსენა კოტემ.

– მე აქ ქარაგმული შედარებისთვის არ მცალია, მთელი დღე მშიერი დავწანწალებ. ჩადგმით რომ დაგიხვავებიათ ხაშლამა, რომელი ინახამთ მარხვას, მიპასუხეთ! – ზოსიმე მაგიდასთან დაჯდა და ხაშლამის ძვლიანი ნაჭერი აიღო.

– თუ საჭმელი გვაქვს, ვერ ვინახავთ, მაცივარიც არ მუშაობს, ისევ შეჭმას ვამჯობინებთ, – მიიღო პასუხი.

– მარხვას თუ ფარისევლურად მოჩვენებისთვის ინახამ, დიდი ცოდვაა. მე ათეიზმის მომსწრეც ვარ და დღევანდელი უფლის ცრუ რწმენისაც. ამიტომ ვამბობ: მოჩვენებით, ურწმუნო მლოცველებს მკაცრად მოეკითხებათ. ახლა ცოტა ხანს მაცალეთ, – თქვა მოძღვარმა და ჭამას შეუდგა.

– რად გიკვირს, მამაო, კომუნისტების დროს პარტიაში შემძვრალი ურწმუნონი კომუნისტობას ძარცვა-რბევის, მოხვეჭა-მექრთამეობისთვის იყენებდნენ და დაღუპეს კიდეც. დღეს იგინივე და მათი მსგავსი მრავალი უფლის რწმენის საფარით გვარიანად არცხვენენ ჭეშმარიტ მართლმადიდებლობას და არავინ არ იცის, რამდენად აზარალებენ მას, – საუბარში ჩაერთო მათე.

– ქრისტე ღმერთი მთელი კაცობრიობის ცოდვების მოსანანიებლად ეწამა. ამიტომ უფლის ათი მცნების პრინციპზე უნდა ვიცხოვროთ-მეთქი, ვქადაგებ. ეს ისკარიოტელები კი მისმენენ, პირჯვარსაც იწერენ, მაგრამ ყველაფერს საწინააღმდეგოდ აკეთებენ. მიკვირს, ამდენი ურწმუნო და თვალთმაქცი როგორ შემოყარა ეკლესიაში სატანამ, – მოიჩივლა მოძღვარმა.

– დღეს ასე რომ მომრავლდნენ ცისფერებად წოდებული პედერასტები, თანაც, როგორც ამბობენ, ზოგიერთი წმინდა ეკლესიის მსახურიც მისდევს ამ სიბინძურეს, როგორ იცი, სოდომის და გომორის რისხვა ხომ არ გვიახლოვდება?

– ქართველი ერი ზნეობრივმა სისპეტაკემ იხსნა ისტორიის ქარტეხილებში დაღუპვისგან. დღეს განსაკუთრებით მძლავრობს სატანა. ჩვენში განხეთქილება, სიძულვილი, გაუტანლობა, მოხვეჭის და ქონების დაგროვებისთვის ყველაფრის კადრება; ზნეობრივი სიმდაბლე, სულიერი გახრწნილობა, ღალატი და ერის ინტერესების პირადი კარიერის მოსაპირკეთებლად გამოყენებამ იმძლავრა. ერი საშინელ, ფიზიკურ, სულიერ და მორალურ დაკნინებას განიცდის, მაგრამ არსებობს იმედი გადარჩენისა. საქმე იმაშია, რომ ყოველივე ჩამოთვლილი სიბინძურის მტვირთველი მმართველი ზედა ფენაა, რომელთა ჩამოცილების შემთხვევაში ხალხი, ერი, ქვეყანა აბანოდან გამოსულ სუფთა, ჯანსაღ სულიერს დაემსგავსება. აი, რა გვჭირდება ჩვენ.

– აბანო?

– აბანო და მექისე, ჭუჭყი და სიბინძურე კარგად რომ ჩამოხეხოს.

– მოკლედ, კაცი გვჭირდება მართალი და პატიოსანი, ქვეყანას ამ უბედურების ორომტრიალიდან რომ გამოიყვანს.

– თუ ყველა ერთად დავირაზმებით ღალატის და უზნეობის წინააღმდეგ, უფალიც, ჩვენთვის აღარ დაიშურებს მხსნელს. მოკლედ, ჩვენს უნარიანობაზეა დამოკიდებული ჩვენივე მომავალი, – მამა ზოსიმემ ღვინის ჭიქა აიღო ხელში.

– ზაქრო აფხაზეთში წასასვლელადაა გამზადებული, მამაო ზოსიმე, დაულოცე გზა, – კოტემ დაასწრო, სანამ მოძღვარი რამეს იტყოდა.

– სატანამ საქართველოს კუთხეები ერთმანეთს გადაჰკიდა, აფხაზეთში მიდისო საომრად, თითქოს თემურ-ლენგის წინააღმდეგ მიდიოდეს. ტვინმოწამლულებს ერთმანეთთან საერთო ენა ვერ გამოგვინახია. რამ გაყო აფხაზი და ქართველი; რატომ შეიცვალა სიყვარული სიძულვილით?! – ზოსიმე მოძღვარმა

ჭიქა დადგა. – ძმათამკვლელ ომში წასვლა როგორ დავლოცო, როცა ერთის და მეორის სიკვდილი ერთნაირი ტკივილია! თბილისის ომიდან დაიწყეს ქართველებმა ერთმანეთის ჟლეტა. ამას ახლა კრიმინალებმა დემონსტრაციების დახვრეტა მოაყოლეს, მერე სამეგრელოში საშინელი ძალადობის ზეიმი, გადახვეწილი ქართველების მოსპობის მიზნით აფხაზეთში ომით და უბედურებით შეგრიალება... შენდობა, შერიგება, ძმობა და სიყვარული უფლისმიერი ნათელი ტვინის პროდუქტია. ომი და სიძულვილი კი სატანის კარნახით ხდება. ყოველგვარმა ანტიქართულმა იმძლავრა და იმიტომაც, გვაწყვეტინებს ერთმანეთს. ვაი ჩვენი ცოდვა! – ზოსიმე მოძღვარმა ხელი მუხლზე დაირტყა. – როცა კაცის დაღუპვა გინდა, მოყვარე უნდა შეაძულო და მტრად მოაჩვენო, ტვინი უკუღმა შეუბრუნო, მერე გვერდზე მიდექ, იხარხარე უკუღმართი ტვინის ბითურობაზე.

განა ასეთი ზღვარგადასული ანტირუსული ფსიქოზი სატანის ხარხარი არ არის?! გადახედეთ საქართველოს ისტორიას: პირველად ბაგრატ მესამის დროს გავერთიანდით; მეორედ – დავით აღმაშენებელმა გააერთიანა ქართველობა და აიყვანა ძლიერებისა და აყვავების არნახულ სიმაღლეზე; მერე გიორგი ბრწყინვალემ ცოტა ხნით შეძლო დარღვეული ერთიანობის აღდგენა. ამის შემდეგ მხოლოდ დაშლა, დაქუცმაცება, ურთიერთ შური, მტრობა, ღალატი და შედეგად ქართველთა ერის დადნობა, დაჩაჩანაკება და ორი დიდი მტაცებლის ყბაში გარდაუვალი მოსპობის საზარელი სინამდვილე. რა ცოდვაც გინდა დააბრალო რუსეთს, იმას სად გაექცევი, რომ გადაგვარჩინა, გაგვაერთიანა და დაკარგული მიწები შემოგვიერთა: ახალციხე, ახალქალაქი, შავშეთი, კლარჯეთი, იმერხევი, კოლა, არტაანი, ოლთისი, აჭარა, მთელი შავიზღვისპირეთი; რაც კიდევ განსაკუთრებით აღსანიშნავია, რუსეთი მართლმადიდებლური ქვეყანაა, სადაც ბიძაშვილმამიდაშვილობა უწმინდესია და დასავლეთის ხალხებივით ერთმანეთს ძუკნა ძაღლებივით არ დარევიან, როგორც ამას სერიალებით და უზნეობის პროპაგანდით გვახვევენ თავს. ერთი კი ღრმად მჯერა, დღეს ასე რომ დაგვხევიან შესაჭმელად, ბოლოს ისევ რუსეთი გვიხსნის ისე, როგორც ერეკლეს დროს გადაგვარჩინა.

– შავშეთი, კლარჯეთი, კოლა, არტაანი, იმერხევი, ოლთისი რაღა იქნა? – ჰკითხა კოტემ.

– ურუსეთოდ, ჟორდანიას დამოუკიდებლობის დროს დიდმა მტაცებელმა, ახლა რომ ეხუტებიან, როგორც გამძღარ მგელს ბატკანი, ისე წაგვგლიჯა და გადაყლაპა, რომ იქ ქართული ყველაფერი ამოძირკვა; მორჩა, იმას ვეღარავინ დაგვიბრუნებს! ფრთხილად, შვილებო! ამ ოინბაზობით საქართველო ისევ მტაცებლების ხახაში არ შეაბრუნოთ! – ზოსიმე მოძღვარმა პირჯვარი გადაიწერა.

– მე აფხაზებთან საომრად კი არა, არაკაცობასთან და ბოროტებასთან ანგარიშგასასწორებლად მივდივარ. მინდა ჩემი წილი აფხაზთა და ქართველთა სიყვარული თესლად ჩავდო იმ ღვარძლის ზღვაში მტრობა რომ ჰქვია, იქ რამდენი ჩემისთანა იქნება. ბოროტების მარგვლაა საჭირო, ამისათვის კი ხალხი უნდა გამოფხიზლდეს, – განაცხადა ზაქრომ.

– იმედი გაქვს, რომ აფხაზებს და ქართველებს შეარიგებ? – ჰკითხა კოტემ.

– მე ღვარძლის სათავეზე ვამბობ, რამაც ეს საშინელება აბარტყა. თუ ქართველებმა და აფხაზებმაც ნათლად დაინახეს, ვის სჭირდება ეს უბედურება, მაშინ სადავოც აღარაფერი იქნება. ამას კი დრო და, ალბათ, დაღვრილი სისხლის სიმწარე სჭირდება. ბევრი აფხაზი და ოსი მეგობარი მყავს, მათ ქართველებში ვერც ვარჩევდი, ოსებთან გაუგებრობა რომ დაიწყო, ვერაფრით ვერ მივხვდი, აქამდე განუყრელ მეგობრებს რა მტრობის ბაცილა შეუჯდათ. შევარ-

დნაძე რომ ჩამოვიდა და ოსებთან დავა შეწყვიტა, სიკეთის ბილიკზე შევდექით მეგონა. თურმე გულში თავად ქართველთა დარბევა ჰქონია, მერე როგორი სისასტიკით. სამეგრელოს დარბევით ყველა კოშმარული წარსული გააფერმკრთალა და ახლა კი აფხაზეთში დაიწყო... რისთვის? თავს ვიმტვრევ და მგონი თანდათან ვრწმუნდები, ვის სჭირდება ეს.

– მაინც რა დასკვნამდე მიდიხარ, ვის სჭირდება? – ირონიულად ჰკითხა კოტემ.

– ერთ ამბავს მოგიყვებით და დასკვნა თქვენ თვითონ გააკეთეთ: საქართველოდან ციტრუსის გატანა რომ აკრძალა ედუარდ ამბროსევიჩმა, მოგეხსენებათ, როგორი ზარალი განიცადა პროდუქციის მწარმოებელმა ნამდვილმა მშრომელმა. სამაგიეროდ ყველა ჩალიჩმაისტერი გასუქდა და მაგარი ფულის გაკეთება დაიწყო. მაშინ მეც ჩემი მანქანით ციტრუსების გატანას ვემსახურებოდი. ძალიან სარფიანი იყო, კარგად გვიხდიდნენ, ჩარჩ-ვაჭრები კი სოფლებში ჩალის ფასად ამზადებდნენ ციტრუსებს, მერე დიდ პარტიებად ათობით ტრაილერს გაძეძგავდნენ, გზაზე თვითონ ორგანოს მუშაკები გვაცილებდნენ. გაგრაში შეგვაგროვებინებდნენ. ღამე უცებ მოვიდოდა სიგნალი და ეს ამხელა კოლონა რუსეთისკენ დაიძრებოდა. თითო ტრაილერის გატარებაზე ძალიან მაღალი „სტავკა" იყო.

გაგრაში ვიყავი და სიგნალს ველოდებოდი. კოლონა ერთ ჩემ მეგობარს, სოხუმის „დინამოს" ყოფილ ფეხბურთელს გაჰყავდა, თავისი ათი მანქანაც ჰქონდა; მეც იმათთან ჩავერთე.

რესტორანში ვქეიფობდით ორ ინსპექტორთან ერთად, მთავარი გამტარებლები იყვნენ. ფულს რომ აგროვებდნენ, თურმე იქვე პოსტთან სამალავში ინახავდნენ. ბოლო დროს შენიშნეს, რომ ფულიც აკლდებოდათ: ერთმანეთზე ჰქონდათ ეჭვი. ახლა ქეიფის დროსაც ამაზე დავობდნენ. ერთი მათი თანამშრომელი შემოვიდა და ვიღაც ბიჭი კინწისკვრით შემოიყვანა. ჩვენს მაგიდასთან დასხდნენ.

– აი, ვინ გვპარავდა თურმე ფულს! – მილიციელმა ბიჭს ჩაუთაქა.

– იქ ბევრი ფული იყო ხოლმე, მე კი ცოტას ვიღებდი, – თავი იმართლა ბიჭმა.

– სულ სამი მილიონი გაქვს წაღებული, იცოდე, კლდესთნ მიგაყენებ და მიგახვრეტავ, – დაემუქრა მილიციელი.

– ისევ მაქვს, ნუ მომკლავთ, სულც რაღაც სამოცი ათასი დამეხარჯა, – ბიჭი ატირდა.

– თუ ფულს მთლიანად ჩაგვაბარებ, არც ის სამოცი ათასი გვინდა და ორმოც ათასსაც გაჩუქებთ, – მილიციელები მოლბნენ.

– ახლავე მოგიტანთ! – ბიჭი სიხარულით ცას ეწია.

სამივემ ბიჭი წაიყვანეს და გახარებულები გამოგვემშვიდობნენ.

მაგიდასთან მე და ჩემი სოხუმელი ძმაკაცი დავრჩით. მე მოვიჩივლე: – რა აზრი აქვს ციტრუსების გატანის აკრძალვას, როცა მაინც გადის; ამით მარტო ხალხი ზარალდება-მეთქი.

– რას ამბობ, ზაქრო, ღმერთს სულ იმას ვთხოვ, ეს აკრძალვა არ გააუქმონ. იმდენი ფული ვიშოვნე, სად შევინახო არ ვიცი. მილიციასაც თვითონ კარგად რჩება, მაგრამ ძირითადში ზევით აგზავნიან მაყუთს. ედუარდს მოსკოველი ხელმძღვანელობის მოსაქრთამად დიდი ფული სჭირდება. აკრძალვა რომ არ ყოფილიყო, ხომ ფულსაც ვერ გააკეთებდნენ. ჰოდა, სანამ შევარდნაძე იქნება, ამას არავინ გააუქმებს. ზევიდანაც იმიტომ არაფერს ეუბნებიან, რომ ყველა წილშია, ძმაო.

გაკვირვებისგან თვალები გადმოვკარკლე. ბოლოს ის სამი ინსპექტორი გა-

ხარებული შემოგვიერთდა. ბიჭს ფული დაებრუნებინა. როგორც სანდო პირებს, ჩვენ ყველაფერი გაგვიმხილეს. ალბათ, ამაში ღვინოსაც უნდა ვუმადლოდე: თურმე ფულის სამალავს ის ბიჭი შეეჩვია. უჩუმრა მიიპარებოდა. სულ კი არ მიჰქონდა, ძალიან ცოტას იღებდა, ბოლოს ერთმა ეჭვი აიღო, დაუყარაულა და ბიჭი ფაქტზე დაიჭირა. მას შეპირებული ორმოცი ათასიც მისცეს და დააფიცეს, რომ არსად არ იტყოდა.

ყველაზე დიდი ზიანი კი ქართველთა ავტორიტეტს და პრესტიჟს მიაყენეს. ქართველები სპეკულანტებად, გადამყიდველებად და უსაქმურებად მონათლეს. ბაზრებში დასდევდნენ და ვინც ციტრუსებს ყიდდა, მუქთახორა ქართველებად ნათლავდნენ.

მოსკოვში მორიგი ტვირთის ჩატანის შემდეგ იმ ჩემ სოხუმელ ძმაკაცთან ერთად რესტორანში ვქეიფობდი. მას იქაურ დიდკაცობასთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა. სუფრაზე მოსკოვის პროფკავშირების ერთი თავკაცი გვესწრებოდა. გაკვირვებული გვიყვებოდა საქართველოს ხელისუფლების მოქმედებაზე. აქედან აგზავნიდნენ მილიციის, კომკავშირის, საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლებს, მოსკოვის პროფკავშირებიდან კიდევ გამოჰყოფდნენ ერთ კაცს და სამეული „ტროიკა“ იწყებდა ბაზრებში ნადირობას. ჩვენს მიერ გამოვლინებული საქართველოს მოქალაქეთაგან ქართველი ერთი პროცენტიც არ იყოო, საქართველოს პასპორტით ყველა არაქართველი ქართველ სპეკულანტად ინათლებაო. ეს „ტროიკები“ რუსეთის ყველა ქალაქში მუშაობდნენ. ედუარდ ამბროსევიჩი კი ამაყობდა ქართველთა გატალახებით და მუქთახორობის დაბრალებით. მაშინდელი პოლიტბიურო კი განსაკუთრებით ანებივრებდა თავისი ერის მაგინებელ კარიერისტს.

რა ვქნათ, ძმებო, ძალიან კმაყოფილები ვართ, მაგრამ ეს ფული სულ ჩვენი როდია. ყველაზე სანდო ბიჭებს გვაქვს დავალებული. ზუსტად იციან, რამდენი მანქანა გადის და ფულს ბანკის სიზუსტით ითხოვენ. ვითომ საქართველოს სასიკეთო ღონისძიება ზევით დიდ საქმეს, მოსკოველ დიდკაცთა მოქრთამვას ემსახურება. ხალხმა კი არაფერი არ უნდა იცოდეს. ხალხი ცხვარია და მორჩილებით უნდა მიჰყვებოდეს ეშმაკობით ჭკუადამძიმებულ კაცს, – გულახდილად გვითხრა ინსპექტორმა. მალე სიგნალიც მოვიდა და ჩვენც დავიძარით. აფხაზეთში კი ეს ყველაფერი ჩანდა და იმიტომაც განაწყენდნენ, საქართველოში არ გვინდაო. აი, უნდობლობის თესლიდან როგორი მცენარე გაიზარდა და რა ნაყოფიც დაისხა, დღეს სწორედ იმას ვიმკით, – სინანულით თქვა ზაქრომ თავისი სათქმელი.

– რაც მაშინ იმ ღონისძიებაში იყო ჩადებული, ამდენი ხნის შემდეგ ცოტამ თუ იცის. რაც დღეს აფხაზეთში ხდება, წელთა სიმრავლე იქნება საჭირო გაირკვეს, რა აქვს ჩაფიქრებული უკუღმართობით ჭკუადამძიმებულ კაცს, – დაასკვნა მათემ.

– არა, ამას წლები არ დასჭირდება თუ ყველა ერთად ჭეშმარიტი სარწმუნოებისკენ შემოვბრუნდებით. მაშინ უფალი გაგვიხსნის გონებას და ნიღბის იქით დაგვანახებს ეშმაკის ჩლიქებიან არამზადას, – თქვა ზოსიმე მოძღვარმა, – ფუ ეშმაკს, – დააყოლა და პირჯვარი გადაიწერა.

ამ დროს ოთახში ზაქროს მეუღლე და თინა შევიდნენ. ხინკალი შეიტანეს და სუფრის წევრების დაჟინებული თხოვნით მათთან დასხდნენ.

– ყველამ ვიცით, რომ აფხაზეთში ნორმალურად არ მიდის საქმე, როცა მთელი ქვეყნის ძალისხმევა იქით უნდა იყოს მიმართული, დანარჩენ რეგიონებში, ისე, როგორც დედაქალაქში, ეს სულაც არ იგრძნობა. საქართველოს

ტელევიზიას, კი ტაშ-ფანდური აქვს გამართული. მეც ვაპირებდი წასვლას, მაგრამ გადავიფიქრე, ძნელია, როცა ადამიანმა არ იცის, რას ეწირება მისი სიცოცხლე, – დაასკვნა კოტემ.

– მე ამ ქვეყნად ავანსად ვარ, სიკვდილს სასწაულებლივად გადავურჩი. ამაში თინას და ესმას დიდი დამსახურებაც არის, მაგრამ უპირველესად უფლის ნება იყო ეს. ჩემი ფარნაოზის სულიც არ მასვენებს, – თქვა ზაქრომ.

– ურჩიე, მამაო, ნუ წავა! სიკვდილს ხელიდან ძლივს გამოვტაცეთ, ხომ ხედავთ, რომ ყველას გული აქვს აცრუებული. თუ ასე არაა, მე თვითონ ვთხოვდი, წასულიყო, – მეუღლე მოძღვარს შეევედრა.

– ხელს ნუ შეუშლი, შვილო ჩემო, წავიდეს, რადგან ეგრე ურჩევნია. ღალატია თუ სხვა არაკაცობა, ახლა იქ ქართველებს უჭირთ. საქმე კი ძალიან ცუდადაა, ვიდრე ჩვენ წარმოგვიდგენია. იმ ხალხს ხომ უნდა შველა. განკითხვის ჟამი კი ყველა იუდას დაუდგება, – მამა ზოსიმემ ზაქროს ჩანაფიქრი მოუწონა.

– თუ ეგრეა, მეც მოვდივარ, – უცებ გადაწყვიტა კოტემ.

თინამ ინსტიქტურად წამოიკივლა. მამა ზოსიმემ გაკვირვებით შეხედა.

– რაშია საქმე, გოგო, შეყვარებული ხომ არა ხარ? – ჰკითხა.

თინა გაწითლდა და თავი დახარა.

ზაქროს გაეცინა: – რა მართლა შეყვარებულივით გაწითლდი, ნუ გრცხვენია, თქვი. კოტე კარგი ვაჟკაცია, რომ მართლა შეგყვარებოდა, სულაც არ მიკვირს.

– აბა, კოტეა შეყვარებული, სულ თინას აბოდებს, – ომარმა და მათემ მეგობარს სიცილით დაარტყეს მხარზე ხელი. – თქვი, ბიჭო, როგორც არის, ზაქრო ხომ არ გიკბენს.

– სათქმელი რაღა დამიტოვეთ. როგორც მივხვდი, არც ზაქროა წინააღმდეგი. მე კიდევ რა დავაშავე, მიყვარს, ხომ არ მეჯავრება, – მუდამ იუმორის მოყვარულმა კოტემ ახლაც არ დაივიწყა თავისი ჩვევა.

– კოტეს ვერ დავუჯერებ, მორიგი მაიმუნობა ექნება ჩაფიქრებული. თინამ თქვას, – ზაქრომ თინას მიაპყრო მზერა.

– თინამ თავისი სათქმელი უკვე თქვა. მე კიდევ თუ გინდათ, ხატზე დავიფიცავ, რომ მიყვარს. ბოლოს და ბოლოს რა გიკვირთ, მეც ხომ მაქვს უფლება მიყვარდეს, ბიჭოს! – კოტე ვითომ გაბრაზდა.

ზაქრო ახარხარდა და ყველა აჰყვა.

თინა სკამიდან წამოხტა და გარეთ გაქცევა დააპირა. ზაქრომ ხელი სტაცა.
– ახლა შენი აზრი გვაინტერესებს, შენც გაქვს უფლება, გიყვარდეს? – სიცილით უთხრა.

– ჰო, მეც ხომ მაქვს უფლება, – თინამ მორცხვად გაიღიმა.

– ბიჭოს, აქ სახუმაროდ სულაც არ არის საქმე. მამაო ზოსიმე, ისღა დაგვრჩენია, გვიკურთხო ეს მშვენიერი წყვილი.

ხუმრობა და სიცილი სერიოზულ საუბარში გადაიზარდა. შეათანხმდნენ, თინა და კოტე ერთმანეთის გვერდით დასხეს. ოღონდ ზაქროს აფხაზეთიდან დაბრუნებამდე შეუღლების ღონისძიება გადადეს.

## მუხთლობა არც აქ გვაკლია

**აფხაზეთში** მდგომარეობა უფრო და უფრო გაუარესდა. ჩრდილოეთის კონფედერაციის, ჩეჩნების, კაზაკთა, რუს მოხალისე სამხედროთა კარგად შეიარაღებული ნაწილები ძალუმად უტევდნენ ქართველთა პოზიციებს. სოხუმს გამუდ-

მებით ბომბავდნენ ჰაერიდან და „გრადის“ რაკეტული ზალპებით. ქალაქი დატოვა დიდი რაოდენობით ქართველმა მოსახლეობამ. ედუარდ მთავარსარდალმა მკვეხარა განცხადებებით აიკლო ქვეყანა, სოხუმს არასოდეს დავტოვებთო. მიუხედავად ქაოსის და არეულობისა, ქართველ მამულიშვილთა თავგანწირვის წყალობით, ერთი ძლიერი შეტევა მოგერიებულ იქნა. ახლა სამშვიდობო მოლაპარაკება დაიწყო, შეთანხმდნენ მძიმე ტექნიკის გატანის შესახებ. აფხაზურმა მხარემ ტექნიკა იქავე, გუდაუთაში ჩაიტანა. შორსმჭვრეტელმა „დიდმა პოლიტიკოსმა“ კი გემებზე დააწყო და ისე გაზიდა მოუსავლეთში. თან საზეიმოდ მოითხოვა სორხუმიდან წასული ოჯახების უკან დაბრუნება, ვინც ასე არ მოიქცევა, სამშობლოს მოღალატედ ჩაითვლებაო, ხალხმა იწყო უკან დაბრუნება. მძიმე ტექნიკით დატვირთულმა უკანასკნელმა გემმა დატოვა პორტი და დაიწყო კიდეც სოხუმზე შეტევა. შეშინებული მშვიდობიანი მოსახლეობა პანიკურად გარბოდა. საშინელი სადიზმით და სიძულვილით უსწორდებოდნენ მშვიდობიან მოსახლეობას. ვანდალებს შეაქრქოლებდა მეოცე საუკუნის დასასრულს ადამიანთა ასეთი გამხეცება. ედუარდ მთავარსარდლის მიერ სოხუმში მიწვეული ხალხი მოტყუებით მეთევზის ბადეში მოხვედრილ მსხვერპლივით გასაქცევს ეძებდა; პორტში ტევა არ იყო, ადამიანები ხალხით გადაჭედილ გემებს ეფოფხებოდნენ. დახოცილთა გვამები ზღვაში ტივტივებდა. ვინც როგორ მოასწრო, ისე გარბოდა. სოხუმის არ დატოვების ქედმაღლური ტრაბახი საყოველთაო, პანიკურ გაქცევაში გადაიზარდა. სამშობლოს ერთგულ ადამიანთა თავგანწირვამ ველარ უშველა საქმეს. მძიმე ტექნიკა ჩამორთმეულ, მშიერ-მწყურვალი, საბრძოლო მასალების მომარაგების გარეშე დარჩენილი, უნიათო, უთავბოლო სარდლობის ხელში ჯარის ნაწილებთან ყოველგვარი კავშირი მოიშალა. ეს იყო კატასტროფა, კრახი, შედეგი ანტიხალხური, ავანტიურისტული ამბიციებისა.

ყველგან ქაოსი და არეულობა მძვინვარებდა. სოხუმის აეროპორტს შეუჩერებლად ბომბავდნენ, თვითმფრინავის ასაფრენი მოედანი გვამებით დაიფარა; რაც აფრინდა, ჩამოაგდეს. მხოლოდ მცირე, პატიოსან მებრძოლთა თავდადებული ჯგუფები აქა-იქ უწევდნენ წინააღმდეგობას მოძალებულ მტერს. საერთო ხელმძღვანელობა აღარ იყო. ედუარდ შევარდნაძე გასაქცევად აეროპორტს მიადგა. იქ კი მოწინააღმდეგეს ისე ჰქონდა გამოთოფილი, ჩიტიც ვერ აფრინდებოდა. სასწაული მაინც მოხდა, „დიდმა პოლიტიკოსმა“ გაქცევა მოახერხა, რადგან უზარმაზარი თვითფრინავის აფრენას მტერმა ხელი არ შეუშალა, თუ რატომ, ამას კომენტარი არ სჭირდება! იგი ჩამოფრინდა თბილისში და აქედან უყურებდა აფხაზეთში აგორებულ ცოდვის ტრიალს. უბადლო მთავარსარდალი გაქცევის ხელოვნებასაც კარგად ფლობდა. რა მისი ბრალია, თუ სხვები ასე მკვირცხლად ვერ გამოიქცნენ.

ჩასაძირად განწირულ გემს კაპიტანი არ სტოვებს, სანამ ყველას სამშვიდობოზე არ დაიგულებს. უფრო მამაცნი და განსაკუთრებით კი ისინი, ვინც დაღუპვაში თავს დამნაშავედ სთვლიან, გემთან ერთად იძირებიან. აქ, ხმელეთზე, ეტყობა, პირიქით არის. დაღუპვაში წილნაყარი კაპიტანი პირველი გარბის. თურმე ეს ცოდვად და ღალატად არ ითვლება. საქმე ისაა, დანაშაულის სხვაზე გადაბრალება შეგეძლოს, უფრო სწორად, ამის ოსტატი იყო, ახლა მოიგონა, კომისია უნდა შეიქმნას აფხაზეთის ტრაგედიაში დამნაშავის მოსაძებნადო. მთავარია შენ, ყოველივე ცოდვათა ორგანიზატორი, იყო დამნაშავის ძებნის თავკაცი, თორემ მის მოძებნას რა უნდა შენთვის საძულველ პირთა შორის.

სამარცხვინოდ გამოქცეული „მთავარსარდალი“, თბილისში თავის სკამის

გამაგრებაზე ზრუნავდა, იქით კი გზამოჭრილი, დაუცველად მიტოვებული მშვიდობიანი მოსახლეობა კოდორის ხეობას მიაწყდა. ენით აუწერელი ტანჯვა მიაცილებდა საშინელ უბედურებასთან შესახვედრად მიმავალ ლტოლვილებს. ვინ ჩაიდინა ყოველივე ეს? ვის სჭირდებოდა ქართველთა ამოდენა სისხლ-ცრემლის ზღვა? ვის სურდა ქართველთა ერთიანობის, ძმობის, მეგობრობის, ურთიერთ გატანის და გვერდში დგომის განხეთქილების შხამით მოწამვლა? ვისი მიზეზით იძირებოდა განუკითხაობის ბოროტებაში ქართველი კაცი? – ვინ გასწირა წინასწარ აფხაზეთის ქართველობა გენოციდისთვის? – ვინ? – „დიდმა პოლიტიკოსმა“.

ზაქრო, რაც აფხაზეთში წავიდა ნოდართან და ვახოსთან ერთად, არაფერს იტყობინებოდა. სოხუმის დაცემის შემდეგ სასწაულებრივი უბედურების ამბები მოდიოდა. უკვე თოვა დაიწყო. კოდორის ხეობით მომავალი ლტოლვილები იყინებოდნენ. ცოდვის ბორბალი საშინელი სიჩქარით ბრუნავდა.

ზაქროს ოჯახში მეორედ ჩამოწვა უბედურების მოლოდინის ნისლი. კოტე ხშირად იყო მათთან. ახლა თინასთან შეხვედრას აღარ ერიდებოდა. კოდორის ხეობიდან კი ლტოლვილთა ნაკადი სათავიდან მოწყვეტილ წყაროსავით თანდათან თხელდებოდა. სიცივემ და აუტანელმა გაჭირვებამ მოხუცებს, ავადმყოფებს, ბავშვებს მუსრი გაავლო. მოდიოდა ნაკადი ტანჯულთა, გაყიდულთა, უზნეობის და პოლიტიკური ამბიციების მსხვერპლთა. მოდიოდა, რათა ახალ უბედურებაში დაღრმავებულიყო.

ბოლოს, როგორც იყო, ზაქრო გამოჩნდა. ახლობლები სიხარულით და ზეიმით შეხვდნენ, მაგრამ მის ჩამოღამებულ სახეს ღიმილი არ გაჰკარებია. მძიმე განცდების ტყვეობაში მყოფს არავისთან საუბარი არ სურდა. ერთია, ომიდან დამარცხებული მეომრის დაბრუნება, რომელიც თავდადებულად იბრძოდა, მეორეა, წაგებულ ომში ღალატით, ხელმძღვანელობის მუხთლობით განწირულ თანამებრძოლთა აღევნებული ხსოვნის სიმწარე, – ეს რა მოვიხილე, კაცო?! – დროდადრო იტყოდა ხოლმე.

ბიჭებმა რამდენიმეჯერ მიაკითხეს. ზაქროს საუბრის სურვილი არ ჰქონდა. ცოტა ხნით რჩებოდნენ და რაიმეს მოყოლას არ სთხოვდნენ.

ახლაც სამივენი მასთან მოვიდნენ. ზაქრო ძველებურად მოღუშული იჯდა.

– შენ, ძმაო, პირობაზე როგორა ხარ? – ჰკითხა კოტემ.

– რა პირობაზე?

– რა და, აფხაზეთიდან რომ ჩამოვალ, თინაზე შენი შეუღლება აღვნიშნოთო.

– აღვნიშნოთ რა.

– რა ვიცი, ისეთი დაბოღმილი ხარ, თინა უარზეა, ზაქრომ მითხრა, მაგას ხმა აღარ გასცეო.

– რას ამბობ, ეგ ხომ არ გაგიჟდა?!

– მე კი გული კინაღამ გამისკდა.

– დედაკაცო, ერთი თინას დაუძახე! – ეზოში მოფუსფუსე ცოლს დაავალა.

მალე თინა მოვიდა.

– გოგო, შენ თუ კოტეს იწუნებ, მე რა შუაში ვარ, არადა, ამ ბიჭს დასაწუნი რა უნახე?! – უსაყვედურა.

– აბა რას ამბობ? – თინას გაკვირვებისგან თვალები გაუფართოვდა.

– მე გითხარ, კოტეს ხმა არ გასცე-მეთქი?

– რას ამბობ, ზაქრო, რა მოგეჩვენა! – კოტეს გადახედა, – კოტე, მე რა გითხარ? – ჰკითხა.

– შენ კი არა, მე გითხარ, – შეუსწორა კოტემ.
– რა?
– აღარ გახსომს, სიყვარული რომ აგიხსენ?
– ამან რაღა გიპასუხა? – ახლა ზაქრო შეეკითხა.
– თანახმა ვარო.
– მე რაღა შუაში ვარ?
– შენ შუაში არა ხარ, ოღონდ არც იგრე ნაპირზე, რომ მხიარულობის გარეშე გადარჩე, – კოტეს გაეცინა. ზაქროსაც აუტყდა სიცილი.
– წამოვეგე რა მეც შენს ოინბაზობაზე, – სინანულით თქვა.
ზაქროს სახეზე ღიმილი არ უქრებოდა.
– სად იყავ, რა ნახე, აღარ უნდა თქვა?! – საყვედურით უთხრა ომარმა.
– შეშინებულია, ცოტა გაუაროს, – იხუმრა კოტემ.
– შეშინებული რომ ვიყო, გასაკვირი არ არის, მაგრამ რაც მე იქ მუხთლობა ვნახე, ან აქამდე როგორ გავძელით, – მოიჩივლა.
– მუთხლობა და არაკაცობა არც აქ გვაკლია, შენ იქაური თქვი, – შეახსენა ომარმა.
ამღენი დუმილის შემდეგ ზაქრომ მოყოლა დაიწყო:
– აქედან ხომ იცით, ნოდარასა და ვახოსთან ერთად წაველი. თბილისში პარტიები ხალხს აგროვებდნენ და ვისაც ავტომატი ეშოვნა, ყველას მეომარი ეგონა თავი, იარაღის დაშლა და მოვლა არ იცოდნენ. მასეთი კაცი ახლოს მყოფთათვის უფრო სახიფათოა, ეშმაკმა იცის, როდის გაუვარდება დაუდევრად ჩატოვებული ტყვია.
ჩვენ სამნი კომენდატურაში მივედით, იქ უფრო სერიოზული ხალხი იყო. ცოტა ხანს იქ დავტრიალდით, სანამ წავიდოდით, რკინიგზაზე ვმორიგეობდით. ჰოდა, ერთ დღეს იარაღით და ტყვია-წამლით დატვირთული ეშელონი დავაკავეთ. პირველად გვეგონა, აფხაზეთისთვის იყო გამზადებული, თურმე, ერევანში გზავნიდნენ. ერთი აურზაური გაიმართა, თქვენ არ გეხებათ, ამას სხვა უწყება მოუვლისო, ყველაზე დიდი მოხელეები შეშფოთდნენ. ჩვენ მაინც არ ვეშვებოდით, ეშელონის აფხაზეთში გაგზავნას ვითხოვდით. ერთი კვირა გაგრძელდა ეს დავიდარაბა. ბოლოს გამოსავალი ნახეს, სასწრაფოდ სოხუმში გადაგვაფრინეს. მერე როგორც გავიგე, ის ეშელონი მაინც გააგზავნეს ერევანში. დიდი ფული ჰქონდათ აღებული, რას დაკარგავდნენ.
ცოტა ხანს სოხუმში დავრჩით. ერთხელ სროლა ატყდა, სასწრაფოდ გავიქეცით, გვეგონა სეპარატისტები შემოიჭრნენო. ერთ-ერთი პარტიის ლიდერს ავტობუსით ხალხი ჩამოეყვანა. მოსჩვენებოდათ მტერი დაგვეცაო და შიგ ავტობუსში გაეხსნათ ცეცხლი. ამ პანიკაში ოთხი თავიანთი კაცი დაეჭრათ. შევამოწმეთ, იარაღის სწორად დაჭერაც კი არ იცოდნენ. მათგან ოთხი დავიტოვეთ, დანარჩენები უკან გამოვუშვით. ეგრეა, მარტო შიშველი პატრიოტიზმით შორს ვერ წახვალ. რამდენი ასეთი გამოუცდელი ახალგაზრდა დავკარგეთ.
რა მოგიყვეთ, ბიჭებო, არეულობა და ქაოსი, თვითნებობა, წინა ხაზზე მყოფთა ბედის ანაბრად მიტოვება. ყველა რომ მოვყვე, გული მოგიკვდებათ. სოხუმში ერთი ქარხანა იარაღის შეკეთებაზე მუშაობდა. ერთხელ ჭურვი მის ახლოს აფეთქდა. მოცვივდნენ ტელევიზიიდან, სურათები გადაიღეს. მეორე დღეს თბილისის ტელევიზიამ გადმოსცა, რამდენიმე მეტრის მოცილებით დაეცა ჭურვი, იმ ქარხნიდან, ზუსტად აჩვენეს. რამდენიმე საათის შემდეგ ქარხანა მიწასთან გაასწორეს.
შემოგზავნილი შპიონი დავიჭირეთ, სიგნალებს გადასცემდა. დაკითხვაზე

თქვა: მე რას მედავებით, ან ისეთი რა უნდა გადავცე, რაც თქვენს ტელევიზიას არ გადაუციაო; მოწინააღმდეგეს საქართველოს ტელევიზიაზე უკეთესი დაზვერვა რად უნდაო.

წინა ხაზზე ტყვია-წამალი, საცმელი, ყველაფერი მეომრების თავში საცემი იყო. უკან, ზურგში კი განუკითხაობა, უდისციპლინობა და ქაოსი სუფევდა. ერთხელ თბილისში დაჭრილები უნდა გადმოგვეგზავნა. ერთი თვითმფრინავი მოფრინავდა. მივედით, რას ვხედავთ, თვითმფრინავთან შეიარაღებული კაცები არავის უშვებენ. მერე მოაყენეს მანქანები და ძვირფასი ავეჯის ჩატვირთვა დაიწყეს; ვიღაც დიდი ჩინოვნიკი აგზავნიდა. ვთხოვეთ, რომ დაჭრილები უნდა გაგვეგზავნა, პასუხის ღირსიც არ გაგვხადეს. გიყვარდეს, მაშინ მოვიფხანეთ ხელები, სულ ცხვირ-პირი ვუნგრიეთ, იარაღიც წავართვით, ის არაჩვეულებრივი, უცხოური ავეჯი დაბლა გადმოვყარეთ. მაშინ კი გამოვაგზავნეთ დაჭრილები, მაგრამ სულ იქ ხომ არ ვისხდებოდით; ის ავეჯი მაინც გამოეგზავნათ.

მეორე მსოფლიო ომი დისციპლინამ, რკინისებურმა ნებისყოფამ და სამშობლოს სიყვარულით ერთ მუჭად შეკვრამ მოიგო. რაც მე აფხაზეთში მოვიხილე, ასე რომ ყოფილიყო, ჰიტლერს მოსკოვამდე ერთი კვირაც არ დასჭირდებოდა. ბიჭო, ეგრე უთავოდ საქმის დაწყება და უთავბოლოდ გაგრძელება სირცხვილი არ არის?!

გუმისთაში არტილერიის ბატარეასთან ვიდექით. ძალიან მცოდნე, გამოცდილი ოფიცერი მეთაურობდა. კაცი გიჟდებოდა, ეს რა ხდებაო. სეპარატისტები ჩვენს წინ დაუსჯელად დაგრიალობდნენ, მას კი სროლა აკრძალული ჰქონდა. მოვიდნენ და უბრძანეს, ერთი ჭურვიც რომ გაისროლო, აქვე დაგხვრეტთო. ვინ იყვნენ ეს მაღალი ჩინის მეთაურები, რა უნდოდათ? ვისი დავალებით იქცეოდნენ ასე? რატომ გაწირეს საუკეთესო ახალგაზრდები ასე უწყალოდ? თავს ვიმტვრევ და ამ მუხთლობის მიზეზი ვერ ამომიხსნია, ასე როგორ უნდა მოწამლოს სატანამ ქართველი კაცის ტვინი, რომ ეს იკადროს?! ჩვენ ტყვიებს სულფიდინივით ვიზოგავდით, ესენი კიდევ ეშელონებით ყიდდნენ ფულზე დახარბებულნი. შედეგი კი საქართველოს ისტორიას შეარცხვენს.

არავის ვახსენდებოდით. საჭმელს, ვაზნებს, იარაღს ჩვენ თვითონ ათასნაირი გაჭირვებით ვშოულობდით. ადგილობრივი მოსახლეობა იხვეწებოდა, იარაღი მოგვეცითო, ვინც მოახერხა და გადამყიდველთან იყიდა ავტომატი და ტყვია-წამალი, თავდადებით იბრძოდა.

რაღაც გაუგონარი მუხთლობის თუ წინასწარ გათვლილი საშინელი პოლიტიკური გარიგების მსხვერპლი კი შევიქენით, რამაც ათასობით ქართველი მამულიშვილის სიცოცხლე ასე უმადურად შეიწირა.

აფხაზეთში მცხოვრები ქართველობა ძალადობით მოსულ ე. წ. ხელისუფლებას მხარს რომ არ უჭერდა, ამას ყველა გრძნობდა. სამეგრელოს საშინელი დარბევის შემდეგ, აფხაზეთი ამოიღეს მიზანში, ვითომ სარკინიგზო ვაგონების ძარცვისგან დასაცავად. დაიცვეს? ახლა ხომ სულ შეწყდა ეშელონების მოძრაობა. შეწყდა კი არა, აფხაზეთის საზღვარი ყრუდ ჩაიკეტა. ქართველები ისე გამოყარეს აფხაზეთიდან, ორი წყვილი ფეხსაცმლის წამოღებაც კი ვერ მოასწრეს. ნახეთ, როგორი შურისძიება იცის ჩვენმა საერთაშორისო რანგის პრეზიდენტმა? იმის გამო, რომ იქაურ ქართველებს არ მოსწონდათ ის და მისი დამქაშები.

რაც მე იქ მოვიხილე, თავი სიზმარში მგონია. რისთვის ატეხეს აფხაზეთის აურზაური, თუ ასეთ სამარცხვინო დასასრულამდე მივიდოდნენ. კარგი, აფხაზეთში მცხოვრებ ქართველებზე იძიეს შური მათი პოლიტიკური შეხედულებების

გამო, რაზე ჩახოცეს მთელი საქართველოს ღირსეული ახალგაზრდობა ომის გამოცდილება საერთოდ რომ არ ჰქონდათ და მხოლოდ პატრიოტული სულისკვეთებით წავიდნენ ქვეყნის ხელმძღვანელის მიერ მოწყობილ ღვარძლით შენელებულ ერისშვილთა სასაკლაოზე. ამის შემდეგ ნორმალური ხელმძღვანელი არ ეცდებოდა, რომ ისევ წამომჯდარიყო მაღალ სკამზე და ომში დამარცხებულს მშვიდობიანად აფხაზეთში დაბრუნების სასაცილო ბარტყების ჩეკვა დაეწყო.

– მოტყუებული ხალხი ბოლოს გაარკვევს, ვინ ერის შვილია, ვინ კიდევ მისი მაგინებელი. მაგრამ რაღა დროს, დასანგრევ-დასატაცებელი აღარაფერი დარჩება... ახლა, როცა ასე საშინელ დღეში მივყავართ, იქნება გადმოგვხედოს უფალმა და ერისთვის თავდადებული ადამიანი მოგვევლინოს, – აღნიშნა ომარმა.

– ჩვენი ბრალიცაა, რაც ირგვლივ ხდება. ბრძოლის უნარი დავკარგეთ, ან მონობის ბაცილამ მოგვწამლა. ერთი არავინ არ ადგება და ქვეყანას არ შეყრის, ვიღუპებითო, – კოტემ მისთვის დამახასიათებელი ემოციებით თქვა.

– სიტყვა გაგვიგრძელდა, ზაქროს კი მოსაყოლი ბევრი დარჩა, თუნდაც ის, ეშმაკას შეხვდნენ თუ არა, – მათემ ეშმაკას ამბავი გაახსენა და მოსასმენად მოემზადა.

– სადაც მე ვიყავ, ეშმაკა იქ ცხვირს არ შეყოფდა. ძარცვა-რბევის მოტრფიალე უამრავი ეშმაკა და მასზე უარესი ნაძირალა დაძრწოდა ზურგში. იქ ეშმაკას დევნა წყლის ნაყვა იყო. თანაც იმ დროს, როცა წინა ხაზზე ასეთ ქაოსსა და უთავბოლობაში მებრძოლებს უჭირდათ ამ ჩვენს ფეოდალურ ლაშქარზე უარეს ბრბოში, მუხთლობის და ღალატის მორევში, ნამდვილი მამულიშვილები მაინც აკეთებდნენ საქმეს დიდი მსხვერპლის ფასად. ჩვენმა უბედურებამ, უმაღლესმა მთავარსარდალმა შევარდნაძემ უკანასკნელი მძიმე ტექნიკა მოუსავლეთში რომ გაგზავნა, მაშინვე შემოგვიტიეს. ხანდახან მეჩვენებოდა, თითქოს სეპარატისტებსაც და ჩვენც ერთი და იგივე ტვინი გვმართავდა. შეცდომა ერთხელ გამიგია, მაგრამ შენ ნატარზე ყველაფერი რომ ინგრევა და ნადგურდება, ამას როგორ ვერ ხვდები. თუ კიდევ დანგრევა-ღალატისთვის ხარ, მაშინ რამ დააბეჩავა ამ ღალატის მსხვერპლი. რაც აფხაზეთში მოხდა, იმის შემდეგ მაინც ეს ვაგლახი შევარდნაძე თავს თუ არ მოიკლავდა, ბერად მაინც უნდა აღკვეცილიყო, მაგრამ ამას როგორ იზამს, როცა ჯერ კიდევ უამრავი უბედურების კალო აქვს გასალეწი. სირცხვილის შარავანდედი დაიდგა მუხთლობით გაბერილ თავზე და აფხაზეთში დაღუპულთა ცოდვაც მას ჰკიდია ზურგზე.

უკან, კოდორისკენ ვიხევდით, თუ ამას უკან დახევა ჰქვია. სეპარატისტებმა გაგვასწრეს, გზას ბრძოლით ვიკვლევდით. სად რა ხდებოდა, არაფერი არ ვიცოდით. ხან თბილისის რადიოს ვიჭერდით და მაშინ გავიგეთ, რომ „ედუარდ გმირმა“ უკვე მოკურცხლა და ახლა თბილისიდან ფანტავდა სიყალბის ბარტყებს.

ფარულად მოვდიოდით, სულ თექვსმეტნი ვიყავით, ნოდარა და ვახოც ჩვენთან იყვნენ. შარაგზაზე სეპარატისტების ტანკები და ჯავშანტრანსპორტიორები დაგრიალობდნენ. გული გვიკვდებოდა, ამ ბედოვლათმა შევარდნაძემ ჩვენი ტექნიკა სადღაც რომ გადაკარგა. მოგვატყუეს თუ „დიდი პოლიტიკოსი“ ღალატთან არის წილნაყარი, ფაქტი კი სახეზე იყო, ვერავითარი მუხთლობა ასე ვერ გვაზარალებდა.

ერთგან გათავხედებულ სეპარატისტთა ბანდას თავს დავესხით, გამაძღარნი და გალეშილები ქართველ ქალებს აწამებდნენ. თვრამეტნი იყვნენ, ყველა გავწყვიტეთ. შვიდი ქართველი ქალი გავათავისუფლეთ, მათაც იარაღი აიღეს ხელში და ძუ ვეფხვებივით იბრძოდნენ.

კიდევ რამდენიმე შეტაკება მოგვიხდა, სამი ბიჭი დაგვიჭრეს: ტყე-ტყე მივდიოდით, წინ დაზვერვას ვაგზავნიდით, ვფრთხილობდით, ჩვენებთან კავშირი გაწყვეტილი გვქონდა. ამ ქაოსში მშვიდობიანი მოსახლეობა საშინელ დღეში იყო. იმის თავიც ვერ გამოაჩნდა ჩვენს ბითურ სარდლობას, მოსახლეობის ორგანიზებული ევაკუაცია მაინც მოეხდინა. დაუნდობლად ჟლეტდნენ ყველას: მოხუცებს, ქალებს, ბავშვებს. ვისი ბრალია ეს, ვისი?! – ზაქრო აღრიალდა და თავზე ხელები მოიჭირა. მეგობრებმა ძლივს დაამშვიდეს.

მუცელგამოფატრული ორსული ქალები, თავგაჩეხილი ბავშვები, დახვრეტილი მოხუცები ვნახე. საშინელ მხეცობას სჩადიოდნენ. ვგიჟდები, ის სურათები რომ მახსენდება. ერთხელ დაზვერვაზე გაგზავნილებმა ამბავი მოგვიტანეს, ძროხების ფერმაში ბევრი ხალხი ჰყავთ შეყრილი, გარეთ დიდი ორგია აქვთ გამართული. ქალები გამოჰყავთ და ძალით აუპატიურებენო. ჩვენ შეუმჩნევლად შეგვეძლო გზის გაგრძელება, მაგრამ ამის ასე დატოვება მხოლოდ შერცხვენილ სიცოცხლედ თუ ღირდა. თუნდაც ისეთზე, შევარდნაძემ მშვიდობიანი მოსახლეობა ბავშვებიანად სოხუმში რომ დაიბარა, მტერს შესაგინებლად დაუტოვა და თვითონ მოკურცხლა.

ფერმას სამი მხრიდან შემოვერტყით, ორმოცდაათამდე იყვნენ. ორი ჯავშანტრანსპორტიორი, სამი სატვირთო მანქანა და ორი „ჯიპი" დავითვალეთ. ორგიით დაბუხებულებს ისე მოულოდნელად დავესხით თავს, გონს მოსვლა არ ვაცალეთ, სამი გაგვექცა, დანარჩენი ყველა გავწყვიტეთ. ფერმიდან ასამდე ქალი, ბავშვი და მოხუცი გავათავისუფლეთ. კაცები სულ გაეჟლიტათ. იქვე ეყარნენ დახოცილი ქალები და ბავშვები. გლოვის დრო არ იყო. ქალებიდან ვისაც შეეძლო, იარაღს მოჰკიდა ხელი; იქაურობა სასწრაფოდ მივატოვეთ. სეპარატისტები გამოგვეკიდნენ. მოხუცებით და ბავშვებით მოძრაობა გვიჭირდა. სამჯერ გვქონდა შეტაკება, მაგრად დავაზარალეთ. ბოლოს წინიდან დაგვიარეს, ზურგიდანაც მაგრად გვაწვებოდნენ. თუ წინ არ წავიდოდით, დაღუპული ვიყავით. სწორედ აქ ნოდარამ, ვახომ და სამმა ადგილობრივმა ახალგაზრდამ ივაჟკაცა. ჩასაფრებულებს ფლანგებიდან დაესხნენ და ხელყუმბარებით გაწყვიტეს. გზა გაიხსნა. მოხუცები, ქალები და ბავშვები სამშვიდობოზე გავიდნენ. მაგრამ თუ მდევრებს აქ არ შევაკავებდით, წამოეწეოდნენ და ყველას გაწყვეტავდნენ. ორი დღე-ღამე უთანასწორო ბრძოლა გვქონდა, დევნის მადა დავუკარგეთ. ნოდარა და ვახო იმ ბრძოლას შეეწირნენ. თერთმეტი მებრძოლი ქალის და ხუთი ბიჭის გარდა, ყველა დავკარგეთ. ყველა იქავე დავკრძალეთ.

მერე საშინელი უკანდახევა კოდორის ხეობიდან. მშვიდობიანი მოსახლეობის ტანჯვის გახსენება გონებას მირევს. საწყლები იქვე გზის პირას სიცივით, შიმშილით და უექიმობით იხოცებოდნენ. ვუყურებდი ყოველივე ამას და არაფრით შველა არ შემეძლო. გაიგეთ, არ შემეძლო და ეს მაგიჟებს! – ზაქრო ისევ აყვირდა. ბიჭები მდუმარედ შეჰყურებდნენ და სანუგეშოს ვერაფერს ეუბნებოდნენ.

ზაქრო ძლივს დაწყნარდა. ღრმად ამოიგმინა, მაგიდას მსუბუქად დაარტყა ხელი და წყნარად თქვა: – ამიტომ არ მინდოდა რაიმეს მოყოლა. ისე ნუ მომკლავს ბედისწერა, აფხაზეთის უბედურების ავტორი ხალხის სამსჯავროს წინაშე არ ვიხილო!

– კარგი, ზაქრო, დამშვიდდი, უბედურება არც აქ გვაკლია. იქ ომი იყო და გასაგებია ადამიანთა გამხეცება. რა, ჩვენთან მშვიდობაა? დაგვწყევლა უფალმა და ეს წყევლა მოღალატის ხელით გვისრულდება, – ვითომ დაამშვიდა მათემ.

– კარგი, სხვა რამეზე ვილაპარაკოთ, თუნდაც იმაზე, რომ კოტე ხელში

შეგვაბერდა, თუ დროზე არ დავაქორწინეთ, – საუბრის თემის შეცვლა სცადა ომარმა.

– თქვენ რაღაც ქარაგმებით მელაპარაკებით. თინას და კოტეს ხომ უყვართ ერთმანეთი. ჰოდა, ნუღა დავაყოვნებთ, – დაასკვნა ზაქრომ.

– დიდი ქორწილი და ხმაური არ გვინდა, ზოსიმე მოძღვარი მოვიყვანოთ და დავწეროთ ჯვარი, – გადაჭრით თქვა ომარმა.

– ეგრე ვქნათ, ქორწილმა ცხოვრების დონეს არაფრით არ უნდა გაუსწროს. მაინც მადლობა გვეთქმის ამ დაკნინების, გენოციდის და ათასი უბედურების ორომტრიალში, რომ ერთი ჯანსაღი უჯრედი იქმნება, – კოტე დაეთანხმათ.

ზოსიმე მოძღვრის მოსაყვანად ომარი წავიდა. მალე შინაურებში კოტეს და თინას შეუღლება აკურთხეს. ახლადშექმნილ ოჯახს კი ყბადაღებული ნადირივით გაცოფებული ცხოვრების სინამდვილე უცდიდა.

## კურტანა

**ᲙᲣᲠᲢᲐᲜᲐᲡ** მზე გაწამებული ქვეყნის თავზე ჰკიდია. ეს ის მზეა, მხოლოდ კურტანას და მის მსგავსებს რომ უნათებს ეგოიზმით დაბინდულ გონებას, სხვებს კი, კაცთმოყვარეობით რომ შეუმკიათ ნათელი აზრები, სიბნელით თვალებს თხრის.

ფულის შოვნა იოლი საქმე არ არის, სიმდიდრე კიდევ – პატიოსანი კაცის გვირგვინი. ყოველივე ამის მოპოვება ჭუჭყიანი ხელებით და უსინდისობით შეიძლება მხოლოდ – ეს არის კურტანას დევიზი, მისი იდეოლოგია და უფლისადმი თაყვანისცემა. მთლად ურწმუნო როდია, ეკლესიაში ლოცულობს და სანთელსაც ანთებს. უფალს და ყველა სალოცავს ერთსა სთხოვს მხოლოდ – ბევრი ფული აშოვნინოს. სახარება არ წაუკითხავს, არც უფლის ნათქვამი იცის; როგორც აქლემი ვერ გაძვრება ნემსის ყუნწში, ისე მდიდარი კაცი ვერ მოხვდება სასუფეველში. მას არც სასუფეველი სწამს და არც უფლის ათი მცნების. ორპირი კაცის ქვეყანაში კურტანების ზეიმია. ხალხი კი ჯერ მხოლოდ ფარაა და ცხვრადქცეულ ადამიანთა გაცხარების იმედს მაინც არ კარგავს მრავალტანჯული ქვეყნის ბედი.

დღევანდელი უკულმართობით გაზულუქებული კურტანა უკანასკნელი უცხოური მოდელის ავტომობილით დაბრძანდება კონცლაგერის კომენდანტივით ძვალზე ტყავგადაკრულ თანამემამულეთა შორის და დიდი სურვილი აქვს, ყველა ბიძია თომას ქოხში შეყაროს.

კრედიტის ვირთხებმა ფულიან და სანდო კურტანას მისცეს სოფლის მეურნეობისთვის გათვალისწინებული კრედიტი, ბიზნეს-გეგმაც მათ შეუდგინეს და მილიონი შუაზე გაუყვეს. კურტანამ კი ამ ფულით თურქეთიდან იმდენი სანაგვედ განწირული საკვები შემოიტანა, რომ შესძლებოდა, მთელს საქართველოს მოწამლიდა. თუ მთლად ვერ შეძლო, ჯანმრთელობის მოწამვლა მაინც ბევრს მოუხერხა. ამგვარად რამდენიმეჯერ კრედიტს შეუცვალეს მიმართულება და მის მსგავსებში სანდო პირი ახლა იაფად გასაყიდი ობიექტების შესყიდვას შეუდგა. კურტანა ყოვლისშემძლე დიდ მაგნატად იქცა, მერე რა, რომ ყოველივე ადამიანურისგან გაძარცვული და გარეცხილი იყო.

ძველი ყოფიდან მხოლოდ სახელიღა შემორჩა – კურტანა. მისი პაპა და მამაც მეკურტნეები იყვნენ. შეკერავდნენ კურტნებს, გამოტენიდნენ ბზით და ზურგზე წამოკიდებულებს დაატარებდნენ სოფელ-სოფელ გასაყიდად. კურტა-

ნას კურტანი არ შეუკერავს, მაგრამ რამდენიმეჯერ მისი წამოკიდება და სოფელში ჩამოტარება მოუწია თავის მამასთან ერთად. თუ მის წინაპრებს მეკურტნეები ერქვათ, ამან ეს მნიშვნელობა დაკარგა და კურტანად შემორჩა ნაცნობთა მეტყველებას. იმთავად მუშაობა ჭირივით სძულდა. ფიზიკურად უწვრთნელს კიდურები დაუკნინდა და მის ხარჯზე საჯდომს და ღიპს მოემატა გასივება. მისი ამქვეყნად მოვლინება საჭმელით ცოხნას და ნაცოხვარის მონელებას ემსახურებოდა მხოლოდ.

სოციალიზმის პერიოდში, მუქთად ჯდომა აკრძალული რომ იყო, კურტანას ძალიან გაუჭირდა. ბრიგადაში ცოლთან ერთად იყო ჩაწერილი. თვითონ სახლში გორაობდა, ცოლი – ბრიგადირთან. იცოდა ეს კურტანამ, მაგრამ იმის ხათრით ითმენდა, რომ ბრიგადირი აღარ აწუხებდა, სამუშაოდ წამოდიო. თვითონ სპეკულანტობდა, მაშინ ასე უძახოდნენ იმას, ვინც სადღაც ყიდულობდა და ძვირად ასაღებდა. სპეკულანტი კანონით ისჯებოდა. კურტანაც მილიციასთან დაჭერობანას თამაშობდა. დაიჭერდნენ, ნავაჭრს და საქონელს წაართმევდნენ და მილიციის „აბეზიანკაში“ უკრავდნენ თავს. მერე დატრიალდებოდა კურტანას ცოლი, ბრიგადირს და თავმჯდომარეს მოიხმარებდა და კურტანას მილიციის „სამაიმუნე“ გალიიდან გამოაძვრენდა, რათა რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ იქ შემძვრალიყო.

იცოდა კურტანამ, რომ მის ქსენიასთან ბრიგადირი კურტანას მოვალეობის შესრულებაში ეხმარებოდა, ამასვე იზიარებდა თავმჯდომარე, მაგრამ ითმენდა, ითმენდა კი არა, უხაროდა, რამეთუ ცოლის საყვარლები მფარველობდნენ. უსაქმურ და პარაზიტ კურტანას ამაზე მეტი რა უნდოდა. ქსენია ჯანიანი დედაკაცი იყო და საჭიროებისამებრ მის ქალურ შესაძლებლობებს ეფექტურად იყენებდა.

მილიციის „სამაიმუნედან“ ბოლო დახსნის შემდეგ კურტანას ბრიგადაში მუშაობა მიუსაჯეს. ისიც წავიდა, რადგან მის გამოცხადებას მილიციიდან ამოწმებდნენ. კურტანა ბრიგადაში იძულებით იყო და მოთმინებით ეგუებოდა მისი ცოლის და ბრიგადირის კურკურს.

– კურტან, შე ჯანდამწვარო, ე კუპატივით ქსენია ბრიგადირმა სუმთლად არ დაისაკუთროს, – ბრიგადის ქალები კურტანას ბითურობით ერთობოდნენ.

– კიდევ კარგი, ბრიგადირს და თავმჯდომარეს ჩხუბი არ მოსდით.

– რას ამბობ, ქალო, ქსენია ისეთი ჯანიანი დედაკაცია, ორივეს სიქას გააცლის, სადავო რაღა ექნებათ.

– აბა, რატო კურტანას არა აქვს სიქა გაცლილი?

– კურტანას ვიღა უშვებს ქსენიასთან. ვერა ხედამთ, ბრიგადირი ისე გამოათავა, ვარაუდით დადის.

– ფრთხილად იყავ, კურტან, ბრიგადირმა ახლა შენზე არ გადმოინაცვლოს.

– თქვენ ნუ ღელამთ, ქსენიამ თავისი საქმე კარგად იცის, – დინჯად თქვა კურტანამ და ქალები სიცილით დააოსა.

– იცის, აბა რა, ახლაც თავის საქმეს ქოხში ცოდნით აკეთებს.

კურტანამ იცოდა, რომ ქსენია და ბრიგადირი სწორედ იმ ქოხში შევიდნენ და უკვე ნახევარი საათია არ გამოსულან. ისიც იცოდა, რა საქმისთვის იყვნენ იქ შესული, მაგრამ თავს ისე იჭერდა, ვითომ არაფერი განსაკუთრებული არ ხდებოდა. ახლა კი ქალები ასე რომ მიაწვნენ, იძულებული გახდა, გააქტიურებულიყო.

– რომელ ქოხშია ქსენია? წავალ, ვნახავ და დაგიმტკიცებთ თქვენს სიცრუეს! – აყვირდა.

– აქ, ჩვენთან რას ყვირი, ქსენია ჩვენ ხომ არ შეგვიყვანია ქოხში, აგერ იქ

არის ქოხი, დროზე მიდი, სანამ ლოცვა არ დაუმთავრებიათ, – ქალები ისევ აკისკისდნენ, კურტანა კი ქოხისკენ ბურტყუნით გაძუნძულდა.

„ნეტავ ახლა ყველაფერი მოთავებული ჰქონდეთ“, – ნატრობდა კურტანა და ქოხს გულისფანცქალით უახლოვდებოდა.

– მიდი, კურტან, მიდი! – ქალების გამამხნევებელი ყიჟინა აცილებდა.

ქოხის კარები გააღო, ვერავინ დაინახა, შიგ შევიდა, მობრუნდა მარჯვნივ და... ნაბადგადაფარებულ, ფიცრულ ტახტზე ბრიგადირი კურტანას რქებით საფუძვლიანად მოსავდა.

ქსენიამ ინსტიქტურად შეჰკივლა. ბრიგადირს რქების დადგმისთვის თავი არ დაუნებებია, უკან ისე მოიხედა. კურტანას დანახვაზე დიდად არ შეშფოთებულა, ხელის გაქნევით ანიშნა, გარეთ გადიო. კურტანა უკან გაბრუნდა, მაგრამ გარეთ გასვლა ვერ გაბედა, ქალების დაცინვის მოერიდა. ზურგშექცევით გაჩერდა, სანამ ბრიგადირი ბოლო რქას არ მოარგებდა. ქსენიამ დაჭმუჭნული კაბა გაისწორა. ბრიგადირმაც გადაისვა თავზე ხელი და ქოხიდან სამივე ერთად გამოვიდნენ.

– რა იყო, კურტან, ნაწყენი ხომ არა ხარ? – ბრიგადირმა მხარზე ხელი ღიმილით დაარტყა.

– ნაწყენი კი არა, დღეს მინდა სახლში წავიდე, – ბრიგადირის ქსენიასთან ღლაბუცის ანგარიშში კურტანა თავის საფასურს ითხოვდა.

ბრიგადირს გაეღიმა, მიხვდა, კურტანა ქსენიას ბრიგადაში მომუშავის ყალბად დაწერილ ცნობაში უთმობდა.

– წადი, კურტან, ჩათვალე, რომ სავალდებულო მინიმუმი შესრულებული გექნება...

კურტანა წასასვლელად ბოხჩას კრავდა, ქალები კი მის დაცინვით ერთობოდნენ:

– რა ქენი, კურტან, ძალიან დამშვიდებული გამოგისტუმრა ბრიგადირმა, ქსენიას ჩაროზად შენც ხომ არ დაგაყოლა?

– მაიცათ, მაიცათ, ჩემი დროც დადგება და მაშინ ყველანი მე მამადგებით, ჯერჯერეთ ჩაგიწვებითო ლოგინში,– დაემუქრათ.

– რათა, კურტან, ისეთი რა ძალა მოგემატა, რომ ყველას გაგვისტუმრებ, ახლა რომ შენგან დაგვალული ქსენია სხვისი დასაგრილებელი გამხდარა.

– ქსენიაც შემეხვეწება, ქსენიაც!

– შე საცოდაო, ქსენიას იმდენი მამაკაცი ჰყავს დასაპურებელი, შენთვის როგორღა მაიცლის?

– დრო მოვა, ქსენიას კი არა, თქვენ სუყველას ჩაგაყენებთ რიგში, მე კურტანა ვარ!

– შენ თავს მიხედე. შე რქიანო, არავინ გაგაუპატიუროს, თავადა ხარ სახმარი, შე ჭირიანო! – ბოხჩაწამოკიდებულ კურტანას ქალები საცემად მიეტანენ, მანაც დროზე მოცოცხა. ვიღაცამ სატვირთო ავტომობილი გაუჩერა. კურტანა ძარის უკანა გვერდთან ჩამოჯდა თავის ბოხჩაზე და სახლამდე მტერის ყლაპვა არ მოჰკლებია.

კურტანამ ქსენიას წყალობით ბრიგადას თავი დააღწია, მაგრამ რაც იმან მოიხილა, როგორ აპატიებს ბრიგადირს. იცის, რომ მისი ქსენია თავმჯდომარესაც ართობს, ჰოდა, მივა და თავმჯდომარეს ყველაფერს მოუყვება, ნახავს რა დღეს დააყრის თავმჯდომარე.

იფიქრა, იბობოქრა და მეორე დღეს თავმჯდომარეს მიადგა. რაც მოხდა,

მოუყვა. ისეთი საუბრის ტონი ჰქონდა, თითქოს ბრიგადირი კურტანას კი არა, თავმჯდომარეს ადგამდა რქებს. ისიც რქებდადგმული გაბრაზდა. იცოდა, რომ ბრიგადირი ქსენიაში ეცილებოდა, მას კი იშვიათად ჰქონდა ქსენიათი დატკბობის საშუალება.

– უყურე შენ, ეს რა ჩაუდენია, როგორ ბედავს ბრიგადაში ამგვარ თავაშვებულებას?! არაფრით არ ვაპატიებ! – აყვირდა.

– აბა, აბა, რას კადრულობს ეგ უსინდისო! – კვერს უკრავდა კურტანა.

– მე მაგას მოვუვლი, სულ გამოვაგდებ ბრიგადიდან! – ბრაზობდა თავმჯდომარე.

– ეგრე ქენი, ეგრე! ოღონდ მე არ გამომაჩინო, ვითომ შენ სხვამ მოგიტანა ამბავი. მაგრად შაახურე, რომ ქსენია ხშირ-ხშირად არ შააწუხოს, – ჩურჩულებდა კურტანა.

მეორე დღეს თავმჯდომარემ ბრიგადირი ასე დამოძღვრა:

– ბიჭო, კურტანა გაცოფებულია, შენს მოსაკლავად მოდიოდა, ძლივს დავაწყნარე. იმის თვალწინ რომ გადააჯექ ქსენიას, კაცია მაინც, უნდა მორიდებოდი. ბრიგადაში ვეღარ გაგაჩერებ, დროებით ცხვარში უნდა წახვიდე, სანამ კურტანა დაწყნარდება.

– კურტანას დასაწყნარებელი რა სჭირს, შენ ვერ მოგინელებია ქსენიას ღალატი. ეგე ჩაიბარე და, შენი ამბავი რომ ვიცი, მალე კურტანასაც ზედ დააყოლებ! – უთხრა გამწარებულმა ბრიგადირმა, რადგან იცოდა, რა ვაჟკაცი იყო კურტანა. თავმჯდომარე კი ქსენიას ალერსის მოწილეს თავიდან იცილებდა...

მოვიდა დრო საერთო-სახალხო ქონების დაღრღნა-დატაცების. მოსწრებაზე იყო საქმე და ხალხის კეთილდღეობის მესაფლავენი ვირთხებივით ხრავდნენ ადამიანური ცხოვრების ნათელ იმედს. აბა, დაჰკრა კურტანას მსგავსების საათმა, გაიხსნა თურქეთის საზღვარი და აუარებელი სიმდიდრე გაზიდეს. ოღონდ ფული ეშოვათ, ერის და ქვეყნის ინტერესები მათთვის იგივე იყო, რაც კურტანასთვის ქსენიას პატიოსნებაზე ზრუნვა.

ახლა აღარავინ ეღავებოდა, იმუშავეო. „შევარდნაძის ეპოქამ" კურტანასნაირებს გაუხსნა გზა. კურტანამაც გაშალა ფრთები, აიყოლია ქსენია და თურქეთის ბაზრები მოიჯირითა. კურტანა ისევე წარმატებით იყენებდა თურქეთში ქსენიას ქალურ შესაძლებლობებს, როგორც ბრიგადირთან და თავმჯდომარესთან.

ურწმუნო კურტანამ უფლის რწმენა აიფარა პირუტყვის სახეზე, მკერდი კი მსხვილი ოქროს ჯაჭვით და ჯვრით დაიმშვენა; ჩასუქდა, ჩამრგვალდა, ჭიპამდე ჩახსნილ პერანგიდან ბალანზე მოქანავე ჯვრის სიდიდე ხაზს უსვამდა მის ფულით აღზევებას...

ტახტზე გულაღმა გადაწოლილ კურტანას თავის ქვეშ ამოედო ხელები და ჭერს მიშტერებოდა. ცხოვრების უკულმართობთ გამძღარი ჰგავდა ვაშლიდან ამომძვრალ მატლს, ტანის გაგრძელება თავპირზე მხოლოდ გაძღომა რომ აწერია.

უკვირდა ამ ცხოვრების ასე ზღაპრულად გარდასახვა. თავისი მოქნილი ჭკუით ამაყობდა. რომლის შემწეობითაც დიდი ფულის შოვნა მოახერხა. პირველი წარმატებები გაიხსენა და სიამოვნებით გაიზმორა: თურქეთში წასაღები ნივთები დიდ ჩანთებში ჩატენეს და ტახტზე ხვნეშით ჩამოსხდნენ. კურტანა უყურებდა ჩანთებს და რაღაცით უკმაყოფილო იყო. – ფული კიდევ რომ გვქონოდა, მთელ ავტობუსს ჩვენი საქონლით გავტენიდი, – ჩაილაპარაკა და ქსენიას გახედა.

– კარგი იქნებოდა, მაშ, – მან კვერი დაუკრა.

– ერთი ჭკვიანი აზრი მომივიდა, ფული რომ ვიშოვოთ?

– ვისგან?

– ტიმოთე ლაშიანმა, სადგურის დირექტორი რომ არის, მაგარი ფული იშოვნა, ახლახან რუსეთში პორტვეინი გაიტანა. შენ არ დაგიჭერს, თანაც, ხომ იცი, შენთან კურკური უნდა. პატარა თვალი ჩაუკარი, გაეარშიყე და გათავებულია საქმე, – მრავლისმთქმელი ღიმილით უთხრა.

– ვცადო? – ეშმაკურად იკითხა ქსენიამ.

– ეცადე, ეცადე, არაფერი არ დაიშურო, – წააქეზა მეუღლემ.

– მაშინ საღამოზე წავალ.

ტიმოთე ლაშიანს, ძველ მომხვეჭელს და კომბინატორს ახლა მთლად გაეშალა თავისი შესაძლებლობები. მეღვინეებთან შეკრულს დატაცებული პორტვეინი რუსეთში გაჰქონდა და დიდ ფულს შოულობდა.

ქსენიამ შებინდებისას დააკაკუნა ტიმოთეს ალაყაფის კარებზე.

– ვინ არის? – ტიმოთე აივანზე გადმოდგა.

– მე ვარ, ტიმოთე, ქსენია! – სტუმარმა ნაზად დაუქნია ხელი.

მასპინძელმა სწრაფად ჩამოირბინა კიბეზე, სტუმარს კარი გაუღო და მხიარულად დაიძახა: – ქსენი, მოდი გენაცვალე, რას გაურჯიხარ? – ხელი მოხვია და ასე ჩახუტებული სახლში შეიყვანა. – ვახ, რა გამახარე, „კაკრას“ მარტო ვიყავ, მოვიწყინე, რა ათიანზე ტუზივით დამეცი! – აკოცა და ტახტზე დასვა.

– გამიჭირდა, ტიმოთე. შენთან სათხოვრად მოვედი, ვიცი, კაი ვაჟკაცი ხარ, ჩემისთანა გოგოს უარს არ ეტყვი, – ვნებიანი ღიმილი შეაგება მისკენ მასპინძლის ცოფიან ლტოლვას.

– სათხოვარი მე მაქვს, შენ კი ყველაფერს შეგისრულებ, ჩემო ოქრო, – მოეხვია და კოცნა დაუწყო.

– გაჩერდი, ტიმოთე, ხომ იცი, ქოროღლი როგორი ეჭვიანი მყავს, – ნაზად მიაჭირა მკერდზე ხელი და განზე გაიწია.

– ვა, ქოროღლი ვიღაა, ეგ სადაური კურო გიშოვნია, აქაურებს წუნობ? – ტიმოთემ თითი დაუქნია.

– კურო რას ჰქვია, ჩემი ქმარია.

– შენი ქმარი კურტანა რომ არის, ვიცი, თუ ქოროღლიც გყავს, რატო აქამდე არ დაგაჭრა თავი, – ტიმოთე ახარხარდა.

– ქოროღლი კურტანას ნათლობის სახელია.

– ვახ, კურტანა და ქოროღლი?! გარშოკის ტყვეს შეხედეთ, რა სახელი დაუსაჭურისებია! – ტიმოთე სიცილით გადაფიჩინდა.

– შენ კურტანას ეგრე ნუ უყურებ, თუ გაბრაზდა...

–რას იზამს, შენს მაგივრად თვითონ გადაიკუზება?

– კარგი რა, ტიმოთე, რაებს კადრულობ, მე შენგან დახმარებას ველოდი...

– რას ელოდები, აღარ იტყვი?

– სასწრაფოდ ასი ათასი მანეთი მჭირდება, ერთ თვეში დაგიბრუნებ, თურქეთში საქონელს გავყიდი და... ქოროღლიმ არ იცის, ვალი რომ ავიღე, თუ გაიგო, მამკლავს. ეს ვალი ჩვენში იყოს, ერთ თვეში დაგიბრუნებ, ჩემს ქალობას გეფიცები! – ქსენიამ ისე გაუღიმა, ტიმოთემ ბუმბულის წონა მიიღო. ამას ქსენიას ქალური შესაძლებლობების გამოცდა მოჰყვა და ვნებისგან განმუხტულმა ტიმოთემ ქსენიას ხელწერილით ასი ათასი მანეთი მიუთვალა, თუმცა, ქსენია ბევრს საყვედურობდა, ხელწერილი რა საკადრისიაო.

კურტანამ ქსენიას ოფლით მონაგრებული ფულით შეძენილი საქონლით ავ-

ტობუსი გაავსო და მასთან ერთად თურქეთს მიაშურა. ერთი თვე გავიდა, მას მეორე და მესამე მოჰყვა, კურტანა ფულს ატრიალებდა და მოგებას მოგებაზე უმატებდა. ქსენია თურქეთში რჩებოდა, ტიმოთეს ემალებოდა. მას კი ფული დასჭირდა, ქსენიას გათქმა არ უნდოდა, ფული რომ ისესხა. კურტანას სხვათა შორის ეკითხებოდა – ქსენია სად არისო. კურტანა კი როგორც ეჭვიანი ქმარი ჯავრობდა, ქსენიასთან შენ რა საქმე გაქვსო.

რვა თვე გავიდა, ქსენია ვერ გამოიჭირა, ახლა უკვე გაცოფებული დარბოდა მის სანახავად.

ერთხელ ქსენია თურქეთიდან ფარულად ჩამოვიდა. საღამო იყო. ბნელდებოდა. ქსენია და კურტანა ოთახში შეყუჟულები გეგმებს აწყობდნენ.

ტიმოთემ გაიგო ქსენიას საიდუმლო ჩამოსვლის ამბავი, უკვე დარწმუნდა, რომ ქსენია ემალებოდა. ახლა სახლთან ჩასაფრებული მის ეზოში გამოსვლას უცდიდა.

– რა მაგრად გავაცურეთ ლაშიანი. ჰგონია, რომ ვალის შესახებ არაფერი ვიცი; ფული კი ვაბრუნოთ და ფული მოვაგებინოთ, – ცბიერი ღიმილით ამბობდა კურტანა, – ცოტა ხანს დარჩი და ისევ გაიპარე.

– დასვენება მინდა, ადამიანო. იქ ყოფნა მომწყინდა. იქაური კაცები ძალიან მაწუხებენ, – მოიწუწუნა ქსენიამ.

– ვინ გაგითამამდება, – იგეთი გაჰკა, რომ! – კურტანა გაბრაზდა.

– ფული ხომ გინდა.

– შენც ფულიანს ნუ გაუბრაზდები.

– ვცდილობ, რაც შემიძლია. ზოგს ისეთს დავაბამ ხოლმე, ფულს მუჭით მჩუქნის. აბა, ამდენ ფულს მარტო ვაჭრობით ვიშოვნიდი?

– მაგარი ხარ, ქსენი, შენნაირი ცოლი უნდა ვაჟკაც კაცს, – შეაქო საყვარელი მეუღლის მცდელობა.

ტიმოთემ ქსენიას გამოჩენას დიდხანს უცადა. შეწუხდა. ქსენია ეზოში არ გამოდიოდა. დაღამდა. მოთმინების ძაფი გაუწყდა. ეზოში შეიპარა და ოთახში შეიხედა, სადაც კურტანა და ქსენია ტკბილად საუბრობდნენ. კარი უცებ შეაღო და გაოცებულ ცოლ-ქმარს თავზე დაადგა.

– ვიშ, ტიმოთე, აქ საიდან გაჩნდი?! – ქსენიამ შიშით მთქნარება ამოაყოლა ნათქვამს.

შეშინებული კურტანა კედელს ბეჭებით მიეყუდა და დაუპატიჟებელ სტუმარს გაფართოებული თვალებით მიაშტერდა. ტვინში კი ქარბორბალა უტრიალებდა, ფიქრობდა, გაცოფებულ ლაშიანს როგორ დასხლტომოდა.

– ქსენი, თქმას არ ვაპირებდი, მაგრამ რაკიღა ეგრე უნამუსოდ მემალები, შენს ქმართან გეტყვი: ჩემი ასი ათასი მანეთი ახლავ უნდა დამიბრუნო, თორე, შენ თუ ფშლიკე ფეხები, ვიღა დაგიჭერს! – ტიმოთემ ამდენი ხნის დაგუბებული ბრაზი ამოაყოლა ნათქვამს.

– რა ვალი, რის ვალი?! – შეიცხადა კურტანამ.

– რა ვიცი ქა, უცხოების მემართა და შენს დაუკითხავად ვესესხე. ამას ვენაცვალე, იგეთი ვაჟკაცია, ერთ-ორ თვეს კიდევ დამაცდის, სანამ რამეს ვიქონიებ, ან იქნებ სულაც აღარ გამამართვას, – ქსენია ამას ვნებიანი ღიმილით ამბობდა.

– რას მაიქონავ, დედაკაცო, ასი ათასი მანეთი როგორ უნდა ვიშოვნოთ, გაგიჟდი?! – აყვირდა კურტანა.

– მაშ, ფულს ვერ იშოვნით, არა? – ტიმოთემ ხმას აუწია.

– ვერა, ტიმოთე, ფული არა გვაქვს და ვერც ვიშოვნით, ძალიან გვიჭირს, –

თავი მოისაწყლა ქსენიამ.

– მაშ, გიჭირთ, არა?

– გვიჭირს, ტიმოთე, ფული ვინ მოგვცა, – ქსენიამ მოიჩივლა.

– მაშინ რას გეტყვი, იცი? – აი, ეს ხომ გაქვს, – ქსენიას საჯდომზე დაარტყა ხელი, – ან ფულს ახლავე გამომიტან, ან ამ დედაკაცს წავიყვან თურქეთში, და სანამ ფულს არ გამისწორებს, გავაქირავებ, გაიგეთ?! – ტიმოთემ ხმას აუწია.

ცოლ-ქმარი დუმდა. ორივე ფიქრებში დაღრმავდა.

კურტანას სახლში ფულით სავსე ტომარა ჰქონდა, მისთვის ასი ათასის გადახდა არაფერი იყო. გადაიხდიდა კიდეც, მუშტის ქნევით მარტო ფული რომ მოეთხოვა, მაგრამ ეს რა კარგი გამოსავალი ნახა, გზა თვითონ ტიმოთემ ასწავლა; ქსენიას თურქეთში წავიყვან და გავაქირავებო. ფული მუქთად დარჩება. ქსენიას კი თურქეთის გამოცდილება აქვს, ერთ თვეში ვალსაც მოიშორებს და თვითონაც კარგა ფულს დააგროვებს.

„ფულს კი არა, ჭირს მივცემ, მაგანაც შამაშინა რაღა, ფულს იქით დავცინცქლი", – ფიქრობდა ქსენია.

ერთმანეთს შეხედეს, უსიტყვოდ მიხვდნენ, რასაც ფიქრობდნენ და ერთხმად აწუწუნდნენ:

– ტიმოთე, გვაპატიე, ცოდონი ვართ, ვითომ მათხოვრისთვის გიჩუქნია. შენისთანა ვაჟკაცი ასი ათასი მანეთისთვის პირს არ შეირცხვენს.

– პირს მე შევირცხვენ? ჩემსას ვთხოულობ, თქვენსას ხომ არა. ახლა მეტი ლაი-ლაი არ იყოს ან ფული მამითვალეთ, ან ქსენია ერთი თვით მიმყავს გასტროლებზე! – ტიმოთე ქსენიას წაეპოტინა.

– მიშველე ქოროღლი! წაყვანას მიპირებს კაცო! – ქსენიამ მრავლისმეტყველი თვალები მიაპყრო კურტანას. ის კი თავჩაქინდრული იჯდა და ხმის ამოღებას არ აპირებდა. აშკარა იყო, ფულის მიცემას, ქსენიას გაქირავება ერჩივნა.

– რა ვქნა, არც მაქვს და ვერც ვიშოვნი, – ამოილუღლუღა.

– ადე, ადე, წამომყე. მაგას ნამუსი არ აწუხებს, თუ დასჭირდა, თვითონ გააქირავებს საჯდომს, – ტიმოთემ ქსენიას ხელი წაავლო და კარებისკენ გააქანა.

– მაიცა, ტიმოთე, ეგრე უცებ რაა. ერთ-ორ დღეში მე თვითონ წამოგყვები, უარს ხომ არ ვამბობ; მეც ხომ მინდა მომზადება, – ქსენია საქმიანად ალაპარაკდა.

– წამო, ახლა გამომყე. ამაღამ ისევ მოგიყვან. ქოროღლი, ორიოდ საათით წავიყვან ქსენიას, ვალის ნაწილში გამოგიბრი, – დამცინავად უთხრა და ქალი კარებისკენ წაიყვანა.

– დროზე მოდი, ქსენი, – ჩაილუღლუღა კურტანამ.

– თფუჰ შენი! – ტიმოთემ მიაფურთხა და ქსენიასთან ერთად კარები გაიხურა.

კურტანამ შვებით ამოისუნთქა.

გარეთ მოღრუბლული, ბნელი ღამე თავის გაუვალ, ყორნისფერ სიბნელეს თვალებზე აბჯენდა მის ბრჭყალებში მოხვედრილ კაცს. ასანთის სუსტ სინათლეს უჭირდა ჩაბნელებული შავი ფარდის გარღვევა.

– ვაი, რა ბნელა! – ქსენია შეწუხდა.

– მართლა, ძალიან ბნელა, შენი გამოცილება გამიჭირდება. მოდი აქ, – იქვე კურტანას მარანში შეიყვანა, ხელის ფათურით ტახტი მოძებნა, დააწვინა და ალერსის ცერემონია ჩაუტარა.

ორ დღეში მოემზადე, გამოგივლი და თურქეთში წავიდეთ, – ტიმოთემ ქსენია ადგილზე დატოვა.

– გევემზადები, შენ გენაცვალოს ქსენია, – გახარებულმა ქალმა მადლობა გადაუხადა და ალაყაფის კარამდე მიაცილა.

კიბეზე რომ ადიოდა, კურტანა მაშინ გამობრძანდა აივანზე, გაუვალ სიბნელეს გახედა და უზრუნველად გაიზმორა. კიბეზე ფეხის ხმა მოესმა.

– ვინ  მოდის, – შემკრთალმა წამოიძახა.

– მე ვარ, ქოროღლი, ნუ გეშინია! – მიიღო პასუხი. აივანზე ავიდა, ქმარს კმაყოფილებით გაუღიმა და დაუმატა: – ყველაფერი კარგად მოვაგვარე, ერთ დღეში მოვა და თურქეთში წავალთ. მალე ვალი გასტუმრებული იქნება, როგორია?

– ცარიელი შანსი ხარ, ქსენი, ცოლიც ეგეთი უნდა! – კურტანამ ტაში შემოჰკრა.

ორი დღის შემდეგ ტიმოთემ ქსენია თურქეთში წაიყვანა  საბეგარო სამუშაოზე, როგორც ის ამბობდა. კურტანა კი დატვირთული ავტობუსით გაჰყვა თურქეთისკენ მიმავალ ერთგულ ცოლს.

ტიმოთე ლაშიანს კიდევ რამდენიმე ქალი ეშოვნა და თურქეთში სუტენიორობდა. კურტანამ ორჯერ მოინახულა თავისი გაქირავებული ცოლი, მაგრამ ლაშიანმა იმასთან ალერსის უფლება არ მისცა, ფული გადაიხადეო. კურტანა რა ფულის გადამხდელი იყო. მუქთად არც ქსენიამ ისურვა. ისედაც ამდენი კაცების ქვეშ გორაობით დავიღალე, ერთი ვალი მოვიხადოთ და მერე სულ ერთად არ ვიქნებითო, დაამშვიდა და ახალ კლიენტს ტანის ნაზი რხევით გაჰყვა.

ბოლოს ტიმოთეს მოსწყინდა თურქეთში ქალებით ჩალიჩი. ვინც დარჩენა ისურვა, სხვა სუტენიორს გადააბარა. ქსენიამ კი თავის კურტანას მიაკითხა და გახარებული ქმართან ერთად შეუდგა ვაჭრობას.

ერთ დროს ამაყი, თავმოყვარე, კაცთმოყვარე და სტუმართმოყვარე ქვეყნის გალაღებული შვილები  ნელ-ნელა ეშვებოდნენ სიღატაკის, განუკითხაობის, ძარცვა-რბევის და ადამიანის გაპირუტყვების ჭაობში. ძნელია ამის შეგუება, მაგრამ უფრო ძნელია, როცა ადამიანური, უზრუნველი, ბედნიერი ცხოვრების მოშლის შემდეგ მოხვდები უბედურებაში, სადაც კურტანას მსგავსი პარაზიტები დაპატრონებიან ქვეყნის ავ-კარგს.

კურტანა თავადივით გადმომდგარიყო აივანზე. ქსენია ეზოში დადიოდა და დაქირავებულ მეზობლებს უკმაყოფილოდ ებუზღუნებოდა. მთელი სოფლის მიწები მათ აელოთ. გაღატაკებული  თანასოფლელები კი გროშებად დაექირავებინათ, ლუკმა-პურის შოვნის იმედით მონურად ამუშავებდნენ.

ეღიმებოდა კურტანას, როგორ დროულად აქირავებდა ქსენიას ქალურ შესაძლებლობებს. მერე რა, ახლა ხომ არის თავადივით  მოწყობილი, ახლა ხომ ასწავლის სხვებს მორალს, პატიოსნებას, სინდისს და კაცურკაცობას.

რა კარგი დრო მოვიდა, რა ბედნიერი წუთები აპურებენ კურტანას მურისფერ სინდისს. ახლა ყველას თვითონ კარნახობს თავის იდეებს, ახლა კურტანა გახდა სინდის-ნამუსის ეტალონი, დიდი ქველმოქმედი და ჰუმანისტი, მართლმორწმუნე და ღვთისმოშიში. მისთვის მიუწვდომელი აღარაფერია. ახლა პარლამენტის დეპუტატობაც მოისურვა. თუმცა, მას კი არ გახსენებია, ძლიერი პარტიის წარმომადგენლებმა თვითონ მიაკითხეს, ივაჭრეს მისი პარტიულ სიაში შეყვანა რა დაჯდებოდა. კურტანამაც გაიღო თანხა და ახლა პარლამენტის დეპუტატია, მას ჭკუას ეკითხებიან და სახელმწიფოებრივ  მნიშვნელობის საკითხის გადაჭრაში კურტანა თავის სიტყვას ამბობს. ცდილობს ხალხს დაანახოს, ქვეყნისთვის როგორი თავდადებულია; იცის, სად  გამოაჩინოს თავისი  შესაძლებლობა. გაღატაკებულ, დამშეულ უიმედო თანამემამულეთათვის ერთი გროშიც არ ემეტება. ლუკმა პურს არ გაიმეტებს შიმშილით დაკნინებული ბავშვისთვის, არც არავის

მიეხმარება სიცოცხლის გადასარჩენად წამალი რომ იშოვოს. სამაგიეროდ, ქვეყანა შეიძრა, კურტანა ეკლესიას აშენებსო, დიახ, კურტანამ ეკლესიის აშენება გადაწყვიტა თავისი სახელის უკვდავსაყოფად. მერე რა, მრევლს შიმშილით სული რომ სძვრება და მისთვის ლვარძლის მეტი არაფერი ემეტება. მერე რა, რომ დიდი სანთელი მარჯვენა ხელში უჭირავს. პირჯვარს კიდევ მარცხენა ხელით იწერს; მთავარი ღირსეული სახელის უკვდავყოფაა.

მრევლის ჯავრი სულაც არა აქვს. მხოლოდ უფალმა იცის, გადაურჩება თუ არა საშინელ უბედურებას უძველესი ცივილიზაციის მქონე ერი. ეს იმიტომაც ხდება, რომ ამ განუკითხაობაში კურტანასა და მის მსგავსებს შერჩათ ხელში ქვეყნის ავ-კარგზე, სინდის-ნამუსზე ზრუნვის სადავეები.

## კახელები ხარხარებენ

**ადამიანი** თურმე ორ შემთხვევაში იცინის ალალად; პირველი, როცა ნამდვილად უხარია და სიცილი მის სამხიარულო განწყობილებას აგვირისტებს, არის კიდევ მეორე, სრულიად საპირისპირო გრძნობა, როცა ადამიანი თავის სავალალო, მძიმე მდგომარეობიდან გამოსასვლელად ხავსსაც რომ ვერ პოულობს მოსაჭიდებლად. რაღა რჩება ამ დროს? მხოლოდ ერთი – სიცილი და იცინის ადამიანი, რომელსაც უკვე ამოწურული აქვს ყველა შესაძლებლობა ამქვეყნიურ უკულმართობასთან შეჭიდებისა.

კახელები კი როგორ არ იხარხარებდნენ, შაჰ-აბასის დარბევა ამასთან ხილი იყო.

დაუსაქმებლად, უყურადღებოდ, უიმედოდ და უმომავლოდ დარჩენილი ადამიანები, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, მოპარვაზე და ქურდობაზე გადავიდა... საბუდარიდან კრუხს აქრობდნენ და ახლადგამომცხვარ პურს თონიდან მანამდე იპარავდნენ, სანამ მოხდიდნენ...

თურმე ერთხელ მეფე ერეკლე დაღონებულ გლეხს შეხვდა.

– რამ დაგაღონა? – ჰკითხა.

– მდელოზე წამოვწექ, დაღლილს ჩამძინებოდა, საბალახოდ გაშვებული ცხენი კი მომპარეს.

– შე კაი კაცო, ცხენი საბალახოდ გაუშვი და რამ დაგაძინა!

– მე მეგონა, რომ შენ ფხიზლობდი, მეფევ ბატონო, თორე არ დავიძინებდი, – უპასუხა გლეხმა.

წარმოსადგენია, რა დონეზე შერცხვებოდა ერეკლეს, რომელიც ყველა ქართველის ტკივილით და სიხარულით ცოცხლობდა.

ედუარდ პრეზიდენტს ხომ ვერ ჰკითხავდა კახელი, რაიმეს დაკარგვაზე. იმხელა დაცვა დაჰყვებოდა, გლეხის კრუხის და პურის დაკარგვაზე სად ეცალა.

ახლა იმ ცხენის დამკარგავ გლეხს პრეზიდენტი ედუარდ ბატონის მსგავსი ერეკლე რომ შეხვედროდა, დაცვაში ან ჯავშანში ჩამჯდარი, ხომ ველარ ეტყოდა, შენი იმედი მქონდა, თორე რა ჩამაძინებდაო. მაშინვე თავში შემოირტყამდა ხელს, ღმერთო! ეს რა დღეში ყოფილა ჩვენი მეფე, ვიღაცას შაუშინებია, შელოცვა უნდა ნამდვილადო. ცხენი მაინც არ დამეკარგა, დასაცავად მეც გამოგყვებოდიო. როგორი დასანახი იქნებოდა მაშინდელი საქართველო, უამრავი მტერი და ავაზაკი რომ მოსდგომია. მთელი ხალხი კიდევ ერეკლეს დასდევს დასაცავად. ისეთი სასაცილო მაინც რა იქნებოდა, როგორც ედუარდის დროინდელი.

...სამხრეთისაკენ ჩაცურებული მზე დაფლეთილი ღრუბლებიდან დროგამოშ-

ვებით გამოხედვას ახერხებდა, მაინც ვერაფერს აკლებდა განებივრებულ ყინულის ბრჭყალს. გვარიანად ციოდა. სახლების ბუხრებიდან ამოსული კვამლი სუსტ ნიავზე მლიქვნელის წელივით იდრიკებოდა. უბნის ახალგაზრდები თავშეყრის ადგილზე ყაყანებდნენ. ზოგი იქვე ძელ სკამზე ჩამომჯდარიყო და უიმედობით გალეულ გულს ფიქრებით კორტნიდა. ვერაგმა ცხოვრებამ მიზნის უქონლობა, გაუვალი ჭაობივით მახრჩობელა უმუშევრობა, ოკეანის ტალღის მსგავსად ყალყზე შემდგარი, უნაპირო გაჭირვება, განუკითხაობის არარაობაში ფართხალი რომ დაანათლა.

კულტურის პარკი აღარ მუშაობდა. კოტე უმუშევრად დარჩა, როგორც ყველა. ამ გაჭირვებულ ცხოვრებას თავის გადარჩენის ინსტინქტით მიჰყვებოდა. ბრძოლის ჟინს კი არ კარგავდა. მეგობრებთან ერთად არსებობას ჯერ კიდევ ახერხებდა. ახლა უბნის კაცების თავშეყრის ადგილას გავიდა სასაუბროდ. ამ დროს ერთი გამოჩნდა სიცილით და ხელების ქნევით.

– რა გახარხარებს, დათავ, რაიმე ახალი უბედურება ხომ არ დაგვატყდა თავს?! – მიაძახეს.

– გაიგეთ? პრეზიდენტმა თქვა, კიდევ გაუძელით და სამოთხეში გაცხოვრებთო, – დათა ახარხარდა.

– მაგას იგეთი ტყუილის გუდა ჰკიდია, სამოთხის იქით რომ სამოთხეა, იმის შეპირებაც არ შერცხვება. შასრულება უზამს ძალას თუ რა. მაინც როდისო?

– პრეზიდენტობის ბოლომდე გაცხოვრებთო.

– მეც ვიცხოვრებო?

– ჰო.

– ეგ რაღას აგვეკიდა უპატრონო დეკეულივით. ახლა რომ ცხოვრობს, ის სამოთხე არ არის?!

– დენიც გვექნება, გაზიცაო და დასალევი წყალიცაო.

– არც მაგას აქვს დენი, გაზი და წყალი?

– ვახა, ხა! რა დღეში ყოფილა კაცო!

– კიდევ რაო, დათავ?

– კიდევ ისაო, რომა ევროპაში შაგიყვანეთ. ეს ჩემი დიდი დამსახურებააო, მალე ნატო-შიც შაგიყვანთო.

– ბიჭო, ევროპაში და მთელს ქვეყნიერებაზე ჩვენი გაუბედურებული ახალგაზრდების გაწამაწიით გაგვიცნეს. ნატოშიც კიდევ ვის მიიღებენ, არ უთქვია? როგორც ცალ-ცალკე ვართ, იქაც ხომ ეგრე ნაწილ-ნაწილ არ გვიპირებს შერეკვას?

– გურიის გუბერნიიდან დაიწყოს, კახელები ცოტა ქვემოთ ვართ.

– გურულები განა ჩვენსავით ბითურები არიან, ეგრე დაუკითხავად როგორც უნდა გარეკ-გამორეკოს.

– დადგეს შვილოსა, თორე ეგე ხარხარსაც მოვრჩებით და მერე ნახოს კახელების გარეკ-გამორეკა სად მიიყვანს!

– კიდევ რაო?

– აბრეშუმის გზა გვექნებაო.

– აბრეშუმის და თუთის ხე გააქრო. გზაზე რის დაფენას აპირებს?

– დღევანდელ მინგრეულ-მონგრეულ გზაზე რომ გითხრას, აბრეშუმისააო, შერცხვება თუ რა.

– ხა! ხა! აბრეშუმისად ჩაგვალანდებს?

– კიდევ ისა, რომა დერეფანში გაცხოვრებთო.

– ეგ როგორიღაა?

– აგერ კოლექტივის დანგრეული კანტორის დერეფანში სირანა რო გდია, ვისაც მოუნდება იმისია, ეგ არის დერეფანში ცხოვრება.

– დათავ, იმ შენი რადიოდან ვერ გააგონებ, ჩვენი რა მტრობა მოგაგონდება ან რა დაგიშავეთ, ეგრე რომ გძულს ჩვენი თავი-თქო?

– მაიცათ, ნავთობის ტრუბა დამავიწყდა, ეტყოდა, ეგ ტრუბა გაეჭედა. ადრე ძალიან ტრაბახობდა შირაქის და ტარიბანის ნავთობით, ახლა, ვატყობ, იმ ტრუბაში ჩვენ გვიპირებს გაძრომას.

– რა, ტრუბაში გამძვრალები არა ვართ?

– მარტო ჩვენ კი არა, მთელი საქართველო გააძვრინა.

– დაცვა არ დაავიწყდეს.

– აფსუს, ბიჭო, რაც რუსეთთან ურთიერთობა გვქონდა, რასაც ეგ ჩადის, გვეკადრება?

– აქ რას ამბობ, წადი და იმას მაახსენე, სამოთხის შეპირებით ჯოჯოხეთში რომ მიგვაგრიალებს.

– ვუთხრა, თორე მაშინვე გაიგებს. ეგ არ იყო მზე რუსეთიდან რო ამოყავდა. იგეთი რა უნდა ვუთხრა, რომ ის გადაძალოს, რაც რუსეთის ლანძღვით დაპირდნენ!

– რას შაპირდნენ?

– ეშმაკსა და ქაჯს!

– მა ჭკვიანი არავინ გამოჩნდება?

– ჭკვიანს რას გაახარებს, ბოლოს მოუღებს. მაგას უტვინო ღორმუცელა მონები აწყობს, ფოჩიანი კუდები რომ აქვთ.

– ნეტა როდემდის უნდა იჯდეს ჩვენი დარბევის ტახტზე?

– ხალხი ვარაუდით დადის. ამ გამოხრულ გუბერნიებშიც მსგავსი ღორმუცელები სხედან; ყველა თავისას აწვება. ჩვენ, კახელებს კიდევ ბოჩოლებივით წაგვიხრია თავი. ეგაც აიღებს იმ ცოდვიან ტახტს და თელავში ჩამოჯდება. ოღონდ პრეზიდენტი ერქვას. გინდა თბილისში მჯდარა, გინდა თელავში და გინდა იორმუღანლოში.

– ძეგლსაც ერეკლეს გვერდით დაუდგამენ.

– ერეკლე ცხენზე ზის, ეგ რაზე უნდა შეჯდეს?

– ნავთობის ტრუბაზე, შიგ სატანა რომ დაფრინავს.

– ერეკლე ცოდო არ არი?

– ცოდო ჩვენა ვართ, სატანის ტრუბაზე ამხედრებულ პრეზიდენტს ხარხარით რომ მივყვებით.

ოხუნჯობდნენ, იცინოდნენ, ხარხარებდნენ კახელები იმ წყალწაღებულის იმედით, ხავსიც რომ ვერ მოუძებნიათ, რომ მოეჭიდონ.

– არ გაგატანთ, არ გამოვუშვებ! – ორღობის ბოლოში ქალი აწივლდა. – ქმარი საავადმყოფოში მომიკლეს, სასწრაფო ოპერაცია უფულობის გამო არ გაუკეთეს. ბიჭს პოლიციამ ფული წაართვა, რომ არ დაეჭირათ, ამ ველურების ქვეყნის დასაცავად ჩემს შვილს არ გავუშვებ!

მთელი უბანი იმ სახლთან შექუჩდა. ტრაგედიას და უგულობას რა დათვლის, რაც დამოუკიდებელ საქართველოს ბედკრულ შვილებს თავს დაატყდათ, რომელიც ამ ოჯახსაც ეწვია: მამა-შვილი ტყეში წავიდნენ შეშის დასამზადებლად. მუშაობის დროს მამას მუცელი ასტკივდა. შვილმა ზურგზე აიკიდა და ვაივაგლახით საავადმყოფომდე მიიყვანა. ნაწლავების გადახლართვა დაუდგინეს

და ოპერაციისთვის რვაასი ლარი მოსთხოვეს. ბიჭი ბევრს ეხვეწათ, ფული არ მაქვს, ვიშოვი და მოგიტანთო. არ ქნეს, ფული წინასწარ მოითხოვეს. ბიჭი სახლში გაიქცა, ღორებს გავყიდიო, ორივე ღორი მოპარული დახვდა. ისევ საავადმყოფოში მიბრუნდა, ეხვეწათ, ოპერაცია გაუკეთეთ, ფულს სანამ ვისესხებო. არ ქნეს. ბიჭი და მისი დედა უბანში გავიდნენ ფულის სასესხებლად, ორასი ლარი ძლივს მოაგროვეს. ბოლოს დელეგაცია სოფლის ფულიან კაცს, კურტანას მიადგა, ერთი ლარიც ვერ დააღწიეს, ეკლესიის ასაშენებლად მინდაო. სოფლელები საავადმყოფოში წავიდნენ ოპერაციის ჩატარების სათხოვნელად, მაგრამ დაგვიანდა და კაცი გარდაიცვალა. გაცოფებულმა ბიჭმა ექიმები ლანძღვაგინებით აიკლო. პოლიცია გამოიძახეს. ბიჭი დააპატიმრეს და მის გასანთავისუფლებად ორი იმდენი მოითხოვეს, რაც ოპერაციას სჭირდებოდა. გაიმართა ვაჭრობა. სოფლელებმა ორასი ლარი კიდევ მოაგროვეს და დიდი დავიდარაბის შემდეგ ოთხას ლარად ბიჭი დაიხსნეს. ახლა სამხედრო კომისარიატიდან მიადგნენ ან ფული მოგვეცით, ან ჯარში უნდა წავიყვანოთო.

– დაიმალეთ, ჯარში არ წაგიყვანონ! – ორღობეში ჯოხის ცხენზე გადამჯდარი პატარა ბიჭი დარბოდა და ახალგაზრდებს აფრთხილებდა.

სამხედრო კომისარიატის ოთხი თანამშრომელი ეზოში შეღწევას ცდილობდა. ქალმა კეტს წამოავლო ხელი.

– ჭიშკარს არ გადმოაბიჯოთ, თორემ თავებს დაგიხეთქამთ! – ისტერიკამდე მისული ყვიროდა. – სადა გყავთ ჯარი, სად უპირებთ ჩემს შვილს წაყვანას?! შიმშილით რომ სული გვძვრება, ქმარი რომ ძალათ მომიკლეს, ბიჭი პოლიციამ გაძარცვა, სად იყო მაშინ ჯარი?!

– დამოუკიდებელ სამშობლოს დაცვა სჭირდება, შენმა შვილმა თავისი ვალი უნდა მოიხადოს, – აუხსნეს მომხდურებმა.

– სადა გვაქვს სამშობლო? ძაღლებივით რომ დაგვსევია ყველა, სად არის ის დამოუკიდებლობა? – წიწინებდა კეტშემართული ქალი.

– ძალით წავიყვანთ და მით უფრო უარესი მაგისთვის. ისეთ ნაწილში მოხვდება, თავ-ბედი იწყევლოს! – დაემუქრნენ.

კოტე შეჯგუფებულ მეზობლებს გამოეყო და მომხდურებს მიმართა: – ვინ გაღირსათ ისეთი ნაწილი, თავის ბედს რომ ლოცავენ! თუ ახალგაზრდების შიმშილით ამოწყვეტა გაქვთ დავალებული, იმ თქვენს უფროსს მოახსენეთ, ძალიან თუ არ ეჩქარება, შიმშილით ისედაც გაწყდებიან-თქო.

– ამ გადარეულ ქალს შენი გაღიზიანებაღა აკლია? ხომ ხედავ, ძუ ლომივით გვიტევს! – შეედავნენ მომხდურნი.

– შემოგიტევთ აბა რა, ქვრივ-ოხერს ერთადერთ შვილს სტაცებთ უბედურების ხახაში შესაგდებად და ცოცხალი თავით რას დაგითმობთ.

– თუ ასე გაჯიუტდება, პოლიციას გადავცემთ და დააპატიმრებენ.

ერთმა მოხუცმა კაცმა ველარ მოითმინა და კამათში ჩაება:

– ბიჭო, ვერ ხედავთ, რომ ხალხს სიცოცხლე შეაძულეთ, გამრავლებული და გალაღებული ქართველები დააბეჩავეთ, ქვეყანა გაანახევრეთ, ხალხი დააჩიავეთ; რა გინდათ, შვილოსა, რომელ ეშმაკს შეეკარით?!

მას მეორე შეეშველა: – იგეთ ქვეყანას მივაფურთხე, კაცს ჯარში წასვლას ციხეში ჯდომა რომ ურჩევნია!

– ამათი ციხეც ჯარივით ჯოჯოხეთია, მაგრამ არის ჯოჯოხეთი და ჯოჯოხეთის ჯოჯოხეთი.

– ჩვენი ცხოვრება ჯოჯოხეთი არ არის? – აყაყანდა ხალხი.

კომისარიატელებმა უკან დაიხიეს. ჯოხშემართულმა ქალმა ალაყაფის კარები წყევლა-კრულვით დახურა და ხალხს შეერია.

– გაგონილა, ხალხო, ჯარში ქვრივ-ოხრების, ბეჩავების, ღარიბ-ღატაკების, ამ ცხოვრების მიერ გარიყულთა შვილები მიჰყავთ მარტო. ღატრაცუნათა არმიამ უნდა დაიცვას ქვეყნის წურბელების, ქართველი ხალხის ძარცვით გასუქებულთა სიმშვიდე?! – ყვიროდა ქალი და დანარჩენებიც ასდევდნენ.

– ვინც მდიდარია, თანამდებობით და ხალხის ძარცვით ფული იშოვნა, იმის შვილს ჯარი არ ეკადრება. რადგან სამუშაო არა გვაქვს, გვშია, გვწყურია, გაჭირვებისაგან სიცოცხლე მოგვძულებია, ჯარში რომ წავიდეთ, იქაც შიმშილი გვიცდის. ხედავთ, ამ ხელისუფლებას, ყველაფერი თავისთვის რომ უნდა, ჩვენთვის კიდევ სიკვდილის და უბედურების მეტი არაფერი ემეტება! – ამ უსასრულო ყაყანში ერთი ქალი ყველაზე ხმამაღლა გაჰყვიროდა.

ამასობაში მომხდურები ახალგაზრდებს აკვირდებოდნენ.

– ისინი არიან? – იკითხა ერთმა.

მეორემ დავთარი გადაშალა და სიაში ოთხი აღნიშვნა გააკეთა.

– ახლავე უნდა წავიყვანოთ! – ერთმანეთს ანიშნეს და ორ ახალგაზრდას ხელი სტაცეს. ორი გაფრთხა და მოშორებით გაჩერდა.

დაჭერილები გაუძალიანდნენ. ძიძგილი გაიმართა.

მხცოვანი გლეხი კომისარიატელთან მივიდა.

– შვილო, – დინჯად დაიწყო, – ეგრე მუშტი-კრივით და ცემა-ტყეპით წაყვანილმა კაცებმა უნდა დაიცვან საქართველო? თუ არადა, იგეთი რა საფრთხობელა გიზით იმ არმიაში, რომ იქიდან ფხაჭა-გლეჯით გამორბიან. სამამულო ომი რო დაიწყო, კომისარიატი მოხალისეებს ვერ აუდიოდა, ომში წამსვლელთა იმხელა რიგები იდგა. თქვენ რა ჭირის დღე შეყარეთ ამ ქვეყანას, რომ ჯარიდან კი არა, ხალხი საქართველოდანაც თავქუდმოგლეჯილი გარბის.

– ამათ რას ედავები, – საუბარში სხვა გლეხი ჩაერია, – თავიანთი კომისარივით სამსახური აქვთ და ხელფასი არა. აი, იგრე, როგორც პოლიციაში. ჰოდა, რა ქნან? ესენიც დაძრწიან სოფელ-სოფელ, აქაოდა, გაწვევააო, ცრუსა და მავნეს დასდევენ. ცდილობენ, ვინმე იგეთი გამაიჭირონ, ფულს რომ გაიღებს. ღატაკსა და უბედურს, კიდევ ჯარში გაგზავნიან საჯიჯგნად. ახლა იქ ოფიცრები ეუბნებიან, აქ მშივრები რას უყრიხართ, წადით სახლში, საჭმელი ჩამოიტანეთ, ჩვენც გვაჭამეთ და თქვენცა ჭამეთო. მეორე ვარიანტიც აქვთ, სულ გამოუშვებენ, ოღონდ ყოველთვე 50-დან 150-მდე ლარი უნდა ჩაიტანონ, გააჩნია, სად მოხვდებიან.

– ვახ, კაცო, ეს რა მაგარი პრეზიდენტი შემოგვიგდეს, სადაც ომი დაიწყო, უკან გამოქცევაში რეკორდი დაამყარა. ახლა იგეთი ჯარი მოიგონა, პირველყოფილი ადამიანების წინ ცხოვრება რომ იყო, ამათ არ დაესიზმრებოდათ ეგეთი აბდაუბდა. ამნაირი ჯარით უნდა დავიბრუნოთ დაკარგული მიწები?!

– დავიბრუნოთ კი არა, ჩვენც თითქმის უკვე გაგვაჩუქა, ახლა სხვა ექნება რიგში ჩაყენებული.

– რას ემახიან, ჰო, პრივატიზაციააო, ხალხის ქონებას რო იტაცებენ ჩვენი მაცოცხლებელი წყალსადენის მილებივით. ეს პრეზიდენტი, ეტყობა, პრივატიზაციას უკეთებს მთელ საქართველოს. გაუმაძღრობის ბაცილა აქვს შეყრილი. მაგას ნორმალური ჯარი რად უნდა, ისეთი დაცვით დადის, ამ გაღატაკებულ საქართველოს მისი ამალის სეირნობა გაუჭირდება.

– ესენი როგორ არიან, – იცი? – ხორცი ჩვენ, ტყავი – თქვენაო.

– ძვალიც რომ აღარ ემეტებათ. ეგ არის მთავარი.

– ერთი გლეხი მოძიძგილე კომისარიატელთან მივიდა.

– თქვენს ჯარში პრეზიდენტის, მისი კუდქიცინა ლაქიების, მინისტრებისა და მდიდრების შვილები თუ არიან? – ჰკითხა.

– იმათ საბუთი აქვთ, – მიიღო პასუხი.

– საბუთიც იმათია და ქვეყნის უბედურებით ნაშოვნი ქონებაც. ხალხისგან ეგრე გამიჯვნით და თავიანთთვის სქელ ნაჭუჭში დაგროვილი ქონებით რაც მოიგონ, არავის გაუყონ, – უთხრა გლეხმა და მოსცილდა.

კომისარიატის თანამშრომლები კი გასაწვევ ახალგაზრდებთან ძიძგილს აგრძელებდნენ. ხალხი ყაყანებდა. რაც იქ ხელისუფლების და პრეზიდენტის „სასახელო" სიტყვა ითქვა, მათ შთამომავლობას ეყოფოდა ცრემლის სადენად და თავში საცემად.

ჯარში გაწვეულთაგან არც ერთი არ ნებდებოდა. მთელი ხელისუფლების გაზულუქებულთა არმია რომ დასხმოდათ თავს, ისინი მაინც ჯარში წამსვლელები არ იყვნენ. არც ფული ჰქონდათ, რომ თავი გამოესყიდათ და გადარჩენილიყვნენ დაბეჩავებულთა, უპატრონოთა, ობოლთა, უმუშევართა არმიაში გაწვევისაგან. არმიაში, რომელიც მხოლოდ სახელი იყო, შინაარსით კი იმ გამოჭედილ კვერებს გავდა, მარტო ნაჭუჭიღა რომ შემორჩა.

კოტე გასაწვევ ახალგაზრდებთან მოძიძგილე კომისარიატელებთან მივიდა, და რისხვაჩამდგარი ტონით უთხრა: – ამ ბიჭებს ხელი გაუშვით! ახლა წადით, საქართველო ქვეყანას რომ დაემსგავსება, სამშობლოს ერთგული ხალხი რომ მოვა ქვეყნის სათავეში, ქართველებში სიყვარული და ერთმანეთის გატანა რომ დაისადგურებს, ქვეყნის მხვრელები რომ ჩამოსცილდებიან მათ მიერვე დასვრილ პოსტებს, თქვენი აქ მოსვლა საჭირო აღარ იქნება. ნამდვილი სამშობლოსთვის სამსახურად ერის შვილს დაძახება რად უნდა. ამ ბალღებს შეეშვით, წადით და თუ რამე შეგიძლიათ იქ, ზევით ნაგვისგან გაწმენდაზე იზრუნეთ.

კომისარიატის მუშაკები მანქანაში სიტყვის უთქმელად ჩასხდნენ.

– ვაი შენ, დამოუკიდებელო საქართველო! ისეთი რა ქვეყნის მაგინებლები გაგიჩნდნენ სათავეში, რომ სამშობლოსთვის ოდითგან თავგანწირულ ქართველს ჯარში წასვლა და თავის ქვეყანაში ცხოვრება შეაძულეს! – ხმამაღლა მოსთქვამდა ჭაღარა ქალი, კაცები კი მკერდზე მჯიღის დარტყმით ოხრავდნენ.

## კაციჭამია ძაღლები

**ედუარდ** მთავარსარდალი აფხაზეთიდან ისე გამოიქცა, საკუთარ ჩრდილს გამოასწრო. ახლა სამეგრელოში შეიჭრა და მისი ადრინდელი დარბევა სისასტიკითა და ძალადობით გაახუნა. ისევ დაგუბდა საქართველოში ქართველის მიერ ქართველთა დაღვრილი სისხლი, ცრემლი და მოთქმა. პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ სამეგრელოს მთებში თავი მოიკლა (თუ მოკლეს!), რასაც აუარებელი ჭორი და მითი აჰყვა. ქართველ კაცს ქართველზე უჭრის ხმალი, რაც არ უნდა დაბლაგვებული იყოს მომხდური მტრის წინააღმდეგ. ახლაც ასე მოხდა, აფხაზეთში დაგროვილი ბოღმა და სირცხვილი სამეგრელოში დაანთხიეს ედუარდ „დიდი პოლიტიკოსის" რაინდებმა. რა გინდა, შვილოსა, რაზე ააწიოკე აფხაზეთის ქართველობა, რაზე მოუსპე ნორმალური ცხოვრება?! დაუქციე სახლ-კარი, ამოუწყვიტე ახლობლები; ტიტველი, მშიერ-მწყურვალი მოთქმის და გაჭირვების ლუკმად აქციე. ვინ გცემდა თავში, თუ შნო და მარიფათი არ გქონდა; ან იქნებ იგრე გაწყობდა ჩვენთვის უხილავი ბოროტების კარნახით.

მის გონზე მოსვლას ცოტა ხანი დასჭირდა. პოლიტიკა შეცვალა, ახლა გაიძახოდა, მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით დავიბრუნებთო აფხაზეთს. თუ ეგრე სჯობდა, ის საშინელი ომობანა რაღაზე გაიმართა?! ვის მოსთხოვოს პასუხი აუარებელი უბედურებისთვის, რაც ომმა მოუტანა საქართველოს? ნუ ინაღვლებთ, დამნაშავის მოსაძებნად ედუარდის მიერ შექმნილი კომისია იმუშავებს.

შევარდნაძემ საქართველოს და ქართველი ხალხის დაკნინება-დაბეჩავება სოციალიზმიდან დაიწყო და კაპიტალიზმში ულებდა ბოლოს. თავის ნატარზე კი ძველებურად ადამიანთა სისხლ-ცრემლად დაღვრილ გოდებას ტოვებდა. არასასურველი ადამიანების მოცილების მეთოდებიც შეიცვალა. ადრე თუ მოსკოვისთვის უნდა მოეხსენებინა, ვის რა დოზით ადინა ძმარი ცხვირიდან, თანაც ისე უნდა მოეკვარახჭინებინა საქმე, რომ იქ მოსწონებოდათ, ეს პატარა უხერხულობას მაინც უქმნიდა მის კაცთმოძულეობის გრძნობას. ახლა თვითონ იყო ყველაფერი: დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტი ერქვა, ისე არიგებდა თავის ხუშტურებზე ორდენებს, რომ ხალხში მისი ორდენომანია მხოლოდ დამცინავ ღიმილს იწვევდა. ღირსების ორდენმა კი ისე დაკარგა ავტორიტეტი, ბევრმა თავმოყვარე ადამიანმა უკანვე მიუგდო, რამეთუ უღირსთა სათრევი გახდა.

ახლა საჭირო აღარ იყო ქრთამის შეთითხნის მანიპულაციებით საძულველ პირთა მოშთობა, ადამიანები თვითონ იკლავდნენ თავს. სხვებს ვიღაც ქილერები კლავდნენ, ვერ გეტყოდნენ, ვინ დაავალათ ან რატომ მოკლეს ეს ადამიანი; ყველაზე უფრო იოლი კი კაცის მოკვლა და საქმის ვერ გახსნა იყო.

ამდენ დაძაბულობაში გამოუვალ მდგომარეობაში მყოფი კაცის თვითმკვლელობა რა გასაკვირია. ასე დაემართა რესპუბლიკური ბანკის მმართველ დემურ ღვალიშვილს, შევარდნაძის კომუნისტობის პერიოდის რჩეულს. ახლა ბანკში რაღაც საეჭვოდ ნიავდებოდა თანხები, მოთმენა აღარ შეიძლებოდა და დაკითხვაზე დაიბარეს.

— აბა, ჩამოფქვი, ამდენი თანხა სად წავიდა?! — გამომძიებელმა კონკრეტულად მოითხოვა ყველა ლარის მისამართი.

იმანაც ამოიღო რვეული და ვისი დავალებით სად რა გაიგზავნა, თუთიყუშივით ჩამოფქვა.

გამომძიებელი დაიბნა, ამის საჯაროდ გაცხადება ყულფში თავის გაყოფის ტოლფასი იყო.

— მე მარტო ეს რვეული არა მაქვს, მეორე ჩემს სეიფშია ჩაკეტილი, — ასე შეაშინა გამომძიებელი, რომელმაც უთხრა, რვეული დამიტოვე და გარეთ დამიცადეო.

საგონებელში ჩავარდნილი გამომძიებელი ამ საქმიდან გამოსავლის მოსაძებნად თავს იტეხდა. ყველა და ყველაფერი კი ღვალიშვილმა იხსნა, რომელიც გარეთ, მოსაცდელში ნერვიულობდა, ეს რა ჩავიდინე, რატომ გამოვაჩინე საიდუმლო რვეულიო. ბოლოს ნერვებმა უმტყუნა და თავში ტყვია დაიხალა. სწორედ ამ დროს დაძახებული იყო გლდანის რაიონის გამგებელი კობა ჯიბლაშვილი. დაიწყო თვითმკვლელობის გამოძიება და მიადგნენ ჯიბლაშვილს, თქვი, რომ დაინახე როგორ მოიკლა თავიო. ხმა გავიგონე, მაგრამ არ დამინახიაო, გაჯიუტდა მოწმის კანდიდატი და შეაგდეს კამერაში, იქნებ ამის შემდეგ მაინც მოახერხოო დანახვა. რვა თვე აყურყუტეს და მაინც დანახვა ვერ ათქმევინეს. ტეტეს ტყვია ჰქონდა მოხვედრილი, მაკაროვის პისტოლეტი ეგდოო ძირს, ყვებოდა კობა ჯიბლაშვილი, რომელსაც სულ მალე გაუსკდა გული. აქ გასაკვირი რა არის, თურმე კაცს თავის მოკვლა თუ უნდა, „მაკაროვის“ პისტოლეტით ზარბაზნის ყუმბარასაც გაისვრის.

ხალხს ისე „გაუთხელდა“ ნერვები, უშიშროების საბჭოს მდივანმა ნუგზარ

საჯაიამ თავის კაბინეტში ტყვია დაიხალა – გაზეთში აუგად რად მომიხსენიესო.

შევარდნაძის ფონდის თავმჯდომარეს სოლიკო ხაბეიშვილს ვიღაც ქილერმა ტყვია დაახალა. აფხაზეთიდან გამოქცევისას ამ მხარის გამგებელი ჟიული შარტავა იქ დარჩათ და სეპარატისტებმა მოკლეს. ერთ-ერთმა მინისტრმა შევარდნაძის წინ ხელფეხშეკრული ახალგაზრდები ავტომატით დაცხრილა. რაც იზამ, ყოველივე ეს გათხელებული ნერვების ბრალია. უამრავი ადამიანები იხოცებოდნენ, მკვლელი კი გაუხსნელი საქმის მიღმა რჩებოდა. დამოუკიდებელი საქართველო კორუმპირებულ არაკაცთა საძარცვავ არენად იქცა. ყველაფერი იყიდებოდა რაღაც სამარცხვინო გარიგებებით. ინგრეოდა და ნადგურდებოდა ფაბრიკა-ქარხნები. საქართველო ფეოდალურ ბატონყმურ სიბნელეში მიძვრებოდა. მოსწრებაზე იყო – ვინ ფეოდალი, კაპიტალისტი, მილიონერი, განცხრომით ცხოვრების უზრუნველობას გამორჩებოდა, ვინ კიდევ ყმის და მონის უღელს ქვეშ დაამთავრებდა ამქვეყნიურ გაწამებულ არსებობას.

საქართველოს პრეზიდენტად ნიღაბშეცვლილი ედუარდ შევარდნაძე სატანის ჯარას ენერგიულად ატრიალებდა ჯუნგლების განუკითხაობაში მრავალჭირგამოვლილი ერის შესაკეტად.

ახლა უკვე ფართო ასპარეზი ჰქონდა ღვარძლისა და ბოროტების დასანთხევად, სოციალიზმის პერიოდში კაპიტალიზმის გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლის მოტივით უამრავ ადამიანს ბალღამის თასი აცლევინა. ახლა კაპიტალიზმის მეხოტბედ იქცა და სოციალიზმის გინებაში გაანიავა სახალხო ქონება... უყურებდა ყოველივე ამას მათე და თავის უძლურობის შეგნება, რომ არ შეეძლო ქვეყნის დაღუპვის გზისკენ სწრაფვის შეჩერება, საშინელ დეპრესიის ბრჭყალებში ახრჩობდა. ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ მეუღლე გარდაეცვალა. ეს კიდევ ერთი მძიმე დარტყმა იყო, რომელმაც საბოლოოდ შეარყია მისი ისედაც გათხელებული ნერვები. გაახსენდებოდა პატიოსან კაცთა დაბეჩავება და არაკაცთა, ავაზაკთა, მუხთალთა, უსახურ-უზნეოთა აღზევება; ნორმალური ცხოვრების მოშლა და მის ნაცვლად ველურ ძალადობაზე, ძარცვაზე, მოტყუებაზე, ძლიერის მიერ სუსტის გათელვა-დამცირებაზე ღრეობა, პირუტყვული ინსტინქტების ადამიანურ გრძნობებზე ზეიმი და იხრჩობოდა, ამ კოშმარიდან თავის დაღწევას ვერ ახერხებდა, რამეთუ მთელი ეს ცხოვრება ერთიანი კოშმარი იყო. ხშირად ახსენდებოდა წარბას ნათქვამი: კოლონიის განცდების შემდეგ ადამიანები მალე იხოცებიანო. მათემ მაინც დიდხანს გაუძლო. ხედავდა ყოველივე ამას ომარი და ძვირფას მეგობარს თავს არ ანებებდა. ალაზნის ჭალაში ყოფნა ავადმყოფობის კაპრიზებს აფერხებდა, თუმცა, დროდადრო საშინელი დეპრესია მაინც იხსენებდა...

მინდვრის გზაზე ორი მანქანა გამოჩნდა. წინა ორმოებს ფრთხილად სცილდებოდა და ვაი-ვაგლახით მიღოღავდა. უკანა თავის სტიქიაში იყო, ორმოებს არ ერიდებოდა, მაგრამ წინას არ უსწრებდა; უკანმავალის მტვერს მორჩილად ყლაპავდა. საქმე იმაში იყო, რომ წინ მიმავალ კურტანას უკან სააგურეს მეპატრონე ტიმოთე მისდევდა. სიტუაცია შეიცვალა, ახლა ტიმოთეს ჰქონდა სახვეწად საქმე, რათა კურტანას აგური მისგან წაეღო ეკლესიის ასაშენებლად. ახლა კურტანად აღარავინ იხსენიებდა, ბატონო ქოროღლი, ასე მიმართავდნენ.

კურტანას ქსენია გვერდით მოესვა, საჭეს უდარდელად ატრიალებდა, ჩასუქებულ-ჩამრგვალებული უპირატესობის გრძნობის ტყვეობაში მიდამოს ამაყად ათვალიერებდა. ტიმოთე თავისი ჯაგლაგით უკან მიჰყვებოდა და ფიქრების ლაბირინთში დაძვრებოდა. ერთ ხანს ძალიან კარგად მიდიოდა მისი საქმე, ფული ბლომად იშოვნა, მაგრამ, ამ შობელძაღლმა ეშმაკამ და მისმა მსგავსებმა მშრალზე დასვეს, ყუაზე გაიყვანეს. სააგურეში ჩამოსხდნენ და ტიმოთეც

ცეკვავდა მათ ხუშტურებზე, რამეთუ სხვა გზა არა ჰქონდა, სააგურეს ნაცარტუტად უქცევდნენ. თუმცა, ბევრი აღარაფერი დააკლეს. თუ კურტანამ ახლა აგური მისგან შეიძინა, იქნებ როგორმე გამოსწორდეს მისი ფინანსური მდგომარეობა. ქსენიამ როგორც იყო, დაიყოლია კურტანა სააგურეში წასასვლელად, თუმცა, ძალიან კარგად იცოდა, კურტანა ეკლესიისთვის კი არა, თავისი კუბოსთვის კაპიკს არ გაიმეტებდა. ისიც იცოდა, რომ კურტანას რაღაც გრანტს შეპირდნენ, რომელსაც კურტანა და მისი მიმცემები გაიყოფდნენ. ეკლესიის ასაშენებლად ტიმოთეს ძვირადღირებულ აგურს კი არა, სადმე დანგრეულ ფერმის მასალას სულ მუქთად გამოიყენებდა.

ტიმოთეს მანქანაში პურმარილი ჰქონდა, ამით კურტანას გულის მოგებას ცდილობდა. კურტანას პურმარილი კი არა, უფლის შუამდგომლობა კაპიკს ვერ გააგდებინებდა. რას იზამ, ტიმოთე წყალს მიჰქონდა და ხავსზე მოჭიდებას ცდილობდა.

ჭალას მიუახლოვდნენ. მარჯვნივ მწვანე, ხასხასა მოლი ირხეოდა სუსტ ნიავზე, იქვე დიდი მუხის ხე იდგა. შორს ცხვრის ფარა ძოვდა.

– რა კარგი ადგილია, ქოროღლი, მოდი, ტიმოთეს პურმარილი აქ გავაშლევინოთ,– აცქმუტდა ქსენია.

– გავაშლევინოთ რა, ამას რა უნდა, – კურტანამ მარჯვნივ თავდაჯერებულად მოუხვია და განმარტოებით მდგარ მუხისკენ წავიდა.

ტიმოთემ მწვანიანზე სუფრა გაშალა. ცივად მოხარშული ქათმები, ბლომად ხაშლამა, ბურვაკის მარილ-წყალში მოხარშული ხორცი, სხვა კიდევ ბევრი რამ და ათლიტრიანი ბოცათი ღვინოც დადგა. ის იყო სუფრას შემოუსხდნენ, რომ ცხვრის ძაღლებმა შენიშნეს, ჯერ ყეფა ატეხეს, მერე კი ექვსი ქოფაკი მათკენ ყეფით გამოექანა. კბილებდაღრჭენილი ძაღლების დანახვაზე კურტანას შიშით გონება წაერთვა. ეს რა ხდება? რა უბრალოდ შეიძლება მოკვდეს უზარმაზარი ქონების მფლობელი კურტანა. ცხვრის ძაღლების ხახაში უნდა დაამთავროს სიცოცხლე? ასე უშნოდ, უცებ უშინაარსოდ გათავდება მისი ამ ქვეყნად ფაფხური. ისე ჩაღებენ კუბოში, როგორც ღლევანდელობით გაღატაკებულ მის თანამემამულეებს. მაშ, რაღა აზრი ჰქონდა ამოდენა ქონების დაგროვებას? და ამ მიზნით ყველანაირ უზნეობის კადრებას? ვინ დააჯდება მის ქონებას? „ნუ წვალობ, კურტან, რაგინდ გრძელი არ უნდა იყოს შენი ამქვეყნად ცოდვილობა, საფლავის ჭიას მაინც ვერ ასცდები“, – შეეხმიანა იდუმალი გამკითხავი და შეშინებული კურტანა სიგიჟის ზღვრამდე მიიყვანა. არა, ის არ მიატოვებს, რაც მოიხვეჭა! უცებ წამოხტა და თავის მანქანისკენ გაიქცა. ძაღლების დაღებული ხახა სულ ახლოს იყო. კარები გამოაღო, შეძვრა შიგ და სასწრაფოდ ჩაკეტა. უცებ ქსენია მიიჭრა მანქანასთან, ეწვალა, კარები ვერ გააღო. ეხვეწა კურტანას, კარი გამიღეო – ვერა, ვერ გაგიღებ, ძაღლები შემომივარდებიან! – ღრიალებდა კურტანა.

ტიმოთე შიშისგან გონებადაბინდულ ქსენიასთან მიიჭრა, სტაცა ხელი და თავის მანქანაში შეტენა. მერე პირველად მოსულ ძაღლს გაღებულ ყბაში ჩექმიანი წიხლი ჩასცხო და თავის მანქანაში შეასწრო. გაბრაზებული ძაღლი კარებს შეაფოფხდა. დანარჩენმა ძაღლებმა გაშლილ სუფრას მიაშურეს და ტიმოთეს პურმარილზე ღრეობა გამართეს.

– ნახე, ქსენი, შენმა მილიონერმა ქოროღლიმ რა უცებ მიგატოვა საძაღლედ? – დამცინავი ღიმილით უთხრა ქალს.

– თავი გაუხმეს, ამის შემდეგ მაგის რა იმედი უნდა მქონდეს! – ქსენიამ კურტანას ქოქოლა მიაყარა.

– ღირსი არ არის, ახლა რომ რქები დაადგა?

– თავი გაუხმეს, რქების რცხვენია თუ.

– არა, ახალი რქები სულ სხვაა, თანაც აქ, ძაღლების ღრეობის აკომპანიმენტზე, – ტიმოთემ ქსენიას კაბა წამოხადა.

– რას შვრები, ტიმოთე, შენ ის ძველი ქოროღლი ხომ არ გგონია, მანქანის „ბარდაჩოკში“ პისტოლეტი უდევს.

– გაიკვეხოს სადაც ადგილია! – უპასუხა ტიმოთემ და გახდა დაუწყო.

– გაუშვი ხელი! – თავის მანქანაში ჩურჩულებდა კურტანა.

ტიმოთე კი ქსენიასთან ალერსს აგრძელებდა.

დარეტიანებულმა, ყბადასისხლიანებულმა ძაღლმა ახლა კურტანას მანქანის მინას მიაბჯინა თავის ნიანგის ხახა.

– მიშველეთ!!! – აღრიალდა კურტანა და აღარც გაჩერებულა.

ძაღლებმა ღრეობა დაამთავრეს. ახლა გამძღრები და თავიანთ ავანტიურით კმაყოფილები მანქანის ირგვლივ დასეირნობდნენ და ერთმანეთის ღრენით ერთობოდნენ.

ომარს და მათეს ჭალაში შემოესმათ კურტანას განწირული ღრიალი და ხმის მიმართულებით წავიდნენ. მათეს ორლულიანი თოფი ეჭირა ხელში, ომარს კი თავის ჩვეულებისამებრ მხოლოდ დანა ჰქონდა ჩამოკიდებული.

ძაღლებმა კაცები რომ დაინახეს, მაშინვე ყეფით და ღრენით მათკენ გაიქცნენ.

– საიდან გამოჩნდნენ ეს კაციჭამია ძაღლები?! – წამოიყვირა ომარმა.

მათემ პირველი გასროლით წინა ჯორიხელა ძაღლი გააგორა, მას მეორეც მიაყოლა, თოფის ხმაზე ძაღლები შეფერხდნენ, მაგრამ ერთი პირდაპირ წავიდა და ომარს მკერდზე შეახტა. ომარმა დაფჩენილ ყბაში დანა გამოუსვა და საცოდავად აწკმუტუნებულს ხელი ჰკრა.

მათემ თოფი გადატენა.

– რა უბედურებაა, ეს ადამიანებზე დაგეშილი ძაღლები საიდან გაჩნდნენ აქ?! – მოიჩივლა ომარმა. მათეს პასუხის გასაცემად არ ეცალა, ორ ძაღლს ებრძოდა, ძალიან ახლოს იყვნენ, თოფის სროლას ვერ ახერხებდა, კონდახით იგერიებდა. ომარს ერთ ძაღლთან ხელჩართული ბრძოლა ჰქონდა.

მათემ უკან გადახტომა მოასწრო და ძაღლმა ნიანგისხელა ხახა ჩაავლო თოფის ლულას, იქუხა თოფმა, ძაღლი მიწაზე გაგორდა. მეორე ძაღლი მათეს გვერდიდან უტევდა... ხალათწამოხეულმა და დასისხლიანებულმა ომარმა ძაღლს ყელში გაუყარა დანა და უკან გადახტა. ძაღლმა ხროტინით ჩაიჩოქა წინა ფეხებზე, ომარზე კიდევ იწევდა, მაგრამ თავი აღარ ჰქონდა. მათემ უზარმაზარ ძაღლს, გასროლის ხმაზე ცოტა რომ შეფერხდა, გონზე მოსვლა აღარ აცალა და კარტეჩი ფერდებში დაახალა. ძაღლს უკანა ფეხები მოეკვეთა, მაგრამ წინა ფეხებზე წამომდგარი ღრენას და მუქარას აგრძელებდა. ომარმა მარცხენა, დაკაწრული ხელიდან გამოდენილი სისხლი ხალათზე შეიწმინდა და ტიმოთეს მანქანის კარები გამოაღო. წელს ქვევით ტიტველი ქალი იცვამდა, ტიმოთეც შარვალს ისწორებდა.

– თფუჰ შენი! – ომარმა მიაფურთხა და გაბრაზებულმა კარები მიაჯახუნა.

მათემ კურტანას მანქანის კარების გაღება სცადა, მაგრამ შიგნიდან დაკეტილი ვერ გააღო.

– გააღე, ნუ გეშინია! – დაუძახა ფერდაკარგულ კურტანას.

კურტანა აზრზე მოვიდა, მანქანის „ბარდაჩოკს“ ეცა, პისტოლეტი ამოიღო და კარები გააღო – სად არიან ის ძაღლები, სუყველას გავწყვეტამ! – აღრიალდა. ერთ მკვდარ ძაღლს პისტოლეტი მიუშვირა, სასხლეტს გამოჰკრა, მაგრამ არ გავარდა.

მათემ გამოართვა, დამცველიდან მოხსნა და ერთი ჰაერში ისროლა, მერე ისევ ჩაკეტა, მიაწოდა და უთხრა: – მაგრად შეინახე, ეს შენისთანების სათამა-



შო არ არის, შეიძლება საკუთარი ბარკალი გაიხვრიტო.

ტიმოთე და ქსენია ტანისამოსის სწორებით ჩამოვიდნენ მანქანიდან.

– შე მურტალო, კარგი სამრუშო ადგილი გიშოვნია! – უსაყვედურა ომარმა და ფერდებში მჯიღი წაჰკრა, – სად გამოიჭირე ეს კუპატივით ჩამრგვალებული ბოზი? – დაუმატა.

– ბოზი კი არა, ჩემი მეუღლეა! – თავი გამოიდო კურტანამ.

– შენი ცოლია?! ომარს გაკვირვებისგან თვალები გაუფართოვდა.

ამ დროს აქოშინებული კაცი მოვარდა, ხელში მწყემსის კავით.

– ეს რა გიქნიათ, დამღუპეთ?! – დახოცილ და მომაკვდავ ძაღლებს ჭირისუფალი გამოუჩნდა.

– შენ ვინა ხარ? ან აქ საიდან გაჩნდი? – ჰკითხა ომარმა.

– მწყემსი ვარ, ეს ძაღლებიც მე ჩამაბარეს. ახლა რაღა მეშველება?! – თავში მუშტები წაიშინა.

– ვინ გაგწირა ამ კაციჭამია საძაღლედ? – ჰკითხა მათემ.

– სადღაც, საზღვარგარეთ უყიდნიათ, დიდი ფული გადაუხდიათ. გუშინ მოიყვანეს. უკვე ორი ცხვარი გაგლიჯეს. მეც გამომიქანდნენ, მაგრამ ხეზე ასვლა მოვასწარ და მას შემდეგ იქ ვზივარ. კიდევ კარგი მიხსენით, თორე ნამდვილად შამჭამდნენ, – მოიჩივლა.

– ძაღლები ვინ მოგიყვანა?

– თბილისელია, მინისტრია თუ რაღაც. ძალიან დიდი ფული აქვს, ოთხას ჰექტარზე შავ ყურძენს აშენებს, მეძროხეობის ფერმაში კიდევ ღვინის ქარხანას აწყობენ. ეს ცხვარიც იმისია და სახნავ-სათესიც იმას აუღია. რა მეშველება, ეს ძაღლები სადღაც საზღვარგარეთ უყიდნია!

– შენ ისე გატყობ, ძაღლებს რომ შეეჭამე უფრო გერჩია, – უთხრა ომარმა.

– მაგაში მონის სულია გაღვიძებული, – დაუმატა მათემ.

– ეგრე უნდა იყოს, ეგრე! მონები, ყმები და დაჩიავებული ხალხი სჭირდება ფულიან კაცს. ვისაც ფულის შნო არა აქვს, ყმა უნდა იყოს! – დაასკვნა კურტანამ.

– სადღაც ორი საუკუნით მაინც ჩავცურდით უკან, როცა ასე მოედო მორალური და ზნეობრივი გახრწნა ჩვენს საზოგადოებას. გასაკვირი კი ის არის, რომ თავისუფლებანაგემი ხალხი ასე იოლად ეგუება ყმობის სამარცხვინო უღელს! – მოჭარბებული ემოციების გავლენით ლაპარაკობდა მათე.

– ეგრეა, ეგრე, ეს ქვეყანა ძლიერებისაა, სუსტმა კიდევ ფეხები უნდა ულოკოს მათ, – კმაყოფილის ტონით თქვა კურტანამ.

– თუ მანქანაში ვერ შეასწრებდი, ახლა ძაღლების კუჭში იდებოდა შენი ლეში და გამართლდებოდა ეგ თეორია, – უთხრა მათემ.

– წავიდეთ, ქსენი, ძალიან ბევრი საქმე მაქვს, – კურტანამ საუბრის გაგრძელება აღარ ისურვა.

– ამხელა ფულის პატრონს ეგ იაფფასიანი ბოზი რად გინდა, დაუტოვე ტიმოთეს, არ მოიწყენს, – ურჩია მათემ.

– ქალბატონი ჩემი მეუღლეა და ძალიან გთხოვთ, პატივით მოეპყარით! – იწყინა კურტანამ.

– მგონი სხვა სიკეთესთან ერთად პარლამენტარიც ხარ არა? – ჰკითხა მათემ.

– ეგრეა, ახლა ხომ მიხვდით, უბრალო კაცი რომ არა ვარ, – კურტანა გაიჭიმა.

– ვაი ჩვენს გაჩენას შენსა და შენი მსგავსების ხელში! – მათემ თავში შემოიკრა ხელი.

– მოდი, ქსენი, აქ ჩვენი ადგილი არ არის, – კურტანამ ქსენია მანქანაში

ჩაისვა.
– ფრთხილად იარე, გზაში არ დაგეკარგოს! – მიაძახა მათემ.
– სხვათა შორის, მე ქოროღლი მქვია! – იყვირა კურტანამ და მანქანა დაძრა.
– როგორი ქოროღლებიც შეგაქუჩათ, ისეთი „დიდი პოლიტიკოსი" პრეზიდენტი გყავთ, იმიტომაც ვიხრწნებით ასე ულმერთოდ! – მიაძახა მათემ.
– ბიჭო, ქმრის თვალწინ რომ გადააჯექ, იმ დედაკაცს, მე ქუჩის ქალი იმიტომ მეგონა, – მოიბოდიშა ომარმა.
– ქუჩის ქალი და ყველაზე ზნედაცემული ოჯახი მაგათთან წმინდაა. მე კი ჩამივარდა აგურის გაყიდვის მცდელობა. რა უნდა ვქნა, ამდენი დავამზადე და ვერსად გამიყიდია, – დაიჩივლა ტიმოთემ, თან დაუმატა:
– კურტანა ეკლესიას აშენებს და მეგონა, გამისაღებდა.
– კურტანა და ეკლესია?! ღმერთის მაგიერ სატანა დაიდებს იქ ბინას.
– ეგრეა, როცა ქვეყანას სატანა ჰყავს დაპატრონებული, ხალხი კი მოჯადოებულივით ქედწახრილი ისპობა, ამ დროს რა გასაკვირია კურტანას ეკლესია, – დაასკვნა მათემ.
– მე წავალ, მაგრამ ძაღლების დახოცვას არ გაპატიებენ, – თქვა შეწუხებულმა მწყემსმა.
– ღვინო და რაც ძაღლებს გადაურჩათ, წაიღე, მთელი დღე მშიერი მჯდარხარ ხეზე. ამ ბიჭების სადღეგრძელო არ დაგავიწყდეს, ახლა ძაღლების კუჭში რომ არ განისვენებ, – უთხრა ტიმოთემ და ძაღლების ნამუსრევ სუფრაზე მიუთითა...
კურტანამ და ქსენიამ კარგა ხანს მდუმარედ იარეს. კურტანა რაღაცაზე ღრმად იყო ჩაფიქრებული. უცებ ჰკითხა მეუღლეს:
– რამდენი აგური ექნება ტიმოთეს?
– ასი ათასიო, – თქვა.
– კარგია, შეიძლება მუქთად ჩავიგდოთ ხელში.
– როგორ?
– ტიმოთე რომ გაასაღოს ვინმემ.
– ვინ?
– ეშმაკა მოუვლის მაგ საქმეს.
– ეშმაკა სად არის?
– ჯარში მსახურობს ვიცე-პოლკოვნიკის წოდებით.
– ვიშ ქა, რამხელაზე ასულა.
– პარლამენტში შემხვდა რამდენიმეჯერ. მითხრა, თუ ვინმეს მოშორება გინდა, დამავალეო. მეც ფულს ვჩუქნი ხოლმე.
კურტანამ მანქანიდანვე დაურეკა ქალაქში და თავისთან მიიპატიჟა. სადამოთი ეშმაკა ჯიპით მიადგა, თან თავისი სამი თანამოაზრე ახლდა. კურტანამ დაწვრილებით გააცნო საქმის ვითარება, მისი ამხანაგების სააგურეში დახოცვაც შეახსენა.
– დღემდე მაგისთვის არ მეცალა. თბილისშიც ბევრი გამასაღებინეს. ჩემისთანა სანდო კაცი სჭირდებათ. რადგან ჩამოვედი, ტიმოთესაც გავუსწორდები შენი ხათრით, – შეპირდა ეშმაკა.
კურტანამ ორი ათასი დოლარი აჩუქა, თან შეპირდა, თქვენ გვერდით მიგულეთო, წინდახედულ კურტანას ეშმაკას სხვა საქმეებში გამოყენებაც ჰქონდა განზრახული.
რამდენიმე ჭიქა ღვინო დალიეს მხოლოდ. დანარჩენს ტიმოთესთან გავაგრძელებთო, – თქვეს და კურტანას გამოემშვიდობნენ.
მალე გნახამთ გამარჯვებულებიო.
– ჭირსაც წაუღია თქვენი თავი! – მიაწყევლა კურტანამ, ნეტა ისე მოხდეს,

ტიმოთესთან ერთად თქვენი გაწყვეტა გავიგონოო...

ტიმოთე სააგურეში უხალისოდ მივიდა. იქვე ფარდულში მოწყობილ მაგიდასთან დაჯდა, თავი ხელებში ჩარგო და მძიმე ფიქრებით შეწუხებული გაირინდა. რა ძალიან ცუდად წავიდა მისი საათივით აწყობილი საქმე. ფულიც ჰქონდა და ბლომად საქონელიც ჰყავდა, მაგრამ არ შეარჩინეს, ალაზნის პირას განმარტოებით გასულს ეშმაკა შეუჩნდა, საქონელი სულ ამოუწყვიტა, ფულიც ბლომად წაართვა. ისე გაუჭირდა, სააგურეს ველარ ინახავდა, ერთი კიდევ გაიბრძოლა, სახლ-კარი გაყიდა. ეს სააგურეში დაუპატიჟებლად ჩასახლებულმა ეშმაკამ გაიგო და სულ წაართვა. თუ კურტანას აგურს მიაყიდებდა, ცოტას ამოისუნთქებდა, მაგრამ ეს იმედიც გაუქარბუქდა. ახლა გამოუვალ მდგომარეობაში მყოფს დარჩენილი ხუთი მუშა დასდგომოდა თავზე და მისგან საიმედო სიტყვის თქმას უცდიდა. უკვე ველარ ითვლიდნენ, რამდენი თვის ხელფასი არ მიეღოთ. როგორც ტიმოთე, ისინიც სასოებით ელოდნენ აგურის გაყიდვას. ადრე კურტანას ფული სთხოვა, მასესხეო, მაგრამ მისგან ხელგამართული კაცი არ ენახა.

– რაშია საქმე, ტიმოთე ბატონო? – შეკითხვა შებედა ბრიგადირმა ინგილო მევლუდმა.

ტიმოთეს მაღლა თავი არ აუღია, სიტყვის თქმის სურვილი არ ჰქონდა.

– სიმართლე თქვი, ტიმოთე, გაგვიძლია და გავუძლებთ, მთავარია, ჩვენს ურთიერთობაში ნდობა არ მოიშალოს, – უთხრა მევლუდმა.

ტიმოთეს მისი ნათქვამი ესიამოვნა, თავი ასწია და იმედჩამდგარი თვალები მიაპყრო იქ მყოფთ.

– გვიჭირს მევლუდ, მაგრამ მამაძაღლი ვიყო, თუ ერთმანეთს ვენდობით, გავუძლებთ, – თვალცრემლიანმა უთხრა ბრიგადირს.

– ეგრე იქნება სწორედ! – ყველამ ერთხმად დაუდასტურა.

– ეგრე ვაჟკაცურად რომ ვმდგარიყავით, ეშმაკა ვერ წაგვახდენდა, მე იმისი დედა! კურტანას საბუქსირე აღარ გავხდებოდით,– ტიმოთემ მაგიდას მუშტი დაარტყა.

– რა ვუყოთ, ამაზე უარესიც მომხდარა. ახლა გაძლებაა მთავარი, – მევლუდმა დანარჩენებს ანიშნა ადექითო და თვითონაც წამოდგა.

– მაიცათ, ბიჭებო, მოდი ჩვენი გაძლების და მეგობრობის აღსანიშნავად ამაღამ დავლიოთ, – გულაჩუყებული ტიმოთე ფეხზე წამოდგა.

– ეგრე ვქნათ, ჯერ კიდევ შემოგვრჩა ცოტა რამ, კარგად რომ მოვილხინოთ, – დაეთანხმა მევლუდი. – აბა ჰე, დავიწყოთ! – შეუძახა ბიჭებს და ისინიც დატრიალდნენ.

ტიმოთე სააგურეს ათვალიერებდა, მთელი ტერიტორია მოიარა, რაღაცას ანგარიშობდა, ითვლიდა ბიჭების გვერდში დგომით დაიმედებული.

უკვე ბინდდებოდა. მევლუდმა რომ დაუძახა, წამოდი, ყველაფერი მზად არიო.

პატარა სახლი, კანტორად რომ იყენებდნენ, სააგურეში მთავარი შემოსასვლელისკენ იყო ფასადით მიმართული. აივანს ხუთსაფეხურიანი კიბე ჰქონდა მოდგმული, რომელსაც ხის მოაჯირი და გაუშალაშინებელი, თხელი ფიცრის რიკულები ჰქონდა. ოციოდე მეტრის მოცილებით საცხოვრებელი ბინა იდგა, ალაყაფის კარებთან კი – ყარაულის ჯიხური. ტიმოთემ კიბეზე აირბინა, მოტრიალდა, ეზოს გადახედა და იმედიანად თქვა: – გავიმარჯვებთ.

მთელი ღამე იქეიფეს. მარტო მევლუდი იკავებდა თავს. როცა ყველა თვრება, ერთი მაინც ხომ უნდა იყოს ფხიზლადო.

რიქრაქი ახლოვდებოდა, გრძნობამოჭარბებული ტიმოთე არცთუ პირველად, სიყვარულის სადღეგრძელოს ამბობდა: – რამხელა ენერგია და ბრძოლის უნა-

რი შემძინა თქვენმა მხარდაჭერამ. მაგრამ მე, ხომ იცით, ამის ღირსი არ ვიყავ, რაც მეტი ფული ვიშოვნე, მით არაკაცობა მომემატა. არაფრად გაგდებდით, მეგონა, ქვეყნიერება ჩემს ირგვლივ ბრუნავდა. ამან კი კაცობა და ადამიანების სიყვარული დამაკარგვინა, ჩემი თავი სხვებისგან განსხვავებით განსაკუთრნებულ ადამიანად წარმომედგინა. ეგრე რომ გაგრძელებულიყო, მხეცად, ნადირად, უბედურებად გადავგვარდებოდი. ღმერთს მადლი, საამისოდ რომ არ გამიმეტა და ამქვეყნად არსებობა ადამიანის თვალით დამანახა. მადლობა თქვენ, რომ შემინდეთ და არ მიმატოვეთ, რასაც აშკარად ვიმსახურებდი. ამ სიყვარულს გაუმარჯოს, ბიჭებო! – თქვა და ჭიქა ტუჩებთან მიიტანა.

ამ დროს მანქანის საყვირის გაბმული ხმა გაისმა. მევლუდი გარეთ გავიდა. ალაყაფის კარებს ვიღაც სამხედრო ფორმიანი აღებდა იქვე მიყენებული ჯიპის შემოსასვლელად. საყვირი კი გაბმით იკლებდა იქაურობას.

– სამხედროები არიან, – თქვა უკან შემობრუნებულმა.

– შემოიყვა! – დარდიმანდულად ხელის აქნევით ბრძანა ბახუსის სამყაროში მყოფმა ტიმოთემ.

– არკად, გამომყე! – მევლუდმა ერთი მუშა გაიყოლა და გარეთ გავიდა.

მომხდურნი უკვე ეზოში შემოსულიყვნენ. მანქანა საცხოვრებელ სახლთან გაეჩერებინათ და იქვე შეგროვებულიყვნენ. მევლუდმა ეშმაკა იცნო და არასასიამოვნოდ გააჟრჟოლა. მევლუდი რომ დაინახეს მისკენ წამოვიდნენ.

– არკად, წადი ბინაში, ორლულიანი თოფი აიღე და ყარაულის ჯიხურში შედი, მზად იყავ, არავინ იცის რა მოხდება. ბრძანებას ნუ დაელოდები, როგორც მდგომარეობამ გიკარნახოს, იგრე მოიქეცი, – ამის თქმა მოასწრო და ოთხივე თავზე დაადგნენ: – სად არის ტიმოთე, მევლუდა შობელძაღლო! – უყვირა ეშმაკამ.

– ოთახში არიან, – მიიღო პასუხი.

ეშმაკამ მევლუდს ხელი ჰკრა და ოთახში შევიდა თავისი ამალით.

– ქეიფობ, ტიმოთე? გეგონა გაიმარჯვე და იმ ბიჭების ამოხოცვა შეგარჩინე?! – მისალმების მაგიერ უთხრა.

– ამომხოცის და დამბრალებლის დედაც! – ტიმოთემ პასუხი შეაგება.

ეშმაკა ტიმოთეს პირდაპირ მაგიდასთან გაჩერდა. სამმა ავტომატები მოიმარჯვა.

– შე შობელძაღლო, მიქელ-გაბრიელი რომ მოგადგა, ვერ იცან?! – კბილებში გამოსცრა ეშმაკამ.

– მიქელ-გაბრიელი კი არა ჩათლახი ხარ, შენი დედა! – ტიმოთემ თეფშს დაავლო ხელი და სიბრტყით სახეში სთხლიშა. ეშმაკა უკან გადაქანდა და ზურგზე გაიშხლართა.

მევლუდი კარებთან იდგა, ამის დანახვაზე გარეთ გამოვარდა, მოაჯირზე გადახტა და საცხოვრებელ სახლისკენ გაიქცა. ერთი ავტომატიანი გამოეკიდა.

ფეხზე წამომდგარმა ეშმაკამ პისტოლეტი იძრო და ტიმოთეს ტყვია მკერდზე დაახალა. ტიმოთე არ წაქცეულა, ორივე ხელით მაგიდას ჩაეჭიდა, აწევა და გადაყირავება უნდოდა, ვერ შეძლო. ეშმაკამ ზედიზედ კიდევ ექვსი ტყვია ესროლა. ტიმოთე მაგიდაზე დაემხო, სისხლი რუდ წავიდა და გადაქცეულ სურიდან დაღვრილ ღვინოს შეუერთდა. ორმა კი ავტომატის ჯერით სამი მუშა დაცხრილა.

მევლუდი საცხოვრებელ სახლს უახლოვდებოდა, რომ მოაჯირიდან ავტომატიანმა ესროლა. მევლუდი წაიქცა, მიწაზე გაგორდა და სახლის კედელს ამოეფარა.

არკადი ყარაულის ჯიხურიდან გამოვარდა, ავტომატიანი მევლუდის გამოჩენას უცდიდა, რომ კიდევ ესროლა, ოთახიდან ავტომატის ყეფის ხმა ისმოდა.

ავტომატიანმა არკადი შენიშნა, მისკენ შეტრიალდა. არკადიმ დაასწრო, მარჯვენა ლულიდან ესროლა და მიქელ-გაბრიელის გზას გაუყენა. ოთახიდან ორი ავტომატიანი გამოვარდა, არკადიმ პირველს ახლო მანძილიდან ქაკანი დაახალა, კიბეზე ორი საფეხური აირბინა, თოფის კონდახი მოიმარჯვა ხელჩართულ ბრძოლაში ჩასაბმელად; მეორე ავტომატიანმა გრძელი ჯერით მოცელა.

ამ დროს მევლუდი სახლიდან თოფით გამოვარდა, ავტომატიანმა შენიშნა და სროლა აუტეხა. მევლუდმა სვეტს ამოფარება მოასწრო, მიზანზე გულმოდგინედ დასვა, გასროლა მარჯვე გამოდგა, ავტომატიანი წაბარბაცდა, თავის მოაჯირის ფიცრულ რიკულს დაეტაკა, გაამტვრია და შიგ გაიჭედა.

პისტოლეტმომარჯვებული ეშმაკა ოთახიდან გამოვარდა, მისკენ მიმავალი, თოფშემართული მევლუდი რომ დაინახა, სწრაფად ესროლა, ვერ მოარტყა, კიდევ უნდოდა ესროლა, ტყვია გაუთავდა, კიბეზე ჩაირბინა და ალაყაფის კარებისკენ გაიქცა, თან ახალ მჭიდს იღებდა. ამ დროს მევლუდის თოფმა იჭექა, ეშმაკას მარცხენა ხელი ჩამოუვარდა და ჩვარივით დაეკიდა, მჭიდა გაუვარდა ხელიდან, პისტოლეტის დატენა ვეღარ შეძლო; მხარჩამოვარდნილი გარბოდა.

მევლუდმა თოფი მოისროლა, იქვე დაგდებულ წერაქვს ხელი დასტაცა და გამოეკიდა. ალაყაფის კარებთან წამოეწია, წერაქვი მთელი ძალით მოიქნია და ბიჭებში ჩაარჭო. ეშმაკას მუხლი მოეკეთა, შემობრუნდა, ღრიალით ზურგზე დავარდა და წერაქვს ზედ დაეცა.

მევლუდი ეშმაკას თავზე დაადგა. წერაქვის სისხლიანი წვერი მკერდიდან მესიის მახვილივით იყურებოდა. ყველა დაათვალიერა: არკადი მრავალი ტყვიით დაცხრილული კიბეზე ეგდო; ეშმაკას მხლებლებიც უსულოდ ეყარნენ. მაგიდაზე ხურჯინივით გადაკიდებულ ტიმოთეს ზურგზე რამდენიმე გამჭოლი ნატყვიარი ეტყობოდა. მრავალი ტყვიით დაცხრილული მუშები იატაკზე სისხლში ცურავდნენ.

– მორჩა, ყველაფერი გათავდა, აქ მე საჭირო აღარ ვარ, – ჩაილაპარაკა. მძიმე განცდებით გულდამძიმებული ალაზნისკენ წავიდა, მორევში გაუხდელად დაეშვა და საინგილოსკენ გაცურდა.

მეორე დღეს სააგურეს კურტანას მიერ გამოგზავნილი ავტომობილების კოლონა მიადგა. იქ შეგროვილებს მოახსენეს, ტიმოთესგან აგური ნაყიდი ჰქონდაო. სიტყვის შემბრუნებელი არც არავინ იყო; მოსული ხალხი მკვდრებს აგროვებდა.

## პრეზიდენტის არჩევნები

**დრომ** მრავალი მეღროვე გაახუნა, მრავალ ყალბ დიდებას დაუკარგა ფერი, მრავალი რაობა რომ ეგონა ადამიანთა გულუბრყვილობას არარაობად გააცნო ქვეყანას... ცხოვრების ჩარხი კი უკუღმა ბრუნავდა და არავითარი იმედი არ არსებობდა მისი წაღმა აბრუნებისა. ნათელი აზრი კარგად არკვევდა, რომ ქვეყნის უკუღმართი არსებობა სწორედ იმ მესაჭის დამსახურება იყო, რომელსაც ტვინი უკუღმა ჰქონდა სატანის მიერ შეტრიალებული, ეს უკუღმა შეტრიალება კი ისეთ ინერციას იძენდა, რომ ღალატი ქვეყნის, ერის და მთლიანად საქართველოს მომავლისადმი დაუსჯელად აღწევდა მიზანს, რაც მრავალტანჯულ მცირე ერს მოსპობის ჯოჯოხეთით ემუქრებოდა. ხალხი პრეზიდენტს არ ენდობოდა, აშკარად იგრძნობოდა, რომ მის მიერ გადადგმული ყველა ნაბიჯი საქართველოს და მთელ ქართველ ერს გამოუსწორებელ უბედურებად ევლინებოდა. სატანა დროს ედავებოდა, განკითხვა იგვიანებდა, მაგრამ მისი მსახვრელი ხელი არც ამ არარაობას დასტოვებდა ყურადღების გარეშე. ჯერ კი, უძველესი კულტურის ერს, ღალატი მსოფლიოში ყველაზე ლატაკი ქვეყ-

ნის სტატუსის მოსაპოვებლად ექაჩებოდა.

საქართველოში მთლიანად მოისპო მძიმე და მსუბუქი მრეწველობა. თუთის პლანტაციებთან ერთად ამოიძირკვა და განადგურდა აბრეშუმის წარმოება; მევენახეობა და მეჩაიეობა სულს ღაფავდა; ეს ტრადიციული საამაყო დარგები მოღალატეთა ეკონომიკურ პოლიტიკას ემსხვერპლა, როგორც მთლიანად საქართველოს მაღალგანვითარებული სახალხო მეურნეობა. უამრავი კვალიფიცირებული კადრი ისპობოდა, ვისაც შეეძლო, საქართველოდან გარბოდა. დარჩენილები ლუკმაპურის საძებნად გაუსაძლისი არსებობის ბრჭყალებში მიარღვევდნენ სიცოცხლის დასასრულისკენ უბედურების ჭაობს.

ვინც თანამდებობის ძალით ხალხის ქონების ძარცვით მაგნატი, მილიონერი, მემამულე თუ მსგავსი უბედურების თავკაცი გახდა, უმუშევრობით გაუბედურებულ თანამემამულეებს საშინელ კაბალურ პირობებში მონურად ამუშავებდა. მოსახლეობის დიდი ნაწილი ყიდვა-გაყიდვას, ჩარჩ-ვაჭრობას, მეწვრილმანეობას და მევახშეობას მისდევდა, პროდუქცია აღარ იქმნებოდა, საქართველო ერთ მთლიან ბაზარს დაემსგავსა, რომელიც არასდროს სუფთავდებოდა, ნაგავში იძირებოდა თავისი გმირული წარსულით, ეროვნული სიამაყით, უძველესი კულტურით. საშინელი განსაცდელის წინაშე იდგა ისტორიის ქარტეხილებს გამოვლილი პატარა ერი, რომელსაც სატანის მცდელობით უბედურება ეჯდა პრეზიდენტად. ისე როგორც საყასბოში შერეკილ ცხვრებს თხა „გაპონი" მიუძღვის ყასბებთან, თვითონ კი სხვა კარით შემოიპარება, რათა ცხვრების მორიგი ჯგუფი ჩააბაროს ყასბებს თავისი კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.

უკანონობა, ძალადობა, მექრთამეობა, უზნეობა, უსინდისობა, ქურდობა, ყაჩაღობა ოცდამეერთე საუკუნეში ქართველ ერს მგლების ხროვასავით შეუსია მისმა ხელისუფლებამ, რომელიც მხოლოდ ქონების მოხვეჭაზე ფიქრობდა ქვეყნის ინტერესების საზიანოდ.

ძალიან გაუჭირდა პატიოსან კაცს ამ უბედურების ქარბუქში გაძლება. ხელისუფლება ყოველმხრივ ავიწროვებდა იმ ადამიანებს, რომლებიც მის სამარცხვინო საქმიანობას მონური მორჩილებით ლაქიებად არ ემსახურებოდნენ. რეჟიმი, რომელიც დემოკრატიულობას იბრალებდა, ინკვიზიციის მეთოდებით დევნიდა იმ ადამიანებს, რომლებსაც ჯერ კიდევ შევარდნაძის ცეკას მდივნობის დროიდან უნდობლობა ჰქონდა გამოცხადებული, მათ შვილებზეც რომ ვრცელდებოდა. დემოკრატიულობის ნიღაბს ქვეშ ედუარდ პრეზიდენტის რეჟიმი ძალადობით, სიყალბით, უსამართლობით, სახალხო ქონების მითვისება-განიავებით კომუნისტობის პერიოდის მის მაქინაციებს ისე უსწრებდა, როგორც თანამედროვე ავიალაინერი ორცხენიან ეტლს. დემოკრატიის და დამოუკიდებლობის ნიღაბში შემძვრალი ძალადობა ძველ ცოდვებს ახალს უმატებდა და ორივეს სამართლიანობად ასაღებდა.

ედუარდ პრეზიდენტი თავის სავარძელს ჩასჭიდებოდა და ხალხის პროტესტზე ისტერიულად გაიძახოდა, არ გადავგდებიო, რამეთუ იცოდა, რომ გადადგომა განკითხვის დღის ტოლფასი იქნებოდა.

დაინგრა კომუნისტური რეჟიმი, ყველგან მის აუგს გაჰყვიროდნენ, ძალადობის და რეპრესიების მსხვერპლთა შესახებ შემაზრზენ ამბებს ყვებოდნენ. შევარდნაძის პერიოდის რეპრესირებულებზე კი შევიწროება და ძალადობა გრძელდებოდა, რამეთუ ხელისუფლებაში მოკალათებული შევარდნაძე და მისი კომუნისტობის დროინდელი თანამოაზრენი დემოკრატიის ნიღაბში ქვეყნის მაცოცხლებელ ძარღვზე წურბელებად მომჯდარნი ძველ ცოდვებს სამართლიანობად ნათლავდნენ.

გაუმაძღრობაშეყრილი ხელისუფლება ხალხს ცხვრის ფარასავით დაუსჯე-

ლად ერეკებოდა ახალ უბედურებაში. ადამიანები დაბეჩავდნენ, იქმნებოდა ილუზია, პრეზიდენტის უბედურებად როკვას წინააღმდეგობას ვეღარავინ გაუწევდა, ისიც დაბრძანდებოდა დაცვის ნაჭუჭში შემძვრალი და მაამებელთა ქებით გაბრუებული, ყალბი დაპირებებით აბითურებდა ისედაც ბითურ მსმენელებს.

შევარდნაძის მიერ შექმნილი პარტია „მოქალაქეთა კავშირი“, რომელიც ხალხმა „მოღალატეთა კავშირად“ მონათლა, სპობდა ქვეყანაში სიკეთის მარცვალს, „მოქალაქეთა კავშირში“ მიძვრებოდა ყველა ლორწიანი პარაზიტი, კომუნისტობის დროს წარმატებით რომ ჰქონდათ გავლილი პირმოთნეობის და ხალხის ინტერესების ღალატის სკოლა, – გაკოტრებულ პარტიათა ხელმძღვანელები, რომელთა წინ საქართველოს ძარცვის შესანიშნავი ასპარეზი იყო გადაშლილი.

არჩევნების გაყალბებით შევარდნაძის თარგზე შეკერილი პარლამენტი ქუჩის კომედიანტების არენას დაემსგავსა. მუშტი-კრივი და აყალ-მაყალი, რაც იქ ხდებოდა, ხალხში სინანულის ღიმილს იწვევდა... საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნვა იმით დააგვირგვინეს ამ ვაი-პარლამენტარებმა, რომ მიიღეს კანონი ყველა მოწვევის პარლამენტარისთვის სიკვდილამდე თვეში ხუთასი ლარის პენსიის დანიშვნის შესახებ. ეს მაშინ, როცა ქვეყნის წინაშე ვალმოხდილ ადამიანებს სამარცხვინო თხუთმეტ ლარსაც რომ ვერ აძლევდნენ. ხალხის და ერის ამგვარი დაცინვა მეკობრეთა უკიდეგანო მოხვეჭის სურვილსაც გაუჭირდებოდა.

ედუარდ-გიორგიმ წიგნი გამოაქვეყნა, რომელსაც „აბრეშუმის გზა“ უწოდა. ადრე ერთი ამგვარი გამოქვეყნებული ჰქონდა „ჩემი არჩევანის“ სათაურით, რომლის წამკითხავს სიცრუის, თვალთმაქცობის და ღალატის გაუგონარი მკადრებლის სახე დაუდგებოდა თვალწინ.

ადრე ლეონიდ ბრეჟნევს შეეყარა წიგნების წერის ავადმყოფობა, რაც დიდი გენიის გამოშუქებად უკურთხეს პირმოთნეებმა. ეს წიგნები ქვეყანაში მოაბნიეს, რომელიც თვითონ ბრეჟნევს არც კი წაეკითხა...

ახლა ედუარდ-გიორგის შეჰყროდა წიგნების წერის სულის მფხანელი ფსორიაზი, ისე როგორც ნერონს დიდი მსახიობის მოლანდება, ესეც ქვეყანას იკლებდა ტრაბახით, დიდი ფული ჩემი ინტელექტუალური შრომით ვიშოვეო.

შევარდნაძის რეჟიმი დაუსჯელად დათარეშობდა მისი მაგიის ბრჭყალებში შემორჩენილ საქართველოს ნაწილში და ესეც ჰყოფნიდა თავისი სატანური ამბიციების დასაპურებლად. აფხაზეთის გაჩუქებით ნერვებდაწყნარებულს სამაჩაბლო კარგა ხანია აღარ ახსოვდა. აჭარასაც თავის ნებაზე მართავდა მისი ხელმძღვანელი და არაფრად აგდებდა ცენტრალურ ხელისუფლებას უხეირო მწყემსის მიერ გაქსუებული ლეკეულივით.

კორუმპირებული ხელისუფლების მიერ შერყვნილი დამოუკიდებლობის წლები ერთიმეორეზე უფრო უარესი უბედურებით მოდიოდა. ამღენი გაჭირვებით დაღლილი ხალხი დაბეჩავდა. შეკვეთილი მკვლელობები და შემდეგ გამოძიების ლაბირინთებში საქმის გაქრობა, ან სამარცხვინო, შეთითხნილი ბრალდებების შეკოწიწება არასასურველ პირებზე, ცხოვრების წესად იქცა. უმუშევრობა და გაჭირვება ხალხს მუსრს ავლებდა. სასოწარკვეთილი დედები ახალშობილ ბავშვებს სანაგვეზე ყრიდნენ. გათოშილ ქალაქში პრიმიტიული გაზის ქურებით უამრავი ხალხი იგუდებოდა. გაუსაძლისი ცხოვრების მსხვერპლი პენსიონერები სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს მათხოვრობით კეცავდნენ; ყოველივე ამას მომავლის უიმედობა ჯოჯოხეთად აქცევდა. როგორც მთელს საქართველოში, ქიზიყშიც უბედურება ზეობდა. დანგრეული, ხავსმოდებული სამკერვალო ფაბრიკა, ასევე დარბეული და განადგურებული ხალიჩების საწარმო; ყველაფერი მომსპარი და იავარქმნილი. ხალხი კი თვალებში უიმედობის აჩრდილივით

უარესს ელოდა თუმცა, უარესი რაღა უნდა ყოფილიყო, როცა ადამანს სიკვდილი ენატრებოდა და კუბოს ფიცრის უქონლობა აწუხებდა.

ქიზიყს იმთავიდან უწყლობა სტანჯავდა, წინაპართა ნატვრა წყლით უზრუნველყოფა იყო. ბოლოს ეს ოცნება აუხდათ, გიგანტური წყალსადენი მთელს ქიზიყს ბედნიერებად ექცა; ყველას ოჯახში საკუთარი ონკანი ჰქონდა მუდმივი წყლით. განუკითხავმა, ღალატთან წილნაყარმა ძარცვა-რბევის სახელმწიფო რანგში აყვანილმა პოლიტიკამ მთელი ქიზიყის მაცოცხლებელი წყალსადენი მთლიანად გაანადგურა. უზარმაზარი მილები მიწიდან მოთხარეს და ჯართად გაყიდეს. ხალხის ოხვრაზე ცხიმს აგროვებდა ქვეყნის დამანგრეველი ხელისუფლება. ქიზიყელები კი პატარა ურიკებზე დამაგრებული ბიდონებით გრძელ რიგში ჩამდგარი მთელი დღის განმავლობაში ელოდებოდნენ ყელის გასასველებელ წყლის მოპოვებას.

დაბოღმილი, უმუშევრობით და გაუსაძლისი ცხოვრებისგან სასოწარკვეთილი კაცები ცაცხვის ქვეშ შეგროვილიყვნენ და ცხოვრების უკუღმართობაზე მსჯელობით იშუშებდნენ არარაობად ქცეულ ამქვეყნიურობის მიერ ნაჟეჟ სულებს.

გამხდარი, ფერმკრთალი, სუსტი, დაჩიავებული, გაძვალტყავებული ქალი პატარა ჩანთით, ფარფატით მიუახლოვდა ცაცხვის ქვეშ შეკრებილ კაცებს. გაჩერდა, შეისვენა თუ მათთან გასაუბრების სურვილი ჰქონდა, ყურადღებით ისმენდა უბედურებად ქცეულ ცხოვრების სიმუხთლეზე მწარე მონათხრობს. კაცები კი ლაპარაკობდნენ საზარელ განუკითხაობის თარეშზე და უფრო იღიზიანებდნენ ისედაც შეუხორცებელ გულის ბზარს.

ტასიკო უსმენდა მათ საუბარს და მასაც სურდა ჩაბმულიყო, მოეთხრო თავის სავალალო ყოფაზე, გაჭირვებაზე, უმუშევრობაზე და სამკერვალო ფაბრიკის იავარქმნაზე, მისი ამუშავების უიმედო ლოდინზე, სანატრელად ქცეულ წარსულზე, როცა ფაბრიკაში ცხოვრება დუღდა და კალაპოტში ვერ ტეულიყო. ბოლოს ვეღარ მოითმინა და ოხვრით ჩაება კაცების გულსაკლავ საუბარში.

– ეჰ, რა სჯობდა იმ ცხოვრებას. ყველაფერიც გვქონდა, განებივრებულები ვიყავით, მომავლის არ გვეშინოდა და აწმყო სიცოცხლით გვავსებდა. აიტეხეს, რუსეთი არ გვინდაო, სოციალიზმი უბედურებააო და დასავლეთის მშიერ კოლონიად გვაქციეს. მაშინ ვინ გვიშლიდა, ვინ გვავიწროებდა, ვინ რას გვედავებოდა?! – ტასიკომ ოხვრა-კვნესით ჩაათავა სათქმელი.

– გაგიჭირდა, ტასიკო, ძირს იმპერიაო ყველაზე ხმამაღლა რომ ყვიროდი, თან კანში ვერ ტეულიყავ, როგორ ფიქრობ, უფალს შენი ღრიალი არ ესმოდა? ჰოდა, „ძირს იმპერია“ ხომ შეგისრულა. მაშინ ისე იყავ გასუქებული, ერთი კუბამეტრი ფიცარი დასჭირდებოდა შენს კუბოს. ახლა გაძვალტყავებული ზევითაც რომ დარჩე, არ აყროლდები, კუბოს ფიცარიც აღარ იშოვება და ეგაც შენი შეღავათი, – ანუგეშეს კაცებმა.

– რა ვიცოდი, რომ მაოხრებელი დაეპატრონებოდა ქვეყანას... უკეთესი ცხოვრება მოდიოდა მეგონა. მე რომ მსაყვედურობთ, რომელმა გაიქნია ხელი იმ ცხოვრების გადასარჩენად. რას ვიზამთ, ყველას რაღაცის იმედი ჰქონდა. ჰოდა, ყვირილში კიდევ მეტ-ნაკლები ცოდვა ყველას მიგვიძღვის. სასჯელი კი, მგონი, იმაზე გაცილებით მეტია, რასაც ვიმსახურებთ. კარგი, უფალო, აღარ უნდა გვაპატიო?! – ტასიკომ ცას შესტირა, ცრემლები მოიწმინდა და მასავით გაძვალტყავებული კაცები ლასლასით მიატოვა.

ცხოვრება კი უკან მიგორავდა. სიყალბე და თვალთმაქცობა ეროვნულ სიკეთეს პარაზიტივით ღრღნიდა. შევარდნაძემ ერთხელ უკვე მოახერხა პრეზიდენტის არჩევნების „დიდი წარმატებით“ მოგება. გაყალბების მექანიზმი შეუცდომლად მუშაობდა. სიცრუე და თვალთმაქცთა დემაგოგიური ყბედობა პატი-

ოსნებად და ერისკაცობად ინათლებოდა; დემოგრაფიული კატასტროფა მძვინვარებდა, ხალხი საქართველოდან გარბოდა; შევარდნაძე და მისი პირმოთნე კორუმპირებულთა ბრბო ქვეყნის მაცოცხლებელ ძარღვს წურბელასავით დასწაფებოდა.

აფხაზეთის საკითხის მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით მოგვარების მიეთ-მოეთი ტაკიმასხრობად იქცა. სეპარატისტებმა საქართველოს ანტიეროვნული, უნიათო ხელისუფლების საქმიანობა თუ ფუჭი ფაფხური თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენეს, დამოუკიდებლობა გამოაცხადეს და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მოთხოვნა დაცინვის საგნად გაიხადეს. ის, ვინც აფხაზეთი ომით დაკარგა გადადგომისა და თავში ხელების ცემის მაგიერ, თავგანწირვით ჩაფრენოდა პრეზიდენტის სავარძელს და ყოველგვარი აკრძალული მეთოდებით ცდილობდა მის შენარჩუნებას; აფხაზეთის დაბრუნებას კი მშვიდობიანი მოლაპარაკებით არარაობად აქცევდა. ვერ ხვდებოდა, თუ არ სურდა ამის გაგება, რომ მისგან წამხდარი საქმე სხვას, ერის სიყვარულით ანთებულ ქვეყნის მოამაგეს უნდა გამოესწორებინა. მას კი მხოლოდ საკუთარი სკამის სურვილი შეყროდა, სხვა ყველაფერი ჭირის სანაცვლოდ გაეწირა. აფხაზეთიდან დევნილებს თავის მამულში დაბრუნების იმედი სულ უფრო ეკარგებოდათ. უხერხემლო, კორუმპირებულმა ხელისუფლებამ ახალი ცხელი წერტილი გააჩინა. რუსეთის თხოვნაზე, ჩეჩნეთის საზღვრის ერთობლივ ჩაკეტვაზე, უარი განაცხადა. ქვეყანა გააბრუეს, საერთო კავკასიურ ომში ჩაბმას გვიპირებენო. შედეგად პანკისის ხეობის ლტოლვილ ჩეჩნებთან ერთად ბოევიკებიც გადმოვიდნენ და თვალთმაქცი ხელისუფლება იქ ცხვირის შეყოფას ველარ ბედავდა. იქნებ ეგრე აწყობდა, რამეთუ ნარკობიზნესში, იარაღით ვაჭრობასა და ხალხის გატაცებაში, რაც სავალალოდ გახშირდა, პანკისს ბრალდებოდა, მთავრობის მაღალი რანგის ჩინოვნიკებიც რომ იმხილებოდნენ.

ვისღა ახსოვდა აფხაზეთი და სამაჩაბლო. იმ უბედურებას უკვე შეეგუა ხალხი. ,,მსოფლიო რანგის“ პოლიტიკოსმა პრეზიდენტმა მრავალტანჯულ ქართველ ხალხს ახალი თავსატეხი აჩუქა, რაც მის დიდ დამსახურებად ინათლებოდა. აბა, როგორ, ამით ხომ მითიური საერთო კავკასიური ომისგან იხსნა ქვეყანა. ამგვარი ,,დიდებული“ დამსახურებით წარსდგა იგი საპრეზიდენტო არჩევნებზე, უკუღმართი საქმიანობის წაღმართად მონათვლის ქაქანში. ამას კი წინ პარლამენტის არჩევნები უსწრებდა თავისი გაყალბების არნახული მექანიზმით. შედეგად ზარ-ზეიმით გადეპუტატდა კურტანა და მრავალი მისი მსგავსი ,,სამშობლოსათვის თავდადებული“ ერის უბედურება.

დაინიშნა საპრეზიდენტო არჩევნები და კარგად გაწვრთნილი ყალბისმქნელ-მომხვეჭელთა ხროვა ახლა თავისი არჩევნების გაყალბების სამარცხვინო მექანიზმით შეუდგა ცნობილი ალქიმიური ილეთებით სიცრუის ბარტყების სიმართლედ ჩეკვას.

განუკითხაობისა და საშინელი გაჭირვების ბრჭყალებში უმუშევრობის მსხვერპლ ადამიანებს ბრძოლის უნარიც წართმეოდათ ლუკმაპურის გაუთავებელ ძიებაში. ქვეყნის უბედურება კი ხელისუფლების სადავეებს ჩასჭიდებოდა და მრავალჭირგამოვლილ ერს დაკნინება-დაჩაჩანაკების საშინელ ჭაობში ღრმავებდა. ამოცანა მარტივი და ნათელი იყო, პრეზიდენტად ხალხის ერთგული, თავის სამშობლოსთვის თავდადებული კაცი არ უნდა გაეშვათ; ეს ხომ ძალადობის, კორუფციის, უსამართლობის და ყოველგვარი უზნეობის დასასრული იქნებოდა. რა საჭირო იყო ახლის ძებნა, როცა ქვეყნის დამაქცევართ საკუთარი კანდიდატი ჰყავდათ, ახლანდელი პრეზიდენტის სახით.

– ახლა მოვიცილებთ ჩვენს უბედურებას, – ამბობდა ხალხი. სატანა კი სიცი-

ლით იფხრიწებოდა, ვინ ეკითხება ხალხს, მთავარია, საარჩევნო კომისიები და წვრილ-მსხვილი ჩინოვნიკები შენთვის ილვწოდნენო.

არა, ერისკაცის პრეზიდენტად არჩევას ვერ შეეგუებოდნენ ქვეყნის დასაკნინებლად შემართული მომხვეჭელები. მათ საკუთარი ლიდერი ჰყავდათ და მისი არჩევის ანტიეროვნული, ანტიხალხური, ძალისმიერი პროგრამაც ჰქონდათ. არჩევნებში მონაწილეობა ყალბი მიეთ-მოეთი და ფუჭი ფაფხური იყო მხოლოდ. მაინც ეჭიდებოდნენ ხავსს ძალადობის მორევში მოფართხალე, არჩევნების ილუზიის მსხვერპლნი.

– არჩევნები ისეთივე ყალბი  და მოჩვენებითი იქნება, როგორც ამ ვაი პრეზიდენტის მთელი ცხოვრება, – ამბობდა მათე, – თუ მოისურვებს, ას პროცენტ ხმებს მიიღებს, მაგრამ ასე არ აწყობს, დემოკრატიული არჩევნების ილუზიას რამდენიმე პროცენტს მიუგდებს.

არჩევნების გაყალბების ისეთი დიდი გამოცდილება დააგროვეს, თუ სურდა, შევარდნაძე მთავარანგელოზს ერთ ხმასაც არ აღირსებდა.  მიუხედავად ამისა, აუარებელი პრეზიდენტობის კანდიდატი გამოჩნდა, ამ სურვილის გარდა სხვა არავითარი მიზანი რომ არ გააჩნდათ. მათი გამოსვლები ადამიანებში მწარე, დამცინავ ღიმილს იწვევდა მხოლოდ. რას იზამ, პრეზიდენტობა ზოგს საკუთარი კეთილდღეობისთვის სჭირდებოდა, ისე, როგორც პარლამენტის წევრობა იყო. თანამედროვე ფულიანი მეჯღანუაშვილები ახლა პარლამენტის წევრის იმუნიტეტით და პრივილეგიებით ცდილობდნენ საბოლოოდ დამკვიდრებულიყვნენ მაგნატებად და შუა საუკუნეების დროინდელ ყმათა მფლობელებად,  რისთვისაც არ ზოგავდნენ ხალხის  ძარცვით შეძენილ ფულს. შედეგად პარლამენტი გადაიქცა სალაყბოდ და ხულიგანთა აღვირახსნილი ჩხუბის  და აყალმაყალის მოწყობის ადგილად. ახლა ზოგიერთ პრეზიდენტობის კანდიდატს მეჯღანუაშვილისებური სურვილი შეჰყროდა და ამ სათამაშოს ხელში ჩასაგდებად ბავშვური ჟინიანობით ცდილობდა. მათი ფაფხური ხელსიუფლებას სულაც არ აშფოთებდა, პირიქით, დემოკრატიულობის სპექტაკლის თამაშს კარგად ერგებოდნენ.

ედუარდ შევარდნაძე საქართველოს კომუნისტთა ყოფილი თავკაცი და კომუნისტური იდეოლოგიის  მგზნებარე დამცველი ახლა საბაზრო ეკონომიკად წოდებული კაპიტალიზმის მეხოტბე და საქართველოს დამაქცევარი პრეზიდენტის სკამს ჩაბღაუჭებული მომავლის იმედს თვალებს უბრმავებდა.

გაუსაძლისი ღლევანდელობით  დაბეჩავებული ხალხი იმ წარსულ ცხოვრებას მისტიროდა, კომუნისტთა ზედა ფენამ რომ შებღალა. შევარდნაძემ  სოციალური კეთილდღეობის იდეას უღალატა, მაგრამ აგერ ჯუმბერ პატიაშვილი ხომ არის, რომელმაც თავისი კანდიდატურა წამოაყენა პრეზიდენტის პოსტზე, იქნებ ამან მაინც გვიშველოს და ჩვენს გაჭირვებას წამლად მოევლინოსო: გარდასულ დროინდელ ცხოვრებას იხსენებდნენ და მისი მობრუნება პატიაშვილის ხელით ეგონათ. არადა, პარტიის ზედა ფენამ ისთი ენთუზიაზმით უარყო კომუნისტობა, როგორითაც კომუნისტურ  პარტიაში მიძვრებოდნენ და მის ერთგულებას კარიერიზმით დაბინძურებული სინდისით იფიცებოდნენ, რამეთუ კომუნისტობა  დიდ პრივილეგიებს და ქვეყნის ცხიმიან ცურზე მოჭიდებას ნიშნავდა. ახლა კომუნისტი აღარც შევარდნაძე იყო და აღარც პატიაშვილი და არც პარტიის მსუყე ნაჭრით გასუქებული უამრავი მედროვე ფუნქციონერი: პროკურორები, მოსამართლეები, მილიციის მუშაკები ხომ ყველა კომუნისტი იყო, სანამ ეს სჭირდებოდათ და ეგოისტ-კარიერისტ თავკაცთა ხუშტურებზე იქნევდნენ თემიდას მახვილს, ახლა დემოკრატიის კალთას შეფარებულები  სახალხო ქონებიდან დიდი ნაჭრის დასათრევად რომ ძიძგილაობდნენ. ხალხი კი იმედს არ კარგავდა და ქვეყნის კეთილდღეობისთვის  თავდადებულად მებრძოლი ადამიანის გამოჩენას ელოდა.

შეშფოთდნენ არჩევნების ილუზიონისტები და მთელი სიმძლავრით ჩართეს თვითალთმაქცობის, ძალადობაზე დამყარებული ცილისწამების მექანიზმი. მეთოდი უკვე კარგა ხნით ყველასთვის ცნობილი იყო. თუ ხმას არ ამოიღებდი და ხელისუფლებისთვის სანდო პირად ითვლებოდი, ყოველგვარი ცოდვა გეპატიებოდა, შეიძლებოდა პირიქითაც მომხდარიყო, ერთგულებს და რეჟიმისთვის თავდადებულებს ყოველგვარი დანაშაული გმირობად ეთვლებოდათ, საზოგადოებისთვის თვალის ასახვევად კი უცოდველი ადამიანის დამნაშავედ მონათვლა კარგად დამუშავებული ილეთი იყო. დემოკრატიულობის ნიღაბში შემძვრალი ძალადობა პრეზიდენტ შევარდნაძეს კომპარტიის ცეკას მდივნობიდან გადმოჰყოლოდა. ოღონდ ახლა ეს უფრო შემაზრზენი იყო, რადგან დემოკრატიის ნიღაბში შემძვრალი შევარდნაძე ბოლშევიკური შავი ჭირის ლანძღვის ფონზე ჭირის დღედ ჰქცეოდა ხალხს, რომელსაც ასე ულმერთოდ სძარცვავდა და სატანური ღიმილით მიერეკებოდა ამქვეყნიურ ჯოჯოხეთში. ხალხს კი ამდენი გაჭირვებისგან დაჰქვეითებოდა ბრძოლის უნარი, მაგრამ მაინც ფხიზლობდა, რათა ამ ხელისუფალს ისე არ გაეყიდა მისი სამშობლო, რომ ფეხის დასადგმელად ადგილი აღარ დარჩენოდა, შევარდნაძის მოღვაწეობა კი განუწყვეტელი ომი იყო საკუთარ ხალხთან, ბოროტების ჭიდილი იყო ქვეყნის სასიკეთო ჯანსაღ ძალებთან. ამიტომ დაუზარელად ბერავდა სიცრუის და თვათლთმაქცობის საპნის ბუშტებს გაჭირვებისგან დაოსებული ხალხის თავზე. არც იყო გასაკვირი, რადგან ბოლშევიკური შავი ჭირი იოლი სამკურნალო არ გამოდგა. ამიტომაც ვერ იტანდა თავის გვერდით და მთელს ქვეყანაში საღად მოაზროვნე, მართალ, პირუთვნელ, ნათელი აზრების ადამიანებს, მას გონებაშეზღუდული პირმოთნენი ეხვია გარშემო.

ხელისუფალთ აქამდე რომ აღარ ახსოვდათ, ახლა აქტიურად შეუდგნენ ჯუმბერ პატიაშვილის ლანძღვას. ცხრა აპრილის ამბები წამოსწიეს, პეტროგრადიდან ცხრა აპრილის ამბების შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარიდან, სობჩაკისგან მასალები მოითხოვეს, ვითომ რაღაც ბრალდების დადასტურების მიზნით. ყოფილ პოლიტბიუროს წევრ პრეზიდენტს, რომელსაც აპრილის ამბებზე დასვრილი სინდისი შეფარულ-შენიღბული ჰქონდა, არავინ ახსენებდა ამ ტრაგიკულ მოვლენებში მისი შავსახიანი როლის შესახებ. ისიც 9 აპრილის მსხვერპლთა მემორიალზე თვალცრემლიანი ანთებდა სანთელს და პირჯვარს იწერდა: მისი უამრავი ცოდვა ქართველი ხალხის მიმართ დამსახურებად ინათლებოდა. სახელმწიფო ტელევიზია ედუარდ შევარდნაძის „დიდ საერთაშორისო“ საქმიანობას ხოტბას ასხამდა. აბრეშუმის გზით და ნავთობსადენით აპურებდნენ დამშეული ხალხის სმენას. სიცრუე და თვალებში ნაცრის შეყრა სიმართლედ საღდებოდა ძალის და უსინდისობის წყალობით. საარჩევნო კამპანია ბობოქრობდა, სატანა კი სიცილით იჭაჭებოდა, ეს ბითურები რას ცოდვილობენ, არჩევნები უკვე გადაწყვეტილიაო.

ტასიკო ბუტბუტით შეუდგა ქალაქის ცენტრალურ მოედნისკენ ფერდობს. გზაში თავისი ყოფილი ნაცნობი ქარხნის მუშა ქალი შეხვდა. ერთმანეთს შესტირეს უკუღმართი ცხოვრების საშინელებაზე. მოედანზე გავიდნენ. უამრავი ხალხი შეგროვილიყო და აქა-იქ ჯგუფ-ჯგუფად მდგარი ყაყანებდა. კინოს დიდ დარბაზში ვიღაცეები შესვლას ლამობდნენ. ხელისუფლების მესვეურნი არ უშვებდნენ... იყო ერთი გაწევ-გამოწევა, გინება, მუშტის ტრიალი და არსებული ხელისუფლების წყევლა.

ტასიკომ და მისმა თანამგზავრმა ქალმა ქალაქის გამგებელი შენიშნეს შენობის კუთხეში შეგროვილ ჩინოვნიკთა შორის და მაშინვე მასთან მიიჭრნენ.

– ძალიან გვიჭირს, შიმშილით ლამის სული გაგვძვრეს, დაგვეხმარე! – შეეხვეწნენ.

– შენ რაში გვეხმარები! – გამგებელი ტასიკოს მიუბრუნდა, მეორე არაფრად ჩააგდო, რადგან ისე იყო დაჩაჩანაკებული, ფეხზე დგომას ძლივს ახერხებდა.
– მე უბედურს რა შემიძლია? – მოიჩივლა ტასიკომ.
– შეგიძლია. დღეს პატიაშვილთან შეხვედრა აქვთ დაგეგმილი. კვერცხებს მოგცემთ და ესროლე, თან იყვირე: ცხრა აპრილის შემდეგ სირცხვილით ხალხში როგორ გამოდიხარო. ათ ლარს მოგცემთ.
– ვინ მომცემს?
– მე.
– როდის?
– კვერცხების სროლის შემდეგ.
– მაშინ მოიტა კვერცხები, – ტასიკომ გამგებელს ხელი გაუწოდა.
– მეც მომეცი კევერცხები და ათი ლარი, – მეორე ქალმაც გაუწოდა ხელი.
გამგებელმა სახედრის მუშტარივით შეათვალიერა. ქალი ისე იყო გამოფიტული და დასუსტებული, მცირე შებერვაც გააბანცალებდა. კვერცხი რომ მიეცა, მის გადაგდებას კი არა, დიდხანს ხელში ჭერაც გაუჭირდებოდა. – შენ იყვირე და ხუთ ლარს მოგცემ, – ბოლოს გადაწყვიტა.
ტასიკომ ორი კვერცხი მიიღო და თავისი თანამოაზრე კაფანდარა ქალთან ერთად კვერცხების სასროლი პოზიცია დაიკავა. ამგვარად სხვადასხვა კატეგორიის ხალხი მოაგროვეს, ზოგს თანამდებობას შეპირდნენ. ზოგს ვაჭრობაში შეღავათები, სხვებს, ვინც გამოჭერილი ჰყავდათ რაღაც დარღვევებში, თავის დანებებით დაამშვიდეს; ტასიკოსნაირ გუდამშივრებს კი ათ-ათი ლარის მიცემა შეჰპირდნენ, მოკლედ, ამრევების ბრბო შეადგინეს, დარბაზში შეკრებაზე ხალხი არ შეუშვეს და ახლა ამ ყაყანსა და გნიასში ელოდებოდნენ პატიაშვილის გამოჩენას.
კოტე არცერთი დაჯგუფების წევრი არ იყო, არც ამ ახლადშექმნილი უამრავი პარტიების დემაგოგიური ლაქლაქის სწამდა რამე. ამიტომ ყოველთვის განზე იყო, თავისი მეგობრებივით შორიდან უყურებდა ამ თანამდებობის მოხვეჭაზე და ამის საშუალებით ქონების თუ გრანტ-კრედიტების მითვისებაზე გადარეულთა აყალმაყალს. ახლაც მათესთან ერთად მოშორებით იდგა და გულისტკივილით მისჩერებოდა ბრბოში ჩასახლებულ გაუთავებელ შეხლა-შემოხლას.
არ გვინდა პატიაშვილი, დაიკარგოს აქედან, ჩვენ რა უნდა გვიშველოს, როცა გვყავს ედუარდ შევარდნაძე! – უცებ აყვირდა ტასიკოს თანამოაზრე ქალი. ისეთი საშინელი გამყინავი მწივანა ხმა ჰქონდა, რომ მსმენელებს ჯოჯოხეთიდან მიგზავნილი ეგონათ, ყველა მას მიაჩერდა. ადამიანებს მის დანახვაზე შეაჟრჟოლათ. ის კი კვლავ აწრიპინდა, ენერგია აღარ ეყო, სათქმელი შუა გზაზე შეუწყდა და ხველა მოეძალა. ძლივს სული მოითქვა და ტასიკოს მიმართა:
– ხომ დავიმსახურე ხუთი ლარი, შენ იყავ მოწმე, არ მომატყუონ.
– ზოგი იმ ქალს დასცინოდა, ზოგიც ირონიულად ღიმილის მეტს არაფერს იმეტებდა მისთვის. მოსყიდულთა ღრიანცელი კი გრძელდებოდა, ყველა მიცემული როლით ცდილობდა შეპირებული ჯილდოს დამსახურებას.
კოტე უსმენდა ამ გნიასს და ადგილზე ცქმუტავდა.
– უნდა გავიდე და სათქმელი ეთქვა, – ჩაილაპარაკა, – გაანებე თავი. ყველა თავის ნოტზეა აწყობილი, შენ ვერაფერს შეცვლი. ისევ დამიდექ გვერდზე და უყურე სეირს, – ურჩია მათემ.
– შენ აქ დამიცადე. ერთ-ორ სიტყვას ვეტყვი მაგ ბითურებს და გამბითურებლებს, – კოტემ ეს თქვა და კინოთეატრის კიბეებისკენ წავიდა. ხალხი კი გაუთავებლად ყაყანებდა. კოტე კიბეზე შედგა და თითქმის ყვირილით დაიწყო: – თქვე გუდამშიერო , ტყვინგაყინულო, უბედურებო, ამ გაჭირვებაში ჩაყვინთულებს მა-

ინც რომ ვერ გაგიგიათ, ვისგან მოდის ჩვენი ესოდენი დაკნინება! – ყაყანი შეწყდა. ყველა კოტესკენ მიბრუნდა, ის კი განაგრძობდა; – საქართველოს სატანა ჰყავს დაპატრონებული. ვისაც ეს არ სჯერა, თავის გამომხმარ კუჭს ჰკითხოს... არჩევნები იმედის სულ მცირე, პატარა სხივია, რომლის საშუალებითაც ჯერ კიდევ შეიძლება შევებრძოლოთ ჩვენს დამაქცევარს. როცა ქვეყანაში ღალატი და მუხთლობა მძვინვარებს და სათავეში ჩვენი მოსპობის და დაკნინების მჩხიბავია გამძვრალი, განა გვაქვს უფლება, ერთი პირი არა გვქონდეს ჩვენს უბედურებასთან საბრძოლველად?! ისევ განუკითხაობის, გაჭირვების და ჯუნგლების უბედურებაში გინდათ ყოფნა?! მსოფლიო დონის ჰეროსტრატემ საქართველო დამწვარ არტემიდას ტაძარს დაამსგავსა. ყველგან ღვარძლის და გათიშვის თესლი ჩათესა; ხალხი თავის ნაფერებ სამშობლოდან გარბის. დაკნინდა, დაბეჩავდა, გაღატაკდა ქართველი ხალხი. ჩვენი ახალგაზრდობა სხვა ქვეყნებში ლაქიებად გარბის. ქართველი ქალები უცხოეთში გაუსაძლისმა გაჭირვებამ მეძავეებად აქცია. თვითონ საქართველო კი პაპუასების სიბნელეში მიღოღავს, რათა ჩვენმა მუხთალმა პრეზიდენტმა საქართველოს საძარცვავად შემართულ ქვეყნებთან თავი მოიწონოს და გაუმაძღრობა შეყრილ სტომაქს კიდევ ახალი გრანტი თუ კრედიტი ჩაამატოს. რას დავობთ და ბღავით, ნუთუ ვერ მიმხვდარხართ, რა უბედურების გზაზე შეგვაგდო საშინელი ღალატის მოთავემ. ახლა მთავარია ეს იუდა მოვიშოროთ. შემდეგ ვინც გინდათ მოვიდეს პრეზიდენტად, შეიძლება რაიმე შეეშალოს, მაგრამ ამასავით წინასწარ მოფიქრებული, გეგმაზომიერად დამაქცევარი, გააზრებულად ჩვენი მომსპობი მოღალატე მაინც არ იქნება! – კოტემ თავისი გამოსვლა დამთავრებულად ჩათვალა, კიბიდან ჩამოხტა და მათესთან გაემართა.

– ხომ მაგრად ვთქვი? – მისვლისთანავე ჰკითხა მათეს.

– შენი გამოსვლა ფუჭი ფაფხური იყო. აი, ნახავ, ვისაც რა როლი აქვს, მის შესრულებას ეცდება მხოლოდ. ეტყობა, რაღაც უხილავმა ძალამ ხალხს ბოროტებასთან და ღალატთან ბრძოლის უნარი წაართვა და დასაკლავად განწირული ცხვრის სული ჩასჩარა მკერდში! – გულისტკივილით თქვა მათემ.

ამასობაში ჯუმბერ პატიაშვილი მოვიდა. მოახსენეს, რომ დარბაზის კარები ჩაკეტილია და შიგ არ გვიშვებენო.

შეხვედრა ღია ცის ქვეშ, მოედანზე გაიმართა. ამრევებმა ყაყანს უმატეს, რამეთუ, მათ მოქმედებას შორიდან ადევნებდა თვალს სპექტაკლის დამკვეთი.

ტასიკო და მისი მსგავსნი აჩხავლდნენ: – ცხრა აპრილის შემდეგ როგორ ბედავ ხალხში გამოსვლას! განა დაგავიწყდა, შენი მაშინდელი ავკაცობა!

– თქვე ოხრებო, შევარდნაძემ მთელი საქართველო თავზე დაგამხოთ, ქვეყანა გაანადგურა, საქართველოდან ქართველი გადააშენა; თავისი დღენი ღალატზე და მუხთლობაზე რომ დგას, ეს რატომ გავიწყდებათ! – აყვირდა კოტე.

მათემ მკლავზე მოქაჩა: – დაწყნარდი, ძმაო, ამათ შენი არ ესმით. ეტყობა, სატანა დიდხანს იცინებს ჩვენზე. შენ იმაზე იდარდე, სატანის ოინბაზობას სულ არ შემოვეხარჯოთ, – წყნარად უთხრა და ბრბოს დააკვირდა.

შეხვედრა მაინც ჩატარდა, თუმცა, გაქეზებული ამრევები არ ისვენებდნენ. პატიაშვილი წასვლას აპირებდა, გაქეზებულთა აქტივობამ იმატა.

– ცხრა აპრილი ვინ მოაწყო, არ დაივიწყოთ! – აჩხავლდნენ.

– შევარდნაძის მოწყობილია, სხვაზე გადაბრალება აღარ გამოუვა! – ღრიალებდა ხალხი.

პამიდვრებით და კვერცხებით შეიარაღებულებმა სროლა დაიწყეს. ტასიკომ შორიდან ნასროლი კვერცხი ვიღაცას ზურგზე მოარტყა, ის კიდევ შემობრუნდა, მეორე კვერცხი წაართვა და თავზე დაათხლიშა. ხალხი კვერცხებით შეიარაღებულებს დაერია და ტასიკოს ბედის გაზიარება ბევრს მოუწია.

ტელევიზიის სპეციალურად მომზადებული ოპერატორები კვერცხების და პამიდვრის ალიაქოთს დიდი მონდომებით იღებდნენ. ნახეთ, როგორ შეხვედრას უწყობსო ხალხი.

შეხვედრა დამთავრდა. ხალხი ნელ-ნელა ყაყანით იშლებოდა. თავზე კვერცხდათხლეშილი ტასიკო ქალაქის გამგებელს დაეძებდა, კვერცხის სროლაში ათ ლარს დამპირდაო, იძახდა.

– თუ თავით კვერცხების მტვრევაში ათ ლარს იძლევიან, ჩვენც დავამტვრევთ, – სიცილით ამბობდნენ ტასიკოს მაყურებელნი...

კოტეს აქტიურობა შენიშნეს ოპოზიციურ პარტიათა წარმომადგენლებმა და საარჩევნო კომისიაში შეიყვანეს, კოტეს უხაროდა, აბა, ნახონ, ხალხი როგორ არჩევანს გააკეთებსო. მათე და ომარი დასცინოდნენ, ბიჭო, მაგ ილუზიებიდან გამოერკვიე, ძალადობით ხელისუფლების სათავეში მოსული შევარდნაძე, არჩევით პოსტს არ დათმობს. იმ ხალხმა ცოდვები რომ გამოუჩხრიკოს, ხომ მოუწევს თავის უამრავ მსხვერპლთა სისხლ-ცრემლში ფართხალიო.

საარჩევნო კამპანიის მსვლელობა კი უკუღმართობის, ძალადობისა და თვალთმაქცობის ერთხელ უკვე გატკეპნილ გზას აგრძელებდა. უამრავი დაპირებებით სცადეს მისი გადაბირება. არაფერი გამოუვიდათ, გაყალბებაზე ვერ დაითანხმეს.

– მაგარი ხეთაგანი ჩანს, ახალი ყუთის ვარიანტი უნდა გამოვიყენოთ, – დაასკვნა კომისიის თავმჯდომარემ.

დღე იწურებოდა. კოტეს გარეთ გასვლა დასჭირდა. ერთ ოპოზიციონერს დაავალა ყუთისთვის თვალი არ მოეშორებინა. ის კი მალევე მოისყიდეს ქალაქის გამგებლის მოადგილის სატყუარით. კოტე რომ დაბრუნდა, ყველაფერი მოთავებული იყო.

ხმის დათვლისას შევარდნაძეს ასოცი პროცენტი ხმებისა შეუგროვდა. კოტე მიხვდა, რომ გააცურეს. მეგობრების ნათქვამი გაახსენდა, მოძალადე კანონიერი არჩევნებით პოსტს არავის დაუთმობსო. ადგა, მთელ კომისიას მიაფურთხა და იქაურობას გაეცალა.

– ეს როგორ მოგივიდათ?! – კომისიის თავმუჯდომარემ დანარჩენებს უსაყვედურა.

– ძალიან ვჩქარობდით და სულ მუჭა-მუჭა ჩავყარეთ, – უპასუხეს.

– ოთხმოცდაათ პროცენტზე დაიყვანეთ! – ბრძანა კომისიის თავმჯდომარემ. და ბიულეტენების გადარჩევა დაიწყო.

დამთავრდა პრეზიდენტის არჩევნები. ანტიხალხურმა და ანტიეროვნულმა პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ მიითვისა ხალხის რჩეულის სახელი. მისი კორუმპირებული თაყვანისმცემლები კი გაჰყვიროდნენ, კონსტიტუციაში ცვლილება უნდა შევიტანოთ და პრეზიდენტად არჩევის ვადა კიდევ და კიდევ უნდა გავაგრძელოთო. მის არჩევაში კი არავითარი პრობლემა არ იყო, რადგან ჰქონდა გაყალბების ნაცადი სისტემა, გამყალბებელთა მთელი არმია ჰყავდა და ხელში ეჭირა ქვეყნის მართვის სადავეები. ყველა მუხთლობის მკადრებელს სახეზე აფარებული ჰქონდა დემოკრატის ნიღაბი, რომელიც არასოდეს ყოფილა.

# სეტყვა

**ლოგინში** შეტრიალდა. არა და არ იქნა მოჯარული მძიმე ფიქრებისგან გაძევებული ძილის შემორიგება. საწოლში წრიალებდა. რა ქნას? ამ სიბნელეში გინდა ადგეს, რა გააკეთოს? ნავთიც არა აქვს, ლამპა რომ აანთოს. ელექტრონის განათება წარსულს ჩაბარდა და ტკბილ მოგონებასავით შემორჩა. მალე ღამეს გაუხუნდება შავი ბუმბული, მტრედისფერ განთიადს შეერევა, ამომა-

ვალი მზის სხივები დღედ აქცევს...

თენდებოდა საშინელი გაჭირვებით, გამრავლებული გადაუჭრელი პრობლემების და უიმედობის მძიმე ტვირთით მოდიოდა ყოველი დღე. ღამე დროებით აყუჩებს დუხჭირი ცხოვრების აუტანელ ტკივილს, სულის ხუთვას, მოძალებული განუკითხაობის გაუმაძღალი ხახის წინაშე თავდაუცველობის სიმწრის შეგრძნებას. მიწვება ლოგინში, წარსულ დღეთა გახსენებით ცდილობს ამაოებით გაჟღენთილი სინამდვილის დავიწყებას. მერე დამფრთხალ ძილს გამოეკიდება, მის მოშინაურებას ცდილობს. უნდა, რომ სულ ეძინოს, დღე ღამეზე გაიყინოს, რათა დღემ და სიფხიზლემ მისი ამქვეყნიური სტუმრობა გაავებული სიდუხჭირის სულ-ხორცის საჭყლეტში არ შეაბრუნოს.

იაფეთი ერთ დროს სამშენებლო ორგანიზაციის დირექტორი იყო, მწარე ცხოვრების ჭაობში მოფართხალეს ტკბილად ახსენდება ის მოძრაობით, შრომით და შენებით დაუღლელი წარსული. რამდენი სამშენებლო ორგანიზაცია იყო მაშინ, ვინ მოსთვლის. თითები მოკეცა, ხუთი არ ეყო, მეორე ხელიც მიიხმარა. ბალიშზე მიდო თავი. – ეს რა მოხდა, კაცო, – ხმამაღლა ნათქვამი გმინვით შეანელა.

მზემ ლოგინში მიაკითხა. მეორე მხარეზე გადაბრუნდა და მნათობს ზურგი შეაქცია. – „რა ლამაზი დილაა და რა არასასურველი სტუმარია მძიმე განუკითხაობის ტყვე ოჯახისათვის“, – გაიფიქრა. ძილს მაინც გაეკიდა. შერჩენილმა სიფხიზლემ ლოგინში გდება გაუმწარა. საწოლზე წამოჯდა. რა ქნას, რა გააკეთოს? გუშინ ერთი ვედრო ალუჩა ორ ლარად გაყიდა, პური იყიდა და შიმშილს დამცინავი ღიმილი შეაგება. პური იღლიაში ამოიდო და სახლში ისე წავიდა.

საწოლზე წამომჯდარს ადგომა და ძალაში შესული დღის ფერხულში ჩაბმა ესიკვდილებოდა. ან რა ფერხულია ეს, როცა არავის არ სჭირდები, არც არავითარი საქმე არა გაქვს, – არც რაიმე იმედი, რომ უმუშევრობით, უსახსრობით განებივრებულ და გაძლიერებულ გაჭირვებას შეეჭიდები, წამოდგები და ზურგზე დასცემ. ახლა კი თავად ხარ სუფთად წაგებული მოჭიდავის ადგილზე და გამარჯვებულ გაჭირვებას ზედ ფეხი დაუჭირებია, თან თავის გამძლავრებულ კუნთებს ათამაშებს.

იაფეთი, ეს სახელი იშვიათია ქიზიყში. ადრე უკვირდა, საიდან მოიგონაო ჩემმა ნათლიამ ეს სახელი. მაშინ ბიბლიაზე წარმოდგენაც არ ჰქონდა. მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებს შეჭიდებულს. ახლა, როცა ასე ძალუმად იფეთქა უფლის მორჩილებამ და ეკლესიაში სანთლის რიგში დგომამ, ღმერთის რწმენა ზოგიერთისთვის ისევე მომგებიანი გახდა, როგორც ადრე ლენინიზმის ერთგულება; ძველი და ახალი აღთქმა კი მარქსის კაპიტალზე და დიალექტიკურ მატერიალიზმზე გადაიცვალა, იაფეთმა გაიგო, რომ მისი პირველი სეხნია ნოეს შვილთაგანი ყოფილა სემ ლა ქამთან ერთად აზიის, აფრიკის და ევროპის თიხის შვილთა წინაპრებად რომ იქცნენ. ახლა იცის, რომ მთელი ევროპის ადამიანები იაფეთის მიერ არიან სათავედადებულები. „დალახვროს ღმერთმა, როცა უფალი არა გვწამდა და მღვდლებს გასაკრეჭად დავდევდით, მაშინ სიცოცხლე ჩქეფდა, კალაპოტში ვერ ტეულიყო, ახლა, ყველა რომ ეკლესიას მიაწყდა და ლოცვით შეაძრწუნა ცა და ხმელეთი, უფალი მაინც არ უგზავნით ციურ მანანას ამ დაკარგული, მაძღარი ცხოვრების ნაცვლად შიმშილით რომ არ გაფშიკონ ფეხები“, – ფიქრობს იაფეთი და ამ ურწმუნოთა ლოცვით მოპოვებული სასუფევლის მაინც არ სჯერა.

მეუღლე დესპინე მასწავლებელია, თხუთმეტი ლარი აქვს ხელფასი. ყოველდღე ისეთი მონდომებით და გულმოდგინედ ემზადება სამსახურში წასასვლელად, თითქოს მის ხელფასზე იყოს ჩამოკიდებული ოჯახის ყოფნა-არყოფნა.

ადრე დესპინეს ხელფასი შეინახავდა ოჯახს, მაგრამ რაში სჭირდებოდა სამშენებლო ორგანიზაციის ხელმძღვანელს მასწავლებლის წვლილი საოჯახო ყულაბაში. ახლა კი გაჭირვებით გასავათებულები მართლაც ციურ მანანასავით ელოდებიან სინათლის, მიწის და სხვა გადასახადებით დამფრთხალ დესპინეს თხუთმეტ ლარს.

რა ქნას, რა გააკეთოს, ვის სთხოვოს დახმარება? ირგვლივ გაჭირვებით, განუკითხაობით გზააბნეული ხალხის ქაოსია. რა აწყენინა ქართველმა კაცმა უფალს ისეთი, რომ ბაბილონის გოდლად უქცია ამქვეყნად ცხოვრება? უფროსი შვილი, იონა რუსეთშია გადახვეწილი, ცხოვრებას ახერხებს, სამუშაოც აქვს და გაჭირვების მორევში მოფართხალე მშობლებს დროდადრო მაშველი რგოლივით უგზავნის ფულს. შუათანამ, ალათიმ ამერიკაში მოახერხა წასვლა, იქ ოჯახს პატარა ბავშვის აღზრდაში ეხმარება და დააღწია თავი საქართველოდან ადევნებულ პირდაფჩენილ გაჭირვების ზმანებას. სულ პატარა, დარია, ინსტიტუტში სწავლობს, თუ დღეს სწავლას რაიმე მნიშვნელობა აქვს, ბარაქალა დღევანდელ ახალგაზრდობის მცდელობას, ყველგან რომ უმაღლესი სასწავლებელია, სამსახური კი მოჩვენებასავით გამქრალა. უჭირს იაფეთს უმცროსი შვილის შენახვა. კიდევ კარგი, საზღვარგარეთ გადახვეწილი შვილები ეხმარებიან, თორემ...

დესპინე გაემზადა სკოლაში წასასვლელად.

იაფეთმა უხალისოდ ჩაიცვა, ჯერ კიდევ შემორჩა ძველებური ჩასაცმელები, დესპინეს რომ გადაურჩა და კაბლის ბაზარი არ აჩვენა. ჰალსტუხებით კი გაავსო ტომარა და მარანში აბლაბუდებიან კუთხეში მიაგდო. ახლა ვიღას სჭირდება ჰალსტუხი, როცა ყველა პროფესია და განათლება გაუფასურებულია. მშენებლობა კი დანგრევა-დარბევაზე გადაცვლილა.

პირის დაბანა უნდოდა, კატასავით ორი თითით მოიწმინდა თვალები. ის დრო წავიდა, ონკანში წყალი რომ მოჩხრიალებდა, მძლავრი წყალსადენი მთელს ქიზიყს უწყლობით ტუჩებდამსკდარ წარსულს რომ ავიწყებდა. ახლა ეს წყალსადენი განადგურებული და გავერანებულია...

სახლიდან გამოვიდა. ყოველდღე საკუთარი სამუშაო გრაფიკი აქვს: ვენახს მოინახულებს, პატარას წაიმუშავებს, იქვე კუნძზე ჩამოჯდება, მძიმე ფიქრებს და მოგონებებს გაეთელინება, გულის ძარღვზე გამობმულ გრძნობის სიმებს გასაწყვეტამდე გაჭიმავს, მირაჟად ქცეულ წარსულს გაეკიდება, ივიშვიშებს და ასე ნაწვალებ-ნავიშვიშარი დაადგება სახლის გზას, რათა ხვალ იგივე გაიმეოროს.

მთავარ ქუჩაზე ჩაიარა, ადრე სტალინის სახელს რომ ატარებდა. მოედანზე სტალინის ძეგლნადგამი კვარცხლბეკიღა შემორჩენოდა, პიროვნების კულტზე ხრუშჩოვის თავქარიანი ამბიციების მოსაგონებლად.

იაფეთს მასავით გახუნებული, დამდნარი და გაჭირვებასთან ჭიდილში დაჩიავებული ძველი ნაცნობები ხვდებიან. ერთმანეთს მოიკითხავენ, წარსულს გაიხსენებენ, დღევანდელობას ოხვრას და გმინვას დააყოლებენ; მომავლის უიმედობას, გამოსავალს ვერ უპოვიან. იკვნესებენ, ივიშვიშებენ და ასე სულდამძიმებულები დასცილდებიან ერთმანეთს. ირგვლივ დაბოღმილი, გაჭირვებისგან გამოხრული, გამოუვალი მდგომარეობიდან სასოწარკვეთილებამდე მისული სახეები. სიცილი, ღიმილი და სიმღერა სადღაც გადაშენებულა.

რა ქნას? მთელი თავისი ცხოვრება შრომობდა, ერთი დღეც არ ყოფილა უქმად. იცოდა, მისი ცოდნა, შრომა და გამოცდილება სჭირდებოდა ქვეყანას. სამსახურში მზეს ასწრებდა და მთელი დღე შრომობდა. ახლა რა ქნას? ის აღარავის არ სჭირდება, თუნდაც კედლისთვის უხლია თავი. შიმშილით და სასოწარკვეთით იწამლება სიცოცხლე. ამღენმა ჭირ-ვარამმა ადამიანი უგრძნობელი გახადა. სიკვდილიც ისე გაუშინაურდათ, მის დაუსჯელ ნადირობას, ფარაში შევარდნილ მგლის

დაუნდობლობით რომ დარევია ადამიანებს, უშფოთველად შერიგებიან. სიცოცხ-ლის დაუსჯელად თიბვას ვერაფრით ეწინააღმდეგებიან გაჭირვებით დაბეჩავე-ბულნი, რამეთუ წამლით ან კვებით არ შეუძლიათ მისი დაფრთხობა.

იაფეთი ძირძველი წნორელია. ეს სიცოცხლით სავსე სოფელი, დაბა და შემ-დეგ ქალაქი მის თვალწინ აყვავდა, გაიფურჩქნა და მხრები გაშალა. საინგილო, ლაგოდეხი, დედოფლისწყარო, თვითონ სიღნაღი წნორის საკვანძო რკინიგზის სადგურიდან იღებდნენ აურაცხელ ტვირთს. სამრეწველო საწარმოები, სამშე-ნებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციები, სავაჭრო და კვების ობიექტების სიმრავლე ერთიან, მთლიან, ჯანიან მაჯისცემას ქმნიდა. გაიზარდა წნორი, ვე-ღარ დაეტია ძველ საზღვრებში: გაიშალა, გაფართოვდა, ალაზნის არხს გადაა-ბოტა, ალაზნისკენ დაეშვა, აეროპორტს მისწვდა, ბოდბისხევი შებოჭა, მერე ზედ გადაუარა და ქორბულაყს უწია. ესეც არ ყოფნიდა და ახალ-ახალ სივრცე-ებს ითხოვდა მისი სიცოცხლით გავსებული მაჯისცემა.

ყველა მიმართულებით მოძრაობდა ტვირთი. სიცოცხლის ფეთქვა აზერბა-იჯანიდან კახეთში წნორზე გადიოდა. წნორი ამდენ საქმეს ვერ აუდიოდა. მუშა ხელი სხვა რესპუბლიკებიდან მოდიოდა. ცხოვრება დუღდა და გადმოდუღდა. შრომით დატვირთული დღე-ღამე ოცდაოთხ საათზე მეტს ითხოვდა. იაფეთს ფიქრის ძაფი გაუწყდა. გზაჯვარედინზე გავიდა. კერძო ტაქსის მძღოლები იქვე ამთქნარებდნენ. ამათ მაინც უშოვნიათ გამოსავალი, უმუშევრები აღარ არიან, მაგრამ ვერც მუშაობენ; ვინ არის ნებიერი, ტაქსით იაროს, – გაიფიქრა.

რკინიგზის სადგურის მოედნისკენ ჩაუხვია. აგერ მოედანიც, პარტახი დაპატ-რონებია იქაურობას. საძირკველზე ამოჩრილი კედლებიღა იყურებიან. ზოგი შე-ნობა შედარებით იოლად გადარჩენია პარტახს, სახურავზე ჯერ კიდევ ჩანს თუ-ნუქის ნარჩენები, ფანჯრის და კარების ჩარჩოები კი დაუკარგავს. თვითონ სად-გურის შენობას გაუთოხნავ ყანასავით მოსძალებია ბალახი, ხავსი და უძრაობა. მყრალა ბალახი და ხავსი გამოჩრილა დამსკდარი კედლების ჭრილიდან. კიბის-თვის სახელურები და ზოგი საფეხური მოუგლეჯიათ. ვიღაც გაჭირვებულებს მაინც მოუხერხებიათ ამ გავერანების ფეხსადგილად გამოყენება.

ბაქანზე გავიდა. აქედან იწყება რკინის ხიდი ფეხით მოსიარულეთათვის. ადრე მართლაც საჭირო იყო ეს ხიდი, ადამიანები ვაგონებს შორის რომ არ მოტანებულიყვნენ, ახლა ჟანგი სჭამს, რკინის სახელურები და ზოგი საფეხუ-რიც მოუგლეჯიათ. ხიდი ვის რაში სჭირდება, თვითონ ვაგონების სავალი ნა-წილი როცა უდაბნოდ ქცეულა. შპალები ბალახს შთაუნთქავს, რელსებზე ჟანგ-თან ერთად ბალახი ბალახობს. იქვე ვაგონი მიყუდებია თავისსავე გამონგრე-ულ გვერდს. იქით სატვირთო სადგურის გავერანებული შენობა უდაბნოში გა-მოხრულ აქლემის ჩონჩხს მოგაგონებს. საწყობების შენობები, გადაქცეული ამ-წეკრანი, ყოფილ სახერხების და საამქროების ადგილზე თითქოს ქარბორბა-ლას გაუჯირითაო ბზიან კალოზე, ისეა მიმოფანტული იქაურობა.

იაფეთმა ოხვრით და მოთქმით გადაკვეთა ნასადგურალი და არანაკლებ გაპარტახებულ ქუჩაზე გავიდა. ადრე აქაურობას ბობოქარი სიცოცხლე ახმაუ-რებდა. მექანიკური ქარხანა, საგზაო-სამშენებლო უბანი, საკონსერვო ქარხა-ნა, ყველ-კარაქის და ღვინის ქარხნები, სამშენებლო უბნები, უამრავი მსხვილი და წვრილი საამქროები, ბრმათა და ყრუ-მუნჯთა საწარმო, სახერხები, საყო-ფაცხოვრებო ობიექტები; ქუჩა გაჭედილი სიცოცხლით, ირგვლივ შრომის და ბარაქის ტრიალი – ამღერებული მოღიმარი ადამიანები. ახლა მკვდარი და გავერანებული გულს უკლავს მნახველს. ირგვლივ ადამიანის ხსენებაც გამქრა-ლა. წნორის ეს ყველაზე მძლავრად მფეთქავი ძარღვი დაწრეტილია, სამრეწ-ველო უბანი განადგურებული და გავერანებული, ქუჩა – დათხრილი.

აგერ ძაღლი, გამხდარი, ბალანაბურძგნული, ფერდი ფერდზე მიკრული, თავის ქალაზე გადაკრული ტყავით, მილასლასებს, შიმშილით სიკვდილის ზღვარზეა, ადამიანთა ყურადღებას მიჩვეულს ეტყობა, მაწანწალობა და ველურად ცხოვრება არ ეხერხება, მაგრამ კაცი არ ჩანს ლუკმაპური მიუგდოს ადამიანის ამ ერთგულ ოთხფეხს. ან ვინ მიუგდებს ლუკმას, როცა ლუკმის მიმგდებნი ამაზე უარეს დღეში არიან.

— რა ძალიან ჰგავს ჩვენს დღევანდელობას, — ჩაილაპარაკა იაფეთმა. „იქნებ მეც მაგ დღეში ვარ და ვერ გამიგია“, — გაიფიქრა და იავარქმნილ შენობებს ისევ მოავლო თვალი. წნორი შარგენის ტყავივით პატარავდებოდა, თავის სოფლად ყოფნის დროინდელ საზღვრებისკენ იხევდა და ძველ ცხოვრებაზე უარეს სიბნელეში მიძვრებოდა, გზაზე კი ტოვებდა ნანგრევების, რბევის და პარტახის გიგანტურ ნაფეხურებს, ბედნიერი, მოზეიმე, მჩქეფარე დღეთა სინანულით გასახსენებლად.

მიდის იაფეთი, მიდის იმიტომ, რომ უქმად ჯდომას ვერ იტანს მთელი ცხოვრება შრომის ქურაში ნადები. იქ, ქვევით თავის მარჩენალ ვენახს დახედავს, მოეფერება, იცოდვილებს და დაიცხრობს უცხვირპირო სიცოცხლესთან პაექრობის წყურვილს, თორე გაუკუღმართებული და მუქთად გდების ამქვეყნიურობა მხოლოდ სიკვდილის ლოდინადღა ჰქცევია.

უხარია, რომ წინდახედულება გამოიჩინა და თავისი ნაცოდვილარი ღვინის ქარხანას არ ჩააბარა, თორე ახლაც მის კარებთან იდგებოდა იმ ფულის მოლოდინში, რომელიც არც მიეცემა და არც დაეკარგება შემსალაროში შეტანილი ფულივით, ერთი წლის შემდეგ ორმაგად რომ ჰპირდებოდნენ დაბრუნებას და კუპონებად ქცეული ფაფუღა რომ მიიღეს.

ყოველ წელს ერთი და იგივე ილეთით ატყუებენ გლეხს, ისიც უძლებს მძიმე უსახსრობას. უარეს დღეში არიან ამომრჩევლები, თუ მათ მიერ მიცემულ ხმას რაიმე აზრი აქვს ამ გაყალბებულ არჩევნების სამთავროში.

გაძარცვულ სავაჭრო შენობებს გასცდა, ლაგოდეხის შარაგზაზე გავიდა და თავქვე დაუყვა. მარცხნივ სამშენებლო საწარმოს გამოშიგნულ-გამოფატრული შენობები დაეჯღანნენ ქარონის ნავით მიმავალს. აგერ, სასაცილოდ ქცეული გამწმენდი ნაგებობა, მეცხოველეობის მძლავრი კომპლექსის დარბეული შენობები, აეროპორტი და მისი ჩონჩხად ქცეული რესტორანი, მაღალი ძაბვის მავთულმოპარული ანძები და მშვიდობის წყაროს სასადილოს გამოხრული კედლების ნარჩენები. აქ შეჩერდა იაფეთის ქარონის ნავი, მაგრამ ნგრევა და პარტახი ალაზნამდე ტოვებდა წნორის წილ კვალს, რათა მერე ლაგოდეხისკენ გაეგრძელებინა ღვარძლის მიერ შენელებული ნაფეხურები.

რა პრიმიტიული იყო დამრბევი ჯალალედინის, თემურ ლენგის, შაჰ-აბასის და სხვათა მსგავსი ხალხს სახლ-კარს რომ უწვავდა, ვენახს უჩეხავდა, ადამიანს სპობდა და საქართველოდან ძალით მიერეკებოდა უცხოეთში, მაგრამ მაინც ვერას აკლებდა მუშტად შეკრული, მებრძოლი ხალხის სიცოცხლისკენ ლტოლვას. რამხელაზე გამჭრიახი უნდა იყოს ნიღაბაფარებული შინაური მტერი — მუხთალთა ეკონომიური პოლიტიკა, რომ ხალხი უმუშევრობით, ქურდობის და ყაჩაღობის აღზევებით, ცრუ დაპირებებით დააბეჩავო, საკუთარი ხელით გააჩეხინო ვენახი და სასოწარკვეთამდე მისული თავის ქვეყნიდან უცხოეთში გადახვეწა ახვეწნინო; ფულიც წაართვა სამშობლოდან გაქცევის ნებართვაზე. რამხელაზე ვერაგი უნდა იყოს ღალატი, ორპირობა; რა ჭირის საფანელი მოაყარეს ქართველთა ყოფას, რომ ეს თავის მიწა-წყალს უსაზღვროდ შეყვარებული ხალხი თავქუდმოგლეჯილი გააქციო ნაფერები მამულიდან. აქ დარჩენილებს კიდევ ნელ-ნელა სუტავს ღალატის წურბელა, სანამ სულ არ გამოხმება, ან თავისი ხელით არ გადაიცვამს ყულფს. რას იტყვი, იაფეთ, წარღვ-

ნა ხომ არ გვიახლოვდება? ისე კი ჩვენი დღევანდელობა წარღვნა არ არის?!

მარჯვნივ გადაუხვია, მინდვრის გზას გაუყვა. დიდებული სანახავი იყო ალაზნის ველი ადრე. უამრავი სარწყავი სისტემები, შვიდჯერ ითიბებოდა იონჯა, მწვანე მასას ენამთაზე ეზიდებოდნენ უნიკალურ სასუქ მოედანზე მსხვილფეხა პირუტყვისათვის. ბარაქიანი იყო ალაზნის ველის მოსავალი ადამიანის გამრჯე ხელის და ჭკუის დახმარების შედეგად. ამინდის ჭირვეულობა ვერ აშინებდა. გვალვა ხომ ჩაბარდა წარსულს. ახლა რა ხდება? განადგურებულია ყველა სარწყავი სისტემა, რის წაღებაც ვერ მოუხერხებიათ, ადგილზე მოუსპიათ, დაუნგრევიათ. მოსპობილია უნიკალური სარწყავი ქსელი, რწყვა მამაპაპურ დონეზეც აღარ არის. აქტიური მარილები ზედაპირზე იწევენ და დარჩენილ სავალალო ყოფასაც მოსპობით ემუქრებიან. ასე განადგურება, ასე მოსპობა, ასე იავარქმნა მხოლოდ ღალატს, ღვარძლს, საკუთარი ჯიშის და ჯილაგის მაგინებელ თესლს შეუძლია, სატანამ ტვინი სატანურად რომ მოუმართა.

მესოპოტამიას ვერც ერთმა დამრბევმა ვერ დაუდუნა სიცოცხლის ძარღვის ფეთქვა, სანამ მონღოლებმა არ მოუშალეს სარწყავი ქსელები და მიწა გვალვას არ მიუგდეს გამოსახრავად. როგორი იუდას თესლი უნდა იყოს კაცი, საკუთარ ერს, ქალაქს, სოფელს, მამულს მონღოლად რომ მოევლინება და იმ მონღოლსაც სანატრელად უქცევს.

დიდმა შავმა ღრუბელმა, კავკასიის მთებიდან რომ წამოვიდა, ალაზანს გადმოაბიჯა, და ჭიანტყის მიდამოებთან მეორეს დაეტაკა. მძლავრმა ჭექა-ქუხილმა გულებში ძრწოლად იმგზავრა; ერთიმეორეს ელვით დაუხიეს გვერდები.

– რამ გააცოფათ ეს ოხრები, ამხელა ზეცა ვერ გაუყვიათ?! – ჩაილაპარაკა იაფეთმა და ჩამობნელებულ ცაზე ღრუბელთა ჭიდილს შიშით დააკვირდა. – ქოხი აღარ დატოვეს და ფანჩატური, წვიმას რომ დაემალოს კაცი, ისე გაძარცვეს და დახრეს აქაურობა. თუ მაგ ღრუბელმა აქამდე შეძლო თავისი შიგთავსის მოტანა, დამაქციებს! – შიშით თქვა, ფეხს აუჩქარა, დიდი კაკლის ხისკენ გაემართა.

ღრუბლები კი ერთმანეთს სხეულის ფხრეწით და ჭექა-ქუხილით ჯერ მხოლოდ ფერხულს ცეკვავდნენ ისე, როგორც კაციჭამიები მსხვერპლის გამოფატვრამდე ილიზიანებენ მადას.

დაიწყო და რა დაიწყო, ღრუბლების გაქვავებული მკერდიდან ინდაურის კვერცხისხელა სეტყვა ღვთის რისხვასავით დაატყდა მიწის პირს. ხუთი წუთიც არ დასჭირდა წლის იმედის უიმედობად გადაქცევას. ეს არ იკმარა და დაიძრა ალაზნის დინების მიმართულებით ღვარძლით გამოტენილი სტომაქის შიგთავსის დასანთხევად. მოდის აგორებული სტიქია და ნადგურდება ყველაფერი, რაც ადამიანს თავისი შრომით და ბუნების დახმარებით შეუქმნია. უყურებს იაფეთი, როგორ გამორბიან ადამიანები თავიანთი ნაცოდვილარი ნაკვეთებიდან. არსად აღარ არის თავშესაფარი. შეიძლება ამათ შორისაც არის დამრბევი, დაუსჯელობის გრძნობამ ნადირად რომ აქცია და იმ ჭაში ჩააფურთხა, რომლიდანაც მოუწევს წყლის დალევა. ახლა გარბის, რათა გადაირჩინოს გაეგოისტებული თავი, სეტყვა რომ მოხვდება სამსჯავროს მათრახივით და აგრძნობინებს საკუთარი მიწა-წყლის დამრბევის არარაობას.

იაფეთთან დიდი კაკლის ქვეშ რამდენიმე ამოზუნზლული კაცი დაბინავდა და შიშით შეჰყურებდნენ მოახლოებულ ღრუბელთა ქოთქოთს. ქარმა წვრილი სეტყვა და წვიმის წვეთები სახეში მიაყარათ, თან ყურის ბარაბნების რისხვა – ჭახანი მოჰყვა და აგრძნობინათ, რა უსუსურები არიან ბუნების სტიქიასთან თაობების მიერ დაგროვილი ცოდნის და შრომის ნაყოფის გარეშე: მათ კი სულ ერთიანად მოსპეს, რაც თაობებს შეუქმნიათ. ახლა კი თავიანთივე სულში გაღვიძებული მხეცის გამო ქვის ხანის გამოქვაბულები გახდომიათ საძებარი.

გაავებული ღრუბლები კი უკვე მათ თავზე ჭიდაობდნენ. უცებ ისეთი ხრიალით და ჭახანით დაეშვა ცა დაბლა, თითქოს აყირავებული ძარიდან რიყის ქვა იცლებოდა..

– დავიღუპე! – პირველი იმ ბაღის პატრონი აღრიალდა, ხვალისთვის რომ აპირებდა საზამთროს დაკრეფას. ახლა კი გაავებული სტიქია ხორკლიან ყინვას უჯაჯგუნებდა მის ნაფერებ ბაღს. ჯერ მწვანედ გალაღებული მცენარე გაანიორწყლა, მერე საზამთროს ხეთქვას შეუდგა და ბოლოს ყველაზე დიდებს ბაკანდამსხვრეულ კუსავით გამოაყრევინა შიგთავსი.

კაკლის ხე, ლტოლვილებს რომ იფარავდა, აშკარად აგებდა სეტყვასთან ბრძოლას. მარტო ფოთოლი და ნაყოფი კი არა, კარგად მოზრდილი ტოტები პარტყა-პურტყით ცვიოდა დაბლა და ახლა მის კალთებს ქვეშ შეფარებულებს აუტეხა თავ-პირში რაკარუკი.

დიდხანს არ გაგრძელებულა ეს წარღვა, მაგრამ გადათეთრებული მინდორი შეატოვა თავპირდასისხლიანებულ ადამიანთა მზერას. მორჩა, მთელი წელი რამდენიმე წუთმა შთანთქა. ფაფუ, იყო და აღარაფერი დარჩა. ღრუბელი კი შემორჩენილი ცივი წვეთებით თავ-პირს ბანდა თავისივე აგრესიის მსხვერპლთ, თითქოს ნანობდა, ეს რა ჩავიდინეო.

გასაჭრელად გამზადებული ყანა ჩარეგვა და გაანიორწყლა. მზესუმზირას გადაწყვეტილი ღეროები პალოებივით ამოჩრილიყო ყინულის ყორეში. ცივმა უბედურებამ გადაუარა ალაზნის ველს და დამდნარ ღრუბელში მზემ გამოანათა სასოწარკვეთილებამდე მისულ ადამიანებისთვის სამძიმრის სათქმელად. დახვავებული სეტყვის გროვები კი ცივ ნაკადებად დნებოდნენ, იცრემლებოდნენ, ილეოდნენ მზის სხივთა სამსჯაროს წინაშე. გაჰქრობოდათ ის ბოროტება, ცოტა ხნის წინათ ზათქით რომ აწყდებოდა მიწის პირს. ახლა სასამართლოს წინაშე მდგარი მკვლელივით მოთვინიერებული დნებოდა და გაქრობამონატრებული, ცივ ნაკადადქცეული თაგვის სოროში მიძვრებოდა. სეტყვის ნამოქმედარი კი ადგილზე რჩებოდა და ემატებოდა წნორის შემოგარენის გაპარტახებულ პეიზაჟს, ადამიანის ღვარძლმა ბოროტების ნატერფალივით რომ დატოვა თაობათა გულმოსაკლავ მოგონებად.

– რაც კი რამ მებადა: სახლი, ავეჯი, ჭურჭელი ამ ნაკვეთის დასამუშავებლად დავაგირავე, ახლა რაღა მიეშველება, ჭერიც აღარ მექნება თავშესაფარად! – მოსთქვამდა პურის ყანის მესაკუთრე, ლატარიის თამაში დამთავრდა, ხორბლის დიდი მოსავლის მოლოდინიდან მათხოვრობამდე ერთი ნაბიჯი გადადგმულია. ახლა უნდა აიკრას გუდა-ნაბადი, წავიდეს თბილისში და ეცადოს, როგორმე პრივილეგირებულ ადგილზე დასვან სამათხოვროდ.

ირგვლივ მოთქმა და გოდებაა. ხალხი თავის გამოუვალ მდგომარეობას გლოვობს, საშველი კი არსაიდან არ არის, ბოლო იმედიც სეტყვამ გაუქარბუქათ. სეტყვა ადრეც მოდიოდა, მაგრამ მასზე მძლავრი და შეურყეველი იყო ადამიანთა ურთიერთთანადგომა. კახეთში მოსულ სეტყვის ტკივილს მთელი საქართველო ინაწილებდა და ეს ბოროტებაც უმნიშვნელო ხდებოდა. დასავლეთის წყალდიდობა ქართლ-კახეთისაც იყო და ამიტომაც ვერ ახერხებდა ბოროტი სტიქია საქართველოს რომელიმე კუთხის ატირებას. თუ ყანას ან ვენახს დასეტყვავდა, სამსახურს და ხელფასს ვერას აკლებდა. ზარალსაც დაზღვევა ისე ანაზღაურებდა, რომ სეტყვა, გვალვა თუ წყალდიდობა თავისივე ღვარძლის ჭირისუფლად რჩებოდა. ადამიანები, ოჯახები, სამსახურები ისე იყვნენ ერთმანეთში შეხმატკბილებული, ჭირი და ტკივილი ვერას აკლებდა. მარტოხელა კაცია ადვილად დასამარცხებელი. ახლანდელ გათითოკაცობას კი შიმშილი, გაჭირვება, უმუშევრობა, უიმედობა, მომავალზე დაკარგული რწმენა მიწაზე

დაფანტულ სიმინდივით კენკავენ. ისე გაუშინაურდათ სიკვდილი, ვეღარც კი გრძნობენ საზღვარს ყოფნას და არყოფნას შორის.

იაფეთი ძეგლადქცეული მისჩერებოდა თავის ყლორტებდალეწილ, გაშიშვლებულ ვენახს და თავის ყოფაზე დამცინავი ღიმილი შეხმობოდა სახეზე. მორჩა, ხვალინდელი დღე კბილებს გაილესავს მისი ნერვების საღეჭად. იაფეთის თავდაცვის არსენალი გამოცარიელდა. არც სამსახური და ხელფასი, არც დაზღვევა, არც მეზობლის, მეგობრის და ნათესავის დახმარება, რამეთუ მათაც მშიერი მგელივით უღრენს ხვალინდელი დღე. კაცისგან კაცის მიხმარება, წაქცეულის წამოყენება, წასაქცევად წაფორხილებულზე ხელის მიშველება ისეთივე უცხო ხილი გახდა, როგორც ანტარქტიდაზე დარგული ქოქოსის ნაყოფი. ხედავდა იაფეთი, როგორ მიდიოდნენ ჯუნგლების მეთოდით პირველყოფილ გაბოროტებამდე. სოციალიზმის სხეულის წეწვა-გლეჯა იყო გაჩაღებული, ის სხეული ხალხის ქონება იყო, ერთიანი შრომით რომ შექმნეს, ახლა მას ყველაზე გაუმაძღარი, უზნეო, ნაძირალა ადამიანები ითვისებდნენ. არ გინდა კაცის მიხმარება და კაციჭამიზმი გხიბლავს? რატომ გგონია, რომ შენ შეუჭმელი დარჩები, რადგან ძარცვა-გლეჯით დიდი ქონება დააგროვე; განა შეიძლება ვინმე შეუჭმელი დარჩეს კაციჭამიების სამთავროში?! სანამ ძალა გაქვს, სხვებს შენ ჭამ, გამოჩნდება უფრო ძლიერი და შენგანვე მირთმეულთა ბედს გაიზიარებ. რა ვუყოთ, როცა ადამიანობა მარცხდება ადამიანში, მისი მხეცობით მხეცები გაკვირდებიან.

იაფეთი მიშტერებოდა არარაობადქცეულ იქაურობას. არაფრის იმედი აღარ შერჩა მათხოვრობის გარდა, უფალი კი მადლიანია, უიმედოდ მაინც არ ტოვებს მისგანვე თიხაში მოზელილთა ამქვეყნიურ მიეთმოეთს. თუ რბენა ვეღარ შეძლეს, მაშინ ხოხვა და ფორთხვა აქვთ მარქაფში და ესეც თუ აღარ აქვთ, მაშინ გოდებას და მოთქმას ვიღა უშლით, სანამ დაღლილი სული არ გაუფრინდებათ.

იაფეთმა შინისკენ დაძრა თავისი ქარონის ნავი. ირგვლივ ადამიანთა გოდება ისმოდა. სტიქსმა ნაპირი გადმოლახა და ქარონის ნავს დაუგრძელა გზა. თავკოპებიან იაფეთს მინდვრისკენ მიმავალი შეშინებული ადამიანები ხვდებოდნენ, უნდოდათ ეკითხათ, რა მოხდაო, მაგრამ უთქმელად მისი ნასეტყვი თავ-პირი პასუხობდა. იაფეთი კი პარტახის ბილიკით მიდიოდა სახლისკენ. მინდორში აღარაფერი დარჩენოდა უიმედობის გარდა. იგივე უიმედობა ერეკებოდა სახლისკენ, სადაც გაჭირვება სახუნდარში ჩამჯდარ მონადირესავით უცდიდა.

თავის სახლს მიუახლოვდა და საზარელი წივილი შემოესმა. ავმა წინათგრძნობამ შიგნეული დაუბრჭყალა. დესპინეს ხმა იცნო და კინაღამ გული შეუღონდა, მისი ეზო ხალხით იყო სავსე. თმაგაწეწილი მეუღლე სახეს რომ იხოკავდა და ხმაჩახლეჩილი ალათის გაჰკიოდა: — მკვდარიც დაგკარგე, შვილო! რათა ვარ ცოცხალი! რით გიშველო, როგორ მოგაწვდინო დედის ცრემლები?!

— რა მოხდა? — იაფეთს უნდოდა ეკითხა, მაგრამ შიშით ზარდაცემულმა ენა ვერ მოაბრუნა.

დესპინემ მეუღლე რომ დაინახა, შესტირა: — ალათი ამერიკაში ბავშვს რომ უვლიდა, ხელიდან გავარდნია, ბავშვი მომკვდარა, ალათისთვის კი ციხე მიუსჯიათ. სასოწარკვეთილი გოგო მეათე სართულიდან გადმომხტარა. დედა მოგიკვდეს, შვილო! ჩვენი ცოდვა მიეწიოს ესოდენ ჩვენს დამაქცევარს!

იაფეთს ხმა არ ამოუღია, ენა ვერ დაძრა. დიდი მწუხარებისგან გაქვავდა. ვერა, ვეღარ დაძრა მისმა სულმა ამქვეყნად ყოფნის ჯოჯოხეთური სინამდვილე. სიტყვის უთქმელად შევიდა მარანში, გარეთ კი სიგიჟემდე მისულ დესპინეს გულგამგმირავი წივილი ისმოდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ მეზობელი კაცის ყვირილი გაისმა:

— მოდით, მომეხმარეთ, ხალხო, იაფეთს თავი ჩამოუხრჩვია!

# დახოცილი ძაღლების კვალზე

**ᲙᲣᲠᲢᲐᲜᲐᲛ** ტიმოთე ისე მოიშორა, რომ მთელი აგური მას დარჩა. ამას ეკლესიის მშენებლობისთვის ვერ გავიმეტებ, სხვა რამ გამოჩნდებაო, გადაწყვიტა უკუღმართმა ქველმოქმედმა. მთავარი ის იყო, რომ ყველას პირზე ეკერა, კურტანამ ეკლესია უნდა ააშენოსო. ხედავთ, რამდენი შესძლებია, მისი ერთი გაჩალიჩებით მიტუშა და ეშმაკა ამ ქვეყნიდან გაქრნენ. ეგერი ომარა და მათეც უნდა მოვსპო ჩემებური ხერხით. თავი იგრე უჭირამთ, თითქოს მილიონების პატრონები იყვნენ, მოიცადონ, მოვუძებნი რამესო. ამ ფიქრში კუკური მაძღარაშვილი გაახსენდა, ძაღლები ხომ იმისი იყო. კუკური პარლამენტში გაიცნო. მაგარი ვინმეა, დაასკვნა. მთელი თბილისი ხელში უჭირამს, პრეზიდენტიც ენდობა, რაც გრანტები და კრედიტები მოდის, ეგ არის გადამჯდარი, ქვეყნის ქონებაც ბლომად მოიხვეჭა, მაინც ვერ გამძღარა, გამოსადეგი კაცია. გეგმებს აწყობდა კურტანა და დასასმენად ემზადებოდა.

კუკური მაძღარაშვილს ქალაქში იმდენი კაზინო, ბენზინის გასამართი სადგური, მაღაზია თუ საწყობი ჰქონდა, ვერ დაითვლიდი. უამრავი გარიგებით თუ ჩალიჩით ფულის მოხვეჭის მონაწილე იყო. მთელს საქართველოში ჰქონდა დატაცება-მითვისებაში წილი. ქიზიყშიც უზარმაზარი ტერიტორია აიღო, ბლომად ცხვარი გაუშვა. ადგილობრივი ძაღლები არ იკადრა, ვიღაც მაამებლის რჩევით, უცხოეთიდან ძაღლები მოაყვანინა, ისინი კი მასტიფებივით ადამიანებზე დაგეშილები გამოდგნენ. მერე რა, ესპანელები ამ ძაღლებით ინდიელებზე ნადირობდნენ, საქართველოც ხომ სავსე იყო ბედუკუღმართობით დაბეჩავებული ადამიანებით, დიდი ამბავი, თუ კუკურას ძაღლები ვინმეს გაფატრავდნენ.

ძაღლების დახოცვის ამბავი მაშინვე მოახსენეს, მაგრამ ისე, რომ თავმოყვარეობის ძარღვი არ გაუღიზიანეს. ძაღლის მოკვლა მისთვის არაფერს ნიშნავდა. ძაღლი კი არა, სათვალავს ვერ უგებდა, სად რა ჰქონდა.

კურტანამ პარლამენტში ნახა და საქმის ვითარება ისე დაუხატა, რომ ომარი და მათე მალე ცხვარსაც დაიტაცებდნენ. გაბრაზდა ცხოვრების ნებიერი არსება, ვინ გაბედა მისი ინტერესების ხელყოფა, ის ხომ უძლეველია, მთელი ხელისუფლება თითქმის მისი ძმაკაცებით იყო დაკომპლექტებული, მისთვის მიუღწეველი და შეუსრულებული არაფერია...

ზაქრო ომარისთა ჭალაში სტუმრობას აპირებდა. ამ საზეიმო შემთხვევისთვის ომარმა გადაწყვიტა, მეგობრები შეეკრიბა და დროებით გაენაპირებინა უკუღმართი ყოფისგან. მათე მოინახულა და ორივემ ზოსიმე მოძღვარს მიაკითხეს. გაუხარდა მოძღვარს ზაქროსთან შეხვედრის შესაძლებლობა. თქვენ წადით, კოტეს წამოვიყვან და შემოგიერთდებითო, შეჰპირდა მათ.

ომარი და მათე ალაზნისაკენ მიდიოდნენ. ხეობას თავდაღმა მიჰყვებოდნენ, ფიქრებში ჩაძირულნი მის ორივე მხარეს გაშიშვლებულ ფერდობებს გულდამდუღრებულები აკვირდებოდნენ.

– როგორი ნაფერები ტყე გაიჩეხა. მთელი საუკუნე დასჭირდება ალბათ ისე გაზრდას, რაც დღემდე იყო, – გულისტკივილით ჩაილაპარაკა მათემ.

– ეს საშვილიშვილო დანაშაული განა შერჩება დღევანდელ ხელისუფლებას, ქონების მოხვეჭაზე რომ გადაუცვლია ქვეყნის კეთილდღეობაზე ზრუნვა?! – ისე თქვა ომარმა, ტყისგან გაძარცვული ფერდობებისთვის თვალი არ მოუშორებია. გამხმარი კუნძები და აქა-იქ ეკლიანი ბუჩქნარიღა რომ შემორჩენოდა.

– ვის შერჩენია, მაგათ რომ შერჩეთ, მაგრამ ამ მოღალატეთა მიერ ერისთვის მიყენებულ ღრმა ჭრილობებს კი მოსაშუშებლად საუკუნე არ ეყოს იქნებ.

– გადავურჩებით კი სამშობლოს, ერის, ადამიანური სინდისის უარმყოფელ

მომხვეჭელ პარაზიტთა პარპაშს? – მათემ უიმედოდ ჩაიქნია ხელი.

– ისტორიის ქარტეხილებში უამრავ განსაცდელისთვის გაგვიძლია, მაგრამ ეს რაღაც განსხვავებულია. მაშინ უთანასწორო ბრძოლებში ვინარჩუნებდით ეროვნულ სიამაყეს, სამშობლოს სიყვარულს და ერთგულებას. დღეს კი საკუთარი ერის მოღალატე ხელისუფლებამ გაძარცვა, გაანადგურა ქვეყანა და მათხოვრად ქცეულები უგრძნობელ, ლუკმაპურის მაძებარ ბრბოდ გვაქცია. რამ დაგვაბეჩავა, რამ?! ერი უზნეობამ წალეკა, მშველელი კი არავინ და არაფერია! – ომარმა ნათქვამი უიმედობით შეანელა.

– ყველაზე მძიმე წუთებში საქართველოს განგება არ სტოვებდა მხსნელის გარეშე. არც ამ საშინელი განსაცდელის წინაშე მიგვატოვებს ქვეყნის გამყიდველი, მუხთალი არამზადების საჯიჯგნად, – დაასკვნა მათემ.

სიცოცხლე კი მდორედ მიედინებოდა ათასი უბედურებით დანაგვიანებულ კალაპოტში. გაწამებული ადამიანები ჩანჩალით მისდევდნენ დუნე ნაკადს. უკუღმართი ცხოვრება საშინელი განუკითხაობით ნადირობდა გაუსაძლისი გაჭირვებისგან დაბეჩავებულთა ამქვეყნიურობაზე. სიკვდილი სანატრელი გამხდარიყო მოწამლული სიცოცხლის კლანჭებში მოფართხალე ღვთისმშობლის წილხვედრილ მიწის შვილთათვის. სატანა იღიმებოდა მაღალ სკამზე წამომჯდარი ადამიანის სახით. ვეღარ დაუბრუნდებითო ძველ ცხოვრებას, ისე მოვაწყეო საქმე. ვის რად უნდოდა ის ძველი ცხოვრება, როცა იგივე სატანის მოციქული თავისი უკუღრამთობით საფუძვლიანად სწამლავდა, მაგრამ ამხელა გასაქანი და მოქმედების თავისუფლება არ ჰქონდა, როგორც ახლა. ჰოდა, ისე მოწამლა და გააშავა დღევანდელობა, რომ ის წარსული ბედნიერ ოცნებად შემორჩა ადამიანთა ხსოვნას. სიცოცხლისთვის ბრძოლა კი ბოროტი ძალის ზეობის დროსაც არ წყდება, თუმცა, ეს ხდება საშინელ განცდებთან ჭიდილში.

კლდის ძირას მოწყობილ წყაროს მიუახლოვდნენ. ცოტა ხნით შეჩერებას და ცივი წყლის შესმას აპირებდნენ. ამ ხეობაში ხულიგნობა, ადამიანის ძარცვა-ყაჩაღობა იშვიათი არ იყო. ქურდებად და ავაზაკებად გადაგვარებულ ქვეყანაში უკაცრიელი ადგილები მოძალადეთა სათარეშოდ გამხდარიყო. ადამიანები მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში ერთმანეთს კბენდნენ და გლეჯდნენ, რა გასაკვირი იყო, რომ ჯუნგლის კანონებს ნაზიარებნი თავიანთ მსხვერპლს აფთრებად ჰქცეოდნენ. სამუშაოს გარეშე დარჩენილი და საზოგადოების სასიკეთო ზემოქმედებას მოწყვეტილი ახალგაზრდობის დიდი ნაწილი, რომელიც გამხრწნელი პროპაგანდის აქტიურ ზემოქმედებას განიცდიდა, ძალადობას, ქურდობას და ყაჩაღობას თვლიდა ცხოვრების მიზნად, მით კოშმარულს ხდიდა ისედაც გაუსაძლის ამქვეყნიურობას.

წყაროსთან რაღაც არეულობა შენიშნეს. ახლოს მისულებმა რამდენიმე ბიჭი დაინახეს ერთ კაცს მუშტებს რომ ურტყამდა.

ომარი მანქანიდან ჩამოხტა და მოჩხუბრებთან მივიდა. ჩხუბი კი არა, ერთს რაღაც ანგარიშს უსწორებდნენ.

– რაშია საქმე? – იკითხა ომარმა.

– აახვიე აქედან, სანამ ლამაზი ხარ! – ერთმა შეუღრინა.

– მიშველე, თუ ძმა ხარ, გამძარცვეს და ახლა ცემით მკლავენ! – შეეხვეწა უცნობი.

ომარმა ეს კაცი იმ სამს გამოგლიჯა. მეორე სამი კი მანქანიდან რაღაცეებს ალაგებდა.

– მიშველეთ, მანქანას მტაცებენ! – აღრიალდა კაცი.

სამი ომარს მიესია, მეორე სამს მათე დაუხვდა და გაიმართა დაკა-დაკა.

ამ ამბავში ერთი მსუბუქი მანქანა გაჩერდა, იქიდან შუა ტანის, ჭაღარაშე-

რეული, მკვირცხლი კაცი გადმოვიდა და პირდაპირ ჩხუბში გადაეშვა; ერთი პირველივე დარტყმით გააგორა.

– მეც თქვენთანა ვარ, მათე! – შეუძახა და მუშტები აამუშავა.

მალე სამი გათიშული ეგდო დაბლა, მეორე სამი კი მუხლებზე მდგარი დასისხლიანებულ თავპირს მუჭით იწმენდდა.

– კოლია, შენ აქ რამ გაგაჩინა?! – მათე ახლად შემოერთებულ ჭაღარაშერეულ კაცს გადაეხვია.

– წყლის დალევა მინდოდა, დაგინახე ჩხუბში ჩართული და ამდენი ხნის უნახავს ეგრე ხომ არ მიგატოვებდი? – სიცილით უპასუხა კოლიამ.

– შენ ვინა ხარ? – ჰკითხა იმ მარტოხელა კაცს.

– ახალქალაქიდან ჩამოვედი. მინდოდა კარტოფილი ჩამომეტანა გასაყიდად. ესენი კიდევ გადამიდგნენ და მანქანის წართმევას მიპირებდნენ. აქაც მაგარი საგიჟეთი ყოფილა! – მოიჩივრა.

ომარმა მოყაჩაღო ხულიგნები ფეხზე წამოაყენა და ყველა ჭიტლაყით გაყარა.

– გაიცანი, ომარ, ჩემი ძველი ძმაკაცი, თბილისელი კაცური-კაცობის, ძმობისა და მეგობრობის ღირსეული მტვირთველი. ჩვენი კოლია ნაქებია მკლავით და მართალი სიტყვით. ადრე ტურისტულ საბჭოში მუშაობდა. ახლა რადგან სამუშაო ყველგან გამქრალა, რომ შევეკითხოთ, სად მუშაობს, უტაქტობა იქნება, – მათემ ახლად მოსული გააცნო ომარს.

– დღევანდელ ცხოვრებას ჩარჩ-ვაჭრებმა, სპეკულანტებმა, ხალხის ქონების ვირთხებმა, ხელისუფლების სათავეში გამძვრალმა ბიუჯეტის, კრედიტის და გრანტის ყლაპიებმა გაუგეს მხოლოდ, იმ პოლიტიკოსებმა, ყველაზე ბევრს რომ ყბედობენ ვითომ ქვეყნის კეთილდღეობისთვის ბრძოლაზე. მე არც ერთ მათგანს არ ვეკუთვნი. ჰოდა, ვფართხალებ იმ განწირულ ერის შვილთა შორის, მოღალატე ხელისუფლებამ ბედის ანაბარად რომ გაყარა ქუჩაში ლუკმაპურის საძებნად და ნელ-ნელა მოსასპობად. ამას ვერ ეღირსებიან, დრო მოვა და მათთვის არმად იქცევა ყველაზე ბინძური სანაგვეც კი, – დაასკვნა კოლიამ.

– ვერავითარი ღალატი და მუხთლობის საზიზღარი საწამლავი ვერ მოგვისპობს ქართული გენის კაცთმოყვალეობას და მებრძოლ შემართებას, – ჩაილაპარაკა მათემ.

– ვერ დაგვაჩოქებს პანდორას სკივრით მობრძანებული პრეზიდენტი, იმედის სხივი სწორედ იმ სკივრში რომ ჩაუკეტია. ჩვენ კი საზარელ უბედურებაში შეგვყარა, – დაასკვნა ომარმა.

– როცა დღევანდელობის სიმუხთლეს კეთილშობილი ადამიანების სული ვერ შეუბღალავს, პრეზიდენტად წოდებულს მთლად მაგრად ვერ ჩაუკეტია პანდორას სკივრი, – ღიმილით თქვა მათემ.

– ახლა მე წავედი. დიდი მადლობა, ძმებო! – ახალქალაქელმა თავისი მანქანა მოაწესრიგა და გამოსამშვიდობებლად მათთან მივიდა.

– ვერსადაც ვერ წახვალ! – გადაჭრით უთხრა ომარმა.

– ეს კიდევ რაღაა? – შეშფოთდა ახალქალაქელი.

– ეს კიდევ ისაა, რომ ჩვენთან წამოხვალ და ორიოდე სადღეგრძელოს შეგვაწევ, თანაც ერთმანეთს გავიცნობთ.

– ჟორა მქვია, ადრე მშენებელი ვიყავ, ახლა, როგორც ყველა, მე არაფერი აღარ ვარ, – ჟორამ ყველას ჩამოართვა ხელი.

– კოლია ბატონო, ჩვენთან უნდა წამოხვიდე, – შესთავაზა მათემ.

– რო მეჩქარება? – კარდენახში მოხუცი მამიდა მყავს, ავად არის, მინდა ჩემთან წავიყვანო; თბილისში უფრო უკეთ მოვახერხებ მის მოვლას.

– რამდენიმე საათი ჩვენ რომ შემოგვწირო, მე მგონი, ამაზე მამიდა არ გა-

გიწყრება, მისი ავადმყოფობაც ცოტას მოითმენს, რამეთუ ავადმყოფი ღლევანდელობა მოთმენაზე და უფლის წყალობაზეა მხოლოდ, – ღიმილით უთხრა ომარმა.

– რა გაეწყობა, როცა ყველანი უიმედო მოთმენას ვეჭმევინებით, თუმცა, თქვენთან ეს ჭირიც დროებით მოიცდის, – კოლიამ ხელი ჩაიქნია და თავის მანქანისკენ წავიდა.

მალე სამივე მანქანას ალაზნის ჭალისკენ მიაქროლებდნენ.

ზაქრო უკვე იქ დახვდათ, ერთი კაციც ახლდა თან, ყველას გააცნო, ქისტია, შამილ ალდამოვიო.

დიდი მუხის ქვეშ დასხდნენ. საუბრობდნენ, თემა კი ქვეყანაში შექმნილ გაუკუღმართებულ მდგომარეობას და მის ავტორებს ეხებოდა. აფხაზეთიდან კუდამოძუებული გამოქცევის შემდეგ ედუარდ სარდალმა თბილისქალაქობა გაიხსენა და ისეთი ზეიმი მოაწყო, თითქოს დიდგორის ბრძოლა მოეგოს. მთავარი ის კი არ არის, ომს მოიგებ თუ საქმეს წარმატებით დაამთავრებ, მთავარია, ხალხის გაბითურების ოსტატი იყო და არარაობის რაობად მოჩვენება შეგეძლოს. სწორედ ასეთი ედუარდი იშოვნა საქართველომ და კიდეც იქცა სისხლსავსე ცხოვრება არარაობად.

დრო გადიოდა, აფხაზეთიდან დევნილები სულ უფრო უიმედო მდგომარეობაში ვარდებოდნენ. ბატონი ედუარდის მეხოტბენი კი ქვეყანას ყრიდნენ, პრეზიდენტის ძალისხმევით აფხაზეთში სულ მალე დავბრუნდებიო. იმ სულ მალეს წლები არ ჰყოფნიდა. ედუარდი კი გასაბითურებლად ახალ-ახალ ოინებს იგონედა. პარლამეტის და პრეზიდენტის არჩევნები ისეთი სიყალბით ჩაატარა, კომუნისტობის დროინდელი მისი თვალთმაქცობანი არარაობად აქცია ამ ეგრეთ წოდებულ დემოკრატიულ საქართველოში.

დიდი მუხის ქვეშ ყოველივე ამაზე საუბრობდნენ.

– ეხ, ადრე მეგონა, ქალაქში ვცხოვრობდი, საკუთარი აეროდრომი გვქონდა. როგორი ამაყი ვიყავ, სამუშაოც არჩევანზე იყო. ახლა კი რა, აეროდრომი მოიპარეს, – ყვებოდა ქორა.

– აეროდრომი როგორ მოიპარეს?

– შევარდნაძის „როდსტვენიკია“ თუ რაღაცა, მთელი საფრენი „პალასა“ გაყიდა. გერმანიიდან ჩამოტანილი რურის ფოლადის პლიტები იყო დაფენილი. იმან კიდევ თურქებს ოცი ათას დოლარად მიჰყიდა მილიონ დოლარად ღირებული.

– ახალქალაქში მოუპარავი კიდევ რამე დარჩა?

– რკინას „მინაისკატელებით“ ეძებენ, შვილებს და შვილიშვილებს მომავალში ცხოვრების საშუალებას უსპობენ.

– შამილმა რაღა თქვას, რაც პანკისში ხდება.

– პანკისში რაც ხდება, ამ ხელისუფლების მიერ მოწყობილი მორიგი ხრიკებია.

– რუსები ეუბნებოდნენ, საზღვარი ერთად გადავკეტოთ, ბოევიკები საქართველოში რომ არ გადმოვიდნენო. ამათ კიდევ ქვეყანა შეყარეს, საერთო კავკასიურ ომში გვიპირებესო ჩაბმას. ახლა პანკისში ათასი ჯურის ტერორისტები რომ ბლუნაობენ, ეგ რომელი ომში ჩაბმაა?

– მთლად ეგრე არ არის, ვინც წილშია ყაჩაღობის და ნარკობიზნესში, იმისთვის არც ომია და არც პანკისის პრობლემა, – განმარტა შამილმა.

– მოკლედ, ეს ჩვენი ბატონი ედუარდი კატებს აჩხავლებს, – თქვა მათემ.

– ეგ რაღაა? – ჰკითხეს.

– გაზაფხულობით მწყემსს ცხვრის საჭმელი რომ უთავდება და შიმშილით შეწუხებული ცხვარი ფარეხს ბღავილით იკლებს, მწყემსი ტომარაში კატას სვავს და ფარეხში ჰკიდებს. კატა ჩხავის, გაკვირვებული ცხვრები ტომარას

შეჰყურებენ და შიმშილი ავიწყდებათ, – განმარტა მათემ.

– მერე რა მოხდება?

– მერე ის მოხდება, რომ კატა დაიღლება და კნავილს შეწყვეტს. ამ დროს უფრო საზრიან მწყემსს ახალი, დასვენებული კატა უნდა ჰყავდეს, რომ ძველი შეცვალოს.

– სანამდე გაგრძელდება ეს?

– სანამ მეცხვარეს კატები არ გამოელევა, ან ცხვარი ბითურობიდან არ გამოვა.

– ჩვენ რა მდგომარეობაში ვართ ახლა?

– შევარდნაძეს კატები არ გამოელია, ხალხი კი ცხვრობას ვერ დაღწევია, – განაცხადა მათემ. – შევარდნაძის კატების ჩხავილია აფხაზეთის პრობლემის შექმნა და მერე მისით ჟონგლიორობა, ტერორისტული აქტები, რუსეთის აგრესორობა, ახლა პანკისი, მერე ისევ კოდორის ხეობა, დესტაბილიზაციით მუქარა, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი თუ აბრეშუმის გზა, კორუმპირებულთა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, მინისტრების გადაყენებ-გადმოყენებით ცხოვრების გამოსწორების ილუზიის შექმნა და უამრავი ცრუ დაპირებები, რომელიც მხოლოდ  გაბერილი საპნის ბუშტების ტრიალია.

– შევარდნაძის მთელი მოღვაწეობა კატების ჩხავილია მხოლოდ, სამწუხარო კი ის არის, რომ ბითური ხალხი ჯერ კიდევ  ვერ დაღწევია ცხვრობას, – თქვა კოლიამ.

მამა ზოსიმე  და კოტე მოვიდნენ, მანქანა ჩრდილში დააყენეს, მტვრიანი ტანსაცმელი გაიბერტყეს, დიდი ხმაურით და მისალმებით დამხვდურებს შეერივნენ.

– სანამ თქვენ მოხვიდოდით, აქ, ამ ქვეყნის უკუღმართ ბედის ტრიალს ვარჩევდით და გამოსავალი ვერ მოვძებნეთ, რა გვეშველება მამაო? – ჰკითხეს.

– ჩვენზე უფალია გამწყრალი, რადგან ისეთ სირცხვილს ვიტანთ, როგორიც ედუარდ-გიორგი არის. ადრე წარმართი და ქრისტეს მაგინებელი ბევრი შემობრუნებულა ჭეშმარიტი რწმენისკენ, მაგრამ ედუარდის მონათვლა ნამდვილი ფარსი იყო, რადგან მაგას ისე სწამს ღმერთი, როგორც სწამდა კომუნისტობა. ახლა რომ გაიძახის, „ბოლშევიკური შავი ჭირი აღარ განმეორდებაო“, ყველაზე დიდი ჭირი ხომ თვითონ იყო. ბოლშევიკების თავკაცობის დროს მე დამდევდა დასაჭერად,  მამა თეოდორე  კი მხოლოდ იმიტომ დახვრიტა, უფალს რომ ემსახურებოდა. იმხელაზე გარეცხილია სინდისიდან, რომ თავისუფლად შეუძლია განაცხადოს, „ბოლშევიკური შავი ჭირი“ ზოსიმე  მოძღვარი და მამა თევდორე იყოო. გაიძახის, ქართული ენისთვის ვიბრძოდიო, ყველაფერი ქართულის გადამგდები და ბინძურ კარიერაზე გადამცვლელი. როცა ამგვარ კაცს ვითმენთ პრეზიდენტად, რა გასაკვირია, რომ უფალი გამწყრალი გვყავდეს და ვისპობით კიდეც! – დაასკვნა მამა ზოსიმემ, თან ლექსი დააყოლა.

ჰაცე,  ბოთე,  კუდი  მორთე
გაღლეტილი  ვირისა,
ქედზე  გაზის  არამზადა,
მთხლე,  მთესავი  ჭირისა.
კარგად  იცი  განსხვავება
აქლემის  და  რწყილისა;
დიდი  ჭირი  შეჩენია
უკან  მოსდევს  წვრილი  სხვა.

სუფრა გაიშალა მუხის ჩრდილში. ომარმა მამა ზოსიმეს შესთავაზა თამადობა, თან, ლექსზე ლექსითვე უპასუხა.

დაიჯერე, დაისვენე,
დღე ნათელი მკვდარია,
ოცნებებზე ინადირე,
რადგან ცხადი მკვდარია,
ამ ცხოვრების რბევა-ნგრევა
შარად შერჩეს შარიანს,
ის დაიხრჩვოს ღვარძლის მთხლეში,
შენ გაყევი სხვა ნიავს...

კუკური მაძღარაშვილმა დრო გამონახა და თავისი ამალით მეცხვარეების მონახულება გადაწყვიტა, კურტანაც თან გაიყოლა.

– ვინ გაბედა ძაღლების დახოცვა?! – ღრიალებდა კუკური, – ძირფესვიანად ამოვძირკვავ მათ ბუნაგს!

– ეგრე უნდა, ეგრე, – კვერს უკრავდა კურტანა.

მეცხვარე, ძაღლების შეჭმას რომ გადაურჩა, კუკურის წინ დამნაშავესავით იდგა: – ისინი ცხვრის ძაღლები არ იყვნენ, ვიღაცამ შეცდომით ადამიანებზე დაგეშილი თუ მოგცა. შიშით ახლოს ვერ ვეკარებოდი, ჯოჯოხეთის მოციქულებს ჰგავდნენ.

– სად გინახავს ჯოჯოხეთის მოციქულები?! – უღრიალა კუკურიმ.

– ექვსი ნიანგის ყბა ჩასაკვნეტად რომ დაგეღირება, რა უნდა იყოს ჯოჯოხეთში ამაზე უარესი.

ამ დროს მსუბუქი მანქანა პირდაპირ მოკამათეებთან მიაყენა და საჭის მხრიდან მშვენიერი, შარვალში გამოწყობილი მანდილოსანი გადმოვიდა.

– შენ აქ საიდან გაჩნდი, ვენერ? – ჰკითხა კუკურიმ.

– ზოგჯერ ქალებსაც გვეკითხება ჭკუა ძაღლების მკვლელთა დასჯაში, – ღიმილით უპასუხა.

– ძაღლები კი არა, აფთრები იყვნენ, ადამიანებზე დაგეშილები, – თქვა მწყემსმა.

– მე ხომ გეუბნებოდი, კუკური, უმიზეზოდ ძაღლებს არავინ არ დახოცავდა, – დაბეჯითებით თქვა ვენერამ.

– აგერ, აქ არის ქოროღლი, რატომ არ ეტყვი, კინაღამ შენ და შენი ცოლი რომ არ შეგჭამეს, – მწყემსმა კურტანას უსაყვედურა.

– მართლა ეგრე იყო? – კუკური კურტანას მიუბრუნდა.

– ჩვენ მანქანაში ვისხედით და...

– მანქანაში კი არ ისხედით, ძლივს შეასწარით; თქვენს პურმარილზე კი ძაღლებმა იქეიფეს. თუ არა ომარა და მათე, მაშინ გენახა თქვენი თამაშა, – მწყემსმა ნათქვამი შეუსწორა.

– აკი ყაჩაღები და ბანდიტები არიან, გასართობად დახოცესო, – კუკური კურტანას მიაჩერდა.

– ყაჩაღები კი არა, მაგათზე მართალი კაცი დუნიაზე არ დადის; სიცოცხლის ფასად იციან კაცის მიხმარება, – განუმარტა მწყემსმა.

– რავი, ეს მთავრობა არკი მოსწონთ და... – კურტანამ ძლივს მოახერხა თავის მართლება.

– ეს მთავრობა არც მე მამწონს, მაგრამ კაცური სინდისი სხვებზე სუფთა მაქვს; არც ტყუილის თქმას არ ვკადრულობ, – მწყემსმა ხმას აუწია.

– ტყუილი რა ითქვა?

– რაც ჩემი ყურით მოვისმინე, ტყუილი არ იყო? მადლობა უფალს, რომ ის კაცები გამოჩნდნენ, თორე ძაღლების შიშით კოდალასავით ხეზე ჯდომა მომიწევდა. კურტანა კიდევ შეჭმას გადაურჩა და მადლობის მაგიერია, ეს მთავრო-

ბა არ მოსწონთო, – მწყემსი გაცხარდა.

– ვინაა კურტანა? – იკითხა გაკვირვებულმა კუკურიმ.

– ადრე კურტანა იყო, ახლა ქოროღლია, – განუმარტა მწყემსმა.

კუკურისთან მოსულ კაცებს გაეღიმათ. კუკურიმაც მრავალმნიშვნელოვნად გადახედა კურტანას.

– აბა, მომიყევი ძაღლების ამბავი, – უთხრა მწყემსს და მოსასმენად მოემზადა.

– მგლებთან მქონია საქმე, ისინი ეგეთი საშიშნი არ არიან. ძაღლები კი არა, აფთრები იყვნენ ადამიანის ხორცზე დაგეშილები – მწყემსმი მოუყვა, რამდენჯერ გადაურჩა შეჭმას, ცხვრები როგორ გაგლიჯეს; ბოლო ეპიზოდიც დაწვრილებით აღწერა: – კურტანა კიდევ მანქანაში შემძვრალი შიშისგან ისე ღრიალებდა, მეგონა, ნამდვილად ძაღლები ჭამდნენ, – მწყემსმა მოყოლა დაამთავრა და კუკური სიცილით გადაფიჩინდა; იცინოდნენ მისი მხლებლებიც.

– მოკლედ, როგორც ეს კაცი ყვება, ბატონ ქოროღლის იმ კაცებთან მაღარიჩის გადახდა ეკუთვნის, მე კიდევ ტყუილად ჩამომიყვანია ბიჭები მათ გასაწეწად, – სიცილით თქვა კუკურიმ.

– ეგრე ნუ იტყვი, კუკური ბატონო, ის ბიჭები უბრალოდ ხელის წამოსაკრავი არ არიან; სიმართლისთვის კი სიცოცხლე არ ეშურებათ. კურტანა უმადური რომ არ იყოს, მათ მზეს უნდა ლოცულობდეს. მაგრამ შავი მზის შვილია და დღეს ეს ქვეყანა მაგათია, – განუმარტა მწყემსმა.

კუკური ისევ ახარხარდა.

კურტანა გაბრაზდა: – მე ქოროღლი ვარ და იცოდე, კურტანას არ გაპატიებ!

– ვინც პირველად კურტანა შეგარქვა, იმას ნუ აპატიებ, მე რა შუაში ვარ.

კუკურიმ მწყემსს ეს სითამამე არ მოუწონა და აყვირდა:

– რაებს კადრებ, ამ კეთილშობილ კაცს, ჩვენი პარლამენტის წევრს! ახლავე გააგდე აქედან! – გვერდით მდგომ კაცს უბრძანა, ალბათ მისი მოურავი თუ იყო.

– რა გენაღვლებათ, შვილოსა, ჩაიგდეთ ქვეყანა ხელში და ჩემი მამაპაპური ადგილიდან მაგდებთ. ამას გამიბედავდა კოლმეურნეობის თავმჯდომარე?! ბატონყმობას მოვესწარ მგონი, – მოიჩივლა მწყემსმა.

– ტყუილად გეპარება ეჭვი. ახლა ხომ დარწმუნდი, რომ ბატონები ვართ, შენ კიდევ ქედგადაღლეტილი ყმა, – კუკური ამას ყვირილით ამბობდა.

– შენც მაგარი შავი მზისა ჩანხარ. აბა, ჰე, უტირეთ ამ ქვეყანას დედა, სანამ ნამდვილი მზე ამოვა, ამოვა კი? ეხ! – მწყემსმა ხელი ჩაიქნია, თავისი კომბალი მხარზე გაიდო და წავიდა.

კუკურის ხასიათი გაუფუჭდა. კურტანას დააშტერდა. ჭიპამდე ჩახსნილი პერაგნიდან ბანჯგვლიან ღიპზე, დიდ ოქროს ჯაჭვზე დაკიდებული ჯვარი უბრწყინავდა. უსიამოვნოდ შეაჟრჟოლა, – „შავი მზის შვილი“, – თავისთვის ჩაილაპარაკა. „მეც რომ შავი მზის შვილი მიწოდა, ალბათ, მართლაც ასეა, თორე კურტანას რა მიგავს“, – გაიფიქრა და მაშინვე მკერდზე დაკიდულ დიდ ოქროს ჯაჭვზე მოისვა ხელი, ჩამოგლეჯა უნდოდა, ვერ შეძლო, თავიდან გადაიძრო. კურტანას ჯვარ-ჯაჭვის ხელა იყო. – მეც შავი მზის შვილი ვყოფილვარ, – ჩაილაპარაკა, – ნეტავ უფალს თუ მოსწონს ჩვენი მისადმი ესოდენი ვითომ გადარევა? – ხელი მოიქნია, გადაგდება უნდოდა, არ ქნა. ხელი დაბლა დაუშვა.

– მომეცი, კუკური, მე შეგინახავ, – სთხოვა ვენერამ.

მუჭა გაინთავისუფლა და შვება იგრძნო, ახლა შავი მზის შვილი აღარ ვიქნებიო.

– იმ ბიჭებთან წავიდეთ, ავ-კარგი გავარკვიოთ, – კუკურიმ მხლებლებს გადახედა.

ეგერების სახლისკენ მიმავალ სამ ჯიპს კარგა მოცილებით ვენერას კოხტა მერსედესი მისდევდა...

ზოსიმე მოძღვარი ფეხზე ადგა, მარცხენა ხელი მკერდზე დაკიდებულ დიდ ჯვარზე დაიდო, მარჯვენათი წვერი ჩამოიწმინდა და დაიწყო:

– ქრისტე ღმერთმა ბევრი კეთროვანი განკურნა, მათგან მხოლოდ ერთმა უთხრა მადლობა. ჰოდა, რა გასაკვირია ადამიანები ამხელაზე უმადურები რომ ვართ. ერთმორწმუნე, მართლმადიდებელ რუსეთს ვაგინებთ...

რუსეთის კოლონია ვიყავითო, მეთორმეტე საუკუნის შემდეგ ქართული გენის ესოდენი გაძლიერება როდის ყოფილა? დღეს რომ გამოჩნდნენ ვაჟას, ყაზბეგის მსგავსი გენიოსები ამ დამოუკიდებელ საქართველოში, ვინ დაუბეჭდავს იმ ლიტერატურულ შედევრებს, რაც მათ ერს დაუტოვეს? არავინ. ვინ იცის, შევარდნაძის მიერ შერყვნილმა დამოუკიდებლობამ რამდენი ნიჭიერი და გენიალური ადამიანი ჩაკლა.

დღეს მოდაშია კომუნისტური პერიოდის ლანძღვა იმათგან, ვინც ყველაზე ცხიმიანი ძუძუ მოსწოვა იმ კომუნისტობას. მე, მოძღვარი, რომელსაც მთელ იმ ხანაში უნდობლობა მქონდა გამოცხადებული და დასაჭერად დამდევდნენ, არ ვკადრულობ ამას, რამეთუ რეალისტურად ვუყურებ ცხოვრებას. კინორეჟისორები, მსახიობები, ლიტერატურის და ხელოვნების მოღვაწეები, ესოდენ რომ ატალახებენ წარსულს, რა შეუქმნიათ მას შემდეგ? არაფერი. მათ ბიოგრაფიას კომუნისტური წლები რომ გამოაკლო, გამოშიგნულ კვერცხის ნაჭუჭს დაემსგავსებიან.

ახლა ვინ ვართ ჩვენ? მორალურად, ზნეობრივად და სულიერად გახრწნილი უბედურება. ამას ვამბობ მე, მამა ზოსიმე, მთავარანგელოზის ეკლესიის მოძღვარი. გული მტკივა, უფლის სიყვარული და სიკეთისადმი სამსახური რწმენად და ადამიანთა სულიერ საზრდოდ კი არა, გათახსირებულთა, გარყვნილთა, ისკარიოტელთა, სადუკეველთა, ფარისეველთა და ათასი ჯურის ავანტიურისტთა თავშესაფარი გამხდარა. მოდას აყოლილნი უფლის წმინდა რწმენით შემკულ ამაღლებულ ზნეობრივ კატეგორიებს დასცინიან. ქვეყანა წალეკა უზნეო და გარყვნილი ფილმების მღვრიე ტალღამ. მიკვირს, როგორ ვითმენთ ამდენი სიბინძურის პროპაგანდას. ვისი ბრალია ეს?! უფალო, მოგვაშორე სამშობლოს გამყიდველი, მოღალატე არაკაცი!

მე ამ სასმისით მინდა ჭეშმარიტი რწმენა და სიკეთის არდავიწყება ვადღეგრძელო! დავლოცო კაცი, ერის შვილი, ვინც რწმენით და სიყვარულით გვიხსნის ამ განსაცდელისგან!

ფეხზე ადგნენ და მამა ზოსიმეს ჭიქები დაურტყეს.

– რადგან სადღეგრძელომ მოიტანა, ერთ ამბავს მოგიყვებით, – თქვა კოლიამ, – თურქეთში, საბჭოთა კავშირის გამოფენაზე საქართველოს პავილიონის წარმომადგენელი ვიყავი. ორი ახალგაზრდა კაცი ხშირად ტრიალებდა ჩვენთან. ბოლოს გვითხრეს, რომ ქართველები იყვნენ, თუმცა, ქართული გვარები აღარ ჰქონდათ. ბევრნი ვართ ქართველები და საქართველოს დიდი ნაწილი აქეთ არისო. ეამაყებოდათ ქართველები რომ იყვნენ და ჩვენ შემოგვხაროდნენ. ახლა, როცა თურქეთი ქართველი მეძავი ქალებით გაივსო, სირცხვილისგან იწვებიან; ხშირად მალავენ თავის ქართველობას... გული მიკვდება, რამხელა სიმაღლიდან დავქანდით ძირს, ზნეობა, თავმოყვარეობა და საკუთარი თავის რწმენადაკარგულნი, – კოლია კიდევ აპირებდა რაღაცის თქმას, მაგრამ ამ დროს კუკურის ამალა შემოგრიალდა.

კუკური მანქანიდან გადმოვიდა და დამხვდურთ დააკვირდა, სხვებიც გადმოვიდნენ. ბოლოს ვენერას მერსედესიც შემოსრიალდა. ვენერა მანქანიდან გადმოვიდა თავის დობილ ქალთან და დანარჩენებს შეუერთდა.

– ძაღლების დახოცვის საკითხის გასარკვევად მოვედი, – განაცხადა კუკურიმ.

– ჯერ სუფრა დაგვილოცე, გარჩევა სად წაგივა, – მამა ზოსიმემ სუფრასთან მიიწვია.

ყველანი სუფრასთან მსხდომთ შეუერთდნენ.

კუკური სადღეგრძელოს თქმას არავის აცდიდა, ხელს არავინ უშლიდა და ისიც თავის სტიქიაში შევიდა. მათე და კოტე იცნო, მაგრამ აეროპორტის რესტორნის გმირობის გახსენება აღარ უცდია. ამის გამო ვენერასთან დიდი უკმაყოფილება მოუხდა. ამიტომ მისი თანდასწრებით ამ გმირობაზე საუბარს მოერიდა. ახლაც სადღეგრძელოს სათქმელად საღერღელაშლილი ფეხზე ადგა, სიწყნარე მოითხოვა და დაიწყო: – მე მინდა შემოგთავაზოთ სადღეგრძელო ჩვენი დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტის, დიდი პოლიტიკოსის, მსოფლიოში ყველაზე გამოჩენილი ადამიანის, ბატონ ედუარდ-გიორგი შევარდნაძის, – პაუზა გააკეთა, ტაშს და ვაშას ითხოვდა. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

– ვის ადღეგრძელებს? – კოტემ მის გვერდით მჯდომ ზოსიმე მოძღვარს ჰკითხა.

– სატანის სადღეგრძელოს გვთავაზობს! – ყველას გასაგონად მაღალ ხმაზე უპასუხა.

კუკურის სათქმელი პირზე შეაშრა. – მოკლედ, გაუმარჯოს! – თქვა და ენთუზიაზმდაკარგული დაჯდა.

ზოსიმე მოძღვარი ფეხზე ადგა და ხელის მაღლა აწევით ყურადღება მოითხოვა: – ახლა ექსპრომტად ვუძღვნი ჩემს დახასიათებას და თუნდაც წინასწარმეტყველებას იუდ-ედუარდს:

ქართველობას შერევიხარ
როგორც ცურცლი მარგალიტში,
ღვარძლს აგროვებ ბოროტ სულში
გველგესლობის მაგალითში;
ქამანდასავით იყენებ
ბილწ ღიმილს და ნაღმად ხიცინს,
მორიელის მუხთალ გზაზე
დაგამხობენ ნაღდად ვიცი!

– დაამთავრა, ხელი მოწყვეტით დაუშვა და დაჯდა.

– შენს პირს შაქარი! – სუფრასთან მსხდომებმა ერთხმად წამოიძახეს და ტაში დააქუხეს; სხვების მაყურებელი კუკურიც ტაშს უკრავდა.

კუკურის დაწყებული სადღეგრძელო კოლიამ გააგრძელა:

– ბატონო კუკური, ვფიქრობ, არ მიწყენ, თუ მცირეოდენ კორექტირებას შევიტან ამ სადღეგრძელოს ჩემნაირ ვარიანტში. გაუმარჯოს ერის ღირსეულ შვილს, ქართველი ხალხისთვის და მამულისთვის თავდადებულ ქვეყნის მოამაგეს; ადამიანს, ვინც ბაზალეთის ტბის ფსკერზე დადგმულ აკვანში გაიზარდა, ქართველი ხალხის საშინელი უბედურების ტვირთის მომხსნელს, საქართველოს ერთ მუჭად შემკვრელს; ძმობის, მეგობრობის და სიყვარულის ამაღორძინებელს, – მთელი ამ ხნის განმავლობაში კუკური დიდი აღფრთოვანებით შეჰყურებდა კოლიას. – ქართველი ერის, მთლიანად საქართველოს სატანის, ღალატის, ორპირობის, მომხვეჭელობის, ყოველგვარი არაადამიანურისაგან მხსნელს, იმ მამულიშვილს, ვინც პირველი დაადებს ბორკილს საქართველოს დამაქცევარს, – ედუარდ შევარდნაძეს! – ტაშმა და ვაშამ იგრიალა. გასაკვირი იყო, რომ კუკურის მხლებლებიც შეუერთდნენ ამ სიხარულს. კოლია კი თავის სიტყვას აგრძელებდა: – სულ არ მჯერა პრეზიდენტზე რაღაც ტერორისტული აქტების მოწყობის შესახებ. დამფრთხალი კი ისეთი დაცვით დადის, თითქოს ბინ ლადენი დასდევდეს. პირადად მე,

მკერდით გადავეფარები, ვინმემ ტყვია რომ ესროლოს. მაგან უნდა იცოცხლოს, ხალხის სამსჯავროს წინაშე უნდა დადგეს და საბელმობმული ქუჩა-ქუჩა უნდა ატარონ ყველას დასანახად, აი, როგორია ქვეყნის, ერის, ადამიანობის, სინდის-ნამუსის უარმყოფელი პარაზიტი, რომ შემდგომში ვერც ერთმა სატანაჩასახლებულმა ვეღარ გაბედოს მსგავსი ღალატი.

კორუმპირებულ მედროვეებს, ფულით გაზულუქებულ ქვეყნის მღრღნელ ვირთხებს, გრანტების, კრედიტებისა და ბიუჯეტების მყლაპავებს რაში უნდათ მისი მოკვლა, ამით ხომ საკუთარ თავს განკითხვის დღეს მოუსწრაფებენ. მოკლედ, მისი მოკვლა არავის არ უნდა,, ქუჩაში პერანგით რომ იაროს, თმას არ შეუტოკებენ; მტერიც და მოყვარეც დაიცავს. რაც შეეხება ბინ ლადენს, იმას თავისი თავი გასჭირვებია, თანაც რაზე გაუწყრება, პანკისში მის მსგავსებს მშვენიერი სათბური მოუწყო. სადღეგრძელო გამიგრძელდა, მინდა დავასკვნა: საქართველოს მხსნელ მამულიშვილს გაუმარჯოს! – ჭიქა გამოცალა.

კუკური დაბნეული იჯდა, ვერ მოეფიქრებინა, რა ეთქვა. ერთხანს ამათი დარბევის ჟინი მოეძალა, მაგრამ საღმა აზრმა შეაჩერა; წარმატების იმედი მაინცა და მაინც არ უნდა ჰქონოდა. დამხვდურები მაგარი ბიჭები ჩანდნენ. თანაც, მწყემსის ნათქვამი გაახსენდა, უბრალოდ ხელის წამოსაკრავები არ არიანო.

– ნახე, რაებს ბედავენ, ესენი ვინ არიან, კაცო?! – გვერდით მჯდომ თავის მხლებელს გადაულაპარაკა.

– ჩვენ გვწყინს, მაგრამ მართალს კი ამბობენ, – მიიღო პასუხი.

– ჩემს მტერს ამათი გაცოფება.

– გაცოფება აკლიათ თუ?

– მთავარია, ხალხი რას ფიქრობს.

– ხალხიც ამას ფიქრობს, მაგრამ ჯერ შოკიდან ვერ გამოსულა. თუ ერთი აიწყვიტა, მაშინ კი რა დააკავებს ამდენი უბედურებით გამწარებულს.

– ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა შოკიდან არ გამოვიდეს, – დაასკვნა კუკურიმ.

შამილ ალდამოვი კუკურისთან მივიდა.

– კუკური ბატონო, ქალაქში მინდოდა თქვენი ნახვა, ბედზე აქ შეგხვდით, სალაპარაკო მაქვს, – უთხრა და ორივე მოშორებით გავიდნენ.

ყველა წამოიშალა.

ვენერა კოტესთან მივიდა.

– მგონი გიცნობთ, ხომ არ ვცდები? – ჰკითხა.

– სწორი ბრძანდებით, ქალბატონო ვენერა, – თავაზიანად უპასუხა კოტემ.

– მაშინ ისე ვიყავ აღგზნებული, თქვენთვის არაფერი მიკითხავს, მერე კი ვინანე.

– კოტე გახლავართ, ფირაშვილი, ქალბატონო ვენერა, ადრე კულტურის პარკის დირექტორი ვიყავ, ახლა აღარც კულტურაა და აღარც პარკი. მე კი სკადანგრეულ ფუტკარივით უმისამართოდ დავბზუი.

– ძალიან კარგად დამამახსოვრდით, მოხარული ვიქნები, თუ არ დამივიწყებ, – ვენერამ კოტეს ხელი ჩამოართვა და მუჭაში ქაღალდი შეატოვა, რომელშიც მისი ტელეფონის ნომერი და მისამართი ეწერა...

– ბატონო კუკური, იარაღს როდის მიაწვდით, ბიჭებმა გამომაგზავნეს, ზუსტი თარიღის გაგება მინდა; ფულს როცა გვეტყვით, მაშინ მიიღებთ, – შამილმა პირდაპირ საქმით დაიწყო.

– ამზადებენ. ხომ იცი, ძალიან მაღალი ჩინოსნები არიან ამაში ჩაბმული, იმათთან უნდა დავაზუსტო. ერთ კვირაში ყველაფერი ზუსტად მეცოდინება. ვინ-

მე სანდო პირით დამიკავშირდი.

– გასაგებია, ჩემი სახელით კაცი გნახავს, ბესაც გადმოგცემს.

– ამ ბიჭებიდან ხომ არ იქნება?

– არა. ამათ არაფერი არ იციან, არც უნდა გაიგონ. ჩემი ძმაკაცი სამხედრო ფორმითაა. აფხაზეთში ომობდა, ზაქრო ჰქვია. სუყველა კი ერთიანად საქართველოს ერთგულები არიან, ქვეყანას ერთი ავტომატიც რომ მოაკლდეს, არავის აპატიებენ, – განუმარტა შამილმა.

– მაგათი გაწეწვა სწორად მიფიქრია, ბიჭებიც ამიტომ წამოვიყვანე.

– არ გაბედო, კუკური ბატონო, მგლები არიან, მეც მაგათ მხარეზე რომ არ დავდგე, ნამუსი უფლებას არ მომცემს; გიჯობს მთავარ საქმეს მიხედო, – ურჩია შამილმა.

– კარგი, სხვა დროს იყოს.

– სჯობს, ის სხვა დრო საერთოდ არ დადგეს თორემ ფუტკრების სკაში თავის შეყოფად გექცევა, – თქვა შამილმა და კუკურის გამოემშვიდობა.

კუკურის ამალა უკან გაბრუნდა. ახლა უკვე ვენერას „მერსედესი" მიდიოდა წინ. კუკური თავისი ერთი მხლებელით მათთან გადაბარგებულიყო.

მამა ზოსიმე წასასვლელად ადგა, ყველა დალოცა და პირჯვარი გადასწერა. მერე თავი მაღლა აიღო, მკერდზე დაკიდული ჯვარი მარცხენა ხელით შეისწორა, მარჯვენა ჯოხიანი ხელი მაღლა ასწია და ქადაგება დაიწყო: – ადამიანი რომ იბადება, თავისი ბედი შუბლზე აწერია. ბოროტება და სიკეთეც ისე დაჰყვება თან, როგორც უფლის დალოცვა და სატანის დაცინვა. თავისებური ჩვევებით იბადებიან მგლები, მელიები, აფთრები და ცხოვრებასაც მგლურად, მელურად და აფთრულად ატარებენ. გასაკვირი არაფერია, როცა ყველა თავის რჯულს ემსახურება. მგელი მწყემსს ცხვარს სტაცებს, ეს არავის უკვირს, რადგან მისი დანიშნულება იციან. გასაკვირია მგლის მწყემსობა, ცხვრისგან ცხოველების დაგლეჯა, ადამიანის უხსენებლად გადაგვარება, რაც ესოდენ მომრავლდა დღეს. ღმერთმა ადამიანი იმიტომ გააჩინა, რათა უფლის ზნემაღალ მოწოდებას ემსახუროს. უხსენებლად მისი გარდაქმნა კი სატანის დაცინვის გავლენაა უთუოდ. ჰოდა, სატანის გავლენის ქვეშ მოხვედრილი ადამიანთა მოდგმის უბედურებაა. ვერავითარი მტერი, რაგინდ ძლიერიც არ უნდა იყო, ისეთ ზიანს და უბედურებას ვერ დაატეხს ხალხს თავზე, როგორიც სატანის დაცინვაზე გაზრდილ მოღალატეს შეუძლია. უბედურება მით უფრო აუწონავ-გაუზომავი იქნება, ამგვარი უკუღმართი რაც უფრო მაღალ პოსტზე გაძვრება. მისგან მიყენებულ ტკივილს ვერავითარი სასჯელი ვერ გააყუჩებს. მორჩილები კი ითმენენ მათ გვერდით მაღალი პოსტებიდან გასატანებელთა როკვას. რაც დიდი დათმობა, პატიება, თუ წაყრუება მით საშინელი, გამოუსწორებლად დამანგრეველი კვალი რჩება მათ ნაროკალზე.

ადამიანი ამქვეყნიერებას მთლად შიშველი ევლინება და ასეთივე მიდის... თვითონ დედამიწაც, სადაც მას უწევს ცხოვრება, იმაზე მეტი არ არის, რა ზომებიც განგებამ დაანათლა. მაგრამ თუ ადამიანის სულში სატანა როკავს, მის გაუმაძღრობას პატარა დედამიწის ზომები სახარხაროდ არ ეყოფა.

ერთადერთი ხსნა გასატანებულ ტვინისგან მისი მფლობელის პირუთვნელად მხილებაა, ადამიანური მორალის სამსჯავროს წინაშე წარდგენაა, მაგრამ ძალიან ძნელია სატანის დაცინვას მიჩვეული ადამიანის ადამიანობისკენ მობრუნება, მისგან მიყენებულ ზარალს, თუ დატრიალებულ უბედურებას ვერავითარი სამსჯავროს მალამო ვერ უშველის; ჭირის მოცილება კი დროზეა საჭირო, სანამ მკურნალობას ჯერ კიდევ იმედის ნატამალი ახლავს.

სატანის ყველაზე დიდი გამარჯვება ხალხის გაბითურებაა. ეს კი იმიტომ

ხდება, რომ პარაზიტ ადამიანთა ჯგუფს სატანის ოინბაზობა ბოროტებისკენ გზას უხსნის; სამაგიეროდ ხალხის უბედურებას საზღვარი აღარ აქვს. და თუ მისი პარპაში დიდხანს გაგრძელდა, ამაღლებულ, სპეტაკ გრძნობებს ჯუნგლების განუკითხაობაში შეაძვრენს. მაშინ კი მშვიდობით ზნეობით, მორალით და სათნოებით ადამიანის პირუტყვობიდან ამაღლებავ. დღეს კი ჩვენთან ეს პროცესი ისეთი სწრაფი ტემპით მიგორავს ჯუნგლების განუკითხაობისკენ, საეჭვოა, რომ სატანის დაცინვას თავი დავაღწიოთ.

განა სატანის დაცინვა არ არის გახრწნილი, ზნედაცემული ფილმების აღლუმი?! ხოცვა-ჟლეტა, მანიაკების და ვამპირების თარეში, სქესობრივი გაუკუღმართების აღვირახსნილი პროპაგანდა, გაპირუტყვებული სექსუალური განუკითხაობა, ეს არის რომის იმპერიის აგონიის წლების სიმბოლო, რამაც მოსპო მსოფლიოში უძლიერესი ლათინთა ერი და აღგავა იგი პირისაგან მიწისა.

დღეს ყველა ურწმუნო ეკლესიას რომ მიეტანა და უფლისადმი ერთგულების ფიცით ენა გაიტყავა, მათ არ ახსოვთ ან არ კითხულობენ, რატომ მოსპო უფალმა სოდომი და გომორი; გარყვნილება, სექსუალური აღვირახსნილობა და ზნეობრივ-მორალური გახრწნა რომ არ ეგუება უფლისადმი ერთგულებას, რატომ არ ფიქრობენ ამაზე დღევანდელი გაკაპიტალისტებული, ნაათეისტარი ქვეყნის ძალათ მამები. მათი ბედი, რომ უფლისადმი რწმენა ბრბოს მოსაჩვენებლად სჭირდებათ, თორემ კოშმარული მოჩვენებები გააწამებდა ულმერთოებს.

საზოგადოება კი ზნეობრივი სიწმინდიდან უზნეობის სიბინძურეში ღრმავდება. სულიერად სუფთა და სპეტაკი, კაცთმოყვარე ადამიანი უზნეობის, განუკითხაობის, გამხეცება-გაპირუტყვების საშინელ ჭაობში ეფლობა.

დაინგრა საბჭოთა კავშირი. დრო იხელთა სატანამ და დადგა გოდების დღე საბჭოთა კავშირის ხალხებისთვის. იმძლავრა სეპარატიზმმა, სარწმუნოებრივი დაჯგუფების მიხედვით გათიშულობამ და სარწმუნოებრივი ფანატიზმის საფუძველზე მტრობამ. ქაოსი, სისხლისღვრა, ნგრევა, განუკითხაობა და ამქვეყნიური ყველა უბედურება თავს დაატყდა ხალხებს... მოკლედ, ყოფილი საბჭოთა კავშირი ბაბილონის გოდოლს დაემსგავსა. ყოველივე ამის ორგანიზატორი სატანა კი ხარხარებს მის სამსახურში ჩამდგარ გაპირუტყვებულ ადამიანთა პირით.

ყველა ერმა იგემა მწარე ნაყოფი საბჭოთა კავშირის უთავბოლო ნგრევარბევისა, მაგრამ ქართველმა ხალხმა რომ განიცადა და ახლაც გრძელდება სატანური უბედურების თარეში, მსგავსი ძნელად წარმოსადგენია...

კიდევ აპირებდა სიტყვის გაგრძელებას, მაგრამ ამ დროს კურტანას მანქანა შემოგრიალდა.

— კურტანას გაუმარჯოს! — ომარმა მანქანის კარები გაუღო და თითქმის ძალით ჩამოსვა.

კურტანა უხალისოდ გადმობობღდა.

— კუკურის ვეძებდი, შემპირდა, რომ აქ იქნებოდა, — თავისი ვიზიტის მიზეზი განმარტა და ჭიპთან მოქანავე ოქროს ჯაჭვი შეისწორა.

— ჯვარი რად გინდა, შე ქრისტეს ძვლების მკვნეტელო, ეკლესიის მაგინებელო, იუდა ისკარიოტელო! — ზოსიმე მოძღვარი მისკენ გაქანდა.

კურტანა დაფრთხა, მანქანაში ჩასაჯდომად გაიწია. მოძღვარმა მიუსწრო და ჯვარზე ხელი სტაცა.

— შე საფრთხობელავ, რომელ ეკლესიაშიც შეხვალ, მრევლს გააქრობ! შენ ჯოჯოხეთი გელოდება, იქ კი ჯვარი არ არის საჭირო! — ღრიალით მოქაჩა ჯვარი, ვერ გაწყვიტა. ბიჭები მიესივნენ და ძლივს გამოგლიჯეს ხელიდან. ის კი შეძვრა მანქანაში და იქიდან მოუსვა.

— ხომ დავაფრთხე ჯოჯოხეთის მაშხალა! — მუშტების ქნევით იძახოდა ზო-

მისე მოძღვარი.

ალაზანი კი დუდუნით მიაგორებდა ტალღებს, თითქოს ამბობდა: – უამრავი უბედურების მომსწრე ქართველი კაცი ამასაც გაუძლებს, ყველა მოღალატეს თავისას მიუზღავს, წელში გაიმართება და მომავალს მხიარული, იმედიანი ღიმილით ჩახედავსო თვალებში.

## ახალი ევროპელები

**წლები** იფერფლებოდნენ. წუთისოფლის ბორბალი დაუნდობლად ბრუნავდა; გაუსაძლისი ყოფა იმედის გამოჩენის იმედსაც აქრობდა; ქვეყნის უბედურება ოჯახების უბედურებად გაფანტულიყო. სად გაგონილა, უბედური ქვეყნის შვილი ბედნიერი იყოს?! თურმე შეიძლება, თუ იგი ამ უბედურების ავტორია, თუ ყოველი სპეტაკი, წმინდა, საამაყო ადამიანიური თვისებები ბინძურ, ჭუჭყიან, გაპირუტყვებულ კეთილდღეობაზე გაუცვლია თანამემამულეთა გლოვა-გოდების ხარჯზე.

სწორედ ამგვარი ადამიანები დასეოდნენ ქვეყნის ღალატით დაკნინებულ ორგანიზმს, ლეშზე მოზეიმე სვავებივით გლეჯდნენ და იტაცებდნენ, ყიდდნენ – რაც რჩებოდა, პირსისხლიანი დამპყრობელის დაუნდლობლობით ანადგურებდნენ.

ქვეყანას ძარცვა-რბევა დაპატრონებოდა. ხალხის გალატაკება შევარდნაძეს იმის იმედს აძლევდა, რომ მის ყოველგვარ სიმუხთლეს წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა. რამეთუ ლუკმა-პურის ძიება ყველა სხვა საზრუნავს ავიწყებდა. ქართველ ხალხს სამშობლოს უყიდიდნენ ისე, რომ მისი უფლება მხოლოდ მონის და მათხოვრის ცრემლი და მოწყალების მისაღებად გამოწვდილი ხელი იყო. შევარდნაძის ირგვლივ თავმოყრილ უზნეო მომხვეჭელთა ბრბო ზეობდა. მათ მიერ დაკანონებული ქვეყნის ძარცვა და ცხიმიანი ლუკმის მითვისება შეუქცევადი ეგონათ. დაბეჩავებულ ხალხს ხმის ამოღება კი არა, შიმშილის დაფჩენილი ხახისგან თავის დაღწევა ჰქონდა საზრუნავი. გათავხედებული ხელისუფლება ხალხს არაფრად აგდებდა. სიცრუის და სამშობლოსთვის ყალბი ზრუნვის აკომპანიმენტით აკეთებდა იმ საქმეს, რასაც ვერავითარი ქვეყნის დამაქცევარის მცდელობა ვერ შეედრებოდა.

თვალცრემლიანი ხალხი შევარდნაძეს და ყველა მის გვერდით მყოფ გაუმაძღარს, გაპირუტყვებულ სკამოსნებს წყევლიდა, გაუსაძლისი ცხოვრებით დაბეჩავებული სატანის გიპნოზით მონუსხულივით თავის უბედურების ბრჭყალებთან ჭიდილს უნდებოდა. იდგა ჟამი ქართველთა სამშობლოდან გაფრთხობისა, – დამოუკიდებლობის ნიღბით მთელი ქვეყნის მონობის გამათხოვრებულ არარაობად გადაქცევისა.

მიუხედავად საყოველთაო უკმაყოფილებისა და ხელისუფლებისადმი უნდობლობისა, შევარდნაძეს მიზანი მიღწეული ეგონა ქართველი ხალხის დაკნინების და მორჩილ პირუტყვად გადაქცევის საქმეში. იქმნებოდა ილუზია, რომ ხალხის დაღუპვის გზაზე ცხვარივით უშფოთველად მიდიოდა...

მათე ტყემლის ხის ჩრდილში იჯდა და გარდასულ წელთა სიმშვიდეს მოგონებათა მოუსვენრობით აშფოთებდა: ვერაგი არაკაცის მიმართ სიფხიზლის მოდუნება, მისი შენიღბული ღალატის ბრჭყალების ვერ შენიშვნა, ხელისუფლების სათავეში გაძრომის შემდეგ მისი სიცრუით შენელებული დემაგოგიური ლაყბობის დაჯერება საქართველოს ისეთ უბედურებად ექცა, რომელიც საუკუნეების მანძილზე ქრონიკული ტკივილით აედევნება. რატომ ხდება, რომ შევარდნაძის ღალატის შხამი დღესაც ასე დაუსჯელად არბევს ქვეყანას?!

ვასილ მჟავანაძე გაახსენდა. ეს კაცთმოყვარე, კეთილშობილი, თავისი ხალ-

ხის და ქვეყნის ერთგული საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველი მდივანი – მაშინდელი თავკაცი. ერთადერთი უბრალო, უხმაურო, პომპეზურობისა და რეკლამირების გარეშე როგორი მონდომებით ემსახურებოდა საქართველოს აყვავების მამულიშვილურ საქმეს. მას სწამდა თავისი ხალხისა და თანამდებობრივ მდგომარეობას მის საკეთილდღეოდ იყენებდა.

ნიკიტა ხრუშჩოვის ზეობის ხანაში, როცა ქართველების მოძულე საბჭოთა კავშირის თავკაცს ქართველების საქართველოდან გასახლება აბოდებდა, ვასილ მჟავანაძის ძალისხმევით ეს ბოდვა მხოლოდ ბოდვად დარჩა და ქართველთა სისხლ-ცრემლიან უბედურებად გადაქცევა ვერ შეძლო. იგივე ვასილ მჟავანაძის აქტიურობის შედეგად გადაბარგდა ისტორიის სანაგვეში იმდროინდელი ბედოვლათი და კრეტინი ნიკიტა ხრუშჩოვი, რომელსაც ვასილ მჟავანაძემ ქართველების სიძულვილის პოლიტიკური ტაკიმასხრობა მწარე ცრემლიან გოდებათა ყლაპვად უქცია.

ალბათ ბედის ტრიალმა მთლად არ გაგვიმეტა, რომ მაშინ ედუარდ დამაქცევარი არ იყო საქართველოს თავკაცი და ღალატის ბარტყების ასეთი მასშტაბით დაფრენის საშუალება არ მიეცა, თორე მეოცე საუკუნეში ეს ვაი ქართველი თემურ ლენგს მოანატრებდა მრავალტანჯულ ქართველობას.

შენდებოდა და მშვენდებოდა საქართველო. ზეიმობდა ქართველი კაცი; ლაღი ცხოვრება სულ ახალ-ახალ სიკეთეს ითხოვდა. ადამიანებს არ აშინებდნენ ცილისწამებით, ვიღაცის ღვარძლის უბედურებად ქცევით, არასასურველ პირთა საიდუმლო პროსკრიპციების აჩრდილით, როცა არ იცი, რისთვის და რომელი ვერაგი მაღალჩინოსნების ნაბოდვარზე გიპირებენ მსხვერპლად შეწირვას.

სოციალიზმი ვასილ მჟავანაძის ხელმძღვანელობის პერიოდი იყო საქართველოს რენესანსი. მთელს საბჭოთა კავშირში ამაყად ისმოდა ქართველის სახელი, რაშიც მათ თავისი რესპუბლიკის ძლიერება და ავტორიტეტი ეხმარებოდა. ვასილ მჟავანაძე ის ქართველი იყო, რომელიც თავის სახელისთვის ქების სიტყვას არავის ათქმევინებდა. ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობისთვის კი უხმაუროდ, მშვიდად, წინდახედულად, ჭკვიანურად, მოფიქრებულად, საჭიროების შემთხვევაში თავდაუზოგავად ილვწოდა ისე, როგორც სამშობლოს ერთგულ მამულიშვილს ეკადრება. სწორედ ამგვარი ადამიანის ცილისწამებით შენიღბული ცრუ, ღვარძლიანი დასმენებით შეძლო შევარდნაძის სახის ბოროტებამ მის ადგილზე ქვეყნის უბედურებად გაძრომა.

საქართველო იყო მაღალგანვითარებული ინდუსტრიულ-აგრარული რესპუბლიკა თანამედროვე მეცნიერებით, უნიჭიერესი სპეციალისტებით. ქვეყანა ამაყობდა თავისი მეტალურგიით, მანქანათმშენებლობით; მრეწველობის ყველა დარგის განვითარებით; თანამედროვე მეცნიერების დონეზე აყვანილი სასოფლო-სამეურნეო სიკეთით; – საკუთარი მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებით; ლიტერატურის, კულტურის, ხელოვნების არნახული გაფურჩქვნით. ქართული კინო ბრწყინავდა მთელს საბჭოთა კავშირში და მსოფლიო კინემატოგრაფიაში თავის ავტორიტეტულ სიტყვას ამბობდა.

რა მოხდა? ქართველ კაცს ბედი რატომ გაუწყრა? იქნებ ეს ზედმეტი თავდაჯერებულობის, სინამდვილის რეალური შეფასების უნარის მოდუნების, მოსალოდნელი სიმუხთლის შეუფასებლობის და საკუთარი შესაძლებლობების გაზვიადების ილუზია იყო, ისე, როგორც დაემართა გამარჯვებით განებივრებულ ქართველებს გარნისის ბრძოლაში, რაც შემდგომში მთელი ქვეყნის ტრაგედიად იქცა. იქნებ ყოველი ამგვარი უბედურება სატანის მცდელობის შედეგია, რაც დროდადრო თავს გვატყდება ჩვენი განებივრების უზრუნველობით წარმოქმნილ ბზარში ჩადებული ნაღმივით. მაშ, რით უნდა აიხსნას ანტირუსული ფსი-

ქოზის პანდემია? ქართველთა დამაქცევრებმა კარგად იციან, რომ რუსეთის მხარდაჭერის გარეშე ჩვენი მოსპობა-დაბეჩავება იოლია და აგერ ჩვენივე ხელით გვაჭრევინებენ ტოტს, რომელზეც ვსხედვართ. არადა, ორი დიდი მტაცებლის ყბიდან რუსეთმა ამოგვაძრო, გადაშენების და გადაგვარების გზაზე დამდგარნი ჩაგვიხუტა, გაგვაერთიანა და აგვაღორძინა; ერთმორწმუნე ქართველს ნდობა, სიყვარული, პატივისცემა და პატივი არ აკლდა. მთელი ისტორიის მანძილზე სპარსელები, არაბები, რომაელები, ბიზანტიელები, ხაზარები, თურქები, მონღოლები და ვინ მოთვლის, უამრავ წვრილ-მსხვილს საქართველოს სისხლისმსმელ მტაცებელს დაუნდობლად რომ გლეჯდნენ და ანადგურებდნენ. ისტორიის ამ საშინელ ეკლიან და სისხლ-ცრემლით მორწყულ გზაზე ერთადერთი რუსი ხალხია, ვისი მადლობელი უნდა ვიყოთ, დღეს რომ ვარსებობთ და ორი დიდი მტაცებლის სტომაქში არ დასრულდა ქართველთა ხსენება. ქურთები ჩვენზე გაცილებით ბევრნი არიან და დიდი ტერიტორიაც უკავიათ, მაგრამ ერთმორწმუნე ირანს, ერაყსა და თურქეთს შორის განაწილებული თავის დღეში ერთიანობას და დამოუკიდებლობას ვერ ეღირსება. უფალმა ქართველებს მფარველი ძმა და მეგობარი მოუვლინა, რათა მტაცებლებს გადაურჩეს და ბედნიერად განვითარდეს, სატანამ კი მოაჯადოვა, მოყვარე შეაძულა, მტრებს ჩაახუტა, რომლებიც ნელ-ნელა ულებენ ბოლოს: ერთადერთი ხსნა ისევ რუსეთია, რომელიც, მიუხედავად ჩვენი უმადურობისა, დაღუპვის გზაზე შემდგართ არ გაგვწირავს და მრავალი მტაცებლის საჯიჯგნად დარჩენილებს დახმარების ხელს გამოგვიწვდის.

განა სატანის მცდელობის პროდუქტი არ არის ქვეყნის სათავეში ედუარდ სატკივარის წამოჯდომა, ვასილ მჟავანაძის შემდეგ? ბედნიერი იქნებოდა ქართველი კაცი და მთლიანად საქართველო ვასილ მჟავანაძის მსგავს ერისკაცს რომ გაეგრძელებინა მისი საქმე. დღეს საქართველო მსოფლიო ავანტიურისტთა, შინაურ და გარეულ მღრღნელთა მუცლის ამოსაყორი ასპარეზი არ იქნებოდა.

საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკებიდან მარტო საქართველოში მთლიანად განადგურდა მრეწველობა. ქვეყნის სიამაყე ქარხნების ადგილზე მათი სასაფლაოდქცეული ნანგრევებიღაა. სოფლის მეურნეობა კი ფეოდალიზმის დონეზე ჩაგორდა; რამეთუ ისეა განადგურებული, ვერც ერთი ქართველთა ამოგდების მსურველი ამას ვერ შეძლებდა. სამაგიეროდ, ეს შეძლო ღალატის, ვერაგობის, სიმუხთლის, სიცრუის, სიყალბის, მოჩვენებითობის, ყოველივე სიბინძურის მკადრებელმა, სატანის სამსახურში შემძვრალმა არაკაცმა, ყველა კარიერისტული ჯამის ქუჩის მაწანწალა ძაღლის უთავმოყვარეობით მლოცველმა, ედუარდ ქართველთა დამაქცევარმა, რომელსაც პრეზიდენტი ჰქვია. რა სატანური ძალა მფარველობს, რომ საქართველომ ეს ათასგზის იუდა დღემდე ვერ მოიცილა?! – მათემ ფიქრი შეწყვიტა. ეზოს ბოლოში მდგარ ვერხვს დააკვირდა. ქარს მისთვის დიდი ტოტი მოეტეხა, მაგრამ მაინც ჯიუტად ეკიდა დედა მცენარეს. უწყლობით შეწუხებულ ვერხვს აქა-იქ ტოტები შეხმობოდა, ფოთლები გაყვითლებოდა დროდადრო ნიავი რომ სტაცებდა და ზეზეურად ხმებოდა. – უჭირს წყალი, – ჩაილაპარაკა მათემ და მისი ზეობის ხანა გაახსენდა, ლაღად ტოტებგაშლილ მწვანე ფოთლებს ქარის ქროლვაზე რომ აცეკვებდა. – უჭირს ქვეყანას, უჭირს ხალხს, უჭირს კაცურ სინდისს, რამეთუ დღეს სატანის მეუფებაა! – ჩაილაპარაკა და მიმქრალ იმედს სადღაც სივრცეში ოცნებით გაეკიდა!...

ახალი ტიპის ვერტმფრენმა ცივგომბორის ქედს გადაუფრინა, ფერდობები რამდენიმეჯერ დაათვალიერა, კარგა ხანს იტრიადა და უკან გაფრინდა.

– ეს ძერა თავზე რას დაგვტრიალებს? – იკითხა ვირის ორთვალაზე წამომჯდარმა კაფანდარა კაცმა, გზის პირას შეგროვებულ კაცებს რომ გაუსწორდა.

– ამბობენ, პრეზიდენტი ჩამოდისო და გზას ამოწმებენ, სადმე კისერი არ წაიმტვრიოს, – მიიღო პასუხი.

– რა შემოწმება უნდა, ქვას წამოედება, თუ გზაზე სახედარი გადაურბენს, – გაიკვირვა კოფოზე წამომჯდარმა.

– შენ ტყეში არ წახვიდე, ტერორისტად არ მოგნათლონ და ვირის „ტაჩკიანად" მიქელ-გაბრიელთან არ გაგისტუმრონ; მაგას ტერორისტების მოლანდება აქვს და როცა წინა უძველდება, ახალ ტერორისტულ თავდასხმას იგონებს, – გააფრთხილეს.

– მაშ, რა უნდა ვქნა? თონისთვის ფიჩხი მინდოდა! – შეწუხდა კოფოზე წამომჯდარი.

– ეგ იმას უთხარი, ნაჭუჭში ჩასათბურებული ხალხის გმინვით რომ ვერ გამძღარა: საქართველოში ქართველის ხსენებას რომ აქრობს და ჩვენს დამაქცევრებს მეგობრებს ეძახის; ნატოში მიგვაძვრენს პარტიის ცეტრალური კომიტეტის ყოფილი პირსისხლიანი მდივანი, ნატოს და კაპიტალიზმის გინებაში თვალთმაქცობით გმირის მედალი რომ ჩამოიკიდა, – უპასუხეს.

– ვახ, კაცო, ეგ ვაგლახი დაგვტრიალებს თავზე?

– ჯერ არ დაგვტრიალებს, გზა შეამოწმეს. ახლა ჩამოაფრენენ და აქ დაახვედრებენ ლაქია მლიქვნელთა ბრბოს, აქაოდა, შენით დიდი კმაყოფილები ვართო.

– ჩვენი უბედურებაც ეგ არის, ერთიანი ხმა რომ არა გვაქვს; ეგაც ტკიპასავით ვერ გამძღარა ჩვენი სისხლით.

– რა ვქნა, კაცებო, რას მირჩევთ, ფიჩხზე აღარ წავიდე? – იკითხა კაფანდარამ.

– თუ არ წახვალ, შევარდნაძე შავებს ჩაიცვამს წრიპამ პური ვერ გამოაცხოო, – გლეხები ახარხარდნენ.

– შევარდნაძეზე შავებჩაცმული მაჩვენა თქვენი თავი! – უსურვათ წრიპამ და ვირს სახრე გადაუჭირა.

– ოღონდ მაგის გასვენებას შეგვასწრო, ქელეხში მთელი თვე ვიქეიფებთ, შესანდობარს კი ლუდით დავლევთ, რაც თავში ჯოჯოხეთის ლეკვები ჰყავს, რომ არ დავუფრთხოთ და ქვეყანას არ მოედონ, – მიაძახეს სალაყბოზე თავშეყრილმა გლეხებმა.

– ფრთხილად იყავით, შვილოსა, ეგ იგეთი სოფლის დამაქცევარი გზირია, მკვდარი თუ წასული შხამსა და სამსალას არც მაშინ მოგვაკლებს, – ჩაილაპარაკა წრიპამ.

– მაინც რა უნდა, რაში გავახსენდით, ეგრე ბუხართან გახუხული კატასავით რომ ფრთხილობს ფეხი არ დაუსველდეს, – სალაყბოზე ვიზიტით დაინტერესდნენ.

– მაგას ჩვენს გახსენებაზე აჟრჟოლებს. მთელი საქართველო სძულს, ქიზიყს კი განსაკუთრებით ვერ იტანს, უთქმელები კი ვართ, მაგრამ მართალი სიტყვის პირში მიხლა ვიცით, მაგას კიდევ სიმართლე იგრე ეჯავრება, როგორც კატას ნიორი.

– კომუნისტობის დროიდან აგვითვალწუნა მაგ ოხერმა, არ გახსოვთ, სულ თავისი მსგავსი თავქარიანი მდივნები რომ გვიგზავნა და ქიზიყი ღორის ნათხარს დაამსგავსა?

– მაშინ დაიწყო და ეხლა გვიღებს ბოლოს.

– რა ქიზიყი აგიტყდათ, ბიჭო, მთელ საქართველოს სპობს. ფაბრიკა აღარ დატოვა და ქარხანა, გუთანი და ტრაქტორი. ჩემი პაპის პაპა რომ წამოახედა, გული გაუსკდება ჩვენი დაბეჩავების დანახვაზე. ეს საცოდავები ისევ ბატონყმობაში შემძვრალანო.

– ეხ, აქა ვზივართ და ენას ვიფხანთ, არავინ გვეუბნება, ქვეყნის დაქცევა

როგორ შევაჩეროთო.

– ვინ უნდა გითხრას, თუ ძმა ხარ, ყველა დიდი ნაჭრის დათრევაზეა.

– მაინც რაზე მოდის? გასაყიდ-გასაჩუქებელი დარჩებოდა რამე?

– ფრანგები ჩამოჰყავსო უნივერსიტეტის ფილიალში და უნდა აჩვენოს, როგორი მონური მორჩილებით ვეთაყვანებით; ამისათვის სპეციალურად მომზადებული ლაქიები უკვე შეუგროვებიათ.

– მთელს გზაზე პოლიციელები ჩაუმწკრივებიათ. ან ამდენი სადა ჰყავთ, მანქანებს აღარ ატარებენ.

– აკი ვერტმფრენით მოდისო.

– სულ ცაში ხომ არ იქნება, ბოლოს დაეშვება დაბლა; ჰოდა, პოლიციელების გარეშე თავს მშვიდად ვერა გრძნობს.

– ერთი პირი არა გვაქვს, თორე აქედან სულ კუდით ქვა უნდა გვესროლინებინა.

– სწორედ ეგ არის ჩვენი უბედურება, წინამძღოლი რომ არ გვყავს. ამიტომაც ვითმენთ ამ წურბელა პრეზიდენტს.

– კაცი გვინდა პატიოსანი, ხალხისთვის და ქვეყნისთვის ჯიგარი რომ დაეწვება, თორე ქარაფშუტა ყბედი ვირთხები ისედაც ბევრი გვასევია! – ახმაურდნენ.

ამ კამათში იყვნენ, ვერტმფრენი რომ გამოჩნდა, გზაზე პოლიციის მანქანების გნიასი ატყდა.

– ჩვენი უბედურება მოფრინდა! – ვიღაცამ დაიძახა.

ცოტა ხნის შემდეგ პოლიციის რამდენიმე მანქანამ წივილ-კივილით აირბინჩაირბინა. პოლიციელებს შეშფოთება დაეტყოთ, ყველა უნივერსიტეტის ფილიალისკენ გარბოდა. მალე ვერტმფრენი ისევ გამოჩნდა და თბილისისკენ დიდი სიჩქარით გაუჩინარდა.

– რა ნიშადურამოცხობილივით მოკურცხლა, ეგრე რამ დააფრთხო?! – კითხულობდნენ გაკვირვებული გლეხები...

უნივერსიტეტის ფილიალის ეზოში დამჯდარი ვერტმფრენიდან შევარდნაძე ჩვეული სატანური ღიმილით და ხელის ქნევით გადმოვიდა. სპეციალურად მომზადებული ადამიანების ჯგუფი ხელების ქნევით და შეკვეთილი მისალმებების წამოძახილით შეხვდა. ირგვლივ დაცვის მუშაკები განლაგებულიყვნენ. წინასწარ მომზადებული სცენარით დაგეგმილი შეხვედრა თავისი კალაპოტით შენობაში, დარბაზისკენ მიემართებოდა.

– ძირს შევარდნაძე და მისი დამქაშები! – ახალგაზრდების დიდი ჯგუფი ყვირილით და შეძახილებით ეზოში შეიჭრა და დროშების ფრიალით შევარდნაძეს გზა გადაუღობა.

– კახეთში ყველას სძულხარ, როგორც მთელს საქართველოში. კმარა შევარდნაძის და მისი დამქაშების დაუსჯელი პარპაში! – ღრიალებდნენ ახალგაზრდები, რომელთა ერთი ნაწილი პოლიციელებთან და სპეცრაზმელებთან ხელჩართულ ცემა-ტყეპაში ჩაბმულიყო.

თავპირდასისხლიანებული ახალგაზრდები შევარდნაძის წათრევის ღრიალით ბრძოლას არ წყვეტდნენ. ირგვლივ დამტვრეული დროშის ტარები და დაფხრეწილი ტრანსპარანტები ეყარა. ნაცემ-ნატყეპ ახალგაზრდებს პოლიციელები ღობის გარეთ მიათრევდნენ. მშვიდი, პომპეზური შევარდნაძის ხოტბისთვის დაგეგმილი შეხვედრა მისი ლანძღვა-გინების არენად იქცა.

დამფრთხალი პრეზიდენტი ვერტმფრენში შეძვრა და თბილისისკენ გაქუსლა. გაკვირვებულმა ფრანგმა სტუმრებმა შეხვედრის გაგრძელება აღარ ისურვეს და უკან გაბრუნდნენ...

მათე ეზოში იჯდა. სივრცეს მიშტერებოდა. შევარდნაძის ძალადობის

მსხვერპლს, კოლონიიდან გამოსვლის შემდეგ, მისი რეჟიმის დევნა არ მოჰკლებია. დაინგრა საბჭოთა კავშირი, თითქოს ამოისუნთქა, სიმართლის გამარჯვების იმედი ჰქონდა, მაგრამ შევარდნაძე ისევ მოაჯდა ხელისუფლების უნაგირს და ახლა უკვე ბოლშევიკების ლანძღვით, დემოკრატიის ნიღაბში შემძვრალი, კვლავ აგრძელებდა ბოლშევიკების დროინდელ თავის მსხვერპლთა დევნას.

– რა ხდება, ეს რა უგუნურობა დაგვეუფლა?! ნუთუ ხალხი ვერ უნდა მიხვდეს, რომ შევრადნაძე ქართველი ხალხის უბედურობადაა დაბადებული?! – მოსთქვამდა მათე და ამ გაუსაძლის ძალადობის მსხვერპლს სუნთქვა უჭირდა, ქვიშაზე გარიყული თევზივით ფართხალებდა და მშველელის იმედი აღარ ჰქონდა.

ეზოში კოტე შევიდა.

– მათე, იცი რა მოხდა? – შორიდანვე დაიწყო.

მათე კოტეს მიაჩერდა.

– ახალგაზრდებმა პრეზიდენტს კუდით ქვა ასროლინეს! – სიხარულით თქვა.

– სად, როდის? – მათე გამოცოცხლდა.

– ყინული დაიძრა, ახალგაზრდებმა ივაჟკაცეს, ხალხი ფხიზლდება.

კოტემ მათეს დაწვრილებით მოუყვა, რაც მოხდა.

– შევარდნაძეს კომუნისტების პერიოდის ცოდვებიც ეყოფოდა უკონკურსოდ ჯოჯოხეთში მოსახვედრად. საქართველოში მეორედ მობრუნებით ქვეყანას იმდენი უბედურება მოუტანა, რომ ხალხი არ დაუკარგავს და ღირსეულად მიუჩენს ადგილს ქვეყნის დამაქცევართა სანაგვეზე, – მათემ დაასკვნა...

შევარდნაძეს იმ ხალხის სიძულვილი და უკმაყოფილება არაფრად მიაჩნდა, რომელიც დარწმუნდა, რომ ქვეყნის სათავეში მოღალატე იჯდა, სატანისთვის მიყიდული რომ ჰქონდა სული. უკმაყოფილება და შევარდნაძის სიძულვილი გამომშრალ თივის ზვინს ჰგავდა, რომელიც პატარა ნაპერწკალზეც ხანძარს ააბრიალებდა.

საპარლამენტო არჩევნები მოახლოვდა და შევარდნაძის ხელისუფლებაც თავისი ნაცადი ხერხით შეუდგა გაყალბებით უმრავლესობის მოპოვებას. ამ საქმეში განსაკუთრებით გაწაფული იყო მისი პარტია „მოქალაქეთა კავშირი“, რომლის ყოფილი წევრების ერთი ნაწილი ოპოზიციაში გადასულიყო და შევარდნაძის ლანძღვით ხალხის გულის მოგებას ცდილობდა, რასაც წარმატებით ახერხებდა, რამეთუ შევარდნაძე ხალხს სძულდა.

საპარლამენტო არჩევნებში შევარდნაძის მომხრეებმა უმრავლესობა მიიღეს, სხვა ოპოზიციური პარტიებიც გავიდნენ პარლამენტში, მაგრამ ყოფილმა „მოქალაქეთა კავშირელებმა“ სახელი რომ შეიცვალეს, ხალხს ქუჩაში გამოსვლისაკენ მოუწოდეს. ხალხსაც ეს უნდოდა, ოღონდ შევარდნაძე მოეშორებინათ, ვინც გინდა მოსულიყო მის შემდეგ, რამეთუ შევარდნაძეზე უარესის მოსვლა შეუძლებლად მიაჩნდათ. პრეზიდენტის კანცელარიაში შეიჭრნენ და შევარდნაძის სკამი დაბლა გადმოაგდეს, დაამტვრიეს, დალეწეს, გააცამტვერეს.

შევარდნაძე კი ახლადარჩეული პარლამენტის სხდომაზე სიტყვას ამბობდა. რევოლუციონერები შიგ შეიჭრნენ. შევარდნაძემ პარლამენტი მიატოვა და თავის კრწანისის რეზიდენციაში წავიდა. რევოლუციონერთა სამი მოთავე შევარდნაძეს გამოუცხადდა, რომელიც გადადგა და მას ყველა პრივილეგიების შენარჩუნებას შეჰპირდნენ.

ქუჩაში გამოსული ხალხი კი ზეიმობდა შევარდნაძის მოცილებას მისი ღირსეულად დასჯის და ბედნიერი მომავლის იმედით...

ახალი ხელისუფლება, რომელმაც შევარდნაძის გადაყენებას „ვარდების რევოლუცია“ უწოდა, ძალაუფლების ხელში აღების ორი წლისთავს, თავისი ჩვეულებისამებრ, განსაკუთრებული პომპეზურობით აღნიშნავდა; მოტყუებული ხალ-

ხი კი გამქრალი იმედის სხივს მისტიროდა...

– გამარჯობა წრიპავ! – პატარა მიწის ნაკვეთში თოხით მომუშავე გლეხს გზაზე მიმავალმა კაცმა გასძახა, სახრით დეკეულს რომ მიერეკებოდა.

– რაო, რაო?! – წრიპა თოხს დაეყუდა და შეეპასუხა:

– დაყრუვდი? გამარჯობა-მეთქი, რა შტერივით მამჩერებიხარ! – როგორა ხარ, როგორ?

– უხ, შე შობელძაღლო! დამაცადე, თოხით გაგინაყო თავი! – წრიპამ მუშაობას თავი გაანება და თოხშემართული გამოეკიდა.

– რა გეტაკა, გაგიჟდი?! – კაცი უკან-უკან წავიდა.

– მაიცა, მაიცა! – დედას გიტირებ! – წრიპა გინება-გინებით უახლოვდებოდა.

– გაგიჟდა ეს შობელძაღლი! ლენცოფანაჭამივით არი. მოვიკითხე, როგორა ხარ-მეთქი, ეგ კიდევ მოსაკლავად გამამიდგა! – მიაძახა იქვე, ღობის ძირას, ძელსკამთან შეგროვილ კაცებს და ისევ გაქცევას აპირებდა, რომ კაცები წრიპას წინ გადაუდგნენ.

– რა დაგიშავა, წრიპავ, გიკბინა? – შემართული თოხი დაბლა დააშვებინეს.

– რა უნდოდა? ჩემთვის წყნარად ვთოხნიდი, არაფერზე არ ვფიქრობდი; მეგონა ამ დუხჭირ ცხოვრებას გავეთიშე-მეთქი, ეს შობელძაღლი მამადგა და მეძახის, როგორა ხარო! რაზე გამახსენა, როგორა ვარ; ჩემგან რა მტრობა მააგონდება?! – წრიპა თოხზე დაეყუდა და ამოიგმინა.

– შენ გინდა სირაქლემასავით თავის ქვიშაში ჩამალვით უბედურებას დაემალო? კაცმა თავი მალა, ჭირმა თავი არ დამალაო. ჩვენ ყველანი ამ დღეში არა ვართ. სად წახვალ, ვინ გიშველის? სიმუხთლე ჭაობივით გვიწოვს.

ხმაურზე კიდევ რამდენიმე კაცი შეუერთდათ, ერთიმეორეზე საცოდავი შესახედავები. ყველას ხელში სახრე ეჭირა. ზოგმა თხა, ზოგმა ძროხა თუ ცხვარი გამოდენა. მენახირეებიც მორიგეობით იყვნენ ცხოვრებისგან დაკნინებულ-დაჩიავებულები; გახუნებული, გაცვეთილი, დაკერებულ-დახეულ საცმელებიანები.

– რა ვქნა, როგორ მოვიქცე?! ერთი თვის წინათ ძროხა და დეკეული მამპარეს; აქავე ხევში დაეკლათ, თავ-ფეხი და შიგნეულობა დამხვდა. ახლა ვენახში რომ ჩაველი, მთელი ვაზი ძირს ეყარა, მავთული და რკინის ამოსაყენებლები მოეპარათ; მარტო ჩემი ხომ არა, იმ დღეს ათამდე ოჯახი დასვეს ეგრე მშრალზე. ამ დალოცვილის შვილებმა, ჯართის გაყიდვას ქვეყანა რომ გადააყოლეს, ვერა ხვდებიან?! სალიარკა იგრე გააძვირეს, ერთი ხელისგულის ხელა ადგილი ვერ მამიხნავს. რძალი მყავს ფეხმძიმედ, მეგონა, პატარა შეღავათით ამშობიარებდნენ. ახლა იძახიან, ვაუჩერია თუ რაღაცა, გაუქმდა და მშობიარობა უფრო გაძვირდებაო. თუ თავი არა ჰქონდათ, რაღას გვპირდებოდნენ. ეგრე ვაგლახად ათრია თავისი პრეზიდენტობა შევარდნაძემ და ახლა ამ ვარდოსნების მიერ ჩასათბურებულს ჰგონია, შერჩა?! ეს ამოდენა ახალგაზრდობა უმუშევრად რომ დაგვიყარეს, რასა ფიქრობენ ნეტავ?! ბიჭი რუსეთში მუშაობდა და იქიდან გვეხმარებოდა. ამათ კიდევ რუსეთს იგეთი ლანძღვა-გინება აუტეხეს, რა გასაკვირია, რომ შეგვიძულონ, – წრიპამ ნათქვამს გმინვა ამოაყოლა, – უმადურობა ყველაზე საშინელი მანკიერებაა ადამიანის.

რუსებს რაც გინდა ბოროტება დააბრალო, იმას ხომ ვერ გადასწონის, რომ განადგურებისგან გვიხსნეს და სპარსელებსა და თურქებში გათქვეფილები არა ვართ..

– ერეკლეს ემდურიან, ეს სოროსის მოციქულები. თუ არა ერეკლე, ახლა სალამ-ალეიქუმს უნდა იძახოდნენ. ან ისტორია არ იციან, ან ვიღაცა ბოროტის სამსახურში არიან.

– ამ ვაი პარლამენტარებმა რუსეთის გინებით პირი რომ აიქაფეს, მარტო

თავიანთ კეთილდღეობაზე უნდა იზრუნონ? თურმე სიკვდილამდე შვიდას ორმოცდაათი ლარი დაინიშნეს, თუ ეგრე გაგრძელდა, რამდენიმე არჩევნების შემდეგ საქართველოს ბიუჯეტი ამ ვაგლახ პარლამენტარების ნებივრობას შეეწირება; თითქოს ამის მეტი სხვა არაფერი გააჩნდეთ, ამ თანამედროვე მეჯლანუაშვილებს, ყველაფერი რომ აქვთ და პარლამენტის პრივილეგიებიღა სჭირდებათ.

– სულ ვფიქრობ, აბა თუ ერთი მაინც ადგეს და თქვას, როცა მთელი საქართველო გაღატაკებულია, უმუშევრები, ლტოლვილები, მეცნიერები, მოხუცები, ბავშვები შიმშილობენ და გამოსავალი ვერ მოუძებნიათ, ჩვენთვის ამხელა ფულის აღება ღალატის ტოლფასიაო.

– უზნეობა, უსინდისობა, გარყვნილება, გათითოკაცება, მოხვეჭა და უამრავი სიბილწე იგრე მოგვეძალა, ხომ არ ვიღუპებით?!

– დაცემის მძიმე დროში რომს აღარც ცინცინატები ჰყავდა, აღარც სციპიონები, აღარც მარიუსები და აღარც იულიუსები; სამაგიეროდ, დაავადებული იყო მოშურნენით, მოქიშპენით, მომხვეჭელებით, მექრთამეებით, ცრუპატრიოტებით, ინტრიგანებით, პროვოკატორებით, დემაგოგებით, გარყვნილებით.

– საქართველო ზნეობამ, სინდისმა, პატიოსნებამ, სამშობლოს და ეროვნული ტრადიციების უსაზღვრო ერთგულებამ, სიყვარულმა და თავდადებამ გადაარჩინა. დღეს ეს რა ხდება, ხალხო, აღსასრული ხომ არ გვიახლოვდება?!

– ქვეყნის ამომგდები, მოღალატე და ვერაგი გამცემი შევარდნაძე მოვიცილეთ, მეგონა, გვეშველებოდა. ეს რა ხდება, მიწებს და ქვეყანას იგრე გვიყიდიან, ფეხის დასადგმელ ადგილს აღარ დაგვიტოვებენ.

– ძალიან მსუქანი მინისტრი რომ ჰყავთ, ჩანთით რომ დაბაჯბაჯებს, ის ასხინკალა და ყველაფერს ყიდის, კაცი არ უნდა გამოჩნდეს, რომ ამხელა ღალატისთვის ის ხინკლიჭამია თავი გაუგრილოს?!

– ვიღამ უნდა გაუგრილოს, როცა ყველას ეგ ჭირი სჭირს.

– ეგენი სუყველა შევარდნაძის მოქალაქეთა კავშირში დაბუმბლული ბარტყები არიან.

– მაშ, ის ვარდების რევოლუცია ჩალანდება იყო?

– ვიღაცა ამერიკელი სოროსი მათხოვრისთვის ერთ ცენტს რომ არ გაიმეტებს, ამათ მილიონებს აძლევს.

– რაში აძლევს?

– იმაში, რომ საქართველოს დედა უტირეთ და ჩემ საჯირითო არენად აქციეთო. ეგ ბითური ქართველები კი ყმებად და მონებად მამსახურეთო.

– თუ დროზე არ გამოვფხიზლდით, ყვავილები არ გამოელევათ, ახლა ყაყაჩოების ან გვირილების რევოლუციას მაიგონებენ. და ამასობაში ჩვენც ხელში შემოვადნებით. ეგრე მშვიდობით ათასწლეულების ქარცეცხლში გამოვლილო, მრავალჭირნახულო, კაცობრიობის საგანძურის პატარა მარგალიტო!

– დავიჯერო, ეს ყველაფერი შევარდნაძემ მოაწყო?

– თუ რევოლუცია იყო, შევარდნაძეს უამრავ დანაშაულზე და ღალატზე რატო პასუხი არ მოსთხოვეს?! თავისი ნებით ზარ-ზეიმით რომ წასულიყო, დღეს რომ აქვს, იმაზე მეტი პრივილეგიები ექნებოდა? კრწანისის რეზიდენცია, მომსახურება, მანქანა, დაცვა, პენსია; თანაც ცოტა დანაზოგიც მაქვს და მყოფნისო. მემუარებსაც ბღაჯნის, თავისი სატელევიზიო ყბედობით ხომ ხშირად გვახსენებს, რომ ეს მომაკვდავი გველეშაპი ისევ ქშინავს და გესლის ფრქვევას არ იშლის.

– მომაკვდავი რაზეა, ამ ვარდოსნებმა მშვენივრად ჩაასათბურეს; ჩვენსავით თავისტკივილის წამლის ყიდვა უჭირს თუ რა.

– მე ეჭვი მაშინ შემეპარა, კრწანისის რეზიდენციაში რომ გამოუცხადდნენ და ყველა პრივილეგიების შენარჩუნება შეჰპირდნენ. ბითურ ხალხს კიდევ ზე-

იმი ჰქონდა გამართული, უბედურება მოვიშორეთო. თურმე სადა ხარ, რასაც შევარდნაძეს არ აპატიებდნენ, ეს ვარდოსნები სულ ტაშფანდურით აკეთებენ.

– ქვეყნისა და ერის საამაყო, დამშეულ მეცნიერებს დაერივნენ, კორუფციაში თუ რაღაც მისნაირ ოხრობაში სდებენ ბრალს; მგელი კრავს რომ აუშარდა, წყალს მიმღვრევო.

– იმ ვაგლახი შევარდნაძის დროს იმედი მაინც მქონდა, როგორმე მოვიშორებდით და გვეშველებოდა, ახლა ამდენი ქვეყნის ამომგდები ერთად რა ძალამ შეყარა, კაცო?!

– ეს სატანა თავისი ნებით რომ გადამდგარიყო და ეთქვა, ჩემს შემდეგ ესენი იქნებიანო, ხალხი ამათაც ზედ მიაყოლებდა. როგორი რევოლუცია მაიგონა, ვარდებისაო. ვარდებისა შეიძლება ქორწილში დაპატიჟება იყოს. რევოლუცია ბოროტ ძალას ებრძვის. თუ იმავე ბოროტების თავკაცს ნებივრად ჩაასათბურებ, რაღა რევოლუცია ხარ!

– სწორედ ეგ არის ილუზიონისტობა. ვარდების რევოლუციად როგორ მონათლონ ედუარდის მემკვიდრეების შენიღბული ჩანაცვლება. სცენაზე ხომ გინახავს, ცარიელი ცილინდრიდან მტრედს რომ გამოაფრენენ ხოლმე, მაყურებელი კიდევ ტაშს უკრავს; ჩვენც ხომ კარგად გაგვამხიარულეს და გვატლინკეს.

– ამ უმუშევართა სამთავროში უამრავ ადამიანებს უმუშევრად რომ ტოვებენ, ამისათვის ვირევოლუციეთ? მე გეოლოგი ვიყავ, ზაქარა – მეტალურგი, მიტუშა – კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკი, ნოდარა – აგრონომი, იოსება – ქიმიკოსი, ზაქარა – ენტომოლოგი, კიდევ რომელი ვთქვა. სპეციალობა და სამუშაო გვქონდა. ყველაფერი მოისპო და არარაობად ვიქეცით; გაუსაძლისმა ცხოვრებამ ახალგაზრდობა ქურდებად და ყაჩაღებად აქცია. მეგონა, იმ იუდას შემდეგ გვეშველებოდა, ესენი კი მოსდგნენ და ვინც მუშაობდა, ისინიც ქუჩაში უბოდიშოდ და უშეღავათოდ გამოყარეს. რას ფიქრობენ, რას?! – მაღალმა, წელში მოხრილმა, გამხდარმა, ლოყებჩაცვენილმა კაცმა მოიჩივლა და მიწას სახრე დაუშინა, თითქოს პასუხს მისგან ელოდებაო.

– რო დავიძინებ, მგონია, საზარელი სიზმრად ქცეული დღევანდელობა კოშმარული სიზმარივით გაქრება. საშველი არ არის, უბედურება წურბელასავით მოგვკიდებია. მე ჩემი კვლევითი სამუშაო მქონდა, სხვას – სხვა; მიწას კიდევ სპეციალისტები აგროტექნიკური წესებით ამუშავებდნენ. ახლა ყველა პირველყოფილი მეთოდებით თხუნელებივით მიწაში ვბღუნაობთ. აღარაფერი აღარ გვჭირდება, აღარც მეცნიერება, აღარც განათლება, აღარც ურთიერთ მხარში დგომა; ადამიანი ადამიანისთვის მგლად იქცა, – მიტუშამაც ოხვრით თქვა თავისი სათქმელი.

– არც ეგრეა საქმე. თურმე გლეხების სწავლებისთვის ოცდახუთი მილიონი აუთვისებიათ.

– გლეხებს რა უნდა ასწავლონ?

– მიწის თოხნა და ბარვა.

– ფულს რაღა უყვეს?

– ფული კიდევ გლეხების მასწავლებლებს.

– ვახა, ხა, ხაა! – ერთობლივი ხარხარი ატყდა.

– რას იცინით, შავ ზღვაში ზუთხისმაგვართა დაცვაზე მილიონები ყოფილა გამოყოფილი.

– ადამიანების დაცვაზე რაღა გამოყვეს ამ ადამიანის მსგავსებმა?

– ადამიანებზე რა გითხრა, მაგრამ მგლის მოკვლაზე დიდი ჯარიმაა თურმე.

– იმ დღეს მგელმა ვირი რომ შამიჭამა, ჩუტრუკიც უნდა მიმერთმია, რომ არ სწყენოდა და არ დავეჯარიმებინეთ?

– ეხ, რას არ მაიგონებენ, უფრო მაგრად რომ დაგვაბეჩავონ, ჰოდა, ბეჩავე-

ბის გარეკ-გამორეკა იოლია და ჩვენც მარტო ვბღავივართ ფარაში შერეკილი ცხვრებივით.

– გადასახადის გადახდაზე რაღაც კოდი რომ მაიგონეს, მისი აღების ბედნიერება თბილისში მქონდა. მე როგორ ვივაგლახე მის აღებაში, აღარ ვიტყვი. იქ ერთი მოხუცებული, ჭაღარა ქალი ვნახე, მოსკოვიდან შვილს ნახმარი ტელევიზორი გამოეტანებია, ამათ კიდევ სამას ლარზე მეტი ღირს, საბაჟოში წადი და ბაჟი გადაიხადეო. საბაჟოში უთქვიათ, საგადასახადოში წადი და დროებითი კოდი აიღეო, კოდის აღების გაწამაწიაში გული შეუღონდა; რწყილის ახტადახტომაში ბოლომდის ვერ გავიდა საწყალი.

– მალე მაგ კოდის ასაღებად სტრასბურგში გაგვაგზავნიან, იქნება ველარ დაბრუნდნენო.

– ეს ყველაფერი შევარდნაძის ოინები იქნება ნამდვილად.

– შევარდნაძის ოინებია თუ არა, ტვინს ძალა დაატანე და მიხვდები. ეგრე თბილად რომ ინახავენ, ვერა ხვდებიან, შევარდნაძე, როგორც მოცურავეს აგური დაჰკიდო, იგრე რომ ჰკიდიათ. თუ მაგ სატანას დამსახურებისამებრ არ მიუზღავენ, ხალხში ნდობას სულ დაკარგავენ და ამას რა მოჰყვება, იგივე შევარდნაძეს ჰკითხონ.

– ეგ რა გიკვირს, უცნაურობები თავპირსაყრელი გვაქვს.

– კიდევ რა?

– კიდევ ის, რომ ერაყში ჯარის გაგზავნის დროს ერთი ჯარისკაცის დედას ათქმევინეს ტელევიზორში, ბედნიერი ვარ ჩემი შვილი სამშობლოს დასაცავად რომ მიდისო.

– ალბათ, მონღოლების ბატონობის დროს ქართველებს ერაყში საომრად რომ მიერეკებოდნენ, იმათი დედებიც ამას ამბობდნენ.

– იმათ იარაღი და ჩაცმულობა მაინც ჰქონდათ ქართული, ამ საცოდავებს თავიდან ბოლომდე ყველაფერი ამერიკული აქვთ. ამერიკელებს კიდევ რა ენაღვლებათ, ეს საცოდავი საზარბაზნე ხორცი თავისი ფეხით მიძვრება „სამშობლოს დასაცავად".

– სამაგიეროდ დამოუკიდებლები ვართ, მონღოლების ბატონობის დროს კი დაპყრობილები ვიყავით.

– მაინც დიდი შეღავათია, დამოუკიდებელი დამონებულ მათხოვარს ხომ სჯობია.

– შენ სხვა თქვი, თორემ ამგვარი უბედურების დაცინვას არ გვაკლებენ.

– სხვა რაღაა?

– თუნდაც ის, რომ ჩვენ ახალი ევროპელები ვყოფილვართ.

– სანამ ახლები გავხდებოდით, მაშინ ვინ ვიყავით ნეტავ?

– მაშინ ეროვნება გვქონდა და წინაპართა თაყვანისცემა. ახლა აღარც ეროვნებას ვიხსენებთ და აღარც მამის სახელს. მალე პასპორტში კოდით დაგვნომრავენ და ერთმანეთს ეგრე მივესალმებით; გამარჯობა ას ოციანო; ის კიდევ გეტყვის, ას ერთიანს ვახლავარო.

– ვერ გავიგე, დამოუკიდებლობა იმისათვის გვინდოდა, რომ მასონურ კოსმოპოლიტობაში გოგლიმოგლივით გავთქვეფილიყავით?!

– სამაგიეროდ ახალი ევროპელები დაგვერქმევა.

– ადრე არ გვაკლდა განათლება, კულტურა, მეცნიერება, კარგი ცხოვრება, კაცური თუ ეროვნული სიამაყე.

– მაშ, ჩოხა-ახალუხიანი ევროპელები ვართ?

– რა ევროპელობა აგვიტყდა ფრენამონატრებული თაგვივით.

– რაკი ევროპელები გვერქმევა, გამოხეული შარვლის გამო აღარავინ დაგვცინებს?

– სასაცილოები და თითით საჩვენებლები ვართ, როგორც ამერიკელობას გამოკიდებული, თავისი უმდიდრესი და საამაყო ტრადიციებიდან გაქცეული ტაკიმასხარა.

– მესოპოტამიაში ცხოვრება რომ დუღდა, ამის გამო ევროპელებს აზიელობა რომ მოენდომებინათ და მაშინდელი თავიანთი ჩვეულებისამებრ ხეებზე ხტომა დაეწყოთ, ხომ დასკდებოდნენ სიცილით შუმერები, ასურელები, ბაბილონელები, ელამელები, მიდიელები, ლიდიელები და სხვები.

– ჩინელები აზიელები რომ არიან, ვერ გამოიგონეს მაგნიტური ისარი, დენთი, ქაღალდი და ვინ მოთვლის, უამრავ სიკეთეს, რაც კაცობრიობას მოუტანეს. ახლა ისინი ჩვენსავით მოდას რომ აჰყვნენ და ქვეყანა შეყარონ, ახალი ევროპელები ვართო, ხომ გადაფიჩინდა სიცილით მსოფლიო.

– გასაკვირი ის არის, ზოგიერთი უცხოელი რომ იტყვის ხოლმე, ევროპელები ხართო. ამათ კიდევ უხარიათ, როგორც პაპუასებს ნაჩუქარი მინებამოღებული სათვალე.

– ამას წინათ თბილისში ერთი კაცი ქუჩაში ყველას აჩერებდა და არწმუნებდა, მე აინშტაინი ვარო. ისინიც თავს უქნევდნენ, აინშტაინს ვახლავართო; ამ ჭკუანაღრძობ კაცთან დავა რაში სჭირდებოდათ, რომ გასცილდებოდნენ, მერე ამბობდნენ, აინშტერინიაო.

– ადრე შიზოფრენიკებს, ნევროზიანებს, ფსიქიურად შერყეულებს თუ სხვა მათნაირებს სახელმწიფო წამლებს უფასოდ აძლევდა. ახლა ამ ნერვიულ ფსიქოზში ყველა ქუჩაშია გამოყრილი, მათთვის არც წამალია და არც დახმარება. ჰოდა, რა გასაკვირია, ქუჩაში აინშტაინები, ჰანიბალები, ნაპოლეონები, გიტლერები თუ მიქელ-გაბრიელები რომ შეგხვდნენ, სანამ შენ თვითონ რომელიმე მათგანი არ გამხდარხარ.

– ახლა წადი, წრიპო, შენი ნაკვეთი თოხნე. არჩევანი დიდი გაქვს, თავი გინდა აინშტაინად წარმოიდგინე, გინდა ალექსანდრე მაკედონელად; უფრო უპრიანია ედუარდ-გიორგი გეგონოს თავი, პრეზიდენტობიდან ხალხის მიერ გამოპანღურებულს პრივილეგიები თავპირზე საყრელი რომ აქვს, თანაც ზის და მემუარებს ბღაჯნის, ჯოჯოხეთის მოციქულთა გასახარად. ჰოდა, იყავ ეგრე ილუზიებში, სანამ რომელიმე ხეპრე არ გამოივლის და მაგ ბურუსიდან არ გამოგიყვანს შენი თოხით საკუთარი თავის გასახეთქად.

... ასე საუბრობდნენ ახალ ევროპელებად მონათლული უძველესი კულტურის მქონე, უამრავ განსაცდელგამოვლილი პატარა ერის გაწამებული შვილები და გამოხეულ შარვლებს ხელის გულით იფარავდნენ, ევროპელები არ გავანაწყენოთ და სვაზილენდში ან ლესოტოში არ გადაგვწერონო.

## დავიწყებული წარსული და ჯოჯოხეთად ქცეული უმადურობა

**მთელი** ღამის გადაუღებელი წვიმის შემდეგ გამოიდარა. დაფლეთილი ღრუბლებიდან აქა-იქ მზის სხივებმა გამოძრომა მოახერხეს. უზარმაზარი ღრუბლების დაჯგუფება ცივგომბორის დასავლეთით ქუხდა და ახალი შეტევისათვის ემზადებოდა; ძალუმად აკვესებდა ელვას და სეტყვის მუქარით ხელისუფლების მიერ დაბეჩავებულ ხალხს ბოროტების დაუსჯელ პარპაშს შეახსენებდა.

ზოსიმე მოძღვარი და კოტე მათეს სანახავად იყვნენ მისული. დიდი ხანია მარჯვენა ბეჭი სტკიოდა, ახლა კი მარჯვენა მკლავი მთლად წაართვა და გაცოფებული სიმსივნე ყელში სწვდა. დაავადების გაუმაძღრობამ აუტანელი ტკივილის თანხლებით ძვალ-ტყავად აქცია. კოტე სისტემატურად ამარაგებდა ტკი-

ვილგამაყუჩებელი წამლებით, ესეც აღარ შველოდა და მორფის ამპულები გახ-და საჭირო, რის შემდეგ გრძელ სოფელში გადასაბარგებლად თითზე ჩამოსათ-ვლელი დღეებიღა რჩებოდა.

– როგორ ხარ, მათე, ავადმყოფობამ ხომ არ დაგჯაბნა, ბიჭო?! – უთხრა ზოსიმე მოძღვარმა ცრემლების ყლაპვით.

მათემ ქუთუთოები მძიმედ ასწია, მოსულებს შეხედა.

– სიკვდილი საშიში არაა, გულს ჩემი სამშობლოს უბედურება მიკლავს, – ჩაილაპარაკა წყნარად.

– როცა ხალხი თავის დამაქცევარს ვერ მოიცილებს სხვა რის იმედი უნდა ჰქონდეს, – განმარტა კოტემ.

– ამდენი ხნის შრომითა და ბრძოლით მოპოვებული კეთილდღეობა იუდამ როგორ გვიქცია არარაობად და ბატონ-ყმობის განუკითხაობაში შეგვყარა! – ოხვრით თქვა ზოსიმე მოძღვარმა.

ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა. მათემ ძალა მოიკრიბა და წყნარად დაიწყო: – დღეს საქართველო ჰგავს ხომალდს, რომელიც მეკობრეებმა იგდეს ხელთ; ყველაფერს იტაცებენ, გემში მყოფ პატიოსან ადამიანებს ატერორებენ და საჭი-როების შემთხვევაში გასაქცევად არიან მზად. გემში მყოფნი ხვდებიან, რომ დასაღუპავად მიჰყავთ ისინი, მაგრამ თავგზააბნეულებს ერთიანი ძალით გაბრძოლება ვერ მოუხერხებიათ; ყოველი დღე კი კატასტროფას აახლოვებს. მოკლედ, მშველელია საჭირო, – მათე ძლივს სვენებ-სვენებით ლაპარაკობდა, – რასაც ჩვენი უგუნურებით ვკარგავთ, საუკუნეებიც კი ვერ აღადგენენ. რუ-სეთთან მეგობრობის ტრადიციების მოშლასა და ურთიერთსიყვარულის გაციე-ბას სასიკეთოდ რა ძალა მოაბრუნებს?! მომავალი თაობის გულში სიცარიელე იბუდებს, რომლის ამოვსება მხოლოდ სიყვარულს შეუძლია. რაც დღეს ხდება იდეოლოგიური დივერსიის შედეგია, რომელმაც, ჩვენდა სამარცხვინოდ, საქარ-თველოში ნახა იუდას მიმდევრები. რუსეთთან ურთიერთობის გაწყვეტა იმის საწინდარია, რომ რუსი ველარ იქნება ჩვენთვის ის, რაც იყო. ოკეანისგაღმელ-თა მოწყალებას, ქართველთათვის დამღუპველ გეოპოლიტიკას ეწირება რუ-სეთთან ძმობის წმიდათაწმინდა ტრადიციები და ურთიერთ თანადგომა. ჩვენ რუს ხალხთან გვაკავშირებდა სიყვარული და არ შეიძლება ეს პოლიტიკანთა დემაგოგიურ ამბიციებს გადავაყოლოთ. უსიყვარულოდ ბედნიერ ცხოვრებაზე ფიქრიც კი მკრეხელობაა, ღვარძლს და შურს მხოლოდ ნგრევა და უბედურება მოსდევს; ჩვენი ხსნა ერთმორწმუნე რუსეთთან მეგობრობაშია. უზნეობით, წა-რსულის დავიწყებით, უფროსი თაობის არაფრად ჩაგდებითა და შეურაცხყო-ფით, სექსუალური აღვირახსნილობის პროპაგანდით რყვნიან მომავალ თაო-ბას. უნდათ წარსტაცონ მეხსიერებიდან რანი ვიყავით, რათა განუკითხაობამ იზეიმოს ჩვენს მრავალტანჯულ საქართველოში. განა მომავალი თაობის შეგ-ნების გაუკუღმართების უსინდისო მცდელობა არ არის ოკუპაციის მუზეუმის მოწყობა?! ამ მკრეხელობის მიმართ ინერტულობა ქართველი ხალხის სირცხ-ვილია! ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რუსეთის გარეშე თურქეთისა და ირა-ნის ყბაში რა გველოდებოდა. უფალმა რუსეთი მოგვივლინა ხსნად, ჩვენ კი სატანის მიერ მოწამლული გონებით უმადურობას ვემსახურებით; თუმცა ხალ-ხი რა შუაშია, როცა ერთიან ქართულ ხომალდს მეკობრეები დაეპატრონებიან! – მათემ ამოიგმინა, ამდენი ლაპარაკით დაიღალა, ხველა აუტყდა.

კოტემ ჭიქით წყალი მიაწოდა, ცოტა მოსვა და თვალები დახუჭა.

ზოსიმე მოძღვარი და კოტე მდუმარედ ისხდნენ. მათემ თვალები გაახილა.

– როცა სიტყვის თქმა ასე მღლის, მიქელ-გაბრიელი სადღაც ახლოს, აქ დაძრწის, – ჩაილაპარაკა.

– რა დროს მიქელ-გაბრიელზე ლაპარაკია, როცა საქართველოს პრეზიდენტი ნატოს ჩახუტებაა და მალე საქართველოში შემოგრიალდებიან, – გაიხუმრა კოტემ.

– ნატოზე ამხედრებული მიქელ გაბრიელიღა სჭირდება საქართველოს უბედურებას, – გულისტკივილით თქვა ზოსიმე მოძღვარმა.

– სწორედ ნატოა თუ კატო-ს გულის მოსაგებად დააპატიმრეს რუსი ოფიცრები შპიონობის ბრალდებით და ზედ საქართველოს მოქალაქეებიც მიაყოლეს დესერტად; მალე მთელ საქართველოს ხონჩით მიართმევენ თვიანთ დამფინანსებლებს ეს იუდას ნაშიერნი, – აღნიშნა კოტემ.

– ესენი ყველანი ამერიკელთა გოშიები არიან და რუსეთის შემოღობვაში შავ სამუშაოს ასრულებენ საქართველოს საუბედუროდ. ჰოდა, რა გასაკვირია, რუსები ამ მუხთლობისათვის მადლობას რომ არ გვეუბნებიან, – ზოსიმე მოძღვარმა წვერზე ჩამოისვა ხელი და დაუმატა: – ამ სატანის მოციქულებთან ქართველ ხალხს არნახული ბრძოლის გადახდა მოუწევს, რამეთუ დღემდე ერთდროულად ამდენი იუდას ნაშიერი არ დასევია.

– გული მწყდება, რომ ამგვარ საშინელ მდგომარეობაში მყოფ საქართველოზე დარდი მიმყვება, – მათემ ჩაილაპარაკა და ხველა აუტყდა.

– დაისვენე, ჩემო მათე, საქართველოს ნათელ დღესაც მოესწრები, – ანუგეშა კოტემ.

მათეს მწარედ გაეღიმა და თვალები დახუჭა.

– ძალიან მძიმედაა, – ჩურჩულით თქვა კოტემ.

– ჰოოო! – გმინვით დაუდასტურა ზოსიმე მოძღვარმა...

უმუშევრობით შეწუხებული ადამიანები თავშეყრის ადგილზე შეგროვილიყვნენ და ხმამაღლა ყაყანებდნენ; სხვებიც თანდათან ემატებოდნენ.

– როგორი იმედი გვქონდა ამ ვარდების რევოლუციით შემომძვრალი ჩვენი უბედურების ხელისუფლებისა, კაცო! ყველაფერს ყიდიან, ისე ფაცაფუცობენ, თითქოს სადღაც ეჩქარებოდეთო.

– ეჩქარებათ, ეშინიათ ბითური ხალხი უცებ გონებაზე არ მოვიდესო.

– გონზე კი ვართ მოსული, მაგრამ ჯერ საერთო ენა ვერ გამოგვინახია და ამათ ღალატზე მხოლოდ გვეცინება; აი, ტირილს რომ დავიწყებთ მაშინ ეცდებიან ნაძარცვით გავსებული ჩამადნებით გასწრებას.

– ჩვენ კი დაგვტოვებენ თემურ-ლენგის მსგავსად დარბეულ საქართველოში.

– მშველელი გვინდა, მშველელი, თორე ისე გაგვანადგურებენ, წელში ვეღარ გავიმართებით.

– რაც ესენი მოვიდნენ, რუსეთის ლანძღვას უმატეს ჩვენს საუბედუროდ. ამას იმიტომ აკეთებენ, რომ რუსეთმაც ჩაიქნიოს ხელი და ამ განსაცდელში აღარ მოგვეშველოს. ყველაფერი კი ჩვენი ბრალია: ეს უცხო სახელმწიფოების აგენტები ვერ მოვიცილეთ და ახლა უფრო ენერგიულად მიგვათრევენ ჯოჯოხეთისაკენ. კაცი თავის მოკეთეს მტრად რომ მოეკიდება ან შლეგია, ან სატანისგან მოჯადოებული. ჰოდა, ჩვენც ბოჩოლის მოთმინებით შევყურებთ როგორ გვიღებენ ბოლოს.

– კიდევ კარგი, რომ რუსების შიშით უცებ ვერ გვანადგურებენ, თორემ მგლის მიერ კრავისათვის წაყენებული ბრალდებით ამერიკელები ერაყში ვერ დაგრიალებენ.

– ბიჭო, ნიურბერგში ფაშისტებს რომ ასამართლებდნენ ხალხის მასობრივი გაწყვეტისათვის, ამერიკელებმა ხიროსიმასა და ნაგასაკში ატომური ბომბები ააფეთქეს და მსოფლიოში მანამდე არნახული ადამიანთა საზარელი სასაკლაო მოაწყვეს, რომლისგან მილიონობით იაპონელის ტანჯვა დღემდე გრძელდება;

ბომბის ჩამომგდებ მფრინავს კი თავისი ქვეყნის გმირობა მიანიჭეს. ინდიელებს სამშობლო წაართვეს გენოციდი მოუწყვეს და ვინც გადაურჩათ ნადირებივით რეზერვაციაში შეყარეს ამ დემოკრატიის ნიღაბამოფარებულმა მტაცებლებმა. იმის მაგიერ, რომ საკუთარი ცოდვებისათვის მუხლებზე დგომით უფალს ყოველდღე შენდობა სთხოვონ, მსოფლიოს როგორც უნდათ ისე ატერორებენ ბატკნის უფლებების დამცველი ნადირივით. ესენი სწორედ საქართველოს კეთილდღეობისათვის დაიწვავენ ჯიგარს?! ჩვენს მარიონეტ ხელისუფლებს სანამ სჭირდებათ გოშიასავით აყეფებენ, როცა აღარ დასჭირდებათ, შევარდნაძესავით ჭიტლაყსაც არ დაამადლიან და ახალ მარიონეტს დაგვასვამენ თავზე ოპოზიციონერად მონათლულ ამათ დუბლ რომელიმე პარტიის სახით.

– ეს ხელისუფლება საკუთარ ხალხს ებრძვის და რუსეთს იმიტომ უყეფენ, რომ სწორედ იმას შეუძლია ჩვენი ხსნა. რუსებს რაღა მოუვიდათ, მაშ, ჩვენს განსაცდელში ყოფნას ვერ ხვდებიან, დახმარების მაგივრად ქართველებს რუსეთიდან რაზე ერეკებიან?!

– იქაც ხომ არიან ჩვენი ხელისუფლების მსგავსები, საკუთარი ხალხისთვის ბოროტების მეტი არაფერი რომ არ ემეტებათ. ბევრი მტერი შეუსიეს ჩვენს მეგობრობას უცხოელმა მტაცებლებმა, მაგრამ ერთმანეთს ვერ შეგვაძულებენ. რუს-ქართველთა ძმობას საერთო მტრებთან ერთად დაღვრილი სისხლი ადუღაბებს და ერთმორწმუნე მართლმადიდებლობა უდევს საფუძვლად.

– ეხ, ახალგაზრდობას ისე წამლავენ, რომ იმ დიდ მეგობრობას ძალას დაუკარგავენ.

ამგვარ კამათში და ყაყანში იმდენი ხალხი მოემატათ, რომ მთელი მოედანი გაივსო.

– ხალხო! – აყვირდა ვიღაცა, – რო იძახიან, რუსეთი ჩვენი დამოუკიდებლობის მტერიაო, ყველა ყოფილი რესპუბლიკა დამოუკიდებელია, რუსეთმა რომელს შეუშალა ხელი; საბჭოთა კავშირის დროს ჩვენზე ნებივრად არავინ ცხოვრობდა, ახლა კი მათხოვრად გადაგვაქციეს, რას ემდურებიან რუსეთს ეს უძლები შვილები?! რატო ჩვენ არ გვეკითხებიან, მოგვწონს ქვეყნის საუბედუროდ მაგათი ამერიკულ ბრახუნზე კუნტრუში?! – დასკვნა გაუკეთა თავის ნათქვამს.

ყვიროდნენ, ერთმანეთს ედავებოდნენ, ფაქტები მოჰყავდათ რუსეთთან ძმობის და, აქედან გამომდინარე, კარგი ცხოვრებიდან.

ზოსიმე მოძღვარი და კოტე ქუჩაში გამოვიდნენ და შეგროვილი ხალხისკენ წავიდნენ.

ზოსიმე მოძღვარი მართალი და პირუთვნელი სიტყვის გამო ხალხს უყვარდა, შეუპოვრად რომ ებრძოდა ჯოჯოხეთის მოციქულებივით მომრავლებულ სექტანტებს, უზნეობას, გარყვნილებას, ნიჰილიზმს, ასე გულმოდგინედ რომ შემოუსიეს ქვეყანას უცხოური სერიალების, კინოფილმებისა და სქესობრივი აღვირახსნილობის პროპაგანდით შევარდნაძიდან მოყოლებული მეგობრად მონათლული ქვეყნებიდან. თავის ყველა ქადაგებაში მოურიდებლად ამათრახებდა ხელისუფალთა მომხვეჭელურ, ანტიხალხურ, ანტიეროვნულ, გამყიდველურ, მუხთალ საქმიანობას.

ვიღაც შემაღლებულ ადგილზე შედგა და დაიწყო: – ჩვენმა დამაქცევარმა თეთრმა მელამ კიდევ ერთი ოინი მოგვიწყო, თავის მოქალაქეთა კავშირში, რომელსაც ხალხმა სამართლიანად მოღალატეთა კავშირი შეარქვა, გამოზრდილ მასზე არანაკლებ დამაქცევრებს გადააბარა ხელისუფლება. ჩვენ ბითურებს კი გვეგონა, სატანის თესლი მოვიშორეთო; ეგეც ჩალანდებული ვარდების რევოლუცია, – კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა, ზოსიმე მოძღვარს მოკრა თვალი და დაიძახა: – აგერ, ზოსიმე მოძღვარი და ჩვენი კოტე მოდიან, ვკითხოთ, რამდენად გამართლებულია, ვითომ ჩამოგდებული პრეზიდენტის კრწანისის რე-

ზიდენციაში ნებივრობა და ჩვენი კათოლიკოს პატრიარქის მიერ ამ ათასგზის იუდასათვის დაბადების დღის მილოცვა?!

ხალხი შუაზე გაიყო. ზოსიმე მოძღვარს და კოტეს შემაღლებული ადგილისაკენ გზა დაუთმეს. ზოსიმე მოძღვარმა ხალხს პირჯვარი გადასახა და დაიწყო: – რა გითხრათ, შვილნო ჩემნო, ვაი, რომ ჩვენს ირგვლივ ჯოჯოხეთის კალო ბრუნავს და მთელ ქართველობას გადაგვარებით ემუქრება!

ყბადაღებულ გაჭირვების ხახაში ხალხი უიმედოდ ფართხალებს, ფსევდორევოლუციური ხელისუფლება შევარდნაძის მიერ დაწყებულ ანტიქართულ, ქვეყნის დამაქცევარ, რუსეთის მიმართ მტრული ურთიერთობის ღალატით გაპოხილ პოლიტიკას წარმატებით აგრძელებს, რასაც საქართველო უფსკრულისაკენ, ხალხი უზნეობისა და გარყვნილების ჭაობისაკენ მიჰყავს.

თუ შევარდნაძემ რუსეთთან სავიზო რეჟიმის შემოღებას მიაღწია და ვიზებით სპეკულაციის მაფია შესძინა ქართველთა უბედურებას, ნაცისტმა ვარდოსნებმა ჯერ ღვინის და ბორჯომის რუსეთში გაყიდვის აკრძალვა დაიმსახურეს, მერე კი რუსეთთან ყოველგვარი მიმოსვლა აიკრძალა. ახლა რუსეთიდან მოწოდებული გაზის ფასი ორმაგზე მეტად გაიზარდა, ჰოდა, ქართველთა დაბეჩავების პროგრამა წარმატებით სრულდება.

დემოგრაფიული უკუსვლა, დემოგრაფიულ უბედურებად იზრდება. ხელისუფლება სამსახურიდან ანთავისუფლებს ყველას, ვისაც ნაციონალები არ თვლიან თავისად. გამოცდილ და დამსახურებულ ადამიანებს თავიანთი არაფრისმცოდნე, უიდეო და უზნეო თანამოაზრეებით ცვლიან და არნახულ მაღალ ხელფასებს ინიშნავენ; მთელ ბიუჯეტს თვითონ ნთქავენ, ყველაფერს ყიდიან თავიანთი გაუმაძღრობის  ამოსაყორად, ჩქარობენ გაუყიდავ-გასასხვისებელი არაფერი დარჩეთ. ამას რომ მორჩებიან, მერე ხალხის ძარცვის ახალ-ახალ მეთოდებს მოიგონებენ; ამ საქმეში თვითონ მონღოლებსაც გაასწრეს.

აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან ლტოლვილებს შენობებიდან გარეთ ყრიან, ყველაფრის გაყიდვის მანიაშეყრილნი. ტრაბახობენ, უცხოელები ხუთვარსკვლავიან სასტუმროებს აშენებენო, ვისთვის? როცა ქართველებს ლუკმაპურის პრობლემა აწუხებს, ბინასაც იმ უცხოელებზე ყიდიან, საქარველო გასართობად რომ მოსწონთ.

უცხოეთის დაკვეთების შემსრულებელი ლაქია ხელისუფლება ჩვენი მტრების დუდუკზე როკავს. ქართველთაგან ვინც შეძლო უცხოეთში გაფრთხობა ადგილზე დარჩენილებთან შედარებით ბედნიერად თვლიან თავს. ვინც ეს ვერ მოახერხა, ახლაც საქართველოდან გაქცევაზე ოცნებობს. საქართველო კი შეუფერხებლად იყიდება. უამრავი მტაცებელი დაგვესია ცხიმიანი ნაჭრის მისათვისებლად. საქართველოში კი ვინც რჩება იმ უცხოელებს მსახურებად, ლაქიებად და ხელგამოწვდილ მათხოვრებად დასჭირდებათ.

ერთ დროს ამერიკელებმა კუბა მსოფლიო საბარდელოდ აქციეს კაზინოებით, სასტუმროებით, საროსკიპოებით და ათასი უზნეობით თავიანთი გარყვნილების დასაოკებლად; ფიდელ კასტრომ იხსნა კუბელები უზნეობის და სექსუალურ აღვირახსნილობაში ფართხალისაგან. ახლა საქართველოში ნახეს საამისოდ საუკეთესო ნიადაგი და თესავენ კიდეც ყოველგვარ სიბინძურეს. საქართველოში ქართველთა უბედურება დარწის და ქართველები ღალატის შხამით დაბურებული გონებით მოღალატეთა დასამიწებლად მამაპაპური შეუპოვრობით მახვილის მოქნევას ჯერჯერობით ვერ ახერხებენ.

ქართველი კაცი მიმტევებელია იმის მიმართ, ვინც სამშობლოს თუ ერის სამსახურში შეცდომა დაუშვა, ქვეყნის საკეთილდღეოდ სწორი გზა ვერ აირჩია. მიტევებას ვერ ეღირსება ქართველთა ყველაზე დიდი დამაქცევარი, იუდა –

ედუარდ შევარდნაძე, ახლა კრწანისის რეზიდენციიდან ინტერვიუებით, მოგონებებით და რჩევებით, მისთვის დამახასიათებელი სიცრუით ესოდენ დაუზარელად რომ სწამლავს მის მიერ გაწამებულ და სამშობლოდაქცეულ ქართველობას; ასე ვინახავთ ჩვენს გამყიდველ მარადიულ იუდას; შენახვა თავისთვის იყოს, ეს სულმრუდე მუხთლის თესლი მაინც არ გასწორდება ძაღლის კუდივით.

რატომღაც მეჩვენება, რომ ქართველ ხალხს მეხსიერება ღალატობს, ან ამდენმა ტანჯვა-წამებამ და გაჭირვებამ ინერტული გახადა. როგორ შეიძლება იმის დავიწყება, რაც ამ ცოდვის შვილმა ქართველ ხალხს დამართა. განა აფხაზეთის ტრაგედია მაგის დამსახურება არ არის?! ქართველთა მიერ ქართველთა სისხლის ღვრა მაგის სინდისზე არ დევს?! კომუნისტობიდან დაიწყო ქართველთა სისხლით და ცრემლით თრობა, უამრავი მამულიშვილი მოსპო და ციხეში ჩაამწყვდია. უმძიმეს ჟამს მოგვიბრუნდა, სწორედ მაშინ, როცა ყველაზე ძალიან გვჭირდებოდა ხალხისთვის თავდადებული ერისკაცი, რათა სწორ გზაზე გაეყვანა ჩვენი ქვეყანა საბჭოთა კავშირის ნგრევა-მსხვრევის ლაბირინთებიდან. ამ ნაძირალამ კი გადარჩენის მაგივრად სწორედ ნგრევისა და რბევის ორომტრიალში შეგვყარა. ჰოდა, ხალხს თავის შეხსენებით ხასიათი რომ მოუწამლოს, დიდი სიამოვნებით არიგებს ინტერვიუებს სატანის სახეზე შემორჩენილი კრავის ნიღბის დასაკემსად. ინტერვიუებს თავისი მოგონებებივით ისე ჭრის და კერავს, ჰგონია, რომ მისგან უბედურების ქურაში შეყრილმა ხალხმა მეხსიერება მთლად დაკარგა. რა ენაღვლება, ვარდოსანი ხელისუფლების მიერ ჩასათბურებული მარჯვნივ და მარცხნივ არიგებს სიცრუის ბარტყებს; ეგრეა, სურვილიც აქვს და თავისი მსგავსი ხელისუფლების მხარდაჭერაც.

არ ვიცი, რა ძალამ უბიძგა უწმინდესსა და უნეტარეს, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს დაბადების დღე მიელოცა იმ იუდას ნაშიერისათვის. თუ ადრე პრეზიდენტი ერქვა და სხვანაირად არ შეეძლო, ახლა ხომ ვეღარ უკბენს ედუარდ-გიორგიდ მონათლული უფლის მაგინებელი. დაბადების დღეს ულოცავს ადამიანს, რომელიც ხალხმა დაგმო, რომელმაც უდანაშაულო მოძღვარი დახვრიტა უფლის რწმენის გამო; დაბადების დღის მილოცვის ცერემონიას ტელევიზიით, ხალხის ჯინაზე, მთელ საქართველოში გადასცემდა. ამას რა შეიძლება ეწოდოს? ხალხის აბუჩად აგდება, თუ შევარდნაძის სატანური მაგიის დაუსჯელად პარპაში, ან ორივე ერთად.

მოძღვარი თემურ ჩიხლაძე წმინდანად შერაცხვას იმსახურებს, რომლის სული, შევარდნაძის მიერ ათასობით მოსპობილ და ნაწამებ უდანაშაულო ადამიანთა სულებთან ერთად, უფლის სამსჯავროს უცდის, რამეთუ ამქვეყნად ძალადობა ზეობს და განკითხვა იგვიანებს.

აშკარაა, რომ ედუარდ შევარდნაძე თავის საზარელ საქმეს ვარდების რევოლუციით მოსული ხელისუფლების ხელით აკეთებს და იმაზე უფრო ეფექტურად, ვიდრე თვითონ გააკეთებდა.

– რუსეთზე რას იტყვი, მამაო, რუსეთი ხომ ჩვენი მეგობარია, რატომ ვერ ხვდებიან, რომ ქართველი ხალხის საძულველმა ხელისუფლებამ ჩამოაგდო ჩვენს შორის უთანხმოება. ქართველ ხალხს დახმარება სჭირდება, გაუსაძლის გაჭირვებას თავის სამშობლოდან რომ გაურბის! რუსი ხალხის დახმარება სწორედ ახლა გვჭირდება და არა ფეხის დაჭერა! – ხალხი აყაყანდა.

– ეს ყველაფერი სატანის ბრალია, რომ ამ „სოროსიუგენდელთა“ მიერ აგორებულ ანტიეროვნულ, ანტირუსულ და გამცემლურ ისტერიას აღვირი ვერ ამოვდეთ! – განმარტა ზოსიმე მოძღვარმა.

– „სოროსიუგენდელები“ ვინ არიან, მამაო? – დაიძახეს.

– „სოროსიუგენდია“ ჩვენი დღევანდელი ეგრეთ წოდებული ხელისუფლება,

ასე დაუზოგავად რომ ანადგურებს მეცნიერებას, კულტურას, განათლებას; ებრძვის ჩვენს საამაყო ეროვნულ ტრადიციებს და გამოცდილ უფროს თაობას, რათა იოლად გაულაყონ ტვინი ახალგაზრდობას და უცხოეთიდან შემოგდებულ სიბინძურეში უპრეტენზიოდ აფართხალონ. ამათი ეზოს მოძღვარი და სულიერი მამა კი სატანა, ყველა ანტიქართული ძალების აგენტი – ედუარდ შევარდნაძეა!

– მართალია! – ხალხი აგუგუნდა.

– ახლა კარგად მომისმინეთ! – ზოსიმე მოძღვარი ქადაგების აზარტში შევიდა. – საქართველო მოსპობისაგან და ქართველთა გათურქებისაგან დავით აღმაშენებელმა იხსნა, რაც დიდგორის ომში ბრწყინვალე გამარჯვებით დაგვირგვინდა. ამის შემდეგ ისტორიის ქარბორბალამ საქართველო ისევ დააყენა საშინელი განსაცდელის წინაშე. თურქეთმა ისე მოაჭამა სამხრეთი, რომ იქ ქართველთა ხსენება გააქრო, როგორც ზვიგენის მიერ ჩამოგლეჯილი კიდური. აღმოსავლეთ საქართველოში ირანი ბატონობდა და ქართველთა მოსპობა-ასიმილაციის მახვილს იქნევდა. ახალციხის საფაშო საქართველოს ორგანიზმზე ავთვისებიან სიმსივნედ ქცეულიყო. აჭარას თურქები დაპატრონებოდნენ; მთელი დასავლეთ საქართველო თურქეთის ყბაში ფართხალებდა. ქართველების საბოლოო გადაშენებას დრო ანებივრებდა. ქართველი ფეოდალები ყმა თანამემამულეებს თურქებზე საქონელივით ყიდიდნენ. სულხან-საბა ორბელიანი კი დასავლეთ ევროპაში ეძებდა მშველელს, იქ, სადაც სხვისი ძარცვა-დამონება უფრო ეხერხებოდათ; მათ ეკლესიას კი საზარელი ინკვიზიცია და ინდულგენციებით ვაჭრობა არცხვენდა.

თურქეთმა ისე გადაყლაპა ბიზანტია – მართლმადიდებელი სამყაროს ციტადელი, რომ ქრისტეს საფლავის ხსნის ნიღაბში შემძვრალ დასავლეთ ევროპელ ავანტიურისტ ჯვაროსნებს მის საშველად თითიც არ გაუნძრევიათ. საქართველოს უნდა ჰქონოდა მათი იმედი, მგუდავის ყბაში მოქცეული ბოცვერივით ნელნელა რომ ქრებოდა? მდგომარეობა თითქმის გამოუვალი იყო; არსაიდან არავითარი იმედი. სწორედ ამ დროს ქვეყანას მოევლინა ქართველი ერის სიამაყე – ერეკლე მეორე. საკმარისი იყო, ჩვენი მტრების დუდუკზე აცეკვებული ახლანდელი ხელისუფლების მსგავსი ვინმე ყოფილიყო ერეკლეს მაგიერ, რომ ქართველთა არსებობა, სხვა გამქრალ ერებივით, დამთავრებულიყო. თვითონ ერეკლე მეორე ირანის შაჰის მიერ იყო დანიშნული, როგორც ყველა სხვა ხანი. ამერ-იმერში შვიდას ათასამდე ქართველიღა დარჩენილიყო. თუ არა ერეკლე მეორის ბრძუნლი არჩევანი, დღეს იქნებოდა საქართველო?

რუსეთ-თურქეთის ყველა ომს ქართული მიწების გამოხსნა მოსდევდა. დასავლეთ ევროპის დღევანდელ მეგობრად მონათლული სახელმწიფოები კი თურქეთს ეხმარებოდნენ, სულხან-საბა სასოებით რომ ელოდა მათგან შველას.

ზოგიერთი ვაი-პოლიტიკოსის ქადაგებით, თურმე, ორასი წელი ვიბრძოდით რუსეთის უღლისაგან თავის დასაღწევად, ოკუპაციის მუზეუმიც კი გახსნეს თავიანთი დამფინანსებლის საამებლად, უმადურობის ნიშნად და მთელი ქართველი ერის სირცხვილად ამ ქართველობის მაგინებლებმა! რა გვინდოდა? ვის უნდა შევეჭამეთ, თურქს თუ სპარსს? უმადური არაკაცისთვის ახლა იოლია ლაპარაკი, როცა ამ მკრეხელობას სოროსის მყრალი დოლარების სუნი უდის.

რუსეთის გარდა რა ძალას შეეძლო ახალციხის საფაშოს სააზრელი სიმსივნის მოკვეთა?! ვისი ძალისხმევით დავიბრუნეთ შავიზღვისპირეთი? იქნებ ამ ღამურა ძალად ახალ ევროპელებს ჰგონიათ სტრასბურგიდან შეძლებდნენ აჭარის გათურქებიდან ხსნას? თუ ასეა, რატომ არი თხოვენ შავშეთის, კლარჯეთის, კოლას, არტაანის, იმერხევის, ოლთისის დაბრუნებას სააკაშვილის იდეალის – ათათურქის დროს რომ ჩამოგვაჭამეს; თუ არა რუსეთი, გავერთიანდებოდით ან იარსებებდა საქართველო?!

დღევანდელი უთვისტომო, უცხოეთის ლაქია ხელისუფალნი კუდს აქიცინებენ, ევროპელები ვართო, ეს მაშინ, როდესაც, აგერ, აქ, ჩვენს გვერდით, მესოპოტამიაში დაირწა კაცობრიობის აკვანი. როცა ასეთი უიდეო, უცხოეთის სამსახურში ჩამდგარი ხელისუფლება საკუთარ ხალხს დასცინის და სამშობლოს უყიდის, რა გასაკვირია, რომ დავით აღმაშენებლობას იბრალებდნენ და იდეალად ათათურქი ჰყავდეთ; დემოკრატობას ჩემულობდნენ და ხალხს ფაშისტების მეთოდებით ატერორებდნენ; ჯვაროსნობა მონატრებულები თანამედროვე ჯვაროსნებთან ნატოში შესაძრომად ყელს უწევდნენ ნატოს ბოსებს და მის მსოფლიო ჟანდარმის როლის შესრულებაში აქტიურად მონაწილეობდნენ. ისე დავბეჩავდით, რომ ქართლის დედის – მთელი ერის სიამაყის მაგინებლის პარპაშს ბოჩოლას მოთმინებით ვეგუებით.

ხელისუფლებაში გამძვრალი ეგოისტი დემაგოგები ფსევდომეგობარი სახელმწიფოების დაკვეთებს ასრულებენ, რომელთაც საქართველო ჩამორჩენილი, დაჩაჩანაკებული, გამათხოვრებული და მათი ყოველგვარ დავალებათა მონური მორჩილებით შემსრულებელი სჭირდებათ. ამისათივს კი საჭიროა რუსეთის  ჩამოცილება, რომელსაც შეუძლია საქართველოს ისევ აღორძინება.

განა რუსეთის გარეშე შევძლებდით მეტალურგიული, ჩარხმშენებელი, ელმავალმშენებელი და სხვა უამრავი ქარხნის აშენებას, რომელთა გახსენებაღა დარჩა მხოლოდ; რუსეთმა წაიღო თან რამე?! ჩვენვე მოვსპეთ ის, რაც საქართველოს ძლიერება და სიამაყე იყო. ახლად გამოჩეკილი სუტი მეგობარი სახელმწიფოები კი დემოკრატიის სატყუარათი გვადგამენ მონობის უღელს.

ვითომ დამხობილი, ქვეყნის დამაქცევარი კი ზის კრწანისის რეზიდენციაში ჩასათბურებული და ხალხს კვლავ წამლავს სიცრუითა და ორპირობით, ისე, როგორც იეზუიტთა ორდენის კატეხიზმოში წერია: – დადე ფიცი, რომ იტყვი სიმართლეს და იცრუე, რამდენიც გინდა! – ჰოდა, ისიც წამლავს ქართველობას იეზუიტთა ორდენის კატეხიზმოთი.

ვისაც სურს, რომ წარმატებული პოლიტიკოსი იყოს და სოროსის ფულადი დახმარების იმედი ჰქონდეს, რუსეთი უნდა ლანძღოს, ქვეყანა უფრო მაგრად უნდა დააღრმაოს უცხოელთა პარპაშის ჭაობში. ამრიგად, წვრილ-მსხვილი პოლიტიკოსები ერთმანეთს ეჯიბრებიან რუსეთის აუგად ხსენებაში, პატრონისგან პურის მიგდების სურვილით ძაღლი ვიღაცას რომ უყეფს. ამგვარი ვაი-პოლიტიკოსების წყალობით საქართველო მსოფლიოში ყველაზე ჩამორჩენილი, გამათხოვრებული ქვეყნების კატეგორიაში საპატიო ადგილს იკავებს.

ქართველთა საძულველი პრეზიდენტის მიერ თვალთმაქცური ილეთით მის მიერვე გამოზრდილ თანამოაზრეებზე ხელისუფლების გადაბარებას ვარდების რევოლუცია უწოდეს, რომელსაც მყრალი დოლარების სუნი უდის. სიცრუის ოსტატებმა რევოლუციების ისტორიაში ამით სასაცილო ფურცელი ჩაწერეს.

განა გულსატკენი არ არის სოროსის მიერ მოქრთამული ახალგაზრდების მიერ „მიშა, მიშას" ძახილი, რომელსაც რამდენიმე ათეული გულუბრყვილოც ასდევს და იქმნება არღაც ჰატლ ჰიტლერის მსაგავსი ფსიქოზი; ამგვარად უმრავლებენ ჭირის დღეებს მრავალტანჯულ საქართველოს.

ადგილობრივი არჩევნების ხმები ჯერ არ დაეთვალათ, რომ ნაციონალებმა საზეიმო სხდომა მოაწყეს და გამარჯვება იზეიმეს.

ჯერ რაიხსტაგში ხანძარი არ გაჩენილიყო, რომ წინასწარ გაქეზებულმა მოიერიშეებმა ხანძრის გამჩენთა დაგმობის დემონსიტრაცია მოაწყეს; რა ვუწოდოთ ამ მსგავსებას?!

– ფაშიზმის გადმოთესლება საქართველოში! ესენი შევარდნაძის მიერ გაწვრთნილი არჩევნების გამყალბებლები არიან! – ყველა იძახდა.

– საქართველოში სანამ ხელისუფლება საკუთარ ხალხს ებრძვის, არჩევნები ხალხის აბუჩად აგდების და გაბითურების იარაღი იქნება! – ზოსიმე მოძღვარმა ამის თქმის შემდეგ დატოვა შემაღლებული ადგილი.

– ჩვენ რა გვეშველება, როდემდის უნდა გვაბითურონ?! – ახმაურდა ხალხი.

კოტემ ველარ მოითმინა, ზოსიმე მოძღვრის ადგილზე შედგა და ხალხს მიმართა: – ვისი იმედი გაქვთ? ხელი გაატოკეთ და გეშველებათ! ღირსეული წინაპრების ბეჩავი შთამომავლები ნუ ვიქნებით! წარსულს თუ გადავხედავთ, ქართველი ერი დღევანდელის მსგავს საშინელების წინაშე იშვიათად მდგარა. ადრე დამპყრობთა წინააღმდეგ წმინდა ზნეობით და რწმენით იბრძოდა, ახლა გადაგვარებულ და გახრწნილ ქართველთა მიერ ყველაფერი ისპობა, რაც ქართველ ერს საამაყოდ ჰქონდა. უცხოეთიდან შემოგდებული სიბინძურით გვილებენ ბოლოს, გარყვნილებას და აღვირახსნილობას ჭეშმარიტ დემოკრატიად რომ გვაჩეჩებენ. ვთქვათ, დამოუკიდებელი გავხდით, მაგრამ რა დააშავა ადამიანთა სოციალურმა კეთილდღეობამ?! ეს ვაი დამოუკიდებლობის ყიყილიყოები დამოუკიდებლობას ბატონყმობასთან და ველური განუკითხაობით პირდაფჩენილ კაპიტალიზმთან რომ აიგივებენ, გაღატაკებულ და გაძარცვულ ხალხს რატომ არ ეკითხებიან, არის დამოუკიდებელი? თვითონ რომ ხელფასებზე, კაბინეტების მოწყობაზე, ავტომობილებზე და გართობებზე ბიუჯეტიდან ზღაპრულ თანხებს ითვისებენ, პარლამენტარებს სიკვდილამდე შვიდას ოთხმოც ლარს აძლევენ, პარლამენტში ყოფნით მხოლოდ თავის კეთილდღეობის მოპირკეთებაზე რომ ილვაწა, თან ტრაბახობენ, ევროპის ყველაზე მოწინავე ქვეყნების დონეზე ვართო, რა დონეზე არიან ერის წინაშე ერის წინაშე ვალმოხდილ ადამიანთა უპენსიოდ დამშევაში; ოცდახუთ ადგილიან საკანში ასი პატიმრის შეტენვაში; მთელი ხალხის უმუშევრად დატოვებასა და მარტო თავიანთი მომხრე ნაცისტთა დაპურებაში; უდანაშაულო ადამიანთა მოსპობასა და პოლიციის ძალადობაში; საქართველოდან ქართველთა გაფრთხობაში? ყველაფერს რომ იტაცებენ და ყიდიან, ჰგონიათ შერჩათ?! პარაზიტის გაუმაძღრობას ხალხი არავის შეარგებს, თავის გაყიდული მიწა-წყალსაც დაიბრუნებს და მის დღევანდელ მიმთვისებლებსაც დაბადების დღეს აწყევლინებს!

– ეგრე იქნება, ეგრე! – ერთხმად დაიძახეს.

– უსაზღვროა ედუარდ შევარდნაძისა და ნაციონალებად მონათლულ მოქალაქეთა კავშირის ღვაწლი საქართველოს დაქცევაში. რამდენიმე წლით სატანას ედუარდ შევარდნაძე თავისი მოქალაქეთა კავშირით აზერბაიჯაინში რომ მიემაგრებინა, ახლა მათი ნავთობის კოშკურები და მისი გადამამუშავებელი ქარხნები ევროპელი მეგობრების მეტალურგიული ქარხნების ღუმელებში გამოცხვებოდა. აზერბაიჯანელები კი ჩვენსავით სამუშაოს საძებნად მთელ მსოფლიოში გაფრთხებოდნენ.

როცა ქვეყნის დაქცევა გინდა, მის სათავეში მუხთალი კაცი უნდა დასვა, მოყვარეს მტრად რომ გაასაღებს, მტერს კი ჩაგახუტებს, როგორც მაძღარ მტაცებელს კრავი; ის მტაცებელიც, სანამ მოშივა, გემრიელ სადილისათვის გვინახავს.

დღევანდელი ყოფისათვის რა გასაკვირია თბილისის ცენტრიდან გამფრთხალ დავით აღმაშენებლის ცხენს დიღომში თუ წამოეწევი. ის დალოცვილი, თბილისში მობრუნებას აღარ ისურვებს, სანამ აქ სამშობლოს სიყვარულით ანთებულ ხელისუფლებას არ იხილავს. დღეს კი ჩვენს პრეზიდენტს თავის იდეალად ათათურქი გაუხდია. რა გასაკვირია, რომ ირანის ხელმძღვანელებთან შეხვედრისას გულაჩუყებულის იდეალად შაჰ-აბასი არ გახდეს, მონღოლებთან – ჩინგიზ-ყაენი, შუა აზიაში – თემურ ლენგი. ქართველი ხალხის სალოცავი წინაპარი, ერის გადამრჩენელი და ქართველთა სიამაყე – დავით აღმაშენებელი კი თბილისიდან გარბის. ვინ იცის კიდევ სად მოუწყობენ გადასახლებას ათათურ-

ქის მეხოტბე ნაცილნალები.

წარუმატებლობის წარმატებად გასაღება და შემდეგ მისი ტრიუმფით აღნიშვნა რომის ყველაზე საძულველი იმპერატორების: კალიგულას, ნერონის, დომიციანეს, კომოდუსის და სხვა მათნაირების ავადმყოფობა იყო. ამგვარი სიგიჟით ჰიტლერიც წარმატებით აბითურებდა გერმანელებს, დასასრულიც დამსახურებისამებრ მიიღეს. ამათ ისტორიის სანაგვიდან როგორ მოთხარეს ფაშისტური პომპეზურობა, ტრაბახი, სიცრუე, მუქარა, დემაგოგია, მტრის ხატის შექმნა არასასურველ პირებზე ანგარიშსწორების მიზნით.

საქართველოში კი ყველაფერს ყიდიან, თუ კიდევ დარჩათ რამე. სად წავიდეს ქართველი კაცი, რას დაადგას ფეხი, როცა მისი აღარაფერია?! რომელი სამშობლო დაიცვას იმ ჯარისკაცმა ამ ქვეყანაში არაფერი რომ არ ეკუთვნის ყმის და ღატაკის უღლის გარდა?! ამ ნაციონალებმა იმედის სხივს საბოლოოდ გაუციეს გული; საშველი არსაიდანაა. ხელისუფლების სადავეებს ჩაჭიდებული დემაგოგები ხალხის უბედურებაზე ქონების მოხვეჭით ცდილობენ გაუმაძღრობის ავხორცობის გაყუჩებას, ბიუჯეტზე პარაზიტებად მიმჯდარნი და უცხოეთის ფულებზე გაყიდელნი თავიანთ ნებივრობას დამშეულ ხალხს აყურებინებენ და ზედმიწევნით ერთგულად ასრულებენ თავიანთი იდეოლოგიური მოძღვრის და მამა-მარჩენლის – სოროსის დაკვეთებს.

ბუშის ერაყულ ავანტიურას თვითონ ამერიკელებიც გმობენ და საპროტესტო დემონსტრაციებს აწყობენ; ერაყში ყოველდღე იღვრება სისხლი. საქართველოს პრეზიდენტი კი აცხადებს, ამერიკა ჩვენი სტრატეგიული პარტნიორიაო და ერაყში ჯარს აგზავნის, როცა ერაყში მიმავალ მეომრის დედა აცხადებს, ჩემი შვილი სამშობლოს დასაცავად მიდისო, ამაზე სამწუხარო და სავალალო რა უნდა იყოს! იქნებ ამას ამბობდა ქართველი დედა, როცა მისი შვილი დავით ულუს ერაყში საბრძოლველად მიჰყავდა მონღოლი სტრატეგიული პარტნიორის მხარდასაჭერად.

განა შეიძლება ქათამი ქორის სტრატეგიული პარნიორი იყოს? სასაცილო კი ის არის, რომ ამას ქათამი იბრალებს.

ისეთი რა „აზვერინი“ აჭამეს ამ ნაციონალებს „მეგობრებმა“, რომ რუსეთს მუქარით და სისტემატური გაღიზიანებით ლამის გული გაუხეთქონ. კიდევ კარგი, რომ რუსეთში ხვდებიან ამათ ხალხის ნების საწინააღმდეგო ფაფხურს.

– რუსი ხალხი ჩვენი მეგობარია, მაგრამ ეს როგორ მოსდით, რომ რუსეთიდან ქართველებს ყრიან?! ამ ხელისუფლების ხელში ჩვენ დახმარება გვჭირდება. ეგენი კიდევ გაჭირვებული ქართველების დაწიოკებით ისევ ამ უკუღმართების წისქვილზე რომ ასხამენ წყალს, ვერ უნდა ხვდებოდნენ?! – ვიღაცა აყვირდა.

– ჩვენი და რუსების მეგობრობის მტრები აქ თუ არიან, რა გასაკვირია, რომ რუსეთშიც იყვნენ ამგვარი უცხოეთის მაამებლები, რომელთაც შეიძლება ზოგი უვიციც აჰყვეს. ყველაფერი გაირკვევა და რუსებთან ჩვენს ერთად ბრძოლით და რწმენით შედუღაბებულ ძმობას ვერავითარი ხრიკებით ვერ გაახუნებენ! – განმარტა კოტემ. – დაბადების დღეზე მეზობელმა მეზობელი რომ დაპატიჟოს, იმან კიდევ ამ საზეიმო შეკრებაზე მილოცვის მაგიერ ბრალდებები წაუყენოს, მატყუარა და ორპირი ხარო, როგორ ხასიათზე დადგება იუბილარი, ან რას იფიქრებს ასეთი უადგილო პრეტენზიების მომსმენი? რუსეთის დუმის საზეიმო სხდომაზე მიწვეულმა საქართველოს პარლამენტის სპიკერმა ქალბატონმა ისეთი ორმაგი სტანდარტების ბრალდებების ბუღი დააყენა, რომ სულ მაგიდები უბრახუნეს და მასთან შეხვედრა აღრავინ ისურვა; ეგაც ამ თავქარქაშა ვარდოსნების მოქნილი და დახვეწილი დიპლომატია, ესენი ყველა ერთად რომ გადაადნო ერეკლე მეორის ცხენის გაცვეთილ ნალად არ ღირან.

ერეკლესავით ბრძენი, უბადლო მთავარსარდალი, პრინციპული და შეუპოვარი იშვიათია; ასამდე ბრძოლა მოიგო. ერისათვის თავდადებულს და თავმოყვარეს არც დიპლომატიური მოქნილობა აკლდა. გააკეთა კიდეც სწორი არჩევანი – საქართველოს გადასარჩენად რუსეთთან კავშირი. რა ბრალი უნდა დასდონ რუსეთს, რომ ეს უზარმაზარი სიკეთე გადაწონოს?!

უცხოეთის ლაქია ვარდოსნები კი რუსეთს სამგლე ციკნებივით ურქენენ და ამ უმსგავსობას ქართველი ხალხის სახელით ქართველთა უბედურებად ნიღბავენ. ჯერჯერობით კი საქართველო დასავლეთის პოლიგონად აქციეს მეზობელი ხალხების დაკნინების, დაბეჩავების, დაჩანაკების, ზნეობრივი და მორალური გარყვნის მიზნის მისაღწევად. ეს ხელისუფლება საზარელ განსაცდელს უმზადებს მრავალტანჯულ საქართველოს! მომავალი კი შეაჩვენებს დღევანდელობას, რომელმაც ამ მანიაკთა პარპაში დაუშვა.

ქარველ ხალხს არაერთი უბედურება მოუნელებია. ამათი ადგილიც იქ არის, სადაც შთამომავლობა ბინძური ნაგავსაყრელისაკენ ზიზღით გადააფურთხებს! – კოტემ შეისვენა.

– მაგათი ადგილი სანაგვეზეა! ქვეყნის ღალატი კვნესად ექცევათ! – გუგუნებდა ხალხი.

– ქართველი ერი ერთ მუშტად შეიკვრება და მოსპობს ყველა პარაზიტს, ზედ მიაყოლებს სოროსის ლაქიებსაც. ჩვენ კი ავირჩევთ თავკაცს, რომლის იდეალი ათათურქი კი არა, იოანე მარუშისძე, დავით აღმაშენებელი, დიმიტრი თავდადებული, ერეკლე მეორე, ილია ჭავჭავაძე, ვაჟა ფშაველა და ყველა ის ერის საამაყო ადამიანი იქნება, ვის გზაზე დადგომით ქართველი კაცის იმედის სხივი მზესავით აკაშკაშდება! – კოტემ სათქმელი დაამთავრა. ვაშას ძახილი დიდხანს არ შეწყვეტილა.

ღრუბელმა, წვრილად რომ იცრემლებოდა, წვიმას უმატა, მაგრამ ხალხი დიდხანს არ დაიშალა...

სამი დღე ზედიზედ ზოსიმე მოძღვარი და კოტე მათეს არ მოსცილებიან. საწოლში ჩაკარგული, დამდნარი ვაჟკაცი თვალებდახუჭული იწვა, სიცოცხლე ნელ-ნელა ქრებოდა.

– მათე, კოტე ვარ, მათე! – კოტეს ბოღმის ბუშტი ყელში გაეჩხირა და სათქმელი ბაგეს ძლივს ამოაცილა.

მათემ თვალები ნელა გაახილა.

– როგორ ხარ, მათე, ავადმყოფობამ არ დაგჯაბნოს, ბიჭო! – ზოსიმე მოძღვარმა ცრემლები ვერ შეიკავა და თავი მიაბრუნა.

– ნუ ტირი, ზოსიმე მოძღვარო, მე ადრე დავიბადე, ახლა მივდივარ და იქნებ მაშინ მოვბრუნდე, ამქვეყნად სიკეთე და სიყვარული ბოროტებას და სიძულვილს რომ გააქრობს, – მათემ თვალები დახუჭა; დიდხანს იყო ასე. – წიგნების კარადაში ვიქტორ ჰიუგოს „განკიცხულნია“, შიგ ჩემი ლექსი დევს, სუკის დილეგში დავწერე და ის პესიმისტური ნოტი მიმაცილებს, – მათემ ძლივს თქვა, სული შეუგუბდა, ზოსიმე მოძღვარმა გამშრალი ტუჩები წყლით დაუსველა.

კოტემ ჰიუგოს „განკიცხულნი“ მოძებნა და იქიდან გაყვითლებული ფურცელი ამოიღო. – ვიპოვნე, – თქვა.

– ხმამაღლა წაიკითხე, სთხოვა ზოსიმე მოძღვარმა.

– „მატლების სამეფო“, – კოტემ სათაურით დაიწყო:

— თუ გინახიათ ლეშზე მატლის მოდგმის ფუსფუსი,
თუ გინახიათ საქმიანი მათი ღრეობა,
სანამ შეჭამენ და ჩანთქავენ ბოლო ლუკმამდე,
ახლავთ შური და მხარში უდგათ ძალმომრეობა.

იქნებ მეფეც ჰყავთ და ღმერთებიც შექმნეს თავისი,
სამსჯავროცა აქვთ, სადღაც ზარის რეკვაც გაისმის;
ჰყავთ პატიმარი, რომ არ ჭამოს ლეშის ნარჩენი,
ბატონებიც ჰყავთ, სადღაც მონაც კვნესის ნაცემი.
კანონიცა აქვთ, თავისი აქვთ, ვთქვათ, სამართალი,
ლეშით გაძღართა მიზნებისთვის გასამართავი;
შვილებსაც ზრდიან, აქვთ სკოლა და აკრთობთ მისანი,
გეგმებს აწყობენ, უამრავი ათრობთ მიზანი.
ბრაზით დადიან ერმანეთის შურით გავსილი,
დიდებასა სთხოვთ ეგოისტის სული დასვრილი;
მაძღრობა უნდათ, სხვისთვის ლუკმაც არ ემეტებათ,
შუღლი, მუხთლობა ჯალათივით დაეხეტება.
მაგრამ ერთხელაც, როცა ლეში გაუთავდებათ,
ყველა ფიქრები, თვით მიზნებიც გაუქვავდებათ.
შეიყრებიან უფსკრულის წინ მეფეც და მონაც,
დაავიწყდებათ მაცხოვარი, მღვდელიც და მოლაც.
მოძალადეთა ძალადობა გაიძარცვება,
მუცლის კარნახის იმპერია ოხრად დარჩება.
ალიგვებიან, გაქრებიან ვით მტვერი მიწის,
განგება კვალზე მიაყოლებს ხარხარს და სიცილს...
ვიღაცა მოვა, იმათ ნარჩენ ჭინჭსაც მიხვეტავს;
დრო უწყალოა, წავა, ხსოვნის ჭიშკარს მიკეტავს. —

კოტემ კითხვა დაამთავრა, – პესიმისტური კი არა, ღრმად რომ ჩაუფიქრდე, გული გამისკდეს იქნებ, – ჩაილაპარაკა.

– ეგ ლექსი, ჩვენ კი არა, ამ ქვეყანად პარაზიტად მოვლენილ არაკაცებს უნდა წაუკითხო, – ურჩია ზოსიმე მოძღვარმა.

– მხოლოდ სიყვარული, ურთიერთ პატივისცემა, თანასწორობა, ძმობა და ერთობაა ცხოვრებისეულ ამაოებას წარმატებით რომ შეეჭიდება და ამ მოკლე წუთისოფელს ბედნიერებად შეგვარგებს, – ოხვრით თქვა კოტემ.

დიდი ხანი გავიდა, მათე თვალებდახუჭული იწვა.

– რაღაც ამის ფერი არ მომწონს, – შეშფოთებით თქვა ზოსიმე მოძღვარმა.

– მათე, ძმაო მათე! ხმა გამეცი, ნუ გადამრიე! – კოტე აღრიალდა. – ხომ გითხარი, ბიჭი რომ შემეძინა. ჰოდა ჩემი პირველი შვილის ნათლია შენ უნდა იყო. მათე, უნდა მოვნათლო და ნათლია შენ უნდა იყო, გაიგე?! – კოტე ყვიროდა.

საუფლოს გზაზე შემდგარ მათეს კოტეს ღრიალი წამოეწია და თვალები ძლივს გაახელინა.

– რა დაარქვი? – ძლივს გასაგონად იკითხა.

– ერეკლე! – კოტემ ყურში ჩასძახა.

– დაე იმრავლონ ერეკლეებმა საქართველოში! – ძლივს თქვა მათემ და საბოლოოდ დახუჭა თვალები.

– წავიდა! – ჩაილაპარაკა ზოსიმე მოძღვარმა. – ისე წავიდა, რომ სატანის მაგიისგან დახსნილი საქართველო ვერ იხილა. უფალო, აკმარე უბედურება მრავალტანჯულ ქართველ ერს! – ზოსიმე მოძღვარმა ხელები მაღლა აღმართა და მერე პირჯვარი გადაისახა; აქვითინებულ კოტეს შეხედა, თავი ველარ შეიკავა და მათეს ცხედარზე ღრიალით დაემხო.

**შინაარსი**

## ამომავალი შავი მზე


წნორელი ბიჭი გაბო ... 7
თარსო ... 23
ყარამანის ღვარძლი ... 27
ლავაშა მაგარია ... 30
ანიკოს სამსახური აუკრძალეს ... 34
ჰამლეტის ჯავრი აქვთ ... 36
კვირიკე მეცნიერი ... 42
ამბაკოს გულახდილი საუბარი ... 44
უძლეველი სილიბისტრო ... 46
ღადალას კატა ... 51
ღადალა-ლუა – უბნის რწმუნებული ... 54
ოღრაშ-სარა და კრეჭო-კოლა ... 57
თხუნელები თხილებში ... 65
კვირიკე ხაფანგში ... 70
შენი საცოლე დიდყურაა ... 75
ჯღანომ, ყინტორამ და ჭყეტელამ წაიფორთხილეს ... 79
ვინ არის ლაყე? ... 86
ვის ემსახურება კანონი? ... 88
ჯღანო მარტო არ არის ... 91
ცხოვრების მწარე სინამდვილე ... 96
ახვრები ... 100
ყვავი აფრენაზე იყო ... 105
ყბაყურა ხომ არ გაგირთულდა ... 109
არტემას და ხეჩოს ამქარში ... 112
ღადალა რწმუნებული და მკითხავი ახრასია ... 119
ვისი იმედი გაქვს, გაბო ... 123
სულელ მართას მანეთი ... 125
კანონის მღრღნელები ... 133
ღრეობა ბაზრის რესტორანში ... 143
მართას და თარსოს გმირობა ... 155
ტყის სახლის ოინბაზები ... 158

სამიზნე უნივერმაღია ........ 168
სინდისზე მონადირენი ........ 171
მოტაცება ........ 174
დამრბევების დარბევა ........ 180
ანგარებაზე ნაგები ამხანაგობა ........ 188
კანონის დამცველის ნიღაბში ........ 190
კრეჭო-კოლას აღსასრული ........ 193
ურჩის ჩამოცილება ........ 198
ტიგრანას გაწირვა ........ 200
უიმედობა ........ 203
ზაქროც ჩამოვწერეთ ........ 205
მგელი ძაღლის ტყავში ........ 208
დაკარგული შარვლის კავალერი ........ 213
ტიგრანა და შიშველი დონჟუანი ........ 218
ვენერას ეროტიკული რვეული ........ 225
ნოე ჯანგულაშვილის ფერიცვალობა ........ 227
უარესი ძალადობის მოლოდინში ........ 231

## ბედის მასხარა

ბედზე მონადირე მასხარა ........ 237
კოლას ამაგი არ დაივიწყო ........ 243
ქვრივი ანეტა ........ 252
პეტოს არაფერი ეშლება ........ 257
ღვთის წყალობა შენზე ჰკიდია ........ 269
ყოჩი სანდროს დასჯა ........ 286
ბილიარდის გაკვეთილი ბლენძისათვის ........ 296
მეცხვარეები და ცხვარიჭამიები ........ 302
ყეყეჩი მოძღვარი, კუდქიცინა ამალა და
მორჩილი მრევლი ........ 315
ქიმერა ცხოვრების გზაზე ........ 319
რაიკომის ოინბაზები ........ 323
სკამოსნის კაპრიზზე ფუჭი ფაფხური ........ 332
ქურდული კანონის სუსხი ........ 339
ბუნტი ........ 344
ამბაკოს თათბირი ........ 346
სარქისას გონება გადაეკვანძა ........ 350
თუ მიწერა არ გინდა, წადი ........ 358

მუშტით შესრულებული გეგმა ........ 362
პატიმრის დაბრუნება ........ 369
თავმჯდომარის დამხობა ........ 374
სამსახური საქმისთვის, პოსტი კუდისთვის ........ 385
ნადირობა ........ 388
მიტროს ალმასკომი ........ 398
ქურდები და წამქეზებლები ........ 415
უკუღმართთა უკუღმართობანი ........ 417
მათეს სიზმარი ........ 424
კოჭლი ვანოს დაბრუნება ........ 430
ხმამაღლა ილაპარაკე, ყრუა ........ 431
ქურდად არ იბადებიან ........ 433
სატანა ანგელოზის პრეტენზიებით ........ 435
ავაზაკების ბუნაგის საიდუმლო ........ 440
ქურდი ვანოს აღსასრული ........ 443
ცოფით გონებაარეული ........ 446
ქიზიყის ჩაუშესკუს გაპარვა ........ 449
მიტროს ბედის ბოლო მასხრობა ........ 451

## სატანის ღიმილი

ნებაზე მიშვებული ბღენძი ........ 455
ობობები საკანში ........ 462
კოლონიაში ........ 473
რღვევა ........ 482
ძირს იმპერია ........ 489
ქაოსი ........ 496
სალახანა ........ 505
რას დუდუნებს ალაზანი ........ 510
ზოსიმე მოძღვარი ........ 515
ანგელოზების შეშფოთება ........ 523
ეშმაკა ........ 533
ესეც ლექიანობა! ........ 539
სიცოცხლე გრძელდება ........ 545
გაუმარჯოს კუკური მაძღარაშვილს! ........ 549
ურჩიე, მამაო, ნუ წავა ........ 557
მუხთლობა არც აქ გვაკლია ........ 562
კურტანა ........ 569

კახელები ხარხარებენ ........................................ 577
კაციჭამია ძაღლები ........................................ 582
პრეზიდენტის არჩევნები ........................................ 592
სეტყვა ........................................ 601
დახოცილი ძაღლების კვალზე ........................................ 609
ახალი ევროპელები ........................................ 621
დავიწყებული წარსული და
ჯოჯოხეთად ქცეული უმადურობა ........................................ 631

**Восходящее чёрное солнце**
(роман)

**Шут судьбы**
(роман)

**Улыбка сатаны**
(роман)


| | |
|---|---|
| რედაქტორი | **დავით ქევხიშვილი** |
| მხატვარი | **ზაზა სვანიშვილი** |
| დამკაბადონებელი | **ილია ივრისწირელი** |
| კორექტორი | **ქეთევან ქუჯიშვილი** |

**ფასი სახელშეკრულებო**

დაიბეჭდა გამომცემლობა „ეგრისში“